





# რელიგიის თავისუფლება

---

თბილისი  
2004

ავტორთა ჯგუფი: მალხაზ ნარინდოშვილი  
ვანო გოგელია  
თათია ჯულაუიძე  
ზურაბ ჯაში  
ერეკლე გლურჯიძე

შემდგენელი და რედაქტორი: გიორგი შელაძე

რედაქტორი: ნოდარ ლადარია

სტილის რედაქტორები: ანა ჭაბაშვილი  
ლალი ქადაგიძე  
მარიკა კვესელავა

დიზაინი: ბესიკ დანელია

ISBN 999407147-5



გამოცემულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით (ხელშეკრულება #114-C-00-01-00136-00). გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს USAID-ის თვალსაზრისს.

## წინასიტყვაობა

ჩემი ცხოვრება დიდწილად  
მართულია კეთილგონიერებით,  
მისი უკმარისობის შემთხვევაში კი –  
უზუნაესი ძალით, რწმენით.

**მაჰათმა განდი**

რელიგიისა და რწმენის საკითხები ადამიანის ყველაზე ღრმა სულიერ სფეროს განეკუთვნება და განუყოფლად არის დაკავშირებული პიროვნების ღირსებისა და სინდისის ხელშეუხებლობასთან. სახელმწიფოს მიერ ადამიანის რელიგიური უფლებების პატივისცემა ინდივიდის პიროვნული ხელშეუხებლობისადმი მისი მართლზომიერი დამოკიდებულების დემონსტრირებაა. და პირიქით, ადამიანის რელიგიური უფლებების უგულვებელყოფა და რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაცია დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი პრინციპის უარყოფაა, რომლის თანახმადაც ხელისუფლების წყარო ხალხია. ეს პრინციპი ავალდებულებს სახელმწიფოს, იზრუნოს საკუთარ მოქალაქეებზე და არ დაუშვას მათი უფლებების დარღვევა.

აღმსარებლობისა და სინდისის ნიადაგზე დევნისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის თაობაზე დებულებები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში, მათ შორის საქართველოს უზუნაეს კანონშიც გვხვდება. თუმცა ამ პრინციპის სრული რეალიზაციისათვის მხოლოდ ლიბერალური კანონმდებლობა საკმარისი არ არის. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით კვლავ არაერთი პრობლემა არსებობს.

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა სხვა განვი-

თარებად სახელმწიფოებში არსებული ვითარების მსგავსია. მართალია, ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად რელიგიურ ნიადაგზე ვანდალური აქტები თითქმის აღიკვეთა, თუმცა კანონმდებლობასა და მისი გამოყენების პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები კვლავაც აქტუალურია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ათეულ წელზე მეტს ითვლის, ჩვენს წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯერ კიდევ შემორჩენილია კომუნისტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სახელმძღვანელოები, როგორც პოლიტიკური მეცნიერებების, ისე სამართლებრივი გამოცდილების სფეროში. დღემდე არ არსებობს ლიტერატურა, რომელიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სფეროში ძირითადი საერთაშორისო აქტების, პრეცედენტული სამართლისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით წარმატებულ სახელმწიფოთა სამართლებრივი გამოცდილების ყოვლისმომცველ ანალიზს შესთავაზებდა საზოგადოებას. წიგნს „რელიგიის თავისუფლება“ ძირითადად საგანმანათლებლო ფუნქცია ეკისრება და მისი მიზანი ამ სფეროში არსებული ინფორმაციული ვაკუუმის შევსებაა. მას წმინდა პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს – საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ქართულ სამართლებრივ სივრცეში ინტეგრაციის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო სამართლოების პრაქტიკის ცოდნა და მისი შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენება.

წიგნი „რელიგიის თავისუფლება“ გამიზნულია სამართლის სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსი იურისტების, ადვოკატებისა და მოსამართლეებისათვის, სტუდენტებისათვის. თუმცა, იგი რელიგიისა და რწმენის საკითხებით დაინტერესებული სხვა მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება.

წიგნის პირველი თავი მკითხველს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გააზრებაში დაეხმარება: რელიგიის რაობა, რელიგიური უფლებების წარმოშობის ისტორია, რელიგიის თავისუფლების ფილოსოფიური საფუძვლები და განვითარების პერსპექტივები.

ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია არაერთი ავტორისა და მეცნიერის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში შემუშავებულ ყველაზე ქმედით საერთაშორისო აქტად არის მიჩნეული.

საქართველო 1999 წლიდან ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანაა, რაც იმას ნიშნავს, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის დებულებები და მის საფუძველზე მოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ჩვენი ქვეყნისათვის საეალდებულოა. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ უპირატესი ძალა აქვს. ეს კონსტიტუციური დებულება ნათლად მეტყველებს საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობაზე. ამის მიუხედავად, ქართული საზოგადოების იურიდიულ წრეებში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სფეროში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის

ცოდნა ნულოვან ზღვარს უტოლდება, რისი ძირითადი მიზეზიც ქართულ ენაზე სათანადო ლიტერატურის არარსებობაა.

ნიგნის მეორე თავი ამ დანაკლისის აღმოფხვრის მცდელობაა. მასში წარმოდგენილია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხების შემცველი, კონვენციის მე-9 და სხვა მომიჯნავე მუხლების საფუძველზე გადაწყვეტილი საქმეების ანალიზი. გარდა ამისა, ამ თავში დეტალურადაა განხილული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების სტრუქტურა და სისტემა.

ნიგნის მესამე თავი ეძღვნება ამერიკის შეერთებულ შტატებში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების განვითარების ისტორიასა და სასამართლო (უმთავრესად უზენაესი სასამართლოს) სისტემის ფარგლებში მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ამერიკის შეერთებული შტატები სახელწმიფოთა შორის ერთ-ერთი იმ მცირეთაგანია, სადაც ადამიანის რელიგიური უფლებების დაცვა პრაქტიკულ დონეზე შეესაბამება ამ ქვეყნის კონსტიტუციის თეორიულ-დეკლარაციულ დებულებებს და ერთადერთია, რომელსაც ესოდენ მდიდარი სასამართლო პრაქტიკა აქვს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სფეროში. ამიტომაც, ვფიქრობ, უდავოდ საინტერესო უნდა იყოს აშშ-ს გამოცდილებისათვის თვალის გადავლება და მისი გააზრება ქართულ რეალობასთან მიმართებაში.

ზურაბ ალიიშვილი





# სარჩევი

<b>თავი I</b>	
<b>შესავალი</b>	<b>19</b>
<b>1. რელიგია</b>	<b>21</b>
რელიგიის განსაზღვრება	21
რელიგიის ელემენტები	22
რელიგიათა კლასიფიკაცია	22
რელიგიათა კლასიფიკაციის ვებერის სისტემა	24
რელიგიური ორგანიზაციის ფორმები	24
<b>2. რელიგიური უფლებები – ისტორიული მიმოხილვა</b>	<b>27</b>
ადრეული ეკლესია	29
ეკლესია და სახელმწიფო	30
ბუნებითი უფლებების იდეა	32
რელიგიური უფლებების აღმოცენება	34
<b>3. ადამიანის რელიგიურ უფლებათა აპოლოგია</b>	<b>41</b>
ადამიანის რელიგიური უფლებები და ადრეული რელიგიური მოძღვრებანი	42
ადამიანის რელიგიური უფლებები და რელიგიის ბუნება	46
ადამიანის რელიგიური უფლებები და ადამიანის ღირსება	48
ადამიანის რელიგიური უფლებები და საერო სახელმწიფო	51
რელიგიის თავისუფლება და ადამიანის სხვა უფლებები	55
ადამიანის რელიგიური უფლებები და საერთაშორისო საზოგადოება	56

<b>4. რელიგიის თავისუფლების პერსპექტივები</b>	<b>60</b>
რელიგიის თავისუფლების ტექტონიკა	61
რელიგიის თავისუფლების ლოკისეული რევილუცია	64
რელიგიის თავისუფლების ანალიზის პირობითი მოდელი	67
რელიგიის თავისუფლება და სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნა	69
<b>5. შენიშვნები</b>	<b>75</b>

## **თავი II**

### **რელიგიისა და რწმენის თავისუფლება**

#### **ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის საფუძველზე**

79

<b>1. შესავალი</b>	<b>81</b>
რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ ევროპის კონვენციის ძირითადი დებულებების მიმოხილვა	82
ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო და კომისია	84
ევროპული კომისიის პროცედურა	84
ევროპული სასამართლოს პროცედურა	85
ევროპული კომისიის გაუქმება და სხვა ცვლილებები მე-11 ოქმის საფუძველზე	85
საჩივრის დასაშვებობა	86
<i>საპროცესო უფლებამოსილება</i>	87
<i>ეკლესიები და სხვა რელიგიური ორგანიზაციები</i>	87
<i>იურიდიული პირები</i>	88
<b>2. რელიგიისა და რწმენის განსაზღვრება</b>	<b>91</b>
კონვენციის მე-9 მუხლი	91
ევროპული სასამართლოსა და კომისიის პრაქტიკა	93
<i>ზოგადი ლიბერალური მიდგომა</i>	93
<i>პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსი</i>	94
<i>ინდივიდუალიზებული რელიგია და რწმენა</i>	95
ალტერნატიული მიდგომები რელიგიისა და რწმენის დეფინიციების მიმართ	96
<i>საერთაშორისო სამართალი</i>	97
<i>შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები</i>	98
<b>3. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება</b>	<b>102</b>
რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მნიშვნელობა	102
რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, როგორც პოზიტიური უფლება	104

ნეგატიური ვალდებულება	106
პირადი სფეროს უპირატესი ხასიათი	106
<i>Forum internum</i> -ისა და <i>forum externum</i> -ის გამიჯვნა	108
სახელმწიფოს ჩარევა <i>forum internum</i> -ში	109
სახელმწიფო ეკლესია	112
ფინანსური გარიგებები სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის	113
კონტროლი საეკლესიო პერსონალზე	115
რელიგიისა და რწმენის თავისუფლება და <i>forum internum</i> განათლებაში	118
სკოლის უფლებამოსილების ფარგლები	119
სკოლის დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვა	121
ვეროპული სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები	121
რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლება	124
<b>4. რელიგიისა და რწმენის გამოხატვის უფლება</b>	<b>130</b>
ინდივიდუალური ან ჯგუფური და საჯარო ან კერძო გამოხატვა	130
ლეთისმსახურება, სწავლება, რიტუალების შესრულება	
და წეს-ჩვეულებების დაცვა	132
გამოხატვის სახეების ექსკლუზიური თუ ინკლუზიური ბუნება	132
ლეთისმსახურება და რიტუალების შესრულება	133
სწავლება	134
წეს-ჩვეულებების დაცვა	136
ეროუსმიტის საქმე: გამოხატვის აუცილებლობის ტესტი	137
ფაქტობრივი მიმოხილვა	137
კომისიის გადაწყვეტილება	137
განსხვავებული მოსაზრებები ეროუსმიტის საქმეში	138
ეროუსმიტის ტესტი	140
ტესტის ბუნება	140
ეროუსმიტის ტესტის გამოყენება	140
ტესტის გამოყენება „წეს-ჩვეულებების დაცვის“ ფარგლებს გარეთ	141
ეროუსმიტის ტესტის ანალიზი	143
ვეროპული სასამართლოსა და კომისიის მეთოდოლოგია	
აუცილებლობის განსაზღვრისას	143
აუცილებლობის მტკიცებულება	144
უპირატესობა ეროუსმიტის ტესტის საფუძველზე	144
ალტერნატიული მიდგომები გამოხატვის სახეების მიმართ	145
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტები	147
რელიგიური უფლებების ნებაყოფლობითი დათმობა	147

ნებაყოფლობითი მოდელი სახელმწიფო ეკლესიის ფარგლებში	148
ნებაყოფლობითი მოდელი სხვა კონტექსტებში	149
<b>5. რელიგიისა და რწმენის გამოსატვის შეზღუდვა</b>	<b>152</b>
ევროპული სასამართლოს მიდგომა მე-9 მუხლის პირველი ნაწილისადმი	153
ევროპული სასამართლოს უარი მე-9 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე საკითხების განხილვაზე	153
საქმეები, რომლებზეც სასამართლომ მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა დაადგინა	154
ევროპული სასამართლოსა და კომისიის ზოგადი მიდგომა შემზღუდველი პირობების მიმართ	155
კანონით განსაზღვრული შეზღუდვები	156
ევროპული სასამართლოსა და კომისიის ზოგადი მიდგომა	156
კანონით განსაზღვრული შეზღუდვები და კონვენციის მე-9 მუხლი	157
შეზღუდვის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში	159
სახელმწიფოს როლი აუცილებლობის განსაზღვრაში და მისი დისკრეცია	159
დისკრეციული უფლებამოსილება მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეებში	160
პროპორციულობის პრინციპი	161
ლეგიტიმური მიზანი	163
რელიგიისა და რწმენის გამოსატვის შეზღუდვის საფუძვლები	165
საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და	
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა	165
ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობა	168
მორალის დაცვის აუცილებლობა	171
სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობა	172
გამოსატვის შეზღუდვა ომისა და საგანგებო მდგომარეობის დროს	175
<b>6. ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონები</b>	<b>178</b>
კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა სამხედრო სამსახურის მიმართ	180
ტრადიციული მიდგომა დისკრიმინაციის საქმეებში	182
კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის აღიარება საერთაშორისო სამართალში	183
ალტერნატიული მიდგომა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მიმართ	184
ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონები პრეცედენტულ სამართალში	186
ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონები და ეროვნული ტესტი	187
განსხვავებული მიდგომა ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების მიმართ	187
პრეცედენტული სამართლის წინააღმდეგობრივი ხასიათი	190
ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონებთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი	191
მიდგომა მე-9 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე	191

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მინიმალური შეზღუდვა, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება	193
სოციალური ანარქიის არგუმენტი	195
მე-9 მუხლის მეორე ნაწილის შესუსტების არგუმენტი	198
რელიგიური უმცირესობების ინტერესების გათვალისწინება	199

**7. დასკვნა** **202**

ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები	202
რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მნიშვნელობის არალიარება	203
შეუსაბამობა და სიცხადის ნაკლებობა	204
მტკიცებულება და ობიექტურობა	205
სახელმწიფო ინტერესების პატივისცემა	206
რელიგიისა და რწმენის თავისუფლების რეკონცეპტუალიზაცია	206
მე-9 მუხლის პირველი ნაწილი	206
მე-9 მუხლის მეორე ნაწილი	208
სასამართლო ტენდენციები	209

**8. შენიშვნები** **211**

**თავი III**

**რელიგიისა და რწმენის თავისუფლება**

**აშშ-ს კონსტიტუციის საფუძველზე** **235**

**1. შესავალი** **237**

**2. კონსტიტუციის პირველი შესწორება და სხვა სამართლებრივი დებულებები** **240**

რელიგიური ტესტის კლაუზულა	240
პირველი შესწორება	240
პირველი შესწორების ინკორპორაცია	241
სხვა დებულებები	242

**3. რელიგიური კლაუზულების ინტერპრეტაცია** **243**

განსხვავებული მიდგომები რელიგიური კლაუზულების ინტერპრეტაციისადმი	243
რელიგიური კლაუზულების ფუძემდებლური პრინციპები	245

**4. აღმსარებლობის თავისუფლებისა და დანესების კლაუზულების სტანდარტების მიმოხილვა** **252**

აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის სტანდარტები	252
დანესების კლაუზულის სტანდარტები	254
ლემონის ტესტი	254
უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობა	255
არამხარდაჭერა	256

არაიძულება	256
ნეიტრალობა	256
<b>5. ეკლესიებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების მოკლე ისტორია აშშ-ში</b>	<b>258</b>
განსხვავებული კოლონიური სისტემები: დანესებული ეკლესიები რელიგიის თავისუფლების წინააღმდეგ	258
დამფუძნებელი თაობა: რელიგიის თავისუფლების განმტკიცება შტატების კონსტიტუციითა დონეზე, რელიგიური გადასახადის გაუქმება და პირველი შესწორების მიღება	260
მე-19 საუკუნე: პროტესტანტული ქრისტიანობის <i>de facto</i> დანესება და კონსტიტუციის მე-14 შესწორების მიღება	265
რელიგიური პლურალიზმი, სახელმწიფოსა და ეკლესიებს შორის თანამედროვე ურთიერთობები	268
<b>6. რელიგიური ვალდებულებები</b>	<b>272</b>
კარდაკარ ქადაგება და რელიგიური ლიტერატურის გავრცელება	272
<i>ქენტველი კონექტიკუტის შტატის წინააღმდეგ</i>	274
<i>მერდოკი პენსილვანიის შტატის წინააღმდეგ</i>	278
<i>ჯიმი სვოგარტის საზოგადოება კალიფორნიის შტატის თანასწორობის დაცვის საბჭოს წინააღმდეგ</i>	282
ქადაგება საჯარო თავშეყრის ადგილებში	284
<i>ჰეფრონი კრიშნას საერთაშორისო საზოგადოების წინააღმდეგ</i>	286
კერპის თაყვანისცემა	288
<i>მინერსვილის განათლების საბჭო გობიტისის წინააღმდეგ</i>	289
<i>დასავლეთ ვირჯინიის განათლების საბჭო ბარნეტის წინააღმდეგ</i>	292
უარი მკვლევლობაზე, ომის მხარდაჭერასა და მასში მონაწილეობაზე	294
<i>შეერთებული შტატები ზიგერის წინააღმდეგ</i>	298
<i>უელში შეერთებული შტატების წინააღმდეგ</i>	302
<i>ნეგრი ლარსენის წინააღმდეგ</i>	305
<i>ტომასი სამეთვალყურეო საბჭოს წინააღმდეგ</i>	307
შაბათის წესის აღსრულება	308
<i>შერბერტი ვერნერის წინააღმდეგ</i>	308
რელიგიის გამოხატვა სამუშაო ადგილზე	311
<i>დასაქმების თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის კომისია თოუნლის საინჟინრო-სამრეწველო კომპანიის წინააღმდეგ</i>	313
<i>„უკანასკნელი დღის წმინდანების“ იესო ქრისტეს ეკლესიის არქიეპისკოპოსის საზოგადოება და სხვები ამოსისა და სხვების წინააღმდეგ; შეერთებული შტატები ამოსისა და სხვების წინააღმდეგ</i>	315
ბავშვთა განათლება	319
<i>ვისკონსინის შტატი იოდერის წინააღმდეგ</i>	320

რელიგიური სამოსის ტარება	325
<i>გოლდმანი უაინბერგერის წინააღმდეგ</i>	325
რელიგიური რიტუალი ციხეში	328
<i>ო'ლონე „შაბაზის საკუთრების“ წინააღმდეგ</i>	329
პეიოტის მოხმარება	333
<i>დასაქმების სამსახური სმიტის წინააღმდეგ</i>	333
წმინდა მიწისა და წმინდა ადგილების დაცვა	341
<i>ლინგი ჩრდილო-დასავლელ ინდიელთა სასაფლაოს დაცვის</i>	
<i>ასოციაციის წინააღმდეგ</i>	343
<i>ქალაქი ბორნი ფლორესის წინააღმდეგ</i>	350
ცხოველთა მსხვერპლად შეწირვა	356
<i>ლუკუმი ბაბალუ ეის ეკლესია ფლორიდის შტატის</i>	
<i>ქალაქ ჰაიალუას წინააღმდეგ</i>	357
რელიგიური საზოგადოების წევრობის უფლების დაცვა	360
უცხოთა და ჩაგრულთა დახმარება	363
მკურნალობა ლოცვითა და რწმენით	364
<b>7. რწმენა და რწმენის ორგანიზაცია</b>	<b>366</b>
რწმენის გამოძიება	366
<i>შეერთებული შტატები ბალარდის წინააღმდეგ</i>	367
<i>საინტოლოგიის ფუძემდებელი ეკლესია</i>	
<i>შეერთებული შტატების წინააღმდეგ</i>	370
<i>ტორკასო ვოტკინსის წინააღმდეგ</i>	372
ეკლესიის სტატუსის განსაზღვრა	372
<i>იგლსი სამუელსის წინააღმდეგ</i>	373
<i>კოქსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ</i>	374
<i>შეერთებული შტატები მუნის წინააღმდეგ</i>	375
უფლება საეკლესიო საკუთრებაზე	377
<i>კედროფი ჩრდილოეთ ამერიკის რუსეთის მართლმადიდებელი</i>	
<i>ეკლესიის წმინდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძრის წინააღმდეგ</i>	378
<i>პრესბიტერიანული ეკლესია შეერთებულ შტატებში მერი ელიზაბეტ ბლუს</i>	
<i>მემორიალური პრესბიტერიანული ეკლესიის წინააღმდეგ</i>	379
<i>უფლის ეკლესიათა მერილენდისა და ვირჯინიის უზუცესთა საბჭო</i>	
<i>შარპსბურგის უფლის ეკლესიის წინააღმდეგ</i>	381
<i>შეერთებული შტატებისა და კანადის სერბული მართლმადიდებელი</i>	
<i>ეპარქია მილივოევიჩის წინააღმდეგ</i>	383
<i>ჯონსი ვოლფის წინააღმდეგ</i>	385
<b>8. განათლება</b>	<b>392</b>
დანეებითი და საშუალო რელიგიური სკოლები	392

ვეერსონი უუინგის ოლქის განათლების საბჭოს წინააღმდეგ	392
ლემონი კურცმანის წინააღმდეგ; ერლი დი ჩენზოს წინააღმდეგ; რობინსონი დი ჩენზოს წინააღმდეგ	394
მიულერი ალენის წინააღმდეგ	398
გრენდ რაპიდის სასკოლო ოლქი ბოლის წინააღმდეგ	400
აგილარი ფელტონის წინააღმდეგ	401
რეიჩელ აგოსტინი და სხვები ბეტი-ლუიზ ფელტონისა და სხვების წინააღმდეგ; ქალაქ ნიუ-იორკის განათლების საბჭოს კანცლერი და სხვები ბეტი-ლუიზ ფელტონისა და სხვების წინააღმდეგ	404
გაი მითჩელი მერი ლ. ჰელმის წინააღმდეგ	408
საჯარო სკოლები	411
რელიგიური სწავლებისათვის გამოყოფილი დრო	411
მაკკოლუმი განათლების საბჭოს წინააღმდეგ	411
ზორახი კლაუსონის წინააღმდეგ	414
ლოცვა და ბიბლიის კითხვა სკოლებში	416
ენჯელი ვიტალეს წინააღმდეგ	416
აბინგტონის სასკოლო ოლქი შემპის წინააღმდეგ; მიურლეი კარლეტის წინააღმდეგ	418
ათი მცნების გამოკვრა სკოლის შენობებში	422
სტოუნი გრეჰემის წინააღმდეგ	422
ლოცვისთვის განკუთვნილი დრო	423
უოლასი ჯეფრის წინააღმდეგ	424
მოსწავლეების მიერ ინიცირებული და მათ მიერ ჩატარებული ლოცვა	426
ვესტსაიდის საზოგადოების სკოლების განათლების საბჭო მერგენსის წინააღმდეგ	426
ლოცვა გამოსაშვებ საღამოებსა და სპორტულ შეჯიბრებებზე	430
ლი ვაისმანის წინააღმდეგ	431
სანტა-ფეს დამოუკიდებელი სასკოლო ოლქი ჯეინ დოუს წინააღმდეგ	437
მეცნიერება და რელიგია სასწავლო კურიკულუმში	440
ეპერსონი არკანზასის შტატის წინააღმდეგ	442
ედვარდსი აგილარის წინააღმდეგ	443
სკოლის საკუთრების გამოყენება რელიგიაზე სასაუბროდ	449
უმაღლესი განათლება	450
ინსტიტუციური ხელშეწყობა და სტუდენტების მხარდაჭერა	450
ტილტონი რიჩარდსონის წინააღმდეგ	451
თანაბარი ხელმისაწვდომობა	454



<i>ვიდმარი ვინსენტის წინააღმდეგ</i>	455
<i>როზენბერგერი ვირჯინიის უნივერსიტეტის წინააღმდეგ</i>	457
<i>გადასახადებისაგან გათავისუფლება</i>	462
<i>ბობ ჯონსის უნივერსიტეტი შეერთებული შტატების წინააღმდეგ;</i>	
<i>გოლდსბოროს ქრისტიანული სკოლები შეერთებული შტატების წინააღმდეგ</i>	463
<b>9. ორმაგი ეფექტი</b>	<b>466</b>
რელიგიური შეკრებები საზოგადოებრივ პარკებში	466
<i>ფოულერი როდ აილენდის შტატის წინააღმდეგ</i>	466
კვირა დღეს ვაჭრობის აკრძალვა	468
<i>მაკგოვენი მერილენდის შტატის წინააღმდეგ</i>	468
რელიგიური საკუთრების გათავისუფლება გადასახადებისაგან	469
<i>ვოლცი ნიუ-იორკ სიტის საგადასახადო კომისიის წინააღმდეგ</i>	469
რელიგიური ლიტერატურის გავრცელების დაბეგვრა	474
<i>ჯიმი სვოგარტი კალიფორნიის შტატის მართვის საბჭოს წინააღმდეგ</i>	474
კაპელანის სამსახური	477
<i>მარში ჩემბერსის წინააღმდეგ</i>	477
<i>კეტკოფი მარშის წინააღმდეგ</i>	480
რელიგიური სიმბოლოების განთავსება სახელმწიფო საკუთრებაზე	483
<i>ლინჩი დონელის წინააღმდეგ</i>	483
<i>ალეგენის ოლქი ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანების</i>	
<i>პიტსბურგის ფილიალის წინააღმდეგ; „ჩაბადი“ ამერიკის სამოქალაქო</i>	
<i>თავისუფლებათა გაერთიანების პიტსბურგის ფილიალის წინააღმდეგ;</i>	
<i>ქალაქი პიტსბურგი ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა</i>	
<i>გაერთიანების პიტსბურგის ფილიალის წინააღმდეგ</i>	487
რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობა სახელმწიფო	
სოციალურ პროგრამებში	491
<i>ბოუენი კენდრიკის წინააღმდეგ</i>	491
<b>10. პოლიტიკური მონაწილეობა</b>	<b>495</b>
ეკლესიათა უფლებები	495
ეკლესიებისა და სასულიერო პირების მიერ სახელმწიფო	
უფლებამოსილების განხორციელება	496
<i>მაკდანიელი პეტის წინააღმდეგ</i>	497
მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისათვის	501
აბორტის მხარდამჭერი და მონაწილე მობრძობები	503
<i>ჰარისი მაკრეის წინააღმდეგ</i>	506
<i>დაბა ფორჯის ქრისტიანული კოლეჯი ეკლესიისა და სახელმწიფოს</i>	
<i>სეპარაციისათვის გაერთიანებული ამერიკელების წინააღმდეგ</i>	507
<i>აბორტის უფლების მხარდამჭერთა მოძრაობა რეგანის წინააღმდეგ</i>	507

<b>11. სექსუალური მორალი</b>	<b>510</b>
პოლიგამია	510
<i>კლივლენდი შეერთებული შტატების წინააღმდეგ</i>	<i>510</i>
ქორწინება	511
<i>ლოვინგი ვირჯინიის შტატის წინააღმდეგ</i>	<i>511</i>
სოდომია	513
<i>ბოუერსი ჰარდვიკის წინააღმდეგ</i>	<i>513</i>
<i>რომერი ევანსის წინააღმდეგ</i>	<i>516</i>
<b>12. შენიშვნები</b>	<b>518</b>
<b>დანართი: ტერმინთა განმარტება</b>	<b>529</b>

შესავალი

---

პირველი თავი



# რელიგია

## რელიგია

ხშირად ამბობენ, რომ სტუმრად ყოფნისას თავი უნდა ავარიდოთ პოლიტიკაზე, სექსსა და რელიგიაზე საუბარს. რატომ იქცევა რელიგია ყოველთვის გააფთრებული დავის საგნად? მათთვის, ვინც მას ეზიარება, საკითხი ღრმად პირადულ ხასიათს იძენს – ადამიანები წყვეტენ, რისი უნდა სწამდეთ (თუკი საერთოდ აპირებენ, რისიმე სწამდეთ), მათ აღაშფოთებთ ნებისმიერი ეჭვი მათი არჩევანის მართებულობაზე. ადამიანის სიცოცხლისათვის აზრის მიცემა რელიგიის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს. ეჭვქვეშ დააყენეთ რელიგიური რწმენა და თქვენ მტკივნეულად შეეხებით ყველაზე იდუმალ აზრებს სამყაროში ადამიანის დანიშნულების შესახებ.

## რელიგიის განსაზღვრება

რა იგულისხმება სიტყვაში „რელიგია?“ სოციოლოგი გერჰარდ ლენსკი რელიგიას განსაზღვრავს, როგორც „სისტემას რწმენათა ძალებისა, რომლებიც, საბოლოო ჯამში, მართავენ ადამიანის ბედს, და მასთან დაკავშირებული რიტუალებისა, რომლებიც გამოიყენება განსაზღვრული ჯგუფის წევრი ადამიანების მიერ.“ თუმცა ეს განსაზღვრება ძალზე ფართოა; იგი მოიცავს რწმენათა სხვა ტიპის სისტემებსაც, როგორცაა კომუნიზმი, სოციალიზმი და ჰუმანიზმი. მიუხედავად იმისა, რომ რწმენათა ეს სისტემები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანთა ცხოვრებაში, ისინი ნაკლებად შეესაბამება ჩვეულებრივ წარმოდგენებს რელიგიაზე. სხვა სოციოლოგის, რონალდ ჯონსტონის განსაზღვრება უფრო მისაღები ჩანს: „რელიგია ეწოდება რწმენათა და რიტუალობის სისტემას, რომელთა მეშვეობით ადამიანთა ჯგუფი ხსნის და რეაგირებს იმაზე, რასაც ზებუნებრივად და საკრალურად მიიჩნევს“.

## რელიგიის ელემენტები

ჯონსტონის მიერ ჩამოთვლილია ხუთი ძირითადი ელემენტი, რომელიც გვეხმარება გავარკვიოთ, წარმოადგენს თუ არა რელიგიას რწმენათა ესა თუ ის სისტემა. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, რელიგია გულისხმობს მორწმუნეთა ჯგუფის არსებობას. თუმცა ის, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ღრმად პირადულ განცდებთანაც. ჯონსტონის ასეთი წარმოდგენაც ახსნადია, ვინაიდან სოციოლოგიის ინტერესის საგანს შეადგენს რელიგიური ჯგუფები და ის, რითაც ისინი სხვა სოციალური ჯგუფებისგან განსხვავდებიან.

მეორე – რელიგია ასოცირებულია წარმოდგენებთან, რომლებიც საკრალურად ითვლება. იგი ზღვარს ავლებს ყოველდღიური ცხოვრების საგნებსა და უჩვეულო მოვლენებს, სასწაულებს, შორის (მაგალითად, ლოცვის გზით ადამიანის გადარჩენა ან იესოს მიერ წყლის ღვინოდ ქცევა). ასეთი მოვლენები მიიჩნევა საკრალურად, ვინაიდან ითვლება, რომ ისინი დაკავშირებულია რაღაც ზებუნებრივთან, ისეთ ძალასთან ან არსებასთან, რომლის შესაძლებლობები არ არის შეზღუდული ბუნების კანონებით. სხვადასხვა რელიგიაში არსებობს განსხვავებული საკრალური საგნები და მოვლენები. ამერიკელების უმრავლესობისათვის ძროხას ყოველდღიური სამომხმარებლო მნიშვნელობა აქვს, ინდუსები კი მას წმინდა არსებად მიიჩნევენ.

მესამე ელემენტის მიხედვით, რელიგია გულისხმობს რწმენათა განსაზღვრულ ერთობლიობას – სარწმუნოებას. ეს რწმენები ხსნის ადამიანურ ბუნებას, გარემომცველ გარემოსა და ზებუნებრივ ძალებს, რომლებიც საკრალურად ითვლება. მაგალითად, ნიხირენის სექტის წევრ ბუდისტს სწამს, რომ ადამიანთა სულებს შეუძლიათ სრულყოფილებას მიაღწიონ უწყვეტ გარდასახვათა გზით, ამიტომ მსოფლმხედველობათა მის სისტემაში ხოჭოს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტს.

მეოთხე – რელიგია მოიცავს რიტუალებისა თუ სხვა ტიპის ქმედებების განსაკუთრებულ ერთობლიობას. რიტუალებს ჯონსტონი განმარტავს როგორც ქცევათა სახეობას წმინდა და ზებუნებრივ ძალთა მიმართ (მაგალითად, ეკლესიასთან ახლოს გავლისას კათოლიკე ქრისტიანი პირჯვარს იწერს და ლოცვას წარმოთქვამს). დიურჰეიმმა კი რიტუალები განსაზღვრა ღირებულებებად, რომლებიც ადამიანებს უდგენენ ქცევის წესებს საკრალური საგნების მახლობლად ყოფნისას. თავად რიტუალები თავის თავში აუცილებლად არ მოიცავს რელიგიურ აზრს, თუმცა ისინი რელიგიურ მნიშვნელობას იძენს, როდესაც ადამიანები განსაზღვრულ სიტუაციებში იყენებენ მათ საკრალურ ძალებთან კავშირის გამოხატვის მიზნით. მაგალითად, ყოველდღიურ ცხოვრებაში წყალი გამოიყენება შხაპის მისაღებად თუ წყურვილის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ნათლობის წესის შესრულებისას იგი საკრალურ სუბსტანციად მიიჩნევა და რელიგიურ საზოგადოებაში ახალი წევრის მიღების სიმბოლიზებას ახდენს.

დაბოლოს, რელიგია თავის თავში მოიცავს განსაზღვრულ წარმოდგენებს ცხოვრების მართლზომიერ წესზე. რელიგიათა უმრავლესობა მორწმუნეებს ქცევის მარეგულირებელ მცნებათა თუ ნორმათა სისტემას უწესებს. ეს ნორმები ადგენს, თუ როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე განსაზღვრულ გარემოებებში. ისეთ მასობრივ და რთულ რელიგიებში, როგორიცაა ქრისტიანობა, ისლამი ან იუდაიზმი, ფორმულირებულია მკაფიო მორალური პრინციპები. სავარაუდოდ, ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს მკვლევლობის, მრუშობისა და ა. შ. ამკრძალავი ათი ბიბლიური მცნება.

## რელიგიათა კლასიფიკაცია

არსებობს მრავალი თეორია, თუ როგორ უნდა მოხდეს რელიგიათა კლასიფიცირება; შე-

იძლება თუ არა ქრისტიანობისა და ჰარე კრიშნას მოძღვრების დახასიათებისას იდენტური ტერმინების გამოყენება?

საუკეთესო გამოსავალს ამ შემთხვევაში წარმოადგენს რელიგიათა კლასიფიცირება მათი მიმდევრების მიერ მინიჭებული სახელწოდებების შესაბამისად: პროტესტანტული, მართლმადიდებელი, კათოლიკური, იუდაისტური, მუსლიმური და ა. შ. თუმცა სოციოლოგიაში მიღებულია ასევე რელიგიათა კლასიფიცირების სისტემა პრიმიტიულიდან თანამედროვე მოძღვრებებამდე ევოლუციის მიხედვით. ეს სისტემა მე-19 საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში იგი მკაცრად იქნა გაკრიტიკებული, სოციოლოგიაში კი აღიარება მოიპოვა რობერტ ბელახის მიერ წარმოდგენილმა ახალმა თეორიამ.

ბელახმა წარსულისა და თანამედროვე რელიგიათა კლასიფიცირებაში გამოყო ხუთი კატეგორია:

1) **პრიმიტიული:** მაგალითად, ავსტრალიური; სიმბოლოთა სისტემა – ადამიანთა და საგანთა საგვარეულო მითური გამოსახვა; რელიგიური ქცევა – იდენტიფიკაცია, საგვარეულო გამოსახულებებზე ისტორიათა „კვლავწარმოება“; რელიგიის ორგანიზაცია – ეკლესიის არარსებობა, რელიგიისა და საზოგადოების ერთიანობა; სოციალური მნიშვნელობა – სოციალური სოლიდარობის განმტკიცება.

2) **არქაული:** მაგალითად, პოლინეზიური და აფრიკული; სიმბოლოთა სისტემა – ძლევა-მოსილი მითური არსებები (ღმერთების მსგავსი); რელიგიური ქცევა – თავყვანისცემა და მსხვერპლშენივება; რელიგიის ორგანიზაცია – განსხვავებული კულტები; სოციალური მნიშვნელობა – სოციალური კონფორმიზმის მოთხოვნა.

3) **ისტორიული:** მაგალითად, ძველბრაზილი; სიმბოლოთა სისტემა – კავშირის განყვეტა ბუნებრივსა და ზებუნებრივს შორის; რელიგიური ქცევა – სულის ხსნა კეთილი საქმეების საფუძველზე, თავისუფალი ნების კონცეფცია; რელიგიის ორგანიზაცია – ეკლესიები; რელიგიური ორგანიზაციების გამოყოფა საზოგადოების სხვა ასპექტებისგან; სოციალური მნიშვნელობა – დაძაბულობა რელიგიასა და საზოგადოებას შორის.

4) **ადრეული მოდერნისტული:** მაგალითად, რეფორმაციის ეპოქის პროტესტანტიზმი; სიმბოლოთა სისტემა – პირდაპირი კავშირი ზებუნებრივ ძალასა და ინდივიდს შორის; რელიგიური ქცევა – მთლიანად მოიცავს ცხოვრებას, რწმენის კონცეფცია; რელიგიის ორგანიზაცია – ნებაყოფლობითი წევრობა რელიგიურ ერთობაში; სოციალური მნიშვნელობა – ძირეული ცვლილება სოციალურ სისტემებში.

5) **მოდერნისტული:** მაგალითად, თანამედროვე რელიგიები; სიმბოლოთა სისტემა – პიროვნება და მისი ვალდებულება; რელიგიური ქცევა – პიროვნული ეთიკური პრინციპების ძიება; რელიგიის ორგანიზაცია – გარკვეულწილად ეკლესიის წევრობა, თუმცა უმთავრესად პირადი პასუხისმგებლობა; სოციალური მნიშვნელობა – საზოგადოების კულტურისა და პიროვნული ღირებულებების შესაძლო მუდმივი სრულყოფა.

ეს კატეგორიები არ არის დაკავშირებული „პროგრესთან“. ბელახი არ მიიჩნევდა, რომ რთული რელიგიები უფრო სრულყოფილია, ვიდრე პრიმიტიული. კატეგორიები უბრალოდ აღწერენ რელიგიის მარტივი ფორმებიდან გადასვლას უფრო რთულზე. ისინი არ ითვალისწინებენ თითოეული რელიგიის თვითმყოფადობას; აუცილებელი არ არის, თითოეულმა მათგანმა განვითარების ერთნაირი ეტაპები გაიაროს; ცალკეულ რელიგიებს შეიძლება ჰქონდეთ ნიშნები, რომლებიც ორი ან მეტი სტადიისათვის არის დამახასიათებელი. გარდა ამისა, მარტივ მოძღვრებათა საფუძველზე ყოველთვის არ ხდება უფრო რთულის ფორმირება; ზოგჯერ შეინიშნება დაბრუნება უფრო ადრეულ სტადიებში ან განვითარების სრული არარსებობა.

## რელიგიათა კლასიფიკაციის ვებერის სისტემა

მაქს ვებერი რელიგიათა კლასიფიცირებას სულის ხსნისადმი მათი მიდგომის საფუძველზე ახდენდა: რა სახის ქცევა უზრუნველყოფს სამუდამო ნეტარებას სიკვდილის შემდგომ? რა ქმედება ნირავს ადამიანს ჯოჯოხეთში მოხვედრის ან მივიწყებისათვის? ვებერმა სულის ხსნასთან დაკავშირებული შეხედულებების ანალიზისას ორ ძირითად მომენტზე გაამახვილა ყურადღება:

1. მოითხოვს თუ არა სულის ხსნა პასიურ განჭვრეტას (მისტიციზმს) თუ ადამიანის მიერ თავისი ნების აქტიურ მართვას (ასკეტიზმს);
2. სულის ხსნა ხორციელდება ამქვეყნიურ თუ რომელიმე სხვა სამყაროში (ადამიანის შინაგან სამყაროში თუ მის მიღმა, ზეციურ სასუფეველში).

აღმოსავლურ რელიგიათა უმრავლესობის თანახმად, სულის ხსნა მისტიციზმის საფუძველზე ხდება – ინდუისტები ენევიან მედიტაციას ან იოგას, ხოლო ბუდისტები სულის გასხივოსნებისკენ მიისწრაფვიან. დასავლურ რელიგიებში ძირითადი მნიშვნელობა ასკეტიზმს ენიჭება, რომელიც მოითხოვს თვითშენიშვასა და თვითდისციპლინას უზენაესი იდეალის მისაღწევად. როდესაც მუსლიმები უარს ამბობენ საყვარელ საკვებზე და არ ენევიან ყოველდღიურ საქმიანობას რამადანის დღესასწაულის დროს, ისინი ასკეტიზმს ავლენენ.

სულის ხსნის მიმართ აღნიშნული მიდგომების ნიადაგზე შესაძლებელია მსოფლიოს ძირითად რელიგიათა კლასიფიცირება გამარტივებული წესით. მხედველობაში მიიღება განსხვავებები, ერთი მხრივ, ამ და მის მიღმა არსებულ სამყაროებს, ხოლო მეორე მხრივ – მისტიციზმსა და ასკეტიზმს შორის. ასეთი კლასიფიკაციით კონფუციანიზმი, ინდუიზმი, იუდაიზმი და კათოლიციზმი ერთმანეთისგან განსხვავდება იმდენად, რამდენადაც ხსენებული განსაკუთრებული ნიშნები დომინირებს მათ მოძღვრებებში.

კონფუციის სწავლება სულის ხსნას გვთავაზობს ამქვეყნიურ სამყაროში. ეს მისტიკური მოძღვრება თავის მიმდევრებს მოუწოდებს გარემომცველი სამყაროს განჭვრეტისა და მასთან ჰარმონიის მიღწევისკენ. ინდუიზმი ასევე შეიცავს მოწოდებას განჭვრეტისკენ, თუმცა მასში მთავარია იმქვეყნიურ სამყაროში სულების გადასახლების შესახებ რწმენა.

იუდაიზმში ხაზგასმულია აქტიური ქმედებების, მკაცრი რიტუალის მნიშვნელობა. საბოლოო საზღაური გაიცემა ამ სამყაროში ღვთის წყალობის ან რისხვის შედეგად. დაბოლოს, ადრეული ქრისტიანები უმთავრესად მიიჩნევენ საიქიო ცხოვრებას; ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა საიქიო ცხოვრების განსახიერებას წარმოადგენს; თვითშენიშვასკენ ეს მოწოდება შემოსილია ასკეტიზმის სულით.

## რელიგიური ორგანიზაციის ფორმები

არსებობს რელიგიური ორგანიზაციის ოთხი ძირითადი ტიპი: ეკლესია, სექტა, დენომინაცია და კულტი.

გერმანელი ღვთისმეტყველი, ერნსტ ტრელჩი **ეკლესიას** განსაზღვრავს როგორც რელიგიურ ორგანიზაციას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების ფართო მასებთან და მის წიაღში მოქმედებს. პრაქტიკულად, საზოგადოების ყველა წევრი ავლენს რელიგიურ ერთგულებას ეკლესიისადმი, რომელიც, ჩვეულებრივ, სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული. ანგლიკანური ეკლესია სახელმწიფო ეკლესიად ითვლება ინგლისში. მეფე და დედოფალი თავს „რწმენის დამცველებად“ აცხადებენ. ისტორიულად კათოლიციზმი საფრანგეთსა და იტალიაში სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა, თუმცა, საბოლოო ჯამში, ორივე ქვეყანა ეკლესიისგან გამიჯნულ სახელმწიფოდ იქცა.



ტრელის თანახმად, **სექტა** ეწოდება ორგანიზაციას, რომელიც უარყოფს დანარჩენი საზოგადოების ღირებულებებს და კონფლიქტშია მის კულტურასა და ტრადიციებთან. როგორც წესი, სექტები წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც ეკლესიის წარმომადგენელთა მცირე ჯგუფი უკმაყოფილოა ტრადიციული რიტუალებით, ამიტომ შორდება მას და ქმნის ახალ რელიგიას. ვინაიდან ამგვარი ჯგუფი თავის თავს უპირისპირებს საზოგადოებას, სადაც ეკლესიაა გაბატონებული, სექტის წევრები ხშირად არ მონაწილეობენ მის ცხოვრებაში. მაგალითად ამიშები თავიანთი შვილების საოჯახო განათლებას ანიჭებენ უპირატესობას იმის შიშით, რომ სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემა შელახავს მათი რწმენის სინამდისე. ანალოგიურად, როდესაც „ქრისტიანული მეცნიერების“ სწავლების მიმდევრები სიმსივნის მკურნალობისას უარს ამბობენ დასხივებაზე და ეწირებიან დაავადებას, რომლის განკურნება შესაძლებელი იყო, ისინი მხოლოდ თავიანთი სექტის მითითებებს ასრულებენ, რომელთა მიხედვითაც, ღმერთის ღრმა რწმენა ნებისმიერ დაავადებას განკურნავს.

**დენომინაცია**, რელიგიური ორგანიზაციის მესამე ფორმა, წარმოადგენს შუამავალ რგოლს ეკლესიასა და სექტას შორის. დენომინაციების საქმიანობის არსებით ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს აქტიური მისიონერული მოღვაწეობა. ისინი კონკურირებენ ერთმანეთთან და ეკლესიასთან რაც შეიძლება მეტი წევრის მიზიდვის მიზნით. სექტებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობები იძაბება, მაშინ, როდესაც დენომინაციები, იმის მიუხედავად, რომ არ წარმოადგენენ სახელმწიფო რელიგიებს, ნორმალურ ურთიერთობას ინარჩუნებენ საზოგადოებასთან, რადგან არ უარყოფენ მასში დამკვიდრებულ ტრადიციულ ნორმებს. პროტესტანტულ დენომინაციებს მიეკუთვნებიან ბაპტიტები, პრესბიტერიანელები, ეპისკოპალური ეკლესიის წევრები, მეთოდისტები, კონგრეგაციონისტები და სხვა მრავალი.

ზოგჯერ დენომინაციების ფორმირება სექტების ნიადაგზე ხდება. მარტინ ლუთერი აუჯანყდა კათოლიციზმს 1517 წელს, როცა ადგილობრივ ეკლესიაში თავისი ახალი მოძღვრების 95 თეზისი ჩამოაყალიბა. დღესდღეობით ლუთერანობა ოფიციალური რელიგიაა სკანდინავიური ქვეყნების უმრავლესობაში და ამერიკაში პროტესტანტული ეკლესიის მრავალი დენომინაციიდან ერთ-ერთს წარმოადგენს. ასეთი ევოლუცია ხორციელდება რამდენიმე ფაქტორის ზეგავლენით. პირველ რიგში, გარკვეული დროის გასვლასთან ერთად ადამიანთა ჯგუფში ყალიბდება განსაზღვრული რიტუალები და წესები. მეორე, ლიდერების თანმიმდევრული ცვლილების უზრუნველყოფისათვის სექტამ უნდა შექმნას თავისი სულიერი არსის, მიზნებისა და ამოცანების შენარჩუნების სისტემა. ეს პროცესი ასევე ხელს უწყობს უფრო მკაფიო ნორმებისა და რიტუალების ჩამოყალიბებას. მესამე, ზრდასთან ერთად სექტამ უნდა დააფინანსოს თავისი საქმიანობა წევრების შემონარულობებისა და საქველმოქმედო ბაზრების ხარჯზე. ეს ფაქტორები ხელს უწყობს ზოგიერთი სექტის გადაქცევას დენომინაციად, სადაც ყალიბდება ბიუროკრატიული წესრიგი და უფრო ფართო ურთიერთობა საზოგადოებასთან. ზოგიერთი სექტა იშლება, მათი განსაზღვრული ნაწილი კი (ამიშებისა და კვაკერების სახით) არ ამჟღავნებს დენომინაციად გადაქცევის სურვილს.

რელიგიური ორგანიზაციის მეოთხე ფორმაა **კულტი**. ეს არის სექტის ყველაზე რადიკალური ფორმა. საწყის ეტაპზე იგი ემიჯნება სახელმწიფო ეკლესიას სპეციფიკური რელიგიური რიტუალების გარშემო წარმოქმნილი უთანხმოების შედეგად. კულტები თავიანთ მიმდევრებს ინდივიდის, საზოგადოების ან ორივეს რადიკალური შეცვლისაკენ მოუწოდებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ისეთი კულტები, როგორებიცაა „უნიფიკაციის ეკლესია“ (მუნისტები), „ქრისტიანული მეცნიერება“ და „ღვთაებრივი განათლების მისია“ თავდასხმის ობიექტებად იქცა ახალი წევრების მოზიდვისა და შენარჩუნებისათვის არაზნეობრივი მეთოდების გამოყენების გამო. რელიგიის თავისუფლებაში მტკიცედ დარწმუნებული

ბევრი ადამიანი ამტკიცებს, რომ კულტი სრულებით არ წარმოადგენს რელიგიას და მხოლოდ ყალბი „მესიისათვის“ სახელის მოხვეჭას ისახავს მიზნად ზედმეტად მიმნდობი და ცხოვრებით უკმაყოფილო ადამიანების მოტყუების გზით. ბოლო წლებში საკმაოდ გახშირდა კულტის მიმდევართა მშობლების მიერ „სულიერ მოძღვართა“ დაქირავების პრაქტიკა თავიანთ შვილებზე კულტის ზეგავლენის შეწყვეტისათვის. თავის მხრივ, კულტის ლიდერებმა და მიმდევრებმა აღძრეს მრავალი საქმე მშობლებისა თუ სულიერ მოძღვართა წინააღმდეგ, იმის მტკიცებით, რომ ისინი აღმსარებლობის თავისუფლებას ხელყოფდნენ.<sup>1</sup>

# რელიგიური უფლებები – ისტორიული მიმონილვა

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებების ნაწილად იქნა გაცხადებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალ დოკუმენტში და თითქმის ყველა ძირითადმა ქრისტიანულმა ეკლესიამ ამ იდეალის მხარდაჭერა გამოხატა. ბუნებრივია, ყოველთვის ასეთი ვითარება არ ყოფილა. ათასწლეულების განმავლობაში კაცობრიობის ისტორია რელიგიური შეუწყნარებლობითა და დევნით იყო გამორჩეული. დასავლური გამოცდილება, რომელსაც წიგნის ამ ნაწილში შევეხებით, გარკვეულწილად პარადიგმატულია, რადგანაც ბუნებითი უფლებების (ადამიანის უფლებების) დოქტრინა თავდაპირველად სწორედ ქრისტიანულ დასავლეთში აღმოცენდა. რა თქმა უნდა, მსოფლიოს ყველა დიდ რელიგიურ კულტურაში გამოხატულია ადამიანების ცხოვრებაში სამართლიანი წესრიგის იდეალები, მაგრამ არა სუბიექტური ბუნებითი უფლებების სახით. თვით დასავლეთშიც რელიგიური უფლებები ძალზე გვიან და მტკივნეული გზის გავლის შედეგად აღმოცენდა იმ ტრადიციიდან, რომელიც გაცილებით იოლად აღიარებდა სხვა ტიპის უფლებებს. დღესდღეობით კი ძალზე ბანალურად უღერს იოანე პავლე II-ის ბოლოდროინდელი განცხადება იმის შესახებ, რომ რელიგიური უფლებები სხვა ყველა უფლების „ქვაკუთხედს“ წარმოადგენს. თუმცა, თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, რელიგიური უფლებები ყველაზე გვიან ჩამოყალიბდა; რელიგიის თავისუფლება ყველაზე რთული წარმოსადგენი და, მით უმეტეს, ცხოვრებაში ყველაზე რთულად გასატარებელი ფასეულობა აღმოჩნდა. კათოლიკური ეკლესია უკანასკნელი ქრისტიანული აღმსარებლობა იყო, რომელმაც რელიგიის თავისუფლების პრინციპი აღიარა. 1965 წელს გამოქვეყნდა ვატიკანის რელიგიის თავისუფლების დეკლარაცია, რომლის თანახმადაც:

*ვატიკანის II მსოფლიო კრება აცხადებს, რომ ადამიანს აქვს უფლება რელიგიის თავისუფლებაზე. აღნიშნული თავისუფლება გულისხმობს, რომ ყველა*

ადამიანი თავისუფალია ინდივიდების, სოციალური ჯგუფების ან სხვა ნებისმიერი ადამიანური ძალის მხრიდან იძულებისაგან ... რელიგიის თავისუფლების საფუძველი ადამიანის პიროვნების ღირსებაშია, რადგანაც ეს ღირსება უფლის გაცხადებული სიტყვის თანახმადაა ცნობილი.

დეკლარაციის ეს ნაწილი, ყოვლისმომცველად შეეხება იძულებას არა მარტო სახელმწიფოს, არამედ „ნებისმიერი ადამიანური ძალის“ მხრიდან. იგი რელიგიის თავისუფლებას განსაზღვრავს როგორც „უფლებას“, რომელიც დამახასიათებელია ადამიანის პიროვნებისათვის და, შესაბამისად, ბუნებით, ანუ ადამიანის უფლებას წარმოადგენს. ვატიკანის დეკლარაციით, ადამიანური საწყისის მქონე ეს ბუნებითი უფლება, როგორც ქრისტიანული მრწამსისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა, დაკავშირებული იქნა საღვთო გამოცხადებასთან. დეკლარაცია ასევე შეიცავდა ერთგვარ მინიშნებას, რომ მასში გამოხატული მტკიცებანი წარმოადგენდა რელიგიური რეპრესიის იმ პოლიტიკის რადიკალურ უარყოფას, რასაც კათოლიკური ეკლესია საუკუნეების განმავლობაში ახორციელებდა. მინიშნება შეიძლება დანახული იქნეს დეკლარაციაში წარმოდგენილ წინადადებაში, რომ ადამიანური ღირსება „მხოლოდ მრავალსაუკუნეობრივ გამოცდილებათა შედეგად იქნა უკეთ გააზრებული და შეცნობილი“. ამ დასკვნის უტყუარობას ადასტურებს ლატერანის IV საეკლესიო კრების მიერ 1215 წელს გამოქვეყნებული დეკრეტი,<sup>2</sup> სადაც ვკითხულობთ:

*ჩვენ ეკლესიიდან განვკვეთთ და ანათემას გადავცემთ მწვალებლობის ყოველ გამოვლინებას, რომელიც წმინდა, ორთოდოქსული და კათოლიკური მრწამსის წინააღმდეგ გაილაშქრებს ... საერო ხელისუფლებამაც, თუ სურთ, რომ მორწმუნეთა შორის იქნენ განხილულნი, უნდა დადონ ფიცი, რომ კეთილსინდისიერად იბრძობებენ და ყველაფერს იღონებენ, რაც ძალუძთ, ეკლესიის მიერ მითითებული ერეტიკოსების გასანადგურებლად.*

საინტერესოა, როგორ მივიდა დასავლური სამყარო ერეტიკოსთა, ანუ მწვალებელთა, რეპრესიიდან რელიგიის თავისუფლების დეკლარებამდე. ამ ორი რადიკალურად განსხვავებული ტექსტის წინაშე მდგომი სკეპტიკოსი განაცხადებდა, რომ რელიგია ერთს ნიშნავდა 1215 წელს და მეორეს – 1965 წელს. უფრო კეთილგანწყობილ მიმომხილველს შეეძლო აღენიშნა, რომ ეკლესიამ მოახდინა სწავლებათა მოდიფიცირება დროთა განმავლობაში, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ „საუკუნეობრივმა გამოცდილებამ“, როგორც ვატიკანის კრებამ აღნიშნა, გამოიწვია ეკლესიის ფუძემდებლის მიერ გაცხადებულ ჭეშმარიტებათა ახლებურად და გაცილებით ღრმად გააზრება. ჟაკ მარიტენის მტკიცებით, ადამიანის უფლებებზე საუბრისას ხდება მათი უკეთ გააზრება, ვინაიდან „განვითარდა ადამიანის მორალური შეგნება“.<sup>3</sup>

დროთა განმავლობაში ცნობიერების ამაღლება არ არის მხოლოდ თანამედროვე ისტორიზმზე დაფუძნებული ნოვატორული კონცეფცია. მე-13 საუკუნეში ფრანცისკანელმა თეოლოგმა პიეტრო ოლივამ მიუთითა „უფლის წმინდა ეკლესიაში – დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მეტად – მრწამსის უზენაეს ჭეშმარიტებათა ახლებურად გააზრების“ აუცილებლობაზე, ოლივას მასწავლებელმა, წმინდანად შერაცხულმა ბონავენტურემ კი ბიბლიაში ჭეშმარიტების „მარცვლების“ შესახებ, რომლებიც ნელ-ნელა მომწიფდა ადამიანთა შეგნებაში, აღნიშნა, რომ „არ შეიძლება ბიბლია და მისი საიდუმლოებანი იქნეს გაგებული მანამ, სანამ ისტორიის მიმდინარეობის გააზრება არ მოხდება“. ასეთი ავტორები ამტკიცებდნენ, ღვთის წყალობა კი არ იცვლება, არამედ ბიბლიის გააზრებაა დამოკიდებული საუკუნეებზე. შეიძლება მხოლოდ იმის დამატება, რომ ხშირად გააზრება შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ სპეციფიკურ, უმეტესად სასტიკ ისტორიულ გამოცდილებათა საკუთარ თავზე გადატანით. ეს განსაკუთრებით მართლდება, როდესაც რელიგიური უფლებების საკითხს ვეხებით.

## ადრეული ეკლესია

ქრისტიანობის დასაწყისიდანვე მის ტრადიციაში არსებობდა ელემენტები, რომლებსაც შეეძლო მივეყვანეთ როგორც რელიგიის თავისუფლების დოქტრინამდე, ისე დევნის პრაქტიკამდე. იესო, თავის მხრივ, საყოველთაო სიყვარულის მოძღვრებას ქადაგებდა: „ხოლო მე გუბნებით თქვენ, გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მანყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსაგ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის“.<sup>4</sup> იესომ უარყო იძულებაზე დაფუძნებული პოლიტიკური მესიის როლი, როდესაც განაცხადა: „ჩემი მეუფება არ არის ამქვეყნიური“.<sup>5</sup> და მან ახალი ტიპის თავისუფლება შესთავაზა თავის მიმდევრებს: „და შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ“.<sup>6</sup> სავარაუდოდ, სულიერი თავისუფლების იდეალი ყოველთვის აშკარა იყო ადამიანის პიროვნების, როგორც სინდისით, ინტელექტითა და თავისუფალი ნებით დაჯილდოებული მორალურად ავტონომიური ინდივიდის იუდაურ-ქრისტიანულ გააზრებაში. თუმცა, ასევე, ყოველთვის არსებობდა შეუწყნარებლობის პოტენციური ადრეული ქრისტიანების უპატივცემულო დამოკიდებულებაში სხვა რელიგიების მიმართ და მათ რწმენაში, რომ მხოლოდ მათთვის იყო ცნობილი ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი, მარტო ისინი იდგნენ ხსნის გზაზე და ყველა, ვინც ეკლესიის გარეთ იმყოფებოდა, დაკარგული იყო ბნელეთისა და ცოდვის უფსკრულში.

ამის მიუხედავად, ადამიანის რწმენა თავისი არჩევანის მართებულობისა სრულებით არ გულისხმობს, რომ მან თავის მრწამსზე სხვები იძულებით უნდა გადმოიბიროს. ეკლესიის ადრეულ პერიოდში ქრისტიანები, როგორც წესი, კეთილგანწყობლ დამოკიდებულებას იჩენდნენ რელიგიური შემწყნარებლობისადმი, ალბათ იმიტომ, რომ ხშირად თავად ხდებოდნენ დევნის მსხვერპლნი. ვითარება კარდინალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც იმპერატორებმა თავად მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება. 313 წელს კონსტანტინემ გამოსცა ე. წ. „მილანის ედიქტი“, რითაც შეიწყნარა ქრისტიანული ეკლესია და ყველა სხვა რელიგია „ისე, რომ ნებისმიერ ადამიანს შეეძლო ღვთისმსახურება თავისი სურვილისამებრ“. უფრო მოგვიანებით იმპერატორებმა შედარებით მკაცრი და რეპრესიული დამოკიდებულება გამოიჩინეს არაქრისტიანული რელიგიების მიმართ, თუმცა მე-4 საუკუნეში ქრისტიანობის აპოლოგეტებმა ჰილარიუს პუატიელმა და ლაქტანციუსმა კვლავ დაიცვეს რელიგიის თავისუფლების პრინციპი. უკვე საუკუნის ბოლოს კი კათოლიკური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულმა მარტინ ტურელმა სასტიკად დაგმო ეპისკოპოსთა ჯგუფი, რომელიც ერეტიკოსების სიკვდილით დასჯის აუცილებლობაში არწმუნებდა იმპერატორს. სავარაუდოდ, ყველაზე მჭერმეტყველურად რელიგიის თავისუფლების საკითხი ლაქტანციუსის სიტყვებშია გამოხატული:

*თავისუფლებამ რელიგიაში ჩასახლება გადაწყვიტა. არაფერია იმდენად თავისუფალი ნების საკითხი, რამდენადაც რელიგია და არავის შეიძლება მოეთხოვოს, რომ აღასრულოს ის ღვთისმსახურება, რომელიც არ სურს.<sup>7</sup>*

ეკლესიის მამების აზროვნებაში შემობრუნების გადამწყვეტ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს ავგუსტინე ავრელიუსის (354-430) სწავლება. 395 წელს ავგუსტინე ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე ჰიპონას ეპისკოპოსი გახდა, სადაც ეკლესიაში სასტიკი განხეთქილება იყო ორთოდოქს კათოლიკეებსა და დონატისტებად ცნობილ დისიდენტთა ჯგუფს შორის. რელიგიური შუღლი ხშირად მასობრივ სამოქალაქო არეულობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. წლების განმავლობაში ავგუსტინე ამტკიცებდა, რომ მხოლოდ მშვიდობიანი დარწმუნების გზა უნდა ყოფილიყო გამოყენებული უთანხმოების მოგვარებისათვის. თუმცა, საბოლოოდ, მან თავისი მეგობარი ეპისკოპოსების მოსაზრება გაიზიარა, რომ აუცილებელი იყო საერო ხელისუფლებისათვის დისიდენტების რეპრესირებისკენ მონოდება. ნაშრომები, რომლებიც მან ამგვარი პოლიტიკის დაცვას მიუძღვნა, ეწინააღმდეგებოდა მის ადრინდელ ნაწერებს, სადაც ავგუს-

ტინე ხაზს უსვამდა თავისუფლებას რელიგიურ საკითხებში. ავგუსტინე ყოველთვის აცხადებდა, რომ იგი ერეტიკოსების გადარჩენას ცდილობდა. „უმჯობესია, გიყვარდეს სისასტიკით, ვიდრე შეცდომაში შეხვიდე მონყალებით“ – დანერა მან. ავგუსტინე ერეტიკოსთა მიმართ იძულების გამოყენების დასაბუთებისას ეყრდნობოდა ქრისტეს იგავს მდიდრის შესახებ, რომელიც დიდი დღესასწაულისათვის ემზადებოდა: როდესაც არც ერთი დაპატიჟებული არ გამოეხმაურა გაგზავნილ მონვევებს, ბატონმა თავის ხელქვეითებს სხვა სტუმრების მოყვანა დაავალა. თუმცა, როდესაც მოსამსახურეებმა უთხრეს მას, რომ მაგიდასთან კიდევ იყო დარჩენილი თავისუფალი ადგილები, მაშინ:

*უთხრა ბატონმა მონას: გადი გზებსა და შუკებში და ძალით მორეკე წვეულისი, რათა აივსოს ჩემი სახლი.<sup>8</sup>*

ავგუსტინესათვის უკანასკნელი სიტყვები გადამწყვეტი იყო. მისი ინტერპრეტაციით, სტუმრები, რომლებმაც უარი თქვეს მისვლაზე, ებრაელები იყვნენ, ხოლო ვინც ნებაყოფლობით მიიღო მონვევა, – არაიუდეველები, რომლებმაც ქრისტიანობა მიიღეს; და ისინი, ვინც იძულებით მიიყვანეს, იყვნენ ერეტიკოსები, რომლებმაც დატოვეს ეკლესია და რომელთა იძულების წესით დაბრუნება სრულიად დასაშვები იყო. თანამედროვე ისტორიკოსების გარკვეული ნაწილი, რომელმაც შეისწავლა ავგუსტინე, კეთილგანწყობით აღნიშნავს, რომ რელიგიურ დავებში იგი ყოველთვის დისკუსიასა და დარწმუნებას ანიჭებდა უპირატესობას; რომ იგი არ იწონებდა ერეტიკოსების მიმართ სასტიკი სასჯელის გამოყენებას – მაგალითად, მხარს არ უჭერდა სიკვდილით დასჯას; რომ მისთვის იძულების მიზანს წარმოადგენდა არა დასჯა, არამედ ერეტიკოსთა დაბრუნება ქრისტიანობაში და, შედეგად, მათი გადარჩენის უზრუნველყოფა. ავგუსტინესადმი ნაკლებად სიმპათიურად განწყობილი ისტორიკოსები კი მას „მდეველთა პრინცად და პატრიარქად“ და „ინკვიზიციის პირველ თეორიტიკოსად“ მოიხსენიებენ. ავგუსტინეს შეხედულებებს უდავოდ დიდი გავლენა ჰქონდა შუა საუკუნეებშიც. ათასწლეულის მანძილზე ეკლესია რელიგიური დისიდენტების რეპრესირების პოლიტიკას მისდევდა.

### **ეკლესია და სახელმწიფო**

ყველაზე აშკარა გზა, რითაც შუა საუკუნეების ეკლესიის მიმდევრებმა (რა თქმა უნდა, შეგნებული განზრახვის გარეშე) ხელი შეუწყვეს თანამედროვე რელიგიის თავისუფლების წარმოქმნას, მდგომარეობდა საერო მმართველთა კონტროლის სფეროდან ეკლესიის გამოსვლის დაჟინებულ მოთხოვნაში. შუა საუკუნეებში არასოდეს ყოფილა აბსოლუტური ხელისუფლების განმახორციელებელი ერთადერთი სამთავრობო იერარქია, არამედ ყოველთვის არსებობდა ორი – ეკლესია და სახელმწიფო, ხშირად ერთმანეთთან დაპირისპირებაში მყოფი და ერთმანეთის ძალაუფლების შემზღვეველი. ხელისუფლების ამგვარი დუალიზმი კაცობრიობის ისტორიის საკმაოდ უჩვეულო მოვლენა იყო. საგვარეულო ტომზე ან ქალაქ-სახელმწიფოზე დიდ საზოგადოებებში ყველაზე გავრცელებულ მმართველობის ფორმად განსაზღვრული ტიპის თეოკრატიული აბსოლუტიზმი გვევლინებოდა. ეგვიპტის ფარაონები, პერუს ინკები და იაპონიის იმპერატორები – ყოველი მათგანი ღვთიურ ფიგურად განიხილებოდა. საზოგადოების წესრიგი კოსმოსში არსებული საღვთო წესრიგის ნაწილად მიიჩნეოდა; მმართველი უზრუნველყოფდა აუცილებელ კავშირს სამოთხესა და დედამიწას შორის. ასეთ საზოგადოებებში რელიგიის თავისუფლება წარმოსახვამაც კი არ არსებობდა.

ქრისტიანობა იმთავითვე განსხვავებულად ვითარდებოდა. იგი აღმოცენდა უცხო კულტურაში – რომისა და საბერძნეთის განვითარებულ კლასიკურ ცივილიზაციაში. ქრისტიანად გახდომა და ამ რელიგიის წევრად თავის შენარჩუნება თავისუფალი პერსონალური არჩევანის



საკითხი იყო, ხშირად თავგანწირვასთან დაკავშირებული. ადრეული ქრისტიანებისათვის იმპერატორი იყო არა ღვთიური მმართველი, არამედ ჭეშმარიტი მრწამსის მდევნელი. დაძაბულობა რომაულ სახელმწიფოსა და ქრისტიანულ ეკლესიას შორის თვით იესოს სიტყვებშია გამოხატული: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“.<sup>9</sup> ქრისტიანობის განვითარების ყველა პერიოდში ამ მრწამსის მიმდევრები ყოველთვის იხსენებდნენ პეტრეს სიტყვებს: „მორჩილება ღვთის მიმართ უფრო გვმართებს, ვიდრე კაცთა მიმართ“.<sup>10</sup> კონსტანტინეს ტრაქტატისა და ქრისტიანული იმპერიის დაფუძნების შემდგომ განსაზღვრული დროის განმავლობაში იყო შესაძლებლობა, რომ ეკლესიას რელიგიურ საქმეთა დეპარტამენტის სახე მიეღო იმპერიულ თეოკრატიულ ეკლესია-სახელმწიფოში. თუმცა აღმოსავლეთში იმპერიული ძალაუფლების დამხობის შედეგად ეკლესიის დამოუკიდებელი როლი მტკიცედ იქნა გაცხადებული იმდროინდელი პაპის, გელასიუსის (492-496) მიერ: „ამქვეყნად არის ორი ხელისუფლება...“; რელიგიური აზროვნებისა და საქმიანობის მთელი რიგი საკითხები, გელასიუსის მტკიცებით, არ ექცეოდა საერო მმართველის კონტროლის სფეროში.

იმპერიისა და პაპების საკითხი ახალი სიმწვავეთ ნამოიჭრა გერმანიის ოტონთა დინასტიის მმართველობის პერიოდში. მეფეები ამტკიცებდნენ, რომ ამ ქვეყანაზე ღვთის ნაცვლებს ისინი წარმოადგენდნენ და თავის თავზე აიღეს ეკლესიათა კონტროლი; ისინი რეგულარულად ნიშნავდნენ ეპისკოპოსებს თავიანთ სამფლობელოებში. როდესაც გერმანიის იმპერატორი იტალიაში შეიჭრა და რომის ოკუპაცია მოახდინა, მან ისევე დაიწყო პაპების შერჩევა და დანიშვნა, როგორც ეპისკოპოსებისა.

ეკლესია თანდათანობით ერთი ფორმის თეოკრატიიდან მეორეში გადადიოდა. თუმცა დრამატულად განვითარდა მოვლენები გრიგოლ VII-ის პაპობის პერიოდში (1073-1085). მან ერთიანად დაგმო არსებული საზოგადოებრივი წესრიგი, როგორც ღვთიურ სამართლიანობასთან რადიკალურად წინააღმდეგობაში მყოფი. გრიგოლმა საკუთარი თავი სიკვდილამდე „ეკლესიის თავისუფლებისათვის“ მებრძოლად გამოაცხადა. იგი შეუდგა თავისი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას, აკრძალა მეფეების მიერ ეპისკოპოსების დანიშვნა და სათავე დაუდო ბრძოლას, რომელსაც თანამედროვე ისტორიკოსები სულ უფრო ხშირად პონტიფიკალურ რევოლუციას უწოდებენ. ჰაინრიხ IV-მ, გერმანიის მეფემ და შემდგომში იმპერატორმა, გრიგოლს ბრალი დასდო ფსევდოპაპობაში და ერეტიკოსად გამოაცხადა; გრიგოლმა კი ჰაინრიხს მეფის ტიტულის ჩამორთმევით უპასუხა. პაპსა და ჰაინრიხ IV-ს შორის დაპირისპირება იყო როგორც პროპაგანდისტული ორთაბრძოლა, ისე რეალური სამოქალაქო ომი გერმანიასა და იტალიაში. ერთხელ ჰაინრიხს საკუთარი თავის დამცირება მოუხდა და იტალიის ქალაქ კანოსაში მორჩილად ითხოვა პაპისგან პატიება, თუმცა მოგვიანებით მისმა ჯარებმა რომის ოკუპაცია მოახდინეს და გრიგოლი განდევნეს. ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო საბოლოო გამარჯვების მოპოვება. კომპრომისული მშვიდობის მიღწევა მხოლოდ ვორმსის კონკორდატის დადებით მოხერხდა (1122).

ბრძოლა პაპებსა და მეფეებს შორის მომდევნო საუკუნეებშიც გაგრძელდა. მეფეთა თეოკრატიული პრეტენზიების დაგმობის შემდეგ პაპები ხშირად ცდილობდნენ თეოკრატიული ფუნქციის მითვისებას. მათი თეოკრატიული მოთხოვნების უმაღლეს წერტილად შეიძლება ჩაითვალოს ბონიფაციუს VIII-ის განცხადება: „აუცილებელია ყველა დაქვემდებაროს რომის პაპს“. თუმცა ბონიფაციუსი საფრანგეთის მეფესთან ბრძოლაში დამარცხდა.

ეკლესიისა და სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივი ურთიერთქმედების, გადაკვეთისა და დაპირისპირების მიუხედავად, ვერც ერთი მხარე თავისი მოთხოვნების სრულ რეალიზებას ვერ ახდენდა. შედეგად, ეკლესიისა და სახელმწიფოს დუალიზმი შუა საუკუნეების დასავლურ საზოგადოებაში უცვლელ მოვლენად დარჩა. უკვე შუა საუკუნეების ბოლოსკენ

კათოლიკე მეფეებმა მიაღწიეს ფართო კონტროლს საეკლესიო დანიშვნებზე; თუმცა რეფორმაციის ეპოქაში სამეფო ტიტულის ღვთიური ჩამომავლობის თეორია დაიგმო პროტესტის ახლებური ფორმების გამოყენებით, რამაც, საბოლოო ჯამში, დასავლური ცივილიზაცია რელიგიური უფლებების მხარდაჭერის ახალ გზებამდე მიიყვანა.

ეკლესიის თავისუფლება სახელმწიფოს კონტროლისგან თანამედროვე რელიგიის თავისუფლების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მაგრამ ის მხოლოდ ნაწილია. *Libertas Ecclesiae*,<sup>11</sup> რასაც შუა საუკუნეების პაპები ითხოვდნენ, არ წარმოადგენდა რელიგიის თავისუფლებას თითოეული ინდივიდისათვის, არამედ მხოლოდ ეკლესიის, როგორც თავისი საქმიანობის ერთპიროვნულად წარმმართველი ინსტიტუტის, თავისუფლება იყო. იგი ღიად ტოვებდა ეკლესიის მიერ თავისი დისიდენტი წევრების დევნის შესაძლებლობას. შედეგად, როდესაც ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესები ემთხვეოდა ერთმანეთს, რასაც ძალზე ხშირად ჰქონდა ადგილი მწვალებლობის მიმართ, მნიშვნელოვანი სივრცე იქმნებოდა რელიგიური დისიდენტების უსასტიკესი შევიწროებისათვის. თუმცა, მიუხედავად საუკუნეების მანძილზე წარმოებული დევნისა, ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების აზროვნებისა და პრაქტიკის ისეთ ასპექტებს, რომლებსაც შეიძლებოდა ხელი შეეწყო რელიგიური შემწყნარებლობის ალტერნატიული ტრადიციისთვის.

### ბუნებითი უფლებების იდეა

შუა საუკუნეების მოაზროვნებმა საფუძველი ჩაუყარეს დოქტრინას, რომელმაც დიდი გავლენა იქონია რელიგიის თავისუფლების შესახებ გვიანდელი თეორიების ჩამოყალიბებაზე – იდეას, რომ ყველა ადამიანი ფლობს ბუნებითი უფლებებს.

თანამედროვე მეცნიერთა შორის არ არსებობს თანხმობა ამ დოქტრინის წყაროს შესახებ, ისევე, როგორც ქრისტიანული აზროვნების ტრადიციასთან მისი კავშირის თაობაზე. ჟაკ მარტინის მტკიცებით, ადამიანის უფლებათა იდეას ყოველთვის გამოკვეთილი ხასიათი ჰქონდა თითოეული ინდივიდის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების თაობაზე იუდაურ-ქრისტიანულ სწავლებაში.<sup>12</sup> ლეო შტრაუსი კი, პირიქით, ტომას ჰობსის ათეისტურ თეორიებზე ამახვილებდა ყურადღებას. ის ტომას ჰობსს თანამედროვე უფლებების თეორიის ფუძემდებლად მიიჩნევდა და აცხადებდა, რომ ბუნებითი უფლებების იდეა უცხო იყო ქრისტიანული ტრადიციისათვის.<sup>13</sup> თუმცა ეს მოსაზრება არ შეეფერება სიმართლეს, ვინაიდან ქრისტიანული ბუნებითი უფლებების თეორეტიკოსები ჰობსამდეც არსებობდნენ, მაგალითად, სუარესი და გროციუსი. ფართოდ აღიარებული, გარკვეულწილად შუამავლური შეხედულება, მაიკლ ვილის ეკუთვნის. მისი თქმით, ბუნებითი უფლებების იდეა მოდის ქრისტიანობიდან, თუმცა ქრისტიანული აზროვნების მრუდე ფორმიდან, კერძოდ კი, მე-14 საუკუნის მეცნიერის, უილიამ ოკამის ნომინალისტური და ვოლუნტარისტული ფილოსოფიიდან. ვილის მტკიცებით, ოკამმა „სემანტიკური რევოლუციის“ ინიცირება მოახდინა, როდესაც ლათინური სიტყვა *ius* (უფლება) განმარტა „სუბიექტური ძალის მქონედ“ (*potestas*).<sup>14</sup> თუმცა უფრო გვიანდელი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ „უფლებისა“ და „ძალის“ ასოციაცია მიღებული იყო ადრეულ შუა-საუკუნეობრივ იურისპრუდენციაში. ეპისკოპოსების არჩევის თაობაზე 1200 წლამდე მოღვაწე კანონიკოსმა ჰუგუციომ დაწერა შემდეგი: „მას აქვს მართვის ძალა (*potestas*), რაც მართვის უფლებაა (*ius*)“.<sup>15</sup>

ბოლოდროინდელი კვლევების შედეგების გათვალისწინებით ბუნებითი უფლებების უკანასკნელი თეორიების წყარო მოძიებულ უნდა იქნეს მე-12 საუკუნის ქრისტიანულ იურისპრუდენციაში, განსაკუთრებით ამ ეპოქის კანონიკოსთა ნაშრომებში. მე-12 საუკუნეს განახლების დრო შეიძლება ეწოდოს ცხოვრებისა და აზროვნების არაერთ სფეროში. იქმნებოდა



ახალი სავაჭრო ქსელები. შეიქმნა ახალი ხელოვნება, არქიტექტურა და ლიტერატურა (არისტოკრატიული რომანტიკა). რელიგიურმა აზროვნებამ ახალი აქცენტი გააკეთა ადამიანის პიროვნებაზე – ბრალეულობის დადგენისას ინდივიდუალურ განზრახვაზე, ქორწინებაში ინდივიდუალურ თანხმობაზე, სინდისის ინდივიდუალურ შეფასებაზე. ხოლო საერო სფეროში, საზოგადოების თითოეულ დონეზე, ჩვენ უკვე ვხედავთ დაინტერესებას ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით.

თუმცა, პირველ რიგში, მე-12 საუკუნე სამართლებრივი რენესანსის პერიოდი იყო, რომელიც განსაკუთრებით აღსანიშნავია კლასიკური რომაული სამართლის კანონთა მთელი ერთობლიობის აღდგენითა და ეკლესიაში დაგროვილი კანონიკური სამართლის პირველი ადეკვატური კოდფიკაციით (1140). მომდევნო ათწლეულებში ძველი ტექსტებით შთაგონებული იურისტების თანმიმდევრულობამ გამოხატულება ჰპოვა თანამედროვე იურიდიულ ენაში ახალი იმპულსების მოძიებით. ჩვენთვის ყველაზე აღსანიშნავი ალბათ ის იყო, რომ რელიგიურ ცხოვრებაში ახალმა პერსონალიზმმა და საერო საზოგადოებაში სამართლებრივი საკითხებით ყოველდღიურმა დაინტერესებამ დიდი გავლენა მოახდინა კანონიკოსების დისკურსზე, როდესაც ისინი მიადგნენ ბუნებითი უფლებების, *ius naturale*, კონცეფციის განხილვას. თავდაპირველად ფრაზა *ius naturale* გაგებული იყო ობიექტურ ქრილში, როგორც ბუნებითი სამართალი, ანუ „ის, რაც ბუნებრივად უფლებაა“. თუმცა მე-12 საუკუნის კანონიკოსებმა მოახდინეს ძველი ტექსტების გააზრება თავიანთ გაცილებით ჰუმანურ და ინდივიდუალისტურ კულტურაში და მას სხვა დეფინიციაც დაუმატეს. მათ ნაწერებში *ius naturale* ზოგჯერ განსაზღვრული იყო სუბიექტურ ფორმაში, როგორც ინდივიდისათვის დამახასიათებელი უფლება, უფლებამოსილება, ძალა და უნარი. ამ საწყისი სუბიექტური დეფინიციიდან კანონიკოსებმა განავითარეს ბუნებითი უფლებების მნიშვნელოვანი ერთობლიობა. 1250 წელს რომის პაპმა ინოკენტი IV-მ დაწერა, რომ ქონების საკუთრება ბუნებითი სამართლიდან წარმოებული უფლება იყო, რითაც თვით ურწმუნოებიც სარგებლობდნენ, საკუთარ მთავრობათა ფორმირების უფლებასთან ერთად.<sup>16</sup> სხვა ბუნებითი უფლებებს, რომელთა მხარდაჭერაც ხდებოდა მე-13 საუკუნეში, შეადგენდა უფლება თავისუფლებაზე, თავდაცვაზე, ღარიბისათვის მდიდრის ნამეტი ქონებიდან დახმარებაზე. თუმცა რელიგიური უფლებების განვითარებული კონცეფციის არარსებობა კვლავ შესამჩნევი იყო.

1300 წლისთვის სამართლებრივი ენა იმდენად განვითარდა, რომ შესაძლებელი გახდა ბუნებითი უფლებების დოქტრინის გამოხატვა. შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენდა უფლებათა იურიდიული იდეების ასიმილაცია პოლიტიკური ფილოსოფიის ნაშრომებში. სწორედ აქ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი უილიამ ოკამმა. იგი დაეყრდნო კანონიკური სამართლის ადრეულ ტრადიციას, თუმცა მასზე არ შეჩერდა. მის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს სახარებისეული თავისუფლების ბიბლიური იდეის ბუნებითი უფლებების დოქტრინაში გადატანა. როდესაც პავლე მოციქული ქრისტიანულ თავისუფლებაზე წერდა, იგი გულისხმობდა თავისუფლებას ძველი აღთქმის სამართლისგან ან თავისუფლებას ცოდვისგან, თუმცა ოკამმა პავლეს ტექსტი გამოიყენა ნებისმიერი ტირანული ხელისუფლებისგან, განსაკუთრებით ეკლესიის ფარგლებში, თავისუფლების მტკიცებისათვის. თვით პაპს, წერდა იგი, არა აქვს უფლება ზიანი მიაყენოს „უფლისა და ბუნების მიერ მართლზომიერად აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს“. გარდა ამისა, ოკამმა განავითარა „ჰიპოთეზური“ ან შესაძლო ბუნებითი უფლებების კონცეფცია ადამიანის ძირითად მოთხოვნილებათა მიმართ, რომლებიც განსხვავებული გარემოებების პირობებში სხვადასხვა გზით ვლინდება. ეს იდეა, სავარაუდოდ, გარკვეულწილად რელიგიანტურია კულტურული მრავალფეროვნების სამყაროში ზოგადი ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან მიმართებაში.

ოკამის იდეები შემდგომში განავრცო ჟან ჟერსონმა, სახელგანთქმულმა თეოლოგმა, რომელიც 1400 წლისთვის მოღვაწეობდა. ჟერსონმა შეიმუშავა უფლების, *ius*, როგორც „კეთილგონიერების დიქტატების შესაბამისი, თითოეულისათვის კუთვნილი ძალის ან უნარის“ ძალზე მნიშვნელოვანი დეფინიცია და ამტკიცებდა, რომ ადამიანი, ზნედაცემულიც კი, ინარჩუნებს მრავალ ასეთ უფლებას. ჟერსონმა ასევე განავითარა იდეა, რომლის მიხედვითაც ქრისტეს სამართალი თავისუფლების სამართალი იყო, რასაც, მისი მტკიცებით, აღარ ჰქონდა ადგილი არსებულ ეკლესიაში. პირიქით, ქრისტიანები შევიწროებულნი იყვნენ ადამიანური ხელისუფლების, იმავე ეკლესიური იერარქიის მიერ დაკისრებული კანონების, რეგულაციებისა და ვალდებულებების არატოლერანტული ტვირთით. ასეთი კანონები, მისი თქმით, ხაფანგის ფუნქციას ასრულებდა ადამიანის სულის შეტყუებისათვის. ბუნებითი უფლებების საკუთარ იდეასთან პავლეს ქრისტიანული თავისუფლების დოქტრინის კომბინირებით ჟერსონი მივიდა დასკვნამდე, რომ თითოეული ქრისტიანის ვალდებულება იყო თავისუფალი ნების საფუძველზე საღვთოდ გამხელილი ბიბლიური სამართლისა და საკუთარი გონებითა და სინდისით შეცნობილი ბუნებითი სამართლის აღიარება. ჟერსონის მტკიცებით, უკანასკნელ საშუალებად ადამიანს შეუძლია გამოიყენოს თანდაყოლილი ბუნებითი უფლება თავდაცვაზე ნებისმიერი ტირანული ხელისუფლების, მათ შორის დესპოტი პაპის წინააღმდეგ და მისი წართმევა არც ერთ ამქვეყნიურ სამართალს არ ხელენიფება. ჟერსონის სიტყვებს ხშირად თანამედროვე ჟღერადობა აქვთ და მისმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინეს ბუნებითი უფლებების შემდგომი თეორიების განვითარებაზე. ისინი აიტაცეს თანამედროვე სამყაროს საწყის ეტაპზე, მე-16 საუკუნეში, განსაკუთრებით, ესპანელი სქოლასტიკოსების მიერ ამერიკელი ინდიელების უფლებებზე გამართული დებატების პროცესში. კერძოდ, ბართლომე დე ლას კასასი ცდილობდა ინდიელების დაცვას ქრისტიანულ რელიგიაზე იძულების წესით გადმობირებისაგან შუა საუკუნეების თეოლოგიურ და სამართლებრივ წყაროებზე დაფუძნებული ბუნებითი უფლებების დოქტრინაზე დაყრდნობით.<sup>17</sup>

შუა საუკუნეების აზროვნების ყველა ხსენებული ასპექტის გათვალისწინებით – დაჟინებული მოთხოვნა ინდივიდუალური სინდისის უპირატეს ხასიათზე, იძულებითი კონვერსიის უარყოფა, ბუნებითი უფლებების აღმოცენება – ვინმემ შესაძლოა, გონივრულ ნიადაგზე ივარაუდოს, რომ შუა საუკუნეების, სულ მცირე, რამდენიმე მოაზროვნემ მაინც განავრცო ეს წინაპირობები და რელიგიის თავისუფლების განვითარებული დოქტრინის მტკიცებამდე მიიღწია. არაფერი ამდაგვარი არ მომხდარა. ყველა შუასაუკუნეობრივ მწერალს, რომელიც ამ საკითხს განიხილავდა, მწვალებლობა მიაჩნდა ცოდვად და დანაშაულად, რომელიც სრულიად კანონიერად სამართლდებოდა ეკლესიის მიერ და ისჯებოდა საერო ხელისუფლების დახმარებით. თვით ჟერსონსაც არ ჰქონდა რელიგიის თავისუფლება გააზრებული ისე, როგორც ჩვენ ვიცვებით მას; სინამდვილეში მას მონაწილეობა აქვს მიღებული ერეტიკოსად შერაცხული იან ჰუსის სასამართლო პროცესსა და დაწვაში. ჟერსონს შეეძლო დაეცვა ქრისტიანების უფლებები ეკლესიის ფარგლებში, მაგრამ მას არასოდეს მოხვლია აზრად იმის მტკიცება, რომ ერეტიკოსებსაც ჰქონდათ უფლებები ეკლესიის წინააღმდეგ.

### **რელიგიური უფლებების აღმოცენება**

შუასაუკუნეობრივი ცხოვრების კონტექსტში რელიგიური დევნა მართებულად და აუცილებლად მოჩანდა. არავის შეეძლო წარმოედგინა, რომ „ეკლესიის თავისუფლება“ შესაძლებელია გულისხმობდეს თითოეული ქრისტიანის სინდისის თავისუფლებას, ან რომ თავისუფლების ბუნებითი უფლება სრულიად არ არის საკმარისი, თუკი თავის თავში არ მოიცავს უფლებას რელიგიის თავისუფლებაზე. მე-16 საუკუნის რეფორმაციამ ახალი ისტორიული კონ-

ტექსტი შექმნა, სადაც ყველა ამ საკითხს ხელახალი შეფასება მიეცა ქრისტიანული სწავლებების ახლებური გააზრების ჩრილში, რის ფორმირებაზეც უდიდესი გავლენა იქონია მარტინ ლუთერის პირველი საპროტესტო გამოსვლების შემდგომი საუკუნეების ისტორიულმა გამოცდილებამ.

განხორციელებული ცვლილებები არ იყო მხოლოდ შეუცნობელი „პროტესტანტიზმის სულის“ ან პირველი დიდი რეფორმისტის სპეციფიკურ სწავლებათა შედეგი. ძნელია მოიძებნოს რელიგიის თავისუფლების ნიშნები მარტინ ლუთერის მტრულ დამოკიდებულებაში კათოლიკეებისა და ებრაელების მიმართ, ან კალვინის მიერ სერვეტუსის სიკვდილით დასჯის შემდგომ რელიგიური დევნის დაცვაში. ლუთერი, კალვინი, ბეცა, ბულინგერი, მელანქტონი – ყოველი მათგანი აღიარებდა მათი დროის ტრადიციულ შეხედულებებს, რომ უნდა მოხდეს ერეტიკოსების შევინროება ისევე, როგორც ამას კათოლიკეები აკეთებდნენ. უფრო მეტიც, ლუთერანობამ ევროპას მოუტანა „სამართლიანი მმართველის“ დოქტრინა, რომლის ფუნქციებშიც სხვა ყველაფერთან ერთად კერპთაყვანისმცემლობისა და ცოდვის აღმოფხვრაც შედიოდა. კალვინმა კი წარმოადგინა ახალი ტიპის კლერიკალური თეოკრატიის მოდელი, რომელსაც შეეძლო, ისეთივე შეუწყნარებელი ყოფილიყო როგორც შუა საუკუნეების ეკლესიური იერარქია იყო. რელიგიის თავისუფლება აღმოცენდა შემთხვევითი მოვლენების ისეთი კომბინაციის შედეგად, რომელიც არავის დაუგეგმავს და უწინასწარმეტყველია.

ტომას კარლილის თანახმად ახალი ისტორიული მოვლენები არ აღმოცენებულა მხოლოდ ერთი კონკრეტული მიზეზის გამო, არამედ გრძელი მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის – როგორც „თანამედროვე, ისე წინამდებარე სხვა ყველა შემთხვევის“ – შედეგად.<sup>18</sup> შემდგომში მან აღნიშნა, რომ ახალი მოვლენა კომბინირებულია ყველა სხვასთან შემდგომი ცვლილების მოსახდენად. სწორედ ამგვარი სახის ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც რელიგიის თავისუფლებაზე ვსაუბრობთ. მე-16 და მე-17 საუკუნეებში კაუზაციათა ახალი ქსელი შეიქმნა. ევროპა რელიგიური მოტივით წარმოებული უსასტიკესი ომების მომსწრე გახდა, რასაც შედეგად რელიგიური ერთიანობის დარღვევა მოჰყვა უამრავი სექტის ჩამოყალიბების სახით. ყოველივე ამან კი გამოიწვია იმ სახელმწიფოთა რაოდენობის ზრდა, რომელთაც შეეძლოთ ლოიალობის გამოჩენა მრავალფეროვანი რელიგიური მრწამსების მიმდევრებისადმი. თუმცა, სანამ საბოლოო შედეგი დადგებოდა, დაწესებული მრწამსის უარყოფელი რელიგიური ჯგუფების დევნა განხორციელდა მრავალ ქვეყანაში – ჰუგენოტები საფრანგეთში, რომელიც კათოლიკეები და პურიტანი სეპარატისტები ინგლისში, ლუთერანები გერმანიის კათოლიკურ საგრაფოებში და კათოლიკური ეკლესიის მონინალმდევრე დისიდენტები ესპანეთში.

თითოეულ ქვეყანაში დევნის მსხვერპლნი მხოლოდ საკუთარი მრწამსის მიმართ ითხოვდნენ ტოლერანტობის გამოჩენას; თუმცა თავდაპირველად ეს მოთხოვნები არ ეფუძნებოდა რელიგიის თავისუფლების, როგორც ასეთისადმი, ერთგულებას. მმართველის უფლება და ვალდებულება რელიგიური ცოდვის დასჯაზე ღვთისგან მინიჭებულად განიხილებოდა; თითოეული ჯგუფი დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ის მისდევდა ჭეშმარიტებას. 1615 წელს ინგლისში ანონიმური პამფლეტი მეფე ჯეიმს I-ს პურიტანთა მიმართ კანონების შემსუბუქებასა და კათოლიკეებისათვის სიკვდილით დასჯის შემოღების აუცილებლობაში არწმუნებდა. რელიგიური სპექტრის მეორე ბოლოში იეზუიტი რობერტ პარსონსი აპროტესტებდა კათოლიკეებისათვის სავალდებულო ერთგულების ფიცს, ზოგადად იძულების საწინააღმდეგო მჭერმეტყველური განცხადებებით: „ებრაელისა და თურქისათვის წმინდა სამებაზე ფიცის დადების იძულება მათი სინდისის საწინააღმდეგოდ ... აუტანელ ტანჯვას მიაყენებს მათ“. თუმცა, ამავე დროს, პარსონსი იცავდა ეკლესიას, რომელიც დევნიდა რელიგიურ დისიდენტებს, სადაც ამის უნარი შესწევდა. თითოეული რელიგიური ჯგუფი თვლიდა, რომ იგი უნდა

ყოფილიყო შეწყნარებული, ვინაიდან მხოლოდ ის იყო ჭეშმარიტი და, პირიქით, მონინალმდეგების დევნას მხარს უჭერდა, რადგანაც ისინი აუცილებლად ცდებოდნენ. ოლივერ კრომველმა ერთხელ აღშფოთებულმა განაცხადა: „ყველას სურს თავისუფლება, მაგრამ თავად არავინ გასცემს მას“.19 ჯ. ნ. ფიჯისმა წარსული დროის დახასიათებისას დაპირისპირებულ სექტებზე დაწერა შემდეგი: „ეს იყო ... ერთი სექტის მიერ სხვათა განადგურების შეუძლებლობა, რამაც საბოლოოდ უზრუნველყო თავისუფლება“.20

რა თქმა უნდა, აღნიშნულ განცხადებაში ჭეშმარიტების განსაზღვრული მარცვლის პოვნა შესაძლებელია, თუმცა იგი არ შეესაბამება სრულ სიმართლეს. მე-16 საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული, რამდენიმე მართლაც აიმაღლა ხმა ჭეშმარიტი რელიგიის თავისუფლების დასაცავად. პროტესტანტულ ჯგუფებს შორის ანაბაპტისტები და ბაპტისტები ყოველთვის გამოდნენ იძულებას რელიგიურ საკითხებში. მწვალებლობის ბრალდებით სერვეტუსის სიკვდილით დასჯამ კალვინისტურ ჟენევაში (1553) გამოიწვია სებასტიან კასტელიოს პასუხი, რომელმაც თავის ნაშრომში „ერეტიკოსთა და მათი დევნის აუცილებლობისთვის“ პირველად ჩამოაყალიბა ყოვლისმომცველი არგუმენტი სინდისის თავისუფლების სასარგებლოდ.

საუკუნის შემდეგ, პურიტანულ პარლამენტსა და სტიუარტთა დინასტიის მეფეებს შორის სამოქალაქო ომის დროს არსებულმა ცვალებადმა და კომპლექსურმა სიტუაციამ ინგლისი დროის გარკვეულ მონაკვეთში რელიგიის თავისუფლების იდეალის ფორსირების პრინციპულ ნიადგად აქცია. პარლამენტს, რომელმაც ჩარლზ I დაამარცხა, აკონტროლებდნენ პრესბიტერიანელები, რომელთაც სურდათ საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენებითაც კი, მკაცრი პრესბიტერიანული დისციპლინის დამყარება ინგლისის ეკლესიაში. მათი პოზიცია ტომას ედვარდსის განცხადებაში იყო რეზიუმირებული: „შეწყნარებლობა ენინალმდეგება რეფორმაციის ბუნებას, რეფორმაცია და ტოლერანტობა დიამეტრულად სანინალმდეგო მოვლენებია.“21 ამის მიუხედავად საპარლამენტო გამარჯვებების შემოქმედთა უმრავლესობა სხვადასხვა სექტების წარმომადგენლები იყვნენ – კონგრეგაციონისტები, ბაპტისტები, უნიტარიანელები, მეზუთე მონარქიის ხალხი და სხვა მრავალი. ყოველი მათგანი ითხოვდა და, კრომველის დროს, სარგებლობდა კიდევ შეწყნარებლობის განსაზღვრული დოზით. უფრო მეტიც, ბევრ ლიტერატურულ გამოცემაში, რომელთა რაოდენობაც დღითიდღე იზრდებოდა, სულ უფრო ხშირად ავტორები აყალიბებდნენ არგუმენტებს ყველასათვის, და არა რომელიმე ერთი ჯგუფისათვის, რეალური რელიგიის თავისუფლების სასარგებლოდ. პრესბიტერიანელმა რიჩარდ ბაქსტერმა, რომელიც კრომველის ერთ-ერთ სამხედრო პოლკში მსახურობდა კაპელანად, გამკიცხავი ტონით აღნიშნა, რომ ჯარისკაცებს შორის „ყველაზე ხშირი და მწვავე დისპუტები იმართებოდა სინდისის თავისუფლების თემაზე, როგორც თავად უწოდებდნენ მას; რომ ... ყველა ადამიანს შეუძლია არა მარტო იქონიოს აზრი, არამედ იქადაგოს და იმოქმედოს რელიგიის საკითხებში საკუთარი სურვილისამებრ“. სავარაუდოდ, ყველაზე მგზნებარე განცხადება გააკეთა როჯერ უილიამსმა, რომლისთვისაც დევნა კარგად იყო ნაცნობი, როგორც ძველ, ისე ახალ ინგლისში. თავის ნაშრომში „დევნის სისხლიანი დოგმატი“ უილიამსმა დაწერა:

*უფლის ნებასა და ბრძანებას წარმოადგენს (მისი ძის, უფალი იესოს ამქვეყნად მოვლინების შემდეგ) ნებართვის მინიჭება ყველაზე წარმართული, ებრაული, თურქული და ანტიქრისტიანული სინდისის ქონაზე და ღვთისმსახურების უფლებათა მინიჭება ყველა ადამიანისათვის ყველა ნაციასა და ქვეყანაში.*

მე-17 საუკუნეში პროტესტანტის მხრიდან თურქებისა და ებრაელების მიმართ ტოლერანტობისაკენ მონოდება ნამდვილად არ ყოფილა უჩვეულო მოვლენა. ეს იყო იძულებითი კონვერსიის სანინალმდეგო შუასაუკუნეობრივი დოქტრინის მორიგი დადასტურების გზა. თუმცა უილიამსი გამორჩეული იყო თავისი მისწრაფებით, შეწყნარებინა თვით რომელიმე კათოლი-

კეები. მისი თქმით, თვით კათოლიკეებსაც ჰქონდათ, „მეტად თუ ნაკლებად“, სინდისი, რომლის მიმართაც აუცილებელი იყო პატივისცემის გამოჩენა. უილიამსის თანახმად, ადამიანი, რომელიც კეთილსინდისიერად გახდა კათოლიკე, სრულიად შესაძლებელია, კვლავაც იყოს „ერთგული და მშვიდობისმოყვარე“ პიროვნება.

თანამედროვე სამყაროს ადრეულ ეტაპზე დევნის პრაქტიკაზე განხორციელდა შეტევა, რომელიც დაფუძნებული იყო სკეპტიციზმზე, მიზანშეწონილობასა და თავად ქრისტიანული მრწამსის ძირითადი პრინციპების გამოყენებაზე სამი ძირითადი მიმართულების არგუმენტაციით. ეს არგუმენტები არ იყო თანაბარი ღირებულების. მათგან პირველი ორის გამოყენება მხოლოდ შეზღუდული დონის ტოლერანტობის მტკიცებისათვის იყო შესაძლებელი; მარტო მესამეს შეეძლო საფუძვლის შექმნა რელიგიის თავისუფლების იდეალისადმი პრინციპული ერთგულებისათვის.

სკეპტიკურ მიდგომას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული რენესანსულ ჰუმანიზმში. ჰუმანისტებმა მოღვაწეობა თავდაპირველად სქოლასტიკური ფილოსოფიის ჩახლართული არგუმენტების, როგორც მოსაწყენი ნონსენსის, უარყოფით დაიწყეს; შემდგომში ჰუმანისტების განსაზღვრულმა ნაწილმა იდენტური მოსაზრებების განვითარება დაიწყო იმ მწვავე თეოლოგიური დისპუტების მიმოხილვისას, რომლებმაც ქრისტიანულ ეკლესიებს შორის განხეთქილება გამოიწვია. სწორედ ეს გახლდათ კასტელიოს პოზიციის საფუძველი. ჰუმანისტების სკეპტიციზმი არ წარმოადგენდა სკეპტიციზმს ქრისტიანული მრწამსის მიმართ. როგორც კასტელიომ დაწერა, „არავის ეპარება ეჭვი ღმერთის არსებობაში, მის სიკეთეში, მისადმი სიყვარულისა და მსახურების აუცილებლობაში...“<sup>22</sup> მეორე მხრივ, ის თემები, რომლებზედაც ქრისტიანები ვერ თანხმდებოდნენ – ბედისწერასთან, თავისუფალ ნებასთან, ნათლობასთან, ზიარებასთან დაკავშირებული დოქტრინები – დავის საგანს წარმოადგენდა, რადგანაც ბიბლიაში არ იყო ნათელი მითითება მათ შესახებ. კასტელიოს მოსაზრებით, ამ საკითხების შეცნობა და გააზრება სრული ჭეშმარიტებით შეუძლებელი იყო. ამიტომ აბსოლუტურად უსარგებლოდ და არაადამიანურად სასტიკად მიაჩნდა მას ქრისტიანების მიერ ერთმანეთის დევნა ამ საკითხებზე არსებული აზრთა სხვადასხვაობის ნიადაგზე.

დევნილმა ჰუმანოტმა პიტერ ბეილმა გაცილებით რადიკალური შეტევა მიიტანა რელიგიურ დევნაზე. მან თავის ნაშრომში ზღვარი გაავლო ქრისტიან ჰუმანისტებსა და განმანათლებლობის უკომპრომისო სკეპტიციზმს შორის. მისი შეხედულებით, არ შეიძლება განმანათლებლობის წვლილის არდაფასება. უდავოა, რომ აუცილებელი იყო ვოლტერის სკეპტიკური დაცინვა დაწესებული ეკლესიების სისასტიკეთა და ცრურწმენათა მხილებისათვის. თუმცა, საბოლოო ჯამში, სკეპტიციზმი არ არის საკმარისი. მისი მოსაზრებით, ადამიანები რელიგიური ცხოველები არიან და მათი მრწამსის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანისა და შედეგად მისი გახუნების შემთხვევაში ისინი, სავარაუდოდ, ახალ და უფრო ველურ შემცვლელებს მოიგონებენ. განმანათლებლობამ არ მოიტანა მშვიდობისა და ჰარმონიის ახალი ერა; მან რევოლუციურ საფრანგეთში ტერორის გაბატონებამდე და რელიგიური დევნის ახალი რაუნდის დაწყებამდე მიგვიყვანა, ამტკიცებდა ბეილი.

ტოლერანტობის სასარგებლოდ არგუმენტების მეორე მიმართულება უბრალო მიზანშეწონილობა იყო. ამ პოზიციის განსახიერებას წარმოადგენდა საფრანგეთის მეფე ანრი IV, რომელმაც თავისი რელიგია, პროტესტანტიზმი, სამეფო გვირგვინის მოპოვების მიზნით კათოლიციზმზე გაცვლა, თუმცა შემდეგ გამოსცა ნანტის ედიქტი (1598), რომელიც მნიშვნელოვან თავისუფლებებს ანიჭებდა პროტესტანტებს. ანრის მმართველობის პერიოდში ინგლისის დედოფალი ელისაბედიც რელიგიურ პოლიტიკას მისდევდა სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. იყო ეკონომიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობის მაგალითებიც. ნი-



დერლანდებში ესპანეთის წარგზავნილმა მმართველმა, ავსტრიელმა დონ ხუანმა, 1577 წელს დაწერა: „ორანელი პრინცი ყოველთვის დაჟინებით ამტკიცებდა ... რომ სინდისის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომერციული კეთილდღეობისათვის“. ამ არგუმენტის უდიდესი თეორიული მომხრე იყო პოლიტიკური ფილოსოფოსი ჟან ბოდენი. იგი ადასტურებდა, რომ რელიგიური ერთიანობა სასურველი იყო და არც იმას აყენებდა ეჭვქვეშ, რომ სახელმწიფოს სრულიად კანონიერად შეეძლო რელიგიური დისიდენტების შევიწროება. თუმცა, ამავე დროს, მისი მტკიცებით, როდესაც ესა თუ ის რელიგია იმდენად გაძლიერდება, რომ მისი რეპრესირება შეუძლებელი იქნება სამოქალაქო დაძაბულობის გამოწვევის გარეშე, ყველაზე გონივრული პოლიტიკა მისი შეწყნარება უნდა იყოს.<sup>23</sup> მიზანშეწონილობის არგუმენტთან დაკავშირებული პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მრავალი გარემოების არსებობისას ტოლერანტობა არ ჩანს ყველაზე აშკარად მიზანშეწონილ ქმედებათა მიმართულებად. ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნესრიგისა და ერთიანობის შენარჩუნების ყველაზე ეფექტური გზა დისიდენტების დევნაზე გადის. მე-17 საუკუნეში გარემოებათა საკმაოდ უჩვეულო ერთობლიობას ჰქონდა ადგილი, რაც ხშირად დევნას არაეფექტურს ხდიდა. მიზანშეწონილობით არგუმენტირება ღიად ტოვებდა გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში შესაძლო განახლებული დევნის საკითხს.

შემწყნარებლობის მესამე არგუმენტი, რომ დევნის პრაქტიკა რადიკალურად ეწინააღმდეგება თავად ქრისტეს სწავლებას, უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ამ არგუმენტმა მრავალი მოაზროვნის ნაშრომში ჰპოვა ასახვა. მაგალითად, კასტელიო დევნის შესახებ წერს: „შეუძლებელი იყო სატანის მიერ ქრისტეს ნებასა და ბუნებასთან ამაზე სანინააღმდეგოს გამოგონება“. ასე მსჯელობდა პიერ ბეილიც, მან შემწყნარებლობის სასარგებლო არგუმენტაცია ჩამოაყალიბა, როგორც კომენტარი ტექსტისათვის „ძალით მორეკე“, რომელსაც ავგუსტინე და თომა აკვინელი დევნის გამართლებისათვის იყენებდნენ; თუმცა ბეილს განსხვავებული დასკვნა გამოჰქონდა ამ სიტყვებიდან და ამტკიცებდა, რომ ქრისტეს ნათქვამის ამგვარი გაგება „თვით სახარების სულისკვეთებას ეწინააღმდეგება“.<sup>24</sup> მართალია, ბეილი სკეპტიკური ტემპერამენტის ადამიანი იყო, მაგრამ ანალოგიური არგუმენტები მოჰყავდათ მგზნებარე რელიგიური მრწამსის მქონე მწერლებსაც. როჯერ უილიამსმა მრავალი მტკიცებულება წარმოადგინა რელიგიის თავისუფლების სასარგებლოდ, თუმცა მათგან ყველაზე ფუნდამენტური იყო დევნის შერაცხვა „მშვიდობის მეუფის სულთან, გონებასა და საქმიანობასთან პირდაპირ წინააღმდეგობაში მყოფად“.<sup>25</sup>

დროის მოთხოვნილებებმა გონიერი ქრისტიანები ძველი რწმენის უარყოფითი შედეგების უფრო ღრმა გააზრებამდე მიიყვანა. ბევრი ავტორი ეკლესიის მამების ციტირებას ახდენდა რელიგიის თავისუფლების სასარგებლოდ. ხშირად იფქვს და ღვარძლის იგავი მოჰყავდათ შემწყნარებლობის არგუმენტად. 1661 წლის ბაპტისტურ პამფლეტში გაცხადებული იყო, რომ სინდისის თავისუფლება „ქრისტიანული რელიგიის ნაწილია“. ინგლისელ მწერლებს შორის, ჯონ მილტონმა გააანალიზა რელიგიის თავისუფლების შესახებ პავლე მოციქულის ტექსტები (ტექსტები, რომლებიც ჟერსონმა და ოკამმა გაცილებით ადრე გამოიყენეს) და გამოიტანა დასკვნა, რომ მრწამსის საკითხებში ძალის გამოყენება ეწინააღმდეგება „ქრისტიანული რელიგიის ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვან საფუძვლებს“.

აზროვნების ახალი კლიმატის პირობებში, როდესაც დევნა და შევიწროება დაგმობილი იყო, როგორც ქრისტეს სწავლების სანინააღმდეგო მოვლენა, ხელახლა მოხდა ყველა ძველი არგუმენტის გაჟღერება საერო ხელისუფლების კონტროლიდან ეკლესიის თავისუფლების, სინდისის უზენაესი ავტორიტეტისა და ბუნებითი უფლებების არსებობის შესახებ, ოღონდ ამჯერად განახლებულ ჭრილში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა ეს არგუმენტი შესაძლებელია რელიგიის თავისუფლების დოქტრინის განვითარებისათვის ხელშემწყობი გამხდარიყო, თუმცა შუა

საუკუნეების კონტექსტში მათ ეს შედეგი არ მოიტიანეს. შუა საუკუნეების შემდგომ სამყაროში, ახალ ისტორიულ კონტექსტში, ეს არგუმენტები გახდა საფუძველი იმ სასარგებლო დასკვნების გამოტანის, რომლებიც ყოველთვის აშკარა იყო, თუმცა გამოკვეთილად არასოდეს უღიარებიათ.

ძველისძველი მოთხოვნა, რომ ეკლესია არ უნდა იყოს საერო მმართველთა კონტროლის ქვეშ, ახალი კუთხით განიმარტა, როგორც საერო მაგისტრატის მხრიდან პიროვნების რელიგიურ არჩევანზე ზემოქმედების დაუშვებლობა. პროტესტანტები ყოველთვის მიუთითებდნენ, რომ მაგისტრატი არ იყო რომის პაპზე და მის ეპისკოპოსებზე მეტად უცოდველი და უშეცდომო. გარდა ამისა, უილიამ ვოლვინის მტკიცებით, „ის, ვინც ცდებოდა, შეიძლება ქვეყნარტებაში მყოფის დამსჯელი აღმოჩენილიყო“.<sup>26</sup> რელიგიაში სამთავრობო იძულების სანინალმდეგო სხვა არგუმენტის თანახმად, პროგრესი, გაგებული როგორც საღვთო ნყალობა, შეიძლება მიღწეული ყოფილიყო მხოლოდ თავისუფალი და მოტივირებული დისკურსის გზით. როდესაც მილტონი წერდა ახალ ეტაპზე „რეფორმაციის რეფორმირების“ შესახებ, იგი საგანგებოდ მოითხოვდა პრესის თავისუფლებას.<sup>27</sup> შუა საუკუნეების თეოლოგები ზოგჯერ მსჯელობდნენ დროთა განმავლობაში თანმიმდევრულ პროგრესზე ბიბლიის გააზრებაში. ახალი თვალთახედვის მიხედვით, ასეთი პროგრესი მოითხოვდა აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას.

შეხედულება, რომ ეკლესიის თავისუფლება მოითხოვდა საერო მაგისტრატის მხრიდან რელიგიურ საკითხებში ჩარევისგან თავის შეკავებას, ფართოდ იყო გავრცელებული ინგლისში მოქმედი სეპარატისტული ჯგუფების წევრებს შორის. უაითჰოლში 1648 წელს გამართული შეიარაღებული დაპირისპირების დროს ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა: „არც ერთ ადამიანსა თუ მაგისტრატს ამ სამყაროში არ გააჩნია რელიგიურ საკითხებში ჩარევის უფლება“.<sup>28</sup> მომდევნო წელს დაწერილ ლეველერების პამფლეტში ჩამოყალიბებული იყო ანალოგიური დოქტრინა, რაც, საბოლოო ჯამში, ამერიკელებისათვის გაცხადებულ იქნა პირველი შესწორებით:

*[ჩვენ] არ ვავალებთ, არც ნებას ვრთავთ ჩვენს წარმომადგენლებს ... სასჯელების გამოყენებით ან სხვაგვარად ნებისმიერ ადამიანს აიძულონ რაიმე მრწამსის, რელიგიის ან ღვთისადმი მსახურების საკითხებში, ან შეზღუდონ ნებისმიერი ადამიანი თავისი მრწამსის აღმსარებლობაში, ან თავისი რელიგიის გამოხატვაში საკუთარი სინდისის შესაბამისად...<sup>29</sup>*

როგორ უილიამსს, რომელიც ნებისმიერი სახის ერთიანი ეკლესია-სახელმწიფოს მოდელის წინააღმდეგ გამოდიოდა, ეკუთვნის ფრაზა: „wall of separation between the Garden of the church and the Wilderness of the world“ – „სეპარაციის კედელი ეკლესიის წალკოტსა და ამქვეყნიურ ველურობას შორის“.<sup>30</sup>

შუა საუკუნეების არგუმენტების კიდევ ერთი წყება, რომელიც თანამედროვე ეპოქის ადრეულ ეტაპზე განვითარდა, შეეხებოდა ინდივიდუალური სინდისის მნიშვნელობას. მე-17 საუკუნის შუა ხანებში გავრცელებულ მოსაზრებას წარმოადგენდა რელიგიური უთანხმოების ამოსავალ წერტილად „ცოდვაში ფესვებამდგარი ბოროტების“ მიჩნევა.<sup>31</sup> თუმცა იმ დროისათვის გამოთქმული იყო რამდენიმე ალტერნატიული შეხედულებაც. ინგლისში სამოქალაქო ომის შემდგომ წლებში კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანებისათვის საკმაოდ რთული გახდა იმის დაჯერება, რომ მათ მეზობლებს, იმ მამაკაცებს, რომლებთან ერთადაც ისინი მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მიზნისათვის, ზოგჯერ მართლაც დემონები შთააგონებდნენ, რომ ავი საქმეები ეკეთებინათ მხოლოდ თეოლოგიის რომელიღაც ბუნდოვან საკითხზე უთანხმოების გამო. სწორედ ეს რწმენა, რომ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანი ბოროტება იყო, მწვალებლობის მიმართ შუასაუკუნეობრივი ზიზლის ძირითად საფუძვლად იქცა. როდესაც შესაძლებელი გახდა რელიგიურ წარმოდგენებს შორის განსხვავებები მხოლოდ შეცდომაში დაენახათ და არა ბოროტ განზრახვაში, გაიხსნა გზა შემცდარი სინდისის მიმართ მართებული დამოკიდებულების შექმნისაკენ. უილიამ ვოლვინმა განიხილა ტექსტი „რაც მრწამსიდან არ მოდის, ის ცოდვაა“ (იგივე ტექსტი, რომელსაც შუა საუკუნეების ავტორები იყენებდნენ

სინდისის უპირატესი ხასიათის დაცვისათვის) და მივიდა დასკვნამდე, რომელიც შუა საუკუნეების არც ერთ თეოლოგს არ მოსვლია თავში: „ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს სინდისის თავისუფლება, რწმენის მიუხედავად“.<sup>32</sup> იგი ამტკიცებდა, რომ პიროვნების სინდისზე გავლენის მოხდენა მხოლოდ მისივე გონებას ძალუძს. ვოლვინის შეხედულებით, შეუძლებელი იყო პიროვნების იძულება, ერწმუნა ჭეშმარიტება, რომელიც მის შეგნებასა და სინდისს მცდარად მიაჩნდა; ადამიანი სცოდავს, თუკი იძულების გზით საკუთარი სინდისის წინააღმდეგ მოქმედებს; თუმცა ის, ვინც აიძულებს მას, ცოდვის თანამონაწილეა და დესპოტის მსგავსად მოქმედებს. ეს მოსაზრება იქცა საერთო არგუმენტად მათთვის, ვინც სინდისის თავისუფლების დაცვას ცდილობდა. თვით ყველაზე უკიდურესი როიალისტი მაიკლ ჰადსონიც ამტკიცებდა, რომ მაგისტრატი, რომელიც აიძულებს ადამიანს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ იმოქმედოს, სიცრუის სახით ცოდვის ჩადენას აიძულებს მას; მაგისტრატი კი, თავის მხრივ, დამნაშავეა „იმ სულიერ პროგატივებში მკრეხელური ჩარევის გამო, რომელიც ღმერთმა საკუთარი თავისთვის შემოინახა“. ანგლიკანი თეოლოგის მტკიცებით, პიროვნება, რომელიც თავის ცოდვილ სინდისს მისდევს, არ სცოდავს: „თუკი ღმერთი არ გაბრაზდება გაუაზრებლად შემცდარ ადამიანზე, ადამიანები რატომ უნდა განრისხდნენ ერთმანეთზე?“<sup>33</sup>

სინდისის თაობაზე ახალი არგუმენტის საბოლოო შედეგი მდგომარეობდა რელიგიის თავისუფლების იდეალის ბუნებითი უფლებების გაცილებით ძველ დოქტრინასთან შერწყმაში. სინდისის თავისუფლება განიხილებოდა ბუნებითი სამართლით გარანტირებულ ადამიანის ერთ-ერთ ბუნებით უფლებად. უილიამ პენი წერს: „მე ყოველთვის მესმოდა, რომ სინდისის თავისუფლება ყველა ადამიანის ბუნებით უფლებას წარმოადგენს...“<sup>34</sup> იგი ამტკიცებს, რომ ხალხი არ და ვერ დაუთმობს ამ ბუნებით უფლებას არცერთ ხელისუფლებას. შესაბამისად, სახელმწიფოს არ შეიძლება ჰქონდეს კანონიერი უფლება, ინდივიდის ამ უფლების ხელყოფის. როგორც კვაკერი, პენი თავისი დროის დომინირებული რელიგიური აზროვნების მიღმა იმყოფებოდა, თუმცა ამავე ეპოქაში მოღვაწე უაღრესად პატივცემული ეპისკოპოსი ბარნეტი ანალოგიურ შეხედულებას გამოხატავდა: „მე დიდი ხანია სინდისის თავისუფლებას ვუყურებ, როგორც ადამიანის ერთ-ერთ ბუნებით უფლებას, რომელიც წინ უსწრებდა პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბებას და რომელსაც არც ერთი ადამიანი არ დათმობს ...“<sup>35</sup> ჯონ ლოკიც წერს, რომ „სინდისის თავისუფლება ყველა ადამიანის ბუნებით უფლებას წარმოადგენს“.<sup>36</sup> ინგლისის ფარგლებს გარეთ პიერ ბეილი იცავდა სინდისის თავისუფლებას<sup>37</sup>, სპინოზა კი ბუნებითი უფლებების თავის განსაკუთრებულ დოქტრინას იყენებდა რელიგიის თავისუფლების ხელშეუხებლობის მტკიცებისას.<sup>38</sup>

მე-17 საუკუნის ბოლოს რელიგიის თავისუფლების ადეკვატური თეორიები იქნა ფორმულირებული, თუმცა მათმა იმპლემენტაციამ გაცილებით მეტი დრო წაიღო. უკვე მე-18 საუკუნეში რელიგიურ ნიადაგზე დევნის შემთხვევების რაოდენობა ერთეულებამდე დავიდა, თუმცა რელიგიის თავისუფლება მხოლოდ მე-19 საუკუნის ლიბერალური რევოლუციების შემდგომ გახდა ფართოდ აღიარებული დასავლურ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში. ძირითადად ქრისტიანულმა ეკლესიებმა კი მხოლოდ მეოცე საუკუნეში აღიარეს რელიგიური უფლებები ქრისტიანული მრწამსის ძირითად დამახასიათებელ ნიშნად.



# ადამიანის რელიგიურ უფლებათა აპოლოგია

დიდი ხნის განმავლობაში ადამიანის რელიგიურ უფლებებს მცირე ადგილი ეთმობოდა მსოფლიო მასშტაბით ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლასა თუ მასზე გამართულ დებატებში. ამ ქვეთავის მიზანს ადამიანის რელიგიურ უფლებათა აპოლოგიის მცდელობა წარმოადგენს, ვინაიდან ისინი ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლის საფუძველში ძვეს და პიროვნების სულიერ სფეროს მოიცავს. ადამიანის რელიგიურ უფლებათა აპოლოგია ასევე ზოგადად, ადამიანის უფლებათა საფუძვლის განმტკიცებას ისახავს მიზნად.

ტერმინი „ადამიანის რელიგიური უფლებები“, როგორც წესი, მონაცვლეობით გამოიყენება ტერმინთან „რელიგიის თავისუფლება“. ჩვენც ასე მოვიქცევით. ადამიანის რელიგიურ უფლებებში იგულისხმება პიროვნებისათვის დამახასიათებელი უფლება კერძო თუ საჯარო ღვთისმსახურებაზე ან ღვთისმსახურებაში მონაწილეობის არმიღებაზე; ამა თუ იმ მრწამსის აღმსარებლობასა თუ გადაცემაზე; ერთმორწმუნეთა გაერთიანების წევრობაზე; და რელიგიური იდენტურობის შეცვლაზე – ყოველგვარი დაბრკოლების და დისკრიმინაციის გარეშე. ადამიანის რელიგიური უფლებები მოითხოვს კანონის წინაშე ყველა რელიგიათა თუ არარელიგიათა თანასწორობას; არც ერთი მოქალაქე არ უნდა სარგებლობდეს რაიმე უპირატესობით და არც ზიანი უნდა მიადგეს განსაზღვრული რელიგიური მრწამსისა თუ იდენტურობის გამო.

ადამიანის რელიგიური უფლებების სამართლის კანონიერ პრინციპად აღიარება მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების უნივერსალურად გაზიარებულ აქსიომურ მოვლენად იქცა და ეს აღიარება მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა. უამრავი მტკიცებულების მიუხედავად, რომლებიც მიუთითებს, რომ თანამედროვე სამყაროს მრავალ წერტილში რელიგიის თავისუფლება ჯერ კიდევ შორს არის ეგზისტენციალური რეალობისგან, ადამიანის რელიგიური უფლებები ნორმატიულ პრინციპად იქცა მსოფლიო მასშტაბით სახელმწიფოთა უმრავლესობაში და, შესაბამისად, მათ რეალიზა-

ციაზე უარი თითქმის ყველგან გაუმართლებლად მიიჩნევა როგორც მორალურად, ისე სამართლებრივად. შედეგად, რელიგიური უფლებებისა და რელიგიის თავისუფლების გარანტიები დღესდღეობით ეროვნულ კონსტიტუციათა უმრავლესობაში გვხვდება, თვით ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც ხელისუფლება კომუნისტური ათეიზმის მიმდევარია. ამის მიუხედავად, რელიგიური უფლებების პატივისცემა – კერძოდ, რელიგიაზე ან რწმენაზე დამყარებული დისკრიმინაციის არარსებობა და ყველა რელიგიის თანასწორობა კანონის წინაშე – თანამედროვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შორსაა რეალობისგან.

მიუხედავად ადამიანის რელიგიური უფლებებისადმი თითქმის უნივერსალური ერთგულებისა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წელს მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია გამოხატული და კიდევ უფრო ნათლად ჩამოყალიბებული რელიგიასა და რწმენაზე დაფუძნებული შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის 1981 წლის დეკლარაციაში, არ არსებობს უნივერსალური კონსენსუსი მათი ინტელექტუალური და ფილოსოფიური საფუძვლის შესახებ. რა თქმა უნდა, არსებობს მნიშვნელოვანი პრაქტიკული და პოლიტიკური მიზეზები რელიგიური უფლებებისა და რელიგიის თავისუფლების არგუმენტირებისათვის, მაგრამ თვით ისინიც საჭიროებს გარკვეულ ფილოსოფიურ პრინციპებზე დაყრდნობას და არ არის დამოკიდებული მხოლოდ პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზე.

### **ადამიანის რელიგიური უფლებები და ადრეული რელიგიური მოძღვრებანი**

ადამიანის რელიგიურ უფლებათა აპოლოგია, პირველ რიგში, შესაძლებელია დანახულ იქნეს თვით რელიგიათა თავდაპირველ სწავლებებში. მაშინ, როცა რელიგიური უფლებების აღმოცენება შედარებით თანამედროვე ფენომენია, რელიგიის თავისუფლების კონცეფციას ხანგრძლივი, თუმცა არაერთგვაროვანი ისტორია აქვს. რელიგიური უფლებების ცნება მსოფლიოს უდიდეს რელიგიათა სწავლებებში იჩენს თავს, თუმცა, როგორც წესი, პრაქტიკაში იგი ნაკლებად თვალსაჩინო იყო თავად ამ რელიგიათა მთელი ისტორიის მანძილზე. ვინაიდან ზოგადად რელიგია შეადგენდა პიროვნების, როგორც გვარის, თემის თუ ნაციის წევრის იდენტურობის საფუძველს, ინდივიდის რელიგიური იდენტურობა ქმნიდა საფუძველს მისი განსხვავებისა სხვა გვარის, თემისა თუ ნაციის და, თუ უფრო ფართოდ მივუდგებით საკითხს, მთელი დანარჩენი სამყაროს წევრობისაგან. ხშირად რელიგია იქცეოდა ჯგუფებს შორის კონფლიქტის საფუძვლად – მაგალითად, ქრისტიანებსა და რომაელ წარმართებს, სიქებსა და ინდუისტებს, მუსლიმებსა და ებრაელებს, მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს, კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის და ა. შ. შედეგად, რელიგია ხელს უწყობდა დაქსაქსვას და არა გაერთიანებას, კონფლიქტს და არა თანხმობას და ყველა ამ კონფლიქტისა თუ დაქსაქსვის სიღრმეში იდო სხვადასხვა რელიგიების წარმოდგენები ჭეშმარიტებაზე, დაფუძნებული წინასწარმეტყველურ გამოცხადებაზე, გარკვეულ მისტიკურ გამოცდილებაზე ან ცხოვრების რაციონალურ გააზრებაზე. რელიგიის ამგვარი ისტორიულად დამახასიათებელი ნიშანი ნამდვილად არ უწყობდა ხელს შემწყნარებლობას ან ადამიანის რელიგიური უფლებების აღიარებას განსაზღვრული რელიგიური ტრადიციის ფარგლებს გარეთ. ზოგადად, ყველა რელიგია ამტკიცებდა ან, სულ მცირე, გულისხმობდა საკუთარ უზენაესობას, ინკლუზიურობას და სარგებლობდა სინერგეტიზმის გარკვეული ფორმით ჭეშმარიტების თაობაზე თავის ფილოსოფიურ ან თეოლოგიურ კონცეფციებში.

ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო და ადამიანის რელიგიური უფლებების პატივისცემისაკენ მოწოდების კვალი, შესაძლოა, უძველეს მსოფლიოშიც იქნეს აღმოჩენილი. ჯერ კიდევ ოცდასამი საუკუნის წინ ბუდიზმის მიმდევარმა მეფე

აშოკამ მოსახლეობას შემწყნარებლური ცხოვრებისკენ მოუწოდა. მისი სიტყვები დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მაშინ:

*„უჯეროა მარტოდენ თვისი თემის პატივება ან უპირობოდ სხვისი თემის შებღალვა. მხოლოდ რაიმე ნაკლი შეიძლება იყოს შეგინების საფუძველი, რაკი ნებისმიერი თემი ამა თუ იმ მიზეზით პატივის ღირსია. როცა ამგვარად იქცევა ადამიანი საკუთარ თემს განადიდებს და იმავდროულად საკადრისად ეპყრობა სხვისას. სხვაგვარად მოქცევისას ადამიანი თავის თავს ვნებს და დაუმსახურებლად ამცირებს სხვისას. ვინაიდან, ვინც პატივს მიაგებს თავის თემს და სხვას კი მარტოდენ საკუთარს ერთგულებისა და განდიდების განზრახვით შეურაცხყოფს, სინამდვილეში უდიდეს ზიანს გვრის მშობლიურ თემს.“*

მსოფლიოს ყველა ძირითადი რელიგია შეიცავს სწავლებას შემწყნარებლობის შესახებ, გმობს რელიგიურ იძულებასა და რელიგიური შეხედულებების უპატივცემულობას. ეს სწავლებები მუდმივი შესხენებაა შესაბამისი რელიგიის მიმდევრებისთვის. ადამიანის რელიგიური უფლებების მხარდაჭერმა, მათივე რელიგიური ტრადიციების წმინდა წერილებმა, შესაძლოა, შექმნან ურთიერთპატივისცემის, კეთილგანწყობისა და დიალოგზე დაფუძნებული მრწამსებს-შორისი ურთიერთობის საფუძველი. გარდა ამისა, ეს სწავლებანი უზრუნველყოფენ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე რელიგიის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციური და სამართლებრივი დებულებების მხარდაჭერას.

ინდუიზმის უძველეს სწავლებაში გამოკვეთილად არის დაგმობილი სხვა მრწამსების მიმდევართა რელიგიური უფლებების შეუწყნარებლობა და შეურაცხყოფა. ინდუისტური ტრადიციის საფუძველს წარმოადგენს შემდეგი განცხადება: „ჭეშმარიტება ერთია; ბრძენნი მას სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ.“<sup>39</sup> ინდუიზმის წმინდა წერილშიც ვკითხულობთ: „უვიცია ის, ვინც ამბობს: რასაც ვამბობ, ჭეშმარიტებაა, სხვები კი ცდებიანო. სწორედ უვიცთა ასეთი დამოკიდებულების შედეგია, რომ არსებობს ეჭვები და გაუგებრობები ღმერთთან დაკავშირებით. სწორედ ამგვარი დამოკიდებულება იწვევს დავას ადამიანებს შორის. თუმცა ყველა ეჭვი ქრება, როდესაც ადამიანი თვითკონტროლს მოიპოვებს და სიმშვიდეს მიაღწევს ჭეშმარიტების სულის რეალიზებით. ამის შედეგად დავაც დასრულდება.“<sup>40</sup> ინდუიზმის უძველეს წმინდა ტექსტებში ჩანს არა მარტო სხვების რელიგიური ტრადიციებისადმი შემწყნარებლობასა და პატივისცემაზე მითითება, არამედ დასტურდება, რომ ამ შემწყნარებლობის და პატივისცემის საფუძველს წარმოადგენს რწმენა, რომლის მიხედვითაც ყველა რელიგიაშია შესაძლებელი კარგის მონახვა: „სხვადასხვა ყვაილებიდან თავლის შემგროვებელი ფუტკრის მსგავსად, ბრძენი მიიღებს განსხვავებულ მოძღვრებათა არსს და ყველაფერ კარგს დაინახავს ყველა რელიგიაში“. მეოცე საუკუნის ინდუიზმის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოაზროვნის სარვეპალი რადჰაკრიშნანის თანახმად, „სხვადასხვა მიზეზების გამო სხვათა მრწამსებს სურთ პატივცემულნი იყვნენ. მათ მიმართ პატივისცემით ადამიანი ამაღლებს თავისას და, ამავე დროს, სამსახურს უწევს სხვათა მრწამსს. სხვანაირად მოქცევისას ადამიანი ზიანს აყენებს თავისას და ცუდ სამსახურს უწევს სხვათა მრწამსს. თუკი ადამიანი ხოტბას ასხამს თავის მრწამსს და შეურაცხყოფს სხვისას საკუთარი მრწამსის სადიდებლად, სინამდვილეში მძიმე ზიანს აყენებს მას.“<sup>41</sup>

ანალოგიურად, ბუდიზმიც აღიარებს რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური უფლებების პატივისცემის კონცეფციას. მასში ნახალისებულა გულუხვი დამოკიდებულება ყველა რელიგიური წარმოდგენისა და მათი მიმდევრებისადმი. ბუდიზმის ფუძემდებელი სიდჰარტჰა გაუტამა არწმუნებდა თავის მიმდევრებს, არ ჰქონოდათ მტრული განწყობა მათ მიმართ, ვინც მათზე ცუდს იტყოდა. გაუტამა აცხადებს: „თუ ვინმე ჩემზე, ჩემს სწავლებაზე ან მითითებებზე ცუდად ილაპარაკებს, არ განენწყოთ უარყოფითად მის მიმართ, არ გაუნყრეთ, არც

გულის სიღრმეში აღშფოთდეთ, თორემ საკუთარ თავს ავნებთ“.<sup>42</sup> და ისევ ბუდისტური ტექსტების ციტატებს მოვიყვანოთ. „ბუდა ამბობს, რომ განსაზღვრული მოსაზრებებისადმი კუთვნილებას, ხოლო სხვა შეხედულებებისათვის ზემოდან ყურებას ბრძენი ბორკილებს უწოდებდა“.<sup>43</sup> ყველა მორწმუნის შესახებ მოძღვრებისას გაუტამამ განაცხადა: „თუკი ადამიანი ამბობს, ეს არის ჩემი მრწამსი, იგი ჭეშმარიტებას ინარჩუნებს. მაგრამ ამით ის არ შეიძლება მივიდეს აბსოლუტურ დასკვნამდე – მხოლოდ ეს არის ჭეშმარიტება და ყველა დანარჩენი მცდარია“.<sup>44</sup> იაპონიაში ერთ-ერთი ბუდისტური სექტის, ომოტო კიოს წმინდა ტექსტში ვკითხულობთ: „არც ერთი კუთხე არ არსებობს სამყაროში, სადაც არ იყოს ღმერთი“.<sup>45</sup> მსოფლიოს უდიდეს რელიგიებს შორის ბუდიზმი გახდა პირველი საერთაშორისო რელიგია, და მთელი თავისი ისტორიის მანძილზე სხვა მრწამსებთან დამოკიდებულებით მოახდინა ტოლერანტობისა და პატივისცემის სულის დემონსტრირება.

სხვა რელიგიური ტრადიციებიც მოუწოდებენ განსხვავებული მრწამსების მიმდევართა მიმართ პატივისცემისკენ. ბუდიზმის მსგავსად, ქრისტიანული ეპოქის დაწყებამდე 6 საუკუნით ადრე დაფუძნებული ჯაინიზმის წმინდა ტექსტების თანახმად: „ისინი, ვინც თავიანთ დოქტრინებს ხოტბას ასხამენ და სხვებისას შეურაცხყოფენ, ვერ გადაჭრიან ვერც ერთ სირთულეს“.<sup>46</sup> ჯაინისტების წმინდა წერილებში მათ მითითებული აქვთ, „ჩასწვდნენ ერთ ფილოსოფიურ შეხედულებას მეორის სრულფასოვანი შესწავლის გზით“.<sup>47</sup> ასეთი დამოკიდებულება სხვა რელიგიური ტრადიციებისადმი აღიარებულია კონფუციანიზმშიც. კონფუციუსის თანახმად, „სამყაროში მრავალი განსხვავებული გზაა, თუმცა დანიშნულების ადგილი ერთია“.<sup>48</sup>

იუდაიზმის ტრადიცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში იბრძოდა ადამიანის რელიგიური უფლებებისათვის. იუდაიზმში, ჭეშმარიტი აღთქმის თანახმად, უფლის სიყვარული განკუთვნილია ყველა ადამიანისათვის და ამ აღთქმით „სამყაროში ყველა ოჯახი დალოცვილია“.<sup>49</sup> იუდაიზმის წმინდა წიგნში, რომელიც ქრისტიანების წმინდა წერილიცაა, ვკითხულობთ: „რადგან დიდი იქნება ჩემი სახელი ხალხებში მზის აღმოსავლეთიდან დასავლამდე; ყველგან დაუკმევენ საკმეველს ჩემს სახელს და წმინდა ძღვენს შემომწირავენ; რადგან დიდი იქნება ჩემი სახელი ხალხებში, ამბობს უფალი საბაოთ“.<sup>50</sup> ტოსეფტაში რაბინი ჯოშუა აცხადებს: „არსებობენ ღვთისმოსავი ადამიანები ერებს შორის, რომლებიც სამყაროს ინანლებენ“.<sup>51</sup> იუდაიზმში ყველა ადამიანური უფლების პატივისცემა განსაკუთრებით ჩანს მის სწავლებაში, რომელიც თითოეული პიროვნების უსაზღვრო ღირსებასა და ყოველი ადამიანური სიცოცხლის სინმინდეს შეეხება. პატივისცემა განსხვავებული მრწამსების მიმართ აშკარად და ნათლად იკვეთება იუდაისტურ თალმუდში. მიშნაში ვკითხულობთ: „და ქმნილი იქნა ადამიანი ერთი (პირველი), რომ გასწავლოს, თუკი ვინმე მოკლავს ერთ ადამიანს ... წმინდა წერილი მას მიუსჯის ქვეყნიერების მკვლელობას, და ვინც გადაარჩენს ერთ სულს ... წმინდა წერილი მას ქვეყნიერების გადარჩენას მიანერს ... ამიტომ ყველამ უნდა თქვას, ჩემთვის ყოფილა სამყარო შექმნილი“.<sup>52</sup> მეოცე საუკუნის იუდაიზმის ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ მეცნიერს, მოგვიანებით რაბინს, აბრაამ ჰესკელს უყვარდა თქმა: „ღმერთის ხმა მრავალ ენაზე ისმის“ – შეხედულება, რომელიც ფართოდ არის გაზიარებული იუდაიზმში.

ქრისტიანობაში, იუდაიზმის მსგავსად, რელიგიური შემწყნარებლობა და რელიგიური უფლებების სინმინდე შესაძლებელია ყველაზე გამოკვეთილად დავინახოთ განცხადებაში, რომ უფალმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა ადამიანი. ბიბლია ასევე აღიარებს და გამოხატავს ტოლერანტობის იდეას უცხოელთა მიმართაც, როდესაც აცხადებს:

*„თუ უცხოელი მოვა შენთან, ნურაფერს დაუშავებ. მიიღე, როგორც შენი ნათესავი და შეიყვარე, როგორც თავი შენი, რადგან უცხონი ვიყავით ეგვიპტელთა მიწაზე, მე ვარ უფალი ღმერთი შენი.“<sup>53</sup>*

გარდა ამისა, ახალი აღთქმის მიხედვით, უფალს „უმონმებლად არასოდეს დაუტოვებია თავისი თავი“<sup>54</sup>. აქ ვკითხულობთ „ნათელი ჭეშმარიტის“ შესახებაც, „რომელიც გაანათლებს ყველა კაცს, მომავალს ქვეყნად“.<sup>55</sup> რელიგიური შემწყნარებლობა და პატივისცემა რელიგიური უფლებებისადმი შეიძლება დავინახოთ ბიბლიაში მოყვანილ უფლის მიერ ყველა ადამიანისადმი მოპყრობის მაგალითებში. პეტრე, რომელიც იესოს მოწაფე იყო და ადრეული ქრისტიანობის ლიდერად იქცა, ამბობს: „ჭეშმარიტად ვრწმუნდები, რომ მიუკერძოებელია ღმერთი, არამედ ყველა ხალხში მისი მოშიში და სიმართლის მოქმედი სანდოა მისთვის.“<sup>56</sup> ებრაელებსა და არაებრაელებს შორის განსხვავებაზე საუბრისას პავლე მოციქული აღნიშნავს: „მიკერძოება უცხოა ღმერთისთვის“.<sup>57</sup> ბიბლიის თანახმად ადამიანს თავისუფლების უნარი უფლისგან აქვს ბოძებული. როგორც პავლე ამბობს, „სადაც არის სული უფლისა, იქვეა თავისუფლება“.<sup>58</sup> მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „თუ გასურს, რომ სრულქმნილი იყო, წადი, გაყიდე, რაც გაბადა, მიეცი გლახაკთ და გექნება საუნჯე ცაში“. იესო ყოველი ასეთი მონვევისას იყენებდა სიტყვებს: „თუ გასურს...“<sup>59</sup> – იმ სიტყვებს, რომლებიც თავისი ბუნებით პატივისცემას გამოხატავს ადამიანის არჩევანისადმი რელიგიური მრწამსის საკითხებში. ღმერთის დამოკიდებულება ყველა ადამიანისადმი ქრისტიანულ წმინდა წერილებში არსად ისე კარგად არ ჩანს, როგორც ახალი აღთქმის ბოლო წიგნში აპოკალიფსი, სადაც გამოკვეთილად ნარმოდგენილი პატივისცემა თითოეული პიროვნების რელიგიური უფლებების ხელშეუხებლობისადმი: „აჰა, კართან ვდგავარ და ვაკაკუნებ. თუ ვინმე გაიგებს ჩემს ხმას და კარს გამოიღებს, შევალ მისას და მასთან ვჭამ პურს, ხოლოდ ის – ჩემთან“.<sup>60</sup>

ისლამის ფუძემდებელმა, მუჰამედმა, თავის მიმდევრებს დაუწერა ეთიკის კოდექსი, სადაც აღნიშნა: „ღმერთისა და მისი მოციქულის, მუჰამედის სახელით ვაცხადებ, რომ ყველა ქრისტიანს ნაჯრანსა და მის მეზობელ ტერიტორიებზე აქვთ უსაფრთხო ცხოვრების უფლება და დაცული იქნება, როგორც მათი სიცოცხლე, ასევე რწმენა, მათი მიწა და ქონება. ასევე ექნებათ უსაფრთხო გადაადგილების უფლება და ხელი არ შეეშლებათ საკუთარი რწმენის ქონაში. არც ერთ მღვდელს არ აეკრძალება მრევლთან ურთიერთობა; არც ერთი ბერი არ იქნება გაძევებული მონასტრიდან და არც დარაჯს აეკრძალება ეკლესიის მეთვალყურეობა. და პირობის აღსრულების სანდოდ არაა ღვთის ნება და მისი მოციქულის მუჰამედის სიტყვა. ქრისტიანების უფლება არ იქნება შეზღუდული მანამ, სანამ ისინი დაიცავენ და კეთილსინდისიერად შეასრულებენ საკუთარ ვალდებულებებს მუსლიმი მეზობლების მიმართ.“

ყურანი კატეგორიულად აცხადებს, რომ „დაუშვებელია რელიგიური იძულება“.<sup>61</sup> ყურანში ასევე გაცხადებულია, რომ რწმენა უკიდურესად პერსონალური არჩევანის საკითხია: „თქვი: ჭეშმარიტება ღვთისგან მოდის; ვისაც უნდა, მორწმუნე იყოს, ირწმუნოს და ვისაც უნდა, ურჯულო იყოს, იყოს.“<sup>62</sup> შემწყნარებლობა სხვა რელიგიათა მიმართ ნაბრძანებია მათთვის, ვინც ყურანს მისდევს: „ნუ აგინებ ღმერთებს, რომელთაც მოუწოდებენ ღვთისა თანასწორ“.<sup>63</sup> ყურანის სწავლებათა შესაბამისად პიროვნების არჩევანის თავისუფლება მრწამსის წინაპირობას წარმოადგენს. და კვლავ ყურანის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „ღმერთს რომ ენებებინა, ყოველი ქვეყნიერი ადამიანი იწამებდა. გნადია, ერი აიძულო მორწმუნე გახდეს? როგორ შეუძლია სულს იწამოს ღვთის უნებურად?“<sup>64</sup>

მსგავსი სწავლებანი გვხვდება ასევე სიქიზმში, რომლის ფუძემდებელი, ნანაკი აცხადებდა: „ნუ ეძიებ ჭეშმარიტებას შორს; იგი თითოეულ გულშია“.<sup>65</sup> სიქიზმის თანახმად, უფლის ხალხის მოძებნა შესაძლებელია ყველა რელიგიაში. სიქიზმის წმინდა წერილების მიხედვით, „არსებობენ ისინი, ვინც კითხულობს ვედას და სხვები – ქრისტიანები, მუსლიმები, ებრაელები – რომლებიც სწავლობენ სემიტურ წერილებს. ზოგს ლურჯი, ზოგსაც თეთრი პერანგი აცვია. ზოგი თავის თავს უწოდებს მუსლიმს, ზოგიც – ინდუსს. ზოგი მიისწრაფვის ბაჰაშატიკენ

(მუსლიმთა სამოთხე), ზოგიც სვარგასკენ (ინდუსთა სამოთხე). ნანაკი აცხადებს: ის ვინც გააცნობიერებს ღვთის ნებას, გაიგებს უფლის საიდუმლოებებს!“.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური სწავლებების ზემოთ მოყვანილ ციტატებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადამიანის რელიგიურ უფლებათა აპოლოგიის ფორმულირებაში, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური უფლებებისადმი შემწყნარებლობისა და პატივისცემის სულისკვეთება სრულებით არ იყო ისტორიულად დამახასიათებელი ამ რელიგიებისათვის. სამწუხაროდ, არც ერთ ძირითად რელიგიას არ უმოქმედია მთლიანად თავისი სწავლებების შესაბამისად ადამიანის რელიგიურ უფლებათა მიმართ. შეუსაბამობა სწავლებებსა და ისტორიულ გამოცდილებას შორის უდავოა. მსგავსი წინააღმდეგობა რწმენასა და პრაქტიკას შორის დამახასიათებელი იყო მსოფლიოს ყველა რელიგიისათვის და, შედეგად, ისინი ხშირად მხოლოდ თავიანთი რეალური არსის აჩრდილები თუ იყვნენ. სიმართლეა ისიც, რომ თითოეული პიროვნების უფლებათა ხელშეუხებლობას და ადამიანის ძირითად უფლებას რელიგიურ იდენტურობაზე გამუდმებით და უსასტიკესი ფორმებით არღვევდნენ თავად რელიგიები. ფაქტობრივად, რელიგიის ისტორიის ძირითად ნიშნებს წარმოადგენს შეუწყნარებლობა და არა შემწყნარებლობა, მორჩილება და არა დაუმორჩილებლობა, აზრთა ერთიანობა და არა მრავალფეროვნება.

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ათასწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ქრისტიანობის ისტორიისთვის დამახასიათებელი იყო ებრაელებისა და ერეტიკოსებად შერაცხული სხვა რელიგიური დისიდენტების ინტენსიური დევნა. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ისტორიის საკმაოდ დიდი ნაწილის მანძილზე იმაზე მეტი ომი გაიმართა და დევნა განხორციელდა რელიგიის სახელით, ვიდრე სხვა ნებისმიერი დევიზით. როგორც ერთ-ერთმა ისტორიკოსმა გადმოსცა ლაკონურად, „არსად ღმერთისა და სამართლიანობის სახელწოდება ისე ხშირად არ გამოჩენილა, როგორც დამპყრობლის დროშებსა და ფარებზე.“<sup>66</sup> რელიგიების ისტორიასა და მრწამსს შორის შეუსაბამობის მიუხედავად, ადამიანის რელიგიური უფლებების აპოლოგია მოითხოვს რელიგიური უფლებების კონცეფციის აღიარებას თავდაპირველად სწორედ თავად რელიგიათა წმინდა წერილებში, ვინაიდან ისინი ავტორიტეტულ მოძღვრებებს წარმოადგენს თითოეული რელიგიური ტრადიციისა და მისი მიმდევრებისთვის. თვით აქ მოყვანილი მწირი ინფორმაციიდანაც კარგად ჩანს, რომ რელიგიურ უფლებათა კონცეფცია არ ყოფილა უცხო მსოფლიოს ძირითადი რელიგიებისათვის და ნახალისებულიც კია მათ სწავლებებში.

### **ადამიანის რელიგიური უფლებები და რელიგიის ბუნება**

ადამიანის რელიგიური უფლებების აპოლოგია არ უნდა იქნეს დანახული მხოლოდ მსოფლიოს ძირითად რელიგიათა წმინდა წერილებში, იგი პირდაპირ კავშირშია რელიგიის ბუნებასთან. ამიტომ რელიგიური შეუწყნარებლობა რელიგიის ანტითეზაა და მისი ყველაზე დაუძინებელი მტერია. რწმენის ქონა ნებაყოფლობითი აქტია. იმისათვის, რომ რელიგია საკუთარ თავთან მართალი იყოს, იგი უნდა დაელოდოს იმათ ნებაყოფლობით გამოხმაურებას, ვინც თავისუფალია იძულებისგან. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, რელიგიური მრწამსი გულწრფელი იყოს. ეს კარგად ჰქონდათ გააზრებული ადრეული ეკლესიის მამებს. მე-2 საუკუნის ბოლოს ქრისტიანმა მწერალმა, იუსტინე მონამემ, რომელიც მხარს უჭერდა პრინციპს *logos spermatikos*, კერძოდ კი, ღვთიური სიტყვის ჩანასახოვან არსებობას ქრისტიანული ტრადიციის ფარგლებს გარეთ, დანერა შემდეგი: „არაფერი არ არის ისეთ წინააღმდეგობაში რელიგიასთან, როგორც იძულება“. მე-3 საუკუნეში, როდესაც იმპერატორმა ლუციუს სეპტიმიუს სევერუსმა 202 წელს გამოსცა ქრისტიანობაზე იძულებით მოქცევის ამკრ-



ძალავი დეკრეტი, ტერტულიანემ<sup>67</sup> დაწერა, რომ რელიგიის თავისუფლება ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს. მისი განცხადებით, „როგორც ადამიანური, ისე ბუნებითი სამართლის საკითხია ის, რომ ყველა ადამიანს შეუძლია ღმერთის თაყვანისცემა ისე, როგორც ამას თავად მოისურვებს ... იძულებითი თავს მოხვევა არ დევს რელიგიის ბუნებაში ... იგი ნებაყოფლობით უნდა იქნეს მიღებული“. თითქმის საუკუნის შემდგომ ათანასიუსმა<sup>68</sup> განაცხადა: „არა ხმლითა და ლახვრით, არა მეომრებით თუ სამხედრო ძალებით, არამედ საუბრითა და კეთილი დარწმუნებით უნდა მოხდეს ქვეშარიტების გავრცელება“. ანალოგიურად ლაქტანციუსი,<sup>69</sup> იმპერატორ კონსტანტინეს შვილის აღმზრდელი მოძღვარი ამტკიცებდა, რომ „არაფერია ისე ახლოს ადამიანის თავისუფალ ნებასთან, როგორც რელიგია, და დაუშვებელია, ადამიანს მოეთხოვოს ღვთისმსახურება, თუკი მას ეს არ სურს. მას შეუძლია თავი მოიკატუნოს, მაგრამ შეუძლებელია უნდოდეს“.

შუა საუკუნეებში, როდესაც ევროპაში არსად არ არსებობდა რელიგიის თავისუფლება, კათოლიკე იურისტი მარსილიუს პადუელი მე-14 საუკუნეში მჭიმეტყველურად ამტკიცებდა, რომ იძულება სრულიად უცხორა რელიგიის ქვეშარიტი ბუნებისათვის და შეუძლებელია რელიგიური წარმოდგენების გაზიარების დაძალება. რელიგიურ ხელისუფლებას არა აქვს ვინმეს მიერ რელიგიური მითითებებისადმი მორჩილების უზრუნველყოფის მიზნით იძულების გამოყენების უფლება, აცხადებდა პადუელი. მისი თქმით, „პირველ რიგში ეს უსარგებლო იქნება თვით ადამიანისათვის, ვინაიდან პიროვნება, რომელიც დამორჩილება იძულების საფუძველზე, არ დგამს ნაბიჯს საუკუნო ხსნისკენ“.<sup>70</sup> „ქრისტეს არ მიუთითებია, რომ მისი სამართლისადმი დამორჩილების მიზნით ვინმე უნდა აიძულონ და მას ამქვეყნად არც მოსამართლე დაუნიშნავს, რომელსაც ძალაუფლება ექნებოდა ქრისტეს სამართლის დამრღვევზე“.<sup>71</sup> რელიგიის თავისუფლების მხარდამჭერი მისი წინამორბედების მსგავსად მარსილიუსი რელიგიის თავისუფლებას პრინციპის საკითხად და ქვეშარიტი რელიგიის ძირითად ნიშნად განიხილავდა.

ორი საუკუნის შემდგომ უდიდესი კათოლიკე ჰუმანისტი ერაზმუს როტერდამელიც, იგივე დეზიდერიუსი წერდა, რომ იძულება ეწინააღმდეგება რელიგიის ბუნებას და ამტკიცებდა „დევენის უნაყოფობას“. თავის წერილში იოანე კარონდოლეტის მისამართით, იგი აცხადებს: „როდესაც მრწამსი უფრო ბაგეებშია, ვიდრე გულში, როდესაც ბიბლიის ცოდნა გვლალატობს, ჩვენ ვაიძულებთ ადამიანს ირწმუნოს ის, რისიც არ სჯერა, უყვარდეს ის, რაც არ უყვარს, იცოდეს ის, რაც არ იცის. ვისაც აიძულებენ, ის შეუძლებელია გულწრფელი იყოს და ვინც არ არის მოხალისე, ის ვერ აამებს ქრისტეს“.<sup>72</sup>

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რადიკალი რეფორმისტების როლი, რომელთაც დაიცვეს ნებაყოფლობითობის პრინციპი რელიგიაში და მისი შედეგი, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის სახით. ეს ნიშნავდა რელიგიური საქმეების გამიჯვნას საერო ხელისუფლებისაგან და უარს საერო ხელისუფლების გამოყენებაზე რელიგიურ საკითხებში. რელიგიის თავისუფლებაზე რეფორმისტების ამ რადიკალური ფრთის მოთხოვნები ეფუძნებოდა სახარებაზე არაიძულებითი რეაგირების პრინციპს. მათი მტკიცებით, სწორედ ეს პრინციპი იყო ქვეშარიტი ეკლესიის ძირითადი ნიშანი. შესაბამისად, ისინი მძაფრ ოპონირებას უწევდნენ იძულების გამოყენებას რელიგიაში. ბალტაზარ ჰუმბაიერის განცხადებით, „თურქს ან ერეტიკოსს ვერ დავარწმუნებთ ცეცხლითა და მახვილით, არამედ მხოლოდ ლოცვითა და მოთმინებით: ამიტომ ჩვენ მოთმინებით უნდა დაველოდოთ ღმერთის გადაწყვეტილებას“.<sup>73</sup>

საუკუნის შემდგომ ტომას ჰელვისი წიგნში, რომელშიც ინგლისის ისტორიაში პირველად იქნა ჩამოყალიბებული უფლება რელიგიის უნივერსალურ თავისუფლებაზე, ამტკიცებდა, რომ რელიგიის ბუნებამ გამოიტანა იგი საერო მმართველობის იურისდიქციიდან:

*ჩვენი ბატონი მეფეა, მაგრამ მას აქვს ძალაუფლება მხოლოდ ამქვეყნიურ საქმეებში ... ადამიანთა რელიგია არის მათსა და ღმერთს შორის; მეფე პასუხს ვერ აგებს მასზე, არც სამართლის გაჩენა შეუძლია ადამიანსა და ღმერთს შორის. ერეტიკოსები, თურქები, ებრაელები, ან ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, არ უნდა დაისაჯონ ამქვეყნიური ძალით.<sup>74</sup>*

ანალოგიურად, რამდენიმე წლის შემდეგ ლეონარდ ბუშერი, ინგლისში პირველი ბაპტისტური კონგრეგაციის წევრი, წერს რელიგიაში საერო ძალაუფლების გამოყენების შესახებ: „ეს მარტო სისასტიკე კი არ არის, ეს არაბუნებრივი და საზარელიცაა, დიახ, საშინელებაა, ერთი ქრისტიანის მიერ მეორის ხელყოფა და განადგურება რელიგიაში განსხვავებების გამო“.<sup>75</sup>

რელიგიური მრწამსის ნებაყოფლობითობის აღიარება თანამედროვე აზროვნების მზარდი ტენდენციაა. რელიგიაში ვოლუნტარიზმის ხელახალი გააზრება ნათლად გამოჩნდა, მაგალითად, მეოცე საუკუნის ქრისტიანულ ეკუმენურ აზროვნებაში. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მრავალჯერ გამოუხატავს თავისი ხედვა რელიგიის თავისუფლების, როგორც რელიგიისა და რელიგიური მრწამსის განუყოფელი ნაწილის შესახებ. „ღმერთის მაცხოვრებელი ზრუნვა ადამიანების მიმართ არ არის იძულებითი ხასიათისა. შესაბამისად, ადამიანების მცდელობანი, საკანონმდებლო ან სოციალური ტრადიციის ზეწოლით ძალადობა იხმარონ ან გაანადგურონ მრწამსი, ღმერთისკენ მიმავალი ადამიანის ფუნდამენტური გზების ხელყოფას წარმოადგენს. თავისუფლება, რომელიც ღმერთმა მოგვანიჭა, ... გულისხმობს ღმერთის სიყვარულზე თავისუფალ გამომხაურებას...“<sup>76</sup>

იმისათვის, რომ რელიგია იყოს ჭეშმარიტი, იგი უნდა იყოს ნებაყოფლობითი, პერსონალური და თავისუფალი აქტის შედეგი. მრწამსი აღარ არის მრწამსი, თუ მისი ნებაყოფლობითობა ხელყოფილია იძულებით. როგორც კათოლიკე თეოლოგი ავგუსტინე ლეონარდი წერს, „დაკისრებული მრწამსი წინააღმდეგობაშია რელიგიის ბუნებასთან. მრწამსი თავისუფალი უნდა იყოს, თუ არ სურს, გაანადგუროს საკუთარი თავი.“<sup>77</sup> რელიგიის თავისუფლების აღიარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც თვით რელიგიური, ისე სხვა ყველა უფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს რელიგიის თავისუფლების მდივნის, კარილო ალბორნოზის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „არავითარ ინტელექტუალურ გონება-მახვილობას ან რელიგიურ დაწესებულებას, არანაირი სახის იძულებას ან დარწმუნების ძალას არ შეუძლია იმის შეცვლა, რომ ღმერთი ადამიანებს ეპყრობა, როგორც თავისუფალ და პასუხისმგებელ არსებებს და რომ იგი მათგან ნებაყოფლობით გამოხმაურებას მოელის“.<sup>78</sup> ან, როგორც ალბერტ ჰარტმანი აცხადებს, „ღმერთის ნების შეცნობისათვის ადამიანის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს საკუთარი სინდისის ხმა“.<sup>79</sup> უფლება რელიგიურ იდენტურობასა და პერსონალურ რელიგიურ მრწამსზე, ერთმორწმუნეებთან გაერთიანების ჩათვლით, მოითხოვს ნებაყოფლობითობას. შესაბამისად, ადამიანის რელიგიური უფლებების ხელყოფა გარდაუვალია, როდესაც ხდება ინდივიდის ნებისმიერი სახით იძულება.

### **ადამიანის რელიგიური უფლებები და ადამიანის ღირსება**

ადამიანის რელიგიური უფლებების დაუძლევალი არგუმენტი დანახული უნდა იქნეს ადამიანის ღირსებისა და ინდივიდის სინდისის ხელშეუხებლობის პატივისცემაში, ვინაიდან ორივე მათგანი შეადგენს შეზღუდული სახელმწიფოსა და თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (1948) მართებულად არის მოხსენიებული „საკაცობრიო ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსება“ და „ადამიანის პიროვნების ღირსება და ღირებულება“. როგორც სამოქალაქო და



პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტისათვის (1966), ისე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტისათვის (1966) საერთო პრეამბულაში ვკითხულობთ: „ეს უფლებები პიროვნებისათვის დამახასიათებელი ღირსებებიდანაა წარმოებული“. პიროვნების ხელშეუხებლობა საყოველთაოდ არის აღიარებული, როგორც ადამიანის ყველა უფლების საფუძველი. თუმცა მისი მნიშვნელობა ალბათ რელიგიური მრწამსის მიმართაა ყველაზე აქტუალური.

ადამიანის პიროვნების ღირებულება უზრალოდ ძალიან წმინდაა იმისათვის, რომ მოხდეს მისი შელახვა რელიგიური იძულებით ან იძულებითი მორჩილებით. იმისათვის, რომ ადამიანის რელიგიურ უფლებებს რეალური მნიშვნელობა ჰქონდეს, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან არსებობდეს რწმენის საკითხებში გადანყვეტილებათა მიღებაზე ადამიანის თანდაყოლილი უფლების სამართლებრივი აღიარება. როგორც ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ აღნიშნა თავისი დაფუძნებისას თითქმის ორმოცი წლის წინ, „ადამიანის ბუნება და ბედისწერა ... აწესებს ზღვარს, რომლის მიღმაც სახელმწიფოს არ შეუძლია დაუსჯელად წავიდეს“.<sup>80</sup> ასევე, როგორც ვატიკანის მეორე საეკლესიო კრებამ განაცხადა, „ადამიანის ხელშეუვალი უფლებების დაცვა და ხელშეწყობა მთავრობის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს“.<sup>81</sup>

ადამიანის პიროვნულ ღირსებასთან მჭიდრო კავშირშია სინდისის თავისუფლების კონცეფცია. სავარაუდოდ, მარსილიუს პადუელი იყო პირველი, ვინც სინდისის თავისუფლება აღიარა როგორც ბუნებით, ისე პოლიტიკურ უფლებად. იმის მიუხედავად, რომ რელიგიის თავისუფლება დღევანდელ მსოფლიოში რელიგიურ აზროვნებასთან ღრმად დაკავშირებულ მოვლენად განიხილება, იგი სწორედ „სინდისის თავისუფლების“ კონცეფციიდან გამომდინარეობს. პროტესტანტული რეფორმაცია ზოგადად რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის რელიგიური უფლებების მხარდამჭერად არ გამოსულა, თუმცა ეს იყო ამბოხი, როგორც დაწესებული რელიგიების, ისე პოლიტიკური ხელისუფლების წინააღმდეგ და, შესაბამისად, ხელი შეუწყო ახალი ნაცია-სახელმწიფოების და ეროვნული სულის წარმოქმნას ევროპასა და დიდ ბრიტანეთში. რეფორმაცია იყო პირველი ამბოხი დაწესებული რელიგიური ხელისუფლების წინააღმდეგ. როდესაც მარტინ ლუთერის შეხედულებები ბიბლიაზე გააკრიტიკა მისი დროის ეკლესიურმა ხელისუფლებამ, მან განაცხადა: „მე არ შემიძლია და არ მსურს უარყო რაიმე, ვინაიდან სინდისის წინააღმდეგ წასვლა არც მართებულია და არც უსაფრთხო“; რადგან „მე უფრო საკუთარი გულისა მეშინია, ვიდრე პაპისა და მისი ყველა კარდინალისა“. რენესანსული ჰუმანიზმით ხელშეწყობილი, თავისუფლების ახალი მამაცი სული გამოჩნდა რელიგიაში, რომელმაც გარდაუვალად დაუდო სათავე პრინციპს: „რწმენა თავისუფალია“. რელიგიის თავისუფლების პრინციპი თანდათანობით საჯაროდ იქნა გაცხადებული, რამაც, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანა რელიგიურ საკითხებში ინდივიდის ღვთისგან ბოძებული კომპეტენციის დაჟინებულ მოთხოვნამდე. რელიგიის თავისუფლება გაცხადებული იქნა, როგორც ბუნებით, ისე საღვთო უფლებად. ამით საფუძველი ჩაეყარა მტკიცებას, რომ რელიგიის თავისუფლება მოითხოვდა სამოქალაქო თავისუფლებას, ეს უკანასკნელი კი – სინდისის თავისუფლებას. „სხვა ყველა თავისუფლებაზე უპირატესად მომეცით ცოდნის მიღების, აზროვნების, რწმენისა და თავისუფლად გამოთქმის თავისუფლება, სინდისის შესაბამისად“, – წერს ჯონ მილტონი თავის დიდებულ წიგნში *Areopagitica* 1644 წელს.

რელიგიის თავისუფლებისათვის ბრძოლაში თავისუფალმა ეკლესიებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სინდისის თავისუფლების, როგორც რელიგიის თავისუფლების საფუძვლის, წარმოქმნაში. ფრანკლინ ლიტელის სიტყვებს თუ დავესესხებით, „თავისუფალი ეკლესიების ყველაზე დიდი დახმარება ინდივიდუალური მოქალაქეების მიმართ, მიუხედავად იმისა, ეკლესიის წევრებს წარმოადგენენ თუ არა ისინი, მდგომარეობს სინდისის თავისუფლების

დანესებაში“.<sup>82</sup> სინდისის თავისუფლებაში მოიაზრებოდა თითოეული პიროვნების უფლება თავისი სინდისის მითითებების მიმდევარი ყოფილიყო სამოქალაქო ხელისუფლებისგან ყოველგვარი ჩარევის გარეშე. თავის უკვდავ ნაშრომში, *History of Freedom*, ლორდი აქტონი აცხადებს: სინდისის თავისუფლება არის „გარანტია, რომ ყოველი ადამიანი იქნება დაცული იმის კეთებისას, რაც თავის ვალდებულებად მიაჩნია ხელისუფლებათა და უმრავლესობათა ტრადიციებისა და მოსაზრებების სანინაღმდეგოდ“.

დასავლურ სამყაროში სინდისის თავისუფლება ორ ფუნდამენტურ პრინციპს ემყარება. პირველი – სინდისის თავისუფლება ყველა ადამიანის ბუნებითი და საღვთო უფლებაა. ეს ის სფეროა, რომელიც ქვეყნისთვის დემოკრატიულმა სახელმწიფომ უნდა დაცვას და რომელშიც გაუმართლებლად არ უნდა ჩაერიოს. იქ, სადაც რელიგიის საბოლოო მიზანს ქვეყნისთვის წარმოადგენს, სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს თავისუფლება, ან, როგორც მას ბენედიქტე სპინოზამ უწოდა, „მთავრობის ქვეყნის მიზანი“.<sup>83</sup> მეორე აქსიომა იმაში მდგომარეობს, რომ, ვინაიდან სინდისის თავისუფლება ბუნებითი და საღვთო, თანდაყოლილი და უნივერსალური უფლებაა, დაუშვებელია ერთი პიროვნება მეორეზე მაღლა იქნეს დაყენებული მისი გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით. ყველა ადამიანი თანასწორია უფლებებში ისევე, როგორც ვალდებულებებში და, თუ პირველ შემთხვევაში დაუშვებელია ხელისუფლების მიერ მათი წართმევა, ბოლო შემთხვევაში არ შეიძლება – რაოდენობის დისკრიმინაციული ზრდა.

სინდისის თავისუფლებაზე რელიგიური უფლების აღიარება გულისხმობს ადამიანის უფლების დადასტურებას, ინამოს ან არ ინამოს ესა თუ ის რელიგიური დოგმა; ერთი ან რამდენიმე ღმერთის მსახურება შეასრულოს, ან საერთოდ არ ჩაერთოს ღვთისმსახურებაში; იყოს ან არ იყოს რელიგიური გაერთიანების წევრი; გამოხატოს თავისი რელიგია ყოველგვარი სამოქალაქო ტიპის ხელის შემშლელი გარემოებების გარეშე იქამდე, სანამ ასეთი გამოხატვა არ არის ზიანის მომტანი საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისათვის.

ეტიმოლოგიურად სინდისი ახლოსაა მორალურ მსოფლმხედველობასა და ცნობიერებასთან, რომლის მიხედვითაც ადამიანი განიცდის იმპულსს, მოიქცეს სწორად და თავს იკავებს ცუდის კეთებისაგან. რელიგიის ბუნება მოითხოვს, რომ იგი ღრმად იყოს გამჯდარი სინდისში, რომელსაც თეოლოგები ახასიათებენ უფლის „ნიჭად“ ან „ხმად“. ნახევარი საუკუნის წინ აშშ-ს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ჰარლენმა გობიტისის საქმეში განაცხადა, რომ, თუკი თავისუფლების კონსტიტუციურ გარანტიებს „რაიმე მნიშვნელობა აქვს, მათ უნდა ... შეაკავონ სახელმწიფოს ზეგავლენა რწმენის ან მისი გამოხატვის იძულებაზე, თუ ეს გამოხატვა ეწინააღმდეგება პიროვნების რელიგიურ შეხედულებებს“.<sup>84</sup> სახელმწიფოს მხრიდან სინდისის ხელშეუხებლობის ხელყოფა ფაქტობრივად წარმოადგენს მის მიერ იმ უზენაესი ძალაუფლების მისაკუთრებას, რომელიც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. შეუძლებელია, ადამიანის რელიგიური უფლებები დაცული იყოს იმ შემთხვევაში, თუკი, თუნდაც უმრავლესობათა კოლექტიური ნებით მხარდაჭერილ სახელმწიფოს და მის ინსტიტუტებს ნებადართული აქვთ სინდისიდან გამომდინარე უფლებათა იგნორირება. სინდისის თავისუფლების აღიარება თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების სიღრმეში ძვეს და პოლიტიკური აბსოლუტიზმის დაბრკოლებას წარმოადგენს. როგორც ჰენრი დევიდ ტორომ დაწერა თითქმის საუკუნის წინ, „სახელმწიფო არასოდეს იქნება ქვეყნისთვის თავისუფალი, სანამ არ აღიარებს ინდივიდს მასზე მაღალ და დამოუკიდებელ ძალად, საიდანაც მთელი მისი ძალაუფლება და ხელისუფლებაა მიღებული და ჯეროვნად არ მოეპყრობა მას. მე მახარებს თუნდაც ისეთი სახელმწიფოს წარმოდგენა, რომელიც, სულ მცირე, ყველა ადამიანისთვის იქნება შექმნილი“.<sup>85</sup>

## ადამიანის რელიგიური უფლებები და საერო სახელმწიფო

ადამიანის რელიგიურ უფლებათა აპოლოგია უნდა დავინახოთ საერო სახელმწიფოს კონცეფციაში. არსებობს როგორც ისტორიული, ისე ფილოსოფიური კავშირი რელიგიურ უფლებებსა და საერო სახელმწიფოს შორის. საერო არის ის სახელმწიფო, სადაც ხელისუფლების ძალაუფლება სეკულარული სფეროთი შემოიფარგლება; სახელმწიფო თავისუფალია ინსტიტუციური რელიგიის ან ეკლესიის ზეგავლენისგან და პირიქით, ინსტიტუციური რელიგია დამოუკიდებელია სახელმწიფო ან პოლიტიკური კონტროლისგან. ეს არის სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნია იურისდიქცია რელიგიურ საქმეებზე, არა იმიტომ, რომ ისინი სახელმწიფოს ინტერესის მიღმაა, არამედ უფრო იმიტომ, რომ რელიგიური ინტერესები განიხილება ძალზე წმინდად იმისათვის, რომ იქცეს შეცდომებისაკენ მიდრეკილი სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენელთა ნების ობიექტად. პრაქტიკაში საეროა ის სახელმწიფო, რომელიც უარს ამბობს პოლიტიკური საშუალებების გამოყენებაზე რელიგიური მიზნების მისაღწევად ან რელიგიური შესაძლებლობებით სარგებლობაზე პოლიტიკური მიზნის განხორციელებისათვის. ვინაიდან მისი ხელისუფლება საერო საქმეებით იზღუდება, ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ნეიტრალური უნდა იყოს, როგორც მრავალრიცხოვან მორწმუნეთა საზოგადოებების, ისე არარელიგიების მიმართ, ანუ საერო სახელმწიფოში მოქალაქეები არ უნდა სარგებლობდნენ ხელისუფლების მხრიდან კეთილგანწყობით ან უარყოფითი დამოკიდებულებით რელიგიურ ნიადაგზე. ეს არის სახელმწიფო, სადაც ხელისუფლებას არ გააჩნია რელიგიის ინსტიტუტებზე დომინირების უფლება და არც რელიგიურ ინსტიტუტებს აქვთ მსგავსი უფლება სახელმწიფოს მიმართ.

რელიგიის თავისუფლების მსგავსად საერო სახელმწიფოს წარმოქმნასაც ღრმა ფესვები აქვს ისტორიაში. თანამედროვე ეპოქამდე საერო სახელმწიფოს იდეა მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლურ ცივილიზაციასთან. ისტორიულად იგი გულისხმობდა ქრისტიანულ ან ზოგადად რელიგიურ სახელმწიფოზე უარის თქმას, რაც, შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა განსაკუთრებულ რელიგიურ ტრადიციაზე დაფუძნებულ ეროვნული იდენტურობის კონცეფციას. საერო სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია სეკულარულ და სულიერ ხელისუფლებასა და, ზოგადად, რელიგიურ და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის მკაფიო სეპარაცია. საერო სახელმწიფოს შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლების საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო და ბუნებითი სამართალი და არა რელიგიური დეკრეტი ან საღვთო სამართალი. განსაზღვრული პოლიტიკური ხელისუფლების, როგორც მონარქის, ისე სხვა პოლიტიკური სუბიექტის მხრიდან ხდება თავის არიდება მტკიცებისათვის, რომ მისი ძალაუფლება საღვთო სამართალს ეფუძნება. ანალოგიურად, ნებისმიერი განცხადება ამა თუ იმ ნაციის რელიგიურ სახელმწიფოდ ყოფნაზე სრულებით ეწინააღმდეგება საერო სახელმწიფოს კონცეფციას.

საერო სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ არქიტექტორად მოიაზრება მარსილიუს პადუელი, მე-14 საუკუნის სახელგანთქმული რომაელი კათოლიკე მოაზროვნე. 1324 წელს გამოქვეყნებულ მის დიდებულ სამეცნიერო ნაშრომში *Defensor Pacis* მან მძაფრად გააკრიტიკა სახელმწიფოზე ეკლესიის უზენაესობის შესახებ მტკიცებანი და უარყო ქრისტიანული სახელმწიფოს იდეაც, – *mundus Christianus*. მან ეს გააკეთა მკაცრი განსხვავების საფუძველზე, რომელიც, მარსილიუსის მოსაზრებით, აუცილებლად უნდა განისაზღვროს საღვთო და ადამიანურ სამართალს შორის. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ სახელმწიფო დაფუძნებული ყოფილიყო ბუნებით სამართალზე და ეკლესიას არ ჰქონოდა იურისდიქცია სახელმწიფოზე. მარსილიუსმა აშკარად გაუსწრო თავის დროს. მან განაცხადა:

*კანონები ძალაუფლებას იძენენ ერისგან და მისი მოწონების გარეშე კანონიერი ძალა არ გააჩნიათ. ვინაიდან მთელი ყოველთვის უფრო დიდია, ვიდრე მისი*

ნებისმიერი ნაწილი, არ არის სწორი, როდესაც ნაწილი კანონს იღებს მთელისთვის; ვინაიდან ადამიანები თანასწორნი არიან, არასწორია, რომ ერთი იყოს შებოჭილი მეორის მიღებული კანონით. იმ კანონებისადმი დამორჩილებით, რომლებზედაც ყველა ადამიანი შეთანხმდა, ყველა მათგანი რეალურად მართავს საკუთარ თავს ... იგი (მონარქი) პასუხისმგებელია ერზე და ექვემდებარება ამ კანონს; და ერმა, რომელიც ნიშნავს მას და ანიჭებს ვალდებულებებს, მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს მის მიერ კონსტიტუციის შესრულებას და დაითხოვოს, თუკი დაარღვევს მას.<sup>86</sup>

მარსილიუსი არა მარტო მხარს უჭერდა საერო სახელმწიფოს იდეას, არამედ უარყოფდა ეკლესიის უფლებას სეკულარული ძალაუფლების ქონაზე ან განხორციელებაზე. იგი თვლიდა, რომ, ვინაიდან ქრისტე და მისი მოციქულები არ ითხოვდნენ საერო ძალაუფლებას, არც ეკლესიას ჰქონდა ამის უფლება. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ დაუშვებელი იყო საღვთო სამართლის ცხოვრებაში გატარება ან დანესება საერო ხელისუფლების დახმარებით; მხოლოდ ღმერთია საღვთო სამართლის განმსჯელი. შესაბამისად, დაუშვებელია საერო იძულების ნებისმიერი ფორმის გამოყენება რელიგიისადმი მორჩილების მიღწევის მიზნით. საერო სფეროთი შეზღუდული სეკულარული სახელმწიფოსა და საღვთო სამართლის ბუნებათა გათვალისწინებით, შეუძლებელია იძულების გამოყენება რელიგიურ საკითხებში. როგორც მარსილიუსმა დაწერა, „მოქალაქეთა უფლებები დამოუკიდებელია მათი აღმსარებლობისაგან; დაუშვებელია ადამიანის დასჯა მისი რელიგიისათვის“. სახელმწიფოს შესახებ იგი ამტკიცებდა, რომ „სამართლის წყარო უნდა ვეძიოთ არა საღვთო უფლებაში ან მმართველებაში, არც ნებისმიერი კლასის ან საზოგადოების უზენაეს სიბრძნეში, არამედ მის ყველა მოქალაქეში“.<sup>87</sup> მარსილიუსის იდეები საერო სახელმწიფოსა და რელიგიის თავისუფლების შესახებ აბსოლუტური იგნორირების ობიექტი იყო ორი საუკუნის განმავლობაში, თუმცა, როგორც კონსტიტუციური სამართლის ერთმა მეცნიერმა აღნიშნა, ისინი „გამიზნული იყო, გავლენის მოსახდენად არა მხოლოდ მათზე, ვინც რეფორმაციაზე იყო პასუხისმგებელი, არამედ თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის ფუძემდებლებზეც“<sup>88</sup>.

მარსილიუსის იდეების გაცხადებიდან ორი საუკუნის შემდგომ რადიკალური რეფორმაციიდან აღმოცენდა რეფორმისტული მოძრაობა, დაფუძნებული ქრისტესადმი არაიძულების საფუძველზე ერთგულების გამოთხატვით ადამიანებისგან შემდგარი ნებაყოფლობითი ეკლესიის კონცეფციაზე და არა ქრისტიანულ სამყაროზე, სადაც ეკლესიისა და საზოგადოების ან სახელმწიფოს წევრობა ფაქტობრივად თანმხვედრ მოვლენებად ითვლებოდა. პროტესტანტული რეფორმაციის ეს მემარცხენე ფრთა მხარს საერო სახელმწიფოს იდეას უჭერდა. ისინი იბრძოდნენ რელიგიაში ვოლუნტარიზმის, მორწმუნეთა ნათლობისა და ქრისტესადმი ჭეშმარიტად ერთგულთაგან შემდგარი ვოლუნტარული ეკლესიის პრინციპებისათვის. ამ პრინციპების რეალიზაციის შედეგს კი, ბუნებრივია, სახელმწიფოსა და ეკლესიის სეპარაცია წარმოადგენდა. მრწამსი, რომელსაც ისინი აცხადებდნენ, და მისი გავრცელება ფუძნებოდა რელიგიის არაიძულებით გაზიარებას. ეს, რადიკალი რეფორმისტების მტკიცებით, ჭეშმარიტი რელიგიის აუცილებელი ელემენტი იყო. 1549 წელს მითითებაში იაკობ შტურმისადმი კასპარ შვენკელდმა, რომლის სულიერ შთამომავალთა უმრავლესობამ მოგვიანებით ამერიკას მიაშურა, დაწერა შემდეგი: „სამოქალაქო ხელისუფლებას არ გააჩნია იურისდიქცია უფლის სასუფეველზე; ხელისუფლება უფლის მიერ კურთხეულია ერთადერთი მიზნის, საზოგადოებაში ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების შენარჩუნებისათვის, მაგრამ არ გააჩნია რელიგიურ წარმოდგენებზე ზეგავლენის მოხდენისა და არც მათში ჩარევის უფლება; ინდივიდი ანგარიშვალდებულია მხოლოდ იესო ქრისტეს, როგორც საღვთო სასუფეველის მეფისადმი.“

რადიკალი რეფორმისტების ინტერესის საგანს წარმოადგენდა არა ადამიანის უფლებები, როგორც ასეთი (რომლებიც მოგვიანებით ჯონ ლოკის, განმანათლებლებისა და ჯონ სტიუარტ მილის მიერ იქნა მხარდაჭერილი), არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოშორება რელიგიისგან. საერო სახელმწიფოს იდეალის რეალიზაცია – დიდი ხნის განმავლობაში პროპაგანდირებული სხვადასხვა პოლიტიკური თუ სოციალური ფილოსოფოსების, ანაბაპტისტებისა და სხვა რელიგიური ჯგუფების მხრიდან – საბოლოოდ მხოლოდ როდ აილენდის ექსპერიმენტის შედეგად გახდა შესაძლებელი. აქ, პირველად კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, როჯერ უილიამსის წყალობით დაფუძნდა არსებითად სეკულარული სახელმწიფო, სადაც ყველა პოლიტიკური უფლება რელიგიური მრწამსის მიუხედავად გარანტირებული იყო.

ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის ამერიკული ტრადიციის აღიარებული არქიტექტორი, როჯერ უილიამსი ცდილობდა თეოლოგიური საფუძველი მოეძებნა საერო სახელმწიფოსათვის. მისი თქმით, სახელმწიფო ხელისუფლება „არ არის რელიგიური, ქრისტიანული და ა. შ., არამედ ბუნებითი, ადამიანური და სამოქალაქო“; და, შესაბამისად, „უკანონო“ სახელმწიფოს მიერ სინდისისა და რელიგიის საკითხების განსაზღვრა ან აკრძალვა. „ყველა საერო სახელმწიფო, თავის სასამართლო ჩინოვნიკებთან ერთად თავს საეროდ აცხადებს თავისივე კონსტიტუციასა და ადმინისტრაციაში და არა სულიერი ან ქრისტიანული სახელმწიფოს მოსამართლედ, მმართველად ან დამცველად“. „შესაბამისად“ – უილიამსის მტკიცებით – „შეუძლებელია საერო სახელმწიფო ან ქვეყანა ჭეშმარიტად ქრისტიანულად იქნეს ნოდებული, იმის მიუხედავად, რომ იქ შეიძლება ჭეშმარიტი ქრისტიანები ცხოვრობდნენ“.<sup>89</sup> უილიამსისთვის ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისგან გამიჯვნილი უნდა იყოს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეკლესია დარჩეს ეკლესიად, არამედ იმიტომაც, რომ სახელმწიფო დარჩეს სახელმწიფოდ, ღმერთი იყოს ღმერთი და ქრისტიანი იყოს ქრისტიანი. უილიამსის განცხადებით, „ცხოვრებაში იძულებით გატარებული რელიგიის ერთიანობა მთელი ერის ან სამოქალაქო სახელმწიფოს მასშტაბით ერთმანეთში ურევს საეროს და რელიგიურს და ამით უარყოფს ქრისტიანობისა და ცივილურობის პრინციპებს...“<sup>90</sup> ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უილიამსმა დაასკვნა, რომ იძულებითი და გადასახადებით მხარდაჭერილი რელიგია არაქრისტიანულია; ბიბლიური ისრაელი არ არის სახელმწიფო მოდელი ქრისტიანებისათვის და ყველა ადამიანისა და ჯგუფის თანასწორობა კანონის წინაშე სამოქალაქო ხელისუფლების ფუნდამენტურ პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

ჯონ ლოკის მიერ სახელმწიფოს იდეის შედარებით უფრო სრულფასოვანი ფორმულირება მოხდა არა თავისუფლების ქრისტიანულ-თეოლოგიური, არამედ კონსტიტუციური ხელისუფლების საფუძველზე. ლოკის პოლიტიკური აზროვნების ათვლის წერტილი იყო არა სახელმწიფო, არამედ ინდივიდი. ლოკის თანახმად, ყველა ინდივიდს აქვს თანდაყოლილი უფლებები სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და საკუთრებაზე; სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება მისი მმართველობის ქვეშ მყოფთა თანხმობის, მაგალითად, ურთიერთშეთანხმების ან საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველზე, და საეკლესიო ძალაუფლებას არ ექვემდებარება. ჭეშმარიტება, ლოკის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო შეიქმნა ინდივიდების მიერ მათივე ინტერესებისათვის – კერძო საკუთრების დაცვისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის კანონთა აღსრულების მიზნით. მისი მტკიცებით, ყველა კანონი ანგარიშვალდებულია მოქალაქეების წინაშე, პოლიტიკური აბსოლუტიზმი კი „შეუსაბამოა სამოქალაქო საზოგადოების ცნებასთან“. აქედან გამომდინარე, ყველა ხელისუფლების ძალაუფლება შეზღუდულია პიროვნების, როგორც ინდივიდის, ბუნებითი უფლებებით.<sup>91</sup> ლოკისთვის „საერო“ ნიშნავს არსებითად შეზღუდულ სახელმწიფოს – შეხედულება, რომელიც კვლავაც რჩება საერო სახელმწიფოს განმარტების კვინტესენციალად.



მიუხედავად იმისა, რომ სეკულარული სახელმწიფოს კონცეფციამ განმანათლებლობის პერიოდში დიდი გავლენა იქონია ინგლისსა და საფრანგეთზე, ამერიკის შეერთებული შტატები იქცა პირველ სახელმწიფოდ მსოფლიო ისტორიაში, რომელმაც კონსტიტუციურად აღიარა საერო სახელმწიფოს სისტემა, სადაც ხელისუფლებას არ გააჩნია იურისდიქცია რელიგიურ საკითხებზე, ანუ აკრძალული აქვს „აღმსარებლობის თავისუფლების“ უარყოფა; დაუშვებელია რელიგიური ტესტის გამოყენება საჯარო თანამდებობის დასაკავებლად; ყველა რელიგიური ჯგუფი თანასწორია კანონის წინაშე, თავისუფალია ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის ან გამორჩეული მოპყრობისგან; სახელმწიფოს მიერ ყველა რელიგიური დაჯგუფება განიხილება კერძო და ნებაყოფლობით გაერთიანებად. სეკულარულმა სახელმწიფომ ნეიტრალობა უნდა გამოიჩინოს როგორც რელიგიათა, ისე არარელიგიათა მიმართ და აღიაროს სრული არაკომპეტენტურობა რელიგიურ საკითხებში. ჭეშმარიტად საერო სახელმწიფო ცდილობს, არც შეუწყოს ხელი და არც ზიანი მიაციენოს რელიგიას და რელიგიურ იდენტურობას მოქალაქის უფლებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით უმნიშვნელოდ მიიჩნევს. 130 წლის წინ, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობასთან დაკავშირებულ პირველ საქმეში შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ განაცხადა:

*ამ ქვეყანაში ნებისმიერი რელიგიური მრწამსის აღიარების, ნებისმიერი რელიგიური პრინციპის გამოხატვისა და ნებისმიერი რელიგიური დოქტრინის სწავლების სრული და თავისუფალი უფლება, რომელიც არ არღვევს ზნეობისა და საკუთრების ნორმებს და რომელიც არ ხელყოფს პერსონალურ უფლებებს, ყველას აქვს მინიჭებული. კანონი არ იცნობს მწვალებლობას და არ არის მიდრეკილი, მხარი დაუჭიროს ნებისმიერ დოგმას ან რომელიმე სექტის დაწესებას. უფლება ნებისმიერი რელიგიური დოქტრინის გამოხატვასა და გავრცელებაში დახმარების მიზნით ნებაყოფლობითი რელიგიური გაერთიანების ორგანიზებაზე, მის ფარგლებში მრწამსის სადავო საკითხების გადაჭრისა და ყველა ინდივიდუალური წევრის, კონგრეგაციისა და თანამდებობის პირის ერთიანი ეკლესიური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებისათვის ტრიბუნალების შექმნაზე უდავო ხასიათს ატარებს.<sup>92</sup>*

სეკულარული სახელმწიფოს კონცეფციის თაობაზე აუცილებელია აღინიშნოს, რომ იგი არ აღმოცენებულა რელიგიისადმი მტრობის საფუძველზე. პირიქით, რელიგიისადმი მტრობა შეუსაბამოა სეკულარული სახელმწიფოს ბუნებასთან, ვინაიდან ის თავისუფალია ნებისმიერი რელიგიის თუ უზენაესი რწმენის საკითხებისგან; საერო სახელმწიფოს იდეა ღრმად არის გამჯდარი სინდისის თავისუფლების განუყოფელ უფლებასა და რელიგიური ვოლუნტარიზმის პრინციპში. ის, რომ არსებობს დაძაბულობა და კონფლიქტიც კი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის – რელიგიურ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ხელისუფლებას შორის – არა მარტო გარდაუვალი, არამედ მისასალმებელიცაა. ეს არის კონფლიქტი, რომლის სრული მოგვარებაც შეუძლებელია სწორედ რელიგიის ბუნების გათვალისწინებით, რომელიც ეფუძნება რელიგიურ თვალთახედვას როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ამავ დროს, სეკულარული სახელმწიფოს კონცეფცია ჰარმონიაშია როგორც რელიგიის, ისე სახელმწიფოს (რელიგიისგან) თავისუფლებასთან. აღნიშნული მიზეზების გამო, საერო სახელმწიფო საუკეთესოა როგორც თავად სახელმწიფოს, ისე რელიგიისათვის და მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ორივეს თავისუფლებას. თუ ისტორიას გადავხედავთ, სეკულარული სახელმწიფოს წარმოქმნას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის რელიგიური უფლებებისა და რელიგიის თავისუფლების წარმოშობისათვის.

## რელიგიის თავისუფლება და ადამიანის სხვა უფლებები

ადამიანის რელიგიურ უფლებათა აპოლოგია უნდა ვეძიოთ რელიგიური უფლებების განსაკუთრებულ კავშირში ადამიანის სხვა, როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ უფლებებთან. ის გამომდინარეობს იმ შინაგანი ღირებულებიდან, რაც ადამიანის პიროვნებას მიენერება და რაც, საბოლოო ჯამში, ინდივიდის ყველა უფლების საფუძველს ქმნის. სწორედ პიროვნების შინაგანი ღირებულება, იმის მიუხედავად, გამოკვეთილად აღიარებულია თუ არა იგი, ახდენს დემოკრატიისა და კონსტიტუციური ხელისუფლების საფუძვლის ფორმირებას, სადაც ადამიანის უფლებათა განსაზღვრული პრინციპები მიჩნეულია თანდაყოლილ და, შესაბამისად, ხელისუფლების მავალდებულებელ ფასეულობებად. ადამიანის რელიგიური უფლებები მჭიდრო კავშირშია ადამიანის სინდისის ხელშეუხებლობასთან და მათი გარანტირების გარეშე ადამიანის ყველა უფლებას საფრთხე ემუქრება.

რელიგიის თავისუფლება საყოველთაოდ არის აღიარებული ადამიანის უფლებების საფუძველად. როგორც ზემოთ აღინიშნა, რელიგიის თავისუფლება, ფაქტობრივად, ყველა ნაციისთვის იქცა კონსტიტუციაში გამოხატულ ნორმატიულ პრინციპად. იმის მიუხედავად, რომ, გარკვეული მოსაზრებით, ადამიანის უფლებები განუყოფელია, სრულიად ნათელია რელიგიური უფლებების განსაკუთრებული ადგილი მსოფლიო მასშტაბით თანამედროვე სამყაროში ადამიანის უფლებების გააზრების ჰორიზონტების გაფართოებაში. ეს, რა თქმა უნდა, სრულებით არ ნიშნავს ეკონომიკური და სოციალური, ისევე, როგორც სხვა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მნიშვნელოვანი როლის დაკნინებას ადამიანის უფლებებისათვის საყოველთაო ბრძოლაში, სადაც ყველა უფლება მჭიდრო ურთიერთკავშირშია. რელიგიური უფლებების არსებითი მნიშვნელობა ადამიანის უფლებების ხელშეწყობის საქმეში მათ შინაგან საფუძველში მდგომარეობს, ადამიანური პიროვნების ბუნებისა და ღირებულების სახით. სწორედ ამიტომ, როგორც ამერიკულ იურისპრუდენციაში, ისე ეკუმენური აზროვნების უდიდეს ნაწილში, რელიგიის თავისუფლება ადამიანის ყველა უფლების ფაქტობრივ ქვაკუთხედად არის მიჩნეული. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ თვით დასავლეთის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ ეკუმენურ კონფერენციებში „რელიგიის თავისუფლება ყველაზე ფუნდამენტურ“ თავისუფლებად იქნა აღიარებული.<sup>93</sup>

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს განცხადებით, „რელიგიის თავისუფლება ყველა ჭეშმარიტი თავისუფლების საწყისი და დამცველია“.<sup>94</sup> ცხადია, რომ რელიგიის თავისუფლების გარეშე აშკარა საფრთხე ემუქრება როგორც სიტყვის, ისე პრესის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას. ასევე ნათელია, რომ ადამიანის რელიგიური უფლებების აღიარების გარეშე საფრთხის ქვეშ დგას ზოგადად უფლება განსხვავებულობაზე. როგორც შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ ჩარლზ ევანს ჰიუზმა აღნიშნა, „როდესაც ვკარგავთ უფლებას, ვიყოთ განსხვავებულნი, ჩვენ ვკარგავთ უფლებას, ვიყოთ თავისუფალნი“.

პატივისცემა რელიგიური უფლებებისადმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის სხვა უფლებებზე სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვისა და ინდივიდუალური მოქალაქეების ღირებულებაზე მისი შეხედულების განსაზღვრის თვალსაზრისით. სინამდვილეში, როდესაც სახელმწიფო პატივს სცემს რელიგიურ უფლებებს, იგი თავისი მოქალაქეების ღირსებაზე რეალურ ზრუნვას გამოხატავს. ასეთი აღიარება არა მხოლოდ სახელმწიფოს შეზღუდული ხელისუფლების დადასტურებაა, არამედ, სავარაუდოდ, ადამიანის სხვა, როგორც პოლიტიკური და სამოქალაქო, ისე სოციალური და ეკონომიკური უფლებების გაცლიებით ფართო აღიარებაში გადაიზრდება. თუ კარილო ალბრონოზის სიტყვებს მოვიშველიებთ, სავსებით ლოგიკურია იმის მტკიცება, რომ

ადამიანის უზენაესი ღირებულებების (რელიგიური ხასიათის) პატივისცემა იქნება ადამიანის ყველა სხვა ღირებულების დასკვნითი „ტესტი“ და საუკეთესო გარანტია. თუკი, მაგალითად, ტოტალიტარული სახელმწიფო არ აღიარებს თვით რელიგიის ყველაზე სულიერ სფეროს და ადამიანის შინაგან ავტონომიას, ის, სავარაუდოდ, არც სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი ფასეულობებისა და შინაგანი სფეროების წინაშე დაიხვეს უკან. ამის გათვალისწინებით, სავსებით სწორია შეხედულება, რომ, თუ საზოგადოება პატივს არ სცემს რელიგიასა და მის თავისუფლებას, არავინაა უზრუნველყოფილი, რომ მათ მიმართ გამოიჩინენ პატივისცემას.<sup>95</sup>

რელიგიისა და რწმენის ნიადაგზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის დეკლარაციის მიღებით გაერომ აღიარა, რომ ასეთი დისკრიმინაცია განხილული უნდა იქნეს როგორც არა მხოლოდ ადამიანის ღირსების დამცირება, არამედ როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში განმტკიცებული პრინციპების უარყოფა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გარანტირებული უფლებების დარღვევა. როგორც ქვემოთ უკვე აღინიშნა, რელიგიური უფლებები არ არის მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ კორპორატიული და სოციალურიცაა, ამიტომაც ისინი უნდა მოიცავდეს უფლებას შესაბამის სოციალურ კონტექსტში რელიგიურ გაერთიანებასა და რელიგიის გამოხატვაზე. რელიგიური უფლებების, როგორც ადამიანის ყველა სხვა უფლების – სამოქალაქო, ეკონომიკური და სოციალური – ქვაკუთხედად აღიარება თავისუფალი და პლურალისტური ნაცია-სახელმწიფოს წარმოქმნაზე მნიშვნელოვან, სადაც შესაძლებელია ინდივიდუალური და სოციალური უფლებებისადმი პატივისცემის რეალიზება.

### **ადამიანის რელიგიური უფლებები და საერთაშორისო საზოგადოება**

დაბოლოს, ადამიანის რელიგიური უფლებების აპოლოგია შეგვიძლია დავინახოთ საერთაშორისო სამართალში და საერთაშორისო ხელშეკრულებებით რელიგიური უფლებებისათვის მინიჭებულ აღიარებაში, კერძოდ, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში (1948), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში (1955), ჰელსინკის დასკვნითი აქტის პრინციპებში (1975) და რელიგიისა და რწმენის ნიადაგზე ნებისმიერი ფორმის შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის დეკლარაციაში (1981).

იმის მიუხედავად, რომ რელიგიის თავისუფლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მხარდაჭერილი იყო ცალკეული ინდივიდებისა და რელიგიური დისიდენტების მიერ, რომლებიც, სულ მცირე, თავისთვის მოითხოვდნენ მას, რელიგიის თავისუფლების სრული რეალიზება არ მომხდარა თანამედროვე ეპოქამდე და, დღესაც კი, იგი შორს არის რეალობისგან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამის მიუხედავად, რელიგიის თავისუფლება საერთაშორისო სამართლის აღიარებული პოსტულატია. უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფორმირებიდან (1945) სულ მცირე დროში გადაიდგა თანმიმდევრული ნაბიჯები რელიგიის თავისუფლების პრინციპის, როგორც ფუნდამენტური უფლების, ფორმულირებისათვის. გაეროს წესდებაში მოცემული ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია „ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსება და თანასწორობა“. აქედან გამომდინარე, ყველა წევრ-სახელმწიფოს მიერ აღებული იქნა ვალდებულება, „განეხორციელებინა, როგორც ერთობლივი, ისე დამოუკიდებელი ქმედებანი ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვისადმი საყოველთაო პატივისცემის, ხელშეწყობისა და მხარდაჭერისათვის, მიუხედავად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა“.

დაფუძნებიდან სამი წლის შემდგომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, სადაც განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვი-



ლებული რელიგიის თავისუფლებაზე, როგორც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებაზე. მეორე მუხლის თანახმად, დეკლარაციაში გაცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული აქვს თითოეულ ადამიანს, მიუხედავად რელიგიისა და რწმენისა. მე-18 მუხლის მიხედვით კი, „ყველა ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაზე; ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და რწმენის შეცვლის, ერთპიროვნულად ან საზოგადოებაში სხვებთან ერთად, კერძოდ ან საჯაროდ რელიგიის გამოხატვის თავისუფლებას, სწავლებით, ღვთისმსახურებით, რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულებით.“ დეკლარაციის ეს ნაწილი სხვადასხვა ფორმით იქნა ინკორპორირებული მრავალი სახელმწიფოს ეროვნულ კონსტიტუციაში.

თითქმის ოთხი ათწლეულის განმავლობაში მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების შედეგად გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „დეკლარაცია რელიგიისა და რწმენის ნიჟარაზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, სადაც ასევე განმტკიცებული იქნა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ გათვალისწინებული რელიგიური უფლებები. გარდა ამისა, 1981 წლის დეკლარაცია კატეგორიულად აცხადებს, რომ „არავინ არ შეიძლება გახდეს ნებისმიერი სახელმწიფოს, დაწესებულების, ადამიანთა ჯგუფის ან პიროვნების მხრიდან დისკრიმინაციის მსხვერპლი რელიგიის ან სხვა მრწამსის საფუძველზე“. ასეთი დისკრიმინაცია, დეკლარაციის მიხედვით, არის არა მხოლოდ ადამიანის ღირსების „შელახვა“, არამედ გაეროს წესდებაში განმტკიცებულ პრინციპთა „უარყოფა“ და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“ გარანტირებულ უფლებათა დარღვევა“. აქედან გამომდინარე, რელიგიური უფლებები სამუდამოდ იქნა აღიარებული ერთა თანამეგობრობაში, როგორც ადამიანის ხელშეუვალი უფლება.

საერთაშორისო სამართალში რელიგიის თავისუფლების მზარდ აღიარებას თან სდევდა ეკლესიათა მხრიდან მისი ფართო ეკუმენური მხარდაჭერა. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პირველი ასამბლეის მიერ 1948 წელს რელიგიის თავისუფლების გამოკვეთილად მხარდაჭერი მოსაზრება იქნა გატარებული შედგენილ დოკუმენტში, რომელსაც ეწოდა „რელიგიის თავისუფლების დეკლარაცია“. დეკლარაცია ეკლესიებს მოუწოდებდა, მხარი დაეჭირათ „ნებისმიერი მცდელობისათვის, რომელიც მიმართული იყო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტის ფარგლებში რელიგიისა და სინდისის თავისუფლების ადეკვატური დაცვის გარანტირებისაკენ“, რაც მოიცავდა „ყველა ადამიანის უფლებას მრწამსის ქონასა და შეცვლაზე, მის გამოხატვაზე ღვთისმსახურებისა და რიტუალების გზით, სხვების დამოძღვრასა და დარწმუნებაზე, საკუთარი შეილების რელიგიური განათლების შესახებ გადამწყვეტილების მიღებაზე.“ დეკლარაციაში შემდგომში აღნიშნული იყო, რომ რელიგიის თავისუფლება „საერთაშორისო წესრიგის არსებითი ელემენტია ... რომელიც ყველგან უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.“<sup>96</sup> დეკლარაცია მოუწოდებდა ყველა ქრისტიანს, არ მოეთხოვათ მათთვის იმ პრივილეგიების მინიჭება, რომლებიც სხვებისთვის არ იქნებოდა ხელმისაწვდომი. ამსტერდამში მიღებული დეკლარაცია კვლავ რჩება რელიგიის თავისუფლების ისტორიაში შემობრუნების წერტილად და, სავარაუდოდ, დიდი გავლენა იქონია გაეროს მიერ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ საბოლოო ვარიანტის მიღებაზე (რამდენიმე თვის შემდგომ ამსტერდამის დეკლარაციის მიღებიდან).

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მომდევნო შეკრებები არა მხოლოდ ადასტურებს ამსტერდამის დეკლარაციის მნიშვნელობას, არამედ აგრძელებს რელიგიური უფლებებისა და რელიგიის თავისუფლებისადმი საბჭოს ერთგულებას. ანალოგიურად, განსაკუთრებულად აღსანიშნავია რელიგიის თავისუფლების მხარდაჭერა რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ. კორპორაციულ თავისუფლებაზე ბუნებითი უფლების, ისევე, როგორც ინდივიდუალური რელიგიის თავისუფლების აღიარებისას, ვატიკანის მეორე საეკლესიო კრებამ განაცხადა: „რელიგიის თავისუფლებაზე ადამიანის უფლების საფუძველი ადამიანის პიროვნების ღირსებაშია; დაუშვებელია

ადამიანის იძულება, იმოქმედოს თავისი სინდისის საწინააღმდეგოდ; რელიგიურ საზოგადოებებს აქვთ თავიანთი მრწამსის დაუბრკოლებლად, როგორც ბეჭდვითი, ისე ზეპირი ფორმით საჯარო სწავლებისა და გაცხადების უფლება.<sup>497</sup>

აქვე აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ისტორიულად რელიგიის თავისუფლებისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები რელიგიის ნიადაგზე უფლებაჩამორთმეული და დევნილი რელიგიური უმცირესობებისა და დისიდენტების მხრიდან მოდიოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამყაროში ძირითადი პროგრესული ნაბიჯები ადამიანის რელიგიური უფლებებისა და რელიგიის თავისუფლების აღიარების მიმართ გადაიდგა არა რელიგიური კონფესიების, საბჭოებისა და სინოდების, არამედ კონსტიტუციების, საკანონმდებლო ორგანოებისა და სასამართლოების მიერ. შუა საუკუნეების შემდგომ ახალი ნაცია-სახელმწიფოებისა და ახალი ეროვნული სულის აღმოცენებამ ისე შეასუსტა უძველესი ეკლესიების პოლიტიკური ძალაუფლება, რომ მათ ვერ შეძლეს ავტორიტეტის აღდგენა. თანდათანობით რელიგიის თავისუფლება თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოს დაუკავშირდა. მეოცე საუკუნეში მსოფლიო მასშტაბით როგორც რწმენაზე დაფუძნებულ საზოგადოებებს, ისე ნაცია-სახელმწიფოებს შორის, სულ მცირე, გარკვეულ დონეზე მაინც, ჩამოყალიბდა ფართო კონსენსუსი რელიგიის თავისუფლების პრინციპის მხარდაჭერასთან დაკავშირებით.

რელიგიის თავისუფლების სამართლებრივ აღიარებას, როგორც პრინციპის დონეზე, ისე პრაქტიკაშიც, განსაკუთრებით დაეხმარა საერთაშორისო ურთიერთობები, რაც გადაიზარდა სახელმწიფოებს შორის ხელშეკრულებათა რატიფიკაციაში. ორმოცდაათი წლის წინ დაწერილ რელიგიის თავისუფლების შესახებ ერთ-ერთ ძირითად სწავლებაში აღნიშნული იყო, რომ „საერთაშორისო სამართალი და რელიგიის თავისუფლება მჭიდრო ურთიერთკავშირში ვითარდებოდა“.<sup>98</sup> სწავლებაში ნათლად ჩანს, რომ საერთაშორისო სამართლის ძირითად ხელშეკრულებათა ავტორების დიდი უმრავლესობა, საერთაშორისო სამართლის კოდიფიკატორ, ჰუგო გროციუსის დროიდან მოყოლებული, საკუთარ დოკუმენტებში ეხებოდა რელიგიის თავისუფლებას. მე-19 საუკუნეში, რომელიც განსხვავებულ რელიგიურ ტრადიციებთან იდენტიფიცირებული სუვერენული სახელმწიფოებით ხასიათდებოდა, ხელშეკრულებათა შემუშავებისას წესად იქცა მათში იმ დებულებების შეტანა, რომლებიც რელიგიის გამოხატვის უფლებას ანიჭებდა თითოეული მონაწილე მხარის მოქალაქეებს სხვა კონტრაქტორთა ტერიტორიაზე.

არსებობს საერთაშორისო შეთანხმებებით რელიგიის თავისუფლების ხელშეწყობის მრავალი მაგალითი. რუსეთ-თურქეთის ომის დასასრულს მიღებული ბერლინის შეთანხმება (1878), რელიგიური უმცირესობების თანაბარი უფლებების შესახებ თავისი დებულებებით, აღიარებული იქნა, „რელიგიის თავისუფლებაზე საერთაშორისო შეთანხმების ყველაზე მნიშვნელოვან გამოხატვად“ პირველ მსოფლიო ომამდე. რელიგიის თავისუფლების ერთგვარად მსგავსი გარანტიები იქნა შეტანილი აფრიკულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ გენერალურ აქტსა (რომელსაც ხელი მოეწერა ბერლინში 1885 წელს) და უმცირესობათა ხელშეკრულებებში 1919-23 წლებში პირველი მსოფლიო ომის შემდგომ. უფრო მოგვიანებით, 1975 წელს, ოცდათხუთმეტმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი ჰელსინკის დასკვნით აქტს (ევროპაში უშიშროებასა და თანამშრომლობაზე გამართული კონფერენციის დასკვნითი აქტი), სადაც რელიგიური უფლებები იქცა ევროპის, კანადისა და ამერიკის 35 სახელმწიფოს შორის დადებული ძირითადი საერთაშორისო შეთანხმების განუყოფელ ნაწილად. დოკუმენტის მე-7 პრინციპი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა პატივისცემაზე, აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ჩათვლით“. ამავე პერიოდში მეტი და მეტი ქვეყანა კისრულობდა კონსტიტუციურ და სახელშეკრულებო ვალდებულებებს საკუთარი მოქალაქეების, ისევე, როგორც უცხოელი რეზიდენტების რელიგიის თავისუფლების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. მსოფლიოს

ძირითად რელიგიათა მიმდევრების ფართო გეოგრაფიული განაწილების წყალობით უკვე თავად რელიგიები აპროტესტებდნენ იმ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც უარყოფდა მათი მრწამსის მიმდევართა და საზოგადოებათა რელიგიურ უფლებებს.

თანამედროვე რეალობაში რელიგიის თავისუფლების პრინციპი იქცა თითქმის უნივერსალურად აღიარებულ ერთ-ერთ აქსიომატურ ვალდებულებად. გარკვეული მოდიფიცირებული ფორმით რელიგიის თავისუფლების პრინციპი, ფაქტობრივად, ყველა ეროვნულმა ხელისუფლებამ განამტკიცა თავისი ქვეყნის კანონმდებლობაში. თუმცა უაღრესად შეზღუდული, მაგრამ რელიგიის თავისუფლების გარკვეული გარანტიები მსოფლიოს მასშტაბით თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში გვხვდება.

ამის მიუხედავად, რელიგიის თავისუფლება და ადამიანის რელიგიური უფლებების პატივისცემა შორს არის სრულად რეალიზებისგან თანამედროვე მსოფლიოს მრავალ ნაწილში. გასაკვირია, თუმცა სწორედ მეოცე საუკუნეში, როცა საერთაშორისო სამართლის ნორმად და, ფაქტობრივად, უნივერსალურად აღიარებულ პრინციპად რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის რელიგიური უფლებების აღმოცენების მომსწრე გავხდით, განხორციელდა ხსენებული უფლებებისა და თავისუფლების მრავალჯერადი და სასტიკი შელახვა. პირველად სამყაროს ისტორიაში ქვეყნების სათავეებში მოვიდნენ ხელისუფალნი, რომლებიც უცვლელად მტრულ დამოკიდებულებას იჩენდნენ რელიგიის მიმართ და გამოკვეთილად მოქმედებდნენ ყველა რელიგიის ძირფესვიანად აღმოფხვრის განზრახვით.

როგორც ძველი, ისე ახალი ნაცია-სახელმწიფოების დემოკრატიებში ადამიანის რელიგიური უფლებები – რელიგიის თავისუფლება – თავისუფალი საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად არის მიჩნეული. მაგალითად, ევროპის მასშტაბით კონსტიტუციურ რეფორმათა კომისიები ჩართულნი არიან რელიგიური უფლებებისა და რელიგიის თავისუფლების გარანტიების უზრუნველყოფაში. ზოგიერთ ქვეყანაში შეიქმნა მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომიტეტები მიმდინარე რეჟიმში რელიგიასთან შეხებაში მყოფ ახალ კანონებთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ გადაუჭრელია მრავალი კომპლექსური და რთული საკითხი, რელიგიის თავისუფლებამ, ისე როგორც არასდროს, დემოკრატიისა და თავისუფლებისაკენ სახელმწიფოთა მსვლელობის პროცესში ფუნდამენტური მნიშვნელობა შეიძინა.

## რელიგიის თავისუფლების პერსპექტივები

ადამიანის უფლება რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, მსოფლიო მასშტაბით სახელმწიფოთა კონსტიტუციების უმრავლესობაში აისახა. თუმცა ჩვენს მზარდად საერო სამყაროში ამ ღირებულებამ უკანა პლანზე გადაინია და თავისი ინტერესის სფერო შემოფარგლა მხოლოდ ადამიანური ღირსების ისეთი არსებითი ხელყოფის, როგორცაა წამება და სხვა არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობა, აღკვეთის ამოცანით. ერთ-ერთი ავტორის მტკიცებით, რელიგიის თავისუფლება იქცა „ადამიანის უფლებათა მოძრაობის უგულვლესყოფილ გერად“. იმის მიუხედავად, რა მეტაფორას გამოვიყენებთ თავისუფლების არსებული მდგომარეობის დასახასიათებლად ყოფილ იუგოსლავიაში, ირლანდიასა თუ ლიბანში, არც თუ ისე შორეულ წარსულში განვითარებული მოვლენები იმის ნათელ შესხენებას წარმოადგენს, რომ რელიგიური კონფლიქტები, შესაძლოა, კრიზისულ საზოგადოებრივ პრობლემებში გადაიზარდოს.

სულ უფრო იზრდება ფუნდამენტური ეროვნული სამართლის საკითხიდან რელიგიის თავისუფლების ქეშმარიტად საერთაშორისო უფლებად რეკონცეპტუალიზაციის აუცილებლობა. გარემომცველ სამყაროსთან დაკავშირებული საკითხების მსგავსად, რელიგიური იდენტურობის პრობლემა სცდება ეროვნულ საზღვრებს. ერთ ქვეყანაში რელიგიურ საზოგადოებებზე მძიმე ტვირთის დაკისრებას ან მათთვის ზიანის მიყენებას მწვავედ განიცდიან სხვა სახელმწიფოში მყოფი იმავე რელიგიის მიმდევრები. უფრო მეტიც, გლობალური პერსპექტივა ხელს უწყობს წონასწორობის აღდგენას და, შესაბამისად, შურისძიების ნახალისებას. გლობალურ დონეზე ყველა – ქრისტიანი, მუსლიმი, ებრაელი, ბუდისტი, ინდუსი, ნებისმიერი სხვა რელიგიის მიმდევარი ან არამორწმუნე – უმცირესობის ჯგუფის ნაწილს წარმოადგენს. რაც უნდა დომინანტურ პოზიციაში იმყოფებოდეს განსაზღვრული ჯგუფი

ერთ ქვეყანაში, ჩვენი პლურალისტური სამყაროს რომელიმე სხვა ადგილას ის უმცირესობის ნაწილია. სწორედ აღნიშნული რეალობები ქმნის იმ საერთო სურათს, რომელთან შეპირისპირებაშიც უნდა მოხდეს რელიგიის თავისუფლების და გააზრება.

რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი დაცვა მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა სახელმწიფოში და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის პოლიტიკური რეჟიმის სტაბილურობაზე, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ტრადიციული ურთიერთობის ბუნებასა და ისტორიაზე, ადგილობრივ დონეზე რელიგიური პლურალიზმის ხარისხზე, დომინანტი რელიგიის (ან რელიგიების) ხასიათზე და მის (მათ) შინაგან დამოკიდებულებაზე რელიგიის თავისუფლებისა და შემწყნარებლობისადმი, რელიგიური ჯგუფების ურთიერთკავშირის ისტორიასა და სხვა მრავალ გარემოებაზე. კულტურული მრავალფეროვნების ჭრილში რელიგიის თავისუფლების საკითხის განხილვისას მრავალი შეუსაბამობა იჩენს თავს ამ თავისუფლების უფლებათა ბუნების მიმართ. ეს განსაკუთრებით დასტურდება ევროპასა და ამერიკაში, სადაც დასავლურმა კონსტიტუციურმა ტრადიციებმა და ადამიანის უფლებათა უამრავმა საერთაშორისო შეთანხმებამ უდიდესი გავლენა იქონია რელიგიის თავისუფლების ნორმათა არტიკულაციაზე. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ რელიგიის თავისუფლების განმსაზღვრელი ვერბალური ფორმულები თანმხვედრი ხასიათისაა, მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს სხვადასხვა ქვეყანაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ინსტიტუციონალიზაციისა და რელიგიის თავისუფლების მიღწევის გზებში.

ნიგნის მოცემული ქვეთავი მოწოდებულია, შეიმუშაოს სტრუქტურა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება ამა თუ იმ სამართლებრივ სისტემაში რელიგიის თავისუფლების იმპლემენტაციის ინსტიტუციური საშუალებების დასახვა და ამ პროცესში მოცემული სტრუქტურის ცალკეულ ასპექტებთან კავშირში მყოფი ფილოსოფიური და პრაქტიკული საკითხების მიმოხილვა.

### **რელიგიის თავისუფლების ტექტონიკა**

უახლოეს წარსულში მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში განხორციელდა ექსტრაორდინარული კონსტიტუციური ცვლილებები. მეოცე საუკუნის ბოლოს მრავალი მოვლენის მომსწრენი გავხდით ბერლინის კედლის ნგრევიდან კომუნიზმის კოლაფსამდე. ეს კოლაფსი და მისი ტალღოვანი ზემოქმედება, არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში, არამედ სამყაროს სხვა ნაწილებშიც, თან სდევდა კონსტიტუციური ცვლილებების უპრეცედენტო პროცესს. ახალი კონსტიტუციები იქნა შემუშავებული პოსტკომუნისტურ ბლოკში. სამხრეთ აფრიკაში აპართეიდის ინსტიტუტები აღმოიფხვრა, რელიგიური დაძაბულობა ირლანდიაში კი განმუხტვისაკენ წარიმართა.

ამ პერიოდის ეიფორიამ პროგრესულად იმოქმედა რელიგიის თავისუფლების სამართალზე. ახალი კონსტიტუციები თანაბრად შეიცავს დებულებებს რელიგიის თავისუფლების შესახებ.<sup>99</sup> გარდა ამისა, გვაქვს სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანების შესახებ „აღმასრულებელი“ კანონმდებლობის შემუშავების მაგალითები, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კონსტიტუციურ სივრცეში მოქმედების გამო. ანალოგიური ტიპის სამართლებრივ რეფორმებს ადგილი ჰქონდა არა მარტო ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში, არამედ ლათინურ ამერიკაშიც, სადაც განსაკუთრებით აღსანიშნავია მექსიკის კონსტიტუციის ანტიკლერიკალური დებულებების გაუქმება.<sup>100</sup>

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს პერიოდი ექსტრაორდინარული იყო ზოგადად კონსტიტუციონალიზმის, განსაკუთრებით კი რელიგიის თავისუფლებისათვის. თუმცა, 1989 წლის შემდგომი ეიფორიის ძირითადი ელემენტების თანდათანობით გაქრობასთან ერთად, ნათელი

ხდება, რომ რელიგიის თავისუფლებას კვლავ უამრავი პრობლემა შეხვედება გზად და ამ სირთულეთა გადალახვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო უსაფრთხოებისა და საყოველთაო მშვიდობისათვის. ამის საფრთხე სულ უფრო ცხადი გახდება, თუ საერთაშორისო დაძაბულობის წყაროებს მიმოვიხილავთ. კომუნიზმის კოლაფსთან ერთად ჩვენ მონმენი გავხდით უძველესი კულტურული განსხვავებების ნათლად წარმოჩენისა, რასაც პროფესორმა ჰანტინგტონმა „ცივილიზაციათა შეჯახება“ უწოდა.<sup>101</sup> ფუნდამენტურად განსხვავებულ ცივილიზაციებს შორის დაძაბულობა საფუძვლად უდევს და უმეტესწილად ხსნის თანამედროვე მსოფლიოში არსებულ დაპირისპირებებს. მსგავსი კონფლიქტების უმრავლესობა მხოლოდ მონინაალმდევე ცივილიზაციებს შორის ხანგრძლივი ბრძოლის უკანასკნელ სეიმურ აქტივობებს წარმოადგენს.

სავარაუდოდ, ცივილიზაციათა ხსენებული შეჯახების ყველაზე ახალგაზრდა ნაირსახეობას წარმოადგენს დაპირისპირება პროტესტანტიზმსა და კათოლიციზმს შორის. ეს კულტურული განსხვავება კვლავ ძალზე მწვავედ წარმოჩნდება ჩრდილოეთ ირლანდიაში და დასავლეთ ნახევარსფეროში ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ფაქტორად რჩება. თუ უფრო ფართოდ განვიხილავთ მოცემულ დაპირისპირებას, შეიძლება ითქვას, რომ რელიგიის თავისუფლების თანამედროვე კონცეფციები სწორედ ამ ფუნდამენტური კულტურული განხეთქილებიდან გამომდინარე ბრძოლისა და საზოგადოებრივი მღელვარების შედეგია. თავდაპირველად, როცა მათი იმპლემენტაცია განხორციელდა ამერიკის მიწაზე, რელიგიის თავისუფლების ამ აქსიომატურმა ცნებებმა დაადასტურა, რომ დაპირისპირებულ ცივილიზაციებს შორის რელიგიურად მოტივირებული დაძაბულობის განმუხტვის საშუალებას წარმოადგენენ.

თუ ისტორიაში უფრო ღრმად და პოლიტიკური გეოგრაფიის აღმოსავლეთით გადავინაცვლებთ, სხვა უმნიშვნელოვანეს კულტურულ წყალგამყოფს მივადგებით, რომელიც აღმოსავლური (მართლმადიდებელი) და დასავლური ქრისტიანობის სეპარაციას ახდენს. სახარების ქადაგებისა და პროზელიტიზმისადმი განსხვავებული მიდგომები დაპირისპირების უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცა. მართლმადიდებლური აღმოსავლეთი ქრისტიანულ მრწამსზე გადმობირების დასავლურ მცდელობებს კულტურულ შეურაცხყოფად განიხილავს: „ეს ადგილები ქრისტიანული იყო ათასწლეულის განმავლობაში; რატომ უნდა მოვიდნენ აქ მისიონერები?“ დასავლური რელიგიური ჯგუფები კი გაცილებით პლურალისტური სამყაროდან მოდიან და შეზღუდვებს მათ საქმიანობაზე განიხილავენ იმის დამადასტურებელ მტკიცებულებად, რომ ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებს ჯერ კიდევ საკმარისად კარგად არ აუთვისებიათ თავისუფლების თანამედროვე კონცეფციები. ეს საპირისპირო წარმოდგენები კიდევ უფრო მწვავედ ეკონომიკური და პოლიტიკური სხვაობით. ორმოცდაათ, თუ სამოცდაათწლიანი კომუნისტური მმართველობის ქვეშ დასუსტებული მართლმადიდებლური ტრადიცია საფრთხედ განიხილავს ექსპანსიურ ევანგელისტურ კამპანიებს, რომლებსაც ეფექტური სარეკლამო ტექნოლოგიებისა და თანამედროვე მედიის გამოყენება თავიანთი „მესაჯის“ გასავრცელებლად შეუძლიათ. მეორე მხრივ, დასავლური ჯგუფები ეჭვის თვლით უყურებენ ნაციონალიზმით განმტკიცებულ მართლმადიდებლურ გავლენას, რომელსაც შეუძლია უსამართლო და სწირად ფარული კონტროლი განახორციელოს ბიუროკრატიულ აპარატებზე, რომელთა უფლებამოსილებასაც მიეკუთვნება, მიიღონ გადანყვეტილებები რელიგიურ მუშა-მოსამსახურეთა თუ მოხალისეთა უნარზე, შეაღწიონ მართლმადიდებლური ქვეყნების ტერიტორიაზე და საკუთარი რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაცია მოახდინონ. სავარაუდოდ, ამ კონფლიქტების უმრავლესობა გარდამავალი პერიოდის ტრავმების შედეგია და დროთა განმავლობაში რელიგიის თავისუფლებისა და ორმხრივი პატივისცემის პრინციპების იმპლემენტაცია იმ მდგრად



ურთიერთობებში გადაიზრდება, რომლებიც დღესდღეობით დასავლეთ ევროპაში დომინირებს.

კიდევ უფრო ძველი და დღესდღეობით ყველაზე კრიტიკულია დაძაბულობა ისლამსა და ქრისტიანობას შორის. კოლიზია დასავლურ, აღმოსავლურ და მუსლიმურ მსოფლმხედველობას შორის ნათლად გამოჩნდა ბოსნიაში. უნდა ითქვას, რომ აღმოსავლური ქვეყნების მიერ დასავლეთთან კავშირის განმტკიცებით, საერთაშორისო დონეზე ქრისტიანულ-მუსლიმური მიმართულებების პოლარიზაცია სულ უფრო ძლიერდება. ამავე დროს, მოსალოდნელია სიტუაციის გართულება როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე. მუსლიმური უმცირესობების რაოდენობის ზრდამ ევროპაში შესაძლოა შექმნას ნიადაგი პოლიტიკური პარტიების მოქმედებისათვის. დროთა განმავლობაში ამან შეიძლება მიგვიყვანოს რელიგიურ მიმართულებებს შორის წინააღმდეგობის ზრდამდე და, შესაბამისად, დასავლურ ქვეყნებში ქრისტიანულ-მუსლიმური დაძაბულობის წარმოქმნამდე. აღნიშნული სირთულეები კიდევ უფრო კომპლექსური ხდება იმის გამო, რომ ლიბერალური პოლიტიკური კულტურის ისეთი ფუნდამენტური აქსიომები, როგორებიცაა თანასწორობა და სახელმწიფოს ნეიტრალობა რელიგიის მიმართ ხშირად სრულიად უცხო ხილია ისლამურ კონტექსტში. ზოგადად, ისლამს შემწყნარებლობის გაცილებით უკეთესი ისტორია აქვს, ვიდრე ქრისტიანობას, თუმცა შეწყნარებულები ყოველთვის მეორეხარისხოვან პოზიციაში იმყოფებოდნენ და არც ყურანშია რაიმე ნათქვამი იმის თაობაზე, რომ სხვა რელიგიები ისლამთან გათანაბრებულ მდგომარეობაში უნდა იქნენ ჩაყენებულნი. ნაწილობრივ, ისლამურ ქვეყნებში დასავლური იმპერიალიზმის ძალისხმევისა და თეოლოგიაში არსებული არსებითი განსხვავებების გამოც მრავალი მუსლიმანი ლიდერი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმებს დასავლური ნეოიმპერიალიზმის მოქნილ ფორმად უფრო განიხილავს, ვიდრე ჭეშმარიტად უნივერსალურ ღირებულებებად. ამ პრობლემებს დამატებული მწვავე ეკონომიკური სირთულეები და ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელება ცივილიზაციათა დაპირისპირებას ყველაზე ძნელად მოსაგვარებელს ხდის.

ისტორიულად განხეთქილების სხვა კულტურული წყაროები იჩენს თავს აღმოსავლეთით. გრძელდება ებრაული კონფლიქტი სხვა მსოფლიო რელიგიებთან, რამაც უკვე გამოიწვია მსოფლიო მშვიდობის დარღვევა შუა აღმოსავლეთში. თუმცა ამ კონფლიქტის ძირითად გამოხატულებას მაინც საუკუნის ყველაზე დიდი ტრაგედია, ებრაელების გენოციდი წარმოადგენს. მსოფლიოს სხვა ძირითადი რელიგიები და მსოფლმხედველობები ქმნიან სხვა ძირითად კულტურებს. ამ ჭრილში კვლევას ექვემდებარება ასევე ინდუიზმი, სიქიზმი, ბუდიზმი, კონფუციანიზმი და ა. შ. მოდერნიზაციის გავლენის მიუხედავად, ეს ტრადიციები კვლავ განაგრძობენ სხვადასხვა კულტურის ფორმირებას მსოფლიოს მრავალ ნაწილში. აზრთა სხვაობა მათ შორის ისეთსავე დაძაბულობის კერას ქმნის, როგორც ქრისტიანულ განშტოებებს შორის.

დღეისათვის, როდესაც მარქსიზმმა დრო მოჰამა ან, სულ მცირე, განიარაღებულ იქნა, დაძაბულობის უკანასკნელ კერას, რომლის აღნიშვნაც ღირს, წარმოადგენს საგანმანათლებლო სეკულარიზმი. ეს მსოფლმხედველობა ხშირად „ნეიტრალური“ და „მეცნიერული“ პოზიციის მანტიამი გვევლინება, თუმცა მსოფლიოს არაერთი რელიგიის მიერ იგი უკიდურესი საფრთხის შემცველად განიხილება. უნდა ითქვას, რომ პოსტსაგანმანათლებლო ანტიკლერიკალიზმს უსასტიკესი ფორმები მიუღია. ქრისტიანული და მუსლიმური ფუნდამენტალიზმის აღზევება შესაძლოა ნაწილობრივ განმარტებული იქნეს, როგორც საპასუხო რეაქცია ამ გავრცელებულ ახალ კულტურულ ძალაზე. სოციოლოგ ჯეიმს დევისონ ჰანტიერის მტკიცებით, თანამედროვე შეერთებულ შტატებში ძირითადი კულტურული ომები მოიცავს დაპირისპირებას არა კათოლიციზმს, პროტესტანტიზმსა და იუდაიზმს, არამედ ამ ტრადიციათა ორთოდოქსულ ძალებსა და საგანმანათლებლო სეკულარიზმთან დაკავშირებულ „პროგრესულ“ ორიენ-

ტაციას შორის.<sup>102</sup> იგივე ითქმის სამყაროს სხვა ნაწილებზეც: დაპირისპირება სხვადასხვა რელიგიურ მსოფლმხედველობას შორის დაჩრდილულ იქნა დაძაბულობით ტრადიციულ რელიგიურ წარმოდგენებსა და უფრო სეკულარისტულ ორიენტაციებს შორის.

ხშირად რელიგიის თავისუფლების იდეალი განიხილება საგანმანათლებლო სეკულარიზმიდან წარმოქმნილ მოვლენად, განსაკუთრებით საკუთარი ჰომოგენურობის შენარჩუნებისაკენ მიდრეკილ ტრადიციულ კულტურებში. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით აიხსნება ადამიანის რელიგიურ უფლებათა ნორმების აღიარებისადმი ისლამური კულტურების წინააღმდეგობა. გამოსავალს მოცემულ შემთხვევაში რელიგიის თავისუფლების იმგვარი გააზრების მიღწევა წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც თავისუფლება როგორც რელიგიური, ისე საერო ტრადიციებისათვის საერთო ფასეულობად იქნება აღიარებული. თუმცა ამ სფეროში კონსენსუსის მიღწევა უჩვეულოდ რთული ამოცანაა.

პრობლემის კომპლექსურობის მიუხედავად, რელიგიის თავისუფლების იდეალების პროგრესული იმპლემენტაცია (თუნდაც უმნიშვნელო სხვაობის მქონე იდეალებისა, რომლებიც განსხვავებული რელიგიური და საერო ტრადიციებიდან მომდინარეობს) თანამედროვე მსოფლიოში დაპირისპირებულ ცივილიზაციათა დაძაბულობის აშკარა კერების აღმოფხვრის გასაღებია.

### რელიგიის თავისუფლების ლოკისეული რევოლუცია

„რელიგიური პლურალიზმის ტექტონიკის“ შემადგენელი უძველესი კულტურული სხვაობების ზედაპირზე გამოჩენა უზრუნველყოფს საფუძველს რელიგიის თავისუფლებაში ლოკისეული რევოლუციის ახლებურად გააზრებისათვის. მსოფლიოს მთელი ისტორიის განმავლობაში დომინირებდა წარმოდგენა, რომ რელიგიური ჭეშმარიტება მოითხოვდა რელიგიური მრწამსის სახელმწიფო იმპლემენტაციას და პოლიტიკურ სტაბილურობაში მოიაზრებოდა რელიგიური და კულტურული ჰომოგენურობა. რელიგიური წარმოდგენების განსაზღვრული ერთობლიობის ჭეშმარიტებად განხილვა ზოგადად ქმნიდა მათი იმპლემენტაციის ლოგიკურ საფუძველს. უფრო მეტიც, გაბატონებული იყო ვარაუდი, რომ შეუძლებელი იყო საზოგადოებაში სტაბილურობის მიღწევა დანესებული ჰომოგენური რელიგიის გარეშე, რომელიც შემკვერელი სოციალური რგოლი და არსებული რეჟიმისადმი ერთგულებისა და მორჩილების მძლავრი მოტივაცია იქნებოდა. ეს წარმოდგენა განმტკიცებული იყო ევროპის დამანგრეველი რელიგიური ომებით.

სულ მცირე, თეორიის დონეზე, თავის ნაშრომში *Letter Concerning Toleration*<sup>103</sup> (წერილი შემწყნარებლობის თაობაზე) ჯონ ლოკმა წარმოადგინა ზემოხსენებული შეხედულებისგან შთაბეჭდავად განსხვავებული მოსაზრება. ლოკის შეხედულებები, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად აღსანიშნავია იმ მყარი არგუმენტების გამო, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფო იძულების მანქანა არაფექტურია რელიგიურ სფეროში: სახელმწიფოს ძალებს აღემატება, ვინმეს იძულებით ღმერთისკენ შემობრუნება. მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც მას ხელენიფება, გარეგანი თვალთმაქცობის სტიმულირებაა. რელიგიის თავისუფლების თანამედროვე რეჟიმებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლოკის წერილის ბოლო ნაწილში ჩადებული აზრი:

*თუ ეკლესია, რომლის რელიგიასაც ეთანხმება ხელმწიფე, ისარგებლებს*

*სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერით, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდება, რომ ხელმწიფე კეთილი, ხოლო კანონები მის მიმართ კეთილგანწყობილია; რაოდენ უფრო დიდი იქნება ხელისუფლების უსაფრთხოება, სადაც ყველა კარგი სუბიექტი, მიუხედავად მისი რელიგიისა და რელიგიის მნიშვნელობის ნიადაგზე ყოველგვარი განსხვავების გარეშე, ისარგებლებს ხელმწიფისა და კანონების მხარდაჭერით, ამ*



*უკანასკნელთა საერთო მხარდამჭერად და დამცველად გადაიქცევა; აქ არავის ექნება კანონების სიმკაცრისადმი შიშის საფუძველი, იმათ გარდა, ვინც ზიანს აყენებს მეზობლებს და დანაშაულს სჩადის სამოქალაქო მშვიდობის წინააღმდეგ!*

ლოკის ამ განცხადების არსი იმაში მდგომარეობს, რომ შემწყნარებლობასა და პატივისცემას პოლიტიკური რეჟიმის დესტაბილიზაციის ნაცვლად სრულიად საპირისპირო შედეგის მოტანა შეუძლია. პლურალისტური საზოგადოების კონტექსტში, რეჟიმი, რომელიც პატივს სცემს განსხვავებულ მრწამსებს, მათ მხარდაჭერას მოიპოვებს, რაც უფრო მყარ სტაბილურობაში გადაიზრდება, ვიდრე ერთი დომინანტი ჯგუფისადმი კეთილგანწყობითაა შესაძლებელი. ლოკის მოსაზრების იდეა ის არის, რომ უმცირესობები იმდენად მადლობელი იქნებიან მათ მიმართ გააჩვენებული პატივისცემისათვის, რომ განხეთქილებისა და სოციალური დეზინტეგრაციის ცენტრებად გადაქცევის სანაცვლოდ მადლიერების გრძნობით და, შესაბამისად, არსებული რეჟიმისადმი ლოიალური დამოკიდებულებით განიმსჭვალებიან, რაც გაცილებით მტკიცე სოციალური სტაბილურობის საფუძველს შექმნის, ვიდრე საზოგადოების მძლავრი ელემენტების ჰეგემონიის განმტკიცება.

მსგავსი მსოფლმხედველობით საფუძველი ჩაეყარა რელიგიის თავისუფლებას თანამედროვე პოლიტიკურ რეჟიმებში. იმის საპირისპიროდ, რასაც საუკუნეების განმავლობაში მიიჩნევდნენ, ლოკის მტკიცებით, რელიგიურ საკითხებში არჩევანის თავისუფლება წარმოადგენს პოლიტიკური რეჟიმებისათვის როგორც ლეგიტიმურობის, ისე სტაბილურობის წყაროს. ამგვარი შეხედულება შეადგენდა კოპერნიკულ რევოლუციას პოლიტიკურ თეორიაში, რომელიც უდრიდა კანტის კოპერნიკულ რევოლუციას ეპისტემოლოგიასა და ეთიკურ ფილოსოფიაში. თუ კანტმა ფილოსოფიაში რევოლუცია მოახდინა გარე ობიექტიდან შინაგანზე ყურადღების ცენტრის გადატანით როგორც ემპირიული სამყაროს, ისე ეთიკის საფუძვლების გაგებაში, ლოკმა თავისი წარმოდგენით, თუ როგორ შეიძლება რელიგიურმა (უფრო ზოგადად კი პოლიტიკურმა) თავისუფლებამ, რომელსაც ყოველთვის ანარქიის წყაროდ განიხილავდნენ, დათესოს პოლიტიკური წესრიგი, პოლიტიკურ აზროვნებაში რევოლუციას დაუდო სათავე. შესაბამისად, ლოკის წარმოდგენებმა შესაძლებლობა მოგვცა, ახალი პერსპექტივის ქრილში დაგვეჩხა პოლიტიკური კოსმოსი. ფასეულობათა თანაფარსკვალავედის ცენტრში თავისუფლების მოთავსებითა და იმის აღიარებით, რომ პატივისცემა ინდივიდის თავისუფლებისა და ღირსებისადმი, თავის მხრივ, უმაღლესი რანგის მორალურ და რელიგიურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, ლოკმა პოლიტიკური საზოგადოებების სტაბილიზებისა და ლეგიტიმაციის საფუძვლების ტრანსფორმირება მოახდინა.

თავდაპირველად დაწესებული ეკლესიების მქონე შემწყნარებლური რეჟიმების, ხოლო შემდგომში რელიგიურად ნეიტრალურ ქვეყნებში რელიგიის თავისუფლების გამოცდილებამ ლოკისეული მიდგომა დაადასტურა. იდეა თავიდან, რა თქმა უნდა, თეორიულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ იგი რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული „ცხოვრებისეული ექსპერიმენტის“ ცენტრალურ ასპექტად იქცა შეერთებულ შტატებში. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში რელიგიის თავისუფლების იდეალმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა მსოფლიო მასშტაბით. იგი გამოკვეთილად არის აღიარებული ადამიანის უფლებათა ყველა ძირითად საერთაშორისო დეკლარაციასა<sup>104</sup> და კონვენციაში<sup>105</sup>, ისევე, როგორც მსოფლიო კონსტიტუციების უმრავლესობაში. ევროპული კონსტიტუციების უმრავლესობა და დასავლეთ ნახევარსფეროს ყველა კონსტიტუცია გამოკვეთილად უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლების დაცვას, თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა სხვადასხვა ქვეყანაში ამ ფასეულობის იმპლემენტაციის მეთოდებსა და მასშტაბებში.

მრავლისმეტყველია ის, რომ რელიგიის თავისუფლების პრინციპი სულ უფრო მეტ მხარდაჭერას იძენს რელიგიურ ტრადიციებში, ისევე, როგორც პლურალისტულ საზოგადოებებში,

მათ ხელისუფლებასა და კონსტიტუციებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია რომის პაპის ენციკლიკა<sup>106</sup> *Dignitatis Humanae Personae* (პიროვნების ღირსებისათვის), სადაც ხაზგასმული იყო კათოლიკური ტრადიციის შინაგანი დადასტურება ადამიანის ღირსების ასპექტად რელიგიის თავისუფლების აღიარების მნიშვნელობისა. ვატიკანის მაგალითი მრავალ რელიგიურ ტრადიციაში არსებული ტენდენციის მსგავსია.<sup>107</sup> ზოგადად, არსებობს მზარდი კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ აუცილებელია რელიგიის თავისუფლების პატივისცემა და რომ ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების დაცვა სტაბილურობასა და მშვიდობას განაპირობებს.

რელიგიის თავისუფლების საკითხზე არსებული კონსენსუსი ასახავს გლობალურ განზომილებაში პლურალიზმის საკითხის განხილვის უფრო ზოგად აუცილებლობას. ემიგრანტებისა და თავისუფალი შრომითი მოძრაობის წყალობით ძალზე მაღალი დემოგრაფიული პლურალიზმია მსოფლიოს მრავალ წერტილში. ჰომოგენურობის რღვევის გარდა, რასაც ასეთი მოძრაობები იწვევს, გლობალიზაცია თავისთავად აფართოებს პლურალიზმის გაგებას. თუმცა არსებითი რელიგიური ჰომოგენურობის ანკლავები კვლავაც შემორჩენილია სამყაროს ცალკეულ ნაწილებში, ან, სულ მცირე, არის ადგილები, სადაც ერთი რელიგიური ჯგუფი აშკარად უმრავლესობაში იმყოფება. ამის მიუხედავად, გლობალურ დონეზე არ არსებობს უმრავლესობათა რელიგიები. მჭიდროდ შეკავშირებულ სამყაროში რელიგიური ტრადიციების მიმდევრებს ერთ ქვეყანაში ძლიერი და პირდაპირი კავშირები აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მყოფ ერთმონწუნებთან. აქედან გამომდინარე, ყველა რელიგიური ტრადიცია მართო უმცირესობის პოზიციაში კი არ არის, არამედ უფრო მეტიც, ერთგან უმრავლესობის ტრადიციების მიმდევრებმა კარგად იციან, როგორია უმცირესობის პოზიციაში ყოფნა. გლობალური დემოგრაფიული პლურალიზმის დამახასიათებელი ეს ნიშნები, სავარაუდოდ, რელიგიის თავისუფლების ცხოვრებაში გატარებისა და ლოკისეული წარმოდგენების გამოყენების ხელისშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენს.

ყველაფრის მიუხედავად, ლოკისეული რეგოლუციის გავლენა კვლავაც შეზღუდულია. მას არ შეუღწევია ყველა სამართლებრივ და რელიგიური მრწამსის სისტემაში. ნაციონალისტური, რელიგიურად ექსტრემისტული და სხვა ანტილიბერალური ძალები ხშირად მის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. იქაც კი, სადაც მან ფესვების გადგმა მოახერხა, უფლება რელიგიის თავისუფლებაზე კვლავ დავის საგნად რჩება. რელიგიის თავისუფლების ინტერპრეტირება მრავალმხრივ არის შესაძლებელი, დანყებული უაღრესად სეკულარისტული ვერსიიდან, რომელიც სახელმწიფოს ნეიტრალობას რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტურ დაცვად მიიჩნევს, დამთავრებული ისეთი მიდგომით, რომლის მიხედვითაც უმცირესობათა რელიგიებისათვის ნებადართულია ღვთისმსახურების განცალკევებით შესრულება, თუმცა, სხვა მხრივ, ისინი ნაკლებად სარგებლობენ შემწყნარებლური დამოკიდებულებით.

თავად ლოკი არ განიხილავდა რელიგიის თავისუფლებას უსაზღვრო მოვლენად. მთელი რიგი ისტორიული თუ კულტურული მიზეზების გამო მის მიერ ჩამოყალიბებული საზღვრები მეტისმეტად შეზღუდული იყო; იგი მიიჩნევდა, რომ რელიგიური შემწყნარებლობის მისეული ზოგადი პრინციპების გამოყენება არ უნდა მომხდარიყო კათოლიკეების, მუსლიმებისა და ათეისტების მიმართ. იმის მიუხედავად, რომ ლოკმა გარკვეულწილად არასწორად გაიაზრა თავისივე საბაზისო პრინციპები, მან, სულ მცირე, სამი ძირითადი კითხვა აღიარა მართებულად. ეს კითხვები მოითხოვს გარე საზღვრების დანესებას როგორც რელიგიის თავისუფლებაზე, ისე ზოგადად პლურალიზმზეც: 1) რამდენად ტოლერანტული უნდა იყოს საზოგადოება მათ მიმართ, ვინც არ იზიარებს ურთიერთშემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპების მხარდაჭერას? 2) რამდენად ტოლერანტული უნდა იყოს საზოგადოება მათ მიმართ, ვინც არ შეასრულებს დადებულ ფიცს ან მიცემულ დაპირებას (მათ შორის დანაპი-

რებს, დაემორჩილოს საზოგადოებრივ ხელშეკრულებას)? 3) რამდენად ტოლერანტული უნდა იყოს საზოგადოება მათ მიმართ, ვინც მიისწრაფვის, გაანადგუროს საზოგადოება შინაგანი ამბოხისა თუ საერთაშორისო ომების გზით? ეს სამი კითხვა მოითხოვს იმ საზღვრების დანესებას, რომლითაც თვით ყველაზე ლიბერალურმა და შემწყნარებლურმა საზოგადოებამაც უნდა შეიზღუდოს თავი. კერძოდ, ისინი მოითხოვენ, შესაბამისი თანმიმდევრობით, ურთიერთშემწყნარებლობის, ვალდებულებათა შესრულებისა და საზოგადოებრივი თვითგადარჩენის ნორმების ფორმულირებას. განსხვავებული საზოგადოებები უდავოდ განსხვავებულ მიდგომებს შეიმუშავენ ამ საკითხებისადმი. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია სწორედ ის, რომ ისინი საკმარის სივრცეს ტოვებენ სხვადასხვა პერსპექტივიდან მომდინარე განსხვავებული ჯგუფების მხრიდან საზოგადოებრივი პრინციპების მხარდაჭერისა და საზოგადოებაში ამ ჯგუფების მათივე პირობების საფუძველზე მიღების შესაძლებლობის აღიარებისათვის. ასეთი მრავალფეროვნებისადმი მაქსიმალური პატივისცემის გამოჩენას შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს საზოგადოებრივი წესრიგის მიღწევასა და დაპირისპირებათა იმ კერების აღმოფხვრაში, რასაც თანამედროვე მსოფლიოში კულტურული განსხვავებები იწვევს.

### **რელიგიის თავისუფლების ანალიზის პირობითი მოდელი**

წინა ორ პარაგრაფში ჩვენ მიერ იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც ცალკეული კულტურული დაპირისპირების კერები, რომლებიც რელიგიას შუღლის გაღვივების პოტენციალს ანიჭებენ, ისე ლოკისეული შეხედულებანი, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებას დაეხმარა იმის გააზრებაში, თუ როგორ შეიძლება პატივისცემა რელიგიისადმი გადაიზარდოს სტაბილიზაციაში და არა საზოგადოებისა და მისი პოლიტიკური ინსტიტუტების დეზინტეგრაციაში. ახლა კი შევეცდებით რელიგიის თავისუფლებისათვის დამახასიათებელი ნიშნების უზრუნველყოფი რელიგიური და სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლო კონფიგურაციის პირობითი სტრუქტურის დასახვას.

### **რელიგიის თავისუფლების საწყისი პირობები**

არსებობს განსაზღვრული საწყისი პირობები, რომელთა არსებობაც აუცილებელია რელიგიის თავისუფლების წარმოქმნისათვის; უნდა არსებობდეს 1) პლურალიზმის, 2) ეკონომიკური სტაბილურობისა და 3) პოლიტიკური ლეგიტიმურობის გარკვეული დონე. დამატებით, 4) ასევე აუცილებელია განსხვავებული რელიგიური ჯგუფებისა და მათი მიმდევრების ნება, იცხოვრონ ერთად. თითოეული ამ საწყის პირობათაგან ფართო ანალიზს საჭიროებს, თუმცა ჩვენ ცალკეული კომპონენტების მიმოხილვით შემოვიფარგლებით.

**მინიმალური პლურალიზმი.** საზოგადოებაში მრწამსების ფუნდამენტურ სისტემებს შორის გარკვეული დაპირისპირების წარმოქმნამდე რელიგიის თავისუფლების საკითხი არც კი დგება დღის წესრიგში. ადამიანის მისწრაფება ფუნდამენტური საკითხების გარშემო უთანხმოებისა და თავისივე მსგავსებთან ბრძოლისაკენ გამორიცხავს საზოგადოებაში ისეთი სოციალური ჰომოგენურობის დიდხანს შენარჩუნებას, როდესაც მისი ყველა წევრი იზიარებს იდენტურ წარმოდგენებს ფიზიკური და მორალური სამყაროს ბუნების თაობაზე. მეორე მხრივ, შეიძლება ისეთი საზოგადოების წარმოდგენა, სადაც დიდი ხნის განმავლობაში დომინანტურ რელიგიურ შეხედულებებზე ეფექტური კონსენსუსია მიღწეული. ზოგიერთი შუასაუკუნეობრივი ევროპული საზოგადოება უდავოდ ამგვარად ფუნქციონირებდა.

ამის მსგავსად ასევე შესაძლებელია ისეთი საზოგადოების წარმოდგენა, რომელიც თავის ჰომოგენურობას ინარჩუნებს განსხვავებული მოსაზრებების მქონეთა უცხოებად ან უცხოელებად შერაცხვით. სწორედ ჯგუფების დიფერენცირებას შეუძლია გადაფაროს საწყისი პლუ-

რალიზმის წარმოშობა. თითოეულ ჯგუფს თავისი წარმოდგენა აქვს სამყაროზე. დაპირისპირება მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის ერთის შეხედულების მეორისაზე დომინირებისათვის ბრძოლად განიხილება. იმ შემთხვევაში, თუ საკმაოდ იოლია ჯგუფის დატოვება, პირველადი ჯგუფი ინარჩუნებს თავის ჰომოგენურობას და არც რელიგიური პლურალიზმის მოთხოვნილებაა აღქმადი. განსხვავებული შეხედულების მქონე მოლაღატედ, ან, სულ მცირე, უცხოოდ განიხილება. რელიგიის თავისუფლების საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში დგება, როდესაც განსხვავებები წარმოდგენებს შორის სერიოზულად უნდა იქნეს გათვალისწინებული, როგორც შესაბამისი საზოგადოების გარდაუვალი ნაწილი.

კულტურულმა სიბეცემაც შეიძლება ანალოგიური როლი შეასრულოს რელიგიის თავისუფლების დაცვის მოთხოვნილების დაჩრდილვაში. კოლონიზაციის პერიოდში ძალზე ხშირად დომინანტი ევროპული ჯგუფები არ იჩენდნენ ადეკვატურ პატივისცემას აბორიგენი მოსახლეობის რწმენათა სისტემისადმი. ამის მსგავსად, თვით კეთილშობილური მიზნების მქონე ბიუროკრატებიც ვერ ამჩნევენ, ერთი შეხედვით სტანდარტულ რეგულაციას, რა მძიმე შედეგების მოტანა შეუძლია გარკვეული რელიგიური საზოგადოებისათვის.

**ეკონომიკური სტაბილურობა.** უკიდურესი სიღარიბის პირობებში რელიგიის თავისუფლების ინტერესები ნაკლები პრიორიტეტით სარგებლობს, ვიდრე ეკონომიკური პრობლემები. აღმოსავლეთ ევროპაში, მაგალითად, ეკონომიკური პრობლემების მოგვარება უფრო სასწრაფო ინტერესს წარმოადგენს, ვიდრე რელიგიის თავისუფლება. თუმცა ის, რომ ამ უკანასკნელის არსებობა შესაძლებელია ეკონომიკურად ძალზე სუსტ ქვეყნებშიც, იმაზე მიუთითებს, რომ ეს პირობა არც ისე მძლავრი ხასიათისაა და შესაძლებელია, ფორმულირებული იქნეს შემდეგნაირად: როდესაც ეკონომიკური კრიზისი განსაკუთრებულად მწვავეა, არსებული რეჟიმი არ არის იმდენად მყარი, რომ უზრუნველყოს რელიგიის თავისუფლების გარანტიები.

**პოლიტიკური ლეგიტიმურობა.** ვინაიდან რელიგია საზოგადოებაში ლეგიტიმაციის (დე-ლიგიტიმაციის) მძლავრ ძალას წარმოადგენს, რელიგიის თავისუფლების მიღწევის შესაძლებლობა მცირდება იმდენად, რამდენადაც სუსტია რეჟიმის პოლიტიკური ლეგიტიმურობა. ასეთი რეჟიმი, სავარაუდოდ, ან ისარგებლებს დომინანტი რელიგიის ლეგიტიმაციის ძალაუფლებით (განსხვავებული მოსაზრებების მქონე ჯგუფების რეპრესირების თანმდევი რისკით), ან ზოგადად რელიგიას საფრთხედ შერაცხავს.

**პატივისცემა განსხვავებული მრწამსის მქონეთა უფლებების მიმართ.** რელიგიის თავისუფლების არსებობა ზოგადად შეუძლებელია, თუ ერთი ჯგუფი არა მარტო უარყოფს მეორის მრწამსს, არამედ არ სურს მასთან ერთად ცხოვრება. თუ არატოლერანტული ჯგუფი დომინირებს საზოგადოებაში, როგორც წესი, ხდება სხვა ჯგუფების მიმდევართა დევნა. თუკი იგი არ არის დომინანტური პოზიციის მქონე, მაშინ იგი თავად იქნება დევნილი თავისი რელიგიური შეხედულებების რეალიზების მცდელობისათვის. ორივე შემთხვევაში არ მოხდება საზოგადოებაში რელიგიის თავისუფლების იდეალის სრული განხორციელება, ვინაიდან იარსებებს, სულ მცირე, ერთი ჯგუფი, რომელიც ხელყოფილი იქნება თავისი რელიგიური წარმოდგენების რეალიზებისათვის.

ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების რელიგიურ ტრადიციაში არსებობს განსხვავებული შეხედულებების მქონეთა უფლებებისადმი შემწყნარებლობის ან პატივისცემისადმი მოწოდების საფუძვლები. საბედნიეროდ, არსებობს სხვათა მიმართ პატივისცემის საკმარისი რესურსები რელიგიურ ტრადიციათა უმრავლესობაში. კათოლიკურ ტრადიციაში არსებობს რომის პაპის ენციკლიკა *Dignitatis Humanae Personae*; ისლამში არსებობს „ბიბლიური ერებისადმი“ შემწყნარებლობის დოქტრინა; რელიგიის თავისუფლების შესახებ მრავალი განცხადება აქვს გაკეთებული ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს.

## რელიგიის თავისუფლება და სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნა

საზოგადოებაში რელიგიის თავისუფლების ხარისხი შეიძლება შეფასდეს ორი ასპექტის მიხედვით: 1) სახელმწიფოს ქმედებით რელიგიურ მრწამსსა და მის გამოხატვაზე ტვირთის დაკისრების დონით, 2) სახელისუფლებო და რელიგიურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის ფორმით. შეერთებულ შტატებში ქვეყნის კონსტიტუციის პირველი შესწორების რელიგიური კლავზულების ტექსტის<sup>108</sup> საფუძველზე ამ ორ ასპექტად, შესაბამისი თანმიმდევრობით, მიიჩნევა „აღმსარებლობის თავისუფლება“ და „რელიგიის დანესება“. თუმცა შედარებითი მიზნებისათვის უმჯობესია მათი უფრო ფართო ცნებების სახით (რელიგიის თავისუფლებისა და სახელმწიფოსა და ეკლესიის შორის იდენტიფიკაციის დონე) განხილვა.

დილეთანტური მოსაზრებით, არსებობს პირდაპირპროპორციული კავშირი ამ ორ ფასეულობას შორის, რაც შესაძლებელია შემდეგნაირად გამოისახოს: ტოტალური რელიგიის თავისუფლება – სრული არაიდენტიფიკაცია, არადანესება (სეპარაცია); და პირიქით, რელიგიის თავისუფლების არარსებობა – სრული იდენტიფიკაცია, დანესება. თუმცა ასეთი მიდგომა ძალზე ამარტივებს განსახილველ საკითხებს. მხოლოდ რელიგიათა ძალზე მცირე რაოდენობა თუ ყოფილა ოდესმე ისეთი ტოტალიტარული, რომ სახელმწიფოსთან სრული იდენტიფიკაციისთვის მიედნოს. რა თქმა უნდა, ამ კუთხით, უკიდურეს სიტუაციამდე მისვლა თავისთავად რელიგიის თავისუფლების არარსებობაზე მიუთითებს. ეს განსაკუთრებით შეეფერება სიმართლეს უმცირესობათა რელიგიების მიმდევართა მიმართ. თუმცა შეიძლება იგივე ითქვას უმრავლესობის რელიგიის მიმართაც, ვინაიდან ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად დაზარალდება სახელმწიფოს მხრიდან მისი საქმიანობის რეგულირების, მის საქმეებში სახელმწიფოს გადაჭარბებული მონაწილეობის ან რელიგიური ინსტიტუტების სახელმწიფოზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულების შედეგად. გარდა ამისა, მხოლოდ ის, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ფორმალურად დანესებული ეკლესია, სრულებით არ გულისხმობს, რომ მას ისეთი სეპარაციული რეჟიმი აქვს, რომელიც შეიძლება მტკიცედ დახასიათდეს, როგორც არაიდენტიფიკაცია რელიგიასთან. უფრო მეტიც, არსებობს მნიშვნელოვანი უთანხმოება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ზუსტ კონფიგურაციასთან დაკავშირებით, რომელიც რელიგიის თავისუფლების ზრდას უწყობს ხელს და სავსებით შესაძლებელია, რომ ერთი კულტურისათვის ოპტიმალური კონფიგურაცია გამოუსადეგარი იყოს მეორისათვის. სირთულე კიდევ უფრო იზრდება იმის გათვალისწინებით, რომ ასევე გაურკვეველია „არაიდენტიფიკაციის“ საბოლოო შედეგი. არ არის გამორიცხული, რომ არადანესება და სეპარაცია გადაიზარდოს ნეგატიურ იდენტიფიკაციაში: შულსა და დევნაში. აქედან გამომდინარე, თუ შესაძლებელია არსებობდეს რელიგიურ ნიადაგზე დევნა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების კონტინუუმის ორივე ბოლოში, არსებითად გაურკვეველი ხდება საკითხი, როგორ ურთიერთკავშირშია რელიგიის თავისუფლება ხსენებულ კონტინუუმთან.

გაცილებით პროგრესულად გამოიყურება შემდეგი მოდელი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის როგორც ძლიერი პოზიტიური, ისე ძლიერი ნეგატიური იდენტიფიკაცია რელიგიის თავისუფლების დაბალ დონეს გულისხმობს. ორივე შემთხვევაში სახელმწიფო ძალზე მკვეთრ დამოკიდებულებას იჩენს ერთი ან მეტი რელიგიისადმი, განსხვავებული აზრისათვის შემჭიდროებული სივრცის დატოვებით.

უნდა ითქვას, რომ ხშირად პოლიტიკური რეჟიმების ცვლა უკიდურესი პოზიციების ურთიერთჩანაცვლებაში გადაიზრდება. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის ესპანეთის ისტორია, სადაც ასახულია რადიკალური ცვლილებები დანესებული ეკლესიის მტკიცედ მხარდამჭერი რეჟიმიდან სეკულარისტულ, ანტიკლერიკალურ რეჟიმებამდე.



უკანასკნელი მოდელის უპირატესობაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი მიხედვით არ არსებობს პირდაპირი კავშირი სახელმწიფოსა და ეკლესიის სეპარაციასა და რელიგიის თავისუფლებას შორის. განსაზღვრულ დონეზე აგრესიული გამიჯვნა გადაიზრდება რელიგიისადმი დაპირისპირებაში. აქედან გამომდინარე, მექანიკური სეპარაციის ნებისმიერ ფასად მიღწევის მცდელობამ, შესაძლოა, სისტემას უბიძგოს შეუწყნარებლობისა და მიზანმიმართული დევნისკენ. სტალინისტური კონსტიტუციები, როგორც წესი, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის მძლავრ დებულებებს შეიცავდა, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ ამან რელიგიის თავისუფლების ზრდას შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირში. ეს დებულებები განმარტებული იყო როგორც სახელმწიფო მოქმედების ყველა სფეროდან რელიგიის გამორიცხვის მოთხოვნა. თუმცა ტოტალიტარულ სახელმწიფოში იგი რელიგიის თითქმის არსებობის შეწყვეტის დონემდე მარგინალიზაციის მოთხოვნად გადაიქცა. სხვა ქვეყნებში რელიგიის მხოლოდ შეუზღუდავი „პირადი სფეროთი“ შემოსაზღვრის სეკულარისტული მოთხოვნები, თუმცა ნაკლები სიმწვავეთ, მაგრამ ასევე შესაძლებელია გადაიზარდოს რელიგიური ცხოვრების მარგინალიზაციასა და, შესაბამისად, რელიგიის თავისუფლების შემცირებაში.

რელიგიის თავისუფლებისა და იდენტიფიკაციის ზემოთ მოყვანილი ზოგადი ნიშნების შემდეგ უპირიანი იქნება, გადავიდეთ ამ ორი კონტინუუმის ურთიერთკავშირის კონკრეტული სტრუქტურების დახასიათებაზე, რასაც შეიძლება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სხვადასხვა რეჟიმების წარდგენაც ეწოდოს.

**დანესებული ეკლესიები.** ტერმინი „დანესებული ეკლესია“ საკმაოდ ბუნდოვანია და რეალურად შეიძლება მოიცვას სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის შესაძლო კონფიგურაციათა ფართო სპექტრი. დანესებული ეკლესიის უკიდურეს მოდელს, რომელიც თეოკრატიული მმართველობის წესთან მჭიდრო კავშირით ხასიათდება, წარმოადგენს ისეთი რეჟიმი, სადაც მას მინიჭებული აქვს სრული, მკაცრი იძულებით უზრუნველყოფილი მონოპოლია რელიგიურ საქმეებში. იტალია და ესპანეთი თავიანთი ისტორიის განსაზღვრულ ეტაპებზე სწორედ ასეთი მოდელის კლასიკურ მაგალითებს წარმოადგენდნენ. დანესებული რელიგიის შემდეგი მოდელია ისეთი რეჟიმი, რომელიც შემწყნარებლურია განსხვავებული მრწამსების შეზღუდული ერთობლიობისადმი, მაგალითად, ისლამური ქვეყანა, რომელიც ტოლერანტულია ბიბლიური ერების და არავითარ შემთხვევაში სხვების მიმართ. სხვა მოდელი შესაძლოა იყოს დანესებული ქრისტიანული ეკლესია, რომელიც შემწყნარებლობას იჩენს რამდენიმე ძირითადი მრწამსისადმი, მაგრამ გმობს სხვებს. შემდეგი მოდელია ისეთი ქვეყანა, სადაც შენარჩუნებულია დანესებული ეკლესია, მაგრამ უზრუნველყოფილია თანაბარი მოპყრობა ყველა რელიგიური მრწამსისადმი. დიდი ბრიტანეთი ამ მოდელის შესაფერისი მაგალითია.

**მხარდაჭერილი ეკლესიები.** ეს კატეგორია შედგება ისეთი რეჟიმებისგან, რომლებიც თუმცა ფორმალურად არ აღიარებენ ერთ განსაზღვრულ ეკლესიას ქვეყნის ოფიციალურ რელიგიად, მაგრამ ადასტურებენ, რომ შესაბამის ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის კულტურაში. ასეთი რეჟიმები ძირითადად დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც კათოლიციზმი დომინანტურ პოზიციაშია, ხოლო კონსტიტუციები უახლოეს წარსულში იქნა მიღებული.<sup>109</sup> მხარდაჭერილი ეკლესია სპეციალური აღიარებით სარგებლობს, თუმცა კონსტიტუციით სხვა ჯგუფებსაც თანაბარი დაცვა აქვთ მინიჭებული. ზოგიერთ შემთხვევაში მხარდაჭერილი ეკლესიის პირობებში არსებული რეჟიმი შედარებით უსაფრთხოა და მხოლოდ სახელმწიფოს ისტორიასა და კულტურაში ამა თუ იმ რელიგიური ტრადიციის მნიშვნელოვანი როლის აღიარებით შემოიფარგლება. სხვა შემთხვევებში მხარდაჭერის რეჟიმი მოქმედებს, როგორც დანესებული ეკლესიის პრეროგატივების შენარჩუნების თვალთმაქცური მეთოდი, ლიბერალური მოდელის ფორმალურად შენარჩუნების ფონზე.

**ურთიერთთანამშრომლობის რეჟიმები.** რეჟიმის შემდეგი კატეგორია არ ანიჭებს დომინანტ ეკლესიებს სპეციალურ სტატუსს, თუმცა სახელმწიფო აგრძელებს მათთან თანამშრომლობას სხვადასხვა გზით. ასეთი რეჟიმის პირობებში სახელმწიფო სხვადასხვა ეკლესიასთან დაკავშირებული ტიპის ისეთ საქმიანობას აფინანსებს, როგორცაა რელიგიური განათლება ან ეკლესიათა შენახვა, სასულიერო პირთა საქმიანობის ანაზღაურება და ა. შ. ძალზე ხშირად ამგვარი ურთიერთობა მონესრიგებულია სპეციალური შეთანხმებების, კონკორდატების და სხვა ასეთ საფუძველზე. ესპანეთი, იტალია, პოლონეთი, საქართველო და რამდენიმე სამხრეთ-ამერიკული ქვეყანა მისდევს ასეთ წესს. სახელმწიფოს ასევე შეუძლია დახმარება გაუწიოს რელიგიური ტიპის ორგანიზაციას შემომწირულობათა აკრეფაში (მაგალითად, საეკლესიო გადასახადის ამოღება გერმანიაში). ამის მიუხედავად, ურთიერთთანამშრომლობითი რეჟიმის მქონე ქვეყნები არც ერთი რელიგიის მიმართ არ იჩენენ სპეციალურ მხარდაჭერას და თითოეულ მათგანს თანაბარი მოპყრობით უზრუნველყოფენ. თუმცა, ვინაიდან სხვადასხვა რელიგიურ საზოგადოებებში განსხვავებული მოთხოვნებიანია, ურთიერთთანამშრომლობითი პროგრამების საფუძველზე შესაძლებელია თანაბარ მოპყრობასთან დაკავშირებული მრავალი ინტერდენომინაციური პრობლემის წარმოქმნა. არსებობს პოტენციალის მაღალი დონე თანამშრომლობითი პროგრამების სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული რელიგიური მიმდინარეობებისათვის უპირატესობის მინიჭებაში გადაზრდისა. გარდა ამისა, უფრო სეპარაციული რეჟიმების მიმართ გაცილებით კომპლექსური პრობლემები იწვევს წინა პლანზე, რელიგიური ორგანიზაციების თვითგანსაზღვრებისა და შინაგანი ავტონომიის დაცვის სახით.

**ადაპტაციური რეჟიმები.** აღნიშნული რეჟიმის მოთხოვნას შესაძლოა წარმოადგენდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნა, თუმცა, იმავდროულად, კეთილგანწყობილი ნეიტრალობის შენარჩუნება რელიგიისადმი. შესაძლოა, ადაპტაციური მიდგომა განხილულ იქნეს როგორც ურთიერთთანამშრომლობითი მოდელი რელიგიისა თუ რელიგიური განათლების პირდაპირი ფინანსური სუბსიდირების გარეშე. ადაპტაციური რეჟიმის პირობებში, ეროვნული თუ ადგილობრივი კულტურის ნაწილად რელიგიის აღიარების ყოველგვარი განზრახვის გარეშე ხორციელდება საზოგადოებრივ გარემოში რელიგიური სიმბოლოების ადაპტაცია, საგადასახადო, დიეტური, სადღესასწაულო, შაბათის წესის დაცვასთან დაკავშირებული და სხვა მსგავსი გამონაკლისების დაშვება ზოგადი დანიშნულების კანონმდებლობიდან. ასეთი რეჟიმის მაგალითს წარმოადგენს შვედეთი.<sup>110</sup>

**სეპარაციული რეჟიმები.** როგორც ეკლესიისა და სახელმწიფოს სტალინისტური სეპარაციის დახასიათებისას აღინიშნა, „ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციის“ ლოზუნგის გამოყენება შესაძლებელია ურთიერთსაპირისპირო რეჟიმების ფართო წრის მიმართ. კეთილი მიზნებისათვის სეპარაციული რეჟიმი ძალზე მცირედით თუ განსხვავდება ადაპტაციური მოდელისგან. მთავარი განსხვავება მდგომარეობს სეპარაციული რეჟიმის უფრო მკაცრ მოთხოვნაში სახელმწიფოს ეკლესიისგან გამიჯვნაზე. ნებისმიერი წინადადება რელიგიის სახელმწიფო მხარდაჭერაზე შეუსაბამოდ მიიჩნევა ასეთი რეჟიმის პირობებში; აკრძალულია რელიგიური სიმბოლოების, მათ შორის ქრისტეს შობის სცენის დემონსტრირება სახელმწიფო შენობებზე-ნაგებობებში.<sup>111</sup> თვით რელიგიების არაპირდაპირი სახით სუბსიდირება საგადასახადო გამოქვითვების ან გადასახადებისაგან გათავისუფლების გზით აკრძალულია ან, სულ მცირე, სადავოდ განიხილება. რელიგიის ნიადაგზე გამონაკლისების დაშვება ზოგადი დანიშნულების სახელმწიფო კანონებიდან რელიგიისადმი დაუშვებელ ფავორიტიზმად ითვლება. არ არის დაშვებული არანაირი სახის რელიგიური სწავლება ან ინდოქტრინაციის მცდელობა სახელმწიფო (საჯარო) სკოლებში (თუმცა რელიგიის სწავლება ობიექტურ ფორმაში შესაძლოა დაშვებული იყოს). სასულიერო პირთა წრის წარმომადგენლებს არ აქვთ სახელმწიფო (საჯარო) თანამდებობის დაკავების უფლება.<sup>112</sup>

სეპარაციის უკიდურესი ფორმების პირობებში აქტიურად ხორციელდება საზოგადოებრივი ცხოვრებიდან რელიგიის განდევნის მცდელობები. ერთ-ერთი სახე, რაც ამ მცდელობებშია შეიძლება მიიღოს, არის სახელმწიფო მონოპოლიის გაძლიერება განსაზღვრული სახის საგანმანათლებლო და სოციალურ მომსახურებაზე. საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფოს შეუძლია ერთიანად აკრძალოს საოჯახო სწავლება და კერძო სკოლები ან აკრედიტაციის მიღებისათვის აუცილებელი ისეთი მკაცრი მოთხოვნები დაადგინოს, რომ ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება დამოუკიდებელი რელიგიური განათლების ფუნქციონირება. რაც შეეხება რელიგიური ქორწინების აღიარებას, სხვადასხვა რეჟიმს განსხვავებული მიდგომა აქვს ამ საკითხთან. მთელი რიგი სოციალური და საქველმოქმედო მომსახურებანი (ჯანმრთელობის დაცვის სახით) შესაძლოა რეგულირებული იქნეს ისეთი გზით, რაც გაართულებს რელიგიური ორგანიზაციების მხრიდან თავიანთი ვალდებულებების შესრულებას მოცემულ სფეროებში. „სეპარაცია“ თავის ყველაზე არასასურველ ფორმაში მოითხოვს რელიგიის შევიწროებას ნებისმიერ სფეროში, რომლის ოკუპაციასაც სახელმწიფო მონიტორინგს, თუმცა ათავისუფლებს მას სახელმწიფოს მხრიდან თავს მოხვეული რეგულაციებისა და რელიგიურ საქმეებში ჩარევისგან.

**არაგამიზნული გულგრილობა.** ხშირად ჩინოვნიკები არ განასხვავებენ ერთმანეთისგან ამა თუ იმ ქმედების რეგულირებას საერო და რელიგიურ განზომილებაში. ხშირ შემთხვევაში სამართლიანი რელიგიური ადაპტაციები დამაკმაყოფილებლად მოქმედებს ამგვარი პრობლემების მოგვარებაზე. ეს რეგულაციები ძალზე ხშირად არ არის ამა თუ იმ რელიგიის საინაშაღმდეგოდ გამიზნული; მათი ავტორებისთვის, შესაძლოა, არც კი იყო ცნობილი რელიგიაზე მათი პოტენციურად უარყოფითი ზეგავლენა. ზოგჯერ არაგამიზნული ტვირთით დაზარალებულები ხელისუფლების წარმომადგენლებს აწვდენენ ხმას თავიანთი პრობლემების შესახებ. აქ კი უკვე ან გონივრული ადაპტაციის შემუშავება ხდება, ან არაგამიზნული გულგრილობა გადაიზრდება შეგნებულ დევნაში. არაგამიზნულ გულგრილობას მეორე მხარეც აქვს. შესაძლებელია ის ძალზე მოქნილად (ან მოუქნელად) გადაიზარდოს ძირითადი მიმართულების ან დომინანტი რელიგიური ჯგუფების პრივილეგირებაში. ძალზე იოლია იმ თანამდებობის პირებისათვის, რომლებიც ძირითად რელიგიურ ჯგუფებთან მუშაობენ, ნაკლები დაინტერესება გამოიჩინონ მცირე ჯგუფების მოთხოვნილებებისადმი და მათ შესახებ დისკრედიტაციულად ისაუბრონ.

**შული და ღია დევნა.** ტესტს ამ სფეროში შეადგენს დამოკიდებულება მცირე რელიგიური ჯგუფებისადმი. ხელისუფლების წარმომადგენლები იშვიათად დევნიან მსხვილ რელიგიურ ჯგუფებს. დევნა შეიძლება გამოიხატოს იმ პირთათვის თავისუფლების აღკვეთაში, რომლებიც ცდილობენ იმოქმედონ თავიანთი განსხვავებული რელიგიური მრწამსის შესაბამისად. თუმცა თავის ყველაზე მწვავე ფორმაში იგი მოიცავს „ეთნიკურ ნმენდას“ ან, შესაძლოა, გენოციდსაც კი. უფრო ტიპური პრობლემები კი ამ კუთხით ძირითადად ნაკლებად ამკარა ბიუროკრატიულ ბარიერებს მოიცავს, რომლებიც რელიგიის თავისუფლების მნიშვნელოვან შელახვას იწვევს. ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც რეგისტრაციაში გატარებაზე (სამართლებრივი სტატუსის მიმნიჭებელი რეგისტრაცია) უარის თქმა ან დაყოვნებაში, ისე მინის საკუთარი მიზნების შესაბამისად გამოყენებისათვის ხელის შეშლაში.

არსებობს არგუმენტაციის საკმაოდ დიდი სივრცე იმის გადასაწყვეტად, ზემოთ მოყვანილი რეჟიმებიდან რომელი უწყობს მაქსიმალურად ხელს რელიგიის თავისუფლების განმტკიცებასა და განვითარებას. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რელიგიის თავისუფლების მაქსიმალური დონის მიღწევა ყველაზე მეტად მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა გამოიხატება ადაპტაციურ ან კეთილგან-



ყობილ სეპარაციულ ფორმაში. რელიგიის თავისუფლების მნიშვნელოვანი დონე ასევე შეიძლება არსებობდეს ურთიერთთანამშრომლობით ან მხარდაჭერილი ეკლესიის რეჟიმებში, თუ რეალურად მოქმედებს რელიგიური თანასწორობის პრინციპი. თუმცა მსგავსი ტიპის რეჟიმებში იგრძნობა, რომ მცირე რელიგიური საზოგადოებები მეორეხარისხოვანი სტატუსით სარგებლობენ და, თუ სახელმწიფო სახსრებით პირდაპირი გზით ხორციელდება ძირითადი ეკლესიების პროგრამების დაფინანსება, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს ყოველთვის ექნებათ შეგრძნება, რომ სახელმწიფო მათ აიძულებს, მხარი დაუჭირონ იმ რელიგიურ პროგრამებს, რომლებსაც არ ეთანხმებიან. რაც შეეხება სეპარაციულ და ადაპტაციურ მოდელებს, ადაპტაციას თანამედროვე წყობაში აქვს ზღვარი, რომლის მიღმაც საერო სახელმწიფო მოქმედებს საყოველთაო კეთილდღეობის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე. იქ, სადაც სახელმწიფოს გავლენა აღწევს სოციალური ცხოვრების სულ უფრო მეტ სფეროებში, სეპარაციის მექანიკური მოთხოვნა ძალზე იოლად გადაიზრდება რელიგიის მარგინალიზაციაში. უფრო მეტიც, რეგულაციების მომრავლებასთან ერთად იზრდება რელიგიური მოთხოვნილებების ადაპტაციისათვის აუცილებელი გამონაკლისების დაშვების მოთხოვნა. ასეთ პირობებში კი რეჟიმი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ადაპტაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას, რელიგიის თავისუფლების მნიშვნელოვნად დაბალი დონით შეიძლება დახასიათდეს.

მკაცრი სეპარაციის მიმართულების მომხრენი ადაპტაციის წინააღმდეგ თანასწორობის პრინციპით ოპერირებენ. მათი მტკიცებით, რელიგიური მოთხოვნილების ადაპტაცია მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში გარდაუვლად იწვევს რელიგიური ინდივიდის ან ჯგუფისადმი განსაკუთრებულ მოპყრობას, რაც სახელმწიფოს ნეიტრალობისა და თანაბარი დაცვის მოთხოვნების დარღვევას წარმოადგენს. მსგავსი ხედვა უყურადღებოდ ტოვებს იმას, რომ განსხვავებული მოპყრობა არ არის აუცილებლად თანასწორობის ნორმების დარღვევა, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი ასეთი დიფერენცირებისათვის. რელიგიის თავისუფლების უფლებათა დაცვა უზრუნველყოფს არა მარტო რაციონალურ საფუძველს, არამედ გონივრული ადაპტაციების დაუძლეველ გამართლებასაც. ზემოთ მოყვანილ ანალიზში ადაპტაციების დაშვება (ან ალტერნატიულად, სახელმწიფო მიზნების მიღწევის პროცესში ნაკლებად შემზღუდველი საშუალებების გამოყენება იმ რელიგიური პრაქტიკის პოზიციიდან გამომდინარე, რომელზედაც სახელმწიფო ახდენს ზეგავლენას) საუკეთესო გზას წარმოადგენს იმის უზრუნველსაყოფად, რომ რელიგიურად განსხვავებული პიროვნებების ღირსება თანაბარი პატივისცემით სარგებლობდეს. განსხვავებული მოსაზრებების მქონეთა მიმართ დამოკიდებულება მათი განსხვავებების გათვალისწინებით გაცილებით ღრმა პატივისცემის დემონსტრირებაა, ვიდრე ყველას თანაბრად მორგება პროკრუსტეს სარეცელზე.

კულტურულმა ან ისტორიულმა სხვაობებმა შეიძლება ასევე გავლენა იქონიონ იმ მიდგომაზე, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში მაქსიმალურად უწყობს ხელს რელიგიის თავისუფლების განვითარებას. მაგალითად, რელიგიური სწავლების ადაპტაცია შესაძლოა გაცილებით მნიშვნელოვანი იყოს ისეთ ქვეყნებში, როგორცაა გერმანია, სადაც სკოლის სეკულარიზაცია ისტორიულად რელიგიურ დევნასთანაა ასოცირებული. ამის საპირისპიროდ, შეერთებულ შტატებში ინდოქტრინაციული სტილის სწავლების შეტანა საჯარო სკოლებში იქნებოდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მყარად დამკვიდრებული ტრადიციის დარღვევა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებითად იდენტური სახის ქმედებას განსხვავებული კულტურული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ეროვნულ წყობილებაში. ამიტომ აუცილებელია, რელიგიის თავისუფლება მგრძნობიარე იყოს ასეთი ტიპის სოციალური რეალობების ცვალებადობისადმი.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების სახეების მიმოხილვა სასარგებლოა არა მხოლოდ ინსტიტუციური კონფიგურაციების სხვადასხვა ტიპების შედარების, არამედ ცალკეული რეჟიმების ინსტიტუციური პერსპექტივების განსაზღვრისათვის. განსხვავებული შესაძლო კონფიგურაციების ერთად თავმოყრა იძლევა შესაძლებლობას, ამოცნობილი იქნეს ის გზები, რომელთა მეშვეობითაც ერთი ტიპის რეჟიმი, რომელიც გამიზნულია, ხელი შეუწყოს რელიგიის თავისუფლების ზრდას, შესაძლოა თანდათანობით გადაიზარდოს უმცირესობათა შევიწროებაში ან, ზოგადად, რელიგიის დევნაში. სამწუხაროდ, ვინაიდან რელიგიური სახელისუფლებო ინსტიტუტები გავლენისა და პრესტიჟისკენ მიისწრაფვიან და რადგანაც ადაპტაციის მიღწევა არ არის მხოლოდ სუსტი წინააღმდეგობის „ბიუროკრატიული ბილიკი“, მრავალ სისტემაში არსებული ტენდენციები არსებითად სცილდება რელიგიის თავისუფლების ოპტიმალურ პატივისცემას. ეს ნიშნავს, რომ აუცილებელია სიფხიზლე, ხოლო სამართლებრივი დაცვის საშუალებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ ტენდენციებისათვის წინააღმდეგობის გასაწევის თვალსაზრისით.

- <sup>1</sup> ერთ-ერთი ასეთი საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც განიხილა. *Riera Blume and others v. Spain*, Eur. Ct. H.R., 9 მარტი, 1999. საქმეში მოპასუხეს წარმოადგენდა ესპანეთის სახელმწიფო, რომელმაც ნება დართო მშობლებს, იძულებით დაეკავებინათ კულტის მიმდევარი შვილები, რადიკალური რელიგიური მიმდინარეობის ზეგავლენისაგან მათი გათავისუფლების მიზნით. სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-5 მუხლი სპეციალურ ნორმად (*lex specialis*) მიიჩნია და დაადგინა, რომ ესპანეთის ქმედება ამ მუხლის პირველი ნაწილის (რომელიც კრძალავს თავისუფლების უკანონო აღკვეთას) დარღვევას წარმოადგენდა. სასამართლომ საჭიროდ აღარ ჩათვალა მე-9 მუხლის (რელიგიისა და რწმენის თავისუფლება) საფუძველზე საქმის განხილვა.
- <sup>2</sup> W. H. Abbot, trans., *The Documents of Vatican* (New York, 1966).
- <sup>3</sup> Jacques Maritain, *The Rights of Man and Natural Law* (New York, 1943).
- <sup>4</sup> სახარება მათესი 5:44.
- <sup>5</sup> სახარება იოანესი 18:36.
- <sup>6</sup> სახარება იოანესი 8:32.
- <sup>7</sup> Lactantius, *De divinis institutionibus*.
- <sup>8</sup> სახარება ლუკასი 14:23.
- <sup>9</sup> სახარება მარკოზისა 12:17.
- <sup>10</sup> მოციქულთა საქმე 5:29.
- <sup>11</sup> ეკლესიის თავისუფლება (ლათ.).
- <sup>12</sup> Maritain, *The Rights of Man*.
- <sup>13</sup> Leo Strauss, *Natural Right and History* (1950).
- <sup>14</sup> Michael Villey, *La Formation de la pensee juridique moderne*.
- <sup>15</sup> R. L. Benson, *The Bishop-Elect: A Study in Medieval Ecclesiastical Office*.
- <sup>16</sup> *Commentaria Innocentii ... super quinque libros decretalium*.
- <sup>17</sup> Brian Tierney, "Aristotle and the American Indians-Again", *Cristianesimo nella storia* 12 (1991).
- <sup>18</sup> Thomas Carlyle, "On History", in *Critical and Miscellaneous Essays: Collected and Republished* (London, 1872).

- <sup>19</sup> W. Abbott, ed., *The Writings and Speeches of Oliver Cromwell* (Cambridge, MA, 1937-47).
- <sup>20</sup> J. N. Figgis, *Churches in the Modern State* (London, 1913).
- <sup>21</sup> Thomas Edwards, *Antapologia* (London, 1641).
- <sup>22</sup> Sebastian Castellio, *On Heretics*, Roland H. Bainton, trans. (New York, 1935).
- <sup>23</sup> Jean Bodin, *Six Books of the Commonwealth*, M. J. Tooley, trans. (Oxford, 1955).
- <sup>24</sup> Castellio, *On Heretics*, 123; *Pierre Bayle's Philosophical Commentary*, A.G. Tannenbaum, trans. (New York).
- <sup>25</sup> Williams, "Bloody Tenet", in id., *Complete Writing*, 3:219.
- <sup>26</sup> W. B. Haller, *Tracts on Liberty in the Puritan Revolution, 1638-47* (New York, 1934).
- <sup>27</sup> John Milton, *Milton: Areopagitica*, J. W. Hales, ed. (Oxford, 1904).
- <sup>28</sup> Woodhouse, *Puritanism and Liberty*.
- <sup>29</sup> "An Agreement of Free People", in W.B. Haller and G.Davies, eds., *The Leveller Tracts, 1647-1653*.
- <sup>30</sup> Williams, *Writings*.
- <sup>31</sup> Haller, *Liberty and Reformation*.
- <sup>32</sup> Haller, *Tracts of Liberty*.
- <sup>33</sup> Jordan. *Toleration*.
- <sup>34</sup> M. Searle Bates, *Religious Liberty: An Inquiry* (New York, 1945), 297, quoting William Penn, *England's Present Interest Discovered* (London, 1679).
- <sup>35</sup> Gilbert Burnet, *History of My Own Times*.
- <sup>36</sup> John Locke, *A Letter Concerning Toleration*.
- <sup>37</sup> Bayle, *Philosophical Commentary*.
- <sup>38</sup> "A Theologico-Political Treatise", in R.H.M. Elwes, ed., *The Chief Works of Benedict de Spinoza*, 2 vols. (London, 1883).
- <sup>39</sup> Rig Veda Book 1, Hymn 164:46.
- <sup>40</sup> Srimad Bhagavatam 11:15.
- <sup>41</sup> S. Radhakrishnan, *Religion in a Changing World* (London, 1967).
- <sup>42</sup> Digha Nikaya 1:3.
- <sup>43</sup> Sutta Nipata 798.
- <sup>44</sup> Majjhima Nikaya 2:176.
- <sup>45</sup> Michi-no-Shiori.
- <sup>46</sup> Suttrakritanga 11:50.
- <sup>47</sup> Acarangasutra 5:113.
- <sup>48</sup> I Ching, 2:5.
- <sup>49</sup> Genesis 12:3.
- <sup>50</sup> მალაქია წინასწარმეტყველი 1:11
- <sup>51</sup> Tosefta Sanhedrin, 13.2.
- <sup>52</sup> M. Sanhedrin, 4:5.
- <sup>53</sup> ლევიანთანი (19:33-4).
- <sup>54</sup> მოციქულთა საქმე 14:17.
- <sup>55</sup> სახარება იოანესი 1:9.
- <sup>56</sup> მოციქულთა საქმე 10:34,35.
- <sup>57</sup> პავლე მოციქულის ეპისტოლენი, რომაელთა მიმართ 2:11.
- <sup>58</sup> პავლე მოციქულის ეპისტოლენი, მეორე კორინთელთა მიმართ 3:17.
- <sup>59</sup> მათეს სახარება 19:21,22.
- <sup>60</sup> იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება (აპოკალიფსი) 3:20.
- <sup>61</sup> ყურანი 2:256.
- <sup>62</sup> ყურანი 18:28.
- <sup>63</sup> ყურანი 6:108.

- 64 ყურანი 10:99,100. სხვა თარგმანის მიხედვით წინადადება მთავრდება შემდეგნაირად: “მაინც დააძალებ კაცობრიობას თავისი ნების საწინააღმდეგოდ ირწმუნოს?”.
- 65 M.A. MacAuliffe, *The Sikh Religion: Its Gurus, Sacred Writings, and Anthems*, 1:328.
- 66 Hubert Müller, *Religion and Freedom in the Modern World* (1963).
- 67 Tertullian, *Ad Scapulam*, 2, in Migne, *Patrologia Latina*, 1:699.
- 68 Athanasius, *Divina Instituta*, 2, in Migne, *Patrologia Latina*, 6:1061.
- 69 Lactantius, *Divina Instituta*, 54, in Migne, *Patrologia Latina*, 6:516.
- 70 Marselius, *Defencor Pacis*, Alan Gewirth, trans. (New York, 1956).
- 71 Marselius, *Defencor Pacis*, Alan Gewirth, trans. (New York, 1956).
- 72 Desiderius Erasmus, *Opus epistolarum*, 5:11.
- 73 Balthasar Hubmier, *Theologian of Anabaptism*.
- 74 Thomas Helwys, *A Short Declaration of the Mistery of Iniquity*.
- 75 Leonard Busher, *Religious Peace or Plea for Liberty of Conscience*.
- 76 “განცხადება რელიგიის თავისუფლებაზე”, დელის მოხსენება, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მესამე ასამბლეა, 1961.
- 77 Augustin Leonard, *Freedom of Faith and Civil Toleration*.
- 78 A.F. Carrillo de Albornoz, *The Basis of Religious Liberty* (New York, 1963).
- 79 Albert Hartmann, *Toleranz and christlicher Glaube* (Frankfurt am Main, 1955).
- 80 ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პირველი ასამბლეა, ამსტერდამი, 1948.
- 81 “De Liberate Religiosa”, in *Documents of Vatican*.
- 82 Franklin H. Littell, *The Free Church* (Boston, 1957).
- 83 Baruch Spinoza, *Tractatus-Theologica-Politicus* (1670).
- 84 *Minersville School District v. Gobitis*, 310 U.S. 586 (1940).
- 85 Henry David Thoreau, “Essay on Civil Disobedience”.
- 86 Marselius, *Defencor Pacis*, Alan Gewirth, trans. (New York, 1956).
- 87 Marselius, *Defencor Pacis*, Alan Gewirth, trans. (New York, 1956).
- 88 Leo Pfeffer, *Church, State, and Freedom* (Boston, 1967).
- 89 Roger Williams, *The Bloody Tenet of Persecution i* (1644).
- 90 Roger Williams, *The Bloody Tenet of Persecution i* (1644).
- 91 Jhon Lock, *Two Treaties of government* (1989).
- 92 *Watson v. Jones*, 669 (1872).
- 93 აღმოსავლეთ აზიის კონფერენცია, ბანგკოკი, 1949.
- 94 “Statement on religious Liberty”, in *Minutes and Reports, Central Committee of the World Council of Churches* (Chichester, 1949).
- 95 Albornoz, *The Basis of Religious Liberty*.
- 96 Visser't Hooft, ed., *The First Assembly of the World Council of Churches*.
- 97 “A Declaration on Religious Freedom”, in *Document of Vatican*.
- 98 Bates, *Religious Freedom*, “A review of the fortyseven writers of the more important treaties on international law”.
- 99 რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-14, მე-19, 28-ე, 29-ე, 55-ე, 56-ე მუხლები (1993); ბულგარეთის კონსტიტუციის მე-6, მე-13 და 37-ე მუხლები (1991); სლოვენის კონსტიტუციის მე-7, მე-14 და 41-ე მუხლები (1991).
- 100 მექსიკის კონსტიტუციაში შესული შესწორებებით აკრძალულ იქნა რელიგიის დამწესებელი და აღმსარებლობის თავისუფლების შემზღვეველი კანონების მიღება; რელიგიურ გაერთიანებებს მიენიჭა სამართლებრივი სტატუსი და ქონების შექმნისა და განკარგვის უფლება; არამექსიკელ სასულიერო პირებს ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის ნება დაერთოთ; აღდგა მექსიკელ ღვთისმსახურთა უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე; ლეგალიზებულ იქნა სამრევლო სკოლები და ბერების ორდენი; ასევე ნებადართულ იქნა ღვთისმსახურება საეკლესიო შენობა-ნაგებობების გარეთ.

- <sup>101</sup> Samuel P. Huntington, "The Clash of Civilizations", *Foreign Affairs* 72 (1993).
- <sup>102</sup> James Davison Hunter, *Culture Wars: The Struggle to define America* (New York, 1991).
- <sup>103</sup> John Locke, *A Letter Concerning Toleration* (First Published in 1689; cited edition: Bufalo, NY, 1990).
- <sup>104</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მე-18 მუხლი; ადამიანის უფლებათა და ვალდებულებათა ამერიკული დეკლარაცია, მე-3 მუხლი; გაეროს დეკლარაცია რელიგიისა და რწმენის ნიადაგზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თაობაზე.
- <sup>105</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, მე-18 მუხლი; ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია, მე-9 მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია.
- <sup>106</sup> ენციკლიკა – რომის პაპის მიმართვა, წერილი ყველა კათოლიკესადმი პოლიტიკის, რელიგიის, მორალის და მისთ. საკითხებზე.
- <sup>107</sup> ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პირველი ასამბლეა, "Declaration on Religious Liberty", ამსტერდამი, 4 სექტემბერი, 1948; ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მესამე ასამბლეა, "Statement on Religious Liberty", დელი, 5 დეკემბერი, 1961; ეკლესიათა საერთაშორისო საქმეების კომისიის აღმასრულებელი კომიტეტი, მეოცე აღმასრულებელი კომიტეტი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, "Human Rights and Religious Liberty", ჟენევა, 12 ივლისი, 1965.
- <sup>108</sup> აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების თანახმად: „კონგრესი არ მიიღებს რელიგიის დამწესებელ ან აღმსარებლობის თავისუფლების შემზღვეველ კანონს“.
- <sup>109</sup> ბოლივია, კოსტა-რიკა, პანამა, პარაგვაი, ესპანეთი და ა. შ.
- <sup>110</sup> აქ, პეიოტის (კანონით აკრძალული ნარკოტიკული საშუალება) მოხმარება ნებადართული იქნა ინდიელი ამერიკელების მიერ საკრალური მიზნებისათვის; ფედერალური კანონმდებლობით რელიგიური ორგანიზაციები გათავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადისაგან.
- <sup>111</sup> ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით აიკრძალა ქრისტეს შობის სცენის ამსახველი სკულპტურის დემონსტრირება საოქო სასამართლოში. *County of Allegheny v. ACLU, Greater Pittsburg Chapter; Chabad v. ACLU, Greater Pittsburg Chapter; City of Pittsburg v. ACLU, Greater Pittsburg Chapter*, 492 U.S. 573 (1989).
- <sup>112</sup> თუმცა არსებობს განსხვავებული მიდგომებიც: ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით სასულიერო პირების მიერ პოლიტიკური თანამდებობის დაკავებაზე არსებული შტატის კონსტიტუციური დებულება ეწინააღმდეგებოდა ფედერალური კონსტიტუციის პირველ შესწორებას. *McDaniel v. Paty*, 435 U.S. 618 (1978). შეერთებულ შტატებზე ნაკლებად სეპარაციული ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში სასულიერო პირები არ დაიშვებიან არჩევით მაღალ თანამდებობებზე, მაგ. არგენტინაში, ბოლივიაში, სალვადორში, გვატემალასა და პანამაში.

რელიგიისა და  
რწმენის თავისუფლება  
ადამიანის უფლებათა  
და ფუნდამენტურ  
თავისუფლებათა  
დაცვის ევროპის  
კონვენციის  
საფუძველზე

---

მეორე თავი





## შენსავალი

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, სავარაუდოდ, ადამიანის ყველაზე ძვირფას უფლებათაგანია და მისი რეალობად ქცევა დღევანდელი დღის იმპერატიულ აუცილებლობას წარმოადგენს ნებისმიერი ინდივიდისათვის, მიუხედავად მისი რელიგიისა ან რწმენისა, სტატუსისა თუ საზოგადოებრივი მდგომარეობისა. ამ უფლებით სარგებლობის სურვილმა დაამტკიცა, რომ ის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ და გადამდებ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, რაც კი მსოფლიოს ოდესმე უხილავს. თუმცა მისი სრული რეალიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მოხდება იმ რეპრესიული ქმედებების გამოვლენა, შესწავლა, გააზრება და აღკვეთა კოოპერატიული მეთოდებით, რომლებითაც იგი შეზღუდულია ბევრგან და როცა ამ უმთავრესი თავისუფლების გაფართოებისათვის აუცილებელი მეთოდებისა და საშუალებების რეალიზება მოხდება როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე.

არკოტ კრიშნასვამი<sup>1</sup>

რელიგია და რწმენა საუკუნეთა განმავლობაში დისკუსიის საგანი იყო ევროპაში. რომის იმპერიის ეპოქიდან მოყოლებული, უმცირესობები იდევენბოდნენ რელიგიისა თუ რწმენის ნიადაგზე. წამება და მკვლელობა ერეტიკოსებისა და არამორწმუნეთა მიმართ მოპყრობის ორდინარულ გზებს წარმოადგენდა, ხოლო XX საუკუნეში კონტინენტური ევროპა ებრაელი ხალხის გენოციდის მცდელობის მომსწრე გახდა. ომი ყოფილ იუგოსლავიაში<sup>2</sup> იმის შესხენებაა, რომ, დღესაც კი, ადამიანებს ხელენიფებათ რელიგიურ ნიადაგზე უსასტიკესი ქმედებების ჩადენა სხვათა წინააღმდეგ. თუმცა დროთა განმავლობაში ევროპელმა ხალხებმა დაინახეს რელიგიური შემწყნარებლობის აუცილებლობა და დაიწყეს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვაზე ზრუნვა.

ნიგნის ეს თავი შეეხება ევროპაში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის ერთ ფორმას, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციას. ამ კონვენციაში ჩამოყალიბებულია როგორც უფლებები, რომლებითაც აღჭურვილნი არიან ხელშემკვრელი მხარეების იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირები, ისე ამ უფლებათა დაცვის მექანიზმები. მრავალი ავტორისა თუ მეცნიერის მიერ ეს კონვენცია არის მიჩნეული ადამიანის უფლებათა სფეროში შემუშავებულ ყველაზე ეფექტურ საერთაშორისო აქტად. ორგანოებმა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, განიხილონ საქმეები კონვენციის საფუძველზე, განავითარეს ფართო პრეცედენტული სამართალი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კომპლექსურ და საკამათო საკითხებზე.

ნიგნის ამ თავში მოცემულია რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული კონვენციის მუხლების დეტალური გამოკვლევა და მათ საფუძველზე განვითარებული პრეცედენტული სამართლის კრიტიკული ანალიზი.

ამ ნაწილში მოცემული მასალების ორ ძირითად წყაროს წარმოადგენს კონვენციის *travaux préparatoires*<sup>2</sup> და ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და სასამართლოს მიერ განხილული საქმეები რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე. რა თქმა უნდა, მრავალ ქვეყანაში არსებობს ფართო პრეცედენტული სამართალი რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე, მაგრამ წინამდებარე თავი არ ისახავს მიზნად ნებისმიერი სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის პოზიციის ყოვლისმომცველ ანალიზს. მიუხედავად ამისა, ცალკეულ თემებზე მოყვანილია კონვენციის პრეცედენტული სამართლის შედარება სხვა სასამართლოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოების პრაქტიკასთან (ძირითადად იგულისხმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატრონაჟით დაფუძნებული ორგანოები და აშშ-ს უზენაესი სასამართლო).

## **რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ ევროპის კონვენციის ძირითადი დებულებების მიმოხილვა**

კონვენციის ნებისმიერი ინტერპრეტაცია მისი დებულებების განმარტებით უნდა დაიწყოს. კონვენცია შეიცავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებულ სამ ძირითად და რამდენიმე სხვა მუხლს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია რელიგიის თავისუფლების დასაცავად, მიუხედავად იმისა, რომ მათი ძირითადი მიზანი არ არის პირდაპირ კავშირში რელიგიასთან. რელიგიის თავისუფლების მიმართ კონვენციის ყველაზე მნიშვნელოვან დებულებას წარმოადგენს მე-9 მუხლი, რომლის თანახმადაც:

*ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, ასევე, ადამიანის თავისუფლებას მარტო ან საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად და საჯაროდ ან კერძოდ გამოხატოს თავისი რელიგია და რწმენა ღვთისმსახურებით, სწავლებით, რიტუალების შესრულებით ან წეს-ჩვეულებების დაცვით. რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.*

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვისათვის მნიშვნელოვან მეორე დებულებას წარმოადგენს კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც ადგენს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დაცვას რელიგიურ ან სხვა ნიადაგზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამ მუხლის თანახმადაც:

კონვენციაში მოცემული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილი იქნება ნებისმიერ საფუძველზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, უმცირესობისადმი კუთვნილების, საკუთრების, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის მიუხედავად.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მნიშვნელოვან დაცვას უზრუნველყოფს კონვენციის კიდევ ერთი დებულება, კერძოდ, პირველი ოქმის მეორე მუხლი, რომლის მიხედვით: არავის არ შეიძლება უარი ეთქვას განათლების მიღებაზე. სახელმწიფომ, ნებისმიერი ფუნქციის შესრულებისას, რომელსაც იგი თავის თავზე იღებს განათლებისა და სწავლების დარგში, პატივი უნდა სცეს მშობლების უფლებას, უზრუნველყონ ისეთი განათლება და სწავლა თავისი შვილებისათვის რომელიც შესაბამისობაში იქნება მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსთან.

კონვენციის ეს მუხლი ყველაზე საკამათო აღმოჩნდა და დამოუკიდებელ ოქმში შეიტანეს, ვინაიდან მის ტექსტზე ძირითადი დოკუმენტის ხელმოწერის დროისათვის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული.

კონვენცია შეიცავს სხვა მუხლებსაც, რომელთა გამოყენება შესაძლებელია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ცალკეული ასპექტების დაცვისათვის, ამ უფლებასთან პირდაპირი კავშირის არარსებობის მიუხედავად. აღნიშნული მუხლების ჩამონათვალი მოიცავს მე-8 (პირადი და საოჯახო ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-11 მუხლებს (მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება). აშკარაა სხვადასხვა მუხლების გადაკვეთის პოტენციური შესაძლებლობა. ჯგუფს, რომელსაც რელიგიური პროცესის ორგანიზება სურს, შეუძლია წარადგინოს თავისი საჩივარი, როგორც რელიგიის თავისუფლების, ისე შეკრების თავისუფლების საფუძველზე.<sup>4</sup> გარდა ამისა, პირს, რომელიც ითხოვს რელიგიური სიტყვით გამოსვლას, შეუძლია დაეყრდნოს გამოხატვის თავისუფლების ზოგად უფლებას, ისევე, როგორც რელიგიისა და რწმენის გამოხატვის სპეციფიკურ თავისუფლებას.<sup>5</sup> რელიგიური დევნის ისეთი მცდელობა, როგორიცაა ადამიანთა წამება ან მათთვის თავისუფლების აღკვეთა რელიგიის ან რწმენის შეცვლის იძულების მიზნით, ასევე იქნება საფუძველი საჩივრებისა კონვენციის სხვადასხვა მუხლებზე დაყრდნობით.<sup>6</sup>

საწყის ეტაპზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და კომისია დამოუკიდებლად განიხილავდნენ იმ მუხლებს, რომლებსაც ეყრდნობოდა ესა თუ ის საჩივარი. მაგალითად, საქმეში *ეროუსმიტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,<sup>7</sup> სადაც პაციფისტი მსჯავრდებული იქნა ლიფლეტების გარცელებისათვის, რომლებითაც სამხედრო მოსამსახურეებს მოუწოდებდა, უარი ეთქვათ სტაჟირებაზე ჩრდილოეთ ირლანდიაში. მომჩივნის მოთხოვნა განიხილეს ცალ-ცალკე, ორივე (მე-9 და მე-10) მუხლის მიხედვით. მსგავსი მიდგომის პოტენციური მნიშვნელობა შეიძლება დანახული იქნეს მოსამართლე ოპსალის გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმადაც გაერთიანებული სამეფოს ქმედებებით მე-10 მუხლი დაირღვა, თუმცა არ მომხდარა მე-9 მუხლით გათვალისწინებული უფლებების ხელყოფა. მიუხედავად ამისა, ხშირად სასამართლო და კომისია წყვეტდა, რომ ესა თუ ის მუხლი წარმოადგენს საჩივრის *lex specialis*<sup>8</sup> და შესაბამისად ხდებოდა სხვა მუხლებიდან გამომდინარე საკითხების იგნორირება.<sup>9</sup> მაგალითად, საქმეში *რიერა ბლუმი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ*<sup>10</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ ესპანეთის მხრიდან მშობლებისათვის ნების დართვა, იძულებით დაეკავებიან თავიანთი შვილები (რომლებიც კულტის წევრები იყვნენ) მათი რელიგიური მრწამსის შეცვლის მიზნით, წარმოადგენდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას (ეს მუხლი შეეხება თავისუფლების უკანონო აღკვეთას) და, შესაბამისად, მიიჩნია,

რომ აღარ იყო საჭირო იმის გარკვევა, ჰქონდა თუ არა ადგილი მე-9 მუხლის დარღვევასაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი წინსვლა იყო რელიგიის თავისუფლების დაცვის სფეროში, სასამართლომ აირჩია არაპირდაპირი გზა და კულტის წევრებზე გაავრცელა კონვენციის დაცვა, ისე რომ თავიდან აირიდა რთული, თუმცა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გამოკვლევაც აუცილებელი გახდებოდა მომჩივნების იმ არგუმენტთა განხილვისას, რომლებიც რელიგიის თავისუფლებაზე იყო დაფუძნებული. მრავალი მომჩივანი თავის საჩივარს კონვენციის მუხლების დიდ რაოდენობას უკავშირებს და სასამართლოს მხრიდან მართლაც კეთილგონივრული პრაქტიკაა, ფოკუსირება მოახდინოს მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან მოთხოვნებზე. თუმცა *lex specialis* დოქტრინის ძალზე ფართო გამოყენებამ შესაძლოა შეუსაბამოდ შეზღუდოს სასამართლოს მიერ განსახილველი საკითხების ნუსხა.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის თავისუფლების დაცვა შესაძლებელია კონვენციის სხვა მუხლების საფუძველზე, წიგნის ეს თავი კონცენტრირებულია მე-9 მუხლის მიმოხილვაზე. მე-14 მუხლიდან გამომდინარე დისკრიმინაციულ საკითხებს შეეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მე-9 მუხლისათვის არის რელევანტური. პირველი ოქმის მეორე მუხლი კომპლექსური ხასიათისაა და დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხების ფართო სპექტრისათვის, რომელთა უმრავლესობაც მხოლოდ ზედაპირულად არის დაკავშირებული რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან. მიუხედავად ამისა, განათლებასთან დაკავშირებული ცალკეული საქმეები მართლაც რელევანტურია ამ დარგში რელიგიისა და რწმენის თავისუფლებისათვის და ხშირად მომჩივანთა მოთხოვნა აღნიშნულ სფეროში სწორედ მე-9 მუხლს ეფუძნება. შესაბამისად, ამ თავში მიმოხილული იქნება მხოლოდ მოცემული ტიპის საქმეები. რაც შეეხება სხვა მუხლებზე დაფუძნებულ საჩივრებს, მათ მხოლოდ იმ დონემდე შეეხებით, რაც საკმარისია რელიგიის თავისუფლებასთან პირდაპირ დაკავშირებული საკითხების გამოსაკვლევად.

### **ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო და კომისია**

პრეამბულის თანახმად, კონვენციის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს „პირველი ნაბიჯის გადადგმა საყოველთაო დეკლარაციაში გაცხადებული განსაზღვრული უფლებების ცხოვრებაში კოლექტიურად გატარებისათვის“. კონვენციის საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია<sup>11</sup> და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო,<sup>12</sup> ხელშემკვრელ მხარეთა მიერ „აღებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით“.<sup>13</sup> 1998 წლის პირველ ნოემბრამდე, სანამ მე-11 ოქმის<sup>14</sup> მიხედვით შეიცვლებოდა კონვენციის საფუძველზე საჩივრების მიღების სისტემა, ეს ორი ორგანო ასრულებდა ძირითად როლს კონვენციით განმტკიცებული უფლებების დარღვევის არსებობის თაობაზე გადაწყვეტილებათა მიღების სფეროში. აქედან გამომდინარე, მე-9 მუხლის ქვემდებარე პრეცედენტული სამართლის დიდი ნაწილი ძველი სისტემის საფუძველზე იქნა გადაწყვეტილი.

### **ევროპული კომისიის პროცედურა**

1998 წლის პირველ ნოემბრამდე კომისიას შეეძლო საჩივრების მიღება „ნებისმიერი პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან ინდივიდების ჯგუფის მხრიდან, რომლებიც თავს ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევის მსხვერპლად აცხადებდნენ“.<sup>15</sup> კომისია უფლებამოსილი იყო, არ მიეღო საჩივარი, თუკი არ იყო ამონურული სახელმწიფოს ქმედების გასაჩივრების ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება,<sup>16</sup> საჩივარი ანონიმურ ხასიათს ატარებდა ან არსებითად იმავე საკითხს წარმოადგენდა, რომელიც

უკვე გამოკვლეული იქნა კომისიის ან სხვა საერთაშორისო საგამოძიებო სტრუქტურის მიერ.<sup>17</sup> აღნიშნული უფლებამოსილება არ არის დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებულ საკითხთან რელიგიის თავისუფლების კონტექსტში. თუმცა 27-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე კომისია უფლებამოსილი იყო, ასევე დაუშვებლად მიეჩნია ის საჩივარი, „რომელიც შეუსაბამო კონვენციის მოქმედებებთან, აშკარად დაუსაბუთებელი ან პეტიციით მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს“. საჩივრის აშკარად დაუსაბუთებლად მიჩნევის უფლება კომისიას ნებას რთავდა, გამარტივებული წესით უარეყო არა მარტო ის საჩივრები, რომლებიც პროცედურულად იყო დაუშვებელი, არამედ ისინიც, რომლებიც განწირული იყო წარუმატებლობისათვის უკვე არსებითი განხილვის სტადიაზე. ეს კი კომისიას საშუალებას აძლევდა, გამოეჩინა უიმედო და სუსტი საჩივრები პროცედურების დაჩქარებისა და უსაფუძვლო მოთხოვნებზე დროის დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ კომისია დაადგენდა, რომ საჩივარი დასაშვები იყო, ის შემდგომში უკვე ცდილობდა მეგობრული შეთანხმების მიღწევას მხარეებს შორის<sup>18</sup> და, უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ რამდენიმე საქმეში მიღწეული იქნა ამგვარი ტიპის მორიგება.<sup>19</sup> თუკი შეთანხმება ვერ იქნებოდა მიღწეული, კომისია ადგენდა მოხსენებას, სადაც აყალიბებდა საქმეში არსებულ ფაქტებსა და თავის პოზიციას კონვენციის დებულებების დარღვევის არსებობის თაობაზე.<sup>20</sup> ვინაიდან კომისია არ წარმოადგენდა სასამართლო ორგანოს, მისი მოხსენება არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს სახელმწიფოებისათვის, თუმცა სამი თვის განმავლობაში საქმე განსახილველად გადაეცემოდა მინისტრთა კომიტეტს ან სასამართლოს.<sup>21</sup> მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება კონვენციის დარღვევის თაობაზე სავალდებულო ხასიათს ატარებდა სახელმწიფოებისათვის, თუმცა, ვინაიდან კომიტეტი, ძირითადად, პოლიტიკური ორგანო იყო და არ გადაუხვევია კომისიის პოზიციიდან მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეთა მიმართ, მისი პრაქტიკის მიმოხილვა ირელევანტურია ამავე მუხლის ინტერპრეტაციის მიზნებისათვის. აქედან გამომდინარე, მინისტრთა კომიტეტს აღარ შეეძებოდა.

### **ევროპული სასამართლოს პროცედურა**

თავდაპირველად მხოლოდ კომისია და შესაბამისი სახელმწიფოები ფლობდნენ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილებას.<sup>22</sup> აქედან გამომდინარე, მიღებული გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ჩვეულებრივი მოქალაქეები დამოკიდებულნი იყვნენ კომისიაზე ან თავის მშობლიურ სახელმწიფოზე. მე-9 ოქმის საფუძველზე შესაძლებელი გახდა მომჩივნის მიერ სასამართლოსათვის მიმართვა, თუმცა სასამართლოს შემადგენლობას მიენიჭა უფლებამოსილება, გამოეკვლია მსგავსი საჩივრები, რათა დარწმუნებულიყო, რომ ისინი „კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან მის გამოყენებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს შეეხებოდა“. <sup>23</sup> ამის შემდეგ სასამართლოს ჰქონდა უფლება, გამოეთანა საბოლოო გადაწყვეტილება<sup>24</sup> სახელმწიფოს მიერ კონვენციის საფუძველზე აღებული ვალდებულებების დარღვევის და დაზარალებული მხარისათვის „სამართლიანი დაკმაყოფილების“ მინიჭების თაობაზე.<sup>25</sup> სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულო იყო ხელშემკვრელი მხარეებისათვის<sup>26</sup> და მისი შესრულება უმაღლეს ვალდებულებას წარმოადგენდა.

### **ევროპული კომისიის გაუქმება და სხვა ცვლილებები მე-11 ოქმის საფუძველზე**

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის საფუძველზე ჩამოყალიბებული საწყისი სისტემა ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე წარმატებულ საერთაშორისო რეჟიმს წარმოადგენდა,

გარკვეულწილად იგი თავისივე წარმატების მსხვერპლად იქცა. წარდგენილი საჩივრების რაოდენობა იმდენად სწრაფად იზრდებოდა, რომ ხშირად მრავალი წელი გადიოდა, სანამ საქმე კომისიამდე მიაღწევდა. პროცედურების დაჩქარებისა და უფრო სასამართლო, ვიდრე პოლიტიკური სისტემის შექმნის მიზნით, შემუშავებული იქნა მე-11 ოქმი.<sup>27</sup> მე-11 ოქმის შემოღების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა კომისიის გაუქმება, მინისტრთა კომიტეტის როლის შემცირება და ისეთი ახალი სასამართლოს დაფუძნება, რომელიც შეძლებდა შედარებით მცირე პალატების საშუალებით საქმეთა გაცილებით დიდი რაოდენობის განხილვას.

მე-11 ოქმის მიხედვით, სასამართლო პლენუმი, რომლის შემადგენლობაში შემავალ მოსამართლეთა რაოდენობა ხელშემკვრელი მხარეების რაოდენობის შესაბამისია, მხოლოდ ისეთ ადმინისტრაციულ საკითხებს წყვეტს, როგორებიცაა პრეზიდენტისა და ვიცე – პრეზიდენტების არჩევა, ანდა სასამართლოს რეგლამენტის მიღება.<sup>28</sup> შესაბამისად, საქმეთა მოსმენა ხდება სასამართლოს შედარებით მცირე ქვედანაყოფებში. სამი მოსამართლისაგან შემდგარ კომიტეტებს ხმების ერთსულლოვნებით საჩივრის დაუშვებლად გამოცხადების უფლებამოსილება აქვთ.<sup>29</sup> თუკი ასეთი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს შვიდი მოსამართლისაგან შემდგარი პალატა, რომელიც ასევე არსებითად განიხილავს საქმეებს.<sup>30</sup> თუკი პალატა მიიჩნევს, რომ მისი განხილვის ქვეშ მყოფი საქმე წარმოქმნის კონვენციის ინტერპრეტირებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს, მას შეუძლია იურისდიქცია გადასცეს ჩვიდმეტი მოსამართლისაგან შემდგარ დიდ პალატას.<sup>31</sup> დიდი პალატა ასევე უფლებამოსილია, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე განიხილოს პალატების მიერ უკვე გადაწყვეტილი საქმეები, თუკი ჩათვლის, რომ საქმე ეხება კონვენციის ინტერპრეტირებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს.<sup>32</sup>

### საჩივრის დასაშვებობა

კომისიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენდა კონვენციის საფუძველზე წარმოდგენილი საჩივრების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა. მიუხედავად ამისა, წინამდებარე თავში არ იქნება განხილული საჩივრების დასაშვებობასთან დაკავშირებული ცალკეული შემთხვევები. მაგალითად, კომისიას შეეძლო უარყო საჩივარი წარმოდგენილ მტკიცებულებათა უკმარისობის<sup>33</sup> ან დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ბოლომდე გამოუყენებლობის<sup>34</sup> საფუძველზე. გარდა ამისა, ცალკეულ საქმეებში, სადაც მომჩივნებმა, რომლებიც მე-9 მუხლის დარღვევას ამტკიცებდნენ, ვერ შეძლეს ხელისუფლებისაგან მათი რელიგიური ვალდებულებების შესრულებისათვის აუცილებელი საშუალებების გამოთხოვის,<sup>35</sup> ასევე ხელისუფლების მხრიდან რელიგიის თავისუფლებაზე მათი უფლების ხელმყოფი ქმედების დამტკიცება. ერთ-ერთ საქმეში ებრაელი პატიმარი ამტკიცებდა, რომ მას არ აძლევდნენ კოშერული საკვების მიღების შესაძლებლობას, თუმცა ციხის ადმინისტრაციამ წარმოადგინა იმის მტკიცებულება, რომ მსგავსი საკვები ხელმისაწვდომი იყო და რომ თვით ებრაული სათვისტომოს წარმომადგენლებთანაც კი განხორციელდა კონსულტაცია მათი თანამოძმე პატიმრის დიეტასთან დაკავშირებით.<sup>36</sup> სხვა საქმეში მომჩივანმა არ დააკმაყოფილა კომისიის რამდენჯერმე გამეორებული მოთხოვნა საქმესთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე და, შედეგად, მისი საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.<sup>37</sup> მსგავსი ტიპის საქმეებს კომისია ძალზე ოპერატიული წესით უმკლავდებოდა. ისინი ზოგადი ბუნებისაა და, შესაბამისად, ნაკლებად მნიშვნელოვანია მე-9 მუხლის მიმართ კომისიისა და სასამართლოს მიდგომის გააზრების თვალსაზრისით.

მიუხედავად ხსენებული საჩივრების გამარტივებული წესით უარყოფისა, ისინი გარკვეულ ანალიზს იმსახურებენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ის საჩივრები, რომ-



ლებიც დაუშვებლად იქნა ცნობილი აშკარა დაუსაბუთებლობის ნიადაგზე, ვინაიდან ის, რომ კომისიამ ვერ შეძლო სათანადო სერიოზულობის გამოჩენა ხსენებული ტიპის საჩივრებისადმი, ნათლად ცხადყოფს მის კონსერვატიულ მიდგომას მე-9 მუხლისადმი. ვარდა ამისა, სასამართლოს ცალკეული წევრების მტკიცებით, საჩივრის დაუშვებლად ცნობის ტექნიკური საფუძვლები (მაგ. დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების სრულად გამოუყენებლობა) სასამართლოს რთული და საკამათო სფეროების განხილვისათვის თავის არიდების მიზნითაც გამოუყენებია.<sup>38</sup> ამ თავში განხილულია მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც არსებობს მტკიცებულება სასამართლოსა და კომისიის მიერ მსგავსი ტექნიკური საფუძვლების ხსენებული მიზნებისათვის გამოყენების თაობაზე.

### საპროცესო უფლებამოსილება

დასაშვებობის ტექნიკურ სფეროს, სადაც ყველაზე ხშირად წამოჭრილა რელიგიის თავისუფლებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, მიეკუთვნება საპროცესო უფლებამოსილება. კონვენციის 39-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო კომიტეტს შეუძლია მიიღოს „ნებისმიერი პირის, არასამთავრობო ორგანიზაციისა და ინდივიდების ჯგუფის საჩივარი, რომლებიც თავს... კონვენციით გათვალისწინებული ერთ-ერთი უფლების დარღვევის მსხვერპლად აცხადებენ“.<sup>39</sup> ამის შესაბამისად, კომისიაც რეგულარულად ისმენდა ცალკეული ინდივიდებისა თუ ჯგუფურ საჩივრებს მე-9 მუხლის საფუძველზე.

### ეკლესიები და სხვა რელიგიური ორგანიზაციები

ეკლესიების საპროცესო უფლებამოსილება ძალზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა კომისიისათვის. როგორც წესი, კომისიის გადანყვეტილებათა მიხედვით ეკლესიებს და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს არ ჰქონდათ საჩივრის წარდგენის უფლება მე-9 ან პირველი ოქმის მეორე მუხლის საფუძველზე. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ჰქონდათ ეკლესიის მიმდევრებს და არა თვით ამ რელიგიურ ორგანიზაციებს. საქმეში *ეკლესია X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*<sup>39</sup> გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ განაცხადა, რომ განსაზღვრული ჯგუფი ან „კულტი“ საზოგადოებისათვის საფრთხეს წარმოადგენდა. მთავრობამ მართლაც ოპერატიულ და ფართომასშტაბიან ზომებს მიმართა ეკლესიის საქმიანობის შეზღუდვის მიზნით, მისთვის რეგისტრაციის გაუქმების, ეკლესიაში მუშაობისა და სწავლების მსურველების, ასევე საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილე 800 დელეგატისათვის ბრიტანეთის საზღვრების გადაკვეთაზე უარის გაცხადების და ჯგუფის ქმედებების ლიმიტირებისათვის გამიზნული სხვა ღონისძიებების სახით. ეკლესიამ, რომელიც ასოციაციას წარმოადგენდა, საჩივარი შეიტანა საკუთარი და ეკლესიის წევრების სახელით. კომისიამ უარყო საჩივარი იმის საფუძველზე, რომ „საზოგადოებას, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ და არა ფიზიკურ პირს, არ შეუძლია კონვენციის მე-9 და პირველი ოქმის მეორე მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა. მან არ გაითვალისწინა ის, რომ ეკლესია გარკვეულწილად განსხვავდება ჩვეულებრივი კომერციული იურიდიული პირისაგან და, შესაძლოა, ძალზე ეფექტური ორგანიზაცია იყოს რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული დებულებების ცხოვრებაში გატარებისათვის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მთავრობა ყველა ზომას იღებს რელიგიური ჯგუფის ეფექტურობის და არა მისი ინდივიდუალური წევრების უფლებათა შეზღუდვის მიზნით.“<sup>40</sup> კომისიის მიერ იდენტიური გადანყვეტილება იქნა მიღებული საქმეში *X შვედეთის წინააღმდეგ*,<sup>41</sup> სადაც წინა საქმის მსგავსი არგუმენტაციის საფუძველზე უარყვეს შვედეთის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის უფლება, წარედგინა საჩივარი სკოლებში რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებით.

მოგვიანებით კომისიამ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება, ეკლესიებისათვის საპროცესო უფლებამოსილების მინიჭებაზე უარის შესახებ. საქმეში X და საინტოლოგიის ეკლესია შვედეთის წინააღმდეგ,<sup>42</sup> საჩივარი იქნა შეტანილი შვედეთის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის მიერ აკრძალული ელექტროფსიქომეტრის რეკლამასთან დაკავშირებით. საინტოლოგიის ეკლესიის მტკიცებით, მექანიზმი განკუთვნილი იყო ადამიანის მენტალური კეთილდღეობის განსაზღვრისათვის. საჩივრები (მე-9 და მე10 მუხლების საფუძველზე) წარდგენილი იქნა ერთობლივად ეკლესიის წინამძღვრისა და თვით ეკლესიის, როგორც თავისი წევრების წარმომადგენლის მიერ. თუკი ადრე კომისია უარყოფდა ეკლესიების ასეთ წარმომადგენლობით სტატუსს, ამ საქმეში მან შეცვალა ადრინდელი მიდგომა.

*კომისია დღეს იმ პოზიციაზეა, რომ ... განსხვავება ეკლესიასა და მის წევრებს შორის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ხელოვნური ხასიათისაა. როდესაც ეკლესია წარადგენს საჩივარს მე-9 მუხლის საფუძველზე, რეალურად იგი ამას აკეთებს თავისი წევრების სახელით. აქედან გამომდინარე, აღიარებული უნდა იქნეს, რომ ეკლესიური ტიპის ორგანიზაციას შეუძლია მე-9 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული უფლებების ფლობა და მათი გამოყენება, როგორც თავისი წევრების წარმომადგენელს.*

კომისიამ ასევე აღიარა, რომ ზოგიერთ ეკლესიას შეუძლია იყოს არასამთავრობო ორგანიზაცია და, შესაბამისად, ჰქონდეს უფლებამოსილება 25-ე მუხლის საფუძველზე.<sup>43</sup> ეს გაცილებით სრულფასოვანი მიდგომაა, ვინაიდან მსგავს საქმეთა უმრავლესობაში ეკლესია სწორედ ყველაზე შესაფერის ორგანიზაციას წარმოადგენს საჩივრის წარდგენისათვის. თუმცა ეკლესიის ეს უფლება წარმოებული ხასიათისაა და ეფუძნება მისი წევრების უფლებათა ერთობლიობას, ვინაიდან საკუთრივ ეკლესიას არ შეუძლია აღძრას საჩივარი საკუთარი უფლებების დარღვევის თაობაზე.<sup>44</sup> აღსანიშნავია, რომ კომისიამ თავისი გადაწყვეტილება გაავრცელა იმ ასოციაციებზეც, რომლებსაც რელიგიური და ფილოსოფიური მიზნები აქვთ.<sup>45</sup>

### იურიდიული პირები

კომისიის გადაწყვეტილების მიუხედავად, რომლის თანახმადაც ეკლესიას, როგორც იურიდიულ პირს, აქვს რელიგიის თავისუფლების დარღვევის თაობაზე საჩივრის წარდგენის უფლება, სინდისის თავისუფლება არ არის გამოყენებადი ფასეულობა სხვა ტიპის იურიდიული პირებისათვის.<sup>46</sup> კომისია ერთმნიშვნელოვნად უარყოფდა მოგებაზე ორიენტირებული იურიდიული პირების უფლებას საჩივრის წარდგენაზე მე-9 მუხლის საფუძველზე. 1979 წელს მან არ მიიღო ერთ-ერთი კომპანიის საჩივარი, რომლის მიხედვითაც, მომჩივნის იძულება, გადაეხადა საეკლესიო გადასახადები, წარმოადგენდა რელიგიის თავისუფლებაზე მისი უფლების დარღვევას.<sup>47</sup> კომისიის განცხადებით, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, იმის გათვალისწინებით, რომ იგი კომერციული ტიპის კორპორაციათა რიცხვს მიეკუთვნება, არ შეუძლია არც ისარგებლოს და არც დაეყრდნოს კონვენციის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უფლებებს“. კომისიამ ასევე მიუთითა, რომ ორგანიზაციას, რომლის დაფუძნების მიზანსაც წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებებისაგან რეაბილიტაცია, არ გააჩნია უფლება მე-9 მუხლის დაცვით სარგებლობაზე. შედარებით მოგვიანებით განხილულ საქმეში, კომისიამ „არ გამოიციხა“,<sup>48</sup> რომ კომერციულ ორგანიზაციას, რომლის მიზანსაც ფილოსოფიური რწმენის საჯარო გავრცელება წარმოადგენდა, შეიძლება ჰქონოდა უფლებები მე-9 მუხლის საფუძველზე. კომისიამ ეს საქმე სხვა საფუძველებზე დაყრდნობით გადაწყვიტა და, შესაბამისად, არ განუხილავს საკითხი, თუ რა ზომამდე უფრო ფილოსოფიური ან რელიგიური უნდა იყოს ორგანიზაცია, ვიდრე კომერციული.

საპროცესო უფლებამოსილებასთან დაკავშირებული მიდგომის ცვლილება უდავოდ მისა-სალმებელია. იმ საჩივრების უარყოფა, რომლებიც ეკლესიების და არა ინდივიდების მიერ იყო წარდგენილი, საშუალებას აძლევდა კომისიას, ძირითადად ტექნიკური მიზეზების ნი-ადაგზე, თავი აერიდებინა ცალკეული რელიგიური ჯგუფების წინააღმდეგ სახელმწიფოთა მოქმედების შემთხვევების განხილვისათვის.<sup>49</sup> რელიგიური ჯგუფების მიმართ საყოველთაო დისკრიმინაციის ან მთავრობის მხრიდან დევნის პირობებში, ეკლესია ან სხვა რელიგიური ორგანიზაცია შესაძლოა გაცილებით უკეთეს ვითარებაში იყოს სასამართლოს წინაშე წარმო-მადგენლობითი საჩივრის წარსადგენად. ამ უფლების აღიარება ნამდვილად გააძლიერებს დაუცველი ჯგუფების პოზიციებს. მიუხედავად იმისა, რომ კომისიას რელიგიური ორგანი-ზაციისათვის მინიჭებული უფლებამოსილება არ გამოუყენებია სისტემურ დისკრიმინაციასა და დევნასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში ჩართვისათვის, ჯგუფური საჩივრე-ბის წარდგენა, სავარაუდოდ, უფრო მეტად იქნება წარმატების მომტანი ამ სფეროში, ვიდრე მხოლოდ ერთი მომჩივნის მიერ „რეპრეზენტაციული“ საჩივრის გაცხადება. მსგავსი ტიპის ჯგუფური საჩივრების პოტენციალი, შესაძლოა, დანახული იქნეს საქმეში, სადაც კომისიამ დაუშვებლად მიიჩნია საინტელოგის ეკლესიის მიერ წარდგენილი საჩივარი (შიდასახელმწი-ფოებრივი რესურსების ბოლომდე გამოუყენებლობის საფუძველით), რომელიც გერმანიის მხრიდან მისი წევრების მიმართ სისტემურ დევნას შეეხებოდა. კომისიამ მიუთითა, რომ ასეთ საჩივრებს შეეძლო წამოეჭრა მე-9 მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდების დაცვის პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობის საკითხი.<sup>50</sup>

\* \* \*

უკანასკნელ ხანებში სასამართლოს მუშაობის მოცულობა უჩვეულოდ გაიზრდა და, სავა-რაუდოდ, ასეც გაგრძელდება მომავალში, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ევროპის საბჭოს გაფართოებას აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოების ხარჯზე. მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა კომისიისადმი მიმართვა, პირველი ათი წლის განმავლობაში (1954-64) 2088 საჩივარი იქნა წარდგენილი.<sup>51</sup> 1999 წლის განმავლობაში კი 8396 საჩივარი იქნა სასა-მართლოს წინაშე აღძრული.<sup>52</sup> მე-11 ოქმის ძალაში შესვლის მიუხედავად, სასამართლოს სა-მუშაო დატვირთვა საჩივრების დასაშვებობის თაობაზე გადანყვეტილებების მიღების კუთ-ხით არ შემცირებულა. ხსენებული გარემოება გარკვეულწილად ზეწოლასაც კი ახდენს სასა-მართლოზე, რათა მან საჩივრების მნიშვნელოვანი ნაწილი დასაშვებობის სტადიაზევე უარყოს, ვინაიდან მას არ გააჩნია ათასობით საქმის არსებითი განხილვისათვის საკმარისი რესურსი. როგორც მე-9 მუხლის კონტექსტში იქნება განხილული, ამ ვითარებამ შეიძლება მიგვიყვანოს საჩივრების უარყოფამდე სასამართლოს ადრინდელი გადანყვეტილებების მექანიკური გა-მოყენებით აშკარად დაუსაბუთებლობის ნიადაგზე, განსხვავებების მხედველობაში მიღები-სა და იმის გათვალისწინების გარეშე, რამდენად შესაბამისია სანქისი გადანყვეტილება არ-სებულ ვითარებასთან.

აღნიშნულის გარდა, საქმის არსებითი განხილვის დროს სასამართლო გარკვეულ შეზ-ღუდვებს ექვემდებარება. კერძოდ, გადანყვეტილება გონივრულ ვადაში უნდა იქნეს მიღე-ბული მოსამართლეთა უმრავლესობის მიერ. ამან, შესაძლოა, მიგვიყვანოს ერთმნიშვნელოვან გადანყვეტილებათა შემცირებამდე, რომლებიც ნაკლებ წარმოდგენას შექმნიან მათი რეალუ-რი მიზეზების თაობაზე და ადრინდელი გადანყვეტილებების ნაწყვეტების გამოვრებისკენ იქნება მიდრეკილი. პროფესორ მერილის თანახმად, უმრავლესობათა გადანყვეტილებები „იშვიათად აჩვენებს როგორც დამაჯერებლობას, ისე საუკეთესო ინდივიდუალურ მოსაზრე-ბათა სიღრმისეული სამართლებრივი ანალიზის დამახასიათებელ ნიშნებს“. ამის გამო ცალ-

კეულ მოსამართლეთა განსხვავებული მოსაზრებანი შესაძლოა განმარტებით ხასიათს ატარებდეს, თუმცა ზემოხსენებული ფორმულირების თანახმად, ისინი არ ასახავენ სასამართლოს ერთიან პოზიციას. ამის მსგავსად, პროფესორი მერილსი ხაზს უსვამს საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობას, რომელიც ამომწურავი სამართლებრივი დასაბუთებისა და ანალიზის გზით ცხადყოფს საქმეში არსებული საკითხების გააზრებას. სხვაგვარად, მისი განცხადებით, სასამართლოს გადაწყვეტილებანი „ცუდად ინფორმირებული ან თვითნებური ხასიათის მქონედ გამოჩნდება, რაც სასამართლოსადმი ნდობის ხელშემწყობ ფაქტორს ნამდვილად არ წარმოადგენს“. ამ ავტორის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ზოგადად ცდილობს, სრულად დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილებანი არსებული სისტემით შებოჭვის პირობებში, ზოგჯერ სასამართლოს გადაწყვეტილებანი გონივრულად დასაბუთებული არ არის.

ეს პრობლემები სისტემურია და მხოლოდ მე-9 მუხლის კონტექსტში არ არის აქტუალური. მიუხედავად ამისა, ვინაიდან რელიგიის თავისუფლება ყველაზე საკამათო სფეროს წარმოადგენს, ყველაზე რთული, შესაძლოა, სწორედ აქ იყოს მოსამართლეებს შორის კონსენსუსის მიღწევა. მიუხედავად რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმეებისადმი ნათელი, შესაბამისი და პრინციპული მიდგომის შემუშავების თვალსაზრისით პრაქტიკული სირთულეების არსებობისა, არ მცირდება სასამართლოს ნევრების ვალდებულება, დაიცვან ხელშემკვრელი სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ მყოფი ინდივიდების რელიგიისა და რწმენის თავისუფლება. როგორც შემდგომ ქვეთავებში ვიხილავთ, მათ ვერ შეძლეს თავიანთი ვალდებულების ადეკვატურად შესრულება.

# რელიგიისა და რწმენის განსაზღვრება

რელიგიისა და რწმენის დეფინიცია მე-9 მუხლის პრეცედენტული სამართლის განვითარების უმთავრესი ფაქტორია, თუმცა ეს საკითხი იმდენად საკამათო სფეროს მიეკუთვნება, რომ კონსენსუსი დღემდე ვერ იქნა მიღწეული ამ ტერმინის მნიშვნელობის თაობაზე. ადამიანის უფლებათა არც ერთი დოკუმენტი, კონვენციის ჩათვლით, არ შეიცავს რელიგიისა და რწმენის განსაზღვრებას. ამ საკითხის თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიმდინარე კამათი ძალზე ართულებს იმის მტკიცებას, რომ ამ ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტების ავტორებს რაიმე საერთო განზრახვა ამოძრავებდათ მისი გამოყენებისას. მაგალითად, მწვავე დებატების საგნად იქცა საკითხი იმის თაობაზე, მოიცავდა თუ არა რელიგიისა და რწმენის დეფინიცია ათეიზმსა და აგნოსტიციზმს. ამ დებატებს კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია. არც კონვენციის ავტორებს გაუთვალისწინებიათ ტერმინის ინტერპრეტირებასთან დაკავშირებული ეს პრობლემა. აქედან გამომდინარე, რელიგიისა და რწმენის განსაზღვრებისას ძირითადი დატვირთვა სასამართლოსა და კომისიაზე იქნა გადატანილი.

სასამართლოს განცხადებით, მან კონვენციის იმგვარი ინტერპრეტაცია უნდა მოახდინოს, რომელიც „კონვენციის განზრახვისა და მისი მიზნების შესაბამისია და არ არის მიმართული ხელშემკვრელი მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების მაქსიმალური შეზღუდვისაკენ“.<sup>53</sup> მან ასევე აღიარა კონვენციის ისეთი გზით გამოყენების აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფდა ამ დოკუმენტით მინიჭებული უფლებების „პრაქტიკულ და ეფექტურ“ და არა მხოლოდ „თეორიულ და ილუზორულ“ ხასიათს.<sup>54</sup>

## კონვენციის მე-9 მუხლი

მე-9 მუხლის პირველი ნაწილით დაცულია „უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაზე“, რწმენის

ხსენების გარეშე, თუმცა ამავე ნაწილით დაცულია „რელიგიისა და რწმენის შეცვლის უფლება“. მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მეორე სეგმენტი შეეხება ადამიანის უფლებას რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციაზე, „ღვთისმსახურებით, სწავლებით, რიტუალების შესრულებით ან წეს-ჩვეულებების დაცვით“, აზრისა და სინდისის ხსენების გარეშე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „აზრი და სინდისი“ გარკვეულწილად განსხვავდება „რელიგიისა და რწმენისაგან“, ვინაიდან მე-9 მუხლიდან გამომდინარეობს აბსოლუტური ვალდებულება აზრისა და სინდისის დაცვაზე, მაგრამ არა უფლება მათი გამოხატვისა.<sup>55</sup> ამასთანავე, სიტყვები „აზრი“ და „სინდისი“ ძალზე ბუნდოვანი და რთულად განსასაზღვრია (შესაძლოა რელიგიისა და რწმენაზე მეტადაც). ამრიგად, არსებობს სამართლებრივად მნიშვნელოვანი განსხვავება ორ კომპლექსურ და მსგავს იდეას შორის („აზრსა და სინდისსა“ და „რელიგიასა და რწმენას“ შორის). მე-9 მუხლის ტექსტი მხოლოდ ამგვარი განსხვავების არსებობაზე მეტყველებს, თუმცა ასევე შეიძლება ჩაითვალოს, რომ სასამართლომ იდეათა ერთი ერთობლიობა მეორის განსაზღვრისთვის უნდა გამოიყენოს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ, მაგალითად, სასამართლომ რელიგია და რწმენა იმდენად ფართოდ უნდა განსაზღვროს, რომ მისმა დეფინიციამ მოიცავს ყველაფერი ის, რაც აზრისა და სინდისის ცნების ფარგლებში ექცევა. რასაკვირველია, ხსენებული განსხვავების პრინციპული ჩამოყალიბება ურთულესი ამოცანაა, განსაკუთრებით, ამ იდეათა მჭიდრო ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. ბევრი ადამიანი თავის რელიგიურ რწმენას საკუთარი სინდისის საშუალებით ეზიარება და, პირიქით, სინდისის ჩამოყალიბება რელიგიური რწმენის ბუნებით არის განპირობებული. მორწმუნე ადამიანისთვის მათ შორის განსხვავება არ უნდა იყოს დიდი მნიშვნელობის მქონე. თუმცა სხვაობა მე-9 მუხლში იქნა ფორმულირებული და, შესაბამისად, სასამართლოს მიერ გადამწყვეტილებათა მიღებაზე უნდა მოახდინოს ზეგავლენა.

მე-9 მუხლთან დაკავშირებულ სხვა, შედარებით უფრო ნაკლებად პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ტერმინ „რწმენის“ გამოყენება ამ მუხლის პირველი ნაწილის მეორე სეგმენტში. იგი სრულად მოიცავს ისეთ ჯგუფებს, როგორებიც არიან ათეისტები და აგნოსტიკოსები, და, სავარაუდოდ, იმ ჯგუფებსაც, რომელთაც ახასიათებთ გარკვეული რელიგიური ელემენტები, თუმცა არ ექცევიან რელიგიის კატეგორიის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში კი მე-9 მუხლის პირველი ნაწილი საკმაოდ უცნაური შედეგის მატარებელია. მაგალითად, ამ მუხლის თანახმად, ათეისტებს აქვთ რწმენის მანიფესტაციის უფლება, თუმცა მათი უფლება რწმენის ქონაზე არ არის დაცული. ამგვარი ანომალიური სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი ალბათ იმის აღიარება იქნება, რომ რწმენის კატეგორიას აზრისა და სინდისის შედარებით ფართო კატეგორიები მოიცავს. სასამართლომ და კომისიამ თავიანთი საქმიანობა იმ ვარაუდის საფუძველზე წარმართეს, რომლის თანახმადაც არსებობს როგორც რწმენის ქონის, ისე მისი მანიფესტაციის უფლება, ამ საკითხზე ყოველგვარი არგუმენტაციის ჩამოყალიბების გარეშე. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ ასეთი მიდგომა საეჭვო მთლიანად მე-9 მუხლის კონტექსტში.

რწმენისადმი შესაბამისი მიდგომის შემუშავების პროცესში სასამართლოს, შესაძლოა, დახმარება ტექსტის ფრანგულმა ვერსიამაც გაუწია. საყოველთაო დეკლარაციის შემუშავებისას თავდაპირველად ტერმინი „*croyance*“ (აღმსარებლობა) იქნა გამოყენებული ინგლისურ ტერმინ „*belief*“-ის (რწმენა) სინონიმად. ტერმინ „*croyance*“-ის გამოყენება რელიგიურ რწმენასთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებდა. თუმცა დეკლარაციის შემდგომ პროექტებში იგი ჩანაცვლებული იქნა ტერმინით *conviction* (მრწამსი), რომელიც შედარებით ნაკლებადაა რელიგიურად ორიენტირებული და არარელიგიური რწმენების გაცილებით ფართო სპექტრს მოიცავს, ვიდრე *croyance*. თუმცა, უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ინკლუზიურობის მაღალი



დონისა, სრულად არც ტერმინ *conviction*-ის გამოყენებამ მოჰფინა ნათელი მე-9 მუხლის განსაზღვრებიდან გამომდინარე პრობლემურ საკითხებს.

## ვეროპული სასამართლოსა და კომისიის პრაქტიკა

### ზოგადი ლიბერალური მიდგომა

მე-9 მუხლის კონტექსტში რელიგიისა და რწმენის დეფინიციის ჩამოყალიბების ამოცანა ძირითადად კომისიის მიერ იქნა შესრულებული. მრავალ შიდასახელმწიფოებრივ სისტემაში, სადაც რელიგიის (ზოგან რწმენის) თავისუფლება დაცულია კონსტიტუციური თუ მიმდინარე კანონმდებლობის რეჟიმებით, საკითხი იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება რელიგიაში, დიდი კამათის საგანს წარმოადგენდა.<sup>56</sup> კომისია ზოგადად არ ჩარეულა აღნიშნულ კამათში. თუმცა არსებობს ცალკეული გამონაკლისებიც. საქმეში, რომელშიც ინდივიდს არ სურდა, დასაფლავებულიყო სასაფლაოზე, სადაც საფლავების უმრავლესობა ქრისტიანულ სიმბოლოებსა და წარწერებს შეიცავდა, არამედ საკუთარი გვამის დანვა და დარჩენილი ფერფლის თავისი ქვეყნის ფარგლებში მიმოხვევა უნდოდა,<sup>57</sup> კომისიამ აღიარა, რომ ამ ქმედების სურვილი „ძლიერი პერსონალური მოტივაციით“ იყო განპირობებული, თუმცა არ იმსახურებდა დაცვას მე-9 მუხლის საფუძველზე, ვინაიდან პიროვნების სურვილი არ გამოხატავდა „დამაჯერებელ შეხედულებას ფუნდამენტურ პრობლემებზე“. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ რაღაც რელიგიად ან რწმენად ჩაითვალოს, აუცილებელია არსებობდეს გარკვეული დონის ინტელექტუალური ან მორალური დამაჯერებლობა: ბუნდოვანი სურვილები არ არის საკმარისი.

აღნიშნული მიდგომა სასამართლომ გაიმეორა საქმეში *კემპბელი და კოსანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,<sup>58</sup> სადაც მიუთითა, რომ „მრწამსი“ კონვენციის პირველი ოქმის მეორე მუხლის საფუძველზე არ არის იდენტური მე-10 მუხლში გამოყენებული „მოსაზრების“ ან „იდეებისა“, არამედ გაცილებით ახლო დგას მე-9 მუხლში მოყვანილ ტერმინ „რწმენასთან“. იმისათვის, რომ რწმენა გათანაბრებული იქნეს პირველი ოქმის მეორე მუხლში მოყვანილ „მრწამსთან“, აუცილებელია „მიღწეულ იქნას გარკვეული დამაჯერებლობა, სერიოზულობა, ერთიანობა და მნიშვნელობა“. შესაბამისად, ამ საქმეში მშობლების ფილოსოფიური ოპოზიცია ბავშვების ფიზიკური დასჯის მიმართ, სასამართლომ მიაკუთვნა „ადამიანური ქცევის არსებით ასპექტს“, რომელსაც დამაჯერებლობის, სერიოზულობის, ერთიანობისა და მნიშვნელობის სათანადო დონე ჰქონდა, რითაც განსხვავდებოდა იდეებისა და მოსაზრებებისაგან.<sup>59</sup> აღნიშნულისგან განსხვავებით, საქმეში, სადაც მშობლის მიერ ფიზიკური დასჯა გაპროტესტებული იქნა იმ მოტივით, რომ ასეთი სასჯელი შეუსაბამო იყო მისი შვილის საქციელთან კონკრეტული გარემოებების პირობებში, კომისიის მიერ მომჩივნის ქმედება არ იქნა მიჩნეული ისეთად, რომელიც დააკმაყოფილებდა დამაჯერებლობის, სერიოზულობის, ერთიანობისა და მნიშვნელობის სავალდებულო დონეს კონვენციით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობისათვის.<sup>60</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად სასამართლომ რელიგიისა და რწმენის განსაზღვრებისადმი საკმაოდ დიდსულოვანი მიგდომა შეარჩია. საინტელოგოთა ეკლესია აღიარებული იქნა მე-9 მუხლით გათვალისწინებულ დაცვით სარგებლობის უფლების მქონედ, იმ საკითხების განუხილველად, რომლებიც ეროვნულ სასამართლოებს აინტერესებდა.<sup>61</sup> პაციფიზმი რწმენად იქნა აღიარებული, მაშინაც, როცა იგი გარკვეულ რელიგიას არ უკავშირდება.<sup>62</sup> ტრადიციული რელიგიები და რწმენები, როგორცაა ქრისტიანული დენომინაციები,<sup>63</sup> ისლამი,<sup>64</sup> ინდუიზმი,<sup>65</sup> ბუდიზმი,<sup>66</sup> იუდაიზმი<sup>67</sup> და ათეიზმი<sup>68</sup> მიკუთვნებული იქნა მე-9 მუხლის პირველი ნაწილისადმი. თვით დრუიდები<sup>69</sup> და ღვთიური ნათლის ცენტრი<sup>70</sup> კომისიის მიერ რელიგიად ან რწმენად



იქნა პრეზუმირებული და ორსავე შემთხვევაში მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე გადაწყდა საქმე.

### პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსი

როგორც ვხედავთ, დამაჯერებლობისა და სერიოზულობის გარკვეული ცუდად განსაზღვრული დონის არსებობასთან დაკავშირებული მოთხოვნის გარდა, კომისიას არ უცდია რელიგიისა და რწმენის ფორმალური დეფინიციის შემუშავება. ხშირ შემთხვევაში იგი უბრალოდ თავს არიდებდა მოცემული საკითხის განხილვას და სხვადასხვა საფუძველზე დაყრდნობით წყვეტდა საქმეებს.

კონვენციის მოქმედების საწყის ეტაპზე საქმეთა ძალზე რთული სახეობა გამოიკვეთა ფაშისტური და ნაცისტური მრწამსის მიმდევართა კონტექსტში. ასეთი ტიპის პირველ საქმეში, *X ავსტრიის წინააღმდეგ*,<sup>71</sup> მომჩივანი მსჯავრდებული იქნა ნეონაცისტური ქცევის ნაქვების ბრალდებით (კომისიამ თითქმის იდენტურ ჭრილში გადანყვიტა სხვა, უფრო გვიან განხილული საქმე, რომელიც ფაშისტური საქმიანობისათვის ინდივიდის მსჯავრდებას შეეხებოდა<sup>72</sup>). მისი საჩივარი ძირითადად სასამართლო პროცესის სამართლიანობასა და ნეონაცისტური ქცევის ბუნდოვან განსაზღვრებას ეხებოდა. მომჩივნის მტკიცებით, მისი დაპატიმრება მე-9 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა. კომისიამ აღიარა, რომ მართლაც ჰქონდა ადგილი მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას, თუმცა იქვე მიუთითა, რომ ავსტრიის მთავრობა კონვენციის საფუძველზე უფლებამოსილი იყო, განესაზღვრა ნეონაციზმის ამკრძალავი კანონების აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე.<sup>73</sup>

ეს საქმე კომისიისაგან მოითხოვდა, განესაზღვრა, ნაციზმი რწმენა იყო თუ მხოლოდ აზრისა და სინდისის ცნების ფარგლებში ექცეოდა (ან საერთოდ სცილდებოდა მე-9 მუხლის მოქმედების საზღვრებს). კომისიამ თავი აარიდა ასეთ განხილვას და პირდაპირ მე-9 მუხლის მეორე ნაწილის ქვემდებარე საკითხების მიმოხილვაზე გადავიდა. თუმცა კომისიის ქმედებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაციზმი რწმენას წარმოადგენს, ვინაიდან მე-9 მუხლის მეორე ნაწილი მხოლოდ რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციას შეეხება და არ გამოიყენება აზრისა და სინდისის თავისუფლების მიმართ. შესაბამისად, პირდაპირ მე-9 მუხლის მეორე ნაწილის განხილვაზე გადასვლით კომისიამ იგულისხმა, რომ ნაციზმი რწმენა იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ირელევანტური იქნებოდა საკითხი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა მისი შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში. სავარაუდოდ, კომისია არ გეგმავდა მოცემულ შედეგს, არამედ მე-9 მუხლის მეორე ნაწილი მხოლოდ იმიტომ გამოიყენა, რომ საჩივრის უარყოფის ყველაზე იოლ გზას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, სხვა საქმეში კომისიამ დაუშვებლად მიიჩნია კომუნისტური რწმენის მანიფესტაციაზე მომჩივანთა მოთხოვნების უარყოფა დასაშვებობის სტადიაზე.<sup>74</sup> თუმცა აქაც დეტალურად არ განხილულა რწმენის დეფინიცია ან მისი განსხვავება აზრისა და სინდისისაგან. აქედან გამომდინარე, არ არის ნათელი, გარკვეული პოლიტიკური მრწამსი ექცევა თუ არა „რელიგიისა და რწმენის“ ცნების ქვეშ მე-9 მუხლის საფუძველზე. სავსებით შესაძლებელია, რომ თვით მრწამსთა ისეთი ერთობლიობანი, რომლებიც შეუსაბამო ადამიანის უფლებათა ფასეულობებთან, როგორცაა ნაციზმი ან ფაშიზმი, იმსახურებდეს დაცვას, როგორც რწმენა მე-9 მუხლის იურისპრუდენციის საფუძველზე. კომისიის მიერ პოლიტიკურ/ეთიკურად მოტივირებული პაციფიზმის რწმენად აღიარება ფაქტობრივად ფილოსოფიური და, შესაძლოა, პოლიტიკური მრწამსების ფართო სპექტრის მე-9 მუხლით გათვალისწინებული რწმენის დეფინიციის ფარგლებში თავმოყრის შესაძლებლობას გულისხმობდეს.<sup>75</sup>

## ინდივიდუალიზებული რელიგია და რწმენა

სხვა ტიპის შემთხვევა, რომელიც ასევე რთული დეფინიციური საკითხების გადანყვეტის წინაშე აყენებდა კომისიას, შეეხება ინდივიდებს, რომლებიც გარკვეული რელიგიისა თუ რწმენის მიმდევრებად აცხადებდნენ თავს, რომელთა არსებობასაც კომისია ეჭვქვეშ აყენებდა. ამ სფეროში ორი წამყვანი საქმე დაკავშირებული იყო პატიმრებთან, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ციხის ადმინისტრაციის მიერ დაირღვა მათი უფლება რელიგიის გამოხატვაზე. საჩივრების დასაბუთებულობის საკითხის გადასაწყვეტად, კომისიას უნდა დაედგინა, არსებობდა თუ არა რელიგია, რომლის გამოხატვაც შესაძლებელი იყო. პირველ საქმეში მომჩივანი ამტკიცებდა, რომ იგი ჭეშმარიტი მორწმუნე იყო, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რა იგულისხმებოდა ამაში, ან როგორ უშლიდა ციხის ადმინისტრაცია ხელს მას რწმენის მანიფესტაციაში.<sup>76</sup> რეალურად კომისიას არ დაუდგენია, რომ ჭეშმარიტი მორწმუნეობა მე-9 მუხლის მოქმედების საზღვრებს გარეთ ექცეოდა, არამედ მიუთითა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი საჩივრის დასაბუთებისათვის.<sup>77</sup>

მეორე საქმეში მომჩივანი ამტკიცებდა, რომ იგი „ვიკა“-ს რელიგიის წევრი იყო. პირი აბრტესტებდა ციხის ადმინისტრაციის უარს საპატიმრო დაწესებულების დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობაზე.<sup>78</sup> ამ საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, თუ როგორ უშლიდა მომჩივანს ხელს ციხის ადმინისტრაცია თავისი რელიგიის გამოხატვაში, ვინაიდან არ ყოფილა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ მას ოდესმე მოეთხოვოს საპატიმროს ხელმძღვანელობისაგან საკუთარი რწმენის მანიფესტაციისათვის აუცილებელი საშუალებანი. გარდა ამისა, კომისიამ დამატებით მიუთითა, რომ „ამ საქმეში მომჩივანის მხარეს არ უხსენებია არც ერთი ფაქტი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა „ვიკა“-ს რელიგიის არსებობის დადგენა“.

ბოლო წინადადება საკმაოდ საინტერესო საკითხებს წამოსწევს წინა პლანზე. უდავოა, რომ დაწესებული რელიგიის მიმდევარს არაფერ მოსთხოვს, მაგალითად, კათოლიციზმის ან ინდუიზმის არსებობის დამტკიცებას. აქედან გამომდინარე, სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის მოთხოვნა ახლად დაარსებულ ან უფრო ინდივიდუალისტური რელიგიისა თუ რწმენის მიმართ წარმოიქმნება. კომისია არ აკეთებს მითითებას იმის თაობაზე, თუ რა რაოდენობის მიმდევარი უნდა ჰყავდეს „რელიგიას“, რამდენი ხნის განმავლობაში უნდა არსებობდეს, როგორი განვითარებული წესები უნდა ჰქონდეს, ან სხვა რა კრიტერიუმი ჩაითვლება მნიშვნელოვნად, რაიმე რელიგიის არსებობის ან არარსებობის საკითხის გადასაწყვეტად. ერთი ავტორის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის არსებობის მტკიცების ტვირთი მომჩივანს ეკისრება, მისი განტვირთვა საკმაოდ იოლად და სამართლიანად შეიძლება. თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, როგორ არის შესაძლებელი ამის განხორციელება.<sup>79</sup> რელიგიისა და რწმენის დეფინიციის არარსებობის პირობებში გაურკვეველია, რა სახის მტკიცებულება იქნება რელევანტური. ამავე დროს ამჟამად, რომ სხვადასხვა დეფინიციის შემთხვევაში განსხვავებული ტიპის მტკიცებულება იქნება საჭირო.

საკითხი კიდევ უფრო რთულდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ტერმინმა „რწმენამ“ შესაძლოა მოიცვას შედარებით ინდივიდუალისტური რწმენები, რომლებიც არ წარმოადგენენ სტრუქტურირებული რელიგიის ან მორწმუნეთა ორგანიზაციის ნაწილს. ათეისტთა უმრავლესობა სწორედ ამ კატეგორიის ფარგლებში ექცევა. სასამართლომ გამოკვეთილად აღიარა, რომ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა ვრცელდება როგორც „თავისუფლად მოაზროვნეთა“, ისე „რელიგიისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების მქონეთა“ მიმართ.<sup>80</sup> არსებობს ლეგიტიმური შემოფოტების საფუძველი იმასთან დაკავშირებით, რომ სავსებით შესაძლებელია მე-9 მუხლის ბოროტად გამოყენება, მაგალითად, პატიმრების მიერ, რომლებიც

იგონებენ „რელიგიას“ ან „რწმენას“ იმ პრივილეგიებით სარგებლობის მიზნით, რომლებსაც სხვა შემთხვევაში ვერ მიიღებდნენ. პატიმრებთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ საქმეებში კომისია იმის დიდი ალბათობით იყო შენუხებული, რომ ეს რელიგიები მხოლოდ მოჩვენებითი ხასიათისა იყო.<sup>81</sup>

ამის მიუხედავად, შეიძლება ასეთი შიში უფრო პირდაპირი გზით დაფიქსირებულიყო. მაგალითად, ტეხასის შტატის საოლქო სასამართლომ ზემოხსენებული შემთხვევების მსგავს საქმეში განაცხადა, რომ რელიგია, რომლის ფუძემდებლაც პატიმარი აცხადებდა თავს, წარმოადგენდა „თვალთმაქცობას პირველი შესწორებით უზრუნველყოფილი დაცვის მიღების განზრახვით“.<sup>82</sup> იმის მიუხედავად, რომ თაღლითური რწმენის შეფასება კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს, ისეთი ტესტის შემუშავებამ, რომელიც ძალზე ბევრს მოითხოვს რწმენის არსებობის დამადასტურებელ „მტკიცებულებად“, შესაძლოა მე-9 მუხლის დაცვის მიღმა დატოვოს ინდივიდუალისტური რწმენის მქონე ნამდვილად გულწრფელი ადამიანები. იმ საქმეებში, სადაც სიცრუის ეჭვი არსებობს, არაკეთილსინდისიერების დასამტკიცებლად აუცილებელი მტკიცებულების ბუნება განსხვავებული იქნება კონკრეტულ საქმეში არსებული ფაქტების გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს უნდა დაეკისროს. სწორედ მან უნდა დაამტკიცოს, რომ პიროვნება რელიგიურ თუ სხვა სახის რწმენას თაღლითური განზრახვით იყენებს.

ეს გაცილებით დამაკმაყოფილებელი პასუხი იქნებოდა ინდივიდუალისტურ რწმენასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ვიდრე მხოლოდ იმგვარი გადანყვეტილების მიღება, რომ ისინი არ ექცვიან მე-9 მუხლის ფარგლებში. საქმეში, სადაც მომჩივანს საზოგადოებრივ სასაფლაოზე დამარხვის ნაცვლად, საკუთარი გვამის დაწვა და ფერფლის მიმოხრევა სურდა,<sup>83</sup> კომისია უფრო ნაკლებად იყო მზად, გადაყვეტილება მომჩივნის სასარგებლოდ მიეღო, ვიდრე იგი პირის სტრუქტურირებული რელიგიური ორგანიზაციის წევრად ყოფნის შემთხვევაში იქნებოდა. მიზეზი, რის გამოც მომჩივანს თავისი გვამის დაწვა ერჩივნა, ის იყო, რომ მას არ სურდა, დასაფლავებულიყო ქრისტიანული სიმბოლოებით სავსე სასაფლაოზე. თუკი მომჩივნის პროტესტი დაეფუძნებოდა იმას, რომ თვითონ არაქრისტიანული რელიგიის წარმომადგენელი იყო (განსაკუთრებით იმ რელიგიისა, რომელიც დასაფლავების სპეციალურ რიტუალს იცავს), ალბათ დაბრკოლება არ შეექმნებოდა იმის მტკიცებისას, რომ მისი ინტერესი „რელიგიით ან რწმენით“ იყო მოტივირებული.<sup>84</sup> თუკი ახლად შექმნილი სასამართლო, კომისიის მსგავსად, მზად იქნება, უარყოს მომჩივანთა მოთხოვნები იმის საფუძველზე, რომ მათი რწმენა, გულწრფელი ხასიათის მიუხედავად, არ არის საკმარისად დამაჯერებელი, რათა გათანაბრებული იქნეს რწმენასთან მე-9 მუხლის საფუძველზე, არსებობს კონვენციით გათვალისწინებული დაცვის სფეროდან ინდივიდუალიზებული და პერსონალური რწმენების ფართო სპექტრის გამორიცხვის დიდი პოტენციალი.

### **ალტერნატიული მიდგომები რელიგიისა და რწმენის დეფინიციების მიმართ**

მრავალ სასამართლოსა თუ სხვა სამართლებრივ დანესებულებას ჰქონია შეხება „რელიგიის“ ან „რელიგიისა და რწმენის“ დეფინიციასთან კონსტიტუციური და სხვა საკანონმდებლო დებულებების, კონვენციების და საერთაშორისო აქტების ინტერპრეტირებისას. ამოცანა საკმაოდ რთულია და დღემდე ვერ მოხერხდა საყოველთაოდ აღიარებული დეფინიციის შემუშავება. არც ერთი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც რელიგიის თავისუფლებას შეეხება, არ მოიცავს ხსენებული ტერმინების განსაზღვრებას. თვით ყველაზე დეტალური საერთაშორისო აქტი მოცემულ სფეროში – დეკლარაცია რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის თაობაზე, არ იძლევა ზუსტ მითითებას რელიგიისა და რწმენის საზღვრების

შესახებ. ზოგიერთი ავტორის მტკიცებით, დეფინიციის შემუშავების ნებისმიერი მცდელობა არაპროდუქტიული იქნებოდა და, სავარაუდოდ, კონფლიქტისა და დავის საგნად გადაიქცეოდა. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაშიც იქნებოდა დეფინიციის მექანიკურად და შეზღუდულად გამოყენების პოტენციური შესაძლებლობა, რის შედეგადაც კონვენციის დაცვის სფეროდან იმ რწმენათა გამორიცხვა მოხდებოდა, რომლებიც ასეთ დაცვას რეალურად იმსახურებენ.<sup>85</sup> მიუხედავად ამისა, ვინაიდან სასამართლოები დღემდე ზოგად ცნებებს იყენებდნენ სპეციფიკურ საქმეებში, იმისათვის, რომ მათი გამოყენება შესაბამის და ნათელ ხასიათს ატარებდეს, აუცილებელია შემუშავდეს გარკვეული სახის დეფინიცია.<sup>86</sup>

### საერთაშორისო სამართალი

საერთაშორისო დონეზე არსებობს ზოგადი კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ ტერმინი „რელიგია და რწმენა“ მოიცავს „თეისტურ, არათეისტურ და ათეისტურ რწმენებს“. ასეთი ფორმულირება გამოყენებული იქნა რელიგიური შეუწყნარებლობის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის დეკლარაციის პროექტში. ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარე მწვავე დისკუსიას ცხადყოფს ისიც, რომ თვით ეს მინიმალური დეფინიციაც კი არ შეიტანეს დეკლარაციის საბოლოო ვარიანტში, ცალკეულ აღმოსავლეთევროპულ სახელმწიფოთა პროტესტის შედეგად, რომლის მიხედვითაც ეს განსაზღვრება ვერ უზრუნველყოფდა არარელიგიური რწმენების ადეკვატურ დაცვას. შემოთავაზებული იყო რამდენიმე სხვა, უფრო მკაფიო დეფინიციაც, მათ შორის, ზოგიერთი მათგანი რწმენათა ისეთ სისტემებს მოიცავდა, როგორცაა რასიზმი, ნაციზმი და აპართეიდი. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ მიღებული იქნა გადანაცვლები, რომ ტერმინი „რელიგია“ და „რწმენა“ არ საჭიროებს შემდგომ სრულყოფას.

აქედან გამომდინარე, არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და არც რეგიონული შეთანხმებები არ იძლევა რელიგიისა და რწმენის დეფინიციას. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს სხვადასხვა აქტების *travaux preparatoires*<sup>87</sup> მართლაც მეტყველებს არათეისტური რწმენების ტერმინ „რწმენაში“ შეტანის თაობაზე არსებულ ფართო კონსენსუსზე, არ არის ნათელი, თუ კონკრეტულად რა იგულისხმება ამ ცნებაში. შესაბამისი ორგანოები ამ შეთანხმებების გამოყენებისას ასევე, სიზუსტეს მოკლებული, ფართო და ინკლუზიური დეფინიციების სასარგებლოდ იხრებოდნენ. ამ საკითხზე სასამართლოსა და კომისიის მიდგომა შეესაბამება გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მსჯელობას. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის ზოგად კომენტარში კომიტეტმა აღნიშნა, რომ:

*მე-18 მუხლი იცავს თეისტურ, არათეისტურ და ათეისტურ რწმენებს, ისევე როგორც უფლებას არც ერთი რელიგიისა და რწმენის აღიარებაზე. ტერმინები „რელიგია“ და „რწმენა“ ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული. მე-18 მუხლის გამოყენება არ არის შეზღუდული ტრადიციული რელიგიებით ან იმ რელიგიებითა და რწმენებით, რომელთა ინსტიტუციონალური ნიშნები და საქმიანობა ტრადიციული რელიგიების ანალოგიურია.<sup>88</sup>*

ეს დეფინიცია საკმაოდ სასარგებლოა იმის დასადასტურებლად, რომ რელიგია და რწმენა მოიცავს ათეიზმს, თუმცა მაინც ფოკუსირებულია იმაზე, რომ არ იყოს გამომრიცხავი ხასიათისა. ამ დეფინიციით მხარდაჭერილია ზოგადი ლიბერალური მიდგომა ინკლუზიურობის საკითხის მიმართ, თუმცა რეალურად უსარგებლოა ტერმინ „რელიგიის“ ან „რწმენის“ საზღვრების დადგენისას. ცხადია, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული საზღვრები და კომიტეტმა უარი განაცხადა ისეთი ჯგუფის რელიგიად აღიარებასა და, შესაბამისად, მისთვის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლით გათვალისწინებული დაცვის მინიჭებაზე, რომლის რწმენა და საქმიანობა მხოლოდ მარხიუანას (ან „უფ-

ლის სიცოცხლის ხის“, როგორც ეს ჯგუფი უნოდებდა) კულტივირებით, გავრცელებითა და გამოყენებით შემოიფარგლებოდა.<sup>89</sup> თუმცა კომიტეტის გადაწყვეტილება ძალზე სპეციფიკური იყო და მხოლოდ მიუთითებდა, რომ „რწმენა, რომელიც ძირითადად ღვთისმსახურებისა და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელებაში მდგომარეობს, სავარაუდოდ, არ შეიძლება კონვენციის მე-18 მუხლის ფარგლებში მოექცეს“. ეს გადაწყვეტილება ფაქტობრივად აღიარებს ქვეყნის რელიგიის არსებობის შესაძლებლობას, რომელიც ნარკოტიკულ საშუალებებს თავისი რელიგიის ნაწილად ან ღვთისმსახურების ერთ-ერთ ფორმად იყენებს,<sup>90</sup> თუმცა არ გამოხატავს იმ რეალურ მიზეზს, რომლის გამოც მოხდა ამ ჯგუფის გამორიცხვა რელიგიის დეფინიციიდან. შესაძლოა, კომიტეტის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ვარაუდი, რომლის თანახმადაც ხდებოდა რელიგიის არსებობის ინსცენირება კანონისგან თავის დაღწევის მიზნით. თუკი ეს არ შეესაბამება სიმართლეს, მაშინ კომიტეტის დეფინიციის ბუნდოვანება არ იძლევა სხვა პრინციპული ახსნის პოვნის შესაძლებლობას, რატომ არ მოხდა რელიგიად იმ ჯგუფის აღიარება, რომელიც ნარკოტიკებს იყენებდა „ღვთისმსახურების“ პროცესში.

განსხვავებული დეფინიცია იქნა მოცემული დისკრიმინაციის აღკვეთისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის სპეციალურ მომხსენებელ ოდიო ბენიტოს მიერ, რომლის მიხედვითაც რელიგია „არის სიცოცხლის არსისა და მის შესაბამისად ცხოვრების ახსნა. ყველა რელიგიას, სულ მცირე, მსოფლმხედველობა, ქცევის კოდექსი და კულტი აქვს. თუმცა, მისი განცხადებით, ეს არ არის დეფინიცია, ვინაიდან „აღნიშნული სიტყვების მნიშვნელობა ზოგადად ყველასათვის გასაგებია“. თავის სწავლებაში არკოტ კრიშნასვამი მხოლოდ იმას შეეხო, რომ რელიგია და რწმენა გაგებული უნდა იქნეს „არათეისტური, ათეისტური და აგნოსტიკური რწმენების მომცველ ცნებებად“. თუმცა ამგვარი დეფინიციები ოფიციალური ხასიათის არ არის და არც რელიგიისა და რწმენის საზღვრებს ადგენს სრული სიცხადით.

### შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები

ეროვნული სასამართლოები, საერთაშორისო ორგანოებისგან განსხვავებით, იძულებულნი იყვნენ უფრო მკაფიონი ყოფილიყვნენ, თუმცა ისინიც დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ რელიგიის ან რწმენის გადამეტებულად შემზღუდველი, ან კონსერვატიული დეფინიციის შემუშავების შიშით. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს თანახმად, ტერმინი რელიგია არ მოიცავს „უფრო ფილოსოფიურ და პერსონალურ ან სამოქალაქო საფუძვლის მქონე რწმენას“. <sup>91</sup> თუმცა ისიც ნათელია, რომ არა მხოლოდ ტრადიციული რელიგიური რწმენა ექცევა რელიგიის დეფინიციის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს კონსტიტუციის პირველ შესწორებაში არ არის ნახსენები „რწმენა“, უზენაესი სასამართლოს განცხადებით, მოთხოვნა „უზენაესი არსების“ რწმენისა, როგორც ერთ-ერთი კრიტერიუმისა კეთილსინდისიერი საფუძვლებით სამხედრო სამსახურიდან გასათავისუფლებლად, მოიცავდა „რწმენას, რომელიც გულწრფელია და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მისი მფლობელის ცხოვრებაში ღმერთის მიმართ ორთოდოქსული რწმენის პარალელურად“. <sup>92</sup> ევროპული სასამართლოსგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს რწმენის დამაჯერებლობაზე აკეთებს, უზენაესმა სასამართლომ გამოკვეთილად აღიარა, რომ აუცილებელი არ არის, რელიგიური რწმენა „მისაღებ, ლოგიკურ, შესაბამის და გასაგებ“ ხასიათს ატარებდეს, რათა პირველი შესწორებით გათვალისწინებული დაცვით ისარგებლოს. <sup>93</sup>

ზუსტი დეფინიციის ჩამოყალიბებისას უზენაესი სასამართლო დაეყრდნო თეოლოგების, განსაკუთრებით პოლ ტილიხის, ნაშრომებს, იმის განსასაზღვრად, რომ რელიგიურ რწმენებში გაერთიანებულია ყველა გულწრფელი რწმენა, რომელიც იკავებს რელიგიის პარალელურ



როლს.<sup>94</sup> ტილიხი იყენებს „უკიდურესი ინტერესის“ გაგებას და მას რელიგიური გამოცდილების ქვაკუთხედად მიიჩნევს. ამ ტესტის თანახმად, ნებისმიერ ადამიანს აქვს უკიდურესი ინტერესი, რომელიც განსაზღვრავს და ორიენტაციას აძლევს მის ცხოვრებას.<sup>95</sup> აქედან გამომდინარე, იმ პირისათვის, ვისთვისაც რელიგია უკიდურესი ინტერესის სფეროა, აუცილებელია დაამტკიცოს, რომ აქვს ინტერესი (ანუ ძლიერი მოტივაცია), რომელიც იმავდროულად უკიდურესი ხასიათისაა (ანუ ფუნდამენტურია და კომპრომისს არ უშვებს).

ეს ტესტი მხარდაჭერილი იქნა როგორც რელიგიის სამართლებრივი დეფინიცია, ვინაიდან იგი ფუნქციონალური ხასიათისაა, არ არის შინაარსზე ორიენტირებული და არ მოიცავს ყველაფერს, თავიდან იცილებს რელიგიურ შოინიზმს და პირველი შესწორებით რელიგიისათვის მინიჭებული სტატუსის შესაბამისია. ის გააკრიტიკეს კომპლექსური იდეის ერთადერთ დეფინიციამდე დაყვანის მცდელობის გამო. ტესტი არაერთმნიშვნელოვანია და შესაძლოა გამოიწვიოს საპირისპირო ქვეცნობიერი შედეგი. მაგალითად, ებრაელ პატიმარს რელიგია ნებას რთავს მიიღოს არაკომერციული საკვები განსაკუთრებულ შემთხვევებში. ეს კი იმას ნიშნავს რომ იუდაიზმის დიეტური მოთხოვნები უკიდურესი ხასიათისა არ არის, ვინაიდან შესაძლებელია კომპრომისზე წასვლა, უიმედო ნარკომანს კი შეუძლია უარყოფს ყველა სხვა ფასეულობა ნარკოტიკულ საშუალების მიღების მიზნით. თუმცა, რასაკვირველია, აბსურდი იქნება, ვამტკიცოთ, რომ პირველი შემთხვევა, მეორისგან განსხვავებით, არანაირ კავშირში არაა რელიგიასთან.

ამ მიდგომისაგან განსხვავებით, კენტ გრინვოლტი გვთავაზობს ანალოგიებზე დაფუძნებულ კონცეფციას. მისი მიდგომა პირველ რიგში ჩამოთვლის იმ რამდენიმე ნიშანს, რომლებიც დამახასიათებელია რელიგიის არსებობის ამკარა შემთხვევის დროს, შემდგომ კი ამონიშნებს სხვა რწმენებს ამ ნიშნებთან ანალოგიის მიხედვით, ანუ მომჩივანმა უნდა აჩვენოს საკმარისი მსგავსება „უდავოდ რელიგიურ“ ნიშნებთან. გრინვოლტის ჩამონათვალი<sup>96</sup> ფოკუსირებულია რელიგიურ/სულიერ ასპექტებზე, შესაძლოა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ პირველი შესწორება შეეხება მხოლოდ „რელიგიას“ და, ასევე, იმ მიზეზითაც, რომ იგი ძალზე დიდ სირთულეს ხედავს იმაში, რომ რელიგია განასხვავოს ფილოსოფიისა და არარელიგიური რწმენისაგან, „თუკი საქმე არ შეეხება იდეებს უმაღლეს ჭეშმარიტებაზე“.

ასეთი მიდგომა იქნა გამოყენებული ავსტრალიელი მოსამართლეების მიერ ავსტრალიის კონსტიტუციის 116-ე მუხლის განმარტებისას.<sup>97</sup> მათი განცხადებით,

*არ არსებობს ერთიანი დახასიათება, რომლის სამართლებრივ კრიტერიუმად გამოყენებაც იქნებოდა შესაძლებელი, იმის გადასაწყვეტად, იდეებისა და საქმიანობის განსაზღვრული სისტემა არის თუ არა რელიგია ... მაქსიმუმში, რისი განხორციელებაც შეიძლება, ნიშან-თვისებების ან სახელმძღვანელო პრინციპების ფორმულირებაა, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელს გახდის ამ საკითხის გადაწყვეტას. ამ ნიშნების ერთობლიობა აღიარებულ რელიგიებზე ემპირიული დაკვირვებიდან უნდა იქნეს მიღებული. მათი ცვლილება უნდა მოხდეს სოციალური მდგომარეობის შეცვლასთან ერთად და კონკრეტულად რომელიმე მათგანის მნიშვნელობა დამოკიდებული იქნება შესაბამის საქმეზე.<sup>98</sup>*

მათ ჩამოთვალეს რამდენიმე ყველაზე სერიოზული ნიშან-თვისება რელიგიისა, ისეთები, როგორიცაა ზებუნებრივის რწმენა, ადამიანური ბუნებისა და სამყაროში მისი ადგილის კონცეფცია, განსაზღვრული ქცევის კოდექსის მიმდევრობა და სხვა ასეთი ფაქტორები. ეს კრიტერიუმები გამოიყენეს იმის გადასაწყვეტად, საიენტილოგთა ეკლესია იყო თუ არა რელიგია კონსტიტუციიდან გამომდინარე.

რელიგიის განსაზღვრება კომპლექსური და საკამათო საკითხია, რომელმაც თავისი პრობლემატურობა დაამტკიცა როგორც ეროვნული სასამართლოების, ისე საერთაშორისო დონეზე. კონვენციის მე-9 მუხლში რელიგიის დამატებად მოცემულ ტერმინ „რწმენას“, შეუძლია ნათელი მოპოვინოს რამდენიმე საკითხს (განსაკუთრებით იმ საკითხს, ათეისტები უფლებამოსილნი არიან თუ არა, ისარგებლონ რელიგიის თავისუფლებით უზრუნველყოფილი დაცვით). გარდა ამისა, მისი გამოყენება ასევე გულისხმობს, რომ ტერმინ „რელიგიისა და რწმენის“ ფარგლებში პრეზუმირებული უნდა იქნეს ისეთი მარგინალური შემთხვევები, როგორიცაა, მაგალითად, ე.წ. „ახალი რელიგიები“, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქვეყანა უარს აცხადებს რელიგიებად *per se* მათ აღიარებაზე. თუმცა შემდგომ დონეზე ტერმინმა „რწმენამ“ გაზარდა კონცეპტუალური დაბნეულობა ამ სფეროში, კომისიის მიერ გამოყენებულმა მიდგომამ კი კიდევ უფრო გააძლიერა იგი.

როგორც აზრი, ისე სინდისი, რელიგია და რწმენა გაურკვეველი საზღვრების მქონე ტერმინებია, თუმცა ყოველი მათგანი ერთმნიშვნელოვნად გამოიყენება კონვენციაში. კერძოდ, მხოლოდ რელიგიისა და რწმენის გამოხატვის უფლების (და არა აზრისა და სინდისის გამოხატვის უფლების) ხსენებით მე-9 მუხლი ერთი ტიპის ფილოსოფიას აშკარად განსხვავებს სხვებისაგან დაცვის გაცილებით დიდი დონის მინიჭებით. ზოგიერთის მტკიცებით, შეუსაბამო და შეუძლებელია ასეთი სახის განსხვავების განხორციელება, თუმცა მე-9 მუხლის ტექსტი და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი რამდენიმე საქმე ასეთი განსხვავებების სამართლებრივ აუცილებლობაზე მიუთითებს.

იმ ტესტისათვის უპირატესობის მინიჭების მიუხედავად, რომელიც რელიგიისა და რწმენის განსაზღვრისას მხოლოდ გარკვეული დონის ინტელექტუალურ დამაჯერებლობასა და მნიშვნელობას იღებს მხედველობაში, კომისიამ არ აღიარა, რომ მისი ტესტის გამოყენება თანაბრად არის შესაძლებელი იმ მოვლენათა მიმართაც, რომლებიც, შესაძლოა, აზრად ან სინდისად ჩაითვალოს. ამ პრობლემას დაემატა კომისიის მიერ კონტექსტისგან იზოლირებულად „რწმენის“ განხილვის ტენდენცია. რწმენის ცნების დაკავშირება რელიგიის როლთან, სავარაუდოდ, მოიცავს ისეთ ჯგუფებს, როგორიცაა ათეისტები და აგნოსტიკოსები, ასევე მოსაზღვრე დაჯგუფებებს, ახალი რელიგიებისა და ზოგიერთი აღმოსავლური ფილოსოფიის ჩათვლით (დაოიზმი, ბუდიზმი), რომლებიც გარკვეულწილად უხერხულად მოიაზრება რელიგიის ტრადიციული დეფინიციის ფარგლებში. კავშირი რელიგიასთან ათეიზმისა და აგნოსტიციზმის შემთხვევაში სრულიად ნათელია, ვინაიდან ორივე უკიდურესი მნიშვნელობის იდენტური ფუნდამენტური საკითხების, ღმერთის არსებობისა და ადამიანურ საქმეებში ზებუნებრივის როლის გამოძახილს წარმოადგენს. ღმერთის ცნების უარყოფა შეიძლება ისეთივე მნიშვნელობის მქონე იყოს თვითიდენტიფიკაციისათვის, როგორც მისი არსებობის აღიარება. ასეთ დეფინიციაში სხვა კვაზირელიგიების შეყვანა კი უზრუნველყოფს, რომ მას არ ექნება გადამეტებული კავშირი ისტორიასთან და არც რელიგიის ბუნების თაობაზე იუდაურ-ქრისტიანული წარმოდგენების ზეგავლენის ქვეშ მოექცევა.

თუმცა კომისია გაცილებით უფრო აბსტრაქტულად განიხილავდა ტერმინ „რწმენას“ და არ აღიარებდა მის კუთვნილებას მე-9 მუხლში მოცემულ ტერმინისადმი, „რელიგია და რწმენა“. ამას კი მივეყვართ „რწმენაში“ ისეთი ცნებების შეყვანის საკითხამდე, როგორიცაა პოლიტიკური კუთვნილება ან ფართო ეთიკური შეხედულება. შესაძლებელი იყო ამ კონცეფციური დაბნეულობის ნაწილის თავიდან აცილება, თუკი რწმენის მნიშვნელობა უფრო ვიწრო ხასიათისა იქნებოდა, იმის ხაზგასმით, რომ იგი ისეთივე როლს თამაშობს ინდივიდის ცხოვრებაში, როგორსაც რელიგია. აუცილებელი არ არის, რომ ფორმულირებას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა რწმენის როლის განსაზღვრისათვის, უბრალო დეფინიციის სახე ჰქონდეს (როგორიცაა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყენებული „უკიდურესი



ინტერესი“), არამედ მხედველობაში სხვადასხვა ფაქტორის ერთობლიობას უნდა იღებდეს. ეს უფრო კონცეპტუალური მიდგომა რელიგიისა და რწმენისადმი, სავარაუდოდ, უზრუნველყოფდა, რომ ზემოთ განხილული ტერმინი, ერთი მხრივ, არ გამხდარიყო გადამეტებულად შემზღვეველი და გამომრიცხველი ახალი რელიგიური ჯგუფების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ – მეტისმეტად ღია. იგი ასევე საშუალებას მისცემდა სასამართლოს, უარი ეთქვა შედარებით განუვითარებელ ცნებაზე, რომლის თანახმადაც რელიგია და რწმენა რწმენების მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი ერთობლიობაა. მრავალი, გაცილებით უფრო სრულყოფილი მიდგომის მიხედვით, რელიგია არ არის მხოლოდ თეორიების ერთობლიობა, არამედ მას შეიძლება ჰქონდეს მორალური, ეთიკური, ზებუნებრივი ან სიმბოლური როლი ადამიანთა ცხოვრებაში.

ეს სრულებით არ გულისხმობს ისეთი საკითხების მნიშვნელობის უარყოფას, როგორცაა პოლიტიკური ორიენტაცია ან ფილოსოფიური შეხედულებები. ეს იმის კონსტატაციაა, რომ ხსენებული ფასეულობები დაცულია კონვენციის საფუძველზე, უფრო ფართო საზღვრების მინიჭების ყოველგვარი საჭიროების გარეშე, რაც მათი „გამოხატვის“ უფლების შესაძლებლობას მისცემდა მათივე მფლობელებს. უფლება აზრისა და სინდისის თავისუფლებაზე დაცულია მე-9 მუხლის პირველი ნაწილით და შეზღუდვებს არ ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად განავითაროს საკუთარი ინტელექტუალური და ეთიკური შეხედულებები, სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე. ყველა ადამიანი ასევე თავისუფალია, გამოხატოს თავისი მოსაზრებები მე-10 მუხლის მიხედვით, შეუერთდეს თანამოაზრეთა გაერთიანებებს მე-11 მუხლის საფუძველზე და აქვს უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე მე-8 მუხლის თანახმად, რომლის ფარგლებშიც შეუძლია საკუთარი იდეები განავითაროს. არსებობს მრავალი უფრო შესაფერისი გზა ადამიანის უფლების უზრუნველსაყოფად, მისდიოს იდეათა განსაზღვრულ ერთობლიობას და ისარგებლოს დაცვით სახელმწიფოსა და იმ პირთა შეუწყნარებლობისაგან, რომლებიც არ ეთანხმებიან მის შეხედულებებს.

მიუხედავად ამისა, ყველა ფილოსოფიის მიმართ თანაბარი და სამართლიანი მოპყრობის მცდელობისა და რელიგიის თავისუფლების თეორიის განვითარების სურვილის უქონლობის გამო კომისიამ იმდენად გააფართოვა რწმენის გაგება, რომ შედეგად დამატებითი დაცვა მიენიჭა მრავალ იდეას, რომელთა მიმართ უმჯობესი იქნებოდა აზრისა და სინდისის ცნების გამოყენება. თვით მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მეორე სეგმენტში ჩამოთვლილი გამოხატვის ფორმები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ რწმენის საზღვრები არ უნდა იყოს ძალზე ზოგადი და ფართო, რადგანაც დაცული მანიფესტაციები შედარებით უფრო ტრადიციულ რელიგიურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ეს კი დილემის წინაშე აყენებს კომისიას იმ შემთხვევებში, სადაც საქმე რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მნიშვნელობასა და გამოხატვის ცნების საზღვრებს შეეხება. „რწმენების“ გარკვეული რაოდენობის გამორიცხვის საშუალებად განსაზღვრებითი სტადიის არგამოყენების პირობებში, აუცილებლობას წარმოადგენს მე-9 მუხლით გათვალისწინებული უფლებების ზუსტად განსაზღვრა, რათა თავიდან ავიცილოთ მოცემული მუხლის არაპრაქტიკულ დებულებად გადაქცევა. თუკი ყველას ექნებოდა თავისი მრწამსის გამოხატვის აშკარად ფართო უფლება (მიუხედავად მათი პოლიტიკური, ეთიკური, ფილოსოფიური თუ პერსონალური ხასიათისა), იგი გამოიწვევდა სახელმწიფოს საქმიანობის დიდი ნაწილის შეფერხებასა და კონვენციის მრავალი მუხლის *de facto* უსარგებლოდ გადაქცევას, ვინაიდან ყველაფერი, რისი დაცვაც სპეციფიკური მუხლებით იყო შესაძლებელი, გაფართოებული მე-9 მუხლის ფარგლებში მოექცეოდა.

როგორც შემდგომი ორი ქვეთავი გვიჩვენებს, კომისიამ და სასამართლომ „რელიგიისა და რწმენის“ ლიბერალური დეფინიციის ნაცვლად საბოლოო ჯამში მაინც რელიგიისა და რწმენის ძალზე შეზღუდულ მოსაზრებას მიანიჭეს უპირატესობა და, შედეგად, ამ ცნებების მიმართ კონსერვატიული კონცეფცია განავითარეს.

## რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-9 (1) მუხლის თანახმად, „ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება“, თუმცა ცნებები „აზრი, სინდისი და რელიგია“ არ არის განსაზღვრული და არც „თავისუფლების“ ნათელი დეფინიციაა მოცემული ამ მუხლში. როგორც გაეროს კონტექსტში აღინიშნა, გასაოცარია, რომ, მიუხედავად რელიგიისადმი სახელმწიფოთა განსხვავებული დამოკიდებულებისა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შემუშავებისას აზრთა სხვადასხვაობა არ გამოუწვევია იმ ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის თანახმადაც „ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება“.<sup>99</sup> იმავეს თქმა შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ხსენებულ მუხლზეც.

მე-9 მუხლის თანახმად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება მოიცავს რელიგიისა და რწმენის შეცვლისა და განსაზღვრულ ფორმებში რელიგიის თუ რწმენის გამოხატვის თავისუფლებას. თუმცა, როგორც აღნიშნული ტექსტიდან (განსაკუთრებით არაამომწურავი ტერმინის „მოიცავს“ გამოყენებით), ისე სასამართლოსა და კომისიის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ეს ორი ელემენტი რელიგიის თავისუფლების გაცილებით ფართო განსაზღვრების ნაწილია. ამ ქვეთავში მოცემულია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კონცეფციის ანალიზი, რელიგიისა და რწმენის გამოხატვის უფლებისგან დამოუკიდებლად. შემდეგ ქვეთავში კი განხილულია საკითხები, რომლებიც წამოიჭრება რელიგიისა და რწმენის გამოხატვის საფუძველზე.

### რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მნიშვნელობა

სასამართლოს მიერ საკმაოდ ცხადად ჩამოყალიბდა აზრი, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება კონვენციით გარანტირებული უმნიშვნელოვანესი უფლებაა. საქმეში *კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ*<sup>100</sup> მოცემულია მე-9 მუხლის საფუძველში მდებარე „ზოგადი პრინციპები“:

მე-9 მუხლის თანახმად, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება „დემოკრატიული საზოგადოების“ ფუნდამენტს წარმოადგენს. იგი, თავისი რელიგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არა მარტო მორწმუნეთა პიროვნებისა და მათი ცხოვრების არსის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, არამედ ათვისების, აგნოსტიკოსების, სკეპტიკოსებისა და რელიგიისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების მქონეთა უძვირფასესი საკუთრებაცაა. სწორედ მასზეა დამოკიდებული, პლურალიზმი, როგორც დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი.

ამ ზოგადი პრინციპებით რელიგიის თავისუფლება მიჩნეულია უდიდესი მნიშვნელობის მქონედ, როგორც პიროვნების თვითიდენტიფიკაციის, ისე საზოგადოებაში დემოკრატიული პლურალიზმის განვითარებისათვის. სასამართლომ ხაზი გაუსვა სინდისის უპირატეს ხასიათს, თუმცა აღნიშნა, რომ იგი ასევე მოიცავს ადამიანის უფლებას რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მე-9 მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობა განმტკიცებულია მთავრობის მხრიდან ნებისმიერი შეზღუდვის დაწესების აკრძალვით რელიგიის ქონასა და მის შეცვლაზე. რაც შეეხება რელიგიისა და რწმენის გამოხატვას, მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იგი შეიძლება ლეგიტიმური შეზღუდვის ობიექტად იქცეს.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მნიშვნელობაზე მითითებისას, აქცენტირება, პირველ რიგში, შინაგანი სინდისის დონეზე მოახდინა. თუმცა თავისუფლების შინაარსი სასამართლოს მხრიდან მნიშვნელოვანი განხილვის საგანი არ ყოფილა. თავისი ყველაზე საწყისი გაგებით იგი შეიძლება განხილული იქნეს, როგორც მოსაზრებათა (რელიგიურ ან სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე) ჩუმად, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის გარეშე ქონის უფლება. ამ დონეზე სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის თავისუფლების დარღვევა ფაქტობრივად შეუძლებელიცაა, თუ ფსიქოლოგიური დამუშავებისა და სისტემატური ინდოქტრინაციის მეშვეობით არ მოახდენს იდეოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და მორალურ ზემოქმედებას. მსგავსი მიდგომა შემუშავებული არკოტ კრწმინასვამის სწავლებაში რელიგიური დისკრიმინაციის შესახებ, რომლის თანახმადაც რელიგიის თუ რწმენის ქონის ან შეცვლის თავისუფლება, პირველ რიგში, სწორედ ინდივიდის შინაგანი რწმენისა და სინდისის ფარგლებში ექცევა. ამ კუთხით თუ მივუდგებით მოცემულ საკითხს, შესაძლოა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ნებისმიერი ინტერვენცია გარედან არა მარტო არალეგიტიმური, არამედ შეუძლებელიცაა.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფა იმ დონემდე, სანამ პიროვნებას მხოლოდ მათი ქონა შეუძლია, მიუხედავად იმისა, რამდენად აბრკოლებს მას სახელმწიფო, უფლების მხოლოდ მინიმალურ რეალიზებას ნიშნავს. კონვენციის შემუშავების პერიოდში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ცივი ომის წინა პერიოდში ევროპელებს არც კი ექნებოდათ შესაძლებლობა, კმაყოფილება ეგრძნოთ საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებით, რომ მას არ უცდია თავისი ძალაუფლების გამოყენება იძულების წესით ადამიანების რელიგიისა და რწმენის შინაგანი ასპექტების შეცვლისათვის. კონვენციის შემუშავების ერთ-ერთმა მონაწილემ მე-9 მუხლის პირველ ნაწილზე განაცხადა, რომ იგი პოლიციურ სახელმწიფოებში მიღებული არაადამიანური მოპყრობის სანინაალმდეგო ბასტიონია.<sup>101</sup> სერ დევიდ მაქსველ-ფაივი ამტკიცებდა პირველი ოქმის მე-2 მუხლის აუცილებლობას და კონვენციაზე მუშაობის მონაწილეებს ახსენებდა იმას, „რაც ... ტოტალიტარიზმის საშინელი ასპექტია, კერძოდ, რომ ტოტალიტარულ ქვეყნებში ახალგაზრდობა იზრდება სახელმწიფო ან ნახევრად სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ტოტალიტარულ-დოგმატური სწავლების საფუძველზე, რაც შეუძლებელს ხდის მშობლების მიერ თავიანთი შვილების აღზრდას საკუთარი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის საფუძველზე“.<sup>102</sup> აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესი იყო იმაში დარწმუნება, რომ ეს მეთოდები აკრძალული იყო კონვენციით, თუმცა არ არის ნათელი, სად გადის ზღვარი ორ ძალადობას შორის, რომელთაგან პირველი ადამიანს აიძულებს რწმენის შეცვლას, მეორე კი – გარკვეული წესით მოქცევას. ამ საკითხს ორი ასპექტი აქვს. პირველი

იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება აქვს, შექმნას ისეთი პირობები, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას მისცემს თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე, თუ სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება ეკისრება, თავი შეიკავოს აღნიშნულ თავისუფლებაში ჩარევისაგან. მეორე – რამდენად არღვევს სახელმწიფოს მიერ რელიგიისა და რწმენის შეზღუდვა ქვეყნის ნეგატიურ ვალდებულებას, თავი შეიკავოს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაში ჩარევისაგან.

### **რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, როგორც პოზიტიური უფლება**

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენციის პრეამბულაში ასახულია სახელმწიფოს პოზიტიური როლის გაგება ინდივიდების მიერ თავიანთი უფლებების თავისუფლად განხორციელების უზრუნველყოფაში. კონვენციის თანახმად, „პლურალისტური და ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება ვალდებულია, არა მარტო პატივი სცეს თითოეული პიროვნების ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ კუთვნილებას, არამედ შექმნას სათანადო პირობები მათ მიერ თავიანთი კუთვნილების გამოხატვის, დაცვისა და განვითარებისათვის“.<sup>103</sup>

ზემოთქმული გულისხმობს, რომ სახელმწიფო, რომელიც იცავს უმცირესობათა უფლებებს, ვალდებულია, არა მხოლოდ თავი შეიკავოს მათთვის ზიანის მიყენებისაგან, არამედ პოზიტიური მონაწილეობა მიიღოს უმცირესობათა მიერ საკუთარი კუთვნილების, მათ შორის რელიგიური კუთვნილების, გამოხატვისათვის სათანადო პირობების შექმნაში. მე-9 მუხლთან დაკავშირებით იბადება კითხვა, თუ რამდენად ეკისრება სახელმწიფოს ასეთი პოზიტიური როლის შესრულების ვალდებულება. მე-9 მუხლის ფორმულირება არ იძლევა ამ საკითხის ერთმნიშვნელოვნად გადანიშნვის შესაძლებლობას. ყველას აქვს უფლება რელიგიის თავისუფლებაზე, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში სახელმწიფოს ვალდებულება ამ უფლების უზრუნველყოფაში შემოიფარგლებოდა უფრო მის განხორციელებაში ჩარევისგან თავის შეკავებით, ვიდრე სათანადო პირობების შექმნით ამ ფასეულობის განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, ქვეყნების ნაწილმა სხვადასხვა დროს შეზღუდა გარკვეული უფლებები რელიგიის თავისუფლების ცალკეული ელემენტების დაცვის მიზნით. ეს ქმედებები საფუძვლად დაედო მოთხოვნას, რომლის თანახმადაც განსაზღვრული გარემოებების არსებობისას სახელმწიფო ვალდებულია, გარკვეული ზომები მიიღოს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის მიზნით.

ამ საკითხის განხილვის საწყის ეტაპზე ერთ-ერთ საინტელოგს უნდოდა ეჩივლა მეცნიერისთვის, რომელმაც დამამცირებლად ისაუბრა საინტელოგიაზე.<sup>104</sup> მან საჩივრით მიმართა კომისიას სახელმწიფოს წინააღმდეგ იმის საფუძველზე, რომ ეს უკანასკნელი ვერ უზრუნველყოფდა სამართალწარმოების იმ ფორმას, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემდა, ეჩივლა პროფესორისთვის. კომისიამ საჩივარი აშკარად დაუსაბუთებლად ცნო, იგი დაუშვებლად მიიჩნია და თავისი გადაწყვეტილების არგუმენტირებისას მიუთითა, რომ არ თვლის, „თითქოს განსაზღვრული რელიგიის თუ რწმენისათვის რელიგიისა და რწმენის თავისუფლება კრიტიკისგან თავისუფლებას ნიშნავდეს“, თუმცა ლიად დატოვა სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი იმ შემთხვევაში, როცა აგიტაცია გარკვეული რელიგიის წინააღმდეგ განსაკუთრებულად მძიმე ხასიათს ატარებს.

შედეგად, საქმეში ოტო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ<sup>105</sup> სასამართლომ უარყო რეჟისორის საჩივარი სიტყვის თავისუფლების დარღვევის თაობაზე, კერძოდ, მას არ მისცეს საკუთარი ფილმის (რომელიც შეიცავდა ქრისტიანი წმინდანების და ქრისტიანული დოქტრინების დაცინვას) ჩვენების უფლება ქალაქ ტიროლში. სასამართლომ მიიღო ავსტრიის სახელმწიფოს არგუმენტები, რომ მას შეეძლო აღნიშნული ფილმის კონფისკაცია, რადგანაც იგი რელიგიური გრძნობების მძიმე შეურაცხყოფას გამოიწვევდა კათოლიკეებით მჭიდროდ

დასახლებულ პროვინციაში, სადაც ფილმის ჩვენება უნდა შემდგარიყო. სასამართლომ ხელმეორედ მიუთითა, რომ რელიგიური მიმდინარეობები არ არის თავისუფალი კრიტიკისგან, თუმცა, მისივე განცხადებით, ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში რელიგიისა და რწმენის სანინალმდეგო მეთოდები „შესაძლოა ინვევედეს შესაბამისი რწმენის თუ რელიგიის მიმდევართა მიერ თავიანთი თავისუფლებების განხორციელებისათვის ხელის შეშლას“. ეს არგუმენტი შეეხება ისეთ სიტუაციას, როდესაც, მაგალითად, გარკვეული ჯგუფი აქტიურად ახდენს სხვათა დაშინებას რელიგიური მრწამსის გამო, ან მათი შეხვედრის ადგილების ბლოკირებას ახორციელებს. ამავე საქმეში კომისია უფრო შორს წავიდა და განიხილა „მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების პატივისცემის საკითხი, რაც მე-9 მუხლითაა გარანტირებული“, მიუხედავად იმისა, რომ არსად მე-9 მუხლში ასეთი პატივისცემა არ არის ნათლად ჩამოყალიბებული.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოსამართლის ეს განმარტება საფუძვლად დაედო სხვა საქმეს, სადაც რელიგიის პატივისცემის ეს ფართო განსაზღვრება, ორი მომჩივნის მტკიცებით, პოზიტიურ უფლებას წარმოადგენდა. მათი მოთხოვნით სახელმწიფო ვალდებული იყო, სისხლისსამართლებრივი დევნა ეწარმოებინა პოლონური ჟურნალის წინააღმდეგ, რომელმაც დაბეჭდა მარიამ ღვთისმშობლისა და ყრმის გამოსახულება (კათოლიციზმის თაყვანსაცემი ხატი) აირწინაღით, სტატიის ილუსტრირების მიზნით, რომელიც გარემოს დაბინძურებას შეეხებოდა.<sup>106</sup> პოლონეთის მთავრობამ შეისწავლა მრავალი საჩივარი, სადაც მომჩივნები შეურაცხყოფილნი იყვნენ ამ სურათით, თუმცა გადაწყვიტა, არ წაეყენებინა ბრალდება ჟურნალისთვის. როდესაც მომჩივნებმა მიმართეს კომისიას იმის საფუძველზე, რომ დარღვეული იქნა მათი უფლება რელიგიის თავისუფლებაზე, კომისიამ არ მიიღო საჩივარი წარმოებაში, ცნო რა იგი აშკარად დაუსაბუთებლად. თუმცა კომისიამ დაადასტურა, რომ სახელმწიფოს შესაძლოა გარკვეული პოზიტიური ვალდებულება ეკისრებოდეს, დაიცვას რელიგიის თავისუფლება, ამავე დროს, ხაზი გაუსვა იმას, რომ მომჩივნებს „ხელი არ შეშლიათ თავიანთი რწმენის ქონისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზებაში“. უკვე რამდენიმე თვის შემდეგ, საქმეში უინგროუ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სასამართლო კვლავ შეეხო „მოქალაქეთა უფლებას, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისგან დაცვის შესახებ“.<sup>107</sup> ამ საქმეში ვიდუოფირის ჩვენება, სადაც ქალს, რომელიც წმინდა ტერეზას ასახიერებდა, გაუჩნდა ეროტიკული ფანტაზიები იესო ქრისტეს მიმართ, სავარაუდოდ, მართლაც შეურაცხყოფდა ბევრ ქრისტიანს, მაგრამ არ არის ნათელი, რამდენად მოახდინა ამან ზეგავლენა ქრისტიანულ საზოგადოებაში ქრისტიანების უფლების განხორციელებაზე – ჰქონდეთ საკუთარი რწმენა, გამოიყენონ თავიანთი რელიგია ან გამოხატონ მოსაზრებები მათ რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე (მათ შორის გააკრიტიკონ ფილმები).

აქედან გამომდინარე, სადავოა, არსებობს თუ არა უფლება, არ იქნეს შეურაცხყოფილი ვინმეს რელიგიური გრძნობები იმ შემთხვევაში მაინც, როცა საქმე ეხება შეგნებულ და უსაფუძვლო შეურაცხყოფას.<sup>108</sup> საკითხი, თუ რა არის საკმარისად შეურაცხმყოფელი ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფისთვის, რაც სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს, სწორედ ის საკითხია, სადაც ქვეყნები საკმაოდ ფართო დისკრეციით სარგებლობენ. სასამართლომ თავი აარიდა იმ შემთხვევის განხილვასაც, როცა ქვეყნის კანონმდებლობა მხოლოდ განსაზღვრულ რელიგიას იცავს ზემოთ აღნიშნული შეტყვისაგან.<sup>109</sup> ეს კი ნიშნავს, რომ მან ფაქტობრივად არ აღიარა პოზიტიური უფლება, რომელსაც მრავალი მომჩივანი დაეყრდნობოდა, მაგრამ, ამავე დროს, ფართო შესაძლებლობა მისცა სახელმწიფოებს, მიიღონ ზომები საზოგადოების წევრთა რელიგიური გრძნობების დასაცავად, თუნდაც ეს ინვევედეს სხვა უფლებების, მათ შორის სიტყვის თავი-



სუფლების, შეზღუდვას. ეს შესაძლოა გაგებულ იქნეს, როგორც სახელმწიფოსათვის ნების დართვა, დანებდეს იმ ჯგუფების ზენოლას, რომელიც არ არიან შემწყნარებელი მათი რელიგიის საწინააღმდეგოდ გამოთქმული კრიტიკისადმი. მიუხედავად იმისა, რომ, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ არსებობს საზღვრები, რომლის მიღმაც სახელმწიფოს მოქმედება არ იქნება დადებითად შეფასებული (მაგ., გარკვეული რელიგიის აკადემიური კრიტიკის ცენზურა), ამგვარი გადანყვეტილებებით მოქმედების ფართო სივრცე ეძლევათ ქვეყნების მთავრობებს რელიგიის მხატვრული კრიტიკით გამოწვეულ ეროვნულ უკმაყოფილებაზე რეაგირებისათვის.

ამგვარი გადახვევა საინტელოლოგიის საქმეში ჩამოყალიბებული საწყისი პრინციპებისგან არასასურველია, ვინაიდან ამით ის რელიგიური გაერთიანებები ისარგებლებენ, რომელიც მზად არიან, კრიტიკასა და დაცინვას შეუწყნარებლობით და აღშფოთებით უპასუხონ. იქ, სადაც ფართოდ არის გავრცელებული დისკრიმინაციული დამოკიდებულება რელიგიური უმცირესობის მიმართ, ან სადაც კერძო პირები რელიგიური შუღლის, დისკრიმინაციის ან რელიგიურ ნიადაგზე დევნის მომხრეებად გვევლინებიან, შეიძლება არსებობდეს არგუმენტი, რომ სახელმწიფოს უნდა ეკისრებოდეს ვალდებულება, მიიღოს ზომები, რათა დაარეგულიროს ამგვარი სიტუაცია. შესაძლოა ისე მოხდეს, რომ ინდივიდისთვის ფაქტობრივად შეუძლებელიც კი გახდეს, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი რელიგია თუ რწმენა მოსახლეობის და შესაძლოა ცალკეული სახელმწიფო უწყებების მხრიდან მტრული დამოკიდებულების გამო.<sup>110</sup> სახელმწიფოებს იმდენად ფართო დისკრეციული უფლებამოსილება აქვთ მინიჭებული მოქმედი პრეცედენტული სამართლის საფუძველზე, რომ იმ უმცირესობების მიერ, რომლებიც სერიოზულ შეტევებს განიცდიან, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის თავისუფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულების განხორციელების მოთხოვნის დაკმაყოფილება საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

## ნეგატიური ვალდებულება

### პირადი სფეროს უპირატესი ხასიათი

კომისიისა და სასამართლოს მიდგომა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ბუნებისადმი და საზღვრები, რომლის ფარგლებშიც იგი ზღუდავს მთავრობებს, საკმაოდ ბუნდოვანია, თუმცა მათ შეიმუშავეს რამდენიმე ძირითადი განსაზღვრება. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის არის ე.წ. *forum internum*. არც კომისიას და არც სასამართლოს არ განუმარტავს დეტალურად, თუ რა იგულისხმება ამ ცნებაში. ორივე შემოიფარგლება სტანდარტული განმარტებით, რომლის თანახმად „მე-9 მუხლი, პირველ რიგში, რწმენისა და რელიგიის პერსონალურ სფეროს იცავს, რომელსაც ზოგჯერ *forum internum*-ს უწოდებენ“.<sup>111</sup>

აქედან გამომდინარე, მე-9 მუხლის ინტერპრეტირებისას აქცენტირებულია ინდივიდის შინაგანი, პირადი მოსაზრება, სინდისი და რელიგია. თუმცა ჯერაც არ არის განსაზღვრული, კონკრეტულად რა იგულისხმება ამ ცნებაში. თუკი იგი გულისხმობს პიროვნების უფლებას, იქონიოს შინაგანი რწმენა, კომუნიკაციის ყოველგვარი მცდელობის ან შესაბამისი რწმენის საფუძველზე მოქმედების გარეშე, მაშინ პროფესორი მალკოლმ ევანსი მიიჩნევს, რომ:

ნაკლები სირთულე წარმოიქმნება მის გამოყენებასთან დაკავშირებით როგორც სიმარტივის, ისე მისი დარღვევის იშვიათობიდან გამომდინარე, ვინაიდან ამ შემთხვევაში მომჩივანმა უნდა აჩვენოს, რომ ადგილი ჰქონდა შინაგან რწმენაზე გავლენის მოსახდენად საკმარის გარე ზეწოლას. სინამდვილეში მიღებული მიდგომა შედარებით ფართოა და ფოკუსირებას ახდენს ინდოქტრინაციის საფრთხეზე, ავალდებულებს რა სახელმწიფოს, თავი შეიკავოს ვინმეს იძულებისაგან, იმოქმედოს თავისი შინაგანი რწმენის საწინააღმდეგოდ.<sup>112</sup>

ეს ანალიზი, სავარაუდოდ, სწორია, თუ გავითვალისწინებთ საქმეთა შედეგებს, თუმცა სასამართლო და კომისია იმ მოსაზრებას ემხრობიან, რომ ზღვარი *forum internum*-სა და *forum externum*-ს (რელიგიისა და რწმენის გამოხატვა) შორის თავისთავად ნათელია და მხოლოდ მცირე განმარტებას საჭიროებს. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ბუნდოვანია ზღვარი, რომლის მიღმაც ვინმეს იძულება, იმოქმედოს თავისი რწმენის საწინააღმდეგოდ, ინდოქტრინაციად იქცევა. საქმეში დერბი *შვედეთის წინააღმდეგ*, კომისია, სავარაუდოდ, სწორედ ამგვარი დეფინიციის შემუშავებას შეეცადა, როცა განაცხადა, რომ მე-9 (1) მუხლი „იცავს ყველას საკუთარი ნების საწინააღმდეგო რელიგიურ საქმიანობაში მონაწილეობის იძულები-საგან“.<sup>113</sup> თუმცა არ იქნა განხილული, რამდენად პირდაპირი ხასიათი უნდა ჰქონდეს ამგვარ მონაწილეობას, ასევე საშუალებები, რომელთა გამოყენებაც პიროვნების „საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ“ რელიგიურ საქმიანობაში ჩართვად ჩაითვლებოდა, და არის თუ არა ეს ერთადერთი გზა, რომლითაც სახელმწიფოს შეუძლია დაარღვიოს *forum internum*.

სირთულე, დაკავშირებული *forum internum*-ის ასეთი ბუნდოვანი კონცეფციის გამოყენე-ბასთან, ნათლად წარმოჩნდა ერთ-ერთ უკანასკნელ საქმეში, რომელშიც სასამართლომ უგულებელყო განსხვავება მე-9 მუხლის პირველი ნაწილის ორ სეგმენტს შორის. საქმეში *ბუსკარინი და სხვები სან-მარინოს წინააღმდეგ*,<sup>114</sup> სან-მარინოს გენერალური დიდი საბჭოს (პარლამენტი) ახალ წევრებს მოსთხოვეს ბიბლიაზე ფიცის დადება, რომ თავიანთ ვალდებუ-ლებებს სათანადოდ შეასრულებდნენ. რამდენიმე მათგანი დათანხმდა მხოლოდ დაპირებებზე, მაგრამ გამორიცხა ბიბლიაზე დაფიცება. საბოლოოდ მათ მაინც დადეს ფიცი ბიბლიაზე, ოღონდ მას შემდეგ, რაც განუმარტეს, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში თავიანთ საპარლამენტო ადგილებს დაკარგავდნენ. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ამგვარი სახით ფიცის დადების ვალდებულება ეწინააღმდეგებოდა მე-9 მუხლს, რადგანც „იგი განსაზღვრული რელიგიისადმი ერთგულების დაფიცებას მოითხოვდა“. ეს საქმე სავარაუდოდ სწორედ *forum internum*-ში ჩარევის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა, თუმცა სასამართლოს არ განუხილავს ამგვარი შესაძლებლობა, უბრალოდ მიუთითა, რომ საქმე რელიგიისა და რწმენის გამოხატვასთან იყო დაკავშირებული ისე, რომ არც კი უხსენებია თვით რელიგიის ფუნდამენტური თავისუფლება. ამის საპირისპიროდ მან განიხილა, აუცილებელი იყო თუ არა ფიცი დემოკრატიულ საზოგადოებაში, მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად.<sup>115</sup> *ბუსკარინის* საქმე მოსმენილ იქნა ახლად დაფუძნებული დიდი პალატის მიერ. უნდა აღინიშ-ნოს, რომ ამ სასამართლო ორგანოს წევრებს იდეალური შესაძლებლობა ჰქონდათ მე-9 მუხ-ლის პირველი ნაწილის მიმართ თავიანთი იურისპრუდენციის განვითარებისა, თუმცა არ გა-მოიყენეს ის, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდეთ სასამართლოს მხრიდან *forum internum*-ის გაუმჯობესებული განსაზღვრების შემუშავებას.

ერთ-ერთი, ვინც შეეცადა *forum internum*-ის ფარგლების დადგენას, იყო ბაჰი ტაჰიზი. წიგნში საერთაშორისო დონეზე რელიგიის თავისუფლების დაცვის შესახებ მის მიერ მოცემულია რამდენიმე გზა სახელმწიფოს მხრიდან *forum internum*-ში ჩარევის შესაძლებლობისა, სისტემური ფსიქოლოგიური დამუშავების გამოკლებით. უკანონო ჩარევის მისეული ჩამონათვალი მოიცავს:

*დისკრიმინაციას განსაზღვრული რელიგიისა თუ რწმენის ქონის ან არქონის ნიადაგზე;*

*განსაზღვრული რწმენისა თუ რელიგიისადმი კუთვნილების კანონგარეშედ გამოცხადებას;*

*პიროვნების იძულებას, გაამხილოს თავისი რელიგია თუ რწმენა, ან მის გამოვლენას მფლობელის თანხმობის გარეშე;*

*ფიზიკური ძალის ან სანქციების გამოყენების მუქარას ინდივიდების იძულების მიზნით, რომ ისინი საკუთარი ან სხვა რელიგიის მიმდევრები გახდნენ, უარყონ ან შეიცვალონ საკუთარი რელიგია ან რწმენა.*



კომისია და სასამართლო ბევრ საქმეში შეეგუა ამგვარ პრაქტიკას და განიხილა არა როგორც ჩარევა რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩამონათვალი გაცილებით ნათლად არის ჩამოყალიბებული, ვიდრე კომისიისა და სასამართლოს განსაზღვრება, *forum internum*-სა და *forum externum*-ს შორის მკაფიო ზღვარის გავლენის აუცილებლობა ძალაში რჩება, თუმცა აშკარად მიუთითებს ამ ამოცანის გადაჭრის შესაძლებლობაზე.

### **Forum internum-ისა და forum externum-ის გამიჯვნა**

საკმაოდ სადავოა მოსაზრება იმის შესახებ, რომ რწმენა და რწმენიდან გამომდინარე ქმედებები გაცალკევებული და განსხვავებადი კატეგორიებია.<sup>116</sup> მოცემული შეხედულება არც სასამართლოსა და კომისიის<sup>117</sup> იურისპრუდენციით არის აღიარებული. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამგვარი ზღვარის გავლება რწმენასა (ხელშეუვალი) და ქმედებას (შეზღუდვების ობიექტი) შორის პირველი შესწორების პრეცედენტული სამართლის ნაწილად იქცა.<sup>118</sup> მისი ფართო გამოყენების მიუხედავად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ბურგერმა განაცხადა, რომ „შეუძლებელია რწმენასა და ქმედებას შორის ნათელი ზღვარის გავლება“.<sup>119</sup> აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების რელიგიური კლაუზულების გამოჩენილმა კომენტატორმა ფილიპ კირკლანდმა, საერთოდ გამორიცხა რწმენისა და ქმედების ერთმანეთისგან გამიჯვნის შესაძლებლობა და განაცხადა, რომ „არ არსებობს ზღვარი, რომელიც დაგვეხმარებოდა ... რთული პრობლემების მოგვარებაში“.<sup>120</sup> მრავალი ავტორი მიუთითებს იმ სფეროზე, სადაც რელიგიურ ან სხვა რწმენათა და ქმედებათა გადაკვეთა ხდება. ამ კონტექსტში ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ „ყველა დიდი რელიგია მხოლოდ რწმენის საკითხი არ არის; იგი ცხოვრების წესია, ქმედება“ და ერთ-ერთი ყველაზე „სასტიკი გაკიცხვა რელიგიაში განკუთვნილია თვალთმაქცებისთვის, რომლებსაც სწამთ, მაგრამ ვერ ახერხებენ რწმენის საფუძველზე მოქმედებას“.<sup>121</sup>

პრეცედენტულ სამართალში გაკეთებული ხაზგასმა შინაგანი ან რწმენაზე დაფუძნებული სისტემების უპირატეს ხასიათზე, როგორც რელიგიის არსზე, შესაძლოა სრულებით არ შეესაბამებოდეს იმ განსაზღვრებას, რომელსაც მრავალი რელიგიური მიმდინარეობა აყალიბებს საკუთარი თავის მიმართ. როგორც პროფესორი დონა სალივანი ამავე კონტექსტში ამტკიცებს, „მრავალი რელიგიური დოქტრინა თუ რწმენა ადგენს სოციალური ქცევისა და პასუხისმგებლობის სტანდარტებს და მოითხოვს მორწმუნეთაგან მათ შესრულებას. მათთვის, ვინც იცავს სოციალური პასუხისმგებლობის ამ პრინციპებს, განსხვავება რელიგიურ და პოლიტიკურ საქმიანობას შორის შესაძლოა ხელოვნურიც იყოს“. გამოჩენილი თეოლოგის კანტუელ სმიტის მოსაზრებით, ტრადიციული ევროპული რელიგიების ფარგლებს გარეთ რელიგიის მთელი არსი, თავი რომ დავანებოთ გარკვეული რწმენის უპირატესობას, იმაში მდგომარეობს, რომ ის, ვინც ეწინააღმდეგება რელიგიური ცხოვრების წესს, ითვლება უცხოთომელად.<sup>122</sup> აქედან გამომდინარე, შეხედულება, რომლის მიხედვითაც რელიგია, პირველ რიგში, გარკვეული, ურთიერთდაკავშირებული რწმენების ერთობლიობას წარმოადგენს, როგორც ამას მე-9 მუხლის პრეცედენტული სამართალი გვთავაზობს, არ შეესაბამება ყველა რელიგიურ მიმდინარეობათა თუ მათ მიმდევართა მოსაზრებებს. პიროვნების იძულება, მოიქცეს თავისი რელიგიისა თუ რწმენის მოძღვრებათა საწინააღმდეგოდ, ან მისი დასჯა საკუთარ რელიგიურ სწავლებათა შესაბამისი ქმედებისათვის, არ არის ირელევანტური მრავალი ადამიანის რწმენისა თუ რელიგიისათვის. რელიგიის მრავალი დეფინიცია ხაზს უსვამს ეთიკის კოდების მიხედვით ცხოვრებისა და განვითარების, ქცევის საერთო მაგალითების მიმდევრობისა და რიტუალებში მონაწილეობის მიღების მნიშვნელობას. მხოლოდ რელიგიის ძალზე

ვინრო დეფინიციები ზღუდავს მას უპირველესად ადამიანის გონებაში იდეებისა და რწმენათა სისტემის განვითარების ინტელექტუალური სფეროთი. უფრო გაუმჯობესებული განსაზღვრებები კი მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია რელიგიას ადამიანის მიერ თავისი ცხოვრების წარმართვაში.

მე-9 მუხლის ფორმულირება, თავის მხრივ, გვთავაზობს, რომ საჭიროა განვასხვაოთ ზოგადი უფლება რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე და უფლება მათ გამოხატვაზე. შესაბამისად, გაუგებარია, რამდენად რელევანტურია მე-9 მუხლის პირველი ნაწილი, როცა განსაზღვრული ტიპის გამოხატვა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. გარკვეული მოსაზრებით, რწმენის გამოხატვის გართულებამ შესაძლოა მძიმე ზეგავლენა მოახდინოს შინაგან სფეროზე. მსგავსი პოზიცია დააფიქსირა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბურგერმა საქმეში *Wisconsin v. Yoder*,<sup>123</sup> სადაც გასაჩივრებული იქნა კანონი, რომლის საფუძველზეც სავალდებულო იყო 16 წლამდე ბავშვების სკოლაში სიარული ვისკონსინის შტატში. ამიშები ითხოვდნენ გათავისუფლებას ამ წესისგან, რადგანაც მიიჩნევდნენ, რომ სწავლების ბოლო 2 წელი დაბრკოლებას უქმნიდა ბავშვების ინტეგრირების უნარს ამიშების რელიგიურ და სოციალურ საზოგადოებაში. სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი შესწორების საფუძველზე მათ ჰქონდათ აღნიშნული წესისგან გათავისუფლების უფლება. თუ რა ნაყოფი გამოიღო აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, საკმაოდ სადავოა, თუმცა მისი დასაბუთება ზუსტად იმ ზღვარზე მიუთითებს, რომლის მიღმაც შინაგანი და გარეგანი სფეროების გადაკვეთა ხდება. რელიგია ამიშებისთვის არ შემოიფარგლება მხოლოდ „თეოკრატიული რწმენებით“, არამედ „ღრმა რელიგიურ მრწამსს“ წარმოადგენს, რომელიც მთელ მათ ცხოვრებისეულ გზას განსაზღვრავს. ჩარევა ცხოვრების წესში გარდაუვალი შედეგის სახით რწმენაში ჩარევას გამოიწვევდა.<sup>124</sup> გარკვეული მოსაზრებით, ვალდებულებათა დაკისრება რწმენის გამოხატვაზე ასევე წარმოადგენს ფუნდამენტური უფლების დარღვევას რელიგიის თავისუფლებაზე.

### სახელმწიფოს ჩარევა *forum internum*-ში

როგორც პროფესორმა ევანსმა განაცხადა, ზემოთ აღნიშნულის ციტირებისას, კომისიამ გარკვეულწილად დაადასტურა, რომ პიროვნების იძულება, იმოქმედოს თავისი რელიგიისა და რწმენის საწინააღმდეგოდ, მძიმე ზეგავლენას ახდენს არა მარტო *forum externum*-ზე არამედ ასევე კერძო, შინაგან სინდისზე. სფერო, სადაც ევროპული სახელმწიფოები ყველაზე ხშირად იქნენ დადანაშაულებულნი ინდოქტრინაციის მცდელობაში, შეეხება სწავლებას სკოლაში. გარკვეულ დონეზე, ყოველი შემთხვევა, როცა სახელმწიფო მოითხოვს ინდივიდისგან, იმოქმედოს თავისი რელიგიური წესების საწინააღმდეგოდ ან აწესებს სასჯელს ადამიანის უარისათვის, იმოქმედოს თავისი სინდისის საწინააღმდეგოდ, მძიმედ ზემოქმედებს *forum internum*-ზე. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს პიროვნების იძულება, მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ რიტუალში, რომელიც ეწინააღმდეგება მის რწმენას, ან უარყო საკუთარი რელიგია. ამ ტიპის საქმესთან სასამართლოს ჯერ არ ჰქონია შეხება. დაახლოებით ამგვარი სახისა იყო იელოვას მონმე ბავშვებთან დაკავშირებული ორი საქმე, სადაც მომჩივანთა განცხადებით, ისინი დაისაჯნენ უარისთვის, მონაწილეობა მიეღოთ სამხედრო აღლუმში. მომჩივნების მტკიცებით, მათი იძულება, მონაწილეობა მიეღოთ ამგვარ აღლუმებში, წარმოადგენდა პაციფიზმის რელიგიურ მიმდევრობაზე მათი უფლების დარღვევას. სასამართლომ უარყო მათი საჩივრები.<sup>125</sup> აღნიშნულ საქმეებში სასამართლოს წარმოდგენით საქმის არსი რელიგიის გამოხატვაში მდგომარეობდა, თუმცა ლოცვაში მონაწილეობის მიღებაზე ბავშვების იძულების შემთხვევას რომ ჰქონოდა ადგილი, რელიგიისა და რწმენის შინაგან და გარეგან ასპექტებს შორის მკაფიო საზღვრის გავლების სირთულე ალბათ უფრო

უკეთ იქნებოდა აღქმული სასამართლოს მიერ. პიროვნების იძულება, მოიქცეს თავისი რელიგიური მრწამსის აშკარა დარღვევით, სავარაუდოდ, რელიგიის ან რწმენის უარყოფის იძულების ეკვივალენტურია. ძალზე ძნელია ასეთ საქმეებში შინაგან და გარეგან სფეროებს შორის ზუსტი ზღვარის შენარჩუნება.

*Forum internum*-ის თვით შეზღუდული გაგებაც კი სისტემურად არ იქნა გამოყენებული სასამართლოს მიერ. ეს ნათლად ჩანს სასკოლო მარშთან დაკავშირებული საქმეების შედარებისას საქმესთან *დერბი შვედეთის წინააღმდეგ*, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ პიროვნების იძულება, გადაიხადოს იმ ეკლესიის გადასახადები, რომელსაც იგი არ მიეკუთვნება, წარმოადგენს მნიშვნელოვან ჩარევას *forum internum*-ში.<sup>126</sup> აქედან გამომდინარე, საკმაოდ ძნელია კომისიის მიდგომასა და მის გადანყვეტილებებს შორის შესაბამისობის პოვნა, იელოვას მოწმეთა საქმეებთან დაკავშირებით. შესაძლოა, სასამართლოს გადანყვეტილება გაგებულ იქნეს იმ კონტექსტში, რომ მომჩივანს *დერბის* საქმეში აიძულებდნენ, მონაწილეობა მიეღო იმ რელიგიაში, რომლის მიმდევარიც იგი არ იყო, ბავშვებს კი აიძულებდნენ, მონაწილეობა მიეღოთ უფრო სამოქალაქო პროგრამაში, ვიდრე უშუალოდ რელიგიაში. თუმცა შესაძლოა თითოეულ, ცალკე აღებულ შემთხვევაში მომჩივანთა მხრიდან საქმის არსის გააზრება იდენტური ხასიათისა იყო. არც ერთ საქმეში სახელმწიფო არ წასულა ისე შორს, რომ შეუძლებელი (თუნდაც განსაკუთრებულად რთული) გაეხადა ინდივიდებისათვის შინაგანი რწმენის შენარჩუნება, თუმცა თითოეულ შემთხვევაში სახელმწიფოს მოთხოვნა ინდივიდებისადმი იმაში მდგომარეობდა, რომ მოქცეულიყვნენ საკუთარი რწმენის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. ეს კი ფაქტობრივად წარმოადგენდა მოთხოვნას ინდივიდებისადმი, თავიანთი ქცევით უარეყოთ საკუთარი რელიგია. კონფლიქტი მოთხოვნილ ქმედებასა და რწმენას შორის იმდენად სერიოზული იყო, რომ, სავარაუდოდ, ზეგავლენას ახდენდა როგორც გარეგან, ისე შინაგან სფეროზე.

აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკითხი, თუ რა სტადიაზე იქცევა სახელმწიფოს ქმედება ისეთად, რომ ზეგავლენას ახდენს არა მარტო პიროვნების უფლებაზე, გამომხატოს თავისი რელიგია, არამედ მის უფლებაზე, იქონიოს რელიგია ან რწმენა. პასუხი, როგორც ჩანს, შემდეგია: სახელმწიფოს ქმედება განსაკუთრებულად რეპრესიულ ხასიათს უნდა ატარებდეს, იმისათვის, რომ სასამართლოს მხრიდან შეფასდეს, როგორც ჩარევა *forum internum*-ში. *დერბის* საქმის გამოკლებით, არ ყოფილა სხვა შემთხვევა, სადაც სახელმწიფოს ქმედება, კერძოდ, ინდივიდების იძულება, ემოქმედათ თავიანთი სინდისის საწინააღმდეგოდ ან რელიგიური ქცევის დასჯა, შეფასებული ყოფილიყო, როგორც ჩარევა *forum internum*-ში. როგორც პროფესორი ევანსი აცხადებს, ადამიანები უნდა მოელოდნენ „გარკვეული საზღაურის გაღებას“ თავიანთი რელიგიის ან რწმენისათვის და მხოლოდ გარკვეული ვალდებულებების დაკისრება პიროვნებაზე, რომელიც ცდილობს, დაიცვას თავისი რელიგიის ან რწმენის მოთხოვნები, არ არის საკმარისი, რომ ჩაითვალოს მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევად.

მაშინ, როცა საზღაური შესაძლოა ძალზე მაღალი იყოს (მაგ. ნამება ან თავისუფლების აღკვეთა), რამდენიმე ზომიერად სერიოზული ვალდებულება არ იქნა მიჩნეული მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევად. სამხედრო მოსამართლის საქმეში, რომელიც გათავისუფლებული იქნა თანამდებობიდან ფუნდამენტალისტური ისლამური ჯგუფის წევრობის გამო, სასამართლომ დაადგინა (შეცვალა რა კომისიის გადანყვეტილება), რომ აღნიშნული საქმე მე-9 მუხლის ქვემდებარე არ იყო.<sup>127</sup> სასამართლომ თავისი გადანყვეტილება ნაწილობრივ იმ გარემოებით დაასაბუთა, რომ სამხედრო სამსახურში შესვლით მომჩივანი ნებაყოფლობით თანხმდებოდა მის უფლებებსა და თავისუფლებებზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებას, ნაწილობრივ კი იმით, რომ მოსამართლე გათავისუფლებული იქნა არა მოსაზრებათა, არამედ ქცევისა და პოზიციის გამო. თუმცა საქციელი და პოზიცია, როგორც სამსახურიდან გათავი-

სუფლების საფუძველი, მდგომარეობდა სწორედ „უკანონო ფუნდამენტალისტური მოსაზრებების“<sup>128</sup> აღიარებაში. სასამართლო მხოლოდ ბუნდოვანი განმარტებით შემოიფარგლა მომჩინის მხრიდან სამხედრო დისციპლინის დარღვევის თაობაზე. ვინაიდან დეტალები არ იქნა მოცემული, შესაბამისად, გაუგებარია, თუ რაში გამოიხატა დისციპლინის დარღვევა. ეს საქმე შესაძლოა *forum internum*-ში ჩარევის ტაჰზიბისეული ჩამონათვალის პირველ ჯგუფს მიესადაგებოდეს, კერძოდ, დისკრიმინაციას განსაზღვრული რელიგიისა თუ რწმენის ქონის ან გარკვეული შეხედულებების არგაზიარების გამო. ეს ფაქტობრივად ასეცაა, ვინაიდან საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც მომჩინის რელიგია არმიაში მისი როლის შესრულებას უშლიდა ხელს, აქედან გამომდინარე, კომისიამ მიიჩნია, რომ მოსამართლის დათხოვნა მე-9 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა.<sup>129</sup> ამ გადწყვეტილების შეცვლისას სასამართლომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების იმდენად ვინრო დეფინიცია გამოიყენა, რომ გაუგებარია, საერთოდ როგორ არის შესაძლებელი ტოტალიტარული ქვეყნების უმრავლესობის მხრიდან მისი დარღვევა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებს უმრავლეს შემთხვევაში შესაძლებლობა ეძლევათ, განსაზღვრული რელიგიის ან რწმენის გაზიარება გახადონ არასასიამოვნო ან მავალდებულებელი, ფაქტობრივად, *forum internum*-ში ჩარევის გარეშე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შესაძლოა სასამართლოს ზოგიერთი წევრის დამოკიდებულება შეიცვალა კიდევ მე-9 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაცვის უფრო ფართო ინტერპრეტაციის მიმართ. საქმეში *ცავაჩიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ*,<sup>130</sup> კომისიის რამდენიმე წევრის მოსაზრებით, რელიგიის ან რწმენის ნიადაგზე საიდუმლო პოლიციის მხრიდან პიროვნებაზე სისტემატური მეთვალყურეობა რელიგიის ქონაზე ადამიანის უფლების დარღვევა იყო. კომისიის წევრების უმრავლესობა კი მიიჩნევდა, რომ ასეთი ზედამხედველობა მხოლოდ პირადი საიდუმლოების ხელყოფას წარმოადგენდა (და, შესაბამისად, მე-8 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე დასაშვები იყო მხოლოდ აუცილებლობისას დემოკრატიულ საზოგადოებაში), თუმცა გარკვეული ფორმით რელიგიური ჯგუფების ორგანიზებული დაშინება სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების მხრიდან შესაძლოა უტოლდებოდა კიდევ *forum internum*-ში ჩარევას. საქმეს სასამართლომდე არ მიუღწევია, ვინაიდან მხარეები მორიგდნენ.<sup>131</sup> თუმცა ერთ-ერთ ბოლო საქმეში სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფო ორგანოთა, განსაკუთრებით პოლიციის, წარმომადგენელთა თანამშრომლობა იმ ოჯახის წევრებთან, რომლებმაც დააკავეს თავიანთი ზრდასრული შვილები ამ უკანასკნელთა ნების საწინააღმდეგოდ მათი რელიგიური მრწამსის შეცვლის მიზნით, წარმოადგენდა ადამიანის უფლების დარღვევას, არ ყოფილიყო უკანონოდ დაკავებული.<sup>132</sup> სამწუხაროდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ, რადგანაც მოთხოვნა მე-5 (1) მუხლის ქვემდებარე იყო, მე-9 მუხლის დამოუკიდებელი გამოკვლევა აღარ იყო საჭირო. მიუხედავად ამისა, ეს საქმე შესაძლოა გარკვეულწილად მიანიშნებდეს სასამართლოს მზაობაზე, დაიცვას ადამიანის უფლება რელიგიური მრწამსის თავისუფლებაზე (თუნდაც ძალზე სადავო რელიგიური მრწამსისა), მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაცვა მოპოვებული იქნა კონვენციის სხვა, და არა მე-9 მუხლის საფუძველზე.

მაშინ, როცა კომისიისა და სასამართლოს მიერ სახელმწიფოს მხრიდან არარელიგიურ პროგრამებში მონაწილეობის იძულება *forum internum*-ში ჩარევად შეფასდა შედარებით ნაკლებ შემთხვევებში, სავარაუდოდ, განსხვავებულად უნდა იქნეს განსჯილი განსაზღვრული რელიგიური შეხედულების განვითარებისათვის სახელმწიფოს ხელშეწყობი ქმედება ან მისი მცდელობა. არსებობს ორი ძირითადი გზა ამის განხორციელებისა: სახელმწიფო ეკლესიის დაფუძნება და სახელმწიფო სკოლებში ბავშვების განათლება. ორივე გავლენას ახდენს *forum internum*-ზე.

## სახელმწიფო ეკლესია

კონვენციის პროექტის შემუშავებისას სამუშაო პროცესში მონაწილე ბევრ სახელმწიფოში არსებობდა გარკვეული ფორმით დანესებული ან სახელმწიფო ეკლესია. დღესდღეობით კონვენციის მრავალრიცხოვან მონაწილეებს თავიანთ კონსტიტუციებში აქვთ მითითება გარკვეული ეკლესიის ან რელიგიის თაობაზე.<sup>133</sup> არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს სხვა რელიგიათა დევნისა და მათ მიმართ არაშემწყნარებლური დამოკიდებულების ოფიციალურად გაცხადებული პოლიტიკა, როგორც ეს ზოგიერთ შემთხვევაში ისტორიულად არსებობდა.<sup>134</sup> თუმცა უმრავლესობა მაინც მნიშვნელოვან პრივილეგიებს ან სულ მცირე უპირატესობას ანიჭებს განსაზღვრულ ეკლესიას ან ეკლესიებს სხვა რელიგიებისა და ეკლესიების მიმართ.

სახელმწიფო ეკლესიების კონტექსტში დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, წარმოადგენს თუ არა თავისთავად მათი არსებობა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დარღვევას. რაც შეეხება გაეროს აქტებს რელიგიის თავისუფლებაზე, შეინიშნება ამ საკითხის განხილვისთვის თავის არიდების ტენდენცია, თუმცა რელიგიისა და რწმენის ნიადაგზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე 1967 წელს შემუშავებული დეკლარაციის პროექტის 1 (დ) მუხლის თანახმად, სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრული რელიგიის დანესება და აღიარება თავისთავად არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც შეუწყნარებლობის ან დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა.<sup>135</sup> ეს დებულება საბოლოო ჯამში დეკლარაციის საბოლოო ვარიანტში არ იქნა შეტანილი.

სასამართლომ და კომისიამ ასევე გადაწყვიტეს, რომ გარკვეული რელიგიის დანესება თავისთავად არ წარმოადგენს კონვენციის დარღვევას.<sup>136</sup> საქმეში *დერბი შვედეთის წინააღმდეგ*<sup>137</sup> კომისიამ განაცხადა:

*სახელმწიფო ეკლესიის სისტემა თავისთავად არ შეიძლება განხილულ იქნეს კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევად. რეალურად ამგვარი სისტემა კონვენციის მონაწილე მრავალ სახელმწიფოში არსებობს და არსებობდა მაშინაც, როცა კონვენციის შემუშავება ხდებოდა და ეს ქვეყნები მისი მონაწილენი გახდნენ. იმისათვის, რომ სახელმწიფო ეკლესიის სისტემამ დააკმაყოფილოს მე-9 მუხლის მოთხოვნები, იგი უნდა შეიცავდეს თითოეული ინდივიდის რელიგიის თავისუფლების დაცვის სპეციალურ საშუალებებს.*

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ეკლესიას მიცემული არა აქვს ე.წ. *carte blanche*. კერძოდ, სახელმწიფოს არ გააჩნია უფლება, აიძულოს ინდივიდები, შეუერთდნენ ეკლესიას, ან აუკრძალოს მათ ეკლესიის დატოვება. თუკი ეს მოხდება, ადგილი ექნება *forum internum*-ში ჩარევის ამკარა შემთხვევას. დანესებული ეკლესიის არსებობის სანქცირება ბადებს მნიშვნელოვან კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის დახმარების განწვევს უფლება აქვს სახელმწიფოს ეკლესიისათვის, ვიდრე განსაზღვრული რელიგიისათვის აქტიურ ხელშეწყობაში გადაიზრდებოდეს მისი ქმედება. არკოტ კრიშნასვამი, თავის სწავლებაში რელიგიის თავისუფლების შესახებ აღნიშნავდა, რომ ისტორიულად „ქვეყანაში დანესებული ეკლესიის ან სახელმწიფო რელიგიის არსებობა ასოცირებული იყო სასტიკ დისკრიმინაციასთან – ზოგჯერ ამკარა დენასთანაც კი – იმ ინდივიდების მიმართ, რომლებიც ამ ეკლესიის მიმდევრები არ იყვნენ. მისივე ანალიზით, სახელმწიფო ეკლესიის უბრალო არსებობა არ წარმოადგენს რელიგიის თავისუფლების დაცვის თაობაზე მიღებული საერთაშორისო აქტების დარღვევას, თუმცა იგი ქმნის მსგავსი ეკლესიების მიერ განსხვავებული რელიგიების ან რწმენათა მიმდევრების მიმართ უკანონო დისკრიმინაციაში სახელმწიფოთა ჩათრევის შესაძლებლობის დეტალური გამოკვლევის აუცილებლობას.

დასაშვები დონე სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრული რელიგიისადმი მხარდაჭერისა,



პირველ რიგში, საგადასახადო საკითხებსა და ფინანსურ კონტრიბუციას, ასევე ეკლესიის შიგნით, საეკლესიო პერსონალზე, განსაკუთრებით სასულიერო პირებსა და ეკლესიის წინამძღვრებზე სახელმწიფო კონტროლს მოიცავს. სახელმწიფო ეკლესიის გავლენის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ფიცის დადების მოთხოვნა საპარლამენტო ადგილების დაკავებისას (რაც კონვენციის დარღვევას წარმოადგენს)<sup>138</sup> და ერთი კონკრეტული რელიგიის მიმართ მკრეხელობის ამკრძალავი კანონების მიღება (რაც არ წარმოადგენს კონვენციის დარღვევას).<sup>139</sup>

### ფინანსური გარიგებები სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის

სახელმწიფოს შეუძლია პირდაპირი გზით აკრიფოს დანესტრული ეკლესიისათვის (ან სხვა ნებისმიერი ეკლესიისათვის) განკუთვნილი საეკლესიო გადასახადები მოცემული ეკლესიის წევრებისგან.<sup>140</sup> აღნიშნული მიზნის მისაღწევად სახელმწიფო უფლებამოსილია, რელიგიის შეცვლის შემთხვევაში პიროვნებისგან მოითხოვოს ინფორმირება ხსენებულის თაობაზე, რაც შესაძლოა განვიხილოთ როგორც დარღვევა ადამიანის უფლებისა, არ გაამხილოს თავისი რელიგია. კომისიის მიერ სახელმწიფოებს მიენიჭათ ფართო დისკრეცია ინფორმირების გზების განსაზღვრის მიმართულებით.<sup>141</sup> მიუხედავად ამისა, ქვეყნების მთავრობებს არ აქვთ უფლება, საეკლესიო გადასახადებისაგან გათავისუფლების სანაცვლოდ შეუსაბამო ვალდებულებები დააკისრონ პირებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან შესაბამის ეკლესიას. საქმეში *დერბი შვედეთის წინააღმდეგ*,<sup>142</sup> კომისიამ მიუთითა, რომ მოლოდინი პიროვნების მიერ საცხოვრებელი ქვეყნის შეცვლისა სახელმწიფო ეკლესიის გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლების მიზნით, წარმოადგენდა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას. ამავე დროს სახელმწიფო უფლებამოსილია შეასრულოს ეკლესიის წარმომადგენლის ფუნქციები რელიგიური მიზნებისათვის მისი წევრებისგან ფულის ასაკრეფად, ანუ მინიჭებული აქვს კერძო გარიგების სფეროში ჩარევის უფლება. სახელმწიფოს ასევე შეუძლია თვით ეკლესიას ან ეკლესიებს მიანიჭოს პირდაპირი გზით საეკლესიო გადასახადების გადახდის მოთხოვნის უფლება, ასევე, ნება დართოს მათ, გამოიყენონ გადახდის იძულების სასამართლო მექანიზმი.<sup>143</sup> მოცემული საქმეების შეფასებისას კომისიის მიერ ეკლესიის წევრობა რამდენჯერმე გათანაბრებული იქნა კერძო ორგანიზაციის წევრობასთან. კერძო ორგანიზაცია კი უფლებამოსილია, თავისი წევრებისგან მოითხოვოს შენატანის გადახდა და გამოიყენოს სახელმწიფო, ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში, გადახდის იძულების უზრუნველყოფის მიზნით.<sup>144</sup> კომისიამ მხედველობაში არ მიიღო, რომ ამ ტიპის გარიგება ინდივიდისგან მოითხოვს სახელმწიფოს ინფორმირებას თავისი რელიგიის, ასევე რელიგიის შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ. ამან კი შესაძლოა ზოგს ხელი შეუშალოს თავისუფალ არჩევანში და, შესაბამისად, ზეგავლენა მოახდინოს *forum internum*-ზე.<sup>145</sup>

კომისიამ ასევე ნება დართო სახელმწიფოს, არამორწმუნეთა მხრიდანაც მოეთხოვა სახელმწიფო ეკლესიის გადასახადების პროპორციული რაოდენობის გადახდა, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა ეკლესიის მიერ იმ „სამოქალაქო ფუნქციების“ განხორციელებისათვის, როგორცაა დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების აღრიცხვა, ქორწინებისა და დაკრძალვის ცერემონიების განხორციელება. იძულებითი წესით გადასახადების გადახდას შესაძლოა ის ინდივიდიც დაექვემდებაროს, რომელიც კატეგორიულად წინააღმდეგია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კავშირისა ამ „სამოქალაქო ფუნქციების“ განხორციელებაში.<sup>146</sup> ერთ-ერთი ეკლესიის წევრებს, რომლებიც აპროტესტებდნენ წესს, რომლის საფუძველზეც მათი საეკლესიო გადასახადის განაწილება ხდებოდა რამდენიმე რელიგიურ მიმდინარეობას შორის, იმის ნაცვლად, რომ მხოლოდ მათი ეკლესიისათვის ყოფილიყო გამოყენებული, ასევე

უარი ეთქვათ საქმის განხილვაზე მე-9 მუხლის საფუძველზე. კომისიამ ეს გადაწყვეტილება მიიღო, მომჩივანთა პროტესტის მიუხედავად (ისინი მზად იყვნენ, დაეტოვებინათ თავიანთი ეკლესიის რიგები, რომ შემწყნარებლური დამოკიდებულება არ გამოეჩინათ ამგვარი გარიგების მიმართ).<sup>147</sup>

სახელმწიფო ასევე აღჭურვილია უფლებით, შევიდეს ისეთი ტიპის გარიგებებში, რომლებიც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ერთ ან რამდენიმე ეკლესიას სხვა ეკლესიებისა თუ რელიგიების მიმართ. საქმეში იკლესია ბაუტისტა „ელ სალვადორი“ და ორტეგა მარატილა ესპანეთის წინააღმდეგ<sup>148</sup> კომისიამ დაადგინა, რომ ის საგადასახადო სისტემა, რომელიც პრივილეგიურულ მდგომარეობაში აყენებდა კათოლიკურ ეკლესიას პროტესტანტული ეკლესიების მიმართ, არ არღვევდა მე-9 და მე-14 მუხლებს. ესპანეთში კათოლიკური ეკლესია გათავისუფლებული იყო უძრავი ქონების გადასახადისაგან. მომჩივნები – პროტესტანტული ეკლესია და პროტესტანტი წინამძღვარი – ასევე ითხოვდნენ, ამ გადასახადის გადახდისგან გათავისუფლებას, თუმცა მათ უარი ეთქვათ იმ მოტივით, რომ სახელმწიფოს დათმობა კათოლიკური ეკლესიის მიმართ განპირობებული იყო ესპანეთსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის დადებული კონკორდატით. პროტესტანტულ ეკლესიასთან ასეთი შეთანხმების არარსებობის პირობებში გადასახადის გადახდისგან მისი გათავისუფლება მოკლებული იქნებოდა ყველანაირ იურიდიული საფუძველს.

რელიგიის თავისუფლებაზე უფლება არ გულისხმობს გარკვეული ეკლესიის გათავისუფლებას საგადასახადო ვალდებულებებისგან. სახელმწიფოს არ ეკისრება ღვთისმსახურების განხორციელების ადგილების გათავისუფლება გადასახადების გადახდის ვალდებულებისაგან. ამავე დროს სახელმწიფო უფლებამოსილია განსაზღვრული ეკლესია ან რელიგიური ორგანიზაცია გაათავისუფლოს გადასახადების გადახდისგან მე-14 მუხლის დარღვევის გარეშე, თუკი არსებობს „ობიექტური და დასაბუთებული“ გამართლება მსგავსი განსხვავებული დამოკიდებულებისა. კომისიამ განაცხადა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკორდატის არსებობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მოქმედებას ჰქონდა ასეთი გამართლება. კონკორდატი გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებდა კათოლიკურ ეკლესიას (მაგალითად, მისი ისტორიული, მხატვრული და დოკუმენტური მემკვიდრეობის ჩაყენება ესპანელი ხალხის სამსახურში), სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სარგებლის მიღების სანაცვლოდ (მაგალითად, გადასახადის გადახდისგან გათავისუფლება). ვინაიდან პროტესტანტულ ეკლესიასთან არ იყო დადებული ამგვარი გარიგება, შესაბამისად, არც დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი პროტესტანტული ეკლესიის მიმართ. საბოლოო ჯამში, კომისიამ უარყო ის არგუმენტი, თითქოს, კათოლიკური ეკლესიისგან განსხვავებით, პროტესტანტული ეკლესიის მიმართ გადასახადების გადახდის მოთხოვნის შენარჩუნებით სახელმწიფო ერთ ეკლესიას მეორის სუბსიდირებას აიძულებდა. კომისიამ განაცხადა, რომ გადასახადების დაკისრება ნეიტრალურ აქტს წარმოადგენს ყოველგვარი მიზანმიმართული ქვეტექსტის გარეშე. მომჩივანმა ასევე ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ მის მიერ გადახდილი გადასახადები რაიმე სახით გამოყენებული იქნა კათოლიკური ეკლესიასთვის დახმარების განევის მიზნით. აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, ერთ ეკლესიას, მეორისგან განსხვავებით, დააკისროს გადასახადის გადახდის ვალდებულება ან გაუნოს ფინანსური დახმარება, თუკი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებულია შეთანხმება, რომელიც ორმხრივ ვალდებულებებს აკისრებს მხარეებს. კომისიამ არ განიხილა საკითხი იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა პროტესტანტულ ეკლესიას სახელმწიფოსთან გარიგების დადების მოთხოვნის უფლება, თუმცა მიღებულ გადაწყვეტილებაში თავისთავად იგულისხმება, რომ ამის უფლება მომჩივან ეკლესიას არ გააჩნია. როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია იმ



ფაქტორმაც, რომ სახელმწიფო ეკლესიის სტატუსი თავისი არსით დაკარგავდა მნიშვნელობას, თუკი მისთვის დამახასიათებელი ყველა პრივილეგიით სარგებლობის უფლება სხვა რელიგიებსაც ექნებოდათ.

### კონტროლი საეკლესიო პერსონალზე

სხვა იურიდიულ სირთულეთა ჯგუფს, რაც საზოგადოებაში რომელიმე ეკლესიის ან რელიგიის დაწესებულების შედეგად წარმოიქმნება, მიეკუთვნება ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას მინიჭებული აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს რელიგიასთან დაკავშირებით იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რაც სხვა შემთხვევაში საშინაო რელიგიურ საქმედ ჩაითვლებოდა.<sup>149</sup> მაგალითად, სახელმწიფო უფლებამოსილია, დაადგინოს სამუშაოზე აყვანის კრიტერიუმები სასულიერო პირებისათვის ან ჩამოაყალიბოს მათ მიერ შესასრულებელი ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე. სახელმწიფოს ასევე შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დაკისრებულ მოვალეობათა ჯეროვნად შეუსრულებლობის საფუძველზე სასულიერო პირის გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

სახელმწიფოში, სადაც არსებობს დაწესებული ეკლესია, ქვეყნის მთავრობას უფლება აქვს, ჩამოაყალიბოს ეკლესიაში სამუშაოს დაწყების როგორც ზოგადი ხასიათის პირობები, ისე მოთხოვნები კონკრეტული თანამდებობის მიმართ.<sup>150</sup> სახელმწიფოს მხრიდან თანამდებობაზე დანიშვნის წინ ერთგულების ფიცის დადების მოთხოვნაზე უფლებას კომისიამ აშკარად დაუჭირა მხარი საქმეში *კნუდსენი ნორვეგიის წინააღმდეგ*.<sup>151</sup> კომისიამ ასევე მხარი დაუჭირა საეკლესიო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას, რომელმაც უარი განუცხადა ქალთა სამღვდელთა ხელდასმის მონაწილედგე პასტორს ეკლესიაში სამუშაოს დაწყებაზე, იმის საფუძველზე, რომ თავის პოზიციაზე მას შესაძლოა დამხმარე ქალ სასულიერო პირებთან ჰქონოდა შეხება.<sup>152</sup> საკითხი სასულიერო პირთა დასაქმების მოთხოვნათა შესახებ არ განეკუთვნება ორდინარულ სახელმწიფო ინტერესთა სფეროს, ამიტომ იქ, სადაც სახელმწიფო ეკლესიის მსგავსი წარმონაქმნი არ არსებობს, ამგვარი ჩარევა შესაძლოა განხილული ყოფილიყო, როგორც მე-9 მუხლის დარღვევა.<sup>153</sup> თუმცა ეს სრულებით არ გულისხმობს იმას, რომ დაწესებული ეკლესიის პირობებში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული, ზემოთ განხილული, ურთიერთობა ლეგიტიმურ ელფერს სძენდეს მთავრობის მხრიდან ეკლესიის საშინაო საქმეებში ჩარევას. ყველა შემთხვევაში, კონვენციის საფუძველზე, ასეთი ურთიერთობა სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს გარკვეულ მოქმედებასა და პასუხისმგებლობას ეკლესიის განსაზღვრული ქმედებებისთვის.

სასულიერო პირთა და განსაზღვრული რელიგიური მიმდინარეობის წევრთა უფლებები ასევე შეზღუდულ ხასიათს ატარებს. სახელმწიფო ეკლესიის სისტემაში სახელმწიფო უფლებამოსილია, გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მაინც, მოითხოვოს სასულიერო პირისგან განსაზღვრული ტიპის ქცევა, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი – სამუშაოს დატოვება. მდგომარეობა არ იცვლება იმ შემთხვევაშიც, როცა საკითხი თავისი არსით რელიგიური ხასიათისაა. კომისიამ მხარი დაუჭირა დანიის სახელმწიფო ეკლესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იმ სასულიერო პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, რომელმაც მშობლებს მათი შვილების მონათვლის პირობად ამ უკანასკნელთათვის რელიგიური სწავლების 5 გაკვეთილის ჩატარება წაუყენა.<sup>154</sup> კომისიის მიერ თავისი გადაწყვეტილების დასაბუთება საკმაოდ მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის, ისე განსაზღვრული ეკლესიის წევრთა რელიგიის თავისუფლების კონტექსტში, მიუხედავად იმისა, საკითხი დაწესებულ ეკლესიას შეეხება, თუ არა. კომისიამ განაცხადა, რომ

ეკლესია ორგანიზებული ხასიათის რელიგიური საზოგადოებაა, დაფუძნებული იდენტურ ან არსებითად მსგავს შეხედულებებზე. მისი წევრებისათვის მე-9 მუხლის საფუძველზე მინიჭებული უფლებებიდან გამომდინარე, თავის მხრივ, დაცულია ეკლესიის უფლებები რელიგიის გამოხატვაზე, ღვთისმსახურების ორგანიზებასა და ჩატარებაზე, სწავლებაზე, რიტუალების შესრულებაზე ან წეს-ჩვეულებების დაცვაზე, ასევე თავისუფლება, აღასრულოს და იძულების წესით უზრუნველყოს ამ საკითხთა ერთგვაროვნება. გარდა ამისა, სახელმწიფო ეკლესიის სისტემაში ეკლესიის მსახურნი აყვანილნი არიან სამუშაოზე კონკრეტული რელიგიის გამოყენებისა და სწავლების მიზნით. აზრზე, სინდისსა და რელიგიაზე მათი ინდივიდუალური უფლების განხორციელებას ადგილი აქვს სასულიერო პირად მუშაობაზე თანხმობის ან უარის თქმის მომენტიდან. გარდა ამისა, მათი უფლება ეკლესიის დატოვებაზე წარმოადგენს გარანტიას საეკლესიო პერსონალის რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფისა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკლესია არ არის ვალდებული, უზრუნველყოს მისი წევრებისა და მსახურთა რელიგიის თავისუფლება, სახელმწიფოსგან განსხვავებით, რომელსაც ეკისრება ეს ვალდებულება თავისი იურისდიქციის ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, სასულიერო პირს არ გააჩნდა უფლებამოსილება, დაედგინა დამატებითი პირობები ნათლობისათვის. პასტორს უფლება ჰქონდა, დაეცვა არსებული დირექტივები ან დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობა. კომისიის გადაწყვეტილებით, ადგილი არ ჰქონია რელიგიის თავისუფლების დარღვევას, ვინაიდან არსებობდა თანამდებობის დატოვების უფლების გამოყენების შესაძლებლობა.

კომისიამ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო, როცა გაამართლა ნორვეგიის ეკლესიისა და განათლების მინისტრის ქმედება სასულიერო პირის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. ამ სასულიერო პირმა უარი განაცხადა სახელმწიფო ფუნქციების ნაწილის განხორციელებაზე აბორტის შესახებ ახალი, ლიბერალური კანონის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვის მიზნით.<sup>155</sup> სასულიერო პირის უარი შეესაბამებოდა მისი ეკლესიის მოძღვრებას და შეეხებოდა დაკისრებულ ვალდებულებათა მხოლოდ ნაწილს (ძირითადად, ქორწინების სფეროში). მიუხედავად ამისა, კომისიამ გადაწყვიტა, რომ აბორტის კანონის საპროტესტოდ მიმართული მისი ქმედება არ იყო სავალდებულო იმ რელიგიის თანახმად, რომელსაც სასულიერო პირი მიეკუთვნებოდა. განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებაზე მომჩივნის უარი მოტივირებული იყო მხოლოდ აბორტისადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულებით. ეს დამოკიდებულება კი, თავის მხრივ, მისი რელიგიით იყო მოტივირებული.<sup>156</sup> სახელმწიფოს არ ჰქონდა მომჩივნის იძულების უფლება, რომ ეს უკანასკნელი ეკლესიის ან სამღვდელოების წევრად დარჩენილიყო, მაგრამ სახელმწიფო უფლებამოსილი იყო, დაერეგულირებინა მისი ქცევა, როგორც ეკლესიის წევრისა, რადგანაც „სახელმწიფო ეკლესიის სისტემაში შემავალ სასულიერო პირს, გარდა იმისა, რომ რელიგიური ვალდებულებები აქვს, ეკისრება ასევე გარკვეული მოვალეობებიც სახელმწიფოს წინაშე“.

შესაბამისად, სახელმწიფო აღჭურვილია მნიშვნელოვანი უფლებით, ჩაერიოს სახელმწიფო ეკლესიის როგორც ორგანიზებაში, ისე რელიგიური მოთხოვნების დაწესების სფეროში. კერძოდ, სახელმწიფოს როლი გამოიხატება ეკლესიაში სამუშაოდ მიღებისა და გათავისუფლების პირობების დადგენაში, რელიგიის თავისუფლებისადმი მნიშვნელოვანი ყურადღების მიქცევის გარეშე. თუმცა, სავარაუდოდ, არსებობს ზღვარი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო უფლებამოსილია, განახორციელოს თავისი ძალაუფლება. *კნუდსენის* საქმეში კომისიამ მიუთითა, რომ დაუმორჩილებლობის მოტივით სახელმწიფო სამსახურიდან გათავისუფლება შესაძლოა დაექვემდებაროს საქმის აღძვრას მე-9 მუხლის საფუძველზე „განსაზღვრული გარემოებების

არსებობისას“, თუმცა არანაირი მინიშნება იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება ამ გარემოებებში, არ გაკეთებულა. კომისიამ სახელმწიფოს მოქმედების დასაშვებობის დასაბუთებისას აღნიშნა, რომ სასულიერო პირს მთავრობამ მხოლოდ სახელმწიფო ფუნქციები ჩამოართვა და მის სასულიერო როლში არ ჩარეულა.

სახელმწიფოს როლი არასამთავრობო რელიგიური ჯგუფების ლიდერთა ქმედებების რეგულირებაში გაცილებით შეზღუდულია. საქმეში *სერიფი საბერძნეთის წინააღმდეგ*<sup>157</sup> საბერძნეთის მთავრობამ ბრალდება წაუყენა სერიფს როდოპტში მუსლიმთა ადგილობრივი საზოგადოების მუფტად თავის გამოცხადებისა და მუფტის სამოსის ტარებისათვის. სერიფი არჩეული იქნა ადგილობრივ მეჩეთში პარასკევის ლოცვაზე დამსწრე მუსლიმთა მიერ და საზოგადოებაში მრავალი მიმდევარი ჰყავდა, თუმცა საბერძნეთის მთავრობის მიერ მუფტის თანამდებობაზე სხვა ადამიანი იყო დანიშნული. ხელისუფლება აცხადებდა, რომ რელიგიურ ლიდერთა ქცევის რეგულირება წარმოადგენს აუცილებლობას, პირველ რიგში, იმიტომ, რომ მათ განსაზღვრული სამოქალაქო უფლებები აქვთ მინიჭებული საბერძნეთის კანონმდებლობის საფუძველზე (როგორცაა საქორწინო ცერემონიების შესრულება, შეზღუდული უფლებები საოჯახო საკითხების გადაწყვეტასა და სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებაზე) და ასევე, საზოგადოების დაცვის მიზნით იმ დაძაბულობისგან, რაც შესაძლოა ორი რელიგიური ლიდერის არსებობას გამოეწვია. სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა და განაცხადა, რომ პიროვნების დასჯა „მხოლოდ იმ რელიგიური ჯგუფის ლიდერისათვის დამახასიათებელი ქცევისათვის, რომელიც მისი ნებაყოფლობითი მიმდევარი იყო, არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც რელიგიური პლურალიზმის მოთხოვნების შესაბამისი ქმედება დემოკრატიულ საზოგადოებაში“. თუმცა სასამართლო საქმეს სხვა შეფასებას მისცემდა, თუკი მომჩივანი იურიდიული შედეგების გამოწვევი ქმედებების (როგორცაა საქორწინო ცერემონიები, რელიგიური და მორალური ლიდერობა) განხორციელებას შეეცდებოდა სახელმწიფო კონტროლს გარეთ. რაც შეეხება რელიგიური საზოგადოებების ერთიანი ხელმძღვანელობის შენარჩუნებას, სასამართლოს მითითებით, სახელმწიფო არ იყო ის სუბიექტი, რომელსაც მოცემული მიზნის განხორციელებისათვის უნდა მიეღო ზომები.

აქედან გამომდინარე, მაშინ, როცა სახელმწიფოს ქმედებებზე რელიგიური (განსაკუთრებით არადანესებულ ეკლესიათა) ლიდერების წინააღმდეგ შეზღუდვებია დაწესებული, მე-9 მუხლი დაწესებული ეკლესიებისთვის პრივილეგიების მინიჭების და მათზე განსაზღვრული დონის კონტროლის განხორციელების მნიშვნელოვან შესაძლებლობას ანიჭებს მთავრობებს. საკითხი იმ ზღვარის შესახებ, რომლის მიღმაც ეკლესიის დაწესებამ შესაძლოა როგორც ეკლესიის წევრის, ისე არანევრთა *forum internum*-ში ჩარევა გამოიწვიოს, იშვიათად მიიღებოდა მხედველობაში და მხოლოდ დერბის საქმეში მიიყვანა კომისია იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ძალზე შორს წავიდა თავისი ეკლესიის ინტერესების მხარდაჭერისას. როგორც ჩანს, ევროპაში დაწესებული ეკლესიების ისტორიულმა მნიშვნელობამ სასამართლო იძულებული გახადა, ხელი მოეკიდა რთული ფილოსოფიური საკითხებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ზემოხსენებულ ზღვართან, რომლის მიღმაც ეკლესიის დაწესებამ შესაძლოა ისეთი გარემო შექმნას, რომელიც ერევა განსაზღვრული რელიგიის როგორც მიმდევართა, ისე არამიმდევართა *forum internum*-ში.<sup>158</sup>

რელიგიური უმცირესობების, განსაკუთრებით იელოვას მონქეთა (საბერძნეთის წინააღმდეგ), საქმეები, ნათლად მეტყველებს იმ პოტენციურ პრობლემებზე, რომლებიც სახელმწიფოს გადამეტებულმა აქტივობამ შეიძლება გამოიწვიოს სხვათა ხარჯზე ერთი ეკლესიის ინტერესების მხარდაჭერისას, მაშინაც, როცა, როგორც საბერძნეთის (ელადის) მართლმადიდებელი ეკლესიის შემთხვევაში, ეკლესია ინარჩუნებს განსაზღვრული დონის ავტონომიას. სახელმწი-

ფოს როლი შესაძლოა დანახული იქნეს პროზელიტიზმის საწინააღმდეგო კანონების მიღებაში, რომლებიც განსაკუთრებით მკაცრად იქნა ცხოვრებაში გატარებული იელოვას მოწმეების მიმართ, თუმცა არასოდეს ყოფილა გამოყენებული მართლმადიდებელი ეკლესიის საწინააღმდეგოდ.<sup>159</sup> ნებართვების მიღება მშენებლობაზე ქრისტიანული მიმართულებების ეკლესიათათვის არასოდეს წარმოადგენდა დიდ პრობლემას, მაშინ როცა იელოვას მოწმეებმა აღმოაჩინეს, რომ მათი განცხადებები (ნებართვის მისაღებად) შესაძლოა, წლების განმავლობაში ყოფილიყო შეფერხებული და უნდა მიეღო ადგილობრივი მართლმადიდებელი ეპისკოპოსის ნებართვა.<sup>160</sup> არსებობდა საიდუმლო პოლიციის მიერ უმცირესობათა რელიგიურ ჯგუფებზე მეთვალყურეობის მტკიცებულებაც.<sup>161</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონების არსებობა (თუმცა ხშირად მათი გამოყენება დაუშვებელი მიზნებისთვის ხორციელდებოდა) სასამართლოს მიერ არ იქნა ცნობილი კონვენციის დარღვევად, განსაზღვრული რელიგიური ჯგუფებისადმი სახელმწიფოს უნდობლობამ და მათთვის ცხოვრების გართულების მიზნით მიღებულმა ზომებმა აჩვენა გზა, რომლითაც სახელმწიფოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ძალაუფლებას შეუძლია ზენოლა მოახდინოს რელიგიურ უმცირესობათა *forum internum*-ზე.

### რელიგიისა და რწმენის თავისუფლება და *forum internum* განათლებაში

*Forum internum*-თან დაკავშირებულ სხვა საკამათო სფეროს წარმოადგენს ბავშვების განათლება.<sup>162</sup> ეს ის სფეროა, სადაც თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოს აქვს შანსი და ვალდებულება, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ყველაზე დაუცველი წევრების იდეათა და მოსაზრებათა ფორმირების პროცესში. ზღვარის პოვნა აკრძალულ ინდოქტრინაციას, როგორც *forum internum*-ში ძალადობრივ ჩარევასა და განათლებას შორის, რომელიც ხელს უწყობს მოზარდებს, იპოვონ საკუთარი თავი საზოგადოებაში (ხშირად რელიგიურად პლურალისტურში), საკმაოდ ძნელია.

კონვენციის ავტორთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მშობელთა უფლებების დაცვის საკითხმა შვილების რელიგიურ და მორალურ განათლებაზე. მიღწეული იქნა ზოგადი შეთანხმება, რომლის თანახმადაც დაუშვებელი იყო სკოლების გამოყენება ინდოქტრინაციის მიზნით, რაც, შესაძლოა, ძალზე სასიფათო იარაღი გახდეს ტოტალიტარული მთავრობის ხელში. თუმცა გამოითქვა მოსაზრება, რომ შვილების რელიგიურ და მორალურ აღზრდაზე მშობლების უფლებამ არ უნდა გამოიწვიოს ხარჯები სახელმწიფოს მხრიდან. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, მშობლებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ სახელმწიფოს, რომ ამ უკანასკნელმა არ ასწავლოს მათ შვილებს გარკვეული წესით, თუმცა, მეორე მხრივ, არ აქვთ უფლება, მოითხოვონ ქვეყნის მთავრობისგან გარკვეული ტიპის რელიგიური და მორალური განათლების დაფინანსება.

სასამართლოსა და კომისიას სხვადასხვა დროს მოუწია არაერთი საქმის განხილვა, სადაც მომჩივნები სახელმწიფოსგან მოითხოვდნენ გარკვეული სახის განათლებისა თუ საგანმანათლებლო დოქტრინის დაფინანსებას. როგორც სასამართლომ, ისე კომისიამ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად უარყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო, დაეფინანსებინა კერძო სკოლები,<sup>163</sup> უზრუნველყო საშუალო და სელექციური განათლება,<sup>164</sup> ასევე განსაზღვრული მიმართულების სწავლების კურსი,<sup>165</sup> განეხორციელებინა სწავლების დაფინანსება დაწყებითი სკოლის შემდეგ,<sup>166</sup> აგრეთვე წამყვან სკოლებში უნარშეზღუდული ბავშვების ინტეგრირება<sup>167</sup> და იმ კერძო სკოლების რეგისტრაცია, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საგანმანათლებლო დანერგულების შექმნისათვის დადგენილ ობიექტურ კრიტერიუმებს.<sup>168</sup> შესაბამისად, შეზღუდულია პირველი ოქმის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს ფინანსური ვალდებულება. როგორც სასამართლომ მიუთითა ბელგიან ლინგვისტიკის საქმეში,<sup>169</sup> განათლების უფლება ემსახურება მხოლოდ

ხელშემკვრელი სახელმწიფოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ პირთა უფლების გარანტირებას, გამოიყენონ არსებული საგანმანათლებლო საშუალებები. კონვენცია არ ადგენს ამ საშუალებათა მასშტაბებსა და მათ ორგანიზებასა და სუბსიდირებასთან დაკავშირებულ სპეციალურ ვალდებულებებს.

შესაბამისად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა, შექმნან კერძო რელიგიური სკოლები, მაგრამ არ უნდა მოელოდნენ მთავრობის მხრიდან დაფინანსებას. სახელმწიფო, თავის მხრივ, უფლებამოსილია, საკუთარი სურვილისამებრ მოახდინოს ამგვარი სკოლების სუბსიდირება ან გადაიხადოს განსაზღვრული ტიპის განათლების საფასური (როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სკოლებში). კონვენციის შემქნელთა მიზანს (აშშ-ს კონსტიტუციის შემოქმედთაგან განსხვავებით) წარმოადგენდა არა სახელმწიფოს დატოვება რელიგიის გარეშე, რელიგიური განათლების ჩათვლით, არამედ სახელმწიფოს იმ ფინანსური მოთხოვნებისგან გათავისუფლება, რომელთა დაკმაყოფილების სურვილიც ამ უკანასკნელს არ გააჩნია. დამოუკიდებელი სკოლების ფუნქციონირების შესაძლებლობა გაგებული იქნა, როგორც საგანმანათლებლო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ნაწილი მშობლებისთვის, რომელნიც არ ეთანხმებიან იმ მორალურ და რელიგიურ სწავლებას, რასაც მათი ბავშვები იღებენ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამგვარი სკოლები რელიგიურად პლურალისტური საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.<sup>170</sup>

რა თქმა უნდა, ყველა ბავშვი ვერ ივლის დამოუკიდებელ რელიგიურ სკოლებში და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს მშობლების მრწამსის პატივისცემა სახელმწიფო სკოლების სისტემაში. ეს რომ არა, უფლება განათლების პროცესში რელიგიური მრწამსის პატივისცემაზე დაცული იქნებოდა მხოლოდ მათთვის, ვინც შეძლებდა გადასახადის გადახდას კერძო სკოლებში და ვის რელიგიურ ჯგუფსაც საკმარისი რესურსი ექნებოდა დამოუკიდებლად სკოლის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.<sup>171</sup> სახელმწიფო სკოლებში განათლებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ვალდებულებათა ფარგლები კამათის საგანია, რადგანაც სწორედ ამ სფეროში წარმოჩინდება ყველაზე მძაფრად ინდოქტრინაციისა და სინდისში ჩარევის საკითხები. ის, თუ როგორ წყვეტდა ასეთ საკითხებს კომისია, ნათლად მეტყველებს მე-9 მუხლის პირველი ნაწილის პირველი სეგმენტით გათვალისწინებული დაცვის შეზღუდულ ხასიათზე *forum internum*-თან დაკავშირებით.

### სკოლის უფლებამოსილების ფარგლები

სასამართლო დილემას აწყდება, როდესაც საქმე შეეხება სკოლას, რომელსაც განსაზღვრული ტიპის სასწავლო კურსის გატარება სურს, მშობლები კი აღნიშნული კურსის განსხვავებულად სწავლებას ან საერთოდ გაუქმებას ემხრობიან ან ამ კურსის სწავლებისგან მათი შვილების ნაწილობრივ ან მთლიანად გათავისუფლების სურვილს გამოთქვამენ. აუცილებელია როგორც ბავშვების დაცვა ინდოქტრინაციისგან, ასევე მშობლების უფლების უზრუნველყოფა, აირჩიონ თავიანთი შვილების მორალური და რელიგიური განათლება. ამასთანავე, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის სრული განათლების მიღების უფლება და სკოლისათვის პრაქტიკული სირთულეების წარმოქმნის შესაძლებლობაც, თუკი გამოწვევის სახით ბევრ მოსწავლეს გაათავისუფლებენ გარკვეულ საგნებზე დასწრებისგან. ასევე მნიშვნელოვანია საკითხი, აქვს თუ არა საზოგადოებას ლეგიტიმური ინტერესი, დარწმუნდეს, რომ ყველა ბავშვი კარგ ზოგად განათლებას იღებს. ამან, შესაძლოა, მოიცვას ინფორმაცია იმ საკითხებზე, რაც მორალურად და რელიგიურად საკამათო ხასიათისაა.

საქმეში *კიელდსენი, ბუსკი მადსენი და პედერსენი დანიის წინააღმდეგ* სასამართლო შე-



ეცადა ამ ფაქტორებს შორის დაძაბულობის დაძლევა.<sup>172</sup> ამ საქმეში დანიის განათლების სისტემის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა სწავლების ერთიანი კურსი სკოლებისათვის, რომელიც ერთ-ერთ საგნად შეიცავდა სექსუალურ აღზრდას. რამდენიმე მოსწავლის მშობელმა გააპროტესტა ეს. ისინი აცხადებდნენ, რომ სექსუალური აღზრდის ინტეგრაცია სწავლების ერთიან კურსში ფაქტობრივად სავალდებულოს ხდიდა მას, ეს კი ეწინააღმდეგებოდა მათ რწმენას. მშობელთა მტკიცებით, ასეთი ტიპის განათლება ბავშვმა სახლში უნდა მიიღოს, სადაც სათანადო ყურადღება იქნება გამახვილებული სექსუალურობის მორალურ და რელიგიურ კონტექსტზე. სკოლა ამტკიცებდა, რომ ბავშვებისთვის სექსუალურ საკითხებზე მიწოდებული ინფორმაცია ფაქტობრივი ხასიათისაა და სკოლას არ გააჩნია მორალური პოზიცია სექსუალური აღზრდის საგნად სწავლების მიმართ. გარდა ამისა, სკოლის მხარემ განაცხადა, რომ ამ ინფორმაციის ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომობა საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში შედის. სექსუალური აღზრდის მიმართ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი მდგომარეობს ვენერიულ დაავადებათა გავრცელების, არასრულწლოვანთა არასასურველი ფეხმძიმობისა და აბორტის თავიდან აცილებაში, რისი მიღწევაც მოსწავლეთათვის ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდებითაა შესაძლებელი.

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ განათლების უფლება და მასზე დაწესებული შეზღუდვა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მრავალჯერ იქნა ინდოქტრინაციის საშუალებად გამოყენებული, მიზნად ისახავდა „განათლებაში პლურალიზმის შესაძლებლობის დაცვას“ და აუცილებელი პირობების შექმნას დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის. სასამართლომ უარყო დანიის მხარის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მშობლების მრწამსის პატივისცემა ჩამოყალიბებული პირველი ოქმის მე-2 მუხლის მეორე წინადადებაში, შეეხებოდა მხოლოდ რელიგიურ, კონფესიურ სწავლებას. სასამართლომ მიუთითა, რომ მშობლების რწმენათა და ფილოსოფიურ შეხედულებათა პატივისცემაზე სახელმწიფოს ვალდებულება ვრცელდებოდა სახელმწიფო განათლების მთლიან სისტემაზე. შემდგომ კი განაცხადა, რომ სკოლის ვალდებულება მშობლების ფილოსოფიური და რელიგიური მრწამსის პატივისცემაზე მჭიდრო კავშირშია პირველი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადებით დადგენილ განათლების უფლებასთან. თუმცა სასამართლომ მისაღებად მიიჩნია არგუმენტი, რომლის თანახმადაც სასწავლო კურსის დადგენა და დაგეგმვა ხელმეპყრელ სახელმწიფოთა კომპეტენციას წარმოადგენს და არსებობს საზღვრები, რომელთა ფარგლებშიც სკოლებსა და განათლების სისტემის ხელმძღვანელებს შეუძლიათ საკითხების გადაწყვეტა მიზანშეწონილობის პრინციპზე დაყრდნობით, შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია მისი რეგულირება. სასამართლო თანაგრძნობით მოეკიდა იმ პრაქტიკულ პრობლემებს, რომლებიც მშობელთათვის მნიშვნელოვანი უფლებების მინიჭებას შეეძლო გამოეწვია. სასამართლომ გაიზიარა შეხედულება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მოქმედებას განსაზღვრული თავისუფლება უნდა მიეცეს განათლებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში და დაადგინა, რომ:

*პირველი ოქმის მე-2 მუხლის მეორე წინადადება ხელს არ უშლის სახელმწიფოებს სწავლების ან განათლების გზით პირდაპირი ან არაპირდაპირი რელიგიური ან ფილოსოფიური ტიპის ინფორმაციის ან ცოდნის გავრცელებაში. იგი ნებასაც არ რთავს მშობლებს, გააპროტესტონ ასეთი სწავლების ან განათლების შეტანა სკოლის კურიკულუმში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ინსტიტუციონალური სწავლება გამოუსადეგრად აღიარების რისკის წინაშე დადგება. სინამდვილეში ძალზე რთულია ისეთი სასკოლო საგნის მოძებნა, რომელსაც ფილოსოფიური ასპექტი ან ქვეტექსტი არ ახასიათებდეს. იგივე ითქმის რელიგიურ დატვირთვაზეც, თუკი გავითვალისწინებთ, რომ რელიგიათა ფორმირება ძალზე ფართო დოგმატურ და*

მორალურ ორგანიზმებად მოხდა, რომელთაც აქვთ, ან შესაძლოა ჰქონდეთ, პასუხი ფილოსოფიურ, კოსმოლოგიურ ან მორალური ბუნების ნებისმიერ კითხვაზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება გამყარებული იქნა კონვენციით, განსაკუთრებით მე-8, მე-9, და მე-10 მუხლებით გათვალისწინებულ სხვა უფლებებზე მითითებით,<sup>173</sup> და იმით, რომ დანიის მთავრობამ დიდსულოვანი ნაბიჯი გადადგა და ფინანსურად უზრუნველყო კერძო რელიგიური სკოლები, ასევე საოჯახო განათლება, რომელთა გამოყენების საშუალებაც სწორედ ინტეგრირებული სასწავლო კურსით უკმაყოფილო მშობლებს ჰქონდათ. თუმცა აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ამ ტიპის საშუალებების არსებობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებისგან, პატივი სცეს მშობელთა რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსს სახელმწიფო განათლების სისტემის ფარგლებში.

### სკოლის დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვა

სასამართლომ ჩამოაყალიბა სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების სფერო სასწავლო კურსის დადგენის თვალსაზრისით, შემდგომში განიხილა ის შეზღუდვები, რომლებსაც პირველი ოქმის მე-2 მუხლი აკისრებს სკოლის ხელმძღვანელობას. მან აღნიშნა, რომ მე-2 მუხლის მეორე წინადადებაში, მეორე მხრივ, იგულისხმება სახელმწიფოს ვალდებულება განათლებისა და სწავლების მიმართ თავისი ფუნქციების განხორციელებისას უზრუნველყოს, რომ სასწავლო კურსში შეტანილი ინფორმაცია და ცოდნა გადმოცემული იყოს ობიექტურად, კრიტიკულად და პლურალისტურად. სახელმწიფოებს ეკრძალებათ ინდოქტრინაცია, რომელიც შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც მშობლების რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის უპატივცემლობა. ეს არის ზღვარი, რომლის გადალახვაც დაუშვებელია.

აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ არ იქნეს დარღვეული პირველი ოქმის მე-2 მუხლი, აუცილებელი არ არის, სახელმწიფო გაექცეს რელიგიური და ფილოსოფიური მასალის სწავლებას, არამედ უნდა უზრუნველყოს მისი „ობიექტურ, კრიტიკულ და პლურალისტურ“ კონტექსტში წარმოდგენა. ეს, სასამართლოს თანახმად, თავიდან აგვაცილებს ინდოქტრინაციის საფრთხეს კონვენციის სხვა უფლებათა დარღვევისა და სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემის ხელმძღვანელობისათვის უზარმაზარი პრაქტიკული სირთულეების შექმნის გარეშე. ამ საქმის საბოლოო შედეგი ის გახლდათ, რომ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სექსუალური აღზრდის ინტეგრაცია დანიის სასწავლო კურსში თავისთავად არ წარმოადგენდა კონვენციის დარღვევას. დანიის ხელისუფლება ლეგიტიმურად იყო შემფოთებული სათანადო სექსუალური განათლების ნაკლებობით გამოწვეული სოციალური პრობლემებით და გონივრული გზა აირჩია მათი გადაწყვეტისათვის. სასამართლომ დაადასტურა, რომ არსებობს სექსუალურობასთან დაკავშირებული საკითხების მშობელთა რწმენისათვის შეურაცხმყოფელად სწავლების პოტენციური შესაძლებლობა ცალკეულ მასწავლებელთა მხრიდან დაუდევრობის ან უადგილო პროზელიტიზმის გზით. სასამართლოს განცხადებით, ამ პრობლემის თავიდან აცილებაზე უნდა იზრუნონ როგორც მშობლებმა, ისე სკოლის ხელმძღვანელობამ. ისინი უნდა გაუმკლავდნენ ამ პრობლემას უფრო ინდივიდუალურ დონეზე, ვიდრე ისეთი ქმედებებით, როგორიცაა სასამართლოში საქმის განხილვა. ალტერნატივის სახით, მშობლებს შეუძლიათ თავიანთი შვილები მიაბარონ კერძო სკოლებში, სადაც არ ასწავლიან მათთვის მიუღებელ საგნებს.

### ევროპული სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები

სასამართლომ ახლო წარსულში მოისმინა პირველი ოქმის მე-2 მუხლიდან გამომდინარე



საკითხებთან დაკავშირებული რამდენიმე საქმე, მათ შორის გახმაურებული საქმე ფიზიკური დასჯის შესახებ, *კემპბელი და კოსანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.<sup>174</sup> მაშინ, როცა მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მე-2 მუხლით გარანტირებული დაცვა მოიცავდა მოთხოვნას სკოლების მხრიდან მშობელთა სურვილების პატივისცემის თაობაზე (ამ საქმეში მშობელთა სურვილს ბავშვების ფიზიკური დასჯის აღკვეთა წარმოადგენდა), სასამართლომ ძირითადად *კიელდსენის*<sup>175</sup> საქმეში დადგენილი სამართლებრივი სტრუქტურით იხელმძღვანელა. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა სასამართლოს მგავსი მიმართულება აირჩია და დაადგინა, რომ რელიგიისა და ეთიკის ისტორიის კურსი არ არღვევს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-18 (4) მუხლს, თუკი იგი გადმოცემული იქნება ნეიტრალური და ობიექტური გზით და იმ მშობლებისა თუ მეურვეთა მრწამსის პატივისცემით, რომლებიც არც ერთი რელიგიის მიმდევრები არ არიან.<sup>176</sup> ევროპული სასამართლო არ დაბრუნებია სასკოლო სწავლების კურსის შინაარსის საკითხს, კომისიამ კი შემდგომში რამდენჯერმე განიხილა ამგვარი საქმე.

საქმეში *ანგელნი შვედეთის წინააღმდეგ*<sup>177</sup> ცხადად იკვეთება ზემოთ აღნიშნული პრობლემა. ამ საქმეში მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ დარღვეული იქნა მე-9, მე-14 და პირველი ოქმის მე-2 მუხლები, რადგანაც მათი ქალიშვილი არ გაათავისუფლეს რელიგიური სწავლების გაკვეთილებზე დასწრებისაგან. მომჩივნები ათეისტები იყვნენ და აცხადებდნენ, რომ ათეისტის იძულება, მონაწილეობა მიიღოს ძირითადად ქრისტიანობაზე ფოკუსირებულ რელიგიურ სწავლებაში, წარმოადგენს როგორც მშობლების ფილოსოფიის პატივისცემის უფლების დარღვევას, ასევე მოსწავლის უფლების დარღვევას რელიგიის თავისუფლებაზე. პირველი ოქმის მე-2 მუხლზე დაფუძნებული მოთხოვნა კომისიამ არ მიიღო განსახილველად, რადგანაც შვედეთის მთავრობამ დათქმა გაუკეთა აღნიშნულ მუხლს, როდესაც დაადგინა, რომ ქრისტიანული სწავლებისგან შეიძლება გაათავისუფლდნენ მხოლოდ „შვედური ეკლესიისგან განსხვავებული რწმენის მიმდევარი ბავშვები, კერძოდ, ისინი, ვინც დამაკმაყოფილებელი რელიგიური სწავლებით არიან უზრუნველყოფილი“. არ გაათავისუფლდებიან ის ბავშვები, რომელთა მშობლებსაც უფრო ფილოსოფიური უთანხმოება აქვთ შვედურ ეკლესიასთან, ვიდრე რელიგიური, ან რომელთა მშობლებიც თავიანთი შვილებისთვის ვერ უზრუნველყოფენ ალტერნატიულ და დამაკმაყოფილებელ რელიგიურ სწავლებას.

რაც შეეხება მოსწავლის მოთხოვნებს მე-9 და მე-14 მუხლების საფუძველზე, ისინი, რა თქმა უნდა, ამავე დათქმაში არ ექცევიან. კომისიამ მიუთითა, რომ შვედეთის მთავრობას უფრო მეტად რელიგიის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სურს, ვიდრე რელიგიური სწავლება და, შესაბამისად, მთავრობის მიზანი, უზრუნველყოს მოსწავლეების გარკვეული რელიგიური ცოდნა, ლეგიტიმური ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, არ ხდება დისკრიმინაცია მე-14 მუხლის საფუძველზე, რადგან რელიგიური სწავლებისგან გაათავისუფლებულნი არიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც რელიგიის ალტერნატიულ გაკვეთილებს ესწრებიან. რაც შეეხება მოთხოვნას მე-9 მუხლის საფუძველზე, კომისიამ განაცხადა, რომ მომჩივანი ფაქტობრივად გაათავისუფლებულია რელიგიური სწავლების უდიდესი ნაწილისგან (თუმცა, გარკვეულწილად, შვედეთის კანონის მოქმედების ფარგლებს გარეთ) ამ საგნისადმი მისი მტკიცედ ოპოზიციური დამოკიდებულების გამო. კომისიამ ასევე მიუთითა, რომ ადგილი არ აქვს მომჩივნის მიმართ რელიგიური ინდოქტრინაციის მცდელობას: „საბავშვო დონიდან სკოლაში რელიგიური სწავლების ქრისტიანობაზე ფოკუსირება არ გულისხმობს, რომ მომჩივანი კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევით დაექვემდებარა ინდოქტრინაციას“. თუმცა არ არის ცხადი, რამდენად არის შესრულებული ტესტი ინფორმაციის „ზოგადად და ნეიტრალურად“ მიწოდების თაობაზე, როცა ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ ერთ რელიგიას შეეხება. სისტემაში, სადაც მასწავლებლებს მოეთხოვებათ

ექსპერტობა ქრისტიანობაში, ხოლო სხვა რელიგიების შესახებ მხოლოდ უმნიშვნელო ცოდნა, საფრთხე გაკვეთილების პროზელატიზმში ან სხვა რელიგიური მრწამსის მქონეთა იზოლირებაში გადაზრდისა, სულ ცოტა, იზრდება მაინც. როგორც ჩანს, ტესტის აქცენტმა ინფორმაციის „ზოგადად და ნეიტრალურად“ მინოდებიდან, როგორც პოტენციური ინდოქტრინაციისაგან დაცვის საშუალებიდან, გადაინაცვლა მომჩივანთა მიმართ მოთხოვნაზე, აჩვენონ თვით ინდოქტრინაციის ფაქტი, რაც, თავისთავად, გაცილებით მაღალი სტანდარტია.<sup>178</sup>

გარდა ამისა, შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ კომისია ყოველთვის უფრო ნაკლები სიმპათიით იყო განწყობილი ათეისტ/აგნოსტიკოსებისადმი, რომლებიც ამტკიცებდნენ მათი რელიგიური სწავლებისგან გათავისუფლების აუცილებლობას, ვიდრე სხვა რელიგიური მრწამსის მქონეთა მიმართ. ანგელენის საქმისგან განსხვავებით, სადაც კომისიამ შედეგითი არსებული რელიგიური სწავლება დასაშვებად მიიჩნია, სხვა საქმეში, რომელშიც მომჩივებად ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის წარმომადგენლები გამოდიოდნენ,<sup>179</sup> კომისიამ ხელი შეუწყო მხარეებს, მიეღნათ მეგობრული შეთანხმებისათვის და ამ გზით დაეხმარა მომჩივნებს, გათავისუფლებულიყვნენ რელიგიური სწავლების გაკვეთილებზე დასწრებისაგან. მსგავსი მიდგომა განმეორდა საქმეში ბერნარდი ლუქსემბურგის წინააღმდეგ,<sup>180</sup> სადაც სასამართლომ განაცხადა, რომ კანონი, რომელიც რელიგიური გაკვეთილებისგან ათავისუფლებდა მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომელთა რელიგიურ საზოგადოებებს სასკოლო საათების განმავლობაში ჰქონდათ ახალგაზრდების მათივე რწმენის შესაბამისი სწავლებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა, იყო დისკრიმინაციული, თუმცა არ არღვევდა მე-14 მუხლს, რადგანაც განსხვავებულ დამოკიდებულებას ამ მოსწავლეებისადმი (სხვა ჯგუფების, მაგალითად, ათეისტების მიმართ, რომელთაც ასევე სურდათ გათავისუფლება, მაგრამ ვერ უზრუნველყოფდნენ საკუთარ თავს სათანადო რელიგიური სწავლებით), „ობიექტური და დასაბუთებული“ გამართლება ჰქონდა.

კომისიის მიერ გამოჩენილი ხედვის უუნარობა ზოგადობისა და ნეიტრალობის მოთხოვნათა მიღმა, მისი სვლა „ინდოქტრინაციის“ გაცილებით მაღალი ტესტისკენ და სიმპათიის ნაკლებობა არათეისტურ რწმენათა მიმდევრების მიმართ, ნათლად წარმოჩნდა აგნოსტიკოსი ბავშვის საჩივრის განხილვის დროს, რომელიც შეეხებოდა პოლონეთში არსებულ რელიგიურ სწავლებას. რელიგიური სწავლება სახელმწიფო სკოლებში ფოკუსირებული იყო კათოლიციზმზე, თუმცა მოსწავლეებს ჰქონდათ მისგან გათავისუფლების უფლება. ორივე მომჩივანმა მოსწავლემ ისარგებლა კიდევ ამ უფლებით. კომისიის აზრით, ეს სასწავლო კურსის „ნებაყოფლობითობაზე“ მეტყველებდა. მომჩივნები კი ამტკიცებდნენ, რომ არსებული სისტემა ზენოლას ახდენდა მოსწავლეებზე, რათა მათ მონაწილეობა მიეღოთ რელიგიურ სწავლებაში, განსაკუთრებით არაკათოლიკეთა მიმართ პოლონეთში ფართოდ გავრცელებული სოციალური დისკრიმინაციის ფონზე. ერთ-ერთი მომჩივანი 12 წლის გოგონა იყო, რომელსაც უბრძანეს, სკოლის კორიდორში მოეცადა რელიგიური სწავლების გაკვეთილების მიმდინარეობისას. მოზარდის მიერ მიცემული ჩვენების მიხედვით, ამას ხშირად მოსდევდა დაკითხვა მასწავლებელთა მხრიდან და ზენოლა მასწავლებლისა და სხვა მოსწავლეებისაგან, დასწრებოდა გაკვეთილებს. შედეგად, მამამისის სურვილის საწინააღმდეგოდ, იგი დანებდა და დაესწრო გაკვეთილებს. კომისიის მოსაზრებით, ეს არ წარმოადგენს მე-9 მუხლის დარღვევას, რადგანაც მიღებული გადაწყვეტილება „ნებაყოფლობითი“ ხასიათისაა.“<sup>181</sup> მაგრამ კომისიამ არ გამოიკვლია, რამდენად ნებაყოფლობითი შეიძლებოდა ყოფილიყო ბავშვის გადაწყვეტილება არსებული სოციალური ზენოლის ფონზე. კომისიამ ასევე უარი განაცხადა, დეტალურად განეხილა სხვა მომჩივანი მოსწავლის მოთხოვნა (მას სკოლა ეთიკის სწავლებას სთავაზობდა რელიგიის გაკვეთილების ალტერნატივის სახით), რომლის თანახმადაც არაკათოლიკეთა

მიმართ ფართოდ გავრცელებული სოციალური დისკრიმინაცია (მაგალითად, შრომის ბაზარზე) წარმოადგენს ზენოლას, მიიღოს განათლება რელიგიაში და არა ეთიკაში. კომისიის განცხადებით, პოლონეთში მოქმედებს კანონები, რომლებიც კრძალავს რელიგიურ დისკრიმინაციას, ასე რომ ნებისმიერი ზიანი შეიძლება იყოს მხოლოდ „უმნიშვნელო“ და რომ კონკრეტულად, მომჩივანს არ მისდგომია ზიანი, ვინაიდან ის, თუ რა საგნის არჩევა ხდება მოსწავლეთა მიერ, არ აისახება სკოლის ანგარიშში.

ტაჰზიბის მოსაზრებით, რელიგიური მრწამსის გამხელის იძულება (მაშინაც, როცა ადგილი არა აქვს სერიოზულ უკმაყოფილებას დისკრიმინაციის მიმართ) წარმოადგენს ჩარევას *forum internum*-ში. სხვა ავტორებმაც გაიზიარეს მსგავსი მიდგომა საკუთარი რელიგიის სახელმწიფო-საგან საიდუმლოდ შენახვის მნიშვნელობის შესახებ.<sup>182</sup> პოლონურ საქმეში კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ ყოველთვის არსებობს პოტენციური შესაძლებლობა, მოსწავლემ გაიაროს იმ რელიგიის კურსი, რომლის მიმდევარიც იგი არ არის. ამიტომაც არ მომხდარა მომჩივნის იძულება, გაემჟღავნებინა თავისი რელიგია. ეს ნაწილობრივ სიმართლეს შეეფერება, თუმცა ზემოთ განხილულ საქმეში სტუდენტი ფაქტობრივად იძულებული იყო, გაეველო კათოლიკური სწავლების კურსი ან უარის შემთხვევაში, შესაბამისად, *de facto* გაემჟღავნებინა, რომ, სულ მცირე, სერიოზული უთანხმოება ჰქონდა ამ სწავლებასთან. ყველაზე დაბალ დონეზე სტუდენტს უწევს თავისი რელიგიის გამხელა სასკოლო ხელმძღვანელობისათვის. ეს საკითხი კომისიამ განიხილა მხოლოდ მე-8 მუხლის კონტექსტში და დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა პირად ცხოვრებაში მხოლოდ უმნიშვნელო ჩარევას, რომლის გამართლებაც შესაძლებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში. თუმცა ამ შემთხვევაში რელიგიის გამხელა, რელიგიურად შეუწყნარებელი საზოგადოების პირობებში,<sup>183</sup> საკმაოდ მძიმე შედეგების მატარებელია *forum internum*-ისთვის, რომელიც მე-9 მუხლის თანახმად აბსოლუტური ხასიათისაა და არანაირ შეზღუდვას არ ექვემდებარება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეზეა მცდელობა საზოგადოების ლეგიტიმურ საგანმანათლებლო მიზანსა და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას შორის ძალზე რთული ბალანსის დადგენისა. მიუხედავად იმისა, რომ ტესტი „ზოგადი და ობიექტური“ სწავლებისა, საკმაოდ ადეკვატურია თეორიულ დონეზე, პრაქტიკაში მისი გამოყენებისას სასამართლომ და კომისიამ გვერდი აუარეს იმის გამოკვლევას, თუ რამდენად შეუძლია ამგვარ სწავლებას ზენოლა მოახდინოს მოსწავლეებზე, რათა მათ განსხვავებული რელიგიური სწავლების კურსი გაიარონ და გაუმხილონ საკუთარი რელიგიური მრწამსი სახელმწიფოსა და სკოლის ხელმძღვანელობას.

## რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლება

ზემოთ განხილულ იქნა ადამიანის უფლება, შეინარჩუნოს რელიგია და რწმენა სახელმწიფოს მხრიდან უკანონო ჩარევის გარეშე, თუმცა რელიგიის თავისუფლების მნიშვნელოვან ასპექტს ასევე წარმოადგენს რელიგიისა და რწმენის შეცვლის უფლება. თუკი პიროვნების ავტონომია და ხელშეუხებლობა საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებას რელიგიის თავისუფლებაზე, ნათელია, რომ შეუძლებელია ეს ავტონომია შემოიფარგლოს მხოლოდ ერთჯერადი არჩევანით განსაზღვრული რელიგიისა თუ რწმენის სასარგებლოდ. ეს არჩევანი უმრავლესობისთვის ბავშვობაში კეთდება მშობლების მიერ, ვიდრე არჩევანის დამოუკიდებლად გაკეთების შესაძლებლობა მიეცემათ. რელიგიისა და რწმენის განსაზღვრის უფლება განგრძობადი თვითიდენტიფიკაციის პროცესია და, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ჩარევა რელიგიისა თუ რწმენის შეცვლის უფლებაში წარმოადგენს ჩარევას *forum internum*-ში.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის შეცვლის თავისუფლება სერიოზული კამათის საგანი გახდა გავროში, კონვენციის ტექსტში იგი არ იყო სადავო საკითხი. რელიგიისა და რწმენის

შეცვლის თავისუფლება ყოველგვარი განხილვის გარეშე იქნა შეტანილი კონვენციის პროექტში, ხოლო შემდგომში კი საბოლოო დოკუმენტში. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა რელიგიის შეცვლის თავისუფლება პროზელიტიზმთან დაკავშირებულ რამდენიმე საქმეში, რომლებიც ქვემოთაა განხილული.<sup>184</sup>

კომისიამ და სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნიეს განსაზღვრული რელიგიების წევრთა რამდენიმე საჩივარი საკუთარი რელიგიების წინააღმდეგ, იმ მოტივით, რომ ინდივიდებს საკუთარი სურვილის შესაბამისად ჰქონდათ ეკლესიის შემადგენლობის დატოვების შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ამ საქმეთაგანი რელიგიის დატოვებას ან მის რიგებში შესვლას არ ეხებოდა, მათი არსებობა ზოგადად იწვევს იმის აუცილებლობას, რომ სასამართლომ სწორედ ამგვარი ტიპის საქმეებში მიღებული გადაწყვეტილებებით დაასაბუთოს უფლება რელიგიის შეცვლის თავისუფლებაზე და კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი მის მნიშვნელობას. ზემოთ განხილული საქმე, რიერა ბლუმი ესპანეთის წინააღმდეგ, რომელიც დაკავშირებული იყო მშობლების მიერ საკუთარ ზრდასრულ შვილთა დაკავებასთან (მათი რელიგიური მრწამსის შეცვლის განზრახვით), თუმცა უშუალოდ რელიგიის თავისუფლების საკითხს არ ეხებოდა, ნათლად წარმოაჩინა სასამართლოს ნება ინდივიდის უფლების მხარდაჭერისა, გაეკეთებინა საკამათო არჩევანი არა დომინანტი რელიგიის, არამედ ე.წ. „კულტის“ სასარგებლოდ.<sup>185</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო და კომისია ყოველთვის სათანადო მხარდაჭერას გამოხატავდნენ რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებისადმი, მაინც საკმაოდ ვიწროდ განმარტავდნენ მას. ერთ-ერთ საქმეში, რომელიც უშუალოდ რელიგიის შეცვლის უფლებას შეეხებოდა, წყვილი ამტკიცებდა, რომ არ იყო ვალდებული, გადაეხადა გადასახადები კათოლიკური ეკლესიისათვის, რადგანაც ორივემ უკვე ნათლად გამოხატა თავისი სურვილი, დაეტოვებინა ეს ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ არ დამორჩილდა სახელმწიფოს მოთხოვნას ეკლესიის დატოვების თაობაზე ამ უკანასკნელის ინფორმირების შესახებ.<sup>186</sup> კომისიამ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ინფორმირების ეს წესი არ ერეოდა მომჩივანთა მიერ თავიანთი რელიგიის შეცვლის უფლებაში, არამედ ადმინისტრაციულ მიზანს, კერძოდ, ეკლესიისათვის გადასახადების გადახდის ვალდებულების მქონეთა განსაზღვრას ემსახურებოდა. ამ საქმეში საეკლესიო გადასახადების გადახდის ვალდებულება არ წარმოადგენდა მე-9 მუხლის დარღვევას, ვინაიდან წყვილს ჰქონდა ამ მოვალეობის შესრულებისგან გათავისუფლების შესაძლებლობა, თუკი შეასრულებდა საკმაოდ მარტივ ადმინისტრაციულ მოთხოვნებს. კიდევ ერთხელ დადასტურდა სახელმწიფოს „ფართო დისკრეცია იმის განსაზღვრაში, თუ ინდივიდის რა ქმედება ჩაითვლება რელიგიური კონფესიის დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებად“.<sup>187</sup> სხვა, გაცილებით სპეციფიკურ საქმეში სასამართლომ უარყო მომჩივნის მოთხოვნა, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო, მომჩივნის ნათლობისა და კონფირმაციის ანულირება მოეხდინა, სავარაუდოდ, იმ მოტივით, რომ ეს ანულირება არ იყო აუცილებელი მომჩივნის მიერ თავისი რელიგიის უარყოფის შესაძლებლობისათვის.<sup>188</sup> მიუხედავად ასეთი ფრთხილი მიდგომისა, ნაკლებად სავარაუდოა სასამართლოს მხრიდან ისეთი კანონის მხარდაჭერა, რომელიც მნიშვნელოვან ვალდებულებებს დაანებს პიროვნების უფლებაზე, დაეტოვებინა განსაზღვრული რელიგია ან შეეცვალა რწმენა, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლო იზიარებს მიდგომას, რომლის თანახმადაც რელიგიური ორგანიზაციები გათანაბრებულნი არიან ნებაყოფლობით ორგანიზაციებთან – მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს რელიგიური ორგანიზაციის დატოვების შესაძლებლობის მნიშვნელობას.

იმ საქმეებში, სადაც რელიგიისა და რწმენის შეცვლასა თუ შენარჩუნებაზე პოტენციური ზენოლა, ერთი მხრივ, შეუმჩნეველ ხასიათს ატარებს, სასამართლომ და კომისიამ თავი აარიდეს ამგვარი საკითხების განხილვას. მაგალითად, პოლონელი მოსწავლის საქმეში, სადაც გოგონაზე

ხორციელდებოდა ზენოლა, რომ იძულებით გაეწვლი კათოლიკური სწავლება. გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი რელიგიისა და რწმენის შენარჩუნებისა თუ შეცვლის შესახებ, რომელთა განხილვასაც კომისიამ უბრალოდ თავი აარიდა.<sup>189</sup> სახელმწიფოსა თუ სხვა დაწესებულებისათვის რელიგიისა თუ რწმენის გამხელის ვალდებულება, სავარაუდოდ, არ წარმოშობს პრობლემებს რელიგიისა და რწმენის შეცვლის ან შენარჩუნების მხრივ შედარებით პლურალისტურ თუ ტოლერანტულ საზოგადოებაში. თუმცა იქ, სადაც საზოგადოება რელიგიურად ჰომოგენური ან არშემწყნარებლურია, რელიგიისა და რწმენის შეცვლის ან შენარჩუნების უფლება შეიძლება ზენოლის საგნად იქცეს დამქირავებელთა და სხვა კერძო დაწესებულებათა მხრიდან. თუკი ამგვარ საზოგადოებაში მთავრობა ადვილად ხელმისაწვდომს გახდის ინფორმაციას მოსახლეობის რწმენათა შესახებ, თუნდაც არაპირდაპირი გზით – სკოლის ანგარიშების საშუალებით, ამან შეიძლება ხელი შეუწყოს, ერთი მხრივ, მტრული გარემოს შექმნას რელიგიური უმრავლესობის წარმომადგენელთა მიმართ, რომელთაც თავიანთი რწმენის შეცვლა სურთ და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ზენოლა მოახდინოს რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებზე, რათა მათ საკუთარი რწმენა ძირითად რწმენათა სასარგებლოდ შეიცვალოს. შესაძლოა, ამგვარი ზენოლა სცილდებოდეს სასამართლოსა და კომისიის კომპეტენციას, რადგანაც ამ სახის საქმეები საჭიროებს ნათელ წარმოდგენას, ზოგადად საზოგადოების, და კონკრეტულად სახელმწიფოს იმ ქმედებათა შესახებ, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ კერძო პირთა ქცევაზე. თუკი რელიგიისა და რწმენის შეცვლის ან შენარჩუნების თავისუფლება ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, რასაც სასამართლო და კომისია ხშირად აღნიშნავენ, ამ ტიპის საქმეების განხილვას სასამართლო უფრო დიდი ყურადღებითა და სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მომავალში.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რამაც რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლება ასეთი საკამათო გახადა, პროზელიტიზმთანაა დაკავშირებული. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლი იცავს ინდივიდებს „იძულებისგან, რომელიც ზღუდავს (მათ) თავისუფლებას, სურვილისამებრ იქონიონ ან მიიღონ რომელიმე რელიგია“. რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის შესახებ დეკლარაციის პირველი მუხლი ასევე კრძალავს იძულებას. ეს დამატება გაეროს უკანასკნელ აქტებზე იმათი შიშის საპასუხო ქმედებას წარმოადგენდა, ვისაც პროზელიტიზმი პოტენციურად ძალადობრივ და არაჰუმანურ საქმიანობად მიაჩნდა. თუმცა სხვები ზრუნავდნენ იმაზე, რომ მხოლოდ ინტელექტუალური დისკუსია და დებატები არ ჩათვლილიყო „იძულებად“. პროფესორ შოუს მტკიცებით, კონვენციის მე-17 მუხლს შეეძლო იგივე როლი ეთამაშა კონვენციის ფარგლებში, რასაც იძულების აკრძალვა ასრულებს გაეროს აქტებში. მე-17 მუხლის თანახმად, „არაფერი კონვენციაში არ შეიძლება განმარტებული იქნეს, როგორც სახელმწიფოს, ჯგუფის ან პიროვნებისთვის უფლების მინიჭება – განახორციელონ ქმედება, რომელიც მიზნად კონვენციაში ჩამოყალიბებული უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფას ისახავს“. აქედან გამომდინარე, ვინმეს იძულება, შეიცვალოს რელიგია, განხორციელებული სახელმწიფოს ან კერძო პირის მიერ არ შეიძლება დაცულ იქნეს მე-9 მუხლის საფუძველზე.<sup>190</sup>

პროზელიტიზმი, თავის მხრივ, რელიგიის მანიფესტაციას წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოყენებული დიქტომიის საფუძველზე. თუმცა ის ასევე მჭიდრო კავშირშია *forum internum*-იდან გამომდინარე რელიგიის შეცვლის უფლებასთან. ეს ის სფეროა, სადაც სასამართლომ გონივრულად თანმიმდევრული, თუმცა გარკვეულწილად კონსერვატიული, მიდგომა შეიმუშავა რელიგიისა და რწმენის შეცვლის ფარგლების თაობაზე. ეს საკითხი ნათლად გამოიკვეთა საქმეში *კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ*<sup>191</sup>. ეს იყო პირველი საქმე, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დარღვევას. ამ საქმეში მომჩივანს წარმოადგენდა ხანდაზმული იელოვას მონაწილე, რომელიც გასამართლებული იქნა



საბერძნეთის კანონმდებლობის საფუძველზე პროზელიტიზმთან დაკავშირებული აკრძალვის დარღვევისათვის.<sup>192</sup> საბერძნეთის კანონმდებლობით მოცემული იყო პროზელიტიზმის შემდეგნაირი განსაზღვრება:

*კერძოდ, ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მცდელობა სხვა რელიგიური მიმდინარეობის პიროვნების რელიგიურ რწმენაზე ზემოქმედებისა მისი ხელყოფის განზრახვით როგორც მორალური და მატერიალური მხარდაჭერით ან მისი დაპირებით, ისე თალლითური მეთოდებით, ან დაზარალებულის გამოუცდელიობის, ნდობის, საჭიროების, დაბალი ინტელექტუალური განვითარების ან გულუბრყვილობის ბოროტად გამოყენებით.*

მომჩივანი კოკინაკისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს პროზელიტიზმის ბრალდებით. იგი ეწვია ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მგალობელის მეუღლეს და იელოვას მონმეთა თაობაზე ესაუბრა. პოლიციის გამოძახების შედეგად კოკინაკისი და მისი ცოლი (რომელიც თან ახლდა, თუმცა საუბარში არ ჩართულა) დააკავეს. ქალბატონ კირიაკის ცოტა რამ თუ ახსოვდა საუბრიდან და განაცხადა, რომ მის რელიგიურ შეხედულებებზე გავლენა არ მოუხდენია კოკინაკისის მონათხრობს. მომჩივანი გაასამართლეს არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმის ბრალდებით, იმის მიუხედავად, რომ სასამართლო პროცესზე ქალბატონის განსაკუთრებული გულუბრყვილობის არანაირი მტკიცებულება არ ყოფილა წარმოდგენილი. ეს გადაწყვეტილება ყველა ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ დაამტკიცა. შემდგომში კოკინაკისმა კომისიას მიმართა, იმ საფუძველით, რომ დარღვეული იქნა მე-9 მუხლიდან გამომდინარე მისი უფლება.

ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რის გამოც სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არსებობდა უფლება სხვათა დარწმუნებაზე განსაზღვრული რელიგიისა თუ რწმენის ჭეშმარიტების შესახებ, ის იყო, რომ სხვაგვარად რელიგიის შეცვლის თავისუფლება, „სავარაუდოდ, გამოუყენებელი დარჩებოდა“.<sup>193</sup> მოცემული დასაბუთება ანალოგიურია სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებში გამოყენებული არგუმენტაციისა, სადაც თავისუფალი მედიის მნიშვნელობის ხაზგასმისას სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მედიის შეზღუდვები შეეხება არა მხოლოდ კომუნიკაციის მსურველთა უფლებებს, არამედ იმ პირთა უფლებებსაც, ვისთვისაც აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს.<sup>194</sup>

მიუხედავად ამისა, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საბერძნეთის კანონმდებლობის მიზანი „არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმის“ აკრძალვისა კანონიერი იყო, ვინაიდან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ისახავდა მიზნად (თუმცა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საქმეში გამოყენებული საშუალებები არ წარმოადგენდა აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში). მოსამართლე მარტენსმა თავის დამოუკიდებელ, მაგრამ თანმხვედრ აზრში, აღნიშნა, რომ ეს დასკვნა რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებას საკმარის მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მისი მტკიცებით, რელიგიის თავისუფლება „აბსოლუტურ“ ფასეულობას წარმოადგენს კონვენციაში და, შესაბამისად, რელიგიის ქონისა თუ შეცვლის თავისუფლებაში „სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის სივრცეს არ ტოვებს“.<sup>195</sup> მე-9 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებები მოიცავს უფლებას რელიგიის შეცვლაზე, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსთვის არ არის მნიშვნელოვანი შედეგის მომტანი, ვინმე გადაწყვეტს თუ არა, შეიცვალოს საკუთარი რელიგია, ან დაიყოლიებს თუ არა სხვას რელიგიის შეცვლაზე. სწავლება, რომელიც ძალზე მკაფიოდ არის დაცული კონვენციაში სხვადასხვა რწმენის მიმდევარი უამრავი ადამიანის რელიგიურ ვალდებულებას წარმოადგენს და სახელმწიფოს არა აქვს მასში ჩარევის უფლება. მოსამართლემ დაადასტურა, რომ ზოგჯერ ეს სწავლება შეიძლება „პროზელიტიზმში გადაიზარდოს“ და, შესაბამისად, კონფლიქტში მოვიდეს სხვის უფლებასთან, შეინარჩუნოს საკუთარი რელიგია.



თუმცა სახელმწიფოს კომპეტენციას არ განეკუთვნება, ჩაერიოს ამ „კონფლიქტში“ პროზელიტორსა და პროზელიტს შორის. პირველ რიგში, იმიტომ, რომ, ვინაიდან ადამიანის ღირსებისა და თავისუფლებების პატივისცემა გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან აღიარებას, რომ ყველა უფლებამოსილია, განსაზღვროს საკუთარი ბედი იმ გზით, რომელსაც ჩათვლის საუკეთესოდ, არა აქვს გამართლება სახელმწიფოს მიერ თავისი ძალაუფლების გამოყენებას პროზელიტის „დასაცავად“ (სხვაგვარად შეიძლება იყოს იმ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოს აქვს ზრუნვის განსაკუთრებული ვალდებულება, თუმცა ასეთი სიტუაცია არ ვრცელდება მოცემულ საქმეზე). მეორეც, იმიტომ, რომ თვით „საზოგადოებრივი წესრიგი“ ვერ ამართლებს სახელმწიფო ძალაუფლების გამოყენებას იმ სფეროში, სადაც შემწყნარებლობა მოითხოვს, რომ „თავისუფალი დისკუსია და დებატები“ გადამწყვეტი მნიშვნელობის იყოს. და მესამეც, იმიტომ, რომ კონვენციის საფუძველზე ყველა რელიგია თუ რწმენა, იმ დონემდე, სადამდეც სახელმწიფო არის ჩარეული, თანაბარი მოპყრობით უნდა სარგებლობდეს.

ჩამოყალიბებულ არგუმენტაციაში იგულისხმება, რომ მთავრობას არ გააჩნია ლეგიტიმური როლი რელიგიის შეცვლის თავისუფლების რეგულირების სფეროში, თუნდაც ხალხის პროზელიტიზმიდან „დაცვის“ მიზნით. შესაბამისად, ნებისმიერი კანონმდებლობა, რომლის მიზანსაც რელიგიის შეცვლის მცდელობათა შეზღუდვა წარმოადგენს, განსაკუთრებულად გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სრულიად არალეგიტიმური ხასიათისაა.<sup>196</sup> ეს კანონები შეუძლებელია ლეგიტიმური მიზნისა იყოს, ვინაიდან ისინი ცდილობენ, დაიცვან ადამიანები იმ გამოცდილებისგან, რომლის შესახებაც სახელმწიფო ვერ იტყვის, მართალია თუ მცდარი.<sup>197</sup> ეს საკითხი უშუალოდ ძვეს ადამიანის ინდივიდუალურ სინდისში, *forum internum*-ში. სხვა მოსამართლენი არ იყვნენ მზად, ასეთი ფართო შეხედულება წარმოედგინათ ამ საკითხზე, თუმცა, მათი ანალიზის მიხედვით, რელიგიის შეცვლის უფლება არ გულისხმობს, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია უფლება, მიიღოს ზომები ადამიანთა იმ პირებისგან დასაცავად, რომლებიც მათ საკუთარ რელიგიაზე გადაბირებას ცდილობენ.

\* \* \*

სასამართლომ აღიარა, რომ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც თითოეული ადამიანის, ისე პლურალისტური და დემოკრატიული საზოგადოებისათვის. მიუხედავად ამისა, მან მაინც ვერ შეძლო ამ კონცეფციის გამოხატვა სათანადო გზით და, შესაბამისად, ძალზე მცირე სივრცე დაუტოვა მათ მოთხოვნებს, ვინც თავიანთი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვას ცდილობენ. ვიდრე რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე ადამიანის უფლების პოზიტიური კონცეფციის განვითარება დაიწყებოდა, პოზიტიური ვალდებულების ძირითადი როლი რელიგიური გრძნობების დაცვის მიზნით სხვა უფლებებში (როგორცაა გამოხატვის თავისუფლება) სახელმწიფოს ჩარევის ლეგიტიმაციაში გამოიხატებოდა, იმის გააზრების გარეშე, თუ რამდენად აუცილებელია ეს რელიგიის თავისუფლებისათვის.

სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულების ფარგლების განსაზღვრისას სასამართლომ და კომისიამ ძალზე ვიწრო შეხედულება ჩამოაყალიბეს იმის შესახებ, თუ რა მოეთხოვება სახელმწიფოს. *Forum internum*-ის მცდარად გამოხატული არსისთვის მინიჭებული ცენტრალური როლი სახელმწიფოებს მნიშვნელოვან უფლებამოსილებას ანიჭებს, მოითხოვონ ინდივიდებისგან თავიანთი რელიგიისა თუ რწმენის საწინააღმდეგო ქმედება, საკუთარი რელიგიის სახელმწიფო ორგანოებისათვის გამხელა და განსაზღვრული „საზღაურის გაღება“, მაგალი-

თად, სამსახურის დაკარგვის სახით, საკუთარი რელიგიური მრწამსის მიმდევრობისთვის. ამგვარ საქმეებში სასამართლომ და კომისიამ დაადგინეს, რომ ადგილი არ ჰქონდა ჩარევას *forum internum*-ში, იმის სათანადო განხილვის გარეშე, ახდენს თუ არა გავლენას ადამიანის იძულება რელიგიით ან რწმენით აკრძალულ მოქმედებაზე რელიგიისა და რწმენის აბსოლუტურ შინაგან თავისუფლებაზე, ისევე როგორც მათ მანიფესტაციაზე. სახელმწიფო ეკლესიის დაწესებისა და სახელმწიფო სკოლებში ბავშვთა განათლების სფეროებშიც, სადაც სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრული რელიგიის პროპაგანდისა თუ ცილისწამების რეალური საშიშროება არსებობს, სასამართლო და კომისია უკიდურესი პატივისცემით ეკიდებოდნენ სახელმწიფოთა მოთხოვნებს და ევროპაში დაწესებულ ეკლესიათა ისტორიულ როლს. მაშინ, როცა ინდივიდი გარკვეული დაცვით სარგებლობს თეორიულად (ისეთი მოთხოვნებიდან გამომდინარე, როგორცაა რელიგიური სწავლების განხორციელება ნეიტრალურად და ობიექტურად), ამ დაცვის პრაქტიკაში გამოყენების მიუხედავად, ინდივიდს რჩება ძალზე მცირე თავშესაფარი სახელმწიფოსგან, რომელიც ინტერვენციას ახდენს განსაზღვრულ რელიგიასა თუ რწმენაში.

რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებას გაცილებით უკეთესი დაცვა მიენიჭა, ვიდრე ზოგადად რელიგიის თავისუფლების უფრო აბსტრაქტულ გაგებას. თუმცა აქაც სასამართლოს არ გამოუჩენია დიდი სურვილი, განეხილა ის რთულად გასარჩევი გზები, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა წაახალისოს დაუცველი პიროვნება, განსაკუთრებით ბავშვი, შეიცვალოს რელიგია ან ხელი შეუშალოს ინდივიდებს რელიგიისა თუ რწმენის შეცვლაში, კერძოდ, პროზელიტიზმის შემზღვეველი კანონების გამოყენებით.

მე-9 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლება, არ იქნა ნათლად განსაზღვრული და, შესაბამისად, მისი გამოყენება ძალზე ვიწროდ ხდებოდა. აქედან გამომდინარე, მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეთა უმრავლესობაში წამოიჭრება (ხშირად სასამართლოს წარმოდგენით წამოიჭრება) მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მეორე სემანტიკის რელევანტური საკითხები – რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციის უფლება ღვთისმსახურებით, სწავლებით, რიტუალების შესრულებით ან წეს-ჩვეულებების დაცვით.

## რელიგიისა და რწმენის გამოხატვის უფლება

მე-9 მუხლის თანახმად, ყველას აქვს „თავისუფლება მართო ან საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად და საჯაროდ ან კერძოდ გამოხატოს თავისი რელიგია და რწმენა ღვთისმსახურებით, სწავლებით, რიტუალების შესრულებით ან წეს-ჩვეულებების დაცვით“. რელიგიის ქონის უფლებისგან განსხვავებით, რელიგიის გამოხატვის უფლება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად. მიუხედავად ამისა, იგი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, განსაკუთრებით მე-9 მუხლის პირველი ნაწილის პირველი სეგმენტის შეზღუდული მნიშვნელობიდან გამომდინარე.

მე-9 მუხლში მოცემულია გამოხატვის ოთხი სახის ჩამონათვალი. თითოეული მათგანი მრავალფეროვან ინტერპრეტაციას ექვემდებარება. კომისიისა და სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა გამოხატვის ამ სახეთა შედარებით ვიწრო განსაზღვრებანი, განსაკუთრებით „წეს-ჩვეულებების“ მიმართ, რაც ხშირად საკმაო სირთულეებს უქმნიდა მომჩივნებს იმის დასამტკიცებლად, რომ შეიზღუდა მათი უფლება რელიგიის გამოხატვაზე. იმ შემთხვევებშიც, როცა ადგილი აქვს აშკარა შეზღუდვას, მომჩივნები იძულებულნი არიან, აჩვენონ, რომ „ნებაყოფლობით“ არ დაუთმიათ უფლება რელიგიის გამოხატვაზე, მაგალითად, განსაზღვრული ორგანიზაციის იმ წესებისადმი დაქვემდებარებით ან იმ ტიპის სამუშაოსათვის ხელის მოკიდებით, რომელიც ეწინააღმდეგება მათი რელიგიით ან რწმენით გათვალისწინებულ წეს-ჩვეულებებს.

### **ინდივიდუალური ან ჯგუფური და საჯარო ან კერძო გამოხატვა**

რწმენის გამოხატვა „მართო ან საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად“ და „საჯაროდ ან კერძოდ“, მორწმუნის არჩევანის საგანს წარმოადგენს. მუსლიმი სკოლის მასწავლებ-

ლის საქმეში მომჩივანი ითხოვდა სკოლიდან გათავისუფლებას ყოველ პარასკევს ადგილობრივ მეჩეთში შუადღის ღვთისმსახურებაზე დასასწრებად. მოპასუხე, დიდი ბრიტანეთი, კი ამტკიცებდა, რომ მასწავლებლის უფლება ღვთისმსახურებაზე საკმარისად იყო დაცული, ვინაიდან ლოცვისთვის განკუთვნილი სპეციალური ოთახი მომჩივნისთვის სკოლის შიგნით იქნა გამოყოფილი.<sup>198</sup> კომისიამ უარყო მოცემული არგუმენტი და დაადგინა, რომ უფლება სხვებთან ერთად რელიგიის გამოხატვაზე

*ყოველთვის ითვლებოდა რელიგიის თავისუფლების უმნიშვნელოვანეს ნაწილად, რომ მე-9 მუხლის პირველ ნაწილში მოცემული ორი ალტერნატივა, „მარტო ან საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად“ არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც გამოხატვის ერთმანეთის გამომრიცხავი ფორმები ან ხელისუფლებისათვის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის მიცემა, არამედ მხოლოდ იმის აღიარება, რომ რელიგია შესაძლებელია გამოხატული იქნეს ორივე ფორმით.*

როცა საქმე შეეხება მთავრობათა მხრიდან რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე დაწესებული შეზღუდვების დასაბუთებას, ამ განმარტებამ შესაძლოა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინოს. მაგალითად, ძნელი იქნება სახელმწიფოს მხრიდან იმის დამტკიცება, რომ აუცილებელია კერძო ღვთისმსახურების აღკვეთა, ვიდრე დიდი ჯგუფის მიერ საჯაროდ ღვთისმსახურების განხორციელების უფლებაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების დემონსტრირება.<sup>199</sup> კომისიის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც თვით ინდივიდების გადასაწყვეტია, როგორი წესით სჯობს რელიგიისა და რწმენის გამოხატვა, სწორი მიდგომა უნდა იყოს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ განსაზღვრული რელიგიის მოთხოვნას შესაძლოა გარკვეულ დონეზე ერთობლივი ღვთისმსახურების განხორციელება წარმოადგენდეს, მაშინ, როცა სხვა პირთათვის (განსაკუთრებით მათთვის, ვინც არ მიეკუთვნება ორგანიზებულ რელიგიურ საზოგადოებას) შეიძლება კერძო ფორმის ღვთისმსახურება სჯობდეს.<sup>200</sup> სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს ამგვარი საკითხების გადაწყვეტაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის უკიდურესი აუცილებლობა არსებობს.

მართალია, ინდივიდებს აქვთ უფლება, შეიკრიბონ ღვთისმსახურების ან რელიგიური რიტუალის ჩასატარებლად, მაგრამ ნათელი არ არის, თუ რამდენად გულისხმობს ეს უფლება საჯაროდ, სხვებთან ერთად რელიგიისა და რწმენის გამოხატვის და ასევე გარკვეული რელიგიისა თუ რწმენის ინტერესების დასაცავად ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ან სხვა მუდმივმოქმედი ჯგუფების შექმნის შესაძლებლობის ქონას. კომისიამ გადაწყვიტა, რომ მე-9 მუხლიდან არ გამომდინარეობს რელიგიის ფორმალური წესით აღიარებისა და რეგისტრაციის უფლება იმ სახელმწიფოებში, სადაც ერთმანეთისგან ჯერ კიდევ განასხვავებენ აღიარებულ და არაღიარებულ რელიგიებს.<sup>201</sup> თუმცა სიტუაცია არსებითად იცვლება, როდესაც არაღიარებულ რელიგიებს ეკრძალებათ რელიგიური საქმიანობა. საქმეში ბესარაბის მიტროპოლიტური ეკლესია და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ<sup>202</sup> სასამართლომ მხარი დაუჭირა მომჩივანთა მოთხოვნებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას მოლდოვის მთავრობის მხრიდან. მოლდოვის კანონმდებლობის, კერძოდ, რელიგიურ დენომინაციათა აქტის თანახმად, განსაზღვრული ეკლესიის საქმიანობა ან შეკრების თავისუფლება რელიგიური მიზნებისათვის შეიძლება განხორციელებული იქნეს მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ამა თუ იმ დენომინაციის აღიარების შემთხვევაში. მოლდოვის სახელმწიფო, რომელიც უარს აცხადებდა მომჩივანი ეკლესიის რეგისტრაციაზე, ფაქტობრივად უსპობდა მას ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობას. მოლდოვის მთავრობა თავისი უარის საფუძველად ასახელებდა საფრთხეს ქვეყნის ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და საზოგადოებრივი წესრიგისათვის, რაც შეიძლებოდა ამ ეკლესიის საქმიანობას გამოეწვია. სასამარ-

თლომ უარყო მისი არგუმენტები და სახელმწიფოს ქმედება კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევად აღიარა.

შესაძლოა, ხშირ შემთხვევაში, მორწმუნეთათვის გარკვეულ საჭიროებას წარმოადგენდეს ორგანიზაციების დაფუძნება რელიგიისა და რწმენის გამოხატვის საკუთარი ინდივიდუალური უფლების განსახორციელებლად. ამგვარი ჯგუფების არსებობის საჭიროება იზრდება, თუ მიზნად ღვთისმსახურების ჩატარებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების მშენებლობა და ფუნქციონირება, რელიგიური სკოლების თუ სასწავლო ჯგუფების მოქმედება ან ძვირფასი სარიტუალო ობიექტების შესყიდვა დასახული.<sup>203</sup> პროფესორ იორამ დინსტიენის მტკიცებით, „რელიგიის თავისუფლება, როგორც ინდივიდუალური უფლება, შეიძლება ანულირებულად ჩაითვალოს, თუკი იგი არ მოიცავს რელიგიური ჯგუფის წევრის კოლექტიურ უფლებას სათანადო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, რომელიც შესაძლებელს გახდის ინდივიდებისათვის ამ თავისუფლების სრული მოცულობით სარგებლობას.<sup>204</sup> რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ დეკლარაცია ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ უფლებებს, როცა აღიარებს რელიგიისა და რწმენის გამოხატვად ღვთისმსახურების ჩასატარებელი ნაგებობების თუ შეკრებათა ადგილების, საქველმოქმედო და ჰუმანიტარული დანიშნულების დაწესებულებების დაფუძნებისა და ფუნქციონირების, რელიგიური ლიდერების დანიშნისა და როგორც თანამემამულე, ისე უცხოელ თანამოაზრე მორწმუნეთთან ურთიერთობის უფლებას.<sup>205</sup> იმ შემთხვევაშიც, როცა მე-9 მუხლი ვერ მოიცავს ყველა ამ უფლებას, მომჩივნებს შეუძლიათ დაეყრდნონ მე-11 მუხლის დებულებებს, რომელიც შეკრების თავისუფლებას შეეხება, რაც მათ დაეხმარება მუდმივმოქმედი ასოციაციების დაფუძნების უფლების უზრუნველყოფაში.

### **ღვთისმსახურება, სწავლება, რიტუალების შესრულება და წეს-ჩვეულებების დაცვა**

#### **გამოხატვის სახეების ექსკლუზიური თუ ინკლუზიური ბუნება**

ძალზე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, არის თუ არა სიტყვები „ღვთისმსახურება, სწავლება, რიტუალების შესრულება ან წეს-ჩვეულებების დაცვა“ მე-9 მუხლით დაცულ მანიფესტაციათა ექსკლუზიური თუ ინკლუზიური ჩამონათვალი. გაეროს დოკუმენტები, განსაკუთრებით კრიშნასვამის სწავლება, მიუთითებს, რომ აღნიშნული ტერმინები გამოიყენეს რელიგიათა და რწმენათა მანიფესტაციის სახეების ფართო სპექტრის დაფარვის მიზნით და გამიზნული არ იყო მათი შეზღუდული ინტერპრეტირება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის კომენტარებისას კრიშნასვამიმ დაასკვნა: „თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ, ერთი მხრივ, დეკლარაციის მომზადება მოხდა მის ფარგლებში ყველა რელიგიის თუ რწმენის თავმოყრის მიზნით, ხოლო, მეორე მხრივ, მანიფესტაციათა სახეები და მათთვის მინიჭებული მნიშვნელობა განსხვავებული ხასიათისაა თითოეულ რელიგიასა და რწმენაში, შესაძლებელია უშეცდომოდ ვივარაუდოთ, რომ განზრახვა ყველა რელიგიისა და რწმენის შესაძლო მანიფესტაციების სახეების ერთად მოქცევაში მდგომარეობდა ტერმინების, „ღვთისმსახურება, სწავლება, რიტუალების შესრულება ან წეს-ჩვეულებების დაცვა“, გამოყენებით. თუმცა მე-9 მუხლის პირველ ნაწილში ეს ტერმინები უპირობოდ არის გამოყენებული, რომ ჩამონათვალი გამიზნულია, იყოს რეპრეზენტაციული თუ ინკლუზიური.

საქმეში *ეროუსმიტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,<sup>206</sup> გაერთიანებული სამეფო ამტკიცებდა, რომ მე-9 მუხლში მოცემული ჩამონათვალი გამომრიცხავი (ექსკლუზიური) ბუნების იყო. შესაბამისად, მისი განმარტება შეზღუდული წესით უნდა მომხდარიყო. კერძოდ, რელიგიის ყველა სახის მანიფესტაცია ღვთისმსახურების ანალოგიური იყო და საკითხი იმის

თაობაზე, საქმე რელიგიისა და რწმენის გამოხატვას შეეხებოდა თუ არა, ობიექტურად უნდა გადაწყვეტილიყო და არა მომჩივნის სუბიექტური მოთხოვნების საფუძველზე.<sup>207</sup> ეს უკანასკნელი კი ამტკიცებდა, რომ ჩამონათვალი ექსკლუზიური ბუნებისა არ იყო და თუკი იყო, მაშინ მისი ქმედებანი თავისი რწმენის მოძღვრების შესაბამისი „წეს-ჩვეულებების“ ნაწილი იყო.

კომისიამ არ განიხილა მხარეთა განსხვავებული მიდგომები. ამის სანაცვლოდ მან ფოკუსირება მოახდინა იმის გარკვევაზე, მომჩივნის ქმედებანი ექცეოდა თუ არა „წეს-ჩვეულებების დაცვის“ დეფინიციის ფარგლებში. კომისიამ დაადგინა, რომ მომჩივნის ქმედებანი არ შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო როგორც „წეს-ჩვეულებების დაცვა“ და აღარც ის არგუმენტი გამოიკვლია, რომლის თანახმადაც მე-9 მუხლში მოცემული ჩამონათვალი უფრო ინკლუზიური ხასიათისა იყო, ვიდრე ექსკლუზიური. შესაბამისად, საჩივარი უარყოფილი იქნა. ამის მსგავსად, სხვა რამდენიმე საქმეშიც, სადაც მომჩივნები ითხოვდნენ, რომ მანიფესტაციის არსი უფრო ფართოდ ყოფილიყო გაგებული და მოეცვა სხვადასხვა ქმედება, მათ შორის განქორწინების უფლება ან ქვეყანაში შესვლის მიზნით რელიგიურ მორწმუნეთა მიერ ვიზის მიღების უფლება, კომისიამ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნები.<sup>208</sup> აქედან გამომდინარე, კომისიამ და სასამართლომ უარი განაცხადეს „ახალი უფლებების შექმნაზე“, რომლებიც უშუალოდ არ არის მოხსენებული კონვენციაში და მე-9 მუხლის ამ ჩამონათვალის ინტერპრეტირება მოახდინეს, როგორც ექსკლუზიური ბუნების მქონისა. ამის მიზეზი ნაწილობრივ ისიცაა, რომ ტერმინ „წეს-ჩვეულებების დაცვის“ მნიშვნელობათა პოტენციურად იმდენად ფართო სპექტრი არსებობს, რომ არგუმენტები კონვენციის საფუძველზე მანიფესტაციათა საზღვრების შესახებ ძირითადად უფრო იმაზეა ფოკუსირებული, თუ რამდენად ფართოდ უნდა იქნეს ეს ტერმინი ინტერპრეტირებული, ვიდრე ჩამოთვლილი ოთხი სახეობისადმი მანიფესტაციათა ტიპების მიკუთვნების მცდელობაზე.

რელიგიის გამოხატვის უფლება შეიძლება განხორციელდეს როგორც აქტიურად, ისე პასიურად. მაგალითად, ღვთისმსახურების უფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, არ იქნეს მისი ნების სანინალმდეგოდ, იძულების წესით, ჩართული ღვთისმსახურებაში. პასიური უფლება რელიგიის მანიფესტაციაზე მხოლოდ საქმეთა მცირე რაოდენობაში იქნა ცნობილი დარღვეულად, თუმცა არც ერთ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია კონკრეტული შემთხვევის შესაბამისობას მე-9 მუხლში მოცემული მანიფესტაციების სახებთან. ბუსკარინის საქმეში მხარი დაუჭირეს ადამიანის უფლებას, არ მოეთხოვოს სახარებაზე დაფიცება, თუმცა არ არის ნათელი, რამდენად მოიცავს ამ უფლების საპირისპირო პოზიტიურ მხარეს ღვთისმსახურება, სწავლება, რიტუალების შესრულება ან წეს-ჩვეულებების დაცვა. ამ საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებული სირთულე, ფიცის დადების იძულება, *forum internum*-ში ჩარევას წარმოადგენს თუ მხოლოდ რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე პასიური უფლების დარღვევას, ნათლად ამტკიცებს, როგორ არის შესაძლებელი ორ სფეროს შორის საზღვრის ნაშლა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა სასამართლომ და კომისიამ ვერ შეძლეს სათანადო დასაბუთების წარმოდგენა ამ პრობლემასთან დაკავშირებულ საქმეებში.

### ღვთისმსახურება და რიტუალების შესრულება

ღვთისმსახურებას უმაღლესი სტატუსი აქვს მინიჭებული მე-9 მუხლის პირველ ნაწილში მოცემულ მანიფესტაციათა სახეების ჩამონათვალში. მე-9 მუხლის მიმოხილვისას კომისიამ განაცხადა, რომ იგი, პირველ რიგში, იცავს პერსონალურ რწმენას და რელიგიურ მსოფლმხედველობას, ასევე მათთან მჭიდრო კავშირში მყოფ ქცევებს, როგორიცაა ღვთისმსახურება და ლოცვა.<sup>209</sup> კომისიის მიერ არ იქნა ჩამოყალიბებული ამ ცნების ზუსტი საზღვრები, თუმცა



ეს საკითხი სადავო არც გამხდარა დღემდე განხილულ საქმეებში. მიუხედავად ამისა, რამდენიმე პრობლემური საკითხი მაინც გამოიკვეთა. ერთ-ერთ საქმეში კომისიამ გადაწყვიტა, რომ ციხეში პროტესტანტი სასულიერო პირისა და საეკლესიო მსახურების არსებობა აკმაყოფილებდა ანგლიკანური ეკლესიის მიმდევარი პატიმრის უფლებას ღვთისმსახურებაზე.<sup>210</sup> კომისია ასევე მზად აღმოჩნდა, დაედგინა, რომ ჩარევა საჯარო ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ნაგებობების აგების შესაძლებლობაში წამოჭრიდა ღვთისმსახურებისა და რელიგიური რიტუალების შესრულების უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.<sup>211</sup> საქმეში წმინდა მონასტრები საბერძნეთის წინააღმდეგ,<sup>212</sup> გატარებულია მოსაზრება, რომ ჩარევა (კონფისკაციის გზით) ღვთისმსახურებისათვის საჭირო ობიექტების განკარგვაში წარმოადგენს ჩარევას ზემოხსენებულ უფლებაში, თუმცა სახელმწიფო კონტროლის განხორციელება მინებზე, სადაც მონასტრებია განლაგებული, არ ჩაითვალა ღვთისმსახურების უფლების შეზღუდვად.<sup>213</sup> განსხვავება მინაზე დაწესებულ სახელმწიფო შეზღუდვებსა და სარიტუალო ობიექტების განკარგვაში ჩარევას შორის არც ისეთი ცხადია, როგორც ამას სასამართლო მიიჩნევს, ვინაიდან თითოეულ მათგანს პოტენციურად შეუძლია რელიგიურ საზოგადოებათა რიტუალების ჩატარების შესაძლებლობის შეზღუდვა.

ტერმინი „რიტუალების შესრულება“ სასამართლოსა და კომისიის მიერ ცალკე არ განხილულა და, როგორც ჩანს, ღვთისმსახურების ოდნავ უფრო ფართო გაგებაში გაერთიანდა. მაგალითად, საქმეში *მანუააკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*, იელოვას მონმეთა მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნა, მთავრობის მხრიდან ნებართვის მიღების გარეშე ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ნაგებობის მშენებლობის მოტივით, სასამართლოს მიერ მიჩნეული იქნა ჩარევად ღვთისმსახურებასა და რიტუალების შესრულებაში. განსხვავება ამ ტერმინებს შორის არ იქნა ჩამოყალიბებული. სასამართლო და კომისია „ღვთისმსახურებას“ და „რიტუალების შესრულებას“ თავისთავად ნათელ დეფინიციებად თვლის, მათი განსაზღვრის ყოველგვარი საჭიროების გარეშე.

### სწავლება

ტერმინი „სწავლება“ შედარებით დაწვრილებით იქნა განხილული, თუმცა, ღვთისმსახურებისა და რიტუალების შესრულების მსგავსად, განსაკუთრებულად ნათლად არც ის განუსაზღვრავთ. საქმეში, *კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ*,<sup>214</sup> სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობამ მიიჩნია, რომ ჩარევა პროზელიტიზმში წარმოადგენდა რელიგიისა და რწმენის გამოხატვის უფლებაში ჩარევას, თუმცა მოსაზრების გამოთქმას არ მოჰყოლია მისი დასაბუთება. მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვა, ერთი შეხედვით, ნაკლებადაა სწავლების<sup>215</sup> საგანი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სხვათა ინფორმირების მცდელობა გარკვეული რელიგიისა თუ რწმენის თაობაზე ექცევა სწავლების მნიშვნელობის ფარგლებში, სანამ ის „არაკეთილსინდისიერ პროზელიტიზმად გადაიქცეოდეს“.<sup>216</sup> სასამართლომ გამოიყენა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს მოხსენება, რომელიც საკუთარ რწმენაზე სხვათა გადმოზიზღების ქრისტიანთა ვალდებულებას შეეხებოდა, როგორც გარკვეული ქცევის ტიპის მტკიცებულება, რომელიც პროზელიტიზმს სწავლების სფეროს ფარგლებს გარეთ აქცევდა და მას განსაზღვრავდა, როგორც კონკრეტული პროზელიტიზმის სოციალური და მატერიალური სარგებლის შეთავაზებას, ადამიანთა მანიპულირებას სულიერი ტკივილის განცდის პერიოდში ან ძალადობისა და იდეოლოგიური დამუშავების გამოყენებას. თუმცა სასამართლომ უარი განაცხადა „არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმის“ განსაზღვრაზე. *კოკინაკისისა და ლარისისის*<sup>217</sup> საქმეებიდან აშკარაა, რომ იგი მზადაა, დაიცვას პროზელიტიზმის უფლება, როგორც გარკვეული რელიგიისა და რწმენის გამოხატვა სწავლების გზით.

რამდენიმე მოსამართლემ ტერმინ „სწავლების“ მიმართ გაცილებით ვიწრო მიდგომა შეიმუშავა. მოსამართლე ვალტოქსის მტკიცებით, „ეჭვგარეშეა, რომ სწავლება შეეხება სასწავლო კურსს სკოლებსა თუ რელიგიურ დაწესებულებებში“.<sup>218</sup> უმრავლესობამ არ გაიზიარა ეს მიდგომა, ნაწილობრივ იმ მოტივით, რომ, თუკი გარკვეული სახის საოჯახო სწავლება არ იყო შესაძლებელი, მაშინ რელიგიისა თუ რწმენის შეცვლის უფლება არაეფექტურად და გამოუსადეგრად იქცეოდა. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე ვალტოქსი ადასტურებდა ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საუბარი სხვა პირებთან საკუთარი რელიგიისა თუ რწმენის თაობაზე, *კოკინაკისის* საქმეში არსებულ ფაქტებს „სხვათა რწმენების მიმართ ძალმომრეობას“ უწოდებდა. თავისი მოსაზრების ჩამოყალიბებისას იგი დაეყრდნო სხვა საქმეს, კერძოდ, *ჰოფმანი ავსტრიის წინააღმდეგ*, რომელიც იმავე დროს სხვა პალატაში იხილებოდა. ამ საქმეში არსებული ფაქტების მიხედვით, იელოვას მონმე კვირაში ერთხელ ახორციელებდა ვიზიტებს საკუთარი რწმენის გავრცელების მიზნით. მოსამართლე ამას განიხილავდა მტკიცებულებად, რომლის თანახმადაც იელოვას ყველა მონმე „საკუთარ საწმენოებზე სხვათა გადმოზიდვის სისტემური მცდელობით“ იყო დაკავებული, რაც ამ უკანასკნელთა რელიგიასა და რწმენაზე შეტევაში გამოიხატებოდა. ვალტოქსის დეფინიციის მიხედვით, პროზელიტიზმი „არის რწმენის გავრცელების მცდელობა, მის მიმდევრებად პროზელიტების გადაქცევის განზრახვით“. ვალტოქსის მტკიცებით, ამგვარი ქცევა არ წარმოადგენს რელიგიის მანიფესტაციას. მოსამართლე ვალტოქსის მიერ საქმეში არსებული ფაქტების მოკლე გადმოცემა ნათლად მეტყველებს იმ სხვაობაზე, რომელიც მან დაინახა კონვენციით დაცულ სწავლებასა და ქცევის იმ სახეს შორის, რომლითაც იელოვას მონმე კოკინაკისი იყო დაკავებული:

*მოდით, მოკლედ მიმოვიხილოთ საქმეში არსებული ფაქტები. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს იელოვას აგრესიულ მოწმესთან, პროზელიტიზმის ექსპერტსა და გადმოზიდვის სპეციალისტთან, კრიმინალურ სასამართლოთა წამებულთან, რომელსაც ადრინდელი მსჯავრდებანი მხოლოდ ხელს უშლიდა თავის ბრძოლაში და, მეორე მხრივ, იდეალურ მსხვერპლთან, გულუბრყვილო ქალთან, მართლმადიდებელი ეკლესიის მგალობელის მეუღლესთან (თუკი მოახერხებს მის დარწმუნებას, როგორი ტრიუმფი იქნება!). თავს დაატყდება მას, აუწყებს, რომ კარგი ამბები უნდა აცნობოს, ახერხებს, რომ ქალმა შინ შეუშვას და როგორც გამოცდილი კომივითაჟორი და იმ რწმენის მოხერხებელი მიმწოდებელი, რომლის გავრცელებაც სურს, განუმარტავს მას თავისი ინტელექტუალური წარმოების პროდუქტს, შეფუთულს უნივერსალური მშვიდობისა და გასხივოსნებული ბედნიერების მანტიაში. ვინ იტყვის სინამდვილეში უარს მშვიდობასა და ბედნიერებაზე? მხოლოდ ეს არის კოკინაკისის რწმენის გამოხატულება, თუ ადგილი აქვს მგალობელის მეუღლის უბრალო სულის შეცდომაში შეყვანის მცდელობას? ნუთუ კონვენცია მსგავსი საქმიანობის დაცვას უზრუნველყოფს? რა თქმა უნდა, არა.*

სხვა ორმა მოსამართლემ, რომლებმაც ასევე განსხვავებული პოზიცია დააფიქსირეს, ფოკუსირება მოახდინეს ტერმინ „სწავლებაზე“ და გაცილებით თავშეკავებული მიდგომა განაფიქსირეს პროზელიტიზმის მიმართ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „სწავლება“ მოითხოვდა მასწავლებლისგან „ლიაობას, პატიოსნებასა და შეცდომაში შემყვანი ან მცდარი საშუალებების, ან ყალბი ქვეტექსტების გამოყენებისაგან თავის შეკავებას“. რაც შეეხება რელიგიის სპეციალისტებს, მოსამართლეთა აზრით, მათ არ უნდა გამოიყენონ საკუთარი უპირატესობა პირადი მიზნებისათვის და სწავლებისას ვალდებულნი არიან, „პატივი სცენ სხვათა რელიგიას“. აქედან გამომდინარე, სწავლების შემუშავების პროცესში მასწავლებელმა საიმედო გზით უნდა იმოქმედოს და მიუკერძოებლობა და ობიექტურობა გამოამჟღავნოს. ამ საქმეში, მათი აზრით,

მომჩივანი სწავლებით არ იყო დაკავებული, ვინაიდან მან ქალის სახლში შეღწევა მოახერხა იმის მტკიცებით, რომ „კარგი ამბები“ უნდა ეცნობებინა, საკუთარი განზრახვის ნათლად ახსნის სანაცვლოდ. მოსამართლეებმა ძალზე მძიმე ტვირთი დააკისრეს მათ, ვისაც გამიზნული აქვს პროზელიტთა გადაბირება და მათგან მოითხოვეს მოქმედება აბსოლუტური პირდაპირობითა და პატიოსნებით (გაცილებით მაღალი, ვიდრე უმრავლესობის მიერ გამოყენებული სტანდარტი, არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმის არგანზორციელებისა), ასევე დააკისრეს ვალდებულება კომუნიკაციის ობიექტების რელიგიური განსწავლულობის განსაზღვრისა, რათა დარწმუნდნენ, რომ არ ისარგებლებენ პიროვნების უმეცრებით. ეს არის სწავლების უფლების შუზღუდული გაგება და არა ისეთი, რომელიც აღიარებული იქნა სასამართლოს მიერ, რომელმაც ფართო საზღვრები მიანიჭა უფლებას, პროზელიტიზმის უდავოდ საკამათო სფეროშიც კი.

პროზელიტიზმის კონტექსტის ფარგლებს გარეთ სწავლების გზით რელიგიის გამოხატვის უფლება ძირითადად სასკოლო განათლების სფეროში ნაშეზღუდვად. თუმცა ადამიანებს აქვთ რელიგიის სწავლებისა და რელიგიური სკოლების ჩამოყალიბების უფლება, თუკი ისინი სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს აკმაყოფილებენ, სწავლების უფლების პატივისცემის მიმართ სახელმწიფოს ვალდებულება თავისი არსით ნეგატიური ხასიათისაა. სახელმწიფოს არა აქვს უფლება, ჩაერიოს კერძო რელიგიურ სწავლებაში და, ამავე დროს, არ მოეთხოვება მისი უზრუნველყოფა ან სუბსიდირება. რელიგიური ლიდერებისა და სასულიერო პირთა სათანადო რელიგიური მომზადების უფლება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ასევე გამომდინარეობს სწავლების გზით რელიგიის გამოხატვის უფლებიდან, თუმცა ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო ვალდებულია, მხოლოდ თავი შეიკავოს რელიგიურ ლიდერთა განათლებაში ჩარევის ან მისი აკრძალვისაგან. ლიდერთა ამგვარი განათლება თავისთავად არის უფლება და, ამავე დროს, დიდი სარგებლის მომტანი თვით რელიგიური საზოგადოებებისათვის, მათი წევრების განათლების დონის ამაღლების თვალსაზრისით.

### წეს-ჩვეულებების დაცვა

ტერმინი „წეს-ჩვეულებების დაცვა“ რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციის ოთხ სახეს შორის ყველაზე ძნელად განსასაზღვრად ითვლება. პოტენციურად ის შეიძლება ძალზე ფართოდ იქნეს განმარტებული, მათ შორის, გარკვეული რელიგიისა თუ რწმენის ყველა მოძღვრებათა და ღირეტივათა ერთ ცნებაში თავმოყრის გზით. ამავე დროს, იგი შესაძლოა ძალიან ვიწროც იყოს, თუკი მასში მოვიზრებთ მხოლოდ უშუალოდ რელიგიური ტიპის საქმიანობას, რომელიც თავისი არსით ღვთისმსახურების იდენტურია. ეს ინტერპრეტაცია ზოგჯერ არგუმენტირებულია ტერმინის ფრანგული ვერსიით, რომელიც იყენებს მრავლობით *les pratiques*.<sup>219</sup> ფრანგულ ტერმინს მრავლობით რიცხვში უფრო რელიგიური ელფერი დაჰკრავს, ვიდრე მხოლობითს, თუმცა არც ისაა ინგლისურ შესატყვისზე უფრო ცხადი და გასაგები. არც სასამართლოსა და არც კომისიას პირდაპირი გზით არ განუხილავთ ეს საკითხი, თუნდაც შესაძლო შეუსაბამობა ტერმინის ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებს შორის, რომელთაგან ორივე თანაბრად ავტორიტეტულია.

ეროუსმიტის საქმე<sup>220</sup> შეეხებოდა „წეს-ჩვეულებების დაცვის“ იდეას და მისი განხილვისას შეიმუშავეს ტესტი, რომელიც ამ ტერმინის, როგორც რელიგიისა და რწმენის გამოხატვის ერთ-ერთი სახის, რელიგიითა და რწმენით სტიმულირებულ და მოტივირებულ ქმედებათა ფართო წრიდან გამორჩევას ისახავდა მიზნად. ზოგადად, იგი კარგი მაგალითია ტერმინ „წეს-ჩვეულებების დაცვით“ გამოწვეულ სირთულეთა ილუსტრირებისათვის და, შესაბამისად, აუცილებელია მისი დეტალური მიმოხილვა.

## ეროუსმიტის საქმე: გამოხატვის აუცილებლობის ტესტი

### ფაქტობრივი მიმოხილვა

პაციფისტი პეტ ეროუსმიტი მსჯავრდებულ იქნა ჯარისკაცებს შორის ლიფლეტების გავრცელებისათვის, რომლითაც ის არწმუნებდა სამხედრო მოსამსახურეებს, უარი განეცხადებინათ ჩრდილოეთ ირლანდიაში გამგზავრებაზე.<sup>221</sup> ლიფლეტები უფრო კონკრეტული სიტუაციისთვის (ჩრდილოეთ ირლანდიაში გამგზავრებასთან დაკავშირებით) იყო გამიზნული და არ იყო ზოგადი პაციფისტური შინაარსისა. აქ მოწოდებული იყო პრაქტიკული ინფორმაცია ორი ალტერნატივის – დეზერტირობისა და სამხედრო სამსახურზე საჯაროდ უარის თქმის (ამავე დროს, შეიცავდა გაფრთხილებას, რომ ამგვარ ქმედებას შედეგად სამხედრო ტრიბუნალი და ციხე მოჰყვებოდა), ასევე არმიის დატოვების კანონიერი გზის შესახებ (მაგალითად, გარკვეული თანხის საფასურად, თავის ლეგალური გამოსყიდვის გზით). მომჩივანს ადრეც ჰქონდა გავრცელებული ამგვარი ლიფლეტები და მაშინ ბრიტანეთის გენერალურმა პროკურორმა გადაწყვიტა, არ განეხორციელებინა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. შემდგომში მომჩივანი და მისი მეგობრები სხვა სამხედრო ბაზაზე იმავე მიზნით გაემგზავრნენ. პოლიციის მოთხოვნით, ეროუსმიტის მეგობრებმა შეწყვიტეს ლიფლეტების გავრცელება, ავად მომჩივანი კი არ დაემორჩილა სამართალდამცავებს იმ მოტივით, რომ თითქოს გენერალურმა პროკურორმა ლიფლეტების შინაარსის სანქცირება მოახდინა. შედეგად იგი დააკავეს და გაასამართლეს.

ეროუსმიტს ბრალდება 1934 წელს მიღებული *უკმაყოფილების გავრცელების აქტის* საფუძველზე წაუყენეს, რომელიც კრძალავდა „შეგნებულად და ბოროტი განზრახვით მისი უდიდებულესობა დედოფლის სამხედრო ძალების ნებისმიერი წევრის დარწმუნებას, მისი უდიდებულესობა დედოფლის ერთგულებასა თუ მის მიმართ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმაზე“<sup>222</sup> ან იმ დოკუმენტების ფლობასა თუ გავრცელებას, რომელსაც, სავარაუდოდ, ამგვარი შედეგის გამოწვევა შეუძლია.<sup>223</sup> მომჩივანს, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაასამართლა, 18 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ შეამსუბუქა სასჯელი (მაშინ, როცა მსჯავრდებულს უკვე 9 თვე ჰქონდა მოხდილი), თუმცა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაამტკიცა.<sup>224</sup> ეროუსმიტმა საჩივრით მიმართა კომისიას იმის საფუძველზე, რომ მის მიმართ დარღვეული იქნა კონვენციის მე-5, მე-9, მე-10 და მე-14 მუხლები. საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში, ვინაიდან იგი, კონვენციიდან გამომდინარე, მრავალ სერიოზულ საკითხს შეეხებოდა.<sup>225</sup> საქმის არსის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში კი კომისიამ დაადგინა, რომ მომჩივანმა ვერ შეძლო თავისი მოთხოვნის სამართლიანობის დასაბუთება ზემოთ მოყვანილი მნიშვნელოვანი მუხლების საფუძველზე.

### კომისიის გადაწყვეტილება

კომისიამ მისალებად მიიჩნია მომჩივნის განცხადება, რომლის თანახმადაც იგი აქტიური პაციფისტი იყო და რომ პაციფიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც „გარკვეული პოლიტიკური თუ სხვა მიზნების უზრუნველყოფის ფილოსოფიის მიმდევრობა, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, გარემოებების მიუხედავად, ნებისმიერი ადამიანის მიმართ ძალის გამოყენების ან მისი მუქარის გარეშე, თუნდაც ძალის გამოყენების ან მისი მუქარის საპასუხოდ“.<sup>226</sup> კომისიამ ასევე აღიარა, რომ პაციფიზმი, ამ დეფინიციიდან გამომდინარე, წარმოადგენს რწმენას და, შესაბამისად, იმსახურებს დაცვას მე-9 მუხლის საფუძველზე. ამრიგად, მომჩივანს უნდა ეჩვენებინა, რომ ლიფლეტების გავრცელება წარმოადგენს რწმენის გამოხატვას პაციფისტური „წეს-ჩვეულების დაცვის“ გზით.

„ნეს-ჩვეულებების დაცვის“ დეფინიციის მიმოხილვა კომისიამ შენიშვნით დაიწყო: „კომისია მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-9 მუხლში ჩამოყალიბებული ტერმინი „ნეს-ჩვეულებების დაცვა“ არ მოიცავს რელიგიით ან რწმენით მოტივირებულ ან მათი ზეგავლენით გამოწვეულ ყველა ქმედებას“. ამავე დროს კომისიამ არ განმარტა, თუ რა სახის ქცევებს მოიცავს ეს ტერმინი. კომისიის პოზიციის არსი შესაძლოა ვეძიოთ მისსავე დასკვნაში:

*პაციფიზმის იდეის საჯარო დეკლარირება და არაძალადობრივი შეხედულებების გაზიარებისაკენ მოწოდება შესაძლოა განხილული იქნეს როგორც პაციფისტური რწმენის ნორმალური და აღიარებული მანიფესტაცია. თუმცა, როცა ინდივიდის ქმედება, ფაქტობრივად, არ გამოხატავს შესაბამის რწმენას, ის არ სარგებლობს მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვით, მაშინაც, როცა აღნიშნული ქმედებანი განპირობებულია ამ რწმენით.*

კომისიამ გადაწყვიტა, რომ ლიფლეტების გავრცელება არ წარმოადგენდა პაციფისტურ ქცევას, ვინაიდან ეს ლიფლეტები უშუალოდ პაციფიზმს არ შეეხებოდა (რამდენიმე ციტატა შეიცავდა რჩევას სამხედრო მოსამსახურეთათვის, რომ გარკვეულ შემთხვევაში ბრძოლა ადეკვატური და მისაღებია), არამედ უფრო ჩრდილოეთ ირლანდიაში სახელმწიფოს პოლიტიკისადმი ოპოზიციური დამოკიდებულების გამოხატულებას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ამგვარი ლიფლეტების გავრცელება ბევრს შეეძლო, ვინც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო პოლიტიკას ჩრდილოეთ ირლანდიაში და არ მიეკუთვნება პაციფისტებს. შესაბამისად, ეროუსმიტის ქმედება არ წარმოადგენდა მომჩინის პაციფიზმის მანიფესტაციას. გარდა ამისა, კომისიამ მიუთითა, რომ ლიფლეტები განკუთვნილი იყო უშუალოდ ჯარისკაცებისთვის და არა ფართო საზოგადოებისთვის. ეს დაეხმარა კომისიას იმის დადგენაში, რომ ლიფლეტებში მოცემული რჩევა „არ იყო განკუთვნილი პაციფიზმის იდეის ხელშეწყობისათვის“. მოსამართლე ოქსალმა თავის დამოუკიდებელ და ნაწილობრივ განსხვავებულ აზრში მიუთითა, რომ იმ ქმედებაზე პასუხისმგებელ პირებზე ზეგავლენის მოხდენის მიზანი, რომელსაც ესა თუ ის ინდივიდი ეწინააღმდეგება, წარმოადგენს „გამოხატვის და აზრის თავისუფლების განხორციელების ძირითად და ლეგიტიმურ ასპექტს“. ძალზე უცნაურია იმის მტკიცება, რომ პაციფისტები, რომელიც თავის დროს ჯარისკაცებისადმი მიმართვაში ხარჯავს, რათა მათ უარი განაცხადონ სამხედრო ძალის გამოყენებაზე, ნაკლებად გამოხატავს თავის რწმენას, ვიდრე ვინმე, ვინც დეტალურად აყალიბებს პაციფისტურ იდეალებს მსოფლიოს წინაშე.

### **განსხვავებული მოსაზრებები ეროუსმიტის საქმეში**

ორი მოსამართლის განსხვავებული აზრი მიუთითებს გარკვეულ საფრთხეზე, რაც შეიძლება უმრავლესობის პოზიციიდან გამომდინარეობდეს. ოქსალი დაეთანხმა უმრავლესობას, რომ რელიგიით ან რწმენით მოტივირებული ყველა ქმედება არ შეიძლება მე-9 მუხლის დაცვით სარგებლობდეს, ვინაიდან, მაგალითად, ორდინარული დანაშაულები, როგორიცაა ძალადობა და ქურდობა, არ შეიძლება სანქცირებული იქნეს მხოლოდ იმიტომ, რომ რელიგიით ან რწმენით არის ინსპირირებული. თუმცა, ამავე დროს, მოსამართლემ კომისიის გადაწყვეტილებას „ძალზე საეჭვო“ უწოდა და მიუთითა, რომ სხვაგვარ პოზიციას დაიჭერდა, რომ არა მისივე შეხედულება, რომლის თანახმადაც ეროუსმიტის ქმედების დაცვა მე-10 მუხლის საფუძველზე უფრო უპრიანი იქნებოდა:

*ჩემი აზრით, არ შეიძლება მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვის სფეროდან გამოირიცხოს გავრთიანებული სამეფოს კანონმდებლობით აკრძალული ყველა ქმედება, რომელიც უშუალოდ რწმენის მანიფესტაციას არ წარმოადგენს, თუმცა აშკარად რწმენით არის მოტივირებული. ამავე დროს, მე-9 მუხლის მეორე ნაწილი*



რელიგიის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის გამართლებისათვის პირობებს აყალიბებს და გვიჩვენებს, რომ გარკვეული ქმედება არ შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმიტომ, რომ უკანონოდ იქნა გამოცხადებული. ჩემი შეხედულებით, მე-9 მუხლის გამოყენება შესაძლებელი უნდა გახდეს მრავალი ისეთი ქმედების მიმართ, რომელიც, ერთი შეხედვით, არ ახდენს იმ რწმენის მანიფესტაციას, რომლითაც ის არის მოტივირებული, თუკი რწმენის გამოხატვა ქმედების ავტორის გულწრფელ მიზანს წარმოადგენს.

ოქსალის მტკიცებით, ამგვარი სიტუაცია განსაკუთრებით მაშინ იქმნება, როდესაც პირის ქმედება კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლებებით არ არის დაცული. ის გარემოება, რომ მომჩივნის ქმედება შეიძლება განხორციელებულიყო სხვა პირის მიერ, ვინც მის რწმენას არ იზიარებდა, არ იყო აქტუალური, ვინაიდან რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ქმედებას შესაძლოა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს პირთა განსაზღვრული წრისათვის (რომლებიც ისარგებლებენ მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვით), განსხვავებით სხვა ინდივიდებისაგან (რომლებიც ვერ ისარგებლებენ ამ დაცვით). დასკვნის სახით ოქსალმა აღნიშნა, რომ „საზღვარი (კონვენციით დაცულ და დაუცველ ქმედებებს შორის) არ უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ მხოლოდ მანიფესტაციის განსაზღვრული, სავარაუდოდ, უფრო ტრადიციული სახეები, იქნეს დაცული, გულწრფელი მოტივაციის ფაქტორის სრული უგულვებლყოფით“.

რაც შეეხება მეორე მოსამართლეს, თავისი განსხვავებული აზრის ჩამოყალიბებისას, იგი უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ პეტ ეროუსმიტის გასამართლება წარმოადგენს მე-9 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევას გაერთიანებული სამეფოს მიერ. მისი მოსაზრებით, მომჩივნის მიერ ლიფლეტების გავრცელება „არა მხოლოდ რწმენის გაგრძელებას, არამედ მისი შინაგანი სფეროს ნაწილს წარმოადგენს“. მოსამართლე მიუთითებდა იმ ფაქტებზე, რომლებიც უმრავლესობის მიერ არ იქნა ნახსენები, კერძოდ, რომ მომჩივანი აქტიურად იყო ჩართული ირლანდიის რესპუბლიკური არმიის (ბრიტანელი სამხედროების მსგავსად) დარწმუნებაში, შეეწყვიტათ საბრძოლო მოქმედებანი ჩრდილოეთ ირლანდიაში. აქედან გამომდინარე, მოსამართლე კლექერმა დაასკვნა, რომ ჯარისკაცებს შორის ლიფლეტების გავრცელება პაციფისტური რწმენის გამოხატვას წარმოადგენდა. მოსამართლის მოსაზრებით, მომჩივნის ნამდვილი მოტივაცია იყო არა მთავრობის პოლიტიკის გაკრიტიკება, როგორც უმრავლესობა მიიჩნევდა, არამედ ორივე მხარის დარწმუნება პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებაში.

კლექერის მიდგომა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი საკმაოდ ფართო მიდგომას ავითარებს რწმენათა სისტემისადმი. მსგავსი მიდგომის გამოყენება ხშირად განსხვავებული დასკვნების გამოტანით სრულდება ან, სულ მცირე, გაცილებით კომპლექსური კითხვები იზალება, ვიდრე უფრო ვიწრო მიდგომის პირობებში. ეს ძალზე მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრად, კონკრეტული ქმედება რელიგიური ან სხვა რწმენის ფართო დეფინიციის მანიფესტაციას წარმოადგენს თუ არა. რელიგიისა და რწმენის ფართო კონტექსტის ნაწილად განსაზღვრული ქმედების აღიარებაზე უარის თქმა უდრის ადამიანის რწმენათა სისტემის არსებობის იგნორირებას. ყოველი ინდივიდის ნებისმიერი ქმედება ინტეგრირებულია მის ცხოვრებისეულ ფილოსოფიაში და ამ კონტექსტის იგნორირება, როგორც ეს კომისიამ გააკეთა ეროუსმიტის საქმეში, პოტენციურად რელიგიის თავისუფლებაზე ადამიანის უფლების შელახვის შესაძლებლობას ქმნის.



## ეროუსმიტის ტესტი

### ტესტის ბუნება

ეროუსმიტის საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვით რელიგიით ან რწმენით მოტივირებული ყველა ქმედება არ სარგებლობს, თუმცა ვერ შეძლო რეალური ტესტის მითითება იმის განსასაზღვრად, თუ რა ქმედებებს მოიცავს ეს მუხლი. აქედან გამომდინარე, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რწმენასა და ქმედებას შორის ძალზე მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ ქმედება მე-9 მუხლით გათვალისწინებულ „წეს-ჩვეულებების დაცვა“ ჩაითვალოს. სხვა საქმეების განხილვისას კომისიის მიერ იგი ინტერპრეტირებული იქნა, როგორც „აუცილებლობის“ ტესტის განსაზღვრული სახე, შემდგომში ნოდებული, როგორც ეროუსმიტის ტესტი.<sup>227</sup> ეროუსმიტის ამგვარი ინტერპრეტაცია მომჩივანთაგან მოითხოვს, აჩვენონ, რომ იძულებულნი იყვნენ კონკრეტული გზით ემოქმედათ თავისი რელიგიისა თუ რწმენის გამო. იმ საქმეთა გამოკვლევა, სადაც ეროუსმიტის ტესტი გამოიყენეს, ნათლად ადასტურებს სიცხადის ნაკლებობასა და სირთულეებს, რაც დამახასიათებელია ამ ტესტის თანმიმდევრული გამოყენებისათვის.

### ეროუსმიტის ტესტის გამოყენება

„აუცილებლობის“ მიდგომა ბადებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კითხვას: დაცულია თუ არა მე-9 მუხლით რელიგიით მხარდაჭერილი ან დაშვებული, თუმცა არა სავალდებულო, ქცევა? როგორც ჩანს, ამ კითხვაზე პასუხი შემდეგია: ამგვარი ქცევა დაცული არ არის. გადაწყვეტილება, რომლითაც განმტკიცებულია ეს დასკვნა, გამოტანილი იქნა საქმეში ხანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. კომისიამ დაამტკიცა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც 21 წლის ახალგაზრდა მამაკაცი იქნა მსჯავრდებული 14 წლის გოგონასთან, ამ უკანასკნელის მშობლების სურვილის საწინააღმდეგოდ, ისლამური საქორწინო ცერემონიის ჩატარებისათვის. ისლამური კანონის თანახმად, მშობლების თანხმობის გარეშე ქალის ქორწინება დაშვებულია 12 წლის ასაკიდან, მაშინ როცა ბრიტანული კანონმდებლობით საქორწინო ასაკი განისაზღვრება 18 წლით. მომჩივანი გასამართლებული იქნა გოგონას გატაცების ბრალდებით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. საჩივარი, რომლითაც მომჩივანი ამტკიცებდა, რომ დარღვეული იქნა მისი უფლება რელიგიის თავისუფლებაზე, ქორწინებასა და ოჯახის შექმნაზე, კომისიამ უარყო, ნაწილობრივ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ისლამი, ბრიტანეთის კანონმდებლობისგან განსხვავებით, ქორწინებას უშვებს ადრეულ ასაკში, თუმცა არ მოითხოვს მას.

სხვა საქმეებშიც მსგავსი დასაბუთება იქნა წარმოდგენილი. საქმეში *X ავსტრიის წინააღმდეგ*,<sup>228</sup> კომისიამ დაამტკიცა გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილება, რომლითაც ე.წ. „მუნის სექტის“ მიმდევრებს ასოციაციის დაფუძნება აკრძალა. კომისიამ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა ჩარევას სხვებთან ერთად ღვთისმსახურების ჩატარების უფლებაში, ვინაიდან მათი რწმენის გამოხატვისათვის აუცილებელი არ იყო იურიდიული ასოციაციის დაფუძნება. კომისიის გადაწყვეტილებით, ბუდისტ პატიმარს, რომელსაც ციხის ადმინისტრაცია ბუდისტურ ჟურნალში სტატიების გაგზავნის ნებას არ რთავდა, უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან მომჩივანმა ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ წერილების გაგზავნა აუცილებელი იყო მისი რელიგიისათვის.<sup>229</sup> სასამართლოს გადაწყვეტილებას ზიანის ანაზღაურების თაობაზე იმ ებრაელის წინააღმდეგ, რომელმაც სამოქალაქო წესით განქორწინების შემდგომ უარი განუცხადა თავის უკვე ყოფილ მეუღლეს განქორწინების დამადასტურებელი ხელწერილის მიცემაზე (რაც, შესაბამისად, იუდაისტური სამართლის საფუძველზე, ქალის-

თვის შეუძლებელს ხდიდა შემდგომში ქორწინებას) ასევე მხარი დაუჭირა კომისიამ და უარი უთხრა მომჩივანს საქმის არსებით განხილვაზე რელიგიის თავისუფლების დარღვევის მოტივით, რადგან, როგორც ებრაელი რელიგიური ლიდერები აცხადებდნენ, უარი ხელწერილის გაცემაზე იუდაიზმის მოთხოვნას არ წარმოადგენდა.<sup>230</sup> საჩივართა ძალზე დიდი რაოდენობა აღიძრა ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების მიმართ (როგორცაა კანონები გადასახადების, სავალდებულო ვაქცინაციისა და საპენსიო სისტემის შესახებ) იმის საფუძველზე, რომ ისინი ეწეოდა რელიგიასა და რწმენაში. ამ საქმეთა უმრავლესობაში კომისიამ გამოიყენა ეროუსმიტის ტესტი და დაადგინა, რომ ისინი, ვინც მოცემული კანონებისგან გათავისუფლებას ითხოვდნენ მხოლოდ რელიგიითა და რწმენით იყვნენ მოტივირებულნი და არ გამოხატავდნენ თავიანთ რელიგიასა და რწმენას.

### ტესტის გამოყენება „წეს-ჩვეულებების დაცვის“ ფარგლებს გარეთ

ეროუსმიტის ტესტი თავდაპირველად შეიმუშავეს, როგორც ერთ-ერთი საშუალება პოტენციურად შეუზღუდავი ტერმინის, „წეს-ჩვეულებების დაცვის“ განსაზღვრისა და ლიმიტირებისათვის. მიუხედავად ამისა, კომისიამ ის რამდენჯერმე მე-9 მუხლში ჩამოთვლილი მანიფესტაციის ერთ-ერთი სხვა სახის მიმართ გამოიყენა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საკმაოდ საკამათო გადაწყვეტილება საქმეში *X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.<sup>231</sup> საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: სკოლამ უარი განაცხადა შეეცვალა გაკვეთილების ცხრილი, რათა მუსლიმანი მასწავლებლისთვის მიეცა შესაძლებლობა პარასკევობით დასწრებოდა შუადღის ლოცვას მეჩეთში. კომისიამ საქმე გადაწყვიტა სხვა საფუძველზე, რადგან მიიჩნია, რომ იგი არ იყო მე-9 მუხლის ქვემდებარე. მომჩივანმა ვერ შეძლო იმის დასაბუთება, რომ მისი რელიგიის მოთხოვნა იყო პარასკევის ლოცვებზე დასწრება და სწორედ ეს გახდა კომისიის მიერ ამ დასკვნის გამოტანის საფუძველი.

ამგვარი მიდგომა შეუსაბამო იქნებოდა იმ საქმეებში, სადაც კომისიამ და სასამართლომ მიუთითეს, რომ ჩარევა ღვთისმსახურების ან სწავლების უფლებაში *prima facie* წარმოადგენს მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას, ეროუსმიტის ტესტის გამოყენების გარეშე.<sup>232</sup> მაგალითად, *კოკინაკისის* საქმეში სასამართლომ ყოველგვარი განხილვის გარეშე მიუთითა, რომ შეზღუდვები პროზელიტიზმის უფლებაზე ეწინააღმდეგება მე-9 მუხლს,<sup>233</sup> თუმცა შესაძლოა ამ დასკვნამდე სასამართლოს მისვლა, პირველ რიგში, იმან განაპირობა, რომ თვით საბერძნეთის მხარე განიხილავდა პროზელიტიზმს რელიგიის მანიფესტაციად. არ იყო ნათელი პროზელიტიზმი გამოხატვას წარმოადგენდა იმის გამო, რომ მომჩივნის რელიგიით იყო სავალდებულო, სწავლებას წარმოადგენდა, თუ იმიტომ, რომ წეს-ჩვეულებების დაცვის ერთ-ერთი ფორმა იყო. ძალზე ძნელია *ეროუსმიტის* და *კოკინაკისის* საქმეებს შორის განსხვავების პოვნა, რადგან ორივე მომჩივანი მიზნად საზოგადოების წევრების იმ მოსაზრებათა შეცვლას ისახავდა, რომლებიც მათთვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო. ორივე თავისი რწმენისა და რელიგიის შესაბამისად მოქმედებდა და ორივეს საქციელმა მტრული დამოკიდებულება გამოიწვია.<sup>234</sup>

შემდგომი შეუსაბამობანი რამდენიმე საქმეში კომისიის მიერ ტესტის ბუნების ფაქიზად და მოხერხებულად შეცვლამ გამოიწვია. საქმეში *კარადუმანი თურქეთის წინააღმდეგ*,<sup>235</sup> მომჩივანი იყო მუსლიმი ქალბატონი, რომელსაც უარი უთხრეს უნივერსიტეტის დამთავრებაზე, ვინაიდან მან, თავის მხრივ, უარი განაცხადა თავსაბურავის გარეშე საიდენტიფიკაციო ფოტოსურათის გადაღებაზე. საუნივერსიტეტო წესებით (კონსტიტუციის, თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს და სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად), აკრძალული იყო თავსაბურავის ტარება სახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის სკოლებსა

და უნივერსიტეტებში, როგორც სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის პრინციპის დარღვევა. გადაწყვეტილება ამ საქმეზე მიღებული იქნა სხვა გარემოებების გათვალისწინებით, თუმცა კომისიამ მიუთითა, რომ უნივერსიტეტის უარი კარადუმანისთვის ფოტოსურათის თავსაბურავით გადაღებაზე, სავარაუდოდ, არ წარმოადგენდა მომჩივნის რელიგიის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას.

*კომისია ასევე მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის ხარისხის სერტიფიკატი გამიზნულია, დაადასტუროს სტუდენტის შესაძლებლობანი დასაქმების მიზნებისათვის; იგი არ არის გამიზნული ფართო საზოგადოებისათვის. ფოტოგრაფირების მიზანი იმ პირის იდენტიფიცირებაა, რომელსაც სერტიფიკატი ეკუთვნის. პირის მიერ სერტიფიკატის გამოყენება შეუძლებელია საკუთარი რელიგიის გამოხატვის მიზნით.*

ეროუსმიტის მიდგომის გამოყენების შემთხვევაში უნდა გამოეკვლიათ, არის თუ არა თავსაბურავის ტარება და უარი მის გარეშე ფოტოსურათის გადაღებაზე ისლამის მოთხოვნა. რელიგიური სამოსის ტარების საკითხიდან, რომელიც, ერთი შეხედვით, საჩივრის არსს წარმოადგენდა, აქცენტის გადატანა ფოტოგრაფირებაზე მიუთითებს ეროუსმიტის ტესტის გამოყენებასთან დაკავშირებით კომისიაში არსებულ კონცეპტუალურ უთანხმოებაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეროუსმიტის ტესტის საზღვრები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. როგორც ჩანს, ზოგადად, იგი წეს-ჩვეულებების საკითხებითაა შეზღუდული, მაგრამ, ამავე დროს, სასამართლოსა და კომისიას აქვთ დისკრეცია, კონკრეტული შემთხვევა წეს-ჩვეულებების დაცვის ან მანიფესტაციის ისეთ სხვა სახეობას მიაკუთვნონ, როგორცაა სწავლება. გარდა ამისა, სავარაუდოდ, კომისია მზადაა, დაადგინოს, რომ ესა თუ ის საქმე არ ექცევა მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვის ფარგლებში, გადაწყვეტილების დასაბუთების მიზნით ეროუსმიტის ან სხვა ტესტის გამოყენებლადაც. მაგალითად, როდესაც საინტოლოგიის ეკლესიას აეკრძალა ელექტროფსიქომეტრის რეკლამირება მეცნიერული განცხადებების მცდარი და შეცდომაში შემყვანი ხასიათის გამო, კომისიამ მიიჩნია, რომ საქმე არ შეეხებოდა რელიგიის თავისუფლებას, ვინაიდან სახელმწიფო არეგულირებდა ეკლესიის მხოლოდ კომერციულ და არა რელიგიურ საქმიანობას.<sup>236</sup> სამხედრო მოსამსახურემაც ასევე ვერ მიიღო დაცვა მე-9 მუხლის საფუძველზე. იგი გასამართლებული იქნა სამხედრო ტრიბუნალის მიერ დაუმორჩილებლობის ბრალდებით. მომჩივანი ცდილობდა, უდისკრიპლინობა და დაუმორჩილებლობა ისლამურ რელიგიასთან დაეკავშირებინა, თუმცა კომისიამ დაადგინა, რომ ამბოხი სამხედრო ხელმძღვანელობის წინააღმდეგ არ წარმოადგენდა მე-9 მუხლით დაცულ ქმედებას.<sup>237</sup> ზემოთ განხილული საჩივრების მსგავსად, უარყოფილი იქნა მამაკაცის საჩივარი, რომელმაც ვერ შეძლო ჩრდილოეთ ირლანდიაში სამოქალაქო წესით განქორწინება, თუმცა ამის ნებართვა მას საკუთარი ეკლესიისგან ჰქონდა მიღებული. სასამართლოს მტკიცებით, განქორწინება არ წარმოადგენს იმ საკითხს, რომელიც მე-9 მუხლს შეეძლო მოეცვა, „თავისი ორდინარული მნიშვნელობიდან გამომდინარე“.<sup>238</sup> ლოგიკა ამ გადაწყვეტილებებში არ არის სრულებით ცხადი და სავსებით შესაძლებელია, სასამართლოს განსხვავებული პოზიცია დაეფიქსირებინა კომერციულ/რელიგიურ სფეროში, მაგალითად, თუკი საქმეში იქნებოდა არა ელექტროფსიქომეტრის რეკლამირება რელიგიური უმცირესობის მიერ, არამედ ბიბლიის ან ნაკურთხი წყლის რეკლამა დომინანტი ქრისტიანი ეკლესიების მხრიდან.

აქედან გამომდინარე, ძალზე ძნელია, რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციის დაცვაზე კომისიის საერთო მიდგომასა და ზემოთ განხილულ საქმეებს შორის შესაბამისობის პოვნა. როგორც ჩანს, ამ საქმეების გაუთვალისწინებლად, ზოგადი პრინციპის თანახმად, ეროუსმიტის ტესტის საფუძველზე მომჩივანი ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ ამა თუ იმ წეს-ჩვეულების დაცვა აუცილებლობაა მისი რელიგიის ან რწმენისათვის, მაშინ, როცა ღვთისმსახურ-

რების, სწავლების ან რიტუალის შესრულების შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ ჩარევის ჩვენება მე-9 მუხლის დარღვევის დამტკიცების მიზნით. ეს კი ნიშნავს, რომ ეროუსმიტის ტესტის გამოყენება შეზღუდული ხასიათისაა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მომჩივანთა უმრავლესობა, რომელთა საჩივრებიც მე-9 მუხლის დარღვევასთან არის დაკავშირებული, ცდილობს, დაამტკიცოს, რომ შეიზღუდა მათი უფლება რელიგიურ ან რწმენიდან გამომდინარე წესჩვეულების დაცვაზე. შესაბამისად, ამ ტესტის მნიშვნელობა ძალზე დიდია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მას ზოგჯერ წეს-ჩვეულების დეფინიციის ფარგლებს გარეთაც იყენებენ, მე-9 მუხლში ჩამოთვლილი მანიფესტაციების სხვა სახეების მიმართ.

## **ეროუსმიტის ტესტის ანალიზი**

### **ევროპული სასამართლოსა და კომისიის მეთოდოლოგია აუცილებლობის განსაზღვრისას**

ეროუსმიტის ტესტი მოითხოვს იმის განსაზღვრას, სავალდებულოა თუ არა ესა თუ ის ქმედება მომჩივნის რელიგიით ან რწმენით. სასამართლო და კომისია ამ საკითხს „ობიექტურად“ წყვეტენ და არ იჩენენ მზადყოფნას, მომჩივანთა მოთხოვნები საკუთარი რწმენისა და რელიგიის შესახებ მნიშვნელოვან ფაქტორებად მიიჩნიონ ამ აუცილებლობის განსაზღვრის პროცესში.<sup>239</sup> როგორც ერთ-ერთმა ავტორმა აღნიშნა, სასამართლო ხშირად ითვალისწინებდა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებებს, რადგან მიაჩნდა, რომ მათ უკეთ უნდა სცოდნოდათ საკუთარი საზოგადოებები. ამგვარ მონიშნულ დამოკიდებულებას სასამართლო არ იჩენდა, რწმენისა და განსაზღვრული ტიპის რელიგიური ქმედების ან გამოხატვის მნიშვნელობის თაობაზე ინდივიდების მოთხოვნების მიმართ.<sup>240</sup>

სასამართლო და კომისია შეიძლება გააკრიტიკებულნი იქნენ იმის გამო, რომ საკუთარ თავზე იღებენ რელიგიისა თუ რწმენის მოთხოვნების განსაზღვრის ამოცანას და ხშირად უგულებელყოფენ მომჩივანთა მოსაზრებებს საკუთარი რწმენის შესახებ. სასამართლოსა და კომისიის მიდგომასთან დაკავშირებული პრობლემების ილუსტრირებას წარმოადგენს ვალსამის და ევსტრატის<sup>241</sup> საქმეები, სადაც მომჩივნები იელოვას მოწმე მოსწავლეები და მშობლები არიან, მოპასუხე კი – საბერძნეთის მთავრობა. ამ საქმეებს საფუძვლად დაედო იელოვას მოწმე იმ მოსწავლეთა რამდენიმე დღით დათხოვნა სკოლიდან, რომელთაც უარი განაცხადეს, მონაწილეობა მიეღოთ საბერძნეთის ეროვნული დღისადმი (დღე, როდესაც ომი გაჩაღდა საბერძნეთსა და ფაშისტურ იტალიას შორის) მიძღვნილ აღლუმში. მოსწავლეთა მშობლებს არ სურდათ, რომ მათ შვილებს მონაწილეობა მიეღოთ აღლუმში, რადგან ამ ღონისძიებაში ომის დღესასწაულს ხედავდნენ, რაც იელოვას მოწმეთა პაციფისტურ შეხედულებებს ეწინააღმდეგება. მშობლებმა საჩივარი წარადგინეს პირველი ოქმის მე-2 მუხლის, ხოლო მოსწავლეებმა მე-9 მუხლის საფუძველზე. სასამართლომ უარყო მომჩივანთა მოთხოვნები იმ მოტივით, რომ ისეთს ვერაფერს ხედავდა აღლუმში, რასაც მათი რელიგიური შეხედულებების შეურაცხყოფა შეეძლო. გარდა ამისა, მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ აღლუმები ნაწილობრივ პაციფისტურ მიზნებსაც კი ემსახურება.<sup>242</sup> შესაბამისად, მხედველობაში არ მიიღეს მომჩივანთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ აღლუმში ეწინააღმდეგება მათ რელიგიას, რაც საკმაოდ უცნაურია, რადგან გადაწყვეტილებაში არ არის მოყვანილი არც ერთი მტკიცებულება (გარდა თვით მოსამართლეთა შეფასებებისა), რომელთა დაპირისპირებაც სასამართლოს შეეძლო, მომჩივანთა შეხედულებებისათვის საკუთარი რწმენის მოთხოვნების თაობაზე.

### აუცილებლობის მტკიცებულება

სასამართლო და კომისია ხშირად უბრალოდ აცხადებენ, რომ არ არის კონფლიქტი მომჩივნის რწმენას ან რელიგიას და სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნილ ქმედებას შორის. ასეთი მიდგომა გაუგებარს ხდის, თუ რის საფუძველზე იღებდნენ კომისია და სასამართლო ამგვარ გადაწყვეტილებებს. ზოგ შემთხვევაში, როცა მოსამართლეები არ ენდობიან საკუთარ შეფასებებს მომჩივანთა ვალდებულებების შესახებ, ისინი იყენებენ რელიგიური ლიდერების ექსპერტულ მტკიცებულებებს.<sup>243</sup> სკოლის მუსლიმ მასწავლებელს არ დართეს ამგვარი მტკიცებულების წარმოადგენის ნება (ნაწილობრივ იმიტომ, რომ გადაწყვეტილება საქმეზე მიიღეს სხვა გარემოებების გათვალისწინებით).<sup>244</sup> კოკინაკისის საქმეში სასამართლო დაეყრდნო მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს მოხსენებას იმის გადასაწყვეტად, რომ პროზელიტიზმი ყველა ქრისტიანის „ძირითადი მისიის“ ნაწილია, თუმცა არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი ამ მისიის „გარყვნას“ წარმოადგენს.<sup>245</sup> იგი არ დაეყრდნო სხვა რელიგიურ ავტორიტეტებს, მაგალითად, იელოვას მონმეთა წესებს. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო და კომისია მხედველობაში არ იღებდნენ მომჩივანთა სუბიექტურ შეფასებებს, თუ რა იყო სავალდებულო მათი რელიგიისა და რწმენის საფუძველზე, მტკიცებულების ერთ-ერთი ობიექტური ფორმა, სავარაუდოდ, შესაბამისი რელიგიისა და რწმენის ლიდერთა ექსპერტული მტკიცებულებები, ასევე რელიგიური და რწმენაზე დაფუძნებული ჯგუფების წესები ან დოგმები უნდა ყოფილიყო.<sup>246</sup> სასამართლოს, როგორც ჩანს, სურს, დროდადრო ამგვარ მტკიცებულებებს დაეყრდნოს, თუმცა მათი გამოყენება არათანმიმდევრულია. შესაბამისად, სასამართლოს „ობიექტური“ მიდგომა მანიფესტაციათა მიმართ ობიექტურ კრიტერიუმს არ ეფუძნება.

### უპირატესობა ეროუსმიტის ტესტის საფუძველზე

ეროუსმიტის ტესტის ნამდვილ ბუნებას, გარკვეული რელიგიისა თუ რწმენის მქონე სხვა ინდივიდებისაგან განსხვავებით, შესაძლოა არასასურველი შედეგი ჰქონდეს რელიგიური ორგანიზაციების მორჩილი წევრებისათვის პრივილეგიების მინიჭების სახით. ინდივიდუალისტური რწმენების შემთხვევაში, როგორცაა, მაგ., პეტ ეროუსმიტის პაციფიზმი, შეიძლება არც არსებობდეს უფრო მაღალი ავტორიტეტი ან წესების ერთობლიობა, რომლითაც შესაძლებელი იქნება განისაზღვროს, თუ რა სახის ქცევაა სავალდებულო ამ რწმენის მიხედვით. არაიერარქიული ტიპის რელიგიებში, სავარაუდოდ, ძალზე გართულდება იმის დადგენა, თუ ვისა აქვს საკმარისი კვალიფიკაცია ექსპერტული დასკვნის მისაცემად,<sup>247</sup> გარდა ამისა, ისეთი რელიგიის ან რწმენის მიმდევრებს, რომელიც აქცენტს ინდივიდუალური სინდისის განვითარებაზე უფრო აკეთებს, ვიდრე წესების განსაზღვრული ერთობლიობის დაცვაზე, ეროუსმიტის ტესტი საკმაოდ გაურთულებს იმის დამტკიცების შესაძლებლობას, რომ ესა თუ ის ქცევა მისი რელიგიისა და რწმენის მოთხოვნას წარმოადგენს.

ეროუსმიტის ტესტის გამოყენებამ ასევე შეიძლება არასასურველად იმოქმედოს პირზე, რომელიც გარკვეულ რელიგიურ ჯგუფს მიეკუთვნება, თუმცა მისთვის ამ რელიგიის ყველა სწავლება არ არის მისაღები, ან თუ მიიჩნევს, რომ საკუთარი რელიგია ან რწმენა დამატებით მოთხოვნებს უწესებს მას.<sup>248</sup> მაგალითად, იელოვას მონმის ან კვაკერისთვის შეიძლება გაცილებით იოლი იყოს იმის ჩვენება, რომ პაციფიზმი მისი რელიგიის მკაცრად განსაზღვრული ნაწილია, ვიდრე სხვა ეკლესიის წევრი ქრისტიანისთვის, რომლის ეკლესიაც მხარს არ უჭერს პაციფიზმის ზოგად პრინციპს (მაშინაც, როცა მოთხოვნა გულწრფელია და ეფუძნება ინდივიდის მიერ რწმენის გაგებას).

გარკვეული რელიგიის ან რწმენის მრავალრიცხოვან წევრებს შორის უთანხმოებისას დოქტრინასა თუ რელიგიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კომისიის სურვილმა,



რომ ობიექტური და ავტორიტეტული პასუხი მიიღოს კითხვაზე, კონკრეტული სახის რელიგიური ქმედება სავალდებულოა თუ არა, შეიძლება იგი საპირისპირო მიდგომებს შორის არჩევანის გაკეთებამდე მიიყვანოს. შედეგად, კომისიამ შეიძლება იმ მოტივით უარყოს მომჩივნის საჩივარი, რომ იგი შესაბამისი რელიგიისა თუ რწმენის ძირითადი მიმართულების ფარგლებს გარეთ ექცევა.<sup>249</sup> ეს კი ეწინააღმდეგება აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ აღიარებულ მიდგომას. კერძოდ, საქმეში, სადაც ინდივიდის მტკიცებით, რელიგია მას უკრძალავდა მონაწილეობას სამუშაოში, რომელიც პირდაპირი გზით იყო დაკავშირებული შეიარაღების წარმოებასთან, მიუხედავად იმისა, რომ იმავე რელიგიის სხვა წევრები ასრულებდნენ იდენტურ სამუშაოს, უზენაესმა სასამართლომ მიუთითა:

*რწმენის შიგნით არსებული ამგვარი უთანხმოებანი არ არის უჩვეულო განსაზღვრული მსოფლმხედველობის მიმდევრებს შორის და სასამართლო პროცედურები განსაკუთრებით ცუდად არის აღჭურვილი ამგვარ უთანხმოებათა გადაწყვეტის შესაძლებლობებით ... აღმსარებლობის თავისუფლების გარანტია არ არის შეზღუდული იმ რწმენათა სისტემებით, რომლებიც ვაზიარებულია განსაზღვრული რელიგიური ჯგუფის ყველა წევრის მიერ.<sup>250</sup>*

ამგვარი მიდგომა სასამართლოსგან მოითხოვს მზადყოფნას, უფრო სერიოზულად მოეკიდოს მომჩივნების მოთხოვნებს, ვიდრე ეძიოს გარკვეული ობიექტური საფუძვლები აუცილებლობის შესაფასებლად.

#### **ალტერნატიული მიდგომები გამოხატვის სახეების მიმართ**

ეროუსმიტის ტესტთან დაკავშირებული სირთულეების გამო, რამდენიმე მოსამართლის მიერ შემოთავაზებული იქნა ალტერნატიული მიდგომები იმის გადასაწყვეტად, არის თუ არა ესა თუ ის რელიგიური ქცევა რელიგიისა და რწმენის გამოხატვა. კომისია, თავის მხრივ, სხვადასხვა დროს იყენებდა განსხვავებულ ფორმულირებას იმის გარკვევის გზით, იყო თუ არა მომჩივნის ქმედებანი მისი რელიგიის ან რწმენის „გამოხატულება“. ეს მიდგომა შედარებით ნაკლებად შემზღუდველი ხასიათისაა, ვიდრე მომჩივნის დავალდებულება, დაამტკიცოს თავისი ქცევის აუცილებლობა საკუთარი რწმენისა თუ რელიგიისათვის. იგი გაცილებით ახლოსაა ეროუსმიტის საქმეში მოსამართლე ოპსალის მიერ შემოთავაზებულ ტესტთან, ვიდრე ჩვეულებრივ გამოყენებულ ტესტთან. „გამოხატულების ტესტი“ სარგებლობა ძალზე იშვიათ შემთხვევებში თუ მომხდარა და ყოველთვის მოპასუხის სასარგებლოდ გადაწყვეტილ საქმეებში.<sup>251</sup> თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ეროუსმიტის ტესტი რეგულარულად გამოიყენება, ნაკლებად სავარაუდოა, აუცილებლობის ტესტს სხვა, მომჩივანთა მიმართ გაცილებით კეთილგანწყობილი ტესტი ჩაენაცვლოს.

ეფსტრატიუს და ვალსამის საქმეებში მოსამართლეების ტორ ვილჰელმსონისა და იამბერკის მიერ თავიანთ ერთობლივ განსხვავებულ აზრში შემოთავაზებული იქნა პოტენციურად ალტერნატიული ტესტი.<sup>252</sup> მათი წინადადების მიხედვით, სასამართლომ არ უნდა შეაფასოს ამა თუ იმ რწმენის დასაბუთებულობა ან განსაზღვრული მოქმედების მნიშვნელობა მომჩივნისთვის. ამის სანაცვლოდ, მოსამართლეთა მოსაზრებით, „სასამართლოს მიერ აღიარებული უნდა იქნეს სასკოლო აღლუმისა და მისი რელიგიური და ფილოსოფიური ქვეტექსტის აღქმა და გააზრება მომჩივანთა მიერ, თუკი იგი აშკარად უსაფუძვლო და არაგონივრულ ხასიათს არ ატარებს“. ამის მსგავსად, პირველი ოქმის მე-2 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის განხილვისას მოსამართლე ვედროსმა განაცხადა, რომ სასამართლომ უნდა შეამოწმოს მომჩივანთა განცხადებები საკუთარი რელიგიური მრწამსის შესახებ (რათა დარწმუნდეს, რომ მომჩივანთა მხრიდან ადგილი არ ჰქონდა თვალთმაქცობას), თუმცა ვალდებულია, „პატივი სცეს მათ იდეოლოგიას, თუკი ასეთი იდეოლოგია ნათლად იქნება გამოხატული“.<sup>253</sup>



ეს ალტერნატივა, რომელიც პატივს სცემს მომჩივანთა უფლებას, თვითონ განსაზღვრონ მათი იძულება ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელების მიზნით ან მათთვის განსაზღვრული ტიპის მოქმედების შესრულების აკრძალვა ზიანს აყენებს თუ არა მათ რელიგიურ გრძნობებს, უფრო გასაგები ტესტია და არ მოითხოვს მოსამართლეთაგან პირის რელიგიური მრწამსის ან მისი რელიგიის მოთხოვნათა განსაზღვრას. ამ მიდგომის გამოყენების შემთხვევაში, მომჩივანთა მხრიდან მისი ბოროტად გამოყენების პოტენციური შანსის შემცირება შესაძლებელი იქნებოდა მე-9 მუხლის მეორე ნაწილით და იმით, რომ მოხდებოდა აშკარად „უსაფუძვლო და არაგონივრულ“ რწმენათა გამოორიციხვა. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ცხადად მეტყველებს, რომ ეს მიდგომა პრაქტიკული ხასიათისაა და მისი გამოყენება გამოდგებოდა თუნდაც შედარებით არაპლურალისტურ საზოგადოებაშიც. უზენაესმა სასამართლომ არ გამოიჩინა დაინტერესება, ჩართულიყო ამა თუ იმ რელიგიის თუ რწმენის მოთხოვნათა განსაზღვრაში. ზოგადი წესის თანახმად, იგი არ აყენებდა კითხვის ნიშნის ქვეშ მომჩივანთა შეხედულებებს, რომ ამა თუ იმ ტიპის ქმედება სავალდებულო ან შეუსაბამო იყო მათ რელიგიასთან თუ რწმენასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოთხოვნა „ისეთი ექსცენტრული და მოტივაციით გამოკვეთილად არარელიგიური იყო, რომ არ იმსახურებდა დაცვას აღმსარებლობის თავისუფლების კლავიშის საფუძველზე“.<sup>254</sup>

ვეროპული სასამართლოსგან განსხვავებით, აშშ-ს უზენაესი სასამართლო მიერ აღიარებული მიდგომა გაცილებით სერიოზულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს მომჩივანთა მოთხოვნების მიმართ. ეს კი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ აშშ-ში კარგადაა აქვთ გააზრებული ის პოტენციური პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო თავად ცდილობს, განსაზღვროს, თუ რა მოეთხოვებათ მომჩივნებს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სუბიექტური მიდგომა, თავის მხრივ, გარკვეული საფრთხით ხასიათდება (განსაკუთრებით მომჩივანთა მხრიდან თვალთმაქცობის თვალსაზრისით), გაცილებით სჯობს ტესტს, რომლითაც მოსამართლეთს ევალებათ, თვითონ განსაზღვრონ, ხშირად მცირე მტკიცებულებების საფუძველზე, ამა თუ იმ რელიგიის თუ რწმენის მოთხოვნები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სასამართლო და კომისია ძალზე ხშირად დაუდანაშაულებიათ არაქრისტიანულ თუ იმ რელიგიათა მოთხოვნების მიმართ ნაკლები სიმპათიის გამოჩენის გამო, რომელთაც ვეროპაში ხანგრძლივი ისტორია არ აქვთ.<sup>255</sup> მათ არასოდეს გადაუწყვეტიათ საქმე მომჩივნის სასარგებლოდ, როცა საჩივრის საფუძველი რელიგიური სამოსის ტარებას ან სპეციფიკურ გარეგნობას შეეხებოდა,<sup>256</sup> რომელთაც შესაძლოა გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეთ ინდივიდებისათვის, შესაბამისი რელიგიური ტრადიციიდან გამომდინარე. მეორე მხრივ, კომისიამ და სასამართლომ სწრაფად და ოპერატიულად იმოქმედეს, როცა მხარი დაუჭირეს უფლებას პროზელიტიზმზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში გამართულ დებატებში ამ სფეროს საკამათო ხასიათის მიუხედავად. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, რა არის და რა არ არის სავალდებულო მომჩივნის რელიგიისა თუ რწმენისათვის, ზრდის მისი მხრიდან იმ რელიგიური რიტუალებისა თუ წეს-ჩვეულებებისთვის უპირატესობის მინიჭების პოტენციურ შესაძლებლობას, რომლებიც ახლოსაა სასამართლოს ნევრებთან და რომელთაც ისინი კარგად იცნობენ. ეს კი უმცირესობებისთვის საკმაოდ მძიმე შედეგებთან არის დაკავშირებული და ამჟღავნებს იმ საფრთხეს, რომელიც ეროუსმიტის ტესტიდან მომდინარეობს და რომლის შესახებაც მოსამართლე ოპსალმა მიუთითა, რომ იგი უპირატესობას ტრადიციული ტიპის რელიგიურ გამოხატვას ანიჭებს, ახალ რწმენათა მიმდევრების რელიგიურ ქცევასთან შედარებით.<sup>257</sup>

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტები

სასამართლოს მხრიდან მომჩივანთა სუბიექტური მოთხოვნებისთვის უფრო ობიექტური ელემენტების დამატების სურვილის გამოჩენის შემთხვევაში, ერთ-ერთ რესურსად შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო მეცნიერული სწავლებანი რელიგიის თავისუფლების სფეროში (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსგავსად). მომჩივანთა მოთხოვნებთან კავშირში ამ სწავლებათა გამოყენება შესაძლებელი იყო ქცევის იმ სახეების დემონსტრირებისათვის, რომლებიც საერთაშორისოდ არის აღიარებული რელიგიისა და რწმენის გამოხატვად. ასეთ შემთხვევაში, თუკი მომჩივანი შეძლებდა სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისოდ აღიარებულ სწავლებაში ჩამოყალიბებული გამოხატვის ერთ-ერთი სახის შეზღუდვის ჩვენებას და საკუთარი რელიგიისათვის მანიფესტაციის ამ ტიპის მნიშვნელობის დასაბუთებას, იმოქმედებდა პრეზუმფციად, რომ საქმე მე-9 მუხლის ქვემდებარე იყო, სანამ არ დამტკიცდებოდა საჩივრის თაღლითური ხასიათი.

თავის ცნობილ სწავლებაში რელიგიის თავისუფლების შესახებ არკოტ კრიშნასვამიმ ჩამოაყალიბა რელიგიისა და რწმენის გამოხატვის რამდენიმე სახე, რომელიც, მისი შეხედულებით, იმსახურებს დაცვას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის საფუძველზე. კრიშნასვამის ჩამონათვალი მოიცავდა რელიგიური წეს-ჩვეულებების დაცვას, დაკავშირებულს ქორწინებასა და განქორწინებასთან, რელიგიური სამოსის ტარებასთან, დაკრძალვის რიტუალის შესრულებას, კომუნიკაციას სხვა თანამოაზრე მორწმუნეებთან, ასევე ინდივიდუალურ და კორპორაციულ ღვთისმსახურებას. ამის მსგავსად, დეკლარაციაში რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის თაობაზე მოცემულია რწმენის მანიფესტაციათა ჩამონათვალი და შესაბამისი მუხლები, რომელთა გამოყენებაც უნდა მოხდეს რელიგიისა და რწმენის შესაბამისად რიტუალების შესრულების, რელიგიისა და რწმენის თაობაზე მასალების პუბლიკაციისა და გავრცელების, მოსახერხებელ ადგილებში სწავლების ჩატარების, შაბათის წესის დაცვის, დღესასწაულის აღნიშვნისა და ცერემონიების ჩატარების შემთხვევაში.<sup>258</sup>

გაეროს ეს მასალები შესაძლოა ძალზე ძვირფას რესურსს წარმოადგენდეს სასამართლოსათვის, ვინაიდან ისინი ეყრდნობა ფართო საერთაშორისო საზოგადოების სწავლებასა და გამოცდილებას. მაშინ როცა სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობა ძირითადად ქრისტიანულ საზოგადოებებს წარმოადგენენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწავლებანი ერთმანეთში აერთიანებს იმ ქვეყნების კომენტარებს, რომლებიც გაცილებით ფართო სპექტრს შეადგენენ რელიგიური დემოგრაფიების თვალსაზრისით. ისეთი ჯგუფები, როგორიცაა მუსლიმანები, ინდუსები ან ბუდისტები, რომლებიც უმცირესობებს წარმოადგენენ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში, ქმნიან უმრავლესობებს გაეროს სხვა წევრ სახელმწიფოებში. აქედან გამომდინარე, ისეთ საკითხს, როგორიცაა რელიგიური სამოსის ტარება, რომელსაც რამდენიმე დასავლელი ავტორი<sup>259</sup> და მოსამართლე<sup>260</sup> რელიგიისთვის უმნიშვნელოდ მიიჩნევს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო დოკუმენტებში.<sup>261</sup> ამ მასალების გაზიარებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს სასამართლოს იმის უზრუნველყოფაში, რომ რელიგიის მანიფესტაციის თაობაზე უმრავლესობის ცნებებმა არ შეიძინოს შეუსაბამოდ დიდი მნიშვნელობა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.

### რელიგიური უფლებების ნებაყოფლობითი დათმობა

კომისიისა და სასამართლოს მიერ მანიფესტაციის შეზღუდული ტესტის გამოყენებით გამოწვეული სირთულეების რაოდენობა მომჩივანთათვის იზრდება იმის გამო, რომ ზოგ შემთხვევაში სასამართლოსა და კომისიის გადაწყვეტილებით ისინი რელიგიის თავისუფლებაზე საკუთარი უფლების განხორციელებისგან თავის შეკავებაზე ნებაყოფლობით თანხმდებოდ-

ნენ.<sup>262</sup> ასეთ შემთხვევებში კომისია ადგენდა, რომ ადგილი არ ჰქონდა მე-9 მუხლის დარღვევას, იქამდე, ვიდრე შესაძლებელი იყო მდგომარეობის გამოსწორება. კომისიამ დაადასტურა ისეთი ვითარების შექმნის შესაძლებლობა, როდესაც, საკუთარი რელიგიის ან რწმენის შეუზღუდავი გამოხატვისათვის, მომჩივნების მიერ მდგომარეობის შეცვლა არაგონივრულ ტვირთს აკისრებდა მათზე. მაგალითად, დერბის საქმეში, კომისიამ უარყო შვედეთის მხარის არგუმენტი, რომლის თანახმადაც მომჩივანს შეეძლო თავი დაეღწია საეკლესიო გადასახადების გადახდისაგან შვედეთში ხშირი მგზავრობის გზით.<sup>263</sup> ამ განსაკუთრებულ საქმეში, კომისიამ აღიარა, რომ მომჩივნის გადაწყვეტილება, „ნებაყოფლობით“ ეცხოვრა სხვა სახელმწიფოში არ იყო საკმარისი საფუძველი იმის სათქმელად, რომ მან უარი თქვა რელიგიის თავისუფლებაზე საეკლესიო გადასახადის გადახდის სასარგებლოდ.

არსებობს გარკვეული დასაბუთება ამგვარი მიდგომისა, რომელიც იმ ადამიანების პირადი ავტონომიის პატივისცემას გულისხმობს, რომელთაც არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვთ, სანამ ისინი მზად არიან თავიანთი გადაწყვეტილებით გამოწვეული შედეგების პირობებში იცხოვრონ. კომისიამ არ უნდა ჩააყენოს ინდივიდები ისეთ მდგომარეობაში, როცა ისინი იძულებულნი იქნებიან დამორჩილონ თავიანთი რელიგიის დოგმებს, მაგალითად, როდესაც პირი ისეთი სამუშაოს შესრულებას ამჯობინებს, რომელიც მას შაბათის წესის დარღვევით ავალდებულებს მუშაობას.<sup>264</sup> კომისიის არგუმენტაცია სწორედ ინდივიდებს უტოვებს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას თავიანთი რელიგიისა და რწმენის წესებსა და იმ სარგებელს შორის, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს შესაბამისი რელიგიისა თუ რწმენის მანიფესტაციასთან შეუსაბამო ქმედების განხორციელებით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი რელიგიური ჯგუფის მხრიდან შევიწროებისაგან ინდივიდების დასაცავად. როგორც გაეროს ყოფილმა სპეციალურმა მომხსენებელმა ფრანჩესკო კაპორტორტიმ აღნიშნა, „მოსაზრება, რომლის თანახმადაც უმცირესობებთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმები მხოლოდ გარკვეული ჯგუფის კოლექტიური ფასეულობების დაცვის მიზანს ემსახურება, შეიცავს საფრთხეს, რომ განსხვავებული მოსაზრებების მქონე ინდივიდები მოქცეული იქნენ ქცევის იმ ერთიან სისტემაში, რომლის შემუშავებაც დომინანტი წრეების მიერ მოხდა“.<sup>265</sup>

### ნებაყოფლობითი მოდელი სახელმწიფო ეკლესიის ფარგლებში

ზოგიერთ შემთხვევაში, კომისია და სასამართლო ძალზე მარტივად განიხილავენ ნებაყოფლობით არჩევანს რელიგიას ან რწმენასა და ალტერნატიული სახის ქცევას შორის. მაგალითად, როდესაც სახელმწიფო აიძულებს ინდივიდს, არჩევანი გააკეთოს რწმენასა და გარკვეულ სოციალურ როლს შორის, თავისუფალი არჩევანის იდეა არაბუნებრივ ხასიათს იძენს. ერთ-ერთი სფერო, სადაც პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთ იჩენს თავს, არის თავისუფლება ეკლესიების ან სხვა რელიგიური ორგანიზაციების, განსაკუთრებით სახელმწიფო ეკლესიის ფარგლებში. კომისიის მიერ სხვადასხვა დროს აღინიშნა, რომ ეკლესია არ არის ვალდებული, თავისი წევრების რელიგიის თავისუფლება უზრუნველყოს, თუკი მათ ეკლესიის თავისუფლად დატოვების შესაძლებლობა აქვთ.<sup>266</sup> ეს შეეხება საეკლესიო კოლექტივს, რომელსაც მიეკუთვნება, მაგალითად, მღვდელი, რომელიც ვალდებულია დამქირავებლის დირექტივები შეასრულოს.

ამგვარი მიდგომა რელიგიებს ნებაყოფლობით, კერძო ორგანიზაციებად განიხილავს. სანამ ინდივიდებს აქვთ არჩევანის შესაძლებლობა, დარჩენენ ან დატოვონ რელიგია, ისინი ამ საზოგადოების მიერ დადგენილ ნორმებს ექვემდებარებიან, ისე როგორც გოლფის მოთამაშენი არიან ვალდებული, დამორჩილონ იმ კლუბის წესებს, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან და უხდებიან შენატანს, ან უნდა დატოვონ იგი. ეს ანალიზი არ წარმოადგენს იმ მიზეზების განხილვას, რო-

მელთა გამოც „დაემორჩილე ან წადი“-ს მარტივი მოდელი ვერ უპასუხებს მორწმუნესა და ეკლესიის ურთიერთობის პროცესში წარმოქმნილ სირთულეებს. აქ საქმე ისეთ შემთხვევასთან გვაქვს, როდესაც ადგილი აქვს საერო ხელისუფლების ჩარევას ეკლესიის მართვაში. ნათლისღებასთან დაკავშირებულ საქმეში უთანხმოება სასულიერო პირის კეთილსინდისიერ რელიგიურ რწმენასა (ნათლობამდე რელიგიური ინსტრუქციის მნიშვნელობასთან დაკავშირებით) და ეკლესიას შორის, რომლის მიმდევარიც იგი გახლდათ, სწორედ საერო ხელისუფლების ბრძანებამ გამოიწვია. საქმეში, სადაც მღვდელი დაითხოვეს სამუშაოდან მისი უარის გამო, შეესრულებინა გარკვეული სახელმწიფო ფუნქციები და გამოხატა პროტესტი აბორტის შესახებ კანონმდებლობის ლიბერალიზაციისადმი, მისი პროტესტი და დაკავებული პოზიცია მისაღები იყო მრევლისა და საეკლესიო ხელმძღვანელობისათვის, მაგრამ არა სახელმწიფო ხელისუფლებისათვის.<sup>267</sup> ამგვარ საქმეებში სინდისის ეფექტურ დაცვასთან ეკლესიის დატოვების შესაძლებლობის გაიგივება უარყოფს სახელმწიფოს როლს სინდისის კრიზისის შექმნაში.

მაშინაც, როცა სახელმწიფო არ ერევა, რელიგიის დატოვება გაცილებით კომპლექსური საკითხია, ვიდრე სხვა კერძო ტიპის ორგანიზაციებისა.<sup>268</sup> ბევრისთვის რელიგია არ არის ისეთი „ნებაყოფლობითი“, როგორც სოციალური ან პოლიტიკური ჯგუფები შეიძლება იყოს. განსაზღვრულ რელიგიებში ბევრისთვის მათი რელიგია ხსნისა და სიმართლის წყაროს წარმოადგენს. ისინი შეიძლება არ ეთანხმებოდნენ საკუთარი რელიგიის სტრუქტურის გარკვეულ ასპექტს, როგორცაა საეკლესიო გადასახადების გადახდის მოთხოვნა, მხარდაჭერილი სამართლებრივი სანქციებით,<sup>269</sup> თუმცა მისი დატოვება შეიძლება თავისი სულიერი კეთილდღეობისათვის სერიოზული ზიანის მომტანად მიაჩნდეთ. სხვა დონეზე გადაწყვეტილების მიღება მჭიდროდ შეკავშირებული რელიგიური საზოგადოების დატოვების თაობაზე იმით რთულდება, რომ პირს შესაძლებელია ჯგუფისგან მეტად სუსტი ეკონომიკური, სოციალური და პერსონალური დამოკიდებულება ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი დატოვების თეორიული უფლება აქვს.<sup>270</sup> ასეთ შემთხვევებში, იმის დასამტკიცებლად, რომ არ არსებობს სინდისის თავისუფლების საჭიროება რელიგიური ორგანიზაციების ფარგლებში, კომისიის მიერ გამოყენებული ნებაყოფლობითი ორგანიზაციის მოდელი პრობლემურ ხასიათს იძენს.

### ნებაყოფლობითი მოდელი სხვა კონტექსტებში

იდეა უფლებებზე „ნებაყოფლობით“ უარის თქმისა არარელიგიური ჯგუფების კონტექსტში წარმოშობს სხვა პრობლემებს. კომისიის მხრიდან თავის შეკავება, ჩაერიოს რელიგიის შიდა ორგანიზაციაში არა იმიტომ, რომ რელიგიური ჯგუფები ნებაყოფლობითი ორგანიზაციებია, არამედ იმიტომ, რომ ამგვარი ჩარევა, თავის მხრივ, შეიცავს რისკს, გადაიქცეს შეჭრად ჯგუფის სხვა წევრების რელიგიის თავისუფლებაში, ჯგუფის ერთი წევრის დაცვის მოტივით, შესაძლოა მისაღებადაც ჩაითვალოს. თუმცა ამგვარი მსჯელობა არ გამოდგება იმ კონტექსტში, როცა შეზღუდვები რელიგიის თავისუფლებაზე დაწესებულია არარელიგიური ორგანიზაციების ან ინდივიდების მიერ. ამგვარ საქმეებში კომისიამ მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობის საშუალება არ მისცა მომჩივნებს, რომლებმაც ნებაყოფლობით დაინყეს მუშაობა, დაიკავეს საუნივერსიტეტო ადგილები ან გახდნენ იმ ორგანიზაციის წევრები, რომელთა მიზნებიც წინააღმდეგობაში მოდიოდა მომჩივანთა რელიგიასა თუ რწმენასთან. იმ შემთხვევაში, როცა ინდივიდი არჩევანს ამა თუ იმ ორგანიზაციის წევრობის ან გარკვეული მოქმედების შესრულების სასარგებლოდ აკეთებს და, ამავე დროს, აქვს შესაბამისი სამუშაოსა თუ დაწესებულების დატოვების შესაძლებლობა, მე-9 მუხლი არ ირღვევა, თუკი ორგანიზაციის ან დამსაქმებლის მიერ დადგენილი წესების შესრულება ხორციელდება მათი რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციაში ჩარევის გზით.

ამგვარი შემთხვევის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს სკოლის მუსლიმი მასწავლებლის საქმე, სადაც მომჩივანი დათხოვნილი იქნა სამუშაოდან იმის საფუძველზე, რომ პარასკევს 45 წუთის განმავლობაში დატოვა სკოლა სამუშაო საათებში ადგილობრივ მეჩეთში შუადღის ლოცვაზე დასწრების მიზნით.<sup>271</sup> კომისიამ დაადგინა, რომ მომჩივნის მიერ რელიგიური მოთხოვნების ხსენების გარეშე მასწავლებლის სამუშაო ადგილის მიღებით, მან არჩევანი შემოთავაზებული პირობების (რაც არ მოიცავდა გათავისუფლებას პარასკევს ლოცვებზე დასასწრებად) მიხედვით სამუშაოს შესრულების სასარგებლოდ გადაკეთა. სხვა საქმეში, სადაც ქალმა რელიგიური და ოჯახური მიზეზების გამო გააპროტესტა კვირა დღეს სამუშაო ცვლაში მუშაობა, კომისიის მიერ მიჩნეული იქნა, რომ საჩივარი უსაფუძვლო იყო, ვინაიდან მომჩივანს თავისუფლად შეეძლო სამუშაოს დატოვება, თუკი მისთვის მიუღებელი იყო კვირა დღეს მუშაობა რელიგიური მიზეზებით.<sup>272</sup> ასევე არ იქნა აღმოჩენილი კონვენციის დარღვევა საქმეში, სადაც მუსლიმ სტუდენტს მოსთხოვეს საიდენტიფიკაციო ფოტოსურათის გადაღება თავსაბურავის გარეშე (რაც ეწინააღმდეგებოდა მის რწმენას). კომისიამ დაადგინა, რომ საერო უნივერსიტეტში შესვლით მომჩივანი დათანხმდა განსაზღვრული წესების, მათ შორის იმ მოთხოვნის შესრულებას, რომ თავსაბურავის გარეშე გადაეღო საიდენტიფიკაციო ფოტოსურათი.<sup>273</sup> სამხედრო მოსამართლის შემთხვევაში, რომელიც თანამდებობიდან გაათავისუფლეს ფუნდამენტალისტებთან კავშირის გამო,<sup>274</sup> ისევე როგორც სამხედრო მოსამსახურის საქმეში, რომელიც დისციპლინურ პასუხისგებაში იქნა მიცემული ჩადენილი გადაცდომებისათვის,<sup>275</sup> სასამართლომ და კომისიამ მიიჩნიეს, რომ, როცა მომჩივნები ჩაირიცხნენ არმიის რიგებში, ნებაყოფლობით დაექვემდებარნენ არმიაში არსებულ დისციპლინასა და შინაგანაწესს, რაც, ყველაფერთან ერთად, გარკვეულ შეზღუდვებსაც მოიცავდა მათი რელიგიის თავისუფლებაზე.<sup>276</sup>

ყველა ზემოთ განხილულ საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ მომჩივანთა რელიგიის თავისუფლება და შესაძლებლობა მისი გამოხატვისა არ იქნა დარღვეული, ვინაიდან მათ ჰქონდათ არჩევანის გაკეთების საშუალება. კერძოდ, მომჩივნებს შეეძლოთ შეეცვალებათ ის მდგომარეობა, როცა გართულებული იყო მათ მიერ საკუთარი რელიგიის გამოხატვა. თუმცა კომისიამ არ იმსჯელა იმ სირთულეზე, რაც უმცირესობებისთვის იქმნებოდა ამგვარ სიტუაციებში.<sup>277</sup> მაგალითად, სკოლის მუსლიმი მასწავლებლის საქმეში მომჩივანს არჩევანი ნაკლებად ანაზღაურებად არასრულ სამუშაო დროსა და სამუშაოდან წასვლას შორის უნდა გაეკეთებინა. ნაკლებად სავარაუდოა, ანალოგიური არჩევანის წინაშე დამდგარიყვნენ ინგლისის ქრისტიანი მასწავლებლები, რომელთათვისაც სამუშაო კვირის შედგენა იმგვარად ხდებოდა, რომ კვირა დღე რჩებოდა თავისუფალი. მუსლიმანი ქალის წინაშე, რომელსაც ფოტოსურათის გადაღება თავსაბურავით სურდა, იდგა არჩევანი ორ ალტერნატივას შორის – ან უფასო სახელმწიფო განათლება მიეღო, მაგრამ კომპრომისზე წასულიყო საკუთარი რელიგიური რწმენის წინაშე ან გადაეხადა კერძო განათლების საფასური (თუკი ჰქონდა ამის შესაძლებლობა) და ესწავლა ისეთ გარემოში, სადაც იგი შეძლებდა სრულად გამოეხატა საკუთარი რელიგიური რწმენა.<sup>278</sup> ამგვარ სიტუაციებში კომისია არჩევანის შესაძლებლობასა და გადაწყვეტილების „ნებაყოფლობით“ მიღებაზე საუბრობს ისეთ კონტექსტში, სადაც ნებისმიერი არჩევანი შეიძლება მხოლოდ უსიამოვნო ხასიათისა იყოს. პროფესორი მალკოლმ ევანსი თავის ანალიზში კომისიისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების თაობაზე შენიშნავს, რომ რელიგიის თავისუფლებით სარგებლობა აუცილებელი არ არის განსაზღვრული საზღაურის გაღების გარეშე მოხდეს, თუმცა არ ადასტურებს, რომ საზღაურის ოდენობა უფრო დიდ და მძიმე ხასიათს უნდა ატარებდეს უმცირესობებისთვის, ვიდრე უმრავლესობისათვის, რომლის რწმენისთვის სოციალური სტრუქტურები უფრო უკეთ არის მოწყობილი.

\* \* \*

რელიგიისა და რწმენის გამოხატვის უფლება კონვენციის საფუძველზე რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის ფუნდამენტია ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რა ვიწროდ განმარტეს კომისიამ და სასამართლომ მე-9 მუხლის პირველი ნაწილის პირველი სეგმენტი. ასეთ ვითარებაში, მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვით პრაქტიკაში, სავარაუდოდ, მხოლოდ რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციად აღიარებული ესა თუ ის ქმედება ისარგებლებს. ბოლო წლებში სასამართლო განსაკუთრებით გააქტიურდა სახელმწიფოს წინააღმდეგ გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. მის მიერ აქცენტი ძირითადად ქრისტიანული რწმენის საბაზისო სფეროების დაცვაზე კეთდებოდა, როგორცაა ღვთისმსახურება და პროზელიტიზმი. საჩივრები, რომლებიც ნაკლებად ტრადიციულ მანიფესტაციებს შეეხებოდა, არ იქნა სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღებული, ნაწილობრივ წეს-ჩვეულებების დაცვის შეზღუდული ტესტის განვითარების გამო და ნაწილობრივ იმ დასკვნის საფუძველზე, რომ მომჩივნები ნებაყოფლობით დათანხმდნენ საკუთარი რელიგიისა და რწმენის შეზღუდვას.

აქედან გამომდინარე, კომისიისა და სასამართლოს მიერ რელიგიისა და რწმენის დეფინიციისადმი შემუშავებული შედარებით ლიბერალური მიდგომა მანიფესტაციის სტადიაზე შეიცვალა. ვინაიდან სასამართლომ და კომისიამ იტვირთეს იმის განსაზღვრა, თუ რა არის სავალდებულო კონკრეტული რელიგიისა და რწმენის საფუძველზე და რადგანაც მათ ეს ამოცანა ექსპერტულ მტკიცებულებებზე, საერთაშორისო სტანდარტებსა და მომჩივანთა მოთხოვნებზე დაყრდნობის გარეშე შესასრულეს, ფაქტობრივად რელიგიისა და რწმენის ის კონცეფცია განავითარეს, რომელიც უარყოფს რელიგიისა და რწმენის მათივე ყოვლისმომცველ დეფინიციას. იმის მიუხედავად, რომ კონვენციით აღიარებულია უმცირესობებისა და ინდივიდუალისტურ მორწმუნეთა დაცვა, ეს დაცვა მხოლოდ იმ მანიფესტაციებით შემოიფარგლება, რომლებიც ქრისტიანული რწმენის ანალოგიურია. იმ შემთხვევებშიც, როცა მომჩივნებმა შეძლეს მათ რწმენასა თუ რელიგიაში სახელმწიფოს ჩარევის დამტკიცება, კომისიისა და სასამართლოს მიერ გამოყენებული კონცეფცია რელიგიის ნებაყოფლობით „კლუბად“ განხილვისა, მრავალ მომჩივანს ურთულებდა საჩივრის საფუძველიანობის მტკიცებას. ორივე ტესტი არაპროპორციულ ზეგავლენას ახდენს უმცირესობებზე, რომელთა რელიგიური წეს-ჩვეულებების შესახებ ნაკლებადაა სასამართლოსათვის ცნობილი და რომლებიც ისეთ პირთა მხრიდან, როგორცაა დამქირავებელი, სერიოზულ ზეწოლას განიცდიან, რათა თავი შეიკავონ თავიანთი რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებისგან, დომინანტ კულტურაში მათი უკეთ ასიმილაციის განზრახვით.



## რელიგიისა და რწმენის გამოხატვის შეზღუდვა

მორწმუნეთა გარკვეული რაოდენობისათვის რელიგიისა თუ სინდისის მოთხოვნები აბსოლუტური ხასიათისაა. ზოგიერთი მზადაა, მისდიოს თავისი რელიგიის წესებს კანონის მოთხოვნათა და გამოწვეული შედეგების მიუხედავად, წამებისა და სიკვდილის ჩათვლით.<sup>279</sup> თუმცა ეს სრულებით არ გულისხმობს, რომ სახელმწიფომ ამ ადამიანთა ყოველგვარ გადანყვეტილებას უნდა სცეს პატივი.<sup>280</sup> თუკი რელიგიის თავისუფლებას სახელმწიფო და საზოგადოება აფასებს როგორც ერთ მთლიანს, ვინაიდან იგი პლურალიზმისა და პიროვნული ავტონომიის დამკვიდრებას უწყობს ხელს, სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს უფლება და ვალდებულებაც კი, ჩაერიოს რელიგიის გამოხატვაში, რომ სხვათა ავტონომიისა და საზოგადოებრივი წესრიგის სხვა ასპექტების დაცვა უზრუნველყოს. ერთი მხრივ, ცხადია, რომ რელიგიის თავისუფლების სახელით სახელმწიფო არ არის ვალდებული, შემწყნარებლური დამოკიდებულება გამოიჩინოს ადამიანთა მსხვერპლშენიერვის მიმართ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს კონკრეტული რელიგიის გამოხატვის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს.<sup>281</sup> თუმცა, მეორე მხრივ, ისიც აშკარაა, რომ სახელმწიფომ არ უნდა შეუშალოს ხელი რელიგიის მანიფესტაციას უმიზეზოდ ან მინიმალური საფუძვლების არსებობის პირობებში. მე-9 მუხლის მეორე ნაწილი ცდილობს ურთიერთსაპირისპირო ინტერესების დაბალანსებას ადამიანის რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლებასა და სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესს შორის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ამგვარმა მანიფესტაციებმა უკანონოდ არ ხელყონ საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და წესრიგი, მორალი და სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ, ვინაიდან სასამართლომ და კომისიამ რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციის შეზღუდული ინტერპრეტაცია მოახდინეს, შედეგად, სახელმწიფოთა შესაძლებლობა თავისი ქმედებების მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე დასაბუთებისა ასევე შეზღუდულად უნდა

ყოფილიყო განმარტებული. საქმეთა უმრავლესობაში, რომლებიც განხილვას მე-9 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დაექვემდებარა, მომჩინებელს, ეროუსმიტის ტესტიდან გამომდინარე, უნდა დაემტკიცებინათ, რომ სახელმწიფოს მიერ შეზღუდული ქმედება აუცილებელი იყო მათი რელიგიისა და რწმენისათვის. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ სერიოზული დამოკიდებულება უნდა გამოიჩინოს ამ ვინროდ განსაზღვრული უფლებისადმი და მაღალი სტანდარტი უნდა დააკმაყოფილოს რელიგიის გამოხატვაზე შეზღუდვების დასაბუთების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო და კომისია მზად არიან, დეტალურად განიხილონ სახელმწიფოს ქმედებანი, მაშინაც როცა აშკარა და საერთაშორისო დისკრიმინაციას აქვს ადგილი გარკვეული რელიგიური ჯგუფების წინააღმდეგ, ისინი ზოგადად სახელმწიფოებს ძალზე ფართო სივრცეს ანიჭებდნენ იმის განსაზღვრად, შეზღუდვები რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციაზე აუცილებელი იყო თუ არა. როგორც ჩანს, საქმეთა უმრავლესობაში საკმარისია, სახელმწიფომ აჩვენოს, რომ კეთილსინდისიერად მოქმედებდა და მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე დაასაბუთოს შეზღუდვები რელიგიისა და რწმენაზე.

მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შეზღუდული საზღვრებიდან გამომდინარე, საქმეთა შედარებით მცირე რაოდენობა იქნა გადაწყვეტილი ამავე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. ამ საქმეთა უმრავლესობაში სასამართლო და კომისია არასათანადო ყურადღებას უთმობდნენ მე-9 მუხლის პირველ ნაწილს, სრულიად უგულებელყოფდნენ მას, ან მცირე განმარტებით შემოიფარგლებოდნენ მისი დარღვევის თაობაზე.

### **ევროპული სასამართლოს მიდგომა მე-9 მუხლის პირველი ნაწილისადმი**

#### **ევროპული სასამართლოს უარი მე-9 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე საკითხების განხილვაზე**

რამდენიმე საქმეში კომისიამ არ განიხილა საკითხი იმის თაობაზე, მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედებებით შეიზღუდა თუ არა უფლება რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე, რადგან ეს ქმედებანი ასე თუ ისე დასაბუთებული ხასიათისა იყო მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. ამგვარმა მიდგომამ კომისიას შესაძლებლობა მისცა, თავიდან აეცილებინა რთული საკითხების განხილვა და გაემართლებინა სახელმწიფოს ქმედებანი, ყოველგვარი მითითების გარეშე, თუ რა გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული გარემოებათა ცვლილების შემთხვევაში.

ერთ-ერთი ასეთი საქმეა ჩაპელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,<sup>282</sup> სადაც ბრიტანელმა დრუიდებმა გაასაჩივრეს მთავრობის უფლება, აეკრძალა მათთვის ზაფხულის ბუნიობის რიტუალების შესრულება „სტოუნჰენჯზე“ (უძველესი მეგალითური ნაგებობა). კომისიამ გადაწყვიტა, არ განესაზღვრა, იყო თუ არა დრუიდიზმი რელიგია, თუმცა მიუთითა, რომ, თუკი დრუიდიზმი რელიგიაა, მაშინ მთავრობის ამგვარი ქმედება ქურუმების რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა იყო. კომისიამ, საბოლოო ჯამში, დაადგინა, რომ მე-9 მუხლის პირველი ნაწილის ქვემდებარე საკითხები (მათ შორის ის საკითხიც, დრუიდიზმი რელიგიას წარმოადგენს თუ არა) არ საჭიროებდა განსაზღვრებას, ვინაიდან მთავრობამ წარმოადგინა თავისი ქმედების გამამართლებელი მტკიცებულებანი მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. კერძოდ, მთავრობის არგუმენტს იმ უწესრიგობისა და უკანონობის გამეორების აღკვეთა წარმოადგენდა, რასაც წინა წლებში ჰქონდა ადგილი. კომისია პირდაპირ მე-9 მუხლის მეორე ნაწილის განხილვაზე გადავიდა, ამავე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის განსაზღვრის გარეშე.

ამით კომისიამ თავი აარიდა რელიგიისა და რწმენის განსაზღვრების რთული, თუმცა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას. დრუიდიზმის რელიგიად თუ რწმენად მიჩნევის საკითხის გადაწყვეტაზე აშკარა უარის თქმით კომისიამ ძალზე საკამათო გახადა საკითხი, ყოველგვარი

მითითების გარეშე, როგორც იყო მისი გადანწყვეტა შესაძლებელი. დრუიდები ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ ვერ მიიღეს პასუხი საკუთარი უფლებების საზღვრების და იმის შესახებაც, საერთოდ ჰქონდათ თუ არა უფლებები მე-9 მუხლის საფუძველზე. გაერთიანებული სამეფო ინფორმირებულ იქნა, რომ მისი ქმედებანი გამართლებული იყო, თუმცა კომისიას არ მიუთითებია, რა პოზიციას დაიკავებდა იგი იმ გარემოებათა ცვლილების შემთხვევაში, რაც საფუძველად დაედო მოპასუხის ქმედებათა გამართლებას.

კომისიამ ასევე ივარაუდა მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა საქმეებში, რომლებიც რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციაზე ადამიანის უფლების საზღვრებს შეეხებოდა. საქმეში, სადაც სიქიზმის მიმდევარი ოცჯერ იქნა მსჯავრდებული დამცავი მუზარადის გარეშე მოტოციკლის ტარებისათვის (იგი უარს აცხადებდა იმ მოტივით, რომ მუზარადის დახურვის შემთხვევაში ჩაღმის მოხსნა მოუწევდა), კომისიამ დაადგინა, რომ კანონის მოთხოვნა მოტოციკლის მუზარადის ტარებაზე მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვისათვის.<sup>283</sup> კომისიამ აღარ განიხილა, ამგვარი კანონი წარმოადგენს თუ არა (თუმცა დაშვებული) სიქი მოტოციკლისტების უფლების შეზღუდვას და მხოლოდ შენიშნა, რომ „ნებისმიერი ჩარევა მომჩინის რელიგიის თავისუფლებაში“ კანონიერია. სიქისათვის ჩაღმის ტარების მნიშვნელობის და რელიგიის თავისუფლებაში ამ კანონის ჩარევის საზღვრების დეტალური განხილვის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა იმ კონტექსტის უკეთ ჩამოყალიბება, სადაც კომისიას უნდა განესაზღვრა, არის თუ არა კანონი პროპორციული ან, სულ მცირე, გადაწყვეტილება სიქი მოტოციკლისტის მავალდებულებელი კანონის დასაშვებობის საკითხი სხვა შემთხვევაში, მათ შორის, როცა არ იქნებოდა ამის უკიდურესი სოციალური აუცილებლობა (არსებითი საკითხი ევროპაში რელიგიურ უმცირესობათა მრავალი ჯგუფისთვის, რომელთა მიხედვითაც სავალდებულოა განსაზღვრული რელიგიური სამოსის ტარება).

### **საქმეები, რომლებზეც სასამართლომ მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა დაადგინა**

იმ საქმეებშიც კი, სადაც დადგენილი იქნა მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა, სასამართლოსა და კომისიის დასაბუთება ხშირად ზედაპირულია. მაგალითად, საქმეში *კოკინაკის საბერძნეთის წინააღმდეგ*, სასამართლო მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლა და მიუთითა, რომ ჩარევა პროზელიტიზმში რელიგიის თავისუფლებაზე ადამიანის უფლების დარღვევას წარმოადგენდა.<sup>284</sup> ამის მსგავსად, საქმეში, სადაც ინდივიდი მსჯავრდებულ იქნა იმის გამო, რომ კინოთეატრის გარეთ იდგა და ალკოჰოლური სასმელების მიღებასა და პორნოგრაფიის ყურებას ცოდავად აცხადებდა ხმამაღლა, კომისიამ მხოლოდ შენიშნა, რომ, პირის გასამართლება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის უდავოდ მომჩინის რელიგიისა და რწმენის გამოხატვის უფლების დარღვევის ტოლფასი იყო.<sup>285</sup>

შესაძლებელია იმის მტკიცებაც, რომ კომისიისა და სასამართლოს როლი კონკრეტულ საქმეში არსებული ფაქტების გადანწყვეტით შემოიფარგლება და არ გულისხმობს თეორიულ დისკუსიებში ჩაბმას, რაც შესაბამისი საქმის გადანწყვეტისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენს. თუმცა მე-9 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, საკითხების თუნდაც მოკლე მიმოხილვას სასამართლოსა და კომისიის მიერ რამდენიმე უპირატესობა აქვს. პირველი არის ის, რომ ასეთი მიმოხილვა შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს, არის თუ არა ესა თუ ის ქმედება რელიგიის ან რწმენის მანიფესტაცია კონვენციის საფუძველზე. იმ შემთხვევაშიც, როცა კომისიისა და სასამართლოს მიერ წარმოდგენილი დასაბუთება დეტალური არ არის, უამრავ საქმეში არსებული ფაქტების მიმოხილვის შედეგად, სადაც კონვენციის დარღვევის შემთხვევა იქნა დაფიქსირებული, სულ მცირე, შესაძლებელია უხეში წარმოდგენის შექმნა მე-9 მუხლის პირველი

ნაწილით დაცული ქმედებების შესახებ. მეორე უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი უკეთეს წარმოდგენას უქმნის როგორც მომჩივანს, ისე სახელმწიფოს იმაზე, აქვს თუ არა მომჩივანს უფლება, რომლის განხორციელებაც შეუძლია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს საკმარისად საფუძვლიანი მიზეზი აქვს მის შესაზღუდად, ან არის თუ არა ეს ის სფერო, რომელიც არ ექვემდებარება დაცვას რელიგიის თავისუფლების საფუძველზე და, შესაბამისად, ღიაა მთავრობის მხრიდან რეგულირებისათვის. იმ კონკრეტული გარემოებების ცვლილების შემთხვევაში, რომლებიც ამართლებდა სახელმწიფო შეზღუდვებს, მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა, განსაზღვრონ თავიანთი შესაბამისი უფლებანი და ვალდებულებანი, სასამართლოსა და კომისიისათვის მიმართვის გარეშე.

სავარაუდოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა იყოს სასამართლო და კომისია წინდახედული მე-9 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე საკითხების განუხილველად დატოვებისას, ის არის, რომ მოცემულ დონეზე ხდება მომჩივნის პოზიციაზე აქცენტის გაკეთება. ამგვარმა შემონემა შესაძლოა მორწმუნისათვის სახელმწიფოს მიერ შეზღუდული ქმედებების მნიშვნელობის შემსწინებლის ფუნქცია იტვირთოს და დაეხმაროს მოსამართლეებს, ფოკუსირება სწორედ იმ სიტუაციაზე მოახდინონ, რომელშიც მომჩივანი იმყოფება. მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თაობაზე ყოველგვარი დისკუსიის გარეშე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის განსაკუთრებულმა აქცენტირებამ შესაძლოა არასასურველი შედეგი მოიტანოს, სასამართლოს მხრიდან კანონისა და მისი გამოყენების დასაბუთების თაობაზე სახელმწიფოთა არგუმენტებისადმი შეუსაბამოდ დიდი ყურადღების გამოჩენითა და კონკრეტული მომჩივნისათვის რელიგიის გამოხატვის მნიშვნელობის მხედველობაში ნაკლებად მიღებით.

### **ევროპული სასამართლოსა და კომისიის ზოგადი მიდგომა შემზღუდველი პირობების მიმართ**

როდესაც გადაწყდება ან ჩაითვლება, რომ შეიზღუდა მომჩივნის რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება მე-9 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, აუცილებელია განისაზღვროს, შესაძლებელია თუ არა ამგვარი ჩარევა გამართლებული იქნეს ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით. მე-9 მუხლის მეორე ნაწილი სახელმწიფოებს ავალდებულებს, აჩვენონ, რომ შეზღუდვები „განსაზღვრულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის“. ეს ფორმულირება იდენტურია იმ სტრუქტურისა, რომელიც გამოყენებულია კონვენციით გათვალისწინებული სხვა რამდენიმე უფლების დასაშვები შეზღუდვების განსაზღვრისათვის: მე-8 (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება), და მე-11 მუხლები (მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლება). აქედან გამომდინარე, შედეგის მომცემია იმის მხედველობაში მიღება, თუ როგორ გამოიყენებოდა ეს შემზღუდველი პირობები, ისევე, როგორც რელიგიისა და რწმენის თავისუფლებიდან გამომდინარე სპეციფიკური საკითხების მიმოხილვა.

სასამართლოს მიერ თითოეულ ამ მუხლში ჩამოყალიბებული პირობების ინტერპრეტაციისას მსგავსი მიდგომა იქნა გამოყენებული, თუმცა ეს მუხლები, მსგავსების მიუხედავად, იდენტური არ არის. მე-9 მუხლის შემზღუდველი პირობების ჩამოყალიბება დისკუსიის საგანი იყო კონვენციის შემუშავების პროცესში. ამ საერთაშორისო დოკუმენტის ავტორთა მიერ უარყოფილი იქნა შეხედულება, რომ კონვენციით განსაზღვრული ყველა უფლებისათვის იდენტური პირობები უნდა ყოფილიყო დადგენილი (როგორც საყოველთაო დეკლარაციის

შემთხვევაში). მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საბოლოო ვარიანტი წარმოდგენილ ტექსტებს შორის ყველაზე ვიწრო ხასიათისაა და ამიტომ უფლება რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციაზე ყველაზე ნაკლებ შეზღუდვას ექვემდებარება, სხვა ნებისმიერ უფლებასთან შედარებით. რაც შეეხება რელიგიისა და რწმენის ქონისა და შეცვლის უფლებას, იგი აბსოლუტური ხასიათისაა და საერთოდ არ ექვემდებარება შეზღუდვებს. მიუხედავად ამისა, სასამართლო და კომისია ისე ფართოდ განმარტავდნენ მე-9 მუხლის მეორე ნაწილს, რომ, როგორც ჩანს, პრაქტიკაში ძალზე მცირე სხვაობაა ამ მუხლსა და ნაკლებად შეზღუდულ მე-10 მუხლის მეორე ნაწილს შორის, სახელმწიფოს ქმედებათა შეზღუდვის თვალსაზრისით. მაგალითად, როდესაც პირს მსჯავრი დაედო ნაციისტური საქმიანობისათვის, კომისიამ გააერთიანა მე-9 და მე-10 მუხლებიდან გამომდინარე საკითხები და სახელმწიფოს ქმედებათა გამართლებას საფუძვლად დაუდო ეროვნული უშიშროების მიზნები, ანუ პირობა, რომელიც მე-9 მუხლში ნახსენები არ არის.<sup>286</sup> რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციაზე შეზღუდვების დასაბუთებისას საზღვრების წაშლა სახელმწიფოს ქმედებათა გამართლების სხვადასხვა პირობებს შორის არღვევს სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპს, რომლის თანახმადაც კონვენციით გათვალისწინებული უფლებიდან გამონაკლისები ვინაობა უნდა იქნეს განმარტებული.<sup>287</sup>

### კანონით განსაზღვრული შეზღუდვები

#### ევროპული სასამართლოსა და კომისიის ზოგადი მიდგომა

მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების თანახმად, ამ მუხლებში ჩამოყალიბებული ყველა შეზღუდვა უნდა იყოს „კანონით განსაზღვრული“. მე-8 მუხლში გამოყენებულია ტერმინი „კანონთან შესაბამისობაში“, თუმცა მისი ინტერპრეტირება ზემოთ ხსენებული მუხლების მსგავსად ხორციელდება.<sup>288</sup> ამ მოთხოვნის მიზანია, უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადგილი აქვს შესაბამის სამართლებრივ პროცედურას, ნაწილობრივ დაცვის იმ საპროცესო საშუალებების გამო, რასაც იგი გულისხმობს და ნაწილობრივ კანონის უზენაესობის მოთხოვნის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც თითოეულმა ადამიანმა წინასწარ უნდა იცოდეს კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვები, რათა შეძლოს მათ შესაბამისად მოქმედება.<sup>289</sup> საქმეთა უმრავლესობაში, სადაც, მომჩივანთა მტკიცებით, შეზღუდვები არ იყო კანონით განსაზღვრული (ხოლო მე-9 მუხლთან დაკავშირებულ ყველა საქმეში), წარმოდგენილი იყო კანონი, რომელიც ასე თუ ისე არეგულირებდა შესაბამის სფეროს. აქედან გამომდინარე, მომჩივნები ცდილობენ, აქცენტი გააკეთონ არა უშუალოდ კანონის არარსებობაზე, არამედ შეზღუდვების მიმართ მის ბუნდოვან ხასიათზე.

კანონში, რომელიც ძალზე ბუნდოვანი და ზოგადია, შეიძლება ესა თუ ის შეზღუდვა საკმოდ მკაფიოდ არ იყოს ჩამოყალიბებული იმისათვის, რათა ჩაითვალოს, რომ იგი კანონით განსაზღვრულია. კონვენციით სავალდებულო განსაზღვრულობის დონის გასარკვევად სასამართლომ შეიძუშავა ტესტი, რომელიც ძალზე ლმობიერია სახელმწიფოთა მიმართ:

*პირველ რიგში, კანონი ადეკვატურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს: მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ადეკვატური წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობა შესაბამისი სამართლებრივი ნორმების შესახებ, რომელთა გამოყენებაც კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს. მეორე, ნორმა არ ჩაითვლება „კანონად“, თუკი იგი საკმარისად მკაფიოდ არ არის ფორმულირებული, რათა მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა, მის შესაბამისად დაარეგულირონ საკუთარი ქცევა: მოქალაქეს უნდა შეეძლოს, წინასწარ განჭვრიტოს გონივრულ დონემდე, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ის შედეგი, რაც კონკრეტულ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს. არ არის აუცილებელი, შედეგები აბსოლუტური სანდოობით იყოს პროგნოზირებადი:*

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს მიუღწევადია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სანდოობა ძალზე სასურველია, მას შესაძლოა მოჰყვეს გადაჭარბებული მოუქნელობა, ამიტომ კანონს, ყველაფერთან ერთად, უნდა შეეძლოს, ფეხი აუწყოს გარემოებათა ცვლილებას. შესაბამისად, ბევრი კანონი გარდაუვლად ბუნდოვანი იქნება. ამგვარი კანონების ინტერპრეტაცია და გამოყენება პრაქტიკის საკითხებს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, კანონმა, რომელიც ბუნდოვნად ან ფართოდაა ჩამოყალიბებული, შესაძლოა შეიძინოს საკმარისი განსაზღვრულობა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოებისა თუ დაწესებულებების მიერ ინტერპრეტაციის გზით.

### კანონით განსაზღვრული შეზღუდვები და კონვენციის მე-9 მუხლი

მე-9 მუხლის საფუძველზე განხილულ საქმეებში მომჩივანთა ნაწილი შეეცადა, „კანონით განსაზღვრულობის“ შესახებ მოთხოვნა გამოეყენებინა კონკრეტული საქმის სასამართლო პრეცედენტად გადასაქცევად კანონის კონვენციასთან შესაბამისობის საკითხის უფრო ზოგადად განხილვის მიზნით. ამგვარ შემთხვევებს განსაკუთრებით მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა საქმე ფართოდ შემუშავებულ კანონს შეეხებოდა, რომლის რეგულირების ობიექტს კონკრეტული რელიგიური ქცევა წარმოადგენდა. *კოკინაკისის*<sup>290</sup> საქმეში პროზელიტიზმის ამკრძალავი კანონების, ხოლო *მანუსაკისის*<sup>291</sup> საქმეში ღვთისმსახურების ადგილების რეგულაციის გასაჩივრება ამგვარი შემთხვევების მაგალითებია. თუმცა დღემდე მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეში მომჩივანს არ მიუღწევია წარმატებისთვის იმის გამო, რომ შეზღუდვა არ იყო კანონით გათვალისწინებული. ზოგადად, სასამართლო პირდაპირ მიუთითებდა, რომ სახელმწიფოს ქმედებანი კანონით იყო განსაზღვრული, მიუხედავად ამ მიდგომის მწვავე კრიტიკისა სასამართლოს განსხვავებული მოსაზრებების მქონე სხვა წევრების მხრიდან. და მიიხსნა, *მანუსაკისის* საქმეში სასამართლომ უფრო ფრთხილი დამოკიდებულება გამოიჩინა საკითხისადმი და პირდაპირი გზით არ გამოუხატავს, იყო თუ არა სახელმწიფოს ქმედებანი კანონით გათვალისწინებული.

სასამართლოს ტიპური მიდგომა შეზღუდვის კანონით განსაზღვრულობის საკითხის გადწყვეტისადმი შეიძლება დავინახოთ *კოკინაკისის* საქმეში. აქ მომჩივანმა გაასაჩივრა საბერძნეთის „ანტიპროზელიტიზმური“ კანონი იმის საფუძველზე, რომ პროზელიტიზმის დეფინიცია ძალზე ბუნდოვანი იყო, რის გამოც მისი ქცევის აკრძალვა კანონით არ იყო განსაზღვრული. საბერძნეთის კანონმდებლობაში პროზელიტიზმის ცნების განხილვა იწყებოდა სიტყვით „კერძოდ“ და მოიცავდა სხვათა რწმენებზე „ზემოქმედების“ როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მცდელობას.<sup>292</sup> მომჩივანი ამტკიცებდა, რომ სამართალდარღვევა ძალზე ბუნდოვნად იყო განსაზღვრული იმისათვის, რომ კანონით განსაზღვრულად ჩათვლილიყო. სასამართლო შემადგენლობის უმრავლესობამ მიუთითა, რომ კანონი მართლაც ძალიან ზოგადი იყო, თუმცა ტექსტის ორაზროვნება კომპენსირებული იყო პრეცედენტული სამართლით, რომელიც მოცემულ სამართალდარღვევას გაცილებით დეტალურად განსაზღვრავდა. მათ აღარ მიიღეს მხედველობაში ის გარემოება, რომ, თუ საბერძნეთის სასამართლოებმა მართლა ზუსტად განსაზღვრეს დანაშაული, მაშინ რატომ იქნა დამტკიცებული მომჩივნის მსჯავრდება საბერძნეთის შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო სისტემის ყველა დონეზე. მოსამართლე პეტიტი გაცილებით კრიტიკულად იყო განწყობილი კანონის მიმართ. მისი განცხადებით, კანონი სახიფათოდ ფართო იყო და შესაძლებელი იყო მისი გამოყენება საშუალო იარაღად, განსაკუთრებით ავტორიტარული სახელმწიფოს პირობებში. ეს მოსამართლე თავისი მსჯელობის დადასტურებად „ბრალდების ბუნდოვანი ხასიათისა და კანონებში პროზელიტიზმის ნათელი დეფინიციის ნაკლებობას“ ასახელებდა.

მოსამართლე მარტენსი უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ *კოკინაკისის* მსჯავრდება არა მარტო კონვენციის მე-9, არამედ მე-7 მუხლის (რომლის თანახმადაც არავინ შეიძლება



ალიარებული იქნეს დამნაშავედ ქმედებისათვის, რომელიც არ წარმოადგენდა დანაშაულს იმ დროისათვის, როდესაც იგი იქნა ჩადენილი) დარღვევასაც წარმოადგენდა. მისი განცხადებით, მე-7 მუხლი მოწოდებული იყო, დაეცვა ადამიანები დესპოტური დევნიდან,<sup>293</sup> საბერძნეთის კანონები პროზელიტიზმის შესახებ თვითნებური გამოყენების პოტენციულს შეიცავდა, ვინაიდან პროზელიტიზმის დეფინიცია „სახიფათოდ არაერთმნიშვნელოვანი იყო“. მოსამართლე მარტენსი განსაკუთრებით შემოფოთებული ჩანდა იმით, რომ არსებობდა შევიწროების ინსტრუმენტად კანონის გამოყენების პოტენციური შესაძლებლობა:

*ხარვეზები იმდენად სერიოზულია, რომ რელიგიური შეუწყნარებლობის ატმოსფეროში ამ კანონის მეოთხე მუხლი უზრუნველყოფს სრულფასოვანი და სახიფათო ინსტრუმენტის არსებობას ჰეტეროდოქსული უმცირესობების რეპრესირებისათვის. წარსულში ის უკვე გამოუყენებიათ კიდევ ამგვარი მიზნისათვის და, ამავე დროს, არც აწმყოშია, რბილად რომ ვთქვათ, გამორიცხული ამის გამეორება.*

იგი მიიჩნევდა, რომ ამგვარი კანონების ბოროტად გამოყენების პოტენციური შესაძლებლობა განსაკუთრებით დიდი იყო ევროპაში რელიგიური შეუწყნარებლობის მზარდი ხასიათის გათვალისწინებით. იგი აღიარებდა, რომ ბოლო ხანებში საბერძნეთის სასამართლოები ამ კანონის განმარტებას იმგვარად ცდილობდნენ, რომ შეემცირებინათ მისი არაერთმნიშვნელოვნება, თუმცა ამტკიცებდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებანი არ წარმოადგენდა საკმარის დაცვით საშუალებას, ვინაიდან თავის დროზე, საბერძნეთში რელიგიური შეუწყნარებლობის პირობებში, სასამართლო ხელისუფლებამ რელიგიური უმცირესობების საზიანოდ შეცვალა პრეცედენტული სამართალი. მოსამართლე მარტენსის შემოფოთება გაზიარებული იქნა მოსამართლე რეპიკის მიერ უფრო გვიანდელ საქმეში *ლარისისი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ*,<sup>294</sup> სადაც მან აღნიშნა, რომ *კოკინაკისის* საქმის შემდეგ საბერძნეთის სასამართლოებმა უფრო სუბიექტური მიდგომა შეიმუშავეს პროზელიტიზმის დეფინიციის მიმართ და დაცვის ის გარკვეული საშუალებები, რასაც ადრინდელი გადაწყვეტილებები შეიცავდა, უარყოფილ იქნა მოგვიანებით განხილულ საქმეებში.

უმცირესობაში მყოფი მოსამართლეები, სასამართლო შემადგენლობის უმრავლესობისგან განსხვავებით, მზად იყვნენ, სამართლიანად განემარტათ მოთხოვნა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვების კანონით განსაზღვრულობის შესახებ. ზოგადად, ამგვარი მიდგომა, რომელიც ფოკუსირებას თავდაპირველად საქმიდან გამომდინარე სპეციფიკურ ფაქტებზე ახდენდა, ვიდრე „კანონით განსაზღვრულობის“ უფრო ფართო პრობლემას მიმოიხილავდა, არ იყო სასამართლოსათვის დამახასიათებელი. თუმცა კანონების შედარებით მოცულობითი მიმოხილვის გარკვეული მცდელობა გამოჩნდა *მანუსაკისის*<sup>295</sup> საქმეში. სამართლებრივ ნორმას, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების პირობებშიც იყო მხოლოდ შესაძლებელი ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ადგილების ფუნქციონირება, შეიცავდა სამეფო დეკრეტი, საბერძნეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე. დეკრეტის ტექსტი ითვალისწინებდა რამდენიმე დისკრეციულ უფლებამოსილებას და თითოეული მათგანი საკმარის საფუძველს წარმოადგენდა განცხადებებზე ნეგატიური პასუხის გაცემისათვის. გარდა ამისა, ამ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული იყო ადგილობრივი მართლმადიდებელი ეპისკოპოსის ჩართვა, სხვადასხვა საკითხის, მათ შორის, განსაზღვრულ ადგილას არაერთოდოქსული ღვთისმსახურების ჩატარების საჭიროების გადასაწყვეტად. სხვა საქმეებისგან განსხვავებით, ამ საქმეში სასამართლომ მკაფიოდ არ გამოხატა, რომ შეზღუდვები აკმაყოფილებდა „კანონით განსაზღვრულობის“ ტესტს. უფრო სწორად, სასამართლომ მიუთითა, რომ საჩივრის ეს საფუძველი „უფრო იელოვას მონმების მიმართ ობსტრუქციული დამოკიდებულების ზოგადი პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, ვიდრე კონკრეტულ შემთხვევაში იმ მოპყრობისადმი, რომელთა მსხვერპლიც ისინი

იყვნენ... აქედან გამომდინარე, რეალურად ისინი ადგილობრივ რელიგიატურ კანონმდებლობას ასაჩივრებდნენ. სასამართლომ თავი აარიდა კანონით განსაზღვრულობის საკითხის განხილვას, რადგან რელიგიის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვები კონვენციის შეუსაბამოდ ცნეს სხვა გარემოებების გათვალისწინებით. როგორც ვხედავთ, სასამართლომ არ გააკეთა აშკარად გამოხატული მითითება შეზღუდვების კანონით განსაზღვრულობის თაობაზე და, როცა საქმე შეეხო იმ საკითხის გადაწყვეტას, აუცილებელი იყო თუ არა ამგვარი რეგულაციები დემოკრატიულ საზოგადოებაში, მან დეტალურად შეისწავლა და მიმოიხილა ის გზები, რომლითაც საბერძნეთის ადმინისტრაციული და მარეგულირებელი დაწესებულებები არაორთოდოქსული რელიგიების, განსაკუთრებით იელოვას მონაწილეთა, მიმართ კანონის იყენებდნენ „სასტიკი ან ამკრძალავი“ წესით. პროზელიტიზმის კანონმდებლობის მსგავსად, ამ კანონის შემთხვევაშიც ის, რომ ზოგადად საბერძნეთის სასამართლოები აუქმებდნენ უკანონო მსჯავრდებებს არსებული წესების საფუძველზე, არ იყო საკმარისი რელიგიის თავისუფლების დაცვისათვის.

მიუხედავად ამისა, საქმეში, სადაც სასამართლომ ნათლად გამოხატა შეშფოთება კანონის საზღვრებისა და მისი ბოროტად გამოყენების პოტენციური შესაძლებლობის შესახებ, მაინც უარი განაცხადა, განეხილა საკითხი რელიგიის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვების კანონით განსაზღვრულობის თაობაზე. ამის მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ მომჩივნის მიზანს თვით კანონის სამართლიანობის საკითხის განხილვა წარმოადგენდა, სასამართლომ კი არ ინება ამ თემაზე მსჯელობა. იმისათვის, რომ მოთხოვნამ, რომლის თანახმადაც სამართლებრივი ნორმები საკმარისად ნათლად უნდა იყოს გადმოცემული, რომ შესაბამისმა სუბიექტებმა მის საფუძველზე შეძლონ საკუთარ ქმედებათა დარეგულირება, ეფექტური ხასიათი შეიძინოს გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლო მზად უნდა იყოს, განიხილოს უშუალოდ კანონთან დაკავშირებული საჩივრები. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ უპირველეს ორგანოს უნდა წარმოადგენდეს, იგი მზად უნდა იყოს *კოკინაკის* და *მანუსაკის* მსგავსი საქმეების უფრო ფართოდ განსახილველად, რადგან ამ საქმეებში აშკარაა, რომ სახელმწიფოს მხრიდან რეპრესიული ქმედებანი განხორციელდა კანონის საფუძველზე. სანამ სასამართლო არ გამოიჩინოს სახელმწიფო კანონების გადასინჯვის მზადყოფნას, კანონით განსაზღვრულობის მოთხოვნას არ ექნება დიდი ეფექტი მე-9 მუხლის კონტექსტში.

## **შეზღუდვის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში**

### **სახელმწიფოს როლი აუცილებლობის განსაზღვრაში და მისი დისკრეცია**

თუკი რელიგიასა და რწმენაზე შეზღუდვები კანონით არის გათვალისწინებული, ამის შემდგომ სასამართლო განიხილავს საკითხს, წარმოადგენდა თუ არა „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ეს კანონი ან მისი გამოყენება მე-9 მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის. აუცილებლობის განსაზღვრის ტესტი მოითხოვს დაბალანსებას მთელ რიგ კომპლექსურ ფაქტორებს შორის. საქმეში *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,<sup>296</sup> სასამართლომ შეიმუშავა აუცილებლობის კონცეფცია, რომელსაც დაეყრდნო მომდევნო საქმეებში.<sup>297</sup> მოთხოვნის განმარტებისას სასამართლომ გაიხსენა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა უპირველესი ვალდებულება ადამიანის უფლებათა დაცვისა. კონვენციის თანახმად, ეს ვალდებულება აღიარებულია სხვადასხვა გზით, მათ შორის, მოთხოვნით, რომ მომჩივნებმა უნდა ამოწირონ დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, სანამ ევროპულ სასამართლოს მიმართავენ. აქედან გამომდინარე, სასამართლომ განავითარა მოსაზრება, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებს აქვთ დისკრეციული უფლებამოსილება,

გადანყვიტონ, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, არის თუ არა სავალდებულო ამა თუ იმ უფლებაზე დაწესებული კონკრეტული შეზღუდვები:

საკუთარ სახელმწიფოთა სასიცოცხლო ძალებთან პირდაპირი და განგრძობადი კავშირის გამო, კონკრეტული ქვეყნის ხელისუფალნი საერთაშორისო მოსამართლეზე პრინციპულად უკეთეს პოზიციაში არიან, რათა შეფასება მისცენ წარმოდგენილ მოთხოვნათა ზუსტ შინაარსს, მათ შორის დაწესებული „შეზღუდვის“ ან „სასჯელის აუცილებლობის“ თვალსაზრისით. ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო შენიშნავს, რომ „აუცილებლობა“... არ არის „სავალდებულოს“ სინონიმი, მას არც ისეთი მოქნილობა აქვს, როგორც ტერმინებს „მისაღები“, „ორდინარული“, „სასარგებლო“, „გონივრული“ ან „სასურველი“. თუმცა სწორედ ეროვნული ხელისუფლება არის ის სუბიექტი, რომელმაც უნდა მოახდინოს თავდაპირველი შეფასება ტერმინ „აუცილებლობიდან“ გამომდინარე არსებული რეალობისა, სოციალური საჭიროების თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქვს განსაზღვრული დისკრეცია, მას არ გააჩნია უზომოდ დიდი სივრცე აუცილებლობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე გადაწყვეტილებათა მიღების სფეროში. „შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი დისკრეცია ევროპული ზედამხედველობის მხარდამხარ ხორციელდება“.<sup>298</sup> სასამართლო, ანიჭებს რა მოქმედების განსაზღვრულ თავისუფლებას სახელმწიფოებს, ამავე დროს, ინარჩუნებს საზედამხედველო ფუნქციას. ეს შესაძლოა ართულებდეს კიდევ წინასწარ იმის განსაზღვრის შესაძლებლობას, კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად ფართო შეიძლება იყოს სახელმწიფოთა დისკრეციული უფლებამოსილება. ცალკეული რელიგანტური ფაქტორები სახელმწიფოთა დისკრეციის სიდიდისა, რომელთა აღიარებაც მოხდა კომისიისა და სასამართლოს მიერ, არის კონსენსუსის მაღალ დონეზე ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის.<sup>299</sup> კერძოდ, ზღვარი, რომლის მიღმაც საკითხი მომჩივნის პირად ცხოვრებას შეეხება,<sup>300</sup> უფლების მნიშვნელობა დემოკრატიული და პლურალისტული საზოგადოებისათვის<sup>301</sup> და კონკრეტული საქმის გარემოებები და პირობები.<sup>302</sup>

### დისკრეციული უფლებამოსილება მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეებში

მიუხედავად იმისა, რომ თეორიაში არ არის განსხვავება სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებებს შორის ცალკეული მუხლების მიმართ, მოპასუხე სახელმწიფოები მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეებში არსებული ტენდენციის გათვალისწინებით მოქმედების ფართო საზღვრებით სარგებლობენ. საკუთარ ტერიტორიაზე სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიებთან თავისი არსით სადავო საკითხია. იმის მიუხედავად, რომ ევროპაში, შესაძლოა, ისეთი ღრმა რელიგიური დაყოფა არ არსებობს, როგორც მსოფლიოს სხვა კუთხეებში, თითოეულ ხელშემკვრელ ქვეყანაში რელიგიური სიტუაცია საკმაოდ მრავალფეროვანია. შესაბამისად, ძალზე რთულია სასამართლოსათვის, შეიმუშაოს მე-9 მუხლთან დაკავშირებულ საქმეებში სახელმწიფოთა დისკრეციის დადგენის უნივერსალური ან მასთან მიახლოებული ევროპული კონცეფცია. ოტო პრემინგერის ინსტიტუტის საქმეში,<sup>303</sup> მაგალითად, სასამართლომ მიიჩნია, რომ „შეუძლებელია საზოგადოებაში რელიგიის მნიშვნელობის ერთიანი კონცეფციის შეცნობა... და შესაძლოა ამგვარი კონცეფციები ერთი ქვეყნის ფარგლებშიც კი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.“<sup>304</sup> უინგროუს საქმეში სასამართლომ გაიმეორა ამგვარი მიდგომა და აღნიშნა ის, თუ, სავარაუდოდ, რა მიაყენებს შეურაცხყოფას რელიგიურ ინდივიდებს, განსხვავდება ერთმანეთისგან დროისა და ადგილის გათვალისწინებით და რომ სახელმწიფოები უკეთეს პოზიციაში არიან იმისათვის, რომ განსაზღვრონ, რამდენად არის აუცილებელი შეზღუდვები სიტყვის თავისუფლებაზე სხვათა

რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისგან დასაცავად.<sup>305</sup> აქედან გამომდინარე, სულ მცირე, სხვათა რელიგიური გრძნობების დაცვის მიმართ (რაც ძირითად საკითხს წარმოადგენს მოცემულ საქმეებში), სახელმწიფოებს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება აქვთ.<sup>306</sup>

სასამართლომ მხოლოდ საქმეთა ძალზე მცირე რაოდენობაში ჩათვალა რელიგიის თავისუფლება იმდენად მნიშვნელოვნად, რომ ვინრო დისკრეციის საჭიროება ელიარებინა. მაგალითად, *მანუსაკისის* საქმეში, სადაც საჩივარი საჯარო ღვთისმსახურების თავისუფლებას შეეხებოდა, სასამართლოს განცხადებით, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების განსაზღვრისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს საქმის არსი, კერძოდ, ჭეშმარიტი რელიგიური პლურალიზმის, როგორც დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი განუყოფელი ნიშნის, უზრუნველყოფის აუცილებლობა. ერთ-ერთი ავტორის მიხედვით, სასამართლო და კომისია, სავარაუდოდ, რელიგიურ ქმედებათა პირდაპირი წესით მარეგულირებელ კანონებს უფრო განიხილავენ დეტალურად, ვიდრე იმ ზოგადი დანიშნულებისა და რელიგიურად ნეიტრალურ კანონებს, რომელთა შემთხვევით შედეგსაც წარმოადგენს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვა და სადაც სახელმწიფოს დისკრეცია უფრო ფართო ხასიათისაა.<sup>307</sup>

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩანს, სახელმწიფოს დისკრეცია შედარებით ფართოა მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეებში, მას არა აქვს მინიჭებული სრული თავისუფლება რელიგიის თავისუფლების შემზღუდველი ქმედების აუცილებლობის განსაზღვრის სფეროში. სახელმწიფო უფლებათა შეზღუდვები შეიძლება დანახული იქნეს განსაკუთრებით იმ საქმეებში, რომლებიც რელიგიურ უმცირესობებს შეეხება საბერძნეთში.<sup>308</sup> საბერძნეთი, სავარაუდოდ, იმ წარსულს დაუბრუნდა, რომელიც ევროპულ სახელმწიფოებს შორის კონსენსუსის ყველაზე ნაკლები დონით ხასიათდება, კერძოდ, საკუთარი ეროვნული ეკლესიისათვის ნებისმიერ სხვა ქვეყანაზე მეტი ხელშეწყობისთვის, ისეთი კანონების გამოყენების გზით, რომელიც განსაკუთრებით ურთულეს უმცირესობათა ეკლესიებს საბერძნეთში მოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ არ ინება საბერძნეთის არც ერთი კანონის მე-9 მუხლის დარღვევად აღიარება, სახელმწიფოს ქმედებანი, მოცემული კანონების საფუძველზე, ადამიანების სამართლებრივი დევნის განხორციელების სახით, არ იქნა მის მიერ მიჩნეული აუცილებლობად დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლოს ამგვარი დამოკიდებულება გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ არც ერთ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში არ იქნა გამოყენებული ისეთი უკიდურესი ზომები იელოვას მოწმეების მიმართ, როგორც საბერძნეთში.

### პროპორციულობის პრინციპი

საკითხის გადაწყვეტისას, წარმოადგენს თუ არა შეზღუდვები „აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლო (წარსულში კომისიაც) ასევე მხედველობაში იღებს, იყო თუ არა კანონი ან მისი გამოყენება „პროპორციული“ კონკრეტულ შემთხვევაში. პროპორციულობის ტესტის დაკმაყოფილების დადგენისას სასამართლო და კომისია არკვევენენ ხომ არ იყო გადაჭარბებული „მომჩინისათვის მიყენებული ზიანი მთავრობის ლეგიტიმურ მიზანთან შედარებით“.<sup>309</sup> ამის განსაზღვრა დიდადაა დამოკიდებული საქმის კონკრეტულ ფაქტებსა და სასამართლოს მიერ უფლების მნიშვნელობისა და შეზღუდვების სიმკაცრის აღქმაზე. მაგალითად, საქმეში *ლარისისი საბერძნეთის წინააღმდეგ*,<sup>310</sup> სამხედრო ოფიცერთა ჯგუფის მსჯავრდება მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირის თავიანთ რწმენაზე გადმოპირების (პროზელიტიზმის) მცდელობის ბრალდებით, პროპორციულად იქნა მიჩნეული სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის აღკვეთასთან მიმართებაში. თუმცა იმავე პირთა გასამართლება პროზელიტიზმისათვის სამოქალაქო პირის მიმართ არაპროპორციულად იქნა

მიჩნეული. ამ საქმეში სასამართლომ მიიღო არგუმენტი, რომ პროზელიტიზმის ნებისმიერი მცდელობა უფროსი ოფიცრების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს, მიუხედავად მოსამართლე ვან დიჯკის განსხვავებულ აზრში მოყვანილი არგუმენტისა, რომელიც სწორედ ამგვარ აბსოლუტურ მიდგომას მიიჩნევდა არაპროპორციულად. მისი შეხედულებით, ამგვარ საქმეებში უნდა ემოქმედა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების პრეზუმფციას, თუმცა იგი უარყოფადი უნდა ყოფილიყო. მოსამართლის თვალსაზრისით, ამ კონკრეტულ საქმეში ეს პრეზუმფცია უარყოფილი იყო ერთ-ერთი უმცროსი ოფიცრის მიმართ, რომლის მტკიცებითაც, მასზე ზენოლა არ განხორციელებულა და იგი ნებაყოფლობით გახდა ორმოცდაათიანელთა ეკლესიის წევრი.

აშკარაა, რომ პროპორციულობის ცნება ყოველთვის იქნება შემდგარი განსაზღვრული სუბიექტური ელემენტებისგან და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული კონტექსტზე. სასამართლოს არასოდეს ჰქონია ნათლად ჩამოყალიბებული პოზიცია პროპორციულობის იდეის მიმართ. როლი, რომელსაც იგი ასრულებს მე-9 მუხლის იურისპრუდენციაში, გარკვეულწილად ბუნდოვანია. სასამართლოსათვის საკმაოდ მოგებიანია კონკრეტულ საქმეში ამა თუ იმ კანონის გამოყენების არმიჩნევა აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში თვით ამ კანონის ხელშეუხებლობის ხელყოფის გარეშე. ამგვარი მიდგომა სასამართლომ გამოიყენა კოკინაკისის საქმეში, სადაც აშკარად გაამართლა ანტიპროზელიტიზტური კანონების არსებობა, თუმცა დაადგინა, რომ მომჩივნის მსჯავრდება მათ საფუძველზე არ იყო აუცილებელი სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.<sup>311</sup> მოსამართლე მარტენსმა მოცემულ საქმეში პროპორციულობის იდეისადმი გაცილებით უფრო საღი მიდგომა შეიმუშავა და გააკრიტიკა სასამართლოს გადაწყვეტილება იმ გადაწყვეტი საკითხისადმი ზერელე დამოკიდებულებისათვის, ჰქონდა თუ არა სახელმწიფოს პროზელიტიზმის დანაშაულად აღიარების უფლება მე-9 მუხლის საფუძველზე.<sup>312</sup> მოსამართლე პეტიტმა ასევე დაასკვნა, რომ ზოგადი სისხლისსამართლებრივი კანონის გამოყენება ამ მიზნის მისაღწევად არაპროპორციული იყო.<sup>313</sup> ამავე დროს, იგი აღიარებდა, რომ მთავრობები ვალდებული არიან, დაიცვან განსაკუთრებულად დაუცველი ინდივიდებისგან შემდგარი მცირე ჯგუფები (მათ შორის, არასრულწლოვნები და ფსიქიკურად დაავადებულნი), რისი გაკეთებაც ძალზე სპეციფიკური კანონმდებლობითაა შესაძლებელი. სხვა შემთხვევაში პროზელიტიზმი ისეთი კანონდარღვევა იქნებოდა, როგორცაა, მაგალითად, „განსაცდელში მყოფ პირთა დაუხმარებლობა ან განზრახ თუ გაუფრთხილებლად ზიანის მიყენება“. ბუნდოვნად ჩამოყალიბებული კანონი, რომელიც პროზელიტიზმის *per se* კრიმინალიზაციას ახდენდა, არ იყო მცირერიცხოვანი დაუცველი ინდივიდების დაცვის მიზნის პროპორციული.

სასამართლო შემადგენლობის უმრავლესობამ არც ერთი ზემოთ განხილული არგუმენტი არ მიიღო მხედველობაში. ისინი იმ პოზიციიდან ამოვიდნენ, რომ პროზელიტიზმი შესაძლოა უკანონო ხასიათს ატარებდეს, ვინაიდან შეიძლება ხელყოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, და მივიდნენ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, პროზელიტიზმი დანაშაულად აღიაროს. ამის მიუხედავად, აუცილებელი არ არის მოცემული მიდგომის გაზიარება. სავსებით შესაძლებელია სავარაუდო ზიანის თავიდან აცილება სპეციალურად ამა თუ იმ რელიგიური ქმედების, მათ შორის პროზელიტიზმის, დარეგულირების მცდელობის გარეშე. მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეებში პროპორციულობის ტესტის გამოყენება შესაძლებელია დღის წესრიგში დემოკრატიულ საზოგადოებაში ამა თუ იმ კანონის (განსაკუთრებით იმ კანონის, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს) აუცილებლობის საკითხის დასაყენებლად. ჯერჯერობით, მე-9 მუხლის კონტექსტში, სასამართლოს არ გამოუჩენია პროპორციულობის დოქტრინის გავრცობის ნება ფაქტობრივ/კონ-



ტექსტუალური მიდგომის ფარგლებს გარეთ, რომელიც, თავის მხრივ, კანონს კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებდა. მაგალითად, არ გამოუყენებია პროპორციულობის ის გაგება, რომელიც დასვამდა საკითხს, შეიძლება თუ არა რელიგიისა და რწმენის თავისუფლებისადმი კანონების შემუშავება ნაკლებად შემზღვეველი სახით, კანონმდებლობის ერთიანი მიზნისადმი ზიანის მიყენების გარეშე.

### ლეგიტიმური მიზანი

რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლებაზე დანესებული ნებისმიერი შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში „საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის“. შესაბამისად, სახელმწიფოების მხრიდან იმის მტკიცება, რომ მათი ქმედებანი აუცილებელი იყო ამა თუ იმ სახელმწიფო ინტერესის დაცვისათვის, არ არის საკმარისი. მათ უნდა აჩვენონ, რომ შესაბამის შემზღვეველ ქმედებას „ლეგიტიმური მიზანი“ ჰქონდა. მაგალითად, კანონს, რომლის მიზანია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, აქვს ლეგიტიმური მიზანი რელიგიისა და რწმენის მანიფესტაცი-აზე შეზღუდვების გამართლებისათვის. მეორე მხრივ, კანონს, რომელსაც მეცნიერული ცოდნის გაღრმავების მიზანი აქვს, ლეგიტიმური მიზანი არ გააჩნია. გარდა ამისა, სულ მცირე, თეორიაში ეროვნული უშიშროების მსგავსი შემზღვეველი პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მე-9 მუხლით, თუმცა მოხსენიებულია სხვა მუხლებში, არ შეიძლება ლეგიტიმურ მიზნად იქნეს მიჩნეული, რელიგიის თავისუფლებაზე შეზღუდვების დანესებისათვის.<sup>314</sup> სასამართლომ არ დააკმაყოფილა სახელმწიფოთა მოთხოვნები, რომლებსაც განსაზღვრული შეზღუდვების საფუძვლად გარკვეულ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული და ისტორიული კავშირი მოჰყავდათ.<sup>315</sup> სასამართლომ დეტალურად არ განიხილა საკითხი, თუმცა მისი უარი ამ მიზანთა ლეგიტიმურობის აღიარებაზე ნათლად მეტყველებს სასამართლოს მხრიდან იმის დადასტურებაზე, რომ მიზეზები რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე შეზღუდვების დანესებისათვის მე-9 მუხლის მეორე ნაწილით შემოიფარგლება.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იმის გადასაწყვეტად, აქვს თუ არა კანონს ლეგიტიმური მიზანი, არის ის საზღვრები, რომელთა ფარგლებშიც სასამართლო და კომისია მზად არიან, მისაღებად მიიჩნიონ სახელმწიფოთა მტკიცებანი. მაგალითად, საქმეში *კოკინაკის საბერძნეთის წინააღმდეგ*,<sup>316</sup> უმრავლესობას მიაჩნდა, რომ პროზელიტიზმის შესახებ კანონს ჰქონდა საბერძნეთის მთავრობის მიერ მტკიცებადი მიზანი იმ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სახით, რომლებიც, შესაძლოა, პროზელიტიზმის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ. მოსამართლე მარტენსი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა სახელმწიფოს იმ ქმედების გამართლების საკითხს, რომელიც პროზელიტიზმისგან სხვათა „დაცვის“ მცდელობას წარმოადგენდა. მარტენსის შეხედულებით, სახელმწიფოსათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვინმე შეინარჩუნებს თუ შეიცვლის საკუთარ რელიგიას. უმრავლესობამ არ გამოიკვლია მოცემული საკითხი და არც მოსამართლე პეტიტის მოსაზრება მიიღო მხედველობაში, რომლის მიხედვითაც კანონის მიზანი „სახელმწიფოსათვის პროზელიტორის დასჯის მიზნით განსაზღვრული პიროვნების სისუსტის შეფასების მითვისების შესაძლებლობის მიცემა იყო, რაც სახიფათოა, განსაკუთრებით, ავტორიტარული სახელმწიფოს მხრიდან მისი გამოყენების შემთხვევაში“.<sup>317</sup> უმრავლესობამ ასევე არ განიხილა მომჩივნის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლის თანახმადაც, ზოგადი ხასიათის კანონები, რომლებიც, ერთი შეხედვით, არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული, სინამდვილეში მართლმადიდებელი უმრავლესობის მიერ რელიგიური უმცირესობების რეპრესირების საშუ-



ალეზად გამოიყენებოდა. ეს მტკიცებულება საკმაოდ დამაჯერებელი ჩანდა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის არც ერთი წევრი არ იქნა მსჯავრდებული ამ კანონების საფუძველზე, მაშინ, როცა 1975-დან 1992 წლამდე იელოვას 4400 მონმე იქნა დაკავებული, მათგან 1233 – სასამართლოს მიერ გასამართლებული, საიდანაც 208 – ზემოსწინებული კანონმდებლობის საფუძველზე.<sup>318</sup> ამ სტატისტიკის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, სასამართლომ გაცილებით კრიტიკულად უნდა განიხილოს საბერძნეთის კანონმდებლობის მიზნების თაობაზე მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების და-საბუთებულობის საკითხი.

სასამართლომ მხრიდან სახელმწიფოთა არგუმენტაციის დასაბუთებულობის დეტალური გამოკვლევის (არის თუ არა იგი მხოლოდ გარეგნული ხასიათისა) მიმართ სურვილის არგამოჩენის მიზეზები საკმაოდ ნათელია: სახელმწიფოს უკეთ უნდა ჰქონდეს გააზრებული, ვიდრე სასამართლოს, თუ რატომ მიიღეს მოცემული კანონი და თუ ეს უკანასკნელი ეჭვქვეშ დააყენებს სახელმწიფოს მხრიდან გაცხადებულ მიზანს, ეს ფაქტობრივად არაკეთილსინდისიერებასა და სიცრუეში საბერძნეთის დადანაშაულება იქნება.<sup>319</sup> აქედან გამომდინარე, სასამართლო ამჯობინებს, აღიაროს კანონის საფუძველად სახელმწიფოს მხრიდან მტკიცებადი ლეგიტიმური მიზნის არსებობა. თუმცა გასაგებია, რომ ამგვარი მიდგომა ზოგჯერ სასამართლოს მოქმედების საშუალებას ართმევდა, როდესაც საქმე ისეთ კანონს შეეხებოდა, რომელსაც არალეგიტიმური მიზანი ჰქონდა. დღესდღეობით მიზნის ლეგიტიმურობის ტესტი, მე-9 მუხლის კონტექსტში მაინც, იმდენად სუსტია, რომ ძალზე მცირე ზენოლის მოხდენა შეუძლია სახელმწიფოებზე. ამ უკანასკნელთ კი საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტის წარმოდგენა შეუძლიათ იმის უბრალო გაცხადებით, რომ კანონის მიზანი შეესაბამება მე-9 მუხლის მეორე ნაწილში მოყვანილ ერთ-ერთ პირობას.

პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სასამართლო და კომისია ხშირად არასაკმარისად მკაფიოდ ავლენდნენ საზღვრებს დასაშვებ შეზღუდვათა სხვადასხვა ტიპებს შორის. განსაკუთრებით ადრინდელ საქმეებში კომისია ხშირ შემთხვევაში უბრალოდ ჩამოთვლიდა შეზღუდვის სხვადასხვა სახეს (მაგალითად, საზოგადოებრივი წესრიგი და სხვათა უფლებები) და აცხადებდა, რომ სახელმწიფოთა ქმედებები აუცილებელია ამ მიზეზთა გამო, თავისი პოზიციის ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. ჩაპელის საქმეში კომისიამ დაასკვნა, რომ გადაწყვეტილება „სთოუნჰენჯის“ დახურვის თაობაზე აუცილებელი იყო საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის“.<sup>320</sup> „ან“ სიტყვის გამოყენება, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ თვით კომისიამაც ვერ დაადგინა საბოლოოდ, რისი დამტკიცება შეძლო სახელმწიფომ.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია ერთზე მეტი მიზეზი არსებობდეს იმისათვის, რომ შეზღუდვა მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე იყოს აუცილებელი. რელიგიური მსვლელობა, რომელიც, სავარაუდოდ, მასობრივ არეულობასა და რელიგიათა შორის შუღლის გაღვივებას გამოიწვევს, შესაძლებელია აიკრძალოს საზოგადოებრივი წესრიგის (მასობრივი არეულობის აღსაკვეთად), საზოგადოებრივი ჯანმრთელობის (იმ პირთა ჯანმრთელობის დასაცავად, რომლებიც, სავარაუდოდ, დაშავდებიან საზოგადოებრივი წერიგის დარღვევის შემთხვევაში), სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების (იმ პირთა დასაცავად, რომლებიც შესაძლოა დაზარალდნენ საკუთარი რწმენისა თუ რელიგიის გამო, ან რომელთა კუთვნილ ნაგებობებსაც შესაძლოა მიადგეს ზიანი) დასაცავად. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე შეზღუდვების დაწესების შესაძლო საფუძველების უბრალო ჩამოთვლა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, თუ რატომ მოხდა ამა თუ იმ

შემთხვევაში მათი გამოყენება, და მომჩივანთა იმ უფლებებზე მიუთითებლად, რომელთა ხარჯზეც მოხდა მათი დაბალანსება, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სახელმწიფოთა ინტერესებს გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე პიროვნების უფლებებს. ეს მიდგომა ასევე სპობს განსხვავებას ლეგიტიმური მიზნის მქონე კანონსა და იმ კითხვას შორის, იყო თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში კანონის გამოყენება აუცილებელი და პროპორციული.

## რელიგიისა და რწმენის გამოხატვის შეზღუდვის საფუძვლები

### საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა

რელიგიური რწმენის მანიფესტაციებმა შესაძლებელია ნამდვილი მღელვარება გამოიწვიოს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის თვალსაზრისით. არის ტენდენცია რელიგიასა და რწმენაზე დაწესებული შეზღუდვების გამართლებაზე მოცემული ორი სახის ერთ, „საზოგადოებრივი უსაფრთხოების“ ცნებაში გაერთიანებისა. თავის მხრივ, საზოგადოებრივი უსაფრთხოება ძალზე იშვიათად ყოფილა გამოყენებული ერთადერთ საფუძვლად რელიგიისა და რწმენის გამოხატვის შეზღუდვების გამართლებისათვის. უდავოა, რომ არსებობს აშკარა საჭიროება საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეზღუდვების დაწესების ნების დართვისა, ვინაიდან ზოგიერთი რელიგიური ჯგუფი შესაძლოა ჩართული იყოს ძალადობის პროვოცირებასა და ორგანიზებაში.<sup>321</sup> ამგვარი ზომები ასევე აუცილებელია საზოგადოებებში, სადაც ანტიგონიზმი და შეუწყნარებლობა სუფევს სხვადასხვა რელიგიურ დაჯგუფებებს შორის და სადაც რელიგიის გამოხატვა შესაძლოა რელიგიებს შორის შუღლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის კერად გადაიქცეს.<sup>322</sup>

მიუხედავად ამისა, არსებობს საფრთხე საზოგადოებრივი წესრიგისათვის აუცილებელი შეზღუდვის ძალზე ფართო ინტერპრეტირებისა, რაც სახელმწიფოებს მისცემს შესაძლებლობას, ნებისმიერ დროს ჩაერიონ რელიგიის გამოხატვაში, როცა იგი შემანუხებელი და გამაღიზიანებელი გახდება ხელისუფლებაში მყოფი პირებისათვის.<sup>323</sup> მაგალითად, კომისიამ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ჰქონდა საზოგადოებრივი წესრიგის გამამართლებელ გარემოებად გამოყენების უფლებამოსილება იმ პირის გასამართლებისთვის, რომლის ქმედებაც „საზოგადოებრივ აღშფოთებას“ იწვევდა – ეს სტანდარტი კონვენციაში ჩამოყალიბებულზე უფრო დაბალია.<sup>324</sup> ამის მსგავსად, ბევრი ავტორი შეზღუდვებს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვისათვის „საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე შეზღუდვებს“ უწოდებს. ეს ტერმინი გაცილებით ფართო ხასიათისაა, ვიდრე კონვენციაში გამოყენებული ორი უფრო ზუსტი ცნება.

ერთ-ერთი სფერო, სადაც გამამართლებელ გარემოებად ხშირად გამოიყენებოდა საზოგადოებრივი წესრიგი, არის პატიმართა საქმეები.<sup>325</sup> ამ საქმეებში მიჩნეული იქნა, რომ დახურული და იზოლირებული ციხის საზოგადოება ხასიათდება „საზოგადოებრივი წესრიგით“.<sup>326</sup> ეს შესაძლოა შევადაროთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიდგომას, რომ პატიმრები, „სრული მოცულობით აგრძელებენ რელიგიისა და რწმენის გამოხატვის უფლებით სარგებლობას იმ დონემდე, რაც შეესაბამება თავისუფლების აღკვეთის სპეციფიკურ ბუნებას“.<sup>327</sup>

რელიგიის გამოხატვაზე პატიმრის უფლების შეზღუდვის აუცილებლობისათვის მნიშვნელოვანი არგუმენტის მაგალითს წარმოადგენს საქმე *ჩაილდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.<sup>328</sup> მომჩივანი ამ საქმეში იყო არაერთი მკვლევლობისათვის გასამართლებელი პატიმარი, რომელმაც რამდენიმე პატიმრის წინააღმდეგ მისცა ჩვენება და, აქედან გამომდინარე, შეეძლო ციხეში არეულობის გამოწვევა. იგი განმარტოებულ საკანში იხდიდა სასჯელს და არ რთავდნენ ნებას,

დასწრებოდა კაპელანის წირვას. ციხის დირექტორი დარწმუნებული იყო, რომ პატიმრის წირვაზე დასწრება წესრიგის დარღვევას გამოიწვევდა. ამგვარ საქმეში შესაძლებელია დანახული იქნეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის გამიზნული შეზღუდვების რელევანტურობა. პატიმარს, რომელიც მხოლოდ საშიში დამნაშავე კი არ არის, არამედ მისდამი სხვა პატიმართა მხრიდან მტრული დამოკიდებულებაც არსებობს, შეუძლია სერიოზული უწესრიგობა გამოიწვიოს ციხეში და საფრთხე შეუქმნას როგორც თავის, ისე სხვათა (მაგალითად, საპატიმროს დაცვის წევრთა ჯანმრთელობას, რომელთაც მოუწევთ ამ პატიმრის დაცვა სხვათა შემოტევებისაგან) ჯანმრთელობას, თუკი ღვთისმსახურებას დაესწრება. გარდა ამისა, კომისიამ მიუთითა, რომ პატიმართან რეგულარულ ვიზიტებს ახორციელებდა კაპელანი და მას ჰქონდა შესაძლებლობა, დასწრებოდა განსაზღვრული ტიპის რელიგიურ მსახურებას.<sup>329</sup> შესაბამისად, გაერთიანებულმა სამეფომ შეძლო დაემტკიცებინა, რომ ყველანაირად ცდილობდა, დაეცვა მომჩივნის რელიგიის თავისუფლება არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

სხვა საქმეები, რომელთა არსიც ციხის კონტექსტში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მდგომარეობდა, ნაკლებად დამაჯერებელია. ერთ-ერთ ამგვარ საქმეში ციხის ადმინისტრაციის უარი ჟურნალისტთან პატიმრის შეხვედრაზე გამართლებული იქნა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობით, თუმცა არ გაკეთებულა ნათელი მინიშნება იმის თაობაზე, შეხვედრა არეულობას ციხის შიგნით გამოიწვევდა თუ ფართო საზოგადოებაში.<sup>330</sup> კომისიას საკუთარი დასკვნა არ განუმარტავს. სხვა საქმეში ბუდისტი პატიმარი ამტკიცებდა, რომ არ ჰქონდა შესაძლებლობა, სრული მოცულობით გამოეხატა თავისი რელიგია, მათ შორის, მოეშვა წვერი და მონაწილეობა მიეღო ერთობლივ ლოცვაში.<sup>331</sup> ამ საქმეში კომისიამ უარყო შეზღუდვის დანესებით კონვენციის დარღვევა, იმ მოტივით, რომ ეს აუცილებელი იყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის. უარი წვერის მოშვებაზე ეფუძნებოდა არგუმენტს მომჩივნის იდენტიფიკაციის საჭიროებაზე (მოთხოვნა, რომელიც განსაკუთრებით უცნაურია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მომჩივანი ერთადერთი პატიმარი იყო ციხეში, რომლის რელიგიითაც აუცილებელი იყო წვერის მოშვება). რაც შეეხება უარს ერთობლივი ლოცვის ჩატარებაზე, ნაწილობრივ იგი ეფუძნებოდა ზრუნვას პატიმრის ჯანმრთელობაზე, ხოლო ნაწილობრივ – ციხის დისციპლინას. ამის მსგავსად, პატიმარს, რომელსაც სურდა თანამოაზრე მორწმუნეებთან კომუნიკაცია ბუდისტურ გაზეთში სტატიების პუბლიკაციით, უარი უთხრეს ამ მოთხოვნაზე ციხის ადმინისტრაციისათვის დამატებითი ადმინისტრაციული პრობლემების შექმნის გამო.<sup>332</sup> ამ საქმეებში წარმოდგენილი ციხის სასტიკი დისციპლინის აუცილებლობაზე დამყარებული ამკარად ბანალური არგუმენტები, კომისიის გადაწყვეტილებით, ამართლებდა მოპასუხეებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ადმინისტრაციის ქმედებანი საჭირო იყო საზოგადოებრივი წესრიგის ან უსაფრთხოების დასაცავად.

ციხის კონტექსტის ფარგლებს გარეთ, საზოგადოებრივი წესრიგი რამდენიმე საქმეში იყო რელევანტური და, პატიმართა საქმეების მსგავსად, ხშირად იგი გამოყენებულა არა როგორც ერთადერთი, არამედ როგორც შეზღუდვების გამამართლებელი რამდენიმედან ერთ-ერთი გარემოება. სფერო, სადაც საზოგადოებრივი წესრიგი ასევე ფიგურირებდა, არის სახელმწიფო დაგეგმარება. საქმეში *ISKCON გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,<sup>333</sup> ადგილობრივი დაგეგმარების კანონები გამოყენებული იქნა ინდუისტური ტაძრის სანინაალმდეგოდ, რომელიც აიგო მწვანე ზონის მიდამოებში, პატარა სოფლის ახლომახლო. დაგეგმარების კანონები ზღუდავდა ტაძრის გამოყენების გზებსა და ტაძარში მიმსვლელთა რაოდენობას. თანდათანობით ტაძრის სტუმრებმა გადააჭარბეს დაშვებულ რაოდენობას, რამაც გარკვეული პრობლემები შეუქმნა სოფელს. გაერთიანებული სამეფოს მტკიცებით, მისი მოქმედებანი მიმართული იყო „სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების“ – ამ შემთხვევაში, სოფლის მოსახლე-

ობის უფლებების – დაცვისკენ. სასამართლო დაეთანხმა მოპასუხეს და დამატებით მიუთითა, რომ არსებობდა შეზღუდვების გამამართლებელი სხვა გარემოებაც. ამ გარემოების მიხედვით, კანონები გამიზნული იყო „საზოგადოებრივი წესრიგისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის... დაგეგმარების კანონმდებლობა ზოგადად აუცილებლად არის მიჩნეული თანამედროვე საზოგადოებაში, უკონტროლო მშენებლობების აღკვეთის მიზნით“. მანუსკაისის საქმეშიც,<sup>334</sup> სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ კანონების არსებობა, რომლებიც მთავრობის ნებართვას მოითხოვდა ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ადგილების დასაფუძნებლად, გამართლებული იყო საზოგადოებრივი წესრიგის საფუძველზე, ვინაიდან ისინი შესაძლებლობას აძლევდნენ სახელმწიფოს, სათანადო ნებართვის გაცემამდე დარწმუნებულიყო, რომ რელიგიური ასოციაცია არ იყო ზიანის მომტანი საქმიანობით დაკავებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საზოგადოებრივი წესრიგი შესაძლებელია ხშირად იქნეს გამოყენებული დაგეგმარების კანონებით გათვალისწინებული შეზღუდვების გასამართლებლად. ეს ის სფეროა, სადაც სასამართლომ ცხადად მოახდინა სახელმწიფოს ფართო დისკრეციის დემონსტრირება.<sup>335</sup>

*ISKCON*-ის გაკრიტიკებულ საქმეში წარმოდგენილია სფეროები, სადაც საზოგადოებრივი წესრიგი, როგორც გამამართლებელი გარემოება, შესაძლოა რელევანტური იყოს. იმის გაუთვალისწინებლად, თუ რამდენად შეძლო კომისიამ ამა თუ იმ საქმეში სათანადო ბალანსის პოვნა, არსებობს საჭიროება, რომ დაცული იქნეს სოფელი, რომელიც ათასობით სტუმარს იღებს და არ გააჩნია მათი მომსახურების ადეკვატური შესაძლებლობანი. ამ შემთხვევაში დაცვის შესაბამის საშუალებებად შესაძლებელია ჩაითვალოს რელიგიური პროცესიების დაქვემდებარება საზოგადოებრივი პროცესებისათვის დამახასიათებელი შეზღუდვებისადმი, ან მოთხოვნა რელიგიური მსახურების ჩატარებისა, ღვთისმსახურების ადგილთან ახლოს მცხოვრებთა მიმართ პატივისცემის გამოჩენის გზით. დღის წესრიგში კვლავ დგება პროპორციულობის საკითხი და მთელი რიგი კომპლექსური და განსაზღვრულ დონემდე განუზომელი ფაქტორების შეფასების აუცილებლობა მნიშვნელოვან სირთულეებს იწვევს. მაგალითად, ძალზე ძნელია იმის მტკიცება, რომ არსებობს ობიექტური გზა იმ ხალხის ნუხილის დაბალანსებისა, რომელთაც აღვიძებს მუსლიმის ხმამაღალი მონოდება ლოცვისაკენ, რელიგიის თავისუფლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. ამგვარი ფაქტორების დაბალანსებასთან დაკავშირებულ საკითხებს იმ არგუმენტისაკენ მივყავართ, რომ უმჯობესია ამ სფეროში გადაწყვეტილებების გამოტანა შიდასახელმწიფოებრივ ხელისუფლებას მივანდოთ. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, ამგვარ საქმეში სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ლოგიკური დასაბუთება არ უნდა წარმოადგენდეს კომისიის დეტალური მიმოხილვის საგანს. სახელმწიფო დაგეგმარების ინტერესი ლეგიტიმურია და, სავარაუდოდ, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების პირობის შესაბამისია, თუმცა, ამის მიუხედავად, კომისიას ნაკლებად აქვს გააზრებული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს ინტერესი არ არის უპირატესი ხასიათის.

პროპორციულობის მოთხოვნას წარმოადგენს ბალანსის პოვნა საზოგადო ინტერესსა და კონკრეტულ უფლებებს შორის, თუმცა, საზოგადოებრივი წესრიგიდან და უსაფრთხოებიდან გამომდინარე, შეზღუდვებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას კომისია უფრო სახელმწიფო პოლიტიკის თაობაზე მთავრობის მოთხოვნების გამართლების პოვნით იყო დაინტერესებული, ვიდრე რელიგიის თავისუფლებაზე დაწესებულ შეზღუდვებთან მისი შედარებით. საზოგადოებრივი უსაფრთხოება და წესრიგი, განსაზღვრულ კონტექსტებში, შესაძლოა გამართლების მთავარ გარემოებას წარმოადგენდეს, ადამიანთა სიცოცხლის დაცვის და საზოგადოებრივი უწესრიგობის გავრცელების აღკვეთის მიზნით, რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე შეზღუდვების დაწესების თვალსაზრისით. თუმცა სხვა კონტექსტებში, როგორცია

ციხე და დაგეგმარების კანონები, საზოგადოებრივი საქიროება არცთუ ისე ძლიერია და, შესაბამისად, გაცილებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმ მძიმე ტვირთს, რასაც ამგვარი შეზღუდვები მომჩივნებს აკისრებს. არსებობს საფრთხე, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოება და წესრიგი, მე-9 მუხლის კონტექსტში, გათანაბრებული იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციულ სარგებელთან.<sup>336</sup>

თუმცა ბოლო დროს, როგორც ჩანს, სასამართლოს მიერ გააზრებულ იქნა საზოგადოებრივი წესრიგის არგუმენტის ფართო ინტერპრეტაციის პოტენციური საფრთხე. ბუსკარინის საქმეში, მაგალითად, მან არც კი განიხილა მთავრობის არგუმენტი, რომ რელიგიური ფიცი აუცილებელი იყო საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი საზოგადოებრივი ნდობის და, შესაბამისად, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისათვის და განაცხადა, რომ ფიცი არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>337</sup> თუმცა სან მარინოს მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი იმდენად სუსტი იყო, რომ იგი შეიძლება არც ჩაითვალოს სიგნალად სასამართლოს მიდგომის შეცვლისა საზოგადოებრივი წესრიგის ინტერპრეტაციის მიმართ, მაგრამ მისი გადაწყვეტილება საქმეში *სერიფი საბერძნეთის წინააღმდეგ*<sup>338</sup> ნათლად მიუთითებს, რომ ამიერიდან სახელმწიფოს არგუმენტები მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე გაცილებით უფრო დეტალურ შემოწმებას დაექვემდებარება. მოცემულ საქმეში, საბერძნეთის მთავრობის მტკიცებით, იგი ვალდებული იყო, სამართლებრივი დევნა განეხორციელებინა იმ პირის მიმართ, რომელიც თავს ადგილობრივი მუსლიმური საზოგადოების მუფტად აცხადებდა, პოტენციური საზოგადოებრივი უნესრიგობისა და დაძაბულობის თავიდან აცილების მიზნით, რაც ორი ინდივიდის მიერ ერთი და იმავე რელიგიური საზოგადოების ლეგიტიმურ ლიდერად თავის გამოცხადებას შეიძლება მოჰყოლოდა. ამგვარი არგუმენტი წარსულში საკმარისი იქნებოდა წარმატებისთვის, თუმცა სასამართლომ *სერიფის* საქმეში უარყო იგი. სასამართლომ დაადგინა:

*თუმცა სასამართლო აღიარებს, რომ შესაძლებელია დაძაბულობის წარმოქმნა რელიგიური ან სხვა ნებისმიერი საზოგადოების გახლეჩის პირობებში, იგი მიიჩნევს, რომ ეს პლურალიზმის ერთ-ერთი გარდაუვალი შედეგია.*

*ხელისუფლების როლი ამგვარი გარემოებების არსებობისას გამოიხატება არა დაძაბულობის მიზეზის განეიტრალებაში პლურალიზმის აღმოფხვრის გზით, არამედ დაპირისპირებულ მხარეთა მიერ ერთმანეთისადმი შემწყყნარებლური დამოკიდებულების უზრუნველყოფაში.*

რელიგიური პლურალიზმის მნიშვნელობის აღიარება სასურველ მიმართულებას წარმოადგენს და მე-9 მუხლის მეორე ნაწილის ინტერპრეტაციისადმი სასამართლოს მიდგომის შეცვლის პოტენციური აქვს. კერძოდ, თუკი მსგავს მიდგომას სასამართლო სხვა საქმეებშიც გამოიყენებს, სახელმწიფოებს, რომელთა მტკიცებითაც საზოგადოებრივი წესრიგი აუცილებელს ხდის რელიგიის თავისუფლების შეზღუდვას, გაცილებით მეტი მტკიცებულებების წარმოდგენა მოუწევთ, რათა შეძლონ იმის დემონსტრირება, რომ საზოგადოებრივ წესრიგს რეალურად ემუქრება საფრთხე და ზომების მიღება შიდა რელიგიური ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით დაძაბულობას ვერ განმუხტავდა.

### **ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობა**

ის, რომ განსაზღვრული ტიპის რელიგიურ ქმედებას როგორც მის მონაწილეთათვის, ისე გარეშე პირთათვის ფიზიკური ან მენტალური ზიანის მიყენების პოტენციური შესაძლებლობა აქვს, ზოგიერთი რელიგიური ტრადიციის ბუნებიდან გამომდინარეობს. როდესაც საქმე იმ ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას შეეხება, რომელნიც არ არიან შესაბამისი რელიგიის



წევრები, საკითხი საკმაოდ მარტივია და სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა მესამე პირთა დაცვის მიზნით აშკარაა. ციხესთან დაკავშირებულ რამდენიმე საქმეში, მომჩივნის მიერ თავისი რელიგიის სრული მოცულობით გამოხატვის შემთხვევაში, რეალური საფრთხე ექმნებოდა სხვათა ჯანმრთელობას. ჩაილდის საქმეში,<sup>339</sup> მაგალითად, სხვათა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას დაემუქრებოდა საფრთხე, თუკი ერთობლივ რელიგიურ მსახურებაზე მომჩივნის დასწრება ძალადობის პროვოცირებას მოახდენდა. ამის მსგავსად, საქმეში, სადაც პატიმარს არ დართეს ნება, ჰქონოდა წიგნი, რომელიც შეიცავდა თავს საბრძოლო ხელოვნების შესახებ, კომისიამ გაამართლა ადმინისტრაციის ქმედება, იმ მოტივით, რომ პატიმარს წიგნიდან მიღებული ცოდნის გამოყენება სხვათა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის ზიანის მისაყენებლად შეეძლო.<sup>340</sup>

კანონები, რომლებიც მესამე პირებს იცავენ სხვების მიერ რელიგიის გამოხატვის შედეგად ფიზიკური ზიანის მიყენების საფრთხისაგან, ნაკლებად პრობლემურია. გაცილებით უფრო რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა ზრდასრულ რელიგიურ მორწმუნეთა დაცვას ისახავს მიზნად იმ საფრთხისაგან, რომლის სასარგებლოდაც მათ თვითონ გააკეთეს არჩევანი. მკურნალობაზე უარის გაცხადება რელიგიურ ნიადაგზე (მათ შორის სისხლის გადასხმაზე) ეროვნული იურისდიქციების ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ სფეროს წარმოადგენს. ამგვარი საქმე ჯერჯერობით არ განხილულა კონვენციის საფუძველზე, თუმცა მისი აღძვრის შემთხვევაში, უმთავრესი საკითხი იქნებოდა, უფლებამოსილია თუ არა სახელმწიფო, კონვენციის საფუძველზე აიძულოს საკუთარი ჯანმრთელობის დაცვა იმ პირს, რომელიც რელიგიური მიზეზებიდან გამომდინარე უარს აცხადებს ამ დაცვაზე.

კომისიის მიერ მთელ რიგ საქმეებში მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება, აიძულოს ინდივიდი დაიცვას საკუთარი ჯანმრთელობა იმ შემთხვევაშიც, როცა მას ამ დაცვაზე უარის თქმის სერიოზული რელიგიური მიზეზები აქვს. ერთ-ერთი ასეთი საქმე სიქ მოტოციკლისტს შეეხებოდა, რომელიც ოცჯერ გაასამართლეს დამცავი მუზარადის ტარებაზე უარის თქმისათვის. სიქიზმის მიმდევარის უარი იმით იყო განპირობებული, რომ მუზარადის ტარება ჩალმის მოხსნასთან იყო დაკავშირებული.<sup>341</sup> კომისიამ გააერთიანა ორი იდეა, კანონის ლეგიტიმური მიზნისა (მოტოციკლისტების ჯანმრთელობის დაცვისა) და მისი გამოყენების აუცილებლობისა, რათა დაედგინა, რომ მომჩივნის მოთხოვნა აშკარად დაუსაბუთებელი იყო. თუმცა კომისიას სრულიად თავისუფლად შეეძლო კანონი ლეგიტიმურად მიეჩნია და, ამავე დროს, სიქების მიმართ მისი გამოყენება ელიარებინა გაცხადებული მიზნისადმი არაპროპორციულად. შესაძლოა ზოგადად შესაბამისი იყოს პიროვნების დაცვა საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ დაუდევრობისა და უყურადღებობისგან, მაგრამ არ არის ნათელი, რამდენად აუცილებელია იმ ინდივიდების დაცვა, რომლებიც საკუთარი ჯანმრთელობის დაცვაზე უარს ღრმად რელიგიური მიზეზების გამო აცხადებენ. როგორც პროფესორი რაცი ასკენის თავისი შეხედულების საფუძველად სიქი მოტოციკლისტის საქმის გამოყენებისას: თუკი „პლურალიზმი და ავტონომია ვერ უზრუნველყოფს პიროვნებას შესაძლებლობით, მისილიოს საკუთარ მორალურ რწმენას, მაშინ ეს კატეგორიები რეალურად მცირე მნიშვნელობის მქონედ შეიძლება ჩაითვალოს“.<sup>342</sup> სიქი მოტოციკლისტის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ახსნა შეიძლება ის იყოს, რომ კომისიასა და სასამართლოს არასოდეს გამოუჩენიათ სურვილი პიროვნების მიმართ ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების გამოყენებით რელიგიის თავისუფლების დარღვევის შესაძლებლობის აღიარებისა. ეს კი, შესაბამისად, ართულებს ზრდასრული ადამიანების მხრიდან რელიგიურ ნიადაგზე ზოგადი დანიშნულების უსაფრთხოების კანონების სანინაალმდეგო პოზიციების დასაბუთებას.

სხვა საქმეები, როგორც ჩანს, ამ დასკვნას ადასტურებს. როგორც ჩაილდის,<sup>343</sup> ისე ბუ-



დისტი პატიმრის საქმეში, რომელსაც უარი უთხრეს ერთობლივ ლოცვაზე,<sup>344</sup> ზიანი, რომელიც შეიძლება პატიმარს მისდგომოდა, გამოყენებული იქნა პატიმრისათვის რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე უარის მიზეზად. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიდგომას გაცილებით მეტი გამართლება აქვს პატიმართა საქმეებთან, ვიდრე თავისუფალ ზრდასრულ პირთა მიმართ, ვინაიდან სახელმწიფოს ძირითად ვალდებულებას სწორედ თავისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებზე ზრუნვა წარმოადგენს, პატიმართა საქმეების ეს ასპექტი არასოდეს ყოფილა სასამართლოსა და კომისიის მიერ დეტალურად გამოკვლეული. მე-9 მუხლის კონტექსტის ფარგლებს გარეთ, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს არ დაურღვევია მომჩივანთა უფლებანი, მათი დაპატიმრების მიუხედავად საკუთარ სახლებში შეთანხმებული სადომაზოხისტური ჰომოსექსუალური აქტების განხორციელებისათვის.<sup>345</sup> სასამართლოს გადანყვეტილებით, ეს ის სფეროა, სადაც გაერთიანებულ სამეფოს შეუძლია ჩარევა მონაწილეთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, იმის მიუხედავად, რომ ამგვარი ინტერვენცია არ არის სასურველი. ეს მიდგომა ნათლად გვიჩვენებს, რომ მომჩივნებს შესაძლოა სერიოზული პრობლემები შეექმნათ სასამართლოს დარწმუნებაში, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, დაიცვას ისინი იმ ზიანისგან, რაც შესაძლებელია მიადგეს მათ ჯანმრთელობას საკუთარი რელიგიური რწმენის გამო. თუმცა, სავარაუდოდ, სასამართლო უფრო მეტი გაგებით იმ პირებს მოეკიდება, რომელთა საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების სურვილი განპირობებულია ღრმა რელიგიური რწმენით, ვიდრე სადომაზოხისტურ ჯგუფებს.<sup>346</sup>

სხვა, ასევე სადავო სფეროს, ჯანმრთელობის დაცვის კონტექსტში, წარმოადგენს ბავშვებისათვის საფრთხის შექმნა მათი მშობლების რელიგიური რწმენის გამო. საფრთხის შექმნა შესაძლოა გამოიხატოს შვილების სახელით მშობლების უარში ბავშვების მკურნალობაზე<sup>347</sup> (როგორცაა სისხლის გადასხმა), ან რელიგიური ქცევის გამოყენებაში (როგორცაა ლოცვა) სტანდარტული მკურნალობის ნაცვლად,<sup>348</sup> ასევე მოთხოვნაში ბავშვების მიმართ, შეასრულონ რიტუალი, რომელიც მათთვის ფიზიკური ზიანის მომტანია, მაგალითად, მდებრობითი სქესის ბავშვებისთვის გენიტალიების დასახიჩრება. ამ საკითხების გადანყვეტაში კონსენსუსი არ არსებობს. მშობელთა ნების საწინააღმდეგოდ სახელმწიფოს მიერ თავისი ძალაუფლების გამოყენება ბავშვების მკურნალობისათვის, ბავშვების ჯანმრთელობის დასაცავად, სავარაუდოდ, სახელმწიფოთათვის განკუთვნილ დისკრეციაში მოექცევა.<sup>349</sup> ასეთი დასკვნა შეესაბამება სასამართლო მიდგომას საქმეში *ჰოფმანი ავსტრიის წინააღმდეგ*, იმის მიუხედავად, რომ იგი პირდაპირ არ შეეხება ზემოხსენებულ შემთხვევებს. ამ საქმეში, სასამართლოს გადანყვეტილებით, ავსტრიის სასამართლომ დაარღვია ადამიანის ოჯახური ცხოვრების უფლება, როდესაც გამოიტანა გადანყვეტილება მეურვეობის მინიჭების თაობაზე დედის საწინააღმდეგოდ, იმ მოტივით, რომ დედა იელოვას მოწმე იყო. საკითხი სისხლის გადასხმისადმი დედის უარყოფითი დამოკიდებულებისა ნაწილობრივ განიხილა ეროვნულმა სასამართლომ, თუმცა ამ გარემოებას გადამწყვეტი როლი არ ჰქონია ევროპული სასამართლოს მიერ გადანყვეტილების გამოტანისას. სასამართლო შეეხო ავსტრიული კანონის დებულებებს, რომელიც ნებას რთავდა ავსტრიულ სასამართლოებს, გაეცათ ბრძანება ბავშვებისათვის სისხლის გადასხმის თაობაზე, როცა მათი სიცოცხლე საფრთხეში იყო, თუმცა არ დაუფიქსირებია პოზიცია ამგვარი კანონების სამართლიანობის თაობაზე. აქედან გამომდინარეობს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს ბრძანება სისხლის გადასხმის თაობაზე ადეკვატური იქნება.

ერთ-ერთ საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, ჩაერიოს მშობლების მიერ რელიგიის გამოხატვაში მათივე შვილების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. ამ საქმეში მშობლები ასაჩივრებდნენ კანონს, რომელიც კრძალავდა მშობლების მხრიდან შვილების „ფიზიკურ დასჯას“ (თუმცა იგი არ ითვალისწინებდა სასჯელს ამ კანონის მოთ-

ხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში).<sup>350</sup> მშობლები თავისუფალი პროტესტანტული ეკლესიის წევრები იყვნენ. ვინაიდან ამ რელიგიის თანახმად ბავშვების განკუთვნილი ბიბლიიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, ეს კანონი მათი რელიგიური რწმენის დარღვევას წარმოადგენდა. კომისიამ გარკვეული შეშფოთება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ერეოდა კანონი ოჯახურ ცხოვრებაში, თუმცა, მისი შეფასებით, ადგილი არ ჰქონია მე-8 ან მე-9 მუხლის დარღვევას. კომისიამ დაასკვნა, რომ ფიზიკური ძალადობის თაობაზე შვედეთის კანონმდებლობის მოქმედების გავრცელება მშობელთა მიერ ბავშვების ფიზიკურ დასჯაზე განკუთვნილი გზით „გამიზნულია საზოგადოების პოტენციურად სუსტი და დაუცველი წევრების დაცვისათვის“.<sup>351</sup> ეს საქმე გარკვეულ უფლებას ანიჭებს სახელმწიფოებს, მშობლიური მზრუნველობით იმოქმედონ მშობლების ქმედებათაგან შვილების დაცვის მიზნით, თუმცა ვერ ახდენს იმ საზღვრის დემონსტრირებას, რომელიც ძევს ამ უფლებასა და მშობელთა უფლებას შორის, აღზარდონ შვილები საკუთარი რელიგიური მრწამსის შესაბამისად. იგი არც იმ მიდგომის შესახებ აკეთებს მითითებას, რომელიც იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როცა ბავშვი საკუთარი სახელით ასაჩივრებს სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ განხორციელებულ პროტექციულ ქმედებას და ამტკიცებს, რომ მე-9 მუხლის დარღვევას ჰქონდა ადგილი.<sup>352</sup> თუმცა, ამავე დროს, ნათლად მიანიშნებს, რომ სასამართლო არ გაკიცხავს სახელმწიფოს იმ ქმედებებისათვის, რომელთა მიზანიც ბავშვების დაცვაა მათი მშობლების რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე ფიზიკური ზიანისაგან. ეს დასკვნა მხარდაჭერილია რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის შესახებ გაეროს დეკლარაციის მე-5 მუხლით, რომლის თანახმადაც „რელიგიიდან და რწმენიდან გამომდინარე საქმიანობა, რომლის პირობებშიც ხდება ბავშვის აღზრდა, არ უნდა იყოს ზიანის მომტანი როგორც მისი ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის, ისე ბავშვის სრული განვითარებისათვის...“ და, ბავშვთა უფლებების კონვენციის დებულებებით, ბავშვის ჯანმრთელი განვითარების თაობაზე.<sup>353</sup>

### მორალის დაცვის აუცილებლობა

სახელმწიფოს მიერ რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციაზე შეზღუდვების მორალზე დაყრდნობით გამართლების დაშვება პოტენციურად სერიოზულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. რელიგია კვლავაც რჩება ადამიანის და საზოგადოებრივი მორალის განვითარების მთავარ ფაქტორად, თუმცა ყველა რელიგია არ იზიარებს საერთო მორალს. ერთი კომპლექსური კითხვა, რაც ამ სფეროში იბადება, მდგომარეობს შემდეგში: ზოგადი კანონი, დაფუძნებული მორალურ კონცეფციებზე, რომლებიც დომინანტი, მაგრამ არა უმცირესობათა ზოგიერთი რელიგიის მორალის ნაწილს წარმოადგენს, არის თუ არა გამართლებადი დარღვევა რელიგიისა და რწმენის თავისუფლებისა? ეს საკითხი წამოიჭრა საქმეში, რომელიც კონვენციის მე-12 მუხლის საფუძველზე გადაწყდა (ქორწინებისა და ოჯახის ყოლის თავისუფლება), თუმცა მისი შედეგი აქტუალურია მე-9 მუხლისთვისაც.<sup>354</sup> ქორწინებაში მყოფმა პროტესტანტმა ჩრდილოეთირლანდიელმა მამაკაცმა კომისიას მიმართა საჩივრით, რომლის თანახმადაც განქორწინების ამკრძალავი ირლანდიური კანონები, *inter alia*, მისი რელიგიის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას წარმოადგენდა. მაშინ, როცა კათოლიკური ეკლესია კრძალავდა განქორწინებას, გარდა განსაკუთრებულად გამონაკლისი გარემოებების არსებობისა, პროტესტანტული ეკლესიის წესების თანახმად, რომლის წევრიც მომჩივანი იყო, განქორწინება ნებადართული იყო. კომისიამ დაადგინა, რომ საკითხი მე-9 მუხლს არ ექვემდებარებოდა, ვინაიდან მე-12 მუხლი ქორწინების შესახებ კონვენციის სპეციალური ნორმა იყო. კომისიამ უარყო საჩივარი მე-12 მუხლის საფუძველზე და მიუთითა, რომ ირლანდიური კანონები არ ხელყოფს ქორწინების უფლებას, არამედ მხოლოდ

არეგულირებს მას კონვენციის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად. კომისია მწვავედ გააკრიტიკეს ამ საქმეში მიღებული გადაწყვეტილების გამო, რადგანაც მან ფოკუსირება მოახდინა სახელმწიფოს უფლებაზე, დაედგინა ქორწინებისა და განქორწინების წესები და არ განუხილავს, წარმოადგენდა თუ არა მსგავსი რეგულაციები რელიგიის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას.

ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება ძალზე მძიმე შედეგები მოიტანოს, ვინაიდან კონვენციის მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობა კონკრეტულ ქვეყანაში არსებული დომინანტი რელიგიის თუ რწმენის ზეგავლენას განიცდის ან მის მორალურ საფუძველებს ითვალისწინებს. ეს განსაკუთრებით ნათლად იკვეთება სხვადასხვა რელიგიასა და რწმენას შორის ისეთ კონფლიქტურ სფეროებში, როგორიცაა ქორწინება, განქორწინება, აბორტი და ჰომოსექსუალიზმი. რელიგიის თავისუფლების ცნების უბრალო გამოყენება არ არის საუკეთესო გზა სოციალურად და მორალურად ამ სადავო საკითხების გადაწყვეტისას. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ, სავარაუდოდ, კომისიისა და სასამართლოს წევრები სამართლიანად არიან დაინტერესებულნი, არ იქნენ ჩათრეულნი პრეცედენტული სამართალწარმოების ამ გადატვირთულ სფეროში. თუმცა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გააფრთხილა სახელმწიფოები, რომ „მორალის დაცვის მიზნით რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე დაწესებული შეზღუდვები უნდა ეფუძნებოდეს პრინციპებს, რომლებიც მხოლოდ ერთი ექსკლუზიური ტრადიციიდან არ გამომდინარეობს“.<sup>355</sup>

შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზების გამო შეზღუდვების გამართლებისას სახელმწიფოები იშვიათად ეყრდნობიან მორალს, თუმცა კომისიისა და სასამართლოს მხრიდან შეინიშნებოდა სახელმწიფოთათვის ფართო დისკრეციის მინიჭების ტენდენცია იქ, სადაც ეს თემა აქტუალური ხდებოდა. ხშირად, როცა საქმეში „მორალური“ საკითხი წამოიჭრება, იგი სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან არის უშუალოდ დაკავშირებული, როგორც ეს რელიგიურად პროვოკაციული ფილმის ცენზურის შემთხვევაში აღმოჩნდა. ამგვარ საქმეებში კომისია და სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ანიჭებდნენ, თუმცა უფრო სამართლიანი მიდგომის შემუშავებაც იყო შესაძლებელი ურთიერთსაწინააღმდეგო მორალურ შეხედულებებთან დაკავშირებით.

### სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობა

რელიგიის თავისუფლების განხორციელება სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების ირგვლივ კონფლიქტების წარმოშობის საფუძველს ქმნის.<sup>356</sup> ზოგიერთი ამგვარი კონფლიქტი კონვენციით დაშვებული შეზღუდვების სხვა საფუძველესაც უკავშირდება. მაგალითად, ერეტიკოსების წამებით რელიგიის გამოხატვის უფლება ხელყოფს როგორც საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უფლებას, ისე წამებისგან თავისუფლებაზე სხვათა უფლებას. სხვა ტიპის საქმეები გაცილებით რთულ საკითხებს აყენებს დღის წესრიგში.<sup>357</sup> როგორც სასამართლომ განაცხადა, „დემოკრატიულ საზოგადოებებში, სადაც სხვადასხვა რელიგიები თანაარსებობენ ერთსა და იმავე მოსახლეობაში, შესაძლოა აუცილებელი იყოს შეზღუდვების დაწესება (რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე) ცალკეული ჯგუფების ინტერესების შეთანხმებისა და ყველას რელიგიური რწმენის პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით.“<sup>358</sup> აქედან გამომდინარე, ცოტა რამ თუ არის სადავო იმ თვალსაზრისით, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება გარკვეულ შემთხვევებში უნდა შეიზღუდოს სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით. საკამათო საკითხები წამოიჭრება სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების საზღვრების ინტერპრეტირებისა და საპირისპირო მოთხოვნათა დაბალანსების სფეროში.<sup>359</sup>

ერთ მნიშვნელოვან საკითხს „სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების“ განმარტების

სფეროში წარმოადგენს იმის გარკვევა, შემოიფარგლება თუ არა ეს ფრაზა კონვენციით განმტკიცებული თავისუფლებებით. დღემდე სასამართლო და კომისია ამ ფრაზის მნიშვნელობას ზოგადად სწორედ ამგვარი ნუსით ზღუდავენ, თუმცა ზოგ შემთხვევაში მისი ფართო ინტერპრეტირების სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ამ შეზღუდვის კლაუზულა არ არის ლიმიტირებული კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით. *ISKCON*-ის საქმეში, ინდუისტური ტაძრის დაგეგმარების შემზღუდველი კანონების გამოყენება ნაწილობრივ გამართლებული იქნა ახლომდებარე სოფლის მცხოვრებთა უფლებებსა და თავისუფლებებზე დაყრდნობით.<sup>360</sup> ნათელია, რომ ათასობით მორწმუნეთა და მათი მანქანებით სოფლის გადატვირთვა შემანუხებელი იყო მოსახლეობისათვის, თუმცა ძნელია ამ კონკრეტულ შემთხვევაში კონვენციით განმტკიცებულ რომელიმე უფლებაზე გაკეთდეს მითითება. ამავე დროს, აშკარაა, რომ სწორედ კონვენციის უფლებები შეადგენენ „სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს“ მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საფუძველია როგორც ინდივიდის მიერ საჩივრის წარდგენის, ისე სახელმწიფოს მხრიდან სხვათა უფლებების შეზღუდვის გამართლებისათვის. ეს კი ბადებს კითხვას, რელიგიის თავისუფლების, როგორც პოზიტიური უფლების, საზღვრები იდენტიურია თუ არა რელიგიის და რწმენის თავისუფლების საზღვრებისა, როგორც სხვა უფლებათა შეზღუდვის გამართლებისა?

საქმეები, რომლებიც შეეხება ადამიანის უფლებას, მისი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისგან დაცვის შესახებ, მიუთითებს, რომ ის საზღვრები, რომლის ფარგლებშიც სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა შესაძლებელია, რელიგიის თავისუფლების სახელით შესაძლოა უფრო მოცულობით ხასიათს ატარებდეს, ვიდრე თვით ეს უფლება მე-9 მუხლის საფუძველზე.<sup>361</sup> ეს მე-9 მუხლის მეორე ნაწილის პრეცედენტიული სამართლის მიმართულების ნაწილია, სადაც ხშირად სხვათა უფლებები და თავისუფლებები ბუნდოვნად არის განმარტებული ან კონვენციის ერთ-ერთ უფლებასთანაა დაკავშირებული. თუ *ოტო პრემინგერის ინსტიტუტის საქმეში*<sup>362</sup> სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების არგუმენტი დაეფუძნა მე-9 მუხლით განმტკიცებულ რელიგიის თავისუფლებას, *უინგროუს*<sup>363</sup> საქმეში (სულ ცოტა, ერთ-ერთი განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლის მიხედვით<sup>364</sup>) შეზღუდვის საფუძველად ცნობილი იქნა მე-10 მუხლის მეორე ნაწილი, რაც, ფაქტობრივად, გულისხმობს, რომ საჭირო არ არის კავშირის ჩვენება მე-10 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებსა და კონვენციის სხვა მუხლებით განმტკიცებულ უფლებებს შორის. იმის მიუხედავად, ამ საქმეებში სხვათა უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ მე-10 მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარეობს, თუ ასევე მე-9 მუხლის პირველი ნაწილიდან, რამდენიმე ავტორმა სერიოზული შეშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ რელიგიური გრძნობების შელახვა შეიძლება წარმოადგენდეს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის საფუძველს.

ამის მსგავსად, სასამართლო სხვა საქმეებშიც ბუნდოვნად აცალიბებდა, თუ კონკრეტულად სხვათა რომელი უფლებები იქნა დაცული. მაგალითად, *კოკინაკისის* საქმეში სასამართლომ საკმაოდ ოპერატიულად მიიღო საბერძნეთის მთავრობის არგუმენტი, რომ ანტიპროზელიტიზმის კანონებს ლეგიტიმური მიზანი ჰქონდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სახით,<sup>365</sup> თუმცა არ არის ნათელი, საიდან გამომდინარეობს უფლება პროზელიტიზმისგან თავისუფლებაზე. მრავალი ავტორი თუ სახელმწიფო მიიჩნევს, რომ ადამიანს აქვს უფლება პროზელიტიზმისგან თავისუფლებაზე, როგორც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ნაწილზე.<sup>366</sup> თუმცა ეს პოზიცია არ არის უდავო. მოსამართლე პეტიტმა განაცხადა, რომ პროზელიტიზმი „რელიგიის თავისუფლების ძირითადი გამოხატვა“ და „სხვათა გადმოზირების მცდელობა თავისთავად არ წარმოადგენს შეტევას მათ რწმენასა და თავისუფლებაზე

ან მათი უფლებების დარღვევას“. უქმნის თუ არა საფრთხეს სიტყვისა და აზრის თავისუფლებას სხვა პარტიის მხარდამჭერი ინდივიდის სახლის ზღურბლზე გამოჩენილი პოლიტიკოსი, რომელიც მის გადარწმუნებას ცდილობს, რათა ამ უკანასკნელმა შეიცვალოს თავისი პოზიცია? კანონებს, რომლებიც ამგვარ საქმიანობას აკრძალავდა, სასამართლო, სავარაუდოდ, მე-10 მუხლის სერიოზულ დარღვევად ჩათვლიდა, თუკი პირს ექნებოდა შესაძლებლობა, დაეკეტა კარი ან უარი ეთქვა მოსმენაზე. იმ არგუმენტებს კი, რომელთა თანახმადაც ამგვარი საქმიანობა სახლის პატრონის უფლებებსა და თავისუფლებებს დაარღვევდა, სასამართლო ნაკლებ მნიშვნელობას მიანიჭებდა.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ გაიზიარა საბერძნეთის მხარის არგუმენტი, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებდა „ქრისტიანთა ვალდებულებას, მოაქციონ სხვები საკუთარ რწმენაზე, და არაკეთილსინდისიერ პროზელიტიზმს“<sup>367</sup> (თუმცა ამ უკანასკნელის თეორიულ განსაზღვრაზე სასამართლომ უარი განაცხადა). თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებისას სასამართლო ძირითადად მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს მოხსენებას დაეყრდნო, რომლის თანახმადაც არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი ქრისტიანთა მისიის გარყვნას წარმოადგენდა. ამ მოხსენებაში გაკიცხული იყო მძიმე სულიერ თუ მატერიალურ მდგომარეობაში მყოფებზე ზეწოლა მათი რელიგიის შეცვლის მიზნით, ასევე ძალადობისა და იდეოლოგიური დამუშავების ხერხების გამოყენება, როგორც სხვათა უფლებების დარღვევა (თუმცა არ ყოფილა მითითებული, რომ ამგვარი პროზელიტიზმი დანაშაულად უნდა იქნეს განხილული). მიუხედავად ამისა, საბერძნეთის კანონმდებლობა გაცილებით შორს წავიდა და შექმნა საფუძველი კოკინაკისის მსგავსი ინდივიდების გასამართლებისა, რომლებიც მხოლოდ დამაჯერებლად აყალიბებდნენ საკუთარ შეხედულებებს სხვა ზრდასრული ადამიანის წინაშე.<sup>368</sup> მოსამართლე მარტენის მიერ დამაჯერებელი არგუმენტების წარმოდგენის გათვალისწინებით, იმ დასკვნის სასარგებლოდ, რომ არ არსებობდა პროზელიტიზმის უფლებაში ჩარევის გამართლება, უმრავლესობას უფრო ზუსტად უნდა ჩამოეყალიბებინა საკუთარი პოზიცია, თუ როგორ არის შესაძლებელი პროზელიტიზმის გზით – განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი მხოლოდ საუბრით შემოიფარგლება – სხვათა თავისუფლების ხელყოფა.

პროზელიტიზმის საშუალებით სხვათა თავისუფლების შეზღუდვის გზა შედარებით ნათლად გამოიკვეთა სხვა საქმეში,<sup>369</sup> სადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემდგომი ოფიცრების მცდელობა მათ დაქვემდებარებაში მყოფ პირთა მიმართ პროზელიტიზმის განხორციელებისა, შეიძლებოდა დასჯილიყო სისხლის სამართლის კანონით. ამის მიზეზი ის იყო, რომ სამხედრო მოსამსახურენი განიცდიდნენ იმ ზეწოლას არმიის იერარქიული სტრუქტურის მხრიდან, რასაც ვერ იგრძნობდნენ სამოქალაქო პირები, რომელთაც ჰქონდათ სრული თავისუფლება, მიეღოთ ან უარეყოთ ესა თუ ის მიდგომა რელიგიურ საკითხებზე. „ის, რაც სამოქალაქო სამყაროში ჩაითვლებოდა იდეათა უწყინარ გაცვლად, რომელთა აღიარება ან უარყოფა ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, სამხედრო ცხოვრების ფარგლებში შესაძლოა განხილული იქნეს, როგორც შევიწროების ფორმა ან უკანონო ზეწოლის განხორციელება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით“. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს ჰქონდა სამხედრო მოსამსახურის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ლეგიტიმური მიზანი, პროზელიტის მტკიცების მიუხედავად, რომ მისი უფლებები არავის დაურღვევია და იგი თავისუფალი ნების საფუძველზე გადავიდა ზემდგომი ოფიცრების რწმენაზე. სასამართლო ასევე მზად იყო, ამ პირის შეფასება საკუთარით ჩვენაცვლებინა და განაცხადა (ადგილობრივი სასამართლოებისა და პირის მამის მტკიცებულებათა საფუძველზე), რომ „დაზარალებულს“ თავი ვალდებულად უნდა ჩაეთვალა, ესაუბრა და, შესაძლოა, რწმენაც კი შეეცვალა.<sup>370</sup>



ამგვარი საქმეები კონფლიქტური უფლებების შესახებ წინა პლანზე წამოსწევს კომპლექსურ საკითხებს, სადაც არ არის ნათელი, თუ რატომ უნდა მიენიჭოს უპირატესობა უფლებათა ერთ ნაწილს მეორესთან შედარებით. ზოგიერთ საქმეში ერთ-ერთი ინდივიდის უფლებების უპირატესობა შედარებით ნათელია. მაგალითად, მამაკაცის მტკიცებით, მისი შვილის დედის გადაწყვეტილება აბორტის გაკეთების თაობაზე და სახელმწიფოს უარი გადაწყვეტილების მიღებაში მომჩივნის მონაწილეობაზე მისი რელიგიის თავისუფლების დარღვევა იყო. კომისიამ დაადგინა, რომ მამის უფლებათა ინტერპრეტირებისას „უპირველესად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დედის უფლებები, რომელიც, პირველ რიგში, არის დაინტერესებული ფემინიზმით, მისი გაგრძელებით ან შეწყვეტით“. აქედან გამომდინარე, კომისიამ დაასკვნა, რომ მომჩივნის უფლებების შესაძლო ნებისმიერი ხელყოფა გამართლებული იყო დედის უფლებათა დაცვის აუცილებლობით.

თუმცა ამგვარი მარტივი გადაწყვეტილება მხოლოდ მცირე რაოდენობის საქმეებში იქნა გამოტანილი. იმის გათვალისწინებით, რომ რელიგია და რწმენა მორწმუნის ცხოვრების მრავალ ასპექტზე ზემოქმედებს, რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლებას დიდი პოტენციალი აქვს, კონფლიქტში შევიდეს სხვა უფლებებთან. მსგავსი კონფლიქტები კი დიდ დავასა და შუღლს იწვევენ დაპირისპირებულ მხარეებს შორის. შედეგად, ამგვარ საქმეებში სასამართლო და კომისია ხშირად ფართო და საკმაოდ ბუნდოვან უფლებამოსილებას ანიჭებდნენ სახელმწიფოებს რელიგიისა და რწმენის გამოხატვის შეზღუდვისათვის სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

### **გამოხატვის შეზღუდვა ომისა და საგანგებო მდგომარეობის დროს**

მე-9 მუხლის მეორე ნაწილის შემზღუდველი კლაუზულა არის გამართლების ის საშუალება, რაც სახელმწიფოებს დღემდე გამოუყენებიათ რელიგიისა და რწმენის გამოხატვაში ჩარევის მოთხოვნილებათა დასაბუთების მიზნით. კონვენციის სხვა მუხლს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს მე-9 მუხლიდან გამომდინარე უფლებების შეზღუდვის გამართლება, წარმოადგენს მე-15 მუხლი, რომლის თანახმადაც:

*ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის არსებობას, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს, მიიღოს ზომები, რომლებიც გადაუხვევს ამ კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებს იმ დონემდე, რასაც მკაცრად მოითხოვს არსებული მდგომარეობით განპირობებული უკიდურესი აუცილებლობა, ამასთან, ამგვარი ზომები არ უნდა იყოს შეუსაბამო საერთაშორისო სამართლით მასზე დაკისრებულ სხვა ვალდებულებებთან.*

მე-9 მუხლის გამოყენება სხვა რამდენიმე მუხლისგან (1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 (1) და მე-7 მუხლები) განსხვავებით, შეიძლება დაექვემდებაროს მე-15 მუხლიდან გამომდინარე შეზღუდვებს. საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, შეზღუდვები მოიცავს არა მხოლოდ რელიგიისა და რწმენის გამოხატვის უფლებას, არამედ მე-9 მუხლს მთლიანად, თუმცა საკმაოდ რთულია იმგვარი სიტუაციის წარმოდგენა, რომელიც სახელმწიფოსგან „მკაცრად მოითხოვდეს“ ჩარევას მორწმუნეთა *forum internum*-ში. ზოგიერთი ავტორის მტკიცებით, სულ ცოტა, რელიგიისა და რწმენის ქონისა და შეცვლის უფლება არ ექცევა მე-15 მუხლის მოქმედების ფარგლებში, იმის მიუხედავად, რომ ამგვარი პირობა არ არის სპეციალურად ნახსენები. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის გამოყენება არ ექვემდებარება შეზღუდვას საგანგებო ვითარების პირობებში.<sup>371</sup> თვით რწმენის გამოხატვის უფლებაც არ შეიძლება დაირღვეს. აქედან გამომდინარე, ამ პაქტის მონაწილე



ევროპის საბჭოს ნევრ ქვეყნებს არ აქვთ უფლებამოსილება, შეაჩერონ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მოქმედება საგანგებო მდგომარეობის დროს, ვინაიდან დაუშვებელია კონვენციის გამოყენება სხვა საერთაშორისო აქტებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესაზღვრად. რაც შეეხება ევროპის საბჭოს სხვა წევრებს, მათთვის შესაძლებელია მე-15 მუხლის გამოყენება მე-9 მუხლის შესაზღვრად.

საგანგებო მდგომარეობა მხოლოდ რამდენჯერმე განიხილა სასამართლომ და გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი მითითებანი გააკეთა იმ საზღვრების თაობაზე, რომლის ფარგლებშიც იგი ზედამხედველობას გაუწევს მთავრობათა გადანყვეტილებებს საგანგებო ვითარების შემოღების თაობაზე. საქმეში *ლოულესი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,<sup>372</sup> კომისიამ „საგანგებო მდგომარეობა „მიაკუთვნა „განსაკუთრებულ კრიზისს ან კრიტიკულ ვითარებას, რომელიც მთელ საზოგადოებას შეეხება“. საქმეში *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,<sup>373</sup> სასამართლომ განსაკუთრებულად მონიშნული დამოკიდებულება დააფიქსირა საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით სახელმწიფოთა მიდგომების მიმართ. სასამართლოს განცხადების მიხედვით „არსებულ უკიდურეს აუცილებლობასთან პირდაპირი და განგრძობადი კავშირის გამო, ეროვნული ხელისუფლება გაცილებით უკეთეს პოზიციაში იმყოფება, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, რათა განსაზღვროს კრიტიკული სიტუაციის არსებობა და მისი თავიდან აცილებისათვის აუცილებელი შეზღუდვების ფარგლები“. ამ შემთხვევაში მე-15 მუხლი ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს სახელმწიფოებს.<sup>374</sup>

ჯერჯერობით მე-15 მუხლი არ ყოფილა გამოყენებული მე-9 მუხლზე დაწესებული შეზღუდვების გასამართლებლად. თუკი ოდესმე მას ამ როლში გამოიყენებენ, სახელმწიფოებს კვლავაც მოუწევთ იმის ჩვენება, რომ შეზღუდვები განსაკუთრებით აუცილებელი იყო არსებული გარემოებების გამო. სასამართლოს დარწმუნება, სავარაუდოდ, გაცილებით იოლი იქნება გამოხატვის უფლებასთან დაკავშირებით, ვიდრე რელიგიისა და რწმენის ქონის თუ შეცვლის უფლების შეზღუდვის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, მე-15 მუხლი კვლავაც ერთადერთ დებულებად რჩება, რომელსაც პოტენციურად შეუძლია შეზღუდოს მე-9 მუხლის პირველი ნაწილი. მაშინ, როცა სახელმწიფოთა მხრიდან ზემოთ განცხადებული მიზნის მისაღწევად მე-15 მუხლის გამოყენების შესაძლებლობა საკმაოდ რეალურია, ძალზე რთულია, წინასწარ პროგნოზირება, ამგვარ საქმეებში გამოყენებულ მიდგომებს შორის აშკარა შეუსაბამობის გათვალისწინებით, თუ სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების რა დონეზე გამოკვლევისათვის იქნება სასამართლო მზად. ყოველ შემთხვევაში, მე-15 მუხლის საფუძველზე მოქმედების უფლება საკმაოდ შეზღუდული<sup>375</sup> და ნაკლებად რელევანტურია, ვიდრე მე-9 მუხლის მეორე ნაწილის ინტერპრეტაცია იმ ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებისათვის, რომლებიც ცდილობენ, საკუთარ რელიგიასა თუ რწმენასთან სრული შესაბამისობით იცხოვრონ.

\* \* \*

ესა თუ ის რელიგია ან რწმენა შეიძლება ისეთი ყოვლისმომცველი იყოს, რომ მისი მიმდევრის ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს განსაზღვრავდეს. ამას კი ხშირად მივყავართ კონფლიქტისკენ როგორც სახელმწიფოთა გეგმებთან, ისე იმ გზასთან, რომლითაც ცალკეულ ადამიანებს საკუთარი ცხოვრების წარმართვა თუ უფლებათა რეალიზება სურთ. გარკვეული კომპრომისი გარდაუვალია. ამიტომაც მე-9 მუხლის მეორე ნაწილში ასახულია სხვადასხვა, ერთმანეთის საპირისპირო კომპლექსური ფაქტორების დაბალანსების აუცილებლობა. მე-9 მუხლის შემზღუდავი ნაწილი უფრო ადრე წარმოდგენილ პროექტებთან და კონვენციის სხვა ამგვარ შემზღუდავ მუხლებთან შედარებით უფრო ვიწროდ იქნა შემუშავებული, რაც იმას

ნიშნავს, რომ სასამართლომ არ უნდა ნაშალოს ზღვარი სხვადასხვა შემზღუდველ ნაწილებს შორის და არც ფართო ან ბუნდოვან დეფინიციებს მინიჭოს უპირატესობა. ეს განსაკუთრებით სამართლიანია მე-9 მუხლის კონტექსტში, სადაც ეროუსმიტის ტესტი მომჩინისაგან მოითხოვს იმის დამტკიცებას, რომ სახელმწიფოს მიერ შეზღუდული ქცევა აუცილებელი იყო მისი რელიგიისა თუ რწმენისათვის. თუკი მე-9 მუხლის პირველი ნაწილიდან ამოვალთ, უფრო შესაბამისი იქნებოდა გაცილებით რბილი ტესტი იმავე მუხლის მეორე ნაწილის დონეზე, რადგანაც რელიგიისა და რწმენის გამოხატვა უდიდესი მნიშვნელობისაა მორწმუნისათვის. ვინაიდან სახელმწიფომ უნდა აჩვენოს თავისი ქმედებების პროპორციულობა დასახული მიზნების მიმართ, რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციის მნიშვნელობა უნდა გამოიკვეთოს სასამართლო შეფასების პროცესში, რომელსაც ეს უკანასკნელი აუცილებლობის განსაზღვრის მიზნით ახორციელებს.

რელიგიასა და რწმენაზე დაწესებული შეზღუდვების შეფასების ყველა სტადიაზე სასამართლო და კომისია საოცარ პატივისცემას ამაყდებდნენ სახელმწიფოთა მოთხოვნების მიმართ. მე-9 მუხლის პირველი ნაწილის რეგულარულად გვერდის ავლით ფაქტობრივად სანყისი ეტაპიდანვე ხდებოდა მომჩინის ჩამოცილება ანალიზის პროცესიდან. საქმის სპეციფიკურ ფაქტებზე ყურადღების გამახვილებისა და შეზღუდული საზღვრების მქონე გადწვევტილების მიღების თავისივე სურვილმა სასამართლო ნაახალისა, ელიარებინა, რომ ფართოდ შემუშავებული წესები კანონითაა გათვალისწინებული და ლეგიტიმური მიზანი აქვს მაშინაც, როცა განსხვავებულ პოზიციაზე მდგომი მოსამართლენი ეჭვქვეშ აყენებდნენ კანონის მიზანს ან ხაზს უსვამდნენ მის ამკარა დისკრიმინაციულ გამოყენებას. ამის შედეგად კი ფოკუსირება სახელმწიფოს ქმედების განსაზღვრაზე ხდებოდა, იყო თუ არა იგი აუცილებელი და პროპორციული მე-9 მუხლის მეორე ნაწილში წარმოდგენილი ერთ-ერთი მიზნის მიმართ. გარდა ამისა, რელიგიური და სხვა რწმენების სადავო ხასიათმა ძალზე გაურთულა სასამართლოს კონსენსუსის მიღწევა, იმის თაობაზე თუ როგორ მოეგვარებინა კონფლიქტები რელიგიასა და რწმენას, და სხვა ლეგიტიმურ ინტერესებს შორის. ამან კი სახელმწიფოს ფართო დისკრეციამდე მიგვიყვანა და, შესაბამისად, ძალზე გართულდა მომჩინათათვის საკუთარი მოთხოვნების სამართლიანობის დამტკიცება. მსგავს მონიწებულ დამოკიდებულებას სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ მხოლოდ იმ საქმეების მსგავს შემთხვევებში ემუქრება დასასრული, სადაც, მაგალითად, სახელმწიფო და მისი კანონები შეგნებულად იყო მიმართული ტრადიციული რელიგიური ქცევის წინააღმდეგ, როგორცაა ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ადგილების დაარსება ან პროზელიტიზმი. იმის მიუხედავად, რომ ამ საქმეებში სასამართლომ კვლავ ძალზე ვიწრო, ფაქტობრივი მიდგომა გამოიყენა წამოჭრილი საკითხების მიმართ, ის მზად აღმოჩნდა, უარეყო სახელმწიფო ქმედებათა აუცილებლობის არგუმენტი და დეტალურად მიმოეხილა კანონის გამოყენების გზა. თუმცა, როგორც შემდგომ ქვეთავში ვიხილავთ, ეს კვლავ დაუცველად ტოვებს მომჩინანთა საკმაოდ ფართო ჯგუფს, რომლის რელიგია ან რწმენა არა რელიგიაზე სპეციალური კანონმდებლობით, არამედ ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონებით არის შეზღუდული.

## ნეიტრალური და ზოგადი დანიშნულების კანონები

ურთიერთქმედება ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალურ კანონებსა და რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას შორის არის საკითხი, რომელმაც კონცეპტუალური სირთულეები გამოიწვია რელიგიის თავისუფლებასთან შეხებაში მყოფ სხვა იურისდიქციებში, თუმცა სასამართლოსა და კომისიის მიერ არ ყოფილა დეტალურად განხილული. ამის მიზეზია არა საქმეთა ნაკლებობა, რომლებიც მოცემულ საკითხს შეეხებოდა, არამედ ის, რომ არც სასამართლოს და არც კომისიას ჯეროვანი სერიოზულობით არ განუხილავთ ამგვარი შემთხვევები. ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების პრობლემა მაშინ წამოიჭრება, როდესაც სახელმწიფო იღებს კანონმდებლობას, რომელიც ერთი შეხედვით, არც რელიგიურ საკითხებს შეეხება და არც რომელიმე რელიგიური ჯგუფის დისკრიმინაციად აღიქმება. თუმცა ზოგ შემთხვევაში წარმოსახვითი ნეიტრალობა შეცდომაში შემყვანია და კანონი შესაძლებელია მიღებული იყოს გარკვეული რელიგიური ჯგუფის საქმიანობის შეზღუდვისათვის<sup>376</sup> ან გამოყენებულ იქნეს დისკრიმინაციული წესით<sup>377</sup>. ეს კანონები ხშირად მხოლოდ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ისინი ნეიტრალური და ზოგადი დანიშნულებისაა, თუმცა რეალობა სხვაგვარია და არც ისე რთულია იმის განსაზღვრა, ხელყოფენ თუ არა ამგვარი კანონები რელიგიასა და რწმენას.

ამ ქვეთავში განხილულია კანონები, რომლებიც რეალურად ნეიტრალურია რელიგიის მიმართ და ზოგადია გამოყენების თვალსაზრისით, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში გარკვეული რელიგიის ან რწმენის მიმდევართა მხრიდან ისეთი ქმედების შესრულებას მოითხოვს, რომელიც ეწინააღმდეგება მათ რელიგიასა და რწმენას.<sup>378</sup> ეს საკითხი პლურალისტურ ევროპულ საზოგადოებებში შესაძლოა მწვავე აზრთასხვადასხვაობის საგანი გახდეს. კონკრეტული ჯგუფისთვის ნების დართვა, თავი აარიდოს კანონს, რომელიც ზოგადი სიკეთისთვის იქნა მიღებული, ზოგს უსამართლოდ მიაჩნია იმ პირების მიმართ, რომლებიც იძულებულნი არიან, კანონის შესაბა-

მისად იმოქმედონ, ამავე დროს მას თვლიან პოტენციური საფრთხის შემცველად საზოგადოებრივი ერთიანობისა და კეთილდღეობისათვის. სხვებისთვის კი იძულება, დაემორჩილონ მათ ღრმა რელიგიურ რწმენასთან წინააღმდეგობაში მყოფ კანონებს, წარმოადგენს რელიგიური ან სხვა რწმენის უსამართლო ხელყოფას.

მომჩივნები მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეებში ხშირ შემთხვევაში აღიარებენ, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, მიიღოს ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონები. ამ საქმეთა უმრავლესობაში წარმოდგენილია ყოველმხრივი საკანონმდებლო სისტემები ისეთ მრავალფეროვან სფეროებში, როგორცაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ვაქცინაცია,<sup>379</sup> საავტომობილო დაზღვევა,<sup>380</sup> პენსია<sup>381</sup> და გადასახადები.<sup>382</sup> თუკი სახელმწიფოებს არ ექნებოდათ უფლებამოსილება, მიეღოთ ამგვარი ტიპის კანონები საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის, მაშინ მათი ძალაუფლება უსამართლოდ იქნებოდა ხელყოფილი მე-9 მუხლის საფუძველზე. სწორედ აქედან გამომდინარე, მომჩივანთა უმრავლესობა არ ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ეს კანონები არ უნდა ყოფილიყო მიღებული. ხშირ შემთხვევაში მომჩივანთა მოთხოვნა ამ კანონებისგან გათავისუფლებას უკავშირდება ან იმ საკითხს შეეხება, რომ მათი გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაში შეუსაბამო იყო, ან რომ ამგვარი საკანონმდებლო აქტების შემუშავება უფრო ვიწროდ უნდა მომხდარიყო.

სასამართლოსა და კომისიის პასუხი ამგვარ საქმეებში შეიძლება სამი ძირითადი მიმართულებით დაიყოს. პირველი მიდგომის მიხედვით, სანამ კანონი ნეიტრალურია და არადისკრიმინაციულად გამოიყენება, მას არ შეუძლია მე-9 მუხლის დარღვევა. მეორე მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ პიროვნების რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონის საფუძველზე შესაძლოა მე-9 მუხლის დარღვევა იყოს, თუმცა შესაბამისი გარემოებების არსებობის პირობებში იგი შეიძლება გამართლებულ იქნეს მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. სასამართლო და კომისია მე-9 მუხლის მეორე ნაწილზე დაყრდნობით ცდილობენ გადაწყვიტონ, გამართლებადია თუ არა გასაჩივრებული კანონი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ალტერნატივის სახით მათ შეეძლოთ განეხილათ საკითხი, შეიძლებოდა თუ არა, კანონი, მიუხედავად მისი ლეგიტიმური მიზნისა, უფრო ვიწროდ მიზანმიმართული ყოფილიყო, რელიგიის თავისუფლებასთან კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, და იქნებოდა თუ არა შესაბამისი იმ პირთა გათავისუფლება კანონით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან, რომლებიც აპროტესტებენ მის შესრულებას რელიგიისა და რწმენის ნიადაგზე. იმის მიუხედავად, რომ სასამართლო და კომისია არ ითვალისწინებდნენ ამგვარ მიდგომას, იგი უფრო თავსებადი იქნებოდა რელიგიის თავისუფლების დაცვასთან, ვიდრე არსებული მიდგომა.

ბოლო მიდგომა, რომელიც ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების ერთი ტიპის მიმართ გამოიყენეს, კონვენციის სხვა მუხლზე სპეციალური მითითებით შემოიფარგლება. ამგვარი დასაბუთება ტრადიციულად სამხედრო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საქმეებში გამოიყენებოდა. კანონები სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა განვევის თაობაზე ზოგადი და ნეიტრალურია. ცხადია, მათი მიზანი რელიგიური უმცირესობების შევიწროება არ არის, თუმცა ისინი მნიშვნელოვან ტვირთს აკისრებენ მათ, ვინც რელიგიით ან რწმენით პაციფისტია. საქმის განხილვის სპეციფიკა სამხედრო სამსახურის მიმართ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობასთან დაკავშირებით ძალიან ჰგავს ზოგადი დანიშნულების კანონისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის სხვა ნებისმიერ ფორმას.

## კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა სამხედრო სამსახურის მიმართ

ბევრ ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებობს გარკვეული ფორმის იძულებითი სამხედრო სამსახური. ისტორიულად ბევრ ევროპულ ქვეყანაში სამხედრო სამსახური სავალდებულო იყო ყველა ჯანმრთელი ახალგაზრდა მამაკაცისთვის და არ დაიშვებოდა გათავისუფლება სინდისის საფუძველზე.<sup>383</sup> დღესდღეობით კი ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში იძულებითი სამხედრო სამსახურის სისტემა ნებას რთავს მოქალაქეებს პოლიტიკური, რელიგიური თუ ეთიკური მოტივებით შეასრულონ ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური.<sup>384</sup> რაც შეეხება უარს როგორც სამხედრო, ისე ალტერნატიული სამსახურის შესრულებაზე, იგი მრავალგვარ სასჯელს ითვალისწინებს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთას. დღემდე მხოლოდ ამ ბოლო ხანებში თუ განუცდიათ კონვენციისგან მცირედი დახმარება ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების კეთილსინდისიერად მონააღმდეგე პირებს.<sup>385</sup> თუმცა დღეისთვის სასამართლოს უკვე შემუშავებული აქვს მიდგომა, რომელსაც ძალუძს უზრუნველყოს სასარგებლო პრეცედენტი იმ საქმეებისათვის, რომლებიც შეეხება კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას სამხედრო სამსახურის კონტექსტის ფარგლებს გარეთ.

## ტრადიციული მიდგომა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მიმართ

პირველ საქმეში, რომელიც კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას შეეხებოდა 1966 წელს, კომისიის მიერ დაკავებული პოზიციის თანახმად, სახელმწიფოები არ იყვნენ ვალდებული, ელიარებინათ პირები, რომლებიც პოლიტიკური, რელიგიური ან ეთიკური მოტივების საფუძველზე უარს აცხადებდნენ სამხედრო სამსახურის შესრულებაზე.<sup>386</sup> კომისიის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება ეფუძნებოდა კონვენციის მე-4 მუხლს, რომელიც კრძალავდა მონობასა და ძალადობრივ ან იძულებით შრომას. უფრო კონკრეტულად კი მისი არგუმენტაციის საფუძველს მე-4 მუხლის მესამე ნაწილი წარმოადგენდა:

*ამ მუხლის მიზნებისათვის ტერმინი „ძალადობრივი ან იძულებითი შრომა“ არ მოიცავს:...*

*ბ) ნებისმიერი სახის სამხედრო ხასიათის სამსახურს ან სამსახურს, გათვალისწინებულს სამხედრო სამსახურის ნაცვლად, იმ ქვეყნებში, სადაც აღიარებულია კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა სამხედრო სამსახურის მიმართ.*

კომისიამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მე-4 მუხლი შეეხება კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის განმცხადებელ პირებს მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც „აღიარებულია უარი სამხედრო სამსახურზე რელიგიურ-ეთიკური მოტივების საფუძველზე“, არ არსებობს სახელმწიფოთა ვალდებულება, აღიარონ ამგვარი წინააღმდეგობა.<sup>387</sup> შესაბამისად, კომისიამ უარყო სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო არგუმენტი და განაცხადა, რომ იგი არ იმსახურებს დაცვას მე-9 მუხლის საფუძველზე.<sup>388</sup> გარდა ამისა, ვინაიდან ალტერნატიული სამსახური გამოაკლისია იძულებითი შრომის წესებიდან, კომისიამ დაასკვნა, რომ ამგვარი სამსახური არ არღვევს მე-9 მუხლს.<sup>389</sup> კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ სწორედ სახელმწიფო დისკრეციამი ექცევა გადაწყვეტილება სამოქალაქო სამსახურის ხანგრძლივობის გაზრდაზე სამხედრო სამსახურის ვადებთან შედარებით, როგორც დამაბრკოლებელი საშუალება მის უზრუნველსაყოფად, რომ მხოლოდ გულწრფელი რწმენის მქონე ინდივიდებმა მიანიჭონ მას უპირატესობა.<sup>390</sup> სამსახურის ვადების ამგვარი ზრდა პროპორციულობის პრინციპის საკითხია. სახელმწიფოებს შეუძლიათ გაზარდონ სამსახურის ხანგრძლივობა, რომ გამორიცხონ ყველა, გარდა გულწრფელად კეთილსინდისიერი მოქალაქეებისა, ალტერნატიული სამსახურის უფრო იოლი გზის არჩევისაგან, მაგრამ მათ არ გააჩნიათ უფლება, მოახდინონ ვადების ისეთი ზრდა, რომელიც უსამართლოდ მძიმე ან დამსჯელი ხასიათისა იქნება.<sup>391</sup> კომისიას არ განუხაზვვრავს ზღვარი,

რომლის მიღმაც სამოქალაქო სამსახურის ვადა დისპროპორციული იქნებოდა და არც სახელმწიფოს ქმედება ჩაუთვლია ოდესმე კონვენციის დარღვევად ალტერნატიული სამსახურის სისტემის გამო. ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში, სადაც აღიარებულია კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, ალტერნატიული სამსახური უფრო ხანგრძლივია, ვიდრე სამხედრო და ანაზღაურებაც შედარებით დაბალია.<sup>392</sup>

ვინაიდან არ არსებობს ალტერნატიული სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების უფლება, კომისიამ დაადგინა, რომ სახელმწიფოები, სადაც ამგვარი სამსახური არსებობს, უფლებამოსილი არიან, თავისუფლების აღკვეთით დასაჯონ ის, ვინც უარს იტყვის მის შესრულებაზე და აუცილებლობის შემთხვევაში გააგრძელონ კიდევ ამგვარი სასჯელების გამოყენება ზენოლის გზით წვევამდელთა იძულების მიზნით, რათა ისინი დაემორჩილონ კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.<sup>393</sup> რა თქმა უნდა, ნებისმიერი ამგვარი საქცია კანონით უნდა იყოს განსაზღვრული და მე-5 მუხლის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.<sup>394</sup> თუმცა, კომისიის გადაწყვეტილებით, არ არსებობს მოთხოვნა მე-6 მუხლში ჩამოყალიბებული სამართლიანი სასამართლო პროცედურების შესაბამისად, იმის განსაზღვრის აუცილებლობისა, რომ პირი ვალდებული იყო, გაეგლო სამხედრო ან მისი შემცველი ალტერნატიული სამსახური, თუკი დაპატიმრების მიზანი უფრო იძულებითია, ვიდრე დასჯადი.<sup>395</sup>

რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული გამართლება მე-9 მუხლის ზოგად და მე-4 მუხლის სპეციფიკურ დებულებებს შორის კონფლიქტის საფუძველზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა სამხედრო სამსახურთან დაკავშირებულ საქმეებში. მე-4 მუხლი პირდაპირ არ შეეხება რელიგიის თავისუფლებას და არც თვით კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას. მისი უპირველესი მიზანი მონობისა და ძალადობრივი ან იძულებითი შრომის აკრძალვაა. მე-4 მუხლით ბუნებრივია, გაზიარებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო, რომელსაც იძულებითი სამხედრო ან მისი შემცველი ალტერნატიული სამსახური აქვს შემოღებული, შეუძლებელია იძულებით შრომაში არ ჩართვაზე ადამიანის უფლების დამრღვევად ჩაითვალოს. თუმცა ასევე არ უჭერს აშკარად მხარს იმ მოსაზრებას, რომ შეიძლება იძულებითი სამხედრო სამსახურის დაძალება პირისათვის მისი ყველაზე ძლიერი რელიგიური რწმენის მხედველობაში მიუღებლად, მაგრამ ამასვე გულისხმობს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მიმართ ფრაზის, „სადაც აღიარებულია“, გამოყენებით. ამის მიუხედავად, ამ ფრაზის საფუძველზე კონფლიქტი იკვეთება მხოლოდ მე-4 და მე-9 მუხლებს შორის და მისი მე-4 მუხლის სასარგებლოდ ასე გადაჭრით გადაწყვეტა მიზანშეწონილი არ არის.

კეთილსინდისიერ წინააღმდეგობასთან დაკავშირებულ საქმეებში კომისიის მიერ დაკავებული პოზიცია ნაწილობრივ განპირობებული იყო იმ სირთულეების მხედველობაში მიღებით, რომლებსაც სახელმწიფოები აწყდებიან სამხედრო სამსახურში განწვევის სამართლიანი სისტემების განვითარების პროცესში.<sup>396</sup> იძულებითი სამხედრო სამსახური შესაძლოა მძიმე, უსიამოვნო და არასასურველი იყოს ბევრი სამხედროვალდებულისათვის, ვისაც სამხედრო სამსახურისადმი რელიგიური და ფილოსოფიური წინააღმდეგობა არა აქვს.<sup>397</sup> თვით შემცველმა სამსახურმა შესაძლოა ახალგაზრდები მოსწყვიტოს ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ცხოვრებას, სამუშაოს, განათლებას და ოჯახს. აქედან გამომდინარე, სამხედრო სამსახურისათვის გამოსადეგი ახალგაზრდების რაოდენობის ნებისმიერმა შემცირებამ, შესაძლოა, გაზარდოს განწვეულთა სამსახურის ვადა და სამუშაოს მოცულობა. ამის შედეგად კი არ არის გამორიცხული საზოგადოების ფართო წრეებში გარკვეული მტრული განწყობის წარმოშობა სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებულთა მიმართ.<sup>398</sup> ძალზე ბევრ საქმეში კომისიამ მიიჩნია, რომ „იძულებითი სამხედრო სამსახურის ნებისმიერი სისტემა მძიმე ტვირთს აკისრებს მოქალაქეებს“. ტვირთი შესაძლოა მისაღებად ჩაითვალოს, თუ ის განაწილებულია ობიექტუ-



რად და თუ გამონაკლისი შემთხვევები საფუძვლიან მიზეზებს ემყარება. თუ მოქალაქეთა განსაზღვრული რაოდენობა გათავისუფლებული იქნებოდა დამაჯერებელი მიზეზების გარეშე, დადგებოდა საკითხი დანარჩენი მოქალაქეების დისკრიმინაციის თაობაზე.<sup>399</sup>

### ტრადიციული მიდგომა დისკრიმინაციის საქმეებში

კომისიის უარი, ზემოთ განხილულ საქმეებში ელიარებინა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება, შემდგომში ხაზგასმული იქნა იმ საქმეებით, სადაც მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო დისკრიმინაციულად წყვეტდა საკითხს, ვინ იყო უფლებამოსილი, მოეთხოვა გათავისუფლება სამხედრო სამსახურიდან და ვინ – არა. ამგვარი ტიპის საქმეებში მომჩივნები, ძირითადად, ასაჩივრებდნენ კანონს, რომლითაც ნებადართული იყო გათავისუფლება სამხედრო სამსახურიდან, მხოლოდ განსაზღვრული ტიპის რელიგიური მრწამსის მქონე და არა სხვა რელიგიისა თუ რწმენის მიმდევართათვის. ამ საქმეებში კონფლიქტი მე-4 და მე-9 მუხლებს შორის არ არის აქტუალური, თუმცა კომისია კვლავ დიდი პატივისცემით მოეკიდა მე-14 მუხლის გამოყენების სახელმწიფო ინტერესებს.

საქმეში *N შვედეთის წინააღმდეგ*,<sup>400</sup> კომისიამ უარყო მომჩივნის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც კანონი, რომელიც ითვალისწინებდა გათავისუფლებას სამხედრო სამსახურის შესრულებისაგან მხოლოდ მათთვის, ვისაც ამ ვალდებულების განხორციელება არ შეეძლო „განსაზღვრული რელიგიური საზოგადოებისათვის კუთვნილების გამო“, დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებდა. პრაქტიკაში ამგვარი დაცვით სარგებლობდნენ მხოლოდ იელოვას მონმეები, თუმცა ეს დებულება ქმნიდა შესაძლებლობას, რომ სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც ესარგებლათ დაცვით. კანონი არ ითვალისწინებდა სამსახურიდან გათავისუფლებას ფილოსოფიური მრწამსის საფუძველზე. მომჩივანი თვლიდა, რომ ვინაიდან იზიარებდა იელოვას მონმეთა რწმენას პაციფიზმის თვალსაზრისით, მათ მსგავსად კანონისმიერი დაცვით უნდა ესარგებლა. კომისიამ უარყო საჩივარი იმის საფუძველზე, რომ, დისკრიმინაცია შვედეთის კანონმდებლობით გონივრულად გამართლებული და ობიექტური იყო, ვინაიდან „იელოვას მონმეთა წევრები მისდევნენ მრავალმხრივი ქცევის წესების ერთობლიობას, რაც ყოველდღიური ცხოვრების მრავალ ასპექტს მოიცავს“. აქედან გამომდინარე,

*იელოვას მოწმეთა წევრობა წარმოადგენს ძლიერ არგუმენტს იმისა, რომ წინააღმდეგობა სამხედრო სამსახურის მიმართ ეფუძნება გულწრფელ რელიგიურ შეხედულებებს. არ არსებობს აღნიშნულის თანაზომადი მტკიცებულება მათ მიმართ, ვინც უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე, თუმცა არ არის მსგავსი დამაბასათებელი ნიშნების მქონე საზოგადოების წევრი.*

მე-14 მუხლის ინტერპრეტაციის ეს მიდგომა შეიძლება შედარებული იქნეს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ გამოყენებულ მიდგომასთან, ძალზე მსგავსი ფაქტების შემცველი საჩივრის განხილვის პროცესში. კომიტეტმა დაადგინა, რომ:

*სამხედრო სამსახურზე უარის კეთილსინდისიერად განმცხადებელთა მხოლოდ ერთი ჯგუფის გათავისუფლება ვალდებულების შესრულებისაგან, ყველა სხვა დანარჩენთა მიერ კი ამ დაცვით სარგებლობის უფლების უქონლობა არ შეიძლება განხილული იქნეს გონივრულად ... როდესაც უფლება კეთილსინდისიერ წინააღმდეგობაზე აღიარებულია ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ, დაუშვებელია უარის კეთილსინდისიერად განმცხადებლების ყოველგვარი დიფერენცირება მათი რწმენის ბუნების საფუძველზე.<sup>401</sup>*

კომისიამ ასეთივე ვიწრო მიდგომა გამოიყენა დისკრიმინაციის მიმართ, როდესაც სამხედრო სამსახურიდან რელიგიური ლიდერები გათავისუფლდნენ ისეთი წესით, რომელიც ერთმა-

ნეთისგან განასხვავებდა სხვადასხვა რელიგიის წინამძღოლებს. მაგალითად, გრენდრეთის საქმეში გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანონმდებლობა ითვალისწინებდა დებულებას, რომლის თანახმადაც ევანგელისტი და კათოლიკე სასულიერო პირები ავტომატურად თავისუფლდებოდნენ სამხედრო სამსახურის შესრულებისაგან, მაშინ, როცა სხვა რელიგიათა ანალოგიური წოდების მქონე მსახურნი დაცვით მხოლოდ განცხადების საფუძველზე ისარგებლებდნენ. იმისათვის, რომ პირი ხსენებული წოდების თანაზომიერ რელიგიურ ლიდერად ყოფილიყო განხილული, აუცილებელი იყო იმის დემონსტრირება, რომ რელიგიური ლიდერობა მის ძირითად პროფესიას წარმოადგენდა, რომელიც სრულ სამუშაო დღეს მოიცავდა. მომჩივანი ითხოვდა გათავისუფლებას იმ მოტივით, რომ იგი იელოვას მოწმეთა რელიგიური საზოგადოების ბიბლიის სწავლების ლიდერი იყო. სახელმწიფომ უარყო მისი განცხადება და მიუთითა, რომ განმცხადებლის ძირითადი სამუშაო მხატვრის ასისტენტობაა და მისი როლი, როგორც ბიბლიის სწავლების ლიდერისა, არ არის რეალური მნიშვნელობის მქონე როგორც რელიგიური საზოგადოების, ისე თვით მისი პროფესიისთვის. კომისიამ მხარი დაუჭირა სახელმწიფოს გადანყვეტილებას და მიუთითა, სრული სამუშაო დროით მომუშავე რელიგიური ლიდერების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების გონივრულობაზე იმ პირებთან შედარებით, ვინც სრულად არ არის დაკავებული ამგვარი საქმიანობით. გარდა ამისა, კომისიის შეხედულებით, დასაშვებია იყო კანონმდებლობის მიხედვით იმის პრეზუმირება, რომ კათოლიკე და ევანგელისტი სასულიერო პირები უნდა გათავისუფლდნენ სამხედრო სამსახურისგან (იმის მიუხედავად, რომ ცალკეულ შემთხვევაში სასულიერო პირად ყოფნა მათი ძირითადი პროფესია არ არის და კანონმდებლობა იმ პირთა გათავისუფლებასაც ითვალისწინებდა, რომლებიც სასულიერო სემინარიაში ასწავლიდნენ), ასევე სხვა რელიგიების წევრებისათვის თავიანთი მოთხოვნის დასაბუთების აუცილებლობა. კომისიას შეეძლო უფრო დეტალურად განეხილა დისკრიმინაციის საკითხი კანონმდებლობაში, რომელიც სხვადასხვა ტესტს აყალიბებდა ევანგელისტი და კათოლიკე სასულიერო პირებისა (თანამდებობრივი ტესტი) და სხვათა რელიგიური მოთხოვნებისათვის (საქმიანობის ტესტი).

**კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის აღიარება საერთაშორისო სამართალში**

მიუხედავად იმისა, რომ კომისია უარს აცხადებდა კეთილსინდისიერ წინააღმდეგობაზე კონვენციიდან გამომდინარე უფლების აღიარებაზე, უამრავმა სხვა საერთაშორისო დაწესებულებამ გამოხატა ამ უფლების მხარდაჭერა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, სადაც ამ საკითხზე იმართებოდა დისკუსიები, დაასკვნა, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა წამოჭრიდა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებს. მან ჩამოაყალიბა პრინციპების ერთობლიობა, რომელიც უნდა გამოეყენებინათ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში და მოუნოდა წევრ სახელმწიფოებს, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობა ასამბლეის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო წესებთან შესაბამისობაში მოეყვანათ. ეს პრინციპებია:

- 1) *სამხედროვალდებული პირები, რომლებიც სინდისის ან ღრმა რელიგიური, ეთიკური, მორალური, ფილოსოფიური ან მსგავსი მოტივებით უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურის შესრულებაზე, ისარგებლებენ პერსონალური უფლებით, გათავისუფლდნენ ამ სამსახურის შესრულების ვალდებულებისაგან.*
- 2) *ეს უფლება წარმოებულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებიდან კანონის უზენაესობის მქონე დემოკრატიულ ქვეყნებში, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-9 მუხლში.<sup>402</sup>*

აქედან გამომდინარე, საპარლამენტო ასამბლეამ და მოგვიანებით მინისტრთა კომიტეტმა<sup>403</sup> აღიარეს უფლება სამხედრო სამსახურისადმი კეთილსინდისიერ წინააღმდეგობაზე (არა ალტერნატიული სამსახურიდან გათავისუფლების გზით), როგორც მე-9 მუხლიდან წარმოებული. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე აღიარა უფლება კეთილსინდისიერ წინააღმდეგობაზე, რომელიც რელიგიისა და რწმენის გამოხატვის უფლებიდან გამომდინარეობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის საფუძველზე.<sup>404</sup> ეს მიდგომა ასევე მხარდაჭერილ იქნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ.<sup>405</sup> აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის პრაქტიკა კეთილსინდისიერ წინააღმდეგობასა და მის კავშირზე რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასთან საგრძნობლად ჩამორჩა საერთაშორისო სამართალში განვითარებულ მოვლენებს.

### ალტერნატიული მიდგომა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მიმართ

კრიტიკის მიუხედავად, კომისიამ სამი ათწლეულის განმავლობაში შეინარჩუნა თავისი ვიწრო მიდგომა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მიმართ. თუმცა ბოლო ორი საქმე მიუთითებს განსაზღვრულ ცვლილებაზე დამოკიდებულებაში განსაკუთრებით დისკრიმინაციის საკითხისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის სისტემაში. პირველი საქმე *ცირლსი და კულუმპასი საბერძნეთის წინააღმდეგ*<sup>406</sup> შეეხებოდა იელოვას მოწმეთა ორი მსახურის დაპატიმრებას სამხედრო სასამართლოთა გადაწყვეტილებით სამხედრო ძალებში მსახურზე უარის საფუძველზე. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ საბერძნეთის კანონმდებლობის საფუძველზე მათ ეკუთვნოდათ გათავისუფლება სამხედრო სამსახურიდან, რადგან „ცნობილი რელიგიის“ მსახურები იყვნენ. საბოლოო ჯამში, უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იელოვას მოწმეებს საბერძნეთის კანონმდებლობის მიხედვით ჰქონდათ გათავისუფლების უფლება. შედეგად, მომჩივნები საპატიმროდან გაათავისუფლეს, თუმცა ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. კომისიამ დაადგინა, რომ მათი მსჯავრდებით დარღვეულ იქნა მე-9 მუხლი, მე-14 მუხლთან კავშირში, ვინაიდან იელოვას მოწმეთა მსახურებმა თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივი პერიოდი გაიარეს, ვიდრე მათი უფლება სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებაზე იქნებოდა აღიარებული, მაშინ, როცა მართლმადიდებელი მღვდლები ყოველგვარი პრობლემის გარეშე სარგებლობდნენ თავიანთი უფლებებით.<sup>407</sup> ამგვარი დისკრიმინაციისათვის ობიექტური და გონივრული საფუძვლები არ არსებობდა. თუმცა კომისია გამოკვეთილად დაეყრდნო *გრენდრათის* საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, სასულიერო პირებს არ ჰქონდათ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება და ერთი შეხედვით გამოჩნდა, რომ ის მხოლოდ შედარებით მკაცრ მიდგომას იყენებდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის კანონების დისკრიმინაციული გამოყენების მიმართ, ვიდრე ამას წარსულში აკეთებდა. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ფოკუსირება სასამართლო პროცესსა და იელოვას მოწმეთა მსჯავრდებაზე მოახდინა და განაცხადა, რომ აუცილებლობას არ წარმოადგენდა მე-9 და მე-14 მუხლებიდან გამომდინარე საკითხების განცალკევებული მიმოხილვა.

კომისიის ერთ-ერთმა წევრმა თავის ნაწილობრივ განსხვავებულ აზრში პირდაპირ გააკრიტიკა *გრენდრათის* საქმეში საყოველთაოდ მიღებული მიდგომა, რომ მე-9 მუხლი არ იყო აქტუალური კეთილსინდისიერ წინააღმდეგობასთან დაკავშირებულ საქმეებში. ქალბატონ ლიდის განცხადებით, სასულიერო პირების სამხედრო სამსახურში განწევის იძულება თავისი არსით წარმოადგენდა რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების ხელყოფას.<sup>408</sup> მისი ანალიზის თანახმად მე-4 მუხლის დებულებებში არ „იგულისხმება, თითქოს მე-9 მუხლი გა-

მოუსადეგარი იყოს, არამედ ხაზგასმულია, რომ სამხედრო ან ალტერნატიული სამსახურის აუცილებლობა მე-9 მუხლის მეორე ნაწილის განხილვის ფარგლებში ექცევა და სახელმწიფოს დისკრეცია გაზრდილია მე-4 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად“.

ქალბატონ ლიდის აღნიშნული მოსაზრება მე-9 მუხლის რადიკალურად ფართო ინტერპრეტაციის თაობაზე კომისიის ინტერესის საგნად იქცა მხოლოდ განსაზღვრული დროის შემდგომ საქმეში *თლიმენოსის საბერძნეთის წინააღმდეგ*.<sup>409</sup> ეს საქმე დაკავშირებული იყო იელოვას მონემსთან, რომელიც მსჯავდებული იქნა და შეეფარდა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა სამხედრო სამსახურში განწვევაზე უარისათვის. რამდენიმე წლის შემდეგ მან წარმატებით ჩააბარა ტესტი ბულალტრის თანამდებობაზე. თუმცა მომჩივანს უარი ეთქვა სამუშაოზე იმ მოტივით, რომ იგი მსჯავრდებული იყო მძიმე დანაშაულისათვის. მომჩივნის მტკიცებით, ეს მისი უფლებების დარღვევა იყო მე-9 მუხლის საფუძველზე, მე-14 მუხლთან კავშირში.

კომისიის შემადგენლობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საჩივარს მე-9 და მე-14 მუხლების კომბინაციის საფუძველზე. უმრავლესობის კომენტარის მიხედვით, ვინაიდან არ არსებობდა ხელმისაწვდომი ალტერნატიული სამსახურის შესაძლებლობა, იელოვას მონემნი იძულებულნი იყვნენ არჩევანი გაეკეთებინათ სამხედრო ძალებში მსახურსა და მსჯავრდებას შორის. ამ გარემოებების გათვალისწინებით, კომისიამ მიიჩნია, რომ მომჩივნის ბრალეულად ცნობა უდრიდა მისი უფლების ხელყოფას რელიგიის გამოხატვაზე. მათ მხოლოდ მიუთითეს, რომ კომისიის დღემდე მოქმედი პრეცედენტული სამართლით მსჯავრდება კეთილსინდისიერი წინააღმდეგობისთვის არ იყო მე-9 მუხლის დარღვევა, თუმცა არ ინებეს, თავად მიეღოთ გადაწყვეტილება ამ საკითხზე. ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ საქმეში გასაჩივრებული იყო გადაწყვეტილება, რომლითაც მომჩივანს უარი ეთქვა ბულალტრის თანამდებობის დაკავებაზე და არა თავისუფლების აღკვეთა.<sup>410</sup> დასკვნა, რომლის თანახმადაც მსჯავრდება კეთილსინდისიერი წინააღმდეგობისათვის ადამიანის უფლების დარღვევას წარმოადგენდა რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე, *გრენდრათის* საქმეში ჩამოყალიბებული საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრების გაკრიტიკება (თუმცა არა პირდაპირი უარყოფა) იყო.

რაც შეეხება კომისიის შემადგენლობის უმცირესობას, იგი უფრო შორს წავიდა და საქმე პირდაპირ მე-9 მუხლის საფუძველზე გადაწყვიტა. უმცირესობაში მყოფმა კომისიის წევრებმა მოკლედ მიმოიხილეს წარსულში არსებული პრეცედენტული სამართალი, თუმცა მიუთითეს, რომ კონვენციის იურისპრუდენციამ, *გრენდრათის* საქმიდან მოყოლებული, „იმგვარი ევოლუცია განიცადა, რომ ეჭვქვეშ დააყენა“ აღნიშნულ საქმეში გამოყენებული არგუმენტაცია.<sup>411</sup> მათი მოსაზრებით, მომჩივნის უარი სამხედრო ძალებში მსახურზე მე-9 მუხლის საფუძველზე იმსახურებდა დაცვას. იელოვას მონემის უარი მისი რელიგიის გამოხატვა იყო, ამიტომაც ეს შემთხვევა განსხვავდებოდა სხვა საქმეებისაგან, სადაც ინდივიდების ქმედებანი მათი რწმენის უშუალო გამოხატვას არ წარმოადგენდა (მაგ, *ეროუსმიტის* საქმე) ან კანონებს მიზანმიმართული ქვეტექსტი არ გააჩნდათ (როგორცაა, საგადასახადო კანონები). აქედან გამომდინარე, უმცირესობაში მყოფი კომისიის წევრები შეეცადნენ თავიანთი გადაწყვეტილება სამხედრო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობით შემოეფარგლათ.

*თლიმენოსის* საქმე ასევე სასამართლოს დიდი პალატის წინაშე მოისმინეს და მოსამართლეებმა თავიანთი გადაწყვეტილების ფოკუსირება დისკრიმინაციის საკითხზე მოახდინეს.<sup>412</sup> კომისიისგან განსხვავებით, სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ გამოეკვლია, რამდენად უტოლდებოდა მომჩივნის უფლებების ხელყოფას მე-9 მუხლის საფუძველზე მისი მსჯავრდება და ხელისუფლების უარი მის ბულალტრად დანიშვნაზე. შესაბამისად, სასამართლოს არ განუხილავს საკითხი იმის თაობაზე, სანქციები რელიგიური მოსაზრებებით სამხედრო სამსახურზე უარის განმცხადებელთა მიმართ თავისთავად წარმოადგენს თუ არა მე-9 მუხლით გარან-

ტირებული უფლების დარღვევას აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებაზე. სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ მე-14 მუხლის შემონიშნებით მე-9 მუხლთან კავშირში. მან დაადგინა, რომ საბერძნეთის მთავრობის უარი მომჩივნის მიერ ბულალტრის საქმიანობის წარმართვაზე, დისკრიმინაციული იყო. სასამართლოს არ განუხილავს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობისთვის ინდივიდების მსჯავრდების კონვენციასთან შესაბამისობის საკითხი, თუმცა განაცხადა, რომ მათი შემდგომი შეფერხება საკუთარი პროფესიების შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისა დისპროპორციული იყო იმ პირთა დასჯის მიზნებისა, რომლებიც უარს აცხადებენ, ემსახურონ საკუთარ ქვეყანას.

აქედან გამომდინარე, სასამართლოს პოზიცია სამხედრო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საკითხზე კვლავ ბუნდოვანია. მაშინ, როცა *გრენდრათის* საქმეში შემუშავებული მიმართულება კომისიის კრიტიკის საგნად იქცა, სასამართლომ უარი განაცხადა, ამ სტადიაზე განეხილა ეს საკითხი. მიუხედავად ამისა, *თლიმენოსის* საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც არსებული რეგულაციები დისკრიმინაციულია, თუ ისინი არ ითვალისწინებენ იმ პირთა გათავისუფლებას კანონისმიერი ვალდებულების შესრულებისაგან, რომლებიც ვერ დაემორჩილებიან მას რელიგიიდან ან რწმენიდან გამომდინარე მიზეზების გამო, მე-9 მუხლის ინტერპრეტაციაზე ძალზე დიდი ზეგავლენის მოხდენის პოტენციალი აქვს. რა თქმა უნდა, ეს არსებითი ცვლილება სასამართლოსა და კომისიის მიერ იმ ადრინდელ საქმეებში დაკავებული პოზიციისა, სადაც პირები რელიგიისა და რწმენის საფუძველზე უარს აცხადებდნენ ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების შესრულებაზე, სამხედრო კონტექსტის ფარგლებს გარეთ.

### **ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონები პრეცედენტულ სამართალში**

თუკი სამხედრო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა სახელმწიფოთა მხრიდან მზარდი მხარდაჭერით სარგებლობს, არსებობს ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონები, რომლებიც არ შეეხება სამხედრო სამსახურს და, შესაბამისად, მათ მიმართ შეუძლებელია მე-4 მუხლის გამოყენება. აქედან გამომდინარე, ობიექტურად მე-9 მუხლის მოქმედების სფეროში ექცევა საკითხი იმის თაობაზე, საფუძვლიანია თუ არა მათი მოთხოვნა, ვინც რელიგიისა და რწმენის მოტივით უარს აცხადებს ამგვარი კანონების შესრულებაზე. იმის მიუხედავად, რომ მონინალმდეგე მხარეთა არგუმენტები სამხედრო საქმეებში გაცილებით ძლიერი და შთაბეჭედავია, ვიდრე სინდისთან შედარებით „მშვიდობიანი“ კონფლიქტების დროს, არგუმენტირების სტრატეგია ძალზე მსგავსია ორივე შემთხვევაში.<sup>413</sup> ერთი მხრივ, სახელმწიფოები ცდილობენ დაიცვან თავიანთი უფლება, რომ თანაბრად გაავრცელონ საზოგადოების ყველა წევრზე საზოგადო სიკეთისათვის გამიზნული კანონები და უზრუნველყოფონ, რომ ნებისმიერი გამონაკლისი ვინც არ იქნეს მიზანმიმართული კანონისათვის ძირის გამოთხრისა და თაღლითობის ნახალისების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, მეორე მხრივ, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მათი იძულება, დაემორჩილონ ამგვარ კანონებს, ქმნის კონფლიქტს მათივე უფლებასთან რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე და, შესაძლოა, რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციამდე მიგვიყვანოს.

ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონებთან დაკავშირებული საქმეების უმრავლესობა კომისიამ განიხილა, თუმცა მის მიერ გამოყენებული არგუმენტაციაც საკმაოდ ბუნდოვანი და შეუსაბამო იყო. კომისიას შეეძლო არჩევანი ორ ფართო მიმართულებას შორის გაეკეთებინა. პირველის თანახმად, მას შეეძლო მიეჩნია, რომ არც ერთი ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონი არ არღვევს მე-9 მუხლს. მეორე მიდგომა იქნებოდა იმის აღიარება, რომ ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონმდებლობით ისევეა შესაძ-



ლებელი მე-9 მუხლის ხელყოფა, როგორც სპეციალურად რელიგიურ ქცევაზე მიმართული კანონებით. ამ მიმართულების ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა სახელმწიფოს მიერ იმის დემონსტრირება, რომ ასეთი ჩარევა რელიგიის თავისუფლებაში აუცილებელია მე-9 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად. სამწუხაროდ, ამ მოცემულ ორ ნათელ ალტერნატივას შორის მდებარე ნახევარპოზიციას მიენიჭა უპირატესობა. ზოგჯერ კომისია ადგენდა, რომ ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალურ კანონებს შეუძლიათ შეზღუდონ რელიგიის თავისუფლება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამგვარ შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებით ეს შეზღუდვები გამართლებული იყო მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. სხვა შემთხვევებში კი კომისია კანონების ზოგად და ნეიტრალურ სტატუსს გადამწყვეტ (ან უაღრესად მნიშვნელოვან) ფაქტორად მიიჩნევდა იმის დასადგენად, რომ არ დარღვეულა მე-9 მუხლის პირველი ნაწილი. არც კომისიას და არც სასამართლოს გამოკვეთილად არასოდეს დაუფიქსირებია, რომ ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონებით შეუძლებელია მე-9 მუხლის დარღვევა, თუმცა, პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ ეს არის *de facto* პოზიცია.

### ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონები და ეროუსმიტის ტესტი

ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალურ კანონებთან დაკავშირებულ საქმეებში მომჩივანთა სანინალმდეგო გადაწყვეტილებების გამოტანას ნაწილობრივ ხსნის ეროუსმიტის ტესტის გამოყენება. ეროუსმიტის ტესტი მომჩივნებისგან მოითხოვს იმის დემონსტრირებას, რომ სახელმწიფოს მიერ შეზღუდული ქმედებები აუცილებელი იყო მათი რელიგიისა და რწმენის გამოხატვისათვის. საქმეთა უმრავლესობაში, რომლებიც ზოგადი დანიშნულების საკანონმდებლო სისტემებისადმი კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას შეეხებოდა, კომისიამ დაადგინა, რომ მომჩივანთა ქმედებები არ იყო რელიგიისა და რწმენის გამოხატვის აუცილებელი ფორმა. საქმეებში, სადაც კანონები ზოგადი და ნეიტრალურია, ტესტი უფრო შეკვეცილი ფორმით გამოიყენება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა კანონი სპეციალურად გამიზნულია რელიგიური ქცევის დარეგულირებისათვის. ზოგადად, კომისია თითქმის არ აქცევდა ყურადღებას საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ან მომჩივნის მტკიცებას იმის თაობაზე, თუ როგორ ხელყო კანონმა მისი რელიგია ან რწმენა, არამედ მხოლოდ ეროუსმიტის ტესტის ციტირებას ახდენდა, რომლის თანახმადაც მე-9 მუხლი არ ანიჭებს ინდივიდს უფლებას, საზოგადოებრივ სფეროში მოიქცეს თავისი რელიგიისა და რწმენის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში.<sup>414</sup> ეს ტესტი კომისიამ გამოიყენა მომჩივანთა იმ მოთხოვნების უარსაყოფად, რომლებიც მე-9 მუხლის დარღვევას შეეხებოდა ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების მხრიდან, როცა საქმე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ვაქცინაციასა<sup>415</sup> და გადასახადებთან<sup>416</sup> იყო დაკავშირებული. ის, თუ როგორ სწრაფად წყვეტდა კომისია ამგვარ საქმეებს, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კანონის ზოგადობისა და ნეიტრალურობის არგუმენტი ეროუსმიტის ტესტის საფუძველზე, სულ მცირე, მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს იმისა, რომ მას არ შეუძლია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ხელყოფა.

### განსხვავებული მიდგომა ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების მიმართ

ცალკეულ შემთხვევებში კომისია ამტკიცებდა, რომ ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალურ კანონებთან დაკავშირებულ საქმეებში სახელმძღვანელო პრინციპი სცილდება ეროუსმიტის ტესტის ვიწრო გამოყენებას და შეადგენს ცნებას, რომლის მიხედვითაც კანონის ნეიტრალური და ზოგადი ბუნება უმთავრესი ფაქტორის დატვირთვას იძენს იმ საკითხის გა-



დანყვეტისას, ირღვეოდა თუ არა მე-9 მუხლის პირველი ნაწილი. ამ პრინციპის ყველაზე ნათელ მტკიცებულებას წარმოადგენს გადასახადებთან დაკავშირებული ორი საქმის, *დერბი შვედეთის წინააღმდეგ*<sup>417</sup> და *C გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*<sup>418</sup> შედარება. მომჩივანი უკანასკნელ საქმეში იყო მეგობართა საზოგადოების (ცნობილი, როგორც კვაკერთა საზოგადოება) წევრი, პაციფიზმის მტკიცე მიმდევარი. იგი უარს აცხადებდა საშემოსავლო გადასახადის იმ ნაწილის გადახდაზე, რომელიც სამხედრო მიზნებისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული მანამ, სანამ სახელმწიფოსგან არ მიიღებდა გარანტიას, რომ ეს თანხა სხვა, არასამხედრო მიზნებს მოხმარდებოდა. სახელმწიფომ უარი განაცხადა ამ გარანტიის მიცემაზე და გადაწყვიტა, სასამართლო წესით ეიძულებინა დავალიანების გადახდა. მომჩივანმა კომისიას მიმართა დავალიანების იძულებითი დაფარვის თაობაზე სასამართლო ბრძანების აღსრულებისათვის დაკავშირებით. მომჩივნის მტკიცებით, სასამართლოს მიერ პაციფიზმი „რწმენად“ იყო აღიარებული და, შესაბამისად, იმსახურებდა დაცვას მე-9 მუხლის საფუძველზე.<sup>419</sup> მომჩივანს სურდა, საკუთარი მოთხოვნა ეროუსმიტის ტესტის ფარგლებში მოექცია, შესაბამისად, ის ამტკიცებდა, რომ მისი არაპირდაპირი, გადასახადის გადაუხდელობის გზით ნათქვამი უარი, მონაწილეობა მიეღო სამხედრო მომზადებაში, არ წარმოადგენდა მხოლოდ დამატებით ან რელიგიით მოტივირებულ ნაბიჯს, არამედ აუცილებელი იყო მისთვის.

ამ საქმეში კომისიამ განაცხადა:

*მე-9 მუხლი პირველ რიგში იცავს პერსონალური რწმენებისა და რელიგიური მსოფლმხედველობის სფეროს, ანუ იმ სფეროს, რომელიც ხშირად forum internum-ად არის წოდებული. გარდა ამისა, ის იცავს ქმედებებს, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ სფეროსთან, როგორიცაა ღვთისმსახურება და ლოცვა, რომლებიც რელიგიის გამოხატვის საყოველთაოდ აღიარებული ფორმებია.*

*თუმცა ამ პირადი სფეროს დაცვისას კონვენციის მე-9 მუხლით ყოველთვის არ არის გარანტირებული უფლება საზოგადოებრივ სფეროში ამგვარი რწმენით ნაკარნახევ ქმედებაზე, მაგალითად, როგორცაა უარი გადასახადების ნაწილის გადახდაზე, ვინაიდან იგი შეიძლება სამხედრო დანიშნულებისათვის იყოს გამოყენებული. კომისიამ იგივე დაადგინა 7050/75-ე საჩივრის (ეროუსმიტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ) განხილვისას, როდესაც განაცხადა, რომ მე-9 მუხლის პირველ ნაწილში ნახსენები „ტიერმინი“ გამოხატვა „არ მოიცავს რელიგიით ან რწმენით მოტივირებულ ან მათი ზეგავლენით სტიმულირებულ ყველა ქმედებას“.*

როგორც ვხედავთ, კომისია შემოიფარგლა მხოლოდ ეროუსმიტის ტესტის ვიწრო ფორმის გამოყენებით. მას არ განუხილავს საქმის კონკრეტული ფაქტები და არც მომჩივნის მტკიცება, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი აუცილებელი იყო მისი რელიგიის გამოხატვისათვის. შემდგომში კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ

*გადასახადების გადახდის ვალდებულება ზოგადი ხასიათისაა და მას არ აქვს მიზანმიმართული ქვეტექსტი. მის ნეიტრალობას ისიც ადასტურებს, რომ გადასახადების არც ერთ გადახდელს არ შეუძლია განსაზღვროს მიზანი ან რაიმე ზეგავლენა მოახდინოს მასზე, რომლის მისაღწევადაც იქნება გამოყენებული მისი საგადასახადო შენატანი. აქედან გამომდინარე, გადასახადების დაკისრების შესაძლებლობა კონვენციით გამოკვეთილად აღიარებული სისტემაა და მინიჭებული აქვს სახელმწიფოს პირველი ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე.*

არგუმენტაციის ნაკლებობის მიუხედავად, კომისიამ უარყო საჩივარი, ცნო რა იგი დაუშვებლად. გარკვეულ კითხვებს ბადებს ზემოთ მოყვანილი ციტატის პირველი ორი წინადადება. მომჩივნის მტკიცებით, ეს გადასახადები სერიოზულ ზეგავლენას ახდენდნენ სინდისზე

და ცალკეულ სფეროებში მოქალაქეებს, სულ ცოტა, იმის უფლება მაინც უნდა ჰქონოდათ, რომ გარკვეული შეზღუდვები დაენესებინათ იმ მიზნებზე, რომელთა მისაღწევადაც უნდა გამოყენებინათ მათი საგადასახადო შენატანები. კომისიის მარტივი განცხადება, რომ ეს არ არის მტკიცებულება, არც მთლად დამაჯერებელი არგუმენტია და არც ეროუსმიტის ტესტის არსებით გამოყენებას ნიშნავს. კომისიის დასკვნის შემდგომი ნაწილი კი ნათლად მიანიშნებს, რომ ამ საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად უფრო კანონის ზოგადი და ნეიტრალური ბუნება დაედო, ვიდრე ეროუსმიტის ტესტი. კომისიამ მიუთითა: „აქედან გამომდინარე, მე-9 მუხლი არ ანიჭებს მომჩივანს უფლებას, თავისი მრწამსის საფუძველზე უარი განაცხადოს კანონმდებლობის შესრულებაზე, რომელსაც, თავის მხრივ, ითვალისწინებს კონვენცია და რომელიც საზოგადოებრივ სფეროში გამოიყენება ზოგადად და ნეიტრალურად, მე-9 მუხლით გარანტირებულ თავისუფლებათა ხელყოფის გარეშე“.<sup>420</sup> კვლავაც, ამ არგუმენტაციით ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალურ კანონებს არ შეუძლიათ მე-9 მუხლის დარღვევა, თუმცა წინადადების ბოლო ნაწილი თავისთავად არღვევს ზოგად პრინციპს.

C გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ და სხვა ამგვარი საქმეების ალტერნატიული განმარტება, რომლებიც შემდგომში იქნა განხილული გადასახადების სფეროში, არის ის, რომ საგადასახადო კანონმდებლობა არ არღვევს მე-9 მუხლს, ვინაიდან სახელმწიფოს გადასახადების დაკისრების უფლებამოსილება კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით აქვს მინიჭებული.<sup>421</sup> ეს არგუმენტი მსგავსია მე-4 მუხლისა და სამხედრო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მიმართ გამოყენებული დასაბუთებისა. ის, რომ სახელმწიფოებს გადასახადების დაკისრების უფლებამოსილება აქვთ, რაც აუცილებლად ინდივიდის საკუთრების უფლების შეზღუდვას არ ნიშნავს (რაც პირველი ოქმის პირველი მუხლის ზრუნვის საგანს წარმოადგენს), არ გულისხმობს, რომ საგადასახადო სისტემის ნებისმიერი სახის გამოყენება ამგვარ შემონეშებას დაექვემდებარება ადამიანის უფლებათა ევროპული სისტემის მხრიდან. C გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ და დერბი შვედეთის წინააღმდეგ საქმეების შედარების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ პირველში სწორედ კანონის ზოგადი და ნეიტრალური ხასიათი აღმოჩნდა გადამწყვეტი და არა ის, რომ კანონები გადასახადებს შეეხებოდა. ორივე საქმეში მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ საგადასახადო კანონების გამოყენება მათ მიმართ არ უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ასეთი გადასახადები მათი რელიგიის თავისუფლების დარღვევას წარმოადგენდა. დერბის საქმეში მომჩივნის მიმართ წაყენებულ იქნა მოთხოვნა, მატერიალურად დახმარებოდა ეკლესიას, რომლის წევრიც ის არ იყო. საქმეში C გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ კი მომჩივანს მოსთხოვეს, მონაწილეობა მიეღო სამხედრო სისტემის მატერიალურ უზრუნველყოფაში, რაც მის რწმენას არ შეესაბამებოდა. პირველ საქმეში, კომისიის გადაწყვეტილებით, ადგილი ჰქონდა *forum internum*-ის დარღვევას, სახელმწიფოს მტკიცების მიუხედავად, რომ მას ჰქონდა გადასახადების დაკისრების უფლება პირველი ოქმის საფუძველზე.<sup>422</sup> რაც შეეხება მეორე საქმეს, აქ კომისიამ მომჩივნის მოთხოვნა აშკარად დაუსაბუთებლად მიიჩნია.<sup>423</sup> კომისიის მიხედვით, განსხვავება ამ საქმეებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ დერბის საქმეში მომჩივნის საჩივარი არ შეეხებოდა მისი საგადასახადო შენატანების გამოყენებას იმ მიზნებისათვის, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მის მსოფლმხედველობას, არამედ დაკავშირებული იყო მომჩივნის დავალდებულებასთან, გადაეხადა სპეციალური გადასახადი ეკლესიისათვის.<sup>424</sup> აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, განსხვავება მხოლოდ დერბის საქმეში არსებული გადასახადის უშუალოდ რელიგიურ ბუნებაში მდგომარეობდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონის ზოგადობა და ნეიტრალურობა უმნიშვნელოვანეს თუ არა, გადამწყვეტ ფაქტორს მაინც წარმოადგენდა

კომისიისათვის იმის დასადგენად, რომ მე-9 მუხლი არ დარღვეულა.<sup>425</sup> ამის მიუხედავად, კომისიას არასოდეს უღიარებია იგი თავის ზოგად პრინციპად და არც საკმარისად მზად აღმოჩნდა, რათა ის თანმიმდევრულად, ყველა საქმეში გამოეყენებინა. სასამართლოს პოზიცია კიდევ უფრო წინა-აღმდეგობრივი იყო. მაგალითად, საქმეებში ვალსამისი საბერძნეთის წინააღმდეგ და ეფსტრატოუ საბერძნეთის წინააღმდეგ<sup>426</sup> სასამართლომ მხოლოდ მიუთითა, რომ კომისიის მიხედვით მე-9 მუხლი არ ანიჭებდა ინდივიდებს დისციპლინური წესებისგან გათავისუფლების უფლებას, რომელთა გამოყენებაც ზოგადი და ნეიტრალური წესით ხდებოდა, თუმცა ეს დასკვნა კომისიამ არც გამოკვეთილად გაიზიარა და არც მისი შემდგომი კომენტირება მოახდინა. სასამართლოს მცდელობა ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონის როლზე მითითებისა ასევე შემჩნეულ იქნა კალაცის საქმეში, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ სამხედრო პოსტიდან მომჩივნის გათავისუფლება მოხდა არა მისი რელიგიის ან რწმენის, არამედ ქცევისა და პოზიციის საფუძველზე, რაც ზოგად სამხედრო სახელმძღვანელო წესებს არღვევდა. სავარაუდოდ, გაცილებით მრავლისმთქმელია ის, რომ სასამართლოს მიერ არსებითად განხილული, მე-9 მუხლთან კავშირში მყოფი თითქმის ყველა საქმე არა ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალურ, არამედ სპეციალურ კანონებს შეეხებოდა, რომელთა სამიზნე რელიგიური ჯგუფები იყო.<sup>427</sup>

### პრეცედენტული სამართლის წინააღმდეგობრივი ხასიათი

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, კომისია უარყოფდა ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების საფუძველზე მე-9 მუხლის დარღვევის შესაძლებლობას, ეს არ ყოფილა მტკიცე წესი. რამდენიმე ერთგვაროვან საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას და განაგრძო განხილვა ამავე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. ერთ-ერთი სფერო, სადაც არის ტენდენცია სასამართლოს მხრიდან მე-9 მუხლის მეორე ნაწილის მიდგომის გამოყენებისა, დაკავშირებულია ღვთისმსახურების თავისუფლებასთან. ქურუმთა ღვთისმსახურება ზაფხულის ბუნიობის დღესასწაულზე ამის მაგალითს წარმოადგენს.<sup>428</sup> კანონი, რომელიც ხურავდა სთოუნჰენჯს ბუნიობის დღესასწაულის დროს, ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური იყო და ჰქონდა გამოკვეთილი საზოგადოებრივი მიზანი, რომელიც რელიგიასთან კავშირში არ იყო. ხელისუფლებას არ გამოუყენებია ეს კანონი ქურუმების მიმართ დისკრიმინაციული წესით. მიუხედავად ამისა, კომისიამ დრუიდიზმი რელიგიად განსაზღვრა და მიიჩნია, რომ წესები, რომლებიც ქურუმებს არ აძლევდა საზაფხულო რიტუალების შესრულების საშუალებას, იყო რელიგიის თავისუფლებაზე მათი უფლების შეზღუდვა. კომისიას ეს გადაწყვეტილება არ დაუსაბუთებია და არც ზოგადი და ნეიტრალური კანონები უხსენებია. ღვთისმსახურების თავისუფლებას შეეხებოდა ორი სხვა საქმეც. ერთში, სადაც მომჩივნები პატიმრები იყვნენ, გასაჩივრებულ იქნა ციხის უსაფრთხოების ზოგადი წესების გამოყენება, რომელიც მათ განსაზღვრული რელიგიური მსახურების ჩატარების შესაძლებლობას ართმევდა.<sup>429</sup> მეორე კი ინდუისტურ ტაძარში დაგეგმარების წესების გამოყენებით ღვთისმსახურების განხორციელებაში ჩარევასთან იყო დაკავშირებული.<sup>430</sup> გარდა ამისა, სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მეშვიდე დღის ადვენტისტი მოსწავლის მიმართ მოთხოვნის წაყენება, შაბათ დღეს დასწრებოდა სასკოლო კავებითებს, წარმოადგენდა ჩარევას შაბათის წესის დაცვით რელიგიის გამოხატვის შესაძლებლობაში, თუმცა შეზღუდვა გამართლებულად მიიჩნია ბავშვის განათლების უფლების საფუძველზე.<sup>431</sup> არც ერთ ზემოხსენებულ საქმეში ის, რომ შეზღუდვები ღვთისმსახურების უფლებაზე ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების საფუძველზე განხორციელდა, არ ქცეულა გადამწყვეტ ფაქტორად მე-9 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე საკითხების მიმართ და არც კომისიას უხსენებია, როგორც მნიშვნელოვანი არგუმენტი.

შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს, რომ ღვთისმსახურების უფლება სპეციალური შემთხვევაა, თუმცა კომისიის მიდგომა ზოგად და ნეიტრალურ კანონებთან დაკავშირებით შეუსაბამო იყო სხვა სფეროებშიც. საქმეში ჰაკანსონი შვედეთის წინააღმდეგ,<sup>432</sup> სადაც ზოგადი, მშვიდობის დარღვევის სანინააღმდეგო კანონის გამოყენება იმ პირის მიმართ განხორციელდა, რომელიც ალკოჰოლსა და პორნოგრაფიას საჯაროდ ხმამაღლა აცხადებდა ცოდვად, კომისიამ მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა დაადგინა. სხვა, ძალზე მსგავს საქმეში კი პირის ქმედებანი, რომელიც, სააბორტო კლინიკის გარეთ მდგომი, ცდილობდა ქალთა დარწმუნებას, არ გაეკეთებინათ აბორტი, მკვდარი ჩანასახისა და ქრისტეს სურათების ჩვენებით, მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დაცვის ფარგლებს გარეთ მოექცა კომისიის გადანყვეტილებით.<sup>433</sup> ორივე საქმეში მომჩივნები საკუთარი რელიგიური მრწამსით ხელმძღვანელობდნენ და იმის შეცვლას ცდილობდნენ, რაც, მათი აზრით, ცოდვაა. ორივე შემთხვევაში გამოიყენეს ზოგადი დანიშნულების კანონები, რომლებიც სხვებს იცავდა შემანუხებელი ქცევისაგან. მიუხედავად ამისა, კომისიამ მხოლოდ პირველ შემთხვევაში აღმოაჩინა რელიგიის თავისუფლების დარღვევა (რომელიც, თავის მხრივ გამართლებული იყო), მაშინ, როცა მეორე საქმეში მიიჩნია, რომ მომჩივნის ქმედებანი „პირდაპირ იყო მიმართული ქალთა გადარწმუნებისაკენ, არ გაეკეთებინათ აბორტი“ და, შესაბამისად, არ წარმოადგენდა რელიგიისა და რწმენის გამოხატვას.<sup>434</sup>

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უჩვეულოდ რთულია ზოგადი დასკვნის სახით იმის განსაზღვრა, თუ რამდენად გადამწყვეტია ზოგადი და ნეიტრალური კანონების არგუმენტი მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეებში. საქმეთა დიდ უმრავლესობაში, სადაც ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონებია გასაჩივრებული, არ ხდება საჩივრის მიღება წარმოებაში მე-9 მუხლის საფუძველზე, აშკარა დაუსაბუთებლობის ნიადაგზე. გარდა ამისა, საქმეთა ნაწილში კანონის ზოგადობა და ნეიტრალობა კომისიის არგუმენტაციის ნაწილია. თუმცა, ამავე დროს, კომისია ყოველთვის არ ყოფილა ამ პრინციპის ერთგული. ცალკეულ შემთხვევებში, კომისიის გადანყვეტილებით, ადგილი ჰქონდა მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამგვარ საქმეში კომისიის გადანყვეტილებით რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა ზოგადი და ნეიტრალური კანონების საფუძველზე გამართლებული იყო მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად. აქედან გამომდინარე, კომისიის *de facto* პოზიცია, განხილულ საქმეთა შედეგების გათვალისწინებით, იმაში მდგომარეობს, რომ ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონმდებლობა მე-9 მუხლს არ არღვევს. რაც შეეხება იმ კონცეპტუალურ შეუსაბამობას, რაც დამახასიათებელი იყო კომისიის მიერ გამოყენებული მიდგომებისათვის, ეს ნათლად მეტყველებს თვით ამ ორგანოში მე-9 მუხლისათვის ზოგადი და ნეიტრალური კანონების რელევანტურობის საკითხთან დაკავშირებით არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე. პრეცედენტულ სამართალში ამ საკითხის ირგვლივ სიცხადის ნაკლებობის გათვალისწინებით, უპრიანი იქნებოდა მიმოგვეხილა რამდენიმე განსხვავებული არგუმენტი, რაც საშუალებას მოგვცემდა, უკეთ აგვეხსნა კომისიის სურვილის უქონლობა, დაიკავოს მტკიცე სამართლებრივი პოზიცია.

## **ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალურ კანონებთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი**

### **მიდგომა მე-9 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე**

სასამართლოს ჯერ არ ჩამოუყალიბებია ნათელი პოზიცია ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების მიმართ. თანმიმდევრული მიდგომა იქნებოდა, თუკი სასამართლო

განაცხადებდა, რომ ეს კანონები მე-9 მუხლს არ არღვევს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბევრი-სათვის ასეთი მიდგომა სამართლიანობისა (ვინაიდან იგი ყველას მიმართ მსგავსი წესების გამოყენებას გულისხმობს) და დემოკრატიის (ვინაიდან იგი უმცირესობათა ან „ფანატიკოსების“ მხრიდან საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის გამიზნული კანონების ხელყოფის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა) მოთხოვნების შესრულება იქნებოდა. თუმცა ამგვარი მიდგომა არ იკვეთება მე-9 მუხლის ტექსტში, სადაც, უბრალოდ, საუბარია რელიგიის გამოხატვის თავისუფლებაზე. იმისათვის, რომ მე-9 მუხლი ეფექტური იყოს, ზოგჯერ აუცილებელია პრევალირება მოახდინოს არსებულ სამართლებრივ წესრიგზე. უფრო მეტიც, აღიარებული უნდა იქნეს, რომ თეორიაში კანონის ყველას მიმართ თანაბრად გამოყენება არ მეტყველებს მის სამართლიანობაზე (მსგავსი ტვირთის ყველაზე დაკისრების თვალსაზრისით). ეს ზოგადი მოსაზრება აღიარებულია სამართლებრივ თეორიაში.<sup>435</sup> ის კრიშნასვამიმ გაიმეორა რელიგიისა და რწმენის კონტექსტში. ამ ავტორის თანახმად, „ვინაიდან თითოეული რწმენა და რელიგია განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს თავის მიმდევრებს, მექანიკური მიდგომა თანასწორობის პრინციპისადმი, რომელიც მხედველობაში არ მიიღებს ამ მოთხოვნათა მრავალფეროვნებას, მიგვიყვანს უსამართლობამდე, ზოგ შემთხვევაში კი დისკრიმინაციამდე“.<sup>436</sup> მოგვიანებით მანვე დაასკვნა, რომ „რელიგიისა და რწმენის გარკვეულ მანიფესტაციებზე დაკისრებულ განსაზღვრულ შეზღუდვებს, მიუხედავად მათი უდავოდ ზოგადი ხასიათისა, შეუძლია რეალურად მხოლოდ ამა თუ იმ ჯგუფზე მოახდინოს ზეგავლენა ან სხვებზე მეტად მას მიაყენოს ზიანი“. აქედან გამომდინარე, მრავალ იურისდიქციაშია აღიარებული, რომ ზოგადი დანიშნულების კანონი შესაძლებელია არაპირდაპირ დისკრიმინაციული იყოს, რადგან იგი ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფს აკისრებს ცაცილებით მძიმე ტვირთს, ვიდრე დანარჩენ მოსახლეობას და, შესაბამისად, შეუძლია მნიშვნელოვანილად ხელყოს მათი რელიგიისა და რწმენის გამოხატვის შესაძლებლობა.<sup>437</sup> ამის მაგალითს რელიგიის თავისუფლების კონტექსტში წარმოადგენს აშშ-ს ამკრძალავი კანონმდებლობა. მისი გამოყენება ყველას მიმართ თანაბრად ხდებოდა და გამიზნული იყო საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, თუკი ამ კანონებით არ იქნებოდა გათვალისწინებული გამონაკლისები ზიარებისა და სედერისათვის,<sup>438</sup> მოხდებოდა აშკარა ჩარევა ქრისტიანული ეკლესიებისა და ამერიკელი ებრაელების ყველაზე წმინდა რიტუალებში.<sup>439</sup> ნათელია, რომ, მაგალითად, კანონი, რომელიც პირდაპირი გზით აკრძალავს კათოლიკურ მესას, დაარღვევს რელიგიის თავისუფლებას. ასევე ლოგიკურია მივიჩნიოთ, რომ კანონი, რომელიც არაპირდაპირი გზით იდენტური შედეგის მომტანია, თუკი შეუძლებელს ხდის აუცილებელი სარიტუალო საშუალებებით სარგებლობას, ასევე არღვევს ადამიანის უფლებას რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე ღვთისმსახურების ფორმით. აქედან გამომდინარე, რთულია იმის თქმა, რომ სასამართლომ აუცილებლად *prima facie* უნდა გამორიცხოს ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონები მე-9 მუხლის განხილვის საზღვრებიდან.<sup>440</sup>

ამის მიუხედავად, ზოგიერთი ავტორის მოსაზრების თანახმად, სასამართლომ სწორედ ეს მიდგომა უნდა აირჩიოს, როცა საქმე რელიგიის თავისუფლებას შეეხება.<sup>441</sup> ამგვარი დებატები ძალზე მწვავე იყო აშშ-ში, სადაც უზენაესმა სასამართლომ უამრავი მიდგომა გამოიყენა ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების მიმართ. თავდაპირველად უზენაესმა სასამართლომ პირველი შესწორებისადმი ვიწრო მიდგომით ისარგებლა, რომელიც რწმენის სფეროს უფრო შეეხებოდა, ვიდრე ქმედებებს.<sup>442</sup> ამგვარი ინტერპრეტაცია არ ქმნის კონფლიქტს რელიგიის თავისუფლების სასამართლო კონცეფციასა და ზოგად და ნეიტრალურ კანონებს შორის.<sup>443</sup> თუმცა გარკვეული დროის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ აღიარა, რომ რელიგიის თავისუფლება განსაზღვრულ ქმედებებსაც მოიცავდა და ზოგადი დანიშნუ-



ლებისა და ნეიტრალურ კანონებსაც შეეძლოთ რელიგიის თავისუფლების ხელყოფა. ამ აღმოჩენის უმაღლეს მიღწევას წარმოადგენდა საქმე *ვის კონსინი იოდერის წინააღმდეგ*,<sup>444</sup> სადაც უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი შესწორების თანახმად, სახელმწიფო ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა გამონაკლისები კანონში, რომელიც 16 წლამდე სავალდებულო სწავლებას შეეხებოდა, ვინაიდან ამიშების რელიგია თავისი მიმდევრებისაგან ცხოვრების ისეთი წესის შენარჩუნებას ითხოვდა, რომელიც შეუსაბამო იყო 14 წელს ზევით სასკოლო სწავლებასთან. თუმცა დღესდღეობით, როგორც ჩანს, სასამართლომ საწყის პოზიციას დაუქვემდებარა რელიგიის თავისუფლების გარანტიის საზღვრები. საქმეში *ორეგონი სმიტის წინააღმდეგ*<sup>445</sup> უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირველ შესწორებას არ არღვევდა კანონი, რომელიც მექსიკური წარმოშობის კაქტუსისგან დამზადებული ნარკოტიკული ნივთიერების (პეიოტის) მიღების კრიმინალიზაციას ახდენდა ყოველგვარი გამონაკლისის დაშვების გარეშე აბორიგენი ამერიკელების, ინდიელებისათვის, რომლებიც მას ტრადიციულ რელიგიურ რიტუალებში იყენებდნენ. გადაწყვეტილება მწვავე კრიტიკის საგნად იქცა<sup>446</sup> და კონგრესი შეეცადა, ის შეეცვალა 1993 წელს მიღებული რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტით.<sup>447</sup> ეს აქტი კრძალავდა მთავრობის მიერ „არსებითი ტვირთის“ დაკისრებას პირის რელიგიის თავისუფლებაზე ზოგადო დანიშნულების რეგულაციების გამოყენებით, თუ მთავრობა ვერ აჩვენებდა, რომ ტვირთი „სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესის ხელშეწყობა იყო“ და შესაბამისი რეგულაცია „მინიმალურ შემზღვეველ საშუალებას“ წარმოადგენდა ამ ინტერესის მხარდაჭერისათვის. თუმცა უზენაესმა სასამართლომ ეს კანონმდებლობა არაკონსტიტუციურად მიიჩნია და კვლავ დაადასტურა *ორეგონის* საქმეში დაკავებული პოზიცია.<sup>448</sup>

ზოგად კანონებთან დაკავშირებით რელიგიის გამოხატვის „ადაპტაციის“ კრიტიკა ამერიკაში სახელმწიფოსა და ეკლესიის კონსტიტუციური გამიჯვნის უზრუნველყოფაზე ზრუნვიდან გამომდინარეობს, რომელიც არც ისე მნიშვნელოვანი საკითხია ევროპულ კონტექსტში. თუმცა არსებობს სხვა საკითხები, რომლებიც რელევანტურია მაშინაც, როცა აქტუალური არ არის ეკლესიისა და სახელმწიფოს სამართლებრივი გამიჯვნა. ამის მიზეზი პოლიტიკური ტიპის შემოფოთება უფროა იმ პოტენციური საფრთხით, რაც ინდივიდების მიერ ზოგადი დანიშნულების კანონებისადმი წინააღმდეგობის განვიდან გამომდინარეობს, ვიდრე სამართლებრივი არგუმენტი. ამ თვალსაზრისის მონიშნაღმდეგეების მიხედვით არსებობს ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალურ კანონებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ორი გზა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ეს კანონები რეპრესიული არ იყოს რელიგიის თავისუფლების მიმართ. პირველი კანონებიდან გამონაკლისების დაშვებაში მდგომარეობს (მაგალითად, უფლება კეთილსინდისიერ წინააღმდეგობაზე სავალდებულო სამხედრო სამსახურის სისტემაში), მეორე კი რელიგიის თავისუფლების მიმართ კანონების ნაკლებად შემზღვეველი წესით შემუშავებას გულისხმობს.<sup>449</sup>

ვინაიდან კომისია და სასამართლო ზოგადად უარყოფდნენ იმ მომჩივნთა საჩივრებს, რომლებიც მე-9 მუხლის საფუძველზე ითხოვდნენ გათავისუფლებას ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების მოქმედებისაგან, აუცილებელია ამგვარი პოზიციის მიზეზების მიმოხილვა.

### **რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მინიმალური შემზღვევა, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება**

მათი მტკიცებით, ვინც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მინიმალურად შემზღვეველი წესით კანონების შემუშავების არგუმენტს ეწინააღმდეგება, ეს მოთხოვნა საკმაოდ მძიმე ტვირთის დაკისრება იქნებოდა სახელმწიფოზე.<sup>450</sup> ეს მართალია, ვინაიდან ევროპული



საზოგადოებები რელიგიურად პლურალისტურ ორგანიზმებად ჩამოყალიბდნენ და ძალიან ბევრს განუვითარდა ინდივიდუალისტური რწმენები.<sup>451</sup> ამ კონტექსტში, მოლოდინი სახელმწიფოთა მხრიდან (თავი რომ დავანებოთ კანონებიდან გამონაკლისების დაშვებას) უამრავი ჯგუფის რწმენათა სისტემების ცოდნისა, რომელთაც ესა თუ ის კანონი შეეხებათ, არარეალურია. მთავრობებს საზოგადოების კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ჰქონდეთ მართვის შესაძლებლობა და მათზე „ნაკლებად შემზღვეველობის“ მოთხოვნის დაკისრება ამ შესაძლებლობის ხელყოფას მოახდენდა.<sup>452</sup>

რა თქმა უნდა, არსებობს სიმართლის ელემენტები ამ არგუმენტებში. უდავოა, რომ სახელმწიფოების მიმართ მოთხოვნა კანონების ისეთი ფორმით მიღებაზე, რომელიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მიმართ პატივისცემით იქნებოდა განმსჭვალული, გარკვეულ ზეგავლენას მოახდენდა მათ შესაძლებლობაზე, დროულად და ეფექტურად განეხორციელებინათ უმრავლესობის მიზნები. თუმცა სწორედ ეს არის ის საზღაური, რომლის გაღებაც უნდა მოხდეს იმ საზოგადოებებში, რომლებიც პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს. პროფესორ დვორკინის თანახმად, „უმრავლესობა ვერ შეძლებს ისე სწრაფად ან ისე წინ წასვლას, როგორც სურს, თუკი აღიარებს ინდივიდის უფლებას, გააკეთოს ის, რაც უმრავლესობისათვის ცუდ საქციელად ითვლება“. გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ თუკი ჩვენ ნამდვილად ძვირად გვიღირს უფლებები, ეს საკმაოდ მისაღები საზღაურია. უმრავლესობისათვის ხელსაყრელი მდგომარეობა ფუნდამენტური უფლების მიმართ გულგრილი დამოკიდებულების გამომწინასათვის საკმარისი არგუმენტი არ არის. სასამართლომ გაიზიარა ეს შეხედულება და განაცხადა, რომ „თუმცა ინდივიდის ინტერესები ზოგ შემთხვევაში უნდა დაექვემდებაროს ჯგუფის ინტერესებს, დემოკრატია იმას არ ნიშნავს, რომ უმრავლესობის მოსაზრებები ყოველთვის უნდა დომინირებდეს: უნდა იქნეს მიღწეული ბალანსი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება უმცირესობათა სამართლიანი და სათანადო მოპყრობა და თავიდან აგვაცილებს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას“.<sup>453</sup>

ამ წინადადების მოწინააღმდეგეთა მტკიცებით, არარეალისტურია მოლოდინი სახელმწიფოს მხრიდან იმ გზის ცოდნისა, რომლითაც ამა თუ იმ კანონს შეუძლია ზეგავლენის მოხდენა რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში, პირველი შესწორებით გათვალისწინებული რელიგიის თავისუფლების დაცვის კონტექსტში, სტივენ კარტერი აყალიბებს ანალოგიას დელიქტური კანონმდებლობის მიმართ იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომლის თანახმადაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ კანონით უსამართლოდ არ შეიზღუდოს რელიგიის თავისუფლება.

*ფაქტობრივად, ნებისმიერ მომჩივანს დელიქტური სამართალწარმოებისა აქვს თავისუფლება, დაეყრდნოს კეთილგონიერ საერთო სამართლებრივ დოქტრინას, რომლის მიხედვითაც პრეზუმირებულია, რომ ინდივიდებს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ მიღებული თავიანთი ქმედებების გონივრულად განჭვრეტადი შედეგები. პიროვნების დავალდებულება, რომ მიყენებული ზიანის კომპენსირება მოახდინოს, კერძო პირებს წაახალისებს, მხედველობაში მიიღონ ზიანი, რომელიც მათ ქმედებას მოჰყვება. ვინაიდან რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იმოქმედებს, როდესაც მოსალოდნელი შედეგი გადაწონის სავარაუდო ხარჯებს, იზრდება საერთო სოციალური კეთილდღეობა. თუმცა სამოქალაქო უფლებათა, ამ შემთხვევაში აღმსარებლობის თავისუფლების, მოსარჩლეები ჩაფლულნი არიან უჩვეულო იურისპრუდენციაში, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების წარმომადგენლებს შეუძლიათ იმოქმედონ იმ ხარჯების (კონსტიტუციური დანაკარგის სახით) მხედველობაში მიუღებლად, რაც შესაძლოა მოჰყვეს მათ*

ქმედებებს, სანამ მათი მოქმედება ინდიფერენტულობიდან გამომდინარეობს და არ არის მტრული ხასიათისა. ეს წესი ერთ დროს დელიქტური სამართალდარღვევების შემთხვევაშიც მოქმედებდა, თუმცა სასამართლოებმა დიდი ხნის წინ თქვეს მასზე უარი.

კარტერის მტკიცებით, მთავრობისათვის ნების დართვა, ნებისმიერ სფეროში განახორციელოს საკანონმდებლო ქმედებები, სანამ რელიგია კანონის შეგნებულ სამიზნედ არ გადაიქცევა, ნაახალისებს სახელმწიფოებს, რელიგიის თავისუფლების საკითხების იგნორირება მოახდინონ საკანონმდებლო პროცესში, მაშინ, როცა წესი, რომელიც მათ დაავალდებულებდა, გამართლებინათ კანონმდებლობის საზღვრები, თუკი იგი რელიგიასა და რწმენაში ეროდა, უზრუნველყოფდა მთავრობათა წინდახედულებას მორწმუნეთა უფლებების დასაცავად.

მიუხედავად იმისა, რომ „მინიმალურად შემზღუდველი“ მიდგომის გამოყენების შემთხვევაში სახელმწიფოებს აშკარა პრაქტიკული სირთულეების დაძლევა მოუწევთ, ამ პრობლემების გადალახვა არც ისე წარმოუდგენელია, როგორც ზოგიერთს მიაჩნია. უამრავ სახელმწიფოში არსებობს საკანონმდებლო კომიტეტები თუ სხვა ორგანოები, რომელთაც ევალებათ შემოთავაზებული კანონპროექტების მიმოხილვა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. თუკი სასამართლო აირჩევდა იმ მიმართულებას, რომლის მიხედვითაც კანონები რელიგიისა და რწმენის თავისუფლებისადმი რაც შეიძლება ნაკლებად შემზღუდველი წესით უნდა შეემუშაებინათ, მაშინ ის ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონები, რომელთაც პოტენციური ზეგავლენის მოხდენა შეეძლოთ რელიგიაზე ან რწმენაზე, ამ კომიტეტების კომპეტენციის ფარგლებში მოექცეოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია, კომიტეტს მოეთხოვოს სახელმწიფოში არსებულ ყველა რელიგიათა და რწმენათა სრულყოფილი ცოდნა, მის ნევრებს კონსულტაციის უამრავი მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა ექნებოდათ, დაწყებული საზოგადოებრივი შეკრებების ორგანიზებითა და სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებისგან შემდგარი საკონსულტაციო ჯგუფების შექმნით, დამთავრებული არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის წარმოდგენილი კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის ფართო გავრცელების უზრუნველყოფით. გარდა ამისა, რელიგიურ ან რწმენაზე დაფუძნებულ ჯგუფებს ხშირად გაცნობიერებული აქვთ კანონპროექტების პოტენციურად უარყოფითი ზეგავლენა მათ საზოგადოებებზე, თუმცა არ გააჩნიათ სათანადო საშუალებანი, რომელთა მეშვეობით შეძლებდნენ თავიანთი წინადადებების მთავრობისათვის წარდგენას.<sup>454</sup> მინიმალური შეზღუდვების წესი მინიჭებდა მათ ამგვარ შესაძლებლობას და ნაახალისებდა სახელმწიფოებს, გამოენახათ ასეთ ჯგუფებთან კომუნიკაციის საშუალებანი. მოკლედ რომ ვთქვათ, რელიგიის თავისუფლების სერიოზულად დაცვის ნების რეალურად არსებობის პირობებში სახელმწიფო ხელისუფლებას უამრავი საშუალება აქვს, უზრუნველყოს საკუთარი თავის ინფორმირება შესაბამისი კანონმდებლობის გზით ამ უფლებაზე პოტენციურად უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის შესახებ.<sup>455</sup>

### სოციალური ანარქიის არგუმენტი

განსაზღვრული შეხედულებით ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონებიდან გამონაკლისის დაშვებამ ან მინიმალურად შემზღუდველი მიდგომის გამოყენებამ რელიგიის თავისუფლების მიმართ შესაძლოა კანონმდებლობის ფრაგმენტაცია და საზოგადოებრივი ერთიანობის რღვევა გამოიწვიოს. აშშ-ს უზენაესი სასამართლო იყენებდა ტერმინს „მმართველი ანარქია“ იმ საჩივრების უარსაყოფად, რომელთა მიხედვითაც ყველა კანონი დაბალანსებული უნდა იყოს ურთიერთსაწინააღმდეგო რელიგიური მოთხოვნების გათვალისწინებით.<sup>456</sup> ეს არგუმენტი გონივრული ინტერესის ანარეკლია, რათა ადამიანები არ გადაიქცნენ

თავიანთი თავის კანონმდებლებად, თვითონ არ გადაწყვიტონ, თუ რა არის მათ სინდისთან შესაბამისობაში და მხოლოდ იმ კანონებს არ დაემორჩილონ, რომლებიც, მათი აზრით, ჯეროვანია.<sup>457</sup> ეს პრობლემა თავისი პოტენციალით გაცილებით დიდია ევროპაში, ვიდრე აშშ-ში, რომლის კონსტიტუციაც მხოლოდ რელიგიის თავისუფლებას იცავს და არა გაცილებით ფართო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ რელიგიასა და რწმენას. პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება თალლითური მოთხოვნების გამო, როდესაც ადამიანები რელიგიის თავისუფლების არგუმენტებს მძიმე და უსიამოვნო სოციალური ვალდებულებების შესრულებისაგან თავის დაღწევის მიზნით იყენებენ. შესაძლებელია ისიც, რომ კანონის შესრულებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობამ გამოიწვიოს ინდივიდების ჩავარდნა პათოლოგიური თვითგამოცდის პროცესში სამართლებრივი ვალდებულებისაგან თავის დაღწევის სურვილის გამო და წაახალისოს ისინი, რათა მოითხოვონ გამონაკლისის მათზე გავრცელება, მაშინ როცა სხვა პირობებში არც კი იფიქრებდნენ კანონის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობაზე.<sup>458</sup>

ეს არგუმენტები გაცილებით დამაჯერებელია გამონაკლისების, ვიდრე კანონების მინიმალურად შემზღუდველი წესით შემუშავების მოთხოვნის კონტექსტში. ზოგად პრინციპად იმის აღიარება, რომ თითოეული პირი უფლებამოსილია ისარგებლოს გამონაკლისით ნებისმიერი კანონიდან, რომლითაც იზღუდება მისი შესაძლებლობა რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე, პოტენციურად მძიმე სოციალური შედეგების მომტანი იქნებოდა, იმის მიუხედავად, რომ ამგვარი პრინციპი მაინც დაექვემდებარებოდა სახელმწიფოს უფლებას გამონაკლისით სარგებლობაზე უარის თქმისა დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის ნიადაგზე. თუმცა რამდენიმე სფეროში, მაგალითად, სამხედრო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში, ერთადერთ საშუალებად სახელმწიფო ინტერესებისა და მონინააღმდეგეთა მოთხოვნების დაბალანსებისა შესაძლოა, სწორედ განსაზღვრული ფორმის გამონაკლისების დაშვება წარმოადგენდეს. მიუხედავად ამისა, ამ შედეგის მომტანი ზოგადი პრინციპი ძალზე მძიმე ტვირთს დააკისრებდა სახელმწიფოს, კერძოდ, გამოევიდნა ის შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები არ იმსახურებდნენ გამონაკლისით სარგებლობას და ამავე დროს უსამართლოდ არ ჩარეულიყო მათ *forum internum*-ში.

ამგვარ შემოთვებას არ იწვევს იდეა, რომლის თანახმადაც კანონი ისეთი წესით უნდა იქნეს შემუშავებული, რომ რელიგიის თავისუფლების მინიმალურად შემზღუდველი იყოს (იმის აღიარებით, რომ ზოგ შემთხვევაში ამის მიღწევის საუკეთესო საშუალებას ზოგადი დანიშნულების კანონის შემუშავება წარმოადგენს, რომელიც გარკვეულ გამონაკლისებს გაითვალისწინებს). პროფესორ რაცის დასკვნით, ინდივიდის სინდისსა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის კონფლიქტის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება კანონების გაუქმება იქნებოდა იმ სფეროებში, სადაც კონფლიქტი მოსალოდნელია. „სინდისის თავისუფლება და სახელმწიფოს პლურალისტური ხასიათი გარანტირებულია მგრძობიარე მორალური მრწამსის ობიექტად ცნობილ სფეროებში ქმედებათა დარეგულირებისგან თავის შეკავებითა და სხვადასხვა რელიგიური და მორალური მრწამსის ადამიანების მოთხოვნათა შესაბამისი საშუალებებისა და მომსახურების უზრუნველყოფით“.<sup>459</sup> და კვლავ, აქ არ იგულისხმება საკანონმდებლო შეზღუდვა მაშინ, როდესაც საქმე დაუშვებელ ქმედებებს ეხება. იმ რელიგიებისა და რწმენების შემთხვევაში, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვებისათვის ზიანის მიყენებაში, სახელმწიფოსათვის საფრთხის შექმნასა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკის ქვეშ დაყენებაში, მათი საქმიანობა შეიძლება სათანადოდ შეიზღუდოს მე-9 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად. ეს მიდგომა მოითხოვს მხოლოდ საკანონმდებლო შეზღუდვასა და ხელოვნებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვა იგნორირებისაგან სხვა საზოგადოებ-

რივი მიზნების განხორციელების პროცესში. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის მიზეზები სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავდება. თაღლითობის, დისკრიმინაციის, *forum internum*-ში სახელმწიფოს ჩარევის და სავალდებულო სამხედრო სამსახურში მონაწილეთა სინდისის შელახვის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებას შესაძლოა სამხედრო მოსამსახურეთა განვევის ინსტიტუტის პროფესიული სამხედრო ძალებით ჩანაცვლება წარმოადგენდეს.<sup>460</sup> თუმცა, შესაძლებელია, ცალკეულ სახელმწიფოებს ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე გულწრფელი შეშფოთების გამო არ შეუძლიათ ამგვარი ცვლილებების განხორციელება და მოუწევენ იმის ჩვენებას, რომ მათ დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია განვევის შენარჩუნება, თუმცა, შესაძლოა, ამ გარემოებების პირობებში გართულდეს ასევე გარკვეული გამოწვევების არდაშვების ძლიერი ინტერესის დადასტურება.

ზოგიერთი კანონი მართლაც ისე უნდა შემუშავდეს, რომ გარკვეულწილად ზღუდავდეს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას, როდესაც სახეზეა მე-9 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული პირობები. ეს ასევე აგვაცხადებს თავიდან სამართლებრივი სისტემის სრული ფრაგმენტაციის წყაროდ მე-9 მუხლის გადაქცევას. მაგალითად, ფერმერებმა, რომლებმაც უარი განაცხადეს მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამაში მონაწილეობაზე, საფრთხის წინაშე დააყენეს მთელი პროგრამის წარმატება, ვინაიდან მათი საქონლის ინფექციას შეეძლო ხელი შეეშალა ნიდერლანდებში დაავადების აღმოფხვრისათვის.<sup>461</sup> იძულებითი დაზღვევის სისტემის მოქმედება ასევე ძალზე გართულდებოდა ხშირი გამონაკლისების დაშვების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ნიდერლანდებში (სადაც უმცირესობის ეკლესია არსებობს, რომელიც დაზღვევის სასტიკი წინააღმდეგია) დაშვებული იყო რელიგიურ ნიადაგზე გათავისუფლება იძულებითი დაზღვევისგან, უფრო მაღალი საგადასახადო განაკვეთების სანაცვლოდ.<sup>462</sup> იმავეს თქმა შეიძლება სავალდებულო საპენსიო სისტემაზე,<sup>463</sup> თუმცა მოცემულ შემთხვევაში პირის მხარდაჭერის ტვირთი სიბერის წლებში ეკისრება უფრო იმ ინდივიდს, რომელიც პროგრამაში მონაწილეობას არ მოისურვებს, ვიდრე მთლიანად საზოგადოებას.<sup>464</sup> თუმცა სხვა საქმეებში გამონაკლისების დაშვება ან კანონების მინიმალურად შემზღუდველი წესით შემუშავება ნაკლებად მნიშვნელოვან სირთულეებთან იყო დაკავშირებული. გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ გამონაკლისების დაშვება სიქებისთვის მოტოციკლეტისტათვის განკუთვნილ უსაფრთხოების მუზარადთან დაკავშირებული კანონებიდან არც კანონმდებლობას უქმნიდა რეალურ საფრთხეს და არც მის ობიექტს ხელყოფდა.<sup>465</sup> ამის მსგავსად რამდენიმე ქვეყანა შეეცადა დასვენების დღეები დაენსებინა ბევრი რელიგიის, და არა მხოლოდ დომინანტი რელიგიური მიმდინარეობის, რელიგიური დღესასწაულების თარიღებთან თანხვედრით. ამას კი რელიგიისა და რწმენის მოთხოვნებსა და სახელმწიფო კანონებს შორის კონფლიქტების შემცირებისკენ მივყავართ.

აქედან გამომდინარე, მინიმალურად შემზღუდველი მიდგომა და ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონებიდან გამონაკლისების დაშვება არ ქმნის ქაოსის ისეთ საფრთხეს, როგორც ამას ბევრი ამტკიცებს.<sup>466</sup> ეს არ გულისხმობს, რომ კანონმა პატივი უნდა სცეს თითოეული ადამიანის უფლებას, თვითონ გადაწყვიტოს, დაემორჩილოს თუ არა კანონს, არამედ იგი მოითხოვს კანონმდებლისაგან, გაითვალისწინოს, თუ რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ამ თუ იმ კანონს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე, ასევე წინასწარ მოითათბიროს რელიგიურ საზოგადოებებთან კანონების შემუშავების ისეთ გზებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის გარეშე.

### მე-9 მუხლის მეორე ნაწილის შესუსტების არგუმენტი

დოქტორი სტეფანოს სტავროსი ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ავტორთაგანია, რომელსაც ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების საკითხები კონვენციასთან მიმართებით აქვს განხილული. იგი კიდევ ერთ პოტენციურ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც შეიძლება მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეებში ზოგად და ნეიტრალურ კანონებთან დაკავშირებული საჩივრების დაკმაყოფილების შემთხვევაში წარმოიქმნას. სტავროსი ნუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ, თუკი სასამართლო აშკარა დაინტერესებას გამოიჩენს, რელიგია და რწმენა ზოგადი და ნეიტრალური კანონებისგან ხელყოფილად ჩათვალოს, ამის კომპენსირება მას მე-9 მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნათა შესუსტებით მოუწევს, რათა სახელმწიფოს ქმედებები უსამართლოდ არ შეიზღუდოს. ამის მტკიცებულებად სტავროსს აშშ-ში „სასიცოცხლო ინტერესის“ ტესტის შესუსტება მოჰყავს ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალურ კანონებთან დაკავშირებულ საქმეებში, რომელიც კონსტიტუციის პირველი შესწორების შეზღუდვის გამართლებად გამოიყენებოდა. მისი მოსაზრებით, კონვენციის იურისპრუდენციის მსგავს განვითარებას შეუძლია რისკის ქვეშ დააყენოს კომისიის და სასამართლოს მიერ გარანტირებული დაცვა, როგორც იგი უწოდებს, „ქველმოდური“ რელიგიური დევნისაგან. იგი მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმის უზრუნველყოფას, რომ რელიგიურ დევნასთან დაკავშირებული საჩივრები არ იქნეს საფრთხის წინაშე დაყენებული ზოგადი და ნეიტრალური კანონებით დაკისრებული შედარებით მცირე შეზღუდვების საკითხების გადაწყვეტისკენ განვითარებული იურისპრუდენციით. ამ მიზეზიდან გამომდინარე, იგი ამართლებს სასამართლოსა და კომისიის მიერ ზოგადად გამოყენებულ მიდგომას, რომლის თანახმადაც ზოგადი და ნეიტრალური კანონები არ წამოჭრიან მე-9 მუხლისათვის რელევანტურ საკითხებს.

აუცილებელია სამი ძირითადი საკითხის მიმოხილვა ზემოთ განხილული არგუმენტის საპასუხოდ. პირველი არის ის, რომ, როგორც რელიგიისა და რწმენის გამოხატვათა შეზღუდვებისადმი მიძღვნილ ქვეთავში აღინიშნა, სასამართლო და კომისია ყოველთვის დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ სახელმწიფოთა მოთხოვნებს მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების მიმართ სახელმწიფოთა არგუმენტების მიუღებლობის შემთხვევაშიც, სავარაუდოდ, არ არის მოსალოდნელი მსგავსი დამოკიდებულების შეცვლა. მეორე, კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლებების მიმართ კომისია და სასამართლო ცვლიან სახელმწიფოთა დისკრეციას ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე. გამოხატვის თავისუფლების შემთხვევაში სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილება პოლიტიკურ კონტექსტში ვინაო ხასიათისაა,<sup>467</sup> რაც სრულებით არ იქნა საფრთხის წინაშე დაყენებული გაცილებით ფართო დისკრეციით ისეთ სფეროებში, როგორიცაა პორნოგრაფია.<sup>468</sup> ზოგადი და ნეიტრალური კანონი, სავარაუდოდ, გაცილებით იოლად აკმაყოფილებს მე-9 მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნებს და, შესაბამისად, უფრო ფართო დისკრეციას ანიჭებს სახელმწიფოებს, ვიდრე კანონი, რომელიც სპეციალურად რელიგიური ქცევის შეზღუდვისკენაა მიმართული. სინამდვილეში კომისია იყენებდა ამგვარ ტესტს მე-9 მუხლის კონტექსტში სახელმწიფოს იმ საქმიანობის დეტალური შემოწმებით, რომელიც გამიზნულად არის მიმართული რელიგიური უმცირესობების შეზღუდვისაკენ და ამავე დროს სახელმწიფოს პოზიციის გაზიარებით ზოგადი დანიშნულების კანონებთან დაკავშირებულ მრავალ საკითხში.

ბოლო პრობლემა, რაც დოქტორ სტავროსის ანალიზთან არის დაკავშირებული, იმაში მდგომარეობს, რომ ამ ავტორის თანახმად, შესაძლებელია რელიგიური დევნის ძირითადი შემთხვევები აშკარად და იოლად იქნეს იზოლირებული და, სავარაუდოდ, ზოგადი დანიშნულე-



ბისა და ნეიტრალური კანონების საფუძველზე სერიოზულ დევნას არ ექნება ადგილი. რელიგიური დევნის არსი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას მოვიზარებთ რელიგიისა და რწმენის ქვეშ. როგორც წესი, კომისია და სასამართლო გაცილებით მნიშვნელოვან დაცვას ანიჭებდნენ ტრადიციულ ქრისტიანულ რელიგიურ გამოხატვას, როგორცაა ღვთისმსახურება<sup>469</sup> და პროზელიტიზმი,<sup>470</sup> ვიდრე არაქრისტიანულს, მათ შორის თავსაბურავის ტარებას,<sup>471</sup> რელიგიური არტეფაქტების ფლობასა<sup>472</sup> და გარკვეული ქცევის შეცვლისაკენ სხვებისათვის საჯაროდ მონობას.<sup>473</sup> ეს არ გულისმობს, რომ კომისია და სასამართლო შეგნებულად არიან არაქრისტიანი მორწმუნე მომჩინებების საწინააღმდეგოდ განწყობილნი, თუმცა ნათლად მეტყველებს, თუ რა სახიფათოა, ვალიაროთ, თითქოს არსებობს საერთო გაგება იმისა, თუ რა არის არსებითი რელიგიისა და რწმენის დაცვისათვის. მუსლიმანი ქალბატონისათვის, რომელსაც მოსთხოვეს ფოტოსურათის გადაღება თავსაბურავის გარეშე, იელოვას მონზე ბავშვებისათვის, რომლებიც დაისაჯნენ აღლუმში მონანილეობაზე უარის გაცხადებისათვის, პაციფისტისთვის, რომელსაც არ მიეცა განსაზღვრული სამხედრო ვალდებულების წინააღმდეგ გამოსვლის შესაძლებლობა, ამგვარი კანონები რელიგიისა და რწმენის ისეთი შეზღუდვებია, რომლებსაც ისინი ისევე მძაფრად განიცდიან, როგორც სხვა განიცდიდა, მისთვის საჯარო ღვთისმსახურების ნება რომ არ დაერთოთ.

### რელიგიური უმცირესობების ინტერესების გათვალისწინება

ერთი ძლიერი მხარე იმის აღიარებისა, რომ ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონის საფუძველზე შესაძლებელია მე-9 მუხლის დარღვევა და რელიგიის თავისუფლების ადეკვატური დაცვისათვის კანონიდან გამონაკლისების დაშვება, ან მინიმალურად შემზღუდველი წესით კანონმდებლობის შემუშავება შეიძლება საჭირო გახდეს, მდგომარეობს უმცირესობათა რელიგიებისა და რწმენების მიმდევართა მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მაშინ, როცა კანონების შემუშავებისას ფაქტობრივად ყოველთვის მოხდება მსხვილი რელიგიური ჯგუფების ინტერესების მხედველობაში მიღება, შედარებით მცირე ჯგუფები შეიძლება თამაშგარე სიტუაციაში აღმოჩნდნენ, ხშირად იგნორირების შედეგად და არა იმის გამო, რომ ვინმეს მათი შევიწროება განუზრახავს. აშშ-ში ამის მაგალითს წარმოადგენს ამკრძალავი კანონებიდან გამონაკლისის სახით ღვინის დაშვება რიტუალური მიზნებისათვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში უარი მილიონობით ადამიანს შეეხებოდა. ამავე დროს აბორიგენი ამერიკელების (ინდიელების) მსჯავრდება პეიოტის (მექსიკური წარმოშობის კაქტუსისგან დამზადებული ნარკოტიკული საშუალების) ტრადიციულ რიტუალში გამოყენებისათვის არ ჩაითვალა პირველი შესწორების დარღვევად.<sup>474</sup> ამ ნარკოტიკული საშუალების საწინააღმდეგო ზოგადი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა გამონაკლისს იმ შედარებით მცირე ჯგუფისათვის, რომლისთვისაც მისი გამოყენება რელიგიური რიტუალის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა. ევროპულ კონტექსტში, ტრადიციული რელიგიები, ახლად აღმოცენებული რელიგიური მიმდინარეობებისგან განსხვავებით, ისტორიულ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონების საფუძველზე სახელმწიფოებისგან იღებენ დაფინანსებას საკუთარი ეკლესიების შესანახად.<sup>475</sup> თუმცა, რა თქმა უნდა, ძნელია მსხვილი რელიგიური ჯგუფების იგნორირება ზოგადი და ნეიტრალური კანონების შემუშავებისას, უმცირესობათა ინტერესების გათვალისწინებლობა კი – საკმაოდ იოლი.

ისინი, ვინც იზიარებს პოზიციას, რომლის თანახმადაც ზოგადი და ნეიტრალური კანონები არ არღვევს მე-9 მუხლს, აღიარებენ, რომ ეს ნამდვილად უმცირესობათა შესაძლებლობების შეკვეცას ნიშნავს. მათი მოსაზრებით, არსებობს გაცილებით უკეთესი გზები ამგვარი ჯგუფების დასაცავად, ვიდრე მე-9 მუხლის ფართო ინტერპრეტირება. მაგალითად, პროფესორ მალკოლმ ევანსის მიხედვით, აუცილებელი არ არის, რელიგიის თავისუფლება გან-



საზღვრული საზღაურის გაღების გარეშე განხორციელდეს და იმ ჯგუფებმა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ზოგადი კანონის საფუძველზე მათი რელიგიის გამოხატვის შეზღუდვით, კომპენსაციისათვის დემოკრატიული საშუალებები უნდა გამოიყენონ. აზრისა და გამოხატვის თავისუფლებამ ნება უნდა დართოს უმცირესობებს თავიანთი შეშფოთება უმრავლესობას გაუზიარონ, ხოლო დემოკრატიული საშუალებებით კი უმცირესობების ინტერესები უნდა იქნას გათვალისწინებული გამონაკლისის დაშვების ან კანონის ხელმეორედ შემუშავების გზით.

ამგვარი სახის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე დაუცველ ჯგუფებს, რომელთა საკანონმდებლო პროცესის მიღმა დატოვების შესაძლებლობა საკმაოდ დიდია, შეადგენენ სავარაუდოდ ფართო საზოგადოებისაგან იზოლირებული უმნიშვნელო პოლიტიკური გავლენის მქონე მცირე საზოგადოებები. ეს სწორედ ის ჯგუფებია, რომელთაც ყველაზე ნაკლებად შეუძლიათ საკუთარი მიზნების მიღწევა დემოკრატიული საშუალებების გამოყენებით. მდგომარეობა განსაკუთრებით უპერსპექტივო ხდება ცალკეული ჯგუფების შემთხვევაში, რომლებიც ანტიპათიური დამოკიდებულებით სარგებლობენ ფართო საზოგადოების და სამართლებრივი სისტემის მხრიდანაც კი,<sup>476</sup> რაც კარგად ჩანს საბერძნეთის სასამართლოების გადანყვეტილებებიდან იელოვას მონმეების საქმეებში, სადაც მათ გამოუდებით იხსენიებდნენ სექტად, იმის მიუხედავად, რომ ეს მიმდინარეობა აღიარებული რელიგიაა საბერძნეთის კანონმდებლობის საფუძველზე.<sup>477</sup> სასამართლოს მხრიდან იმის გაცხადება, რომ ამგვარმა ჯგუფებმა მხარდაჭერა საზოგადოების უმრავლესობისაგან უნდა მოიპოვონ, გულისხმობს აღნიშნული ორგანოს მიერ იმ როლის შესრულებაზე უარის თქმას, რომელიც მან უმცირესობების დაცვის სფეროში უნდა შეასრულოს.<sup>478</sup> თუკი უფლებები მართლაც ღირებულ ფასეულობებად არის მიჩნეული, დროდადრო მათ საზოგადოებრივ აზრზე უნდა მოახდინონ პრევალირება და დაცვა მიანიჭონ მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება ის – ფართო საზოგადოების მიერ იგნორირებულ და გარიყულ ჯგუფებს.

\* \* \*

საქმეებში, სადაც საჩივარი ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალურ კანონებს შეეხებოდა, სასამართლოსა და კომისიის გადანყვეტილებებით ყოველთვის ან რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები არ წამოიჭრებოდა, ან ეს კანონები აკმაყოფილებდა მე-9 მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნებს. როგორც ჩანს, სასამართლომ და კომისიამ აღიარეს უარყოფითი დამოკიდებულება რელიგიისა და რწმენის იმ მიმდევართა მიმართ, რომლებიც ითხოვდნენ უფლებას, უარი განეცხადებინათ მრავალმხრივ სამართლებრივ სისტემებში მონაწილეობაზე და ზოგჯერ არც კონკრეტული საქმის დეტალებს აქცევდნენ საკმარის ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი სისტემები მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მიზნებს ემსახურება და გამონაკლისების დაშვება ან კანონების მინიმალურად შემზღუდველი ნესით შემუშავების მიდგომა გარკვეულ ტვირთს აკისრებს სახელმწიფოებს, ძალზე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ზოგადი დანიშნულების კანონმდებლობას შეუძლია სერიოზული შეზღუდვები დააწესოს შედარებით პატარა და დაუცველი ჯგუფების რელიგიასა და რწმენაზე. ამგვარ ჯგუფებს არ შეუძლიათ მხოლოდ დემოკრატიულ პროცესებს დაეყრდნონ საკუთარი მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად.

ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების წინააღმდეგ აღძრული მრავალი საჩივრიდან ნათელია, რომ მომჩივნები თავიანთი რელიგიისა და რწმენისათვის საფრთხის შემცველად განიხილავენ იმ კანონებს, რომლებიც *prima facie* მხოლოდ მცირედით ან საერთოდ არ შეეხებიან რელიგიას. მათ უმრავლესობას შეადგენენ უმცირესობათა წარმომადგენ-

ლები ან ინდივიდები, რომელთა რწმენაც მათ არსებულ ინსტიტუციურ სტრუქტურასთან კონფლიქტისაკენ უბიძგებს. მათ ვერ შეძლეს დემოკრატიული პროცესების გამოყენება კანონის შეცვლის ან მისი მოთხოვნებისაგან გათავისუფლებისათვის. ამ ჯგუფებისათვის იმის თქმა, რომ კანონი, რომელიც მათი შეხედულებით სერიოზულ ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ რელიგიასა და რწმენაზე, ფაქტობრივად არ წარმოადგენს რელიგიისა და რწმენის გამოხატვის შეზღუდვას (ან არ არის საკმარისი მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობისათვის), ნიშნავს კონვენციის საფუძველზე სამართლიან დაცვაზე უარს. ამაში არ იგულისხმება, რომ ჯგუფებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ გამონაკლისებით სარგებლობის უფლება და კანონების ინტერპრეტირება და გამოყენება აუცილებლად იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ არ მოხდეს ჩარევა მათ რელიგიასა და რწმენაში. კონვენციის შემზღველი კლავშულები ნათლად ადასტურებენ, რომ ინდივიდის უფლებებს ყოველთვის არ შეუძლია ფართო საზოგადოებრივი მიზნების გადაწონა. ამგვარი საჩივრების, სულ მცირე, მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე განხილვა და არა მათი უარყოფა ამავე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მოითხოვს სახელმწიფოსაგან ინდივიდის უფლებებზე დაწესებული შეზღუდვების დასაბუთებას და შესაბამისად უზრუნველყოფს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის მაღალ დონეს.

საქმეში *თლიმენოსი საბერძნეთის წინააღმდეგ*<sup>479</sup> მიღებული გადაწყვეტილება მეტყველებს მოცემულ სფეროში აზროვნების გარკვეულ ცვლილებაზე. გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ზოგადი და ნეიტრალური კანონი დისკრიმინაციული ხასიათისაა, თუ ის არ ითვალისწინებს გამონაკლისებს რელიგიის ნიადაგზე, უპრეცედენტოა მე-9 მუხლის პრეცედენტულ სამართალში. სამხედრო კონტექსტის ფარგლებს გარეთ მისი მიღება რეგულაციურ ეფექტს მოახდენდა ზოგადი და ნეიტრალური კანონების მიმართ სასამართლოს მიდგომაზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, მომჩივნებს კვლავ მოუწევდათ სასამართლოს დარწმუნება იმაში, რომ მათი ქმედებანი რელიგიისა და რწმენის გამოხატვას წარმოადგენს და სახელმწიფოებსაც ფართო დისკრეცია მიეცემოდათ. იმ შემთხვევაში თუ დისკრიმინაციის პრინციპის გამოყენება რეგულარულად მოხდება მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეებში, სასამართლოსა და კომისიის მიერ წარსულში უარყოფილი საჩივრების უმრავლესობა სავარაუდოდ დაკმაყოფილებული იქნება.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. იგი ინდივიდის ხელშეუხებლობისა და ავტონომიის ძირითადი ასპექტია. ამის აღიარების ნიშნად კონვენცია, ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო დოკუმენტების მსგავსად, ადგენს რელიგიისა და რწმენის ქონის, ასევე მათი გამოხატვის თავისუფლებას. ამკარაა, რომ კონვენციის ავტორები ნათლად აცნობიერებდნენ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მნიშვნელობას და იმ გარემოებათა ლიმიტირების აუცილებლობას, რომელთა არსებობის პირობებშიც არის შესაძლებელი ადამიანის უფლების შეზღუდვა რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციაზე. შესაბამისად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას მნიშვნელოვანი დაცვა მიენიჭა კონვენციის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, მე-9 მუხლის პრეცედენტულ სამართალს დღემდე არ მოუხდენია ინდივიდების ცხოვრებაში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მნიშვნელობის შესაბამისი გააზრების დემონსტრირება და ყოველთვის გადამეტებულ პატივისცემას იჩენდა სახელმწიფო ინტერესების მიმართ.

### **ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები**

მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეებში მიღებული გადაწყვეტილებები ნათლად მეტყველებს რელიგიის თავისუფლების კონცეფციის ვიწრო და ხშირად უნესრიგო ხასიათზე. იმის მიუხედავად, რომ ტერმინი „რელიგია და რწმენა“ ფართოდ იქნა ინტერპრეტირებული, ეს გარეგნულად ლიბერალური მიდგომა მე-9 მუხლისადმი იმ ვიწრო საზღვრებით შეიზღუდა, რომლებიც მიენიჭა რელიგიისა და რწმენის, ასევე მათი გამოხატვის თავისუფლებას. ამგვარი მიდგომა დიდ სირთულეს წარმოადგენს მომჩივნებისთვის, რომლებიც რელიგიური გამოხატვის ტრადიციული, ევროპული მოდელის ფარგლებს გარეთ მოქმედებენ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთ

პირობებში მყოფი მომჩივნები აღწევნენ წარმატებას მე-9 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის ინტერპრეტირება იმგვარად ხდება, რომ სახელმწიფოებს მოქმედების ძალზე დიდი თავისუფლება ენიჭებათ რელიგიისა და რწმენისადმი მოპყრობის თვალსაზრისით. ის სირთულეები, რასაც მომჩივნები გადააწყდნენ, ცხადად მიუთითებს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებით კომისიისა და სასამართლოს მიდგომიდან გამომდინარე პრობლემებზე.

### რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მნიშვნელობის არალიარება

არსებობს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უამრავი, ხშირად ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი, კონცეფციები. დღემდე, გარდა *კოკინაკისის* საქმეში მოყვანილი მოკლე აზრებისა, რომელშიც აღნიშნულია რელიგიის თავისუფლების მნიშვნელობა პიროვნებისათვის და პლურალისტური საზოგადოებისათვის, სასამართლოს განხილვის საგანი არ ყოფილა ამ თავისუფლების მნიშვნელობა. *კოკინაკისის* საქმეში გამოყენებული სიტყვები ყველა შემდგომ საქმეში გაიმეორეს, თუმცა მათი არსი თითქმის ყოველთვის იგნორირებული იყო. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება „უძვირფასეს საკუთრებად“ არის აღიარებული, თუმცა სასამართლო მზად არ აღმოჩნდა მისთვის დაცვის მნიშვნელოვანი საზღვრები მიენიჭებინა. მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეებში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მიმართ არასაკმარისად სერიოზული დამოკიდებულების ნათელ მაგალითს წარმოადგენს *forum internum*-სა და რელიგიისა და რწმენის გამოხატვის უფლებასთან დაკავშირებული საქმეები.

რელიგიისა და რწმენის ქონის უფლება მე-9 მუხლის საფუძველში მყოფად იქნა წოდებული *კოკინაკისის* საქმეში. ეს გამეორებულია კონვენციის ტექსტით, სადაც *forum internum* არ ექვემდებარება შეზღუდვებს მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. თუმცა, მიუხედავად აღიარებული მნიშვნელობისა, არც კომისიასა და არც სასამართლოს დღემდე არ წარმოუდგენია გონივრული ახსნა იმისა, თუ რას იცავს მე-9 მუხლის პირველი ნაწილის პირველი სემენტის და როგორ არის მისი დარღვევა შესაძლებელი სახელმწიფოთა მხრიდან. ბავშვების განათლების სფეროშიც კი, სადაც ყველაზე მეტად იჩენს თავს *forum internum*-ში ჩარევის საფრთხე, ინდოქტრინაციის საკითხისადმი გამარტივებული მიდგომის შემუშავებამ რელიგიის გაკვეთილებზე დასწრების მიზნით, ბავშვებზე ზეწოლის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა მიანიჭა სკოლებს. სხვა სფეროებშიც სასამართლომ (შედარებით ნაკლებად) და კომისიამ უარყვეს ის მოსაზრება, რომ თვით რწმენაზე ისეთი სერიოზული ტვირთის დაკისრება, როგორცაა სამსახურიდან გათავისუფლება ან უარი საპარლამენტო ადგილების დაკავებაზე, საკმარისია შინაგან რწმენაში, ისევე როგორც მის გამოხატვაში, ჩარევის დასადაგენად. საქმეებში, სადაც ადგილი ჰქონდა რელიგიურ დისკრიმინაციას (მაგ., სახელმწიფო სამსახურში), რელიგიის გამხელის მოთხოვნასა და სიღრმისეული რწმენის საწინააღმდეგო ქმედების განხორციელების ვალდებულებას, მხოლოდ გამოხატვასთან დაკავშირებული საკითხები იქნა განხილული. თუმცა განსხვავება რწმენასა და ქმედებას შორის არ არის ისეთი ნათელი და მარტივი, როგორც ამას სასამართლო და კომისია გვთავაზობენ. მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხრივ, რეალურად არსებობს *forum internum*-ისათვის ძალზე ფართო საზღვრების მინიჭების საშუალება (განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი არ ექვემდებარება შეზღუდვებს მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე), მეორე მხრივ, აუცილებელია იმ ზღვარის დადგენა, რომლის მიღმაც სახელმწიფო ქმედება ჩაითვლება ჩარევად რელიგიის თავისუფლების როგორც შინაგან, ისე გარე სფეროში. დღესდღეობით კი კონვენციის პრეცედენტული სამართალი უარყოფს *forum internum*-ის რელევანტურობას იმ საქმეებშიც, სადაც სახელმწიფო მნიშვნელოვან ტვირთს აკისრებს რწმენას. ურთიერთობა რწმენასა და ქმედებას შორის კომპლექსური

ხასიათისაა, თუმცა პრეცედენტულ სამართალში ეს კომპლექსურობა არ არის ადეკვატურად ასახული. მე-9 მუხლის პირველი ნაწილის პირველი სეგმენტის საზღვრების მსგავსი შევნიშვნებით სასამართლომ და კომისიამ ფაქტობრივად ტრივიალური გახადეს ის უფლება, რომელსაც სასამართლო უდიდესი მნიშვნელობის მქონედ უწოდებს როგორც ინდივიდებისათვის, ისე პლურალისტური დემოკრატიის თვალსაზრისით.

რელიგიისა და რწმენის ფუნდამენტური მნიშვნელობა ინდივიდების უფლების თვალსაზრისით, მოახდინონ თვითდენტიფიკაცია და იცხოვრონ ავტონომიურად, ასევე შელახულ იქნა კომისიისა და სასამართლოს მიერ იმ საჩივრების უარყოფის გზით, რომლებიც მორწმუნეთა ცხოვრებაში კონკრეტული ქმედებების მნიშვნელობას შეეხებოდა. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მნიშვნელობა ხაზგასმულია ნაწილობრივ მისი როლის გამო ტოლერანტული და პლურალისტური საზოგადოების განვითარებაში. თუმცა სასამართლო და კომისია ნაწილობრივ მომჩივანთა მოთხოვნების უცნაური და ექსცენტრული ბუნების საფუძველზე ხშირად უარყოფს ისეთ საჩივრებს, რომლებიც ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალურ კანონებთან ან სასკოლო მარშთან არის დაკავშირებული. მომჩივნები, რომელთა კონცეფცია რელიგიისა და რწმენის მიმართ არ თავსდება სასამართლოსა და კომისიის მიერ აღიარებული ძალზე შეზღუდული მოდელის ფარგლებში, მე-9 მუხლის დაცვის მიღმა რჩებიან. ის, რაც მნიშვნელოვანია ერთი რელიგიისათვის (მაგ. საჯარო ღვთისმსახურება ან დიეტური საკვების მიღება), შეიძლება სრულიად უმნიშვნელო იყოს მეორისთვის. არატრადიციული რელიგიებისა და რწმენების მიმართ „ნამდვილი“ გამოხატვის ძალზე ვიწრო კონცეფციის გამოყენებით სასამართლომ და კომისიამ ვერ შეძლეს იმ მრავალფეროვანი მიმართულებებისადმი პატივისცემის დემონსტრირება, რომლებშიც შეიძლება ესა თუ ის რელიგია ან რწმენა იქნეს გამოხატული. აქედან გამომდინარე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მნიშვნელობა ინდივიდებისა და მთლიანად საზოგადოებისათვის არ არის ადეკვატურად აღიარებული პრეცედენტული სამართლით.

### შეუსაბამობა და სიცხადის ნაკლებობა

თვით რელიგიისა და რწმენის შეზღუდული კონცეფციაც, რომელიც შემუშავებულ იქნა საქმეებში, არ ყოფილა თანმიმდევრულად გამოყენებული. ამის მაგალითია როგორც ის კონცეპტუალური დაბნეულობა, რაც დაცული მანიფესტაციების საზღვრების შეზღუდვაში ეროუსმიტის ტესტის როლთან მიმართებაში წარმოიქმნა, ისე ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალურ კანონებთან დაკავშირებით გამოყენებული შეუსაბამო მიდგომა.

ეროუსმიტის ტესტი შეიმუშავეს იმის განსასაზღვრად, ესა თუ ის ქმედება იმსახურებდა თუ არა დაცვას მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მეორე სეგმენტის საფუძველზე. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, კონკრეტული ქმედება აუცილებელი იყო თუ არა ამა თუ იმ რელიგიისა და რწმენისათვის. თუმცა ის არ აღმოჩნდა გამოსადეგი კომპლექსური საკითხების გადასაწყვეტად. პირველ ყოვლისა, გაუგებარია ეს ტესტი მხოლოდ ტერმინ „ნეს-ჩვეულებების დაცვის“ შეზღუდვისათვის გამოიყენება, თუ იგი ასევე შეეხება ღვთისმსახურებას, სწავლებასა და რიტუალების შესრულებას. გარდა ამისა, კვლავ ბუნდოვანია საკითხი, ტესტის მიხედვით ქმედებები სავალდებულო უნდა იყოს რელიგიისა და რწმენისათვის, თუ საკმარისია მხოლოდ მჭიდრო კავშირის არსებობა. იმის მიუხედავად, ტესტის რომელი ვერსია იქნება გამოყენებული, მნიშვნელოვანი სირთულეები წარმოექმნებათ იმ პირებს, რომლებიც არაიერარქიულ რელიგიებს მიეკუთვნებიან ან ინდივიდუალისტურ რწმენას აღიარებენ. დაბოლოს, კომისიამ ზოგიერთ შემთხვევაში უბრალოდ არ გამოიყენა ეროუსმიტის ტესტი მაშინაც, როცა, მომჩივნის მტკიცებით, ესა თუ ის ქმედება იმ საქმიანობის ნაწილი იყო, რომელიც აუცილებელი იყო მისი რელიგიისა და რწმენისათვის. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ მაშინ იჩენს თავს, როცა საქმეში წარმოდგენილი კანონი ზოგადი და ნეიტრალურია.

აქედან გამომდინარე, ტესტს, რომელიც მე-9 მუხლის ინტერპრეტაციის სიღრმეში ძვეს, ახასიათებს საზღვრების ბუნდოვანება და გამოყენების არადამაჯერებლობა და შეუსაბამობა. ეს კი ქმნის პოტენციალს მოსამართლეების მხრიდან საქმეების გადაწყვეტისა კონკრეტული ქმედებების მნიშვნელობაზე საკუთარი წარმოდგენების შესაბამისად.

### მტკიცებულება და ობიექტურობა

სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პოტენციალი კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ გაუგებარია, რა სახის მტკიცებულება უნდა იქნეს მომჩივნის მიერ გამოყენებული წარმატების მისაღწევად. ბუნდოვანი ტესტები მტკიცებულებით და კონცეპტუალურ სირთულეებს ქმნიან. მაგალითად, რელიგიისა და რწმენის ნათელი დეფინიციის არარსებობა ართულებს იმის გარკვევას, როგორ უნდა დაუსაბუთოს მომჩივანმა სასამართლოს საკუთარი თავის კუთვნილება განსაზღვრული, ფართო საზოგადოებისათვის უცნობი რელიგიისადმი ან გარკვეული ტიპის ინდივიდუალისტური რწმენის არსებობა. ამის პრაქტიკულ მნიშვნელობას ადასტურებს კომისიის მიერ საჩივრების ნაწილის უარყოფა იმ მოტივით, რომ მომჩივნებმა ვერ შეძლეს საკუთარი რელიგიის ან რწმენის არსებობის დამტკიცება.

ეს პრობლემა კომბინირებულია გამოხატვასთან. ეროუსმიტის ტესტის გამოყენებით გამიზნული იყო ობიექტურობის ელემენტის შეტანა იმის განსაზღვრის პროცესში, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის ქმედება გამოხატვას, მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, მტკიცებულებათა ობიექტური ფორმები ძალზე იშვიათად იყო ამ პროცესში გამოყენებული. რელიგიური ორგანიზაციების ან ლიდერების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოყენება არათანმიმდევრულ ხასიათს ატარებდა და ხშირად არ იყო საკმარისი საკითხის გადასაწყვეტად. რაც შეეხება თვით მომჩივნების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ისინი აუცილებლობის განსასაზღვრად, ძირითადად, ირელევანტურ ფაქტორებად განიხილებოდა. გამოყენებული არ ყოფილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისეთი დოკუმენტები, როგორცაა დეკლარაცია რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ ან კრიშნასვამის სწავლება. აქედან გამომდინარე, თუკი ეროუსმიტის ტესტს ობიექტურად განვიხილავთ, სასამართლო და კომისია საკუთარ სუბიექტურ შეხედულებებს უფრო ეყრდნობოდნენ აუცილებლობის განსაზღვრისას, იმის ნაცვლად, რომ მტკიცებულებათა ჭეშმარიტად ობიექტური წყაროები გამოეყენებინათ.

განსხვავებული სახის მტკიცებულებითი პრობლემა წარმოიქმნება მე-9 მუხლის მეორე ნაწილთან დაკავშირებით. მისი ტექსტის მიხედვით სახელმწიფოებმა უნდა დააკმაყოფილონ მაღალი სტანდარტი და დამტკიცონ, რომ მათი ქმედებანი „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ლეგიტიმური მიზნის შემადგენელი ერთ-ერთი მიზეზის გამო. მიუხედავად ამისა, კომისია და სასამართლო საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევდნენ სახელმწიფოს მარტივ განცხადებას, რომ კანონს ლეგიტიმური მიზანი ჰქონდა. იგნორირებულ იქნა მომჩივნების არგუმენტები კანონის ბოროტად გამოყენების ან ერთი შეხედვით ზოგადი კანონების დისკრიმინაციული იმპლემენტაციის თაობაზე. ამის მსგავსად, სახელმწიფოთა დისკრეციული უფლებამოსილება, რომელიც ფართო ხასიათისაა მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეთა უმრავლესობაში, აშკარა მტკიცებულებით უპირატესობას ანიჭებს მას, რადგანაც ძალზე მცირე მტკიცებულებაც კი საკმარისია იმის დასაბუთებისათვის, რომ კანონი აუცილებელი და პროპორციულია სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნების მისაღწევად. თუკი მომჩივანი ვერ შეძლებს რელიგიისა და რწმენის ხელყოფის მიზნით სახელმწიფოს მხრიდან კანონის მიზანმიმართულად მტრული წესით გამოყენების დამტკიცებას, სასამართლო, სავარაუდოდ, სახელმწიფოს გადაწყვეტილებას დაეყრდნობა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის უცილებლობის თაობაზე.



## სახელმწიფო ინტერესების პატივისცემა

სახელმწიფოებისათვის მინიჭებული მტკიცებულებითი უპირატესობა მხოლოდ ერთი მაგალითია იმისა, რომ სასამართლო და კომისია უფრო მეტ სიმპათიას იჩენდნენ სახელმწიფოთა ინტერესების, ვიდრე მომჩივანთა მოსაზრებების მიმართ. მე-9 მუხლის მეორე ნაწილისადმი გამოყენებულ ფართო მიდგომასთან კომბინირებულმა ამავე მუხლის პირველი ნაწილის შეზღუდულმა საზღვრებმა იმ მომჩივანთა დიდ ნაწილს განუცხადა უარი დაცვაზე, რომლებიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დარღვევას ამტკიცებდნენ. მე-9 მუხლის პირველი ნაწილისადმი შემუშავებული ვიწრო მიდგომა განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნის მომჩივნებს, ვინაიდან იგი ფაქტობრივად ათავისუფლებს სახელმწიფოს თავისი ქმედებების დასაბუთებულობისა და პროპორციულობის დამტკიცების ვალდებულებისაგან.

სახელმწიფოებს ხშირად სერიოზული მიზეზები აქვთ იმისათვის, რომ დაინტერესებულნი იყვნენ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი ინტერესი, რომ ეფექტურად და დამაჯერებლად გაუმკლავდნენ სოციალურ პრობლემებს მორწმუნეთა მცირე, ზოგჯერ უგუნური ჯგუფების მხრიდან ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. თუმცა არსებობს გაუმართლებელი მიზეზებიც, რის გამოც სახელმწიფოები მხარს უჭერენ რელიგიისა და რწმენის შეზღუდულ კონცეფციას. ადამიანებს, რომლებიც ირჩევენ, ისარგებლონ სრული ავტონომიით რელიგიის საკითხებში, შეუძლიათ გამოიყენონ ეს სოციალური კონტროლისადმი წინააღმდეგობის საფუძვლად. რელიგიები შესაძლოა ასევე წარმოადგენდნენ არენას მთავრობაში არსებული კორუფციის ან დომინანტი პოლიტიკური მორალის კრიტიკისა. ეს კი გარკვეულ უხერხულობას უქმნის ხელისუფლებას, თუმცა სწორედ ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანია, რის გამოც აუცილებელია რელიგიის თავისუფლების დაცვა. მე-9 მუხლის პირველი ნაწილისადმი შემუშავებული ვიწრო მიდგომა კი ამგვარ საქმიანობას ფაქტობრივად გამორიცხავს კონვენციის დაცვის სფეროდან. ბევრი სახელმწიფოსათვის რელიგია და რწმენა, ძირითადად, ეკლესიით, სინაგოგით და მეჩეთით და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული საქმიანობით შემოიფარგლება, მაგრამ ეს არ ასახავს ბევრის რელიგიური გამოცდილების რეალობას. სასამართლომ და კომისიამ საკმაოდ იოლად აღიარეს რელიგიისა და რწმენის თაობაზე ის მოსაზრება, რომელიც ასახავს სახელმწიფოთა ინტერესებს, იმის გათვალისწინების გარეშე, თუ რა ზეგავლენას მოახდენს მომჩივნებზე მათ მიერ დაკავებული პოზიცია. შექმნილმა ვითარებამ მე-9 მუხლის ორივე ნაწილის რეკონცეპტუალიზაციისაკენ უნდა წაგვიყვანოს.

## რელიგიისა და რწმენის თავისუფლების რეკონცეპტუალიზაცია

### მე-9 მუხლის პირველი ნაწილი

იმისათვის, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება გაცილებით ეფექტურად იქნეს დაცული, სასამართლომ უფრო სერიოზული დამოკიდებულება უნდა გამოიჩინოს მომჩივანთა მოთხოვნების მიმართ, ვიდრე დღესდღეობით იჩენს. ცხადია, სასამართლო ვერ დაუჭერს მხარს მომჩივანთა ყველა მოთხოვნას მე-9 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ინტერესების ან იმის თაობაზე, რა არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუმცა მას შეუძლია უფრო მომჩივანზე ფოკუსირებული მიდგომა შეიმუშავოს.

ასეთი მიდგომის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იქნებოდა *forum internum*-ის საზღვრებისა და მოქმედების უკეთ განსაზღვრა. დღესდღეობით იგი არავითარ პრაქტიკულ როლს არ ასრულებს მე-9 მუხლის ქვემდებარე საქმეებში და საკმაოდ რთულია იმის გარკვევა, თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს ჩაერიოს *forum internum*-ში, იდეოლოგიური დამუშავების ხერხების გამოყენების გარდა. სასამართლომ *forum internum*-ის უფრო სრულყოფილი დეფი-

ნიცია უნდა შეიმუშაოს და განმარტოს, როგორ არის შესაძლებელი მისი ხელყოფა. ოფიციალურად უნდა იქნეს აღიარებული ის ზღვარი, რომლის მიღმაც სახელმწიფოს მხრიდან ვინმეს იძულება კონკრეტულ ქმედებაზე ჩაითვლება რწმენის, ისევე, როგორც მისი გამოხატვის, ხელყოფად. გარდა ამისა, სასამართლომ გაცილებით მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაუთმოს იმ სფეროებს, სადაც ყველაზე დიდია *forum internum*-ში რთულად შესამჩნევი ჩარევის პოტენციური შესაძლებლობა, განსაკუთრებით განათლებისა და სახელმწიფო ეკლესიები-სადმი მოპყრობის შემთხვევაში.

სასამართლოს ასევე შეუძლია, უფრო მეტი პატივისცემით მოექიდოს მომჩივანთა სუბიექტურ მოთხოვნებს იმის თაობაზე, ხელყოფს თუ არა განსაზღვრული კანონი ან რეგულაცია მათი რელიგიისა და რწმენის გამოხატვას. სასამართლოსა და კომისიის წევრების გარკვეულმა ნაწილმა მე-9 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ჩამოაყალიბა კრიტერიუმები მანიფესტაციათა ფორმებისათვის, რომლებიც დიდ ყურადღებას იჩენენ მომჩივანთა მოსაზრებების მიმართ და ნაკლებ პრივილეგიებს ანიჭებენ რელიგიის ტრადიციულ გამოხატვის ფორმებს. რელიგიის თავისუფლების იმ მოდელის პირობებში, რომლის მიხედვითაც რწმენას პატივისცემით მოვეყვრობოდით, აღიარებული იქნებოდა მიდგომა, რომელიც უფრო სერიოზულად მოექიდებოდა მომჩივნების მოთხოვნებს თავიანთი რელიგიისა და რწმენის გამოხატვის ფორმების თაობაზე. თუკი მომჩივანი, რომლის მტკიცებითაც სავალდებულო ქმედება მისი რელიგიისა და რწმენის გამოხატვას წარმოადგენდა, შეძლებდა თავისი მოთხოვნის დამადასტურებელი გარკვეული მტკიცებულების წარმოდგენას, ეს საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ კონკრეტული მანიფესტაცია მე-9 მუხლის მიზნებისათვის შესაბამისად ეცნოთ. ამ შემთხვევაში მომჩივანს აღარ მოუწევდა იმის ჩვენება, რომ ესა თუ ის ქმედება აუცილებელი იყო მისი რელიგიის ან რწმენისათვის. ეს უფრო სუბიექტური იქნებოდა, ვიდრე ის ტესტი, რომელსაც ზოგადად მიმართავდნენ სასამართლო და კომისია. თუმცა თალლითური მიზნებისათვის მის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული მღელვარების შემცირებისათვის საკმაოდ სასარგებლო იქნებოდა გაეროს დოკუმენტების ან რომელიმე საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული სწავლების გამოყენება, სადაც მიმოხილულია რელიგიური გამოხატვა მსოფლიო მასშტაბით, ქმედებათა იმ ტიპების ილუსტრირების მიზნით, რომლებიც მნიშვნელოვან მანიფესტაციებს წარმოადგენენ. ეს კი დაეხმარებოდა სასამართლოს, თავი დაეღწია რელიგიაზე ტრადიციული ქრისტიანული წარმოდგენების ზეგავლენისაგან.

პრეცედენტულ სამართალთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემა შეეხება ეროუსმიტის ტესტის იმგვარ გამოყენებას, რის შედეგადაც ფაქტობრივად შეუძლებელია ზოგადი და ნეიტრალური კანონების მხრიდან მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის დამტკიცება. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფრო სრულფასოვანი მოდელით აღიარებული იქნებოდა, რომ კანონი შეიძლება არაპირდაპირ და წინასწარი განზრახვის გარეშე იყოს დისკრიმინაციული ან შემზღვეველი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მიმართ. არსებობს მრავალი სამართლებრივი და პოლიტიკური მიზეზი იმის აღიარებისათვის, რომ ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალურ კანონებს შეუძლიათ დაარღვიონ მე-9 მუხლის პირველი ნაწილი. სასამართლოს მხრიდან შეუსაბამო იქნება ისეთი წესის ფორმულირება, რომლითაც სახელმწიფოს მოეთხოვება რელიგიური ჯგუფების გათავისუფლება ნებისმიერი კანონისაგან, რომელიც მათ რელიგიაში ან რწმენაში ერევა. თუმცა იმის აღიარებით, რომ ზოგად და ნეიტრალურ კანონებსაც შეუძლიათ რელიგიის თავისუფლების დარღვევა, სასამართლო ნააქეზებდა სახელმწიფოებს ისეთი სისტემის შემუშავებისაკენ, რომელიც შესაძლებელს გახდიდა კანონების მხრიდან აღნიშნული თავისუფლების გაუმართლებლად შეზღუდვის თავიდან აცილებას. აღნიშნულმა გზებმა შესაძლოა მოიცვას როგორც გამონაკლისები ცალკეული კანონებიდან,

ისე წარმოდგენილ კანონპროექტებზე უფრო ხშირი კონსულტაციები რელიგიურ საზოგადოებებთან ან რეგულაციების შედარებით შეზღუდული წესით შემუშავება. მსგავსი მიდგომა განსაკუთრებით სასარგებლო იქნებოდა უმცირესობებისთვის, რომელთა ინტერესები თითქმის არ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო პროცესში.

**მე-9 მუხლის მეორე ნაწილი**

იმის მიუხედავად, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება მნიშვნელოვანი უფლებაა, ზოგჯერ მისი თავისუფალი გამოხატვა განსაზღვრულ შეზღუდვებს უნდა დაექვემდებაროს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მორწმუნის მტკიცებით ამა თუ იმ ტიპის ქმედება აბსოლუტურ და წმინდა ვალდებულებას წარმოადგენს, აღნიშნული სრულებით არ გულისხმობს, რომ სახელმწიფომ ან ადამიანის უფლებების დამცველებმა აუცილებლად მხარი უნდა დაუჭირონ მის მოთხოვნას. რელიგიები ან მორწმუნეთა ჯგუფები შესაძლოა მონაწილეობდნენ შუღლის გაღვივებაში იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც არ იზიარებენ მათ შეხედულებებს და შეიძლება თვით რელიგიის თავისუფლების იდეის წინააღმდეგაც კი გამოდიოდნენ. გარდა ამისა, ცალკეულ რელიგიებში ისტორიულად არსებობს ტენდენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებისა, ზოგიერთი მათგანი კი აქტიურად არის ჩართული რასობრივი უთანასწორობისა და ჰომოსექსუალისტების მიმართ დევნის განხორციელების ნაქმედებაში. მე-9 მუხლის მეორე ნაწილი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს დამაჯერებელი მიზეზების დემონსტრირებას რელიგიისა და რწმენაში ჩარევის გამართლებისათვის; და ხშირად ასეთი მიზეზები რეალურად არსებობს. თუმცა ასევე ხშირად სახელმწიფოები, მსგავსი საფუძვლების არსებობისას, თავს არიდებენ რელიგიების (განსაკუთრებით დაწესებული, უმრავლესობის რელიგიების) საქმიანობაში ჩარევისაგან. ასევე სასამართლოც და კომისიაც არჩევენ, არ ჩაერთონ ისეთი კონფლიქტური ინტერესების განხილვაში, როგორიცაა, მაგალითად, ქალთა თანასწორობა და რელიგიის თავისუფლება. ამის სანაცვლოდ ძირითად მიზეზებს, რომლებიც რელიგიისა და რწმენის გამოხატვის შეზღუდვის გამართლებად გამოიყენება, საზოგადოებრივი წესრიგის ფართო კონცეფციები და ადმინისტრაციული სარგებელი წარმოადგენს. საქმეში *კარადუმანი თურქეთის წინააღმდეგ*<sup>480</sup> კომისია მხოლოდ გაკვრით შეეხო იმ თემას, სახელმწიფო უნივერსიტეტში თავსაბურავის ტარების ნების დართვა ზენოლას მოახდენდა თუ არა სხვებზე (შესაბამისად, შეზღუდავდა მათ რელიგიის თავისუფლებას) და ხელს შეუწყობდა თუ არა გენდერულ უთანასწორობას. ამის სანაცვლოდ ვოლუნტარიზმის საეჭვო მეთოდი იქნა გამოყენებული მნიშვნელოვანი საკითხებისათვის თავის არიდებისა და საქმეში ისეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის, რომელიც არ აღიარებდა რელიგიური სამოსის ტარების მნიშვნელობას მუსლიმებისათვის. სასამართლო სწორედ ამ კონფლიქტებს უნდა გამკლავებოდა და განვიითარებინა პრინციპები საპირისპირო ინტერესებს შორის დავის გადასაწყვეტად.

მსგავსი პრინციპების შემუშავება არ არის იოლი და ყოველი მოთხოვნის შეფასება მისი ღირსებების საფუძველზე უნდა განხორციელდეს. მე-9 მუხლის მეორე ნაწილის პრეცედენტული სამართლით თუ ვიმსჯელებთ, სასამართლო და კომისია თვით საკმაოდ ტრივიალურ მიზეზებსაც კი აღიარებდნენ რელიგიის თავისუფლებაში ჩარევის საფუძვლად და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახელმწიფოთა იმ მოთხოვნებს, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგსა და ადმინისტრაციულ სარგებელს შეეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის თავისუფლებას არ შეიძლება აბსოლუტური პრიორიტეტი მიენიჭოს, იგი იმდენად უნდა იქნეს აღიარებული, რომ შედარებით ბანალურ ინტერესებზე მოახდინოს პრევალირება.

## სასამართლო ტენდენციები

ამ თავში მოცემული ანალიზი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სასამართლოსა და კომისიის დამოკიდებულება რელიგიის თავისუფლებისადმი წარსულში მნიშვნელოვან პრობლემებთან იყო დაკავშირებული, თუმცა არსებობს ოპტიმიზმის გარკვეული საფუძველი მე-11 ოქმით შექმნილი სასამართლოს მიერ მე-9 მუხლის გამოყენების სახით. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო არცთუ დამაჯერებელ მიდგომას იყენებდა მე-9 მუხლის პირველი ნაწილის (განსაკუთრებით *forum internum*-ის) საზღვრებისადმი, საქმეში *ბუსკარინი* და *სხვები სან-მარინოს წინააღმდეგ*<sup>481</sup> მან ერთხმად მიიჩნია, რომ ირღვეოდა მე-9 მუხლი და უარყო სან-მარინოს არგუმენტი რელიგიური ტრადიციის მნიშვნელობის თაობაზე საზოგადოებრივი წესრიგისათვის. გარდა ამისა, საქმეში *ცავახიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ*<sup>482</sup> ახლად დაფუძნებული სასამართლოს რამდენიმე წევრის განცხადებით, ზედამხედველობის განხორციელება უმცირესობის რელიგიურ ჯგუფზე, როდესაც არ არსებობდა ვარაუდის საფუძველი, რომ იგი კრიმინალურ ან ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში იყო ჩართული, *forum internum*-ის დარღვევას წარმოადგენდა. თუმცა უმრავლესობა არ აღმოჩნდა მზად, მხარი დაეჭირა ასეთი შეხედულებისათვის, ნათლად გამოჩნდა, რომ სასამართლოს, სულ მცირე, რამდენიმე წევრი ეთანხმება მე-9 მუხლის პირველი ნაწილის პირველი სექციის ფართო ინტერპრეტაციას, განსხვავებით არსებული პრეცედენტული სამართლისაგან. სასამართლოს რომ განევრცო თავისი გადაწყვეტილება საქმეში *თლიმენოსი საბერძნეთის წინააღმდეგ*<sup>483</sup> და დაევალებული იქნა სახელმწიფოები, დაედგინათ გამონაკლისები ზოგადი და ნეიტრალური კანონებიდან რელიგიისა და რწმენის ნიადაგზე, ერთხმად გაფართოვდებოდა კონვენციით გათვალისწინებული დაცვის საზღვრები, განსაკუთრებით, უმცირესობების დაცვის კუთხით. დაბოლოს, საქმეში *სერიფი საბერძნეთის წინააღმდეგ*<sup>484</sup> მიღებული გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ ხაზი გაუსვა რელიგიური პლურალიზმის მნიშვნელობას და სახელმწიფოს როლს შემწყნარებლობისათვის ხელის შეწყობაში, შესაძლოა, წარმოადგენდეს ნიშანს მისი მონივრული დამოკიდებულების ცვლილებისა სახელმწიფოს არასერიოზული არგუმენტების მიმართ გარკვეული დაძაბულობის სავარაუდო წარმოქმნის თაობაზე, თუ არ შეიზღუდება რელიგიის თავისუფლება. საქმეთა რაოდენობა მას შემდეგ, რაც მე-11 ოქმი შევიდა ძალაში, ძალზე შეზღუდულია მყარი დასკვნების გამოსატანად, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს საფუძველი ფრთხილი ოპტიმიზმისათვის.

\* \* \*

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ყოველთვის იქნება სადავო უფლება, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მისი მნიშვნელობა მრავალი ადამიანისათვის ქმნის საზოგადოებრივი კონფლიქტის პოტენციურ საფრთხეს. რელიგიის თავისუფლების არც ერთმა სამართლებრივმა მოდელმა არ უნდა მიაღწიოს აბსოლუტური უპირატესობა ადამიანის უფლებას რელიგიისა და რწმენის ქონასა და გამოხატვაზე. არსებობს სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მიზნები, რომლებსაც ხელყოფდა მსგავსი მიდგომა და ავტონომიის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც შეიზღუდებოდა, რელიგიის თავისუფლებას რომ ჰქონოდა უპირატესობა ყველა სხვა უფლებასთან შედარებით. მიუხედავად ამისა, მოქმედი პრეცედენტული სამართალი არაადეკვატურ საზღვრებს ანიჭებს რელიგიის თავისუფლებას და სათანადო პატივისცემით არ ეპყრობა მომჩივანთა ყველაზე სიღრმისეულ რწმენებს. მე-9 მუხლით დაცული რელიგიისა და რწმენის ტიპის თაობაზე კომპლექსური საკითხების დამახინჯებულად გადმოცემის ნაცვლად, რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე ადამიანის უფლების მიმოხილვისას სასამართლომ

უფრო ზუსტად უნდა განსაზღვროს ტერმინები რელიგია და რწმენა. გარდა ამისა, აუცილებელია მომჩივნების ინტერესებზე ორიენტირებული მიდგომის შემუშავება იმის განსასაზღვრად, თუ რას გულისხმობს რელიგიისა და რწმენის გამოხატვა, მათი სუბიექტური შეხედულებებისა და რელიგიის გამოხატვაზე გაეროს სწავლებების გათვალისწინებით. მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფდა რელიგიებისა და რწმენების უფრო დიდ პატივისცემას და, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიისა და რწმენის მნიშვნელოვან ასპექტებში ჩარევის უფრო მეტ შემთხვევას გამოავლენდა, განსხვავებით მოქმედი პრეცედენტული სამართლისაგან. შედეგად, სხვა საზოგადოებრივი სიკეთეების მიმართ რელიგიისა და რწმენის გამოხატვის მნიშვნელობის დაბალანსების როლი სწორედ მე-9 მუხლის მეორე ნაწილს დარჩებოდა. რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის მრავალი მიზეზი არსებობს, თუმცა მიდგომა, რომელიც აქცენტირებას უფრო მე-9 მუხლის მეორე ნაწილზე მოახდენდა, როგორც ხსენებული თავისუფლების შეზღუდვის გზაზე, ვიდრე ამავე მუხლის პირველი ნაწილის საზღვრების შეზღუდვაზე, სულ მცირე, სახელმწიფოებს აღნიშნული მიზეზების არსებობის დემონსტრირებას აიძულებდა და ინდივიდებს შესაძლებლობას მისცემდა, თავიანთი რელიგიური გამოხატვის მნიშვნელობა დაემტკიცებინათ.

ძალზე ხშირად რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული საჩივრების უარყოფა კომისიისა და სასამართლოს მიერ ერთბაშად ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ევროპაში ისეთ სახიფათო მდგომარეობაში არ არის, როგორც მსოფლიოს სხვა ნერტილებში, ერთი შეხედვით მისმა მცირედმა ხელყოფამაც კი შეიძლება მნიშვნელოვანი ტკივილი მიაყენოს იმ პირებს, რომელთა თავისუფლებაც შეიზღუდა. რელიგია და რწმენა ყოველთვის წარმოადგენდა შთაგონების მნიშვნელოვან წყაროებს მორალური და პოლიტიკური განვითარების, სახელოვნებო და ლიტერატურული მისწრაფებისა და, რაც მთავარია, იმ ინდივიდებისათვის, რომლებიც ცდილობენ, აზრიანად და პატიოსნად იცხოვრონ. რელიგიის თავისუფლება უდავოდ განსაზღვრული საზოგადოებრივი საზღაურის გაღებას მოითხოვს და კონფლიქტის წარმოქმნის პოტენციალიც აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი გაცილებით დიდ დაცვას იმსახურებს, ვიდრე მას კონვენციის პრეცედენტული სამართლით აქვს მინიჭებული. რელიგიური შემწყნარებლობის არარსებობის შემთხვევაში ევროპული დემოკრატია და პლურალიზმიც საფრთხის წინაშე დადგებიან. როგორც არისტოტელე ამბობდა,

*ჩვენ არ უნდა დავუგდოთ ყური მას, ვინც გვაფრთხილებს, რომ „ადამიანმა უნდა განსაჯოს სხვისი აზრები“ ან „მოკვდავი აზრები მოკვდავ გონებას ერგება“; არამედ, რამდენადაც ხელგვეწიფება, უნდა ვემსგავსოთ უკვდავთა და ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რათა ვიცხოვროთ შესაბამისობაში იმ უმაღლესთან, რაც ჩვენშია. მაშინაც, როცა იგი მოცულობით მცირეა, თავისი ძალითა და ღირებულებით ყველაფერ დანარჩენს აღემატება.*

- <sup>1</sup> *Arcot Krishnaswami* (დისკრიმინაციის აღკვეთისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომიტეტის სპეციალური მომხსენებელი), *Study of Discrimination in the Matter of Religious Rights and Practices* (1960).
- <sup>2</sup> საქმე დაკავშირებულია გენოციდის თაობაზე არსებული კონვენციის გამოყენებასთან (*Bosnia and Herzegovina v. Yugoslavia*). რელიგიურ ნიადაგზე ბოსნიელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ჩამონათვალი. მოსამზადებელი სხდომები.
- <sup>3</sup> მაგ. *Platform "Arzte Für Das Leben" v. Austria*, 44 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 65 (1985). *Rai, Allmond and "Negotiate Now" v. the United Kingdom*, 81-A Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 146 (1995).
- <sup>4</sup> მაგ. *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (სერ. A) (1993); *Arrowsmith v. United Kingdom*, 19 Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 5 (1978).
- <sup>5</sup> მაგ. მე-3 მუხლი, რომელიც კრძალავს წამებას, არაადამიანურ მოპყრობასა და დამამცირებელ სასჯელს.
- <sup>6</sup> *Arrowsmith v. United Kingdom*, 19 Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 5 (1978).
- <sup>7</sup> კანონის სპეციალური ნორმა.
- <sup>8</sup> *Rai, Allmond and "Negotiate Now" v. the United Kingdom*, 81-A Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 146 (1995) (*lex specialis* იყო მე-11 მუხლი); *Handyside v. the United Kingdom*, 24 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1976) (მე-10 მუხლი); *Johnston v. Ireland*, 112 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1986) (მე-12 მუხლი).
- <sup>9</sup> *Riera Blume and others v. Spain*, Eur. Ct. H. R., 9 marti, 1999.
- <sup>10</sup> მე-19 მუხლის პირველი ნაწილი.
- <sup>11</sup> მე-19 მუხლის მეორე ნაწილი.
- <sup>12</sup> მე-19 მუხლი.
- <sup>13</sup> ადამიანის უფლებთა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-11 ოქმი, მიღებული 1994 წლის 11 მაისს. ძალაში შევიდა 1998 წლის პირველ ნოემბერს.
- <sup>14</sup> 25-ე მუხლი.
- <sup>15</sup> 26-ე მუხლი.
- <sup>16</sup> 27-ე მუხლი.



- <sup>18</sup> 28 (ბ)-ე და 30-ე მუხლები.
- <sup>19</sup> მაგ. *Pentidis and Others v. Greece*, 39 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1997); *Hazar, Hazar and Acik v. Turkey*, 73 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 111 (1991).
- <sup>20</sup> 31-ე მუხლი.
- <sup>21</sup> 32-ე მუხლი.
- <sup>22</sup> 48-ე მუხლი (საწყისი ტექსტი).
- <sup>23</sup> 48-ე მუხლი (მე-9 ოქმის შესწორების მიხედვით).
- <sup>24</sup> 52-ე მუხლი.
- <sup>25</sup> 50-ე მუხლი.
- <sup>26</sup> 52-ე მუხლი.
- <sup>27</sup> ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ცენტრალური სისტემის რეფორმა.
- <sup>28</sup> 21-ე მუხლი (შესწორების შემდეგ).
- <sup>29</sup> 28-ე მუხლი (შესწორების შემდეგ).
- <sup>30</sup> 29-ე მუხლი (შესწორების შემდეგ).
- <sup>31</sup> 30-ე მუხლი (შესწორების შემდეგ).
- <sup>32</sup> 43-ე მუხლი (შესწორების შემდეგ).
- <sup>33</sup> მოცემულ თავში განვიხილავთ რამდენიმე მსგავსი ტიპის საქმეს, ვინაიდან ისინი შეეხება მტკიცებულებით წესებთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მე-9 მუხლთან მიმართებაში.
- <sup>34</sup> *D. S and E. S v. the United Kingdom*, 65 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 245 (1990).
- <sup>35</sup> *X v. the United Kingdom*, 28 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. (1982).
- <sup>36</sup> *X v. the United Kingdom*, 15 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 8 (1976).
- <sup>37</sup> *Shields v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R., 4 დეკემბერი, 1984.
- <sup>38</sup> *Ahmet Sadik v. Greece*, 20 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1638, 1660 (1996). მოსამართლე მარტენის განსხვავებული აზრი, რომელსაც შეუერთდა მოსამართლე ფოიგელი. ამ უკანასკნელის განცხადებით, „არ არის გასაკვირი, რომ სწავლული ავტორების მტკიცებით ასეთი გადაწყვეტილების რეალური მიზეზები ... სადმე სხვაგან უნდა ვეძებოთ, კერძოდ სასამართლოს სურვილში, თავი აარიდოს საქმის არსებით განხილვას“.
- <sup>39</sup> *Church of X v. the United Kingdom*, 13 Y. B. Eur. Conv. on H. R. 306 (1968).
- <sup>40</sup> ინდივიდუალური წევრები ასევე დაზარალებულნი მთავრობის მოქმედებათა შედეგად, თუმცა ნებისმიერი მათგანის მხრიდან საჩივრის შეტანა მხოლოდ ეკლესიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება იქნებოდა.
- <sup>41</sup> *Karnell and Hardt v. Sweden*, 14 YB Convention on HR (Eur. Comm'n on H. R.) (1971).
- <sup>42</sup> *X and the church of scientology v. Sweden*, 16 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 68 (1979).
- <sup>43</sup> *Holy Monasteries v. Greece*, 301 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1995); *Finska Forsamlingen I Stockholm and Hautaniemi v. Sweden*, 85-A Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 94, 96 (1996).
- <sup>44</sup> *X and the church of scientology v. Sweden*, 16 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 68, 70 (1979).
- <sup>45</sup> *Omkananda and the Divine Light Zentrum v. Switzerland*, 25 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 105, 117 (1981).
- <sup>46</sup> *Kontakt-Information-Therapie and Hagen v. Austria*, 57 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 81, 88 (1988). ამ საქმეში იურიდიულ პირს წარმომადგენდა ნარკოტიკული საშუალებებისაგან რეაბილიტაციის ცენტრი და არა ეკლესია, თუმცა კომისიამ ეს მოსაზრება ფაქტობრივად ზოგად წესად აღიარა და სპეციალურად ახსენა ეკლესიების უფლება რელიგიის თავისუფლებაზე.
- <sup>47</sup> *Company X v. Switzerland*, 16 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 85 (1979).
- <sup>48</sup> *Kustannus Oy Vapaa Ajattelijä AB and Others v. Finland*, 85-A Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 29, 43 (1996).
- <sup>49</sup> თუმცა საქმეში *Church of X v. the United Kingdom*, 29 Collection 70, 77-8 (1968) კომისიამ განაცხადა, რომ ინდივიდების მხრიდან საჩივრის წარმოდგენის შემთხვევაშიც იგი განწირული იყო წარუმატებლობისათვის, ვინაიდან გართიანებული სამეფოს მიერ გადაგმული არც ერთი ნაბიჯი არ უტოლდებოდა კონვენციით უზრუნველყოფილი უფლების დარღვევას.

- <sup>50</sup> *Scientology Kirche Deutschland e. V v. Germany*, 89-A Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 163 (1997).
- <sup>51</sup> ევროპის საბჭო, საქმიანობისა და სტატისტიკის კვლევა (1996).
- <sup>52</sup> ევროპის საბჭო, საქმიანობისა და სტატისტიკის კვლევა (1999).
- <sup>53</sup> *Wemhoff v. Germany*, 7 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1968).
- <sup>54</sup> *Artico v. Italy*, 37 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1980); *Airey v. Ireland*, 32 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1979-1980).
- <sup>55</sup> Cf. Peter W. Edge, *Current Problems in Article 9 of the European Convention on Human Rights*. პიტერ ეჯი მოცემულ ნაშრომში ამტკიცებს, რომ განსხვავება აზრსა თუ სინდისსა და რწმენას შორის არარელევანტურია. ამ ინტერპრეტაციით, უფლება რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციაზე მოიცავს ზოგად უფლებას სინდისის გამოხატვაზე. მრავალი ავტორის მიხედვით, არ არსებობს მსგავსი ზოგადი უფლება.
- <sup>56</sup> Kent Greenawalt, *Religion as a Concept in Constitutional law*; Richard O'Frame, *Belief in a Non-Material Reality – A Proposed First Amendment Definition of Religion*; Wojciech Sadurski, *On Legal Definitions of "Religion"*.
- <sup>57</sup> *X v. Germany*, 24 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 137 (1981).
- <sup>58</sup> *Campbell and Cossans v. the United Kingdom*, 48 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1982).
- <sup>59</sup> *Campbell and Cossans v. the United Kingdom*, 48 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1982).
- <sup>60</sup> *X, Y and Z v. the United Kingdom*, 31 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 50 53 (1982).
- <sup>61</sup> საინტოლოგიის ეკლესია პირველი ორგანიზებული ეკლესია იყო, რომელმაც სარგებელი ნახა კომისიის მიერ ეკლესიების მხრიდან რელიგიის თავისუფლების დარღვევის თაობაზე წარდგენილი საჩივრების განუხილველად დატოვების შესახებ მიღებული ადრინდელი გადაწყვეტილებების შეცვლის საფუძველზე. საქმეში *X and Church of Scientology v. Sweden*, 16 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 68, 70 (1978) კომისიამ დაადგინა, რომ საინტოლოგიის ეკლესიას ჰქონდა უფლება, თავად წარედგინა საჩივარი. შედეგად, შეიცვალა კომისიის ადრინდელი პოზიცია საქმეში *Church of X v. the United Kingdom*, 13 Y. B. Eur. Conv. on H. R. 306 (1968). რასაკვირველია, უკანასკნელი საჩივრის განხილვისას სასამართლომ საინტოლოგიის ეკლესია მხოლოდ „ასოციაციად“ მოიხსენია, შესაძლოა, იმიტომ, რომ საქმეში განსახილველ ერთ-ერთ საკითხს საინტოლოგიის რელიგიად აღიარებაზე გერმანიის უარი წარმოადგენდა. თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ ასოციაციის წევრებს არ გააჩნდათ, სულ მცირე, რწმენა მაინც მე-9 მუხლის საფუძველზე: *Scientology Kirche Deutschland e. V v. Germany*, 89-A Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 163 (1997).
- <sup>62</sup> *Arrowsmith v. United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 5, 19 (1978); *Le Cour Grandmaison and Fritz v. France*, 53 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 150 (1987).
- <sup>63</sup> *Knudsen v. Norway*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep 247 (1985).
- <sup>64</sup> *Ahmed v. the United Kingdom*, 22 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep 27 (1981); *Karaduman v. Turkey*, 74 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 93 (1993).
- <sup>65</sup> *ISKCON v. Unired Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 41 (1994).
- <sup>66</sup> *X v. the United Kingdom*, 1 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 41 (1974).
- <sup>67</sup> *D v. France*, 35 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 199 (1983).
- <sup>68</sup> *Angeleni v. Sweden*, 51 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 41 (1986).
- <sup>69</sup> *A. R. M. Chappell v. the United Kingdom*, 53 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 241, 246 (1987).
- <sup>70</sup> *Omkananda and the Divine Light Zentrum v. Switzerland*, 25 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 105 (1981).
- <sup>71</sup> *X v. Austria*, 13 Collections 42 (1963).
- <sup>72</sup> *X v. Italy*, 5 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 83 (1976).
- <sup>73</sup> *X v. Austria*, 13 Collections 42, 53-4 (1963).
- <sup>74</sup> *Hazar, Hazar and Acik v. Turkey*, 72 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 200, 212 (1991).
- <sup>75</sup> *Arrowsmith v. United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 5, 19 (1978).
- <sup>76</sup> *X v. the Federal Republic of Germany*, 37 Collectio 119, 122 (1970).

- <sup>77</sup> კომისიის განცხადებით, მომჩივანს „არ განუმარტავს, რა გზით სურდა თავისი რელიგიური რწმენის გამოხატვა და როგორ უარყოფდა ციხის ადმინისტრაცია მის უფლებას“.
- <sup>78</sup> *X v. the United Kingdom*, 11 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 55 (1977).
- <sup>79</sup> Malcolm Evans.
- <sup>80</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>81</sup> შესაძლოა, მსგავსი ტიპის ვარაუდით იყო კომისიის გადაწყვეტილება მოტივირებული „სინდისის პატიმართა“ საქმეში: *McFeely and Others v. the United Kingdom*, 20 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 44 (1980).
- <sup>82</sup> *Theriault v. Silber*, 453 F. Supp. 254 (CWD Tex, 1978).
- <sup>83</sup> *X v. the Federal Republic of Germany*, 24 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 137 (1981).
- <sup>84</sup> Arcot Krishnaswami, Study of Discrimination in the Matter of Religious Rights and Practices. არკოტ კრიშნასვამის თანახმად, დაკრძალვის ცერემონიალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრავალი რელიგიისა თუ რწმენისათვის და, სადაც შესაძლებელია, ინდივიდების არჩევანი (მათ შორის იმ ადგილებში დაკრძალვის არჩევანი, რომელებიც თავისუფალია სხვა რელიგიათა სიმბოლოებისაგან, თუკი ეს აუცილებელია) აღიარებული უნდა იქნეს.
- <sup>85</sup> Donna Sullivan, Advancing the Freedom of Religion or Belief Through the UN Declaration on the Elimination of Religious Intolerance and Discrimination. აშშ-ში ზოგიერთი მიიჩნევს, რომ უზენაესმა სასამართლომ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს პირველი შესწორების საფუძველზე ტერმინ „რელიგიის“ განსაზღვრისას, ვინაიდან გადამეტებულად შემზღვევლმა ან ნების დამრთველმა დეფინიციამ შეიძლება სახელმწიფო ორგანოს მხრიდან რელიგიის თავისუფლებაში დაუშვებელი ჩარევა გამოიწვიოს. უზენაესმა სასამართლომ, თავის მხრივ, რელიგიის განსაზღვრას „დელიკატური საკითხი უნდა“, რომლის თავიდან აცილებაც საკვებით შესაძლებელია: *Wisconsin v. Yoder*, 406 U. S. 203, 215 (1972).
- <sup>86</sup> მიუხედავად იმისა, რომ დონა სალივანი არ მიიჩნევს სასარგებლოდ სათანადო დეფინიციის ქონას რელიგიის თავისუფლებაზე არსებულ საერთაშორისო შეთანხმებებში, იგი აღიარებს კონვენციის გამოყენებისას საკითხის გავრცობის აუცილებლობას კონკრეტულ საქმეებთან მიმართებაში.
- <sup>87</sup> მოსამზადებელი სხდომები.
- <sup>88</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი მე-18 მუხლზე, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.
- <sup>89</sup> *M.A.B., W.A.T. and J.A.Y.T v. Canada*, გადაწყვეტილება მიღებული იქნა 1994 წლის 8 აპრილს.
- <sup>90</sup> მოცემული ტიპის რელიგიის მაგალითს წარმოადგენს ამერიკელი ინდიელების რელიგიები, რომლებიც ტრადიციულად იყენებდნენ პეიოტს თავიანთი რელიგიური ცერემონიების დროს.
- <sup>91</sup> *Wisconsin v. Yoder*, 406 U. S. 203, 215-16 (1972).
- <sup>92</sup> იხ. *U.S. v. Seeger*, 380 U. S. 163 (1965), სადაც უფლება კეთილსინდისიერ წინააღმდეგობაზე გავრცელდა ადამიანზე, რომლის ოპოზიცია სამხედრო სამსახურისადმი ეფუძნებოდა „რწმენასა და ერთგულებას უფლისა და სათნოებისადმი და რელიგიურ მრწამსს მხოლოდ ეთიკურ მსოფლმხედველობაში“.
- <sup>93</sup> *Thomas v. Revie Board of the Indiana Employment Security Division*, 450 U. S. 707, 714 (1981).
- <sup>94</sup> *U.S. v. Seeger*, 380 U. S. 163, 180-1 (1965).
- <sup>95</sup> Paul Tillich, *The Dynamics of Faith*.
- <sup>96</sup> მისი ჩამონათვალი მოიცავს „უფლის რწმენას; მსოფლმხედველობას სამყაროსა და ადამიანურ მიზნებზე; რწმენას განსაზღვრული ფორმის სიცოცხლისა სიკვდილის შემდგომ; კავშირს უფალთან ღვთისმსახურების რიტუალური აქტების და ჯგუფური ან ინდივიდუალური ლოცვების გზით; მორალური ვალდებულების განსაზღვრულ ხედვას“.
- <sup>97</sup> ავსტრალიური კავშირის კონსტიტუცია (1901). 166-ე მუხლის თანახმად, კავშირი არასოდეს მიიღებს კანონს ნებისმიერი ეკლესიის დანესების, ნებისმიერი რელიგიური ცერემონიის დაკისრების, ან აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვისათვის და არანაირი რელიგიური ტესტი არ იქნება კავშირის მხრიდან გამოყენებული ნებისმიერი თანამდებობის დაკავებისა თუ საზოგადოებრივი ნდობისათვის.

- <sup>98</sup> *Wilson and Deane JJ, in Church of the New Faith v. Commissioner for Pay - Roll Tax (Vic.)*, 154 C. L. R. 120, 173 (1983).
- <sup>99</sup> K. J. Partsch, *Freedom of Conscience and Expression and Political Freedom*.
- <sup>100</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>101</sup> *Travaux Préparatoires*, იურიდიულ და ადმინისტრაციულ საკითხთა კომიტეტის მოხსენება, 1949 წლის 5 სექტემბერი.
- <sup>102</sup> *Travaux Préparatoires*, საკონსულტაციო ასამბლეის მეორე სესია, მაქსველ-ფაივის (გაერთიანებული სამეფო) გამოსვლა.
- <sup>103</sup> ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენციის პრეამბულა.
- <sup>104</sup> *Church of scientology and 128 of its members v. Sweden*.
- <sup>105</sup> *Otto-Preminger-Institut v. Austria*, 295 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1994).
- <sup>106</sup> *Dubowska v. Poland*, ასევე, *Skup v. Poland*.
- <sup>107</sup> *Wingrove v. the United Kingdom*, 23 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1937 (1996-V).
- <sup>108</sup> 1954 წელს სასამართლომ დაადგინა, რომ სიტყვის თავისუფლების განხორციელებას თან ახლავს პირის ვალდებულება, თავი აარიდოს აზრის გამოხატვას, რომელიც თავყვანისცემის ობიექტებს შეეხება და უსაფუძვლოდ შეურაცხმყოფელია სხვებისთვის.
- <sup>109</sup> როგორცაა ბრიტანეთის კანონები მკრეხელობის შესახებ, რომლებიც შეეხება მკრეხელობას მხოლოდ ქრისტიანობის და არა სხვა რელიგიური ჯგუფების მიმართ. იხ. *Choudhury v. the United Kingdom*, 12 Hum. Rts. L.J. 172 (1991).
- <sup>110</sup> საინტელოგების მტკიცებით, ასეთი სიტუაცია არსებობდა საქმეში *Scientology Kirche von Deutschland e. V. v. Germany*. 89-A, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 163 (1997). საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, რადგანაც საქმის გადანყვეტის ეროვნული რესურსები არ იქნა ბოლომდე გამოყენებული, თუმცა სასამართლომ მიუთითა, რომ საინტელოგების მიერ ხაზგასმული საკითხები, შეიძლებოდა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულების სახელმწიფოსათვის დაკისრების მოთხოვნის საფუძველი გამხდარიყო.
- <sup>111</sup> *C v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 142 (1983); *Valsamis v. Greece*, 2 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1996).
- <sup>112</sup> Malcolm Evans, *Religious Liberty and International Law in Europe*, პარაგრაფი 1 (1997).
- <sup>113</sup> *Darby v. Sweden*, 187 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1990) დანართი სასამართლო გადანყვეტილებაზე.
- <sup>114</sup> *Buscarini and others v. San Marino*. Eur. Ct. H. R. 18 თებერვალი, 1999 წელი.
- <sup>115</sup> *Buscani and others v. San Marino*. სასამართლომ მიიღო გადანაყვეტილება, რომ ფიცის დადება არ წარმოადგენდა აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.
- <sup>116</sup> Gabriel Moens, *The Action-Belief Dichotomy and Freedom of Religion* (1989); Donna Sullivan, *Advancing the Freedom of Religion or Belief Through the UN Declaration on the Elimination of Religious Intolerance and Discrimination*. (1988).
- <sup>117</sup> ზოგი მწერალი აღნიშნულ სფეროში ასევე ემხრობა რელიგიაში რწმენის უპირატესი ხასიათის პრინციპს. Brice Dickson, *The United Nations and Freedom of Religion*, 44 Int'l & Comp. L. Q. 327 (1995) ბრაის დიქსონი ამტკიცებს, რომ „რელიგია – ეს რწმენათა ერთობლიობაა“.
- <sup>118</sup> *Reynolds v. U. S.*-ის საქმიდან დაწყებული (1998). ამ განხრით ყველაზე ხშირად მოიხსენიებენ საქმეს *Cantwell v. Connecticut* (1940), სადაც უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ „შესწორებაში აღიარებულია ორი კონცეფცია – რწმენის თავისუფლება და ქმედების თავისუფლება. პირველი აბსოლუტურია, ხოლო მეორე თავისი არსით შეუღლებლია ასეთი იყოს“.
- <sup>119</sup> *Wisconsin v. Yoder*, 406 U. S. 203, 220 (1972).
- <sup>120</sup> Philip Kurland, *Religion and the Law: Of Church State and the Supreme Court* (1961).
- <sup>121</sup> H. A. Freeman, *A Remonstrance for Conscience* (1998).
- <sup>122</sup> Wilfred Cantwell Smith, *The Meaning and End of Religion*. თავები მე-2 და მე-3 (1962). უილფრედ კანტუელ სმიტის სწავლებაში ტერმინ „რელიგიის“ წარმოშობისა და გამოყენების შესახებ ავტორი აღწერს, თუ როგორ შეიცვალა დროთა განმავლობაში ტერმინების გამოყენება და მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაუკავშირდა იდეას განსაზღვრული რწმენების ერთობლიობის შესახებ. თავდაპირველი გამოყენება ამ ცნებისა ძირითადად ლეთისნიერი ცხოვრებისა და ადამიანების რელიგიურ ქცევაზე აქცენტის გაკეთებისკენ იხრებოდა. მათი თანამედროვე კავშირი განსაზღვრულ მოძღვრებასთან თავისი არსით პოსტრეფორმაციული პროდუქტია.

- <sup>123</sup> *Wisconsin v. Yoder*, 406 U. S. 203 (1972).
- <sup>124</sup> *Wisconsin v. Yoder*, 406 U. S. 203 (1972).
- <sup>125</sup> *Valsamis v. Greece*, Eur. Ct. H. R. (ser. A) 2312 (1996); *Efstathiou v. Greece*, 27 Eur. Ct. H. R. (ser. A) 2347 (1996).
- <sup>126</sup> კანონის თანახმად, შვედეთის სახელმწიფო ეკლესიისთვის გადასახადების გადახდა სავალდებულო ხასიათს ატარებდა. შვედეთის მცხოვრებთ, რომლებიც არ იყვნენ სახელმწიფო ეკლესიის წევრები, ჰქონდათ უფლება, არ გადაეხადათ გადასახადების ნაწილი მაინც. თუმცა დერბის მსგავსი გადასახადების გადამხდელებს, რომლებიც, მართალია, ზიზნესს ენეოდნენ შვედეთში, მაგრამ არ ცხოვრობდნენ ამ ქვეყანაში, არ ჰქონდათ გადასახადების გადახდისგან გათავისუფლების უფლება. *Derby v. Sweden*, 187 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1990) სასამართლო გადაწყვეტილების დანართი.
- <sup>127</sup> *Kalac v. Turkey*, 41 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1199 (1997).
- <sup>128</sup> *Kalac v. Turkey*, 41 Eur. Ct. H. R. (ser. A).
- <sup>129</sup> კომისიის შეხედულება, დანართი სასამართლო გადაწყვეტილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კომისიამ არ განიხილა *forum internum*-ის საკითხი, თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთა იმ ნიადაგზე, რომ მოსამართლის გათავისუფლების საფუძველი გახდა მის მიერ რწმენათა მანიფესტაცია (გამოხატვა), რაც არ იყო „კანონით განსაზღვრული“ საკმარისი სიცხადით.
- <sup>130</sup> *Tsavachidis v. Greece*, Eur. Ct. H. R., 4 მარტი, 1997.
- <sup>131</sup> *Tsavachidis v. Greece*, Eur. Ct. H. R., 21 იანვარი, 1999.
- <sup>132</sup> *Riera Blume and others v. Spain*, Eur. Ct. H. R., 21 სექტემბერი, 1999.
- <sup>133</sup> მსოფლიო მასშტაბით სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებულ ურთიერთობათა სახეების მიმოხილვისათვის იხ. Subrata Roy Chowdhury, *Rule of Law in a State of Emergency: The Paris Minimum Standards of Human Rights Norms in a State of Emergency* (1989).
- <sup>134</sup> Myres S. McDougal, Lasswell, and Chen, *The Right to Religious Freedom and World Public Order* (1976).
- <sup>135</sup> მაკდუგალი, ლოსველი და ჩენი აღწერენ მას, როგორც „წარუმატებელ გადახრას ტრადიციული სიბრძნიდან“, რომლის თანახმადაც, ოფიციალური რელიგიის დაწესებამ ან აღიარებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს არატოლერანტულ დამოკიდებულებას სხვა რწმენის მიმდევრების მიმართ.
- <sup>136</sup> D. J. Harris, M. O'Boyle, and C. Warbrick, *The Law of the European Convention on Human Rights* (1995).
- <sup>137</sup> *Darby v. Sweden*, 187 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1990) სასამართლო გადაწყვეტილების დანართი.
- <sup>138</sup> *Buscarini and others v. San Marino*, Eur. Ct. H. R. 18 Tebervali, 1999.
- <sup>139</sup> *Choudhury v. United Kingdom*, 12 Hum. Rts L. J. 172 (1991); *Wingrove v. the United Kingdom*, 23 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1996). თუმცაღა ამ უკანასკნელ საქმეში სასამართლომ ერთი რელიგიის დამცველ კანონს „ანომალია“ უწოდა.
- <sup>140</sup> *Darby v. Sweden*, 187 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1990), დანართი სასამართლო გადაწყვეტილებაზე. *X v. Austria*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. (1984).
- <sup>141</sup> *Gottesmann v. Switzerland*, 40 Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 284 (1984).
- <sup>142</sup> *Darby v. Sweden*, 187 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1990), დანართი სასამართლო გადაწყვეტილებაზე.
- <sup>143</sup> *E G R. v. Austria*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 42 (1984).
- <sup>144</sup> *Schubert v. Germany*, Eur. Comm'n H. R. 5 ოქტომბერი, 1981.
- <sup>145</sup> P. van Dijk and G. J. H. van Hoof, *The Theory and Practice of the European Convention on Human Rights* (1997).
- <sup>146</sup> საქმეში *Kustannus Oy Vapaa Ajatteliija AB and others v. Finland*, 85-A Eur. Comm'n. H. R. Dec. & Rep. 29 (1996) კომისიამ დაადგინა, რომ ორგანიზაცია, რომლის უმთავრეს მიზანს ათეიზმისა თუ თავისუფალი აზროვნების ნახალისება ან ხელშეწყობა წარმოადგენდა და რომელიც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ჩარევას რელიგიაში, ვალდებული იყო, გადაეხადა საეკლესიო გადასახადები.
- <sup>147</sup> *Schubert v. Germany*, Eur. Comm'n H. R., 5 ოქტომბერი, 1981.



- <sup>148</sup> *Iglesia Bautista "El Salvador" and Ortega Moratilla v. Spain*, 72 Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 256 (1992).
- <sup>149</sup> Arcot Krishnaswami, Study of Discrimination in the Matter of Religious Rights and Practices. კრიშნასვამის სწავლების თანახმად, სახელმწიფოებს აქვთ რელიგიათა შიდა საქმიანობის რეგულირებაში მონაწილეობის მიღების უფლება, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ აღნიშნული მონაწილეობა ძალზე შეზღუდულ ხასიათს უნდა ატარებდეს.
- <sup>150</sup> *X v. Denmark*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 157 (1976).
- <sup>151</sup> *Knudsen v. Norway*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 247 (1985). კომისიამ თავისი გადაწყვეტილებით მხარი დაუჭირა სახელმწიფოს უფლებას, გაეთავისუფლებინა პასტორი, ნანილობრივ, იმ ნიადაგზე, რომ მან უკან ნაილო ერთგულების ფიცი.
- <sup>152</sup> *Karlson v. Sweden*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 172 (1988).
- <sup>153</sup> საქმეში *Finska Fosamling I Stockholm and Hautaniemi v. Sweden*, 85-A Eur. Comm'n. H. R. Dec. & Rep. 94, 97 (1996) კომისიამ უარყო საჩივარი შვედეთის წინააღმდეგ, რადგანაც გადაწყვეტილება, რომელიც საჩივრის წყაროს წარმოადგენდა, მიღებული იყო შვედეთის ეკლესიის ავტონომიური საეკლესიო ასამბლეის მიერ და, შესაბამისად, სახელმწიფო არ იყო პასუხისმგებელი ამ გადაწყვეტილებაზე.
- <sup>154</sup> *X v. Denmark*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 157, 158 (1976).
- <sup>155</sup> *Knudsen v. Norway*, Eur. Comm'n. H. R. Dec. & Rep. 247 (1985).
- <sup>156</sup> აქედან გამომდინარე, იგი არ სარგებლობდა დაცვით, რადგანაც მხოლოდ რელიგიით მოტივირებული ქმედებები არ არის დაცული, როგორც რელიგიის გამოხატვა, მე-9 (1) მუხლის საფუძველზე.
- <sup>157</sup> *Serif v. Greece*, Eur. Ct. H. R., 14 დეკემბერი, 1999.
- <sup>158</sup> სხვა პრობლემებზე, რომლებიც სახელმწიფო ეკლესიამ შესაძლოა გამოიწვიოს რელიგიური უმცირესობებისთვის იხ. Patrick Thornberry, *International Law and the Rights of Minorities*, პარაგრაფი 20 (1991).
- <sup>159</sup> *Kokkinakis v. Greece*, Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>160</sup> *Manussakis and Others v. Greece*, Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1996).
- <sup>161</sup> *Tsavachidis v. Greece*, Eur. Comm'n. H. R., 4 მარტი, 1997.
- <sup>162</sup> განათლებასა და რელიგიასთან დაკავშირებით აშშ-ის პოზიციის უკეთ გაცნობისათვის იხ. Jozeph Schuster, *The First Amendment in the Balance*, პარაგრაფი 17 (1993).
- <sup>163</sup> *X v. the United Kingdom*, Eur. Comm'n. H. R. Dec. & Rep. 179, 180 (1978), კომისიამ გადაწყვიტა, რომ მთავრობა უფლებამოსილი იყო სახელმწიფო სკოლებთან შედარებით არაკონფესიური კერძო სკოლების ნაკლები სუბსიდირება განეხორციელებინა; *X and Y v. the United Kingdom*, Eur. Comm'n. H. R. Dec. & Rep. 210 (1982), კომისიის გადაწყვეტილებით, გაერთიანებული სამეფო არ არის ვალდებული, დააფინანსოს ადგილები რუდოლფ შტაინერის სკოლაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მშობლები მიიჩნევენ, რომ თავიანთი შვილების მათივე ანთროპოსოფიული შეხედულებების შესაბამისად აღზრდისათვის აუცილებელია მათი ამ სკოლაში გაგზავნა;
- <sup>164</sup> *X and Y v. the United Kingdom*, Eur. Comm'n. H. R. Dec. & Rep. 147, 150 (1977); *W and DM v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 96, 99 (1984).
- <sup>165</sup> *X, Y and Z v. Germany*, Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 224 (1982), კომისიამ განაცხადა, რომ არ არსებობს მშობლის უფლება, მოითხოვოს თავისი შვილის მიერ მათემატიკის სწავლა *Sachrechten*-ის მეთოდით და არა გერმანიის დანყებით სკოლებში მიღებული თანამედროვე მათემატიკური მეთოდიკით.
- <sup>166</sup> *15 Foreign Students v. the United Kingdom*, 9 Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 185, 187 (1977) კომისიამ გადაწყვიტა, რომ „მე-2 მუხლით განმტკიცებული უფლება განათლებაზე პირველ რიგში შეეხება დაწყებით განათლებას და არა აუცილებლად შემდგომ სწავლებას“. როცა სახელმწიფო უზრუნველყოფს სწავლებას, რომელიც არ არის სავალდებულო, ამ შემთხვევაშიც ამგვარი სწავლება პატივს უნდა სცემდეს მშობელთა რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსს: *40 Mothers v. Sweden*, Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 27, 30 (1977).



- <sup>167</sup> *PD and LD v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 191 (1989); *Simpson v. United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 188 (1989); *Graeme v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 158 (1990)
- <sup>168</sup> *Family H v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 105 (1984) მშობლები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საჭირო საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნებს, ან თანამშრომლობენ ხელისუფლებასთან უნარშეზღუდული ბავშვების საოჯახო განათლებასთან დაკავშირებით, არ სარგებლობენ მუხლით გათვალისწინებული დაცვით. *Ingrid Jorbedo Foundation of Cristian Schools and Jorbedo v. Sweden*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 125, 128-9 (1987) მთავრობის უარი კერძო სკოლისათვის უმაღლესი განათლების დონეზე სწავლების ნებართვაზე კომისიის მიერ იქნა მხარდაჭერილი იმ მოტივით, რომ მთავრობის გადანყვეტილება ემყარებოდა სკოლის მიერ სათანადო საგანმანათლებლო სტანდარტების დაუკმაყოფილებლობას.
- <sup>169</sup> საქმე, რომელიც დაკავშირებულია იმ კანონის ცალკეულ ასპექტებთან, რომელიც ბელგიის საგანმანათლებლო სისტემაში ენების გამოყენებას შეეხება. 6 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1968).
- <sup>170</sup> *Natan Lerner, Group Rights and Discrimination in International Law*, პარაგრაფი 10 (1991). იგი დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა მნიშვნელოვან საკითხს რელიგიური უმცირესობებისთვის, რაც კარგად ჩანს ზენოლიდან (განსაკუთრებით ებრაული ლობისტური ჯგუფების მხრიდან) განსხვავებული საგანმანათლებლო საშუალებების ფლობის უფლებაზე, რაც განმტკიცებულია ერთა ლიგის მიერ დამტკიცებულ უმცირესობათა შეთანხმებებში. იხ. *Minority schools in Albania*, 64 P. C. J. 64 (ser. A1B) 4 (1935) (Advisory Opinion), რომლის თანახმადაც ალბანეთის კონსტიტუციის მიერ კერძო სკოლების აკრძალვა წარმოადგენდა ალბანეთის ვალდებულებათა დარღვევას რელიგიური და ენობრივი უმცირესობების წინაშე.
- <sup>171</sup> *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen*, 23 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1982) განაცხადეს, რომ „უდავო ზიანი და შენუხება“ უნდა განიცადონ მათ, ვინც კერძო ან საოჯახო სწავლებას ირჩევს რელიგიური მოტივებიდან გამომდინარე, მაგრამ ის ფაქტი, რომ ასეთი არჩევანი არსებობს, მნიშვნელოვანია კონვენციის საფუძველზე სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლებისთვის.
- <sup>172</sup> *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark*, 23 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1982).
- <sup>173</sup> თუმცადა სასამართლო ნათლად არასოდეს გამოხატავს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ საქმის გადანყვეტაში. მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა) და მე-9 მუხლების თანახმად, სათანადოდ უნდა იქნეს დაცული ბავშვის უფლება, არ იყოს იმ ინფორმაციათა თუ იდეათა ზეგავლენის ქვეშ მოქცეული, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან მის რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსთან. მე-10 მუხლი (პერიფრაზირებული სასამართლოს მიერ, როგორც „ინფორმაციისა და იდეათა მიღებისა და გავრცელების თავისუფლება“) იმ მოსაზრების მხარდაჭერისკენ იხრება, რომ სკოლასა და ბავშვს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ იდეათა და მოსაზრებათა თავისუფალ გაცვლაში.
- <sup>174</sup> *Campbell and Cosans v. the United Kingdom*, 48 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1982).
- <sup>175</sup> ბავშვების ფიზიკურ დასჯასთან და მის კავშირთან პირველი ოქმის მე-2 მუხლთან დაკავშირებული სხვა საქმეები: *X, Y and Z v. the United Kingdom*, AEur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 50 (1982) კომისიის გადანყვეტილებით, მშობლები, რომლებსაც არ გააჩნიათ განსაკუთრებული მსოფლმხედველობა, რომელიც კრძალავს ფიზიკურ დასჯას და რომელთაც თავიანთი მოსაზრებები არ გაუცნიათ სასკოლო ხელმძღვანელობისათვის, ამ მუხლის მოქმედების ფარგლებს გარეთ ექცეოდნენ; *B and D v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 44, 50 (1986) კომისიამ დააკმაყოფილა მშობლის მოთხოვნა, რომლის შეილსაც სკოლაში ცუდი ყოფაქცევისთვის; *Seven Individuals v. Sweden*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 104, 115-16 (1982), აქ კომისიამ დაუშვებლად ცნო მშობელთა საჩივარი, რომლის თანახმადაც შვედეთის ახალი კოდექსი ბავშვთა აღზრდის შესახებ თუმცა არ ახდენდა მშობლების მიერ მათი შვილების დასჯის კრიმინალიზაციას, მაგრამ მიზანშეუწონლად აცხადებდა მას; *Durairaj, Baker and Durairaj v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 13 (1987) და *Jarman v. the United Kingdom*, 56 Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 181 (1988), ორივე საქმეში ბავშვები ფიზიკურად დასაჯეს და სკოლიდან გარიცხეს იმის გამო, რომ მათი მშობლები ეწინააღმდეგებოდნენ ფიზიკურ დასჯას. მხარეები მორიგდნენ.

- <sup>176</sup> *Hartikainen v. Finland*, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ფაკულტატიური ოქმის საფუძველზე შერჩეული გადაწყვეტილებები, 19 აპრილი, 1981, მე-12 სესია.
- <sup>177</sup> *Angeleni v. Sweden*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 41 (1986).
- <sup>178</sup> *Bernard and Others v. Luxembourg*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 57 (1993); *CJ, JJ & EJ v. Poland*, 84-A Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 46 (1996).
- <sup>179</sup> *Karnell and Hardt v. Sweden*, 14 YB Convention on HR (Eur. Comm'n on H. R) 676 (1971).
- <sup>180</sup> *Bernard and others v. Luxembourg*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 57 (1993).
- <sup>181</sup> კომისიის მიერ გაკეთებული კომენტარით, „მომჩივანმა თვითონ გადაწყვიტა... დასწრებოდა რელიგიის გაკვეთილებს“.
- <sup>182</sup> ჰარისი, ობოლი და ვორბრიკი ამტკიცებენ, რომ „თუ სახელმწიფოს აქვს საკმარისი საბაზი, სახელმწიფო უშიშროების კონტექსტში იცოდეს, რისი სწამს პიროვნებას, ამის განხორციელებაში მისთვის წინააღმდეგობის შექმნა აისახება თანამედროვე ტოტალიტარული რეჟიმების მხრიდან წამებასა და ძალადობრივ გამოძიებაში“.
- <sup>183</sup> Kevin Boyle, Juliet Sheen, *Freedom of Religion or Belief: A World Report* 358-65 (1997).
- <sup>184</sup> *Kokkinakis v. Greece*, Eur. Ct. H. R. (ser. A) 363 (1998).
- <sup>185</sup> *Riera Blume and others v. Spain*, Eur. Ct. H. R., 9 მარტი, 1999.
- <sup>186</sup> *Gottesmann v. Switzerland*, 40 Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 284 (1984).
- <sup>187</sup> Arcot Krishnaswami, *Study of Discrimination in the Matter of Religious Rights and Practices*. არკოტ კრიშნასვამის მოსაზრებით, რელიგიისა თუ რწმენის, ან მისი შეცვლის ფორმალური რეგისტრაცია ჩვეულებრივ გამოიყენება სახელმწიფოების მიერ და ხშირად მხოლოდ ფორმალობაა, მაგრამ იგი გვაფრთხილებს, რომ ასეთი ფორმალობები შესაძლოა „ფაქტობრივად გამოყენებულ იქნეს რელიგიისა თუ რწმენის შეცვლისაგან ინდივიდის გადარწმუნების საშუალებად“.
- <sup>188</sup> *X v. Iceland*, 18 Collection 33 (1967).
- <sup>189</sup> *CJ, JJ & EJ v. Poland*, 84-A Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 46 (1996).
- <sup>190</sup> Malcolm Show, *Freedom of Thought, Conscience and Religion*. მალკოლმ შოუ წუხს, რომ იძულების აკრძალვა არ იქნა უფრო ცხადად გამოხატული კონვენციაში, იმ პირთა უფლებების დაცვის მიზნით, რომელთა საკუთარ რწმენაზე მოქცევას ცდილობენ პროზელიტორები. პროზელიტორთა უფლებების შეზღუდვაზე სახელმწიფო მოთხოვნების განხილვისას სასამართლო მე-17 მუხლის ნაცვლად მიმართავდა მე-9 (2) მუხლს.
- <sup>191</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>192</sup> ეს აკრძალვა შემოღებულ იქნა მეტაქსას დიქტატორობის პერიოდში, რომელიც გაგრძელდა საბერძნეთის კანონმდებლობით 1363/1938.
- <sup>193</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>194</sup> *Sunday Times v. the United Kingdom*, 30 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1979) აქ სასამართლოს გადაწყვეტილებით, მე-10 მუხლი მოიცავს როგორც ინფორმაციის მიღების, ისე გადაცემის უფლებას.
- <sup>195</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>196</sup> Peter W. Edge, *Holy War on the Doorstep*. პიტერ ეჯის მტკიცებით, კანონები, რომელთა კონკრეტულ სამიზნეს პროზელიტიზმი წარმოადგენს, უადგილოა და ნებისმიერი პრობლემა (როგორცაა იძულების გამოყენება) ზოგადი ხასიათის სისხლის და სამოქალაქო სამართლებრივი კანონებით უნდა იქნეს გადაწყვეტილი.
- <sup>197</sup> Paul Hayden, *Religiously Motivated "Outrageous" Conduct: International Infliction of Emotional Distress as a Weapon Against "Other People's Faiths"* (1993). პოლ ჰაიდენის მიერ რამდენიმე მაგალითია მოყვანილი იმ არაკეთილსინდისიერი გზებისა, რომელთა გამოყენებითაც სხვადასხვა რელიგიას შეუძლია პროზელიტების გადმოზირება, თუმცა აღნიშნულია, რომ კანონები, რომლებიც ზღუდავს ასეთი ჯგუფების საქმიანობას, შესაძლოა დისკრიმინაციისა და რელიგიურ უმცირესობათა მიმართ ისტერიის გამომწვევ მიზეზად მოგვევლინოს.

- <sup>198</sup> *X v. United Kingdom*, Eur. Comm'n, H. R. Dec. & Rep. 27, 33 (1981).
- <sup>199</sup> *ISKCON v. United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 90 (1994). ინდუისტურ ტაძარზე დაწესებული შეზღუდვები დაგეგმარების კანონის საფუძველზე, დასაშვებად იქნა მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენდა ჩარევას სხვებთან ერთად, საჯარო წესით ღვთისმსახურების თავისუფლებაზე, რადგანაც ტაძარში მიმავალი ხალხის ძალზე დიდი რაოდენობა მნიშვნელოვნად ეწეოდა ახლომდებარე სოფლის მოსახლეობის ცხოვრებაში. რაც შეეხება კერძო ღვთისმსახურებას, ნაკლებად საფარაუდოა, მსგავსი წესით დაირღვეს სხვათა უფლებანი.
- <sup>200</sup> Kevin Boyle, *Freedom of Conscience in International Law* (1993).
- <sup>201</sup> *X v. Austria*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 89 (1981).
- <sup>202</sup> *Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, Eur. Ct. H. R. 13 დეკემბერი 2001 წელი.
- <sup>203</sup> Patrick Thornberry, *International Law and the Rights of Minorities* 195 (1991).
- <sup>204</sup> Yoram Dinstein, *Freedom of Religion and Religious Minorities* (1992).
- <sup>205</sup> დეკლარაცია რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი მე-6.
- <sup>206</sup> *Arrowsmith v. United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 123, 127 (1977). Ben Vermeulen, *Comment in Freedom of Conscience*. ბენ ვერმეულენი პრეცედენტული სამართლის საფუძველზე ამტკიცებს, რომ „გამოხატვის ფორმები მე-9 მუხლით დაცულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ობიექტური შეხედულებიდან გამომდინარე, ისინი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ღვთისმსახურების აქტები“. თუმცა ეს მოსაზრება მრავალი ავტორის შეხედულებას არ ემთხვევა.
- <sup>207</sup> *Arrowsmith v. United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 123, 127 (1977).
- <sup>208</sup> *Church of X v. the United Kingdom*, Collection 70, 77 (1968), *Khan v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 253, 255 (1986). კომისიამ დაადგინა, რომ ქორწინება არ არის რელიგიისა და რწმენის მანიფესტაცია.
- <sup>209</sup> *C v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 142, 147 (1983).
- <sup>210</sup> *X v. Federal Republic of Germany*, 23 Collection 1, 8 (1966). კომისიამ არ მიიღო საჩივარი წარმოებაში იმ მტკიცებულებათა არარსებობის გამო, რომლებიც დაადასტურებდა, რომ ციხეში არ ყოფილა პროტესტანტი პასტორი და ღვთისმსახურების რიტუალები არ ჩატარებულა.
- <sup>211</sup> *Manoussakis and others v. Greece*, 17 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1996).
- <sup>212</sup> *Holly Monasteries v. Greece*, 301 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1994).
- <sup>213</sup> *Holly Monasteries v. Greece*, 301 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1994). საჩივარი შეეხებოდა კანონს, რომელიც მთავრობას გადასცემდა კონტროლს მონასტრების სასოფლო-სამეურნეო და სატყეო საკუთრებაზე. სასამართლომ არ მიიღო საჩივარი წარმოებაში და მიუთითა, რომ საბერძნეთის კანონი „არც ერთ შემთხვევაში არ შეეხებოდა ობიექტებს, რომლებიც გამიზნული იყო ღვთისმსახურების ჩატარებისათვის და, შედეგად, არ ჩარეულა რელიგიის თავისუფლების განხორციელებაში“. თუმცა სასამართლომ აღმოაჩინა პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა მონასტერთა საკუთრებასთან მიმართებაში.
- <sup>214</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>215</sup> უმრავლესობის მოსაზრებით, მე-9 მუხლი მოიცავს ვინმეს განსაზღვრულ რელიგიაზე მოქცევის მცდელობის უფლებას, მაგალითად, „სწავლების“ გზით. ამ ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ სასამართლო სწავლებას პროზელიტიზმის ერთ-ერთ ფორმად აღიარებს.
- <sup>216</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>217</sup> *Larissis and the others v. Greece*, 65 Eur. Ct. H. R. (ser. A) 363 (1998).
- <sup>218</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993) მოსამართლე ვალტოქისის განსხვავებული აზრი.
- <sup>219</sup> ლექსიკონებში: Larousse Grand (French-English) და Harraps Standard French and English „ნეს-ჩვეულებების“ სხვადასხვა განმარტებაა მოცემული, რომელთაგან პირველს წარმოადგენს ის, რომელიც „თეორიაში უნდა იქნეს გამოყენებული“. ორივე მათგანი მოცემული ტერმინის აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს *Pratiques Religieuses*.

- 220 *Arrowsmith v. the United Kingdom*, 19 Eur. Comm'n H. R. Dec & Per. 5 (1978).
- 221 *Arrowsmith v. the United Kingdom*, 19 Eur. Comm'n H. R. Dec & Per. 5 (1978).
- 222 Incitement of Disaffection Act 1934, (UK), section 1 (1).
- 223 Incitement of Disaffection Act 1934, (UK), section 1 (2).
- 224 *Arrowsmith v. the United Kingdom*, 19 Eur. Comm'n H. R. Dec & Per. 5 (1978).
- 225 *Arrowsmith v. the United Kingdom* (მისაღებობა).
- 226 დეფინიცია ჩამოყალიბებულ იქნა მომჩივნის მიერ. მას მხარი დაუჭირა როგორც გაერთიანებულმა სამეფომ, ისე კომისიამ.
- 227 თუმცა თვით საქმეში არ იკვეთება, მომჩივანმა აუცილებლობა უნდა აჩვენოს თუ მხოლოდ მტკიცე, პირდაპირი კავშირი ქმედებასა და რწმენას შორის.
- 228 *X v. Austria*, 26 Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 253 (1986).
- 229 *X v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 41 (1974).
- 230 *D v. France*, 35 Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 199 (1983).
- 231 *X v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 27 (1981).
- 232 *Manoussakis and others v. Greece*, 17 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1996).
- 233 *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) 14 (1993).
- 234 T. Jeremy Gunn, *Adjudicating Rights of Conscience under the European Convention on Human Rights*.
- 235 *Karaduman v. Turkey*, 74 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 93 (1993).
- 236 *X and the Church of Scientology v. Sweden*, 16 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 68, 72 (1979).  
კომისიის გადაწყვეტილებით, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ „რეკლამები, რომლებიც თავისი არსით მხოლოდ „ინფორმაციული“ ან „აღწერილობითი“ ხასიათისაა და კომერციული რეკლამები. ვინაიდან საქმეში არსებული რეკლამა ამ უკანასკნელ სფეროს მიეკუთვნება, მიუხედავად იმისა, რომ იგი შესაძლოა რელიგიურ ობიექტებს შეეხებოდეს, ან რელიგიური შინაარსის განცხადებები იყოს რეკლამირების პროცესში გამოყენებული, კომისიის მოსაზრებით, საქმე სარგებლის მიღების მიზნით განსაზღვრული ობიექტებით ვაჭრობის სურვილის მანიფესტაციასთან უფრო გვაქვს, ვიდრე რწმენის გამოხატვასთან, ამ ტერმინის გონივრულ ფარგლებში.
- 237 *Yanasi v. Turkey*, 74 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 14 (1993).
- 238 *Johnston v. Ireland*, 112 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1986).
- 239 ვან ჰუფისა და ვან დიჯკის მიხედვით, ობიექტური მიდგომის გამოყენება „შესაძლოა ზოგადად გარდაუვალი იყოს“, თუმცა ეს სავარაუდოდ დიდი საფრთხის წინაშე დააყენებს უმცირესობებს, რომლებიც ვერ შეძლებენ საკმარისი მსგავსების ჩვენებას თავიანთ რელიგიას ან რწმენასა და ტრადიციულ/დომინანტ რელიგიასა თუ რწმენას შორის.
- 240 Peter W. Edge, *The European Court of Human Rights and Religious Rights*. პიტერ ეჯის მოსაზრებით, „დისკრეციული უფლებამოსილება ნაწილობრივ იმ ფაქტს ეფუძნება, რომ სახელმწიფო უფრო ახლოსაა განსახილველ სიტუაციასთან და, სავარაუდოდ, უკეთ არის გარკვეული გარემოებების შესახებ ინფორმირებული, ვიდრე საერთაშორისო სასამართლო“.
- 241 *Valsamis v. Greece*, 2 Eur. Ct. H. R. (ser. A): *Efstratiou v. Greece*, 27 Eur. Ct. H. R. (ser. A).
- 242 *Valsamis v. Greece*, 2 Eur. Ct. H. R. (ser. A): *Efstratiou v. Greece*, 27 Eur. Ct. H. R. (ser. A).
- 243 *D v. France*, 35 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 199, 202 (1983). კომისიამ დაადგინა, რომ ებრაელის უარი თავისი მეუღლისთვის განქორწინების ხელწერილის გადაცემაზე სამოქალაქო წესით განქორწინების შემდეგ ეწინააღმდეგებოდა „იმ რელიგიური ლიდერების შეხედულებებს, რომელთა მიერ მინიჭებული უფლებამოსილებითაც, მომჩივნის მტკიცებით, იგი მოქმედებდა“. ეს დასკვნა უფრო საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით გამოიტანეს, ვიდრე კომისიის მიერ პირდაპირი გზით მიღებული ექსპერტული მტკიცებულებების გათვალისწინებით.
- 244 *X v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 27 (1981).
- 245 *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).

- <sup>246</sup> სწორედ მომჩივანია ის მხარე, რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ქმედებანი მისივე რელიგიით ან რწმენით იყო სავალდებულო. თუმცა კომისიამ გზამკვლევის ფუნქცია იკისრა და მიუთითა, თუ როგორ უნდა იქნეს ეს მიზანი მიღწეული. მაგალითად, საქმეში *X v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec & Rep 5, 27 (1982) საჩივარი უარყვეს, რადგან მომჩივანმა ვერ შეძლო საკუთარი მოთხოვნის დასაბუთება, რომლის თანახმადაც, სიქთა ლიდერები კრძალავდნენ პატიმრის ტანისამოსის ტარებას რელიგიური მიზეზების გამო. კომისიას არ მიუთითებია, რა მტკიცებულება იქნებოდა მისაღები ამ შემთხვევაში.
- <sup>247</sup> Antonio Perotti, *Freedom of Conscience and Religion and Immigrants*. ანტონიო პეროტი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი პრობლემა, რომელსაც ზოგიერთი ემიგრანტებისგან შემდგარი რელიგიური ჯგუფი აწყდება, არის ნათლად გამოკვეთილი იერარქიული ხელმძღვანელობის არარსებობა, რომელიც სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლის ფუნქციებს ითავებდა.
- <sup>248</sup> პიტერ ეჯი აკრიტიკებს იდეას, თითქოს სასამართლომ უნდა განსაზღვროს იმ კრიტერიუმის ბუნება, რომელიც მომჩივნებმა უნდა გამოიყენონ იმის გადასაწყვეტად, მიადგა თუ არა ზიანი მათ რელიგიურ ინტერესებს. „ამის შედეგი იქნება არა მარტო ის, რომ სასამართლო ხელისუფალის პოზიციას დაიკავენ, რაც თავისთავად არასწორი და შეუსაბამოა, არამედ ისიც, რომ შეიქმნება მექანიზმი, რომელიც ორთოდოქსულ მიმდინარეობებს მისცემს შესაძლებლობას, გაცილებით იოლად უზრუნველყონ საკუთარი ინტერესების განხორციელება“.
- <sup>249</sup> *X v. the United Kingdom*, 5 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 8 (1976). კომისიამ მტკიცებულებად მიიღო რაბინის განმარტება, რომ ციხის კვება იუდაიზმით დასაშვებია იყო და მომჩივანს შეეძლო მისი მიღება, მიუხედავად ამ უკანასკნელის მიერ საპირისპიროს მტკიცებისა.
- <sup>250</sup> *Thomas v. Review Board of the Indiana Employment Security Division*, 450 U. S. 707, 714 (1981).
- <sup>251</sup> *Knudsen v. Norway*, 42 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 93 (1985); *X and the church of scientology v. Sweden*, 16 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 68 (1980).
- <sup>252</sup> *Valsamis v. Greece*, 2 Eur. Ct. H. R. (ser. A) 2312 (1996), *Efstratiou v. Greece*, 27 Eur. Ct. H. R. (ser. A) 2347 (1996).
- <sup>253</sup> *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen*, 23 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1976). მოსამართლე ვედროსის დამოუკიდებელი აზრი.
- <sup>254</sup> U. S. v. Lee (1982).
- <sup>255</sup> Peter Cumper, *The Rights of Religious Minorities: The Legal Regulation of New Religious Movements*.
- <sup>256</sup> როგორცაა წვერის მოშვება, *X v. the United Kingdom*, 16 Collection 20 (1965).
- <sup>257</sup> *Arrowsmith v. the United Kingdom*, 19 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 5, 27 (1978), ოქსალის დამოუკიდებელი აზრი. Karel Rimanque, *Freedom of Conscience and Minority Groups*. კარელ რომანიკი ამტკიცებს, რომ „მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობისათვის ქმედება ან უარი სამართლებრივი ვალდებულების შესრულებაზე სულიერი და რელიგიური მრწამსის პირდაპირი გამოხატვა უნდა იყოს. ეს დიდ საფრთხეს შეიცავს რელიგიური უმცირესობების, განსაკუთრებით, საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ჯგუფებისთვის, ვინაიდან მათი ქცევა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება რელიგიური რწმენის გამოხატვად, თუ სერიოზული მსგავსება იქნება ნაჩვენები ცნობილი მიმდინარეობების მახასიათებელ ნიშნებთან“.
- <sup>258</sup> დეკლარაცია რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი მე-6. ეს გაცილებით შეზღუდული ჩამონათვალია, ვიდრე კრიშნასვამის სწავლებაშია მოცემული ან დეკლარაციის სანეის პროექტებში ჩამოყალიბებული, თუმცა, ამავე დროს, მოიცავს მანიფესტაციათა იმ სახეებს, რომლებსაც არ შეიცავს აღნიშნული დოკუმენტები, მაგალითად, როგორცაა უფლება რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოებებთან კომუნიკაციაზე როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე.
- <sup>259</sup> Jacques Robert, *Freedom of Conscience, Pluralizm and Tolerance*. ჟაკ რობერტის მტკიცებით, თავსაბურავების ტარებამ საფრანგეთის სკოლებში, შესაძლოა ხელი შეუწყოს „პროვოკაციის, ზეწოლის, პროზელიტიზმის და პროპაგანდის“ ფორმების წარმოქმნას.
- <sup>260</sup> *Kraduman v. Turkey*, 74 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 93 (1993); *Goldman v. Weinberger*, 475 U. S. 503 (1986).



- <sup>261</sup> Arcot Krishnaswami, *Study of Discrimination in the Matter of Religious Rights and Practices*. კრიშნასვამი თავის სწავლებაში მიუთითებს, რომ შესაძლოა არსებობდეს მიზეზები რელიგიური სამოსის ტარების ადკვეთისათვის, თუმცა „საზოგადოდ, სასურველია, რომ პირს, რომელსაც საკუთარი რწმენა ავალდებულებს ამგვარი სამოსის ტარებას, დაუსაბუთებლად არ შეეზღუდოს ამის გაკეთება“.
- <sup>262</sup> მალკოლმ ევანსის მტკიცებით, განსაზღვრული დონის პერსონალური მსხვერპლის გაღება რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის სანაცვლოდ არ არის შეუსაბამო მე-9 მუხლთან.
- <sup>263</sup> *Derby v. Sweden*, 187 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1990) დანართი სასამართლოს გადანყვეტილებაზე. ადამიანებს, რომლებიც შვედეთში ცხოვრობდნენ, შეეძლოთ საეკლესიო გადასახადების გადახდისგან გათავისუფლება, მაშინ როცა ინდივიდებს, რომლებიც სხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ, მაგრამ შვედეთში მუშაობდნენ, როგორც, მაგალითად, დერბი, ამგვარი უფლებამოსილება არ გააჩნდათ.
- <sup>264</sup> ერთ-ერთი არგუმენტი, რომელიც გამოიყენება „ჯგუფის“ უმცირესობათა უფლებების სანინალმდევოდ, ის არის, რომ ისინი ერევიან ჯგუფის წევრების შესაძლებლობაში, ზუსტად ამ ტიპის ავტონომიური არჩევანი გააკეთონ.
- <sup>265</sup> Francesco Caportorti, *Are Minorities Entitled to Collective International Rights?*
- <sup>266</sup> *Knudsen v. Norway*, 42 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 247, 257 (1985); *Karlson v. Sweden*, 57 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 172, 175 (1988).
- <sup>267</sup> *Knudsen v. Norway*, 42 Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 247, 257 (1985).
- <sup>268</sup> *Fabian v. Switzerland*, Eur. Comm'n H. R. 16 mai, 1977. კომისიამ დაადგინა, რომ, დაცვის საშუალებების ნაკლებობის მიუხედავად, რომელთა გამოყენებაც მომჩინებებს შეეძლოთ ეკლესიის დარაჯის წინააღმდეგ, რომელიც მათ შეურაცხყოფელად ეკიდებოდა, საკითხი მე-9 მუხლის ქვემდებარე არ იყო, ვინაიდან თავისუფლად შეეძლოთ ეკლესიაში სიარული და ამავე დროს ჰქონდათ შესაძლებლობა, „აერჩიათ სხვა ეკლესია“.
- <sup>269</sup> *EGR v. Austria*, 37 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 42 (1984).
- <sup>270</sup> Paul Hayden, *Religiously Motivated "Outrageous" Conduct: Intentional Infliction of Emotional Distress as a Weapon Against "Other People's Faiths"*.
- <sup>271</sup> *X v. the United Kingdom*, 22 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 27 (1981).
- <sup>272</sup> *Stedman v. the United Kingdom*, 89-A, Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 104, 107-8 (1997). შესაძლებელია, მოცემულ საქმეში მომჩინების კეთილსინდისიერება გარკვეულწილად კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, ვინაიდან იგი აღრე მუშაობდა კვირაობით და არ არსებობდა მიზეზი, რის გამოც მისმა რელიგიურმა მოთხოვნებამ ცვლილება განიცადა.
- <sup>273</sup> *Karaduman v. Turkey*, 74 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 93, 108 (1993).
- <sup>274</sup> *Klac v. Turkey*, 41 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1997).
- <sup>275</sup> *Yanakis v. Turkey*, 74 Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 14, 22 (1993).
- <sup>276</sup> თუმცა არა ყველა შეზღუდვა იყო ლეგიტიმური. კომისიამ განაცხადა, რომ სამხედრო აკადემიაში შესვლით მომჩინანი დათანხმდა შეზღუდვებს, რომლებიც შეეხებოდა როსა და ადგილს, სადაც რელიგიის გამოხატვა იყო შესაძლებელი, მისი „სრული უარყოფის“ გარეშე. კერძოდ, ლოცვისა და რელიგიური ვალდებულებების შესრულების დრო იქნა გადატანილი.
- <sup>277</sup> უმცირესობის სტატუსი მათ მიმართ დამქირავებელთა ზენოლის მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენს. Gerard Quinn, *Conscientious Objection in Labour Relations*.
- <sup>278</sup> რა თქმა უნდა, ისლამი უმრავლესობის რელიგიაა თურქეთში, თუმცა კონსტიტუციური და პოლიტიკური სტრუქტურის საერო ხასიათი უმცირესობაში აქცევს ყველას, ვინც მუსლიმური რელიგიური ტრადიციების განხორციელებას შეეცდება.
- <sup>279</sup> Arcot Krishnaswami, *Study of Discrimination in the Matter of Religious Rights and Practices*.
- <sup>280</sup> Myres S. McDougal, Harold D. Lawswell, Lung-chu Chen, *The Rights to Religious Freedom and World Public Order: Emerging Norm of Non-Discrimination*. ავტორები ადასტურებენ, რომ „თუნდაც ისეთი ფუნდამენტური თავისუფლება, როგორცაა რელიგიური მრწამსისა და კომუნიკაციის თავისუფლება, დაცული და განხორციელებული უნდა იქნეს ერთად თავმოყრილ საზოგადოებრივ ინტერესთან შესაბამისობაში, ადამიანის სხვა ძირითადი უფლებების დაცვის მიზნით“.
- <sup>281</sup> Brice Dickson, *The United Nations and Freedom of Religion* (1995); Arcot Krishnaswami, *Study of Discrimination in the Matter of Religious Rights and Practices*.



- <sup>282</sup> *Chappell v. the United Kingdom*, 53 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 241 (1987).
- <sup>283</sup> *X v. the United Kingdom*, 14 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 134 (1978).
- <sup>284</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>285</sup> *Haknsson v. Sweden*, 5 Eur. H. R. Rep. 297 (1983).
- <sup>286</sup> *X v. Austria*, (1963); am saqmis msgavsia *X v. Italy* 5 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep 83, 85 (1976), სადაც ადამიანის მსჯავრდება ძალზე მსგავსი საფუძვლით გამართლებულ იქნა მხოლოდ საზოგადოებრივი უსაფრთხოების და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე.
- <sup>287</sup> *Klass v. Germany*, 28 Eur. Ct. H. R. Dec & Rep (1978); *Sunday Times v. the United Kingdom*, 30 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1979).
- <sup>288</sup> *Sunday Times v. the United Kingdom*, 30 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1979).
- <sup>289</sup> *Sunday Times v. the United Kingdom*, 30 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1979).
- <sup>290</sup> *Kokkinaki v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>291</sup> *Manoussakis and others v. Greece*, 17 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1996).
- <sup>292</sup> *Kokkinaki v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993). საბერძნეთის კანონმდებლობით პროზელიტიზმი განსაზღვრული იყო, როგორც „ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მცდელობა სხვა რელიგიური მიმდინარეობის პიროვნების რელიგიურ რწმენებზე ზემოქმედებისა მათი ხელყოფის განზრახვით, როგორც მორალური და მატერიალური მხარდაჭერით ან მისი დაპირებით, ისე თაღლითური მეთოდებით, ან დაზარალებულის გამოუცდელიობის, ნდობის, საჭიროების, დაბალი ინტელექტუალური განვითარების ან გულუბრყვილობის გამოყენებით“.
- <sup>293</sup> უმრავლესობის თანახმად კი, მე-7 მუხლის ძირითადი მიზანი იყო სისხლისსამართლებრივი კანონებისათვის უკუძალის მინიჭების აკრძალვა, რომლებიც ამძიმებდნენ ბრალდებულის მდგომარეობას და იმის უზრუნველყოფა, რომ ინდივიდს შეეძლოს, წინასწარ განჭვრიტოს, მისი ქმედება დაისჯება თუ არა.
- <sup>294</sup> *Larissis and others v. Greece*, 65 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>295</sup> *Manoussakis and others v. Greece*, 17 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1996).
- <sup>296</sup> *Handyside v. the United Kingdom*, 24 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1976).
- <sup>297</sup> კენდისაიდის საქმე პირველ რიგში გამოხატვის თავისუფლებასთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან იგი საქესაულურ საკითხებზე საგანმანათლებლო მასალის შემცველი „პატარა წითელი ლიფლეტების“ გავრცელებას შეეხებოდა, რაც აკრძალული იყო 1959 წელს მიღებული „უხამსი პუბლიკაციების“ აქტით. ამ საქმეში შემუშავებული პრინციპებით საფუძველი დაედო სასამართლოს ზოგად მიდგომას „აუცილებლობის“ საკითხისადმი.
- <sup>298</sup> *Handyside v. the United Kingdom*, 24 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1976).
- <sup>299</sup> *Sunday Times v. the United Kingdom*, 30 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1979). სასამართლომ მიიჩნია, რომ „სასამართლოს ხელისუფლება გაცილებით ობიექტური ცნება იყო“, რომელზედაც უფრო დიდი ევროპული კონსესუსი არსებობდა (შესაბამისად, გაცილებით ვიწრო დისკრეცია), ვიდრე საზოგადოებრივი მორალის სფეროზე.
- <sup>300</sup> *Manoussakis and others v. Greece*, 17 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1996).
- <sup>301</sup> *Sunday Times v. the United Kingdom*, 30 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1979); *Klass v. Germany*, 28 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1978).
- <sup>302</sup> P. Van Dijk and G. J. H. van Hoof, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*.
- <sup>303</sup> *Otto-Preminger-Institut v. Austria*, 295 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1994).
- <sup>304</sup> საქმე, თავის მხრივ, მე-10 მუხლიდან გამომდინარე საკითხებს შეეხებოდა, ვინაიდან ავსტრია შეეცადა, ფილმის ჩვენების აკრძალვის თაობაზე თავისი გადაწყვეტილება დაესაბუთებინა იმ მოტივით, რომ იგი სხვათა რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფდა.
- <sup>305</sup> *Wingrove v. the United Kingdom*, 23 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1996).
- <sup>306</sup> Peter W. Edge, *The European Court of Human Rights and Religious Rights*, პიტერ ეჯის მტკიცებით, იგი ძალზე ფართო და ბუნდოვანად განსაზღვრულია მე-9 მუხლის კონტექსტში.
- <sup>307</sup> Stephanos Stavros, *Freedom of Religion and Claims for Exemption from Generally Applicable, Natural Laws: Lessons from Across the Pond?*.

- <sup>308</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993); *Manoussakis and others v. Greece*, 17 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1996); *Larissis and others v. Greece*, 65 Eur. Ct. H. R. (ser. A) 363 (1998); *Tsavanidis v. Greece*, Eur. Comm'n H. R. 4 მარტი, 1997 წელი.
- <sup>309</sup> *National Union of Belgian Police v. Belgium*, 1 Eur. H. R. 578, 595 (1979-80).
- <sup>310</sup> *Larissis and others v. Greece*, 65 Eur. Ct. H. R. (ser. A) 363 (1998).
- <sup>311</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>312</sup> მოსამართლე მარტენსის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი.
- <sup>313</sup> მოსამართლე პეტიტის ნაწილობრივ თანხვედრი აზრი.
- <sup>314</sup> *Yoram Dinstein, Freedom of Religion and Religious Minorities*. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ არ მიიჩნევა დასაშვებად შეზღუდვებს ეროვნული უშიშროების საფუძველზე.
- <sup>315</sup> *Manoussakis v. Greece*, 17 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1996). საბერძნეთის მთავრობის მტკიცებით, კანონს, რომელიც ზღუდავდა არაორთოდოქსული ტაძრების მშენებლობას, ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი, ნაწილობრივ მართლმადიდებელი ეკლესიის როლიდან გამომდინარე, „ეროვნული თვითშეგნების და ბერძნული პატრიოტიზმის შენარჩუნებაში უცხოური ოკუპაციის პერიოდში“.
- <sup>316</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>317</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993). მოსამართლე მარტენსის ნაწილობრივ თანხვედრი აზრი.
- <sup>318</sup> ეს მონაცემები მომჩივანმა მოიყვანა და საბერძნეთის მთავრობამ ამის მიმართ პროტესტი არ გამოთქვა. მან მხოლოდ მიუთითა, რომ სისხლისსამართლებრივ დევნათა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა ბოლო ორი წლის განმავლობაში.
- <sup>319</sup> *Wingrove v. the United Kingdom*, 23 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1937 (1996). მკრეხელობის თაობაზე არსებულ ბრიტანულ კანონებსაც კი, რომლებიც მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიას იცავდა, ლეგიტიმური მიზანი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა რელიგიებზე არ ვრცელდებოდა. განსხვავებული პოზიციის მქონე მოსამართლე ლომუსის შეხედულებით, „მკრეხელობის კანონი იცავს მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიას, უფრო კონკრეტულად კი დაწესებულ ანგლიკანურ ეკლესიას... აქედან გამომდინარე, ჩარევის მიზანს ქრისტიანული რწმენის და არა სხვა რწმენათა დაცვა წარმოადგენს. ეს კი ბადებს კითხვას, აუცილებელია თუ არა ამგვარი ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში“.
- <sup>320</sup> *Chappell v. the United Kingdom*, 534 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep, 241, 247 (1987).
- <sup>321</sup> *Omkaranda and the Divine Light Zentrum v. Switzerland*, 25 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 105 (1981) არის საქმე, რომელიც ნათლად ამტკიცებს საზოგადოებრივი წესრიგისა და ჯანმრთელობის ხელყოფის პოტენციალს რელიგიური ჯგუფის ქმედებათა შედეგად. აქ რელიგიური ჯგუფის ლიდერი დაპატიმრებულ იქნა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ძალადობის აქტების ორგანიზების ხელმძღვანელობისათვის. იხ. ასევე *X v. the United Kingdom*, 3 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 62 (1975), სადაც კომისიამ დაადგინა, რომ რწმენის თავისუფალი გამოხატვა არ გულისხმობს დეზერტირობის, ოფიცერთა მკვლელობისა და ირლანდიის რესპუბლიკური არმიისათვის იარაღის მიწოდების ნაქმედებას.
- <sup>322</sup> ჩრდილოეთ ირლანდიაში პროტესტანტული მსვლელობანი კათოლიკურ რაიონებში ამგვარი პრობლემის ნათელი მაგალითია. იხ. *Theo van Boven, Advances and Obstacles in Building Understanding and Respect Between People of Diverse Religions and Beliefs*. შეუწყნარებლობა და ანტაგონიზმი შესაძლოა ასევე წარმოიშვას რელიგიურ ჯგუფსა და არარელიგიურ დაჯგუფებას შორის, იხ. *Plattform Artze v. Austria*, 44 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 65 (1985). ეს საქმე შეეხებოდა შეტაკებებს აბორტის მონინაალმდევე კათოლიკურ ჯგუფსა და აბორტზე ადამიანის უფლების მომხრე სოციალურ დაჯგუფებას შორის.
- <sup>323</sup> *Luis Fernando Martinez-Ruiz, Comment in Freedom of Conscience* 66 (ევროპის საბჭო, 1993).
- <sup>324</sup> საქმეში *Hakansson v. Sweden*, 5 Eur. H. R. Rep. 297 (1983) პირის გასამართლება, რომელიც ალკოჰოლის მიღებას ხმამაღლა აცხადებდა ცოდვად, აუცილებლად ცნეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის, მიუხედავად იმისა, რომ როგორც შვედური კანონმდებლობის თანახმად, ისე კომისიის მიხედვით, მისი ქმედებანი მხოლოდ „საზოგადოებრივ აღშფოთებას“ იწვევდა.

- <sup>325</sup> *X v. Austria*, 16 Collection 20 (1965); *Childs v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R., 1 Mar. 1983.
- <sup>326</sup> *Engels v. the Netherlands*, 22 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1977). სასამართლომ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი წესრიგი „მოიცავს ასევე წესრიგს, რომელიც უნდა არსებობდეს სპეციალური სოციალური ჯგუფის ფარგლებში“. საქმე სამხედრო დისციპლინას შეეხებოდა, თუმცა ეს პრინციპი პატიმართა საზოგადოებებზეც ვრცელდება.
- <sup>327</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი მე-18 მუხლზე; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები.
- <sup>328</sup> *Childs v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R., 1 Mar. 1983.
- <sup>329</sup> კომისია დაეყრდნო უეიკფილდის ეპისკოპოსის ცნობას, რომლის თანახმადაც მღვდელი სისტემატურად ნახულობდა პატიმარს.
- <sup>330</sup> *X v. Belgium*, 34 Collection 20, 22 (1970).
- <sup>331</sup> *X v. Austria*, 16 Collection 20 (1965).
- <sup>332</sup> *X v. the United Kingdom*, 1 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 41, 42 (1974).
- <sup>333</sup> *ISKCON and Others v. the United Kingdom*, 76-A Eur. Comm'n H. R. Dec & Rep 90, 91 (1994).
- <sup>334</sup> *Manoussakis and others v. Greece*, 17 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1996).
- <sup>335</sup> საქმეში *Manoussakis and others v. Greece*, 17 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1996) მოსამართლე მარტენსმა თავის თანმხვედრ აზრში მიუთითა, რომ ღვთისმსახურების ადგილისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის მშენებლობის სანქციონების მოთხოვნა შესაბამისია განსაზღვრული გარემოებების არსებობისას, მაგრამ, ასევე შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს რელიგიური შეუწყნარებლობის შესანიღბად. როდესაც ნებართვა აუცილებელია ღვთისმსახურების ადგილების მშენებლობისას, აბსოლუტურად ნათელი უნდა იყოს, რომ მისი მიღება არ არის დამოკიდებული კონკრეტული რელიგიის დოქტრინაზე. უარი ნებართვის მიღებაზე დასაშვებია მხოლოდ „საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული ძალზე გამონაკლისი, ობიექტური და დაუძლევადი მიზეზების არსებობისას“.
- <sup>336</sup> *Arcot Krishnaswami, Study of Discrimination in the Matter of Religious Rights and Practices* კრიშნასვამის სწავლების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ერთიანობის შენარჩუნება შესაძლოა ლეგიტიმური მისწრაფება იყოს, ძალზე ხშირად მისი გამოყენება უშუალოდ სახელმწიფოს ან მის შიგნით გარკვეული დომინანტური ჯგუფის მიერ ტირანიისა და დევნის გამართლებად იქცეოდა.
- <sup>337</sup> *Buscaruni and others v. San Marino*, Eur. Ct. H. R., 18 თებერვალი, 1999 წელი.
- <sup>338</sup> *Serif v. Greece*, Eur. Ct. H. R., 14 დეკემბერი, 1999 წელი.
- <sup>339</sup> *Childs v. the United Kingdom*, 5 Eur. Comm'n H. R. 1 მარტი, 1983 წელი.
- <sup>340</sup> *X v. the United Kingdom*, 5 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 100 (1976). იმის მიუხედავად, რომ კომისიამ ამ საქმეში მიიღო არგუმენტი, რომლის თანახმადაც, წიგნის აკრძალვა აუცილებელი იყო სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, სავარაუდოდ, ეს უფლებები და თავისუფლებები ძირითადად ფიზიკური ზიანისგან თავისუფლებასთან იყო დაკავშირებული.
- <sup>341</sup> *X v. the United Kingdom*, 14 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 234 (1978).
- <sup>342</sup> *Jozeph Raz, The Authority of Law* 283 (1979). აშშ-ში ზრდასრული ინდივიდების მიერ მკურნალობაზე უარის თქმასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას მხედველობაში იქნა მიღებული ისეთი ფაქტორები, როგორცაა პიროვნების ფენმძიმობა ან პასუხისმგებლობა ბავშვებზე.
- <sup>343</sup> *Childs v. the United Kingdom*, 5 Eur. Comm'n H. R. 1 მარტი, 1983 წელი.
- <sup>344</sup> *X v. Austria*, 16 Collection 20 (1965).
- <sup>345</sup> *Laskey v. the United Kingdom*, 29 Eur. Ct. H. R. (ser. A) 120 (1997).
- <sup>346</sup> *Arcot Krishnaswami, Study of Discrimination in the Matter of Religious Rights and Practices*. არკოტ კრიშნასვამის სწავლების თანახმად, სახელმწიფო უფლებამოსილია, დაიცვას ინდივიდი, რომელიც უარს აცხადებს „მეცნიერულ სამედიცინო მკურნალობაზე“ და, შესაბამისად, საფრთხეს უქმნის საკუთარ ჯანმრთელობას, ისევე როგორც ალკეითოს თვითმკვლელობა.

- <sup>347</sup> ასეთი უარის შედეგებმა შესაძლოა ბავშვის სიკვდილიც გამოიწვიოს. *Jennifer Trahan, Parental Denial of a Child's Medical Needs for Religious Reasons.*
- <sup>348</sup> ამ შემთხვევაშიც ერთ-ერთი სავარაუდო შედეგი ბავშვის სიკვდილია. *Wayne F. Malecha, Faith Healing Exemptions to Child Protection Laws, Keeping the Faith v. Medical Care for Children.*
- <sup>349</sup> *Prince v. Massachusetts*, 321 U. S. 158, 170 (1944) სასამართლომ საქმე ბავშვების დაცვის მიზნით რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მისი განცხადებით, „მშობლებს შეუძლიათ გახდნენ მონამეები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ აქვთ უფლება, ამგვარი გარემოებების არსებობისას, თავიანთი შვილები აქციონ მონამეებად“.
- <sup>350</sup> *Seven Individuals v. Sweden*, 29 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 104 (1982).
- <sup>351</sup> იგი შეეხებოდა საჩივარს მე-8 მუხლის საფუძველზე, თუმცა კომისიამ აღნიშნა, რომ ამგვარი არგუმენტაციის გამოყენება შესაძლებელი იყო მე-9 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნასთან მიმართებაშიც.
- <sup>352</sup> ბავშვებს დამოუკიდებელი უფლება აქვთ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაზე (ბავშვთა უფლებების კონვენცია, მე-14 მუხლი, 20 ნოემბერი, 1989 წელი), თუმცა ბავშვს ასევე აქვს უფლება მზრუნველობასა და დაცვაზე სახელმწიფოს მხრიდან, განსაკუთრებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სფეროებში (მე-3 მუხლი), ასევე უფლება სიცოცხლეზე, გადარჩენასა და განვითარებაზე (მე-7 მუხლი).
- <sup>353</sup> მე-6 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, დაიცვან ბავშვის სიცოცხლე და უზრუნველყონ მისი განვითარება. 24-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა ეფექტური და შესაბამისი ზომა ბავშვის ჯანმრთელობისათვის ზიანის მომტანი ტრადიციული საქმიანობის აღმოსაფხვრელად.
- <sup>354</sup> *Jonston v. Ireland*, 112 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1986).
- <sup>355</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი მე-18 მუხლზე.
- <sup>356</sup> პროფესორ დონა სალივანის განცხადებით, „დეკლარაციით გათვალისწინებული ნორმები შეიცავს სხვადასხვა უფლებებს შორის კონფლიქტის პოტენციურ შესაძლებლობას. შედეგად, დეკლარაციის გამოყენების ამოცანა ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ადამიანის უფლებათა დამცველებს აიძულებს, შეიმუშაონ განმარტებითი მიდგომები ყველა გათვალისწინებული უფლების მაქსიმალური დაცვის მიზნით“.
- <sup>357</sup> არსებობს ძალზე დიდი პოტენციური კონფლიქტისა ქალთა უფლებებსა და რელიგიის გამოხატვის უფლებას შორის, რამაც შესაძლოა მოიცვას საქმიანობა, რომელიც ქალის დაქვემდებარებულ სტატუსს უსვამს ხაზს. *Donna Sullivan, Gender Equality and Religious Freedom: Towards a Framework for Conflict Resolution.*
- <sup>358</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993). კრიშნასვამი თავის სწავლებაში ეთანხმება ამ მოსაზრებას, თუმცა იძლევა გაფრთხილებას, რომ „ამგვარი შეზღუდვები ისეთი არ უნდა იყოს, რომ უმცირესობანი უმრავლესობის სამსხვერპლოზე მიიტანოს, არამედ უნდა უზრუნველყოფდეს უდიდესი დონის თავისუფლებას საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანისათვის“.
- <sup>359</sup> ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი საქმის *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993) არის ის, რომ სასამართლო დაეყრდნო დაბალანსებას „სხვათა უფლებებისა და თავისუფლებებისა მომჩივნის იმ ქვეყანასთან მიმართებაში, რომლის ჩადენაშიც იგი იყო ბრალდებული“ და არა მომჩივნის უფლებების საპირისპიროდ.
- <sup>360</sup> *ISKCON v. United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 90 (1994).
- <sup>361</sup> პიტერ ევჯის მიხედვით, „სასამართლო მოწოდებულია, უფრო ფართოდ მოახდინოს მე-9 მუხლით გათვალისწინებული უფლების ინტერპრეტირება, როდესაც საქმე ინდივიდის შეზღუდვას ეხება, ვიდრე სახელმწიფო ძალაუფლებისაგან“ დაცვას.
- <sup>362</sup> *Otto-Preminger-Institut v. Austria*, 295 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1994).
- <sup>363</sup> *Wingrove v. the United Kingdom*, 23 Eur. Ct. H. R. (SER. a) 1937 (1996-v).

- <sup>364</sup> განსაკუთრებული აზრი მოსამართლე პეტიტს ეკუთვნოდა, რომელიც უმრავლესობასთან თანმხვედრ პოზიციას წარმოადგენდა. მისი განცხადებით, მე-9 მუხლი არ არის კავშირში ამ საქმესთან და მისი გამოყენება არ შეიძლება. რა თქმა უნდა, სასამართლომ სწორად დააფუძნა თავისი ანალიზი სხვათა უფლებებზე და ოტო-პრემინგერის საქმეში მიღებული გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, არ გააერთიანა მე-9 და მე-10 მუხლები, მორალი და სხვათა უფლებები. თუმცა საკითხავია, რამდენად სრულად ასახავს იგი უმრავლესობის პოზიციას, ვინაიდან 1955 წელს უმრავლესობამ მიუთითა, რომ რელიგიის შეურაცხყოფის აღკვეთის მიზანი ლეგიტიმურია მე-10 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, მაგრამ, ამავე დროს, „სრულ შესაბამისობაშია მე-9 მუხლით რელიგიის თავისუფლებისათვის მინიჭებულ დაცვასთან“.
- <sup>365</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>366</sup> Arcot Krishnaswami, *Study of Discrimination in the Matter of Religious Rights and Practices*. თუმცა ეს ავტორი, სხვებისგან განსხვავებით, გაცილებით სპეციფიკურ მოსაზრებას აყალიბებს არაკონტინენტალური გადმობრების ბუნების შესახებ და იმ საფრთხეებსაც ითვალისწინებს, რაც პროზელიტიზმის ამკრძალავი ფართო კანონებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს.
- <sup>367</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-a Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>368</sup> Peter Cumper, *The Rights of Religious Minorities: The Legal Regulation of New Religious Movements*. პიტერ კამპერი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო დაწესებულებებს შეუძლიათ უსაშველოდ გააზვიადონ „იდეოლოგიური დამუშავების“ პრობლემა, თუკი არსებობს მცირე მტკიცებულებაც კი იმისა, რომ აღნიშნულ ფაქტს აქვს ადგილი, ახალი რელიგიებისა თუ „კულტების“ მიმართ რეპრესიების განხორციელების მიზნით.
- <sup>369</sup> *Larissis and the others v. Greece*, 65 Eur. Ct. H. R. (ser. A) 363 (1998).
- <sup>370</sup> მოსამართლე ვან დიჯკის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი.
- <sup>371</sup> საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. შეზღუდვები რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლებაზე შესაძლებელია დაწესებული იქნეს მხოლოდ მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.
- <sup>372</sup> *Lawless v. Ireland*, 3 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1961).
- <sup>373</sup> *Ireland v. United Kingdom*, 25 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1979).
- <sup>374</sup> თუმცა სასამართლომ გაიმეორა, რომ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ „შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილება“...
- <sup>375</sup> მაგალითად, სახელმწიფო ვალდებულია დაემორჩილოს მე-15 მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც იგი ვალდებულია საქმის კურსში ამყოფოს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი მიღებული ზომების, მათი მიზნებისა და ხანგრძლივობის თაობაზე.
- <sup>376</sup> მაგალითად, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში *Church of Lukumi v. City of Hialeah*, 113 S. Ct. 2217 (1993) რეგულაციები, ერთი შეხედვით, ცხოველთა მოკვლის სტანდარტების თაობაზე რეალურად ლუკუმის ეკლესიის ცხოველთა რიტუალური მსხვერპლშენივრის მიმართ გამოსაყენებლად იქნა შეგნებულად შემუშავებული. იხ. L. Carter, *The Resurrection of Religious Freedom*.
- <sup>377</sup> *Manoussakis and others v. Greece*, 17 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1996). მოცემულ საქმეში დაგეგმარების კანონების გამოყენება ხდებოდა დისკრიმინაციული გზით მცირე, არატრადიციული რელიგიური ჯგუფების მიმართ. იხ. ასევე *Tsavachidis v. Greece*, Eur. Comm'n H. R., 4 მარტი, 1999 წელი. აქ სახელმწიფო ზოგადი ხასიათის ეროვნული უშიშროების ზედამხედველობის კანონებს იყენებდა მსგავსი ჯგუფების საწინააღმდეგოდ.
- <sup>378</sup> მიუხედავად იმისა, რომ როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ისე აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ რამდენჯერმე გამოყენებულ იქნა ტერმინი „ზოგადი და ნეიტრალური“, არც ერთ მათგანს არ დაუზუსტებია მისი საზღვრები. *Stephanos Stavros, Freedom of Religion and Claims for Exemption from Generally Applicable, Neutral Laws*. სტეფანოს სტავროსი ასკვნის, რომ „ნეიტრალური და ზოგადი დანიშნულებისაა კანონები, რომლებსაც ლეგიტიმური სამოქალაქო საზოგადოებრივი ინტერესის ხელშეწყობის პროცესში გააჩნიათ გარკვეული თანმდევი შედეგი განსაზღვრულ პიროვნებათა რელიგიურ რწმენაზე ზემოქმედების სახით“. ეს ზოგადი და ნეიტრალური კანონების სწორედ ის დეფინიციაა, რაც ამ ქვეთავშია გამოყენებული.
- <sup>379</sup> *X v. the Netherlands*, 5 Y. B. Eur. Conv. On H. r. 278 (1962).



- <sup>380</sup> *X v. the Netherlands*, 23 Collection 137 (1967).
- <sup>381</sup> *V v. the Netherlands*, 39 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 267 (1984); *X v. the Netherlands*, 8 Y. B. Eur. Cov. On H. R. 266 (1965); *Reformed Church of X v. the Netherlands*, 5 Y. B. Eur. Conv. On H. R. 286 (1962).
- <sup>382</sup> *Aglesia Bautista "El Salvador" and Ortega Moratilla v. Spain*, 72 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 256 (1992); *C v. the United Kingdom*, 37 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 142 (1983)
- <sup>383</sup> მაგალითად, საბერძნეთში მხოლოდ 1997 წელს შემოიღეს ალტერნატიული სამხედრო სამსახური. მანამდე კი ათასობით კეთილსინდისიერი პაციფისტის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა.
- <sup>384</sup> მრავალი ევროპული სახელმწიფოს იძულებით სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული კონსტიტუციური დებულებების ზოგადი მიმოხილვისათვის იხ. Stefano Rodota, *Conscientious Objection to Military Service*.
- <sup>385</sup> მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბევრ კანონთან მიმართებაში, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა მხოლოდ სამხედრო სამსახურისადმი არის გამოყენებული ამ პარაგრაფში მის შინაარსად.
- <sup>386</sup> *Grandrath v. Federal Republic of Germany*, 10 Y. B. Eur. Conv. On H. R. 626 (1966).
- <sup>387</sup> *Grandrath v. Federal Republic of Germany*, 10 Y. B. Eur. Conv. On H. R. 626 (1966).
- <sup>388</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა იდენტური პოზიცია დაიკავა, როცა ამგვარი არგუმენტაციით იხელმძღვანელა საქმეში *L. T. K. v. Finland*, H. R. C. Rep., Pt 1, U. N.
- <sup>389</sup> მაგალითისთვის იხ. *Johansen v. Norway*, 44 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 155, 165 (1985); *Autio v. Finland*, 72 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 145, 149 (1990).
- <sup>390</sup> *Conscientious Objector v. Denmark*, 9 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 117, 118 (1977); *Autio v. Finland*, 72 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 145, 149 (1990).
- <sup>391</sup> *Autio v. Finland*, 72 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 145, 149 (1990).
- <sup>392</sup> საქმეში *Autio v. Finland*, 72 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 145, 149 (1990) მიჩნეულ იქნა, რომ მოხალისეებს, რომლებიც უიარაღო სამხედრო სამსახურს აირჩევდნენ, 120 დღით, ხოლო მათ, ვინც შემცველ სამსახურს მიანიჭებდა უპირატესობას, 180 დღით მეტი უნდა ემსახურათ, ვიდრე სამხედრო მოსამსახურეებს.
- <sup>393</sup> *Rainen v. Finland*, 84-A, Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 17 (1996). ამ საქმეში მომჩივანი ხელმეორედ დააპატიმრეს უარისათვის სამხედრო ან მისი შემცველი სამსახურის შესრულებაზე. მისი საჩივარი აშკარად დაუსაბუთებლად მიიჩნიეს.
- <sup>394</sup> *Johansen v. Norway*, 44 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 155, 165 (1985).
- <sup>395</sup> ის გარემოება, რომ დაკავებას უფრო იძულებითი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე დასჯადი, შეიძლება და დანახული ყოფილიყო იმ ფაქტით, რომ შესაძლებელი იყო მომჩივნის გათავისუფლება მის მიერ მზადყოფნის გამოთქმის შემთხვევაში, შეესრულებინა თავისი სამართლებრივი ვალდებულებანი.
- <sup>396</sup> *Autio v. Finland*, 72 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 245, 250 (1990).
- <sup>397</sup> სამხედროვალდებულთა ევროპული საბჭო, იძულებითი სამხედრო სამსახური ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში: ზოგადი კვლევა (1996).
- <sup>398</sup> Arcot Krishnaswami, *Study of Discrimination in the Matter of Religious Rights and Practices*.
- <sup>399</sup> *N v. Sweden*, 40 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 203, 207 (1984); *Autio v. Finland*, 72 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 245, 250 (1990); *Rainen v. Finland*, 84-A, Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 17, 31 (1996).
- <sup>400</sup> *N v. Sweden*, 40 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 203, (1984).
- <sup>401</sup> *Brinkhof v. the Netherlands*, 2 ივლისი, 1993, U. N.
- <sup>402</sup> რეზოლუცია 337 (1976), ევროპის საბჭო, მე-18 სესია (მესამე ნაწილი); საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 816 (1977), 7 ოქტომბერი 1977.
- <sup>403</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია.



- <sup>404</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი მე-18 მუხლზე, რომლის თანახმადაც, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი არ არის მოხსენიებული უფლება კეთილსინდისიერ წინააღმდეგობაზე, როგორც ასეთი, „ეს უფლება შეიძლება გამოდინარეობდეს მე-18 მუხლიდან, ვინაიდან სასიკვდილო ძალის გამოყენების იძულება შესაძლოა სერიოზულ კონფლიქტში მოვიდეს რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლებასთან. იქ, სადაც აღიარებულია კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, დაუშვებელია განხორციელდეს დიფერენციაცია ინდივიდებს შორის განსაზღვრული რწმენების ნიადაგზე, ასევე დისკრიმინაცია სამხედრო სამსახურზე უარის განმცხადებლის მიმართ“.
- <sup>405</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუცია, 22 აპრილი, 1998. იგი შეეხებოდა ადამიანის უფლებათა კომიტეტის კომენტარს მე-18 მუხლზე, რომელიც მოუწოდებდა სახელმწიფოებს, დაეშვათ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა და გამოეჩინათ სათანადო დამოკიდებულება სამხედრო სამსახურზე უარის განმცხადებელთა მიმართ.
- <sup>406</sup> *Tsirlis and Koulloumpas v. Greece*, 35 Eur. Ct. H. R. (Ser. A) (1997).
- <sup>407</sup> დანართი სასამართლო გადანყვეტილებაზე.
- <sup>408</sup> მოსამართლე ლიდის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი.
- <sup>409</sup> *Thlimmenos v. Greece*, Eur. Comm'n H. R., 4 დეკემბერი, 1998 წელი.
- <sup>410</sup> ვინაიდან რამდენიმე წელი იყო გასული თავისუფლების აღკვეთის დღიდან, საწყისი მსჯავრდების ყოველგვარი პირდაპირი გასაჩივრება ხანდაზმულად ჩაითვლებოდა.
- <sup>411</sup> კომისიის წევრების – როზაკის, ლიდის, მარქსერის, ნოვიდის, კონფორტის და ბრაცას ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრებები. შენიშვნა: დღესდღეობით როზაკი, კონფორტი და ბრაცა სასამართლოს წევრები არიან.
- <sup>412</sup> *Thlimmenos v. Greece*, Eur. Comm'n H. R., 6 აპრილი, 2000 წელი.
- <sup>413</sup> *Jozeph Raz, The Authority of Law 277 (1979)*, ამტკიცებს, რომ „დღესდღეობით კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის განხილვა ძირითადად სამხედრო სამსახურთან მიმართებაში ხორციელდება. შესაძლოა არსებობდეს გარკვეული პრაქტიკული პრობლემები კეთილსინდისიერ წინააღმდეგობაზე ადამიანის უფლების სამართლის სხვა სფეროებზე გავრცელებისათვის, მაგრამ მისი აღიარება სამხედრო სამსახურში განვევის შემთხვევაში, მიუხედავად პრინციპებისა თუ მორალური მიზეზებისა, რომლებიც ამას დაედო საფუძვლად, ასევე გავრცელდება სამართლის მოქმედების სხვა სფეროებზეც“.
- <sup>414</sup> *Arrowsmith v. United Kingdom*, 19 Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 5, 20 (1978); *Le Cour Grandmaison and Fritz v. France*, 53 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 150, 160 (1987); *McFeeley and others v. United Kingdom*, 20 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 44, 77 (1980); *Stedman v. United Kingdom*, 89-A Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 104 (1997); *V v. the Netherlands*, 39 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 267, 268 (1984).
- <sup>415</sup> *X v. the Netherlands*, 5 Y. B. Eur. Conv. On H. R. 278 (1962).
- <sup>416</sup> მაგ. *C v. the United Kingdom*, 37 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 142, (1983).
- <sup>417</sup> *Derby v. Sweden*, 187 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1990).
- <sup>418</sup> *C v. The United Kingdom*, 37 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 142 (1983).
- <sup>419</sup> იხ. *Arrowsmith v. United Kingdom*, 19 Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 5 (1978).
- <sup>420</sup> *C v. The United Kingdom*, 37 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 142, 147 (1983).
- <sup>421</sup> პირველი ოქმის პირველი მუხლი „იცავს ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირის უფლებას თავისი საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობაზე“, თუმცა ამავე დროს სახელმწიფოს უნარჩუნებს საკუთრების კონტროლის უფლებას „გადასახადების აკრეფის უზრუნველყოფისთვის“.
- <sup>422</sup> მთავრობის არგუმენტაცია მოიცავდა მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც „მას უნდა ჰქონოდა უფლება, თავისუფლად გამოეყენებინა გადასახადები იმ მიზნებისათვის, რომლებსაც შესაძლოა ინდივიდთა პროტესტი გამოეწვიოთ“.
- <sup>423</sup> *C v. The United Kingdom*, 37 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 142, 147 (1983).
- <sup>424</sup> *Derby v. Sweden*, 187 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1990).

- <sup>425</sup> მაგ. *Revert and Legallais v. France*, 62 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 309, 318 (1989). საჩივარი უარყოფილ იქნა ნაწილობრივ იმის საფუძველზე, რომ კანონი, რომელიც სავალდებულოს ხდიდა არქიტექტორთა ასოციაციის წევრობას, შეხებოდა ყველა არქიტექტორს ნეიტრალურად, პერსონალური რწმენის მხედველობაში მიუღებლად.
- <sup>426</sup> *Valsamis v. Greece*, 2 Eur. Ct. H. R. (ser. A) 2312 (1996); *Efstratiou v. Greece*, 27 Eur. Ct. H. R. (ser. A) 2347 (1996).
- <sup>427</sup> ნეიტრალურ და ზოგადი დანიშნულების კანონებთან დაკავშირებული საჩივრების უარყოფა კომისიის მიერ ძირითადად დასაშვებობის სტადიაზე ხდებოდა.
- <sup>428</sup> *Chappell v. the United Kingdom*, 53 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 241 (1987).
- <sup>429</sup> *Chester v. the United Kingdom*, Eur. Comm'n H. R., 6 ოქტომბერი, 1982 well; *Pelle v. France*, Eur. Comm'n H. R., 1 ოქტომბერი, 1986.
- <sup>430</sup> *ISKCON v. United Kingdom*, Eur. Comm'n H. R. Dec. & Rep. 90, 106 (1994). კომისიის განცხადებით, „იგი არ მიიჩნევა, რომ კონვენციის მე-9 მუხლის გამოყენება უნდა მომხდარიყო დაგეგმარების კანონმდებლობისათვის გვერდის ავლისათვის, თუ ამ კანონმდებლობით რელიგიის თავისუფლებას ადეკვატური მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული“. წინადადების პირველი ნაწილის მიხედვით, ზოგადი და ნეიტრალური კანონი არ შეიძლება წარმოადგენდეს საფუძველს მე-9 მუხლის ქვემდებარე საჩივრისათვის, თუმცა მეორე ნახევარი მიუთითებს, რომ ამ დებულებას გარკვეული საზღვრები აქვს.
- <sup>431</sup> *Casimiro and Ferreira v. Luxemburg*, Eur. Ct. H. R., 27 აპრილი, 1999.
- <sup>432</sup> *Hakansson v. Sweden*, 5 Eur. H. R. Rep. 297 (1983).
- <sup>433</sup> *Van Den Dungen v. the Netherlands*, 80-A Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 147, 150 (1995).
- <sup>434</sup> სტეფანოს სტავროსის მიხედვით, ამ საქმეებს შორის განსხვავება არის ის, რომ რელიგიური გამოხატვის საქმეებში მომჩივნებს უნდა წარმოადგენდნენ ინდივიდები, „რომლებიც პირველ რიგში რელიგიურ მიზნებს მისდევენ და რომელთა აზრები ღიად გამოხატული რელიგიური შინაარსისაა“. თუმცა ეს ძალზე უმნიშვნელო განსხვავებაა, ვინაიდან რელიგიური წინააღმდეგობის იდენტიფიკაციის დონე ამ საქმეებში საკმაოდ მსგავსია.
- <sup>435</sup> John Edwards, *Preferential Treatment and Rights to Equal Consideration* (1999).
- <sup>436</sup> Arcot Krishnaswami, *Study of Discrimination in the Matter of Religious Rights and Practices*.
- <sup>437</sup> Yoram Dinstein, *Religious Freedom and Religious Minorities*.
- <sup>438</sup> რიტუალური სადილი.
- <sup>439</sup> An Act to Prohibite Intoxicating Beverages 1999, (U.S.A.) (ინტოქსიკაციური სასმელების ამკრძალავი აქტი).
- <sup>440</sup> *Employment Division, Department of Human Resources of Oregon v. Smith*, 494 U. S. 872, 893-4 (1990). უზუნაესი სასამართლოს მოსამართლე ო'კონორის თანმხედრი აზრით, „ძალზე ძნელია იმის უარყოფა, რომ კანონი, რომელიც რელიგიით მოტივირებულ ქმედებას კრძალავს, იმ შემთხვევაშიც, თუ ის ზოგადი დანიშნულებისაა, სულ მცირე, არ იწვევს პირველი შესწორებიდან გამომდინარე შემოფოტებას“.
- <sup>441</sup> სტეფანოს სტავროსის მიხედვით, „თუკი დეტალური გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდება, რომ კანონი ნამდვილად ზოგადი და ნეიტრალურია, უნდა გამოირიცხოს მე-9 მუხლის საფუძველზე მისი გასაჩივრების შესაძლებლობა“.
- <sup>442</sup> *Reynolds v. U. S.*, 98 U. S. 244, 250 (1878); *Cantwell v. Connecticut*, 310 U. S. 296 (1940).
- <sup>443</sup> საქმეში *Reynolds v. U. S.*, 98 U. S. 244, 250 (1878) დადგენილ იქნა, რომ პოლიგამიის საწინააღმდეგო კანონები არ არღვევდა პირველ შესწორებას, ვინაიდან ისინი არა მორმონთა რწმენაში, არამედ მხოლოდ მათ რელიგიურ გამოხატვაში ეწეოდნენ.
- <sup>444</sup> *Wisconsin v. Yoder*, 406 U. S. 203 (1972).
- <sup>445</sup> *Employment Division, Department of Human Resources of Oregon v. Smith*, 494 U. S. 872, 893-4 (1990).
- <sup>446</sup> Michael McConnell, *Free Exercise and the Smith Decision* (1990).
- <sup>447</sup> Religious Freedom Restoration Act, 1993 (U. S. A) (რელიგიური თავისუფლების აღდგენის აქტი).
- <sup>448</sup> *City of Boerne v. Flores*, 117 S. Ct. 2157 (1997).

- <sup>449</sup> მაგ. საქმეში *Scherbert v. Verner*, 374 U. S. 398, 400 (1963) სასამართლომ დაადგინა, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობდა თაღლითობის პრობლემა ადამიანებისათვის რელიგიის ნიადაგზე გამონაკლისით სარგებლობის უფლების მინიჭებისას, სახელმწიფოს უნდა ეჩვენებინა „რეგულაციის სხვა ალტერნატიული ფორმების არარსებობა, რომლებიც აღმოფხვრიდნენ კანონის ამგვარად ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, პირველი შესწორებიდან გამომდინარე უფლებების შეუღახავად“.
- <sup>450</sup> მაგ. საქმეში *Lyng v. Northwest Indian Cemetery Protective Associations*, 485 U. S. 439, 451 - 552 (1988) სასამართლომ დაადგინა, რომ „მთავრობა უბრალოდ ვერ შეძლებდა მოქმედებას, თუკი მისთვის სავალდებულო იქნებოდა ნებისმიერი მოქალაქის რელიგიური მოთხოვნებისა და სურვილების დაკმაყოფილება“.
- <sup>451</sup> სტეფანოს სტავროსის მტკიცებით, განსაკუთრებული რელიგიური პლურალიზმის დროს „სასამართლოებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ ბალანსი თითოეული რელიგიის მოთხოვნებსა და ზოგადი დანიშნულების, ნეიტრალური კანონებით გამიზნულ საზოგადოებრივ ინტერესს შორის“.
- <sup>452</sup> *City of Boerne v. Flores*, 117 S. Ct. 2157 (1997). ამ საქმეში აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტი (1993) „მნიშვნელოვანი ჩარევა იყო შტატების ტრადიციულ პრეროგატივასა და ძირითად უფლებამოსილებაში, განეხორციელებინა მართვა თავისი მოქალაქეების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად“.
- <sup>453</sup> *Young, Thomas and Webster v. the United Kingdom*, 44 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1981).
- <sup>454</sup> *Steven Wheatley, Minority Rights, Power Sharing and the Modern State*. სტივენ უითლის მტკიცებით, „უმცირესობებთან დაკავშირებული მრავალი პრობლემური საკითხი წარმოიქმნა ამ ჯგუფების წევრების სრული უფლებებისაგან, ჩარეულიყვნენ პოლიტიკურ პროცესებში, ან, სულ მცირე, უფლებების განცდისგან“.
- <sup>455</sup> ევროპის საბჭოს განმარტებითი მოხსენება ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო-კონვენციაზე.
- <sup>456</sup> *Employment Division of Oregon v. Smith*, 494 U. S. 872 (1990).
- <sup>457</sup> *Reynolds v. U. S.*, 98 U. S. 244, 267 (1878). ამ საქმეში უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ რელიგიური რწმენის საფუძველზე პირისათვის კანონის სანინაღმდეგოდ რელიგიის გამოხატვის ნების დართვა „გაცხადებულ რელიგიურ დოქტრინებს უზენაესად აქცევს კანონთან მიმართებაში, რაც ფაქტობრივად თითოეულ მოქალაქეს შესაძლებლობას მისცემს, გადაიქცეს საკუთარი თავის კანონად“.
- <sup>458</sup> ზოზეფ რაცი ჩამოთვლის სამ ძირითად მიზეზს იმისა, რატომ არ უნდა არსებობდეს ერთიანი, ზოგადი წესი, რომლითაც სანქცირებული იქნებოდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა ნებისმიერი კანონისადმი. პირველი მდგომარეობს თაღლითობის საფრთხეში, მეორე არის ვინმეს თვითგამოცდის პროცესის წახალისების შესაძლებლობა გამონაკლისით სარგებლობის მოტივით, მესამე მიზეზის მიხედვით კი, სანამ უფლება მორწმუნის მიერ მის უბრალო დეკლარირებას ეფუძნება, არის საშიშროება სახელმწიფოს ჩართვისა ინდივიდის პირადი მორალური მოთხოვნების შეფასებაში.
- <sup>459</sup> *Jozeph Raz*.
- <sup>460</sup> ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში კვლავაც აგრძელებენ სამხედრო სამსახურში განწვევის გარკვეული ფორმის გამოყენებას, მიუხედავად ამ ინსტიტუტის გაუქმებისა და მის სანაცვლოდ პროფესიული სამხედრო ძალების ჩამოყალიბების სასარგებლოდ არსებული ეკონომიკური და სამხედრო არგუმენტებისა.
- <sup>461</sup> *X v. the Netherlands*, 5 Y. B. Eur. Conv. on H. R. 278 (1962).
- <sup>462</sup> *X v. the Netherlands*, 8 Y. B. Eur. Conv. on H. R. 266 (1965); *X v. the Netherlands*, 23 Collection 137 (1967). ამ საქმეებში მომჩივნები აცხადებდნენ, რომ გადასახადის სახით სადაზღვევო შენატანის გადახდის ვალდებულება მოჩვენებითი გამონაკლისი იყო და კვლავ ავალდებულებდა მათ იძულებით სადაზღვევო სისტემაში მონაწილეობის მიღებას. კომისიამ ორივე საჩივარი აშკარად დაუსაბუთებლად ცნო იმის საფუძველზე, რომ მომჩივნებმა ვერ შეძლეს მე-9 მუხლის დარღვევის დემონსტრირება.
- <sup>463</sup> *X v. the Netherlands*, 8 Y. B. Eur. Conv. on H. R. 266, 270 (1965).

- <sup>464</sup> მიზეზი, რის გამოც მომჩივანს ამ კონტრიბუციის გადახდისგან გათავისუფლება სურდა, ნაწილობრივ იმაშიც მდგომარეობდა, რომ იგი უარს აცხადებდა სიბერის ასაკში სახელმწიფოს მხრიდან დახმარების მიღებაზე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან არ სურდა სარგებლის მიღება, ცდილობდა დაკისრებული ვალდებულებისგანაც გათავისუფლებულიყო.
- <sup>465</sup> *X v. the United Kingdom*, 14 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep 234 (1978). იხ. საგზაო მოძრაობის აქტი 1988, მე-16 მუხლი: „ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები არ გავრცელდება სიქიზმის არც ერთ მიმდევარზე, სანამ ის ჩალმას ატარებს“.
- <sup>466</sup> უფრო მეტიც, ბევრი ავტორის მიხედვით, პლურალისტურ საზოგადოებაში კანონის საფუძველზე რელიგიის მოთხოვნების გათვალისწინება ამცირებს სოციალური უნესრიგობის საშიშროებას. Frederick M. Gedicks, *Public Life and Hostility to Religion*. ფრედერიკ გედიქისის თქმით, „გამონაკლისების არარსებობის შემთხვევაში ზოგიერთი რელიგიური ჯგუფი უბრალოდ განადგურდებოდა უმრავლესობის კანონისა და კულტურის ზენოლის პირობებში. უმრავლეს შემთხვევაში ამგვარი ჯგუფები არ უქმნიან საფრთხეს საზოგადოებრივ წესრიგს. ამის მიუხედავად, უმრავლესობის დომინირებამ შესაძლოა ზოგიერთ მორწმუნეს უბიძგოს რადიკალური, დესტაბილიზაციის მომტანი, ანტისაზოგადოებრივი საქმიანობისაკენ (ძალადობის ჩათვლით)“.
- <sup>467</sup> *Sunday Times v. the United Kingdom*, 30 Eur. Ct. H. R. (ser. A) (1979); *Observer and Guardian v. the United Kingdom*, 126 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1937.
- <sup>468</sup> *Wingrove v. the United Kingdom*, 23 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1937 (1996). *Otto-Preminger-Institut v. Austria*, 295 Eur. Ct. H. R. (se. A) (1994).
- <sup>469</sup> *Manoussakis and others v. Greece*, 17 Eur. Ct. H. R. (ser. A) 1347 (1996).
- <sup>470</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993); *Larissis and the others v. Greece*, 65 Eur. Ct. H. R. (ser. A) 363 (1998).
- <sup>471</sup> *Karaduman v. Turkey*, 74 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 93 (1993); *X v. the United Kingdom*, 14 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep 234 (1978).
- <sup>472</sup> *X v. Austria*, 16 Collection 20 (1965).
- <sup>473</sup> *Hakansson v. Sweden*, 5 Eur. H. R. Rep. 297 (1983); *Van Den Dungen v. the Netherlands*, 80-A Eur. Coom'n H. R. Dec & Rep. 147 (1995).
- <sup>474</sup> *Employment Division of Oregon v. Smith*, 494 U. S. 872 (1990).
- <sup>475</sup> *Antonio Perotti*, Freedom of Conscience and Immigrants.
- <sup>476</sup> *Employment Division, Department of Human Resources of Oregon v. Smith*, 494 U. S. 872, 902 (1990). მოსამართლე ოკონორმა, თავის თანმხვედრ აზრში აღნიშნა, რომ პირველი შესწორება სწორედ იმ პირთა უფლებების დასაცავად იქნა მიღებული, რომელთა რელიგიის გამოხატვაც არ არის გაზიარებული უმრავლესობის მიერ და, შესაძლოა, მტრულ დამოკიდებულებასაც იწვევდეს. აღმსარებლობის თავისუფლების დოქტრინის ისტორია ნათლად აჩვენებს იმ სასტიკ ზემოქმედებას, რომელსაც უმრავლესობის მიერ დადგენილი წესების საფუძველზე განიცდიდნენ ისეთი არაპოპულარული რელიგიური ჯგუფები, როგორებიცაა იელოვას მონაწილეები ან ამიშები.
- <sup>477</sup> *Kokkinakis v. Greece*, 260-A Eur. Ct. H. R. (ser. A) (1993).
- <sup>478</sup> Steven Wheatley, *Minority Rights, Power Sharing and the Modern Democratic State*.
- <sup>479</sup> *Thlimmenos v. Greece*, Eur. Ct. H. R., 6 აპრილი, 2000.
- <sup>480</sup> *Karaduman v. Turkey*, 74 Eur. Comm'n H. R. Dec & Rep. 93 (1993).
- <sup>481</sup> *Buscarini and others v. San Marino*, Eur. Ct. H. R., 18 თებერვალი, 1999.
- <sup>482</sup> *Tsavachidis v. Greece*, Eur. Ct. H. R., 4 მარტი, 1997.
- <sup>483</sup> *Thlimmenos v. Greece*, Eur. Comm'n H. R., 4 დეკემბერი, 1998.
- <sup>484</sup> *Serif v. Greece*, Eur. Ct. H. R., 14 დეკემბერი, 1999.



რელიგიისა და  
რწმენის თავისუფლება  
აშშ-ს კონსტიტუციის  
საფუძველზე

---

მესამე თავი





1988 წელს ჟურნალისტებმა პრეზიდენტობის კანდიდატს, ჯორჯ ბუშს ჰკითხეს ახალგაზრდობაში გამოვლილი მძიმე განსაცდელის შეახებ: მეორე მსოფლიო ომის დროს ბუშის საბრძოლო თვითმფრინავი წყნარ ოკეანეში ჩამოაგდეს და იგი რამდენიმე დღის განმავლობაში ღია ზღვაში თავის გადასარჩენად იბრძოდა. ბუშმა უპასუხა, რომ იგი თავს იმხნევებდა „ჭეშმარიტი ღირებულების მქონე საგნებზე, ანუ ღმერთსა და რწმენაზე, ფიქრით“ – და მაშინვე დასძინა: „ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნაზე ფიქრითაც“. ჟურნალისტებს გაელიმათ ბუშის პასუხზე, რომელიც ეკლესიისა და სახელმწიფოს შესახებ უზენაესი სასამართლოს შეხედულებების მხარდაჭერის დემონსტრირებას ისახავდა მიზნად.

როგორი კურიოზულიც არ უნდა ყოფილიყო ეს განცხადება, პრეზიდენტმა ბუშმა ინსტინქტურად გამოხატა რელიგიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობისადმი ამერიკელების უდიდესი ნაწილის დამოკიდებულება. ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სურს, რომ ხელისუფლება და საჯარო მოხელეები თავიანთ საქმიანობაში გარკვეულწილად რელიგიური რწმენითა და პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ (ერთ-ერთი სოციოლოგიური კვლევითი ცენტრის, **Gallup Poll**, უახლესი გამოკვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 65%-ზე მეტმა განაცხადა, რომ პრეზიდენტობის ათეისტ კანდიდატს ხმას არ მისცემდა). ამავე დროს, ამერიკელთა უმრავლესობას სურს, რომ სახელმწიფო ზედმეტად არ ჩაერიოს რელიგიურ საქმეებში – ეს მიდგომა ზოგჯერ ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის იდეაში გამოიხატება, ზოგჯერ კი – უბრალოდ, რელიგიის თავისუფლების იდეაში. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ არსებობს დაძაბულობა, ერთი მხრივ, ხელისუფლების საქმიანობაზე რელიგიური ღირებულებების ზეგავლენის სურვილსა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიურ საქმეებში ჩაურევლობის მოთხოვნას შორის. სხვა მკვლევარები კი ფიქრობენ, რომ ეს ორი იდეა სავსებით თავსებადია. თუმცა

უკანასკნელი შემთხვევა წარმოშობს უთანხმოებას რელიგიის მიმართ ხელისუფლების დასაშვებ და დაუშვებელ ქმედებებს შორის ზღვარის გავლებასა და მის საფუძველთან დაკავშირებით.

კითხვა, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს რელიგიური მრწამსებისა და მათი გამოხატვისადმი, უძველეს დროში იღებს სათავეს. კაცობრიობის ისტორიის უდიდესი ნაწილის მანძილზე საზოგადოებები მიიჩნევდნენ, რომ ყველა მოქალაქე ერთი სარწმუნოებისა უნდა ყოფილიყო – საჭიროების შემთხვევაში იძულების წესითაც კი – როგორც საზოგადოებრივი ერთიანობის შენარჩუნების, ისე ჭეშმარიტი რელიგიის დაცვის მიზნით. უკანასკნელი 400 წლის განმავლობაში დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებში შეინიშნება ნელი მოძრაობა არა მხოლოდ ქრისტიანული უმრავლესობის, არამედ რელიგიათა ფართო წრისათვის მნიშვნელოვანი თავისუფლების მინიჭების მიმართულებით. ამ პროცესს მრავალმა ფაქტორმა დაუდო სათავე, მათ შორის, მზარდმა რელიგიურმა მრავალფეროვნებამ, მრავალი ქრისტიანული დოგმის მიმართ სექტუარული დამოკიდებულებით გამორჩეული განმანათლებლობის გავლენამ და მრავალი ქრისტიანის რწმენამ, რომ იძულებით შეუძლებელია წრფელი და ცხოველი სარწმუნოების მიღება. დღესაც კი აშშ-ში არსებობს უთანხმოება რელიგიისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების საკითხის თაობაზე, თუმცა ეს იშვიათად თუ გადაიზრდება ხოლმე იძულებასა და ძალადობაში.

და მაინც, არსებული უთანხმოებები საკმაოდ ღრმა და მნიშვნელოვანია. ხელისუფლება ყოველთვის დგება რელიგიის თავისუფლების სფეროში წამოჭრილი საკითხების გადაჭრის წინაშე, როდესაც რელიგიური პრაქტიკა კონფლიქტში შედის სოციალურ ვალდებულებებთან ან სხვათა უფლებებთან. კიდევ უფრო ღრმა საკითხი იმის თაობაზე, რომ ყველა რელიგიური მრწამსისა და ჯგუფისათვის ფართო თავისუფლების უზრუნველყოფა შესაძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან რელიგიის სრული ჩამოშორების ხარჯზე. ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, სწორედ ეს ხდებოდა ბოლო წლებში, როდესაც „ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციის“ ამერიკული ტრადიცია რელიგიური ნორმებისა და ღირებულებებისაგან ხელისუფლების გამიჯვნაში გადაიზარდა. კრიტიკოსთა აზრით, ეს ტენდენცია ძალზე საშიშია, რადგან რელიგია ზნეობრივი პრინციპებისა და წესრიგის შეუცვლელი წყაროა, განსაკუთრებით ისეთ ნაციაში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც მოსახლეობის რელიგიურობის ძალზე მაღალი დონით გამოირჩევა (სოციოლოგიური გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ამერიკელების 90%-ზე მეტს სწამს ღმერთი).

ბოლო ათწლეულებში ხსენებულ საკითხთა უმრავლესობა კონსტიტუციური სამართლის საგნად იქცა, რომელსაც აშშ-ს უზენაესი სასამართლო და სხვა სასამართლოები იხილავენ. კონსტიტუციის პირველი შესწორება იქცა ძირითად სამართლებრივ ინსტრუმენტად სასამართლო ინსტანციათა ხელში. ეს შესწორება ხელისუფლების ნებისმიერ დონეზე ისეთი კანონის მიღების ამკრძალავ დებულებად განიმარტება, რომელიც „დაანებს რელიგიას ან შეზღუდავს აღმსარებლობის თავისუფლებას“.

ამ სფეროში უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებებმა სასამართლო შემოწმების უფლებამოსილების გამოყენების ზოგიერთი ყველაზე უფრო სადავო პრეცედენტი წარმოქმნა (იგულისხმება სასამართლოს უფლებამოსილება, ძალადაკარგულად ცნოს კანონები, რომლებიც, მისი აზრით, კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მოდის). სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებული ზოგიერთი ურთიერთობა, მაგალითად, ლოცვა საჯარო სკოლაში, რაც, მკვლევართა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, პირველი შესწორების საწყისი მიზნების უგულვებლყოფის ტოლფასია და საზოგადოებრივ საქმეებში რელიგიის როლის დაკნინებას წარმოადგენს. მაგრამ

სასამართლომ ამავე დროს მხარი დაუჭირა ხელისუფლების მიერ რელიგიის მიმართ განხორციელებულ სხვადასხვა ქმედებებს, განსაკუთრებით, უკანასკნელ წლებში, რაც ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის ადრინდელ გადაწყვეტილებებთან და განცხადებებთან. ყველა კრიტიკოსი თანხმდება, რომ პრეცედენტული სამართალი შინაგანად შეუსაბამო ხასიათისაა, ზოგიერთის მტკიცებით კი – არათანმიმდევრულიც.

ამ თავში წარმოდგენილია ამერიკულ საზოგადოებასა და სამართლებრივ სისტემაში რელიგიასთან დაკავშირებული ძირითადი თემები; შეჯამებულია კონსტიტუციური დებულებები, წარმოდგენილია სახელმწიფოსა და რელიგიასთან დაკავშირებით გასაანალიზებელი საკითხების სტრუქტურა და მოკლედ არის აღწერილი ძირითადი სამართლებრივი სტანდარტები პრეცედენტული სამართლის აღიარებული საქმეების მიმოხილვის გზით, რომლებსაც მისდევდა უზენაესი სასამართლო რელიგიის ორი კონსტიტუციური კლაუზულის (აღმსარებლობის თავისუფლებისა და არდანესების) საფუძველზე.

### **რელიგიური ტესტის კლაუზულა**

აშშ-ს კონსტიტუცია შესწორებების შეტანამდე რელიგიასთან დაკავშირებულ მხოლოდ ერთ დებულებას შეიცავდა. მე-3 თავის მეოთხე მუხლის თანახმად, „რელიგიური ტესტის გამოყენება არასოდეს არ მოხდება შეერთებულ შტატებში ნებისმიერი თანამდებობის დაკავების ან საზოგადოებრივი ნდობის პირობად“. ეს კლაუზულა ახალ ფედერალურ ხელისუფლებას უკრძალავდა პრაქტიკას, რომელსაც დღესაც მისდევენ მრავალ შტატში თანამდებობის პირისგან ღმერთის ან განსაზღვრული რელიგიური დოქტრინის რწმენაზე ფიცის დადების მოთხოვნის სახით.

თანამედროვე პრეცედენტული სამართლის მიხედვით, რელიგიური ტესტის კლაუზულა სრულიად ზედმეტია, ვინაიდან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით რელიგიური ტესტების გამოყენება სახელისუფლებო თანამდებობებისათვის პირველი შესწორების აკრძალვის სფეროში ექცევა. საქმეში *ტორკასო უოტკინსის წინააღმდეგ*<sup>1</sup> არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი შტატის მოთხოვნა, თანამდებობის პირებს რელიგიური რწმენის დეკლარირება მოეხდინათ. სასამართლო დაეყრდნო პირველ შესწორებას, რადგან საქმეში შტატის სამართალი იყო ჩართული. ეს შესწორება კი მიღებულ იქნა როგორც ფედერალური, ისე ადგილობრივი სამართლის დაფარვის მიზნით მე-14 შესწორებასთან ინკორპორაციის საფუძველზე. შედარებისთვის, ძალზე რთულია რელიგიური ტესტის კლაუზულის განმარტება ფედერალური ხელისუფლების თანამდებობების ფარგლებს გარეთ იურისდიქციის მქონედ, როგორც მისი ისტორიის ისე, ისე ტექსტის გათვალისწინებით.

### **პირველი შესწორება**

რელიგიის შესახებ პირველი შესწორების დებულება ე. წ. „უფლებების ბილის“, ანუ კონსტიტუციის პირველი ათი შეს-

ნორების, ნაწილია. ეს შესწორებები ფედერალურმა ხელისუფლებამ 1791 წელს მიიღო, რათა გარანტირებული ყოფილიყო შტატების ხელისუფლებათა პრეროგატივებსა და მათი მოქალაქეების თავისუფლებებში ჩარევის აღკვეთა. რელიგიის შესახებ დებულებაში ვკითხულობთ: „კონგრესი არ მიიღებს კანონს, რომელიც დაანებს რელიგიას ან შეზღუდავს აღმსარებლობის თავისუფლებას“. სასამართლოები და კონსტიტუციის ინტერპრეტატორები ხშირად ამ დებულებას ორ სხვადასხვა რელიგიურ კლავზულად ყოფენ: არდანესებისა და აღმსარებლობის თავისუფლების და საქმეების ანალიზს ერთის ან მეორის მიხედვით ახდენენ. თუმცა სხვა ინტერპრეტატორების მტკიცებით, ამ ორი კლავზულის ნაკითხვა ურთიერთმიმართებაში უნდა მოხდეს და არა იზოლირებულად, მათი ჰარმონიზაციისა და არა დაპირისპირების მიზნით; ბოლოს და ბოლოს, კლავზულები ერთდროულად მიიღეს ეკლესიებისა და სახელმწიფოს მიმართ ერთიანი განცხადების ფორმით.

რელიგიის გამოხატვა სხვადასხვა ფორმით ხორციელდება: ქადაგებით, ევანგელისტური მსვლელობით საზოგადოებრივ პარკში, დოქტრინული წიგნით ან სხვა ნაშრომით. ასეთი შემთხვევები პირველი შესწორების სხვა ნაწილსაც უკავშირდება, რომელიც კრძალავს „პრესის, შეკრების ან სიტყვის თავისუფლების“ ხელმყოფი კანონის მიღებას. შედეგად, რელიგიის თავისუფლების დამცავი მრავალი თანამედროვე გადანყვეტილება სიტყვის თავისუფლების კლავზულის ინტერპრეტაციის საფუძველზე იქნა მიღებული.

### პირველი შესწორების ინკორპორაცია

„უფლებათა ბილის“ დანარჩენი ნაწილის მსგავსად, პირველი შესწორება თავდაპირველად მხოლოდ ფედერალური ხელისუფლების მიმართ გამოიყენებოდა. ბარონი ბალტიმორის მერისა და საქალაქო საბჭოს წინააღმდეგ.<sup>2</sup> ბუნებრივად იბადება კითხვა, რის საფუძველზე განიხილავს თანამედროვე უზენაესი სასამართლო ადგილობრივი მმართველობის ისეთ ქმედებებს, როგორცაა სასკოლო საბჭოს მიერ საკლასო ლოცვის შემოღება? პასუხი შემდეგია: მე-20 საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ რელიგიისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციის კლავზულები ინკორპორირებულია მე-14 შესწორებაში, იმ დებულების ნაწილად, რომელიც შტატის მთავრობას უკრძალავს, უარყოს პიროვნების უფლება „ჯეროვან სამართლებრივ პროცედურაზე“. იხ. გიტლოუ ნიუ-იორკის წინააღმდეგ<sup>3</sup> (სიტყვის თავისუფლება); ქენტველი კონექტიკუტის წინააღმდეგ<sup>4</sup> (აღმსარებლობის თავისუფლება); ევერსონი განათლების საბჭოს წინააღმდეგ<sup>5</sup> (არდანესება).

არ არსებობს არავითარი პერსპექტივა, რომ სასამართლო უარს განაცხადებს ინკორპორაციის დოქტრინაზე რელიგიის ან სხვა ნებისმიერ სფეროში. რელიგიის თავისუფლება ჩვენს დროში იმ ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც, ამერიკელთა უმრავლესობის აზრით, ხელისუფლებამ ყველა დონეზე უნდა სცეს პატივი. ზოგი მკვლევარი კვლავ განაგრძობს მტკიცებას, რომ 1868 წელს, სამოქალაქო ომის დასრულებისთანავე მიღებული მე-14 შესწორება გამიზნული იყო შავკანიანი ამერიკელებისათვის ქორწინების, ხელშეკრულებათა დადებისა და საკუთრების ფლობის უფლებების უზრუნველსაყოფად. სხვები „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის“ კლავზულას უფრო ფართოდ განმარტავენ, თუმცა კვლავ მხარს უჭერენ შეხედულებას, რომ ის მხოლოდ განსაზღვრული ტიპის ფუნდამენტურ უფლებებს იცავს რელიგიის თავისუფლების ძირითადი, მაგრამ არა აუცილებლად პირველი შესწორებიდან გამომდინარე ყველა ნიშნის ჩათვლით.

კრიტიკოსების მცირე ნაწილი განსაკუთრებული სიმწვავეთ აკრიტიკებს რელიგიური კლავზულების ინკორპორაციას. ზოგიერთი მათგანი მიუთითებს 1875 წელს შემოთავაზებულ „ბლეინის შესწორებაზე“, რომლის მიღებაზეც კონგრესმა უარი განაცხადა. იგი კონსტიტუ-



ციას მნიშვნელოვნად ცვლიდა სწორედ შტატების მთავრობებზე არდანესებისა და აღმსარებლობის თავისუფლების კლავზულების აშკარა გავრცელებით. კრიტიკოსები სვამენ კითხვას: რატომ უნდა განეხილა კონგრესს ასეთი შემოთავაზება, თუ მან რამდენიმე წლით ადრე იგულისხმა პირველი შესწორების გამოყენება შტატების მთავრობათა მიმართ? ინკორპორაციის დამცველები პასუხობენ, რომ „ბლეინის შესწორება“, შესაძლოა, მოიაზრებოდა, როგორც აუცილებელი იმ შემთხვევაშიც კი, თუ რელიგიური კლავზულების ინკორპორაცია მე-14 შესწორებაში თავიდანვე გამიზნული იყო, რადგან ამ დროისთვის უზენაესმა სასამართლომ *სლაუტერ-ჰაუზის*<sup>6</sup> საქმეებში ფაქტობრივად ორიგინალური შინაარსი გამოაცალა ხსენებულ შესწორებას. ინკორპორაციის მომხრეები ასევე ამტკიცებენ, რომ შესაძლოა არსებობდა სხვა ფაქტორები, რაც, სავარაუდოდ, ახსნიდა „ბლეინის შესწორების“ შემოთავაზებასა და კონგრესის მიერ მის არმიღებას. ინკორპორაციის ზოგიერთი დამცველის განცხადებით, ნებისმიერ შემთხვევაში „მე-14 შესწორების“ შინაარსი არ არის შებოჭილი მის ავტორთა სპეციფიკური მიზნებით.

სხვა კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ რელიგიური კლავზულების, განსაკუთრებით არდანესების კლავზულის, პირველადი მიზანი მხოლოდ შტატების რელიგიურ პოლიტიკაში (მათ ნაწილში 1791 წლისთვის კვლავ შემორჩენილი იყო დაწესებული ეკლესიები) ფედერალური ხელისუფლების მხრიდან ჩარევის აღკვეთაში მდგომარეობდა (აღსანიშნავია, რომ არდანესების კლავზულა კრძალავს რელიგიის დამწესებელ ნებისმიერ კანონს, რომელმაც შეიძლება მოიცვას შტატების დაწესებულ ეკლესიებში ჩარევის მცდელობები). „შტატის უფლებების“<sup>7</sup> ამგვარი პოლიტიკა ლოგიკურად შეუძლებელია გამოიყენებოდეს შტატების ხელისუფლებათა შესაზღუდად.

ინკორპორაციის მომხრეები პასუხობენ, რომ რელიგიური კლავზულები გამიზნული იყო ასევე პიროვნების უფლებების დასაცავად და ამ მიზნით დებულების გავრცელება შტატებზე მათი მთავრობების მხრიდან დარღვევების შეზღუდვისათვის ნამდვილად არ არის აზრს მოკლებული. *აბინგტონის სკოლა შემის წინააღმდეგ*<sup>7</sup> (მოსამართლე ბრენანის თანმხვედრი აზრი). გარდა ამისა, რელიგიის თავისუფლების ზოგიერთი ფორმა, სავარაუდოდ, იმ რეკონსტრუირებული კონგრესის ნევრთა გონებაშიც აქტიურად ტრიალებდა, რომელმაც მე-14 შესწორება მიიღო: სამხრეთის მონათმფლობელური რეჟიმის კრიტიკის ამოსავალი წერტილი მონებისა და მქადაგებელი მისიონერების რელიგიური საქმიანობის შეზღუდვა იყო.

## სხვა დებულებები

ფედერალური კონსტიტუცია არ არის ერთადერთი რელევანტური კანონი მოცემულ სფეროში. შტატებსაც აქვთ რელიგიასთან დაკავშირებული საკუთარი კონსტიტუციური დებულებები. ზოგიერთი მათგანი ფედერალურ კონსტიტუციურ კლავზულებზე გაცილებით მკაცრად ზღუდავს ხელისუფლების საქმიანობას. უფრო მეტიც, რელიგიასთან დაკავშირებული დებულებების მოძიება ასევე შესაძლებელია კანონებისა და მარეგულირებელი კოდექსების ფართო სპექტრში, როგორც ფედერალურ, ისე შტატების დონეზე. კანონები და სხვა რეგულაციები შეიძლება ეკლესიებს ათავისუფლებდეს გადასახადების გადახდისგან ან განსაზღვრული კანონისმიერი წესების შესრულებისგან, ან კრძალავდეს მთავრობისაგან ფინანსური დახმარების მიღებას. ამგვარი დებულებები ასევე ასახავს სახელმწიფო პოლიტიკას რელიგიის მიმართ.

# რელიგიური კლასუზულების ინტერპრეტაცია

უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართალი თავისი ისტორიის მანძილზე ცვალებადი და ხშირად შეუსაბამო ხასიათით გამოირჩეოდა, ამიტომ სტუდენტს ან ამ სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსს გარკვეული სისტემა ესაჭიროება სასამართლოს უამრავი გადაწყვეტილების კატეგორიებად დაყოფისა და ანალიზისათვის. მსგავსი სისტემით ყველაფრის ახსნა შეუძლებელია, თუმცა იგი მკითხველს ბევრის გაგებაში შეუწყობს ხელს. წიგნის მოცემული თავი ასეთი სისტემის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

## განსხვავებული მიდგომები რელიგიური კლასუზულების ინტერპრეტაციისადმი

მოსამართლეები კანონმდებლობის შემონმებისას იყენებენ კონსტიტუციის ტექსტს, როგორც ხალხის მიერ მიღებულ უზენაეს კანონს. ასეთი ავტორიტეტის გარეშე ფედერალური სასამართლო შემონმება ეწინააღმდეგება ამერიკის კონსტიტუციური სისტემის ორ ძირითად საფუძველს. პირველი სახალხოობის პრინციპი, ანუ დემოკრატიაა, ვინაიდან ფედერალურ სასამართლო შემონმებაში მონაწილეობენ დანიშნული მოსამართლეები, რომლებიც აღჭურვილნი არიან უფლებამოსილებით, ძალადაკარგულად გამოაცხადონ არჩეული თანამდებობის პირების მიერ მიღებული კანონები. მეორე ფედერალიზმია: შეერთებული შტატების სისტემა შტატებს ანიჭებს მოქმედების მნიშვნელოვან უფლებამოსილებას იმ სფეროების გარდა, სადაც კონსტიტუცია ან სხვა ფედერალური კანონი არ უშვებს მათ მთავრობებს.

პრობლემა, რა თქმა უნდა, მდგომარეობს კონსტიტუციის მნიშვნელობის განსაზღვრაში მისი გამოყენებისას კონკრეტული სადავო საკითხის მიმართ. ისეთი ფართოდ ჩამოყალიბებული დებულებების ტექსტის, როგორცაა რელიგიური კლასუზულები, სიტყვასიტყვით გაგება არ გამოდგება სახელმძღვანელოდ ზოგიერთი ძალზე მნიშვნელოვანი შემთხვევის

გადასაწყვეტად. სხვა რომელ წყაროს (წყაროებს) უნდა მიმართოს მოსამართლემ ტექსტის ინტერპრეტირებისათვის? ეს ძალზე რთული კითხვაა და მასზე პასუხის გაცემისას კონსტიტუციის კრიტიკოსები განსხვავებულ პოზიციებს ანიჭებენ უპირატესობას. თანამედროვე მიზნებისათვის შეგვიძლია ორი ძირითადი მიდგომა განვასხვავოთ კონსტიტუციური დებულებების, ჩვენს შემთხვევაში რელიგიური კლავზულების, მნიშვნელობის განსაზღვრისათვის. ამ ორი მიმართულების იდენტიფიცირების მიზანს წარმოადგენს არა მათ შორის საუკეთესოს გამოვლენა, არამედ თითოეული მათგანის სასარგებლოდ ან სანინალმდევოდ მოყვანილი ძირითადი არგუმენტების ჩამოთვლა.

ერთი მიდგომით აქცენტირებულია დებულების ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრა, კერძოდ, მისი მიმღები თაობის მიერ, ან უფრო სპეციფიკურად – კონკრეტული ნორმის ავტორთა მიერ მისი გაგების გამორკვევა. ამ პირველადი გაგების მიდგომის დამცველების მტკიცებით, მხოლოდ თავდაპირველ მნიშვნელობას აქვს საკმარისი ავტორიტეტი უმრავლესობის ყველა შემდგომ ქმედებაზე დომინირებისათვის, ვინაიდან მხოლოდ იგი მიიღო უდიდესმა უმრავლესობამ სათანადო სამართლებრივი პროცედურების გავლის გზით (როგორცაა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცედურები).

ამ შეხედულების სანინალმდევოდ, იმ მიდგომის დამცველები, რომელსაც შეიძლება კონსტიტუციის „ზნეობრივი გაგება“ ეწოდოს, დაჟინებით ამტკიცებენ, რომ დოკუმენტი ასახავს პოლიტიკური მორალის განსაზღვრულ ზოგად პრინციპებს – პირველი შესწორების შემთხვევაში ასეთად მიჩნეულია რელიგიის, სინდისისა და გამოხატვის თავისუფლება. მათი მტკიცებით, ეს პრინციპები არსებული გარემოებების გათვალისწინებით უნდა განიმარტოს, მათ ავტორთა თუ მიმღებთა ნააზრების მიუხედავად. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი კონსტიტუციის ადაპტაცია ათწლეულებისა და საუკუნეების მანძილზე ამერიკულ ნაციაში მიმდინარე ცვლილებებისადმი.

ამ ორი განსხვავებული მიდგომიდან გამომდინარე, გარკვეული საკითხების ილუსტრირება ნათლად არის შესაძლებელი რელიგიურ კლავზულებთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვლევით. „პირველადი გაგების“ კრიტიკოსების განცხადებით, თუ ის ზღუდავს კონსტიტუციურ დოქტრინას კონსტიტუციის ავტორთა სპეციფიკური შეხედულებებით, მაშინ ის წარმოუდგენელს ხდის დოკუმენტის ღირებულებების ადაპტაციას არსებითად განსხვავებულ გარემოებებში. მეორე მხრივ, მათი მტკიცებით, თუ დებულების საწყისი გაგება ისე უნდა განიმარტოს, როგორც ავტორთა მოსაზრებების უკან მდგომი აბსტრაქტული პრინციპი, მაშინ ორიგინალიზმი კარგავს დაპირებულ დამაჯერებლობას: მომავალ თაობებს არჩევანის გაკეთება ზოგად პრინციპებს შორის აბსტრაქციის მრავალ დონეზე მოუწევთ, რაც, სავარაუდოდ, სპეციფიკურ საკითხებზე ავტორთა მოსაზრებების იგნორირებას გამოიწვევს.

მაგალითად, პირველი შესწორების ავტორები, როგორც ჩანს, დიდ პრობლემას ვერ შედავდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ლოცვაში. სავარაუდოდ, ამის მიზეზი შესაძლო პროტესტის გამომთქმელი არაქრისტიანების ნაკლებობა იყო. მაგრამ ავტორებს სურდათ, უზრუნველყოთ მთავრობის ჩამოშორება რაიმე პოზიციის დაკავებისაგან რელიგიის იმ შიდა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პირველი შესწორების შემუშავებისას პროტესტანტებს შორის კამათის საგანი იყო. ჩვენს დროში, როდესაც მრავალი ამერიკელია არაქრისტიანი, ამ ზოგადი პრინციპის დაცვამ შეიძლება ქრისტიანული ლოცვებისადმი პირველი შესწორების ავტორებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ტოლერანტობის უარყოფა მოითხოვოს.

მეორე მხრივ, მორალური გაგების კრიტიკოსები აცხადებენ, რომ დებულების მიმღებთა შეხედულებებზე ფოკუსირების გარეშე შეუძლებელი იქნება მასში რაიმე ობიექტური შინა-

არსის დანახვა. ნებისმიერ მნიშვნელოვან შემთხვევაში რომელიმე პოზიციის სასარგებლო ან საწინააღმდეგო ზნეობრივი არგუმენტი საკმაოდ ბევრია, არასაიმედო ხასიათისაა და დამოკიდებულია კონკრეტული პიროვნების ინდივიდუალურ ხედვაზე. ამიტომ გარდაუვალია, რომ მოსამართლეები, რომლებიც „საუკეთესო“ ზნეობრივ გაგებას მისდევენ, საბოლოოდ სასამართლო პროცესზე საკუთარი მორალური ღირებულებების ცხოვრებაში გატარებას შეეცდებიან. ამ შემთხვევაში დანიშნული მოსამართლეები ძირს გამოუთხრიან როგორც დემოკრატიას, ასევე ფედერალიზმს: ხალხის უფლებას, მიიღოს გადაწყვეტილებები არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით და ადგილობრივ დონეზე.

მაგალითად, დისპუტები სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთკავშირის შესახებ – ან საჯარო სკოლებში ოფიციალური ლოცვის მსგავსი კონკრეტული საკითხების ირგვლივ – ძალიან დიდ სიღრმეებში იჭრება და მსჯელობის საგნად აქცევს ჭეშმარიტებისა და რელიგიის, ან განსაზღვრული რელიგიური მრწამსის მნიშვნელოვნების შესახებ განსხვავებულ შეხედულებებს. ის, რაც მოსამართლის აზრით, რელიგიის თავისუფლების საუკეთესო გაგებას წარმოადგენს, სავარაუდოდ, მოსამართლის ძალზე პიროვნული შეხედულების ნაყოფია. ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ თანამედროვე სასამართლოს მიერ რელიგიის კლავიშების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები იმ სეკულარიზებული ელიტის (მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების) მიდრეკილებებს ასახავს, რომლისთვისაც რელიგია, ჩვეულებრივ, არ არის მნიშვნელოვანი და ცხოვრებაში სახელმძღვანელო ძალა.

ეს ორი შეხედულება არ არის ურთიერთგამომრიცხავი. პირველადი გაგება, ჩვეულებრივ, გარკვეულ ზნეობრივ პრინციპებს ასახავს და ორიგინალისტები (პირველადი გაგების მომხრეები) თანხმდებიან, რომ თანამედროვე გარემოებებთან ამ პრინციპების მისადაგებისათვის საჭიროა განსაკუთრებული მოქნილობა. მეორე მხრივ, კონსტიტუციისადმი ზნეობრივი მიდგომის დამცველები აღიარებენ, რომ ისტორია ნათელს მოჰფენს დებულების საფუძველში მყოფ და მასში ასახულ პრინციპს, აგრეთვე დღევანდელობაში მისი საუკეთესო იმპლემენტაციის გზას. უფრო მეტიც, მათი კომბინირების, ან მათ შორის კომპრომისის მისაღწევი მრავალი გზა იქნა შემოთავაზებული. მაგალითად, ზოგიერთი მოსაზრებით, მოსამართლეები ამერიკულ ტრადიციებს უნდა დაეყრდნონ, რათა კონსტიტუციურ დოქტრინას არაანგარიშვალდებული მოსამართლეების სუბიექტური მოსაზრებების ზეგავლენის გარეშე განვითარების საშუალება მისცენ.

### **რელიგიური კლავიშების ფუძემდებლური პრინციპები**

რელიგიური კლავიშებისა და მათ განმარტებაზე გამიზნული გადაწყვეტილებების უკეთ გასაგებად აუცილებელია ის ძირითადი პრინციპები და ღირებულებები გავიაზროთ, რომლებსაც ეს კლავიშები და გადაწყვეტილებები უნდა ემსახურებოდეს (ორიგინალისტისთვის მეტად საჭირობოროტო საკითხია იმის განსაზღვრა, თუ რა ღირებულებებს ემსახურებოდა კლავიშები ისტორიულად; კონსტიტუციის სხვა თეორეტიკოსებისთვის ძირითადი კითხვა ისაა, თუ რა ღირებულებებს უნდა ემსახუროს კლავიშები დღეს). რა თქმა უნდა, რელიგიის შესახებ დებულების დანიშნულება არის ის, რომ „ხელი შეუწყოს რელიგიის თავისუფლებას ყოველი პიროვნებისათვის, უზრუნველყოს, რამდენადაც შესაძლებელია, ყველაზე სრული ხედვა და დასახოს ის პირობები, რომლებიც საუკეთესო საშუალებად გამოდგება აღნიშნული მიზნის მისაღწევად“ (აბინგტონის სასკოლო ოლქი შემპის წინააღმდეგ, მოსამართლე გოლდბერგის თანხმდებრივი აზრით<sup>8</sup>). მაგრამ რელიგიის თავისუფლება არ არის თავისთავად ცხადი იდეა და პრეცედენტული სამართლის უწყსრიგობა ასახავს მოსამართლეების უთანხმოებას რელიგიის თავისუფლების რაობის განსაზღვრაში.

ძირეულმა პრინციპებმა, ანუ ღირებულებებმა, უნდა განმარტოს ორივე კლავზულა: არ-დანესება და აღმსარებლობის თავისუფლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ორი კლავზულა ერთი დებულების ორი ნაწილია. ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთთან ჰარმონიულად უნდა იყოს შეწყობილი და არა დაპირისპირებული, რადგან მათმა ერთმანეთისაგან იზოლირებულად ინტერპრეტაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი სირთულეები გამოიწვიოს. როგორ უნდა მოხდეს ამ ორი კლავზულის განმარტება, რომ მთავრობამ ისინი რელიგიის მიმართ გამოიყენოს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სამი პრინციპი, ანუ ღირებულება, ეპაექრებოდა ერთმანეთს: სეპარაცია, თანასწორობა და რელიგიის თავისუფლება, ანუ არჩევანი. იხ. უოლზი საგადასახადო კომისიის წინააღმდეგ<sup>9</sup> (მოსამართლე ჰარლენი, თანმხვედრი აზრი) (განხილულია „ვოლუნტარიზმის“, ანუ თავისუფლების, „ნეიტრალობის“, ანუ თანასწორობისა და „ჩაურევლობის“, ანუ სეპარაციის ღირებულებები). თითოეული მათგანი ორაზროვნებით გამოირჩევა და შეიძლება განმარტებულ იქნეს როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით. უზენაეს სასამართლოს თანმიმდევრულად არც ერთი ამ ღირებულებისათვის არ დაუჭერია მხარი. სწორედ ამ მიზეზით მისი გადაწყვეტილებები ხშირად შეუსაბამო ხასიათისა იყო. ღირებულებების დადგენა ვერ გადაჭრის ყველა საკითხს, მაგრამ, სულ მცირე, შეძლებს დაგვეხმაროს სასამართლო გადაწყვეტილებათა უკეთ გააზრებაში.

**ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა (სეპარაცია).** ერთ შესაძლო ღირებულებას, რომლის უზრუნველსაყოფადაა მიმართული რელიგიის ორი კლავზულა, წარმოადგენს ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაცია. სულ მცირე, ეს ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ სახელმწიფო და ეკლესია ორი განსხვავებული ინსტიტუტია (ირანის მსგავსი თეოკრატიის საპირისპიროდ), არამედ იმასაც, რომ არც სახელმწიფოს და არც ეკლესიას არ უნდა ჰქონდეს ერთმანეთის შიდა მართვაში მონაწილეობის ოფიციალური უფლება. შეერთებული შტატების მიერ უარყოფილ იქნა, მაგალითად, დანესებული ეკლესიების მქონე იმ ერების პრაქტიკა, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, სადაც მთავრობა ეკლესიის ლიდერების არჩევაში ოფიციალურად (თუმცა ჩვენს დროში თითქმის სრულიად სიმბოლურად) იღებს მონაწილეობას და ეპისკოპოსებს ასევე ოფიციალურად უკავიათ საპარლამენტო ადგილები ლორდთა პალატაში. თანამედროვე ამერიკაში ზოგადად აღიარებულია ეკლესიისა და სახელმწიფოს „ინსტიტუციონალური სეპარაცია“. ამის მიუხედავად, რელიგიისაგან ხელისუფლების უფრო ამბიციური გამიჯვნა აისახა თანამედროვე სასამართლოს ზოგიერთ გადაწყვეტილებაში, რამაც დიდი კამათი გამოიწვია.

1947 წლის დასაწყისში, ევერსონი განათლების საბჭოს წინააღმდეგ<sup>10</sup> სასამართლო საქმის დროს, სასამართლომ ტომას ჯეფერსონის ფრაზის ციტირებით განაცხადა, რომ პირველი შესწორება „სეპარაციის კედელს“ აღმართავდა. „კედლის“ მეტაფორა არა მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ რელიგია და ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს ერთმანეთის საქმეებში, არამედ იმასაც, რომ მათ შორის შეხება მცირე უნდა იყოს ან საერთოდ არ უნდა არსებობდეს. პრაქტიკულად სასამართლო მთავრობაში ისეთი რელიგიური პრაქტიკის აკრძალვის იდეის იმპლემენტაციას ახდენდა, როგორცაა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სკოლებში ლოცვა, მთავრობის მიერ კერძო რელიგიური სკოლების დაფინანსება.

ამ საკამათო გადაწყვეტილებებში სეპარაცია ნიშნავდა ხელისუფლების სამოქმედო სფეროდან რელიგიური საქმიანობისა და გავლენის გამორიცხვას, პირველ რიგში რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების ან არარელიგიური მოქალაქეების დაცვისათვის. ხელისუფლების მხრიდან უცხო და არაპოპულარული სარწმუნოების დევნის ისტორიამ მრავალი ადამიანი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ რელიგიური უმცირესობების დაცვა მხოლოდ სეკულარულ ხელისუფლებას შეუძლია. ზოგ შემთხვევაში ეს პოზიცია ემყარებოდა მოსაზრებას,

რომ რელიგია განსაკუთრებით მგრძნობიარეა, ანუ ძალზე რთულია რელიგიური უთანხმოებების მოგვარება ემპირიულად ან რაციონალურად. ამის გათვალისწინებით, არსებობს შეხედულება, რომ საზღვარი უნდა დაედოს რელიგიური საკითხებისა და განსხვავებების შეტანას პოლიტიკურ სისტემაში. ასევე გავრცელებულია აზრი, რომ არც რელიგია უნდა შეიჭრას ღრმად პოლიტიკურ საკითხებში, რადგან ხელისუფლების როლი მართებულადაა შეზღუდული საერო მიზნებითა და პოლიტიკით.

თუმცა სეპარაციონიზმის სხვა ტრადიცია, რომელიც სათავეს ბაპტიستي ლიდერის, როჯერ უილიამსისაგან იღებს, აქცენტირებას ახდენს უფრო რელიგიის, ვიდრე საზოგადოების ან პოლიტიკური სისტემის დაცვაზე. ამ ტრადიციის მიხედვით, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის „მეგობრული“ ურთიერთობებიც კი ხელყოფს რელიგიის ხელშეუხებლობას და ასუსტებს მას. სასამართლომ რამდენჯერმე მიმართა ამ ტრადიციას ხელისუფლების მხრიდან რელიგიური ორგანიზაციების მართვის, ზოგჯერ კი რელიგიური ინსტიტუტებისათვის, მათ შორის სკოლებისთვის, დამხარების აღმოჩენის მცდელობათა აღსაკვეთად.

რელიგიასა და სახელმწიფოს შორის კონტაქტის სრული არარსებობის მიღწევა ყოველთვის შეუძლებელი იყო, რამდენადაც ორივე მათგანის ზრუნვის საგანია საზოგადოებრივი მორალის საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ისტორიაში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის თითქმის ყოველთვის იყო არსებითი ინსტიტუციონალური გამიჯვნა, მთავრობა სხვადასხვა გზებით ხელს უწყობდა დომინანტურ ქრისტიანულ ეკლესიას. მაგრამ რელიგიასა და სახელმწიფოს შორის კონტაქტების რღვევა კიდევ უფრო ძნელი გახდა ბოლო 50 წლის განმავლობაში, რადგან ხელისუფლების აქტიურობა ძალზე გაიზარდა და განვითარდა განათლებისა და კომერციული საქმიანობის რეგულირების, საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიმართულებით. მრავალი კრიტიკოსი აცხადებს, რომ რამდენადაც ხელისუფლების სამოქმედო არეალი ძალზე გაფართოვდა, მისგან მკაცრად სეკულარული როლის მოთხოვნა გამოიწვევს რელიგიის განდევნას საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

**თანაბარი რეჟიმი.** რელიგიის კლაუზულის მეორე შესაძლო ღირებულება არის თანაბარი რეჟიმი, ანუ დისკრიმინაციის არარსებობა. ამ თვალსაზრისით, მთავარი ბოროტება, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია კლაუზულები, არის ხელისუფლების მიერ რელიგიის საკითხებში ერთი პოზიციისათვის უპირატესობის მინიჭება მეორესთან შედარებით. როდესაც ხელისუფლება ერთ პოზიციას ანიჭებს უპირატესობას, იგი სხვა მოსაზრების მიმდევრებს ეპყრობა, როგორც მეორეხარისხოვან მოქალაქეებს, რამაც შესაძლოა უპირატესობის მქონე ჯგუფს სახიფათო კონდიციამდე გაუზარდოს ძალაუფლება. ამგვარი ტიპის რელიგიური უთანხმოებანი იმ განხეთქილებების რიგს განეკუთვნებოდა, რომელთა გამოც ჯეიმს მედისონი ფედერალისტის დოკუმენტებში გამოხატავდა შიშს, რომ ისინი სოციალურ და პოლიტიკურ დაპირისპირებებს გამოიწვევდა.

თანაბარი რეჟიმის ვერსია, რომელიც კამათს არ იწვევს, გულისხმობს, რომ ერთ რელიგიურ დენომინაციას არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა მეორესთან შედარებით. სასამართლომ ამას უწოდა რელიგიის კლაუზულების „ყველაზე მკაფიო ბრძანება“ (ლარსონი ვალენტის წინააღმდეგ).<sup>11</sup> უფრო მეტ კამათს იწვევს წინადადება, რომლის მიხედვითაც არარელიგიურობასთან შედარებით არც ზოგადად რელიგიას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

სასამართლო ხშირად იყენებს თანასწორობის პრინციპს, როგორც რელიგიებს შორის ან რელიგიასა და არარელიგიურობას შორის „ნეიტრალიტეტის“ დაცვის ერთ-ერთ პრინციპს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჰარლენმა განმარტა, რომ ნეიტრალური მიდგომა ძირითადად გულისხმობს „ანალიზის თანაბარი დაცვის მეთოდს“ (უოლზი საგადასახადო კომისიის წინააღმდეგ).<sup>12</sup> თანასწორობის იდეალის მიხედვით, მოქალაქეებისა და ჯგუფების



მიმართ განსხვავებული მოპყრობა რელიგიურ ნიადაგზე, როდესაც ორივე მხარე თანაზომიერია, შესაძლებელია გამართლებულ იქნეს მხოლოდ ძალიან კონკრეტული გარემოებების პირობებში. მოქალაქეთა რელიგიური რწმენა ან მისი უქონლობა არ უნდა აისახებოდეს ხელისუფლების გადანყვეტილებებზე, ისევე როგორც ვინმეს რასა ან სქესი არ უნდა იყოს მისთვის მნიშვნელოვანი.

ბოლო წლებში უზენაესმა სასამართლომ ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციიდან ყურადღება თანაბარი რეჟიმის ღირებულებაზე გადაიტანა. ცვლილება ყველაზე შესამჩნევი გახდა ორ სფეროში: (1) სასამართლოს გადანყვეტილება, რომ რელიგიური საქმიანობა შეიძლება კონსტიტუციურად დაექვემდებაროს იმავე კანონებს, რომლებსაც ექვემდებარება საზოგადოების დანარჩენი ნაწილი, რელიგიაზე დაკისრებული ტვირთის მიუხედავად; და (2) სასამართლოს მიერ ხელისუფლების მხრიდან რელიგიური ორგანიზაციებისადმი დახმარების განევის უფრო და უფრო მეტი ფორმების მოწონება სხვა ორგანიზაციებთან თანაბარ პირობებში ჩაყენებით. ეს გადანყვეტილებანი უპირისპირდება სასამართლოს წინა გადანყვეტილებებს, რომლებიც, ერთი მხრივ, რელიგიურ საქმიანობას იცავდა ზოგიერთი ზოგადი ხასიათის მქონე კანონისაგან, ხოლო მეორე მხრივ, კრძალავდა ხელისუფლების მხრიდან რელიგიის დახმარების მრავალ ფორმას, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მკვეთრი სეპარაციის მიღწევის მიზნით. გადანყვეტილებების ცვლილება აჩვენებს, რომ აქტიური ხელისუფლების დროს შეიძლება ერთმანეთს დაუპრისპირდეს სეპარაციისა (რელიგიის სახელმწიფო ხელისუფლებისგან გამიჯვნა) და თანასწორობის (რელიგიის სხვა რწმენებთან ან საქმიანობის სხვა სახეებთან მსგავს პირობებში ჩაყენება) ღირებულებები.

**არაიძულება და რელიგიური არჩევანი.** ღირებულებების ბოლო ნაკრები, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს რელიგიის შესახებ დებულებებს, არის რელიგიის თავისუფლება, არაიძულება და რელიგიური არჩევანი. ამ თვალთახედვით, რელიგიის კლაუზულების უპირველესი მიზანი რელიგიის თავისუფლების დაცვაა. სახელმწიფო ამ მიზანს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე უნდა მისდევდეს, მაშინაც კი, როცა ეს დაკავშირებულია გარკვეულ კონტაქტთან ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის (სეპარაციის დარღვევისას), ან რელიგიისადმი სხვა იდეებისა და საქმიანობებისაგან განსხვავებულ მოპყრობასთან (თანაბარი რეჟიმის დარღვევისას). რელიგიის თავისუფლების ღირებულების დამცველები ხშირად ამტკიცებენ, რომ დისკრიმინაციის უარყოფას და ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას მნიშვნელობა მხოლოდ რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტური ღირებულების დაცვისთვის აქვს, და რომ ამ უბრალო ინსტრუმენტული მნიშვნელობის მქონე ღირებულებებს არ უნდა მივდევდეთ, თუ ისინი რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში უპირისპირდებიან თავისუფლებას.

ამ პოზიციის მრავალი დამცველი ამტკიცებს, რომ რელიგიური საქმიანობა პოზიტიური ადამიანური და საზოგადოებრივი სიკეთეა, ამიტომ ხელისუფლებამ განსაკუთრებული ნაბიჯები უნდა გადადგას იმისათვის, რათა ხელი შეუწყოს ან, სულ მცირე, პატივი სცეს მას. ზოგიერთი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ რელიგიური პრაქტიკა დაცული უნდა იყოს ხელყოფისგან, ვინაიდან იგი სახელმწიფოზე მაღლა მდგომი ძალის – ღვთის ან ღვთიური მორალის ავტორიტეტის წინაშე ვალდებულებებს შეიცავს. მაგრამ რელიგიის თავისუფლების დამცველები ზოგადად აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებამ არ უნდა სცადოს ურწმუნოებზე ზეწოლა მათ მიერ რელიგიური „ჭეშმარიტების“ მისაღებად, რადგან ასეთი ძალისხმევა ვერ ჩაუწერგავს ადამიანს გულწრფელ რწმენას და სახელს უტეხს რელიგიას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რელიგიის თავისუფლების იდეალი, სულ მცირე, იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ არავის არ უნდა აიძულოს, იყოს რელიგიური ან არარელიგიური (ლი ვაისმანის წინააღმდეგ<sup>13</sup> – ამ საქმეში ეს აღწერილია, როგორც არდანესების კლაუზულის

„მინიმალური“ მოთხოვნა). მაგრამ ეს შეზღუდული „არააძულების“ პრინციპი უთავსდება იმ დებულებას, რომ ხელისუფლებამ შეიძლება მოიწონოს ან თვითონ გაუწიოს დახმარება რელიგიას იმ საშუალებებით, რომლებიც განსხვავებულ შეხედულებებს არ ზღუდავს.

თუმცა რელიგიის თავისუფლება უფრო ფართო გაგებით ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ არ უნდა სცადოს რელიგიურ არჩევანზე გავლენის მოხდენა იმ გზებითაც კი, რომლებიც არ მოითხოვს პირდაპირ იძულებას (მაგალითად, ჯეიმს მედისონი აქცენტირებას ახდენს იმაზე, რომ „შემწყნარებლობა“ არ არის სრული რელიგიური თავისუფლების ადეკვატური ალტერნატივა). სასამართლო ხშირად იკავებდა ამ პოზიციას, მაგალითად, მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ სკოლებში ლოცვის პრაქტიკა ზენოლა სხვაგვარად მოაზროვნე მოსწავლეებზე, მაშინაც კი, თუ მათ ოფიციალურად არ სთხოვენ ლოცვებში მონაწილეობის მიღებას. პროფესორმა დუგლას ლეიკოკმა ეს პოზიცია აღწერა, როგორც რელიგიის მიმართ უფრო „არსებითი“, ვიდრე „ფორმალური“ ნეიტრალიტეტი: ნეიტრალური არა რელიგიისადმი, როგორც ნებისმიერი სხვა იდეისადმი, მოპყრობის (თანაბარი რეჟიმი), არამედ რელიგიურ არჩევანზე გავლენის მოხდენისაგან თავის არიდების მცდელობის მნიშვნელობით (მიზანი, რომელსაც ზოგჯერ რელიგიისადმი განსაკუთრებულ მოპყრობას უწოდებენ).

\* \* \*

1791 წელს ამერიკაში, შეზღუდული ხელისუფლებისა და შედარებით ჰომოგენური, უმეტესწილად პროტესტანტული, მოსახლეობის პირობებში სეპარაციის, თანასწორობისა და თავისუფლების ღირებულებები ხშირად ურთიერთქმედებდნენ. ხელისუფლების მხრიდან რელიგიური საქმიანობისა და ინსტიტუტების მიმართ „ხელები შორს“ მდგომარეობის შენარჩუნება ხელს შეუწყობდა არა მხოლოდ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სეპარაციასა და რელიგიის თავისუფლებას, არამედ აგრეთვე რელიგიური და სხვა ტიპის ქმედებებისადმი გონივრულად თანაბარ მოპყრობას, ვინაიდან ხელისუფლების მარეგულირებელი როლი ზოგადად შეზღუდული იყო. უფრო მეტიც, გამოკვეთილად პროტესტანტული სულისკვეთების მქონე საზოგადოების არსებობის პირობებში ხელისუფლებას შეეძლო, ნებისმიერი კონკრეტული ეკლესიისაგან განცალკევებულად დარჩენილიყო, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების რელიგიური ღირებულებები მაინც შეუწყობდა ხელს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, რომ ამ სამ ღირებულებას ყოველთვის სცემდნენ პატივს ამერიკის ისტორიის ადრეულ პერიოდში. არაპოპულარული საწმენოებები ქმედუნარობისათვის იყო განწირული ან მათზე აქტიური ზენოლა ხდებოდა: კვაკერებსა და ბაპტიტებზე კოლონიალიზმის პერიოდში, კათოლიკეებზე სხვადასხვა დროს, მორმონებზე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. აქ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ თეორიულად ხელისუფლებისათვის ძველ დროში უფრო ადვილი იყო სამივე ღირებულების ერთდროული უზრუნველყოფა.

მაგრამ ახლა, გარემოებათა ცვლილების გამო, ზემოთ ჩამოთვლილი სამი ღირებულება ხშირად ერთმანეთს უპირისპირდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ჩვენს დროში აქტიური, აყვავებული სახელმწიფოს ხელისუფლება არეგულირებს და გავლენას ახდენს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე, სკოლის მართვიდან და კომერციული საქმიანობის რეგულირებიდან დაწყებული სხვადასხვა სოციალური საქმიანობის სუბსიდირებით დამთავრებული. ამას შედეგად მოაქვს ის, რომ, მაგალითად, ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციამ და რელიგიის თავისუფლების განმტკიცებამ რეგულირების თვალსაზრისით შეიძლება რელიგიისადმი სხვა საქმიანობისაგან სრულიად განსხვავებული მიდგომა მოითხოვოს. რამდენა-

დაც იზრდება და ფართოვდება ხელისუფლების სამოქმედო სფერო, სულ უფრო რთულდება რელიგიასთან კავშირის თავიდან აცილება (მკვეთრი სეპარაციის ღირებულება), თუკი რელიგია არ განიხილება, როგორც სრულიად პრივატული საგანი; რელიგიის პრივატული სფეროთი შემოფარგვლამ კი შეიძლება რელიგიის დისკრიმინაცია და მთლიანად რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა გამოიწვიოს.

საკითხს კიდევ უფრო ართულებს ამერიკაში არსებული მზარდი რელიგიური პლურალიზმი. ბევრი დღეს შეგნებულად აცხადებს, რომ არათეისტური რელიგიის მიმდევარია ან საერთოდ არ არის რელიგიური. იმისათვის, რომ ამერიკაში არსებულ ყველა რელიგიური პოზიცია სრულფასოვნად თანაბარ რეჟიმში მოექცეს, ხელისუფლებას შეიძლება სხვა არჩევანი არ დარჩეს, გარდა იმისა, რომ საერთოდ არაფერი თქვას რელიგიის შესახებ. მრავალი კრიტიკოსი განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ მოვლენების ასეთი განვითარება რელიგიას ნაკლებად პრივილეგირებულ პოზიციაში აყენებს, ვიდრე სხვა იდეებს, რომელთა მხარდაჭერის უფლება ეძლევა ხელისუფლებას; ეს ზღუდავს რელიგიური მოქალაქეების თავისუფლებას, სცადონ საკუთარ ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენა და აშკარად ეწინააღმდეგება ამერიკის ისტორიულ ტრადიციას.

განსხვავებულ პრინციპებს შორის კონფლიქტმა დრამატულად იჩინა თავი დაწესების კლაუზულის პირველ, თანამედროვე სასამართლო საქმეში, *ევერსონი განათლების საბჭოს წინააღმდეგ*.<sup>14</sup> საჯარო სკოლის საბჭომ გადასახადებით მხარდაჭერილი ფონდების გამოყენებით შვილების სკოლაში გამგზავრების ხარჯები აუნაზღაურა მშობლებს და სამრევლო სკოლის მოსწავლეთა მშობლებიც ჩართო პროგრამაში. უზენაესმა სასამართლომ საქმის განხილვა „სეპარაციის კედლის“ მეტაფორის გამოყენებით დაიწყო და დაჟინებით მოითხოვდა, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კედელი „მაღალი და მიუდგომელი“ ყოფილიყო. შედეგად, სასამართლომ განაცხადა, რომ „დაუშვებელი იყო ნებისმიერი ოდენობის გადასახადის ამოღება ნებისმიერი რელიგიური საქმიანობისა და დაწესებულების მხარდასაჭერად, სახელწოდების მიუხედავად“. აღმოჩნდა, თითქოს სასამართლო შემადგენლობის უმრავლესობა რელიგიური განათლებისათვის განუხილავი ნებისმიერი დახმარების აღსაკვეთად მკაცრი სეპარაციის პრინციპის გამოყენებას გეგმავდა.

თუმცა შემდგომში უმრავლესობამ მაინც მხარი დაუჭირა ავტობუსით მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას. რადგან სახელმწიფო ასევე იხდიდა საჯარო სკოლის მოსწავლეების მგზავრობის საფასურს, სამრევლო სკოლების ოჯახებისათვის განუხილავი ხარჯების ანაზღაურება უბრალოდ „ზოგადი პროგრამის“ ნაწილი იყო, რომელიც ითვალისწინებდა მოსწავლეთა დახმარებას სკოლისკენ მგზავრობასა და უკან დაბრუნებაში, „მიუხედავად მათი რელიგიისა“. რელიგიის კლაუზულა სახელმწიფოს არ აძლევს უფლებას, გამორიცხოს მოსწავლეები „მათი რწმენის გამო... საზოგადოებრივი კეთილდღეობის კანონმდებლობით გათვალისწინებული დახმარების მიღებისგან“. დაწესების კლაუზულა ისე არ უნდა იქნეს განმარტებული, რომ „ხელი შეუშალოს მოქალაქეებს თავიანთი რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობაში“. სკოლაში ტრანსპორტირება სხვა ისეთი „ზოგადი სახელმწიფო მომსახურების“ მსგავსი იყო, როგორცაა პოლიცია ან სახანძრო დაცვა; ეკლესიებისათვის ამ სახის მომსახურებაზე უარის თქმა სახელმწიფოს უფრო მათ „მონინააღმდეგედ“ გახდიდა, ვიდრე „ნეიტრალურად“. „სახელმწიფოს ძალუფლება მეტად აღარ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც რელიგიისათვის ხელისშემშლელად, ისე ხელისშემწყობად“.

განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეები სკეპტიკურად უყურებდნენ უმრავლესობის მიერ დახმარების განევაზე ნების დართვას მკაცრი სეპარაციის თაობაზე გამართული მსჯელობის შემდგომ. *ევერსონის*<sup>15</sup> საქმემ ცხადყო, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობის

უზრუნველყოფისათვის გამიზნული დაფინანსების თანამედროვე პრაქტიკამ შესაძლოა წარმოშვას კონფლიქტი, ერთი მხრივ, სეპარაციის ღირებულებებსა და, მეორე მხრივ, თანასწორობასა და თავისუფალ არჩევანს შორის.

ევერსონის საქმეში უმრავლესობამ ვერ შეძლო, ნათელი გაეხადა, თუ რომელი ღირებულება იყო უპირატესი. საბოლოოდ მან თანასწორობა აირჩია, მაგრამ ეკლესიისა და სახელმწიფოს მკაცრ სეპარაციაზე მიუთითა. შედეგად, სასამართლომ განაგრძო სხვადასხვა ღირებულებებს შორის მერყეობა. მრავალი წლის განმავლობაში იგი სეპარაციას ანიჭებდა უპირატესობას, მაგრამ ამ ბოლო დროს უფრო ხშირად თანასწორობასა და არჩევანზე აკეთებს აქცენტს.

# აღმსარებლობის თავისუფლებისა და დანების კლავსულების სტანდარტების მიმოხილვა

ვიდრე დავის საგნად ქცეულ ცალკეულ სფეროებზე და-  
ვინყებდეთ მსჯელობას, საჭიროა მოკლე შესავლის გაკეთება  
იმ სტანდარტების შესახებ, რომლებსაც სასამართლო იყე-  
ნებდა პირველი შესწორების რელიგიის შესახებ დებულებე-  
ბის, აღმსარებლობის თავისუფლებისა და დანების, საფუძ-  
ველზე. ჩვენ ვეცდებით, ეს ზოგადი სტანდარტები წინა ქვე-  
თავში განხილულ სამ ძირითად ღირებულებას დავუკავში-  
როთ.

## აღმსარებლობის თავისუფლების კლავსულის სტანდარტები

სასამართლო ხელისუფლება ყოველთვის განსაკუთრებით  
იყო დაინტერესებული, დაეცვა რელიგიური რწმენა, მსა-  
ხურება და გამოხატვა. რელიგიური რწმენა, როგორც ასეთი,  
რომელიც სხვების მიმართ რაიმე ქმედებაში არ ვლინდება,  
აბსოლუტურად დაცულია ხელისუფლების მხრიდან დასჯისა  
თუ რეგულირებისაგან. რელიგიური სიტყვა ასევე მკაცრად  
არის დაცული, განსაკუთრებით მის მიმართ რელიგიურ ნი-  
ადაგზე შეზღუდვების გამოყენებისაგან. რელიგიური სიტყვის  
დაცვა აღმსარებლობის თავისუფლების კონსტიტუციური  
დებულების საფუძველზე მხარდაჭერილია სიტყვის თავი-  
სუფლების კლავსულით, რომელიც ზოგადად ხელისუფლე-  
ბას უკრძალავს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას შინაარ-  
სისა და მსოფლმხედველობის საფუძველზე, გარდა იმ შემ-  
თხვევისა, როდესაც სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესი  
აქვს, თავად შეზღუდვა კი ვინრო ჩარჩოებშია მოქცეული. ბო-  
ლო წლებში სასამართლო ხშირად იყენებდა ამგვარ ანალიზს  
ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომელთა მიხედვი-  
თაც არ ყოფილა აუცილებელი, ზოგჯერ კი დაუშვებელიც იყო  
რელიგიური სიტყვის განდევნა საჯარო ინსტიტუტებიდან  
(საჯარო სკოლები, საზოგადოებრივი მოედნები და ა. შ.).

ზემოხსენებულ კატეგორიებში სეპარაციის, თანაბარი რე-  
ჟიმისა და რელიგიის თავისუფლების ღირებულებები მთლი-

ანობაში ჰარმონიულად მუშაობს. რელიგიური რწმენის ან გამოხატვის დაცვა სხვა რწმენების მსგავსი პირობებით ასევე უზრუნველყოფს მათ თავისუფლებას და ხელისუფლების მხრიდან ჩაურევლობას.

რელიგიური რწმენით მოტივირებული ქცევა უფრო მეტ სირთულეს ქმნის, ვიდრე თავის-თავად რწმენა ან სიტყვა. ქცევა შესაძლოა სხვისთვის ბევრად უფრო დიდი ზიანის მომტანი გახდეს, ვიდრე უბრალო რწმენა (მაგალითად, ზოგიერთი რელიგიური კულტი ადამიანის მსხვერპლშენიშვას მოითხოვს), ამიტომ ზოგ შემთხვევაში იგი უნდა შეიზღუდოს. გარდა ამისა, რელიგიური რწმენა, ჩვეულებრივ, უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე მხოლოდ რწმენის ქონა და გამოხატვა; ის მორწმუნეებს აკისრებს ვალდებულებას, შეასრულონ გარკვეული მოქმედებები ან, პირიქით, თავი შეიკავონ მათგან. რას ვიღებთ შედეგად, როდესაც ეს ვალდებულებები ხელისუფლების მიერ დადგენილ წესებს უპირისპირდება?

უზენაესმა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, შეზღუდოს ქცევა, მაგრამ არა მხოლოდ მისი რელიგიური ხასიათის გამო. რელიგიური გამოხატვის საწინააღმდეგო ასეთი დისკრიმინაციული ქმედება არღვევს როგორც თანასწორობის, ისე რელიგიის თავისუფლების პრინციპებს. თუმცა როდესაც რელიგიური ხასიათის ქცევა არ იყო აკრძალული, მაგრამ უპირისპირდებოდა ყველა მოქალაქეზე დაკისრებული ქცევის ზოგად სტანდარტებს, სასამართლოს მიდგომა ნაკლებად მტკიცე იყო.

*შერბერტი ვერნერის წინააღმდეგ*<sup>16</sup> საქმიდან მოყოლებული მრავალი წლის განმავლობაში სასამართლოს (თეორიულად მაინც) ასეთი პოზიცია ეკავა: როდესაც რელიგიური ვალდებულებები ეწინააღმდეგება ზოგადი დანიშნულების კანონმდებლობას, ხელისუფლება კონსტიტუციურად ვალდებულია, ანგარიში გაუწიოს (მოახდინოს ადაპტაცია) მორწმუნის სინდისს და გაათავისუფლოს იგი კანონის მოთხოვნებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მორწმუნის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელია სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესების დასაცავად. ასეთი ადაპტაცია აუცილებელია იმ შემთხვევებში მაინც, როდესაც რელიგიის თავისუფლება მოითხოვს დაცვას ხელისუფლების მხრიდან ჭარბი რეგულირებისაგან, რაც, უნდა ითქვას, ასევე ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციის მიზანს ემსახურება.

რელიგიური ადაპტაციები ხსენებულ მიზნებს რელიგიური ქმედებებისადმი განსხვავებული მოპყრობის ფასად აღწევს. მრავალი მკვლევარი, თანაბარი რეჟიმის პრინციპიდან გამომდინარე, აკრიტიკებს რელიგიური და სხვა ტიპის ქმედებების გამიჯვნას. ზოგიერთის მტკიცებით, ეს ეწინააღმდეგება დანესების კლაუზულას რელიგიისადმი უპირატესობის მინიჭებით; სხვების განცხადებით კი ასეთი ფავორიტიზმი, უკიდურეს შემთხვევაში, იმას ნიშნავს, რომ კანონისაგან გაათავისუფლება კონსტიტუციურად არ უნდა მოითხოვებოდეს.

*დასაქმების სამსახური სმიტის წინააღმდეგ*<sup>17</sup> საქმეში სასამართლომ გადაუხვია პირვანდელ კურსს და დაადგინა, რომ აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა თითქმის არასოდეს მოითხოვს ადაპტაციას ნეიტრალური და ზოგადი დანიშნულების კანონმდებლობის წინაშე, სახელმწიფო ინტერესთა მოცულობის მიუხედავად. სტანდარტის ასეთ ცვლილებას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება: საკანონმდებლო დანესებულებები იშვიათად კრძალავენ რელიგიურ ქმედებას, მაგრამ რელიგიური პირები ან ჯგუფები ხშირად აწყდებიან წინააღმდეგობას თავიანთ რელიგიურ ვალდებულებებსა და ზოგადი დანიშნულების კანონებით დაკისრებულ ვალდებულებებს შორის.

*სმიტის სტანდარტი* არ გულისხმობს, რომ საკანონმდებლო დანესებულებებს ეკრძალებათ რელიგიური სინდისის ადაპტაცია, ის მხოლოდ ამტკიცებს, რომ კონსტიტუციურად მათ არ მოეთხოვებათ ასეთი გამონაკლისების დაშვება. ამრიგად, ახალმა წესმა ფოკუსირება უფრო თანასწორობაზე მოახდინა, ვიდრე რელიგიის თავისუფლებაზე, თუმცა იგი ნებას რთავს



საკანონმდებლო დანესებულებებს, გამორჩეულად დაიცვან რელიგიის თავისუფლება საკუთარი დისკრეციის საფუძველზე.

### დანესების კლაუზულის სტანდარტები

დანესების კლაუზულის საანალიზო სტანდარტების შემდგომი განვითარება სასამართლოსთვის უფრო მეტად გაძნელდა. მართლაც, ბოლო წლების განმავლობაში არ არსებობდა ერთი სტანდარტი, რომელიც მისაღები იქნებოდა მოსამართლეთა უმრავლესობისათვის, როგორც ზღვარის სამართლიანად დამნესებელი პრინციპი რელიგიისადმი ხელისუფლების დასაშვებ მხარდაჭერასა და რელიგიის დაუშვებელ დანესებას შორის.

### ლემონის ტესტი

მრავალი წლის განმავლობაში უზენაესი სასამართლო იყენებდა დანესების კლაუზულის სამეღმენტიან ტესტს, რომელიც რეკომენდებულ იქნა *ლემონი კურცმანის წინააღმდეგ*<sup>18</sup> საქმეში. ლემონის ტესტის საფუძველზე დანესების კლაუზულის მოთხოვნების შესრულებისათვის კანონს უნდა ჰქონოდა (1) საერო მიზანი, (2) რელიგიის არც მხარდაჭერის და არც დაბრკოლების ძირითადი ან პირდაპირი შედეგი, (3) არ უნდა გამოენვია ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის დამყარება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ამ ტესტის შესაბამისად სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საჯარო სკოლებში ლოცვების ჩატარება, ბიბლიის კითხვის მონყოლა, სხვა რელიგიური გამოხატვა და სიმბოლოები. ამ საფუძველზე აგრეთვე აიკრძალა რელიგიური სკოლებისათვის საგადასახადო შეღავათების არა ყველა, მაგრამ მრავალი ფორმა.

ლემონის ტესტი ორი მთავარი მიზეზის გამო ითხოვდა ხელისუფლებისგან რელიგიის მიმართ „ნეიტრალიტეტის“ შენარჩუნებას, მისთვის არც დახმარების განწევას და არც ხელის შეშლას. პირველი, როდესაც ხელისუფლება ერევა რელიგიაში ან რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეულ პოზიციას იჭერს, იგი გამოარჩევს იმ მოქალაქეებს (მეტწილად უმცირესობებს), „რომლებიც არ მისდევენ პრივილეგიებულ სარწმუნოებებს“. *ვაისმანი*<sup>19</sup> (მოსამართლე ბლეკმუნი, ლემონის ტესტის დამცველი თანხმდებელი აზრი). მეორე, როგორც როჯერ უილიამსისგან მომდინარე ტრადიცია ამტკიცებს, „რელიგია ხელისუფლების დახმარების გარეშე უფრო მეტი სიმინდით ყვავის, ვიდრე მისი დახმარებით“.

მაგრამ ზოგიერთმა მოსამართლემ და კონსტიტუციის ინტერპრეტატორმა ლემონის ტესტის გამო უკმაყოფილება გამოთქვა ასევე ორი მთავარი მიზეზით. პირველი, ადვილია ტესტით მანიპულაცია, კერძოდ, სტანდარტმა – „რელიგიისათვის არც ხელშეწყობის და არც ხელის შეშლის ძირითადი შედეგი“ – დაკარგა მნიშვნელობის ის სიცხადე, რაც მას თავდაპირველად ჰქონდა. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ გადასახადებით უზრუნველყოფილი იმ პროგრამების ძირითადი შედეგი, რომლებიც უშუალოდ რელიგიასთან ასოცირებულ სკოლებს უწევენ დახმარებას, რელიგიის ხელშეწყობაა; თუმცა ასეთი დაუშვებელი შედეგი სასამართლოს არ დაუნახავს ოჯახების დაფინანსებისას, რომლებსაც თვითონ შეეძლოთ გადაენწყვიტათ დამხარების გამოყენება რელიგიური სკოლებისათვის. აქ მართლაც შესაძლებელია ორი ვითარების ერთმანეთისგან განსხვავება სალი აზრის საფუძველზე, მაგრამ, როგორც ჩანს, „ძირითადი შედეგის“ სტანდარტი ანალიზის პროცესში ნიშნულად უფრო იქნა გამოყენებული, ვიდრე საშუალებად ან ხელმძღვანელ პრინციპად.

მეორე, ლემონის ტესტის კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ტესტი მტრულად იყო განწყობილი რელიგიური გამოხატვისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის მონაწილეობის ისტორიული ტრადიციისადმი. კანონის საფუძველზე რელიგიისათვის არც ხელშეწყობის

და არც ხელის შეშლის მოთხოვნით ტესტი მიზნად ისახავს რელიგიის მიმართ ხელისუფლების „ნეიტრალიტეტის“ უზრუნველყოფას. თუმცა ზოგიერთი კრიტიკოსი აცხადებს, რომ ხელისუფლება რელიგიის მიმართ ნეიტრალური არ უნდა იყოს: რამდენადაც რელიგიური იდეები ზნეობისა და სამართლიანობის მნიშვნელოვან და ფართო პერსპექტივას გვთავაზობს, სახელმწიფოსათვის ამ იდეების ხელშეწყობისაგან თავის შეკავების მოთხოვნის ნაყენება რელიგიურ იდეებს სხვებთან შედარებით ნაკლებ მისაღებად წარმოაჩენს. იგი ასევე ეწინააღმდეგება რელიგიური რწმენისადმი სახელმწიფოს კეთილგანწყობის მრავალ სპეციფიკურ ისტორიულ ტრადიციას. მართლაც, ამერიკაში რელიგიის თავისუფლების საბაზისო დოკუმენტები თავად ეყრდნობა რელიგიურ წინამძღვრებს. ლემონის ტესტის კრიტიკოსები განსაკუთრებით ამ საბაზით უტყვენ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც საჯარო სკოლებს უკრძალავს რელიგიურ გამოხატვას ან რელიგიური სიმბოლოების წარმოჩენას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სხვაგვარად მოაზროვნე სტუდენტებსა და მოსწავლეებს მსგავს საქმიანობაში მონაწილეობისაგან თავისუფლებენ.

გარდა ამისა, კრიტიკოსთა ნაწილი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა დროს ლემონის ტესტი რელიგიის მიმართ არანეიტრალური წესით გამოიყენეს. მაგალითად, რელიგიასთან ასოცირებული სკოლებისათვის დახმარების განწევასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ლემონის ტესტის „ძირითადი შედეგის“ ნაწილი განიმარტა, როგორც რელიგიური მიზნებისათვის ნებისმიერი დახმარების გამოყენების ამკრძალავი ელემენტი. ამით კი გზა გადაეღო რელიგიური სკოლებისათვის დახმარების მრავალ სახეობას. თუმცა კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ რამდენადაც ხელისუფლება უკვე უწევს დახმარებას რელიგიური სკოლების კონკურენტებს – საჯარო სკოლებს, ზოგჯერ კი კერძო საერო სკოლებს სუბსიდირებით, – რელიგიური სკოლების ასეთი დახმარებით უზრუნველყოფა რელიგიას „ხელს არ შეუწყობდა“ იმ თვალსაზრსით, რომ უპირატესობა მიენიჭებინა მისთვის არჩევანის სხვა სახეებთან შედარებით. კრიტიკოსები ასევე აცხადებენ, რომ საგანმანათლებლო დახმარებაზე უარის თქმა მხოლოდ იმიტომ, რომ სკოლები რელიგიურია, „ხელყოფს“ რელიგიას და აბრკოლებს იმ ოჯახების აღმსარებლობის თავისუფლებას, რომლებსაც სურთ რელიგიური განათლების მიღება.

სასამართლოს ოფიციალურად არ უარუყვია ლემონის ტესტი, მაგრამ იგი სულ უფრო მეტად მიმართავდა სხვა ალტერნატივებს. რამდენიმე ძირითადი ალტერნატივა სასამართლოს მიერ შემოთავაზებულ იქნა ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებში.

### უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობა

ზოგიერთმა მკვლევარმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე რენკვისტის მსგავსად ივარაუდა, რომ დანების კლაუზულა კრძალავს მხოლოდ რომელიმე რელიგიური დენომინაციის გამორჩეულ მხარდაჭერას და ზოგადად უშვებს რელიგიისათვის მეტი დახმარების აღმოჩენას სხვა იდეებთან და ქმედებებთან შედარებით. იხ. მაგალითად, *უოლასი ჯეფერის წინააღმდეგ*<sup>20</sup> (მოსამართლე რენკვისტი, განსხვავებული აზრი). ეს პოზიცია ზღუდავს დანების კლაუზულას თანასწორობის ყველაზე უფრო არასაკამათო ვერსიამდე, რაც გულისხმობს თანასწორობის დაცვას რელიგიურ დენომინაციებსა და სექტებს შორის. მომხრეები ამ „სექტის უპირატესობის დაუშვებლობის“ ტესტს, უპირველეს ყოვლისა, ისტორიულ საფუძველზე დაყრდნობით იცავენ და ადრეული ფედერალური ხელისუფლების მიერ არადენომინაციური ქრისტიანობისადმი განეულ დახმარებასა და მხარდაჭერაზე მიუთითებენ.

მონინააღმდეგეთა პასუხი ასევე ისტორიას ეფუძნება, კერძოდ ფუძემდებელი თაობის მრავალგზის უარს ეკლესიებისათვის ფინანსური დახმარების განევის ნების დართვაზე მაშინაც კი, როდესაც ის ყველა დენომინაციისათვის იყო ხელმისაწვდომი. იხ. *ვაისმანი*<sup>21</sup> (მო-

სამართლე სოუტერი, თანმხვედრი აზრი). თანამედროვე უზენაეს სასამართლოში უმრავლესობას არასოდეს უხელმძღვანელია უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობის ტესტი.

### არამხარდაჭერა

მეორე მთავარი ალტერნატივის, „არამხარდაჭერის“ საფუძველზე იკრძალება ხელისუფლების ნებისმიერი „მესიჯი“, რომელიც მიუთითებს მისი მხრიდან ამა თუ იმ რელიგიის მხარდაჭერაზე ან მოწონებაზე. იხ. *ლინჩი დონელის წინააღმდეგ*<sup>22</sup> (მოსამართლე ო'კონორის, ტესტის ავტორის თანმხვედრი აზრი). ამ მიდგომამ გადაწყვეტი გავლენა იქონია უმრავლესობის ერთ-ერთ უკანასკნელ გადაწყვეტილებაზე (*ალეგენის ოლქი ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანების წინააღმდეგ*<sup>23</sup>), თუმცა იგი არ დაფიქსირდა, როგორც ძირითადი სტანდარტი.

არამხარდაჭერის ტესტი დიდად არ განსხვავდება ლემონის ტესტისაგან. ამ უკანასკნელის მსგავსად იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ხელისუფლების მიერ რელიგიური რწმენისთვის ხელის შეწყობა დისკრიმინაციულია იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებსაც არ სწამთ. მაგრამ როგორც მოსამართლე ო'კონორი ამტკიცებდა *ლინჩის* საქმეში, არამხარდაჭერის ტესტი შეიძლება უფრო ნათელი იყოს, ვიდრე ლემონის ტესტი, რადგან იგი უფრო ზუსტად მიუთითებს, თუ რა სახით უნდა აეკრძალოს ხელისუფლებას რელიგიის ხელშეწყობა ან შეზღუდვა. მეორე მხრივ, ზოგიერთი კრიტიკოსის განცხადებით, არამხარდაჭერის ტესტი ძალიან სუბიექტურია, რადგან იგი ფოკუსირებას ახდენს ხელისუფლების „მესიჯებზე“, რომლებიც სხვადასხვა ადამიანებმა შესაძლოა სხვადასხვაგვარად განმარტონ.

### არაიძულება

ლემონის ტესტიდან უფრო არსებითი გადახვევა იქნებოდა „არაიძულების“ ტესტი, რომლის მიხედვითაც ხელისუფლება შეძლებდა რელიგიის ხელშეწყობას, სანამ მისი ქმედება არ გადაიზრდებოდა რელიგიის აღიარებაზე ან რელიგიურ ცერემონიაში მონაწილეობაზე ვინმეს იძულებაში. იხ. მაგალითად, *ალეგენი*<sup>24</sup> (მოსამართლე კენედი, თანმხვედრი აზრი) (მსგავსი ტესტის ავტორი). ამ ტესტით არაიძულების ელემენტი მოყვანილია რელიგიის კლაუზულის ერთადერთი გამოკვეთილი ღირებულების – სეპარაციის საპირისპიროდ. მისი მტკიცედ გამოყენების შემთხვევაში იმ გადაწყვეტილებების უარყოფა მოხდებოდა, რომლებიც კრძალავს საჯარო სკოლებში არაიძულებით ლოცვებსა და რელიგიის სხვა სახის გამოხატვებს. არაიძულების ტესტს უპირატესობას ისინი ანიჭებენ, ვისაც სწამს, რომ სეპარაციაზე დაფუძნებული ლემონის მიდგომა ეწინააღმდეგება ისტორიულ ტრადიციებს და აკნინებს რელიგიის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გასაკვირი არაა, რომ ისინი, ვინც არაიძულების ტესტს ეწინააღმდეგება, ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციის ხელშეწყობის პრინციპს ეყრდნობა. ისინი აგრეთვე ამტკიცებენ, რომ დაწესების კლაუზულის შემოსაზღვრა იძულების შემთხვევებით მას არარელევანტურს გახდიდა, მაშინ, როცა აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა ისედაც უკრძალავს ხელისუფლებას ვინმეს იძულებას, მიიღოს ან არ მიიღოს რელიგია. ამის მიუხედავად, ზოგიერთი მოსამართლე ემხრობოდა არდაწესების კლაუზულის შემოსაზღვრას მხოლოდ იძულების შემთხვევებით, მაგრამ უმრავლესობას არასოდეს გაუზიარებია ეს პოზიცია.

### ნეიტრალობა

ბოლო დროს მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გაზარდა ყურადღება „ნეიტრალობის“ ტესტის მიმართ, რომელიც ლემონისგან განსხვავებულად იქნა ინტერპრეტირებული: არა რო-

გორც ხელისუფლების მხრიდან რელიგიის დახმარების აკრძალვა, არამედ როგორც მოთხოვნა სახელმწიფოს მიერ რელიგიური იდეების ან მოქალაქეების, ასევე ყოველივე არარელიგიურის მიმართ იდენტური დამოკიდებულების გამოჩენისა. ამ მიდგომის გამოყენება – რომელსაც პროფესორი ლეიკოკი „ფორმალურად“ ნეიტრალურს უწოდებს – განსაკუთრებით შეინიშნება ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც მხარს უჭერს ყველა სხვა ორგანიზაციისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი სახელმწიფო დახმარების გავრცელებას რელიგიურ ორგანიზაციებზე. ეს თვალში საცემია იმ გადაწყვეტილებებშიც, რომლებიც ეხება ზოგადი დანიშნულების კანონებში რელიგიური ვალდებულებების ადაპტაციას. უზენაესმა სასამართლომ უარყო ასეთი ადაპტაციის მოთხოვნა აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის საფუძველზე (დასაქმების სამსახური სმიტის წინააღმდეგ<sup>25</sup>) და რამდენჯერმე აკრძალა იგი დანების კლაუზულაზე დაყრდნობით, როგორც ფავორიტიზმის გამოვლინება. აქედან გამომდინარე, ეს ნეიტრალური მიდგომა, როგორც ჩანს, შეესაბამება რელიგიისა და არარელიგიისადმი თანაბარი მოპყრობის ძირითად ღირებულებას.

# ეკლესიებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების მოკლე ისტორია აშშ-ში

ამერიკაში გადასახლებულ ევროპელებს სურდათ, რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობა ყოველგვარი დევნისა და იმის გარეშე, რასაც ძველი სამყაროს ზნედაცემული ეკლესიების მანიკერ ტრადიციას უწოდებდნენ. ყოველივე ამის გამო რელიგიამ ძალზე დიდი როლი შეასრულა ამერიკის ისტორიაში. ამ ისტორიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიურ-სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებული კონსტიტუციური პრინციპების გასააზრებლად. უზენაესი სამართლოს მოსამართლე რათლიჯის განცხადებით, „კონსტიტუციის არც ერთი დებულება არაა ისე მჭიდროდ დაკავშირებული მის წარმომშობ ისტორიასთან, როგორც „პირველი შესწორების“ დებულება რელიგიის შესახებ“<sup>26</sup> (მოსამართლე რათლიჯი, განსხვავებული აზრი). ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, რელიგიასთან დაკავშირებით მიღებული უზენაესი სამართლოს გადანყვეტილებები ვერ გამოდგება ისტორიაზე ყურადღების გასამახვილებლად ან მის ზუსტად გასაგებად. ყოველ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ გავიზაროთ შეერთებულ შტატებში ხელისუფლების რელიგიისადმი მიმართების ასპექტები.

## **განსხვავებული კოლონიური სისტემები: დანესებული ეკლესიები რელიგიის თავისუფლების წინააღმდეგ**

ჩრდილოამერიკელი კოლონისტები ახალ სამყაროში ახალი ცხოვრების დანყებას ესწრაფოდნენ. მათთან ევროპული ჩვეულებები ჩამოიტანეს. ევროპის ისტორია კი, შეიძლება ითქვას, „ქრისტიანული სამყაროს“ ისტორიაა. ევროპული ფონი, რომელიც წინ უძღოდა რელიგიის თავისუფლების ისტორიას ამერი-

კის მიწაზე, მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ: დაწესებული ეკლესიები, განსხვავებული რელიგიური შეხედულებების აკრძალვები, გამუდმებული რელიგიური ომები.

13 ინგლისურ კოლონიაში რელიგიის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის წარმოების სამი სხვადასხვა მოდელი ჩამოყალიბდა. ყველაზე გავრცელებული იყო დაწესებული ეკლესიის მოდელი, როდესაც განსხვავებული რელიგიური შეხედულება ან საერთოდ იკრძალებოდა, ან მნიშვნელოვნად იზღუდებოდა. ასეთ პოლიტიკას ატარებდნენ მასაჩუსეტსში დასახლებული პურიტანები. მათთვის მიუღებელი იყო სხვა მიმდინარეობებისთვის რელიგიის თავისუფლების მინიჭება. მათი კონგრეგაციული ეკლესია დაწესებული ეკლესიის ყველა თვისებას ატარებდა. ხელისუფლება დევნიდა ისეთ ერეტიკოსებს, როგორებიც იყვნენ: ანა ჰატკინსონი, კვაკერები, ბაპტიტები. ჩამოახრჩეს ოთხი კვაკერი, რომლებმაც 1650-იან წლებში გაძევების შემდეგ კოლონიაში დაბრუნება სცადეს.

სამხრეთის კოლონიებს ითვისებდნენ არა პურიტანული ჯგუფები, არამედ კომერციული სანარმოები. ვაჭრებს ინგლისის დაწესებული ეკლესიაც შემოჰყვა. ერთი მხრივ, ეს განაპირობა ეკლესიის შემწყნარებლურმა პოლიტიკამ, მეორე მხრივ კი, მისმა სიმორემ ლონდონის ზედამხედველობისგან. ანგლიკანობის დაწესება სამხრეთში უფრო სუსტი და არამყარი აღმოჩნდა, ვიდრე პურიტანიზმისა ახალ ინგლისში. მაგრამ იგი დაწესებული ეკლესიისთვის დამახასიათებელ პოლიტიკას ატარებდა და განსხვავებული რელიგიური შეხედულების მქონეთ რელიგიის თავისუფლებას არ ანიჭებდა. მაგალითად, განდგომილთ ეკრძალებოდათ ქადაგება. 1774 წელს ვირჯინიაში ბაპტიტები დააპატიმრეს იმის გამო, რომ არაანგლიკანურ მსახურებას ასრულებდნენ. მოზარდმა ჯეიმს მედისონმა ამას „ჯოჯოხეთში განჭვრეტილი დევნის სატანური პრინციპი“ უწოდა.

მეორე მოდელი ყველაზე მეტად ნიუ-იორკისა და ნიუ-ჯერსის ცენტრალურ კოლონიებში გავრცელდა. ეს იყო რელიგიური შემწყნარებლობის ერთ-ერთი პრაქტიკული სახე, რომელიც რელიგიურ მრავალფეროვნებას ეფუძნებოდა. ნიუ-ჯერსიში ოფიციალურად დაწესებული ეკლესია არ არსებობდა. ნიუ-იორკში ანგლიკანური ეკლესია რამდენიმე ოლქში დაწესდა. მცირე გამოჩაყლის გარდა, განდგომილ პროტესტანტებს ქადაგებისა და ღვთისმსახურების უფლება მიეცათ. ხელშეუხებლობა გავრცელდა თვით კვაკერებსა და ებრაელებზეც კი.

რელიგიის შედარებით მეტი თავისუფლება დამკვიდრდა ორ კოლონიაში: როდ აილენდსა და პენსილვანიაში. პირველი 1630-იან წლებში როჯერ უილიამსმა დააარსა. იგი ღვთისმოსავი ადამიანი იყო, რომელიც მასაჩუსეტსის დაწესებულ ეკლესიას შეებრძოლა და შედეგად გააძევეს ამ კოლონიიდან. პენსილვანია დაარსდა, როგორც ინგლისის მიერ დევნილი კვაკერების თავშესაფარი. როდ აილენდის ქარტია სინდისის სრულ თავისუფლებას ანიჭებდა ყველა მოქალაქეს, თუ ისინი „სამოქალაქო მშვიდობას“ არ არღვევდნენ. მსგავსი დებულება მიიღო პენსილვანიაშიც.

რელიგიის თავისუფლების ამ ორ კოლონიურ მოდელს ორი დამახასიათებელი თვისება გამოარჩევს: 1) მართალია, ისინი პირდაპირ არ ზღუდავდნენ ღვთისმსახურებას და არ აწესებდნენ რელიგიურ გადასახადებს, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან შოკისმომგვრელ კანონებს იღებდნენ: როდ აილენდში აიკრძალა კათოლიკეების საჯარო სამსახურში მიღება და კოლონიაში ებრაელების ცხოვრება. პენსილვანიაში არაქრისტიანებს ჩამოართვეს საჯარო სამსახურში მუშაობის უფლება, ხოლო მათ, ვისაც არ სწამდა „ერთი ყოვლადძლიერი ღმერთი“, შეუზღუდეს რელიგიის თავისუფლება. 2) ორივე კოლონიაში გამოცხადებული რელიგიის თავისუფლება რელიგიური თეორიით იყო გამყარებული. როჯერ უილიამსი თავის მრავალ ნაშრომში, რომელთა შორის აღსანიშნავია „დევნის სისხლიანი დოგმატი“ (1644), აცხადებს, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანობა თავისუფალ ნებას მოითხოვს (მისი თქმით, თავსმოხვეული სარწ-



მუწობა „ღვთის ნესტოებში ყარს“). მისი აზრით, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიურ საქმეებში ჩარევა ამახინჯებს ეკლესიას (მისი სახე იყო „უდაბნო“, რომელიც „ნალკოტს“ მიეღობის). უილიამსისთვის სახელმწიფო პასუხისმგებელია ცხოვრებაში ათი მცნების მეორე (სამოქალაქო მოვალეობები მკვლელობის, ქურდობის, მრუშობის და ა. შ. წინააღმდეგ) და არა პირველი ნახევრის (რელიგიური მოვალეობები ღვთის შემეცნებისა, ღვთისმსახურების აღსრულებისა და ა. შ.) გატარებაზე. განმანათლებლობის დრომდე, და გარკვეული პერიოდის მანძილზე მის შემდეგაც, ამერიკაში რელიგიის თავისუფლების ძირითადი თეორია ორთოდოქსულ ქრისტიანობას ემყარებოდა.

თავიდან ძალზე მცირე იყო მათი რიცხვი, ვინც, როგორც უილიამსის მსგავსად, დაწესებულ ეკლესიებს ქრისტიანული პრინციპების საფუძველზე ჩამოშორდა (კონგრეგაციონალიზმი ახალ ინგლისში, ანგლიკანობა სამხრეთში). ცვლილება 1700-იანი წლების შუა პერიოდში დაიწყო, როცა „დიადმა გამოღვიძებამ“ (რელიგიური გამოცოცხლების პერიოდი, ხშირად ნოდებული რევოლუციად ამერიკის რელიგიურ აზროვნებაში) ახალი ინგლისის, ცენტრალური კოლონიებისა და ვირჯინიის საზღვრები მოიცვა. გამოღვიძება რელიგიის თავისუფლების განვითარებას ხელს უწყობდა ბაპტიტურ და პრესბიტერიანულ სექტებში ახალი წევრების მომრავლებით. ისინი კოლონიათა დაწესებული ეკლესიების მიერ მათთვის დადგენილი სამართლებრივი შეზღუდვების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

„დიადმა გამოღვიძებამ“ ამერიკის პოლიტიკაზე რელიგიის გავლენის ადრეული მაგალითები გამოკვეთა. სახალხო გამოღვიძებამ სათავე დაუდო პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც ბრიტანულ მმართველობას დაუპირისპირდა და ამერიკული რევოლუციის საფუძველი შეიქმნა. გამოღვიძებამ დიდი როლი შეასრულა მონობის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის აღმოცენებაში.

### **დამფუძნებელი თაობა: რელიგიის თავისუფლების განმტკიცება შტატების კონსტიტუციათა დონეზე, რელიგიური გადასახადის გაუქმება და პირველი შესწორების მიღება**

დროთა განმავლობაში კოლონიებმა რელიგიის თავისუფლებაზე დაწესებული ზოგიერთი შეზღუდვა შეამსუბუქეს და დაწესებული ეკლესიების ზოგიერთი თვისება შეასუსტეს. ასეთი ცვლილებები მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა და ეს პროცესი რევოლუციამ და მისი დასრულების შემდეგ კოლონიების შტატებზე გარდაქმნამ განსაკუთრებით დააჩქარა.

პირველი აღსანიშნავი ცვლილება იყო არდაწესებული სექტების ღვთისმსახურებისა და საქმიანობის შეზღუდვის თანდათანობითი შემსუბუქება. 1770-80-იანი წლებისთვის იმ შტატებმა, რომლებსაც დამოუკიდებლობა ახალი მოპოვებული ჰქონდათ, მიიღეს კონსტიტუციები, რომელთა დებულებებიც იცავდა რელიგიურ ღვთისმსახურებას და საქმიანობას მანამ, სანამ ის „შტატის მშვიდობასა და უსაფრთხოებას“ არ დაემუქრებოდა. თუმცა ორ შტატში ეს მფარველობა გავრცელდა მხოლოდ ქრისტიანებზე, ხუთ სხვა შტატში – ღვთის მორწმუნეებზე, დანარჩენმა შტატებმა უარი თქვეს გამონაკლისებზე და ყველას მიანიჭეს რელიგიის თავისუფლება.

ამის მიუხედავად, რელიგიური დისიდენტების უფლებების დარღვევის ერთი ფორმა, საჯარო სამსახურში მიღებისათვის რელიგიური კრიტერიუმების დადგენა, მთელი ამ პერიოდის მანძილზე გაგრძელდა. ეს პრაქტიკა 1789 წლის ფედერალური კონსტიტუციით აიკრძალა, თუმცა თერთმეტ შტატში საჯარო სამსახური არაქრისტიანებისთვის მაინც მიუწვდომელი იყო, ოთხში – კათოლიკეებისთვის (ვირჯინიის შტატში რელიგიური კრიტერიუმები ტომას ჯეფერსონის 1786 წლის რელიგიური თავისუფლების სტატუტით აიკრძალა). მსგავსი აკრძალვები ბევრ შტატში მე-20 საუკუნეშიც მოქმედებდა, თუმცა ისინი მხოლოდ ათეისტებზე

ვრცელდებოდა. ეს კი ებრაელებს საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების საშუალებას აძლევდა. საბოლოოდ, რელიგიური კრიტერიუმების დაწესება საჯარო სამსახურში მისაღებად უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ტორკასო უოტკინსის წინააღმდეგ საქმეში.<sup>27</sup>

მეორე დიდი ცვლილება 1700-იანი წლების მიწურულს მოხდა. შტატებმა თანდათან გააუქმეს გადასახადების აკრეფა ეკლესიებისა და ლეთისმსახურთა სასარგებლოდ. ეს პროცესი ეტაპებად განვითარდა, რასაც რამდენიმე ათწლეული დასჭირდა. თავიდან რამდენიმე კოლონიაში გადგომილი სექტანტები, უმთავრესად, ბაპტისტები და კვაკერები გათავისუფლდნენ გადასახადებისგან. შემოიღეს არაპრეფერენციურებული, ანუ „საზოგადო“, ბეგარა. მოქალაქეებს შეეძლოთ, თავიანთი გადასახადები სურვილისამებრ წარემართათ რომელიმე დენომინაციის და არა დაწესებული ეკლესიის სასარგებლოდ.

მაგალითად, მასაჩუსეტსში 1780 წელს შემოღებულ იქნა საერთო ბეგარა. ეს ღონისძიება მიმართული იყო დაწესებული ეკლესიის მხარდამჭერი პოლიტიკის ლიბერალიზაციისკენ. თუმცა სისტემა მხოლოდ თეორიულ დონეზე იყო არაპრეფერენციურებული. ეს ბაპტისტებისა და სხვა სექტანტების გაუთავებელი საჩივრების საბაბად იქცა. მათ უწევდათ სხვადასხვა ბიუროკრატიული საფეხურების გავლა სერთიფიკატის მოსაპოვებლად, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა, გადასახადები თავიანთი ეკლესიებისკენ წარემართათ (ძალდატანების შემთხვევაში ისინი ბეგარის საკუთარი ეკლესიის სასარგებლოდ გადახდაზეც ამბობდნენ უარს). ეს და სხვა მსგავსი სისტემები კონექტიკუტსა და ნიუ-ჰემპშირში „პირველი შესწორების“ მიღებიდან რამდენიმე ათწლეულის გასვლის შემდეგაც არ გაუქმებულა (1833 წელს მასაჩუსეტსში, 1818 წელს კონექტიკუტში, 1817 წელს ნიუ-ჰემპშირში).

ყველაზე მნიშვნელოვანი დებატები ვირჯინიაში გაიმართა. აქ 1785 წელს საერთო ბეგარის შესახებ ინიცირებული კანონპროექტი განიხილებოდა, როგორც კომპრომისი. ყოველ გადახედვლს თვითონ უნდა განესაზღვრა, რომელი დენომინაცია მიიღებდა გადასახადს. კვაკერები და მენონიტები გათავისუფლდნენ ბეგარისგან, რადგან მათ ოფიციალური სამღვდელოება არ ჰყავდათ. მოქალაქეს იმის უფლებაც ენიჭებოდა, რომ საერთოდ არც ერთი ეკლესიის სასარგებლოდ არ გადაეხადა გადასახადი. ამ შემთხვევაში სახსრები სასკოლო ფონდში უნდა მიმართულიყო. თუმცა ბაპტისტები და პრესბიტერიანელები კანონპროექტს დაუპირისპირდნენ. საბოლოოდ, საკანონმდებლო ორგანომ გააუქმა ბეგარა და მის ნაცვლად ტომას ჯეფერსონის რელიგიის თავისუფლების სტატუტი ამოქმედა. ამით დამყარდა რელიგიის სრული თავისუფლება და გაუქმდა ყველა რელიგიური გადასახადი.

მედისონის „*Memorial and Remonstrance*“ (მოგონება და პროტესტი) ალბათ ყველაზე ცნობილი დოკუმენტია ამერიკის ეკლესიურ-სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში „პირველი შესწორების“ შემდეგ. პეტიციაში ხატოვნადაა ერთმანეთთან შეხამებული სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის წახალისების საწინააღმდეგო სხვადასხვა არგუმენტი. ამიტომ იგი ერთგვარად მიმოიხილავს მოცემული შემთხვევისთვის მნიშვნელოვან საკითხებს.

მედისონის მრავალი განცხადება რელიგიის თავისუფლების საღვთისმეტყველო არგუმენტაციას იძლეოდა. მისი მტკიცებით, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება შემოქმედისა და „სამყაროს მეუფის“ წინაშე მოვალეობებს. მედისონის აზრით, ამ მოვალეობების შესრულების საფუძველი უნდა გამხდარიყო „შეგონება და არა იძულება“; იგი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს მიერ რელიგიის გამოყენება „ცხოვნების გზების შერყვნას“ წარმოადგენდა; რომ დაწესებულმა ეკლესიებმა „რელიგიის სინმინდესა და სიცოცხლისუნარიანობას“ საფუძველი გამოაცალეს. ამ არგუმენტებსა და ევანგელისტი პროტესტანტების პოზიციებს შორის გარკვეული პარალელების გავლებაა შესაძლებელი. ევანგელისტი პროტესტანტების შეხედულებების თანახ-

მად, რელიგიური მოვალეობები სახელმწიფო ვალდებულებებზე მაღლა დგას, ჭეშმარიტი ქრისტიანობა ნებაყოფლობით ხასიათს უნდა ატარებდეს და თავისუფალი უნდა იყოს სახელმწიფოს გამხრნელი გავლენისგან. შესაძლოა, მედისონზე გავლენა იქონია პრინსტონის კოლეჯში ევანგელისტ პრესბიტერიანელებთან, განსაკუთრებით, კოლეჯის პრეზიდენტ, ჯონ უიდერსპუნთან ურთიერთობამ. ეს უკანასკნელი რელიგიის თავისუფლების ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტებით ხელმძღვანელობდა. იგი დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერია. მედისონის შედეგში არსებული სხვა არგუმენტები მე-18 საუკუნის განმანათლებლური შეხედულებებითაა განპირობებული. მოსაზრება, რომ რელიგიას „მხოლოდ გონება და დარწმუნება უნდა წარმართავდეს“, ტომას ჯეფერსონის და სხვათა შეხედულებებს ეხმიანება. მედისონი თვლიდა, რომ დაწესებული ეკლესიები ან „სულიერ ტირანის ალმოაცენებდნენ სამოქალაქო ხელისუფლების ნანგრევებზე“, ან „მხარს დაუჭერდნენ პოლიტიკურ ტირანიას“. ხელისუფლებამ რელიგიურ საქმეებში ჩარევით „სისხლის გუბეები“ დააყენა ევროპაში. განმანათლებელთა შეხედულებით, რელიგიური დოქტრინის დეტალების გარშემო წარმოებული დისპუტები ძალადობას წარმოშობს. ამიტომ ხელისუფლებას საკუთარი კანონიერი მიზნების მისაღწევად ეს დისპუტები სრულებით არ სჭირდება.

მედისონის ზოგიერთი არგუმენტი ძალზე მახვილგონივრული იყო. ეს არგუმენტები ვირჯინიაში არსებულ რელიგიურ მრავალფეროვნებას ეფუძნებოდა. მისი აზრით, ზეგარა სექტებს შორის „თანასწორობასა და ჰარმონიას“ დაარღვევდა. ამასთან, რელიგიური ერთგვაროვნების იძულებითი მიღწევის მცდელობები ყოველთვის წარუმატებლად დამთავრდებოდა და წარმოშობდა ძალადობას, ხოლო კანონპროექტის გასვლის შემთხვევაში მშვიდობიანი ადგილების მაძიებელი შრომისუნარიანი მოქალაქეები შტატს დატოვებდნენ. რელიგიის მზარდი თავისუფლების ერთ-ერთი ნიშანსვეტი იყო ის, რომ შტატებში მეტი პლურალიზმი დამკვიდრდა და მოქალაქეებისათვის მიუღებელი გახდა რომელიმე დაწესებული ეკლესია.

ყველა ამ არგუმენტმა – რელიგიურმა, განმანათლებლურმა და პრაგმატულმა – გარკვეული როლი შეასრულა შტატებში რელიგიის თავისუფლების გასავითარებლად (თუმცა რომელი მათგანი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, სადავო საკითხია). მათ გარკვეული როლი შეასრულეს „პირველი შესწორების“ მიღების დროსაც (1789-1791 წწ.).

შემოთავაზებული ფედერალური კონსტიტუცია გარანტიების არარსებობის გამო კრიტიკას იმსახურებდა. კერძოდ, არავინ იცოდა, მომძლავრებული ფედერალური ხელისუფლება ჩაეროდა თუ არა გარკვეულ საკითხებში, რომლებიც ადრე შტატების გადასაწყვეტი ან ინდივიდუალური თავისუფლების საკითხი იყო. საუბარი ყველაზე ხშირად რელიგიას ეხებოდა (კონსტიტუციის თავდაპირველ ვერსიაში რელიგიასთან დაკავშირებული ერთადერთი დებულებით ფედერალურ ხელისუფლებას ეკრძალებოდა საჯარო სამსახურში პიროვნების მიღების დროს რელიგიური ფიცის მოთხოვნა). კონსტიტუციის დამცველთა მტკიცებით, „უფლებათა ბილი“ აუცილებელი არ იყო, რადგან რელიგიასთან დაკავშირებული საკითხები ფედერალური ხელისუფლების კომპეტენციას არ წარმოადგენდა. ოპონენტებმა ვერ შეძლეს „უფლებათა ბილის“ რატიფიცირებისათვის ხელის შეშლა, სამაგიეროდ ბევრი ადამიანი დაარწმუნეს მისი მიღების საჭიროებაში.

იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც რელიგიის თავისუფლების გარანტიად იქცნენ, მასაჩუსეტისა და ვირჯინიის ბაპტისტებიც იგულისხმებოდნენ. კონგრესის არჩევნებზე ცენტრალურ ვირჯინიაში ბაპტისტებმა და პრესბიტერიანელებმა ხმების უმეტესობა ჯეიმს მედისონს მისცეს. იგი მხარს უჭერდა ახალ კონსტიტუციას, თუმცა ახალ სექტებს ასევე დაპირდა, რომ რელიგიის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით შესწორებების მომზადებაზე იმუშავებდა.

კონგრესში არჩევის შემდეგ მედისონმა წარმოადგინა შესწორებების პაკეტი, რომელშიც ორი დებულება რელიგიას შეეხებოდა. პირველ შესწორებაში ნათქვამი იყო, რომ „არც ერთი

ადამიანის სამოქალაქო უფლებები არ შეიზღუდება რელიგიური მრწამსის ან მსახურების საფუძველზე, არც რომელიმე ეროვნული რელიგია დაწესდება, არც სინდისის სრული და თანაბარი უფლებები შეიღებება ნებისმიერი მოტივით“. მეორე შესწორება აცხადებდა: „სინდისის თანასწორი უფლებების პრინციპს არც ერთი შტატი არ დაარღვევს“. მედისონის პირველი წინადადება მოკლედ განიხილა და გადაამუშავა წარმომადგენელთა პალატამ და შემდეგი სახით ჩამოაყალიბა: „კონგრესი არ მიიღებს კანონს, რომელიც დააწესებს რელიგიას, ან შეზღუდავს აღმსარებლობის თავისუფლებას, ან სინდისის თავისუფლებას შელახავს“. სენატმა იმსჯელა ამ დებულებაზე და რამდენჯერმე უყარა კენჭი. მან უარყო წინადადებები დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული წინადადებებით კონგრესს უნდა აკრძალვოდა „ერთი რომელიმე სექტის ან გაერთიანების სხვებზე“ გაბატონება, ან „რომელიმე დენომინაციისთვის უპირატესობის მინიჭება მეორესთან შედარებით“. სენატმა ასევე უარი თქვა დებულებაში იმ კლაუზულის შეტანაზე, რომელიც „სინდისის უფლებებს“ იცავდა შელახვისგან. საბოლოოდ, წარმომადგენელთა პალატა და სენატი შემდეგ რედაქციაზე შეთანხმდნენ: „კონგრესი არ მიიღებს კანონს, რომელიც დააწესებს რელიგიას ან შეზღუდავს აღმსარებლობის თავისუფლებას“.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით გამართული დებატების ჩანაწერები გაბნეულია, რის გამოც ზოგიერთს გაუჩნდა ეჭვი, რომ ისინი ნაკლებად გამოსაძვავია რელიგიის შესახებ კლაუზულებში ჩადებული აზრის გასაგებად. თუმცა კომენტატორებმა თანამედროვეობასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი წამოჭრეს და განიხილეს. მაგალითად, დღეს ზოგიერთი ამტკიცებს, რომ „პირველ შესწორებაში“ არსებული „რელიგიის“ განსაზღვრება ერთობ ფართო მნიშვნელობის მქონეა და გამოდგება არა მხოლოდ ტრადიციული რელიგიების, არამედ ყველა კეთილსინდისიერი სარწმუნოების დასაცავად. თუმცა ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, კონგრესმა ამ შესწორების მიღებით უარი განაცხადა „სინდისის უფლებების“ დაცვაზე და „რელიგიის“ ვიწრო კატეგორიას დაუჭირა მხარი. მეორე მხრივ, კონსტიტუციური შესწორებების ავტორებმა, შესაძლოა, ორ ტერმინს შორის რეალური განსხვავება ვერ დაინახეს. რელიგია ხომ ერთადერთი კეთილსინდისიერი რწმენითი სისტემა იყო, რომელსაც ისინი იცნობდნენ.

ამ კონსტიტუციური ცვლილებების მიღების ისტორია შეიძლება თანამედროვეობის მეორე მნიშვნელოვან საკითხსაც უკავშირდებოდეს: ზოგიერთს აინტერესებს, დაწესებული ეკლესიის შესახებ კლაუზულა სახელმწიფოს ერთი რელიგიური დენომინაციისთვის უპირატესობის მინიჭებას უკრძალავს თუ ნებას აძლევს მას საზოგადოდ ნაახალისოს რელიგია არარელიგიური მსოფლმხედველობის საპირისპიროდ. არდაწესების კლაუზულის შესახებ უფრო ვრცელი თეორიის მომხრეები აღნიშნავენ, რომ სენატმა უარყო სამი წინადადება, რომლებსაც მხოლოდ სექტებს შორის რაიმე პრივილეგიის არსებობა უნდა გამოეერიცხა. „არც ერთი სექტის უპირატესობის“ პრინციპის მომხრეები კი ამტკიცებდნენ, რომ წინადადებათა ტექსტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. მათი აზრით, პირველი კონგრესის ქმედებები ყველა რელიგიისთვის თანაბარი მხარდაჭერის პრინციპის აღიარებას გულისხმობდა.

მსგავსი ქმედებები არაერთხელ განახორციელეს ადრინდელმა კონგრესებმა და პრეზიდენტებმა. პირველმა კონგრესმა ყოველდღიური სხდომების წინ ლოცვის აღსავლენად კაპელანები დანიშნა და გადასახადებით ამოღებული ფული ქრისტიანი მისიონერების ხელფასებისკენ წარმართა, რათა მათ ინდიელთა ტომები გაენათლებინათ და მოექციათ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. რამდენიმე პრეზიდენტმა (მათ შორის ვაშინგტონმა, ადამსმა, მედისონმა) ოფიციალური განცხადებით მოუწოდა მოქალაქეებს, რომ ღვთისადმი სამადლობელი ლოცვა აღევლინათ. ამ პრაქტიკის წინააღმდეგ მხოლოდ ჯეფერსონი გამოვიდა (თუმცა მოგვიანებით მედისონმაც აღიარა, რომ მისი მოქმედება არაკონსტიტუციური იყო).

როგორც უკვე აღინიშნა, უზენაესი სასამართლოს ზოგიერთი მოსამართლისა და თანამედროვე კომენტატორის მტკიცებით, ამ ქმედებებით ნათელი ხდება, რომ „პირველი შესწორება“ აღქმულ იქნა ერთი რომელიმე სექტის პრეფერენციურული და არა ზოგადად რელიგიის მხარდაჭერის აკრძალვად. მაგალითად, იხ. უოლასი ჯეფერის წინააღმდეგ<sup>28</sup> (მოსამართლე რენკვისტი, განსხვავებული აზრი). მაგრამ დანესებული ეკლესიის აკრძალვის შესახებ კლაუზულის უფრო ვრცელი ინტერპრეტაციის მომხრეები ირწმუნებოდნენ, რომ ეს პოლიტიკურად მოტივირებული ქმედებები იყო და მათი კონსტიტუციურობა გამოკვლევას არ ექვემდებარებოდა. ყოველ შემთხვევაში, მათი მტკიცებით, შესაძლოა, ძირითადი ქრისტიანული და იუდაურ-ქრისტიანული იდეების მხარდაჭერა სრულებით არადისკრიმინაციული იყო 1700-იან წლებში, მაგრამ დღეს ასეთი მიდგომა მიუღებელია, რადგან ბევრი მოქალაქე იუდაიზმისა და ქრისტიანობის გარდა სხვა რელიგიასაც აღიარებს, ან საერთოდ არც ერთი რელიგიის მიმდევარი არ არის. მაგალითად, იხ. ლი ვაისმანის წინააღმდეგ<sup>29</sup> (მოსამართლე სოუტერი, თანმხედრი აზრი).

სხვა კომენტატორების აზრით, ეს ქმედებები იმაზე მიუთითებს, რომ რელიგიურ კლაუზულებში რელიგიის მხარდაჭერის მხოლოდ ძალადობრივი საშუალებების აკრძალვა ნაგულისხმევი. ამ პრინციპით აიხსნება საკანონმდებლო ლოცვების პრაქტიკა, საპრეზიდენტო განცხადებები და რელიგიური გამოხატვის სხვა ფორმები. თუმცა, ადრე განხორციელებულმა ზოგიერთმა ღონისძიებამ გადასახადებიდან ამოღებული ფულის ხარჯვა გამოიწვია, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც იძულების აქტი (ჯეფერსონის ვირჯინიის რელიგიური სტატუტის მიხედვით, რელიგიური გადასახადები „იძულებს (სხვაგვარად მოაზროვნეს) ფულადი შემწეობა იმ იდეების მხარდასაჭერად გაიღოს, რომლებსაც მას არ სწამს და სძულს“).

გულისხმობს თუ არა რელიგიის შესახებ კლაუზულები ფუძემდებლურ თეორიას იმასთან დაკავშირებით, თუ რა პოზიცია უნდა დაიკავოს სახელმწიფომ რელიგიის მიმართ? თუ გულისხმობს, მაშინ რა შედეგებს მოიტანს ის თანამედროვე ეტაპზე? ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „რელიგიური“, ანუ „ევაგელური“, პოზიცია. კერძოდ, ამერიკელებმა რელიგიის თავისუფლება უმთავრესად ქრისტიანული პრინციპების საფუძველზე მიიღეს. ამ შეხედულების ზოგიერთი მხარდამჭერისთვის კლაუზულების მხოლოდ არაძალადობრივი ხედვა მისაღებია. ეს ხედვა კი ეფუძნება იმ პრინციპს, რომ დაუშვებელია რელიგიური რწმენის ძალადობით თავს მოხვევა. ის ძვირფას საუნჯეს წარმოადგენს და ხელისუფლებამ არაძალადობრივი გზებით უნდა დაუჭიროს მას მხარი. მეორე მხრივ, რელიგიური ხედვის სხვა მომხრეები ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციის გაცილებით მკაცრ პრინციპებს ქადაგებენ იმ თვალსაზრისით, რომ (იმავე როჯერ უილიამსის გავლენით) ნებისმიერი კონტაქტი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ამ უკანასკნელის გახრწნითა და დასუსტებით სრულდება. ამ ადამიანებს შეიძლება „რელიგიური სეპარატისტებიც“ ვუწოდოთ.

სხვა ანალიტიკოსები „განმანათლებლურ“ პოზიციაზე ამახვილებენ ყურადღებას და აცხადებენ, რომ ჯეფერსონს, მედისონს (ამ უკანასკნელს უფრო ნაკლებად) და ფუძემდებელთა თაობის ზოგიერთ სხვა ლიდერს რაციონალობის სწამდა, ეჭვით უყურებდა ტრადიციულ რელიგიურ დოგმას, აღაშფოთებდა რელიგიური ფანატიზმი და მისი ზემოქმედება საზოგადოებაზე. ამ პოზიციის მომხრეები ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციას მოითხოვენ. ეს კი ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი სფერო სეკულარულად დარჩება და არ შეეხება ის უკიდურესობები, რომელთა პროვოცირებაც ეკლესიას შეუძლია (ისინი, შეიძლება, „საერო სეპარატისტებად“ მოვიხსენიოთ).

თუმცა სხვა ანალიტიკოსთა მოსაზრებით, რელიგიის შესახებ კლაუზულები არ ასახავს რაიმე სუბსტანციურ თეორიას ხელისუფლების რელიგიასთან მიმართების საკითხში. იგი მხო-



ლოდ კეთილგონიერ თვალსაზრისს წარმოადგენს და აცხადებს, რომ ახალი ფედერალური ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს მსგავს საკითხებში. ამ პოზიციიდან გამომდინარე, რელიგიის შესახებ კონსტიტუციური დებულება ფედერალიზმის პროდუქტს წარმოადგენდა: რელიგიის მიმართ სახელისუფლებო პოლიტიკა, ნებისმიერ შემთხვევაში, შტატებს უნდა განესაზღვრათ. ეს კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ 1789 წელს შტატებში უთანხმოებამ დაისადგურა რელიგიისადმი ხელისუფლების დამოკიდებულების განსაზღვრისას. კონგრესის ხანმოკლე დებატების დროს „პირველ შესწორებასთან“ დაკავშირებით არც ერთი ეს დისპუტი არ განუხილავთ დაწვრილებით და არც რაიმე გადაწყვეტილება მიუღიათ. ამრიგად, შესწორების მიმღებთ ისლა დარჩათ, ეს საკითხები შტატებისთვის გადაელოცათ.

თუ ეს პოზიცია მართებულია, მაშინ უნაყოფო აღმოჩნდება „პირველ შესწორებაში“ რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით გარკვეული თეორიული ფორმულირების ძიება. სხვა დასკვნა ის არის, რომ რელიგიის შესახებ კლაუზულების გამოყენება შტატების ხელისუფლებათა შესაზღვრად მოუქნელი ან თუნდაც ალოგიკური გახდებოდა (მე-14 შესწორებაში ინკორპორაციით) თუ რელიგიური კლაუზულების ერთადერთ მიზანს შტატებისათვის რელიგიური საკითხების რეგულირების უფლებამოსილების მინიჭება იყო. მაგრამ ამ „ფედერალიზმს“ კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. რელიგიის თავისუფლების შესახებ სუბსტანციურმა შეხედულებებმა მართლაც შეასრულა გარკვეული როლი რელიგიის თავისუფლების განვითარებაში. ამასთან, მოვლენები შეიძლება დრამატულად განვითარებულიყო იმ დროისთვის, როცა 1868 წელს მე-14 შესწორება ამოქმედდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „პირველი შესწორების“ მიღების მომენტისთვის ახალი ინგლისის სამ შტატში (კონექტიკუტში, მასაჩუსეტსში და ნიუ-ჰემპშირში) შენარჩუნებული იყო „დანესებულ ეკლესიები“. ამ ეკლესიების და მათ მღვდელთმსახურთა ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით ხდებოდა გადასახადების ამოღება (ფედერალიზმის თეორეტიკოსების აზრით, იმ დროს დანესებული ეკლესიების არსებობა ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რის გამოც ფუძემდებლები მათი მხარდაჭერის წინააღმდეგ ვერ წავიდოდნენ). მაგრამ დროთა განმავლობაში რელიგიური გადასახადები ლიბერალური გახდა. თეორიულად, გადაძხვნილი ან თავისუფლდებოდა ბეგარისგან ან თვითონ წყვეტდა, თუ რომელი დენომინაცია მიიღებდა მის გადასახადს.

1800-იანი წლების ადრეულ პერიოდში ახალ ინგლისში ჯერ კიდევ მოქმედი რელიგიური დაბეგვრის სისტემა გაუქმდა, რადგან დომინანტურ კონგრეგაციულ დენომინაციებში დიდი განხეთქილება მოხდა. მასაჩუსეტსში სულ უფრო მეტი მღვდელმსახური და მორწმუნე იღებდა უნიტარულ სარწმუნოებას. ეს მიმდინარეობა უარყოფდა იესოს ღვთაებრიობას. მისმა კონსერვატორმა ოპონენტებმა მოინანიეს ის, რომ შტატის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა ასეთ ერეტიკულ შეხედულებას. ეს ეპიზოდი იმის კარგ მაგალითს წარმოადგენს, თუ როგორ აკვეცს ფრთებს მზარდი რელიგიური პლურალიზმი დანესებულ ეკლესიას. ამ დროს ერთი რომელიმე რელიგიური ორგანიზმი ვეღარ ახერხებს ხელისუფლებისკენ გზის გაკვლევას საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. რელიგიური ბეგარა მასაჩუსეტსში 1833 წელს საბოლოოდ გაუქმდა.

### **მე-19 საუკუნე: პროტესტანტული ქრისტიანობის *de facto* დანესება და მე-14 შესწორების მიღება**

პირველი შესწორების ამოქმედება და რელიგიური დაბეგვრის გაუქმება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ამერიკაში ქრისტიანული რელიგიის მხარდაჭერა დასრულდა. 1800-იანი წლებში ხელისუფლებამ გააგრძელა ძირითადი, არადენომინაციური პროტესტანტიზმის წახალისება და განსხვავებული რელიგიური შეხედულებების უგულვებლყოფა ან შეზღუდვა. ასეთმა ქმედებებმა გამოიწვია პროტესტანტული ქრისტიანობის *de-facto* დანესება.



მე-19 საუკუნის პირველ მესამედში ჯერ კიდევ მოქმედებდა მკრეხელობის, ანუ ღვთისა და ქრისტიანობის გმობის, ამკრძალავი კანონები შტატის დონეზე. ნიუ-იორკის კანცლერი კენტი ასეთ სამართლებრივ დევნას მხარს უჭერდა იმის გამო, რომ „ჩვენ ვართ ქრისტიანი ადამიანები და ქვეყნის ზნეობა ქრისტიანობას ეფუძნება“. ხალხი რუგლზის წინააღმდეგ.<sup>30</sup> სასამართლოები ამ კანონს იწყნარებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ქრისტიანობა ამერიკის შეერთებული შტატების „საერთო სამართლის ნაწილია“ (ვიდალი ჯერარდის აღმასრულებლების წინააღმდეგ<sup>31</sup>). შტატებში ჯერ კიდევ მოქმედებდა კანონები, რომლებიც კვირაობით მუშაობას ან სხვა საქმიანობას კრძალავდა. საუკუნის მიწურულს უზენაესმა სასამართლომ გამოაქვეყნა ამერიკის ფედერალური ხელისუფლების მიერ რელიგიასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებების გრძელი სია და დაასკვნა, რომ „ეს არის ქრისტიანი ერი“ (წმინდა სამების ეკლესია შეერთებული შტატების წინააღმდეგ<sup>32</sup>). ასე რომ, 1900-იან წლებში ჯერ კიდევ გრძელდებოდა არაქრისტიანებისა და არათეისტების საჯარო სამსახურიდან დისკვალიფიკაცია. ბიბლიური ლოცვები და საკითხავები ოფიციალური ცერემონიების ნაწილად რჩებოდა, განსაკუთრებით 1930-40-იან წლებში დაარსებულ ახალ საჯარო სკოლებში. ცხადია, საჯარო სკოლები მნიშვნელოვანწილად იმისთვის იქმნებოდა, რომ დენომინაციური განსხვავებების პირობებში პროტესტანტულ ფასეულობებზე დამყარებული ბავშვთა განათლების სისტემა დამკვიდრებულიყო. მსახურების ასეთი ფორმა – საკითხავები პროტესტანტული (მეფე ჯეიმსის) ბიბლიიდან, ლოცვები და საკითხავები სამღვდლოების ხელმძღვანელობის გარეშე – მიუღებელი იყო მრავალი კათოლიკესათვის, რომელთა რიცხვი იმიგრაციის გამო სწრაფად იზრდებოდა ურბანულ დასახლებებში. ზოგჯერ კათოლიკე ბავშვები ისჯებოდნენ რიტუალებში მონაწილეობაზე უარის გამო და რამდენიმე შემთხვევაში ასეთი დისპუტები ანტიკათოლიკურ ამბოხშიც კი გადაიზარდა (ყველაზე სერიოზული იყო ფილადელფიაში 1844 წელს).

ხელისუფლების საქმიანობაში უპირატესობა ქრისტიანობას ენიჭებოდა, რადგან იგი მე-19 საუკუნის კულტურაში საყოველთაოდ იყო გავრცელებული. 1800-იანი წლების ახლო პერიოდში რელიგიური გამოღვიძების შედეგად, რაც მეთოდისტებისა და ბაპტისტების დამსახურება იყო, ეკლესიის მრევლი სოკოსავით მრავლდებოდა. ამ დენომინაციებმა უარი განაცხადეს მთავრობისაგან ფინანსურ მხარდაჭერაზე. ამ წლებში ეკლესიების სიცოცხლისუნარიანობა უმეტესწილად უკავშირდება იმას, რომ ისინი აღარ ეყრდნობოდნენ ხელისუფლებას (გამოჩენილმა სასულიერო პირმა, ლიმან ბიცერმა, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა კონექტიკუტში რელიგიური გადასახადების შესანარჩუნებლად, მოგვიანებით განაცხადა, რომ გაბატონებული მდგომარეობის გაუქმება ეკლესიისათვის საუკეთესო მოვლენა იყო). მაგრამ ბაპტისტები და მეთოდისტები უერთდებოდნენ სხვა ქრისტიანულ გაერთიანებებს იმის დასამტკიცებლად, რომ ხელისუფლებამ ღიად უნდა დაუჭიროს მხარი ქრისტიანობას და დაეყრდნოს ძირითად ქრისტიანულ სწავლებებს.

დღეს კონსტიტუციის კომენტატორები განსხვავებულ დასკვნებს აკეთებენ 1800-იან წლებში ხელისუფლების მიერ ქრისტიანობის ყოვლისმომცველ მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ზოგიერთის აზრით, ეს ადასტურებს, რომ პირველი შესწორების ავტორები გულისხმობდნენ რომელიმე ერთი ქრისტიანული დენომინაციისათვის უპირატესობის მინიჭების აკრძალვას და ხელისუფლებას უტოვებდნენ უფლებას, მხარი დაეჭირა ძირითადი ქრისტიანული ან „იუდაურ-ქრისტიანული“ ტრადიციისათვის (მოსამართლე ჯოზეფ სთორმა კონსტიტუციის კომენტარებში გაიზიარა ეს შეხედულება და დანერა, რომ რელიგიის კლავიშების მიზანი იყო „არა მამკვიდრიანობის ან იუდაიზმის ხელშეწყობა ან დანინაურება, არამედ ქრისტიანულ სექტებს შორის ყოველგვარი დაპირისპირების გამოორიცილება“). ამგვარი მსჯელობის ოპონენ-

ტები აღნიშნავენ, რომ რელიგიის კლაუზულები იმ დროს ჯერ კიდევ მხოლოდ ფედერალურ ხელისუფლებას ეხებოდა (როგორც ეს უზენაესმა სასამართლომ გახადა ცხადი პერმოლი ახალი ორლენის პირველი მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ<sup>33</sup> საქმეში). შტატებს კონსტიტუციურად ჯერ ისევ ჰქონდათ რელიგიასთან დაკავშირებით საკუთარი პოლიტიკის გატარების უფლება.

ქრისტიანობამ, როგორც ყოველსომცველმა ძალამ ამერიკულ კულტურაში, ასევე დიდი გავლენა მოახდინა პოლიტიკურ და სოციალურ დებატებზე. რელიგიურმა გამოვლიძებამ ქრისტიანული რეფორმატორული მოძრაობა მრავალი მიზეზის გამო გამოიწვია, მათ შორის იყო სპირტიანი სასმელებისაგან თავშეკავება, განათლება და შემწეობა ღარიბებისათვის, აზარტული თამაშების აკრძალვა და მონობის გაუქმება. მონობის დამცველები, ისევე როგორც მათი მოწინააღმდეგეები, ბიბლიას მიმართავდნენ, და აბრაამ ლინკოლნს თავის მეორე საინაუგურაციო მიმართვაში შეეძლო აღენიშნა, რომ ორივე მხარე სამოქალაქო ომში „კითხულობდა ბიბლიას და ლოცულობდა ერთი და იმავე ღმერთის მიმართ“. ლინკოლნის გამოსვლები, ბევრი დღევანდელი საჯარო დისკუსიის მსგავსად, ბიბლიური წარმოდგენებით იყო გამსჭვალული.

მე-19 საუკუნეში პროტესტანტული ეკლესიის *de facto* დანესებამ ასევე წარმოშვა ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და წარმატებული მცდელობები რელიგიური პრაქტიკის აღსაკვეთად. ასეთი იყო ფედერალური ხელისუფლების კამპანია მორმონების ეკლესიის მიერ პოლიგამიის, ანუ მრავალცოლიანობის, აღმოფხვრის მიზნით. პრაქტიკა, რომელსაც ახორციელებდა ბევრი ლიდერი, მაგრამ არა მორმონი მამაკაცების უმრავლესობა, ნაწილობრივ ამ ეკლესიის მიერ ძველი აღთქმის ინტერპრეტაციას ეფუძნებოდა. ნიუ-იორკის ჩრდილოეთ ნაწილში დაარსებული მორმონების მოძრაობა განრისხებულ ბრბოს შუა დასავლეთის შტატებში გაექცა. საბოლოოდ, 1847 წელს, მორმონები გადასახლდნენ დასავლეთში იმ მიწაზე დასამკვიდრებლად, რომელიც შეერთებულ შტატებს მალე უნდა შეეცვია და იუტას ტერიტორიად ექცია. რამდენიმე წლის შემდეგ კონგრესმა უპასუხა საზოგადოებრივ აზრს და პოლიგამია კრიმინალად გამოაცხადა. უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა მორმონებისადმი კანონით დადგენილ მოთხოვნებს. *რეინოლდსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ*<sup>34</sup>.

მაგრამ მორმონების ეკლესიამ მაშინვე როდი უარყო პოლიგამია, ამიტომ ხელისუფლებამ გააძლიერა ზეწოლა. იგი იუტაში ამომრჩევლებისაგან მოითხოვდა ფიცის დადებას, რომ არ ეკუთვნოდნენ პოლიგამიის დამცველ ორგანიზაციას. ბოლოს მან მორმონთა ეკლესიის დახურვისა და მისი ქონების დიდი ნაწილის, მათ შორის სოლტ ლეიკ სიტიში ახალი ტაძრის კონფისკაციის ბრძანება გასცა. უზენაესმა სასამართლომ ორივე მოქმედებას მხარი დაუჭირა იმის საფუძველზე, რომ პოლიგამია წარმოადგენდა საფრთხეს „ქრისტიანობისა და იმ ცივილიზაციის სულისათვის, რომელიც ქრისტიანობამ წარმოშვა დასავლურ სამყაროში“. *უკანასკნელი დღის წმინდანების გაერთიანება შეერთებული შტატების წინააღმდეგ*<sup>35</sup> (კონფისკაციის მხარდაჭერა); იხ. *დევისი ბენსონის წინააღმდეგ*<sup>36</sup> (ფიცის მოთხოვნის მხარდაჭერა). ამის შემდეგ, სულ მალე ეკლესიის პრეზიდენტმა განაცხადა ახალი გამოცხადების შესახებ, რომელიც ეკლესიის წევრებს ათავისუფლებდა პოლიგამიის ვალდებულებისაგან. ეკლესიას დაუბრუნდა ქონება, იუტა კავშირში მიიღეს იმ პირობით, რომ აკრძალავდა პოლიგამიას. მორმონები სოციალურად წარმართველ ძალად და ეკონომიკურად წარმატებულ ჯგუფად ჩამოყალიბების გზას დაადგნენ.

მე-19 საუკუნე სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე რამდენიმე კონსტიტუციური შესწორების მიღებით აღინიშნა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია მე-14 შესწორება (1868), რომელმაც შტატებს აუკრძალა შეერთებული შტატების მოქალაქეების ღირსებისა და ხელშე-

უხელობის ხელყოფა ან ნებისმიერი პიროვნებისთვის ჯეროვან სამართლებრივ პროცედურაზე ან კანონით დაცვის თანაბარ უფლებაზე უარის თქმა. ამ შესწორებით, კერძოდ ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის შესახებ დებულებით 1940-იანი წლების შემდეგ სასამართლომ შტატები და ადგილობრივი მმართველობა უფლებათა ბილის შეზღუდვებს დაუქვემდებარა, რელიგიური კლავუზულების ჩათვლით. თუმცა ჯერ ისევ გრძელდება დებატები იმის თაობაზე, აპირებდნენ თუ არა შესწორების ავტორები და რატიფიკატორები უფლებათა რომელიმე ან ყველა ბილის ინკორპორირებას მე-14 შესწორებაში. რელიგიის თავისუფლების პატივისცემასთან ერთად ინკორპორაციის შესახებ დებატები რთულდება ბლენინის კონსტიტუციური შესწორების ეპიზოდით. ამ შესწორებას შტატების მიმართ რელიგიის კლავუზულები უნდა აემოქმედებინა, მაგრამ 1875 წელს კონგრესმა შესწორება არ მიიღო, რადგან ხმათა აუცილებელი ორი მესამედი დააკლდა სენატში. ინკორპორაციის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ კონგრესი არ განიხილავდა ასეთ შემოთავაზებას, რამდენიმე წლის წინ რომ გადაენწყვიტა რელიგიის კლავუზულების შტატების მიმართ გამოყენება. ინკორპორაციის დამცველები პასუხობენ, რომ ბლენინის კონსტიტუციური შესწორების მიღების მცდელობა შესაძლებელია, აუცილებლობით ყოფილიყო გამოწვეული, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მე-14 შესწორება ითვალისწინებდა ინკორპორაციას, რადგან მას უზენაესმა სასამართლომ ამ დროისათვის სლაუტერ ჰაუზის<sup>37</sup> საქმეში უმართებულად გამოაცალა შინაარსი. ინკორპორაციის სხვა დამცველების მტკიცებით, ბლენინის შესწორება ჩავარდა არა იმიტომ, რომ მას რელიგიის შესახებ ფედერალური კონსტიტუციის დებულებები შტატებზე უნდა გაეგრძელებინა, არამედ იმიტომ, რომ მან აშკარად დაუშვა პროტესტანტული ბიბლიის კითხვა საჯარო სკოლებში, მაშინ როცა „სექტანტურ“ (ან კათოლიკურ) სკოლებს ყოველგვარი დახმარება აუკრძალა.

### **რელიგიური პლურალიზმი, სახელმწიფოსა და ეკლესიებს შორის თანამედროვე ურთიერთობები**

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარმა დიდი ცვლილებები მოიტანა, რამაც ამერიკულ კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პროტესტანტიზმის დომინირება გააქარწყლა. ცენტრალური, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან ხანგრძლივმა იმიგრაციამ ძალზე გაზარდა კათოლიკეების პროცენტული წილი მოსახლეობაში და, აგრეთვე, წარმოშვა მნიშვნელოვანი იუდაური გაერთიანებები, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. თვითონ ქალაქები სწრაფად იზრდებოდა და ხალხს სოფლებიდან ისეთი ცხოვრებისაკენ იზიდავდა, რომელზეც, მცირე ქალაქებისგან განსხვავებით, ეკლესიას თითქმის არანაირი გავლენა არ ჰქონდა. ტრადიციულ რელიგიას უტევდა მძლავრი ახალი მეცნიერული და პოლიტიკური იდეები – განსაკუთრებით აღსანიშნავია დარვინის ევოლუციონისტური თეორია, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა შესაქმის ბიბლიურ სწავლებას, ასევე მარქსისტული სოციალიზმი, რომელიც რელიგიას ოპიუმს უწოდებდა და მიიჩნევდა, რომ ის მუშათა კლასს ჩაგვრასთან შეგუებას აიძულებდა.

ამ ფაქტორების გავლენით შეერთებული შტატები 1900-იანი წლების ადრეულ ხანაში რელიგიურ საკითხებში სულ უფრო პლურალისტური და სეკულარიზებული ხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, გავლენიან პროფესიულ და აკადემიურ წრეებში.

პროტესტანტიზმის ერთ-ერთი ფრთა ცდილობდა ახალ გარემოში ადაპტაციას ბიბლიის ე.წ. ისტორიული კრიტიკის მიღებით, ზოგიერთი ორთოდოქსული დოქტრინის პირდაპირის ნაცვლად სიმბოლური გაგებით. ისინი თანამედროვე ინდუსტრიული პირობების დაგმობისათვის ქრისტიანული „მესიჯის“ განმარტებას („სოციალური სახარება“) იყენებდნენ. კონსერვატორული ფრთა ეწინააღმდეგებოდა ყველა ამ ცვლილებას ქრისტიანული „საფუძვლების“ („ფუნდამენტური პრინციპების“) სახელით. თუმცა ფუნდამენტალისტების მცდელობამ, თა-

ვიანთი დენომინაციებიდან მეტი ლიბერალური ელემენტი გაეძევებინათ, მარცხი განიცადა. გარდა ამისა, ტენესიში 1925 წლის სკოუპსის სასამართლო პროცესის შემდეგ, რომლის დროსაც ბიოლოგიის მასწავლებელი დარეინის ევოლუციის სწავლების გამო იდევნებოდა, ფუნდამენტალისტები საყოველთაოდ აღიქვეს, როგორც ჩამორჩენილები და ანტიინტელექტუალები. ბევრმა ფუნდამენტალისტმა უარი განაცხადა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკაში მონაწილეობაზე და კონცენტრირება მოახდინა საკუთარი სკოლებისა და მედია გამოცემების შექმნაზე. ისინი არ უნდა გამოჩენილიყვნენ პოლიტიკაში თითქმის 50 წლის მანძილზე, მაგრამ როდესაც გამოჩნდებოდნენ, ეს შურისძიების მიზნით უნდა მომხდარიყო.

ამ დროისათვის უზენაესმა სასამართლომ დაიწყო ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლითაც ნათელი გახდა, რომ რელიგიის თავისუფლება კონსტიტუციურად იყო დაცული როგორც შტატის, ისე ფედერალური ხელისუფლების დონეზე, შესაბამისად კონსტიტუციური შეზღუდვები ხელისუფლების ქმედებების გაცილებით ფართო სპექტრზე გავრცელდა. ძირითადი ნაბიჯი 1920-იან წლებში გადაიდგა, როდესაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნებრასკის შტატის კანონი, რომელიც ყველა სკოლას უკრძალავდა უცხო ენების სწავლებას (რადგან ეს ხეობდა რელიგიურ და სხვა კერძო სკოლებს); ასევე გააუქმა ორეგონის კანონი, რომელიც მშობლებს უკრძალავდა ბავშვების გაგზავნას საჯარო სკოლის გარდა სხვა სკოლებში. *მეიერი ნებრასკის წინააღმდეგ*<sup>38</sup>; *პირსი დების საზოგადოების წინააღმდეგ*<sup>39</sup>. ორივე კანონი კათოლიკე იმიგრანტების წინააღმდეგ ამოქმედდა. სასამართლომ დაადგინა, რომ კანონები არღვევდა მე-14 შესწორებას, რადგან მშობლებს ართმევდა თავისუფლებას ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე. სასამართლოს განცხადებით, ეს თავისუფლება გულისხმობდა შტატის მხრიდან არაგონივრული ჩარევის გარეშე ღვთისმსახურებისა და ბავშვის აღზრდის უფლებას.

საქმეები *მეიერი* და *პირსი* დაფუძნებულ იქნა ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის კლაუზულის იმავე ინტერპრეტაციაზე, რომელსაც სასამართლო ეკონომიკური რეგულირების გარკვეული ფორმების არაკონსტიტუციურად გამოცხადებისათვის იყენებდა „ახალი კურსის“ (პრეზიდენტ რუზველტის ინიციატივით განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები, რაც „დიდი დეპრესიის“ სახელწოდებით ცნობილ ეკონომიკურ ვარდნას მოჰყვა) წინმსწრებ წლებში. თუმცა აღმსარებლობის თავისუფლების საფუძველზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა სასამართლოს გზა გაუხსნა, რომ სრულად მოეხდინა პირველი შესწორების რელიგიის თავისუფლების შესახებ გარანტიების ინკორპორირება მე-14 შესწორებაში. უზენაესმა სასამართლომ 1940-იან წლებში მოახდინა ორი რელიგიური კლაუზულის ორ გადაწყვეტილებად ინკორპორირება. *ქენტველი კონექტიკუტის წინააღმდეგ*<sup>40</sup> (აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა); *ვეერსონი განათლების საბჭოს წინააღმდეგ*<sup>41</sup> (დანესების კლაუზულა).

*ქენტველის საქმეზე* მიღებული გადაწყვეტილება მრავალი წინა გადაწყვეტილების მსგავსად, რომლებიც რელიგიურ საქმიანობას ფედერალური და შტატების ადგილობრივი კანონებისაგან იცავდა, იელოვას მოწმეებს შეეხებოდა. ამ აგრესიულმა სექტამ ფართოდ გაუხსნა გზა ქადაგებას და კარდაკარ სიარულს 1930-40-იან წლებში. ისინი სიტყვიერიდან ესხმოდნენ თავს შეერთებული შტატების მთავრობას და ორგანიზებულ რელიგიას, განსაკუთრებით კათოლიკურ ეკლესიას. შტატებისა და ქალაქების მცდელობები, შეეზღუდათ მოწმეთა საქმიანობა 1938-53 წლებში, უზენაესი სასამართლოს 18 გადაწყვეტილების საფუძველი გახდა. სასამართლომ თანდათან დაიწყო იმის აღიარება, რომ არსებულმა რეგულაციებმა გზა უნდა გაუხსნას „იელოვას მოწმეების“ უფლებებს როგორც სიტყვის თავისუფლების, ისე რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის თვალსაზრისით. მას შემდეგ, რაც „ახალი კურსის“ სასამართლომ ხელისუფლების ეკონომიკური რეგულაციების გათვალისწინება დაიწყო, ამ გადაწყვე-

ტილებებმა გამოხატვა და რელიგია იმ „უპირატესობის მქონე თავისუფლებებს შორის“ დაანესეს, რომელთა შესაზღუდად კარგად არგუმენტირებული გამართლება იყო საჭირო.

1950-იან წლებში მოხდა ტრადიციული რელიგიური თვითშეგნების გამოღვიძება, ისევე როგორც მშობლებმა დაიწყეს „დემოგრაფიული ბუმის“ (შობადობის მკვეთრი ზრდა, 1946-1964) თაობის აღზრდა და ერი საბჭოთა კომუნიზმთან და ათეისტურ ფილოსოფიასთან ბრძოლაში იბრძმედებოდა. მაგრამ რელიგიასთან დაკავშირებული კურსი, რომლის მხარდაჭერასაც ხელისუფლება ესწრაფოდა, ერის გაზრდილ პლურალიზმს ასახავდა: პროტესტანტიზმიდან წარმოიშვა ის აზრი, რომ კათოლიციზმი და იუდაიზმი ჩართულიყო საერთო „იუდაურ-ქრისტიანულ“ ტრადიციაში, როგორც აღინიშნა ვილ ჰერბერგის წიგნში „*Protestant Catholic Jew*“ (1955). კონგრესმა შეცვალა ერთგულების ფიცი 1954 წელს და სიტყვები „ერთი ერი, განუყოფელი“ შეცვალა სიტყვებით „ერთი ერი, ღვთის წინაშე განუყოფელი“. ალბათ, სწორედ ეროვნული ხასიათის გათვალისწინებით, უზენაესმა სასამართლომ გამოთქვა აზრი: „ჩვენ ვართ რელიგიური ხალხი, რომლის ინსტიტუტები მოიცავენ უზენაესი არსების რწმენას“. ზორაბი კლაუსონის წინააღმდეგ.<sup>42</sup>

თუმცა 1960-70-იან წლებში, ერლ უორენისა და უორენ ბურგერის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეებად ყოფნის დროს, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილებები, რომლებმაც დრამატული გავლენა იქონია სახელმწიფო ხელისუფლებასა და რელიგიას შორის ურთიერთქმედების სისტემაზე. სასამართლომ შეაჩერა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საჯარო სკოლებში ლოცვა და ბიბლიის კითხვა – პრაქტიკა, რომელიც ფართოდ გავრცელდა საჯარო სკოლების შექმნის შემდეგ. *ენჯელი ვიტალეს წინააღმდეგ*;<sup>43</sup> *აბინგტონის სასკოლო ოლქი შემპის წინააღმდეგ*.<sup>44</sup> მოგვიანებით მან არაკონსტიტუციურად ცნო რელიგიურ დანყებით და საშუალო სკოლებში მასწავლებლების სახელმწიფო დახმარების პროგრამა. *ლემონი კურცმანის წინააღმდეგ*.<sup>45</sup>

ამ გადაწყვეტილებებმა გამოიწვია მძლავრი, მკვეთრად დაპირისპირებული რეაქციები საზოგადოებაში და კონსტიტუციის კომენტატორთა შორის. ზოგიერთმა იგი აღიქვა, როგორც გარდაუვალი პასუხები ამერიკის მხარდ რელიგიურ პლურალიზმზე, რომელმაც ცალკეული რელიგიური წეს-ჩვეულებების ნებისმიერი სახელისუფლებო მხარდაჭერა მეტად მიკერძოებული გახადა და ამ მხარდაჭერიდან ბევრი მოქალაქე გამოირიცხა. ამ თვალსაზრისით, სასამართლო უბრალოდ მისდევდა რელიგიის კლაუზულების ლოგიკას იმ მსახურებათა აღსაკვეთად, რომლებმაც ადრე თავი დააღწიეს გულდასმით შემომნებას, რადგან ისინი მრავალი ქრისტიანისათვის უვნებლად მიიჩნეოდა.

საზოგადოებაში ბევრი ამ გადაწყვეტილებებს ისე აღიქვამდა, თითქოს ისინი ასახავდა და აძლიერებდა საზოგადოებაში სეკულარულ მიმართულებას, ხელისუფლებისაგან მოითხოვდა რელიგიური ზეგავლენისაგან სრულად გათავისუფლებას და რელიგიის შეზღუდვას ადამიანების პირადი ცხოვრებით. განსაკუთრებით არაპოპულარული იყო სკოლაში ლოცვის შესახებ გადაწყვეტილებები. ოპონენტებმა რამდენჯერმე სცადეს გადაწყვეტილებების გაუქმება კონსტიტუციური შესწორებების ინიცირებით 1960-იან წლებში, მაგრამ მათი მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა.

სკოლაში ლოცვის შესახებ გადაწყვეტილებებმა სხვა სამართლებრივ და კულტურულ გარემოებებთან ერთად, როგორც იყო აბორტის უფლების აღიარება (რო უედის წინააღმდეგ<sup>46</sup>), გამოაცოცხლა კონსერვატორი პროტესტანტების დიდი ნაწილი, რომლებიც 1920-იანი წლების შემდეგ პოლიტიკურ არენაზე შედარებით ნაკლებად აქტიურობდნენ. 1970-იანი წლების დასაწყისში ისეთმა ჯგუფებმა, როგორებიც იყვნენ „ზნეობრივი უმრავლესობა“ და, მოგვიანებით, „ქრისტიანული კოალიცია“, ამომრჩევლების მობილიზაცია მოახდინეს კონ-



სერვატიული სოციალური პოლიტიკის მხარდასაჭერად: აბორტის შეზღუდვა, ჰომოსექსუალისტთა უფლებების წინააღმდეგ ბრძოლა, საჯარო სკოლებში ორგანიზებული ლოცვის აღდგენა და ა. შ. ამ „რელიგიურმა უფლებამ“, რომელსაც მრავალი კონსერვატორი კათოლიკე და კონსერვატორ ებრაელთა მცირე ნაწილი შეუერთდა, გარკვეული როლი შეასრულა პრეზიდენტების – რეიგანისა და ბუშის არჩევაში.

რელიგიური უფლებების წინ წამოწევამ საფუძველი ჩაუყარა ახალ დებატებს ამერიკულ პოლიტიკაში რელიგიის სათანადო როლის თაობაზე. მოძრაობის წევრებს „საკუთარი რელიგიური შეხედულებების“ სხვებისთვის თავს მოხვევის მცდელობაში დასდეს ბრალი. მათ უპასუხეს, რომ პოლიტიკის გზით თავიანთი რელიგიური შეხედულებების გამოთქმისას ისინი მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რაც სხვა ამერიკელებმა, განსაკუთრებით პოლიტიკურმა ლიბერალებმა დიდი ხნით ადრე გააკეთეს ისეთი კამპანიებით, როგორიცაა მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისათვის.

კონსერვატიული რელიგიური აქტივიზმის გაძლიერებამ წარმოშვა აგრეთვე ახალი დებატები რელიგიის კლავშულების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელ კანდიდატთა დაპირებებს შორის იყო იმ ფედერალური მოსამართლეების დანიშვნა, რომლებიც ხელისუფლებასა და რელიგიასთან დაკავშირებით უმრავლესობის შეხედულებების ამსახველ „სასამართლო შეზღუდვებს დაანესებდნენ“. რესპუბლიკელების მიერ უზენაესი სასამართლოს რამდენიმე მოსამართლის დანიშვნამ სასამართლო ცალკეულ სფეროებში სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის მკაცრი ფორმების შემსუბუქებამდე მიიყვანა, რაც განსაკუთრებით რელიგიური ორგანიზაციებისათვის შედარებით ფართო სამთავრობო დახმარების დაშვებაში გამოიხატა. თუმცა როგორც ვნახავთ, თანამედროვე სასამართლომ ასევე ხელახლა დაამტკიცა 1960-70-იანი წლების მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის საჯარო სკოლებში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ლოცვის აკრძალვა (ლი ვაისმანის წინააღმდეგ<sup>47</sup>).

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის თავისუფლების ფუძემდებლური პრინციპები მსგავსია ამერიკის მთელი ისტორიის განმავლობაში, წარმოებულმა დებატებმა წარმოდგინებები შეცვალა იმ გაგებით, რომ ამერიკაში მზარდი რელიგიური პლურალიზმი და, შესაბამისად, რელიგიურ უმცირესობებზე ვალდებულებების დაკისრების პოტენციური შესაძლებლობის ცოდნის საჭიროება გამოააშკარავა. პირველი შესწორების მიღების დროისათვის ღვთისადმი ან თუნდაც იესოსადმი ოფიციალური ლოცვა ამერიკელთა უმრავლესობისათვის სადავო არ იყო. თუმცა დღეს ასეთი ლოცვა კონსტიტუციურად საკამათო ხასიათს ატარებს. მაშინ, როცა რადიკალი როჯერ უილიამსი „ათი მცნების“ ბოლო ხუთი თეზისზე დაფუძნებულ კანონმდებლობას უჭერდა მხარს, დღეს მეცნიერები სერიოზულად განიხილავენ საკითხს, შეიძლება თუ არა, რომ კანონები მნიშვნელოვანწილად რელიგიურ ღირებულებებს დაეფუძნოს. მოსამართლეები და კონსტიტუციის კომენტატორები დავობენ, ეს ცვლილებები სახელმწიფოსა და რელიგიისადმი ისტორიული მიდგომის უარყოფას ასახავს, თუ ისინი უბრალოდ რელიგიის თავისუფლების დამკვიდრებელი პრინციპების გამოყენებას გულისხმობს ამერიკელი ერის მზარდი რელიგიური პლურალიზმით შექმნილ ახალ გარემოებებთან შეთავსებით.



კარდაკარ ქადაგება და  
რელიგიური ლიტერატურის გავრცელება

*ხოლო თერთმეტი მოწაფე წავიდა  
გალილეას, იმ მთაზე, რომელიც იესომ  
დაუთქვა მათ. ნახეს იგი და თაყვანი სცეს,  
ზოგს კი ეჭვი ეპარებოდა. მოვიდა იესო  
მათთან და უთხრა: „მოცემული მაქვს მე  
მთელი ხელმწიფება ცაში და დედამიწაზე.  
ამიტომ წადით და მოიმოწაფეთ ყველა  
ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა  
და სულიწმიდის სახელით. ასწავლეთ მათ  
ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. აჰა,  
მე თქვენთანა ვარ ყოველდღე  
წუთისოფლის აღსასრულამდე.“*

მათეს სახარება 28: 16-20

მრავალი ქრისტიანული საზოგადოება ეყრდნობა ზემოთ მოცემულ ტექსტს (რომელიც ასევე „წმინდა მისიის“ სახელითაა ცნობილი), როგორც მათი რელიგიური რწმენის სხვებისათვის გაზიარების ძირითად ბიბლიურ საფუძველს. მაგრამ ერთ-ერთი რელიგიური ჯგუფის, იელოვას მოწმეების მიერ რელიგიის სახელმწიფო რეგულირებისადმი კონსტიტუციურმა გამონწვევამ იმ კატალიზატორის როლი შეასრულა, რომელმაც ეს საკითხი და ზოგადად რელიგიის თავისუფლების ინტერპრეტაციის პრობლემა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს წინაშე დააყენა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც სასამართლო პირველი შესწორებით გათვალისწინებულ თავისუფლებებს მე-14 შესწორებაში არსებული „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის“ გარანტიის კონტექსტში განიხილავდა. მე-18 საუკუნის ბაპტისტების მსგავსად იელოვას მოწმეები ძირითადი პროტესტანტული ეკლესიის გარეთ არსებულ ევანგელიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ. მე-

19 საუკუნის მორმონების მსგავსად მონმეები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იყვნენ. მეოცე საუკუნის კათოლიკეთა მსგავსად მათ უზენაესი ხელისუფალი მართავდა. და როგორც მენონიტები, იელოვას მონმეები სამოქალაქო თავისუფლებებისათვის მებრძოლნიც იყვნენ და იმავდროულად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ საკუთარ რიგებში ორთოდოქსიის შენარჩუნებას.<sup>48</sup> პარადოქსია, მაგრამ მათ ყველა „რელიგიონისტის“ თვალთმაქცობას შეუტიეს და იმ წესებისგან გათავისუფლება მოითხოვეს, რომლებიც მათ საკუთარი „რელიგიის“ თავისუფლად აღმსარებლობას უზღუდავდა.

1880 წელს პიტსბურგში ჩარლზ თეიზ რასელმა დაიწყო სიონის საგუშაგო კოშკისა და ქრისტეს არსებობის მახარობლის<sup>49</sup> გამოქვეყნება, რომლითაც ასწავლიდა, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლა მოახლოებული იყო. რელიგიური წიგნების გამყიდველებმა – „კოლპორტერებმა“ (ასე ეძახდნენ უფრო ადრე ბიბლიის ევანგელისტ გამავრცელებლებს) რასელის ნაშრომები შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის ტერიტორიაზე გაყიდეს. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ საგუშაგო კოშკს 45 000 ხელმომწერი ჰყავდა.<sup>50</sup>

1916 წელს, რასელის გარდაცვალების შემდეგ, ჯოზეფ ფრანკლინ რუთერფორდი გახდა Watch Tower Bible-ისა (ბიბლიის საგუშაგო კოშკი) და Tract Society-ის (ტრაქტატის საზოგადოება) პრეზიდენტი, ნიუ-იორკში არსებული კორპორაციისა, რომელიც მთელ საეკლესიო ქონებაზე ინარჩუნებდა საკუთრების უფლებას. რუთერფორდი იყო ადვოკატი, ერთ დროს კი მოსამართლე მისურის შტატში, რის შედეგადაც მას, ჩვეულებრივ, მოსამართლე რუთერფორდს ეძახდნენ. მომდევნო წელს რუთერფორდს ნაუყენეს ბრალდება 1917 წლის ჯამუშობის აქტის საფუძველზე, რომლის თანახმადაც მას სამხედრო სამსახურში განწვევის ობსტრუქციისა და შეიარაღებულ ძალებში დაუმორჩილებლობის ნაქეზებაში ადანაშაულებდნენ. ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულება იყო მისი პუბლიკაცია დასრულებული მისტერია, წიგნი, რომელიც აკრიტიკებდა „პატრიოტიზმს“, როგორც სატანის ერთ-ერთ „უდიდეს უწმინდურობას“, მკვლელობის მსგავსად გამოხდა ომს და აცხადებდა, რომ არაფერი შეიძლება იყოს ამქვეყნად ერთი ადამიანის სიცოცხლეზე მნიშვნელოვანი. სასამართლო პროცესზე ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ რუთერფორდი „ურჩევდა სამხედროვალდებულ პირებს, მოეთხოვათ განწვევისგან გათავისუფლება, ხოლო განწვევის შემთხვევაში უარი ეთქვათ მოვალეობების შესრულებაზე“.<sup>51</sup> მისი წიგნისა და რჩევების გამო რუთერფორდსა და სხვა ექვს ბრალდებულს ფედერალურ ციხეში ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გასაჩივრების შედეგად რუთერფორდს ბრალდება მოეხსნა და ხელისუფლებამ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა. დასრულებული მისტერიის გავრცელებისთვის სხვა იელოვას მონმეებსაც დიდი ვადებით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს<sup>52</sup> (სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გამავრცელებლებს „ბოროტი“ განზრახვა ამოძრავებდათ). ამ პროცესების წყალობით მოსამართლე რუთერფორდმა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულებით დაუვიწყარი და უნიკალური გამოცდილება მიიღო.

ლიცენზიის გარეშე საკუთარი ლიტერატურის გაყიდვისათვის იელოვას მონმეები სისხლისსამართლებრივ დევნას ჯერ კიდევ 1928 წელს განიცდიდნენ. ამ დრომდე მონმეებს საყოველთაოდ ჰქონდათ აღიარებული, რომ როდესაც პავლე მოციქული ქადაგებდა, ყოველი სული უმაღლეს ხელმწიფებას უნდა დაემორჩილოსო (რომაელთა 13:1), ამ ხელმწიფებაში სამოქალაქო ხელისუფლებას გულისხმობდა. 1929 წელს კი მოსამართლე რუთერფორდმა „ხელმწიფების“ სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინა და მასში ღმერთსა და ქრისტეს მოიაზრებდა. 1930-იან წლებში მონმეებსა და ადგილობრივ სალიცენზიო სტრუქტურებს შორის არსებული კონფლიქტი გამწვავდა და 1933 წელს რუთერფორდმა გასცა ბრძანება, გაესაჩივრებინათ ყველა გამამტყუნებელი სასამართლო გადაწყვეტილება. 1935 წელს მან ჩამოაყალიბა იურიდი-

ული დებარტამენტი იელოვას მონმის, ოლინ რ. მოილის ხელმძღვანელობით, რათა მომხდარიყო მონმეების იურიდიული დაცვის კოორდინირება.<sup>53</sup>

კვირაობით, მათი ყოველდღიური საქმიანობისგან თავისუფალ დღეს, მონმეები თემებში და საზოგადოებებში ავრცელებდნენ საკუთარ ტრაქტატებს, რითაც იგნორირებას უწევდნენ ადგილობრივ სამართლებრივ შეზღუდვებს, რომლებიც, მათი მტკიცებით, ხელს უშლიდა მათ საღვთო დავალებების განხორციელებაში. უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა მორმონთა შესახებ საქმეებით და 1937 წელს ერთსულოვნად უარყო მოთხოვნა ფედერალურ იურისდიქციაზე, რითაც ლიტერატურის რელიგიით მოტივირებული გამავრცელებლები დაცვის გარეშე დატოვა (*ქოულმენი ქალაქ გრიფინის წინააღმდეგ*<sup>54</sup>). თუმცა მომდევნო წელს რვა ხმით არც ერთის წინააღმდეგ უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქ. გრიფინის გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ ის კონსტიტუციის დარღვევით ზღუდავდა მონმეთა სიტყვისა და პრესის თავისუფლებას. მოსამართლე ჩარლზ ევანს ჰიუზმა ეს თავისუფლებები დაახასიათა, როგორც მე-14 შესწორების დაცვის ფარგლებში მოქცეული „ფუნდამენტური პერსონალური უფლებები“. მიუხედავად ამისა, სასამართლომ წმინდა რელიგიური უფლება ისევ დაცვის გარეშე დატოვა. ეს გამარჯვება მეტწილად ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანების (იმ დროს ამერიკის თავისუფლებათა გაერთიანების) მიერ იყო მოპოვებული, რომელმაც მონმეებს დახმარება აღმოუჩინა. 1939 წელს სასამართლომ რვა ხმით ერთის წინააღმდეგ გააუქმა კიდევ ოთხი მუნიციპალური გადაწყვეტილება, როგორც სიტყვისა და პრესის თავისუფლებების შეზღუდვა (*შნაიდერი ირვინგტონის წინააღმდეგ*<sup>55</sup>).

მიუხედავად ყველაფრისა, უზენაეს სასამართლოს რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის შესახებ დადებითი გადაწყვეტილება 1940 წლამდე არ გამოუტანია. ამ საქმეში (*ქენტველი კონექტიკუტის შტატის წინააღმდეგ*<sup>56</sup>) მონმეებს უკვე ჰყიდნენ ქოვინგტონი წარმოადგენდა, ახალგაზრდა იელოვას მონმე ტეხასის შტატიდან, რომლითაც რუთერფორდმა მოილი შეცვალა. მან უზენაეს სასამართლოში წარმოებული დავებით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია და თხუთმეტი წლის განმავლობაში ოცდათექვსმეტი საქმე მოიგო. ქენტველის საქმე კი იმიტომ იყო აღსანიშნავი, რომ სასამართლომ, რომლის შემადგენლობაშიც პრეზიდენტ რუზველტის მიერ დანიშნული მოსამართლეებიც შედიოდნენ (ბლეიკი, რიდი, ფრანკ-ფურტერი, დუგლასი და მერფი), ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

### *ქენტველი კონექტიკუტის შტატის წინააღმდეგ*<sup>57</sup>

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ნიუტონ ქენტველი და მისი ორი ვაჟი, ჯესი და რასელი, ეგრეთ წოდებული იელოვას მონმეების ჯგუფის წევრები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ნაკურთხი სასულიერო პირები იყვნენ, ნიუ-ჰევენში, კონექტიკუტის შტატის პოლიციამ დააკავა, და თითოეულ მათგანს ხუთ ეპიზოდიანი ბრალდება წაუყენეს. ნიუ-ჰევენის ოლქის საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებით თითოეულ მათგანს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა კონექტიკუტის შტატის ზოგადი საკანონმდებლო აქტების 6294-ე მუხლის დარღვევისა და მშვიდობის დარღვევის ნაქეზებისათვის. უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების შედეგად სამივე ბრალდებულს ხელახლა დაუმტკიცდა 6294-ე მუხლის დარღვევა, ხოლო ჯესი ქენტველს მშვიდობის დარღვევის ნაქეზებაც.

6294-ე მუხლის დარღვევაზე საბრალდებო დასკვნა შემდეგ ფაქტებს ემყარებოდა: მათი დაკავების დღეს აპელანტები ცალ-ცალკე დადიოდნენ კარდაკარ ნიუ-ჰევენში, კასიუსის ქუჩაზე. თითოეულ მათგანს თან ჰქონდა ჩანთა, ნიგნები და პამფლეტებით რელიგიურ საკითხებზე, პორტატული ფონოგრაფი და ფირფიტების კომპლექტი, რომელიც დაკვირვების მსმენელს ამა თუ იმ წიგნს აცნობდა და აღუწერდა. თითოეული აპელანტი სთხოვდა კარის გამღებ

პირს ნებართვას, ესა თუ ის ფირფიტა ჩაერთო. ნებართვის შემთხვევაში აპელანტები სთხოვდნენ პირებს, აღწერილი წიგნები შეეძინათ, ხოლო უარის შემთხვევაში ისინი მოითხოვდნენ შემოწმებულ პამფლეტების დასაბეჭდად. შემოწმებულობის მიღების შემთხვევაში პირებს გადასცემდნენ პამფლეტს იმ პირობით, რომ ისინი მას ნაიკითხავდნენ.

კასიუსის ქუჩა მჭიდროდ დასახლებულ რაიონში მდებარეობდა, სადაც მოსახლეობა 90 პროცენტი კათოლიკე იყო. ერთ-ერთი ფირფიტა აღწერდა წიგნს სათაურით „მტრები“ და კათოლიკურ რელიგიას აკრიტიკებდა. ინტერვიუჩამორთმეული პირებიდან იელოვას მოწმეთა რიგებში არც ერთი არ ყოფილა.

იმ საკანონმდებლო აქტის თანახმად, რომლის ფარგლებშიც აპელანტებს ბრალი წაეყენათ, „არც ერთ პირს არა აქვს უფლება, გამოითხოვოს ფული, რაიმე სახის მომსახურება, ძვირფასი ნივთი, ან მოითხოვოს გამოცემის გამოწერა ნებისმიერი რელიგიური, საქველმოქმედო თუ ფილანტროპული მიზნებისათვის, თუ ეს არ ხდება იმ ორგანიზაციის წევრისგან, რომლის საკეთილდღეოდაც გამოთხოვას აქვს ადგილი, ან, თუ ეს გამოთხოვა იმ ოლქში არ ხდება, სადაც ეს პირი ან ორგანიზაცია მდებარეობს მანამ, სანამ გამოთხოვის მიზნის სანქცირებას საზოგადოებრივი კეთილდღეობის საბჭოს მდივანი არ მოახდენს. ნებისმიერი პირის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში მდივანი გადაწყვეტს, ამ ქმედებების მიზანი რელიგიური იყო თუ საქველმოქმედო და ფილანტროპული და დარღვევების არარსებობის შემთხვევაში გასცემს პასუხისმგებელ პირზე შესაბამის სერტიფიკატს. ეს სერტიფიკატი შესაძლოა ნებისმიერ დროს გაუქმდეს. ამ მუხლის ნებისმიერი დებულების დარღვევის შედეგად პირი დაჯარიმდება არა უმეტეს ასი აშშ დოლარით ან მოხდება მისი დაპატიმრება არა უმეტეს ოცდაათი დღით...“

უზენაესი სასამართლოს განცხადებით, ამგვარად განმარტებული და აპელანტების წინააღმდეგ გამოყენებული საკანონმდებლო აქტი, ზღუდავს მათ თავისუფლებას ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე, რაც მე-14 შესწორების დარღვევაა. ამ შესწორებაში ფორმულირებული თავისუფლების ფუნდამენტური კონცეფცია მჭიდრო კავშირშია პირველი შესწორებით გარანტირებულ თავისუფლებებთან. პირველი შესწორების თანახმად, კონგრესმა არ უნდა მიიღოს კანონი, რომელიც დაანებს რელიგიას ან შეზღუდავს აღმსარებლობის თავისუფლებას. მე-14 შესწორების თანახმად, შტატების კანონმდებლნი ისევე არ არიან უფლებამოსილნი მიიღონ ამგვარი კანონები, როგორც თვით კონგრესი. კონსტიტუციის მიერ რელიგიურ საკითხთან დაკავშირებულ საკანონმდებლო შეზღუდვებს თან ორი ასპექტი ახლავს. ერთი მხრივ, ის ათავისუფლებს პირებს რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის კანონის იძულებით აღმსარებლობისაგან. სინდისის თავისუფლება და ინდივიდის უფლება, მიემხროს ამა თუ იმ რელიგიურ ორგანიზაციას თუ აირჩიოს ღვთისმსახურების ესა თუ ის ფორმა, არ შეიძლება კანონით შეიზღუდოს. მეორე მხრივ, ის უზრუნველყოფს რელიგიის არჩეული ფორმის თავისუფლად აღმსარებლობას. ამგვარად, შესწორება ორ კონცეფციას მოიცავს: რწმენის თავისუფლებასა და მოქმედების თავისუფლებას. პირველი აბსოლუტური თავისუფლებაა, მეორე კი, ბუნებრივია, არა. საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ქმედებები რელიგიის ნიადაგზე გარკვეულ წესებს ექვემდებარება. მოქმედების თავისუფლებას სათანადო განმარტება უნდა მიეცეს, რათა შესაძლებელი გახდეს საზოგადოების სათანადო დაცვის უზრუნველყოფა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული სახელისუფლებო უფლებამოსილებით უსამართლოდ არ უნდა შეიზღუდოს კონსტიტუციით დაცული თავისუფლებები. სახელმწიფოს არა აქვს აბსოლუტური უფლებამოსილება, ვინმეს ქადაგების ან რელიგიური მოსაზრებების გავრცელების უფლება ჩამოართვას. ნათელია, რომ ასეთი აბსოლუტური შეზღუდვა კონსტიტუციურ გარანტიებს დაარღვევდა. ასევე

ნათელია, რომ სახელმწიფოს ზოგადი დანიშნულებისა და არადისკრიმინაციული კანონმდებლობით შეუძლია დაარეგულიროს დრო, ადგილი და ქუჩებში ქადაგებისა და შეკრების წესები; აგრეთვე უზრუნველყოს მშვიდობა, წესრიგი და საზოგადოების კეთილდღეობა მე-14 შესწორებით დაცული თავისუფლებების დარღვევების გარეშე. აპელანტები მართებულად ამტკიცებენ, რომ გასაჩივრებული საკანონმდებლო აქტი ასეთ წესს არ წარმოადგენს. თუ სერტიფიკატი მოპოვებული იქნება, ქადაგება და გამოთხოვა ნებადართული იქნება ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, ხოლო სერტიფიკატის არარსებობის შემთხვევაში გამოთხოვა კატეგორიულად იკრძალება.

აპელანტები ამტკიცებენ, რომ საქმიანობის განხორციელებისათვის მათთვის სერტიფიკატის მოპოვების მოთხოვნა კონსტიტუციის კონტექსტში რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის დარღვევას წარმოადგენს. შტატის მტკიცებით კი, საკანონმდებლო აქტი, განმარტებული კონექტიკუტის შტატის უზენაესი სასამართლოს მიერ, არ აწესებს რაიმე სახის შეზღუდვებს რელიგიურ სწავლებაზე ან რელიგიური მოსაზრებების გავრცელებაზე, არამედ უზრუნველყოფს რელიგიის საფარველის ქვეშ რაიმე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის აღკვეთას. თუ დავუშვებთ, რომ ეს მართლაც ასეა, გასარკვევი ხდება, რამდენად წარმოადგენს კონექტიკუტის შტატის მიერ ამ მიზნით გამოყენებული მეთოდი კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლებების შელახვას.

აქვე აღსანიშნავია, რომ აქტის მოთხოვნის შესაბამისად კონკრეტული უფლებამოსილება შტატის საზოგადოებრივი კეთილდღეობის საბჭოს მდივნის ხელშია. მას შეუძლია გადაწყვიტოს, არის თუ არა ქმედების მოტივი რელიგიური და შესაბამისად, გაცეს თუ არა სერტიფიკატი. თუ იგი დაადგენს, რომ ქმედების მოტივი რელიგიური არ იყო, მაშინ ეს ქმედება დანაშაულად იქცევა. მისი გადაწყვეტილება სერტიფიკატის გაცემისა თუ არგაცემის თაობაზე მოიცავს ფაქტების შეფასებას, შესაბამის მსჯელობას და გადაწყვეტილების ფორმულირებას. მას შეუძლია უარი თქვას სერტიფიკატის გაცემაზე, თუ მიიჩნევს, რომ ქმედების მოტივი არარელიგიური იყო. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მიხედვით რელიგიაზე ამგვარი ცენზურის დაწესება კონსტიტუციის პირველი და მე-14 შესწორებებით გათვალისწინებულ თავისუფლებებს ლახავს.

ყოველივე ზემოთქმული არ უნდა იყოს ისე აღქმული, თითქოს რელიგიის საფარველის ქვეშ პირებს უფლება აქვთ, დაუსჯელად ჩაიდინონ საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. ამგვარი ქმედებების დასასჯელად სისხლის სამართლის კანონმდებლობა არსებობს. ეჭვგარეშეა, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება, დაიცვას საკუთარი მოქალაქეები თაღლითობისგან: ამა თუ იმ თემისთვის უცნობი პირისთვის რაიმე მიზნით თანხების გამოთხოვის ნების დართვამდე მოსთხოვოს მას პირადობის იდენტიფიკაცია და ამ მიზნების განხორციელებისათვის მის ხელთ არსებული კანონიერი უფლებამოსილება. ასევე, სახელმწიფოს შეუძლია თავისუფლად დაარეგულიროს გამოთხოვის დრო და ზოგადი წესები საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მშვიდობის გათვალისწინებით. მაგრამ რელიგიური მოსაზრებების გასავრცელებლად შემოღებული აუცილებელი ლიცენზია, რომლის გაცემის წესებსა და საფუძვლებს სახელმწიფო ორგანო განსაზღვრავს, კონსტიტუციით დაცული თავისუფლების შელახვას წარმოადგენს.

უზენაესი სასამართლოს განცხადებით, მოცემულ გარემოებებში ჯვისი ქენტველის მშვიდობის დარღვევაში დადანაშაულება არ არის მართლზომიერი. ბრალდების კანონიერების დასადგენად საჭიროა ორი კონფლიქტური ინტერესის განხილვა. პირველი შესწორების თანახმად გაცხადებულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებში შედის რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისა და ინფორმაციისა და აზრის გაცემის თავისუფლების ხელ-

ყოფის დაუშვებლობა. კონექტიკუტის შტატს აქვს ცალსახა ინტერესი, შეინარჩუნოს და დაიცვას მშვიდობა და წესრიგი საკუთარ საზღვრებში. დანაშაული, რომელიც მშვიდობის დარღვევის სახელითაა ცნობილი, გულისხმობს ქმედებებს, რომლებიც არღვევენ ან საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგსა და სიმშვიდეს. ეს არა მხოლოდ ძალისმიერ ქმედებებს გულისხმობს, არამედ ისეთ ქმედებებს ან მოწოდებებს, რომელთაც შეუძლიათ სხვებს ძალადობისკენ უბიძგონ. არავის ეყოფა გამბედაობა, ამტკიცოს, რომ სიტყვის თავისუფლების პრინციპი იძლევა სანქციას ამბოხების წაქეზებაზე, ან რომ რელიგიის თავისუფლება გულისხმობს სხვა სექტების მიმდევართა მიმართ ფიზიკური ძალადობის განხორციელების პრივილეგიას. როდესაც ამბოხების, უწესრიგობის, საზოგადოებრივ ქუჩებში მოძრაობისათვის ხელის შეშლის საფრთხე ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მშვიდობისა და წესრიგის წინააღმდეგ მუქარა აშკარა და რეალურია, შტატი უფლებამოსილია, აღკვეთოს ამგვარი ქმედებები და მიიღოს სადამსჯელო ზომები. ასევე ცხადია, რომ შტატს არა აქვს უფლება, უსამართლოდ შეზღუდოს რელიგიური თუ სხვა მოსაზრებების თავისუფლად გადაცემა იმ მოტივით, რომ მისთვის სასურველი პირობები შეინარჩუნოს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აქტთან, რომელიც თავისი ზოგადი ხასიათის წყალობით ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს და რომლის ინტერპრეტაციისას ხელისუფლების აღმასრულებელი და სასამართლო შტოები მოქმედების დისკრეციით სარგებლობენ.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, 1938 წლის 26 აპრილს ჯესი ქენტველს ჰქონდა ქუჩაში გამოსვლისა და სხვებისთვის საკუთარი მოსაზრებების მშვიდობიანად გაზიარების უფლება. არ არსებობს იმის სამხილი, რომ მისი ქცევა ხმაურიანი, მძვინვარე, მბრძანებლური ან შეურაცხყოფელი იყო. მან სთხოვა ქუჩაში ორ მოსიარულეს, ნება დაერთოთ მისთვის, ფონოგრაფის ჩანაწერი ჩაერთო, რაზეც თანხმობა მიიღო. მას არ ჰქონდა მიზნად ჩანაწერის საშუალებით მსმენელთა საჯაროდ შეურაცხყოფა. აშკარაა, რომ მას სურდა მსმენელთა საკუთარი პროპაგანდით დაინტერესება. ფონოგრაფის ხმას ქუჩის მაცხოვრებლები არ შეუწუხებია, ხალხს თავი არ მოუყრია და მოძრაობას ხელი არ შეშლია. ამ მომენტამდე მას არ დაურღვევია საზოგადოებისა თუ იმ მოსიარულეთა უფლება ან კანონიერი ინტერესი, რომელთაც მიმართა.

ქენტველის მიერ ჩართული ჩანაწერი აკრიტიკებდა ყველა ორგანიზებულ რელიგიურ სისტემას, როგორც სატანისტურ და ადამიანისათვის ზიანის მიმყენებელ ინსტრუმენტს. შემდეგ ის ცალკე გამოყოფდა კათოლიკურ ეკლესიას, რომლის წინააღმდეგ გამოყენებული ტერმინოლოგიაც არა მარტო კათოლიკეებს, არამედ ყველა იმ ადამიანსაც გაანაწყენებდა, ვინც სხვა რელიგიის მიმდევართა გულმართლობასაც სცემს პატივს. მართლაც, მსმენლებმა თავი საკმაოდ შეურაცხყოფილად იგრძნეს. ერთ-ერთმა მათგანმა თქვა, რომ მზად იყო ქენტველისთვის დაერტყა, მეორე კი მზად იყო, იგი ქუჩიდან გაეძევებინა. მას, რომელიც მზად იყო ქენტველისთვის დაერტყა, ჰკითხეს: „მოიმოქმედეთ რაიმე ან გქონდათ თუ არა რაიმე სახის რეაქცია?“ მან უპასუხა: „არა, სერ, რადგან მან განაცხადა, რომ წაიღებდა ფონოგრაფს და იგი მართლაც წავიდა.“ მეორე მოწმის განცხადებით, მან უთხრა ქენტველს, რომ მისთვის უმჯობესი იქნებოდა, ქუჩა დაეტოვებინა, სანამ რაიმე მოხდებოდა, რის შედეგადაც ქენტველმა თავისი წიგნები აკრიფა და ქუჩიდან წავიდა.

ქენტველის ქცევას, ამ სასამართლოს მოსაზრებით, არ შეიძლება მშვიდობის დარღვევის კვალიფიკაცია მიეცეს. თუმცა პირს შესაძლოა ბრალი წაეყენოს, თუ მის მიერ განხორციელებული ქმედებები ან მის მიერ გაკეთებული განცხადებები გამოიწვევს ძალადობას და უწესრიგობას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს პირის თვითმიზანი არ ყოფილა. ამგვარ საქმეებთან დაკავშირებით უამრავი გადაწყვეტილება არსებობს, მაგრამ მათი მიმოხილვა ცხადყოფს,



რომ პრაქტიკულად ყველა სიტუაციაში გამოყენებული გამომწვევი ტერმინოლოგია, რასაც საბოლოოდ მშვიდობის დარღვევის კვალიფიკაცია მიეცა, შეიცავდა უშეერ, უხამს ან შეურაცხყოფელ შენიშვნებს მსმენელთა წინააღმდეგ. ნათელია, რომ პირადი შეურაცხყოფა არ წარმოადგენს კონსტიტუციით დაცული ინფორმაციისა თუ აზრის გადაცემის თავისუფლებას, ასე რომ ასეთი ქმედების, როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაულის, დასჯა არავითარ წინააღმდეგობებს არ გამოიწვევდა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ჩვენ ვერ ვპოულობთ ფიზიკური შეურაცხყოფის ან მისი საფრთხის, მძვინვარე ქცევის, განზრახი უდიერებისა თუ პირადი ლანძღვის ნიშნებს. პირიქით, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ხდებოდა მოხალისე მსმენელის დარწმუნება, ეყიდა წიგნი ან გაელო შემოწირულობა იმისათვის, რასაც ქენტველი, შესაძლოა, სხვებისგან განსხვავებით, ჭეშმარიტ რელიგიად მიიჩნევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩანანერის შინაარსი შეიძლება შუღლის აღმძვრელად მიჩნეულიყო, სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს ვინმე მიზანმიმართული საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავდა შტატის არსებითი ინტერესებისათვის რეალური საფრთხის შემცველი ქმედების დანაშაულებრიობასა და დასჯადობას, ქენტველის მოქმედება, კონსტიტუციური გარანტიების კონტექსტში, არ უქმნიდა რეალურ საფრთხეს საზოგადოებრივ წესრიგსა და მშვიდობას. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაუქმდა შტატის სასამართლოს გადაწყვეტილება ქენტველის ბრალეულად ცნობაზე მშვიდობის დარღვევის ნაქეზებაში.

#### *მერდოკი პენსილვანიის შტატის წინააღმდეგ<sup>58</sup>*

##### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ბიბლიის თავისებურ ინტერპრეტაციასა და საკუთარ რელიგიურ შეხედულებებს მომჩივნები, ძირითადად, სრულ ან ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ადამიანების მეშვეობით ავრცელებდნენ, რომლებიც ლიტერატურას ხელზე არიგებდნენ. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ პავლე მოციქულის მაგალითის მისდევდნენ, რაც „საჯაროდ თუ სახლებში“ სწავლებას გულისხმობდა (*საქმე მოციქულთა 20:20*). ისინი სიტყვასიტყვით აღიქვამდნენ საღმრთო წერილში მოცემულ მონო-დებას: „გადით მთელ წუთისოფელში და ყოველ ქმნილებას უქადაგეთ სახარება“ (*მარკოზი 16:15*). მათ მიაჩნდათ, რომ ამით ღვთის ბრძანებას ემორჩილებოდნენ.

რელიგიური ტრაქტატების ხელზე დარიგება მისიონერული ევანგელიზმის ერთ-ერთი უძველესი ფორმა – ისეთივე ძველი, როგორც თვით პრესის ბეჭდვა. წლების განმავლობაში ეს მეთოდი სხვადასხვა რელიგიური მიმართულებების ძლევამოსილ ძალას წარმოადგენდა. ევანგელიზმის ეს ფორმა დღესაც ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა რელიგიური სექტების მიერ, რომელთა მიმდევრები სახარების სახლებში მიტანითა და პირადი სტუმრობით ცდილობენ ადამიანთა საკუთარ რწმენაზე გადაყვანას. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ქადაგება; და გაცილებით მეტი, ვიდრე უბრალოდ რელიგიური ლიტერატურის გავრცელება. ეს ორივეს კომბინაციაა. რელიგიური საქმიანობის ეს ფორმა ისეთივე ადგილს იკავებს პირველი შესწორებით გათვალისწინებული გარანტიების რიგებში, როგორსაც ეკლესიებში ღვთისმსახურება და კათედრიდან ქადაგება. სხვა, უფრო ორთოდოქსული რელიგიური გამოხატვის ფორმების მსგავსად, მასაც აქვს უფლება, ისარგებლოს სიტყვის თავისუფლებისა და პრესის თავისუფლების გარანტიებით. თუმცა მისი პრაქტიკაში გამოყენების ხერხები ზოგჯერ სპეციფიკურ პრობლემებს წარმოშობს, რომელთა გადაჭრაც შტატების სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციაა. მაგრამ ეს ფაქტი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი უფლებები აბსოლუტური ხასიათისა არ არის. ამ თვალსაზრისით, ერთი სპეცი-

ფიკური საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. საქმე არ ეხება უბრალოდ დასჯას მაძიებლობის პროცესში ჩადენილი რაიმე უკანონო ქმედებისათვის. არც იმაზეა საუბარი, თუ რამდენად კანონიერია სხვადასხვა ტიპის რელიგიური ლიტერატურის გამავრცელებელთა სარეგისტრაციო სისტემები. საქმე მარტივ საკითხს ეხება – თუ რამდენად კონსტიტუციურია ბრძანება, რომლის თანახმად რელიგიური მაძიებლები საკუთარი საქმიანობის განსახორციელებლად ვალდებული არიან, სალიცენზიო გადასახადი გადაიხადონ.

ამ სალიცენზიო გადასახადის ამოღების სავარაუდო გამართლება ის გახლავთ, რომ რელიგიური ლიტერატურის გავრცელება ფულადი თანხის სანაცვლოდ ხდება. საქმეში *ჯონსი ოპელიკას წინააღმდეგ*<sup>59</sup> გაცხადებული იყო, რომ როდესაც რელიგიური სექტა „პროპაგანდისათვის საჭირო თანხების მოძიებისათვის ნივთების გაყიდვის ჩვეულებრივ კომერციულ მეთოდებს“ იყენებს, სახელმწიფოსათვის დასაშვებია „გონივრული რაოდენობის შენატანის“ გადახდის დაკისრება. არსებობს სიტუაციები, როდესაც რთულია იმის განსაზღვრა, რელიგიურია თუ წმინდა კომერციული ესა თუ ის საქმიანობა. განსხვავების დადგენას დროდადრო სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. როგორც საქმეში *ჯემისონი ტეხასის შტატის წინააღმდეგ*<sup>60</sup> იყო მითითებული, „შტატებს იმ შემთხვევაშიც კი შეუძლიათ წმინდა კომერციული ლიფლეტების გავრცელების მიზნით ქუჩების გამოყენების შეზღუდვა, როდესაც მათ სამოქალაქო თუ მორალური მოწოდებები აქვს თან დართული. თუმცა შტატებს არ შეუძლიათ აკრძალონ გამოხატულად რელიგიური საქმიანობის მიზნით სარეკლამო ლიფლეტების გავრცელება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი წიგნის შექმნის მოწოდებას შეიცავს რელიგიური ცოდნის გაღრმავებისთვის, ან იმიტომ, რომ ისინი კანონიერების ფარგლებში რელიგიური მიზნებისათვის თანხების მოძიებას ემსახურება“. მაგრამ უბრალო ფაქტი, რომ რელიგიური ლიტერატურა „იყიდება“ მოსიარულე მქადაგებლების მიერ და ის არ არის „შენიშნული“, არ გარდაქმნის ევანგელისმს კომერციულ წამოწყებად. ასე რომ იყოს, მაშინ ეკლესიაში შემონიშნულობათა თასის გადაცემა საეკლესიო მსახურებას კომერციულ პროექტად აქცევდა. მათი კონსტიტუციური უფლებები, ვინც საკუთარ რელიგიურ შეხედულებებს ზეპირი თუ ბეჭდვითი ფორმით ავრცელებს, არ შეიძლება იმავე სტანდარტებით რეგულირდებოდეს, როგორც წიგნებით საცალო თუ საბითუმო მოვაჭრე პირთა საქმიანობა რეგულირდება. მოსამართლე დუგლასის განცხადებით, რომელმაც გადმოსცა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტომას პეინის პამფლეტები უფასოდ არ ვრცელდებოდა. ნათელია, რომ რელიგიურ ორგანიზაციას არსებობისათვის თანხების მოძიება ესაჭიროება. ასე რომ, მოსიარულე ევანგელისტი, როგორი შეცდომაში შესული თუ არატოლერანტულიც არ უნდა იყოს იგი, ასე უბრალოდ ვერ გახდება წიგნის გამყიდველი აგენტი იმიტომ, რომ ბიბლიას ან რელიგიურ ტრაქტატებს საკუთარი ხარჯების ასანაზღაურებლად ან საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად ჰყიდდა. სიტყვის, პრესისა თუ რელიგიის თავისუფლება ყველასათვის ხელმისაწვდომია, მიუხედავად იმისა, ვის შეუძლია საკუთარი ძალებით გადახდა და ვის არა. როგორც უკვე აღინიშნა, წმინდა კომერციულ და რელიგიურ საქმიანობებს შორის ზღვარის გავლება ხანდახან შეიძლება საკმაოდ რთულიც იყოს. მოცემულ შემთხვევაშიც რთულია იმის აშკარად დასაბუთება, რომ მაძიებლები უფრო კომერციულ საქმიანობაში იყვნენ ჩაბმულნი, ვიდრე რელიგიურში. ამავე დროს ფაქტების დამახინჯება იქნებოდა, მათი საქმიანობა წიგნებისა და პამფლეტების გაყიდვად რომ დაგვეხასიათებინა. საქმეში აიოვას შტატი *მიდის წინააღმდეგ*<sup>61</sup> აიოვას უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ანალოგიური სექტის წევრების მიერ განხორციელებულ გაყიდვებზე ორიენტირებული საქმიანობა „ნიშანდობლივი და დამახასიათებელი იყო მათი მთავარი მიზნისათვის, რაც საკუთარი დოქტრინის ქადაგებასა და პოპულარიზაციაში გამოიხატებოდა“.

ყოველივე ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ რელიგიური ჯგუფები და პრესა ხელისუფლების წინაშე ყოველგვარი ფინანსური ტვირთისგან გათავისუფლებულია. მაგრამ აქ საქმე საკმაოდ განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს. ერთი მქადაგებლის შემოსავლისა თუ ქონების დაბეგვრა, და მეორე – მისგან ქადაგების პრივილეგიით სარგებლობისათვის გადასახადის ამოღება.

უზენაესი სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სალიცენზიო გადასახადის დაწესება რელიგიურ საქმიანობაზე.

*მოსამართლე ჯექსონის განსხვავებული აზრი*

1939 წელს პენსილვანიის შტატის ინდუსტრიულ ქალაქ ჟანეტში, სადაც 16 000 მოსახლე ცხოვრობდა, იელოვას მონმეების მიერ „Watch Tower“ (საგუშაგო კოშკი) კამპანიის განხორციელება დაიწყო. საგულისხმოა, რომ მოცემული მომენტისათვის ქალაქის მოსახლეობის 50% კათოლიკე იყო. იელოვას მონმეები თითოეულ სახლს სტუმრობდნენ, ზარს რეკდნენ ან კარზე აკაკუნებდნენ და მასპინძელს ამცნობდნენ, რომ მონმეებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება შეეძლოთ. მასპინძლის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში მონმეები აუდიო ჩანაწერს რთავდნენ, სახელწოდებით „მახე და რეკეტი“. მისი შინაარსის წარმოსადგენად შემდეგი სიტყვებია მოყვანილი: „რელიგია მცდარია და მახეა, რადგან მას შეცდომაში შეჰყავს ხალხი; თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ რელიგიის მიმდევარი ყველა ადამიანი ნებაყოფლობით არის შეცდომაში შესული. რელიგია რეკეტია, რადგან იგი დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება ხალხისგან ფულის ამოსაღებად იმ თეორიასა და დაპირებაზე დაყრდნობით, რომ მღვდლისათვის ფულის გადახდა გადამხდელ მხარეს სიკვდილის შემდეგ სასჯელისგან გაათავისუფლებს და მის ხსენას უზრუნველყოფს.“ კრიტიკის ამ პასაჟს მონმეები ძირითადად ყველა რელიგიური მიმდინარეობის, განსაკუთრებით კი კათოლიკეების წინააღმდეგ იყენებდნენ. შემდეგ მასპინძელს, შემონირულობის ფასად ლიტერატურის შეძენას სთხოვდნენ. წიგნების ფასი 25 ცენტი იყო, ხოლო პამფლეტებისა – კიდევ უფრო დაბალი. ხშირად, როდესაც მასპინძელი ლიტერატურის შეძენაზე უარს განაცხადებდა, წიგნს ან პამფლეტს მას მაინც გადასცემდნენ.

ამ კამპანიის დაწყებას მრავალი შეურაცხყოფილი ოჯახის საჩივარი მოჰყვა და სამი თუ ოთხი მონმე დააკავეს. ამის შედეგად კამპანიის მსვლელობაზე პასუხისმგებელი „ზონის მსახური“ ქალაქის მერს დაუპირისპირდა. მან ქალაქის თავს განუცხადა, რომ კამპანიის ჩატარება მათი უფლება იყო და ამის დასტურად ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება წარუდგინა. მერმა მას განუცხადა, რომ მათ არავინ შეზღუდავდა, თუ ისინი საკუთარ ლიტერატურას ქალაქის ქუჩებში გაავრცელებდნენ და რომ იგი არ შეენიანალმდებებოდა მათ მიერ სახლებში ლიტერატურის უსასყიდლოდ გავრცელებასაც. მაგრამ ხალხი სწორედ მათ მიერ ლიტერატურის ძალდატანებით შესყიდვას ეწინააღმდეგებოდა, განსაკუთრებით კი კვირა დღეს. მერმა იკითხა, შესაძლებელი იყო თუ არა რომელიმე სხვა დღეებში სიარული და ლიტერატურის უსასყიდლოდ გავრცელება. „ზონის მსახურმა“ განაცხადა, რომ ეს მათი „საქმის კეთების“ მეთოდს ეწინააღმდეგებოდა და იუარა. მან მერს ასევე უთხრა, რომ ქალაქ ჟანეტში იმდენ მონმეს მოიყვანდა, რამდენიც საქმის სისრულეში მოყვანისთვის იყო საჭირო. მერმა მას სთხოვა, დალოდებოდნენ ანალოგიურ გასაჩივრებულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას და ეს საკითხიც სასამართლო გზით გადაეწყვიტათ. ეს წინადადებაც უარყოფილ იქნა და მუქარა იმაზე მეტი ხალხის მოყვანის თაობაზე, ვიდრე ამას ქალაქის საპოლიციო შენაერთი გაუმკლავდებოდა, კვლავაც გაისმა.

1939 წლის ბოზობას მუქარა სისრულეში მოიყვანეს. ქალაქში ასზე მეტი მონმე გამოჩნდა. ისინი ქალაქის მცხოვრებთათვის უცნობნი იყვნენ და ოცდახუთზე მეტი ავტომანქანით ჩა-

მოვიდნენ. ავტომობილები ქალაქის ფარგლებს გარეთ დააყენეს და შტაბი ბენზინგასამართ სადგურზე გამართეს, საიდანაც გართულების შემთხვევაში შესაძლებელი იყო კამპანიის დირექტორთან სატელეფონო კავშირი. მონმეების მიერ მოქმედების დაწყებისთანავე, დაახლოებით დღის ცხრა საათზე, პოლიციის სადგურში ზარები გაისმა და დიდი რაოდენობით საჩივრები მთელი დღის მანძილზე შემოდოდა. მონმეების რაოდენობამ პოლიციელთა რესურსებს და შესაძლებლობებს გადააჭარბა, დასახმარებლად სახანძრო დეპარტამენტიც კი გამოიძახეს. მონმეები სახლებს მარტო და ჯგუფურად სტუმრობდნენ, ზოგიერთი სახლიდან კი საჩივარი პოლიციაში დღის განმავლობაში რამდენიმე სტუმრობის გამო შევიდა. შედეგად 21 მონმე იქნა დაკავებული. დააპატიმრეს მხოლოდ ისინი, ვის წინააღმდეგაც არსებობდა დამამტკიცებელი საბუთი, რომ ლიტერატურის შექმნას გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ სთავაზობდნენ. მოგვიანებით, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, სამი ადამიანი გაათავისუფლეს, თვრამეტი კი დამნაშავედ ცნეს.

მოცემულ საქმეში ნაწილობრივ ნათელი ეფინება იელოვას მონმეების მოძრაობის ეროვნულ სტრუქტურასაც. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოძრაობის თავში დგას Watch Tower Bible & Tract Society, პენსილვანიის შტატის კანონების ფარგლებში შექმნილი კორპორაცია, რომლის ბიზნესის წარმოების ძირითადი ადგილი ბრუკლინში, ნიუ-იორკშია. ეს კორპორაცია ბექდავს ყველა პამფლეტს, უშვებს ყველა წიგნს და მონმეებს ფონოგრაფებით, ჩანაწერებითა და სხვა დამატებითი მასალებით ამარაგებს. კორპორაციის ბრუნვა საკმაოდ დიდია, შესაბამისად, დიდი უნდა იყოს მისი შემოსავალიც. მისი ადმინისტრირების შესახებ ნაკლებად არის ცნობილი. ერთ-ერთმა „ზონის მსახურმა“ ჩვენების მიცემისას განაცხადა, რომ საქმიანი კორესპონდენცია მხოლოდ კორპორაციის სახელზე იწერება და საკუთარი წევრების ანონიმურობა კორპორაციის პოლიტიკას წარმოადგენს. ვარაუდი, რომ ეს არის „არასამენარმეო საქველმოქმედო“ კორპორაცია, შესაძლოა სიმართლეს შეეფერებოდეს, მაგრამ უბრალო ვარაუდის მიღმა ამის მტკიცება თუნდაც იმიტომ არის შეუძლებელი, რომ ისეთი ელემენტარული მტკიცებულებები, როგორც არის საბუღალტრო ბალანსი ან საშემოსავლო ანგარიში, არ არსებობს. ელემენტარულად უცნობია, თუ როგორია კორპორაციის ხარჯები და შემოსავლები, რა სახის ხელფასებსა თუ პრემიებს გასცემს ის, ან რა სახის კონტრაქტებს დებს მომმარაგებლებთან.

კორპორაციის პუბლიკაციების დისტრიბუცია, ძირითადად, ახალმოქცეულთა საშუალებით ხდება, რომელთა ნაწილიც სრულ ან ნახევარ განაკვეთზე მომუშავე სასულიერო პირია. ადამიანთა ეს კატეგორია ორგანიზებულია ჯგუფებად, რომელთაც „ზონის მსახური“ ხელმძღვანელობს. მათი კონკრეტული მიზანია საკუთარი თემის ფარგლებში არსებული ყველა ოჯახის წელიწადში სამჯერ ან ოთხჯერ მონახულება. ისინი წიგნებს 5 ცენტად ყიდულობენ და შემოწირულობის სახით 25 ცენტის მისაღებად ავრცელებენ. ზოგიერთ შემთხვევაში თვითღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის სხვაობა უფრო ნაკლებია. არის აგრეთვე ინფორმაცია, რომ ბევრი მონმე ლიტერატურის გარკვეულ რაოდენობას მათაც ურიგებს, ვინც საკუთარი ჯიბიდან არანაირ შემოწირულობას არ იღებს. მიუხედავად ამისა, შემოსავლის მიღების ფაქტი თვალნათელია და ის დისტრიბუტორებს ნაწილობრივ ან მთლიანად ეხმარება საარსებო საშუალებების მოძიებაში, თუმცა აბსოლუტურად შეუძლებელია ანალოგიური კამპანიების შედეგების განსაზღვრა ფინანსური თვალსაზრისით.

იმავე მერდოკის<sup>62</sup> საქმეში, მორიგ კვირადღეს ქალაქ ჟანეტში კვლავაც გამოჩნდნენ ორორად და სამ-სამად მოსიარულე მონმეები, რომლებიც თან წიგნებსა და ფონოგრაფებს ატარებდნენ. ამჟამად უკვე რვა პირი დააპატიმრეს.

სტრათერის<sup>63</sup> საქმეში ფიგურირებს იელოვას მონმე, რომელიც კვირას, შუადღის 4 სა-

ათზე, ვინმე უცნობის კარს მიადგა და დააკაკუნა. კარი ოჯახის უფროსის 14 წლის შვილმა გააღო, რომელმაც მოწმის თხოვნით დედას დაუძახა. ბავშვის დედას საკმაოდ ცუდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული კარებში პამფლეტების დარიგებისა და პროპაგანდირებისგან, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ერთ-ერთმა პირმა კარებში უთხრა, რომ „იგი ჯოჯოხეთში მოხვდებოდა, თუ საკუთარ ბავშვებს ამ ლიტერატურას არ წააკითხებდა“. მისი ჩვენების თანახმად, მან მოწმის მიერ მოცემული ფურცელი მისი თანდასწრებით დახია, რადგან სჯეროდა, რომ „არ არის აუცილებელი პირთა კარდაკარ სიარული და იმის ქადაგება, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი ღმერთს“. მიუხედავად სტრათერის საქმეში არსებული შედარებით მწირი მონაცემებისა, არსებობს ოჯახის უფროსის კიდევ ერთი ჩვენება, რომლის თანახმად, სარეკლამო ლიფლეტის გადაცემისას მოწმემ მას უთხრა, „დაერეკა პოლიციის უფროსთან და ეთხოვა რამდენიმე დაკავებული იელოვას მოწმის გათავისუფლება“.

ასეთი გახლავთ ის საქმიანობა, რომლის რეგულირება თუ დაბეგვრა სახელმწიფო ხელისუფლების არც ერთ ორგანოს არ შეუძლია. სასამართლო არსებითად მხარს უჭერს აღნიშნულ მოსაზრებას.

### *ჯიმი სვოგარტის საზოგადოება*

#### *კალიფორნიის შტატის თანასწორობის დაცვის საბჭოს წინააღმდეგ<sup>64</sup>*

##### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ეს საქმე ეხება საკითხს, უკრძალავს თუ არა სახელმწიფოს პირველი შესწორების რელიგიური დებულებები ზოგადი დანიშნულების სარეალიზაციო და სამომხმარებლო გადასახადების დაწესებას რელიგიური ორგანიზაციის მიერ რელიგიური მასალების გავრცელებაზე.

კალიფორნიის შტატის სარეალიზაციო და სამომხმარებლო საგადასახადო კანონმდებლობა საცალო მოვაჭრეებისაგან „პირადი ხელშესახები ქონების საცალოდ გაყიდვის სანაცვლოდ“ სარეალიზაციო გადასახადის გადახდას მოითხოვს. „გაყიდვა“ პირად ხელშესახებ ქონებაზე საკუთრებისა თუ ფლობის უფლების გადაცემას გულისხმობს.

სამომხმარებლო გადასახადი, როგორც სარეალიზაციო გადასახადის დანამატი, ვრცელდება შტატის რეზიდენტების მიერ შტატის გარეთ განხორციელებულ შესყიდვებზე. სამომხმარებლო გადასახადის ანალოგიური ტარიფით (6 პროცენტი) ის წესდება „ნებისმიერი საცალო მოვაჭრისგან შესყიდული პირადი ხელშესახები ქონების შტატში შენახვაზე, გამოყენებასა თუ რაიმე სხვა სახის მოხმარებაზე“. მიუხედავად იმისა, რომ სამომხმარებლო გადასახადი მყიდველზე წესდება, ის, როგორც წესი, თვით საცალო მოვაჭრის მიერ გროვდება შესყიდვის დროს. არც შტატის კონსტიტუცია და არც სარეალიზაციო და სამომხმარებლო საგადასახადო კანონმდებლობა არ ათავისუფლებს რელიგიურ ორგანიზაციებს სარეალიზაციო და სამომხმარებლო გადასახადების გადახდისგან, გარდა ერთი გამონაკლისისა, როდესაც რელიგიური ორგანიზაციები მრევლს საკვებით ემსახურებიან.

საქმის სასამართლოში განხილვის დროისათვის (1974-1981) აპელანტი ჯიმი სვოგარტის საზოგადოება ლუიზიანის არასამეწარმეო კორპორაციაში გაერთიანებულ რელიგიურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომლის სტატუსი აღიარებული იყო კალიფორნიის შტატის საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე. აპელანტის წესდებისა და შინაგანაწესის თანახმად, „ორგანიზაციის მიზანია სახარებისეული სიტყვის გავრცელება და შენარჩუნება ყოვლისშემძლე ღმერთის სადიდებლად“. ეს „გავრცელება და შენარჩუნება“ მიიღწევა „ყველა არსებული საშუალებით როგორც სამშობლოში, ისე უცხო მიწებზე“, და „კონკრეტულად მოიცავს ევანგელიკურ კამპანიებს; მისიონერულ საქმიანობას; რადიომაუწყებლობას (როგორც მესაკუთრე და მაუწყებელი); სატელევიზიო მაუწყებლობას (როგორც მესაკუთრე და მაუწყე-



ბელი); მუსიკის აუდიოპროდუქციასა და რეპროდუქციას; ქადაგების აუდიოპროდუქციასა და რეპროდუქციას; სწავლების აუდიოპროდუქციასა და რეპროდუქციას; წერას, ბეჭდვასა და გამოცემას და ნებისმიერ სხვა მეთოდს, რომლებიც იესო ქრისტეს სახარების გასავრცელებლად გამოიყენება“.

1974-1981 წლებში ადგილობრივ ეკლესიებთან თანამშრომლობით აპელანტმა ქვეყნის მასშტაბით დარბაზებში და არენებზე მრავალი „ევანგელიკური კამპანია“ ჩატარა. ამ პერიოდის განმავლობაში ჩატარებული კამპანიების რაოდენობამ ოცდასამს მიაღწია. თითო კამპანია ერთიდან სამ დღემდე გრძელდებოდა (ერთი კამპანია ექვსი დღე გაგრძელდა, ხოლო საერთო ჯამში სულ – 52 დღე). კამპანიების ჩატარებისას აპელანტი რელიგიურ მსახურებას ეწეოდა, რაც ქადაგებასა და სიმღერაში გამოიხატებოდა. ზოგიერთი ეს მსახურება ჩანერლი იყო შემდგომი გაყიდვისა თუ მაუწყებლობისათვის. კამპანიების მიმდინარეობისას აპელანტი ასევე ჰყიდდა რელიგიურ წიგნებს, კასეტებს, ჩანაწერებს და სხვა რელიგიურ და არარელიგიურ საქონელს.

აპელანტი ასევე აქვეყნებდა ყოველთვიურ ჟურნალს „ევანგელისტი“, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოწერის საშუალებით იყიდებოდა. ჟურნალი რელიგიური ხასიათის სტატიებს მოიცავდა და მოსარჩელის წიგნების, კასეტებისა და ჩანაწერების რეკლამირებას ეწეოდა. ჟურნალში განთავსებული იყო შეკვეთის ფორმა, სადაც ჩამოთვლილი იყო გასაყიდი ნივთები და მათი შესაბამისი ფასები. მყიდველს აგრეთვე შეეძლო მიეთითებინა ნივთის სასურველი რაოდენობა და მთლიანი თანხა. მოსარჩელე თავის პროდუქციას რეკლამირებას უწევდა აგრეთვე ტელე-რადიო მაუწყებლობის მეშვეობით, რაც კალიფორნიის შტატის ადგილობრივ სამაუწყებლო სადგურებსაც მოიცავდა.

1980 წელს აპელანტმა კალიფორნიის შტატის თანასწორობის დაცვის საბჭომ აპელანტს ამცნო, რომ რელიგიური მასალები არ თავისუფლდებოდა სარეალიზაციო გადასახადებისგან და სთხოვა მას, დარეგისტრირებულიყო, როგორც გამყიდველი, რათა გადასახადების ანგარიშგებისა და გადახდისათვის შეეწყო ხელი. მოსარჩელემ უპასუხა, რომ მას ასეთი გადასახადებისგან კონსტიტუციის პირველი შესწორება ათავისუფლებდა. 1981 წელს საბჭომ აპელანტს აუდიტი ჩაუტარა და კვლავაც ურჩია, გამყიდველად დარეგისტრირებულიყო და კალიფორნიაში კამპანიების ჩატარებისას განხორციელებულ ყველა გაყიდვაზე სარეალიზაციო გადასახადი გადაეხადა. საბჭოს ასევე მიაჩნდა, რომ აპელანტსა და კალიფორნიის შტატს შორის საკმარისი კავშირი არსებობდა, რათა მისთვის საფოსტო შეკვეთებით განხორციელებულ შესყიდვებზე გადასახადები დაენესებინათ.

აპელანტის დოკუმენტაციის განხილვის შედეგად საბჭომ დაადგინა, რომ „აპელანტი 1974 წლის 1 აპრილიდან 1981 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით კალიფორნიის შტატში ჰყიდდა პირად ხელშეასხებ ქონებას. გაყიდვების შედეგად აპელანტმა საფოსტო შეკვეთებიდან 1 702 942 აშშ დოლარი, ხოლო კალიფორნიაში კამპანიების მიმდინარეობისას გავრცელებული საქონლიდან 240 560 აშშ დოლარი მიიღო“. ეს ციფრები კალიფორნიის შტატში რეალიზებულ და მოხმარებულ რელიგიური შინაარსის მატარებელ საქონელს მოიცავდა: ბიბლიებსა და ბიბლიების სახელმძღვანელოებს, დაბეჭდილ ქადაგებებსა და ქადაგებათა კრებულებს, აუდიოკასეტებზე ჩანერილ ქადაგებებს, რელიგიურ წიგნებს, პამფლეტებსა და რელიგიურ მუსიკას. ამ ციფრებზე დაყრდნობით საბჭომ აპელანტს აცნობა, რომ მისი საგადასახადო დავალიანება 166 145,10 აშშ დოლარს შეადგენდა. ეს თანხა სარეალიზაციო და სამომხმარებლო გადასახადებს, მათზე დარიცხულ პროცენტსა და ჯარიმას მოიცავდა. აპელანტს არ გაუპროტესტებია საბჭოს მიერ გადასახადების ისეთ არარელიგიურ საქონელზე დაწესება, როგორცაა სამღვდელთა ემბლემიანი მაისურები, ჭიქები, თეფშები, ჯამები, სანთლები, ბიბ-



ლის დასადები სტენდები, სანერი კალმები და ფანქრები, რელიგიური სცენების ამსახველი რეპროდუქციები, ვაზები და ა.შ.

აპელანტმა გაასაჩივრა საბჭოს გადაწყვეტილება რელიგიურ მასალებზე გადასახადების დაკისრების ნაწილში. იგი იმეორებდა თავის შეხედულებას, რომ რელიგიურ მასალებზე გადასახადების დაწესება კონსტიტუციის პირველ შესწორებას არღვევდა. საბჭომ საჩივრის მოსმენისას გადაწყვიტა, ჯარიმა გაეუქმებინა, მაგრამ გადასახადებისა და მათზე დარიცხული პროცენტის დავალიანების გასტუმრება კვლავაც მოითხოვა. შტატის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, აპელანტმა მოთხოვნილი თანხა გადაიხადა და შემდეგ საჩივარი შეიტანა საბჭოს მიერ ამ თანხის ანაზღაურების თაობაზე. საბჭომ უარყო აპელანტის საჩივარი, ამიტომ მან სარჩელი შტატის სასამართლოში შეიტანა. ის ძირითადად ამტკიცებდა, რომ შტატის მიერ რელიგიური მასალების გაყიდვაზე სარეალიზაციო და სამომხმარებლო გადასახადების დაწესება კონსტიტუციის პირველ შესწორებას ეწინააღმდეგებოდა, რომლის თანახმად, დაუშვებელია ისეთი „კანონის მიღება, რომელიც დაანებს რელიგიას ან შეზღუდავს აღმსარებლობის თავისუფლებას“.

სასამართლომ საქმე საბჭოს სასარგებლოდ გადაწყვიტა და დაადგინა, რომ აპელანტს თანხის ანაზღაურება არ ეუთვნოდა. იმავე გადაწყვეტილებამდე მივიდა კალიფორნიის შტატის სააპელაციო სასამართლო და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოც, რომელმაც დაადგინა, რომ ზოგადი დანიშნულების გადასახადების ამოღება და გადახდა ამ შემთხვევაში არ აწესებდა რაიმე მნიშვნელოვან კონსტიტუციურ შეზღუდვებს აპელანტის რელიგიურ საქმიანობასა თუ შეხედულებებზე. შესაბამისად, რელიგიის თავისუფლების კონსტიტუციური დებულება არ ავალდებულებს შტატს, გაათავისუფლოს აპელანტი ზოგადი დანიშნულების სარეალიზაციო და სამომხმარებლო გადასახადებისგან.

### **ქადაგება საჯარო თავშეყრის ადგილებში**

*ხოლო შემდეგ მღვდელმთავარმა ... მოციქულები საჯარო საპატიმროში ჩასხა. მაგრამ უფლის ანგელოზმა ღამით გააღო საპყრობილის კარი, გამოიყვანა ისინი და უთხრა: „წადით, დადექით ტაძარში და უქადაგეთ ხალხს ამ სიცოცხლის ყოველი სიტყვა“. ეს რომ მოისმინეს, განთიადისას შევიდნენ ტაძარში და ასწავლიდნენ. ამასობაში მოვიდნენ მღვდელმთავარი და მასთან მყოფნი, მოიწვიეს სინედრიონი და ისრაელიანთა უხუცესების საბჭო და გაგზავნეს საპატიმროში მათ მოსაყვანად. მაგრამ მსახურნი რომ მივიდნენ, ვერ ნახეს ისინი საპყრობილეში, უკან გამობრუნდნენ და მოახსენეს: „საპატიმრო საგულდაგულოდ დაკეტილი დაგვიხვდა და მცველები კარებთან მდგომნი. მაგრამ, რომ გავალეთ, შიგ ვერავინ ვნახეთ.“ შემდეგ ვიღაც მივიდა და განაცხადა: „აგერ ის კაცები, რომლებიც თქვენ საპყრობილეში ჩაამწყვდიეთ, ტაძარში დგანან და ხალხს ასწავლიან!“ მაშინ წავიდა მეთაური მსახურების თანხლებით და მოიყვანა ისინი სინედრიონის წინაშე. მღვდელმთავარმა უთხრა მათ: „სასტიკად ავიკრძალებთ, რომ არ გესწავლებინათ ამ სახელით. აჰა, თქვენ კი იერუსალიმი მოძღვრებით აავსეთ.“ მაგრამ პეტრემ და მოციქულებმა მიუგეს: „ღმერთს უფრო მეტად უნდა ვემორჩილებოდეთ, ვიდრე ადამიანებს. ამის მოწმენი ვართ ჩვენ და სულიწმიდა, რომელიც ღმერთმა უბოძა მის მორჩილთ.“ და ყოველდღე დაუცხრომლად ასწავლიდნენ და ახარებდნენ ტაძარში და სახლებში იესო ქრისტეს.*

საქმე მოციქულთა 5: 17-23, 25-29, 32, 42

ზემოთ ციტირებულ ნაწყვეტში ახლად წარმოქმნილი ქრისტიანული მიმართულების წინამძღოლებს ნაბრძანები ჰქონდათ, არ ექადაგათ საჯარო თავშეყრის ადგილებში. ამ ბრძანების დარღვევისათვის დაპატიმრების შემდეგ ისინი ციხიდან იდუმალ პირობებში გაიქცნენ და კვლავ საჯარო ქადაგებას შეუდგნენ. ეს ტექსტი გარკვეულ გაფრთხილებას წარმოადგენს რელიგიის „პრივატიზაციის“, ანუ რელიგიის უკლებლივ სახლებში მიჯაჭვის მცდელობის წინააღმდეგ.

თეოლოგი დევიდ ტრეისი წერდა, რომ რელიგია არის „განცალკევებული საგანი, რომლის შესახებაც მრავალ ინტელექტუალს შეუძლია არაფერი იცოდეს. როგორც წესი, ეკლესიების მიერ ნაქეზებულებს, მათ შეუძლიათ არ შეინაწილონ რელიგია, რადგან უკვე „ყველამ“ იცის, რომ რელიგია ზოგიერთი ადამიანისათვის საჭირო კერძო სამომხმარებლო პროდუქტია. რელიგიის ყოფილი სოციალური როლი საკმაოდ საზიანო იყო. მისი ამჟამინდელი პრივატიზაცია კი იმდენად უვნებელი პროცესია, რომ შეიძლება მას ცივილიზებული დისტანციიდან კეთილდღეობაც კი უსურვო. რელიგია ისეთ რამეს გვაგონებს, რაც იმ შემთხვევაში მოსწონთ, თუ ეს სხვების მონონებასაც იმსახურებს.“<sup>65</sup>

„პრივატიზაციის“ თეზისის შესახებ დებატებმა ამერიკულ ცხოვრებაში რელიგიის თანამედროვე სოციოლოგიური გამოკვლევების ძირითადი მიმართულებაც კი ჩამოაყალიბა.

რიჩარდ ჯონ ნოუჰაუზმა შეთხზა მახვილგონივრული ფრაზა „შიშველი საჯარო თავშეყრის ადგილი“, რითაც აღწერა სეკულარიზმის იდეოლოგიის ისეთი ზრდა, რომელიც „გამორიცხავდა რელიგიას და რელიგიურ ფასეულობებს საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროებიდან“.<sup>66</sup> ნოუჰაუზი იყენებდა ამ მეტაფორას, რათა გაეკრიტიკებინა პოლიტიკური და სულიერი ჭეშმარიტების ვაკუუმი, რომელიც პოლიტიკური მოვლენებიდან რელიგიური ხმის გამორიცხვის შედეგად ჩნდება. ქვემოთ მოცემულია მაგალითები, თუ როგორ გამოიყენება „საჯარო თავშეყრის ადგილების“ მეტაფორა ამერიკის რელიგიური თემების პირდაპირი მცდელობისას, იქადაგონ და გაავრცელონ რელიგიური ლიტერატურა საზოგადოებრივ ქუჩებსა და პარკებში. აქ აღსანიშნავია სახელისუფლებო ორგანოების სისტემატური ძალისხმევა, ჩამოაშორონ რელიგიური თემები საზოგადოების ფართო ფენებს.

საქმეებში *ნიემოტკო მერილენდის შტატის წინააღმდეგ*<sup>67</sup> და *პულოსი ნიუ-ჰემფშირის შტატის წინააღმდეგ*<sup>68</sup> სასამართლომ განმარტა, რომ რელიგიურ ჯგუფებს ჰქონდათ უფლება ქალაქის ქუჩებითა და პარკებით შეხვედრებისა და შეკრებებისთვის ესარგებლათ. საქმეში *მარში ალაბამის შტატის წინააღმდეგ*<sup>69</sup> სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ კომპანია მთელ ქალაქს ფლობს, მას არ შეუძლია ამტკიცოს, რომ ილახება მისი კერძო საკუთრების ინტერესები და შედეგად შეზღუდოს იელოვას მონუმენტის „ფუნდამენტური თავისუფლება“, ისარგებლონ ამ ქალაქის საქმიანი უბნის ტროტუარებით რელიგიური ლიტერატურის გასავრცელებლად. ალაბამის შტატი მოჰასუხეს წარმოადგენდა ხსენებულ საქმეში, რადგან შერიფის მოადგილემ, რომელიც ქალაქის პოლიციელად მსახურობდა, ქალბატონი მარში კანონსწინააღმდეგე მოქმედების გამო დააპატიმრა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პრესისა და რელიგიის თავისუფლება გაცილებით „სასურველ პოზიციაში“ მოიაზრება და ქალბატონ მარშის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება გააუქმა.

იელოვას მონუმენტის მსგავსად, რომლებიც კარდაკარ დადიან და ქადაგებენ, საერთაშორისო საზოგადოება (კორპორაცია) არის რელიგიური საზოგადოება, რომელიც ავრცელებს ან ყიდის საზოგადოების რელიგიურ ლიტერატურას და მოიძიებს შემოწირულობებს კრიშნას რელიგიის მხარდასაჭერად. საზოგადოება თავის წევრებს ასწავლის სანკირთანს, რელიგიურ რიტუალს, რომელშიც კრიშნას მიმდევრები საზოგადოების წევრებს საჯარო ადგილებში ეგებებიან და ყვავილებსა და ამერიკის პატარა დროშებს ჩუქნიან. საზოგადოებამ და ჯოზეფ

ბეკამ, საზოგადოების ტაძრის წინამძღვარმა მინეაპოლისის შტატში, გაასაჩივრეს მინესოტის შტატის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წესი, რომელიც შტატის ბაზრობის რეგულირებას ეხებოდა. მინესოტის შტატის ბაზრობის წესის თანახმად, „ნებისმიერი საქონლის გაყიდვა ან გავრცელება, მათ შორის ბეჭდვითი ან წერილობითი მასალებისა, ჩაითვლება დასჯად ქმედებად, თუ არ იქნება მოპოვებული საზოგადოების და/ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს ლიცენზია.“ წესის თანახმად, ყველა ადამიანს და ჯგუფს, რომლებიც ლიტერატურას ყიდდნენ ან ავრცელებდნენ, ეს ნებართვა სალიცენზიო კანტორაში უნდა აეღო. ბერი ფიშერის წარმომადგენლობით კრიშნას მიმდევრებმა წარმატებას მიაღწიეს მინესოტის შტატის უზენაეს სასამართლოში, რომელმაც დაადგინა, რომ მოცემული წესი სანკირთანის რიტუალს კონსტიტუციის აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის დარღვევით ზღუდავდა. კრიშნას მიმდევრები ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში პროფესორმა ლორენს თრიბმა წარმოადგინა, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქმე სიტყვის თავისუფლებასა და საჯარო ფორუმის თანაბარ ხელმისაწვდომობას ეხებოდა. საჩივარი თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

### *ჰეფრონი კრიშნას საერთაშორისო საზოგადოების წინააღმდეგ<sup>70</sup>*

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ბაზრობა დიდი საზოგადოებრივი ღონისძიებაა და სტუმრებს მინესოტის მთელი შტატიდან და ქვეყნის დანარჩენი ადგილებიდანაც იზიდავს. გასული ხუთი წლის განმავლობაში თორმეტდღიანი ბაზრობის დამსწრეთა საშუალო რაოდენობა 1 320 000 ადამიანი იყო. სამუშაო დღეებში ყოველდღიური საშუალო დასწრება 115 000 ადამიანი, უქმე დღეებში 160 000 ადამიანი იყო...

მოსამართლე უაიტის განცხადებით, რომელმაც უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება გამოაცხადა, პირველი შესწორება არ იძლევა ვინმეს შეხედულებების ნებისმიერ დროს და ადგილას სასურველი გზით გავრცელების უფლების გარანტიას... „ჩვენ ხშირად გავცივით სანქცია ამგვარ შეზღუდვებზე იმ პირობით, თუ ეს არ ეხებოდა რეგულირებული სიტყვის შინაარსს, ემსახურებოდა მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესს და იძლეოდა ინფორმაციის გადაცემის ალტერნატიული არხების არსებობის საშუალებას.“ ამ შემთხვევაში კი დასადგენია, კანონიერია თუ არა გასაჩივრებული წესით დადგენილი შეზღუდვები კრიშნას მიმდევართა შეხედულებების გადაცემის ადგილსა და საშუალებაზე, უფრო კონკრეტულად კი, შეუძლია თუ არა მინესოტის შტატის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, მოსთხოვოს კრიშნას საერთაშორისო საზოგადოების წევრებს, რომელთაც სურთ სანკირთანის რიტუალის შტატის ბაზრობაზე განხორციელება, შეზღუდონ თავიანთი სავაჭრო და სავაჭარცვლებლო ქმედებები კონკრეტული ადგილმდებარეობით.

საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ, შტატის ინტერესებიდან გამომდინარე, დაწესებული შეზღუდვები ბაზრობის მოცემულ ტერიტორიაზე გამართლებული იყო. მინესოტის შტატის უზენაესმა სასამართლომ ვერ დაინახა რაიმე საშიშროება კრიშნას მიმდევართათვის დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების შემთხვევაში. მაგრამ აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ კრიშნას მიმდევრებს არ გააჩნდათ სპეციალური გამონაკლისის მოთხოვნის უფლება. მისივე განცხადებით, არ შეიძლება სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობებისა თუ ჯგუფების განსხვავება და მათთვის გამონაკლისის დაშვება იმ ნიშნებით, რომლებითაც ისინი საჯარო თავშეყრის ადგილებში გარკვეულ ქმედებებს ახორციელებენ, იქნება ეს შემოწირულობების მოძიება თუ პროცესის რიტუალიზაცია. რელიგიური ორგანიზაციები არც ერთ შემთხვევაში არ სარგებლობენ პრივილეგირებული უფლებით, გადასცენ და გაავ-

რცელონ ინფორმაცია ბაზრობის ადგილებზე იმ ორგანიზაციებთან შედარებით, რომელთაც განსხვავებული სოციალური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური შეხედულებების პროზელიტიზმი სურთ. ეს არარელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი საქმიანობისთვის მხარდაჭერას ეძიებენ, სარგებლობენ იმ რელიგიური ჯგუფების თანაბარი უფლებებით, რომელთაც შეუძლიათ მივიდნენ საჯარო თავშეყრის ადგილებში და საკუთარი შეხედულებები გაავრცელონ, იქნება ეს შემოწირულობების შეგროვება თუ ლიტერატურის გავრცელება.

მოსამართლეები ბრენანი, ბლეკმუნი, მარშალი და სტივენსი არ დაეთანხმნენ სასამართლო შემადგენლობის უმრავლესობას. მოსამართლე ბრენანი ამტკიცებდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სანკირთანის რიტუალთან დაკავშირებით „არ შეესაბამებოდა უკვე არსებულ პრეცედენტებს... მთავრობის მიერ შემოღებული წესები, რომლებიც კონფლიქტში შედიან რელიგიური რწმენის აღმსარებლობასთან, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა განიხილებოდეს.“

\* \* \*

ლოს-ანჯელესის ოლქმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც კრძალავდა „პირველი შესწორებით გათვალისწინებული ქმედებების“ განხორციელებას ლოს-ანჯელესის საერთაშორისო აეროპორტში. საქმეში ლოს-ანჯელესის წარმომადგენლები „ებრაელები იესოსათვის“ წინააღმდეგ<sup>71</sup> სასამართლო დიდ სირთულეებს ნააწყდა იმაზე მსჯელობისას, წარმომადგენდა თუ არა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აეროპორტი საჯარო თავშეყრის ადგილს.

საქმეში კრიშნას საერთაშორისო საზოგადოება ლის წინააღმდეგ<sup>72</sup> სასამართლომ ნათელი მოჰფინა „ებრაელები იესოსათვის“ საქმეში ღიად დარჩენილ საკითხს. საქმე ეხებოდა კრიშნას მიმდევრებისთვის რელიგიური ლიტერატურის გავრცელების აკრძალვას იმ სამ აეროპორტში, რომლებიც ქალაქ ნიუ-იორკის ტერიტორიას ემსახურებოდა. სასამართლო დაეყრდნო საჯარო თავშეყრის ადგილების ფორმალურ დაყოფას, რომლის თანახმად, არსებობს ქვეშაირიტად საჯარო ადგილები და ნახევრად (კვაზი) საჯარო ადგილები, რომლებიც ხელმოუწვდომელია საზოგადოებისათვის კონკრეტული მიზნების განსახორციელებლად. აქ სირთულეს ქმნიდა ისიც, რომ კრიშნას საქმეში გამოყენებული დაყოფის მიუხედავად, აეროპორტის ხელმძღვანელობა ნებას რთავს აეროპორტების გამოყენებას ნებისმიერი სახის გამოხატვისთვის, იქნება ეს პოლიტიკური თუ კომერციული. ამა თუ იმ საჯარო თანამდებობის პოლიტიკოსი კანდიდატები ხშირად სარგებლობენ აეროპორტებით პრესკონფერენციების გასამართად. ბიზნესგარიგებებზე მოლაპარაკებები ხშირად აეროპორტებში მიმდინარეობს. საჯარო გაზეთებითა და საქონლით ვაჭრობისთვის პირებს აეროპორტებში სპეციალური ფართიც კი გამოეყოფათ.

საქმეში ამერიკის შეერთებული შტატები კოკინდას წინააღმდეგ<sup>73</sup> მოსამართლეთა უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ საფოსტო განყოფილების წინამდებარე ტროტუარის არ წარმოადგენს „ტრადიციულ საჯარო თავშეყრის ადგილს“ გამოხატვისათვის. საქმეში ამერიკის შეერთებული შტატები გრეისის<sup>74</sup> წინააღმდეგ სასამართლომ გააუქმა ბრალდება ერთ-ერთი მუხლის საფუძველზე, რომელიც კრძალავდა გამოხატვას „უზენაესი სასამართლოს შენობებში ან ტერიტორიაზე.“ სასამართლომ არაკანონიერად გამოაცხადა ამ მუხლის გამოყენება ერთ-ერთი ქალბატონის მიმართ, რომელიც სასამართლოს ირგვლივ მდებარე ტროტუარებზე პირველი შესწორების ტექსტიან ტრაფარეტს დაატარებდა. უფრო ადრეულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ ტროტუარები, „დიდი ტრადიციებისა და სამთავრობო ბრძანების შესაბამისად, შეიძლება შეკრებებისა და დებატებისთვის გამოყენებულიყო.“ თუმცა ცალა გრეისის საქმეში სასამართლოს არ დაუფიქსირებია ტროტუარების ეს ტრადიციული

როლი, როგორც გამომხატველობითი საქმიანობის ადგილი. ამის ნაცვლად სასამართლომ წამოაყენა საინტერესო მოსაზრება, რომ სასამართლოს ირგვლივ მდებარე ტროტუარები არაფრით განსხვავდება სხვა ტროტუარებისგან და არც რაიმე ნიშნით ხასიათდება, რაც მათ შეზღუდულ გამოყენებაზე მიუთითებდა.

### კერპის თაყვანისცემა

*არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთები. არ გაიკეთო კერპები, არც რამე ხატი... და არ სცე თაყვანი მათ და არ ემსახურო.*

გამოსვლათა 20: 3-5

როდესაც იელოვას მოწმეები ევანგელური შეზღუდვების წინააღმდეგ იბრძოდნენ, მათ იმ კანონებსა და წესებთან ბრძოლაც უხდებოდათ, რომლებიც მათ შვილებს სახელმწიფო დროშის მისაღმებას ავალდებულებდა. სხვა რელიგიური ჯგუფებისგან განსხვავებით, მათ კონკრეტულ სფეროებში წარმატებებს მიაღწიეს. ჯერ კიდევ 1918 წელს ოჰაიოს შტატში მცხოვრები მენონიტი დამნაშავედ ცნეს იმისთვის, რომ დროშის მისაღმებაზე უარის გამო სახლში გაგზავნილ თავის ცხრა წლის ქალიშვილს სკოლაში აღარ ატარებდა. ასევე, ნებრასკის შტატის მასწავლებელი, რომელიც „უფლის ეკლესიის“ წევრი იყო და რომელმაც მისაღმებაზე უარი განაცხადა, სამსახურიდან დაითხოვეს. 1925 წელს ვაშინგტონის შტატში ცხრა წლის ბიჭს მცირეწლოვანთა გამოსასწორებელ სახლში ყოფნა მიუსაჯეს იმის გამო, რომ „ელიას ხმის საზოგადოების“ წევრ მშობლებს დაემორჩილა და სკოლაში დროშას აღარ ესალმებოდა. 1928 წელს დელავერის შტატში დროშის არმისაღმების გამო 38 მოსწავლე გარიცხეს.<sup>75</sup>

იელოვას მოწმეებს კატეგორიული პოზიცია მისაღმების მიმართ 1935 წლამდე არ ჰქონიათ. ამ წელს მოსამართლე რუთერფორდმა დაგმო ჰიტლერის განდიდება გერმანიაში (სადაც იელოვას მოწმეებს დევნიდნენ) და მისაღმება „Heil Hitler“ კერპთმსახურებად გამოაცხადა. 1935 წლის 6 ოქტომბერს ეროვნული რადიოს გადაცემაში რუთერფორდმა ხოტბა შეასხა კარლტონ ბ. ნიქოლს ჯუნიორს, მესამე კლასის მოსწავლეს ლინში, მასაჩუსეტისის შტატში, რომელმაც უარი განაცხადა დროშის მისაღმებაზე და თავი „უფალი იელოვას და მისი სამეფოს“ მსახურად გამოაცხადა.

სულ ცოტა, ოცდაათ შტატში დროშის მისაღმება კანონის ან ჩვეულების მოთხოვნა იყო. რუთერფორდის სიტყვის შემდეგ იელოვას მოწმეების შვილებმა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე უარი განაცხადეს, ამ წესებს დამორჩილებოდნენ. 1936 წლისთვის 120 ასეთი ბავშვი სკოლებიდან გაირიცხა, 1939 წლისთვის კი მათმა რიცხვმა ორასს გადააჭარბა. შტატების სასამართლოებმა ერთსულოვნად თქვეს უარი იელოვას მოწმეების კონსტიტუციური უფლების აღიარებაზე. ტიპური იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ართურ რაგის მიერ გამოცხადებული გადაწყვეტილება კარლტონ ნიქოლსის გარიცხვის გამართლების შესახებ. იგი წერდა: „ერთგულების ფიცის დადებას არაფერი აქვს საერთო რელიგიასთან. დროშის წინაშე ფიცის დადების პროცესი არ შეიცავს კერპთაყვანისცემის ან რაიმე სხვა რელიგიური რიტუალის ელემენტებს.“<sup>76</sup> როდესაც 12 წლის დოროთი ლეოლსი ჯორჯიის შტატის სკოლიდან დროშის არმისაღმების გამო გარიცხეს, უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა ფედერალურ იურის-დიქციაზე.<sup>77</sup> ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანება იელოვას მოწმეებს დაეხმარა, საქმეების უმეტესობა თავის თავზე აიღო და ნიუ-ჯერსის შტატში სანიმუშო პროცესიც ჩაატარა. მიუხედავად ამისა, ნიუ-ჯერსის შტატმაც მხარი დაუჭირა გარიცხვის გადაწყვეტილებას, ხოლო უზენაესმა სასამართლომ საჩივარი უარყო.<sup>78</sup>



აშშ-ს უზენაეს სასამართლოში ამ საკითხის პირველი სრულყოფილი განხილვა პენსილვანიის შტატის ერთ-ერთი ქალაქის, მინერსვილის განათლების საბჭოს ქმედებას უკავშირდება. 1935 წლის ოქტომბერში საბჭომ ლილიან და უილიამ გობიტისეები, 12 და 10 წლისა, სკოლიდან დროშის არმისალმების გამო გარიცხა. შემდგომ ბავშვები ოცდაათი მილის მოშორებით მდებარე იელოვას მონმეების მიერ გახსნილ „სამეფოს სკოლაში“ დადიოდნენ. მათმა მამამ, ვალტერმა შვილების სკოლაში აღდგენისათვის იურიდიულ დახმარებას მიმართა და 1937 წელს ოლინ რ. მოილმა და ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანებამ ფედერალური სარჩელი შეიტანეს ბავშვების სკოლაში აღდგენის მოთხოვნით. საოლქო მოსამართლემ ალბერტ ბ. მარისმა, თვითონ კვაკერმა, 1938 წლის 18 ივნისს დაადგინა, რომ განათლების საბჭომ კონსტიტუციის მე-14 შესწორება დაარღვია. სააპელაციო სასამართლომ, პრესბიტერიანელი უილიამ კლარკის თავმჯდომარეობით, მხარი დაუჭირა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

უზენაეს სასამართლოში რუთერფორდი გობიტისეების სასარგებლოდ ამტკიცებდა, რომ „ეს საკითხი“ უკავშირდებოდა „შტატის თვითნებურ და ტოტალიტარულ წესს, რომელიც საფრთხეს უქმნიდა უფალი იელოვას სამეფოს თეოკრატიული ხელისუფლებისადმი მორჩილებას.“ გობიტისეების საქმის გადაწყვეტამდე ორი კვირით ადრე სასამართლომ *ქენტველის*<sup>79</sup> საქმეზე იელოვას მონმეების სასარგებლოდ ერთსულოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა. მაგრამ ეს არ იყო რაიმეს მომასწავებელი ნიშანი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ჰიუზი განსაკუთრებით აქტიურობდა საქმის განხილვისას და უარყოფდა, რომ ირღვეოდა რელიგიის თავისუფლება. ჰიუზმა სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადება მოსამართლე ფრანკ-ფურტერს დაავალა. გობიტისის საქმის შემდეგ ფრანკ-ფურტერი საკუთარი თავის შესახებ წერდა და ამბობდა, რომ „ისტორიის მანძილზე ყველაზე მეტად გალანძლულ და დევნილ უმცირესობას, ებრაელებს“ ეკუთვნოდა. იგი თვითონ ავსტრია-უნგრეთიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოსული იმიგრანტი იყო. 1942 წლის 5 დეკემბერს იგი წერდა: „რადგან არც ერთ ფორმალურ რელიგიასთან მჭიდრო კავშირი არ მაქვს, ჩემთვის რელიგიური გრძნობები ალბათ უფრო ამერიკის მოქალაქეობის გაძლიერებულ გრძნობებთან ასოცირდება.“

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მე-14 შესწორება მოიცავდა არა მარტო პირველი შესწორებით გათვალისწინებულ აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულას, არამედ რელიგიის დამწესებელი კანონების აკრძალვასაც. ეს მოსაზრება, რომელიც სასამართლოს ნევრებმა ერთსულოვნად აღიარეს, გობიტისის საქმის შემდეგ კიდევ დიდ ხანს სარგებლობდა გავლენით.

### *მინერსვილის განათლების საბჭო გობიტისის წინააღმდეგ<sup>80</sup>*

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ამა თუ იმ დოგმის ექსკლუზიურ თუ ყოვლისმომცველ სარწმუნოებად დაწესებისთვის საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ბრძოლას „უფლებათა ბილში“ რელიგიის თავისუფლების განმტკიცება მოჰყვა. პირველი და მე-14 შესწორებები მიზნად ისახავდა ამგვარი განმეორებითი ბრძოლების თავიდან აცილებას სახელმწიფო რელიგიის დადგენის აკრძალვისა და თითოეული სექტისთვის აღმსარებლობის თავისუფლების უზრუნველყოფის გზით. ამ საყოველთაოდ აღიარებული და ძვირფასი უფლების ირგვლივ დავა მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როდესაც, ამ საქმის მსგავსად, საკითხი ინდივიდუალურ პირთა სინდისსა და საზოგადოების საჭიროებებს შორის არსებულ კონფლიქტს ეხება.

ეჭვს გარეშეა, რომ პირთა შეხედულებები სამყაროს საიდუმლოებათა და მათთან ადამიანის ურთიერთობის შესახებ კანონისმიერი რეგულირების ფარგლებს სცილდება. სახელ-



მნიფოს არ შეუძლია ჩაერიოს რწმენის თუ ურწმუნობის ორგანიზებულ ან ინდივიდუალურ გამოხატვაში. რწმენის გავრცელების – ან თუნდაც სჯულის უქონლობის – უფლება ეკლესიასა თუ სამრევლოში, მეჩეთსა თუ სინაგოგაში თანაბრად არის დაცული. ამის მსგავსად, კონსტიტუციაც ანიჭებს პირებს უფლებას, იყვნენ დაცულნი გარკვეული სანქციებისგან საკუთარი რელიგიური საქმიანობის განხორციელებისას, თუნდაც ეს საქმიანობა სხვათა რელიგიურ შეხედულებებს ეხებოდეს, იქნებიან ისინი უმცირესობა თუ დომინანტური მიმდინარეობის წარმომადგენლები.

მაგრამ ადამიანთა შორის ურთიერთობების მრავალფეროვან ბუნებას შეუძლია ადამიანის მიერ რელიგიური ვალდებულებების აღქმასა და მის თანამცხოვრებთა საერო ინტერესებს შორის კონფლიქტი წარმოშვას. ჩვენი და უამრავი სხვა სასამართლოს ამჟამინდელი მოვალეობაა აზრთა შეთავსების ძიება და ასეთი კონფლიქტის აღმოფხვრა. თუმცა, რადგან სინდისის თავისუფლების დაცვისას საქმე გვაქვს პირად ინტერესებთან, რომლებიც განსაკუთრებით ძვირფასია, რელიგიური რწმენიდან გამომდინარე მოთხოვნებს მოქმედების ფართო არეალი უნდა მიენიჭოს.

ჩვენ გვესმის, რომ ეროვნული დროშა არის სიმბოლო ჩვენი ეროვნული ერთიანობისა, რომელიც კონსტიტუციის ფარგლებში ყველა შიდა დაპირისპირების დაძლევის საშუალებაა. ამ სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა დაედგინა, რომ „დროშა წარმომადგენს სიმბოლოს ერის სიძლიერისა, თავისუფლების ემბლემას მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობით... ის მიანიშნებს მთავრობაზე, რომელიც მართულთა თანხმობას ემყარება; თავისუფლებაზე, რომელიც მხოლოდ კანონით არის რეგულირებული; სუსტთა დაცვაზე ძლიერებისგან; გარანტიაზე თვითნებურად ხელისუფლების გამოყენებისგან, და თავისუფალი ინსტიტუტების აბსოლუტურ უსაფრთხოებასა და დაცვაზე საგარეო აგრესიისაგან.“

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოქალაქეობის ცნების განვითარებისა და ჩამოყალიბების პერიოდთან. ჩვენ შორის არსებობს მრავალი ფსიქოლოგიური და ეთიკური შეხედულება იმაზე, თუ როგორ სჯობს ბავშვთა აღზრდა ისე, რომ მათ საკუთარი ადგილი მოიპოვონ საზოგადოებაში. ... ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ, თუმცა საჯარო განათლება ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი დემოკრატიული ფასეულობაა, უფლებათა ბილი უკრძალავს სახელმწიფოს, აიძულოს ბავშვი, საჯარო სკოლაში იაროს.

სასკოლო ადმინისტრაცია ცდილობს დაამტკიცოს, რომ აქვს უფლება თითოეული ბავშვი დააფიქროს ეროვნული დროშის მნიშვნელობაზე იმისდა მიუხედავად, თუ რა მოსაზრებებს უნერგავენ მას მშობლები. ამგვარი მცდელობისას სახელმწიფო, როგორც წესი, არახელსაყრელ მდგომარეობაში ვარდება მშობელთა პრეროგატივებთან ჭიდილში, სანამ – და ეს არის რელიგიური ტოლერანტობის სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტი – მშობლებს აქვთ ხელშეუვალი უფლება ეჭვქვეშ დააყენონ საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული ასპექტი. დროშის მისაღებად რომ სკოლის პროგრამის მისაღები ნაწილია მათთვის, ვინც დიდ ყურადღებას არ აქცევს სინდისის თავისუფლების საკითხებს, კამათს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ ჩვენ რომ უგულბებლვყოთ მისაღებების ცერემონიის სავალდებულო ხასიათი და ვამტკიცოთ, რომ განსხვავებული შეხედულებების მქონე მოსწავლეები ამ ცერემონიისგან დაცვის სპეციალური იმუნიტეტით უნდა სარგებლობდნენ, ეს იგივე იქნებოდა, რომ გვემტკიცებინა, თითქოსდა ანალოგიური იმუნიტეტის მინიჭება სასკოლო დისციპლინაში სირთულის ელემენტებს არ შეიძლება და სხვა მოსწავლეებს არ დააფიქრებდა მისაღებების ცერემონიის მიზანშეწონილობასა და საჭიროებაზე.

ოჯახური ურთიერთობების სინმინდე, მშობლების სტატუსისათვის შესაფერისი უფლებამოსილება და დამოუკიდებლობა, რეალურად კი სრული თავისუფლებით სარგებლობა იმ

მონესრიგებული საზოგადოების წინაპირობაა, რომელიც ჩვენი ეროვნული დროშის ქვეშ მოიაზრება. საზოგადოებას, რომელიც მზად არის ცივილიზაციის საუკეთესო ფასეულობების შესანარჩუნებლად და დასაცავად, შეუძლია თვითდაცვის მიზნით გამოიყენოს საგანმანათლებლო პროცესი მოსწავლეებში იმ ქვეცნობიერი გრძნობების ჩასანერგად, რომლებიც ადამიანებს აერთიანებს მცირე დაპირისპირებებისა და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად.

უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა მინერსვილის განათლების საბჭოს.

**ისტორიული ანოტაცია.** მიუხედავად იმისა, რომ გობიტისის<sup>81</sup> საქმეზე სასამართლომ თითქმის ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო, იურიდიულ ლიტერატურაში გადაწყვეტილება მრავალჯერ გააკრიტიკეს. ახალმა რესპუბლიკამ, რომლის დაფუძნებაში ფრანკფურტერსაც მიუძღვოდა წვლილი, განაცხადა, რომ სასამართლო „სახიფათოდ ახლოს“ მივიდა ომის ისტერიის მსხვერპლად გადაქცევასთან. ლიბერალურ-პროტესტანტულმა ჟურნალმა, „ქრისტიანულმა საუკუნემ“ განაცხადა, რომ „სასამართლოები, რომლებიც იელოვას მოწმეებს ვერ დაიცავენ, ვერ დაიცავენ ნებისმიერ სხვასაც.“ იეზუიტების ჟურნალი, „ამერიკა“ წერდა, რომ სასამართლომ ნებართვა გასცა „ფედერალური და შტატების კონსტიტუციებით განვრდილი ყველაზე ძვირფასი უფლებების“ დესტრუქციაზე. ჰარვარდის საგანმანათლებლო მიმოხილველი კი წერდა, რომ ამ გადაწყვეტილების შედეგად უმცირესობათა სამოქალაქო თავისუფლებები „უმრავლესობის“ ნება-სურვილს უნდა დამორჩილებოდა. ოცდაცხრამეტმა სამართლებრივმა მიმოხილვამ იმსჯელა ამ გადაწყვეტილებაზე, და აქედან 31 კრიტიკული აღმოჩნდა. ცოტაა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც თანამედროვე ამერიკაში ასეთი მასშტაბის კრიტიკა დაიმსახურა.

იელოვას მოწმეები უკვე საკმაოდ არაპოპულარულები იყვნენ. 1940 წლის 3 ივნისს გადაწყვეტილების გამოტანამდე ისინი ტეხასის შტატში არაერთხელ გახდნენ ბრბოს ძალადობის მსხვერპლნი. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ პირებზე ინდივიდუალური თავდასხმები განხორციელდა მეინის (ცემა, კენებუკში „სამეფო დარბაზის“ დანვა), დასავლეთ ვირჯინიის, ვაიომინგის (კუპრში ამოვლება და ბუმბულის დაყრა), ნებრასკის (კასტრაცია), არკანზასის (სროლა), ილინოისის, ინდიანის, მერილენდის, მისისიპისა და ორეგონის შტატებში (ბრბოს თავდასხმა). ინციდენტების ორმოცი პროცენტი ორ შტატში, ოკლაჰომასა და ტეხასში მოხდა. როგორც ნესი, ინციდენტები პატარა ქალაქების არატოლერანტულ გარემოში ხდებოდა.

კანონისმიერმა ზომებმა იელოვას მოწმეების მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. მრავალმა საზოგადოებამ და თემმა დროშის მისალმების ახალი ვალდებულებები შემოიღო. ინდიანის შტატში ორი ქალბატონი დააპატიმრეს (2-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით) „დროშის წაბილვის“ მოტივით, რადგან ისინი მისალმების სანინალმდეგო ლიტერატურას ავრცელებდნენ. თუმცა მათ წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენები საბოლოო ჯამში გაუქმდა. მისისიპის შტატის კანონმდებლობის თანახმად, „სანამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისისიპის შტატის სიცოცხლესა და არსებობას საფრთხე ემუქრება გერმანიის, იტალიისა და იაპონიის ქმედებების შედეგად, ომის დასრულებამდე ისეთი სწავლება და ლიტერატურის გავრცელება, რომელიც „მიზანმიმართულად მოუწოდებს დროშის არმისალმების, შეურაცხყოფისა თუ უპატივცემულობისკენ“, გახდეს სისხლის სამართლის დანაშაული და იყოს დასჯადი თავისუფლების აღკვეთით.“

იელოვას მოწმე რ. ე. ტეილორი ამ აქტის შესაბამისად გაასამართლეს. დაამტკიცა რა მისი ბრალეულობა სამი ხმით სამის წინააღმდეგ, მისისიპის უზენაესმა სასამართლომ უარყო ტეილორის სარჩელი რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის შესახებ. სულ ცოტა ოცდათერთმეტ შტატში მიღებულ იქნა სამართლებრივი ზომები საჯარო სკოლებიდან იმ იელოვას მოწმე ბავშვების გასარიცხად, რომლებიც დროშას არ ესალმებოდნენ. ფედერალური ხელისუფლე-

ბისა და უზენაესი სასამართლოს გაუაზრებელი ნაბიჯებისა და მეორე მსოფლიო ომით დაჩრდილვის შედეგად 1941-1943 წლებში განხორციელებული იელოვას მონმეების „კანონიერი“ და უკანონო დენა მეოცე საუკუნის ამერიკაში რელიგიური შეუწყნარებლობის უდიდეს ტალღას წარმოადგენდა.

სამი შტატის (კანზასის, მინესოტისა და ვაშინგტონის) სასამართლოებმა უარი თქვეს გობიტისის საქმეში არსებულ დასაბუთებაზე და შეინყნარეს ისინი, ვინც დროშას არ ესალმებოდა. იუსტიციის დეპარტამენტის სამოქალაქო უფლებების განყოფილება 1942 წლის 4 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების პროკურორებს ურჩევდა, ადგილობრივ ოფიციალურ პირებთან ერთად ისეთი ზომები მიეღოთ, რომლებიც „თავიდან აიცილებდა ღვთისმსახურების თავისუფლების შეზღუდვას.“ თვით უზენაეს სასამართლოში მოსამართლეები ბლექი, დუგლასი და მერფი ერთ-ერთი საქმის განხილვისას წერდნენ: „რადგან ჩვენ აქამდე ვიზიარებდით გობიტისის საქმის გადაწყვეტილებას, ვფიქრობთ, უპრიანი იქნებოდა ამ შემთხვევაში განვაცხადოთ, რომ ის გადაწყვეტილება არასწორად იყო მიღებული...“

1942 წლის აგვისტოში იელოვას მონმეებმა გაასაჩივრეს დასავლეთ ვირჯინიის შტატის განათლების საბჭოს მიერ გამოცემული განკარგულების კონსტიტუციური საფუძვლები. განკარგულება გობიტისების საქმიდან აღებულ ასლს წარმოადგენდა და მოსწავლეებს დროშის მისაღმებას ავალდებულებდა. მონმეთა ნაწილი უკვე გარიცხული იყო ვირჯინიის შტატის სკოლებიდან.

### *დასავლეთ ვირჯინიის განათლების საბჭო ბარნეტის წინააღმდეგ<sup>82</sup>*

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

1940 წლის 3 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად საქმეზე *მინერსკილის განათლების საბჭო გობიტისის წინააღმდეგ<sup>83</sup>* დასავლეთ ვირჯინიის შტატის საკანონმდებლო ორგანომ შესწორებები შეიტანა ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში და დაავალდებულა ყველა სკოლა, ჩაეტარებინათ სახელმძღვანელო კურსები ისტორიაში, სამოქალაქო ურთიერთობებსა და ამერიკის შეერთებული შტატებისა და მოცემული შტატის კონსტიტუციებში „ამერიკანიზმის იდეალების, პრინციპებისა და სულისკვეთების სწავლებისა და გავრცელების, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და მართვის შესახებ ცოდნის გაღრმავების მიზნით.“ შტატის სკოლების ზედამხედველის რჩევით, განათლების საბჭოს დაევალა საჯარო სკოლებისათვის აღნიშნულ საგნებში სახელმძღვანელო კურსების შემუშავება. აქტმა ასევე დაავალდებულა კერძო, სამრევლო და რელიგიური სკოლები, შეემუშავებინათ „საჯარო სკოლებში სავალდებულოს ანალოგიური კურსები.“

1942 წლის 9 იანვარს განათლების საბჭომ გამოსცა განკარგულება, რომელიც უმეტესწილად გობიტისის საქმის გადაწყვეტილების დეტალებს შეიცავდა და ბრძანებდა, რომ დროშის მისაღმების ცერემონია „საჯარო სკოლების პროგრამული ღონისძიებების რეგულარული ნაწილი“ გამხდარიყო, და რომ ყველა მასწავლებელსა და მოსწავლეს „მოეთხოვებოდა დროშით წარმოდგენილი ერის პატივისცემაში მისაღმების გზით მონაწილეობა; დროშის მისაღმებაზე უარი უნდა განხილულიყო, როგორც დაუმორჩილებლობა და მიღებული უნდა ყოფილიყო ადეკვატური ზომები.“

განკარგულება თავდაპირველი სახით მოითხოვდა „დროშის ზოგადად აღიარებული წესით მისაღმებას“, ხოლო ამ წესს შემდგომში განსაზღვრავდა. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციამ, ბიჭებისა და გოგონების სკაუტურმა ორგანიზაციებმა, წითელმა ჯვარმა და ქალთა კლუბების ფედერაციამ პროტესტი გამოთქვეს, რომ მისაღმების ეს სახე „ძალიან ჰგავდა ჰიტლერის განდიდებას“. შედეგად მისაღმების პროცედურამ გარკვეული მოდიფიკა-

ციები განიცადა, მაგრამ იელოვას მონმეებისთვის ეს არავითარ შეღავათს არ წარმოადგენდა. ახალი მოთხოვნების შესაბამისად მისალმებელს მარჯვენა ხელით უნდა აეღო „გაჭიმული სალუტი“ და შემდეგი სიტყვები გაემეორებინა: „მე ვიქნები ერთგული ამერიკის შეერთებული შტატების დროშისა და იმ რესპუბლიკის, რომელსაც ის წარმოადგენს; ერთგული განუყოფელი ერისა, სადაც თავისუფლებითა და სამართლიანობით ყველა თანაბრად სარგებლობს.“

ამ წესის შეუსაბამო ქმედება განისაზღვრა, როგორც „დაუმორჩილებლობა“, რომელიც გარიცხვის სანქციით ისჯებოდა. სკოლაში ხელახლა მიღება, აქტის თანახმად, დაუშვებელი იყო, თუ წესი არ შესრულდებოდა. ამასობაში გარიცხულ ბავშვს „არასაპატიო გაცდენები“ ეთვლებოდა და შესაძლოა, ეს გაცდენები არასრულწლოვნის მიერ სამართალდარღვევის ჩადენად ყოფილიყო კვალიფიცირებული. მოსწავლის მშობლები შესაძლოა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ, ხოლო ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში მათთვის არა უმეტეს 50 აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმა ან არა უმეტეს 30 დღით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდებინათ.

მოსარჩელები, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ვირჯინიის შტატის მოქალაქეები, ამერიკის ფედერალურ საოლქო სასამართლოში შეტანილი სარჩელით მოითხოვდნენ სასამართლო ბრძანებას, რომელიც შეზღუდავდა ამ კანონებისა და წესების გამოყენებას იელოვას მონმეების მიმართ. მონმეები წარმოადგენენ გარკვეულ ჯგუფს, რომელთა სწავლების მიხედვით ღმერთის მიერ დაწესებული ვალდებულებები უფრო მაღლა მდგომი ჭეშმარიტებაა, ვიდრე დროებითი ხელისუფლების მიერ შემოღებული კანონები. მათი რელიგიური რწმენა „გამოსვლის“ მეოცე თავის 4-5 (გამოსვლათა 20: 4-5) წინადადებებს, რომლის თანახმად: „არ გაიკეთო კერპები, არც რაიმე ხატი იმისა, რაც არის მაღლა ცაში, დაბლა მიწაზე და წყალში მიწის ქვეშ; არ სცე თავყვანი მათ, და არც ემსახურო“ სიტყვასიტყვით ემთხვევა. მათ მიაჩნიათ, რომ დროშა სწორედ ასეთ „ხატს“ წარმოადგენს და ამ მიზეზით ისინი უარს ამბობენ მის მისალმებაზე...

„უფლებების ბილის“ მთავარი მიზანი სწორედ ზოგიერთი საკითხის პოლიტიკური დავების სფეროსგან ჩამოცილება და მათი იმ იურიდიულ პრინციპებად ჩამოყალიბება იყო, რომლებითაც თავად სასამართლოები ისარგებლებდნენ. სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლება, სიტყვისა და პრესის თავისუფლება, ღვთისმსახურებისა და შეკრების თავისუფლება და სხვა ფუნდამენტური უფლებები არ შეიძლება ხმის მიცემის შედეგებს ექვემდებარებოდეს; ისინი არ შეიძლება ემყარებოდეს არანაირი არჩევნების შედეგებს.

გობიტისის საქმის<sup>84</sup> დედაზარის თანახმად, „ეროვნული ერთობა ეროვნული უსაფრთხოების საფუძველია“ და ხელისუფლებას „აქვს უფლება, გამოიყენოს შესაბამისი საშუალებები მის მისაღწევად“. ამის შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ „ეროვნული ერთობისკენ“ მიმართული ამგვარი იძულებითი ზომები აბსოლუტურად კონსტიტუციურია. ამ ვარაუდის ჭეშმარიტებაზე დამოკიდებული მოცემული საქმის ბედი.

ეროვნული ერთობა, როგორც ხელისუფლების თვითმიზანი, ამ შემთხვევაში დავის საგანს არ წარმოადგენს. პრობლემა უფრო ის არის, ჩვენი კონსტიტუციის ფარგლებში დასაშვებია თუ არა მის მისაღწევად ასეთი იძულებითი ზომების გამოყენება. ჩვენ ვქმნით ჩვენს მთავრობას მართულთა თანხმობით და „უფლებების ბილი“ არ აძლევს ხელისუფლების სათავეში მყოფთ უფლებას, ამ თანხმობაზე რაიმე სახის იძულება მოახდინონ.

ინტელექტუალური ინდივიდუალიზმისა და კულტურული მრავალფეროვნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ დროდადრო უჩვეულო და ექსცენტრული დამოკიდებულების უზრუნველყოფის ხარჯზე, როდესაც ისინი ისეთი ზიანის მომტანია სხვებისთვის ან სახელმწიფოსთვის, როგორც მოცემულ შემთხვევაში. საფასური ძალზე დიდია, მაგრამ თავისუფლება,

იყო განსხვავებული არ არის შეზღუდული უმნიშვნელო საკითხებით. ეს მხოლოდ თავისუფლების აჩრდილი იქნებოდა. თავისუფლების არსი მდგომარეობს უფლებაში, იყო განსხვავებული წარმოდგენების მქონე არსებული წესრიგის ფუძემდებლურ საკითხებზე. სწორედ ამიტომ, არც ერთ მაღალ თუ დაბალ თანამდებობის პირს არ შეუძლია დაანესოს ან განსაზღვროს, რა იქნება ორთოდოქსული პოლიტიკის, ნაციონალიზმის, რელიგიისა თუ სხვა საკითხის მიმართ და აიძულოს მოქალაქეები, აქედან გამომდინარე იწამონ და იმოქმედონ. ამჟამად ჩვენ არ გვაფიქრდება გარემოება, რომელიც ასეთ გამონაკლისს დაუშვებდა. მივიჩნევთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან დროშის მისაღმებისა და ფიცის დადების იძულება წარმოადგენს კონსტიტუციურ ფარგლებში მათი უფლებამოსილების გადამეტებას და რომ ეს იძულება იჭრება ინტელექტისა და სულიერების სფეროში, რომლის ოფიციალური კონტროლისგან დაცვაც სწორედ ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორების მიზანია.

**ბარნეტის საქმის<sup>85</sup> მასწავლებელთა მიმართ გავრცობა.** 1977 წელს მასაჩუსეტისის შტატის საკანონმდებლო ორგანომ წარმოადგინა კანონპროექტი, რომლის თანახმად „სასწავლო დღის პირველი გაკვეთილის დაწყებისას ყველა საჯარო სკოლის თითოეულ კლასში ყოველ მასწავლებელს მოეთხოვებოდა“ კლასისთვის დროშის ერთგულების ფიცის დეკლარაცია/საჯაროდ წაკითხვა. მასაჩუსეტისის შტატის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ კანონმდებლობის დამტკიცება პირველი შესწორების დარღვევა იქნებოდა. დავა დროშის წინაშე ერთგულების ფიცის დადების საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად რჩება. მაგალითისთვის, 1988 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თავისი ოპონენტი, მასაჩუსეტისის შტატის გუბერნატორი მაიკლ დუკაკისი სწორედ იმიტომ გააკრიტიკა, რომ ის უზენაესი სასამართლოს ზემოთ ხსენებულ დადგენილებას ეთანხმებოდა.

**ლიცენზირებულ ნომერზე ტექსტის იძულებით დატანა.** საქმეში ვული მეინარდის წინააღმდეგ<sup>86</sup> იელოვას მონმე აპროტესტებდა ნიუ-ჰემპშირის შტატის დევიზს „თავისუფალმა იცოცხლე ან მოკვდე“, რომელიც ამ შტატის სამანქანო ნომერებზე იყო ამოტვიფრული. მას ბრალად ედებოდა ნომრიდან ამ სიტყვების წაშლა. სასამართლომ დაადგინა, რომ შტატს არ შეუძლია თავისი მოქალაქეები აიძულოს, „გამოიყენონ თავიანთი საკუთრება, როგორც შტატის იდეოლოგიის გამავრცელებელი მობილური ბილბორდი.“

**უფლება არ იყო ფოტოგრაფირებული.<sup>87</sup>** ფრენსის ჯ. კვარინგს, ქრისტიანს, სჯეროდა, რომ „რაიმე ხატის არგაჩენის“ ვალდებულება უკრძალავდა მას არსებული საგნების მსგავსი გამოსახულების ქონას. მას არ ჰქონდა ფოტოები, ტელევიზორი, და ეწინააღმდეგებოდა სახლში ნებისმიერი სახის სურათის არსებობას. იგი უარს ამბობდა, შეესრულებინა ნებრასკის შტატის მოთხოვნა და მართვის მონმობაზე საკუთარი ფოტოსურათი ეტარებინა. საოლქო სასამართლომ ორი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა რელიგიის თავისუფლებას ზღუდავდა და რომ ნებრასკამ ვერ წარმოადგინა შტატის სასიცოცხლო ინტერესი მისთვის ფოტოსურათის ტარების მოთხოვნაში. მოგვიანებით კვარინგის საჩივარს მხარი უზენაესმა სასამართლომაც დაუჭირა ოთხი ხმით ოთხის წინააღმდეგ.<sup>88</sup>

## უარი მკვლევობაზე, ომის მხარდაჭერასა და მასში მონაწილეობაზე

მეორე სჯული 5:17

„არა კაც ჰკლა“

ფსალმუნი 34: 14

„შეიკავე შენი ენა ბოროტებისგან და ბაგენი შენი – ცბიერი სიტყვებისგან. ერიდე ბოროტებას და ჰქმენ კეთილი; ეზიდე მშვიდობა და მიჰყევი მას“;



**ფსალმუნი 120: 6-7**

„დიდხანს მკვიდრობდა ჩემი სული მშვიდობის მოძულეებთან. მე მშვიდობა მსურს და, რომ დავილაპარაკებ, ისინი საომრად ემზადებიან.“

**ფსალმუნი 122: 6-9**

„ითხოვეთ მშვიდობა იერუსალიმისთვის, დამშვიდდნენ მოყვარულნი შენნი. იყოს მშვიდობა შენს ზღუდეებში, სიმშვიდე შენს სასახლეებში. ჩემთა ძმათა და მეგობართა გამო, ვამბობ: მშვიდობა შენ! ჩვენი უფალი ღმერთის სახლისთვის გისურვებ სიკეთეს შენ.“

**ესაია 2: 3-4**

„დაიდრება უთვალავი ხალხი და იტყვის: მოდი, ავიდეთ უფლის მთაზე, იაკობის სახლში; გვასწავლოს თავისი გზები და მისი ბილიკით ვიაროთ, რადგან რჯული სიონიდან გამოვა და უფლის სიტყვა – იერუსალიმიდან. სამართალს განიკითხავს იგი ერებს შორის და ამხილებს უთვალავ ხალხს; მახვილებისგან სახნისებს გამოჭედავენ და შუბებისგან – ნამგლებს, ერი ერზე აღარ აღმართავს მახვილს და აღარავინ ისწავლის ომს.“

**სახარება მათესი 5: 9**

„ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, ვინაიდან ისინი ღმრთის ძეებად იწოდებიან.“

**სახარება მათესი 5: 21-25**

„თქვენ გსმენიათ წინაპართა მიმართ თქმული: არა კაც-ჰკლა; ხოლო ვინც მოკლავს, სამართალში უნდა მიეცეს. მე კი გეუბნებით თქვენ: ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სამართალში უნდა მიეცეს; ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას: რაკა, სინედრიონს უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის თავის ძმას: შლეგო, ცეცხლის გეენაში უნდა ჩავარდეს.“

**სახარება მათესი 5: 38-41**

„თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ნუ აღუდგებით წინ ბოროტს; არამედ ვინც შემოგკრავს მარჯვენა ყვრიმალში, მიუშვირე მას მეორეც. და თუ ვინმეს სურს გიჩვილოს და წაგართვას შენი პერანგი, მიეცი მას მოსასხამიც. ანდა თუ ვინმე გაიძულეებს, ერთი მილის მანძილზე გამომყევო, ორზე გაჰყევი მას.“

**მაჯათმა განდი**

„შენ შეგიძლია დარტყმას დარტყმით უპასუხო, თუ არ ხარ საკმარისად მამაცი, რომ მიჰყვე არაძალადობრივ გზას.“

**მაჯათმა განდი**

„არაძალადობრივი მეთოდების გამოყენება არ ნიშნავს „ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაზე უარს“. პირიქით, არაძალადობრიობის ჩემი კონცეფცია უფრო აქტიური და რეალური ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ, ვიდრე შურისძიება, რომელიც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, აძლიერებს ბოროტებას. მე მწამს გონებრივი და, შესაბამისად, მორალური წინააღმდეგობის წარმატებისა ამორალობისა და უზნეობის წინააღმდეგ. მე მინდა მთლიანად დავაბლაგვო ტირანის ხმალი არა უფრო ბასრი ხმლით, არამედ მისი იმ მოლოდინის გაცრუებით, რომ მე მას ფიზიკური ძალით დაეუბრისპირდები. ჩემმა სულიერმა წინააღმდეგობამ ის უნდა გააოგნოს. პირველად ასეთი წინააღმდეგობა დააბრმავებს მას, ბოლოს კი აიძულეებს, აღიაროს დამარცხება, თუმცა ეს დამარცხება კი არ შეურაცხყოფს მას, არამედ სულიერად განავითარებს. შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეს იდეალური მდგომარეობაა. და ეს ასეც არის.“



**კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის<sup>89</sup> კლასიკური წყაროები.** შეუძლია თუ არა საჯარო მოხელეს, მოსახლეობის პირს სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლების მოთხოვნის დასაბუთება? ვთქვათ, სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებას პიროვნება მოითხოვს ბიბლიაზე დაყრდნობით. შეუძლია თუ არა ამ შემთხვევაში სახელმწიფოს გამოსცადოს პირი იმაში, თუ რამდენად იცის მან ზემოთ აღნიშნული ამონარიდები ბიბლიიდან? რის მიხედვით უნდა განისაზღვროს, რამდენად გულწრფელია სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლების ესა თუ ის კანდიდატი?

მოსეს ზემოთ მოყვანილი კლასიკური მცნებები კრძალავენ ადამიანის მკვლევლობას. „არა კაც ჰკლა“ – არის კი ეს ტექსტი საფუძველი იმისა, რომ პირი გათავისუფლდეს სამხედრო სამსახურისგან?

ძველ სამყაროში, მანამ, სანამ საკრალური და სეკულარული არ იყო ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნული, ომი არა მარტო ისრაელში, არამედ ყველა მის ახლო მყოფ კულტურაში ითვლებოდა რელიგიურ საქმედ. მაგალითად, იესო ნავეს წიგნი ხაზს უსვამს „წმინდა ომის“ საკითხს, რომლის თანახმადაც ღმერთი თვითონ ეხმარება ისრაელის არმიას მტრის რიგებში პანიკის თესვით. მოწმობს კი ასეთი ტექსტები იმას, რომ მორწმუნეს უნდა სურდეს ომში მონაწილეობის მიღება?

მეორე მხრივ, ზემოთ მოყვანილი ფსალმუნები და ამონარიდი ესაიას წინასწარმეტყველებიდან მიუთითებს ძველი ისრაელის მისწრაფებას მშვიდობისკენ, როდესაც საომარი იარაღები სოფლის მეურნეობის იარაღებად გადაიქცევა და როდესაც „ერი არ ასწევს ლახვარს სხვა ერის წინააღმდეგ და არავინ ისწავლის ომს“. ეწინააღმდეგება თუ არა ეს ტექსტი იესო ნავეს მონათხრობს წმინდა ომის შესახებ? ნიშნავს კი ეს იმას, რომ ყველა მორწმუნე პაციფისტი უნდა იყოს?

ახალი აღთქმის ზემოთ მოყვანილი პასაჟები იესოს მიერ მშვიდობის დიდებას და მის მიერ შურისძიებისა და ბოროტების დაგმობას წარმოადგენს. შეუძლია თუ არა ქრისტიანს ან არაქრისტიანს, რომელიც აღიარებს ახალი აღთქმის ამ ნაწილს, დაეყრდნოს ამ ტექსტებს და დააფუძნოს მათზე თავისი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა სამხედრო სამსახურის მიმართ?

განდის სწავლება უახლეს ისტორიაში არაძალადობრივი მეთოდებით წინააღმდეგობის ალბათ ყველაზე ეფექტურ მაგალითს გვთავაზობს. მისი მოძღვრების შედეგი, ბრიტანული იმპერიის დამხობა ინდოეთში – იმპერიისა, რომელიც იმ დროს ყველაზე ძლიერი იყო მსოფლიოში – ნამდვილად გასაოცარია. განდის მრწამსს ინდუიზმი წარმოადგენდა, თუმცა ის იცნობდა ქრისტეს მოძღვრებას არაძალადობრიობაზე. განდი აღწერდა ქრისტეს, როგორც „უფლისწულს პასიურ მონინააღმდეგეთა შორის“. შეუძლია თუ არა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის განმცხადებელს განდის მოძღვრებაზე დაყრდნობა?

**პაციფიზმი და სამართლიანი ომი.** ქრისტეს მოძღვრების მიმდევრები ეკლესიის ისტორიის ადრეულ პერიოდში სერიოზულად აღიქვამდნენ მის სწავლებას არაძალადობრიობაზე და ამის გამო უარს აცხადებდნენ რომაულ ჯარში მსახურზე. სხვები უარს ამბობდნენ იმ მოტივით, რომ ჯარისკაცები ვალდებული იყვნენ, დაედოთ ერთგულების ფიცი იმპერატორის, როგორც ღმერთის წინაშე, ეს კი ეწინააღმდეგებოდა მეორე სჯულის ძირითად კანონს, „ნუ გეყოლება სხვა ღმერთები ჩემ გარდა“<sup>90</sup> და ფუნდამენტურ ქრისტიანულ რწმენას, რომ იესო ქრისტე არის ღმერთი.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა იმპერიის ოფიციალურ რელიგიად იქცა, ქრისტიანებმა დაიწყეს ფიქრი არა მარტო იმაზე, დასაშვებია იყო თუ არა ჯარში მსახური, არამედ იმაზეც, შეეძლო თუ არა სახელმწიფოს ეწარმოებინა ომი, და თუ შეეძლო, არსებობდა თუ არა რაიმე შეზღუდვა, რომელიც ქრისტიანულ რელიგიას ომის მიმართ უნდა დაენესებინა. სამართლიანი

ომის თეორიის ძირითადი ფუძემდებელი იყო ავგუსტინე ავრელიუსი.<sup>91</sup> თანამედროვე ინტერპრეტატორი მის თეორიას მოკლედ შემდეგნაირად განმარტავს: სამი სახის ომი შეიძლება ყოფილიყო მორალურად გამართლებადი: თავდაცვითი ომი აგრესიის წინააღმდეგ; ომი ადრე ჩადენილი უსამართლობის გამოსასწორებლად და ომი მოპარული და წართმეული საკუთრების დასაბრუნებლად. მაგრამ მხოლოდ ისტორიული გარემოებები არ ქმნის „სამართლიანი“ ომის წინაპირობას. სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, რომ ომის წარმართვა აუცილებელია. მას შემდეგ, რაც ასეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ჯარისკაცი ვალდებულია დაემორჩილოს ბრძანებას. უფრო მეტიც, ომი უნდა წარიმართოს „მართლზომიერი განზრახვით“, ანუ არა შურისძიების ან დიდებისა და სარგებლის მოპოვების მიზნით. ომი არის მართალთა დასაცავად აუცილებელი სადამსჯელო ინსტრუმენტი, საჭირო, რათა კანონის დამრღვევებს არ მიეცეს ბოროტების ჩადენის საშუალება. მართლზომიერი განზრახვა არა მარტო ომის დაწყების გადაწყვეტილებაში უნდა ჩანდეს, არამედ მის სამართლიანად წარმართვაშიც. არ უნდა ხდებოდეს უმიზეზო ძალადობა, ეკლესიების შეურაცხყოფა, მოროდობა და გენოციდი. შურისძიება, სისასტიკე და რეპრესიები აკრძალული უნდა ყოფილიყო. ავგუსტინემ შექმნა სამართლიანი ომის თეორიის ჩონჩხი, რომელსაც საფუძვლად მშვიდობისკენ ზნეობრივი ლტოლვა უდევს.

საუკუნეების შემდეგ საერთაშორისო სამართალში მიღწეულ იქნა კონსესუსი იმის თაობაზე, თუ რა შემთხვევებში შეიძლება იყოს ომი გამართლებული, კერძოდ: 1) თუ ის გამოცხადებულია და წარმართულია ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ; 2) თუ ამოწურულია კონფლიქტების გადაჭრის ყველა მშვიდობიანი გზა; 3) თუ ის წარმართულია სამართლიანი საფუძვლით (მაგალითად მშვიდობისა და სამართლიანობის აღსადგენად) და წარმატების გონივრული იმედით; 4) წარმართულია პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, სიკეთე, რომელიც ომით უნდა იქნეს მიღწეული, უფრო დიდია, ვიდრე ბოროტება, რომელიც თან სდევს ომს და 5) წარმართულია ომის კანონის ფარგლებში. მაგალითად, უზრუნველყოფილია იმუნიტეტი მშვიდობიანი მოსახლეობისთვის.

შეუძლია თუ არა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის განმცხადებელს, მიუხედავად იმისა, რელიგიურია ის თუ არა, დაეყრდნოს სამართლიანი ომის ამ თეორიას და მოითხოვოს სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლება? თუ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება მხოლოდ პაციფისტებს უნდა ჰქონდეთ? თუ პასუხი დადებითია, აძლევს თუ არა ეს დასკვნა სახელმწიფოს იმის უფლებას, რომ მიანიჭოს რომელიმე რელიგიას უპირატესობა სხვასთან შედარებით? ვთქვათ, სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ ესა თუ ის პირი სამხედრო სამსახურისგან სამართლიანი ომის თეორიის შესაბამისად უნდა გათავისუფლდეს. მაშინ შეიძლება თუ არა, რომ ასეთი გათავისუფლება სცილდებოდეს მოთხოვნის ფარგლებს? ანუ, სხვა სიტყვებით, თუ პირმა, ვთქვათ, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა გამოხატა კონკრეტულ ომში მონაწილეობაზე, შეიძლება თუ არა ის გათავისუფლდეს ომთან დაკავშირებული ყოველგვარი სამსახურისგან?

„მოთხოვნა, რომ ადამიანმა მოკლას სხვა და შესწიროს თავისი სიცოცხლე, ყველაზე მკაცრი მოთხოვნაა, რაც კი საზოგადოებამ შეიძლება დააკისროს თავის მოქალაქეს. მოთხოვნის პირველი ნაწილი – სხვის მოსაკლავად მზადყოფნა – წინააღმდეგება ქრისტიანულ რელიგიურ ტრადიციებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ამერიკულ კულტურას. ეს არ ნიშნავს, თითქოს ქრისტიანების უმრავლესობას ქვეყნის ისტორიის მანძილზე სწამდა, რომ ადამიანის მოკლა ზნეობრივად გაუმართლებელი იყო, უბრალოდ, სახარებისეული ეთიკა და ეკლესიის პაციფისტური მიმართულება თავისთავად სვამს კითხვას: შეიძლება თუ არა საერთოდ ასეთი მკვლელობის გამართლება?“<sup>92</sup>

**რეზოლუცია კეთილსინდისიერ წინააღმდეგობაზე,  
პირველი კონტინენტური კონგრესი (1775)**

რადგანაც არსებობენ ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ იარაღის ტარება თავიანთი რელიგიური პრინციპების გამო, ეს კონგრესი არ ავალდებულებს მათ, არამედ ურჩევს, ნებაყოფლობით შეიტანონ წვლილი საყოველთაო გასაჭირის ჟამს თავიანთი მოძმეების ტანჯვის შემსუბუქებაში და საკუთარი რელიგიური პრინციპების შესაბამისად ემსახურონ თავიანთ ქვეყანას.

**აქტი სელექციური მსახურობის შესახებ (1917)<sup>93</sup>**

აქტი უზრუნველყოფდა სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებას მხოლოდ „კარგად ორგანიზებული რელიგიური სექტის ან მოქმედი ორგანიზაციის წევრებისთვის, რომელთა მრწამსი და პრინციპები უკრძალავენ მის წევრებს, მონაწილეობა მიიღონ ომში ნებისმიერი ფორმით.“

სამხედრო სამსახურისგან მხოლოდ პაციფისტური ეკლესიის წევრების გათავისუფლებას ის უპირატესობა აქვს, რომ სახელმწიფოსთვის უფრო ადვილია განსაზღვრა, ვინ უნდა იყოს გათავისუფლებული და ვინ – არა. მაგრამ არის კი ადმინისტრაციული ხელსაყრელობა კონსტიტუციური სტანდარტი? არის კი ტრადიციული პაციფისტური ეკლესიის წევრობა, როგორცაა, მაგალითად, მეგობართა საზოგადოება (Society of Friends), იგივე კვაკერები, იმის წინაპირობა, რომ მის წევრს აქვს პაციფისტური მრწამსი? გამოიციხავს კი პაციფისტური ჯგუფის არანწევრობა სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ პირს შეიძლება პაციფისტური ჯგუფის წევრის იდენტური შეხედულებები ჰქონდეს?

როდესაც ამერიკა მეორე მსოფლიო ომისთვის ემზადებოდა, კონგრესმა გააუქმა ტრადიციული ეკლესიის წევრობის მოთხოვნა და მიიღო შემდეგნაირად შესწორებული აქტი:

**აქტი სამხედრო სამსახურში სელექციური განწევვის შესახებ (1940)<sup>94</sup>**

„ეს აქტი არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მოთხოვნა, რომ ადამიანმა, რომელიც რელიგიური განათლებისა და მრწამსის გამო კეთილსინდისიერად წინააღმდეგია ომში მონაწილეობისა ნებისმიერი ფორმით, მონაწილეობა მიიღოს შეერთებული შტატების სახმელეთო თუ საზღვაო ძალების საბრძოლო მომზადებასა და სამსახურში. ნებისმიერ პირს, რომელიც ითხოვს საბრძოლო მომზადებისა და სამსახურისაგან გათავისუფლებას და ადგილობრივი საბჭო მას, მისი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამო, დაუკმაყოფილებს მოთხოვნას, აქვს უფლება, საზღვაო ან სახმელეთო ძალებში გაწვევის შემთხვევაში იმსახუროს არასაბრძოლო სამსახურში ისე, როგორც ეს განსაზღვრულია პრეზიდენტის მიერ; ან თუ ის კეთილსინდისიერად წინააღმდეგია ასეთ არასაბრძოლო სამსახურში მსახურობისა, მიუხედავად მისი ასეთი გაწვევისა, მიეცეს უფლება, იმუშაოს სახელმწიფო მნიშვნელობის სამუშაოზე სამოქალაქო განხრით“.

1940 წლის აქტი სამხედრო სამსახურში სელექციური განწევვის შესახებ ბევრად ფართო იყო, ვიდრე 1917 წლისა. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, რომელიც სამხედრო სამსახურისგან მხოლოდ „კარგად ორგანიზებული რელიგიური სექტის“ წევრებს ათავისუფლებდა, ეს აქტი პირისგან მხოლოდ „რელიგიურ განათლებასა და მრწამსს მოითხოვდა“.

**შეერთებული შტატები ზიგერის წინააღმდეგ<sup>95</sup>**

ზიგერი ნიუ-იორკის სამხრეთ ოლქის სასამართლომ სამხედრო სამსახურში მსახურზე უარის გამო გაასამართლა. მან პირველად 1957 წელს გამოხატა კეთილსინდისიერი წინააღ-

მდეგობა სამხედრო სამსახურის მიმართ. მან განაცხადა, რომ თავისი რელიგიური მრწამსის გამო წინააღმდეგი იყო, მონაწილეობა მიეღო ომში ნებისმიერი ფორმით. სელექციური სამსახურის სისტემის ფორმის შევსებისას მან ღიად დატოვა შეკითხვა იმის თაობაზე, სწამდა თუ არა უზენაესი არსების და განაცხადა, რომ მისი „სკეპტიციზმი თუ ღმერთის რწმენის არქონა არ ნიშნავდა იმას, რომ მას არაფრის არ სწამდა“. მას „სწამდა სიკეთისა და სათნოებისა და ჰქონდა რელიგიური რწმენის ტოლფასი წმინდა ეთიკური მრწამსი“. ზიგერს ინტელექტუალური და ზნეობრივი პატიოსნებისადმი თავისი ეთიკური მრწამსის მხარდასაჭერად პლატონის, არისტოტელესა და სპინოზას სიტყვები მოჰყავდა. ზიგერის ეთიკური მრწამსი იყო ღვთის რწმენა არა ჩვეულებრივი, ტრადიციული გაგებით, არამედ თავისებური, განსხვავებული დატვირთვით. მისი მრწამსი სასამართლომ ცნო, როგორც გულწრფელი, პატიოსანი და კეთილსინდისიერად გამოხატული, ხოლო მისი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა – ინდივიდუალურ განათლებასა და მრწამსზე დაფუძნებული. მიუხედავად ამისა, ზიგერს უარი ეთქვა სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებაზე იმის საფუძველზე, რომ მისი მრწამსი არ ეფუძნებოდა უზენაესი არსებისადმი რწმენას, როგორც მოითხოვდა აქტის მე-6 მუხლი.<sup>96</sup> ზიგერის დამცველმა აღიარა, რომ ზიგერის მრწამსი არ ემყარებოდა უზენაესი არსებისადმი იმ რწმენას, რომელიც ზოგადად იყო აღიარებული, მაგრამ მას მაინც ეკუთვნოდა გათავისუფლება, რადგან არსებული კანონით ზიგერის მრწამსი შეესაბამებოდა რელიგიის განმარტებას და აკმაყოფილებდა აქტში მოყვანილი რელიგიური განათლებისა და მრწამსის განმარტებას. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. მან განაცხადა, რომ აქტში მოყვანილი უზენაესი არსებისადმი რწმენის მოთხოვნა განასხვავებდა ერთმანეთისგან „შინაგან და გარე სამყაროსგან თავს მოხვეულ მრწამსს“, რაც დაუშვებელი კლასიფიკაცია“ იყო მეხუთე შესწორების ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის კლაუზულის მიხედვით.

ჯეკობსონი ასევე გასამართლებულ იქნა ნიუ-იორკის სამხრეთ ოქჯის სასამართლოს მიერ სამხედრო სამსახურში მსახურზე უარის გამო. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ქვემდებარე სასამართლოს გადაწყვეტილება: სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებაზე უარი ემყარებოდა არასწორ ფაქტობრივ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ჯეკობსონს არ სწამდა უზენაესი არსებისა.

1958 წელს ჯეკობსონმა პირველად მოითხოვა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის განმცხადებლის სტატუსი. მან განაცხადა, რომ სწამდა „ადამიანის შემოქმედი“ უზენაესი არსების, რომელიც „უზენაესი ჭეშმარიტებაა“ და რომლის „შედეგიცაა ადამიანთა არსებობა“. მისთვის ყველაზე „მნიშვნელოვანი რელიგიური წესი“ იყო ის, რომ „არავინ თავისი სურვილით არ უნდა განიროს სხვა ადამიანის სიცოცხლე რაიმე მიზნის მისაღწევად“. 1958 წელს მან მოითხოვა სამხედრო სამსახურისგან სრული გათავისუფლება, განაცხადა რა, რომ რაიმე ფორმით მონაწილეობა სამხედრო სამსახურში აიძულებდა მას, ჩართულიყო პროცესებში, რომლებიც მძიმე ტვირთად დაწვებოდა მის სინდისს. მან ვრცელი მემორანდუმი წარმოადგინა, სადაც რელიგია განმარტა, როგორც „ადამიანის არსებობის ფუნდამენტური პრობლემებისადმი ადამიანის დამოკიდებულების არსი“. მან განაცხადა, რომ სწამდა ღმერთის, როგორც სამყაროს არსებობის ძირითადი მიზეზისა. მისი აზრით, არსებობდა ორი სახის კავშირი ღმერთთან: ვერტიკალური, ანუ პირდაპირი და ჰორიზონტალური კავშირი ადამიანებისა და სამყაროს მეშვეობით. იგი ამ უკანასკნელს აღიარებდა. საბჭომ არ გაათავისუფლა ჯეკობსონი ომში ყველანაირი ფორმით მონაწილეობისგან. ჯეკობსონმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა. საკითხის განმხილველმა თანამდებობის პირმა გადაწყვიტა, რომ ჯეკობსონის მოთხოვნა, გათავისუფლებულიყო სამხედრო სამსახურისგან, პირად ზნეობრივ კოდექსს ეყრდნობოდა და რომ მისი

მოთხოვნა გულწრფელი არ იყო. შესაბამისად, სააპელაციო საბჭომ უარყო ჯეკობსონის მოთხოვნა. საბჭომ არ განმარტა, რას ეფუძნებოდა მისი ასეთი გადაწყვეტილება – არაგულწრფელობას თუ იმას, რომ ჯეკობსონის რწმენა პირად ზნეობრივ კოდექსს ეყრდნობოდა. სააპელაციო სასამართლომ შეცვალა გადაწყვეტილება დაუსაბუთებლობის მოტივით, რადგან ვერ გაარკვია, რას ეფუძნებოდა სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ ჯეკობსონის მოთხოვნა სრულ შესაბამისობაში მოდიოდა აქტთან.

ფორესტ ბრიტ პეტერი კალიფორნიის ჩრდილოეთ ოლქის სასამართლომ გაასამართლა სამხედრო სამსახურში განწვევაზე უარის ბრალდებით. სელექციური სამსახურის სისტემის ფორმაში მან მიუთითა, რომ არ მიეკუთვნებოდა არც ერთ რელიგიურ სექტას ან ორგანიზაციას. მან გააპროტესტა შეკითხვა, სწამდა თუ არა უზენაესი არსების, და განაცხადა, რომ მისი პასუხი დამოკიდებული იყო უზენაესი არსების განმარტებაზე. მან ასევე დაამატა, რომ თავისი ზნეობრივი კოდექსის დარღვევად მიიჩნევდა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას, და რომ ასეთი რწმენა უფრო ღირებულად მიაჩნდა, ვიდრე სახელმწიფოს წინაშე ვალდებულება. თავისი მრწამსის რელიგიური ხასიათის დასამომწიფლად, მან მოიყვანა რელიგიის ჯონ ჰინენს ჰოლმისიეული განმარტება, რომლის მიხედვით რელიგია არის „გაცნობიერება ბუნებაში გარკვეული ძალის მანიფესტაციისა, რომელიც ეხმარება ადამიანს, მოაწესრიგოს თავისი ცხოვრება მისი მოთხოვნების შესაბამისად ... [ეს] არის სწორედ ადამიანის ბუნების უზენაესი გამოხატულება.“

რაც შეეხება მის რწმენას, პეტერმა განაცხადა: „[მას] შეიძლება დაერქვას უზენაესი არსების რწმენა. უბრალოდ, ეს არ არის ის სიტყვები, რომლებსაც მე ვხმარობ“. 1959 წელს არ იქნა დაკმაყოფილებული მისი კეთილსინდისიერ წინააღმდეგობაზე დამყარებული მოთხოვნა, თუმცა მასალაში არანაირი მტკიცებულება არ მოიპოვება იმისა, რომ ის გულწრფელი არ იყო თავის რწმენაში. მისი გასამართლების შემდეგ სამხედრო სამსახურში განწვევაზე უარის ბრალდებით სააპელაციო სასამართლომ აღიარა, რომ პეტერი გულწრფელი იყო თავის მრწამსში, თუმცა დაამტკიცა გადაწყვეტილება.

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

უზენაესი სასამართლოს თანახმად, აზრთა გაცვლას ისეთ ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე, სიკვდილი ან მისი საბოლოო განკითხვა, გამოყენებული ენის იმგვარი არაადეკვატურობა ახასიათებს, როგორც არც ერთ სხვა სფეროს. სასამართლოს განცხადებით, ეს გარემოება ართულებს კონგრესის მიერ ტერმინ „უზენაეს არსებაში“ ჩადებული საზრისის გაგებას. ამ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ინდივიდების სულიერი ცხოვრების სიმდიდრე და მრავალფეროვნება. შეერთებულ შტატებში დაახლოებით 250 სექტა არსებობს. ზოგიერთს ღმერთის სწამს, ზოგიერთს – გარკვეული ზებუნებრივი ღვთაების, სხვებს რელიგია წარმოუდგენიათ, როგორც ცხოვრების ისეთი ფორმა, რომლის საბოლოო მიზანია ადამიანების თანაარსებობა სრულყოფილი ურთიერთგაგებისა და მშვიდობის პირობებში. არიან ისეთებიც, რომელთაც ღმერთი ადამიანთა არსებობის საზრისად წარმოუდგენიათ. სხვები, მაგალითად ბუდისტები, ისეთი სიმშვიდის მდგომარეობისკენ მიისწრაფვიან, რომელიც საკუთარი თავის უარყოფითა და სულიერი განწმენდით მიიღწევა. ინდუიზმის ფილოსოფიაში უზენაესი არსება ზებუნებრივი რეალობაა, რომელიც არის ქვემარტება, ცოდნა და ბედნიერება.

სასამართლოს განცხადებით, რელიგიური რწმენის ასეთი მრავალფეროვნება იმაზე მიუთითებს, თუ რაოდენ რთულად გადასაწყვეტი პრობლემის წინაშე იდგა კონგრესი, როდესაც სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლება დაუშვა. ეს გარემოება იმასაც უსვამს ხაზს, რაოდენ დიდი ყურადღება დასჭირდა კონგრესს იმისთვის, რომ სწორად ჩამოეყალიბებინა სამ-



ხედრო სამსახურისგან გათავისუფლების პირობები, რომლებიც წინააღმდეგობაში არ უნდა მოსულიყო რელიგიური რწმენისადმი განსხვავებული მიდგომის დაუშვებლობის კარგა ხნის წინ დამკვიდრებულ პოლიტიკასთან.

თუმცა, სასამართლოს განცხადებით, მინც არსებობდა გარკვეული სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლებოდა მსჯელობა კონკრეტული პირის სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლების საკითხზე. 1940 წლის აქტში შესწორების შეტანით კონგრესმა მიზანმიმართულად შეცვალა სიტყვა „ღმერთი“ უზენაესი არსებით, რათა გაეფართოებინა კანონის მოქმედების სფერო. კონგრესმა ასევე თავი შეიკავა უზენაესი არსების ბუნების განმარტებისგან, მიიღო რა მხედველობაში სასამართლოს თავმჯდომარის გაფრთხილება, რომლის მიხედვითაც თვით სიტყვა „ღმერთს“ მორწმუნეთათვის სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, სამხედრო სამსახურში სელექციური განწვევის შესახებ აქტის მიხედვით, სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლების ძირითად სახელმძღვანელო პრინციპად აღიარებულია „რელიგიური განათლება და მრწამსი“.

საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ ზემოთქმული შემდეგი ტესტის სახით ჩამოაყალიბა: გულწრფელი და გონიერული მრწამსი, რომელიც მისი მფლობელისთვის იგივეა, რაც სხვებისათვის, (ვინც სამხედრო სამსახურისგან თავისუფლდება) – ღმერთი, შეესაბამება საკანონმდებლო განმარტებას.

დასკვნის სახით სასამართლომ განაცხადა, რომ ზიგერს მართლაც ჰქონდა რელიგიური მრწამსი. ამ გულწრფელი მრწამსის ფონზე, სასამართლოს განცხადებით, საბჭო აუცილებლად გაათავისუფლებდა მას სამხედრო სამსახურისგან, ზემოთ მოყვანილი ტესტი რომ გამოეყენებინა. სასამართლოს აზრით, მრწამსს, რომელმაც მასში წინააღმდეგობა გამოიწვია, მის ცხოვრებაში ის ადგილი ეკავა, რომელიც ტრადიციულ ღვთაებას უჭირავს მისი მეგობრების, კვაკერების ცხოვრებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ შეიძლებოდა, ზიგერს ნათლად ვერ მოეხდინა იმის დემონსტრირება, თუ რას წარმოადგენდა მისი მრწამსი „უზენაესი არსების“ ორდინალური გაგების თვალსაზრისით. თუმცა, სასამართლოს განცხადებით, ეს არ იყო მნიშვნელოვანი, რადგანაც, როგორც ითქვა, კონგრესს არც უფიქრია ასეთი ტესტის შემოღებაზე.

ჯეკობსონის საქმეში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა შეძლო ომისადმი მისი წინააღმდეგობის კავშირის დემონსტრირება უზენაეს არსებასთან. უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ფორესტ პეტერის საქმეს, უზენაესმა სასამართლომ მოიყვანა პეტერის სიტყვები მის მრწამსთან დაკავშირებით: „[მას] შეიძლება დაერქვას უზენაესი არსებისადმი რწმენა. უბრალოდ, ეს არ არის ის სიტყვები, რომლებსაც მე ვხმარობ“. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი პრინციპებიდან გამომდინარე, სასამართლომ დააკმაყოფილა პეტერის მოთხოვნაც.

ზიგერის საქმის შემდეგ, 1967 წელს, უნივერსალური სამხედრო განათლებისა და სამსახურის შესახებ აქტი შესწორდა და ამოღებულ იქნა ტერმინი „უზენაესი არსება“. თუმცა ისევ შენარჩუნდა ფორმულირება, რომ „რელიგიური განათლება და რწმენა“ არ მოიცავდა „ძირითადად პოლიტიკურ, სოციალურ ან ფილოსოფიური შეხედულებებს, ან უბრალოდ პირად ზნეობრივ ნორმებს“. შესწორებული აქტის ინტეგრირების ილუსტრირებაა საქმე უელში შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

### *უელში შეერთებული შტატების წინააღმდეგ<sup>97</sup>*

მოსარჩევე ელიოტ ეშტონ უელში II შეერთებული შტატების საოლქო სასამართლომ ბრალეულად ცნო სამხედრო ძალებში მსახურზე უარის საფუძველზე და მიუსაჯა სამი წლით



თავისუფლების აღკვეთა. სააპელაციო სასამართლომ, მას შემდეგ, რაც დაასკვნა, რომ მომჩინის კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას არანაირი რელიგიური საფუძველი არ ჰქონდა, დაამტკიცა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

უზენაესმა სასამართლომ გამოითხოვა ეს საქმე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოდან, რათა დაეა უელშის პატიმრობის გაუქმების შესახებ უზენაესი სასამართლოს მიერ ზიგერის საქმეში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე განეხილა.

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

უზენაესმა სასამართლომ გამოყო ის მიზეზები, რომლებზე დაყრდნობითაც სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო და რომელთა საფუძველზეც მთავრობას სურდა ზიგერისა და უელშის საქმეების ერთმანეთისგან განსხვავება.

პირველი მიზეზი იყო ის, რომ უელშმა, ზიგერისგან განსხვავებით, უარყო მისი შეხედულებების რელიგიურობა. მაგალითად, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის შესახებ განცხადების ფორმის შევსებისას ზიგერმა ბრჭყალებში ჩასვა სიტყვა „რელიგია“, ხოლო უელში მას პირდაპირ შეეხო და მოგვიანებით თავისი მრწამსის წყაროდ „ისტორიისა და სოციოლოგიის“ სფეროებში მიღებული ცოდნა დაასახელა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უელშმა „უარყო, რომ მისი წინააღმდეგობა სამხედრო სამსახურის მიმართ რელიგიურ მრწამსზე“ იყო დაფუძნებული და დაასკვნა, რომ „სააპელაციო საბჭო ვალდებული იყო დაეჯერებინა მისი სიტყვებისთვის“.

უზენაესი სასამართლოს განცხადებით, ზიგერის საქმის უელშის საქმისგან განსხვავების ასეთი მცდელობა არასწორია იმ მიზეზის გამო, რომ ის გადამეტებულ ყურადღებას უთმობს განმცხადებლის მიერ საკუთარი რწმენის ინტერპრეტაციას. მისი მოსაზრებით, უზენაესი სასამართლოს განცხადება ზიგერის საქმეში, რომ განმცხადებლის მიერ საკუთარი რწმენის დახასიათებას დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, არ ნიშნავდა, რომ ამ საქმეშიც განმცხადებლის მიერ თავისი შეხედულებების არარელიგიურად ცნობას ასევე დიდი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა. უზენაესი სასამართლოს მიხედვით, როდესაც პირი აცხადებს, რომ მისი წინააღმდეგობა ომის მიმართ რელიგიურ ხასიათს ატარებს – ეს ინფორმაცია საკმაოდ რელევანტურია იმ საკითხის გასარკვევად, რა როლი აქვს ამ მრწამსს მის ცხოვრებაში. მაგრამ, რადგანაც ცოტამ თუ იცის სიტყვა „რელიგიის“ ფართო ბუნება, ამიტომ განმცხადებლის განცხადება იმის თაობაზე, რომ მისი რწმენა არარელიგიურია, საკმაოდ არასანდო დასაყრდენია მათთვის, ვინც სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლების ადმინისტრირებას უზრუნველყოფს.

სასამართლოს თანახმად, უელშის საქმე სწორედ ის შემთხვევაა, რომელიც ზემოაღნიშნულ საკითხს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ მან თავდაპირველად თავისი რწმენა დაახასიათა, როგორც არარელიგიური, მოგვიანებით საკმაოდ დამაფიქრებელი წერილი მისწერა სააპელაციო საბჭოს, რომელშიც განაცხადა, რომ მისი რწმენა ნამდვილად რელიგიური იყო, მაგრამ „რელიგიის ეთიკური გაგებით“. მან ასევე განმარტა: „მე ვახსენე, რომ ადამიანისთვის სიცოცხლის წართმევა არ მიმაჩნია რელიგიურ ცოდვად. მე მეგონა, რომ ბატონი ბრედი – იუსტიციის დეპარტამენტის თანამდებობის პირი, რომელიც იხილავდა უელშის საჩივარს – რელიგიას მისი ტრადიციული გაგებით გულისხმობდა, ამიტომ, სრულიად გულწრფელი რომ ვყოფილიყავი, მე არ დამიხასიათებია ჩემი რწმენა, როგორც რელიგიური“.

სასამართლოს განცხადებით, მეორე მიზეზი, რომელზე დაყრდნობითაც მთავრობა ცდილობდა ამ ორი საქმის ერთმანეთისგან განსხვავებას, იყო ის, რომ ზიგერისგან განსხვავებით, უელშის შეხედულებები, „ძირითადად პოლიტიკური, სოციოლოგიური ან ფილოსოფიური შეხედულებები ან უბრალოდ პირადი ზნეობრივი კოდექსი“ იყო. ადგილობრივი საბჭოსადმი

უელმის წერილში ვკითხულობთ: „მე შემიძლია მხოლოდ ვიმოქმედო იმის მიხედვით, თუ ვინ ვარ მე და როგორი შეხედულება მაქვს ამა თუ იმ საკითხზე. მე ვფიქრობ, რომ სამხედრო სისტემა უმიზნოდ ხარჯავს ადამიანურ და მატერიალურ რესურსს და აღვივებს ინდიფერენტულობას ადამიანური საჭიროებებისა და მიზნების მიმართ. მე ვფიქრობ, რომ საშუალებები, რომლებითაც ჩვენ ვცდილობთ „დავიცვათ“ ჩვენი ცხოვრების წესი, რადიკალურად ცვლის ამავე ცხოვრების წესს. მე ასევე ვფიქრობ, რომ თუ არ ვალიარებთ ჩვენს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ რეალობებს, ჩვენ, როგორც ერთი, ვერ ავასრულებთ იმ პასუხისმგებლობას, რაც გვაკისრია.“

უზენაესი სასამართლოს აზრით, პირობა, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა არ უნდა ემყარებოდეს „პოლიტიკურ, სოციოლოგიურ ან ფილოსოფიურ შეხედულებებს, ან უბრალოდ პირად ზნეობრივ ნორმებს“, არ გულისხმობს ცალსახად იმას, რომ ასეთი შეხედულებების მქონე პირები არ შეიძლება გათავისუფლდნენ სამხედრო სამსახურისგან. თუ პირს მართლაც მყარი შეხედულებები აქვს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საშინაო და საგარეო საკითხებზე, ან, თუნდაც, ომში მონაწილეობის წინააღმდეგ მისი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, არსებითად, ემყარება შეხედულებებს სახელმწიფო პოლიტიკაზე, ის შეიძლება გათავისუფლდეს სამხედრო სამსახურისგან. მაგრამ, თუ პირის შეხედულებები არ არის მყარი, ან მისი წინააღმდეგობა ომის მიმართ საერთოდ არ ეფუძნება ზნეობრივ, ეთიკურ ან რელიგიურ პრინციპებს, არამედ ემყარება მთლიანად პოლიტიკას, პრაგმატიზმსა და რაციონალობას, მაშინ ის არ შეიძლება გათავისუფლდეს სამხედრო სამსახურისგან.

უელმის განცხადებით, მას „სჯეროდა, რომ ადამიანისთვის სიცოცხლის წართმევა ზნეობრივი ცოდვა იყო“. თავდაპირველ განცხადებაში მან ასეთი რამ დაწერა: „მე მჯერა, რომ ადამიანის სიცოცხლე თავისთავად ღირებული რამაა. შესაბამისად, არავის მივაყენებ ზიანს, არც მოვკლავ. ეს მრწამსი (და შესაბამისი ვალდებულება, თავი შევიკავო სხვის მიმართ ძალადობისგან) არ არის უფრო აღმატებული, ვიდრე ის, რომელიც ადამიანებს შორის ურთიერთობის შედეგად წარმოიშობა. ეს არის მრწამსი, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანებს შორის ურთიერთობაში. შესაბამისად, მე არ შემიძლია დავემორჩილო სახელმწიფოს მოთხოვნას და ვიკისრო ის ვალდებულებები, რომლებიც, ჩემი აზრით, ამორალური და წინააღმდეგობრივია“. უელმის ამ მრწამსზე და სააპელაციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე, რომ უელმს მართლაც გააჩნდა ასეთი მრწამსი, უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ის იმსახურებდა სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებას.

#### *მოსამართლე ჰარლენის თანხვედრი აზრი*

მოსამართლის აზრით, კონსტიტუციური საკითხი, რომელსაც პასუხი უნდა გაცემოდა ამ საქმეში, იყო ის, ჰქონდა თუ არა კონგრესს უფლება, მიეღო კანონი, რომელიც პირს სამხედრო სამსახურისგან მხოლოდ მაშინ ათავისუფლებდა, თუ მისი შეხედულებები თეისტურ რელიგიურ მრწამსს ეყრდნობოდა. მოსამართლის მიხედვით, კონგრესს, რა თქმა უნდა, შეეძლო კონსტიტუციის დაურღვევლად არ გაეთავისუფლებინა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის განმცხადებლები სამხედრო სამსახურისგან. ასეთი კურსი „ნეიტრალური“ იქნებოდა და, მისი აზრით, არ დაარღვევდა აღმსარებლობის თავისუფლების კლავიშულას. თუმცა კონგრესს, რადგანაც არჩია, რომ დაეშვა სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლება, არ შეეძლო გაეგლო ზღვარი თეისტურ და არათეისტურ რელიგიურ მრწამსსა და სეკულარულ მრწამსს შორის. ასეთი განსხვავება, მოსამართლის აზრით, არ შეესაბამებოდა კონსტიტუციის პირველი შესწორების რელიგიის დანესების პრინციპს.

**მარქსისტული კომუნიზმი, როგორც რელიგია.** კომუნიზმის მკვლევრები ხშირად ახასიათებენ მას, როგორც რელიგიას. კომუნიზმი ადამიანური ურთიერთობის ფართო მიმოხილვას

მოიცავს და მარქსისტულ მორალს და ცხოვრების წესს გვთავაზობს. ადვილია პარალელების გავლება კომუნისტურ იერარქიასა და მისიონერებსა და ქრისტიანულ იერარქიასა და მისიონერებს შორის. კომუნიაში გვთავაზობს „სოციალურ ხსნას“ უსამართლობის აღმოფხვრის შემდეგ, განსხვავებით ქრისტიანული რელიგიისგან, რომელიც ასეთი გადარჩენის შესაძლებლობას სიკვდილის შემდეგ ხედავს, როდესაც სამართლიანობა იხეიმებს. კომუნისტური რწმენა, რომ კლასობრივი ბრძოლა გარდაუვალია და რომ ეს ბრძოლა პროლეტარიატის გამარჯვებით დამთავრდება, წინასწარმეტყველების გარკვეული ფორმაა. მართლაც, მარქსის ბევრი იდეა ბიბლიიდანაა გადმოღებული.

კომუნიაში არ ითვლება რელიგიად კონსტიტუციის პირველი შესწორების მიზნებიდან გამომდინარე. თუმცა თუ სიტყვა „ღმერთი“ ამოღებული იქნება რელიგიის განმარტებიდან, რატომ არ შეიძლება კომუნიაში რელიგიად ჩავეთვალოთ? ყველაზე მარტივი არგუმენტი ის არის, რომ თავად კომუნიაში არ აღიარებს საკუთარ თავს რელიგიად. მაგრამ დავუშვათ, კომუნისტურმა პარტიამ განაცხადა პრეტენზია იმაზე, რომ მისი მოძღვრება აღიარებულ იქნეს რელიგიად. შეუშლის კი პოლიტიკური ხასიათი მის რელიგიად კვალიფიცირებას? განა ისლამი ნაკლებად სამართლიანად ითვლება რელიგიად, მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ცენტრალური აზიის მრავალი ქვეყნისთვის?

**არჩევითი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა.** როცა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ ოპოზიცია გაძლიერდა, გაჩნდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის ახალი სახე. ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგენი არ იყვნენ მხოლოდ ტრადიციული პაციფისტები, რომლებსაც სწამდათ, რომ ომი არასოდეს არაა გამართლებული საერთაშორისო კონფლიქტების გადასაჭრელად. ამ ომის მოწინააღმდეგეებში იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სწამდათ, რომ ომი გარკვეული გარემოებებისას ზნეობრივად დასაშვებია და აუცილებელიც კია, მაგრამ ყოველნაირად გაუმართლებელია სხვა შემთხვევაში. ასეთი პოზიცია ცნობილია „შერჩევითი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ სახელით.

უელშის საქმის შემდეგ სასამართლომ ორი მსგავსი საქმე განიხილა. პორტერ ჯილეტის საქმე უელშის საქმეს ორი გარემოებით წააგავდა: ვიეტნამის ომის წინააღმდეგ მისი პროტესტი „მყარ რელიგიურ, ეთიკურ და ზნეობრივ შეხედულებებს“ ემყარებოდა. ასევე, უელშის მსგავსად, მანაც უარი განაცხადა, დაშორებოდა სამხედრო სამსახურში განვევის მოთხოვნას.

ლუის ნეგრმა კათოლიკური სემინარია დაამთავრა. მან კარგად იცოდა ვატიკანის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების განცხადება უსამართლო ომის დაგმობის შესახებ: „საომარი ქმედება, რომელიც მიმართულია ნებისმიერი ქალაქისა თუ ვრცელი ადგილის გასანადგურებლად იქ მცხოვრებ მოსახლეობასთან ერთად, დანაშაულია ღმერთისა და თავად ადამიანის წინააღმდეგ. ასეთი ქმედება ერთმნიშვნელოვნად და დაუყოვნებლივ იმსახურებს დაგმობას.“ ნეგრმა ეს სწავლება ვიეტნამის ომის მიმართ გამოიყენა და გადაწყვიტა, რომ ეს კონკრეტული ომი არ შეიძლებოდა ყოფილიყო გამართლებული, თვითონ მას კი არ შეეძლო ემსახურა ჯარში. ნეგრი უელშისგან შემდეგი ორი მიზეზით განსხვავდებოდა: მას არ გამოუხატავს წინააღმდეგობა სამხედრო სამსახურის, როგორც ასეთის, მიმართ და უკვე იყო სამხედრო სამსახურში, როდესაც უარი განაცხადა უფროსის ბრძანებების შესრულებაზე ვიეტნამში გამგზავრების თაობაზე. გარდა ამისა, ბრძანების შესრულებაზე ნეგრის უარი არ ემყარებოდა ბუნდოვან „ყოფიერების საფუძველს“, არამედ ეფუძნებოდა მისი ეკლესიის სწავლებას ისეთი კონფლიქტების ზნეობრიობაზე, როგორც ვიეტნამის ომი იყო.

არსებობს კიდევ ერთი განსხვავება უელშისა და ჯილეტის საქმეებს შორის. უელშის საქმეში სასამართლომ ფართო მნიშვნელობით განმარტა კანონი. ჯილეტისა და ნეგრის საქმეებში კი სასამართლომ სიტყვასიტყვით მიიღო კანონის ენა და გათავისუფლება მხოლოდ

მათთვის დაუშვა, „ვინც კეთილსინდისიერად ეწინააღმდეგებოდა ომში ნებისმიერი ფორმით მონაწილეობას“. ეს ორი საქმე დახასიათებულ იქნა, როგორც „ყველაფერი ან არაფერი: არჩევითი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მარცხი“.

წინამდებარე საქმეები წარმოაჩენს საკითხს იმის თაობაზე, ათავისუფლებს თუ არა ადამიანს სამხედრო სამსახურისგან კონკრეტული ომის და არა ზოგადად ომის მიმართ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა. კერძოდ, სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, კონკრეტული ომის მიმართ წინააღმდეგობა იყო თუ არა სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლების საფუძველი. ორივე ასევე ეყრდნობოდა კონსტიტუციურ პრინციპებს, რომლებიც კრძალავს სახელმწიფოს მიერ რელიგიის გამოხატვის რეგულირებას და მოითხოვს სახელმწიფოს მიერ ნეიტრალობის დაცვას რელიგიის მიმართ.

### *ნეერი ლარსენის წინააღმდეგ<sup>98</sup>*

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

სასამართლოს მიხედვით, იმისთვის, რომ განისაზღვროს კონკრეტული ომის მიმართ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის სამართლებრივი სტატუსი, ყურადღება უნდა მიექცეს აქტის მე-6 მუხლის შემდეგ ფრაზას: „კეთილსინდისიერად ეწინააღმდეგება ომში ნებისმიერი ფორმით მონაწილეობას“. ეს ფრაზა, მისი პირდაპირი მნიშვნელობით, შეიძლება მხოლოდ ისე იქნეს გაგებული, რომ ომთან და სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული სინდისის ქენჯნა კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას უნდა წარმოადგენდეს ნებისმიერ ომში მონაწილეობაზე.

სასამართლოს განცხადებით, ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, სიტყვები – „ნებისმიერი ფორმით“ ომის მოდიფიკაციაა თუ ომში მონაწილეობის. აზრის დამახინჯება იქნებოდა, რომ ფრაზა „ომში მონაწილეობა“ გაგებული არ ყოფილიყო, როგორც „მონაწილეობა ყველა სახის ომში“, რადგან სიტყვა „ომი“ ისევე ზოგადი მნიშვნელობით იქნება გამოყენებული – ომი, როგორც ასეთი. ამ ნორმის ანალიზის შედეგად სასამართლომ დაასკვნა, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის განმცხადებელი ნებისმიერი ფორმის ომს უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

უზენაესი სასამართლოს მიხედვით, მომჩინის მოთხოვნის ძირითადი სისუსტე ის იყო, რომ მე-6 მუხლი უბრალოდ, არ ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს რელიგიური სექტებისა და რწმენის მიმართ, გარდა, რა თქმა უნდა, ისეთი რწმენისა, რომელიც ომს ეხება. აღნიშნული მუხლი ამბობს, რომ ის, ვინც კეთილსინდისიერად ეწინააღმდეგება ომს, გათავისუფლდება სამხედრო სამსახურისგან. მთავარი მოთხოვნა, რომელსაც კეთილსინდისიერი პროტესტის განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს, არის ის, რომ მისი რწმენა უნდა ემყარებოდეს „რელიგიურ განათლებასა და რწმენას“ და არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რომელ რელიგიურ მიმდინარეობას მიეკუთვნება იგი. შესაბამისად, კონგრესის მიერ სამხედრო სამსახურისგან პირის გათავისუფლებისთვის შექმნილი სტრუქტურა შეესაბამება მის მიერ არჩეულ გრძელვადიან პოლიტიკას სხვადასხვა რელიგიებისადმი განსხვავებული მიდგომის დაუშვებლობის შესახებ.

აქედან გამომდინარე, სასამართლოს აზრით, არ არსებობდა საბაზი, განხილულიყო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ, თუ კონგრესი ათავისუფლებს სამხედრო სამსახურისგან კონკრეტული რელიგიის მიმდევრებს, სასამართლომ ან საერთოდ უნდა გააუქმოს ასეთი გათავისუფლება, ან ისე განაწესოს იგი, რომ ყველა რელიგია მოიცავს. მოსარჩელე დაობდა იმაზე, რომ, რადგან კონგრესმა აღიარა ერთი ტიპის კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, მაშინ დანესების კლაუზულა ავალდებულებდა მას, დაეშვა და დაეცვა სხვა ტიპის კეთილსინდისიერი წინააღმდეგობაც.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს სჭირდება ადამიანური რესურსი ომში, სასამართლოს აზრით, სამხედრო განვითარების ადმინისტრირებაში ცენტრალური ინტერესი მდგომარეობს სამართლიანობის დაცვაში იმის განსაზღვრისას, თუ „ვინ იმსახურებს, როდესაც ყველა არ იმსახურებს“. მთავრობა ამტკიცებდა, რომ სამართლიანობას საფრთხე დაემუქრება, თუ მე-6 მუხლი კონკრეტული ომის მიმართ კეთილსინდისიერ წინააღმდეგობასაც მოიცავს. ასეთი წინააღმდეგობის საფუძველზე გათავისუფლების მოთხოვნა გარკვეულად განუსაზღვრელი განზომილების მოთხოვნაა და თეორიულად ამ საფუძველზე გათავისუფლება დისკრიმინაციული გადაწყვეტილებების მიღებას გამოიწვევდა პრაქტიკაში.

ადმსარებლობის თავისუფლების კლავიშულა კრძალავს რელიგიური მრწამსის სახელმწიფო რეგულირებას ან სახელმწიფოს ჩარევას რელიგიური იდეების გავრცელებაში. ის ასევე კრძალავს სახელმწიფო პროგრამების გამოყენებას რელიგიური გამოხატვისთვის ხელის შეშლის ან რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის დისკრიმინაციისათვის მაშინაც კი, თუ შეზღუდვა მხოლოდ არაპირდაპირი ხასიათისაა. რელიგიის იმპერატივების საწინააღმდეგო, ნეიტრალურად მარეგულირებელი, საერო მიზნის მქონე კანონების გამოყენებაც კი შეიძლება დაიგმოს ადმსარებლობის თავისუფლების კლავიშულით, თუ პირველი შესწორების ღირებულებებზე დაკისრებული ტვირთი გაუმართლებელია სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზნებიდან გამომდინარე. თუმცა კონკრეტული ომის მიმართ კეთილსინდისიერ წინააღმდეგობის განმცხადებლებზე სამხედრო სამსახურში განვითარების ეფექტი მთლად გაუმართლებელი არ არის. სამხედრო სამსახურში განვითარების კანონები არ ერევა არც ერთ რელიგიურ რიტუალში და არ ანიჭებს უპირატესობას არც ერთ თეოლოგიურ პოზიციას. ხოლო კონკრეტული ტვირთი ისეთ პირებზე, როგორცაა მომჩივანი, სასამართლოს აზრით, მკაცრად გამართლებადია სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესით, უზრუნველყოს ადამიანური რესურსი საჭირო სამხედრო მიზნებისთვის.

#### *მოსამართლე დუგლასის განსხვავებული აზრი*

ჯილეთის საქმესთან დაკავშირებით მოსამართლე დუგლასმა აღნიშნა, რომ სასამართლოს არასდროს გაუცია პასუხი კითხვაზე, შეიძლება თუ არა კეთილსინდისიერ წინააღმდეგობის განმცხადებელს მოვთხოვოთ, მოკლას სხვა ადამიანი, განურჩევლად იმისა, მისი წინააღმდეგობა „რელიგიას“ ემყარება თუ ზნეობრივ ღირებულებებს. „მე ვფიქრობდი, რომ თითოეული ადამიანის კეთილდღეობა წარმოადგენდა პირველი შესწორების სიცოცხლისუნარიანობის გადამწყვეტ ტესტს“.

რაც შეეხება საქმეს ნეგრი ლარსენის წინააღმდეგ, მოსამართლემ განაცხადა, რომ მომჩივნის განცხადების საფუძველზე შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა: კათოლიკური რელიგიის დოქტრინების მიხედვით, პირს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მისი სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ომში, თუ ასეთი ომი შეესაბამება მისი ეკლესიის შეხედულებას სამართლიან ომზე. შესაბამისად, კათოლიკეს აქვს მორალური ვალდებულება, არ მიიღოს მონაწილეობა უსამართლო ომში.

მოსამართლის აზრით, მეხუთე მცნება – „არა კაც ჰკლა“ წარმოადგენს სამართლიან და უსამართლო ომს შორის განსხვავების საფუძველს. მე-16 საუკუნეში ფრანსისკო ვიქტორიამ, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთმა პიონერმა და სალამანკის უნივერსიტეტის ხელმძღვანელმა ეს განსხვავება შემდეგნაირად წარმოადგინა: „თუ ქვეშევრდომი დარწმუნებულია ომის უსამართლობაში, მან არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მასში, თუნდაც ეს მას პრინციპა უბრძანოს. ეს დღესავით ნათელია, რადგან არავის შეუძლია დააკანონოს უდანაშაულო ადამიანის მკვლელობა“. მას ესმოდა, რომ ყველას არ ჰქონდა ინფორმაცია ომის მიზეზების შესახებ, მაგრამ, მისი აზრით, მათი უცოდინარობა არ იყო საპატიო მიზეზი ომში მონაწილეობის-



თვის. დღეს, უკვე 400 წლის შემდეგ, ბალტიმორის კატეხიზმო უშვებს მეხუთე მცნების გამო-  
ნაკლისს „ჯარისკაცისთვის, რომელიც სამართლიან ომში იბრძვის“.

მოსამართლის თანახმად, არავის შეუძლია უთხრას კათოლიკეს, სამართლიანია თუ არა  
ესა თუ ის ომი. ასეთი გადაწყვეტილება თვითონ ინდივიდმა უნდა მიიღოს თავისი სინდისის  
კარნახითა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

ისევე, როგორც განსხვავება სამართლიან და უსამართლო ომს შორის, ვალდებულება,  
რომ პირი დაემორჩილოს თავის სინდისს, არ არის ახალი დოქტრინა კათოლიკურ ეკლესიაში.  
ნათქვამია: „ჩვენ უნდა დავემორჩილოთ ღმერთს და არა ადამიანებს“.

### *ტომასი სამეთვალყურეო საბჭოს წინააღმდეგ<sup>99</sup>*

ედი ტომასი, იელოვას მონმე, ზოგადად ლითონგადამამუშავებელი განყოფილებიდან  
ტანკის განსაზღვრული ნაწილის დამუშავების განყოფილებაში გადაიყვანეს. ტომასმა უარი  
განაცხადა ასეთ სამუშაოზე, რადგან, მისი თქმით, რწმენა უკრძალავდა საბრძოლო იარაღე-  
ბის დამუშავებაში მონაწილეობას. სახელმწიფომ არგუმენტად მოიყვანა, რომ, მისგან განსხ-  
ვავებით, სხვა იელოვას მონმეები თანახმა იყვნენ ემუშავათ იარაღის დამუშავების განყოფი-  
ლებაში. საქმეზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბურგერმა განაცხადა, რომ სასა-  
მართლოს კომპეტენციაში არ შედიოდა იმის გარკვევა, ვის ჰქონდა უფრო სწორად გაგებული  
ამ სექტის მოძღვრება, მომჩივანს თუ სხვა მომუშავე იელოვას მონმეებს. მისივე განცხადე-  
ბით, სასამართლო არ წარმოადგენს სულიერი ინტერპრეტაციების მსაჯულს და ამ კონკ-  
რეტულ საქმეში მან უნდა გაარკვიოს, გულწრფელია თუ არა მოსარჩელე იმის განცხადებისას,  
რომ რწმენა უკრძალავს ასეთი ფორმით მუშაობას. ამ საქმეში სასამართლომ უარყო ქვემ-  
დგომი სასამართლოს შეხედულება, რომ რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის დაკმაყო-  
ფილება ყოველთვის რელიგიის დაუშვებელ დაწესებას წარმოადგენს. მხოლოდ მოსამართლე  
რენკვისტი არ დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას და ყურადღება გაამახვილა რე-  
ლიგიის შესახებ კონსტიტუციურ დებულებაში, რელიგიის დაწესების დაუშვებლობისა და აღ-  
მსარებლობის თავისუფლების გამოხატვის პრინციპებს შორის წინააღმდეგობაზე.

### *მოსამართლე რენკვისტის განსხვავებული აზრი*

მოსამართლის აზრით, რელიგიის დაწესებისა და აღმსარებლობის თავისუფლების კლა-  
უზულებს შორის კონფლიქტის სამი მიზეზი არსებობს. პირველი მიზეზია მზარდი საზოგა-  
დოებრივი კეთილდღეობის კანონმდებლობა, რომელიც სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს.  
მეორე მიზეზია სასამართლოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ პირველი შესწორება  
ინკორპორირებულია მე-14 შესწორებაში (სტრომბერგი კალიფორნიის წინააღმდეგ<sup>100</sup>). მესამე  
მიზეზად მოსამართლემ დაასახელა ზოგადად სასამართლოების მიერ ორივე კლაუზულის  
ზედმეტად ფართო ინტერპრეტირება. მოსამართლის განცხადებით, სასამართლო მუდმივად  
ავიწროებდა იმ „გასასვლელს“, რომელიც ნებისმიერ სახელმწიფო ქმედებას უნდა გაეკლო,  
რათა კონსტიტუციური შემოწმების მსხვერპლი არ გამხდარიყო.

მოსამართლის აზრით, ვერც ერთი ამ მიზეზთა შორის ვერ იქნებოდა გათვალისწინებული  
მათ მიერ, ვინც მიიღო პირველი შესწორება. პირველი შესწორება მაშინ იქნა მიღებული, რო-  
დესაც საზოგადოებრივი კეთილდღეობის კანონმდებლობა არ იყო მასშტაბური ხასიათის და  
ფედერალურ ხელისუფლებასაც საკმაოდ შეზღუდული უფლებამოსილება ჰქონდა. შესაბა-  
მისად, იმის ალბათობაც მცირე იყო, რომ ეს ორი კლაუზულა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში  
მოვიდოდა.

დასკვნის სახით მოსამართლემ განაცხადა, რომ, რადგანაც ისინი, ვინც მიიღო პირველი  
შესწორება, ვერ გაითვალისწინებდნენ საზოგადოებრივი კეთილდღეობის კანონმდებლობის



მასშტაბების ზრდას ან პირველი შესწორების ინკორპორირებას მე-14 შესწორებაში, არ იყო ცნობილი, როგორი მოსაზრება ექნებოდათ მათ დღეს ამ ორი კლაუზულის მოქმედების ფარგლების თაობაზე.

### შაბათის წესის აღსრულება

„დაიცავი შაბათი დღე, რომ წმიდად შეინახო იგი, როგორც უფალს, შენს ღმერთს, უბრძანებია. ექვს დღეს იმუშავე და აკეთე ყველა შენი საქმე. მეშვიდე დღე უფლის, შენი ღმერთის შაბათია: არაფერი საქმე არ აკეთო არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა ყმაწვილმა, არც შენმა ხარმა, არც შენმა სახედარმა, არც ერთმა შენმა პირუტყვმა, და არც შენმა მდგმურმა, რომელიც შენს ქალაქებში ცხოვრობს, რომ დაისვენოს შენმა ყმამ და ყმაქალმა შენთან ერთად. გახსოვდეს, რომ ყმა იყავი შენც ეგვიპტის ქვეყანაში და გამოგიყვანა იქიდან უფალმა, შენმა ღმერთმა, მაგარი ხელით და შემართული მკლავით. ამიტომ გიბრძანა უფალმა, შენმა ღმერთმა შაბათი დღის შენახვა.“

მეორე რჯული 5: 12-15

შაბათის მსახურება ქვემოთ ორმაგი ეფექტის პრინციპით განიხილება. აქ წარმოდგენილია ორი მაგალითი, რომლებიც შაბათის მსახურებასთან არის დაკავშირებული შრომის კანონმდებლობის ფარგლებში. პირველი შაბათის წესის დამცველისათვის უმუშევრობის კომპენსაციის გაცემას უკავშირდება. მეორე კი შეეხება დამქირავებლის ვალდებულებას, სამოქალაქო უფლებების აქტის VII თავის საფუძველზე მოახდინოს დამქირავებული პირის რელიგიური მსახურების, მათ შორის შაბათის წესის დაცვის შესაბამისი ადაპტაცია.

### შერბერტი ვერნერის წინააღმდეგ<sup>101</sup>

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

აპელანტი, მეშვიდე დღის ადვენტისტი, სამხრეთკაროლინელმა დამქირავებელმა სამსახურიდან დაითხოვა, რადგან ამ ქალბატონს თავისი სარწმუნოება შაბათ დღეს მუშაობას უკრძალავდა. ახალ სამსახურში მოწყობა იმავე სარწმუნოებრივი მიზეზით ვერ მოხერხდა. უმუშევრად დარჩენილმა ქალბატონმა სამხრეთ კაროლინის უმუშევრობის საკომპენსაციო აქტის საფუძველზე საკომპენსაციო თანხა მოითხოვა. კანონის თანახმად, იმისათვის, რომ ადამიანმა შემწეობა მიიღოს, მას უნდა „შეეძლოს შრომა... ან სამუშაოს უნდა შეესაბამებოდეს“. შემდგომ კი ნათქვამია, რომ ადამიანი იმ შემთხვევაში ვერ მიიღებს შემწეობას „თუ... მან საფუძვლიანი მიზეზის გარეშე უარი განაცხადა დამსაქმებლის მიერ შეთავაზებულ შესაბამის სამუშაოზე“. დასაქმების კომისიამ ეს ქალბატონი სწორედ ამ დებულებას დაუქვემდებარა, რადგან მან უარი განაცხადა „დამსაქმებლის მიერ შეთავაზებულ შესაბამის სამუშაოზე“... ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სპარტანბურგის ოლქის საჯარო საჩივრების სასამართლომ, შემდეგ კი სამხრეთ კაროლინის უზენაესმა სასამართლომ. შტატის უზენაესმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომჩივნის მოთხოვნის უარყოფა კომპენსაციის მიღებაზე მის არც ერთ კონსტიტუციურ უფლებას არ არღვევდა, რადგან სტატუტის ასეთი განმარტება „არანაირად არ ზღუდავს აპელანტის რელიგიის თავისუფლებას და მას არც რელიგიური მრწამსის საკუთარი სინდისის შესაბამისად გამოხატვაში უშლის ხელს“. უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა.

ნიშნავს თუ არა შემწეობის გაცემაზე უარის თქმა აპელანტის რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის გარკვეული სახით შეზღუდვას? ცხადია, რელიგიური პრინციპებისა და მსა-

ხურებისთვის მსგავსი შეზღუდვის შედეგები შეიძლება მხოლოდ შტატის კეთილდღეობის კანონმდებლობის არაპირდაპირ შედეგს წარმოადგენდეს. ადგილი არა აქვს კრიმინალური სანქციის გზით აპელანტის იძულებას, კვირაში ექვსი დღე იმუშაოს. თუმცა, „თუ კანონის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს ერთი ან ყველა რელიგიის მსახურების შეფერხება, ან რელიგიებს შორის უსამართლო გამორჩევა, კანონი არაკონსტიტუციურად ითვლება არაპირდაპირი ზემოქმედების პირობებშიც კი“ (ბრაუნფელდი ბრაუნის წინააღმდეგ<sup>102</sup>). აქ თვალნათლივ ჩანს, რომ ქალბატონს შემწეობის მიღებაზე უარი განუცხადეს არა მხოლოდ რელიგიური მსახურების გამო, არამედ ზენოლის მიზნით, რათა მას უარი ეთქვა ამ რელიგიური წესის შესრულებაზე. სასამართლო გადაწყვეტილება მას, ერთი მხრივ, რწმენასა და შემწეობას შორის არჩევანის გაკეთებას, მეორე მხრივ კი საკუთარი სარწმუნოების ერთ-ერთი მცნების უარყოფას აიძულებდა.

უზენაესი სასამართლოს მიხედვით, სამხრეთ კაროლინის სასამართლოს მიერ სტატუტის განმარტება კონსტიტუციურად არამყარია. იგი ეფუძნება შეხედულებას, რომ დაუსაქმებლობის საკომპენსაციო შემწეობა წარმოადგენს აპელანტის არა „უფლებას“, არამედ მხოლოდ „პრივილეგიას“. დღეს ეჭვს აღარ იწვევს, რომ შემწეობაზე ან პრივილეგიაზე უარის თქმა ან მათ მისაღებად გარკვეული პირობების წაყენება რელიგიისა და მისი გამოხატვის თავისუფლებას არღვევს.

ამ შემთხვევაში დაცული სახელმწიფო ინტერესი საერთოდ არ შეესაბამება იმ ინტერესებს, რომლებიც რელიგიურ მსახურებაზე შედარებით ნაკლებ პირდაპირ ზემოქმედებას ამართლებს. სასამართლომ აღიარა, რომ კვირა დღეს ვაჭრობისა და მუშაობის ამკრძალავი კანონი გამოიწვევდა „(ორთოდოქსი ებრაელი ვაჭრების) ... რელიგიურ რიტუალთა აღსრულების უფრო გაძვირებას“. თუმცა სტატუტი მხარდაჭერილი იქნა გამანონასწორებელი ფაქტორით – ყველა მუშისთვის უნიფიცირებული დასვენების დღის დანესების მძლავრი სახელმწიფო ინტერესით. შაბათის წესის დამცველისთვის კანონის მოთხოვნებისგან გათავისუფლება გამოიწვევდა სერიოზულ ადმინისტრაციულ პრობლემას, ან გათავისუფლებულ კლასს იმდენად დიდი უპირატესობა მიენიჭებოდა, რომ მთელ სისტემას არაქმედითად აქცევდა. მოცემულ შემთხვევაში არც ერთი ასეთი გამამართლებელი გარემოება არ შეიძლება იყოს საფუძველი შტატის სასამართლოს განსაზღვრებისთვის, რომლის მიხედვითაც აპელანტის რელიგია წარმოადგენს დაბრკოლებას შემწეობის მისაღებად.

#### *მოსამართლე სტიუარტის თანხმებული აზრი*

სამხრეთ კაროლინის შტატისთვის მოთხოვნის წაყენება, მოახდინოს კანონების ადმინისტრირება აპელანტისთვის კომპენსაციის გადასახდელად, ნიშნავს, შტატს არდანესების კლავუზის დარღვევისაკენ ვუბიძგოთ სასამართლოს მიერ დღეს ჩამოყალიბებული ფორმულირების გათვალისწინებით. ეს გარემოება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ვფიქრობ, რომ დანესების კლავუზის სასამართლო კონცეფცია ისტორიულად არამყარი და კონსტიტუციურად მცდარია. ვფიქრობ, რელიგიის თავისუფლების გარანტია, რომელიც აღმსარებლობის თავისუფლების კლავუზულაშია ჩადებული, ხელისუფლებას უყენებს მტკიცე მოთხოვნას, შექმნას კეთილგანწყობისა და თანხმობის ატმოსფერო ინდივიდუალური რწმენისა თუ ურწმუნოებისთვის. მოკლედ, ვფიქრობ, რომ კონსტიტუცია ხელისუფლებას ავალდებულებს, დაიცვას არა მხოლოდ უმცირესობის ან უმრავლესობის, არამედ ყოველი ჩვენგანის რელიგიის თავისუფლება.

*მოსამართლე ჰარლენის განსხვავებული აზრი, რომელსაც შეუერთდა მოსამართლე უაიტი*  
სამხრეთ კაროლინის უზენაესმა სასამართლომ ეს კანონი საკუთარ განზრახვას მორგო.

მან თანმიმდევრულად დაასაბუთა, რომ ადამიანი „შეუფერებელია სამუშაოსთვის“, თუ მისი დაუსაქმებლობა განპირობებულია არა სანარმოს უუნარობით უზრუნველყოს სამსახურით, არამედ პირადი მოტივებით.

მოცემულ შემთხვევაში ყოველივე ის, რაც შტატის სასამართლომ გააკეთა, არის ალიარე-ბული პრინციპებით სარგებლობა. სპარტანბურგის ყველა ფაბრიკა ექვსდღიან სამუშაო გრაფიკს იცავდა. აპელანტი „სამუშაოსთვის შეუფერებელი“ აღმოჩნდა და, ამგვარად, შემწეობაც არ ეკუთვნოდა, რადგან პირადმა შეხედულებამ ხელი შეუშალა, დასაქმებულიყო სრული სამუშაო დღით მრეწველობის იმ დარგში და იმ ადგილზე, სადაც ადრე მუშაობდა. ის, რომ პირადი შეხედულებები მის რელიგიურ მრწამსს ეფუძნებოდა, არაარსებითი აღმოჩნდა შტატის სასამართლოს მიერ კანონით სარგებლობისას. ამრიგად, არ შეიძლება ითქვას, რომ შტატმა დისკრიმინაცია განახორციელა აპელანტის მიმართ მისი რელიგიური შეხედულებების გამო, ან რომ მას შემწეობის მიღებაზე იმის გამო ეთქვა უარი, რომ იგი მეშვიდე დღის ადვენტისტი გახლდათ. ამ შემწეობის მიღებაზე მისი მოთხოვნის უარყოფა იმავე მიზეზით მოხდა, რა მიზეზითაც უარყოფდნენ სხვების მოთხოვნებს, რომლებიც პირადი მიზეზებით აღმოჩნდნენ „სამსახურისთვის შეუფერებელნი“.

ამ ფონზე, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უფრო ნათელი ხდება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ შტატი ირჩევს, რომ დაუსაქმებლობის კომპენსაცია მიაკუთვნოს პირს მისი სამსახურეობრივი ვარგისიანობის გამო, ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება საქმეში ბრაუნფილდი ბრაუნის წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებას, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ აღმსარებლობის თავისუფლების კლავზულა არ დარღვეულა შტატის მიერ შაბათის წესის დამცველთა მოთხოვნის უარყოფით, ეწარმოებინათ ბიზნესი კვირა დღეს. ბრაუნფილდის საქმეში კვირა დღეს მუშაობისა და ვაჭრობის ამკრძალავი კანონებიდან გამონაკლისების დაშვება შაბათის წესის დამცველთათვის შეუსაბამო იქნებოდა კანონის საერო მიზანთან, უზრუნველყო საყოველთაო დასვენების დღე და სასამართლოს იძულებულს გახდიდა რელიგიური რწმენების შემონახვა მოეხდინა თითოეულ საქმეში. აქაც გამონაკლისების დაშვება რელიგიურ ნიადაგზე შექმნიდა მათი სასამართლო შემონახვის საჭიროებას და წინააღმდეგობაში მოვიდოდა კანონის შეზღუდულ მიზანთან, წესრიგში მოეყვანა ეკონომიკა ინდუსტრიული არასტაბილურობის პერიოდში.

**მუშა-მოსამსახურის რელიგიური მოქმედებისა და რწმენების გონივრული ადაპტაციის ვალდებულება.** 1964 წლის სამოქალაქო უფლებების აქტის VII თავი უკანონოდ მიიჩნევს დამქირავებლის მიერ მუშახელის დისკრიმინაციას რელიგიურ ნიადაგზე. რელიგია განსაზღვრულია როგორც „მოქმედების, ისე რწმენის მომცველად, სანამ დამქირავებელი ვერ შეძლებს დაამტკიცოს, რომ მას არ შეუძლია გონივრული ადაპტაცია მოახდინოს ... მისი ბიზნესისათვის ზიანის მიყენების გარეშე“. ლარი გ. ჰარდისონი იყო ახალი წევრი უფლის მსოფლიო ეკლესიისა, რომლის მიხედვითაც, არ შეიძლება მუშაობა პარასკევის დაისიდან შაბათის დაისამდე. ჰარდისონი მუშაობდა ცენტრალურ საერთაშორისო მსოფლიო ავიახაზებში, რომელიც დღე-ღამეში 24 საათს და კვირაში შვიდ დღეს მუშაობს. მან უარი განაცხადა შაბათს მუშაობაზე. ავიახაზების წესების მიხედვით ჰარდისონს არ ჰქონდა შაბათს მუშაობაზე უარის თქმისათვის აუცილებელი სამუშაო სტაჟი. ავიახაზები უარყოფდა პროფკავშირების დაჟინებულ მოთხოვნას სამუშაო სტაჟთან დაკავშირებული წესების შეცვლის თაობაზე და შესაბამისად, ჰარდისონი გათავისუფლებულ იქნა სამუშაოდან. საოლქო სასამართლომ სმა-ს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ კი დაადგინა, რომ დარღვეული იყო VII თავი. *საერთაშორისო მსოფლიო ავიახაზები ჰარდისონის წინააღმდეგ*<sup>103</sup> საქმეში უზენაესმა სასამართლომ, რომლის გადაწყვეტილებაც მოსამართლე უაიტმა გადმოსცა,

მიიჩნია, რომ სმა-ს მიერ ჰარდისონის რელიგიური რწმენის ადაპტაცია გაუმართლებელ ზიანს მიაყენებდა მას. როგორც უაიტი წერს, მოცემულ შემთხვევაში დამქირავებლის ვალდებულება გონივრული ანგარიშგანებისა არ გულისხმობს მინიმალურ დანახარჯზე მეტს, და რომ დამქირავებელი არ არის ვალდებული მოახდინოს მუშახელის ჩანაცვლება, კოლექტიური ხელშეკრულებით დადგენილი სამუშაო სტაჟის სისტემის ხელყოფით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ჰარდისონისთვის შაბათის დასვენების დღედ მიცემა ნიშნავდა იმას, რომ „შაბათს დასვენების პრივილეგია რელიგიური რწმენის მიხედვით განისაზღვრებოდა“.

**სარწმუნოებაზე მოქცევა.** ორი წლისა და ექვსი თვის მუშაობის შემდეგ პაულა ჰობიმ თავის დამქირავებელს განუცხადა, რომ იგი მეშვიდე დღის ადვენტისტების ეკლესიაში უნდა მოინათლულიყო და შაბათს მუშაობას ვეღარ შეძლებდა რელიგიური მიზეზებით. როდესაც მან უარი განაცხადა პარასკევ საღამოს და შაბათს მუშაობაზე, დამქირავებელმა იგი სამუშაოდან დაითხოვა. მაშინ ჰობიმ უმუშევრობის კომპენსაცია მოითხოვა, რაც არ დაკმაყოფილდა. ჰობის და შერბერტის საქმეებს შორის ფაქტობრივი განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ჰობი მეშვიდე დღის ადვენტისტთა რწმენაზე ახალი მოქცეული იყო. შტატის სასამართლოებმა უმუშევართა საჩივრების კომისიის სასარგებლოდ გამოიტანეს გადაწყვეტილება. ჰობი ფლორიდის უმუშევართა საჩივრების კომისიის წინააღმდეგ საქმეში<sup>104</sup> უზენაესმა სასამართლომ საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო. შერბერტის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ავტორმა, მოსამართლე ბრენანმა, რომელმაც გადმოსცა სასამართლოს გადაწყვეტილება, აღნიშნა: „კომისია ჩვენგან მოითხოვს, რომ რელიგიაზე ახალმოქცეულს განსხვავებულად, ნაკლები კეთილგანწყობით მივუდგეთ, ვიდრე მისი სარწმუნოების სხვა მიმდევრებს. ჩვენ უარს ვაცხადებთ ასეთ ქმედებაზე ... ჰობის მოქცევის დრო არაარსებითია ჩვენი აზრისათვის იმის შესახებ, რომ მისი აღმსარებლობის თავისუფლება დაირღვა“.

### **რელიგიის გამოხატვა სამუშაო ადგილზე**

**რელიგიის გამოხატვა ფედერალურ სამუშაო ადგილზე.** 1997 წლის 14 აგვისტოს პრეზიდენტმა კლინტონმა გამოსცა საპრეზიდენტო დირექტივა, რომელიც არეგულირებდა რელიგიურ ღვთისმსახურებას და რელიგიის გამოხატვას ფედერალურ სამუშაო ადგილებზე. დირექტივის თანახმად, სახელმწიფო ორგანოებს არ შეეძლოთ მუშაკის რელიგიური გამოხატვის რეგულირება მისი შინაარსის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ინტერესი ამა თუ იმ ორგანოს ეფექტიანად მუშაობის მიმართ უფრო ღირებული იყო, ვიდრე მუშაკის სიტყვის თავისუფლება, დირექტივა მიუთითებდა, რომ სახელმწიფო ორგანოს სიტყვის თავისუფლების რეგულირების უფლებამოსილება „სამართლიანად და შეზღუდულად“ უნდა გამოეყენებინა.

დირექტივა კრძალავდა რაიმე ფორმით მუშაკის იძულებას, მიეღო მონაწილეობა ან, პირიქით, არ მიეღო მონაწილეობა რელიგიურ საქმიანობაში. დირექტივა იცავდა მუშაკს რელიგიური დისკრიმინაციული დაშინებისგან, რელიგიური მოტივით შეურაცხყოფის ან აბურჩად აგდებისგან, როგორც მისი უფროსის, ასევე სხვა მუშაკების მიერ. დირექტივის თანახმად, მუშაკებს შეეძლოთ გამოეხატათ და გაეზიარებინათ თავიანთი რელიგიური შეხედულებები სხვა თანამშრომლებისთვის, რაც შეიძლება მხოლოდ ისეთ რეგულირებას ყოფილიყო დაქვემდებარებული, რომელიც ეფუძნებოდა დანესებულების ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლის გონივრულ ვარაუდს.

დირექტივა, შეესაბამებოდა რა სამოქალაქო უფლებების აქტის VII თავს, აწესებდა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების არც ერთ სახელმწიფო ორგანოს არ შეეძლო დაენიშნურებინა, ან უარი ეთქვა დანიშნურებაზე, დაექირავებინა, ან უარი ეთქვა დაქირავებაზე, ან

სხვაგვარად უპირატესობა მიენიჭებინა ან, პირიქით, შეეზღუდა მუშაკი ან პოტენციური მუშაკი მისი რელიგიის, რელიგიური მრწამსისა თუ რელიგიური შეხედულების გამო.

დირექტივა მიუთითებდა, რომ სამოქალაქო უფლებების აქტის VII თავი ავალდებულებდა ყველა დამქირავებელს, მათ შორის სახელმწიფო ორგანოებსაც, გონივრულ ფარგლებში დაეკმაყოფილებინათ კონკრეტული რელიგიური ღვთისმსახურების მოთხოვნები. შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოს თავისი სამუშაო განრიგი მუშაკთა რელიგიური მსახურებისთვის უნდა შეესაბამებინა, თუ მუშაკის მიერ სამსახურის გაცდენა არ წარმოშობდა ზედმეტ სირთულეს დაწესებულების ფუნქციონირებისთვის. მუშაკს შეეძლო ეტარებინა რელიგიური სამოსი, თუ ეს ხელს არ უშლიდა ორგანიზაციის ფუნქციონირებას. 1993 წლის რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტის მიხედვით, „იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციის სამუშაო წესი არსებითად ზღუდავს კონკრეტული მუშაკის რელიგიურ გამოხატვას, მაშინ ორგანიზაციამ უნდა გაათავისუფლოს მუშაკი ასეთი წესისგან, თუ ორგანიზაციას არა აქვს არსებითი დაინტერესება ასეთ გათავისუფლებაზე უარის სათქმელად და არ არსებობს სხვა ნაკლებად შემზღუდავი საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობდა ორგანიზაციის ამ ინტერესის აღსრულებას.“

1964 წელს მიღებული სამოქალაქო უფლებების აქტის VII თავი კრძალავს მუშაკის სამუშაოზე აყვანას დისკრიმინაციული საფუძველით. აქტის მიხედვით, დაუშვებელია „... ინდივიდის დაქირავებაზე უარის თქმა ან მისი გათავისუფლება, ან სხვაგვარად მისი დისკრიმინაცია კომპენსაციით, სამუშაო პირობებით ან სამუშაო პრივილეგიებით, მისი რასის, რელიგიის, სქესისა თუ წარმოშობის ნიადაგზე“.

**კერძო დამქირავებლების პოზიტიური ვალდებულება, დააკმაყოფილონ მუშაკთა რელიგიური მრწამსისა და ღვთისმსახურების მოთხოვნები.** გარდა იმისა, რომ სამოქალაქო უფლებების აქტის VII თავი კრძალავდა სამუშაოზე აყვანისას რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციას, ის ასევე აკისრებდა დამქირავებელს პოზიტიურ ვალდებულებას, დაეკმაყოფილებინა მუშაკის რელიგიური მოთხოვნები. გამონაკლისს ამ წესიდან წარმოადგენდა ის შემთხვევა, როდესაც დამქირავებელი აჩვენებდა, რომ მას არ შეეძლო გონივრულ ფარგლებში დაეკმაყოფილებინა მუშაკის ან მომავალი მუშაკის რელიგიური რიტუალის მოთხოვნები, ან აჩვენებდა, რომ ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევდა მისი საქმიანობის ზედმეტ გართულებას.

წინამდებარე საქმეში დამქირავებელს სურდა რელიგიის გავრცელება სამუშაო პროცესზე. ჯეიკ და ჰელენ თოუნლები ქრისტიანები იყვნენ, რომელთაც არ შეეძლოთ რელიგიისა და ყოველდღიური ცხოვრების, მათ შორის თოუნლების კომპანიის საქმიანობის გამოიწვევა. 1963 წელს, როდესაც დააარსეს თოუნლების კომპანია, რომელიც მალაროს აპარატურას აწარმოებდა, მათ დადეს ფიცი, რომ მათი ბიზნესი ქრისტიანულ მრწამსზე ორიენტირებული იქნებოდა. დამფუძნებლების მიერ დადებული ფიცი სხვადასხვაგვარად აისახებოდა კომპანიის საქმიანობაზე. მაგალითად, ყოველ წერილს, რომელიც კომპანიიდან იგზავნებოდა, თან ერთვოდა სახარება; ყოველ კომერციულ დოკუმენტზე კომპანია ბიბლიიდან ამონარიდებს ბეჭდავდა; ის ფინანსურად ეხმარებოდა ეკლესიებსა და მისიონერებს; ყოველ კვირას სამუშაო საათებში მართავდა რელიგიურ რიტუალს. თოუნლებმა მოსთხოვეს ყველა მუშაკს, დასწრებოდნენ აღნიშნულ რიტუალს, თან ღვთისმსახურებაზე დახარჯულ დროს უნაზღაურებდნენ. რიტუალზე არდასწრება სამსახურის გაცდენად ითვლებოდა. ერთ-ერთმა მუშაკმა, ლუის პელვასმა, მოითხოვა ასეთი რიტუალისგან გათავისუფლება იმის საფუძველზე, რომ ათეისტი იყო. კომპანიის ხელმძღვანელობამ განუცხადა პელვასს, რომ დასწრება ამ რიტუალზე სავალდებულო იყო და რომ მას დასწრებას ავალდებულებდა მუშაკთა ცნობარი, რომელზედაც ხელი ჰქონდა მოწერილი. თუმცა, ხელმძღვანელობის განცხადებით, პელვასს შეეძლო ასეთი რიტუალების



დროს დაეძინა, ან სულაც გაზეთი წაეკითხა. პელვასმა განაგრძო რიტუალებზე დასწრება, მაგრამ ორ თვეში დასაქმების თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის კომისიის დახმარებით სარჩელი შეიტანა სასამართლოში რელიგიური დისკრიმინაციის მოტივით და დატოვა კომპანია.

*დასაქმების თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის კომისია  
თოუნლის საინჟინრო-სამრეწველო კომპანიის წინააღმდეგ<sup>105</sup>*

*სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება*

თოუნლების კომპანიის მტკიცებით სამოქალაქო უფლებების აქტის VII თავის გამოყენება მათ კომპანიაში არსებული სამუშაო პოლიტიკის (რელიგიური რიტუალის ჩატარების) მიმართ არღვევდა პირველი შესწორების აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულას.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ VII თავის მოქმედება ვრცელდებოდა თოუნლების სავალდებულო რიტუალზე. VII თავის 701(ი)-ე და 703(ა)-ე მუხლები მიუთითებდნენ იმაზე, რომ მუშაკისთვის, მისი პროტესტის მიუხედავად, რელიგიურ რიტუალზე დასწრების მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა VII თავის მიერ რელიგიური დისკრიმინაციის აკრძალვას. უფრო მეტიც, სასამართლომ აღნიშნა, რომ 702-ე მუხლით VII თავის მოქმედებისგან რელიგიური კორპორაციების გათავისუფლებაში კონგრესი არ გულისხმობდა ისეთი (სამენარმეო) ორგანიზაციის დაცვას, როგორც იყო თოუნლების კომპანია. თუმცა სასამართლომ განაცხადა, რომ ჯეიკ და ჰელენ თოუნლებს ჰქონდათ აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულით გარანტირებული გარკვეული უფლებები, რომელთა ხელყოფა დაუშვებელი იყო სამოქალაქო უფლებების აქტის VII თავის საფუძველზე.

სასამართლოს ინტერპრეტაციით, 703(ა)-ე და 702(ი)-ე მუხლები ქმნიდა ორნაწილიან სტრუქტურას, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო რელიგიასთან დაკავშირებულ სასამართლო საქმეებში. პირველი ნაწილი გულისხმობდა, რომ მოსარჩელეს უნდა დაესაბუთებინა *prima facie* რელიგიური დისკრიმინაციის შემთხვევა.<sup>106</sup> მას შემდეგ, რაც მოსარჩელე დაასაბუთებდა *prima facie* დისკრიმინაციის არსებობის ფაქტს, მტკიცების ტვირთი გადაინაცვლებდა დამქირავეზე, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა, რომ მან კეთილსინდისიერად სცადა მუშაკის რელიგიური მრწამსის ადაპტაცია. თუ ეს ცდა წარუმატებელი იყო, მას უნდა დაემტკიცებინა, რომ „შეუძლებელი იყო ასეთი მოთხოვნის გონივრულ ფარგლებში დაკმაყოფილება ზედმეტი გართულების გარეშე.“

პელვასმა შესთავაზა თოუნლის, დაეკმაყოფილებინა მისი რელიგიური მოთხოვნა რელიგიურ რიტუალზე დასწრებისგან გათავისუფლების თაობაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პელვასის მოთხოვნის დაკმაყოფილება არ გამოიწვევდა თოუნლის საქმიანობის ზედმეტი გართულებას. მან განაცხადა, რომ პელვასის რიტუალზე დასწრებისგან გათავისუფლება არ გამოიწვევდა არანაირ ხარჯს თოუნლის კომერციული საქმიანობისთვის და არ შეუშლიდა ხელს სხვა მუშაკების მუშაობას.

თოუნლი ამტკიცებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა განეხლა ის სულიერი ტვირთი, რასაც პელვასის მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევდა. სააპელაციო სასამართლომ აღიარა, რომ ამ შემთხვევაში სულიერ დანაკლისს მართლაც ექნებოდა ადგილი. სასამართლოს განცხადებით, თოუნლი მართებულად აცხადებდა, რომ „საზღაური არ შეიძლება ყოველთვის გაზომილ იქნეს დოლარებში. გასათვალისწინებელია ასევე სულიერი „საზღაური“. თუმცა სასამართლომ ეჭვის ქვეშ დააყენა, რომ ასეთ „სულიერ საზღაურს“ შეეძლო მოგებაზე ორიენტირებული დამქირაველისთვის სირთულეების შექმნა. სასამართლოს მოსაზრებით, მოთხოვნის დაკმაყოფილებით გამოწვეული ზედმეტი სირთულეების დას-



ტურად არ შეიძლებოდა ჰიპოთეზური სირთულის არსებობის მოყვანა, არამედ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ასეთი დაკმაყოფილებით მუშაკებზე უშუალო ტვირთის დაკისრების ან სამუშაო პროცესის დარღვევის მტკიცებულება.

სასამართლო მოიშველია ჰარდისონის სასამართლო პრეცედენტი იმის დასამტკიცებლად, რომ VII თავი არ მოითხოვდა მუშაკების უფლებების ხელყოფას დამქირავებლის რელიგიური გამოხატვის ადაპტაციისთვის. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ VII თავის 702-ე მუხლი, რომელიც გამორიცხავდა რელიგიური ორგანიზაციების, ასოციაციებისა და საგანმანათლებლო ინსტიტუტების მიმართ VII თავის გავრცელებას, გამოუსადეგარი იყო ისეთი სეკულარული ორგანიზაციისთვის, როგორც იყო თოუნლის კომპანია.

*მოსამართლე ნუნანის განსხვავებული აზრი*

მოსამართლე ნუნანის განცხადებით, აღნიშნულ საქმეში არ დასტუდება პელვასის იძულება მრწამსის უარყოფის ან კომპანიის მფლობელთა რელიგიის სასარგებლოდ შეცვლის თაობაზე. თავად პელვასისავე განცხადებით, მას შესთავაზეს, ღვთისმსახურების დროს გაეკეთებინა ყურთსაცვამი, წაეკითხა ან სულაც დაეძინა. ყურთსაცვამით ის ვერ მოისმენდა მისი ათეიზმის საწინააღმდეგო რელიგიურ დოქტრინას. ნიგნის კითხვითა და ძილით ის არ მიიღებდა მონაწილეობას რელიგიურ რიტუალში.

მოსამართლემ თავისი მოსაზრების საილუსტრაციოდ მოიყვანა სკოლის ბავშვების შეკრება და მათზე რელიგიური ინდოქტრინაციის განხორციელება. ბავშვების ამგვარი იძულება, მისი აზრით, აშკარად არღვევდა რელიგიის თავისუფლებას. თუმცა შეკრება, რომელზე დასწრებაზეც პელვასმა პროტესტი გამოთქვა, კომპანიის ტერიტორიაზე გაიმართა და პელვასიც არ იყო ბავშვი. დასწრება ასეთ რიტუალზე, მოსამართლის აზრით, არ წარმოადგენდა რელიგიურ აქტს. ის, რისი გაკეთების უფლებაც პელვასს ჰქონდა ასეთი რიტუალის დროს, თავყვანისცემის საპირისპირო აქტი იყო. მას ჰქონდა უფლება, საჯაროდ გამოჰყოფოდა რიტუალს. მას ჰქონდა უფლება, არ მოესმინა „რელიგიური მესიჯი“. მოსამართლის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ის დაისჯებოდა ასეთი საქციელის გამო, პროფკავშირებს ჩივილის საფუძველი ექნებოდათ. მოსამართლის აზრით, თოუნლის კომპანიამ დააკმაყოფილა პელვასის კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა რიტუალზე დასწრების მიმართ.

**ექვსია, როგორც დამქირავებელი: გაერთიანების წარმომადგენლობა და კოლექტიური შეთანხმება.** შრომითი ურთიერთობების ეროვნული საბჭო ჩიკაგოს კათოლიკური საეპისკოპოსოს წინააღმდეგ სასამართლო საქმეში ეროვნული საბჭო ირწმუნებოდა, რომ შრომითი ურთიერთობების აქტი მის იურისდიქციის ქვეშ აქცევდა სამრეწლო (რელიგიურ) სკოლებს. ლემონის სასამართლო პრეცედენტის მოშველიებით, უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ საბჭოს მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში რელიგიურ ხელმძღვანელობასა და საბჭოს შორის დამყარებულ მჭიდრო ურთიერთკავშირს შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა რელიგიის კლაუზურული განმტკიცებული უფლებების ხელყოფა. საბჭოს მიენიჭებოდა უფლება, შეემუშავებინა მუშაკის დაქირავების პირობები და, შესაბამისად, შეერჩია ის სავალდებულო საკითხები, რომლებიც კოლექტიურ შეთანხმებაში უნდა ასახულიყო. საბოლოოდ, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დაუმეგებელი იყო რელიგიური სკოლების შრომითი ურთიერთობების ეროვნული საბჭოს იურისდიქციისთვის დაქვემდებარება. ამ საქმეში ღიად დარჩა საკითხი, შეუძლიათ თუ არა რელიგიური სკოლების მასწავლებლებს შექმნან გაერთიანება შტატის შრომის კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც ცნობილია ვაგნერის აქტების სახელწოდებით. ნიუ-იორკის ეპისკოპოსის ეპარქიის კათოლიკური უმაღლესი სკოლა კულვერტის წინააღმდეგ საქმეში<sup>107</sup> სასამართლომ მიუთითა, რომ ნიუ-იორკის შტატის კანონმდებლობაში შესული შესწორებები რელიგიური სკოლების მასწავლებლებს შტატის შრომითი

ურთიერთობების საბჭოს იურისდიქციას მიაკუთვნებდა, და რომ უზენაესი სასამართლოს უარი ეროვნული შრომითი ურთიერთობების აქტის გამოყენებაზე კათოლიკური საეპისკოპოსოს წინააღმდეგ სასამართლო საქმეში მიზნად ისახავდა, არ შეწყვეტილიყო ვაგნერის აქტების მოქმედება რელიგიური სკოლების მიმართ.

**ეკლესია, როგორც დამქირავებელი: დისკრიმინაცია სამუშაოზე აყვანისას.** სამოქალაქო უფლებების აქტის VII თავი მოიცავს სამ დამოუკიდებელ ნორმას, რომლებიც სხვადასხვა გარემოებებისას ათავისუფლებს რელიგიურ დამქირავებელს აქტის ზოგადი ნორმებისგან.

ყველზე ვინრო ნორმა 703(ე)-ე მუხლი, რომლის თანახმადაც: „არ ჩაითვლება სამუშაოზე აყვანის უკანონო პრაქტიკად დამქირავებლის მიერ მუშაკების დაქირავება რელიგიის, სქესისა ან წარმოშობის ნიადაგზე იმ შემთხვევაში, თუ რელიგია, სქესი ან წარმომავლობა არის bona fide ის კვალიფიკაციები, რომლებიც გონივრულ ფარგლებში საჭიროა ამა თუ იმ ბიზნესისა თუ კორპორაციის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის.“

703 (ე) (2) მუხლი ნებას რთავს: „სკოლას, კოლეჯს, უნივერსიტეტს ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებას, დაიქირავოს ის მუშაკები, რომელთაც აქვთ კონკრეტული რელიგიური მრწამსი, თუ ასეთი სკოლა, კოლეჯი, უნივერსიტეტი ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება მთლიანად ან არსებითად საკუთრებაშია, დაფინანსებულია, მართულია ან კონტროლირდება კონკრეტული რელიგიისა თუ რელიგიური კორპორაციის, ასოციაციის ან საზოგადოების მიერ, ან თუ ასეთი სკოლის, კოლეჯის, უნივერსიტეტისა თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო გეგმა მიმართულია კონკრეტული რელიგიის გავრცელებისკენ.“

ყველაზე მნიშვნელოვან შეღავათს რელიგიური დამქირავებლებისთვის აწესებს 702-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, „VII თავი არ უნდა იქნეს გამოყენებული ... რელიგიური კორპორაციის, ასოციაციის, საგანმანათლებლო დაწესებულების ან საზოგადოების მიმართ მათ მიერ კონკრეტული რელიგიის მიმდევარი პირის სამუშაოზე აყვანასთან დაკავშირებით, რომელმაც უნდა შეასრულოს კორპორაციის, ასოციაციის, საგანმანათლებლო დაწესებულების ან საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული და მისი შესაბამისი სამუშაო“. აქტის 1964 წლის ვერსიაში 702-ე თავი რელიგიური მოტივით სამსახურში დისკრიმინაციის წინააღმდეგო კანონისმიერი აკრძალვისგან ათავისუფლებდა მხოლოდ დამქირავებლის რელიგიურ საქმიანობას. 1972 წელს კონგრესმა მიიღო აქტის შესწორება, რომლის მიხედვითაც 702-ე მუხლი გავრცელდა რელიგიური ორგანიზაციების ყველა ტიპის საქმიანობის მიმართ.

წინამდებარე საქმეში წარმოდგენილია სამოქალაქო უფლებების აქტის 702-ე მუხლის გამოყენება რელიგიური ორგანიზაციის სეკულარული არასამენარმეო საქმიანობის მიმართ.

*„უკანასკნელი დღის წმინდანების“ იესო ქრისტეს ეკლესიის არქივისკოპოსის საზოგადოება და სხვები ამოსის და სხვების წინააღმდეგ; შეერთებული შტატები ამოსის და სხვების წინააღმდეგ<sup>108</sup>*

სამოქალაქო უფლებების აქტის 702-ე მუხლი ათავისუფლებს რელიგიურ ორგანიზაციებს აქტის VII თავისგან, რომელიც კრძალავს რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციას სამუშაოზე აყვანისას. წინამდებარე საქმეს პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, არღვევდა თუ არა პირველი შესწორების დაწესების კლაუზულას 702-ე მუხლის გამოყენება რელიგიური ორგანიზაციის სეკულარული არასამენარმეო საქმიანობის მიმართ.

დეზერეტის გიმნაზია სოლტლეიკ-სიტიში, იუტას შტატში წარმოდგენს ღია საზოგადოებრივ არასამენარმეო დაწესებულებას მართულს „უკანასკნელი დღის წმინდანების“ იესო ქრისტეს ეკლესიის არქივისკოპოსის საზოგადოებისა და „უკანასკნელი დღის წმინდანების“ იესო ქრისტეს ეკლესიის პრეზიდენტის საზოგადოების მიერ. ორივე მათგანი „უკანასკნელი

დღის წმინდანების იესო ქრისტეს ეკლესიასთან“ ასოცირებული რელიგიური წარმონაქმნია, რომელიც არაკორპორატიულ რელიგიურ გაერთიანებას წარმოადგენს და რომელსაც ხშირად მორმონთა სახელწოდებით მოიხსენიებენ.

მეისონი მუშაობდა გიმნაზიაში 16 წლის განმავლობაში თავდაპირველად როგორც ინჟინერ-მშენებლის ასისტენტი და შემდეგ როგორც ინჟინერ-მშენებელი. 1981 წელს ის სამსახურიდან გაათავისუფლეს, რადგან ვერ შეძლო საეკლესიო რეკომენდაციის მიღება<sup>109</sup>, რომელიც ეკლესიის წევრობის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენდა. მეისონმა სხვებთან ერთად შეიტანა სარჩელი სასამართლოში ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ რელიგიური დისკრიმინაციის საფუძვლით, რითაც ირღვეოდა სამოქალაქო უფლებების აქტის 703-ე მუხლი. მოპასუხე მხარე უარყოფდა ბრალდებას იმ მოტივით, რომ აქტის 702-ე მუხლი იცავდა მას პასუხისმგებლობისგან. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ 702-ე მუხლი აძლევდა უფლებას რელიგიურ დამქირავებლებს, არარელიგიურ სამუშაოზე აყვანისას მოეხდინათ რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაცია, მაშინ იგი წინააღმდეგობაში მოდიოდა დანესების კლაუზულასთან.

საოლქო სასამართლომ თავდაპირველად განიხილა საკითხი იმის თაობაზე, ითხოვდა თუ არა აღნიშნული საქმის ფაქტები მოსარჩელის კონსტიტუციურ არგუმენტზე გადანყვებილების მიღებას. სასამართლომ იმსჯელა 702-ე მუხლის საფუძველზე VII თავის მოქმედებისგან რელიგიური დამქირავებლის რელიგიური საქმიანობის გაათავისუფლებაზე და შედეგად შეიმუშავა სამნაწილიანი ტესტი იმის განსასაზღვრად, თუ როგორი საქმიანობა წარმოადგენდა რელიგიურს.<sup>110</sup> სასამართლომ ეს ტესტი *მეისონის* საქმეში გამოიყენა და გადანყვიტა, რომ: 1) გიმნაზია როგორც ფინანსურად, ასევე მმართველობის საკითხებში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეკლესიასთან; 2) არ არსებობდა პირდაპირი კავშირი გიმნაზიის საქმიანობასა და მორმონების ეკლესიის ან ეკლესიის ადმინისტრაციის რელიგიურ დოგმებს შორის; 3) გიმნაზიაში მეისონზე დაკისრებული არც ერთი ფუნქცია ირიბადაც კი არ იყო დაკავშირებული მორმონების რელიგიურ მრწამსთან თუ რიტუალთან. სასამართლომ გადანყვიტა, რომ მეისონის საქმე არარელიგიურ საქმიანობას ეხებოდა.

შემდეგ სასამართლომ განიხილა მოსარჩელის კონსტიტუციური მოთხოვნა აქტის 702-ე მუხლის მიმართ. სასამართლომ გამოიყენა *ლემონის* საქმეში შემუშავებული სამნაწილიანი ტესტი და გადანყვიტა, რომ 702-ე მუხლს სეკულარული მიზანი ჰქონდა, რაც უზრუნველყოფდა რელიგიური ქცევისადმი სახელმწიფოს ნეიტრალობასა და მასში ჩარევის დაუშვებლობას. თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ 702-ე მუხლი არ აკმაყოფილებდა *ლემონის* ტესტის მეორე ნაწილს, რადგან ნორმის ძირითად შედეგს რელიგიის მხარდაჭერა წარმოადგენდა.

საოლქო სასამართლომ საქმის გადანყვეტისას ასევე გაითვალისწინა, რომ 702-ე მუხლი პრივილეგიას ანიჭებდა კონკრეტულ რელიგიურ ერთეულებს, იმის მაგივრად, რომ მიეცა ასეთი პრივილეგია უფრო ფართო ჯგუფისთვის, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილი იქნებოდა რელიგიური ორგანიზაციები. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ 702-ე მუხლი არ ემყარებოდა ისტორიულ ტრადიციას და ზღუდავდა რელიგიური ორგანიზაციის არარელიგიურ სამუშაოზე დასაქმებულ მუშაკთა აღმსარებლობის თავისუფლებას. სასამართლომ გადანყვიტა, რომ 702-ე მუხლი მხარს უჭერდა რელიგიურ ორგანიზაციებს, აძლევდა რა მათ ექსკლუზიურ უფლებას, ჩართულიყვნენ ისეთ საქმიანობაში, რომელიც პირდაპირ ხელს უწყობდა კონკრეტული რელიგიური დოგმების გავრცელებას. სასამართლომ ეს ნორმა არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სეკულარული საქმიანობის მიმართ. საოლქო სასამართლომ საქმე მეისონის სასარგებლოდ გადანყვიტა.

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

უზენაესი სასამართლოს თანახმად, სახელმწიფოს შეეძლო დაეკმაყოფილებინა რელიგი-

ური მოთხოვნები დაწესების კლაუზულის დაურღვევლად. სასამართლოს მტკიცებით, დაწესების კლაუზულა ფართო საშუალებას იძლეოდა იმისთვის, რათა დაცული ყოფილიყო სასურველი ნეიტრალიზაცია, რომელიც საშუალებას მისცემდა რელიგიას, სახელმწიფოს მხრიდან მისი საქმიანობის დაფინანსებისა და მასში ჩარევის გარეშე ეარსება. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ რალაც მომენტში უდავოდ შესაძლებელი იყო რელიგიის ადაპტაციის გადაზრდა რელიგიის უკანონო ხელშეწყობაში, თუმცა, მისი აზრით, წინამდებარე საქმე არ წარმოადგენდა მსგავს სიტუაციას.

ლემონის ტესტის პირველი ნაწილი მოითხოვს, რომ კანონს სეკულარული მიზანი ჰქონდეს. სეკულარული მიზანი არ ნიშნავს იმას, რომ კანონის მიზანი არანაირად არ უნდა ეხებოდეს რელიგიას, რისი შედეგიც იქნებოდა მთავრობის მხრიდან რელიგიური ჯგუფებისადმი ინდიფერენტულობა. პირიქით, ლემონის ტესტის ძირითადი მიზანი იყო, არ დაეშვა შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები სამთავრობო ორგანოს, ამ შემთხვევაში კონგრესის, ნეიტრალიზაციის დაკარგვა და რელიგიურ საკითხებში რომელიმე კონკრეტული შეხედულების მხარდაჭერის განზრახვით მისი ქმედება.

ლემონის ანალიზიდან გამომდინარე, დასაშვებია ისეთი საკანონმდებლო მიზანი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ჩარევის შემსუბუქებას რელიგიური ორგანიზაციების მიერ თავიანთი მისიის განსაზღვრასა და შესრულებაში. აპელანტი ამტკიცებდა, რომ ამ საქმეში ასეთი მიზანი არ არსებობდა, რადგან 702-ე მუხლი უზრუნველყოფდა ადეკვატურ დაცვას რელიგიური დამქირავებლისთვის აქტის 1972 წლის შესწორებამდე, როდესაც ის ათავისუფლებდა ასეთი დამქირავებლის მხოლოდ რელიგიურ საქმიანობას რელიგიური დისკრიმინაციის საკანონმდებლო აკრძალვისგან. უზენაესი სასამართლოს მიხედვით 1972 წლის შესწორებამდე მოცემული გათავისუფლება ადეკვატური იყო იმ თვალსაზრისით, რომ აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა მეტს არ მოითხოვდა. თუმცა სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ რელიგიური ორგანიზაციებისთვის ასეთი მოთხოვნის წაყენება საკმაოდ დიდი ტვირთი იყო, რადგან ეს იმას ნიშნავდა, რომ ორგანიზაციას უნდა ამოეცნო, მის რომელ საქმიანობას ჩათვლიდა სეკულარული სასამართლო რელიგიურად. შესაბამისად, სასამართლოს განცხადებით, პოტენციური პასუხისმგებლობის შიშს შეიძლება გავლენა მოეხდინა ორგანიზაციის მიერ რელიგიური მისიის შესრულებაზე.

1972 წლის შესწორების საკანონმდებლო ისტორიის დეტალური განხილვის შემდეგ საოლქო სასამართლომ დაასკვნა, რომ კონგრესის მიზანს წარმოადგენდა რელიგიურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სახელმწიფო ჩარევის მინიმუმამდე დაყვანა. უზენაესი სასამართლო დაეთანხმა საოლქო სასამართლოს იმაში, რომ ასეთი მიზანი არ არღვევდა დაწესების კლაუზულას.

ლემონის ტესტის მეორე მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ კანონის ძირითადი ან პირდაპირი შედეგი არც უნდა უწყობდეს ხელს და არც ზღუდავდეს რელიგიას. კანონი არ შეიძლება არაკონსტიტუციურად ჩაითვალოს იმის გამო, რომ ის აძლევს საშუალებას ეკლესიას, გაავრცელოს რელიგია, რაც მისი მთავარი ფუნქციაა. იმისთვის, რომ კანონი, ლემონის ტესტის მიხედვით, არაკონსტიტუციურად ჩაითვალოს, უზენაესი სასამართლოს განცხადებით, აუცილებელია, რომ სახელმწიფო თავისი ქმედებებითა და გავლენით თვითონ უჭერდეს მხარს რელიგიას.

როგორც უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, საოლქო სასამართლო შიშობდა, რომ მის მიერ ეკლესიებისთვის შეღავათის დაწესების მხარდაჭერა უფლებას მისცემდა ფინანსური რესურსების მქონე ეკლესიებს, თავიანთი გავლენა და რწმენა კომერციულ, მოგებაზე ორიენტირებულ გარემოში შესვლით გაეგრძელებინათ. უზენაესმა სასამართლომ არ აღიარა სა-

ოლქო სასამართლოს ასეთი შიშის საფუძვლიანობა, რადგან, მისი განცხადებით, წინამდებარე საქმე მოიცავდა არაკომერციულ საქმიანობას, რომელიც მიზნად არ ისახავდა გავლენის ზრდას. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ რელიგიის ხელშეწყობა გიმნაზიის მიერ არ შეიძლებოდა მიკუთვნებოდა სახელმწიფოს და არა ეკლესიას.

უზენაესმა სასამართლომ დამაჯერებლად არ მიიჩნია საოლქო სასამართლოს არგუმენტაცია, რომ 702-ე მუხლი პრივილეგიას ანიჭებდა ცალკეულ რელიგიურ ერთეულებს. სასამართლოს განცხადებით, კანონის მიერ კონკრეტული რელიგიური ჯგუფისადმი განსხვავებული მოპყრობა არ ნიშნავდა კანონის თავისთავად არაკონსტიტუციურობას. ასეთი მოსაზრება, სასამართლოს განცხადებით, წინააღმდეგობაში მოვიდოდა მისივე დასკვნასთან, რომ დაწესების კლაუზულა უზრუნველყოფდა საკმაოდ დიდ თავისუფლებას რელიგიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მაშინ, როდესაც, როგორც ამ შემთხვევაში, სახელმწიფო იმ განზრახვით მოქმედებდა, რომ გაუქმებინა რეგულაცია, რომელიც ზღუდავდა რელიგიის გამოხატვას, სასამართლო ვერ ხედავდა რაიმე მიზეზს, რომ სარგებელი მხოლოდ სეკულარულ ერთეულებზე გავრცელებულიყო.

უზენაესი სასამართლოს აზრით, არ შეიძლებოდა იმაზე სერიოზულად დავა, ქმნიდა თუ არა 702-ე მუხლი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაუშვებლად მჭიდრო ურთიერთკავშირს. ეს კანონი, სასამართლოს აზრით, პირიქით, საკმაოდ მკაცრად მიჯნავდა სახელმწიფოსა და ეკლესიას. შესაბამისად, სასამართლოს თანახმად, კანონი ასევე არ ეწინააღმდეგება ლემონის ტესტის მესამე ნაწილს.

აპელანტები ამტკიცებდნენ, რომ 702-ე მუხლი გარკვეული პოლიტიკური უთანხმოების საშიშროებას ქმნიდა. თუმცა სასამართლო დაეყრდნო მოსაზრებას, რომ მხოლოდ პოლიტიკური უთანხმოება არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიზეზი სხვაგვარად დასაშვები ქმედების უკანონოდ აღიარებისა. შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

*მოსამართლე ბრენანის თანმხვედრი აზრი,  
რომელსაც შეუერთდა მოსამართლე მარშალი*

მოსამართლე ბრენანის აზრით, არასამენარმეო საქმიანობის ბუნება არარელევანტურს ხდიდა კონკრეტული საქმის მიხედვით იმის განსაზღვრას, რელიგიური იყო ასეთი საქმიანობა, თუ სეკულარული.

მოსამართლე ბრენანის მიხედვით, ნებისმიერი გამონაკლისი VII თავიდან გარკვეულწილად ზღუდავდა მუშაკთა რელიგიის თავისუფლებას. გათავისუფლება გულისხმობდა, რომ პირი არჩევანის წინაშე დგებოდა: ან უნდა მიეღო გარკვეული რელიგიური დოგმები, ან დაეტოვებინა სამსახური. ასეთი ნორმის საფუძველზე იძულების პოტენციური შესაძლებლობა, მოსამართლის აზრით, ქმნიდა სერიოზულ დაძაბულობას რელიგიურ საკითხებში ინდივიდის სინდისის თავისუფლებასთან.

თუმცა, მეორე მხრივ, მოსამართლე ბრენანის განცხადებით, რელიგიურ ორგანიზაციებს სურთ სრული ავტონომია ისეთი შიდა საკითხების მოსაგვარებლად, როგორიცაა ლიდერების არჩევა, დოქტრინების შემუშავება და, უბრალოდ, დაწესებულების მართვა. რელიგიური თემი ახდენს თვითგამორკვევას, ადგენს რა, რომ კონკრეტული საქმიანობა ხელს უწყობს ორგანიზაციის რელიგიური მისიის შესრულებას და ეს საქმიანობა მხოლოდ მისიისთვის თავდადებულმა ხალხმა უნდა შეასრულოს. ეკლესიის ასეთი შესაძლებლობა, მოსამართლის აზრით, ასახავს იმ იდეას, რომ რელიგიური ორგანიზაციის ავტონომიურობის დაცვა ინდივიდების რელიგიის თავისუფლების დაცვასაც ემსახურება. ასეთი თვითგამორკვევის პროცესში სახელმწიფოს ჩარევას, მოსამართლის აზრით, აღმსარებლობის თავისუფლების ხელყოფა ჰქვია,



ვინაიდან რელიგიურ ორგანიზაციას შეუძლია გარკვეულ რელიგიურ დოგმებზე დაყრდნობით განსაზღვროს დასაქმების პირობები.

ეს ლოგიკა, ბრენანის აზრით, გვთავაზობდა, რომ იდეალურ ვარიანტში რელიგიურ ორგანიზაციებს ჰქონოდათ უფლება, რელიგიურ საფუძველზე დისკრიმინაცია მხოლოდ რელიგიურ საქმიანობათა მიმართ მოეხდინათ. ეს ამავე დროს, გულისხმობდა, რომ ამა თუ იმ საქმიანობის რელიგიური ხასიათი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე უნდა გარკვეულიყო. იმის დადგენა, საქმიანობა რელიგიურია თუ სეკულარული, არაა ადვილი და ყოველი კერძო შემთხვევის ანალიზს მოითხოვს, რაც იწვევს სახელმწიფოს მუდმივ ჩარევას რელიგიურ საკითხებში. გარდა ამისა, მაშინ, როდესაც ეკლესია შეიძლება თვლიდეს გარკვეულ საქმიანობას რელიგიურად, სასამართლომ ის შეიძლება სულაც არ მიიჩნიოს ასეთად. შესაბამისად, მოსამართლე ბრენანის აზრით, რელიგიურ ორგანიზაცია იძულებული იქნებოდა, მხოლოდ ისეთი საქმიანობა ჩაეთვალა რელიგიურად, რომელიც არ იქნებოდა სადავო. ამის შედეგად რელიგიური თემის თვითგამორკვევის პროცესი ნაწილობრივ სასამართლო საქმეებით იქნებოდა მართული. შესაბამისად, კონკრეტული საქმეების ანალიზი გამოიწვევდა სახელმწიფოს ზედმეტ ჩართულობას რელიგიის საკითხებში და შექმნიდა რელიგიური საქმიანობის დათრგუნვის საშიშროებას.

ასეთი საშიშროება, მოსამართლის აზრით, განსაკუთრებით არასამენარმეო საქმიანობას ემუქრებოდა. ის, რომ გარკვეული საქმიანობა არ იყო მოგებაზე ორიენტირებული, ქმნიდა ანგარიშგასანეგ არგუმენტს, რომ ის წმინდად სეკულარული არ იყო. ეს, მოსამართლის აზრით, იწვევდა ეკლესიის ერთი შეხედვით სამართლიან პროტესტს, რომ გარკვეული ერთეული არა მარტო იმისთვის ფუნქციონირებს, რომ მოუტანოს შემოსავლები ეკლესიას, არამედ რელიგიური მიზნითაც არის შთაგონებული.

ამგვარად, რაიმე რისკი, რომ რელიგიურ ორგანიზაციას არ მიეცემა უფლება, მოახდინოს ისეთი საქმიანობის კლასიფიცირება რელიგიურად, რომელსაც ის მართლაც თვლის რელიგიურად, ყველაზე მაღალია არასამენარმეო საქმიანობის შემთხვევაში. ასეთი არსებითი საშიშროება, მოსამართლის აზრით, ცხადყოფდა იმას, რომ დაუშვებელი იყო კონკრეტული შემთხვევების მიხედვით არასამენარმეო ორგანიზაციის ბუნების განსაზღვრა და ამართლებდა არასამენარმეო საქმიანობის ცალსახა გათავისუფლებას VII თავის მოქმედებისგან.

## **ბავშვთა განათლება**

განათლების მიმართ აღმსარებლობის თავისუფლების დამკვიდრების პირველი მცდელობა საკმაოდ მცირერიცხოვან და ძველ რელიგიურ სექტას – ამიშების რელიგიურ მიმდინარეობას ეკუთვნის. ამიშები წარმოადგენდნენ მენონიტების<sup>111</sup> რელიგიური საზოგადოებრივი ჯგუფის ერთ-ერთ განხრას, რომლის მიმდევრებმაც 1693 წელს საკუთარი ეკლესიური თემი დააარსეს. 1720-1775 წლებში ისინი ამერიკაში გადასახლდნენ და ძირითადად პენსილვანიის შტატში დასახლდნენ. ამიშების ძველი ორდენი წარმოადგენდა თავდაპირველი ამიშური საზოგადოების განხრას, რომელიც ხასიათდებოდა უკიდურესი სიმკაცრით და ბიბლიისადმი ერთგულებით. ისინი მისდევდნენ მინათმოქმედებას, საუბრობდნენ გერმანულად, ეცვათ ყველასგან განსხვავებული მე-18 საუკუნის ტანსაცმელი და ჰქონდათ პაციფისტური შეხედულებები. ამიშები ფიქრობდნენ, რომ ცოდნა, რომელიც არ არის დაკავშირებული მინათმოქმედებასთან, ადამიანში ამპარტავნობის გრძნობას იწვევს, რაც დამლუპველი ცოდვაა.

საჯარო განათლება, როგორც ასეთი, არ ეწინააღმდეგებოდა ამიშების მრწამსს. მე-19 საუკუნეში ამიშების ბავშვები თავისუფლად ესწრებოდნენ გაკვეთილებს სკოლებში. თუმცა მეოცე საუკუნეში ამიშებს გაუჩნდათ აზრი, რომ სავალდებულო საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები



მათი რელიგიისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა. თანამედროვე საშუალო სკოლა ბავშვებს აძლევდა კითხვაზე, წერასა და არითმეტიკაზე მეტ ცოდნას, ანუ იმ საგნებზე მეტ ცოდნას, რომლებსაც ამიშების საზოგადოება ჩვეულებრივ იყენებდა ხოლმე. კონსოლიდირებულმა სასკოლო ოლქებმა ამიშები და სხვა რელიგიის მიმდევრები ერთად შეყარა. ამიშები თანდათანობით ამჩნევდნენ, რომ გარდატეხის ასაკში მყოფი მათი ბავშვები, რომელთაც სექსუალური გრძნობები უყალიბდებოდათ, ნელ-ნელა ამაყები ხდებოდნენ, შეუსაბამოდ იცვამდნენ და მსოფლიოს სხვა ბავშვების მსგავსად სიჯიუტით ხასიათდებოდნენ. 1960-იან წლებში, როდესაც სკოლებში აიკრძალა ბიბლიის კითხვა და ლოცვა და ევოლუციური თეორიის სწავლება საყოველთაო გახდა, ამიშების უკმაყოფილება საჯარო სკოლების მიმართ კიდევ უფრო გამძაფრდა.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ამიშები კონსოლიდირებულ სკოლებში თავიანთი ბავშვების გაშვებაზე უარის თქმის ბრალდებით ხშირად ისჯებოდნენ ჯარიმებითა და თავისუფლების აღკვეთით. პირველად მხოლოდ 1955 წელს იქნა მიღწეული გარკვეული კომპრომისი პენსილვანიის შტატში. კერძოდ, ამიშ ახალგაზრდებს მიეცათ უფლება, დასწრებოდნენ გაკვეთილებს ამიშთა პროფესიულ სასწავლებლებში და მშობლების ზედამხედველობით შეესრულებინათ საშინაო დავალებები მიწათმოქმედებაში.

პენსილვანიის შტატისგან განსხვავებით, აიოვას შტატში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები აიძულებდნენ ამიშ მოსწავლეებს საჯარო სკოლის გაკვეთილებზე დასწრებას. 1968 წლის შობის წინა დამეს პასტორმა ლინდჰოლმა, რომელიც ამიშების რელიგიური თავისუფლების ნაციონალური კომიტეტის დამფუძნებელი იყო, სთხოვა პენსილვანიელ ადვოკატს, უილიამ ბოლს, დაეცვა ვისკონსინის შტატში შვილის სკოლაში გაშვებაზე უარის ბრალდებით დაკავებული ერთ-ერთი ამიში. ბოლმა შესთავაზა შტატის ხელისუფლებას, პენსილვანიის მსგავსად, წასულიყო კომპრომისზე, თუმცა ხელისუფლება ასეთ დათმობაზე არ დათანხმდა. 1969 წელს ვისკონსინის შტატის პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა გაიმართა. ბოლმა სასამართლოში წარმოადგინა მოწმეები, რომლებმაც ცალსახად აღნიშნეს, რომ ამიშების რელიგიური მრწამსი აშკარად ეწინააღმდეგებოდა თანამედროვე სკოლებს. ბოლის ერთ-ერთ მოწმეს პროკურორმა შემდეგი კითხვით მიმართა: „რა არის განათლების მიზანი, თუ არა საზოგადოების წინსვლის უზრუნველყოფა?“. კითხვაზე პასუხი კი შემდეგი იყო: „ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რომელ საზოგადოებაზე ვმსჯელობთ“. ბოლმა ასევე წარმოადგინა ოლქის შერიფის ჩვენება, რომ მან არ იცოდა არც ერთი ამიში ახალგაზრდა, რომელიც რაიმე კრიმინალურ საქმიანობაში მონაწილეობდა. ბოლმა წააგო სასამართლო საქმე როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში, თუმცა იგივე საქმე მოიგო ვისკონსინის უზენაეს სასამართლოში. ვისკონსინის შტატმა საჩივრით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს. იგი ამტკიცებდა, რომ „რელიგია“, რომლის თავისუფლად აღმსარებლობაც პირველი შესწორებით იყო დაცული, წარმოადგენდა კულტს და არავითარ შემთხვევაში ცხოვრების სტილს. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი პრეცედენტებით შტატი მართალი იყო, ბოლმა შეძლო საკითხისადმი ახალი მიდგომის ჩამოყალიბება და უზენაესმა სასამართლომ საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

### *ვისკონსინის შტატი იოდერის წინააღმდეგ<sup>112</sup>*

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ვისკონსინის შტატის საჩივარის საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ განიხილა ვისკონსინის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც უკანონოდ ცნო მოპასუხეთა მსჯავრდება შტატის სავალდებულო განათლების კანონის დარღვევის ბრალდებით, პირველი შესწორების აღმსარებლობის თავისუფლების კლავიშისა და მე-14 შესწორების საფუძველზე

ზე. ქვემოთ მოყვანილი მიზეზების გამო უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა ვისკონსინის შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლიანობა.

იონას იოდერი და ვალას მილერი, ამიშური რელიგიის მიმდევრები იყვნენ, ხოლო ადინ იუტცი კონსერვატიული ამიშურ-მენონიტური ეკლესიის წევრი იყო. ვისკონსინის სავალდებულო განათლების კანონი მოითხოვდა მათგან შვილების მიბარებას საჯარო ან კერძო სკოლაში. მშობლები კატეგორიულ უარს აცხადებდნენ ბავშვებისთვის სკოლაში დასწრების ნებართვის მიცემაზე, რის შედეგად ბავშვები არ იქნენ ჩართულნი რომელიმე კერძო თუ საჯარო დაწესებულების სასწავლო პროცესში. შესაბამისად, ისინი ვისკონსინის სავალდებულო განათლების კანონის სუბიექტებად ცნეს.

ისინი სავალდებულო განათლების კანონის დარღვევის ბრალდებით გასამართლდნენ და ფულადი ჯარიმაც დაეკისრათ. ამიშები ირწმუნებოდნენ, რომ სავალდებულო განათლების კანონის მოთხოვნა არღვევდა პირველი და მე-14 შესწორებებით განმტკიცებულ მათ უფლებებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოწმეების ჩვენებებმა დაადასტურა, რომ მოპასუხეების მრწამსი მართლაც შეესაბამებოდა ამიშური რელიგიის მოთხოვნებს და რომ მათი შვილების დასწრება საჯარო სკოლაში მართლაც ეწინააღმდეგებოდა ამიშურ მრწამსს და ცხოვრების წესს. სასამართლოში მოწმეებად მოწვეული ექსპერტების ჩვენებების თანახმად, ამიშების საზოგადოება ხასიათდება იმ ფუნდამენტური მრწამსით, რომ ხსნა მოითხოვს ცხოვრებას საეკლესიო საზოგადოებაში, რომელიც გამოყოფილია მსოფლიოსგან და თავისუფალია მისი გავლენისგან. სამყაროსგან გარიყული ცხოვრება და ასეთი ღირებულებები ამიშური მრწამსის ძირითადი ელემენტებია.

გარდა ამისა, ამიშური საზოგადოების დამახასიათებელი თვისებაა მისი ერთგულება ჰარმონიული ცხოვრებისადმი, რაც, მათი აზრით, ბუნებასთან და მიწასთან ახლო ცხოვრებას გულისხმობს. ამიშური მრწამსი მისი მიმდევრებისგან მოითხოვს, რომ მათ სარჩო მხოლოდ ფერმერობითა და სხვა მსგავსი საქმიანობით მოიპოვონ. შესაბამისად, სასამართლოს აზრით, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ამიშური რელიგია განსაზღვრავს მისი მიმდევრების ცხოვრების სტილს.

ფორმალური განათლების მიმართ ამიშების პროტესტი სწორედ ზემოთ ხსენებულ ძირითად რელიგიურ ღირებულებებს ეყრდნობა. ისინი ეწინააღმდეგებიან უმაღლეს განათლებას, რადგანაც იგი არ შეესაბამება ამიშების ღირებულებებსა და ცხოვრების წესს. მათი შეხედულებით, საშუალო განათლება დაუშვებელ გავლენას ახდენს მათ ბავშვებზე, რადგან ის ეწინააღმდეგება ამიშურ მრწამსს. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინტელექტუალურ და მეცნიერულ მიღწევებს, კონკურენციას, წარმატებას საზოგადოებაში და თანაცხოვრებას სხვა სტუდენტებთან. ამიშური საზოგადოება კი ყურადღებას ამახვილებს არაფორმალურ პრაქტიკულ სწავლებაზე; სიბრძნეზე და არა ტექნიკურ ცოდნაზე; საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე და არა კონკურენციაზე; საზოგადოებისგან განცალკევებულ ცხოვრებაზე და არა თანამედროვე საზოგადოებასთან ინტეგრირებაზე.

ფორმალური განათლება ამიშურ მრწამსს არა მარტო იმიტომ ეწინააღმდეგება, რომ ის ამიშებს ისეთ გარემოში აქცევს, რომელიც მტრულია მათი მრწამსის მიმართ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონკურენციას, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი განათლება გარდატეხის ასაკში ხელს უწყობს მათი ბავშვების გაუცხოებას საზოგადოების მიმართ. ამ მნიშვნელოვან პერიოდში ბავშვებმა სხვადასხვა ხელობები უნდა შეისწავლონ, რათა შეძლონ ამიშო ფერმერისა თუ დიასახლისისთვის ჩვეული ცხოვრების წარმატებით გაძლოლა. ეს ხელობები იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც მაგალითითა და პრაქტიკული საქმიანობით უკეთ ისწავლება, ვიდრე საკლასო ოთახში. შესაბამისად, ისეთ სკოლაში სიარული, სადაც არაამიში და ხშირად ამიშების მიმართ მტრულად განწყობილი მასწავლებლებიც კი არიან, ქმნის ბარიერს

ბავშვის ამიშურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. ამიშური საზოგადოების ერთ-ერთი ექსპერტის განცხადებით, თანამედროვე სკოლა არ არის სათანადოდ აღჭურვილი იმისათვის, რათა ამიშური საზოგადოების ღირებულებები გაიზიაროს.

ამიშები არ ეწინააღმდეგებიან დაწყებით განათლებას, რადგან ფიქრობენ, რომ მათ შვილებს სჭირდებათ ელემენტარული უნარები, რათა წაიკითხონ ბიბლია, იყვნენ კარგი ფერმერები და მოქალაქეები და შეეძლოთ ურთიერთობა არაამიშური მრწამსის წარმომადგენლებთან.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ვისკონსინის სავალდებულო განათლების კანონი ეწინააღმდეგებაში მოდიოდა მოპასუხეთა თავისუფლებასთან, ემოქმედათ გულწრფელი მრწამსის შესაბამისად. მაგრამ მან ასევე დაასკვნა, რომ სკოლაში დასწრების მოთხოვნა იყო სახელმწიფო ხელისუფლების „გონივრული და კონსტიტუციური“ გამოყენება, რის საფუძველზეც ამიშების სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ვისკონსინის შტატის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და პირველ შესწორებაზე დაყრდნობით დააკმაყოფილა ამიშების მოთხოვნა. ვისკონსინის შტატის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობის შეხედულებით შტატმა ვერ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო სისტემის ეფექტურობა უფრო ღირებულია, ვიდრე მოპასუხის უფლება, რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობაზე.

უზენაესი სასამართლოს განცხადებით, უდავოა, რომ თავისი მოქალაქეებისთვის განათლების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობით აღჭურვილ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საბაზო განათლების გონივრული რეგულირების უფლებამოსილება. საჯარო სკოლაში განათლების მიღების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. თუმცა, მიუხედავად ასეთი პასუხისმგებლობის დიდი მნიშვნელობისა, უზენაესი სასამართლოს აზრით, ის მაინც უთმობს ადგილს მშობლის უფლებას, უზრუნველყოს თავისი შვილისთვის ტოლფასი განათლება კერძო დაწესებულებაში. შესაბამისად, სასამართლოს განცხადებით, მშობლის მიერ თავისი შვილისთვის რელიგიური აღზრდისა და განათლების მიმართულების შერჩევას დიდი ღირებულება აქვს ამერიკულ საზოგადოებაში. სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს ინტერესი საყოველთაო განათლების უზრუნველყოფაში, რა ღირებულებაც არ უნდა ჩაითვალოს ის, არ არის აბსოლუტური მაშინ, როდესაც ხელყოფს ფუნდამენტურ უფლებებს, რომლებიც დაცულია კონსტიტუციის პირველი შესწორებით.

სასამართლოს აზრით, იმის გასარკვევად, ეწინააღმდეგებოდა თუ არა სავალდებულო განათლების კანონი ამიშების რელიგიურ მრწამსს, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო იმის განსაზღვრა, იყო თუ არა ამიშების რელიგიური მრწამსი და მათი ცხოვრების სტილი ერთმანეთზე ისე დამოკიდებული, როგორც ამას თავად ამიშები ამტკიცებდნენ. ცხოვრების სტილი, თუ ის მთლიანად სეკულარულ შეხედულებებს ეფუძნება, არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ განათლების გონივრული რეგულირების დამაბრკოლებელი ფაქტორი. იმისთვის, რომ ცხოვრების სტილი დაცული იყოს რელიგიური კლავულებით, ის ძირითადად რელიგიურ მრწამსს უნდა ემყარებოდეს. თუმცა, სასამართლოს განცხადებით, თავად იმის განმარტება, თუ რას ნიშნავს „რელიგიური“ მრწამსი, საკმაოდ დელიკატური საკითხია. რეგულირებული თავისუფლების კონცეფცია გამორიცხავს ნებისმიერი პირისთვის იმის უფლების მიცემას, რომ მან თავად შექმნას ადამიანის ქცევის სტანდარტები, რომლის მიმართაც საზოგადოებას, როგორც ერთ მთლიანს, მნიშვნელოვანი ინტერესი უნდა გააჩნდეს. შესაბამისად, თუ ამიშების მოთხოვნა მათ სუბიექტურ შეფასებასა და უმრავლესობის მიერ აღიარებული თანამედროვე სეკულარული ღირებულებების უარყოფას ეფუძნებოდა, მაშინ, სასამართლოს აზრით, მათ მოთხოვნას არა აქვს რელიგიური საფუძველი.

საქმის მასალები იმაზე მიუთითებდა, რომ ამიშების ტრადიციული ცხოვრების სტილი არ

იყო მხოლოდ მათი პირადი, ინდივიდუალური არჩევანის შედეგი, არამედ გამომდინარეობდა მყარი რელიგიური მრწამსიდან. ამიშების ყოველდღიური ცხოვრება და რელიგიური საქმიანობა იღებს სათავეს მათი მრწამსიდან. ამაზე, სასამართლოს აზრით, მიუთითებს ამიშური რელიგიის ერთ-ერთი ფუნდამენტური მცნება, რომელიც მოუწოდებს ამიშური რელიგიის მიმდევრებს, არ დაემორჩილონ ქვეყნის კანონებს. უფრო მეტიც, ამიშებისთვის რელიგია არა მარტო რწმენის საკითხია, არამედ, როგორც მოწმედ მოწვეულმა ექსპერტმა განაცხადა, ის განსაზღვრავს ამიშების ცხოვრების სტილს და არეგულირებს მათი ყოველდღიური ცხოვრების თითოეულ დეტალს.

ვისკონსინის შტატის არგუმენტი ძირითადად იმ მოსაზრებას ეყრდნობოდა, რომ ამიში მშობლების გათავისუფლება სავალდებულო განათლების კანონის მოთხოვნებისგან უარყოფით შედეგს გამოიწვევდა. კერძოდ, მშობლები არ იმოქმედებდნენ ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად, რადგან შეუზღუდავდნენ ბავშვებს ამიშურ ცხოვრებასა და გარე სამყაროს შორის გონივრული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. თუმცა, სასამართლოს აზრით, არც საქმის მასალები და არც ინდივიდუალური გამოცდილება არ მიუთითებს იმაზე, რომ მშობლები, ჩვეულებრივ, ეკითხებოდნენ თავიანთ 14-16 წლის შვილებს, უნდათ თუ არა მათ იმ საეკლესიო სკოლაში სწავლა, რომლის მიმდევრებიც მათი მშობლები არიან.

სასამართლოს თანახმად, ცალსახაა, რომ თუ სახელმწიფოს, როგორც *parens patriae* აღჭურვილი იქნება უფლებამოსილებით, „გადაარჩინოს“ ბავშვი მისი ამიში მშობლებისთვის სავალდებულო განათლების მოთხოვნის შესრულების იძულებით, მაშინ სახელმწიფო თავისდაუნებურად მთლიანად განუსაზღვრავს ბავშვს რელიგიურ მომავალს. შესაბამისად, წინამდებარე საქმეში ერთმანეთს ეწინააღმდეგება სახელმწიფოს, როგორც *parens patriae*, ფუნდამენტური ინტერესი და მშობლის ასევე ფუნდამენტური ინტერესი, განსაზღვროს ბავშვის რელიგიური მომავალი და განათლება. უზენაესი სასამართლოს განცხადებით, ისტორია და დასავლური ცივილიზაციის კულტურა ასახავს მშობლის მიერ ბავშვის აღზრდასა და განათლებაზე ზრუნვის საკმაოდ ძლიერ ტრადიციას. მშობლის ასეთი მნიშვნელოვანი როლი ბავშვის აღზრდასა და განათლებაში, სასამართლოს აზრით, ასევე დამკვიდრებულია, როგორც მყარი ამერიკული ტრადიცია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა ვისკონსინის შტატის უზენაესი სასამართლოს გადანყვევტილების სამართლიანობა.

#### *მოსამართლე დუგლასის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი*

მოსამართლის განცხადებით, ბავშვების შეხედულებები, რომელთაც ეხებოდათ ეს საქმე, ვისკონსინის სასამართლოებმა განიხილა. ამიტომ, დუგლასის აზრით, საქმე ისევე უნდა დაბრუნებოდა ქვედა ინსტანციის სასამართლოს ხელმძღვრე განხილვისთვის.

მოსამართლის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მიერ ამიშების საზოგადოების წესრიგსა და კანონმორჩილებაზე გაკეთებული აქცენტი არ იყო რელევანტური. რელიგია ითვლება რელიგიად, იმის მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის და რამდენი სამართალდარღვევა აქვთ ჩადენილი მის მიმდევრებს. მოსამართლის განცხადებით, ამ საქმეში, ამიშების მრწამსი ყველა ისტორიული სტანდარტით აკმაყოფილებს პირველი შესწორების შესაბამის რელიგიის განმარტებას.

მოსამართლის თანახმად, სასამართლო მართებულად უარყოფს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქმედება, თუნდაც რელიგიური საფუძვლის მქონე, არასდროს არაა პირველი შესწორების აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის დაცვის ობიექტი. ამ გადანყვევტილებით სასამართლო უარყოფს რეინოლდსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ<sup>13</sup> საქმეში აღიარებულ

პრინციპს, რომელიც გულისხმობს, რომ კონგრესი მოკლებულია შეხედულებების რეგულირების საკანონმდებლო უფლებამოსილებას, თუმცა სრულიად თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს იგივე უფლებამოსილება ისეთი **ქმედებების** მიმართ, რომლებიც ეწინააღმდეგება სოციალურ ვალდებულებებს ან საზოგადოებრივ წესრიგს. *რეინოლდსის* საქმეში აღიარებულ იქნა, რომ პოლიგამია მორმონების რელიგიის ნაწილს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ რწმენა იყო და სხვა არაფერი.

მოსამართლის განცხადებით, ქმედება, რომელსაც სასამართლო ანტისაზოგადოებრივად ჩათვლის, შეიძლება დასჯადი იყოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფუძვლად უდევს მყარი და გულწრფელი რელიგიური მრწამსი. მოსამართლის განცხადებით, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება იძლევა საშუალებას, რელიგიას ბევრად ფართო დასაყრდენი მიეცეს, ვიდრე ოდესმე ჰქონია. უფრო მეტიც, მოსამართლის თანახმად, ასეთი გადაწყვეტილება ქმნის წინაპირობას, *რეინოლდსის* საქმის პრეცედენტის გაუქმებისათვის.

**ქრისტიანული სკოლები.** ქრისტიანული სკოლების შეხედულებით, ბიბლია აჩვენებს, რომ ღმერთმა მიანიჭა მშობლებს უფლება და ვალდებულება, აღზარდონ და მისცენ განათლება თავიანთ შვილებს; რომ მათ ისარგებლეს რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის უფლებით და დააარსეს რელიგიური სკოლები და არა სეკულარული სკოლები რელიგიური განათლების დამატებით; რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, აკონტროლოს ასეთი სკოლების კურიკულუმი ან მასწავლებლები; რომ სკოლა და ეკლესია ერთი არიან და რადგანაც სახელმწიფოს არ შეუძლია შეზღუდოს ეკლესია, მას ასევე არ შეუძლია არეგულიროს სკოლის საქმიანობა.

ლუისვილის ბაპტისტური ეკლესია ხელმძღვანელობდა ქრისტიანულ სკოლას, რომლის კურიკულუმი მხოლოდ ბიბლიაზე ორიენტირებულ სახელმძღვანელოებს აღიარებდა. მაგალითად, მათემატიკის სახელმძღვანელო ბიბლიურ ციტატებს შეკრებისა და გამოკვების ამოცანებთან აკავშირებდა. სკოლამ უარი განაცხადა, მიენოებინა სახელმწიფოსთვის მოსწავლეთა სია, რომელიც საჭირო იყო კურიკულუმის დასამტკიცებლად და აკრედიტებული მასწავლებლების დასაქირავებლად. საქმეში *ნებრასკის შტატი ლუისვილის ბაპტისტური ეკლესიის წინააღმდეგ* სასამართლომ დააკმაყოფილა სახელმწიფოს მოთხოვნა, შეჩერებულიყო სკოლის ფუნქციონირება.

მსგავსი გადაწყვეტილება იქნა მიღებული აიოვას შტატშიც.<sup>114</sup> შტატის სასამართლომ არ დააკმაყოფილა სავალდებულო განათლების კანონისგან გათავისუფლების მოთხოვნა. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებისას განაცხადა, რომ მრწამსის გულწრფელობა იყო ერთადერთი ფაქტორი, რითაც მსგავსნი იყვნენ ამიშები და მოსარჩელები; რომ მოსარჩელების მრწამსი გაცილებით ნაკლებად იყო დაკავშირებული მათ ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ვიდრე ამიშებისა. სასამართლოს განცხადებით, ამიშების კულტურა უფრო მეტად არის იზოლირებული ამერიკული ცხოვრების სტილისგან, ვიდრე მოსარჩელებისა, რომელთა შვილები აუცილებლად ჩაებმებიან ყოველდღიურ კონკურენციაში, იცხოვრებენ მრავალფეროვან და რთულ საზოგადოებაში.

მეორე მხრივ, საქმეში *შტატი ვაისნერის წინააღმდეგ*<sup>115</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოში მშობლები გასამართლებულ იქნენ მათი შვილების მიერ გაკვეთილების გაცდენის გამო. შტატი ითხოვდა ყველა მშობლისგან მათი შვილების შტატის მინიმალური სტანდარტების შესაბამის სკოლაში დასწრებას. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო *იოდერის* სასამართლო პრეცედენტს და გადაწყვიტა, რომ სახელმწიფოს არასდროს უცდია დაესაბუთებინა თავისი ინტერესის სამართლიანობა მინიმალური სტანდარტის წესის რელიგიური სკოლების მიმართ გამოყენებისას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.



## რელიგიური სამოსის ტარება

სიმჩა გოლდმანი, ორთოდოქსი ებრაელი და საჰაერო ძალების კაპიტანი, ფსიქოლოგად მსახურობდა მარჩის საჰაერო ძალების ბაზაზე. ის ყოველთვის ატარებდა ერმოლკას – თავსაბურავს, რომელიც ღვთისადმი მის მორჩილებას გამოხატავდა. საჰაერო ძალებს შემუშავებული ჰქონდათ რეგულაციები თავსაბურავების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავდა, როგორი თავსაბურავების გამოყენება იყო დაშვებული და როდის. როდესაც გოლდმანს თავსაბურავის მოხდა უბრძანეს, მან სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა თავსაბურავის ამკრძალავი რეგულაციების გაუქმება. საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან მიიჩნია, რომ საჰაერო ძალებს არ გააჩნდათ სხვა ინტერესი, გარდა ხსენებული წესების მკაცრი აღსრულების შედეგად მიღებული ეფექტისა. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე აბნერ მიტკვამ, რომელიც თავად იყო ებრაელი, განუცხადა თავის კოლეგებს, რომ ერმოლკის ტარებას ყველა ებრაელი არ ემხრობოდა. რამდენად რელევანტური იყო ეს ინფორმაცია გოლდმანის საქმის გადაწყვეტაში არ არის ცნობილი. მოგვიანებით იმავე შემადგენლობის სასამართლომ უკანონოდ გამოაცხადა თავდაცვის დეპარტამენტის რეგულაცია, რომელიც კრძალავდა ჰომოსექსუალური ორიენტაციის მქონე პირების მსახურს სამხედრო ძალებში (სტეფანი ასპინის წინააღმდეგ<sup>116</sup>). მოსამართლე მიტკვამ ამ საქმეში გოლდმანის<sup>117</sup> საქმის პრეცედენტი მოიყვანა და აღნიშნა, რომ ძლიერი და დამოუკიდებელი სამხედრო ძალები უმნიშვნელოვანესი იყო სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის და ამიტომ სასამართლოებმა არ უნდა შეცვალონ სამხედრო ძალების გადაწყვეტილებები. იყო თუ არა გოლდმანის მიერ ერმოლკის ტარება მნიშვნელოვანი სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის? უზენაესმა სასამართლომ 5 ხმით 4-ის წინააღმდეგ გოლდმანის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო.

### გოლდმანი უაინბერგერის წინააღმდეგ<sup>118</sup>

#### უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საჰაერო ძალების წესდების მიხედვით, სამხედრო ფორმები აღვივებს იერარქიული ერთიანობის გრძნობას და გამორიცხავს რაიმე ინდივიდუალურ განსხვავებას, გარდა წოდებრივი განსხვავებისა. საჰაერო ძალების სასიცოხლო მნიშვნელობას ანიჭებან ფორმებს, როგორც მშვიდობიან დროს, ასევე საომარი მდგომარეობისას, რადგან პირადი შემადგენლობა ყოველთვის მზად უნდა იყოს, ეფექტური დაცვის უზრუნველყოფისთვის. დისციპლინის საჭირო ჩვევები კი საფრთხის დადგომამდე უნდა ჩამოყალიბდეს. უზენაესი სასამართლო დაეთანხმა საჰაერო ძალების პოზიციას, რომ სამხედროებმა ბრძანებათა მორჩილება ომის დროს არ უნდა ისწავლონ და რომ მომენტალური დამორჩილების ჩვევა ომამდე უნდა იყოს გამოიმუშავებული.

ასეთი ჩვევების შესაძენად საჰაერო ძალებს სპეციალური 190-გვერდიანი დოკუმენტი ჰქონდათ შემუშავებული, რომლის თანახმადაც საჰაერო ძალების წევრმა სამხედრო ვალდებულების შესრულებისას სამხედრო ფორმა უნდა ატაროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაბრძანები აქვს სამოქალაქო ტანსამოსის ტარება. დოკუმენტის დანარჩენი ნაწილი დეტალურად აღწერს ყველა ნივთს, რომელიც სამხედრო ფორმასთან ერთად უნდა ატაროს სამხედრომ. ნებადართული თავსაბურავის ტარება მხოლოდ ბაზის გარეთ შიძლება. ამ წესიდან გამონაკლისის სახით, პირს მხოლოდ უფროსის ნებართვით შეუძლია თავსაბურავის ტარება რელიგიურ ცერემონიებზე, რომლებიც შენობაში ან საცხოვრებელ ადგილას ტარდება. ნებადართულია ასევე რელიგიური ნივთების ტარება სამოსის ქვეშ.

მოსარჩელე გოლდმანი ამტკიცებდა, რომ პირველი შესწორების აღმსარებლობის თავისუფ-



ლები კლაუზულა მოითხოვდა საჰაერო ძალებისგან რელიგიური თავსაბურავის ტარების ნებართვას, რადგან ეს ხილვადი, თუმცა „მოკრძალებული“, სამოსი არავითარ საშიშროებას სამხედრო დისციპლინას არ უქმნიდა. ის ამტკიცებდა, რომ საჰაერო ძალების მოსაზრება, თითქოს მისი ერმოლკა საფრთხეს უქმნიდა დისციპლინას, საფუძველს იყო მოკლებული, რადგან არც კონკრეტულ გამოცდილებას ეყრდნობოდა და არც მეცნიერულ დასკვნას. პირიქით, მისი განცხადებით, ექსპერტის ჩვენებამ აჩვენა, რომ რელიგიური ხასიათის გამონაკლისის რეგულაციებიდან სასურველიც კი იყო, რადგან საჰაერო ძალებს უფრო ჰუმანურადგილად აქცევდა.

უზენაესმა სასამართლომ არაარსებითად ჩათვალა ექსპერტის განცხადება. სამოსის რეგულირების მიზანშეწონილობა სამხედრო პირების გადასაწყვეტი იყო და მათ კონსტიტუცია არ ავალდებულებდა, უარი ეთქვათ თავიანთ პროფესიულ შეხედულებაზე. სასამართლოს განცხადებით, პირველი შესწორება არ მოითხოვდა საჰაერო ძალებისგან გოლდმანის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რადგან ეს ერთგვაროვნების დარღვევას გამოიწვევდა, რასაც სამოსის რეგულაციები ეწინააღმდეგებოდა. შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

*მოსამართლე სტივენსის თანმხვედრი აზრი,*

*რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლე უაიტი და მოსამართლე პაუელი*

მოსამართლე სტივენსის აზრით, კაპიტანი გოლდმანი თავის სამსახურებრივ მოვალეობას ისეთ სისტემაში ასრულებდა, სადაც სამხედრო ფორმიდან მცირე გადახვევა არ შეუქმნიდა საშიშროებას საჰაერო ძალების სამხედრო მისიას. უფრო მეტიც, მოსამართლის აზრით, არსებობდა საკმაო საფუძველი იმ დასკვნისათვის, რომ გოლდმანის მიმართ გატარებული მკაცრი ზომები რეპრესიული ხასიათის იყო. მას არ შექმნია პრობლემა თავსაბურავის ტარებასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც ჩვენებას იძლეოდა სამხედრო სასამართლოში. მოსამართლე სტივენსის აზრით, სასამართლომ უნდა განიხილოს საჰაერო ძალების წესების გამოყენების კანონიერება არა მხოლოდ კაპიტან გოლდმანის, არამედ მთელი პერსონალის მიმართ, რომლის გულწრფელი რელიგიური რწმენაც გარკვეულ სამხედრო ბრძანებებს ეწინააღმდეგება.

ამ საქმეში გასაჩივრებული წესი ეფუძნება სრულიად ნეიტრალურ და ობიექტურ სტანდარტს – ხილვადობას. იგი არ არის მოტივირებული რომელიმე რელიგიური რწმენისადმი შუღლით ან განსაკუთრებული პატივისცემით. გამონაკლისის დაშვება ერმოლკის ტარებისათვის ერთგვაროვნების ქეშმარიტი პრინციპის უგულვებელყოფა იქნებოდა, რასაც ემყარება აღნიშნული წესი.

*მოსამართლე ბრენანის განსხვავებული აზრი,*

*რომელსაც შეუერთდა მოსამართლე მარშალი*

მოსამართლის განცხადებით, სამხედრო დანესებულება თავისი მკაცრი მოთხოვნებით, შესაძლოა ინდიფერენტული იყოს უმცირესობების საჭიროებებისა და ღირებულებების მიმართ. მაგრამ რელიგიის კლაუზულის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, დაიცვას უმცირესობების უფლებები უმრავლესობის მხრიდან მათი არცოდნით გამოწვეული უგულვებელყოფისგან. მოსამართლის აზრით, უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური ფუნქცია იყო პირველი შესწორების ამ მიზნის რეალიზაცია.

*მოსამართლე ო'კონორის განსხვავებული აზრი*

მოსამართლის განცხადებით, უბრალოდ იმის აღიარება, რომ სამხედრო ძალებში დისციპლინის შენარჩუნების ინტერესი ძალიან მნიშვნელოვანია, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სახელმწიფოს უარი რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობაზე კონსტიტუციურად ჩაითვა-

ლოს. პირმა, რომლის ქმედებები თუნდაც უკეთილშობილესი მიზნისკენ იყოს მიმართული, მაინც კანონის ფარგლებში უნდა იმოქმედოს. შესაბამისად, მოსამართლის აზრით, სახელმწიფოც, რომელიც თავისი უმნიშვნელოვანესი ინტერესის შესრულებას ცდილობს, შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს. გარდა ამისა, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას იმის თაობაზე, მიაყენებს თუ არა არსებით ზიანს განსაკუთრებულ სახელმწიფო ინტერესს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო დაწესებულება ვერ ამტკიცებს დამაჯერებლად რეგულაციების მკაცრი გატარების საჭიროებას და ინდივიდი ასკვნის, რომ მისი გათავისუფლებით შექმნილი საშიშროების არგუმენტი უსაფუძვლოა, მოსამართლე ოკონორი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს სამხედრო ძალებში ერთგვაროვნების პოლიტიკა ნაკლებად ღირებულია, ვიდრე ინდივიდის რელიგიის თავისუფლება.

\* \* \*

შეერთებული შტატების კონსტიტუციის მიხედვით, კონგრესი აღჭურვილია უფლებამოსილებით, აკრიფოს გადასახადები, დაფაროს დავალიანებები, უზრუნველყოს საყოველთაო უსაფრთხოება და საზოგადოებრივი კეთილდღეობა, შეიმუშაოს წესები მთავრობისათვის და რეგულაციები სახმელეთო და საზღვაო სამხედრო ძალებისათვის. მოსამართლე ბრენანმა, რომელიც არ დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას ზემოთ განხილულ საქმეში, განაცხადა, რომ სასამართლოს გულუბრყვილო მხარდაჭერა უსაფუძვლო სამხედრო საჭიროებისადმი (რომ სამხედრო დისციპლინის შენარჩუნებისთვის საჭიროა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა) მოითხოვდა კონგრესისგან, გამოეხსნორებინა სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა. სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ რამდენიმე ებრაულმა ორგანიზაციამ სცადა მოეპოვებინა კონგრესის მხარდაჭერა. კონგრესმა მაშინვე უბრძანა თავდაცვის სამინისტროს, ჩამოეყალიბებინა ჯგუფი, რომელიც შეისწავლიდა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო სამხედრო ძალების წევრების მხრიდან რელიგიის მოთხოვნათა დაცვის ინტერესსა და დისციპლინის შენარჩუნების სამხედრო ინტერესს შორის პოტენციური კონფლიქტის მინიმიზაცია. შემსწავლელმა ჯგუფმა დაასკვნა, რომ ფორმები სამხედრო სისტემაში მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს დისციპლინის შენარჩუნებას, საომარი სულისა და ერთიანობის განწყობის შექმნას. თუმცა ჯგუფმა ასევე დაასკვნა, რომ ტანისამოსის ქვეშ რელიგიური ნივთების ტარება დაშვებული უნდა ყოფილიყო, თუ ეს საშიშროებას არ უქმნიდა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას. თავდაცვის დეპარტამენტმა 1985 წელს გამოაცხადა, რომ ერმოლკის ტარება დაშვებული იყო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადგილი ჰქონდა „სამხედრო საჭიროებას“. 1988 წელს კონგრესმა გადაწყვიტა, რომ სამხედრო ძალების წევრს შეეძლო ეტარებინა რელიგიური სამოსი სამხედრო ფორმასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავდაცვის სამინისტრო გადაწყვეტდა, რომ რელიგიური სამოსის ტარება ხელს შეუშლიდა სამხედრო მოვალეობის შესრულებას ან ასეთი სამოსი სუფთა და კონსერვატიული არ იყო.

**რელიგიური სამოსის ტარება სასამართლოში.** ნიუ-იორკის პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ებრაული მრწამსის მიმდევარ მაიერ უაინბერგერს უნდა მოეხადა თავისი ერმოლკა ან დაეტოვებინა სასამართლო დარბაზი („ქლოუს-ით-ენტერპრაიზისი“ უაინბერგერის წინააღმდეგ<sup>119</sup>). ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს სააპელაციო პალატამ გააუქმა ეს სასამართლო გადაწყვეტილება, რადგან მიიჩნია, რომ სასამართლოს არ შეეძლო დაეყენებინა პირი ტრიბუნალსა და რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობას შორის არჩევანის წინაშე. ამ საქმემდე ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა პირველი

ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც უკრძალავდა კათოლიკე იურისტ მღვდელს, ეტარებინა თავისი ყელსაბამი სასამართლოში ადვოკატად გამოსვლისას (ლა როკა ლენის წინააღმდეგ<sup>120</sup>). სასამართლოს თავმჯდომარე ბრაიტელმა განაცხადა, რომ ადვოკატი ექვემდებარებოდა მოსამართლის ტანისამოსთან დაკავშირებულ იმ რეგულაციებს, რომლებიც გონივრულ კავშირში იყო სასამართლოში წესრიგისა და ეტიკეტის შენარჩუნებასთან, მოწმეებისა და მხარეთა დაცვასთან, და ზოგადად მართლმსაჯულების განხორციელებასთან. ბრაიტელის აზრით, მოსამართლემ შეიძლება სხვადასხვაგვარად აღიქვას სამღვდელოების წარმომადგენლისა და სხვების მიერ გაკეთებული განცხადება. მოსამართლის მტკიცებით, რისკი იმისა, რომ სამართლიანი სასამართლო არ შედგებოდა, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ადვოკატის რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის „შემთხვევითი შეზღუდვა“, რომელიც აიძულებდა მას მოეხსნა თავისი რელიგიური მრწამსის სიმბოლო.

კათოლიკეები იცავენ რელიგიურ რიტუალს და არ მიირთმევენ ხორცს პარასკევობით, თუმცა კათოლიკური ეკლესია უშეგებს გამონაკლისს ასეთი რიტუალიდან. ნიშნავს კი ეს იმას, რომ სახელმწიფოს შეუძლია მოსთხოვოს კათოლიკეს მიირთვას ხორცი პარასკევს? უაინბერგერის საქმე სასამართლომ განასხვავა ლა როკას საქმისგან. მან განაცხადა, რომ მონინაალმდეგ მხარეს არ გამოუთქვამს პროტესტი ეროლკის ტარებაზე, მაშინ, როდესაც ოლქის პროკურორმა გააპროტესტა მამა ლა როკას მიერ კათოლიკური ყელსაბამის ტარება. არსებითა/გადამწყვეტია კი ეს განსხვავება? სამი წლის შემდეგ ლა როკას ისევ აუკრძალეს ყელსაბამის ტარება სასამართლოში. როდესაც ლა როკამ ისევ გაიკეთა ყელსაბამი, ოლქის პროკურორმა ისევ პროტესტი გამოხატა, მაგრამ ამჯერად სასამართლომ სასულიერო პირს დაუჭირა მხარი. ლა როკა დაეყრდნო პაპის განცხადებას, რომლის თანახმად, მღვდელმა სამოსით უნდა გამოხატოს თავისი განსაკუთრებული მისია.

**რელიგიური სამოსი და საკლასო ოთახი.** ჯანეტ კუპერი, სიქიზმის მიმდევარი და ეუგენის საჯარო სკოლის მასწავლებელი, სასწავლო პროცესის დროს თეთრ ტანისამოსს და თეთრ ჩალმას ატარებდა. სკოლისადმი მიწერილ წერილში ის აცხადებდა, რომ ამ სამოსის ტარებით იცავდა რელიგიური რწმენის მოთხოვნას. სკოლის დირექტორმა გააფრთხილა კუპერი, რომ მისი საქციელი არღვევდა ორეგონის სტატუსს, რომლის თანახმად საჯარო სკოლის არც ერთ მასწავლებელს არ ჰქონდა უფლება ეტარებინა რელიგიური სამოსი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. სასამართლო პროცესზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლინდემ განაცხადა, რომ ორეგონის სტატუსი რელიგიური სამოსის საკლასო ოთახში ტარების წინააღმდეგ დასაშვები იყო, რადგან გამორიცხავდა სკოლაში რელიგიური გავლენის მოხდენას.

### **რელიგიური რიტუალი ციხეში**

**მღვდელმსახურება ციხეში და რელიგიით მოტივირებული ციხის რეფორმა.** რელიგიურ ტექსტებში წარმოდგენილი მოძღვრებებით მოტივირებული მორწმუნეები დიდი ხნის მანძილზე ენეოდნენ საკუთარი რწმენის სოციალური შედეგების ანალიზს. ამან უზიძვა მათ არა მარტო აქტიურად ჩართულიყვნენ ციხის მღვდელმსახურებაში, არამედ ხელი შეეწყოთ ზოგადად პენიტენციურ სისტემაში რეფორმის განხორციელებისათვის. საუკუნეების განმავლობაში მრავალი მორწმუნე განიცდიდა პატიმრობის მძიმე პირობებს. ამ გამოცდილებამ თავისი წვლილი შეიტანა ციხეში მღვდელმსახურების დამკვიდრებასა და ზოგიერთ შემთხვევაში რეფორმისტული მოძრაობის წამოწყებაში, რასაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა ციხის პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. სხვა შემთხვევებში მორწმუნეების პატიმრობამ საკმაოდ ღირებული ლიტერატურული ნაწარმოებების დაწერას მისცა სტიმული. მაგალითად,

1963 წლის პატიმრობისას მარტინ ლუთერ კინგმა დაწერა ცნობილი „წერილი ბირმინგემის ციხიდან“. მისი რიტორიკა, რომელიც რასობრივი ნიშნით დაპატიმრებულთა გათავისუფლებას მოითხოვდა, საკმაოდ ეფექტური იყო, რადგან დაწერილი იყო იმ სულიერი წინამძღვრის მიერ, რომელიც თავად გისოსებს მიღმა იმყოფებოდა რასობრივი უსამართლობის წინააღმდეგ არაძალადობრივი პროტესტის გამო. ასევე მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს ჩარლზ კოლსონის პატიმრობა. მისმა რელიგიურმა მოძრაობამ ციხეში შედეგად გამოიღო ციხის ამხანაგობის (Prison Fellowship) ჩამოყალიბება, რომელიც პატიმრებს ემსახურება და მიზნად ისახავს ციხის პირობების გაუმჯობესებას ამერიკაში. გარდა იმისა, რომ რელიგიური ჯგუფები ხშირად იყვნენ ციხის რეფორმის ინიციატორები, რელიგია ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ციხის ადმინისტრაციის მიერ პატიმრების მოთხოვნათა დაკმაყოფილებაში.

### *ო'ლონე „შაბაზის საკუთრების“ წინააღმდეგ<sup>121</sup>*

ლისბურგის ციხეში პატიმრების ჯგუფს დავალებული ჰქონდა სამუშაოს შესრულება ციხის შენობის გარეთ. ციხის ადმინისტრაციას პრობლემები ექმნებოდა, როდესაც პატიმრები გარკვეული მიზეზების გამო (მათ შორის რელიგიურ რიტუალზე დასწრების მიზეზით) მოითხოვდნენ ძირითად შენობაში დაბრუნებას სამუშაო დღის განმავლობაში. დღის განმავლობაში პატიმრების უკან დაბრუნება რისკს უქმნიდა უსაფრთხოებას და წარმოშობდა ადმინისტრაციულ სირთულეებს. პატიმრების ყოველ ჯგუფს მხოლოდ ერთი მცველი ზედამხედველობდა, ამიტომ მთლიანი ჯგუფი იძულებული იყო მთავარ შესასვლელთან მობრუნებულიყო, თუ ერთ პატიმარს მაინც მოუნდებოდა შენობაში დაბრუნება. მთავარ შესასვლელთან ციხეში შემავალი და იქიდან გამომავალი ძირითადი ტრანსპორტი მოძრაობდა, ამიტომ ციხის ადმინისტრაცია შესასვლელს განსაკუთრებით სარისკო ზონად აღიქვამდა. პატიმრის უკან დაბრუნებისას შესასვლელთან მოძრაობა იკეტებოდა მანამ, სანამ პატიმრებს არ გაჩხრეკდნენ.

ასეთი პრობლემების გამო ციხის ადმინისტრაციამ ყველაფერი იღონა, რათა გარეთ მომუშავე პატიმრები იქ დღის ბოლომდე დარჩენილიყვნენ. კერძოდ, ციხის ადმინისტრაციამ მიიღო შიდა ადმინისტრაციული აქტი, რომელიც კრძალავდა გარეთ მომუშავე პატიმრებისთვის დღის განმავლობაში ციხეში დაბრუნებას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. მაგალითად, ციხის ადმინისტრაციის მიერ მიღებული აქტი შენობის გარეთ მომუშავე მუსლიმებს უფლებას არ აძლევდა, დასწრებოდნენ თავიანთ რელიგიურ რიტუალს ჯუმუას, რომლის მკაცრად დაცვასაც ითხოვს ყურანი. პატიმრებმა შეიტანეს სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოში იმ მოტივით, რომ ციხის ასეთი პოლიტიკა ხელყოფდა პირველი შესწორების აღმსარებლობის თავისუფლების კლავსულით განმტკიცებულ მათ უფლებებს. პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ უკან დაბრუნების აკრძალვა გონივრულ ფარგლებში ემსახურებოდა წესრიგის, უსაფრთხოებისა და პატიმართა რეაბილიტაციის მიზანს. სასამართლომ უარყო წინადადება პატიმრების რელიგიური მოთხოვნის დაკმაყოფილების ალტერნატიული გზების შესახებ. სასამართლოს განაცხადებით, არ არსებობდა სხვა პატიმრების უფლებების ნაკლებად შემზღვევა ალტერნატივა, რომელიც საფრთხის ქვეშ არ დააყენებდა ციხის ლეგიტიმურ ინსტიტუციურ მიზანს.

სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ ციხის ასეთი პოლიტიკა მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ სახელმწიფო აჩვენებდა, რომ გასაჩივრებული რეგულაციები ხელს უწყობდა უსაფრთხოების მნიშვნელოვან პენოლოგიურ მიზანს. გარდა ამისა, ციხის პოლიტიკის გასამართლებლად სახელმწიფოს უნდა ეჩვენებინა, რომ არ არსებობდა ალტერნატიული გზა პატიმრების რელიგიური მოთხოვნის დაკმაყოფილებისა უსაფრთხოებისთვის რისკის გარეშე. სააპელაციო სასამართლოს განაცხადებით, დიდი მნიშვნელობა უნდა მინიჭე-

ბოდა ციხეში მომუშავე ექსპერტების ჩვენებას, თუმცა მხოლოდ ეს ჩვენებები არ იყო ობიექტური საფუძველი ალტერნატიული გონივრული რეგულაციის არარსებობის თაობაზე დასკვნის გამოსატანად. სასამართლოს განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იყო რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ალტერნატიული გონივრული ზომების მიღება, რომლებიც არ ხელყოფდა არც უსაფრთხოების ინტერესს და არც პატიმრების უფლებას რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობაზე, მაშინ სახელმწიფოს მიერ რელიგიურ რიტუალში მონაწილეობის აკრძალვა დაუშვებელი იყო და ხელყოფდა პატიმართა პირველი შესწორებით განმტკიცებულ უფლებებს.

სასამართლომ ასევე აღნიშნა ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავდა იმ მეთოდის გონივრულობას, რომლის საშუალებითაც უნდა დაკმაყოფილებულიყო პატიმართა რელიგიურ რიტუალში მონაწილეობის მოთხოვნა. ამა თუ იმ მეთოდის გონივრულობას განსაზღვრავდა მისი დანერგვის შედეგად გამოწვეული ხარჯები, შტატის რაოდენობა და პატიმართა მიდრეკილება უნესრიგო ქცევისკენ.

სააპელაციო სასამართლომ საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნა ზემოთ მოყვანილი მსჯელობის შესაბამისად განხილვისთვის. უზენაესმა სასამართლომ გამოითხოვა საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოდან, რათა შეემუშავებინა სათანადო სტანდარტები, რომლებიც გამოყენებული იქნებოდა პატიმართა აღმსარებლობის თავისუფლებასთან დაკავშირებული სარჩელის განსახილველად.

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

უზენაესი სასამართლოს განცხადებით, აღნიშნული საქმის განხილვას რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპი დაედო საფუძველად. პირველი, პატიმრები არ კარგავენ ყველა კონსტიტუციურ გარანტიას მათი ციხეში მოთავსების გამო. პატიმრები ცალსახად ინარჩუნებენ პირველი შესწორებით განმტკიცებულ უფლებებს, მათ შორის აღმსარებლობის თავისუფლებას. მეორე, კანონიერი პატიმრობა გულისხმობს მრავალი პრივილეგიისა და უფლების შეზღუდვას. შეზღუდვები კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობაზე არა მარტო პატიმრობის შედეგია, არამედ გამართლებულია ლეგიტიმური პენოლოგიური მიზნითაც, რაც გულისხმობს დანაშაულის აღკვეთას, პატიმართა რეაბილიტაციასა და ციხის ინსტიტუციური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების დაბალანსებისას სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ პენოლოგიური მიზნის შეფასება ციხის ადმინისტრაციას უნდა მიენდოს, რომელიც პასუხისმგებელია ციხის მართვაზე. ციხის ადმინისტრაციისადმი სასამართლოების პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით, უზენაეს სასამართლოს შემოღებული ჰქონდა ციხის რეგულაციების წინააღმდეგ კონსტიტუციური სარჩელების „გონივრულობის“ შეფასების შედარებით მარტივი ტესტი. გონივრულობის ტესტის მიხედვით, როდესაც ციხის რეგულაცია ხელყოფს პატიმრების კონსტიტუციურ უფლებებს, რეგულაცია დასაშვებად ჩაითვლება, თუ ის გონივრულ ფარგლებში დაკავშირებულია ლეგიტიმურ პენოლოგიურ ინტერესთან. ასეთი მიდგომა, სასამართლოს აზრით, უზრუნველყოფს ადმინისტრაციის შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვროს უსაფრთხოების პრობლემები და მიიღოს რაციონალური გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს მიხედვით, ასეთი მიდგომა გამოიწვევს სასამართლო სისტემის უადგილო ჩარევას ისეთი პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება სასამართლო დირექტივებით რეგულირებას შესაბამისობის თვალსაზრისით.

უზენაესმა სასამართლომ არ გაამართლა სააპელაციო სასამართლოს მიერ ციხის ადმინისტრაციისთვის იმის მტკიცების ტვირთის დაკისრება, რომ არ არსებობდა სხვა გონივრული მეთოდი, რომლის საშუალებითაც რელიგიური მოთხოვნები უსაფრთხოებისთვის



საფრთხის შექმნის გარეშე დაკმაყოფილებოდა. უზენაესი სასამართლოს განცხადებით, ციხის ადმინისტრაციისთვის ასეთი მტკიცების ტვირთის დაკისრება არ ასახავს პატივისცემას, რომელსაც შეერთებული შტატების კონსტიტუცია გამოხატავს ციხის ადმინისტრაციის მიმართ.

„გონივრულობის ტესტის“ გამოყენების შემდეგ ციხის პოლიტიკის მოთხოვნების მიმართ უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ისინი სრულიად შეესაბამებოდა მის მიერ შემუშავებულ სტანდარტს. ციხის პოლიტიკის მოთხოვნა, რომ პატიმართა გარკვეულ ჯგუფებს დაკისრებოდათ ციხის გარეთ მუშაობა, გამართლებული იყო ინსტიტუციურ ნესრიგსა და უსაფრთხოებაზე მზრუნველობით. რაც შეეხება დღის განმავლობაში ციხის მთავარ შენობაში დაბრუნების აკრძალვას, ციხის ადმინისტრაციის წევრების ჩვენებებით, პატიმართა უკან დაბრუნება აფერხებდა მოძრაობას ციხის შესასვლელთან, ადგილთან, რომელიც სარისკო ტერიტორიად იყო მიჩნეული. გარდა ამისა, პატიმართა უკან დაბრუნება საკმაოდ დიდ ტვირთს აკისრებდა მცველებს, რომლებსაც ყოველი კონკრეტული მოთხოვნის მიხედვით უნდა გადაეწყვიტათ, დაერთოთ თუ არა მათთვის უკან დაბრუნების ნება. დამატებით, ციხის პოლიტიკა გამართლებული იყო პატიმართა რეაბილიტაციის ინტერესითაც. უზენაესი სასამართლოს აზრით, პატიმართა უკან დაბრუნების აკრძალვა ყველა ამ კანონიერ მიზანთან შესაბამისობაში იყო, ამიტომ ეს მოთხოვნაც შეესაბამებოდა „გონივრულობის“ სტანდარტს.

გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ თუმცა პატიმრებს არ შეეძლოთ ციხის ამკრძალავი რეგულაციების გამო ჯუშუას რიტუალის დაცვა, მათ არ ეზღუდებოდათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ სხვა რელიგიურ ცერემონიებში, როგორცაა რამადანი, მარხვა და ლოცვა. ამ რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნები სრულიად დაკმაყოფილებული იყო ციხის ადმინისტრაციის მიერ.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გასაჩივრებული რეგულაციები გონივრულად იყო დაკავშირებული ლეგიტიმურ პენოლოგიურ მიზნებთან, რის გამოც ისინი არ ხელყოფდნენ პირველი შესწორების აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულით განმტკიცებულ უფლებებს.

*მოსამართლე ბრენანის განსხვავებული აზრი,*

*რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები მარშალი, ბლეკმუნი და სტივენსი*

მოსამართლე ბრენანის აზრით, ამ საქმეში სასამართლოსთვის მთავარი სირთულე იმის განსაზღვრა იყო, როგორ უნდა ყოფილიყო საუკეთესოდ დაცული პატიმართა კონსტიტუციური უფლებები. შესაბამისად, მოსამართლის აზრით, ამ საქმის გადასაწყვეტად შესამუშავებელი სტანდარტის მიზანი არ უნდა იყოს ის, რაც სასამართლომ განაცხადა, ანუ იმის უზრუნველყოფა, რომ სასამართლოები სათანადო პატივისცემით მოეკიდონ ციხის ადმინისტრაციის წევრების გადაწყვეტილებებს. მოსამართლის განცხადებით, კონსტიტუცია არ არის შექმნილი იმისთვის, რომ გაზარდოს საჯარო მოხელეთა ქმედებების ეფექტიანობა, ან იმისთვის, რომ უზრუნველყოს საკმარისი ნდობა ადმინისტრაციული ექსპერტების მიმართ. მოსამართლე ბრენანის თანახმად, კონსტიტუცია წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვას იმ ხელყოფისგან, რომელიც შეიძლება გამართლებულ იქნას, როგორც მართვისთვის აუცილებელი საშუალება.

ბრენანის მოსაზრებით, „გონივრულობის“ სასამართლო შემოწმების სტანდარტად აღიარება არაადეკვატურია ნებისმიერი სახის კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად. ასეთი სტანდარტის შეტყობინება ციხის ადმინისტრაციისთვის იმის მინიშნებაა, რომ საკმარისია მათ „გონივრულად“ იმოქმედონ და მათი ყველა ქმედება გამართლებული იქნება. მოსამართლის განცხადებით, გონივრულად მოქმედების დირექტივა საკმარისი რომ იყოს უფლებამო-



სიღების ყველანაირი გამოყენების შესამონმებლად, მაშინ კონსტიტუცია აღარ იქნებოდა საჭირო.

თუ საქმიანობა, რომელშიც პატიმრებს სურთ მონაწილეობა, შეიცავს რისკს უსაფრთხოებისთვის, ან თუ რეგულაცია უზრალოდ კრძალავს პატიმრების მიერ რელიგიის გამოხატვის ადგილს, დროსა და ფორმას, მაშინ ციხის რეგულაცია უკანონოდ მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, თუ არ არსებობს შეზღუდვის გონივრული გამართლება. ხოლო მოსამართლის აზრით, თუ პატიმრის უფლების დაკმაყოფილება არ შეიცავს საშიშროებას და თუ ციხემ მთლიანად წაართვა მას ეს უფლება, მაშინ ციხის ადმინისტრაციამ უნდა აჩვენოს, რომ ასეთი აკრძალვა პროპორციული ხასიათისაა და აუცილებელია მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესის უზრუნველსაყოფად.

მოსამართლის აზრით, რადგან ციხემ უნდა შთააგონოს პატიმრებს სოციალური და სამართლებრივი ნორმების პატივისცემა, მან ასევე ნათლად და დასაბუთებულად უნდა წარმოაჩინოს პატიმრების უფლების აბსოლუტური შეზღუდვის საჭიროება. უფრო მეტიც, ბრენანის განცხადებით, ციხის ადმინისტრაციას აქვს შესაძლებლობა, მოიპოვოს ყველა ის მტკიცებულება, რომელიც არსებითია უფლებების ასეთი შეზღუდვის უპირატესობის დასადაგენად სხვა ალტერნატივებთან შედარებით.

ბრენანის განცხადებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ საქმეში სასამართლო შემონმების სტანდარტად „გონივრულობის“ პრინციპია აღებული, ციხის მოხელეები მაინც ვერ ამტკიცებენ პატიმრებისთვის ჯუშუაში მონაწილეობის აკრძალვის გონივრულობას.

მოსამართლე ასევე არ დაეთანხმა უზენაესი სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ რეგულაციით პატიმრებისთვის მხოლოდ ჯუშუას რელიგიურ რიტუალში მონაწილეობის შეზღუდვა არ ნიშნავდა პატიმრების კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვას, რადგან მათ შეეძლოთ სხვა რელიგიური ქმედებების განხორციელება. ბრენანის აზრით, ასეთი მსჯელობა არასწორია, რადგან სასამართლო არ ითვალისწინებს იმას, რომ ჯუშუა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური რიტუალია მუსლიმებისთვის, რომლის შესრულებასაც უპირობოდ მოითხოვს ყურანი.

მოსამართლის განცხადებით, მუსლიმ პატიმრებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ჯუშუას რელიგიურ რიტუალში ყველა ფედერალურ ციხეში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნორმალური გარემოებების არსებობისას, ასეთი პრაქტიკა შეესაბამება ციხის ადმინისტრაციის მოთხოვნებს. მართლაც, ლისბურგის შტატის ციხე პატიმრებს ხუთი წლის განმავლობაში რთავდა ნებას, მიეღოთ მონაწილეობა ამ რელიგიურ რიტუალში და მათ, ბრენანის განცხადებით, ამის შედეგად არასოდეს შექმნიათ წესრიგის დარღვევის პრობლემა. ფედერალური ციხეებისა და ლისბურგის ციხის გამოცდილების საფუძველზე, მოსამართლე ბრენანი ასკვნის, რომ გონივრულობის ტესტი ციხის ადმინისტრაციისგან მოითხოვს იმის დამტკიცებას, რომ ალტერნატივები, რაც პატიმრებს ჯუშუაში მონაწილეობის ნებას დართავდა, გაუმართლებელი იყო.

პატიმრობა, მოსამართლის განცხადებით, გამორიცხავს პატიმრის მონაწილეობას ადამიანთა ფართო საზოგადოებაში. რელიგიური საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობის აკრძალვამ კი, მოსამართლის აზრით, შეიძლება პატიმარს ღირსების გრძნობა და ცოდვებისგან გათავისუფლების ბოლო იმედიც დაუკარგოს. ასეთი აკრძალვა, ბრენანის აზრით, უფრო მეტ გამართლებას მოითხოვს, ვიდრე მხოლოდ იმის მტკიცება, რომ სხვანაირი მოქმედების კურსი არარეალურია.

## პეიოტის<sup>122</sup> მოხმარება

ამერიკელი ინდიელების მიერ პეიოტის რიტუალური მოხმარებისათვის დაშვებული გამონაკლისები კანონმდებლობაში ნარკოტიკების შესახებ

ფედერალური ხელისუფლება და რამდენიმე შტატი ითვალისწინებს გამონაკლისებს პეიოტის რელიგიური მოხმარებისათვის. აშშ-ს ფედერალურ დადგენილებათა კოდექსის თანახმად: „პეიოტის შეტანა კონტროლირებადი ნივთიერებების პირველი თანრიგის ჩამონათვალში არ შეეხება პეიოტის არანარკოტიკული დანიშნულებით გამოყენებას ამერიკელი ინდიელების ეკლესიის კეთილსინდისიერ რელიგიურ რიტუალებში და ამერიკელი ინდიელების ეკლესიის წევრები გათავისუფლებულნი არიან რეგისტრაციისგან. ნებისმიერი პიროვნება, რომელიც აწარმოებს პეიოტს და ინდიელ ამერიკელთა ეკლესიას ამარაგებს პეიოტით, ვალდებულია გაიაროს ყოველწლიური რეგისტრაცია და შეასრულოს კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა.“

ქვემოთ მოყვანილ საქმეში ალფრედ სმიტი და გალენ ბლეკი, ამერიკელი ინდიელების ეკლესიის წევრები, დაითხოვეს სამუშაოდან საკრალური მიზნებისათვის თავიანთი ეკლესიის რიტუალში პეიოტის მოხმარებისთვის. როდესაც სმიტმა და ბლეკმა მოითხოვეს უმუშევართათვის გათვალისწინებული კომპენსაცია, ადამიანური რესურსების დეპარტამენტის დასაქმების სამსახურმა გადაწყვიტა, რომ ისინი არ იმსახურებდნენ შემწეობას, ვინაიდან სამუშაოსთან დაკავშირებული „გადაცდომისთვის“ დაითხოვეს. სასამართლოში სამართალწარმოების მიმდინარეობისას ორეგონის შტატის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა გამონაკლისებს პეიოტის მოხმარებისათვის. სამართალწარმოების პირველ ეტაპზე ორეგონის სასამართლოებმა უარი განაცხადეს, განეხილათ საკითხი იმის თაობაზე, იყო თუ არა მსგავსი გამონაკლისის დაშვება კონსტიტუციით სავალდებულო. შტატის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სმიტსა და ბლეკს ჰქონდათ კომპენსაციის მიღების უფლება, ვინაიდან „გადაცდომის“ დებულების მიზანი დისკვალიფიკაციის შედეგად მათ რელიგიურ გამოხატვაზე დაკისრებულ ტვირთს ვერ ამართლებდა. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ გამოითხოვა საქმე ქვედა ინსტანციიდან. იმ მოტივით, რომ ორეგონის უზენაეს სასამართლოს არ გადაუწყვეტია, პეიოტის საკრალური გამოყენება აკრძალული იყო თუ არა შტატის კონტროლირებადი ნივთიერებების კანონით (რადგანაც სწორედ ეს საკითხი იყო მხარეებს შორის დავის საგანი), მან გააუქმა გადაწყვეტილება და საქმე შტატის უზენაეს სასამართლოს დაუბრუნა ხელმეორედ განსახილველად. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, რომ პეიოტის რელიგიური გამოყენება ექცეოდა ორეგონის კანონის აკრძალვის ფარგლებში, რომელიც არ უშვებდა გამონაკლისებს ნარკოტიკული ნივთიერებების „საკრალური მოხმარებისათვის“. ამის შემდგომ შტატის სასამართლომ განიხილა, რამდენად კონსტიტუციური იყო ასეთი აკრძალვა აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის<sup>123</sup> საფუძველზე და უარყოფითი დაასკვნა გამოიტანა. სასამართლომ დაამტკიცა თავისი ადრინდელი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, შტატს არ ჰქონდა მომჩივნეებისთვის უმუშევართათვის გათვალისწინებულ შემწეობაზე უარის თქმის უფლება ზემოთ აღნიშნული პრაქტიკის განხორციელების მოტივით. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ კვლავ გამოითხოვა საქმე ქვემდგომი სასამართლოდან.

## დასაქმების სამსახური სმიტის წინააღმდეგ<sup>124</sup>

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

უზენაესი სასამართლოს თანახმად, აღნიშნული საქმე სასამართლოსგან მოითხოვს, გადაწყვიტოს, აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა რთავს თუ არა ნებას ორეგონის შტატს, ნარკოტიკებზე ზოგადი სისხლისსამართლებრივი აკრძალვის მოქმედების სფეროში

მოაქციოს პეიოტის რელიგიური მოხმარება და, შესაბამისად, უმუშევრობის შემწეობაზე უარი განუცხადოს იმ პირებს, რომლებიც ამგვარი ქმედებისთვის სამუშაოდან დაითხოვეს.

უზენაესი სასამართლოს შეხედულებით, რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობა, პირველ რიგში, ნიშნავს ინდივიდის უფლებას საკუთარი სურვილისამებრ იწამოს ან იქადაგოს ესა თუ ის რელიგია. შესაბამისად, პირველი შესწორება გამორიცხავს „რელიგიური წარმოდგენების სახელმწიფო რეგულაციას, როგორც ასეთს“. სახელმწიფოს უფლება არა აქვს, აიძულოს ვინმე, ალიაროს განსაზღვრული მრწამსი, დასაჯოს რელიგიური დოქტრინის გამოხატვა, რომელსაც იგი მცდარად მიიჩნევს, რელიგიური შეხედულებების ან რელიგიური სტატუსის საფუძველზე დაანესოს უფლებათა სპეციალური შეზღუდვები, ან თავისი ხელისუფლება რელიგიურ დოქტრინასა თუ დოგმაზე არსებული დავის ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ გადასაწყვეტად გამოიყენოს. თუმცა „რელიგიის აღმსარებლობა“ ხშირად რწმენასა და აღსარებასთან ერთად ფიზიკური აქტების განხორციელებასაც (ან განხორციელებისგან თავის შეკავებას) მოიცავს: ღვთისმსახურების შესრულებისათვის შეკრებას, პურისა და ღვინის საკრალურ მოხმარებაში მონაწილეობას, პროზელიტიზმს ან განსაზღვრული საკვების მირთმევისგან თავის შეკავებას. რა თქმა უნდა, ჩამოთვლილი პრაქტიკების აკრძალვა „აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვა“ იქნებოდა.

ჩვენს შემთხვევაში კი, სასამართლოს მოსაზრებით, პირები ითხოვენ „აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვის“ მნიშვნელობის აღიარებას უფრო მაღალ დონეზე. მათი მტკიცებით, „[რელიგიის] თავისუფლად აღმსარებლობის შეზღუდვის“ მოიცავს ინდივიდის დავალდებულებას, დაიცვას ზოგადი დანიშნულების კანონი, რომელიც მოითხოვს (ან კრძალავს) მისი რელიგიური მრწამსით აკრძალული (სავალდებულო) ქმედების შესრულებას. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ იცნობს შემთხვევას, ამ სასამართლოს განეცხადებინოს, რომ ინდივიდის რელიგიური რწმენა ათავისუფლებს მას იმ ქმედების ამკრძალავი კანონის შესრულებისგან, რომლის რეგულირების კანონიერი უფლებაც სახელმწიფოს გააჩნია. როგორც მოსამართლე ფრანკფურტერმა აღნიშნა საქმეში *მინერსვილის სასკოლო ოლქი ვობტისის წინააღმდეგ*<sup>125</sup>: „რელიგიური შემწყნარებლობისათვის ხანგრძლივი ბრძოლის მიმდინარეობისას სინდისის პატიოსან ქენჯნას არ გაუთავისუფლებია ინდივიდი იმ ზოგადი დანიშნულების კანონის შესრულების ვალდებულებისგან, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენდა რელიგიური მრწამსის ხელშეწყობა ან შეზღუდვა. იმ რელიგიური რწმენის ქონა, რომელიც პოლიტიკური საზოგადოების რელევანტურ ინტერესებს ეწინააღმდეგება, არ ათავისუფლებს მოქალაქეს პოლიტიკური ვალდებულების შესრულებისგან“. ამ პრინციპის მხარდაჭერა მოხდა საქმეში *რეინოლდსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ*,<sup>126</sup> სადაც უზენაესმა სასამართლომ უარყო მოთხოვნა, რომლის თანახმადაც კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა პოლიგამიის ამკრძალავი სისხლის სამართლებრივი კანონების გამოყენება მათ მიმართ, ვისი რელიგიაც ამ პრაქტიკას სავალდებულოდ მიიჩნევდა. გარდა ამისა, საქმეში *ბრაუნფილდი ბრაუნის წინააღმდეგ*<sup>127</sup> უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა კვირა დღეს მუშაობისა და ვაჭრობის ამკრძალავ კანონებს, მოსარჩელეთა მოთხოვნების სანაღმდეგოდ, რომ ასეთი კანონები მძიმე ტვირთს აკისრებდნენ იმ პირთა რელიგიურ გამოხატვას, რომელთა რელიგიებიც მოითხოვდნენ მათგან სხვა დღეებში მუშაობისგან თავის შეკავებას.

უზენაესი სასამართლომ მიერ განხილული უკანასკნელი საქმე, სადაც ინდივიდის რელიგიით აკრძალული ქმედების მავალდებულებელი ნეიტრალური და ზოგადი დანიშნულების კანონები იყო გასაჩივრებული, არის *შეერთებული შტატები ლის წინააღმდეგ*.<sup>128</sup> აქ ამიში დამქირავებელი საკუთარი და თავისი მუშა-მოსამსახურეების სახელით ითხოვდა სოციალური უზრუნველყოფის გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას იმ მოტივით, რომ ამიშების მრწამსი კრძალავდა მონაწილეობას სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებში. სასამართლომ უარყო

მოთხოვნა, რომლის თანახმადაც გამონაკლისის დაშვება კონსტიტუციურად სავალდებულო იყო. „თუ, მაგალითად, განსაზღვრული რელიგიის მიმდევარის მრწამსით ომი ცოდვას წარმოადგენს და თუკი ფედერალური საბიუჯეტო სახსრების გარკვეული ნაწილი შეიძლება ომთან დაკავშირებულ საქმიანობაზე იხარჯებოდეს, ამ ინდივიდს, ზემოთ აღნიშნული პრინციპის გაზიარების შემთხვევაში, სრულიად კანონიერი მოთხოვნა ექნება, გათავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადის ნაწილისგან. საგადასახადო სისტემა ვერ იფუნქციონირებდა, თუკი დენომინაციებისთვის ნებადართული იქნებოდა საგადასახადო სისტემის გასაჩივრება მათი რელიგიური მრწამსების საწინააღმდეგო მიზნებისათვის აკრეფილი თანხის გამოყენების საფუძველზე...“

ზემოთქმულის გათვალისწინებით უზენაესმა სასამართლომ უარყო მოპასუხეთა არგუმენტი, რომლის მიხედვითაც, როდესაც სხვაგვარად აკრძალულ ქმედებას თან ახლავს რელიგიური წარმოდგენები, სახელმწიფო რეგულირებისგან თავისუფალი უნდა იყოს არა მარტო მრწამსი, არამედ ქმედებაც.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, ის გამონაკლისი გადაწყვეტილებანი, რომლითაც მან დაადგინა, რომ პირველი შესწორება კრძალავს ზოგადი დანიშნულების კანონების გამოყენებას რელიგიურად მოტივირებული ქმედებისადმი, მოიცავდა არა მარტო აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულას, არამედ კონსტიტუციური დაცვის სხვა საშუალებებსაც, როგორცაა სიტყვისა და პრესის თავისუფლება<sup>129</sup> ან მშობლების უფლებები.<sup>130</sup> მოცემული საქმე კი, სასამართლოს შეხედულებით, არ წარმოადგენს ამგვარ ჰიბრიდულ სიტუაციას.

სმიტისა და ბლეკის მტკიცებით, იმ შემთხვევაშიც, თუ ზოგადი დანიშნულების სისხლისსამართლებრივი კანონებისგან გათავისუფლება ავტომატურად არ უნდა გავრცელდეს რელიგიურად მოტივირებულ ინდივიდებზე, მოთხოვნა რელიგიური გამონაკლისის დაშვებაზე უნდა შეფასდეს *შერბერტის*<sup>131</sup> საქმეში ჩამოყალიბებული დაბალანსების ტესტის საფუძველზე. *შერბერტის* ტესტის თანახმად, სახელმწიფო ქმედებანი, რომლებიც მნიშვნელოვან ტვირთს აკისრებენ რელიგიურ გამოხატვას, დასაბუთებულ უნდა იქნეს სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესით. *შერბერტის* ტესტის გამოყენებით უზენაესმა სასამართლომ მხოლოდ სამ საქმეში<sup>132</sup> გამოაცხადა ძალადაკარგულად უმუშევრობის კომპენსაციის გაცემის შესახებ შტატის წესები, რომლებიც სარგებლის ხელმისაწვდომობას განსაზღვრავდნენ განმცხადებლების მზადყოფნის გათვალისწინებით, ემუშავათ თავიანთი რელიგიით აკრძალული პირობების საფუძველზე. ამ ტესტის საფუძველზე უზენაეს სასამართლოს არასოდეს გამოუცხადებია სახელმწიფო ქმედება არაკონსტიტუციურად, გარდა უმუშევრობისათვის გათვალისწინებული კომპენსაციის უარყოფის საქმეებისა. საქმეში *ბოუენი როის წინააღმდეგ*<sup>133</sup> უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა *შერბერტის* ტესტის გამოყენებაზე ფედერალური კანონით გათვალისწინებული დახმარების პროგრამის მიმართ, რომელიც სარგებლის მიმღები განმცხადებლებისგან სოციალური უზრუნველყოფის ნომრების წარდგენას მოითხოვდა. აღნიშნულ საქმეში, მომჩივანთა მტკიცებით, მათი ორი წლის ქალიშვილისთვის სოციალური უზრუნველყოფის ნომრის მიღება დაარღვევდა მათივე რელიგიური მრწამსი. ამ საქმეში სასამართლოს განცხადებით, უმუშევრობის შემწეობის პროგრამების განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობდა იმაში, რომ მათში მონაწილეობის კრიტერიუმები ახდენდა განმცხადებლის უმუშევრობის უკან არსებული განსაზღვრული გარემოებების შემონიშნების სტიმულირებას: „კანონით გათვალისწინებული პირობების თანახმად, (*შერბერტის* საქმეში) პირს არ გააჩნდა უმუშევრობის შემწეობის მიღების უფლება, თუკი „საკმარისი საფუძვლის გარეშე“ დატოვა სამუშაო ან უარი განაცხადა ხელმისაწვდომ სამუშაოზე. „საკმარისი საფუძვლის“ სტანდარტმა შექმნა „ინდივიდუალური გამონაკლისების დაშვების მექანიზმი...“ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, ამავე სასამართლოს განცხადებით, ემყარება პრინციპს, რომლის მიხედ-

ვითაც, როდესაც სახელმწიფოს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური გამონაკლისების სისტემა, მას არ შეუძლია სასიცოცხლო მიზეზების გარეშე უარი განაცხადოს ამ მიდგომის გამოყენებაზე.

უზენაესი სასამართლოს დასკვნით, იმის მიუხედავად, იზღუდება თუ არა სახელმწიფოს ან შტატის ოფიციალური სტრუქტურების მიერ გადაწყვეტილებათა მიღება „რელიგიური საჭიროებით“, ამას არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია განსაზღვრული ქმედების საყოველთაო სისხლისსამართლებრივ აკრძალვაზე; შესაბამისად, აღნიშნული ტესტი არ არის გამოყენებადი მსგავსი საჩივრების განხილვისას. სახელმწიფოს შესაძლებლობა, ცხოვრებაში გაატაროს სოციალურად ზიანის მომტანი ქმედებების აკრძალვები და სახელმწიფოს პოლიტიკის სხვა ასპექტები არ შეიძლება „დამოკიდებული იყოს სახელმწიფოს ქმედებით პროტესტის გამომხატველი რელიგიური ინდივიდის სულიერ განვითარებაზე გამოწვეული შედეგების შეფასებაზე“. მსგავსი კანონის შესრულების ვალდებულების გადაქცევა იმაზე დამოკიდებულად, ინდივიდის რელიგიური მრწამსი შეესაბამება თუ არა ამ კანონს, ეწინააღმდეგება როგორც კონსტიტუციურ ტრადიციას, ისე ზოგადად საღ აზრს.

„სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესის“ სტანდარტის გამოყენება მოცემულ სფეროში ნაკლებად ეფექტურია. ამ საქმეში მოპასუხეთა მიერ ამ სტანდარტის დაკმაყოფილების მოთხოვნა სრულიად არათანაზომიერია იმ შემთხვევებთან შედარებით, როდესაც წყდება სახელმწიფოს მხრიდან რასობრივ ნიადაგზე განსხვავებული დამოკიდებულების, ან გამოხატვის შინაარსის რეგულირების ლეგიტიმურობის საკითხი. ამ სფეროებში სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესის სტანდარტი უზრუნველყოფს თანაბარ მოპყრობასა და სადავოდ ქცეული გამოხატვის შეუზღუდავ დაცვას, რაც კონსტიტუციური ნორმებია. მოცემულ საქმეში კი იგი იწვევს კერძო უფლების საფუძველზე ზოგადი დანიშნულების კანონის იგნორირებას; რაც სასამართლოს უმრავლესობის მოსაზრებით, კონსტიტუციური ანომალიაა.

გარდა ამისა, ასევე შეუძლებელია მოპასუხეთა შემოთავაზების ლიმიტირება „სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესის“ სტანდარტის გამოყენებით მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც აკრძალულ ქმედებას ინდივიდის რელიგიაში ცენტრალური ადგილი უკავია. აღმსარებლობის თავისუფლების სფეროში მოსამართლეების მიერ რელიგიური რწმენების „ცენტრალურობის“ განსაზღვრა „სასიცოცხლო ინტერესის“ სტანდარტის გამოყენებამდე არ არის იმაზე მეტად შესაბამისი, ვიდრე მათ მიერ სიტყვის თავისუფლების სფეროში იდეათა „მნიშვნელოვნების“ გარკვევა იქნებოდა ამავე ტესტით სარგებლობამდე.

„სასიცოცხლო ინტერესის“ ტესტის გამოყენების შემთხვევაში, იგი ყველა რელიგიურად მოტივირებულ ქმედებაზე უნდა გავრცელდეს. შედეგად, მრავალი კანონი ვერ დააკმაყოფილებს ტესტს, მის მნიშვნელობასთან სრულ შესაბამისობაში გამოყენების შემთხვევაში. უზენაესი სასამართლოს შეხედულებით ნებისმიერ საზოგადოებას, რომელიც ასეთ სისტემას აღიარებს, ანარქია ემუქრება. საფრთხე იზრდება საზოგადოებაში გავრცელებული რელიგიური მრწამსების მრავალფეროვნებისა და მისი მისწრაფების პირდაპირპროპორციულად, არ შეაფერხოს ან ხელყოს არც ერთი მათგანი. სწორედ აშშ-ს კონსტიტუციური ნაციისა და მის მიერ რელიგიურ განსხვავებათა დაფასებისა და დაცვის გამო აშშ-ს არ შეუძლია, უკანონოდ მიიჩნიოს ქცევის ნებისმიერი წესი, რომელიც „უზენაესი წესრიგის“ ინტერესებს არ შეესაბამება.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, აღნიშნულის მიუხედავად, „უფლებათა ბილით“ სახელმწიფოს ხელყოფისგან დაცული ფასეულობები არ არის პოლიტიკური პროცესებიდან გამოთიშული. ისევე, როგორც საზოგადოებას, რომელიც თვლის, რომ პირველი შესწორება პრესის არასათანადო დაცვას უზრუნველყოფს, შეუძლია მიიღოს ბეჭდვითი სიტყვის გავ-



რცელებისათვის ხელის შემწყობი კანონები, ასევე საზოგადოებას, რომელიც მიიჩნევს, რომ რელიგიური მრწამსი არასათანადოდ არის დაცული, სრული შესაძლებლობა, აქვს თავისი მზრუნველობა აღნიშნული ფასეულობისადმი კანონმდებლობის შემუშავების გზით გამოავლინოს. ამის გათვალისწინებით, სრულებით არ არის გასაკვირი, რომ რამდენიმე შტატმა დაუშვა გამონაკლისები თავის კანონებში პეიოტის საკრალურ გამოყენებასთან დაკავშირებით. სასამართლოს კარგად მოეხსენება, რომ რელიგიური რწმენის ადაპტაციის გადაცემა პოლიტიკური პროცესების ხელში ზიანს მიაყენებს იმ რელიგიურ პრაქტიკას, რომელიც არ არის უმრავლესობის მიერ გაზიარებული. თუმცა მისი შეხედულებით, აუცილებელია უპირატესობის მინიჭება დემოკრატიული სახელმწიფოს გარდაუვალი შედეგისათვის, თითოეული ინდივიდის რწმენის კანონად გადაქცევის ან მოსამართლეების მიერ რელიგიური რწმენის ცენტრალურობის ხარისხის კანონის სოციალურ მნიშვნელობასთან შეპირისპირების სისტემასთან შედარებით.

აქედან გამომდინარე, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რადგან პეიოტის მოხმარება აკრძალული იყო ორეგონის კანონმდებლობით და ეს აკრძალვა კონსტიტუციურ ხასიათს ატარებდა, ორეგონს აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულასთან სრულ შესაბამისობაში შეედლო უარყო მოპასუხეთა მოთხოვნა უმუშევრობისათვის გათვალისწინებული შემწეობის მიღებაზე. შესაბამისად გაუქმდა შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

*მოსამართლე ო'კონორის თანმხვედრი აზრი,*

*რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები ბრენანი, მარშალი და ბლეკმუნი*

მოსამართლე ო'კონორის მოსაზრებით, სასამართლო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება პირველი შესწორების მტკიცედ ჩამოყალიბებულ იურისპრუდენციას და შეუსაბამოა ინდივიდის რელიგიის თავისუფლებაზე ამერიკელი ერის ფუნდამენტურ შეხედულებებთან.

სასამართლოს უმრავლესობის გადაწყვეტილებით, როდესაც საქმე გვაქვს ზოგადი დანიშნულების სისხლისსამართლებრივ აკრძალვასთან აღმსარებლობის თავისუფლების იურისპრუდენცია არ გამოიყენება. ასეთ დასკვნამდე მისვლისათვის, ო'კონორის აზრით, სასამართლომ არა მარტო დეფორმირებულად უნდა განმარტოს პირველი შესწორება, არამედ რელიგიური ქცევის შემზღუდავი ზოგადი დანიშნულების რეგულაციებთან დაკავშირებულ საქმეებში პერმანენტულად გამოყენებული აღმსარებლობის თავისუფლების დოქტრინის უგულებელყოფაც უნდა მოახდინოს.

პირველი შესწორების აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის თანახმად: „კონგრესი არ მიიღებს კანონს, რომელიც ... შეზღუდავს აღმსარებლობის თავისუფლებას“. ო'კონორი, პირველ შესწორებაზე დაყრდნობით, ერთმანეთისგან არ განასხვავებს მრწამსსა და ქმედებას: „გულწრფელი რელიგიური მრწამსით მოტივირებული რელიგიური ქცევა, თვით ამ მრწამსთან ერთად, სულ მცირე, ჰიპოთეტურად უნდა იყოს დაცული აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულით“. კლაუზულის სასამართლო ინტერპრეტაციით კი იგი ნებას რთავს სახელმწიფოს, ყოველგვარი გამართლების გარეშე აკრძალოს ინდივიდის რელიგიით სავალდებულო ქმედება, სანამ აღნიშნული აკრძალვა ზოგადი დანიშნულებისაა. თუმცა პირს, რომელსაც რელიგიურად მოტივირებული ქმედების განხორციელება ეკრძალება, ასევე ეკრძალება თავისი რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობა.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, ზოგადი დანიშნულების კანონები სპეციფიკურად რელიგიური ქცევისადმი მიმართულ კანონებზე მაღლა დგას. თუმცა, ო'კონორის მოსაზრებით, პირველი შესწორება არ განასხვავებს ერთმანეთისგან ზოგადი დანიშნულებისა და რელიგიური ქცევისადმი სპეციფიკურად მიმართულ კანონებს. იმისათვის, რომ პირველი



შესწორება სიცოცხლისუნარიანი იყოს, იგი მხოლოდ იმ უკიდურეს და ჰიპოთეზურ სიტუაციებს არ უნდა მოიცავდეს, როდესაც სახელმწიფოს პირდაპირ სამიზნეს რელიგიური ქცევა წარმოადგენს. ო'კონორის შეხედულებით, შტატების მხოლოდ ძალზე მცირე რაოდენობა თუ იქნება ისეთი მიაჩნით, რომ რელიგიური ქმედების პირდაპირ ამკრძალავი კანონი მიიღოს.

ო'კონორის დასკვნის თანახმად, ყოველივე ზემოაღნიშნული სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ინდივიდს რელიგიურად მოტივირებული ქმედების განხორციელების აბსოლუტური უფლება აქვს. სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ პირველი შესწორების იურისპრუდენციის საფუძველზე ქმედების თავისუფლება, რწმენის თავისუფლებისგან განსხვავებით, შეუძლებელია აბსოლუტური ხასიათის იყოს. ის ყოველთვის პატივს სცემდა როგორც პირველი შესწორების მითითებებს, ისე სახელმწიფო ინტერესებს, მისთვის რელიგიურად მოტივირებული ქმედების შეზღუდვის სასიცოცხლო ინტერესით გამართლების მოთხოვნის წაყენებით. სასიცოცხლო ინტერესი პირველი შესწორების იმ მითითების ცხოვრებაში გატარებას უზრუნველყოფს, რომლის თანახმადაც რელიგიის თავისუფლება დამოუკიდებელი თავისუფლებაა, იგი პრივილეგირებულ მდგომარეობაშია იმყოფება და სასამართლო არ დაუშვებს მის ხელყოფას როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზით, სანამ მსგავსი ქმედება აუცილებელი არ გახდება მაღალი რანგის სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესით.

სასამართლო აღიარებს, რომ *იოდერისა და ქენტველის* საქმეებში აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა ფაქტობრივად ინტერპრეტირებული იქნა, როგორც ზოგადი დანიშნულების ამკრძალავი კანონების გამოყენების აკრძალვა რელიგიურად მოტივირებულ ქმედებასთან მიმართებაში. თუმცა იგი ცდილობს, გაექცეს ამ საქმეებში მიღებულ გადანყვეტილებებს და მათ ჰიბრიდულს უწოდებს. ამავე დროს, ო'კონორის მოსაზრებით, ამკარაა, რომ ორივე მათგანი აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულაზე დაყრდნობით იქნა გამოტანილი და ყოველთვის აშშ-ს უზენაესი სასამართლოს აღმსარებლობის თავისუფლების იურისპრუდენციის ძირითადი მიმართულების ნაწილად იყო გააზრებული. უფრო მეტიც, ყველა იმ საქმეში, რომელიც სასამართლომ თავისი კატეგორიული წესის გასამართლებლად მოიშველია, კონსტიტუციური სარჩელების უარყოფა კონფლიქტური ინტერესების დეტალური შეფასების საფუძველზე მოხდა. მაგალითად, საქმეში *პრინსი მასაჩუსეტის წინააღმდეგ*<sup>134</sup> სასამართლომ მიიჩნია, რომ რელიგიურ ნიადაგზე ბავშვთა შრომის კანონმდებლობისგან გათავისუფლებაზე უარი გამართლებული იყო ბავშვების შრომის რეგულირების სახელმწიფო ინტერესით; ხოლო საქმეში *ჯილეტი შეერთებული შტატების წინააღმდეგ*<sup>135</sup> სასამართლომ საკმარისად მიიჩნია სამხედრო საქმეებში სახელმწიფო ინტერესი სამხედრო სამსახურში განვევის კანონების შესრულებისგან გათავისუფლების მოთხოვნის უარყოფისათვის.

დაბოლოს, ო'კონორის დასკვნის მიხედვით, სასამართლო თავის გადანყვეტილებაში მითითებს, რომ არაკეთილგანწყობა უმცირესობათა რელიგიების მიმართ აშშ-ში არსებული მმართველობითი სისტემის „გარდაუვალ შედეგს“ წარმოადგენს და ასეთი რელიგიების ადაპტაცია პოლიტიკურ პროცესებს უნდა მივანდოთ. ო'კონორის შეხედულებით კი, პირველი შესწორება სწორედ იმ ინდივიდების უფლებათა დასაცავად იქნა შემუშავებული, რომელთა რელიგიური ქცევა არ არის გაზიარებული უმრავლესობის მიერ და შეიძლება მათ მტრულ დამოკიდებულებასაც იწვევდეს. აშშ-ს აღმსარებლობის თავისუფლების დოქტრინა ნათლად ამტკიცებს უმრავლესობის წესის სასტიკ ზეგავლენას ისეთ არაპოპულარულ და ახლად აღმოცენებულ რელიგიურ ჯგუფებზე, როგორებიცაა იელოვას მონმეები და ამიშები. „უფლებათა ბილის მთავარ მიზანს წარმოადგენდა განსაზღვრული ობიექტების ამოღება პოლიტიკური დაცვის სფეროდან, მათი განთავსება უმრავლესობისა და თანამდებობის პირთა ხელმისაწვდომობის ფარგლებს მიღმა და სასამართლოს მიერ გამოსაყენებელ სამართლებრივ

პრინციპებად მათი დაწესება. დაუშვებელია, ვინმეს უფლება სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე, საკუთრებაზე, სიტყვისა და პრესის თავისუფლებაზე, შეკრებისა და ღვთისმსახურების თავისუფლებაზე და სხვა ფუნდამენტურ უფლებებზე დამოკიდებული იყოს არჩევნების შედეგებზე“.

მოსამართლე ო'კონორის თანახმად, სასამართლო არა მარტო არასწორად განმარტავს პირველ შესწორებას; ეს სრულებით არ არის აღნიშნული საქმისათვის აუცილებელი. ო'კონორის აზრით, სასამართლო იმავე შედეგს მიიღებდა აღმსარებლობის თავისუფლების დამკვიდრებული იურისპრუდენციის გამოყენებით.

უდავოა, რომ ორეგონის კრიმინალური აკრძალვა პეიოტის მოხმარებაზე მძიმე ტვირთად აწვება მოპასუხეთა შესაძლებლობას რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობაზე, ვინაიდან ეს ნარკოტიკული ნივთიერება ინდიელი ამერიკელების ეკლესიის საკრამენტს წარმოადგენს. ასევე უდავოა ის, რომ ორეგონის შტატს იმ კანონების ცხოვრებაში გატარების უდიდესი ინტერესი აქვს, რომლებიც შტატის მოქალაქეების მიერ „კონტროლირებადი ნივთიერებების“ ფლობასა და გამოყენებას არეგულირებს. ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება „მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ცუდი ზეგავლენის მომხდენ, დღევანდელი საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პრობლემას წარმოადგენს“.

ფედერალური კანონმდებლობის თანახმად, პეიოტი სპეციალურად რეგულირებულია, როგორც პირველი თანრიგის კონტროლირებადი ნივთიერება. ეს კი გულისხმობს, რომ, კონგრესის შეხედულებით, არსებობს პეიოტის ბოროტად გამოყენების მაღალი პოტენციური შესაძლებლობა და მას არა აქვს სამედიცინო დანიშნულება. აქედან გამომდინარე, მოსამართლე ო'კონორის მოსაზრებით, გადამწყვეტია იმის გარკვევა, მოპასუხეთათვის გამონაკლისის დაშვება შტატის ზოგადი სისხლისსამართლებრივი აკრძალვიდან წარმოადგენს თუ არა „უკანონო ჩარევას შტატის სასიცოცხლო ინტერესის განხორციელებაში“.

ორეგონის სისხლისსამართლებრივი აკრძალვის ერთმნიშვნელოვანი გამოყენება აუცილებელია მისი ძირითადი ინტერესის განხორციელებისათვის, პირველი თანრიგის კონტროლირებადი ნივთიერების მოხმარებით გამომწვეული ფიზიკური ზიანის თავიდან აცილების მიზნით. ვინაიდან კონტროლირებადი ნივთიერებით ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება ხდება მისი მოხმარებლის მოტივაციის მიუხედავად, ასეთი ნივთიერებების მოხმარება, მათ შორის რელიგიური მიზნებისათვის, არღვევს კანონის ძირითად მიზანს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ო'კონორის აზრით, მოცემულ საქმეში სპეციალური გამონაკლისის დაშვება სერიოზულად დააზიანებდა მოქალაქეების მიერ ნარკოტიკული საშუალებების ფლობისა და მოხმარების აკრძალვაზე ორეგონის შტატის სასიცოცხლო ინტერესს. შესაბამისად, მსგავსი გარემოებების არსებობისას პირველი შესწორება არ მოითხოვს შტატისგან მოპასუხეთა რელიგიურად მოტივირებული ქმედების ადაპტაციას.

*მოსამართლე ბლეკმუნის განსხვავებული აზრი,  
რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები ბრენანი და მარშალი*

ბლეკმუნის მოსაზრებით, სასამართლომ წლების განმავლობაში შეიმუშავა შესაბამისი და მკაცრი სტანდარტი რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობაზე ტვირთის დამაკისრებელი შტატის კანონის კონსტიტუციურობის საკითხის გადასაწყვეტად. ასეთი კანონი შეიძლება კონსტიტუციურად ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ზოგადი ხასიათისაა და შტატის უარი რელიგიური გამონაკლისის დაშვებაზე გამართლებულია სასიცოცხლო ინტერესით, რომლის უზრუნველყოფაც შეუძლებელია ნაკლებად შემზღვეველი საშუალებებით.

ბლეკმუნმა გაიზიარა მოსამართლე ო'კონორის შეხედულებები აღმსარებლობის თავისუფლების დოქტრინის გამოყენების შესახებ, თუმცა, მისი მოსაზრებით, არასწორია მოპასუხეთა

მოთხოვნების შეპირისპირება „ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის“ შტატის ფართო ინტერესთან. მათი მოთხოვნები პეიოტის რელიგიური, რიტუალური გამოყენებისათვის გამოხატვის არდაშვებაზე შტატის ვინრო ინტერესის შესაბამისად უნდა შეფასდეს.

ბლეკმუნის შეხედულებით, იმისათვის, რომ შტატის ინტერესი თავისი აკრძალვის ცხოვრებაში გატარებაზე სასიცოცხლო ხასიათს ატარებდეს რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობაზე მოთხოვნის გადასაწონად, არ შეიძლება, იგი მხოლოდ აბსტრაქტული ან სიმბოლური იყოს. დაუშვებელია, შტატი სარწმუნოდ ამტკიცებდეს, რომ სისხლისსამართლებრივი აკრძალვის გამოყენება გადაამწყვეტია ამა თუ იმ სასიცოცხლო ინტერესის განხორციელებისათვის, თუკი მას ფაქტობრივად არ უცდია ამ აკრძალვის ცხოვრებაში გატარება. ამ საქმეში შტატმა ვერ მოახდინა ვერც ერთი კონკრეტული ინტერესის დემონსტრირება ნარკოტიკების თაობაზე არსებული კანონმდებლობის გამოყენებაში პეიოტის რელიგიურად მომხმარებელთა წინააღმდეგ. შტატს არც კი უფიქრია მოპასუხეთა პასუხისგებაში მიცემა და არც პეიოტის რელიგიურ მომხმარებელთა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი აკრძალვის ცხოვრებაში გატარების მიზნით განეული მნიშვნელოვანი სამუშაოს თაობაზე გაუკეთებია განცხადება. შესაბამისად, შტატის მიერ მტკიცებადი ინტერესი მხოლოდ ცხოვრებაში არგატარებული აკრძალვის სიმბოლურ შენარჩუნებას უდრის.

გულმოდგინედ შეზღუდული რიტუალური კონტექსტი, რომელშიც მოპასუხეები მოიხმარდნენ პეიოტს, ძალზე შორს დგას კანონით აკრძალული ნარკოტიკების გართობის მიზნით უპასუხისმგებლო და ზღვარდაუდებელი მოხმარებისგან. ამერიკელ ინდიელთა ეკლესიის შიდა შეზღუდვები და ზედამხედველობა თავისი წევრების მიერ პეიოტის მოხმარებაზე მნიშვნელოვნად აქარწყლებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შტატის შემოფოთებას.

აღნიშნულის გარდა, ბლეკმუნის აზრით, ამ საქმეში რელიგიური გამოხატვის დაშვების მომთხოვნთა ინტერესები და ღირებულებები მნიშვნელოვანწილად ემთხვევა იმ ინტერესებსა და ფასეულობებს, რომელთა ხელშეწყობასაც შტატი ისახავს მიზნად ნარკოტიკების თაობაზე კანონების გზით. ამერიკელ ინდიელთა ეკლესიის დოქტრინა არა მარტო კრძალავს პეიოტის არარელიგიურ გამოყენებას; იგი ასევე ზოგადად პროპაგანდას უწევს ოჯახურ პასუხისმგებლობასა და ალკოჰოლისგან თავის შეკავებას. არსებობს მრავალი მტკიცებულება, რომ ეკლესიის მიერ უზრუნველყოფილი სულიერი და სოციალური მხარდაჭერა საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა ამერიკელ ინდიელებში ალკოჰოლიზმის უარყოფითი შედეგების დასამარცხებლად. ნარკოტიკების უკანონო და უპასუხისმგებლო მოხმარების ნაცვლად ამერიკელ ინდიელთა ეკლესიის წევრების სულიერი კოდექსი სწორედ იმ ღირებულებების ილუსტრირებას ახდენს, რომელთა მხარდასაჭერადაც არის გამიზნული ორეგონის კანონები ნარკოტიკების შესახებ.

მოპასუხეთა მტკიცებით, პეიოტის მცენარე მათ ღვთაებას განასახიერებს და მისი საკვებად მიღება ღვთისმსახურებისა და საიდუმლოების შესრულების აქტს წარმოადგენს. პეიოტის გარეშე ისინი ვერ შეასრულებენ თავიანთი რელიგიის ძირითად რიტუალს. თუკი ორეგონი კონსტიტუციურად უფლებამოსილია, პასუხისგებაში მისცეს ამერიკელ ინდიელთა ეკლესიის წევრები ღვთისმსახურების აქტისათვის, ამიშების მსგავსად ისინიც „იძულებულნი იქნებიან, გადასახლდნენ სხვა, უფრო შემწყნარებლურ რეგიონში“.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლე ბლეკმუნი მიიჩნევს, რომ ორეგონის ინტერესი პეიოტის რელიგიური მოხმარების წინააღმდეგ ნარკოტიკების შესახებ კანონების გამოყენებაზე არ არის იმდენად სასიცოცხლო, რომ რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობაზე მოპასუხეთა უფლება გადაწონოს. ვინაიდან შტატს არ შეუძლია კონსტიტუციასთან შესაბა-

მისობაში განახორციელოს სისხლისსამართლებრივი აკრძალვა მოპასუხეთა წინააღმდეგ, ნარკოტიკების თაობაზე შტატის კანონმდებლობის საფუძველად არსებული ინტერესით შეუძლებელია გამართლებული იქნეს უარი უმუშევრობის შემწეობის მიღებაზე.

**შტატის საკანონმდებლო ორგანოს გამომხაურება სმიტის საქმეზე: ორეგონის სისხლისსამართლებრივი კანონში გამონაკლისის დაშვება პეიოტის რიტუალურ გამოყენებაზე.** ორეგონის შტატის მთავარი პროკურორი დევიდ ფრონმეიერი სასამართლო პროცესზე ამტკიცებდა, რომ „სახიფათო ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებასა და ხელმისაწვდომობაზე კონტროლთან დაკავშირებული სახელმწიფოს ინტერესი სასიცოცხლო ხასიათისაა“. თუმცა უზენაეს სასამართლოში ამ თეორიაზე დაყრდნობით წარმატების მიღწევის შემდეგ ორეგონის საკანონმდებლო ორგანოს კომიტეტის წინაშე პროკურორი ამავე თეორიის წინააღმდეგ გამოვიდა. იგი არწმუნებდა კანონმდებლებს, დაეშვათ გამონაკლისი ამერიკელ ინდიელთა მიერ პეიოტის რიტუალურ გამოყენებაზე. შტატის საკანონმდებლო ორგანომ გაითვალისწინა პროკურორის რჩევა და დაუშვა გამონაკლისი.

**კონგრესის გამომხაურება სმიტის საქმეზე.** თითქმის ყველა ძირითადი რელიგიური საზოგადოება გაერთიანდა სამოქალაქო თავისუფლებათა სახელგანთქმულ ორგანიზაციებთან რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის კოალიციის ფორმირებისათვის, რათა დაერწმუნებინათ კონგრესი, მიეღო რელიგიის თავისუფლების უფრო საიმედოდ დაცვის უზრუნველყოფი კანონმდებლობა. კონგრესმა მრავალი სხდომა მიუძღვნა ამ საკითხის განხილვას. დოკუმენტირებულ იქნა ზოგადი დანიშნულების კანონების გამოყენების შედეგად მომხდარი რელიგიის თავისუფლების პოსტსმიტისეული დარღვევები. შედეგად, კონგრესმა ფართო ორპარტიული მხარდაჭერით მიიღო რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტი,<sup>136</sup> რომელსაც პრეზიდენტმა კლინტონმა 1993 წლის 16 ნოემბერს მოაწერა ხელი. აქტის საფუძველზე აიკრძალა არსებითი ტვირთის დაკისრება პიროვნების რელიგიურ გამოხატვაზე, თუნდაც ზოგადი დანიშნულების ქცევის წესის საფუძველზე. გამონაკლისად იქნა აღიარებული შემთხვევა, როდესაც რელიგიაზე ტვირთის დაკისრება აუცილებელია 1) სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესის განხორციელებისათვის და 2) ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად შემზღვეველი საშუალებაა ამ ინტერესის უზრუნველყოფისათვის.

ამ აქტის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ კონგრესმა მიიღო ამერიკელი ინდიელების რელიგიის თავისუფლების აქტი,<sup>137</sup> რომელიც პეიოტის გამოყენებას შეეხებოდა. აქტის ერთ-ერთი მუხლის თანახმად: „პეიოტის მოხმარება, ფლობა და ტრანსპორტირება ნებისმიერი ინდიელის მიერ კეთილსინდისიერად ტრადიციული რიტუალური მიზნებისათვის ინდიელების ტრადიციულ რელიგიურ პრაქტიკასთან კავშირში კანონიერია და არ აკრძალავს ამერიკის შეერთებული შტატების ან ნებისმიერი შტატის მიერ. დაუშვებელია ნებისმიერი ინდიელის დასჯა და დისკრიმინაცია ასეთი მოხმარების, ფლობისა და ტრანსპორტირების გამო, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების საფუძველზე სხვაგვარად ხელმისაწვდომი სარგებლის მიღებაზე უარის ჩათვლით“. თუმცა აქტით არ არის აკრძალული იმ პიროვნებათა რეგისტრაცია, რომლებიც პეიოტის კულტივირებასა და გავრცელებას ახდენენ.

### **წმინდა მინისა და წმინდა ადგილების დაცვა**

ბიბლიის მიხედვით, ქანაანი „წმინდა მინად“ ითვლება, რადგან ის იმ ალთქმის ნაწილია, რომელიც აბრაამსა და მის შთამომავლობას ხვდა წილად: „მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას შენი მდგმურობის ქვეყანას, ქანაანის მთელ ქვეყანას, სამარადისო საკუთრებად და თქვენი ღმერთი ვიქნები“, დაბადება 17:8.<sup>138</sup> ამ რელიგიური შეხედულების გამო ისრაელში, იორდანისა და პალესტინაში დღესაც უთანხმოებაა აბრაამის ერთმანეთთან მოქიშპე შთა-

მომავლებს შორის, რომლებიც საუკუნეების მანძილზე უპირისპირდებოდა ერთმანეთს როგორც რელიგიურ, ისე პოლიტიკურ ნიადაგზე.

მე-17 საუკუნის პურიტანები ამტკიცებდნენ, რომ ბიბლიის ეს ადგილები აბრაამის შთამომავლებისთვის ალთქმული მიწის შესახებ ეხებოდა ამერიკას, როგორც ახალ ალთქმულ ქვეყანას, ახალ ქანაანს, ღმერთისგან რჩეულს. ტეხასის ანექსიის შემდეგ (1845 წლის 1 მარტის აქტით) პურიტანების ეს შეხედულება კიდევ უფრო განმტკიცდა. ევროპელ კოლონისტებს ამის შემდეგ ასწავლიდნენ, რომ ამ კონტინენტზე ბატონობა მათი ხვედრია. სულ რაღაც ხუთ წელიწადში ოცნება რეალობად იქცა. კალიფორნია კავშირში 1850 წელს გაერთიანდა. თეთრკანიანების კონტინენტზე ბატონობის პრეტენზიამ, თუ მოსამართლე ო'კონორს დავესესხებით, „დამანგრეველი ზეგავლენა“ მოახდინა ამერიკელი ინდიელების კულტურასა და არსებობაზე.

არსებობდა სამი წინააღმდეგობა თეთრკანიანების მოთხოვნასა და აბორიგენების წარმოდგენებს შორის ამ მიწასთან დაკავშირებით.

1) თეთრკანიანმა კოლონისტებმა ჩათვალეს, რომ მათი ინგლისური სამეფო სიგელები და „შესყიდვები“ სხვა ევროპელი მმართველებისგან (მაგალითად, მდ. მისისიპის მიწები, რომელიც ნაპოლეონმა პრეზიდენტ ტომას ჯეფერსონს დაუთმო) საკმარისი იყო ახალი ქვეყნის დასაპატრონებლად.

2) ძალიან დიდი განსხვავება იყო საკუთრების უფლებასთან ინგლისელთა და ინდიელთა დამოკიდებულებას შორის.

3) თეთრკანიანმა ახალმოსახლეებმა თითქმის არაფერი იცოდნენ და არც აინტერესებდათ აბორიგენების რელიგიური შეხედულებები წმინდა მიწასთან დაკავშირებით. ეს უთანხმოება ვერ მოგვარდა, მიუხედავად უამრავი ხელშეკრულებისა, რომლებიც ინდიელების ცხოვრების წესის პატივისცემას უზრუნველყოფდა. კულტურული განხეთქილება საბოლოოდ ძალადობაში გადაიზარდა. მკვიდრი ამერიკელების ამ მიწიდან გაძევებით თეთრკანიანები განუხრელად მიილტვოდნენ კონტინენტზე გაბატონებისკენ. კულტურულმა კონფლიქტმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ეს მოვლენა მოგვიანებით გენოციდად შეფასდა.

ქვემოთ აღწერილ საქმეში მოსამართლე ბრენანი თავის განსხვავებულ აზრში აღნიშნავს, რომ ამერიკელი ინდიელების რწმენა პირდაპირაა დაკავშირებული მიწის გამოყენებასთან. ინდიელების რელიგიის თავისებური ბუნება განპირობებულია ინდიელი ამერიკელების ცნობიერებით, რომელიც მიწას წმინდა, ცოცხალ არსებად აღიქვამს. რიტუალები ერთსა და იმავე ადგილას სრულდება არა ტრადიციის გავლენით, არამედ იმიტომ, რომ მიწა, როგორც ცოცხალი არსება, უნიკალურია, და ყველა ადგილი განსაკუთრებული სულიერი სიმდიდრისა და მნიშვნელობის მატარებელია.

ინდიელებისთვის ყველაზე წმინდა ადგილად ითვლება ე. წ. „ამაღლებული ადგილები“, სადაც ადამიანებამდე არსებული სულები ადამიანებთან ერთად დასახლდნენ. იმის გამო, რომ ეს სულები რელიგიური ძალის და „მკურნალობის“ წყაროდ ითვლებიან, მრავალი ტომის რიტუალი ამ ადგილების ხშირ მონახულებას ითვალისწინებს. ყველაზე მნიშვნელოვან სარიტუალო ადგილებად ითვლება ჩიმნის მთა, მკურნალის მთა და მერვე მწვერვალი.

რელიგიური ცერემონიები განსაკუთრებული მიზნების მიღწევის ერთობლივი მცდელობაა და მისი შესრულების წესები თაობიდან თაობას გადაეცემა. რიტუალების ახსნის მცდელობა უკვე მის დარღვევად ითვლება, რადგან რიტუალის მთელი ძალა მდგომარეობას არა სამყაროს ახსნის ან თითოეული მორწმუნის განათლების შესაძლებლობაში, არამედ მის ქმედით უნარში, დაიცვას და ხელი შეუწყოს ტომობრივ ყოფას.

რადიკალურად განსხვავებული მიდგომა აქვს ამ საკითხისადმი მოსამართლე ო'კონორს. ის ხაზს უსვამს ხელისუფლების უფლებას, „ისარგებლოს საკუთარი მიწით“. შეერთებული



შტატების სატყეო სამსახურმა 49 მილის სიგრძის გზა შეაკეთა ჩრდილოეთ კალიფორნიის ექვსი მდინარის ეროვნულ ტყეში. სამსახურმა წამოაყენა წინადადება, ორი პატარა ქალაქი გასკეტი და ორლენსი 75 მილის მაგისტრალით დაეკავშირებინათ. ამ საქმეში განხილული კონფლიქტი იმ ექვსმილიანი სეგმენტის გამო წარმოიშვა, რომელიც ჩიმნის მთის რეგიონში გაივლიდა. მოსამართლე ო'კონორის დახასიათებით, ამ მიწას „ისტორიულად რელიგიური დანიშნულებით იყენებდნენ იუროკის, კაროკის და ტოლოვას ტომის ინდიელები“. ო'კონორმა აგრეთვე აღნიშნა, რომ შემოთავაზებული პროექტი „გამანადგურებელ გავლენას მოახდენს ინდიელთა ტრადიციულ რელიგიურ მოღვაწეობაზე“. ის ვარაუდობს, რომ „რამდენიმე რელიგიურ წეს-ჩვეულებას განსაკუთრებით დიდი საფრთხე დაემუქრება“.

*ლინგი ჩრდილო-დასავლელ ინდიელთა სასაფლაოს  
დაცვის ასოციაციის წინააღმდეგ<sup>139</sup>*

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ამ საქმეში სასამართლომ იმსჯელა იმის თაობაზე, უკრძალავს თუ არა პირველი შესწორებით გათვალისწინებული აღმსარებლობის თავისუფლების კლავსულა მთავრობას, გაცეს ტყის გაჩეხვის ან გზების გაყვანის ნებართვა ეროვნული ტყის იმ ნაწილში, რომელსაც ჩრდილო-დასავლეთ კალიფორნიის ინდიელთა სამი ტომისთვის ტრადიციულად რელიგიური დანიშნულება ჰქონდა. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მთავრობას ეს არ ეკრძალება.

1977 წელს სატყეო სამსახურმა გამოაქვეყნა მოხსენება გარემომცველ გარემოზე ზემოქმედების შესახებ, რომელშიც განხილული იყო ჩიმნის მთის ზონაში გამავალი მოუკირწყლავი გზის რეკონსტრუქციის გეგმა. მოხსენებასთან დაკავშირებით გამოთქმული კომენტარების საპასუხოდ სატყეო სამსახურმა ჩაატარა ამ რეგიონში ამერიკელი ინდიელების კულტურული და რელიგიური მსახურების ადგილების კვლევა. კვლევა 1979 წელს დასრულდა და დაადგინა, რომ მთელი რეგიონი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ინდიელთა რელიგიური კონცეპტუალიზაციისა და საქმიანობისთვის. ამ ადგილებს სარიტუალო დანიშნულება აქვს და ცერემონიების ჩატარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მყუდრო და წყნარ გარემოზე. კვლევის დასკვნის მიხედვით, ამ მიდამოებში გზის გაყვანა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა წმინდა ადგილებს, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთ კალიფორნიის ინდიელების რელიგიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, გზის მშენებლობის გაგრძელება არასასურველად იქნა მიჩნეული.

1982 წელს სატყეო სამსახურმა გადაწყვიტა, არ გაეთვალისწინებინა ეს რეკომენდაცია და დაიწყო დასკვნითი ანგარიშის მომზადება გზის გაყვანასთან დაკავშირებით. რეგიონალურმა სატყეო სამსახურმა ისეთი მარშრუტი შეარჩია, რომელიც გვერდს უვლიდა არქეოლოგიურ ადგილებს და იმ ტერიტორიას, სადაც ადგილობრივი ინდიელები სპირიტუალურ ღონისძიებებს ატარებდნენ. არც ეს ალტერნატიული ვარიანტი იქნა მიღებული, რადგან ამ მარშრუტის გასაყვანად კერძო მიწების შექენა იყო საჭირო. გარდა ამისა, ის გაივლიდა არამდგრადი ნიადაგის მონაკვეთზე და ყველა შემთხვევაში გადაკვეთდა ინდიელების სარიტუალო ადგილებს. სატყეო სამსახურმა იმავდროულად მიიღო სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ნებადართული იყო ტყის გარკვეული რაოდენობით გაჩეხვა. გეგმა აგრეთვე უზრუნველყოფდა ერთნახევარი მილის მანძილზე დამცავი ზონის არსებობას ანგარიშში ჩამოთვლილი ყველა რელიგიური ადგილის გარშემო.

ადმინისტრაციული ზომების ამონაწერის შემდეგ მოპასუხეებმა – ინდიელთა ორგანიზაციებმა, ცალკეულმა ინდიელებმა, გარემოს დამცავმა ორგანიზაციებმა, მათმა წევრებმა და კალიფორნიის შტატმა – გზის გაყვანისა და ტყის გაჩეხვის ორივე გადაწყვეტილება შეერთე-



ბული შტატების ჩრდილოეთ კალიფორნიის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს. მოპასუხეები ამტკიცებდნენ, რომ სატყეო სამსახურის გადაწყვეტილებები არღვევდა აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულას, რამდენიმე ფედერალურ კანონს და სამთავრობო ვალდებულებას ჰუპას რეზერვაციაში მცხოვრებ ინდიელთა მიმართ.

სასამართლომ საქმის განხილვის შემდეგ დაადგინა უვადო სასამართლო აკრძალვა ჩიშნის მთის რეგიონში გზის გაყვანასა და ტყის გაჩეხვის გეგმის ძალაში შესვლაზე. სასამართლოს დასკვნით, ორივე პროექტი განხორციელების შემთხვევაში დაარღვევდა სამთავრობო ვალდებულებას ჰუპას ინდიელებისთვის წყლით სარგებლობისა და თევზაობის უფლებების შენარჩუნების თაობაზე.

სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის პერიოდში კონგრესმა მიიღო კალიფორნიის უდაბნოს 1984 წლის აქტი,<sup>140</sup> რომლის მიხედვითაც სატყეო სამსახურის მართვის გეგმით განსაზღვრული ადგილები უკაცრიელ ზონად ცხადდებოდა, რაც ამ რეგიონში კომერციულ საქმიანობას, მათ შორის, ტყის გაჩეხვას კრძალავდა. შტატუტის ფარგლებს გარეთ რჩებოდა მიწის ვიწრო მონაკვეთი, სადაც შესაძლებელი იყო პროექტით გათვალისწინებული გასკეტ-ორლეანის გზის გაყვანა.

სასამართლო შემადგენლობამ ნაწილობრივ დაამტკიცა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. მან ერთხმად უარყო საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მთავრობის მიერ შემოთავაზებული ღონისძიებები არღვევდა ჰუპას რეზერვაციაში მცხოვრებ ინდიელთა წინაშე აღებულ ვალდებულებებს.

მან აგრეთვე ნაწილობრივ გააუქმა საოლქო სასამართლოს მიერ დაწესებული აკრძალვა იმის საფუძველზე, რომ ის უკვე წარმოდგენილი იყო კალიფორნიის უდაბნოს აქტით, რომელიც ტყის გაჩეხვას კრძალავს საოლქო სასამართლოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება სხვა ნაწილებში, რომლებიც კანონის მოთხოვნებს ემყარებოდა ერთხმად დარჩა ძალაში.

ასევე ძალაში დარჩა საოლქო სასამართლოს კონსტიტუციური გადაწყვეტილება, თუმცა ეს ვერდიქტი ერთხმად არ ყოფილა მიღებული. საკუთრივ სატყეო სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაზე დაყრდნობით, უმრავლესობამ მიიჩნია, რომ საგზაო მაგისტრალის ჩიშნის მთის რეგიონში გაყვანა მნიშვნელოვან, თუმცა, ძირითადად, არაპირდაპირ უარყოფით ზეგავლენას მოახდენდა ინდიელების რელიგიურ ცხოვრებაზე. სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობამ ასევე დაასკვნა, რომ მთავრობამ ვერ შეძლო გზის გაყვანაში სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესის დემონსტრირება.

უზენაესი სასამართლოს მითითებით, მას ეჭვი არ ეპარება ინდიელთა რწმენის გულწრფელობაში და იმაში, რომ მთავრობის მოქმედებები საკმაოდ არასასურველ ზემოქმედებას მოახდენს მათ რელიგიურ ცხოვრებაზე. ინდიელი ამერიკელების აზრით, მათი რელიგიური საქმიანობისთვის საკამოდ ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს იმისთვის, რომ შეიზღუდოს მათი აღმსარებლობის თავისუფლება, მით უმეტეს თუ ხელისუფლება ვერ ამტკიცებს, რომ ამ გზის გაყვანა და რეგიონში ტყის გაჩეხვა აუცილებელია. უზენაესი სასამართლო ამ მოსაზრებას სადავოდ მიიჩნევს და მოჰყავს საქმე ბოუენი როის წინააღმდეგ,<sup>141</sup> სადაც გასაჩივრებული იყო ფედერალური კანონი, რომელიც სხვადასხვა სოციალური პროგრამების განსახორციელებლად შტატებს სოციალური უზრუნველყოფის ნომრების მინიჭებას ავალდებულებდა.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ საქმეებს შორის არ არსებობს აზრობრივი განსხვავება. ორივე შემთხვევაში, ხელისუფლების სადავო მოქმედება გამოიწვევს უხეშ ჩარევას კერძო პირების შესაძლებლობაში, საკუთარი შეხედულებისამებრ აღასრულონ რელიგიური რიტუალები. მაგრამ ხელისუფლების ამგვარი საქციელი არავითარ შემთხვევაში არ აიძულებს ამ

ადამიანებს, შეიცვალონ რელიგიური შეხედულებები; ასევე არ შეიღახება მათი რელიგიური საქმიანობის უფლება, იმ უფლებებისა და უპირატესობების ჩამორთმევით, რომლითაც ყველა მოქალაქე სარგებლობს.

მოთხოვნა, რომ როის საქმისაგან განსხვავებით, ეს საქმე შეფასდეს, როგორც რელიგიის თავისუფლების „უფრო მნიშვნელოვანი“ შეზღუდვა, იმის საფუძველზე, რომ ხელისუფლების ქმედება ამ შემთხვევაში „მექანიკური“ იყო, უსაფუძვლოა, რადგან სასამართლოს არ ძალუძს, დაადგინოს იმ რწმენის ჭეშმარიტება, რომელიც ამ ორ საქმეში რელიგიური პროტესტის საფუძველს წარმოადგენს. ასევე შეუძლებელია ხელისუფლების ქმედების არასასურველი ზეგავლენის მასშტაბების განსაზღვრა. მაშასადამე, შეუძლებელია პიროვნების რელიგიურ საქმიანობაში ჩარევის ერთი შემთხვევა დაექვემდებაროს მეორისგან განსხვავებულ კონსტიტუციურ შემონიშნებას.

მოპასუხეები იმონებენ იოდერის, შერბერტის, ტომასის და ჰობსის<sup>142</sup> საქმეებს, სადაც უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნები სამთავრობო პროგრამების წინააღმდეგ, რომლებიც ზღუდავდა ადამიანების შესაძლებლობას, ეწარმოებინათ რელიგიური საქმიანობა.

უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეები არასწორად ახდენენ ამ საქმეების ინტერპრეტირებას. სასამართლო ადასტურებს საკუთარ გადაწყვეტილებებს იმის თაობაზე, რომ რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის არაპირდაპირი შეზღუდვა და სანქცირება, ისევე როგორც პირდაპირი აკრძალვები, საჭიროებს პირველი შესწორების მიხედვით გადასინჯვას.

სადაც არ უნდა გადიოდეს ზღვარი რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის არაკონსტიტუციურ აკრძალვებსა და მთავრობის ლეგიტიმურ საქმიანობას შორის, ის არ შეიძლება დამოკიდებული იყოს იმის შეფასებაზე, თუ როგორ გავლენას ახდენს მოპასუხის სულიერ განვითარებაზე სამთავრობო მოქმედებანი. ხელისუფლება არ უარყოფს, რომ ამ საქმეში წარმოდგენილ ტყის გაჩეხვასა და გზის მშენებლობას შეიძლებოდა დამანგრეველი გავლენა მოეხდინა ინდიელთა ტრადიციულ რელიგიურ ცხოვრებაზე. ეს რელიგიური საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული ჩიშნის მთის უნიკალურ რეგიონთან, რომელსაც „მაღალი ადგილის“ სახელით იცნობენ. აქ შესრულებული რელიგიური რიტუალები, ინდიელების აზრით, ხელს უწყობს მათ ინდივიდუალურ სულიერ განვითარებას და ძალზე მნიშვნელოვანია ტომის კეთილდღეობისთვის. ინდიელები შეუძლებლად მიიჩნევენ რიტუალების სხვა ადგილას ჩატარებას. ამის მიუხედავად, ისინი არ იყვნენ ერთსულოვნები, როდესაც გზის გაყვანას აპროტესტებდნენ. მაშასადამე, საეჭვოა იმის მტკიცება, რომ ეს მშენებლობა მათ რელიგიას შეინიშნავს. თუმცა, სულ ცოტა, რამდენიმე რელიგიურ ცერემონიას მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს.

საზოგადოების დიდი სურვილის მიუხედავად, ხელისუფლება მაინც ვერ შეძლებდა ყველა მოქალაქის რელიგიური მოთხოვნებისა და სურვილის დაკმაყოფილებას. სასამართლო ფიქრობს, რომ სამთავრობო ღონისძიებები ყოველთვის უმნიშვნელოვანესი იქნება ზოგიერთი მოქალაქის სულიერი კეთილდღეობისთვის. სხვები იმავე ღონისძიებებს შეურაცხყოფელად და მათი რელიგიური დოგმატებისადმი შეუთავსებლად მიიჩნევენ. პირველი შესწორება ყველა მოქალაქეზე თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს და ის არც ერთ მათგანს არ უნდა უკრძალავდეს ისეთი საზოგადოებრივი პროგრამის განხორციელებას, რომელიც ხელს არ უშლის რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობას. კონსტიტუციას არ შეუძლია შესაბამისობაში მოიყვანოს მთავრობის მიმართ წაყენებული საპირისპირო მოთხოვნები, რომელთაგან ბევრი რელიგიური რწმენით არის განპირობებული.

ინდიელი ამერიკელები ცდილობენ ხაზგასმით აღნიშნონ ჩიშნის მთის რეგიონზე საკუთარი

რელიგიური დამოკიდებულების საზღვრები. მართალია, ისინი მხარს უჭერენ ტყის გაჩეხვისა და გზის გაყვანის შეზღუდვას, მაგრამ იმავდროულად არ ეწინააღმდეგებიან ამ ადგილის ტურისტული ან სარეკრეაციო მიზნით გამოყენებას. თუმცა მყუდრო გარემოს მათი საქმიანობისთვის საჭიროდ მიიჩნევენ.

კონსტიტუციის თანახმად, მთავრობას უფლება არა აქვს, მოახდინოს იმ რელიგიების დისკრიმინაცია, რომელთათვისაც ზოგიერთ ადგილს წმინდა მნიშვნელობა აქვს. ამასთან, ისეთი კანონები, რომლებიც ინდიელებს ამ ადგილების მონახულებას უკრძალავს, სხვა კონსტიტუციურ პრობლემებს წარმოშობს. ამ ადგილებით სარგებლობის როგორი უფლებებიც არ უნდა ჰქონდეთ ინდიელებს, ისინი არ გამოირიცხავს მთავრობის უფლებას, გამოიყენოს თავისი ტერიტორია.

სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ მთავრობის უფლება ისარგებლოს თავისი ტერიტორიით ხელს არ უნდა უშლიდეს ხელისუფლებას რელიგიური პრაქტიკის ადაპტაციაში. თუ არ ჩავთვლით პროექტის შეწყვეტას, რთული წარმოსადგენია, როგორ შეიძლებოდა უფრო მეტი მზრუნველობა გამოეჩინა ხელისუფლებას ამ შემთხვევაში. ასეთი მზრუნველობა შეესაბამება „შეერთებული შტატების პოლიტიკას, დაიცვას ამერიკელი ინდიელების რწმენისა და ტრადიციული რელიგიების თავისუფლად აღმსარებლობის უფლება“ (ამერიკელ ინდიელთა რელიგიის თავისუფლების აქტი<sup>143</sup>).

განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე პირველი შესწორებისადმი სხვაგვარ მიდგომას გვთავაზობს. ეს მიდგომა აბსოლუტურად ეწინააღმდეგება აქ მოყვანილი გადანყვეტილებების საფუძვლებს. სასამართლო ითვალისწინებს ინდიელთა მდგომარეობას, მაგრამ, ამის მიუხედავად, მიაჩნია, რომ სანაალმდეგო მიდგომა არ შეესაბამება კონსტიტუციას, სასამართლო პრაქტიკას და უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციონალური როლის საპასუხისმგებლო ხასიათს.

განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლის თანახმად, განსახილველი „საკონსტიტუციო გარანტია მიმართულია ხელისუფლების ყველა მოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლის რელიგიურ ქცევას“. სასამართლოს აზრით, კი კონსტიტუციაში მხოლოდ ის წერია, რომ: „კონგრესი არ მიიღებს კანონს, რომელიც ... შეზღუდავს აღმსარებლობის თავისუფლებას“ (როი<sup>144</sup>, იოდერი<sup>145</sup>).

მოსამართლე ფიქრობს, რომ უზენაესი სასამართლო ამ გადანყვეტილებით არ ითვალისწინებს ორი განსხვავებული კულტურის ხანგრძლივ კონფლიქტს და მათი ინტერესების დაბალანსების ნაცვლად, ამ რთულ მისიას ფედერალურ საკანონმდებლო ორგანოს აკისრებს. მოსამართლე გვთავაზობს, სამართლებრივი სტანდარტის მეშვეობით დაეადგინოს, რომელი სამთავრობო პროგრამა იმდენად „აუცილებელი“, რომ ამართლებს „ზოგიერთი რელიგიური ქმედების შეზღუდვას“. ამ ტესტის საფუძველზე სასამართლოს მოეთხოვება, განსაზღვროს ყველა იმ რელიგიური წარმოდგენისა და საქმიანობის ღირებულება, რომელსაც შეიძლება საფრთხე დაემუქროს მთავრობის ამა თუ იმ პროგრამით. სასამართლოს აზრით, ამგვარი მიდგომის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა შეუძლებელია და ის მოსამართლებისგან ისეთი როლის შესრულებას მოითხოვს, რაც მათ ფუნქციებში არ შედის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს გადანყვეტილება იმის თაობაზე, რომ პირველი შესწორება მთავრობას არ აძლევს ჩიშნის მთის რეგიონში გზის გაყვანისა და ტყის გაჩეხვის უფლებას. იმის გამო, რომ საოლქო სასამართლოს აკრძალვა შეიძლება გადაისინჯოს ამ გადანყვეტილებისა და სხვა რელევანტური საკითხების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვა აკრძალვის დაწესების შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ ეს საქმე ქვედა ინსტანციას დაუბრუნა შემდგომი განხილვისათვის.

მოსამართლე ბრენანის განსახვავებული აზრი,  
რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები მარშალი და ბლეკმუნი

უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ „აღმსარებლობის თავისუფლების კლავიშულა ადგენს იმას, თუ როგორ არ უნდა ექცეოდეს მთავრობა ადამიანებს და არა იმას, თუ რას შეიძლება მოითხოვდეს ადამიანი ხელისუფლებისგან“. ამ კონსტიტუციური პრინციპისადმი მონივნების მიუხედავად, სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მთავრობა ფედერალური მიწით იმგვარად სარგებლობს, რომ საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ამერიკულ სარწმუნოებას, ხელისუფლება არაფერს „აკეთებს“ მორწმუნეების სანაღმდეგოდ. ნაცვლად ამისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ მკვიდრი ამერიკელები, რომლებიც მთავრობისგან მოითხოვენ მათი რელიგიისთვის სახიფათო მოქმედებებისგან თავის შეკავებას, ცდილობენ, მთავრობისგან მიიღონ ფედერალური საკუთრება ბენეფიციურ მფლობელობაში. მოსამართლე ბრენანის აზრით, ამ ორი გამოგნებული დასკვნის გამოტანა შეიძლება სასამართლოს განსაზღვრებიდან, რომ ფედერალური მიწით სარგებლობის ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მოცემულ რელიგიურ საქმიანობას შეუძლებელს ხდის, არ ზღუდავს ამ რელიგიას აღმსარებლობის თავისუფლების კლავიშის მიხედვით, რადგან ამგვარი გადაწყვეტილებები არავის აიძულებს, მოიქცეს თავისი რწმენის საპირისპიროდ, და არც რელიგიური საქმიანობისთვის დასჯას იწვევს. ეს კონსტიტუციური გარანტია ასე ნათლად არ უჩვენებს შეზღუდვების ან რელიგიური გამოხატვის ტიპებს შორის განსხვავებას. ის მიმართულია სამთავრობო მოქმედების ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ, რომელიც ახშობს რელიგიურ მოღვაწეობას. მოსამართლე ბრენანი და მისი თანამოაზრეები არ ეთანხმებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას, რადგან სასამართლო უარს ამბობს, აღიაროს კონსტიტუციური ზიანი, რომელსაც მოპასუხეებს აყენებს, და გააცნობიეროს, რომ მკვიდრ ამერიკელებს ფაქტობრივად კონსტიტუციური დაცვის გარეშე ტოვებს, შესაძლოა, მათი რელიგიური საქმიანობისთვის ყველაზე სახიფათო დროს.

მოსამართლე ბრენანი ხაზს უსვამს იმ ტრადიციულ რელიგიურ მნიშვნელობას, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ კალიფორნიის ეროვნული ტყის ე. წ. „ამალღებულ ადგილს“ ჰქონდა 200 წლის მანძილზე ინდიელებისთვის. სატყეო სამსახურის კვლევის თანახმად, ინდიელ ამერიკელთა რელიგია არ არის საქმიანობის განცალკევებული სფერო, რომელიც სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისგან იზოლირებულად მიმდინარეობს. ინდიელთა ცხოვრების წესისთვის დამახასიათებელია ადამიანის ურთიერთობა ბუნებრივ გარემოსთან, რის საფუძველზეც ყალიბდება ინდიელთა რელიგიური გამოცდილება. თუ ტრადიციული დასავლური რელიგიები სამყროს ღვთაებრივ ქმნილებად მოიაზრებს, ტრაიბალური რელიგიებისთვის სამყაროს შექმნა მუდმივად მიმდინარეობს და ამ პროცესში მონაწილეობის მიღება მათი მორალური და რელიგიური ვალია. ინდიელები კაცობრიობის კატასტროფებისგან დაცვის ამ მოვალეობას რიტუალებით და ცერემონიებით ასრულებენ. მათ სწამთ, რომ მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში კაცობრიობას საფრთხე ემუქრება.

მოსამართლე ბრენანის აზრით, სასამართლო არ გვარწმუნებს იმაში, რომ ამ მაგისტრალის გაყვანა გადაუდებელი აუცილებლობით არის გამოწვეული ან რომ იგი გადაწონის იმ განადგურებელ ზეგანღენას, რასაც მისი მშენებლობა მოახდენს მოპასუხეთა რელიგიურ ცხოვრებაზე. ამის ნაცვლად სასამართლო იზიარებს ხელისუფლების, როგორც მინის მესაკუთრის, უპირატესობას ფედერალური საკუთრებით სარგებლობისას. ბრენანი არ ეთანხმება სასამართლოს დასაბუთებას, რომ პირველი შესწორება დაუშვებლად მიიჩნევს მხოლოდ პირდაპირ აკრძალვებს, არაპირდაპირ იძულებას და რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობისათვის სანქციების დაწესებას, ხოლო სამთავრობო პროგრამების თანმდევი შედეგები კონსტიტუციურ პრობლემას არ წარმოადგენს.

მოსამართლე ასევე არასწორად მიიჩნევს სასამართლოს მიერ ჰობის, ტომასის და შერბერტის<sup>146</sup> საქმეებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობას. ამ შემთხვევებში კანონები, რომლებიც დავის საგანს წარმოადგენდა, ადამიანებს აიძულებდა არჩევანის გაკეთებას ერთი მხრივ, რელიგიური დოგმატიკისადმი ერთგულების შენარჩუნებასა და უმუშევრობის შემწეობის დათმობას, ხოლო მეორე მხრივ, საკუთარი რელიგიური შეხედულებების წინააღმდეგ წასვლას შორის. მაშასადამე, რელიგიები, რომლებიც ამ საქმეებში ფიგურირებდა, ისეთივე იძულების ანალიზს ექვემდებარება, როგორსაც უზენაესი სასამართლო ამ შემთხვევაში გვთავაზობს. ამ საქმეებში კანონების წინააღმდეგ საჩივრების მხარდაჭერისას სასამართლო არსად მიუთითებდა, რომ გამოყენებული იძულებით ამონურული იქნა აღმსარებლობის თავისუფლების კლავიშულით აღიარებული შეზღუდვები რელიგიის გამოხატვაზე.

ამ საქმეში მოპასუხებმა აჩვენეს, რომ მთავრობის ასეთი მოქმედება მთლიანად აბრკოლებს მათ რელიგიურ მოღვაწეობას და ისევე, როგორც ზემოაღნიშნული საქმეების შემთხვევაში მოხდა, ეს მათ უფლებას აძლევს, ისარგებლონ აღმსარებლობის თავისუფლების კლავიშულით უზრუნველყოფილი გარანტიით.

ასევე არასწორია სასამართლოს მტკიცებულება, რომ მოპასუხის მოთხოვნა უარყოფილია როის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით. საქმეში ბოუნი როის<sup>147</sup> წინააღმდეგ მომჩივნები პროტესტს გამოთქვამდნენ საკუთარი ორი წლის ქალიშვილისთვის შემწეობის მოთხოვნისას სოციალური უზრუნველყოფის ნომრის მინიჭებაზე. მშობლების აზრით, ეს მათი შვილის სულიერ განვითარებაზე უარყოფით გავლენას მოახდენდა. როდესაც უზენაესმა სასამართლომ მათი საჩივარი არ დააკმაყოფილა, საკუთარ გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებდა, რომ შეუძლებელია აღმსარებლობის თავისუფლების კლავიშულის ისეთ ინტერპრეტაცია, თითქოს ის ხელისუფლებისგან მოითხოვს საკუთარი შიდა საქმეების წარმოებას თითოეული მოქალაქის რწმენის შესაბამისად.

ამისგან განსხვავებით, ფედერალური მიწით სარგებლობის გადაწყვეტილებებს თან ისეთი შედეგები ახლავს, რომლებიც საჯარო განხილვას მოითხოვს. ამერიკელ ინდიელთა რელიგიის თავისუფლების აქტივ კონგრესმა ცნო ის უარყოფითი გავლენა, რომელსაც მიწით სარგებლობა თუ სხვა სამთავრობო გადაწყვეტილება ხშირად ახდენს მკვიდრი ამერიკელების რელიგიურ ცხოვრებაზე. აქტი აგრეთვე მოგვიწოდებს, მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებამდე კონსულტაციები გაიმართოს ინდიელთა რელიგიურ ლიდერებთან.

საბოლოო ანალიზში განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე უბრუნდება სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც მოპასუხეთა ზიანის კონსტიტუციურ ხასიათს არ აღიარებს, რადგან უპირატესობას ანიჭებს ხელისუფლების უფლებას, თავისუფლად განკარგოს სახელმწიფო საკუთრება. მოწინააღმდეგე მოსამართლის აზრით, ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს დასავლური კულტურის ხასიათი, რომელიც მიწას გამოყენებისა და საკუთრების თვალსაზრისით უყურებს, ხოლო მკვიდრი ამერიკელებისთვის კერძო საკუთრების ცნება უცხოა და ეწინააღმდეგება მათ რწმენას, რომლის მიხედვითაც მიწა წმინდა ადგილად ითვლება. სასამართლომ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესთა დაბალანსებისთვის ხელშეწყობის ნაცვლად ამ პრობლემის გადაჭრის უფლებამოსილება მხოლოდ ერთ მხარეს მიანიჭა.

აქედან გამომდინარე, მოსამართლე ბრენანი გამართლებულად მიიჩნევს განსაკუთრებული „მნიშვნელობის“ დემონსტრირების მოთხოვნას, სანამ მთავრობისგან ფედერალური მიწით სარგებლობის სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესის ჩვენებას მოვითხოვთ. თუმცა „განსაკუთრებული მნიშვნელობა“ არ უნდა გაიგივდეს საკუთრივ რელიგიის გადარჩენასა თუ განადგურებასთან. იმის გამო, რომ მკვიდრი ამერიკელები მთელ ხმელეთს წმინდად მიიჩნევენ, მათ ამის მტკიცება აღარ უნდა მოვითხოვთ.



სასამართლოს განცხადებით, ასეთი მიდგომის შემთხვევაში მას ეკისრება რთული მისია, განასხვავოს, რომელია მოცემული რწმენისთვის „ყველაზე მნიშვნელოვანი“ რიტუალი. თუმცა, მოსამართლე ბრენანის აზრით, არ არის აუცილებელი სასამართლომ განახორციელოს მსგავსი ტიპის გამოკვლევები: სხვა რელიგიური მიმდევრების მსგავსად მკვიდრი ამერიკელები თავად განსაზღვრავენ, რომელ პრაქტიკას უჭირავს ცენტრალური ადგილი მათ რწმენაში, მხოლოდ იმ მოთხოვნების დაცვის პირობით, რომ მათი მტკიცება გულწრფელ ხასიათს ატარებს. ამ შემთხვევაში სასამართლოს გადასაწყვეტი იქნება არა ის, მკვიდრ ამერიკელებს ესმით თუ არა საკუთარი რელიგია, არამედ ის, მოახერხეს თუ არა მათ იმის დემონსტრირება, რომ მინათსარგებლობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ქმნის მათი რელიგიური საქმიანობისათვის არსებითი და რეალური ზიანის მიყენების საფრთხეს.

ამ საქმეში, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ფედერალური მინათსარგებლობის გადაწყვეტილება, რომელიც მთელ რელიგიას განადგურებას უქადის, არ ზღუდავს რელიგიურ პრაქტიკას აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის ფარგლებში. იმ საფრთხის მიუხედავად, რომელიც რეალურად ემუქრება ამერიკელ ინდიელთა რელიგიას, სასამართლო გვარწმუნებს, რომ ეს გადაწყვეტილება არავითარ შემთხვევაში არ შეუწყობს ხელს ხელისუფლების რელიგიურ შეუწყნარებლობას. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, როგორაა დაცული მოქალაქეთა უფლებები, როცა ამ გზის მშენებლობა აშკარად შეუძლებელს ხდის რელიგიურ მოღვაწეობას. ასეთი ცრუ თავისუფლება აბუჩად იგდება „შეერთებული შტატების პოლიტიკას – დაიცვას ამერიკელი ინდიელების რწმენისა და ტრადიციული რელიგიების აღმსარებლობის თავისუფლება“, აგრეთვე უხეშად არღვევს პირველი შესწორების პრინციპებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსამართლეები არ იზიარებენ ამ გადაწყვეტილებას.

**ამერიკელი ინდიელების რელიგიის თავისუფლების დაცვა კონგრესის მიერ.** საქმეში პლესი ფერგიუსონის წინააღმდეგ<sup>148</sup> მოსამართლე ბრაუნი აღნიშნავდა, რომ „ორი რასის იძულებითა დაშორებამ გამოიწვია ფერადკანიანების არასრულფასოვნად შეფასება ... არა კანონის თანახმად, არამედ იმიტომ, რომ ამას თვითონ ფერადკანიანები არ ენაღამდეგებიან;“ თითქოს ახლახანს გათავისუფლებული მონები იყვნენ, 1877 წლის რეკონსტრუქციის ბოლოს სამოქალაქო უფლებების გარეშე რომ დარჩნენ და სამხრეთელ კანონმდებლებს ისეთი კანონების მიღებას სთხოვდნენ, რომლებიც რასების იძულებით გამიჯვნას დააწესებდა. თანამედროვე გაგებით, პლესის სასამართლოს ეს მსჯელობა გამოაგნებელ შეუწყნარებლობას გამოხატავს.

ამასთან დაკავშირებით ლინგის<sup>149</sup> საქმეში მოსამართლე ო'კონორი აღნიშნავდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება არავითარ შემთხვევაში ისე არ უნდა ყოფილიყო გაგებული, თითქოს იგი ხელისუფლების შეუწყნარებლობის წახალისებას ახდენდა თავისი მოქალაქეების რელიგიური მოთხოვნილებებისათვის. მაგრამ საინტერესოა, ნორმალური ურთიერთობების პირობებში ვინ ადგენს ამა თუ იმ მოქმედების ხასიათს: ის, ვინც უშუალოდ ახორციელებს ამ მოქმედებას, თუ ის, ვისზეც გავლენას ახდენს იგი?! ამასთან, თუ რელიგიური საზოგადოების აზრით, სასამართლო ხელისუფლება გაგებით არ ეკიდება მის მოთხოვნილებებს, შეუძლია თუ არა მას დაცვისათვის სახელმწიფოს პოლიტიკურ შტოებს მიმართოს?

ლინგის საქმიდან რამდენიმე თვეში კონგრესმა შინაგან საქმეთა მინისტრს ჩამოართვა უფლებამოსილება, გაეყვანა ვასკეტ-ორლეანსის მაგისტრალი. ასეთი საკანონმდებლო რეაქცია შესაძლოა მოტივირებული იყო როგორც სატყეო მეურნეობის კერძო ინტერესებისთვის სახელმწიფო სუბსიდიის შეჩერების მიზნით, ისე მკვიდრი ამერიკელების რელიგიის თავისუფლების დაცვით.



ლინგის და სმიტის<sup>150</sup> საქმეებმა ნათელი გახადა, რომ ამერიკელ ინდიელთა რელიგიის თავისუფლების აქტი ვერ უზრუნველყოფდა სასამართლო წესით აღსრულებად უფლებებს.

**წმინდა ადგილები და ეკლესიათა მშენებლობის ისტორიული მნიშვნელობა.** ეკლესიის მშენებლობა შესაძლოა რწმენის ძლიერი გამოხატულება იყოს. ეს თეოლოგიური მოსაზრება ასახულია ვატიკანის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების საბჭოს დეკლარაციაში წმინდა ლიტურგიის შესახებ, მას ვხვდებით აგრეთვე ბიბლიასა და ლოცვებში, რომლებიც ეკლესიის მშენებლობას შეეხება.

მასაჩუსეტის უფლებათა დეკლარაციის (1780) მეორე მუხლში ნათქვამია: „საზოგადოების თითოეული წევრის უფლება და მოვალეობაა, საჯაროდ ეთაყვანოს უზენაეს არსებას, სამყაროს შემოქმედს და მფარველს. და არაფერმა უნდა ავნოს მის პიროვნებას, შეზღუდოს მისი თავისუფლება, ადიდოს საკუთარი ღმერთი ისე, როგორც მას სინდისი კარნახობს; იმ პირობით, რომ ის ხელს არ შეუშლის საზოგადოებრივ წესრიგს.“ შტატის კონსტიტუციის ამ დებულების საფუძველზე, საქმეში „ნიუ-ინგლენდის იესოს საზოგადოება“ ბოსტონის ღირსშესანიშნაობათა კომისიის წინააღმდეგ<sup>151</sup> მასაჩუსეტის უზენაესმა სასამართლომ ძალადაკარგულად გამოაცხადა ქალაქის კომისიის ბრძანება, რომელიც იეზუიტებს ეკლესიის ინტერიერის შეცვლას უკრძალავდა.

ამასთან დაკავშირებით ხშირად აკრიტიკებდნენ რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტს. პირველი პრეტენზია იმაში მდგომარეობდა, რომ ხელისუფლების დანაწილების თეორია კრძალავს კონგრესის მიერ ისეთი კანონის მიღებას, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებას საკანონმდებლო წესით აუქმებს. და მეორე, კონგრესმა გადააჭარბა მე-14 შესწორების მეხუთე მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას ისეთი ფართო კანონის მიღებით, რომელიც ზემოქმედებს ყველა შტატის და ადგილობრივ კანონმდებლობაზე.

საქმეში *სამხრეთ კაროლინა კაცენბახის წინააღმდეგ* და *კაცენბახი მორგანის წინააღმდეგ*<sup>152</sup> სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო საარჩევნო უფლებათა აქტი იმის საფუძველზე, რომ კონგრესს უფლება აქვს, დაადგინოს *სამოქალაქო ომის შესწორებების* აღსრულების იმაზე ფართო ნორმები, ვიდრე სასამართლო ხელისუფლება თვლის საჭიროდ კონსტიტუციის მისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე.

### *ქალაქი ბორნი ფლორესის წინააღმდეგ*<sup>153</sup>

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად უნდა ჩამოერთმიათ ეკლესიის მშენებლობის ნებართვა, გასაჩივრებულ იქნა 1993 წლის რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტის<sup>154</sup> საფუძველზე. საქმე ეჭვქვეშ აყენებს კონგრესის უფლებამოსილებას, მიიღოს ამგვარი კანონი. უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტი აჭარბებს კონგრესის უფლებამოსილებას.

ტენასის შტატის ქალაქ ბორნის (მდებარეობს სან-ანტონიოდან 28 მილის დაშორებით ჩრდილოეთის მიმართულებით) ერთ-ერთ გორაკზე მდებარეობს წმ. პეტრეს კათოლიკური ეკლესია. ეკლესია აშენებულია 1923 წელს და მისი აგებულება ზუსტად იმეორებს რეგიონის ისტორიულ სტილს. ეკლესია დაახლოებით 230 მორწმუნეს იტევს, რაც მისი მზარდი მრევლისთვის ძალიან ცოტაა. კვირის მესაზე ორმოციდან სამოც მორწმუნემდე ვერ ახერხებდა დასწრებას. კონგრესაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სან-ანტონიოს არქიეპისკოპოსმა შენობის გაფართოების ნებართვა გასცა.

რამდენიმე თვეში ქალაქის საბჭომ გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ისტორიული ღირსშესანიშნაობების კომისიას უნდა მოემზადებინა ძეგლთა დაცვის გეგმა შემო-

თავაზებული ისტორიული ღირსშესანიშნაობებითა და უბნებით. დადგენილების თანახმად, კომისიის წინასწარ უნდა განეხილა მშენებლობა, რომელიც ისტორიულ ნაგებობებს რაიმე სახით შეეხებოდა.

გარკვეული დროის შემდეგ არქივისკოპოსმა მოითხოვა მშენებლობის ნებართვა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ეკლესიის გაფართოებას. ქალაქის ხელისუფლებამ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა განკარგულების საფუძველზე და განაცხადა, რომ ეკლესია ისტორიულ ძეგლს წარმოადგენდა. არქივისკოპოსმა ნებართვაზე უარის გამო სარჩელი შეიტანა შეერთებული შტატების ჩრდილოეთ ტეხასის საოლქო სასამართლოში.

სარჩელი სხვადასხვა მოთხოვნას აყენებდა, მაგრამ არსებითად სასამართლო დავა წარმართა რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტისა და კონსტიტუციასთან მისი შესაბამისობის საკითხის გარშემო. არქივისკოპოსი ნებართვის მოსაპოვებლად აქტს ეყრდნობოდა. საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ აქტის მიღებით კონგრესმა გადააჭარბა მე-14 შესწორების მეხუთე მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და აქტი კონსტიტუციურად მიიჩნია. უზენაესმა სასამართლომ ქვემდგომი სასამართლოსგან გამოითხოვა საქმე და მისი გადაწყვეტილება გააუქმა.

კონგრესმა რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტი მიიღო დასაქმების სამსახური სმიტის წინააღმდეგ<sup>155</sup> საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების საპასუხოდ. ამ საქმეში უზენაესი სასამართლო განიხილავდა აღმსარებლობის თავისუფლების კლასიკურ და მყარებულ მოთხოვნას, რომელიც ინდიელი ამერიკელების ეკლესიის წევრებმა წარმოადგინეს. მათ უარი ეთქვათ უმუშევრობის შემწეობაზე სამსახურის დაკარგვის შემდეგ იმ მიზეზით, რომ მანამდე პეიოტს<sup>156</sup> იყენებდნენ. მათი რელიგიური წეს-ჩვეულება ითვალისწინებდა პეიოტის რელიგიური დანიშნულებით მოხმარებას. აქედან გამომდინარე, ისინი ასაჩივრებდნენ ორეგონის ზოგადი დანიშნულების სტატუტს, რომლის მიხედვითაც ნარკოტიკების მიღება დანაშაულად ითვლებოდა. ამ მოთხოვნის შეფასებისას უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა შერბერტის<sup>157</sup> საქმეში გამოყენებულ დაბალანსების ტესტზე. ამ ტესტით სარგებლობის შემთხვევაში სასამართლო იძულებული იქნებოდა დაედგინა, უშლიდა თუ არა ხელს ორეგონის სტატუტი რელიგიურ საქმიანობას და ამგვარი ხელის შეშლა იყო თუ არა გამართლებული სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესით. ამგვარი შემონეშება, სასამართლოს აზრით, გამოიწვევდა ანომალიას, კერძოდ, ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონების უარყოფის კონსტიტუციური უფლების დადგენას. ეს ანომალია კიდევ უფრო გაურკვეველ ხასიათს მიიღებდა იმ სირთულის გამო, რომელიც თან ახლავს ზოგიერთი წეს-ჩვეულების მნიშვნელობის განსაზღვრას ამ თუ იმ ადამიანისთვის.

სასამართლოს ამ კონსტიტუციურ ინტერპრეტაციას კონგრესის მრავალი წევრი აკრიტიკებდა. უთანხმოება რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტის მიღებით დასრულდა. ამ აქტის თანახმად, კანონის მიზნებისათვის ტერმინი „შტატის სამართალი“ ჩაითვალა როგორც ადგილობრივი, ისე მუნიციპალური დადგენილებებისა და განკარგულებების მომცველად.

რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტის ყველაზე მნიშვნელოვანი და ფართო დებულებების მიღებისას კონგრესი ეყრდნობოდა მისთვის მე-14 შესწორებით გარანტირებულ უფლებამოსილებას. მე-14 შესწორება უზრუნველყოფს:

*ნაწილი 1.* არც ერთ შტატი არ არის უფლებამოსილი, მიიღოს ან აღასრულოს ისეთი კანონი, რომელიც შელახავს შეერთებული შტატების მოქალაქეების ღირსებასა და ხელშეუხებლობას; არც რომელიმე შტატს შეუძლია, ჩამოართავს ვინმეს უფლება სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და საკუთრებაზე ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე; არც ვინმეს შეიძლება უარი ეთქვას, შტატის იურისდიქციის ფარგლებში, იყოს კანონის საფუძველზე თანაბრად დაცული.

ნაწილი 5. კონგრესი უფლებამოსილია, სათანადო კანონმდებლობით აღასრულოს ამ მიუხვლით გათვალისწინებული დებულებები.

დავის საგანს წარმოადგენს ის, თუ რამდენად კანონიერად განახორციელა კონგრესმა მისთვის მე-5 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილება რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტის მიღებით.

კანონის კონსტიტუციურობის მტკიცებისას მოპასუხე აცხადებს, რომ აქტი დასაშვები „აღმასრულებელი“ კანონმდებლობის ნაწილია, რომლის მეშვეობითაც კონგრესი იცავს მე-14 შესწორების ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის კლაუზულით გარანტირებულ ერთ-ერთ თავისუფლებას, რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის უფლებას.

უზენაესი სასამართლოს აზრით, ყველა უნდა აცნობიერებდეს, რომ მეხუთე ნაწილი კონგრესისთვის „პოზიტიური საკანონმდებლო უფლებამოსილების მინიჭება“. კანონმდებლობა, რომელიც აღკვეთს ან ცდილობს, გამოასწოროს საკანონმდებლო ხარვეზები, ჯდება კონგრესის უფლებამოსილებაში, მაშინაც კი, როდესაც კრძალავს იმგვარ ქცევას, რომელიც თავისთავად არ არის ანტიკონსტიტუციური და იჭრება „შტატების ავტონომიურ საკანონმდებლო კომპეტენციაში“.

ასევე სრული ჭეშმარიტებაა ის, რომ კონგრესი თავის „აღმასრულებელ“ უფლებამოსილებაშიც არ არის შეუზღუდავი. სასამართლო მართებულად მიიჩნევს მოპასუხის შენიშვნას იმის თაობაზე, რომ მეხუთე ნაწილის თანახმად კონგრესი უფლებამოსილია მიიღოს კანონი, რომელიც აღმსარებლობის თავისუფლების კონსტიტუციური უფლების იმპლემენტაციას მოახდენს. იმ მიუხვლით დებულებები, რომლებსაც მეხუთე ნაწილი ეხება, შეიცავს აგრეთვე მე-14 შესწორების ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის პრინციპს. კონგრესის უფლება, უზრუნველყოს აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის იმპლემენტაცია, გამომდინარეობს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებიდან საქმეზე *ქენტველი კონექტიკუტის წინააღმდეგ*<sup>158</sup> – „თავისუფლების ფუნდამენტური კონცეფცია, რომელიც მე-14 შესწორების ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის პრინციპშია გამოხატული, მოიცავს პირველი შესწორებით გარანტირებულ თავისუფლებებს“.

მიუხედავად ამისა, კონგრესისთვის მეხუთე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილება მხოლოდ მე-14 შესწორების დებულებათა „აღსრულებაზე“ ვრცელდება. შესწორებაში ჩადებულ მიზანთან და მე-5 ნაწილის ტექსტთან სრულ შეუსაბამობაშია იმის მტკიცება, რომ კონგრესს უფლება არა აქვს, შტატებს დააკისროს მე-14 შესწორების შეზღუდვების შინაარსი. თუმცა კანონმდებლობა, რომელიც ცვლის აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის მნიშვნელობას, შეუძლებელია მის აღმასრულებლად ჩაითვალოს. კონგრესი არ არის უფლებამოსილი, კონსტიტუციური უფლების ცხოვრებაში გატრებით შეცვალოს საკუთრივ უფლება. მას მხოლოდ „აღსრულები“ უზრუნველყოფის უფლება აქვს მინიჭებული და არა იმის განსაზღვრის, თუ რა შეადგენს კონსტიტუციურ დარღვევას. სხვა შემთხვევაში ეს არ იქნება კონსტიტუციის მე-14 შესწორების დებულებების იმპლემენტაცია.

რთულია დაადგინო, სად გადის ზღვარი არაკონსტიტუციური ქმედებების აღმკვეთ ღონისძიებებსა და იმ ზომებს შორის, რომლებიც კანონის არსს ცვლიან. აქედან გამომდინარე, კონგრესს უნდა ჰქონდეს მისი დადგენის ფართო თავისუფლება, რადგან განსხვავება რეალურად არსებობს და აუცილებელია მისი მხედველობაში მიღება. უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროპორციულობა აღსაკვეთ ზიანსა და ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულ ზომებს შორის.

მოსამართლე კენედიმ, რომელმაც გადმოსცა სასამართლოს გადანყვეტილება, წარმოადგინა მე-14 შესწორების მიღების საკანონმდებლო ისტორია, რაც მისი მოსაზრებით ადასტურებდა „აღმასრულებელი“ კლაუზულის უფრო მაკორექტირებელ ფუნქციას, ვიდრე მატერი-

ალურ-სამართლებრივს. მისი თქმით, კონგრესის აღნიშნული უფლებამოსილება არც პრეცედენტული სამართლის საფუძველზე დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ. *სამხრეთ კაროლინა კაცენბახის წინააღმდეგ*.<sup>159</sup>

სასამართლო გადადის უშუალოდ რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტის განხილვაზე, რათა დაადგინოს, ექცევა თუ არა იგი კონსტიტუციის მე-14 შესწორების მეხუთე ნაწილის ჯეროვანი „აღმასრულებელი“ კანონმდებლობის ფარგლებში.

მოპასუხის მტკიცებით, აქტი გამოხატავს კონგრესის მაკორექტირებელ ან პრევენციულ უფლებამოსილებას და წარმოადგენს აღმასრულებლობის თავისუფლების დაცვის სამართლიან მექანიზმს. იგი აღკვეთს ისეთი კანონების მიღებას, რომლებიც რელიგიის თავისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენის არაკონსტიტუციური მიზნის მქონეა ან აუქმებს მათ. რელიგიის თავისუფლების ასეთი დარღვევების გამოვლენის სირთულის თავიდან აცილების მიზნით, კონგრესს შეუძლია ძალადაკარგულად გამოაცხადოს ნებისმიერი კანონი, რომელიც ხელს უშლის რელიგიურ ქმედებას, თუ ის არ არის გამართლებული სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესით. თუ კონგრესს შეუძლია აკრძალოს დისკრიმინაციული კანონები, რათა რასობრივი დისკრიმინაციით არ დაირღვეს თანაბარი დაცვის კლაუზულა, მოპასუხის აზრით, ის უფლებამოსილია ზუსტად ასევე მოიტყვეს რელიგიის თავისუფლების მხარდასაჭერად.

როდესაც პრევენციული ნორმები შეესაბამება სასამართლოს დამცავ ზომებს, თანხვედრა უნდა არსებობდეს გამოყენებულ მეთოდებსა და დასახულ მიზნებს შორისაც. ძლიერი დამცავი მექანიზმი, რომელიც ერთ სახის ზიანს აღკვეთს, შესაძლოა სხვის მიმართ უსამართლო იყოს.

სასამართლოს შეხედულებით, მრავლისმთქმელია რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტის საარჩევნო უფლებათა აქტთან შედარება. იმ სასამართლო პრაქტიკასთან შედარებით, რომელიც ასახავს კონგრესისა და სასამართლო ხელისუფლების დაპირისპირებას საარჩევნო უფლებების თაობაზე გამართულ სასამართლო საქმეებში, რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტის საკანონმდებლო პრაქტიკა არ შეიცავს თანამედროვე შემთხვევის არცერთ მაგალითს, რომ ზოგადი დანიშნულების კანონების მიღება რელიგიური ფანატიზმის საფუძველზე მომხდარიყოს. ამ ქვეყანაში დევნისა და შევიწროების ისტორიას, რომელიც დეტალურად არის ასახული საკანონმდებლო მოსმენებში, არ ახსოვს არც ერთი მსგავსი შემთხვევა უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში. რთულია იმის მტკიცება, რომ ისინი ამა თუ იმ რელიგიური პრაქტიკისადმი მტრობისა და სიძულვილის მიზნით მიღებული კანონების მაგალითებს წარმოადგენენ ან ამ ქვეყანაში ფართოდ გავრცელებულ რელიგიურ დისკრიმინაციაზე მიუთითებენ.

რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტი, მიუხედავად საკანონმდებლო პრაქტიკის შინაარსისა, არ შეიძლება ჩაითვალოს მაკორექტირებელ და პრევენციულ კანონად, რომელიც არაკონსტიტუციურ ქცევას აღკვეთს. ამის ნაცვლად ის დაცვის კონსტიტუციური საშუალებების არსებითად შეცვლას ესწრაფვის. კანონთა გარკვეული ტიპების ამკრძალავი პრევენციული ზომები შესაძლოა შესაბამისი იყოს, როდესაც არსებობს საფუძვლიანი მიზეზი ვიფიქროთ, რომ იმ კანონების არაკონსტიტუციურად ცნობის ალბათობა, რომლებზედაც ზეგავლენა იქონია კონგრესის საკანონმდებლო საქმიანობამ, ძალზე მაღალია...

რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტი ასე შეზღუდული არ არის. მოქმედების ფართო არეალი უზრუნველყოფს მის ჩარევას ხელისუფლების ყველა დონეზე. ის ცვლის კანონებს და კრძალავს ყველა სახის ოფიციალურ ქმედებას. ამ კანონის შეზღუდვები ეხება ფედერალური, შტატის და ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირს, აგრეთვე ყველა ფედერალურ თუ შტატის კანონს, მიღებულია ის ამ კანონის ძალაში შესვლამდე თუ მას შემდეგ. კანონის მოქმედების ვადა არ არის შეზღუდული.

ხარჯები, რომლებსაც ეს აქტი მოითხოვს, როგორც შტატებზე სამართალწარმოების მძიმე ტვირთის დაკისრების, ისე მათი ზოგადი მარეგულირებელი უფლებამოსილების შეკვეცის თვალსაზრისით, ბევრად აღემატება სმიტისეული გაგებით აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის საფუძველზე არაკონსტიტუციური ქცევის რომელიმე ნიმუშს. რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტი არ შექმნილა იმისათვის, რომ გამოავლინოს შტატის ისეთი კანონები, რომლებიც შესაძლოა არაკონსტიტუციური იყოს რელიგიასთან მისი დამოკიდებულების გამო. უმეტეს შემთხვევაში შტატების კანონები, რომლებსაც აქტი ეხება, არ არის რელიგიური ფანატიზმით მოტივირებული. შტატებში დღეისათვის არსებული მმართველობის სისტემის პირობებში კანონები მძიმე ტვირთად აწევს ადამიანებს. თუ რელიგიის გამოხატვა შემთხვევით დაბრკოლდა ზოგადი დანიშნულების კანონით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანები, რომლებსაც ეს შეზღუდვა საკუთარი რწმენის გამო შეეხოთ, უფრო მეტად დაზარალდნენ, ვიდრე სხვა მოქალაქეები. ამასთან, აქტი აწევს მინიმალური შემზღუდავი ზომების მოთხოვნას, რომელიც იმავდროულად მიგვითითებს, რომ კანონმდებლობა უფრო ფართოა, ვიდრე საკონსტიტუციო დარღვევის პრევენციის ან გამოსწორების მიზანს შეეფერება.

როდესაც კონგრესი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს, მას არა მარტო უფლება აქვს, არამედ მოვალეც არის, თავისი გადაწყვეტილებით კონსტიტუციის არსს გამოხატავდეს. ეროვნული გამოცდილება გვასწავლის, რომ კონსტიტუცია ყველაზე კარგად მაშინ სრულდება, როცა ხელისუფლების ყველა შტო პატივს სცემს როგორც კონსტიტუციას, ისე სხვა შტოების მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებს. როდესაც ხელისუფლების პოლიტიკური შტოები სასამართლოს ზემოხსენებული საკონსტიტუციო ინტერპრეტაციის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა საქმეებში სასამართლო საკუთარ პრეცედენტებს დამკვიდრებული პრინციპების შესაბამისად გამოიყენებს.

უზენაესი სასამართლოს აზრით, კონგრესმა უნდა განსაზღვროს, რა სჭირდება კანონმდებლობას იმისათვის, რომ უზრუნველყოს მეთოთხმეტე შესწორების გარანტიები. კონგრესის დისკრეცია შეუზღუდავი არ არის და სასამართლოები იტოვებენ უფლებას, თავად გადაწყვიტონ, გადააჭარბა თუ არა კონგრესმა საკუთარ კონსტიტუციურ უფლებამოსილებას. რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტი ეწინააღმდეგება უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, რომლებიც აუცილებელია სახელისუფლებო უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და ფედერალური ბალანსისთვის.

უზენაესი სასამართლო აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აქტის კონსტიტუციურად ცნობის თაობაზე.

*მოსამართლე ო'კონორის განსხვავებული აზრი, რომელსაც ნაწილობრივ შეუერთდა მოსამართლე ბრეიერი*

ო'კონორი არ ეთანხმება სასამართლოს მიერ განსახილველი აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის განსაზღვრისას დასაქმების სამსახური სმიტის წინააღმდეგ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გამოყენებას,<sup>160</sup> რომელმაც კონგრესს უზიძგა რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტის, როგორც აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის ცხოვრებაში უფრო მკაცრად გატარების საშუალების, მიღებისკენ. მოსამართლე ო'კონორი არ იცვლის აზრს სმიტის გადაწყვეტილების არამართებულობის შესახებ. აქედან გამომდინარე, ის სვამს კითხვას, რამდენად სწორად წარმოაჩენს სმიტის საქმე აღმსარებლობის თავისუფლების ცნებას.

მოსამართლე ო'კონორი სასამართლოს ეთანხმება იმ საკითხში, რომ კონგრესს უფლება არა აქვს, „შტატებს დააკისროს მე-14 შესწორების მატერიალური შეზღუდვები“, და დამოუკიდებლად განსაზღვროს კონსტიტუციური უფლებების საზღვრები.“

თუმცა ო'კონორის აზრით, ეს არ ამცირებს კონგრესის ვალდებულებას, გააკეთოს საკუ-



თარი დასკვნები კონსტიტუციის არსთან დაკავშირებით. კონგრესს სასამართლოზე არანაკლებად ევალება კონსტიტუციური მოთხოვნების განხილვა და მისი მითითებების შესაბამისად მოქმედება. მაგრამ, როდესაც კონგრესი კანონებს იღებს მისი დელეგირებული უფლებამოსილების ხელშეწყობის მიზნით, ასეთი გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს ამ სასამართლოს კონსტიტუციურ ინტერპრეტაციას და ისეთი დებულებებით დადგენილ განსაზღვრულ შეზღუდვებს კონგრესის საკანონმდებლო უფლებამოსილების შესახებ, როგორცაა კონსტიტუციის მე-14 შესწორება.

უზენაესი სასამართლოს ანალიზი იმის თაობაზე, არის თუ არა აქტი კონგრესისთვის მე-ხუთე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების გამოხატულება, ეფუძნება ვარაუდს, რომ *სმიტის* საქმე სწორად წარმოაჩენს აღმსარებლობის თავისუფლების კლავზულის არსს. მოსამართლე ო'კონორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ *სმიტის* მიხედვით დაადგინა აღმსარებლობის თავისუფლების მოთხოვნაზე გადაწყვეტილებათა მიღების არასწორი სტანდარტი. *სმიტის* საქმეში აღმსარებლობის თავისუფლების კლავზულა ისეა გაგებული, თითქოს ის სახელმწიფოს უფლებას აძლევს, დაუსაბუთებლად აკრძალოს პიროვნების რელიგიური შეხედულებების შესაბამისი ქცევა, თუ ეს აკრძალვა ზოგადი დანიშნულებისაა. თუმცა აღმსარებლობის თავისუფლება არ არის მხოლოდ ანტიდისკრიმინაციული პრინციპი, რომელიც მხოლოდ იმ კანონებისგან გვიცავს, რომლებიც რელიგიურ საქმიანობას გამოარჩევენ უარყოფითი დამოკიდებულებისთვის. აღმსარებლობის თავისუფლების კლავზულა არის რელიგიურ საქმიანობაში მონაწილეობის პოზიტიური გარანტია, რომელიც იმავდროულად გამოიცხადებს სახელმწიფოს დაუშვებელ ჩარევას მაშინაც კი, როდესაც რელიგიური ქცევა ეწინააღმდეგება ზოგადი დანიშნულების კანონს. *სმიტის* საქმემდე, როდესაც განიხილებოდა აღმსარებლობის თავისუფლების კლავზულის ქვემდებარე საქმე, სადაც კანონი მნიშვნელოვნად ზღუდავდა რელიგიურად მოტივირებულ ქმედებას, უზენაესი სასამართლო მთავრობისგან მოითხოვდა სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესის დასაბუთებას. ამ პრინციპის უარყოფა *სმიტის* საქმეში სასამართლოს მიერ არ ეფუძნებოდა არც პრეცედენტულ სამართალს და არც ისტორიას. მოსამართლე ო'კონორის აზრით, სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით დიდი ზიანი მიაყენა რელიგიის თავისუფლებას, ამიტომ საჭიროდ მიიჩნევს ორივე საქმის გადასინჯვას.

ისტორიული ფაქტები სერიოზული ეჭვის საფუძველს გვაძლევს აღმსარებლობის თავისუფლების კლავზულის ამ სასამართლოსეული ინტერპრეტაციის გამო. საკანონმდებლო ოქმებიდან ჩანს, რომ ამ კლავზულის ავტორები მას განიხილავდნენ გარანტიად, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ზედმეტად არ შეუშლიდა ხელს მორწმუნეებს, თავისუფლად ეწარმოებინათ რელიგიური საქმიანობა.

შეერთებულ შტატებში რამდენიმე კოლონიამ ადრევე გააცნობიერა, რომ საკუთარი რწმენის თავისუფლად აღმსარებლობა ძირითადი თავისუფლებაა. ამასთან, ისინი აღიარებდნენ, რომ სახელმწიფო რელიგიურ საქმეებში მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს, როცა საჭიროა სამოქალაქო მშვიდობის დაცვა და „გარყვნილების“ აღკვეთა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ რელიგიური შეხედულებები ეწინააღმდეგებოდა საერო სამართალს, რელიგია უპირატესი მდგომარეობით სარგებლობდა. ასეთი იდეები ემთხვევა უზენაესი სასამართლოს შეხედულებას, რომელიც *სმიტის* საქმემდე არსებობდა.

მოსამართლე ო'კონორის მტკიცებით, როგორც ადრეული კოლონიების გამოცდილება გვაფიქრებინებს, „უფლებათა ბილის“ რატიფიკაციის პერიოდში მიღებული იყო, რომ სახელმწიფოს შეძლებისდაგვარად უნდა შეეწყოს ხელი რელიგიური საქმიანობისთვის. მას მოჰყავს ჯეიმს მედისონის, ტომას ჯეფერსონის, ჯორჯ ვაშინგტონის, ოლივერ ელზვორთისა და ისააკ ბარკუსის ნააზრევი.



სამი ზოგადი პრინციპიდან პირველის მიხედვით ეს მოაზროვნეები რელიგიის თავისუფლებას განსაკუთრებულ კონსტიტუციურ სტატუსს ანიჭებდნენ. რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის უფლება ინდივიდუალური თავისუფლების მნიშვნელოვანი გარანტია იყო. მეორე, ყველა თანხმდებოდა იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს ჩარევა რელიგიურ საქმიანობაში არ იყო ადვილად მოსაწონი ქმედება. დაბოლოს, ყველა იზიარებდა მოსაზრებას, რომ „ჭეშმარიტი რელიგია და ჯანსაღი მორალი არის სამოქალაქო თავისუფლების და ბედნიერების ერთადერთი მყარი საფუძველი“. ამ იდეათა გათვალისწინება კონსტიტუციას უყენებს მოთხოვნას, დააკმაყოფილოს იმ მოქალაქეთა რელიგიური მოთხოვნილებები, რომელთა რელიგიური პრაქტიკა ეწინააღმდეგება ზოგადი დანიშნულების კანონს.

მოსამართლე ოკონორის აზრით, კონსტიტუციის რელიგიური კლავზულები რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ვალდებულებას ანესებენ, რომელსაც არ შეესაბამება არც სმიტის და არც ამ საქმეზე მიღებული გადანყვეტილება. მაშასადამე, ის საჭიროდ მიიჩნევს მათ გადასინჯვას და არ ეთანხმება სასამართლოს გადანყვეტილებას.

### **ცხოველთა მსხვერპლად შეწირვა**

**სანტერია.** სანტერიის რელიგია მე-19 საუკუნეში წარმოიშვა, როდესაც იორუბას ტომის ასიათასობით წევრი აღმოსავლეთ აფრიკიდან კუბაში მონებად ჩაიყვანეს. მათმა ტრადიციულმა აფრიკულმა რელიგიამ კათოლიციზმის მნიშვნელოვანი ელემენტები შეითავსა, რის შედეგადაც სანტერია, ანუ „წმინდანთა ცხოვრების წესი“ წარმოიშვა. სულების მიმართ, რომელთაც ორიშები ეწოდებათ, კუბელი იორუბელები ღვთისმოსაობას კათოლიკე წმინდანების იკონოგრაფიის საშუალებით გამოხატავენ. სანტერიის რიტუალებზე ხშირად შეხედებით კათოლიკურ სიმბოლოებს. სანტერიის მიმდევრები კათოლიკურ მესებსაც ესწრებიან.

სანტერიის მოძღვრების თანახმად, თითოეულ ადამიანს აქვს ღმერთისგან მონიჭებული ბედი, რომელიც ორიშების დახმარებითა და ენერგიით აღსრულდება. სანტერიის რელიგიის საფუძველია ორიშებთან დამყარებული პირადი ურთიერთობა. ამასთან, ღვთისმოსაობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას ცხოველთა შეწირვა წარმოადგენს. ცხოველების შეწირვას, როგორც რელიგიური რიტუალის ნაწილს, უძველესი ისტორია აქვს. ცხოველთა შეწირვა ხშირად მოიხსენიება ძველ აღთქმაში და ის იუდაიზმის პრაქტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იერუსალიმის მეორე ტაძრის განადგურებამდე. თანამედროვე ისლამში ტარდება ყოველწლიური მსხვერპლშეწირვის რიტუალი, რომელიც აბრაამის მიერ კრავის შეწირვას ეძღვნება.

სანტერიის რელიგიის მიხედვით, ორიშები ძლევა მოსილნი, მაგრამ ამავე დროს მოკვდავნი არიან. მათი სიცოცხლისუნარიანობა მსხვერპლშეწირვაზე დამოკიდებულია. შეწირვის რიტუალები ტარდება დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების დროს, აგრეთვე ავადმყოფთა მოსარჩენად, ახალ წევრთა და სასულიერო პირთა კურთხევისა და ყოველწლიური სადღესასწაულო წირვის დროს. სანტერიის რიტუალებში შესაძლო შესაწირი ცხოველებია: ქათამი, მტრედი, იხვი, ზღვის გოჭი, თხა, ცხვარი და კუ. ცხოველებს კლავენ კისერთან საძილე არტერიის გადაჭრით. განკურნებისა და გარდაცვალების რიტუალების შემდეგ, შეწირულ ცხოველებს საკვებად ამზადებენ და მიირთმევენ.

სანტერიის მიმდევრები ფართომასშტაბიან დევნას განიცდიდნენ კუბაში, ასე რომ, რელიგიასა და რიტუალებს მალულად ახორციელებდნენ. სანტერიის რელიგიისა და მისი რიტუალების შეუზღუდავი და ღია პრაქტიკა დღესაც იშვიათობაა. სანტერია ამერიკის შეერთებულ შტატებში უმეტესწილად კუბის რეგოლუციას გამოქვეყნება ადამიანებმა შეიტანეს. ქვემოთ მოცემული საქმის განხილვისას საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ დღესდღეობით ფლორიდის შტატის სამხრეთ ნაწილში სულ ცოტა 50 000 სანტერიის მიმდევარი ცხოვრობს.

ლუკუმი ბაბალუ ეის ეკლესია ფლორიდის შტატის ქალაქ ჰაიალეს ნინაალმდე<sup>161</sup>

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

პრინციპი, რომლის თანახმად სახელმწიფოს არ შეუძლია რელიგიური რწმენისა თუ პრაქტიკის შემზღვეველი კანონების მიღება, ისე კარგად არის გათავისებული საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ, რომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში ამ დარღვევასთან დაკავშირებით ძალზე ცოტა საქმე არსებობს.<sup>162</sup> სასამართლოს შეშფოთების გამო, რომ ეს საქმე პირველი შესწორების ფუნდამენტურ პრინციპს ეხებოდა, ის გამოთხოვილ იქნა ქვემდგომი სასამართლოდან. უზენაესი სასამართლოს განხილვამ დაადასტურა, რომ საქმეში წარმოდგენილი ნორმატიული აქტები იმ ოფიციალური პირების მიერ იყო მიღებული, რომელთაც არ ესმოდათ, არ სურდათ გაეგოთ, ან იმის უგულბელყოფა არჩიეს, რომ მათი ქმედებები ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის არსებით ვალდებულებას, დაეცვა რელიგიის თავისუფლება.

მომჩივანი, ლუკუმი ბაბალუ ეის ეკლესია (შემდგომში ეკლესია), წარმოადგენს არასამეწარმეო კორპორაციას, რომელიც ფლორიდის შტატის კანონმდებლობის მიხედვით 1973 წელს შეიქმნა. ეკლესია და მისი მრევლის წევრები სანტერიის რელიგიის მიმდევრები არიან. ეკლესიის მეთაური არის ერნესტო პიკარდო, რომელიც აგრეთვე ამ ეკლესიის სასულიერო პირია და ატარებს იტალიურ რელიგიურ ტიტულს, ხარისხით მეორეს სანტერიის რელიგიაში. 1987 წლის აპრილში ეკლესიამ იჯარით აიღო მიწის გარკვეული ფართობი ფლორიდის შტატის ქალაქ ჰაიალეში და განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა ღვთისმსახურების ადგილის, სკოლის, კულტურული ცენტრისა და მუზეუმის აშენება. პიკარდო მიუთითებდა, რომ ეკლესიის მიზანი იყო სანტერიის რელიგიის პრაქტიკის, მათ შორის ცხოველთა შეწირვის რიტუალის ღიად განხორციელება. ეკლესიამ დაიწყო საჭირო ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიების მოპოვების პროცესი არც ისე მარტივად მიმდინარეობდა, 1987 წლის აგვისტოსთვის ყველა ფორმალობა მოგვარდა.

სანტერიის ეკლესიის დაარსების პერსპექტივამ ჰაიალეს საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია და ჰაიალეში ეკლესიის გახსნის შესახებ გავრცელებულმა ცნობამ ქალაქის საბჭოს 1987 წლის 9 ივნისს საგანგებო საჯარო სხდომის ჩატარებისკენ უბიძგა. ამ სხდომაზე საბჭომ საგანგებო რეზოლუცია მიიღო. როგორც მასში იყო ნათქვამი, ქალაქის მცხოვრებნი შეშფოთებულნი იყვნენ იმის გამო, რომ „ზოგიერთი რელიგიის ფარგლებში არსებული პრაქტიკა არ შეესაბამება საზოგადოებრივ მორალს, მშვიდობასა და უსაფრთხოებას.“ რეზოლუციაში ასევე გაცხადებული იყო, რომ „ქალაქი კვლავაც აკრძალავდა ყველა იმ რელიგიური ჯგუფის საქმიანობას, რომელიც საზოგადოებრივ მორალს, მშვიდობასა და უსაფრთხოებას ეწინააღმდეგებოდა.“ გარდა ამისა, ქალაქის მერიამ გამოსცა სპეციალური განკარგულება, რომელშიც მთლიანად ინკორპორირებული იყო ფლორიდის შტატის კანონები ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ. ინკორპორირებული კანონი „ნებისმიერს, ვინც საჭიროების გარეშე ან სასტიკი ხერხებით მოკლავდა ცხოველს“, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებდა.

ქალაქის ოფიციალურ პირებს სურდათ შემდგომი საკანონმდებლო ზომები მიეღოთ, მაგრამ ფლორიდის შტატის კანონმდებლობა უკრძალავდა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ ისეთი ნორმატიული აქტების მიღებას, რომლებიც შტატის კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა. ქალაქ ჰაიალეს პროკურორმა ფლორიდის შტატის გენერალური პროკურორისგან მოითხოვა კომენტარი იმის თაობაზე, უკრძალავდა თუ არა არსებული კანონმდებლობა „რელიგიურ ჯგუფს, მსხვერპლად შეეწირა ცხოველი რელიგიური რიტუალის ან პრაქტიკის დროს“, და შეეძლო თუ არა ქალაქის ხელმძღვანელობას გამოეცა განკარგულება, რომლის თანახმად „ცხოველთა რელიგიური

მიზნებით შენირვა კანონგარეშედ გამოცხადდებოდა“. გენერალურმა პროკურორმა დაასკვნა, რომ „ცხოველთა რიტუალური შენირვა არა როგორც კვების პროდუქტების მოხმარების მიზნით“ არ წარმოადგენდა აუცილებლობით გამოწვეულ მკვლელობას და, შესაბამისად, კანონით იყო აკრძალული.

ამ კომენტარის შემდეგ ქალაქის საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ქალაქის პოლიტიკას განსაზღვრავდა ამ საკითხის მიმართ. მიღებულ რეზოლუციაში ჰაიალევას საზღვრებში ცხოველთა რიტუალური შენირვის წინააღმდეგ ნათქვამია, რომ ცხოველთა შენირვის პრაქტიკით დაკავებული ნებისმიერი პირი ან ორგანიზაცია „სისხლისსამართლებრივ დევნას დაექვემდებარება“.

1987 წლის სექტემბერში ქალაქის საბჭომ ცხოველთა რელიგიური მიზნებით შენირვის შესახებ მრავალი დადგენილება მიიღო. „შენირვა“ განსაზღვრული იყო, როგორც „ცხოველის საჯარო თუ კერძო რიტუალში ან ცერემონიაში მოკვლა, წამება ან დასახიჩრება არა როგორც კვების პროდუქტის მოხმარების მიზნით“. ერთ-ერთი დადგენილება შეიცავდა დათქმას, რომელიც ცხოველთა „ლიცენზირებულ დანესებულებებს“ და „საკვების პროდუქტების მოხმარების მიზნით“ მათ ხოცვას ეხებოდა. ასევე იკრძალებოდა ცხოველების მოკვლა ქალაქში დადგენილი საზღვრების ფარგლებში. ყველა დადგენილება ქალაქის საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული. მათი დარღვევისთვის გათვალისწინებული იყო ჯარიმა არა უმეტეს 500 აშშ დოლარისა, თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს 60 დღისა, ან ორივე ერთად. აქტების ძალაში შესვლის შემდეგ ეკლესიამ და პიკარდომ სარჩელი აღძრეს ამერიკის შეერთებული შტატების საოლქო სასამართლოში. მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა ჰაიალევას ქალაქი, მისი მერი და ქალაქის საბჭოს წევრები ინდივიდუალური სტატუსით.

საოლქო სასამართლომ ქალაქის სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ მოსარჩელეთა უფლებები რელიგიის აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის ფარგლებში არ იყო დარღვეული. თუმცა ამავე დროს სასამართლომ აღიარა, რომ „დადგენილებები სულაც არ იყო რელიგიურად ნეიტრალური“, და რომ „ქალაქის შეშფოთება ცხოველთა შენირვის საკითხით ნაკარნახევი იყო ქალაქში ეკლესიის დაარსებით“. საოლქო სასამართლომ დაასკვნა, რომ დადგენილებების მიზანი იყო არა ეკლესიის ქალაქიდან განდევნა, არამედ ცხოველთა შენირვის არსებული პრაქტიკის შეწყვეტა.

საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ ცხოველთა შენირვა გამოიწვევდა (1) რიტუალში მონაწილეთა და ფართო საზოგადოების ჯანმრთელობისათვის არსებითი საფრთხის შექმნას, (2) ცხოველთა შენირვის დამსწრე ბავშვთა ემოციურ ტრავმას, (3) ცხოველთა სასტიკ და არააუცილებლობით განპირობებულ განადგურებასა და (4) ნებადართული სასაკლაოების ფარგლებს გარეთ ცხოველთა დახოცვას. ახასიათებდა რა ამ ინტერესებს, როგორც „არსებითად სარწმუნოს“, სასამართლო შეეცადა „დაებალანსებინა სახელისუფლებო და რელიგიური ინტერესები“ და მივიდა დასკვნამდე, რომ „სახელისუფლებო ინტერესები აბსოლუტურად ამართლებდა შენირვის რიტუალის კატეგორიულ აკრძალვას“.

ქალაქის საბჭო არ მიიჩნევდა სანტერიას პირველი შესწორების ფარგლებს მიღმა არსებულ „რელიგიად“. მას არც შეეძლო ასეთი შეხედულება ჰქონოდა. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ თუმცა ცხოველთა შენირვის პრაქტიკა შესაძლოა ზოგიერთებში ზიზღის გრძნობას იწვევს, „არ არის აუცილებელი, რომ პირველი შესწორების იურისდიქციაში მოსაქცევად რელიგიური რწმენა ვინმესთვის მისაღები, ლოგიკური, თანმიმდევრული ან გასაგები იყოს. ცხოველთა შენირვასა და რელიგიურ ღვთისმსახურებას შორის არსებული ისტორიული კავშირის გათვალისწინებით, მომჩივანთა მხრიდან იმის მტკიცება, რომ „ცხოველთა შენირვა მათი რელიგიის განუყოფელი ნაწილია“, არ შეიძლება „ექსცენტრულად და დაუჯერებლად ჩაითვალოს“.

უზენაესი სასამართლოს მიერ იმ საქმეების განხილვის შედეგად, რომლებიც კონსტიტუციის პირველ შესწორებას ეხებოდა, დადგინდა, რომ პირველი შესწორება კრძალავს რაიმე ოფიციალური მიზეზით კონკრეტული რელიგიის ან ზოგადად რელიგიის მსჯავრდებას. რელიგიის თავისუფლების გარანტიები ამოქმედდება მაშინვე, როგორც კი განსახილველი კანონი მოახდენს ზოგიერთი ან ყველა რელიგიური შეხედულების დისკრიმინაციას და დაარეგულირებს ან აკრძალავს რელიგიური მიზეზებით განპირობებულ ქცევას. და მართლაც, სწორედ რელიგიური დევნისა და შეუწყნარებლობის ისტორიული მაგალითებით ხელმძღვანელობდნენ აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის ავტორები. მაგალითად, საქმეში *მაკდანიელი პეტის წინააღმდეგ*<sup>163</sup> უზენაესმა სასამართლომ გააუქმა შტატის მიერ მიღებული კანონი, რომელიც სასულიერო პირებს უკრძალავდა გარკვეული საჯარო თანამდებობების დაკავებას მათი „რელიგიური სტატუსის“ გამო. იმავე პრინციპის თანახმად, საქმეში *ფაულერი როდ აილენდის შტატის წინააღმდეგ*<sup>164</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ მუნიციპალური დადგენილება, რომელიც საზოგადოებრივ პარკში იელოვას მონმის ქადაგებას კრძალავდა და ამავე დროს კათოლიკური მესისა თუ პროტესტანტული მსახურების დროს ქადაგების ნებას რთავდა, კონსტიტუციის შეუსაბამო აქტს წარმოადგენდა.

ნეიტრალობასთან დაკავშირებული საკითხის განხილვის შემდეგ სასამართლო ერთ დასკვნამდე მივიდა: დადგენილებები მიზნად რელიგიის შევიწროვებას ისახავდა; სანტერიას მიმდევართა და მათი რელიგიური პრაქტიკის მიმართ არაკეთილგანწყობა იყო გამოძევაზე; დადგენილებები თავისი არსით ეწინააღმდეგებოდა ამგვარ რელიგიურ პრაქტიკას; დაბოლოს, დადგენილებები იმაზე მეტად ზღუდავდა გარკვეულ რელიგიურ ქცევებს, ვიდრე ამ შეზღუდვის გასამართლებლად მოყვანილი კანონიერი მიზეზების მიღწევისთვის იყო საჭირო. აქედან გამომდინარე, მოცემული დადგენილებები არ იყო ნეიტრალური ბუნების.

ამ საქმის მოპასუხე მხარე ამტკიცებდა, რომ დადგენილებები ორ ინტერესს ემსახურება: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასა და ცხოველთა წინააღმდეგ სისასტიკის აღმოფხვრას. მაგრამ უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, დადგენილებები ვერ უზრუნველყოფს ამ ინტერესების დაცვას. მიუხედავად ქალაქის ადმინისტრაციის დიდი მონდომებისა, აღმოფხვრა ცხოველთა წინააღმდეგ სისასტიკე, დადგენილებები მხოლოდ იმ მკვლელობებს კრძალავს, რომლებიც რელიგიური მსხვერპლშეწირვით არის განპირობებული. არარელიგიური მიზეზებით ცხოველთა სიკვდილისა თუ მოკვდინების მრავალი სახეობა სულაც არ არის აკრძალული.

ქალაქის ადმინისტრაცია თანხმდებოდა იმაზე, რომ „არც ფლორიდის შტატსა და არც თვით ქალაქ ჰაიალესში არ იყო მიღებული ზოგადი კანონმდებლობა ცხოველთა მოკვლის აკრძალვის შესახებ“. მიუხედავად ამისა, ის ამტკიცებდა, რომ ცხოველთა შეწირვა განსხვავდება კანონით დაშვებული ცხოველთა მოკვლისგან. ქალაქის წარმომადგენელთა განცხადებით აშკარაა, რომ ცხოველთა მოკვლა კვების მიზნით „მნიშვნელოვან“ მიზანს ემსახურება; რომ მწერებისა და პარაზიტების განადგურება „გამართლებულია“; და რომ ნამეტ ცხოველთა ევთანაზია „ლოგიკურია“. მაგრამ ეს მტკიცებულებები ვერ ხსნის, რატომ უნდა ატაროს მხოლოდ რელიგიამ ამ დადგენილებების ტვირთი იმ დროს, როდესაც ცხოველთა არარელიგიური მკვლელობების უმრავლესობაც ექცევა ქალაქის ინტერესში, აღმოფხვრას ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობა.

ერთ-ერთი დადგენილება ეხებოდა საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, რომელსაც საფრთხეს ღია საჯარო ადგილებში გადაგდებული გატყავებული და გამოშიგნული ცხოველები და შეუუმონებელი ხორცის მოხმარება უქმნიდა. მაგრამ ჯანმრთელობისათვის შექმნილი რისკი დიდია ნებისმიერ შემთხვევაში, იქნება ეს სანტერიას შეწირვის რიტუალი თუ ცხოველთა არარელიგიური მიზეზებით მოკვლა. ქალაქის ადმინისტრაცია არ უკრძალავს მონადირეებს,

ნანადირევი სახლში მიიტანონ ისევე, როგორც არ არეგულირებს შემდგომში გატყავებული და გამოშვიგული ნაწილების მოშორების საკითხს.

იგივე პრობლემა წარმოიშობა, როდესაც შეუმონებელი ხორცის მოხმარების შედეგად ჯანმრთელობისათვის წარმოქმნილ რისკზე ვსაუბრობთ. ქალაქის საბჭოს დადგენილებების თანახმად, მონადირეებს და მეთევზეებს შეუძლიათ მიირთვან თავიანთი ნადავლი ოფიციალური ინსპექტირების გავლის გარეშე. ასევე, კანონი მოითხოვს გასაყიდი ხორცის ინსპექტირებას, მაგრამ გამონაკლისს აწესებს შინაურ პირობებში მიღებულ ხორცზე, რომელიც „ოჯახის წევრებსა და არაკომერციული მიზნებით ოჯახში დარჩენილ სტუმრებში“ ვრცელდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ქალაქ ჰაიალესას გასაჩივრებულ სამართლებრივ აქტებში ჩადებული სახელისუფლებო ინტერესები მხოლოდ რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე ქცევის წინააღმდეგ იყო მიმართული.

კონსტიტუციის პირველი შესწორება ავალდებულებს სახელმწიფოს, იყოს რელიგიის შემწყნარებელი და, შესაბამისად, ყველა ოფიციალურ პირს უნდა ახსოვდეს საკუთარი უზენაესი ვალდებულება კონსტიტუციისა და მასში უზრუნველყოფილი უფლებების წინაშე. კანონების შემოქმედთ არ უნდა შეეძლოთ ისეთი აშკარა თუ ფარული მექანიზმების შემუშავება, რომლებიც რელიგიის ან გარკვეული პრაქტიკის დევნასა და შევიწროვებას უზრუნველყოფს. ზემოთ ხსენებული დადგენილებები ამ კონსტიტუციურ პრინციპებს ეწინააღმდეგება და უზენაესი სასამართლოს მიერ გაუქმებულად ცხადდება.

### **რელიგიური საზოგადოების წევრობის უფლების დაცვა**

მეორე რჯულის წიგნი ხშირად საუბრობს ადამიანებში გამეფებული ბოროტებისაგან „განწმენდაზე“ (მაგალითად, განზრახ მკვლელობა, 2 რჯ. 19:13; ცრუ ჩვენება, 2 რჯ. 19:19; იხ. აგრეთვე 2 რჯ. 13:5, 17:7, 12, 21:9, 21, 22:21, 22, 24, 24:7). ამ კონცეფციის გაუღების ქვეშ ქრისტიანული ეკლესიის დისციპლინაც მოექცა. ყველაზე ადრეული ცნობები ეკლესიიდან წესების დამრღვევთა (ცოდვილთა) განდევნის შესახებ ეხება სისხლის აღრევით ქორწინებას ორ ქრისტიანს შორის კორინთში, საბერძნეთის ზღვისპირა ქალაქში, სადაც ჩვენი ნელთალ-რიცხვის I საუკუნის 50-იან წლებში პავლე მოციქული მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა. თავის პირველ წერილში კორინთელთა მიმართ პავლე მოციქული წერდა, რომ ქრისტიანებს არ უნდა მიემართათ რომის იმპერიის წარმართული სასამართლოებისათვის და ერთმანეთში არსებული უთანხმოებები ოჯახური სიყვარულის სულისკვეთებით მოეგვარებინათ. იმავე წერილში პავლე მოციქული წერდა, რომ ეკლესიამ განსაკუთრებული წესები უნდა დაანდოს ცოდვილ წყვილთა საზოგადოებისგან განცალკევებისათვის. ორივე, რომაული და ბიბლიური, სამართალი (2 რჯ. 22:20; 27:20; ლევ. 18:7-8) კრძალავდა მამაკაცსა და მის დედინაცვალს შორის ქორწინებას. პავლე მოციქული ისევე აღშფოთებულია იმით, თუ რა გულდამშვიდებით იწყნარებს მრევლი სისხლის აღრევას, როგორც თვით სისხლის აღრევის უკეთურობითა და უხამსობით. შემდგომ პავლე მოციქული შეუსაბამო საქციელის რამდენიმე კატეგორიას ჩამოთვლის, რომელიც, მისი აზრით, ეკლესიიდან განდევნას იმსახურებს.

*ბმა დადის საერთოდ, რომ სიძვაა თქვენში, თანაც ისეთი სიძვა, რომლის მსგავსი წარმართებშიც კი არ არის, რომ ვიდაცას მამის ცოლი ჰყავს. და თქვენ კიდევ ქედმაღლობთ იმის ნაცვლად, რომ გლოვობდეთ, რათა მოიკვეთოს თქვენგან ასეთი საქმის ჩამდენი... არამედ გწერთ თქვენ, რომ არ იქონიოთ კავშირი იმასთან, ვინც ძმად იწოდება, მაგრამ გარყვნილია, ან ხარბი, ან კერპთაყვანისმცემელი, ან მაგინებელი, ან ლოთი, ან მტაცებელი. ასეთთან არც კი ჭამოთ.*

*პირველი წერილი კორინთელთა მიმართ 5: 1-3, 11*



დღესდღეობით მხოლოდ რამდენიმე რელიგიური თემი იყენებს ეკლესიიდან განდევნას (ანათემას) ეკლესიური კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ. მაგრამ თუ ეკლესია წყვეტს, ასე მოიქცეს, უნდა ჰქონდეს თუ არა მას საეკლესიო დისციპლინის თავისუფლად აღსრულების უფლება მთავრობის ჩარევის გარეშე?

მათეს სახარებაში განხილულია საკითხი, როგორ უნდა ხდებოდეს საეკლესიო დისციპლინის აღსრულება. ცოდვილის საზოგადოებისგან ჩამოშორების პროცედურა სამი ნაბიჯისგან შედგება. პირველ რიგში დამრღვევს მისი საქციელი ცალკე უნდა განემარტოს, რადგან ცალკეულმა გაფრთხილებამ შესაძლოა სასურველი შედეგი მოიტანოს და პირი თემს საზოგადოებრივი გაკიცხვის გარეშე დაუბრუნდეს (იხ. იაკობ მოციქულის წერილი 5: 19-20: „ჩემო ძმებო და დებო, თუ რომელიმე თქვენგანი გადასცდება ჭეშმარიტებას და ვინმე მოაქცევს მას, იცოდეს, რომ ცდომილების გზიდან ცოდვილის მომქცევი სიკვდილისაგან იხსნის სულს და მრავალ ცოდვას დაფარავს“). თუ ამ გაფრთხილებამ შედეგი არ გამოიღო, მაშინ შემდეგი ნაბიჯი უნდა გადაიდგას. ამ შემთხვევაში პირის გამკიცხველს თან ორი მოწმე უნდა ახლდეს. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი დავის საზოგადოებაში ღიად გამოტანა, საზოგადოებაში, რომელიც პირის ეკლესიიდან განდევნის უფლებით სარგებლობს.

*ხოლო თუ შენი ძმა შესცოდავს, მიდი და ამხილე იგი, როცა მარტონი იქნებით. თუ გაგიგონებს, შეგიძენია შენი ძმა. ხოლო თუ არ გაგიგონებს, წაიყოლე კიდევ ერთი ან ორი სხვა, რათა ორი ან სამი მოწმის პირით დამტკიცდეს ყოველი სიტყვა. თუ არც მათ გაუგონებს, ეკლესიას უთხარი. თუ არც ეკლესიას გაუგონებს, მაშინ იყოს იგი შენთვის, როგორც წარმართი და მეზაჟე. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც დედამიწაზე შეკრავთ, ზეცაშიც შეკრული იქნება. ხოლო რასაც გახსნით დედამიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც. ასევე ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ორნი თქვენგან შეთანხმდებიან დედამიწაზე, ითხოვონ ნებისმიერი რამ, მიეცემათ მათ ჩემი მამისაგან, რომელიც ზეცაშია. ვინაიდან, სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქა ვარ მათ შორის.*

მათეს სახარება 18: 18-20

**საეკლესიო დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებული ცილისწამება.** მრავალი ეკლესია იცავს რელიგიურ ვალდებულებას, განწმინდოს საკუთარი მრევლი დოქტრინისა და წესების დამრღვევთაგან. როგორც ზემოთ ციტირებული ნაწყვეტებიდან ჩანს, ასეთი პრაქტიკის საკმაო საფუძველი ბიბლიაშია მოცემული. საქმეში კარტერი პაპინოს წინააღმდეგ<sup>165</sup> პირის ეკლესიიდან განდევნა და ეკლესიის შენობაში არშეშვება სასამართლომ რეაგირების გარეშე დატოვა. მეორე მხრივ, პენსილვანიის შტატის უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე, სადაც რობერტ ლ. ბეარის სარჩელი ეხებოდა ქამბერლენდის ოლქში მენონიტური რეფორმისტული ეკლესიის მიერ მის განდევნას და მრევლის მხრიდან მის იგნორირებას. ბეარი ამტკიცებდა, რომ მისი ოჯახი დანგრევის პირას იყო მისული, ვინაიდან მის ცოლსა და ბავშვებს არ შეეძლოთ მასთან სოციალური თუ ფიზიკური კონტაქტი დაემყარებინათ და მისი ბიზნესიც ნადგურდებოდა, რადგან მას არ შეეძლო მუშახელის დაქირავება, სესხის აღება და წარმოებული პროდუქციის გასაღება. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში აღმსარებლობის თავისუფლება ეკლესიისთვის საკმარის დამცავ არგუმენტს არ წარმოადგენდა.<sup>166</sup>

საქმეში მოილი ფრანცის წინააღმდეგ<sup>167</sup> სასამართლო გადაწყვეტილებით „საგუშაგო კომპიკის“ გამომცემელსა და იელოვას მოწმეების ლიდერებს ცილისწამებისთვის 15000 აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა. მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა ოლინ რ. მოილი, ადვოკატი, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღოდა მოწმეების ადრინდელ საკონსტიტუციო



სამართალწარმოებაში; მოპასუხე მხარეს კი ჰყიედნ კოვინგტონი წარმოადგენდა. 1939 წელს მოიღმა დიდი მოცულობის წერილი დაწერა, რომელშიც მოსამართლე რუთერფორდს აკრიტიკებდა. მოპასუხებმა „საგუშაგო კომპი“ გამოაქვეყნეს შეტყობინება, რომლის თანახმადაც მოილი აღარ წარმოადგენდა საზოგადოების წევრს „სამეფოსადმი არაერთგულეების“ გამო; და რომ იმ დროიდან მოილი ზიანს აყენებდა მათ, ვინც მას ენდობოდა, „ისევე, როგორც იუდამ დაამტკიცა საკუთარი არაერთგულეება იესო ქრისტეს მიმართ.“ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ „საგუშაგო კომპის“ მკითხველები არა მარტო მოწმეები, არამედ სხვა ადამიანებიც იყვნენ. პუბლიკაციის ასეთმა „მოცულობამ“ გააბათილა ცილისწამების ის „კვალიფიციური პრივილეგია“, რომლითაც მოწმეები, როგორც რელიგიური საზოგადოება, სარგებლობდნენ.

**სამღვდელოებაზე დაწესებული დისციპლინა.** ერისკაცების მსგავსად, სამღვდელოების წევრებიც არ არიან დაცულნი ცოდვის ჩადენისა და გადაცდომისგან. ცუდ ყოფაქცევაზე პასუხისმგებლობასა და საზოგადოების მხრიდან შესაბამისი „წამლობის“ საჭიროებასთან დაკავშირებული საკითხები დღესაც აქტუალურია. გავრცელებულ ნდობას იმის თაობაზე, რომ სამღვდელოების წევრები უმნიკვლონი არიან, უკანასკნელ წლებში განვითარებულმა ისტორიებმა საფუძველი მნიშვნელოვნად შეურყია. მაგალითად, ყოფილა სამღვდელოების წევრთა მხრიდან სექსუალური ყოფაქცევის ნორმების დარღვევის შემთხვევები.<sup>168</sup> კიდევ უფრო დიდი საშინელებაა, როდესაც სექსუალური ყოფაქცევის დარღვევის მსხვერპლი ბავშვი ხდება.<sup>169</sup>

ეკლესიებს უდავოდ გააჩნიათ დისციპლინური სანქციების გამოყენების უფლება სამღვდელოების დისციპლინის დამრღვევ წევრთა მიმართ, დოქტრინალურ საფუძველზე იქნება ეს თუ ეთიკურზე. თუმცა ამ სკანდალების დროს სამღვდელოების ზოგიერთმა წევრმა, რომლის წინააღმდეგაც სანქციები იყო მიღებული, შესაბამის ეკლესიებს ცილისწამებისთვის უჩივლა. ზოგიერთმა სასამართლომ უარყო ასეთი სარჩელები იმ მოტივით, რომ ასეთი საქმეების განხილვა რელიგიური საზოგადოების ავტონომიაში უხეში ჩარევა იქნებოდა.<sup>170</sup> სხვა სასამართლოები კი საწინააღმდეგო გადაწყვეტილებამდე მივიდნენ.<sup>171</sup>

**შეზღუდვები ეკლესიის უფლებაზე, გამოიყენოს დისციპლინური სანქციები ყოფილ წევრთა მიმართ.** ქრისტეს ეკლესიად წოდებულ რელიგიურ თემში „საძმოდან განკვეთის“ სახელწოდებით ცნობილი დისციპლინური პროცედურის შესრულება ხდება ადგილობრივი მრევლის სრული შემადგენლობის მონაწილეობით. როდესაც მრევლის წევრი ეკლესიის ქცევის კოდექსს არღვევს და მონაწილეობაზე უარს ამბობს, უხუცესნი მრევლის წინაშე საღმრთო წერილის იმ ადგილებს კითხულობენ, რომელიც დაირღვა. ამის შემდეგ მრევლი ართმევს გაკიცხულ პირს წევრობის უფლებას და უარს ამბობს ამ პირის შემდგომ თანდასწრებაზე. საქმეში გუინი კოლინვილის ქრისტეს ეკლესიის წინააღმდეგ<sup>172</sup> უხუცესებმა ჩვენების მიცემის დროს განაცხადეს, რომ ეს პროცესი ორ მიზანს ემსახურება: 1) წესების დამრღვევს მარტოობის გარემოს უქმნის და შედეგად მონაწილებისა და წევრებთან ხელახალი გაერთიანების სურვილს უჩენს; და 2) უზრუნველყოფს, რომ ეკლესია და მისი დანარჩენი წევრები წმინდა და უცოდველნი იქნებიან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ 205 000 აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა ერთ-ერთ ეკლესიას, რადგან იქ მოღვაწე სამმა უხუცესმა გარკვეული სანქციები მიიღო მოსარჩელის, მარტოხელა მშობლის წინააღმდეგ, რომელსაც ეკლესია ბრალს მრუშობაში სდებდა. მოსარჩელე ადგილობრივი მრევლის წინაშე საჯაროდ გამოაცხადეს მრუშად. როგორც დისციპლინური პროცედურის ნაწილი, იგივე ინფორმაცია ამ ქალბატონის მრუშობის შესახებ ოთხი სხვადასხვა ეკლესიის მრევლში გაავრცელეს. ეკლესიის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების მიუხედავად, ოკლაჰომას შტატის უზენაესმა სასამართლომ ჯარიმის გადახდა მაინც

მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვიტა. სასამართლოს თანახმად, „მოსარჩელემ თავის ნებით დათმო ეკლესიის წევრობა და ამით დაადასტურა საკუთარი სურვილი, აღარ მიეღო მონაწილეობა ეკლესიასთან დაკავშირებულ სულიერ ურთიერთობებში. უხუცესთა მიერ შემდგომ მიღებული დისციპლინური ზომები კი, რომლებიც მოსარჩელეს ეკლესიის ცხოვრებაში აქტიურ ჩაბმას გულისხმობდა, პირველი შესწორებით გათვალისწინებული დაცვის ფარგლებს სცილდება და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამის რეგულირებას მოითხოვს.“

## უცხოთა და ჩაგრულთა დახმარება

*მდგმურს ნუ შეავიწროვებ, ნუ დაჩაგრავ, რადგან თქვენც მდგმურები იყავით ეგვიპტელთა ქვეყანაში.*

გამოსვლათა 22:21

ბიბლიური სამართალი გვაგაღებულებს, უცხოელებსა და ჩვენს მინაზე დროებით მცხოვრებთ დახმარება აღმოუჩინოთ. მეორე რჯულიც მოგვინოდებს გვახსოვდეს ებრაელთა ეგვიპტური მონობა, როგორც მონებზე განსაკუთრებული ზრუნვის საფუძველი.

ამ ბიბლიურმა პასაჟებმა და გაეროს 1951 წლის კონვენციამ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, აგრეთვე 1967 წლის ოქმმა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, განაპირობა მრავალი რელიგიური საზოგადოების მცდელობა, შეეფარებინა ლტოლვილები გვატემალდიან და სალვადორიდან, როდესაც ამ ქვეყნებში დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა იყო. ამერიკის მთავრობის პოზიციის თანახმად, ეს ადამიანები არ იყვნენ პოლიტიკური დევნის ობიექტები, ისინი „ეკონომიკური მიგრანტები“ იყვნენ და, უბრალოდ, საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდნენ.

საქმეში *შეერთებული შტატები ელდერის წინააღმდეგ*<sup>173</sup> ჯონ ელდერს ბრალი დასდეს სამი სალვადორელის საზღვარზე უკანონოდ გადაყვანაში. ელდერი კათოლიკე იყო და ხელმძღვანელობდა ორგანიზაცია „კასა ოსკარ რომეროს“, რომელიც ქვეყნიდან გამოქცეულ სალვადორელებს იფარებდა. „კასა რომეროს“ დიდ დახმარებას უწევდნენ სხვადასხვა რელიგიური სექტები. ელდერს სჯეროდა, რომ სისასტიკეს გამოქცეული სალვადორელების დახმარებით თავის ქრისტიანულ მოვალეობას ასრულებდა. ამას ადგილობრივი ბაპტისტური, კათოლიკური, პრესბიტერიანული და სხვა ეკლესიების წინამძღვრებიც ქრისტიანული თანადგომის გამოხატულებად მიიჩნევდნენ.

საოლქო სასამართლოს მოსამართლის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, ელდერმა სასამართლოზე აჩვენა, რომ ის ქრისტიანულ მოვალეობას ასრულებდა, თუმცა მთავრობის უნიფიცირებული იმიგრაციის პოლიტიკა უფრო წონადი იყო ვიდრე ელდერის აღმსარებლობის თავისუფლება. შესაბამისად, მოსამართლემ უარი განაცხადა სისხლისსამართლებრივი ბრალდების უარყოფაზე. ელდერი უდანაშაულოდ ცნეს ნაფიცმა მსაჯულებმა.

აქვე შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ საქმე *შეერთებული შტატები აგილარის წინააღმდეგ*,<sup>174</sup> სადაც მოპასუხეები დამნაშავეებად ცნეს.

ასეთ საქმეებში აღმსარებლობის თავისუფლებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობა მთავრობისგან მოითხოვს სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესის ჩვენებას. ხელისუფლება ხშირად „უნიფიცირებული იმიგრაციის პოლიტიკას“ ან „ეროვნულ უსაფრთხოებას“ იშველიებს არგუმენტებად. მაგრამ საკითხავია, ემუქრება თუ არა ქვეყნის უსაფრთხოებას საფრთხე, როდესაც ეკლესია ცდილობს, დახმარება აღმოუჩინოს საომარ ვითარებას გამოქცეულ ლტოლვილებს? აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, რომ რელიგიური საზოგადოებების მიერ ცენტრალურ ამერიკაში არსებული ვითარების შეფასება ეფუძნება პირველად ცნობებს მათი წევრებისგან, რომლებიც იმ რეგიონში საქველმოქმედო საქმიანობას ეწევიან?! აქვს თუ არა მთავრობას უფლება, უარყოს ყველა საწინააღმდეგო აზრი ეროვნული უსაფრთხოების მოტივზე დაყრდნობით?

## მკურნალობა ლოცვითა და რწმენით

მარკოზი 16:17-18

„... მორწმუნეთაგან განუყრელნი იქნებიან ეს სასწაულნი: ... დაადებენ ხელს სნეულთ, და განიკურნებიან ისინი.“

იაკობისა 5:14-16

„ავადმყოფობს რომელიმე თქვენგანი? ეკლესიის ხუცესთ მოუხმოს, რათა ილოცონ მისთვის და ზეთი სცხონ უფლის სახელით. რწმენის ლოცვა იხსნის სნეულს, და აღადგენს მას უფალი; და თუ ცოდვები აქვს ჩადენილი, მიეტევება მას. აღიარეთ ერთმანეთის წინაშე თქვენი ცოდვები, და ილოცეთ ერთურთის გამო, რათა განიკურნოთ, ვინაიდან ბევრი რამ ძალუძს მართლის გულმოდგინე ლოცვას.“

საქმეში ხალხი კოულის წინააღმდეგ<sup>175</sup> ვილის ვერნონ კოულს ბრალი დასდეს არაკვალიფიციურ სამედიცინო საქმიანობაში. კოულის მხილებისთვის მას კლიენტი ეწვია, რომელიც სინამდვილეში ნიუ-იორკის სამედიცინო საზოგადოების გამომძიებელი იყო. კლიენტი ათი წლის განმავლობაში სათვალეს ატარებდა და კოული მას „მხედველობის განკურნებას“ დაჰპირდა. კოულმა კლიენტს სათვალე მოახსენევინა და ლოცვას შეუდგა; იგი იხსენებდა საკუთარ გამოცდილებას, როდესაც სათვალის მრავალწლიანი ტარების შემდეგ ის ლოცვის მეშვეობით განიკურნა. კოული ჩვენებაში მიუთითებდა, რომ მას განკურნების პირობა არ დაუდია, ის მხოლოდ ადამიანი იყო და განკურნება ღმერთს შეეძლო. მისი თქმით, კლიენტი მკურნალობას ხელს შეუწყობდა, თუ გათავისუფლდებოდა შიშის, შინაგანი წინააღმდეგობებისა და მცდარი აზრებისგან.

შესაბამისი სტატუტი სამედიცინო საქმიანობის განსაზღვრისას გულისხმობს ცალკეულ პირთა მიერ „დიაგნოზის დასმის, მკურნალობის, ოპერაციის ჩატარების ან რომელიმე დაავადებისთვის მედიკამენტების დანიშვნის“ აღკვეთას. სტატუტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ეს მუხლი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ის გავლენას ახდენს რაიმე სახის რელიგიურ საქმიანობაზე ან რომელიმე ეკლესიაზე. კოული „ქრისტიანული მეცნიერების“ ეკლესიის წევრი იყო და მის წესებს ასრულებდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ „ქრისტიანული მეცნიერების“ რწმენის სახელით მოღვაწეობა მხოლოდ არაკანონიერი სამედიცინო საქმიანობის შესანიღბად იყო გამოყენებული. სასამართლოზე განსხვავებული აზრი გამოთქვა მოსამართლე ბარლეტმა, რომელმაც უარყო საკანონმდებლო ორგანოს უფლება, დანაშაულად გამოაცხადოს დაავადების მკურნალობა ლოცვის საშუალებით.

დადგენილი ქვევის წესი სხვაგვარია, როცა საქმე გვაქვს ბავშვების მკურნალობასთან ლოცვის საშუალებით. საქმეში ხალხი პირსონის წინააღმდეგ<sup>176</sup> ლუთერ პირსონი ჩიკაგოს კათოლიკური ეკლესიის წევრი იყო. მას არ სწამდა ექიმების და სჯეროდა, რომ ავადმყოფობა ლოცვით განიკურნებოდა. მისი 16 წლის ქალიშვილი ყვიანახველით ავადმყოფობდა, შემდეგ პნევმონია გადაიტანა და გარდაიცვალა. მაშინაც კი, როდესაც გოგონას სიმპტომებმა „სახიფათო“ სახე მიიღო, პირსონმა ექიმი არ გამოიძახა და სჯეროდა, რომ ლოცვით შეძლებდა მის გადარჩენას. პირსონს ბრალი დასდეს შვილისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე განზრახ უარის თქმისთვის. მან დაიმონმა ნიუ-იორკის კონსტიტუციის აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა. სასამართლომ კი განაცხადა, რომ „ბუნებითი, ისევე როგორც საერთო სამართალი მშობელს აკისრებს ახალგაზრდაზე ზრუნვის მოვალეობას.“

კალიფორნიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსით, მშობელი დამნაშავედ ითვლება,

თუ ის შეგნებულად არ უზრუნველყოფს შვილს აუცილებელი სამოსით, საკვებით, თავშესაფრით ან სამედიცინო მომსახურებით.

1984 წელს კალიფორნიაში სამ სხვადასხვა საქმეში მშობლებს ბრალი დასდეს საკუთარი შვილების სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობაში, რადგან „ქრისტიანული მეცნიერების“ ეს მოღვაწეები ავადმყოფ შვილებს მხოლოდ ლოცვებით, ყოველგვარი სამედიცინო საშუალებების გარეშე მკურნალობდნენ. ამ საქმეებში პროკურორის პოზიცია ასეთი იყო: მკურნალობის დეფინიცია 270-ე მუხლის საფუძველზე არ კრძალავდა სამართლებრივ დევნას სისხლის სამართლის კოდექსის მკვლევლობის მუხლის მიხედვით.

არსებობს მასაჩუსეტსის შტატის სულიერი მკურნალობის სტატუტი, რომლის თანახმად, ბავშვს არ უნდა მოაკლდეს ფიზიკური მზრუნველობა მხოლოდ იმის გამო, რომ მას სულიერი საშუალებებით მკურნალობენ. საქმეში შტატი ტვიტჩელის წინააღმდეგ<sup>177</sup> დევიდ და ჯინჯერ ტვიტჩელები „ქრისტიანი მეცნიერები“ იყვნენ და სულიერი მეთოდებით მკურნალებისა სწამდათ. როდესაც მათი ორი წლის ვაჟი, რობინი მძიმედ დაავადდა, მშობლები თავიანთი შეხედულებების ერთგულნი დარჩნენ. რობინი ხუთ დღეში გარდაიცვალა და შტატმა მშობლებს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობაში დასდო ბრალი. სასამართლომ ისინი დამნაშავეებად ცნო. აპელაციაში ტვიტჩელები ზემოთ მოყვანილ სტატუტს იმონებდნენ, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას. სასამართლო მიუთითებდა, რომ მასაჩუსეტსის საერთო სამართალი მშობელს ავალდებულებდა მძიმე ავადმყოფისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. ამასთან, აღნიშნული სტატუტი არ ეხებოდა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას. სასამართლოს განცხადებით, 1975 წელს გენერალურმა პროკურორმა გამოსცა დასკვნა, რომლითაც უარყოფითი პასუხი გასცა კითხვაზე მოხდებოდა თუ არა იმ მშობლების სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლებმაც რელიგიური რწმენის ნიადაგზე უარი თქვეს შვილებისთვის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფაზე. სასამართლომ გააუქმა მშობელთა მსჯავრდება იმის საფუძველზე, რომ მათი პოზიცია კანონის ოფიციალურ ინტერპრეტაციას ემყარებოდა.

### **რწმენის გამოძიება**

საქმეებში, რომლებიც რელიგიური საქმიანობის რეგულირებას ეხება, ხშირად ისმის შეკითხვა ამა თუ იმ რელიგიური მრწამსის ნამდვილობასა და მისი გამოხატვის გულწრფელობაზე. მათი უმრავლესობა, სისხლის გადასხმასთან, პეიოტის<sup>178</sup> მოხმარებასთან, რწმენით განკურნებასთან დაკავშირებული საქმეების ჩათვლით, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც „რწმენის გამოძიება“.

მოძრაობა „მე ვარ“ თეოსოფიური რელიგიის ზოგად განსაზღვრებაში ექცევა. მისი დამფუძნებელი გაი ბალარდი, დაბადებული 1878 წელს, ამტკიცებდა, რომ კალიფორნიაში მდებარე მთა შასტაზე მას გამოეცხადა ახალგაზრდა მამაკაცი და შესთავაზა ჭიქა „ყოვლისშემძლე ცხოვრებისა“. ეს მამაკაცი მე-17 საუკუნის ოკულტისტი, „ამალღებული მოძღვარი“ სენ-ჟერმენ დე პრე იყო (მოკვდავი, რომელიც თითქოს სულად გადაიქცა და ადამიანებთან ურთიერთობდა). სწორედ მან მოუთხრო ბალარდს რეინკარნაციის შესახებ, ასტრალური ფრენით ამოგზაურა იგი თავის წარსულ სიცოცხლეებში და ასწავლა, როგორ უნდა დაეღწია თავი რეინკარნაციის უღლისგან ღმერთთან კონტაქტით. გაი ბალარდი 1939 წელს გარდაიცვალა.

მოგვიანებით გაი ბალარდის ცოლი, ედნა ბალარდი, და მათი შვილი დონალდი ფოსტის თაღლითურ გამოყენებაში ამხილეს. ბალარდებმა გააპროტესტეს ბრალდება. მათ განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ფაქტები სიმართლეს შეეფერებოდა, პირველი შესწორების საფუძველზე მათ გააჩნდათ იმუნიტეტი სამართლებრივი დევნისგან. საოლქო სასამართლომ უარყო ეს მოთხოვნა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ედნა ბალარდი ბრალეულად ცნო ფოსტის გამოყენებით შვიდჯერ, ხოლო მისი შვილი დონალდი – სამჯერ თაღლითური გეგმის განხორციელებაში.

## შეერთებული შტატები ბალარდის წინააღმდეგ<sup>179</sup>

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ბალარდები ფოსტის თაღლითური მიზნებით გამოყენებისათვის იქნენ მსჯავრდებულნი. კერძოდ, ისინი ყალბი პრეზენტაციებისა და დაპირებების მეშვეობით ცდილობდნენ წევრების მოძიებასა და შეყვანას მოძრაობაში „მე ვარ“. საქმეში თვრამეტი ყალბი პრეზენტაცია იყო წარმოდგენილი. მათი შინაარსი შემდეგი იყო: ან გარდაცვლილი გაი ბალარდი, იესო, ჯორჯ ვაშინგტონი და გოდფრი რაი კინგი შერჩეულ და დანიშნულ იქნენ „ღვთაებრივ მაცნეებად“ „ამალღებული მასწავლებლის“ სენ-ჟერმენის მიერ; ღვთაებრივი არსება სენ-ჟერმენის სიტყვები კაცობრიობას გადაეცემა გაი ბალარდის მედიუმის საშუალებით ... გაი, ედნა და დონალდ ბალარდებს თავიანთი ზებუნებრივი მიღწევების გამო აქვთ ნებისმიერი, მათ შორის განუკურნებელი, სენისგან ადამიანების განკურნების ძალა. შემდგომში კი აღნიშნული იყო, რომ ხსენებულმა პირებმა ათასობით დაავადებული ადამიანი განკურნეს.

ნაყენებული ბრალდების მიხედვით, ეს პრეზენტაციები მცდარი იყო და ბალარდები მიზნად ისახავდნენ მოტყუებული ადამიანების ფულის ან სხვა ქონებრივი ფასეულობების უკანონო მისაკუთრებას. პროცესის საწყის ეტაპზე გამოითქვა პროტესტი ბალარდების რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებული მტკიცებულებების დასაშვებობის მიმართ. სასამართლო მოეთათბირა ბრალდებულების ადვოკატს, ნაფიცი მსაჯულების დაუსწრებლად და ფედერალური პროკურორისა და ბალარდების თანხმობით მიაღწიეს შეთანხმებას, საქმის მოცემულ სტადიაზე განსახილველი საკითხი ბრალდებულთა კეთილსინდისიერებით შემოფარგლათ. სასამართლომ ნაფიც მსაჯულებს ორივე მხარის მოთხოვნის საფუძველზე ასეთი რჩევით მიმართა: „საქმეში წარმოდგენილია ბრალდებულების რამდენიმე განცხადება ღვთისა და ზებუნებრივი ძალის რწმენაზე. მათი სწავლება შესაძლოა მრავალ ადამიანს დაუჯერებლად მოეჩვენოს ... იგი სიმართლეს შეეფერება თუ არა, არ წარმოადგენს სასამართლოს და ნაფიც მსაჯულთა ინტერესის საგანს. სასამართლოს არ მიაჩნია არსებობდა ის, თუ რას ქადაგებდნენ ან ასწავლიდნენ ისინი. მათ არ მიეცემა შესაძლებლობა, სპეკულირება მოახდინონ თავიანთ პრეზენტაციებში წარმოდგენილი ფაქტების რეალურობით... აქედან გამომდინარე, ბრალდებულთა რელიგიური მრწამსი არ შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოს განხილვის საგანს. ძირითადი საკითხი მდგომარეობს შემდეგში: ბრალდებულებს გულწრფელად და კეთილსინდისიერად სჯერათ თუ არა მისი. თუ სჯერათ, ისინი გამართლებულ უნდა იქნენ. თუ არ სჯერათ, რომ იესო ან სენ-ჟერმენი დაეშვა დედამიწაზე, არ სჯერათ იმისი, რაც დაწერეს ან რასაც ქადაგებდნენ და საფოსტო გზავნილებს ფულის გაკეთების მიზნით იყენებდნენ, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ ბრალეულად უნდა ცნოს ისინი.“

სასამართლომ გაიმეორა აღნიშნული გაფრთხილება და უფრო დააკონკრეტა იგი: „ბრალდებულების კეთილსინდისიერების საკითხი გადამწყვეტია საქმეში. თქვენი ინტერესის საგანს არ უნდა წარმოადგენდეს მათი რელიგიური მრწამსი. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას მიეცემა სიტყვა იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, გულწრფელად და კეთილსინდისიერად სჯეროდათ თუ არა ბრალდებულებს ბრალდებაში წარმოდგენილი განცხადებებისა; გულწრფელად და კეთილსინდისიერად სჯეროდათ თუ არა, რომ მათ მიერ გაცხადებული სარგებელი იმ ადამიანებს გადაეცემოდა, რომლებიც გამოიყენებდნენ და დაემორჩილებოდნენ მათ სწავლებებს; თუ ეს პრეზენტაციები მხოლოდ ტყუილი იყო, ბრალდებულების, ან რომელიმე მათგანის მხრიდან გულწრფელი რწმენის გარეშე; იყო თუ არა პრეზენტაციები შედგენილი ფულის გაკეთების მიზნით და საფოსტო გზავნილებს ამ მიზნით იყენებდნენ თუ არა“.

როგორც აღვნიშნეთ, დაცვის მხარე დათანხმდა მსგავს მიდგომას და არ გაუპროტესტებია იგი პროცესის მიმდინარეობისას. თუმცა ახალი სასამართლო პროცესის წინ მათ აღიარეს,



რომ შეცდომა იყო მათი რელიგიური დოქტრინისა და რწმენის ჭეშმარიტების საკითხის განუხილველობა ნაფიცი მსაჯულების მიერ. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა მიღებული გადაწყვეტილება და ახალი მოსმენა დანიშნა. მისი შეხედულებით, შეცდომა იყო განხილვის საგნის შეზღუდვა მხოლოდ ბრალდებულების კეთილსინდისიერების საკითხით. სააპელაციო სასამართლოს განცხადებით, „იმის დასამტკიცებლად, რომ ბრალდებულმა შეიმუშავეს ბრალდებაში აღწერილი თაღლითური გეგმა, აუცილებელია დამტკიცდეს, რომ მათ შეიმუშავეს, სულ მცირე, ერთი პრეზენტაცია მაინც ... და რომ, სულ მცირე, ერთი პრეზენტაცია მაინც იყო მცდარი“.

მოსამართლე დუგლასის განცხადებით, რომელმაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაცხადა, სასამართლო არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ბრალდებულების რელიგიური დოქტრინისა და რწმენის ჭეშმარიტების საკითხი ნაფიცი მსაჯულებს უნდა განეხილათ: „კანონი არ იცნობს მწვალებლობას და მონოდებულის ხელი არ შეუწყოს არც ერთ ღოგმას, არც ერთი სექტის დანესებას“.<sup>180</sup> პირველ შესწორებას ორი მხარე აქვს. ერთი მხრივ, იგი „აღმოფხვრის კანონის საფუძველზე აღმსარებლობის ან ღვთისმსახურების ნებისმიერი ფორმის მიღების იძულებას“, მაგრამ ასევე „იცავს რელიგიის არჩეული ფორმის თავისუფლად აღმსარებლობის“.<sup>181</sup> „აქედან გამომდინარე, შესწორება ორ კონცეფციას მოიცავს: რწმენის თავისუფლებას და მოქმედების თავისუფლებას. პირველი აბსოლუტური ხასიათისაა, ხოლო მეორე, თავისი არსიდან გამომდინარე, არ შეიძლება იყოს ასეთი“.<sup>182</sup> აზრის თავისუფლება რწმენის თავისუფლებასაც მოიცავს და ფუნდამენტური მნიშვნელობისაა თავისუფალ ადამიანთა საზოგადოებაში. იგი მოიცავს სიცოცხლეზე, სიკვდილსა და მის შემდგომ ცხოვრებაზე იმ თეორიების შენარჩუნების უფლებას, რომლებიც ორთოდოქსული რწმენის მიმდევართა მხრიდან მწვალებლობად განიხილება. მწვალებლობასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები უცხოა კონსტიტუციისათვის. ადამიანებს უფლება აქვთ, სწამდეთ იმის, რისი დამტკიცებაც არ ხელენიფებათ. დაუშვებელია, მათ წაეყენოთ მოთხოვნა თავიანთი რელიგიური დოქტრინისა თუ რწმენის დამტკიცების თაობაზე. რელიგიური გამოცდილება, რომელიც ვილაციისთვის ცხოვრებასავით რეალურია, შესაძლოა წარმოუდგენელი იყოს სხვებისთვის. ის, რომ ისინი შეიძლება მოკვდავთა ხედვის არეალს სცილდებოდეს, სრულებით არ ნიშნავს, რომ კანონის წინაშე მათი ექვემდებარება უნდა მოხდეს. ბევრის რელიგიური მრწამსი ახალი აღთქმიდან გამომდინარეობს, თუმცა რთული წარმოსადგენია მათი გამოცდა ნაფიცი მსაჯულების წინაშე, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ, შეიცავს თუ არა ყალბ ცნობებს ეს სწავლება. ახალი აღთქმის სასწაულები, ქრისტეს ღვთაებრივი ხასიათი, სიცოცხლე სიკვდილის შემდგომ, ლოცვის სასწაულებრივი ძალა მრავალი ადამიანის ღრმა რელიგიურ რწმენას მიეკუთვნება. თუ ადამიანს იმ მოტივით დააპატიმრებენ, რომ ნაფიცი მსაჯულთა სასამართლომ ყალბად მიიჩნია მისი მრწამსის სწავლებანი, რელიგიის თავისუფლებისაგან აღარაფერი დარჩება. კონსტიტუციის საფუძველზე სახელმწიფოს ინტერესის სფეროდან გამოირიცხა ადამიანის დამოკიდებულება ღმერთისადმი. მას მიენიჭა ღვთისმსახურების უფლება თავისი სურვილისამებრ, ისევე, როგორც უფლება, არ უპასუხოს თავისი რელიგიური შეხედულებების ჭეშმარიტების შესახებ დასმულ შეკითხვებს. ბრალდებულების რელიგიური შეხედულებები შეიძლება ბევრს წარმოუდგენლად ან აბსურდულად მიაჩნდეს, მაგრამ, თუ ამ დოქტრინების სინამდვილისა თუ სიმცდარის საკითხი ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს განხილვის საგანი გახდება, იგივე შეიძლება დაემართოს ნებისმიერი სხვა ინდივიდის რელიგიურ მრწამსს. როდესაც მსაჯულები თავის თავზე იღებენ მსგავსი ამოცანის გადაწყვეტას, ისინი აკრძალულ სფეროში შედიან. პირველი შესწორება არ არჩევს განსაზღვრულ ჯგუფს თუ გარკვეულ რელიგიას განსაკუთრებული მოპყრობისათვის. ის ყველას ერთ მდგომარეობაში აყენებს. აქედან გამომდინარე,

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საოლქო სასამართლომ სწორად განსაჯა, როდესაც ნაფიც მსაჯულთა წინაშე განსახილველად არ დააყენა ბრალდებულების რელიგიური დოქტრინისა და რწმენის ჭეშმარიტებისა თუ სიყალბის საკითხი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმიდან გამომდინარე სხვა საკითხების განსახილველად საქმე ქვემდგომ სასამართლოს დაუბრუნა.

*უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, სტოუნის განსხვავებული აზრი*

მოსამართლე სტოუნის დასკვნის მიხედვით, იგი არ არის მზად, განაცხადოს, რომ რელიგიის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტია უზრუნველყოფს იმუნიტეტს განსაზღვრული რელიგიური გამოცდილების თაობაზე ყალბი განცხადებების გზით ფულის თაღლითური მოპოვებისათვის გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი დევნისაგან. მისი აზრით, თუ დღის წესრიგში დადგებოდა საკითხი იმის თაობაზე, ბრალდებული თავისი თაღლითური გეგმის ნაწილად იყენებდა თუ არა განცხადებას, თითქოს ფიზიკურად ხელი ჩამოართვა სენ-ჟერმენს სან-ფრანცისკოში და თავისი სულიერი ძალის წყალობით განკურნა ასობით დაავადებული ადამიანი, მოსამართლეს ეჭვიც არ ეპარება, რომ მთავრობა შეძლებდა, ნაფიცი მსაჯულების წინაშე წარედგინა მტკიცებულება, რომ ბრალდებული არასოდეს ყოფილა სან-ფრანცისკოში და არც ადამიანები განუკურნავს.

*მოსამართლე ჯექსონის განსხვავებული აზრი*

მოსამართლე ჯექსონი ბრალდებულების სწავლებას სრულ სიცრუეს უწოდებს. თუმცა იგი ამავე დროს აცხადებს, რომ ასეთი დასკვნა არ წარმოადგენს პასუხს კონსტიტუციურ შეკითხვაზე, ექვემდებარება თუ არა სამართლებრივ დევნას რელიგიური გამოცდილების ან რწმენის მცდარი პრევენტაცია, არამედ ხაზს უსვამს მსგავსი დევნის საფრთხეს.

მოსამართლის განცხადებით, მას ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება ერთმანეთისგან იქნეს იზოლირებული საკითხი იმის შესახებ, თუ რისი სჯერა ადამიანს და მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა არის დასაჯერებელი. ყველაზე დამაჯერებელი მტკიცებულება იმისა, რომ ადამიანს სჯერა თავისი განცხადებებისა, იქნება შესაბამისი პირის პრაქტიკაში მათი სინამდვილის დამტკიცება. აქედან გამომდინარე, ყველაზე კარგი საშუალება იმ პირის მხილებისა, რომელმაც წინასწარ განზრახულად გააკეთა მცდარი განცხადებები, არის იმის დამტკიცება, რომ არასოდეს მომხდარა ის, რაც მან განაცხადა. შესაბამისად, მოსამართლე სვამს კითხვას: „როგორ შეძლებს სახელმწიფო იმის დამტკიცებას, რომ ბრალდებულებისთვის ცნობილი იყო რაიმეს სიმცდარის შესახებ, რომლის სიმცდარესაც ვერ ამტკიცებს?“

მეორე მხრივ, მოსამართლის მტკიცებით, რელიგიაში ინტელექტუალური გულწრფელობის გამოკვლევა საფუძვლიან ფსიქოლოგიურ პრობლემებს წარმოქმნის. უილიამ ჯეიმსი, რომელსაც მეცნიერული ნაშრომები ეკუთვნის ამ სფეროში, აღნიშნავს, რომ რელიგიის მამოძრავებელ ძალას თეოლოგია და ცერემონიები არ წარმოადგენს. მისი სიცოცხლისუნარიანობა ადამიანების რელიგიური გამოცდილებით არის უზრუნველყოფილი. „თუკი ვიკითხავთ, რა არის ეს გამოცდილება, მას მიეკუთვნება საუბარი უხილავთან, ხმები და ხილვები, გათავისუფლება შიშისგან...“. მოსამართლე ჯექსონის მტკიცებით, თუკი რელიგიის თავისუფლება მოიცავს მსგავსი გამოცდილების სხვებისათვის გაზიარების უფლებას, მას შეუძლებლად მიანჩნია ნაფიცი მსაჯულების მიერ შეთხზულის გამიჯვნა რეალურისგან. მსგავსი გამოცდილება, ისევე როგორც ფერები და ხმები, არსებობს ერთისთვის და არა აუცილებლად სხვებისთვის. ჯექსონისთვის გაუგებარია, რელიგიური პრევენტაციისადმი სკეპტიციზმისა და ურწმუნოების რა დონე უნდა არსებობდეს, რომ გაუტოლდეს სამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის საკმარის თაღლითობას.

როგორც ჩანს, არსებობენ ადამიანები, რომლებიც სიმშვიდესა და სიმამაცეს ჰპოვებენ „მე ვარ“ კულტის სწავლებაში. თუკი სექტის წევრებს აკმაყოფილებთ „სენ-ჟერმენის“ ღვთაებრივი მითითებანი, ძნელია ეჭვის შეტანა იმაში, რომ ისინი არ იღებენ იმას, რისთვისაც იხდიან. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამაღლებული ღირებულებების ძიებაში არიან თავიანთი ერთფეროვანი ცხოვრების შესაცვლელად. ისინი მენტალურ დაბნეულობასა და მორალურ ანარქიაში ცხოვრობენ, ეძებენ ჭეშმარიტებას, სილამაზესა და მორალურ თანადგომას. ყოველივე ამის ცუდი მხარე, მოსამართლე ჯექსონის შეხედულებით, მდგომარეობს არა ფულში, არამედ იმ მორალურ და სულიერ სანამლავეში, რასაც ხსენებული ადამიანები იღებენ. თუმცა ეს სწორედ ის საკითხია, რომელიც კონსტიტუციამ პროკურორის ხელმისაწვდომობის ფარგლებს მიღმა დატოვა რელიგიისა და სიტყვის თავისუფლების საფასურად. აქედან გამომდინარე, ჯექსონმა თავის განსხვავებულ დასკვნაში ბრალდების უარყოფას დაუჭირა მხარი.

\* \* \*

შემდეგი საქმე შეეხება ამერიკელი რონ ჰაბარდის მიერ დაარსებულ საინტოლოგიის ეკლესიას. ჰაბარდმა გამოსცა ბროშურები სათაურით „დიანეტიკა“ – მისი მოძრაობის ცენტრალური რწმენისა და წესების ზოგადი მიმოხილვა. მთავრობა აკრიტიკებდა საინტოლოგია პრაქტიკაში არსებულ თერაპიულ მეთოდებს და მათ ყალბ მკურნალობად მიიჩნევდა.

### *საინტოლოგიის ფუძემდებელი ეკლესია შეერთებული შტატების წინააღმდეგ<sup>183</sup>*

#### *სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება*

„დიანეტიკის“ ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ფლობს როგორც რეაქციულ, ისე ანალიტიკურ გონებას. ანალიტიკური გონება უზენაეს კომპიუტერს წარმოადგენს. იგი უშეცდომოა და მას არ შეიძლება მიეწეროს ადამიანის არც ერთი მცდარი გადაწყვეტილება, რომელიც სოციალური პრობლემებისა და უფრო ინდივიდუალური ტანჯვის გამონვევასთან არის დაკავშირებული. ყველანაირი გართულება კავშირშია რეაქციულ გონებასთან, რომელიც „ენგრამებისგან“ შედგება. ისინი თავიანთ უარყოფით კვალს ტოვებენ ნერვულ სისტემაზე ტკივილისა და სტრესის დროს.

„დიანეტიკა“ არ წარმოადგენს მხოლოდ გონების აღწერილობას. ის პრაქტიკული მეცნიერებაა, რომელსაც შეუძლია განკურნოს ადამიანი მრავალი დაავადებისაგან. მის ძირითად მიზანს ადამიანის „განწმენდა“ და, შედეგად, რაციონალური და საიმედო ანალიტიკური გონების გათავისუფლება წარმოადგენს. „განწმენდისაკენ“ მიმართული სამუშაო პროცესი აღწერილია, როგორც „აუდიტი“.<sup>184</sup> პროცესი მოიცავს საუბარს აუდიტორთან, რომელიც წარუძღვება სუბიექტს (ადამიანს) ცხოვრებისეულ გზაზე, გზად „ენგრამების“ აღმოჩენითა და განადგურებით. იმის მიუხედავად, რომ აუდიტის ძირითად დანიშნულებას ადამიანის სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს, ფიზიკური ჯანმრთელობისათვის სარგებლის მოტანასაც ჰპირდება. ჰაბარდის მტკიცებით, ართრიტი, დერმატიტი, ასთმა, კორონარული სირთულეები, მხედველობის დაქვეითება, წყლული და სინუსიტი ფსიქოსომატური ხასიათისაა და განკურნებას ექვემდებარება.

„დიანეტიკის“ გამოჩენიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ, ჰაბარდმა საინტოლოგიის უფრო ფართო თეორიების ჩამოყალიბება დაიწყო. „დიანეტიკა“ საინტოლოგიის ერთ ნაწილად განიხილებოდა. ჰაბარდი თავისი რწმენის აღმოსავლურ რელიგიებთან, განსაკუთრებით ინდუიზმთან და ბუდიზმთან, გარკვეულ ნათესაურ კავშირებზე მიუთითებდა. მისი

მტკიცებით, ადამიანი თავისუფალ და უკვდავ სულს წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ჩასახლებულია შესაბამის ადამიანურ სხეულში. ჰაბარდმა განავითარა ფილოსოფიური თეორია, რომელიც სამყაროს განმარტავს როგორც „მსგავსების“, „ჭეშმარიტებისა“ და „კომუნიკაციის“ კავშირს.

თანდათანობით ჰაბარდის საინტელოგოგის მიმდევრებმა დაიწყეს ფორმალური რელიგიური ორგანიზაციების შექმნა. ვაშინგტონის საინტელოგოგის ფუძემდებელი ეკლესია (რომელიც ერთ-ერთ აპელანტს წარმოადგენს საქმეში) დარეგისტრირებულ იქნა კოლუმბიის ოლქში. სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, ამ ეკლესიისა და მასთან ასოცირებული ორგანიზაციების ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მნიშვნელოვანი თანხის გადახდის სანაცვლოდ (პროცესის მიმდინარეობისას გადასახდელი თანხა შეადგენდა 500\$-ს 24-საათიანი კურსისთვის) „აუდიტის“ ჩატარება საინტელოგოგით დანტერესებული ადამიანებისათვის. საინტელოგოგისათან ასოცირებული აკადემია კი აუდიტორებს ამზადებდა. აუდიტორებს სამუშაოს ეკლესია უნაზღაურებდა პირდაპირი გზით.

ჰაბარდის ელექტროფსიქომეტრი გადამწყვეტ, სულ მცირე, მნიშვნელოვან როლს თამაშობს აუდიტის პროცესში. ელექტროფსიქომეტრი სიცრუის დეტექტორის მსგავსი მოწყობილობაა. იგი იმ ემოციური რეაქციის დასაფიქსირებლად გამოიყენება, რომელიც აუდიტორის მიერ დასმულ შეკითხვებს მოსდევს. ამით ხდება პიროვნების მენტალური და სულიერი მდგომარეობის დიაგნოზის დასმა. ელექტროფსიქომეტრი 125\$-ად იყიდება და მისი რეკლამირება საინტელოგოგურ პუბლიკაციებში ხდება, რომელთა რაოდენობამ უკანასკნელ წლებში გიგანტურ მასშტაბებს მიაღწია (ყოველთვიური ჟურნალი სახელწოდებით *Ability*, რომლის მეასე ნომერიც დაიბეჭდა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, ჰაბარდის ორი წიგნი და სხვა მეცნიერული ნაშრომები, ბროშურები და ა. შ.). ამ ლიტერატურის დიდი ნაწილი სასამართლოს წინაშე მტკიცებულების სახით იქნა წარმოდგენილი, თუმცა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ელექტროფსიქომეტრის შესახებ ინფორმაცია გაკრიტიკებულია, როგორც „მცდარი და შეცდომაში შემყვანი“.

ბაბარდის საქმის რელიგვიანტურობა მოცემულ შემთხვევაში აშკარაა. აქ ელექტროფსიქომეტრი დაიგმო არა იმიტომ, რომ ზიანი მოჰქონდა, არამედ პრევენტაციების „სიმცდარის“ გამო. ამ პრევენტაციათა უმრავლესობას კი სწორედ საინტელოგოგთა ლიტერატურა შეიცავდა, როგორც რელიგიური დოქტრინის ცენტრალური ნაწილს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეხედულებით, თუკი მიღებული იქნებოდა აპელანტების მოთხოვნა ლიტერატურის რელიგიური სტატუსის თაობაზე, მაშინ დასკვნა მისი მცდარი ხასიათის შესახებ იქნებოდა დასკვნა საინტელოგოგთა რელიგიური დოქტრინების სიმცდარის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაუქმდა საოლქო სასამართლოს დადგენილება. მოსამართლე რაიტის განცხადებით, „ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება პრევენტაციათა მცდარი ხასიათის თაობაზე, დაფუძნებული საინტელოგოგის ეკლესიის „დოქტრინალურ რელიგიურ ლიტერატურაზე“, არ იქნა მხარდაჭერილი“.

\* \* \*

1982 წელს საინტელოგოგის ეკლესიის ყოფილმა წევრმა სამოქალაქო სარჩელით მიმართა სასამართლოს.<sup>185</sup> მისი მტკიცებით, იგი ეკლესიის წევრი „საინტელოგოგის მოძრაობის ბუნებისა“ და მისი დოქტრინის თაობაზე მცდარი პრევენტაციების წყალობით გახდა. მოსამართლე არტურ გარიტის მითითებით, „საინტელოგოგის ეკლესიად განხილვა სარჩელში წარმოდგენილ მტკიცებათა უარყოფის ტოლფასი იქნებოდა“. მან დანიშნა მოსმენა იმის გადასაწყვეტად, ეკლესია რელიგიას წარმოადგენდა თუ არა. საკითხი ეკლესიის სასარგებლოდ გადაწყდა.

## ტორკასო ვოტკინსის წინააღმდეგ<sup>186</sup>

### უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

მერილენდის კონსტიტუციის უფლებათა დეკლარაციის 37-ე მუხლის თანახმად: „დაუშვებელია რელიგიური ტესტის წაყენება ნებისმიერი ანაზღაურებადი თანამდებობის დაკავების ან საზოგადოებრივი ნდობის პირობად, გარდა ღმერთის არსებობაში რწმენის დეკლარირებისა“. მოსარჩელე თანამდებობაზე ნოტარიუსის ოფისში შტატის გუბერნატორის მიერ დაინიშნა, თუმცა კომისიამ უარი განუცხადა სამსახურის დაწყებაზე, ღმერთის არსებობაში რწმენის დეკლარირების მოთხოვნის შეუსრულებლობის მოტივით. ტორკასომ მიმართა მერილენდის საოლქო სასამართლოს იმის საფუძველზე, რომ შტატის მოთხოვნა რწმენის დეკლარირებაზე არღვევდა აშშ-ს კონსტიტუციის პირველ და მე-14 შესწორებებს. საოლქო სასამართლომ, რომლის გადაწყვეტილებაც სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა, უარყო მოსარჩელის მოთხოვნები ფედერალური კონსტიტუციის საფუძველზე. სასამართლომ განაცხადა, რომ შტატის კონსტიტუციური დებულება თვითაღსრულებადი იყო და თანამდებობის დასაკავებლად ღმერთის არსებობაში რწმენის დეკლარირებას „აღმასრულებელი“ კანონმდებლობის შემუშავების საჭიროების გარეშე მოითხოვდა.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, შტატს, ისევე როგორც ფედერალურ მთავრობას, არ შეუძლია, კონსტიტუციის საფუძველზე აიძულოს პიროვნება, ღიად განაცხადოს განსაზღვრული რელიგიისადმი რწმენის არსებობის ან არარსებობის შესახებ; არც იმ კანონების მიღება ან მოთხოვნების დაწესება შეუძლია კონსტიტუციის დაცვით, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა რელიგიის დახმარებას არამორწმუნეთა სანაღმდეგოდ ან მხოლოდ განსაზღვრულ რელიგიათა დახმარებას ღმერთის არსებობის რწმენის საფუძველზე.<sup>187</sup>

საჯარო თანამდებობის დაკავებაზე შტატის რელიგიური ტესტის მხარდაჭერისას მერილენდის უმაღლესმა სასამართლომ (სააპელაციო სასამართლო) განაცხადა:

*„მომჩივანს არავინ ავალდებულებს იწამოს ან არ იწამოს დასჯის ან სხვა იძულების საფუძველზე. სანამ იგი რწმენის დეკლარირებას არ მოახდენს, მას არ შეუძლია დაიკავოს საჯარო თანამდებობა, მაგრამ ამავე დროს მას არავინ აიძულებს, დაიკავოს საჯარო თანამდებობა.“*

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიხედვით ის, რომ პირს არავინ აიძულებს დაიკავოს საჯარო თანამდებობა, არ შეიძლება კონსტიტუციით აკრძალული და შტატის მიერ დაკისრებული კრიტერიუმის საფუძველზე თანამდებობის დაკავებისათვის უარის გამამართლებელ გარემოებად ჩაითვალოს; საჯარო თანამდებობის დაკავებაზე მერილენდის რელიგიური ტესტი კონსტიტუციის დარღვევით ხელყოფს აპელანტის უფლებას რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე. შესაბამისად, გაუქმებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

## ეკლესიის სტატუსის განსაზღვრა

თუკი დაუშვებელია რელიგიის ტესტის გამოყენება, არის თუ არა შესაძლებელი იმ რელიგიური სტატუსის დაქვემდებარება ტესტისადმი სამთავრობო კრიტერიუმის საფუძველზე, რომელიც არ გამოიყენება თავად რელიგიის მიერ? სწორედ ეს საკითხი იქნება განხილული მოცემულ პარაგრაფში. იმის გადასანწყევტად, ჰქონდა თუ არა განმცხადებელს სამხედრო სამსახურში განვევის კანონისმიერი გადავადების უფლება, რომელიც მინიჭებული ჰქონდათ სტუდენტებს, რომლებიც სასულიერო პირებად ემზადებოდნენ თეოლოგიურ ან საღვთისმეტყველო სკოლებში, ნიუ-იორკის გამწვევი სამსახურის დირექტორის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა თეოლოგიური კომისიები, ადგილობრივი გამწვევი საბჭოებისათვის კონსულტაციის განვეის მიზნით.



ირვინ ლევი 15 წლის იყო, როდესაც ბრუკლინის მესიფტას თალმუდურ სემინარიაში მიიღეს. იგი ცხრანლიანი სწავლების მესამე წელიწადზე იმყოფებოდა, როცა 18 წლის გახდა და ზოგადი წესის საფუძველზე დაექვემდებარა განწვევას სამხედრო სამსახურში. ნიუ-იორკში იუდაიზმის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლებისგან შემდგარმა საკონსულტაციო კომისიამ რეკომენდაცია გაუწია გამწვევ საბჭოს ირვინის მოთხოვნის უარყოფაზე. ირვინმა სასამართლოს მიმართა. იგი აცხადებდა, რომ კომისია პროტექციულ დამოკიდებულებას იჩენდა რეფორმირებული და კონსერვატიული იუდაიზმის მიმართ, ორთოდოქსული იუდაიზმისგან განსხვავებით, და მესიფტას 50-მდე ქვეშარიტი სემინარიიდან მხოლოდ ერთის სტუდენტებს აღიარებდა სამხედრო სამსახურის მოხდისგან გათავისუფლების ღირსად. საქმეში *ლევი კინის წინააღმდეგ*<sup>188</sup> ფედერალური საოლქო სასამართლოს მოსამართლე ჰენდის გადაწყვეტილებით საბჭომ უკანონოდ მოახდინა თავისი პასუხისმგებლობის დელეგირება კომისიაზე. შესაბამისად, ირვინ ლევი გათავისუფლებულ იქნა სამხედრო სამსახურისგან. ანალოგიური პოზიცია დაიკავა სასამართლომ საქმეში *შეერთებული შტატები სამუელის წინააღმდეგ*,<sup>189</sup> რომელიც მესიფტას სხვა ორ სტუდენტს შეეხებოდა. უზენაესმა სასამართლომ ერთხმად გააუქმა გამწვევი საბჭოს გადაწყვეტილება.

### *იგლსი სამუელის წინააღმდეგ*<sup>190</sup>

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ნიუ-იორკის ადგილობრივი გამწვევი საბჭოებისათვის კომპეტენტური კონსულტაციის განწვევის მიზნით შექმნილი თეოლოგიური კომისიებიდან ერთ-ერთი იუდაიზმის წარმომადგენლებისგან შედგებოდა. მას ევალეებოდა რჩევის მიცემა საბჭოებისათვის რაბინებისა და იმ სტუდენტების სამხედრო სამსახურში განწვევისგან გათავისუფლების თაობაზე, რომლებიც სასულიერო პირად გახდომისათვის ემზადებოდნენ.

1942 წლის მაისში სამუელსმა შეავსო ადგილობრივი გამწვევი კომისიის კითხვარი, სადაც მიუთითა, რომ უკვე ორი წლის განმავლობაში სწავლობდა უმაღლეს სასწავლებელში; იყო მესიფტას თეოლოგიური სემინარიის სტუდენტი და რაბინობისთვის ემზადებოდა; 1940 წლიდან მოყოლებული, მისი ძირითადი საქმიანობა რელიგიური მსახურება იყო; უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საფეიქრო კომპანიაში იყო დასაქმებული; და საქმიანობას, რომელიც ყველაზე მეტად მისადაგებოდა მის პიროვნებას, სულიერი ლიდერობა წარმოადგენდა.

1942 წლის აგვისტოში სამუელსი რეგისტრირებულ იქნა ადგილობრივი გამწვევი კომისიის მიერ. 1944 წლის მაისში მან გაიარა ფიზიკური შემოწმება და იგი სამხედრო სამსახურისათვის ვარგისად ცნეს. ამავე წლის ივნისში სამუელსი წარსდგა თეოლოგიური კომისიის წინაშე და განაცხადა, რომ იგი სემინარიის დამთავრებას 1954 წელს გეგმავდა, ხოლო 1939 წელს სასწავლებლის მიტოვება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამ აიძულა. ასევე ამტკიცებდა, რომ ორი წლის განმავლობაში რელიგიის მსახურად მუშაობდა.

კომისიის მოხსენების მიხედვით, სემინარია, სადაც სამუელსი სწავლობდა, არ ამზადებდა ახალგაზრდებს ექსკლუზიურად რაბინობისათვის; უზრუნველყოფილი იყო სპეციალური კლასები სტუდენტების სასულიერო მომზადებისათვის. მათზე დასწრება იმ სტუდენტებისთვისაც იყო შესაძლებელი, რომლებიც არ აპირებდნენ რაბინობას, მაგრამ სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდგომ რელიგიის სფეროში გეგმავდნენ საქმიანობის გაგრძელებას. აქედან გამომდინარე, კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო იმის გარკვევა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა მიზანს ემსახურებოდა განმცხადებლის მიერ სწავლების კურსის გავლა. ამ საკითხის გადასაწყვეტად, კომისიის შეხედულებით, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული სემინარიის ბუნება, სტუდენტის გულწრფელობა სწავლების მიზნების



გაცხადებისას და მისი ქცევა. კომისიის დასკვნით, სამუელსი „კეთილსინდისიერად არ ემზადებოდა რაზინის კარიერისათვის“.

რაც შეეხება უზენაეს სასამართლოს, მისი გადაწყვეტილებით, გამწვევ კომისიას არ მოუხდენია თავისი ფუნქციების დელეგირება კომისიაზე. არსებობდა მტკიცებულება, რომლითაც მხარდაჭერილი იყო საბჭოს ეჭვი სამუელსის კეთილსინდისიერების მიმართ: „შესაძლოა, განმცხადებელს თეოლოგიური სკოლის გამოყენება სურდა ომის განმავლობაში სამხედრო სამსახურისათვის თავის დასაღწევად“.

### *კოქსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ<sup>191</sup>*

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

მომჩივანი კოქსმა 1940 წლის 16 ოქტომბერს შეავსო გამწვევი საბჭოს კითხვარი, სადაც მიუთითა, რომ 22 წლის იყო და 1936 წლიდან სატვირთო მანქანის მძღოლად მუშაობდა. კოქსი მოითხოვდა მის კლასიფიცირებას სამხედრო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონედ. კოქსის მტკიცებით, იგი იელოვას მონმე გახდა 1942 წლის მარტიდან. თავდაპირველად საბჭომ უარყო მისი მოთხოვნა, მაგრამ იმავე წლის 12 ივნისს დააკმაყოფილა ის. ათი დღის შემდეგ განმცხადებელმა პირველად მოითხოვა სრული გათავისუფლება სამხედრო სამსახურის მოხდისაგან. მან განაცხადა, რომ თავისი რელიგიის სასულიერო პირი იყო. ადგილობრივმა საბჭომ უარი განაცხადა კოქსის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამ გადაწყვეტილებას სააპელაციო საბჭომაც დაუჭირა მხარი.

სასამართლო პროცესზე მომჩივანმა წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც შეიცავდა Watch Tower Bible and Track-ის საზოგადოების ორდინაციის სერტიფიკატს, რომლის მიხედვითაც კოქსი „სათანადო წესით კურთხეული სახარების ღვთისმსახური“ იყო და მისი „სრული სამუშაო დრო“ მისიონერულ საქმიანობას ეთმობოდა. ასევე წარმოდგენილ იქნა კოქსის ეკლესიის წინამძღვრის წერილობითი მტკიცებულება, რომლის თანახმად მოსარჩელე „რეგულარულად მუშაობდა სასულიერო პირად, კარდაკარ სიარულითა და ბიბლიური სწავლებისა და ბიბლიური საუბრების განხორციელებით“. კოქსის ჩვენების თანახმად, 1942 წლის 28 ოქტომბრიდან მას შეეძლო თვეში 150 საათი დაეთმო სასულიერო ვალდებულებების შესრულებისათვის სამოქალაქო სამუშაოს შესრულების გარეშე. 1944 წელს გამართულ სასამართლო პროცესზე კოქსის მიერ გაკეთებული განცხადებით, მის სასულიერო ვალდებულებებში შედიოდა კარდაკარ ქადაგება, დაკრძალვის ცერემონიის შესრულება და ბიბლიის სწავლება სახლებში. არ ყოფილა წარმოდგენილი 1942 წლიდან მოყოლებული კოქსის მიერ რელიგიური საქმიანობისათვის დათმობილი ჯამური დროის მტკიცებულება, არც მისი სამოქალაქო სამუშაოსა და მასზე დახარჯული დროის შესახებ ცნობები.

მეორე მომჩივანი, ტომპსონი ასევე 1940 წლის 16 ოქტომბერს იქნა რეგისტრირებული და მოითხოვდა გათავისუფლებას სასულიერო პირად ყოფნის საფუძველზე. ტომპსონის მიერ შევსებული კითხვარის მიხედვით იგი 30 წლის იყო; უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში უძღვებოდა გასტრონომულ მალაზიას; სასულიერო პირი იყო 1940 წლის აგვისტოდან. ადგილობრივმა საბჭომ ტომპსონი სამხედრო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონედ აღიარა. 1943 წელს ტომპსონმა საჩივარით მიმართა სააპელაციო საბჭოს თავისი, როგორც ღვთისმსახურის, მოვალეობების განმარტებით. იგი აცხადებდა, რომ, როგორც რელიგიური წიგნების დამრიგებელი, იმსახურებდა გათავისუფლებას ღვთისმსახური სასულიერო პირებისათვის გამონაკლისის დაშვების თაობაზე სამხედრო ბეგარის მარეგულირებელი წესების შესაბამისად.

სამხედრო მომზადებისა და ბეგარის შესახებ აქტის მე-5 ნაწილის მიხედვით, „რელიგიის რეგულარული და სათანადო წესით ორდინირებული სასულიერო პირები“ გათავისუფლე-

ბულ იქნებიან სამხედრო მომზადებისა და ბეგარისაგან. იელოვას მონმეების მიმართ მოცემული რეგულაციის გამოყენებაში გამწვევი საბჭოებისათვის დახმარების განწვევის მიზნით ნიუ-იორკის გამწვევი სამსახურის დირექტორმა გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, სადაც აღწერილი იყო ტესტი, რომლის საფუძველზეც უნდა გადაწყვეტილიყო, იმსახურებდნენ თუ არა გათავისუფლებას იელოვას მონმეები სასულიერო პირად ყოფნის ნიადაგზე. აქტის მიხედვით, „ის მონმეები, რომლებიც თავიანთ სრულ სამუშაო დროს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს რელიგიური დოქტრინების სწავლებას უთმობენ, ზოგადად გათავისუფლებულნი არიან“. აქტს თან ერთვის იმ მონმეების ჩამონათვალი, რომლებიც იმსახურებდნენ გათავისუფლებას. არც ერთი მომჩივანი იელოვას მონმე არ იყო მოხსენიებული ჩამონათვალიში. აქტის თანახმად, იელოვას იმ მონმეების კლასიფიცირების საკითხი, რომლებიც ჩამონათვალის მიღმა დარჩნენ და ორგანიზაციის ოფიციალური წოდებები გააჩნიათ, ადგილობრივი გამწვევი საბჭოების მიერ უნდა გადაწყდეს კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აქტის საფუძველზე გადამწყვეტ კრიტერიუმებს წარმოადგენს შემდეგი: „მიუძღვნეს თუ არა მათ თავიანთი ცხოვრება რელიგიური მრწამსის ხელშეწყობას; ასრულებენ თუ არა ისინი იმავე ფუნქციებს, რომლებსაც ზოგადად ახორციელებენ სხვა რელიგიათა რეგულარული ან სათანადო წესით ორდინირებული სასულიერო პირები; ისეთივე წესით განიხილებიან თუ არა იელოვას სხვა მონმეების მიერ, როგორც სხვა რელიგიათა რეგულარული და სათანადო წესით ორდინირებული სასულიერო პირები“.

ორივე შემთხვევაში უზენაესმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით მხარი დაუჭირა გამწვევი საბჭოების კლასიფიკაციას.

*მოსამართლე დუგლასის განსხვავებული აზრი,*

*რომელსაც შეუერთდა მოსამართლე ბლეკი*

მოსამართლე დუგლასის აზრით, საქმეში წარმოდგენილი ფაქტებით დასტურდება მომჩივანთა მიერ სასულიერო პირის სტატუსის ქონა. თითოეული მათგანი მნიშვნელოვან დროს უთმობდა რელიგიურ საქმიანობას, რაც მათი რწმენის ქადაგებაში გამოიხატებოდა. თუკი პიროვნება ჩართულია მსგავსი ტიპის საქმიანობაში, მისი მოტივები ნაკლებად მნიშვნელოვანია. დაუშვებელია სასულიერო პირად რეგისტრაციაზე უარის თქმა მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მოსარჩელე თავისი დროის მხოლოდ ნაწილს უთმობს რელიგიურ საქმიანობას.

*შეერთებული შტატები მუნის წინააღმდეგ*<sup>192</sup>

ეს საქმე შეეხებოდა უნიფიკაციის ეკლესიის ფუძემდებლის სან მიუნგ მუნის პასუხისმგებლობის საკითხს ჩეის მანჰეტენ ბანკში თავის სახელზე შეტანილი დიდი ოდენობის თანხაზე (1,7 მილიონი დოლარი 3 წლის განმავლობაში) პროცენტული შემოსავლისათვის გათვალისწინებული გადასახადის გადაუხდელობისათვის. მრავალი რელიგიური ლიდერი საკუთარ სახელზე ინახავს რელიგიური საზოგადოების მიზნებისათვის გამოსაყენებელ ქონებას. რამდენიმე შტატის (კალიფორნია, ილინოისი, ნიუ-იორკი) მიერ მიღებულ იქნა კანონები ერთპიროვნული კორპორაციის თაობაზე, რომლებითაც სანქცირებულია იერარქიული ტიპის (როგორცაა კათოლიკური ეპარქია) ეკლესიათა საკუთრების ფლობა ადგილობრივი ეპისკოპოსის სახელზე.

საოლქო სასამართლოს მოსამართლემ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას შემდეგი ინსტრუქცია წარუდგინა: „თუ აღმოაჩენთ, რომ მუნის ანგარიშებზე არსებული თანხები უნიფიკაციის საერთაშორისო ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენს; ან მუნი მათ ფლობდა მინდობილი საკუთრების სახით საერთაშორისო უნიფიკაციური ეკლესიისათვის და გამოიყენა ეკლესიის მიზნებისათვის; და თუ აღნიშნული თანხების პროცენტები უნიფიკაციის საერთაშორისო ეკლესიასაც ეკუთვნის და მის მიერ იქნა გამოყენებული, მაშინ ეს პროცენტები არ ჩაითვლება

მუნის მიერ გადასახდელ დასაბეგრ შემოსავლად". მუნმა გააპროტესტა ინსტრუქცია და განაცხადა, რომ თუ მან საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენა სადავო თანხები, ეს, თავისთავად, მინდობილი საკუთრებითი ურთიერთობის არარსებობაზე მიანიშნებდა.

მუნი მსჯავრდებულ იქნა ფედერალური საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის სიყალბის გამო და მიესაჯა 18 თვით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლო<sup>193</sup> გადაწყვეტილების გასაჩივრებისას მუნი ამტკიცებდა, რომ დაირღვა კონსტიტუციის პირველი შესწორება, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლომ არ მიუთითა ნაფიც მსაჯულებს, რომ ამ უკანასკნელთ საბოლოოდ უნდა მიეჩნიათ უნიფიკაციური ეკლესიის დეფინიცია ეკლესიის რელიგიური მიზნის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ უარყო მუნის არგუმენტები.

#### *მოსამართლე ოუქსის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი*

მოსამართლე ოუქსმა დააფიქსირა სასამართლო შემადგენლობის უმრავლესობისგან ნაწილობრივ განსხვავებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც გადამწყვეტ საკითხს წარმოადგენდა, მუნის სახელზე არსებული ანგარიშები ეკლესიის საკუთრება იყო თუ ბრალდებულის პერსონალური საკუთრება. მისი აზრით, ეს საქმე არ ეხებოდა ორდინარულ საერო გადასახადების გადამხდელს, რომელიც განსაზღვრულ აქტივებს ფლობდა სხვის სასარგებლოდ მინდობილი საკუთრების სახით. ამ შემთხვევაში გადასახადების გადამხდელი იყო მსოფლიო მასშტაბით არსებული მოძრაობის ფუძემდებელი და ლიდერი, ამიტომ საკითხი იმის თაობაზე მუნის სახელზე არსებული თანხებიდან მიღებული სარგებელი ეკლესიას ეკუთვნოდა თუ თვით ბრალდებულს, არ იყო ისეთი ცხადი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლებოდა გამოჩენილიყო.

რელიგიურ საქმიანობაში ჩართული ინდივიდის მიერ გამოსაყენებლად გადაცემული თანხები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საჩუქარი იმ რელიგიური ორგანიზაციისათვის, რომელთანაც ამ პიროვნებას მჭიდრო კავშირი აქვს. როგორც საქმიდან ჩანს, ამ თანხებმა მუნამდე ძირითადად ეკლესიის წევრების წყალობით მიაღწია და არსებობდა გარკვეული მტკიცებულება, რომ დონორები გეგმავდნენ მსჯავრდებულის მიერ მათ გამოყენებას რელიგიური მიზნებისათვის.

სასამართლოს მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის ინსტრუქციის მიცემისას, რომ ამ უკანასკნელთ უნდა განეხილათ ყველა მტკიცებულება იმის გასარკვევად, არსებობდა თუ არა უნიფიკაციური ეკლესიის მოძრაობა და ვის ეკუთვნოდა მუნის სახელზე არსებული ანგარიშები, სასამართლომ რვა ფაქტორზე გაამახვილა ყურადღება. ჩამონათვალში მოცემული, თუმცა არა ხაზგასმული, იყო „იმ პირთა განზრახვა, რომლებმაც მუნის სახელზე მოახდინეს თანხების ტრანსფერი“. ამ ფაქტორის უბრალო მოხსენიების ნაცვლად, მოსამართლე ოუქსის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა ერჩია ნაფიცი მსაჯულებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭებინათ მისთვის. დონორების განზრახვისათვის ნათელის მოფენა ეკლესიის შემოსავლის წყაროსა და მუნის, როგორც რელიგიური ლიდერის, როლის გარკვევას შეეძლო. სწორედ ამ საკითხებზე უნდა მომხდარიყო, ოუქსის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა ყურადღების კონცენტრირება. სასამართლოს მიერ მიცემული ინსტრუქცია შესაძლებლობას აძლევდა ნაფიც მსაჯულთა ყიურის, ბენეფიციური საკუთრების საკითხი მუნის საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა დონორების განზრახვის გარკვევის გარეშე.

საკუთრების არამიზნობრივი გამოყენებისადმი მიძღვნილი სასამართლო ინსტრუქცია ასევე გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. სამართლებრივი კუთხით მინდობილი მესაკუთრე, რომელიც პირადი სარგებლობისათვის მიმართავს მინდობილ საკუთრებას, ექვემდებარება დაბეგრას მიმდობი მესაკუთრის მითითებებიდან გადახვევის ზომამდე, თუმცა წაყენებული ბრალდება არ ითვალისწინებდა მსგავს ვითარებას. აქედან გამომდინარე, მინდობილი თანხის არამიზნობრივი გამოყენების საკითხი ბრალდების მხარისათვის არარელევანტური იყო მოცემულ საქმეში.

ოუქსის მტკიცებით, მინდობილი საკუთრება შეიძლება მაშინაც არსებობდეს, როცა მინდობილ მესაკუთრეს შეუძლია, საკუთარი სარგებლისათვის გამოიყენოს თანხის (მინდობილი საკუთრების) ნაწილი, და ეს ქმედება არ გამოიწვევს მინდობილი საკუთრების გაუქმებას. ეს განსაკუთრებით შეესაბამება რელიგიური ლიდერის მიერ თანხების ფლობის შემთხვევას, ვინაიდან მისი საცხოვრებელი ხარჯების ანაზღაურებაც ეკლესიის რელიგიური მიზნების ფარგლებში ექცევა.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, მოსამართლე ოუქსის შეხედულებით, სასამართლოს ინსტრუქცია მუნს აკისრებდა მტკიცების ტვირთს ბენეფიციური საკუთრების მიმართ. ხსენებული ინსტრუქციის თანახმად, თუ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა გამოიტანდა დასკვნას, რომ „სადავო თანხები უნიფიკაციის საერთაშორისო ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა, ან ბრალდებული მათ ფლობდა მინდობილი საკუთრების სახით ეკლესიის სასარგებლოდ, მაშინ დარიცხული პროცენტები არ დაექვემდებარებოდა დაბეგვრას საშემოსავლო გადასახადით“. ინსტრუქციიდან გამომდინარე, სწორედ მუნს უნდა დაერწმუნებინა ნაფიც მსაჯულთა ჟიური, რომ საკუთრება მოძრაობას ეკუთვნოდა.

მუნმა მიმართა აშშ-ს უზენაეს სასამართლოს ქვედა ინსტანციიდან საქმის გამოთხოვის მოთხოვნით. მის პეტიციას 40-მდე ორგანიზაცია და ინდივიდი უჭერდა მხარს. უზენაესმა სასამართლომ უარყო შუამდგომლობა. მუნმა წელიწად-ნახევარი გაატარა ციხეში.

## უფლება საეკლესიო საკუთრებაზე

**კომუნისტების მიერ კონტროლირებული ეკლესიები.** რუსეთის ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლასთან ერთად სრულიად რუსეთის პატრიარქი ტიხონ ბელიაინი გადაყენებულ იქნა კომუნისტების კეთილგანწყობით მოსარგებლე სქიზმატური ჯგუფის, „ობნოვლენცების“, ანუ „განმაახლებლების“ მიერ. ჩრდილოეთ ამერიკის არქივისკოპოსად ტიხონის მიერ დანიშნული იყო პლატონ როცტვენსკი, „ობნოვლენცებმა“ კი ჯონ კედროვსკი დანიშნეს აღნიშნულ თანამდებობაზე (იმის მიუხედავად, რომ იგი ქორწინებაში იმყოფებოდა, რაც კანონიკურად შეუსაბამო იყო ეპისკოპოსის ხარისხთან). 1923 წლის 7 ნოემბერს კედროვსკი ეწვია ნიუ-იორკში არსებულ წმინდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძარს და განაცხადა, რომ მოვიდა „რუსეთის ეკლესიის საკუთრების სამართავად“, როგორც საბჭოთა ეკლესიის წარმომადგენელი. ამის საპასუხოდ პლატონმა ჩრდილოეთ ამერიკის სასულიერო პირთა კრება მოიწვია. კრებამ გამოიტანა დასკვნა, რომ რუსეთის საპატრიარქო კომუნისტების იძულების ქვეშ იმყოფებოდა. კრება დაეყრდნო ტიხონის 1920 წლის დადგენილებას, რომელიც საპატრიარქოს საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში არქივისკოპოსთა ეპარქიებს ადგილობრივ დონეზე ორგანიზების უფლებამოსილებას ანიჭებდა „უზენაესი საეკლესიო ხელისუფლების უფლებამოსილების აღდგენამდე“. დეტროიტის საეკლესიო კრებამ პლატონი აღიარა არქივისკოპოსად. ამის მიუხედავად, ნიუ-იორკის სასამართლოებმა „ობნოვლენცები“ აღიარეს რუსეთის ეკლესიად და კედროვსკის გადასცეს საკუთრება წმინდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძარზე. ამერიკაში არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიათა უდიდესი ნაწილის ხელმძღვანელობა გადაეცათ სამეურვეო საბჭოებს პლატონის თავმჯდომარეობით. შესაბამისად, მათ თავი დააღწიეს კედროვსკის.

სასამართლო სამართალწარმოება 1945 წელს განახლდა. ამ დროისათვის კედროვსკი გარდაცვლილი იყო და საკათედრო ტაძარი მემკვიდრეობით ერგო მის შვილს, ჯონ კედროვს, „ობნოვლენცების“ ეკლესიამ კი დაკარგა საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერა და შეწყვიტა არსებობა. აშშ-ში მიღებულ იქნა კანონი რელიგიური საზოგადოების შესახებ, რომლის საფუძველზეც ჩრდილოეთ ამერიკის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ცნობილ იქნა რუსეთის რევოლუციამდე მართლმადიდებელი ეკლესიის მფლობელობაში არსებული ქონების კანონიერ მესაკუთრედ. ამერიკულმა ჯგუფმა მიმართა სასამართლოს საკათედრო ტაძარზე საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნით.

კედროფი ჩრდილოეთ ამერიკის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძრის წინააღმდეგ<sup>790</sup>

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ვინაიდან ჯონ კედროფი სამართლებრივად არ იყო უფლებამოსილი, მოსარჩელის სტატუსით ესარგებლა, მან სასამართლოში სარჩელი საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერით მოსარგებლე („ობნოვლენცების“ შემდგომ) რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის *de facto* ლიდერის, მიტროპოლიტ სერგი სტარგოროდსკის გადანყვეტილებით პლატონის ნაცვლად ჩრდილოეთ ამერიკის არქიეპისკოპოსად დანიშნული ბენიამინ ფედჩენკოვის სახელით შეიტანა. იგი თავის უფლებას ასაბუთებდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის დროებითი შემცვლელისა და წმინდა სინოდის გადანყვეტილებით, რომლის მიხედვითაც ფედჩენკოვი ჩრდილოეთ ამერიკისა და ალექსიის კუნძულების ეპარქიის არქიეპისკოპოსად დანიშნა.

თავის დროზე რუსეთში მომხდარი გადატრიალება ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიაზეც აისახა. საბჭოთა რევოლუციამდე ეს უკანასკნელი აღიარებდა მოსკოვის სულიერ და ადმინისტრაციულ კონტროლს. ბევრმა რუსმა რევოლუციისგან თავშესაფარი სწორედ ამერიკაში ჰპოვა, რაც თავისთავად აძლიერებდა აშშ-ში მცხოვრები რუსი მართლმადიდებლების უარყოფით დამოკიდებულებას რუსეთის ახალი ხელისუფლებისადმი. რუსული ორომტრიალი, რელიგიური საქმიანობის შეზღუდვა და ეკლესიური იერარქიის ევოლუცია („ობნოვლენცების“ ხელში გადასვლა) მრავალი სასულიერი პირის მიერ არაკანონიკურად და მწვალებლურად იქნა მიჩნეული. ამან კიდევ უფრო რთული გახადა რუსეთიდან ამერიკული ეპარქიის მართვა. ყოველივე ამას პატრიარქ ტიხონის გადანყვეტილება დამატა, რომელიც შეეხებოდა ეკლესიის მართვას რთულ პერიოდში. ამ გადანყვეტილებით ამერიკის ეპარქიას ფართო ავტონომია ენიჭებოდა, თუ რუსეთის მმართველი ხელმძღვანელობა ვერ შეძლებდა ფუნქციონირებას. რუსული ეკლესიის ამერიკაში დაბადებული წევრების რაოდენობის ზრდის ტენდენციამ ასევე დალი დაასვა ამერიკული ეპარქიის იდენტიფიკაციას რუსეთის იერარქიისადმი. ხსენებულმა ფაქტებმა ამერიკაში სეპარატისტული მოძრაობის წარმოქმნა გამოიწვია.

1945 წლის 16 თებერვალს ამერიკაში არსებულმა რუსულმა ეკლესიამ მიიღო მითითება, რომელიც რუსულ მართლმადიდებელ დედა ეკლესიასთან გაერთიანებას მოითხოვდა. აღნიშნული „უკაზით“, ამერიკულ მართლმადიდებელ ეკლესიას თავი უნდა შეეკავებინა „საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პოლიტიკური საქმიანობისგან“, ხოლო არქიეპისკოპოსის კურთხევა მოსკოვის პატრიარქის მიერ უნდა მომხდარიყო. ამის საპასუხოდ ამერიკულმა მართლმადიდებელმა საზოგადოებებმა მთლიანად განყვეტიეს ურთიერთობა საზღვარგარეთ მოქმედ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებთან, გარდა „სულიერი და ძმური ურთიერთობისა“. ამით დასრულდა რუსულ დედა ეკლესიასა და მის ამერიკულ შთამომავალს შორის დავის მოგვარების ბოლო მცდელობა. დავამ სასამართლოში გადაინაცვლა.

**კანონი რელიგიური საზოგადოების შესახებ.** ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ თავის გადანყვეტილებას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობის მიერ დანიშნული არქიეპისკოპოსის, ბენიამინის აღიარებაზე უარის თაობაზე საფუძვლად დაუდო რელიგიურ საზოგადოებათა აქტის მე-5 მუხლის (ვ) პუნქტი. სავარაუდოდ, შტატის საკანონმდებლო ორგანოს, კონგრესის მსგავსად, კარგად ჰქონდა შესწავლილი საკითხი. მას კარგად მოეხსენებოდა, რომ რევოლუციის შემდგომ განხორციელდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რეპრესირება. საპატრიარქო შემდგომში აღდგენილ იქნა კომუნისტების მიერ, თუმცა საკანონმდებლო ხელისუფლებას კარგად მოეხსენებოდა მისი სტატუსი არსებულ საბჭოთა წყობილებაში. ასევე კარგად იყო მისთვის ცნობილი, რომ ჩრდილოეთ ამერიკის ეკლესიამ საბჭოთა ზეგავლენისგან თავის დაღწევის მიზნით გამოაცხადა ავტონომია პატ-



რიარქ ტიხონის 1920 წლის დადგენილების საფუძველზე. არსებობდა რეალური საფრთხე, რომ ის საეკლესიო ქონება და შემოსავლები, რომლებითაც მართლმადიდებელი ღვთისმსახურები სარგებლობდნენ, ხელში ჩაეგდოთ საპატრიარქოს წარმომადგენლებს. ზემოთ მოყვანილი ფაქტების საფუძველზე შტატის საკანონმდებლო ორგანომ მიიჩნია, რომ მოსკოვის საპატრიარქოს აღარ გააჩნდა ჭეშმარიტ რელიგიურ ორგანიზაციად მოქმედების შესაძლებლობა და საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების ფარულ იარაღს წარმოადგენდა. უზენაესი სასამართლოს განცხადებით, რა თქმა უნდა, საკანონმდებლო ხელისუფლებას შეუძლია თავისუფლად იმოქმედოს აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, მაგრამ არ არის უფლებამოსილი, მიიღოს კანონი, რომელიც კონსტიტუციით აკრძალულ ქმედებას აკანონებს. უზენაესი სასამართლოს შეხედულებით, ზემოხსენებული კანონი სცილდება კონსტიტუციურ საზღვრებს. რელიგიურ საზოგადოებათა აქტის მე-5 მუხლის ც) პუნქტით განხორციელდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ნიუ-იორკის ეკლესიათა კონტროლის გადაცემა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ცენტრალური მმართველი იერარქიიდან (პატრიარქი და წმინდა სინოდი) ამერიკაში რუსული ეკლესიის (ეკლესიის, რომელიც შეზღუდულია ჩრდილოეთ ამერიკისა და ალექსანდრე პოპოვის ეპარქიით) ხელმძღვანელობაზე. ეს კანონი, სასამართლოს პოზიციით, არღვევს მე-14 შესწორებას; იგი ხელს უშლის რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობას; კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ეკლესიის მართვას, ეკლესიათა მოქმედებას, სასულიერო პირთა დანიშვნას 1937 წელს ნიუ-იორკში ჩატარებულ საეკლესიო კრებაზე მიღებული სტატუტებისადმი შესაბამისობის მოთხოვნით, უსამართლოდ ზღუდავს აღმსარებლობის თავისუფლებას.

რელიგიურ საზოგადოებათა აქტის მე-5 მუხლის ც) პუნქტის მხარდაჭერისას სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ იგი მხოლოდ შესაძლებლობას აძლევდა საკათედრო ტაძრის მმართველებს, გამოეყენებინათ იგი ამერიკაში რუსეთის ეკლესიის წევრების სურვილების შესაბამისი მსახურებისათვის. თუმცა მან რეალურად, უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, ეკლესიის ერთი ადმინისტრაცია მეორეთი შეცვალა; შესაბამისად, პირველი შესწორების პრინციპების საწინააღმდეგოდ გამოიყენა სახელმწიფო ძალაუფლება ეკლესიის ერთი სემინტიისათვის სარგებლის მინიჭების სახით.

აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს დადგენილება და საქმე ქვემდგომ სასამართლოს დაუბრუნდა ხელახლა განსახილველად.

*პრესბიტერიანული ეკლესია შეერთებულ შტატებში მერი ელიზაბეტ ბლუს მემორიალური პრესბიტერიანული ეკლესიის წინააღმდეგ<sup>194</sup>*

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

აღნიშნულ საქმეში წარმოდგენილია ქონებრივი დავა, რომელიც წარმოიშვა ეკლესიის ძირითადი იერარქიული ორგანიზაციიდან ორი ადგილობრივი ეკლესიის გამოსვლის მცდელობის შედეგად. ჯორჯიის შტატის კანონმდებლობის მიხედვით, ადგილობრივი ეკლესიების სარგებლობაში მყოფ ქონებაზე საკუთრების უფლების საკითხის გადასაწყვეტად საერო სასამართლოს უნდა გაერკვია, განაცხადა თუ არა უარი ძირითადმა ეკლესიამ რელიგიისა და მისი გამოხატვის იმ დოქტრინაზე, რომელსაც ემხრობოდა მაშინ, როდესაც ადგილობრივი ეკლესიები მას შეუერთდნენ. უმნიშვნელოვანესი საკითხი, რაც ამ საქმეში იკვეთება, მდგომარეობს იმაში, ანიჭებს თუ არა პირველი შესწორება საერო სასამართლოს უფლებას, საეკლესიო ქონების მიკუთვნების თაობაზე გადაწყვეტილება გამოიტანოს ეკლესიის დოქტრინის საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე.



ამ საქმეში წარმოდგენილი მომჩივანი, ამერიკის პრესბიტერიანული ეკლესია ადგილობრივი პრესბიტერიანული ეკლესიების გაერთიანებაა. იგი იმართება ტრიბუნალებისაგან შემდგარი იერარქიული სტრუქტურის მეშვეობით, რომლის უმაღლეს ორგანოს გენერალური ასამბლეა წარმოადგენს.

1966 წელს ადგილობრივმა ეკლესიებმა ჩათვალეს, რომ ძირითადი ეკლესიის ქმედებანი და განცხადებები ეწინააღმდეგებოდა ორგანიზაციის კონსტიტუციასა და იმ რელიგიურ დოქტრინას, რომელიც აღიარებული იყო გაერთიანების პერიოდში და მხარი დაუჭირეს ძირითადი ეკლესიური ორგანიზაციიდან გამოყოფასა და ადგილობრივი ეკლესიების ავტონომიურ პრესბიტერიანულ ორგანიზაციებად ჩამოყალიბებას. მოპასუხე ეკლესიების წინამძღვრებმა, ისევე როგორც უმრავლესობამ, უარი განაცხადეს ძირითადი ეკლესიის იურისდიქციისადმი დამორჩილებაზე. თავის მხრივ, ძირითადმა ეკლესიამ სავანის პრესბიტერიაში შექმნა ადმინისტრაციული კომისია შერიგების მიღწევის მიზნით, თუმცა ადგილობრივმა საეკლესიო ხელმძღვანელობამ მტკიცე პოზიცია შეინარჩუნა. შედეგად, კომისიამ დაიწყო მოქმედება ახალი ადგილობრივი ხელმძღვანელობის დანიშვნამდე საეკლესიო ქონებაზე კონტროლის დასამყარებლად.

უმაღლესი საეკლესიო ტრიბუნალებისადმი (სინოდი და გენერალური ასამბლეა) მიმართვის ნაცვლად ადგილობრივმა წინამძღვრებმა დამოუკიდებელი სარჩელებით მიმართეს ჩატემის ოლქის უმაღლეს სასამართლოს ძირითადი ეკლესიის მხრიდან სადავო ქონების ხელყოფის აკრძალვის განზრახვით. საქმეები ერთ წარმოებაში იქნა გაერთიანებული. ძირითადმა ეკლესიამ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მოსარჩელეთა მოთხოვნების უარყოფის მოთხოვნით, იმის საფუძველზე, რომ საერო სასამართლოები არ იყვნენ უფლებამოსილი გადაწყვიტათ, გადაუხვია თუ არა ძირითადმა ეკლესიამ რელიგიისა და მისი გამოხატვის დოქტრინას. შუამდგომლობა არ იქნა დაკმაყოფილებული. ნაფიც მსაჯულებს საქმე წარედგინათ იმ თეორიაზე დაყრდნობით, რომ ჯორჯიის კანონმდებლობა ითვალისწინებს ადგილობრივი საეკლესიო ქონების მინდობილ საკუთრებას ძირითადი ეკლესიის სასარგებლოდ მხოლოდ ერთი პირობით, რომ ძირითადმა ეკლესიამ უნდა მისდიოს რელიგიისა და მისი გამოხატვის იმ დოქტრინას, რომელიც ადგილობრივი ეკლესიების გაერთიანების პერიოდში არსებობდა. აქედან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა ყიურის დაევალა, რომ გადაწყვიტა: უდრიდა თუ არა ძირითადი ეკლესიის ქმედებანი საწყის დოქტრინაზე უარის თქმას, ისე რომ, ახალი დოქტრინები უკიდურესად განსხვავებოდა იმ მიზნებისგან, რომელთა მისაღწევად დაფუძნდა ეკლესია. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ ადგილობრივი ეკლესიების სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება. შესაბამისად, გაუქმებულად იქნა გამოცხადებული მინდობილი საკუთრება და ძირითად ეკლესიას აკრძალა ჩარევა ადგილობრივი ეკლესიების მიერ ქონებით სარგებლობაში. ჯორჯიის შტატის უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ კი გამოითხოვა საქმე ქვემდგომი სასამართლოდან პირველი შესწორებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად. გადაწყვეტილება გაუქმდა.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, პირველი შესწორება მკაცრად შემოსაზღვრავს საერო სასამართლოთა როლს საეკლესიო ქონებრივი დავების გადაწყვეტაში. თუმცა ასევე ნათელია, რომ რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ქონებრივი დავის თაობაზე მიღებული არა ყველა საერო სასამართლო გადაწყვეტილება უქმნის საფრთხეს პირველი შესწორებით დაცულ ღირებულებებს. არსებობს სამართლის ნეიტრალური პრინციპები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ნებისმიერი ქონებრივი დავის გადაწყვეტისას იმ ეკლესიათა „დანესების“ გარეშე, რომელთაც მიენიჭებათ უფლება ქონებაზე. პირველი შესწორების ფასეულობები აშკარად

საფრთხის ქვეშაა, მაშინ, როდესაც სასამართლო სამართალწარმოება საეკლესიო ქონების თაობაზე გადაიზრდება საერო სასამართლოების მიერ რელიგიურ დოქტრინებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტაში. ეს პირველ რიგში რელიგიური დოქტრინის თავისუფალი განვითარების შეფერხებისა და გამოკვეთილად ეკლესიური ინტერესების სფეროში საერო ინტერესების ჩართვის რისკს შეიცავს. სწორედ ამის გამო კრძალავს პირველი შესწორება სახელმწიფო ორგანოების გამოყენებას არსებითად რელიგიური მიზნებისათვის. აქედან გამომდინარე, პირველი შესწორება საერო სასამართლოებს ავალდებულებს, საეკლესიო ქონებრივი დავები რელიგიური დოქტრინის საფუძველში არსებული დავების გადაწყვეტის გარეშე მოაგვარონ.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, ჯორჯიის შტატმა დაარღვია პირველი შესწორების მოთხოვნა. მის მიერ რელიგიური დოქტრინიდან გადახრის თეორიის გამოყენებით საერო სასამართლო ხელისუფლებას დაევალა განესაზღვრა, წარმოადგენდა თუ არა ძირითადი ეკლესიის ქმედებანი ისეთ „არსებით გადახრას“ რწმენისა და მისი გამოხატვის პრინციპებიდან, რომლებიც ადგილობრივ ეკლესიათა გაერთიანების დროს არსებობდა, რომ უნდა შეწყვეტილიყო ძირითადი ეკლესიის სასარგებლოდ არსებული მინდობილი საკუთრება. უზენაესი სასამართლოს შეხედულებით, ეს განსაზღვრება ორ ელემენტს მოიცავს. თავდაპირველად სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, არსებითად განსხვავდება თუ არა ძირითადი ეკლესიის სადავო ქმედება საწყისი დოქტრინისგან. ამის გადასაწყვეტად აუცილებელია, რომ სასამართლომ ეკლესიის დოქტრინათა საკუთარი ინტერპრეტაცია მოახდინოს. არსებითი წინააღმდეგობის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლომ უკვე იმ საკითხის გადაწყვეტას უნდა მიჰყოს ხელი, საკმარისად მნიშვნელოვანია თუ არა მსგავსი განსხვავება ტრადიციული თეოლოგიისათვის, რომ შეჩერდეს მინდობილი საკუთრება. ამის გასარკვევად კი საერო სასამართლომ უნდა მოახდინოს რელიგიისათვის იმ საკითხების შედარებითი მნიშვნელობის შეფასება, რომლებიც კამათის საგანს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, დოქტრინიდან გადახრის თეორია სასამართლოს აიძულებდა, გადაეწყვიტა რელიგიის სიღრმეში მყოფი საკითხები, კერძოდ მოეხდინა განსაზღვრული რელიგიის დოქტრინების და მათი მნიშვნელობის ინტერპრეტირება. პირველი შესწორება ცხადად უკრძალავს საერო სასამართლოებს მსგავსი როლის შესრულებას. შესაბამისად, საერო სასამართლოებს შეეძლოთ გადაეწყვიტათ უფლებრივი დავა ეკლესიის დოქტრინის ინტერპრეტირებისა და შეფასების გარეშე ეკლესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალზე ვიწრო მიმოხილვის საფუძველზე, კერძოდ, იმის გარკვევით, იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება თაღლითობის, შეთქმულების ან თვითნებობის შედეგი. ასეთი მიდგომა, უზენაესი სასამართლოს მიხედვით, არ იწვევს საერო სასამართლოს ჩართვას არსებითი ეკლესიური საკითხების განხილვაში, განსხვავებით დოქტრინიდან გადახრის სტანდარტის გამოყენების შემთხვევისგან. ამიტომ, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიხედვით, დაუშვებელია ამიერიდან საერო სასამართლომ ეკლესიის გადაწყვეტილების გამოკვლევისას დოქტრინიდან გადახრის სტანდარტი გამოიყენოს.

*უფლის ეკლესიათა მერილენდისა და ვირჯინიის უზუცესთა საბჭო  
შარპსბურგის უფლის ეკლესიის წინააღმდეგ<sup>195</sup>*

მომჩივნებსა (უზუცესთა გენერალური საბჭოს წარმომადგენლებს) და მოპასუხეებს (ორ სეპარატისტულ ჯგუფს) შორის საეკლესიო ქონებრივი დავის გადაწყვეტისას მერილენდის სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო რელიგიური საზოგადოებების მიერ ქონების ფლობის მარეგულირებელ შტატის საკანონმდებლო აქტებს (კერძოდ კი ამ დოკუმენტების იმ ნაწილებს,

რომლებიც ადგილობრივი ეკლესიებისათვის ქონების გადაცემას შეეხებოდა), საზოგადოებათა პარტიების პირობებსა და უზუცესთა გენერალური საბჭოს კონსტიტუციის დებულებებს საეკლესიო ქონების საკუთრებასა და კონტროლის თაობაზე. აპელანტების მტკიცებით, მერი-ლენდის სასამართლოების მიერ გამოყენებული კანონი უზუცესთა გენერალურ საბჭოს პირველი შესწორების დარღვევით ართმევდა უფლებას საეკლესიო ქონებაზე. ვინაიდან მერი-ლენდის სასამართლოების მიერ დავის გადანყვეტა რელიგიური დოქტრინის გამოკვლევის საფუძველზე არ მომხდარა, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ უარყო მოთხოვნა ფედერალურ იურისდიქციაზე.

*მოსამართლე ბრენანის თანმხვედრი აზრი,  
რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები დუგლასი და მარშალი*

საქმეში პრესბიტერიანული ეკლესია შეერთებულ შტატებში მერი ელიზაბეტ ბლუს მე-მორიამალური პრესბიტერიანული ეკლესიის წინააღმდეგ<sup>196</sup> უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „პირველი შესწორების ღირებულებანი აშკარად საფრთხის წინაშე დგება, როდესაც საეკლესიო ქონებასთან დაკავშირებული სასამართლო სამართალწარმოება საერო სასამართლოების მიერ რელიგიისა თუ მისი გამოხატვის დოქტრინაზე არსებული დავების გადანყვეტაში გადაიზრდება“. აქედან გამომდინარე, შტატებს შეუძლიათ ნებისმიერი სხვა მიდგომა გამოიყენონ, სანამ ის დოქტრინალური საკითხების განხილვაში არ გადაიზრდება.

საქმეში უოთსონი ჯონსის წინააღმდეგ<sup>197</sup> შემუშავებული მიდგომის თანახმად, შტატებს შეუძლიათ კანონის ძალა მიანიჭონ ეკლესიის ფარგლებში მიღებულ ქონებრივ გადანყვეტილებებს „მისი წევრების უმრავლესობის ან იმ ორგანოს მიერ, რომელიც სპეციალურად ეკლესიური მართვის მიზნებისათვის არის დაფუძნებული“, ასევე იერარქიულ ეკლესიაში უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადანყვეტილებებს. უოთსონის მიდგომის მიხედვით, საერო სასამართლოები არ იკვლევენ, აქვს თუ არა ეკლესიის შესაბამის მმართველ ორგანოს ქონების კონტროლის უფლება რელიგიური სამართლის მიხედვით იმ შემთხვევაშიც, როდესაც უმაღლესი უფლებამოსილების მქონე ორგანოს თუ ორგანოთა იდენტიფიკაცია არსებითი კამათის საგანს წარმოადგენს. სხვა სიტყვებით, უოთსონის მიდგომა შესაბამეობა პირველი შესწორებით გათვალისწინებულ აკრძალვებს, თუკი ეკლესიის შესაბამისი მმართველი ორგანოს განსაზღვრა შესაძლებელია დოქტრინალური საკითხების გადანყვეტის გარეშე.

ყველა ტიპის ქონებრივი დავის დროს გამოსაყენებლად შემუშავებული სამართლის ნეიტრალური პრინციპები უზრუნველყოფენ რელიგიურ ქონებაზე სამართალწარმოების გადანყვეტის სხვა საშუალებას. „ფორმალური საკუთრების უფლების“ დოქტრინის მიხედვით, საერო სასამართლოებს შეუძლიათ, საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები რევერსიის თაობაზე კონსტიტუციური კლაუზულებისა და კორპორაციების თაობაზე ზოგადი კანონების შესწავლის გზით გადანყვიტონ. და კვლავ, დაუშვებელია საკუთრებით სამართლის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობა, თუკი მათი გამოყენება სამოქალაქო სასამართლოსგან დოქტრინალური საკითხების გადანყვეტას მოითხოვს.

მესამე შესაძლო მიდგომაა საეკლესიო საკუთრებასთან დაკავშირებული შეთანხმებების მარეგულირებელი სპეციალური კანონების ისეთი წესით შემუშავება, რომელიც თავიდან აგვაცილებს სახელმწიფოს ჩართვას დოქტრინალურ გამოკვლევაში. ასეთი კანონებით კონტროლი საეკლესიო იერარქიასა და დოქტრინაზე ეკლესიის მმართველ ორგანოებს უნდა შეუნარჩუნდეთ.

**სერბული განხეთქილება.** სერბი მართლმადიდებლები თავდაპირველად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ფარგლებში შემავალ ჯგუფს წარმოადგენდნენ. რუსული რევოლუციის შემდგომ სერბებმა თავიანთი მართლმადიდებელი ეკლესია ჩამოაყალიბეს ბელ-

გრადის პატრიარქის ხელმძღვანელობით. 1921 წელს ახალი ეკლესიის მმართველი ორგანოს, ეპისკოპოსთა წმინდა საბჭოს გადაწყვეტილებით ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქია შეიქმნა. ეკლესიის კონსტიტუციის თანახმად, ეს ეპარქია „სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა როგორც სულიერად, ისე იერარქიულად“. ეპარქიის კონსტიტუციის მიხედვით კი მას სრული ადმინისტრაციული თავისუფლება ჰქონდა, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი „კანონიკური“ კუთვნილების მიუხედავად.

1963 წელს იუგოსლავიაში მყოფმა ეკლესიის ხელმძღვანელობამ ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი გადააყენა. ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ იგი არ აღიარებდა ბელგრადში მიღებულ კომუნისტურ გადაწყვეტილებებს. ამის შემდგომ ამერიკისა და კანადის ეპარქიამ მოითხოვა „სამშობლოს დედაეკლესიასთან“ კანონიკურ-იერარქიული ერთიანობის შეწყვეტა და მხოლოდ ლოცვის სულიერი ერთიანობის შენარჩუნება. ეპარქიის წევრები ორად გაიყვნენ. მოხუცი ემიგრანტების ორი მესამედი დედაეკლესიასთან კანონიკური ერთიანობის მომხრე იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ემიგრანტების თითქმის ორი მესამედი კი, რომელიც უკიდურესი უნდობლობით იყო განწყობილი თანამედროვე იუგოსლავიური სახელმწიფოს მიმართ, სეპარაციას ითხოვდა. ილინოსში დაწყებულმა სამართალწარმოებამ საბოლოოდ აშშ-ს უზენაეს სასამართლომდე მიიღწია.

*შეერთებული შტატებისა და კანადის სერბული მართლმადიდებელი ეპარქია მილიოვევიჩის წინააღმდეგ<sup>198</sup>*

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

საქმეში მომჩივანს წარმოადგენდა 1963 წელს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის (დედაეკლესია) მიერ მოპასუხე ეპისკოპოს მილიოვევიჩის ნაცვლად ამერიკულ-კანადური ეპარქიის ხელმძღვანელად დანიშნული ეპისკოპოსი ოკოკოლჯიჩი. 1964 წელს წმინდა ასამბლეამ და წმინდა სინოდმა მილიოვევიჩს დედაეკლესიის ეპისკოპოსისა და სასულიერო პირის წოდება ჩამოართვეს. მილიოვევიჩის მიერ შეტანილი სარჩელის საფუძველზე ილინოსის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან დედაეკლესიის ქმედება არსებითად ეწინააღმდეგებოდა მისივე შიდა რეგულაციებს, იგი თვითნებური და დაუსაბუთებელი იყო. უზენაესმა სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია ეპარქიული რეორგანიზაცია (ჩრდილოეთ ეპარქიის დაყოფა 3 ეპარქიად).

აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმე ქვემდგომი სასამართლოდან გამოითხოვა იმის განსასაზღვრად, წარმოადგენდა თუ არა ილინოსის უზენაესი სასამართლოს დადგენილება ჩარევას იერარქიული ეკლესიის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში კონსტიტუციის პირველი და მე-14 შესწორებების დარღვევით. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ილინოსის უზენაესი სასამართლოს მიერ ეკლესიური კომპეტენციისა და იერარქიის გამოკვლევა და მის შესაბამისად მოქმედება ეწინააღმდეგებოდა პირველ და მე-14 შესწორებებს. შესაბამისად, გაუქმებულ იქნა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

ილინოსის უზენაესი სასამართლოს დასკვნას, რომლის თანახმადაც დედაეკლესიის გადაწყვეტილებანი „თვითნებური“ იყო, საფუძველად დაედო ის, რომ დედაეკლესიამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებების მიღებისას დაარღვია თავისივე კანონები და პროცედურები. უზენაესი სასამართლოს მიხედვით, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა სივრცე „იზოლირებული საერო სასამართლო მიმოხილვისათვის“ „თაღლითობისა“ და „შეთქმულების“ ვინრო კატეგორიების საფუძველზე, როდესაც საეკლესიო ორგანოები არაკეთილსინდისიერად მოქმედებენ სეკულარული მიზნებისათვის, ყოველგვარი გამონაკლისი „თვითნებურობის“ სახით

შეუსაბამო კონსტიტუციურ მანდატთან, რომლის ფარგლებშიც, საერო სასამართლოები ვალდებული არიან აღიარონ იერარქიული რელიგიური ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებები დისციპლინის, რწმენის, შიდა ორგანიზაციის, ეკლესიური წესის, ტრადიციის ან სამართლის საკითხებზე. იმის გასარკვევად, არის თუ არა ეკლესიის ქმდებანი „თვითნებური“, აუცილებელია იმ პროცედურების გამოკვლევა, რომელთა დაცვასაც ეკლესიის უმაღლესი ორგანოებისაგან, სავარაუდოდ, მოითხოვს კანონიკური ან საეკლესიო სამართალი. თუმცა სწორედ ასეთი ტიპის გამოკვლევა აკრძალულია პირველი შესწორებით. ხსენებული გამონაკლისის აღიარებით ხელყოფილი იქნებოდა ის ძირითადი წესი, რომელიც საერო სასამართლოს განხილვის სფეროდან გამორიცხავს რელიგიურ დავას და რომლის მიხედვითაც საერო სასამართლო ვალდებულია აღიაროს საეკლესიო გადაწყვეტილებანი.

უზენაესი სასამართლოს მიხედვით, რელიგიური მრწამსის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეკლესიური გადაწყვეტილებები აღიარებულ უნდა იქნეს, როგორც მრწამსის საკითხი, მათი რაციონალობისა და ობიექტურობის მიუხედავად. შესაბამისად, ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის კონსტიტუციური კონცეფციები, რომლებიც მოიცავს სამოქალაქო ტერმინებს „ფუნდამენტალური სამართლიანობისა“ და ობიექტურობის სახით, ნაკლებად რელევანტურია საეკლესიო კომპეტენციაში შემავალ მსგავსი საკითხების მიმართ. მითუმეტეს, რომ დედაეკლესიის კონსტიტუციის თანახმად, რომლის უმაღლესი ორგანოების (წმინდა ასამბლეისა და წმინდა სინოდის) უფლებამოსილებასაც ეპისკოპოსების დანიშვნასა თუ გათავისუფლებაში აღიარებდა საქმეში წარმოდგენილი ორივე მხარე და მათ შორის ილინოსის უზენაესი სასამართლოც:

*...ეპისკოპოსთა წმინდა ასამბლეა წარმოადგენს საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლეს იერარქიულ ორგანოს მრწამსის, ვალდებულებათა შესრულების, საეკლესიო წესრიგისა (დისციპლინის) და ეკლესიის შიდა ორგანიზაციის საკითხებში, ისევე როგორც უმაღლეს სასამართლო ორგანოს ეკლესიის იურისდიქციის ფარგლებში.*

*ეპისკოპოსთა წმინდა ასამბლეა და ეპისკოპოსთა წმინდა სინოდის კანონიკური და საეკლესიო გადაწყვეტილებანი მრწამსის, ვალდებულებების შესრულების, საეკლესიო წესრიგისა და ეკლესიის შიდა ორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით მართლზომიერი და საბოლოოა.*

რაც შეეხება დედაეკლესიის მიერ განხორციელებული ეპარქიული რეორგანიზაციის არამართლზომიერების თაობაზე ილინოსის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხს, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ილინოსის სასამართლო დაეყრდნო „ნეიტრალურ პრინციპებს“, რაც „გამორიცხავდა სასამართლოს ჩათრევას თეოლოგიური და დოქტრინალური საკითხების განსაზღვრაში“. კერძოდ, ილინოსის სასამართლო დაეყრდნო ამერიკულ-კანადური ეპარქიის კონსტიტუციას, რომელშიც ასახული იყო ამ ეპარქიის განზრახვა, შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და ავტონომია ადმინისტრაციულ საკითხებში. ილინოსის სასამართლომ ასევე მოახდინა სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტიტუციის ინტერპრეტირება თავის დასკვნასთან შესაბამისად. ამის მიუხედავად, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაშინ, როცა საეკლესიო სამართლით დედაეკლესიისა და ამერიკულ-კანადური ეპარქიის კონსტიტუციების ინტერპრეტაცია ეკლესიის უმაღლესი ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება, ილინოსის უზენაესმა სასამართლომ ეს განმარტება თავისით ჩაანაცვლა. ეს კი აკრძალულია პირველი და მე-14 შესწორებებით. აქედან გამომდინარე, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ილინოსის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება.



*მოსამართლე რენკვისტის განსხვავებული აზრი,  
რომელსაც შეუერთდა მოსამართლე სტივენსი*

მოსამართლე რენკვისტის მიხედვით, მომჩივნებმა, თავიანთი მოთხოვნით კონტროლი დაემყარებინათ ამერიკულ-კანადური ეპარქიის ქონებაზე, ილინოისის შტატის სასამართლოებს ძირითად საკითხად ფაქტობრივად ამ ეპარქიის ლეგიტიმური ეპისკოპოსის ვინაობის დადგენა განუსაზღვრეს. ამ ამოცანის შესრულებას სასამართლოები ეკლესიის კანონიკური სამართლის გამოყენებით შეეცადნენ, გამოკვლევაში დოქტრინალური საკითხების ჩართვის გარეშე.

რენკვისტის მოსაზრებით, „საეკლესიო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღიარების წესი“, თავისთავად მოითხოვს გადაწყვეტილებათა რაობაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შემოწმებას. მტკიცებულებათა წინააღმდეგობრივი ხასიათის შემთხვევაში სასამართლო დგება არჩევანის წინაშე, რომელი მხარის მტკიცებას მინიჭოს უპირატესობა. არჩევანის გაკეთებას კი, სავარაუდოდ, საფუძვლად უნდა დაედოს ორივე მოდავე მხარის მიერ აღიარებული კანონიკური სამართალი. თუკი აღნიშნული არ ეწინააღმდეგება პირველ შესწორებას, შესაბამისად, გაურკვეველია, რატომ არ უნდა ჰქონდეთ ილინოისის შტატის სასამართლოებს უფლებამოსილება, კანონიკური სამართლის ექსპერტების ჩვენებათა საფუძველზე გამოიტანონ დასკვნა, რომ საქმეში წარმოდგენილი საეკლესიო ორგანოს გადაწყვეტილება მისივე გაცხადებული წესებისა და პროცედურების დარღვევით იქნა მიღებული. რენკვისტმა თავისი შეხედულების დასადასტურებლ მაგალითად შემდეგი შემთხვევა მოიყვანა: „დაფუძვალ, წმინდა ასამბლეის შემადგენლობაში 100 ეპისკოპოსი შედის. ეპისკოპოსისათვის საეკლესიო წოდების ჩამოსართმევად აუცილებელია ასამბლეის წევრთა ხმების უმრავლესობა, ისე რომ სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა 40 ეპისკოპოსზე ნაკლები არ უნდა იყოს. გაურკვეველია, რატომ უნდა იქნეს საერო სასამართლო შებოჭილი ასამბლეის გადაწყვეტილებით, თუკი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა მხოლოდ 30-მა ეპისკოპოსმა მიიღო“. მოსამართლის შეხედულებით, ეს მაგალითი გაცილებით თვალსაჩინოა, ვიდრე საქმეში წარმოდგენილი შემთხვევა, მაგრამ პრინციპი ორივე შემთხვევაში იდენტურია.

### *ჯონსი ვოლფის წინააღმდეგ<sup>199</sup>*

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ამ საქმეში წარმოდგენილია დავა საეკლესიო ქონების საკუთრებაზე, რაც იერარქიულ საეკლესიო ორგანიზაციაში გაერთიანებულ ადგილობრივ ეკლესიაში მომხდარ განხეთქილებას მოჰყვა. ძირითადი კითხვა, რაც მოცემულ საქმესთან დაკავშირებით დაისმის, შემდეგია: აშშ-ს კონსტიტუციის პირველ და მე-14 შესწორებათა მოთხოვნების დაცვის მიზნით საერო სასამართლოებმა ეს დავა „სამართლის ნეიტრალური პრინციპების“ საფუძველზე უნდა გადაწყვიტონ, თუ ვალდებულნი არიან, დაემორჩილონ იერარქიული ეკლესიის ავტორიტეტული ორგანოს გადაწყვეტილებას.

მეიკონის შტატის ვინევილის პრესბიტერიანული ეკლესია 1904 წელს დაფუძნდა. მისი იურიდიული რეგისტრაცია 1915 წელს განხორციელდა. ეკლესია თავდაპირველად აშშ-ს პრესბიტერიანული ეკლესიის აუგუსტა-მეიკონის პრესბიტერიის შემადგენლობის წევრ ეკლესიად ითვლებოდა. ხსენებული ეკლესიისთვის დამახასიათებელი იყო იერარქიული სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ეკლესიის მართვა კრებას ჰქონდა მინდობილი. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებებს კი უმაღლესი საეკლესიო სასამართლოები, პრესბიტერია, სინოდი და გენერალური ასამბლეა აკონტროლებდნენ. იერარქიის თითოეული დონის უფლებები და ვალდებულებები ეკლესიის კონსტიტუციაში იყო ჩამოყალიბებული.



1973 წლის 27 მაისს ვინევილის ეკლესიის კონგრეგაციულ შეკრებაზე ადგილობრივი ეკლესიის წევრთა უმრავლესობამ, პასტორის ჩათვლით, მხარი დაუჭირა აშშ-ს პრესბიტერიანული ეკლესიისაგან გამოყოფას. ამ უკანასკნელს დაუყოვნებლივ ეცნობა სეპარაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. ადგილობრივი ეკლესია კი სხვა დენომინაციას – ამერიკაში პრესბიტერიანულ ეკლესიას შეუერთდა. მიღებული გადაწყვეტილების შედეგად უმცირესობაში დარჩენილი წევრები ვინევილის ეკლესიის საქმეებში აღარ მონაწილეობდნენ და თავიანთ რელიგიურ საქმიანობას სხვაგან ახორციელებდნენ.

ვინევილის კონგრეგაციაში მომხდარი განხეთქილების საპასუხოდ აუგუსტა-მეიკონის პრესბიტერიამ დავის შესასწავლად და მის მოსაგვარებლად კომისია შექმნა. კომისიის გადაწყვეტილებით, უმრავლესობას ჩამოერთვა ვინევილის პრესბიტერიანული ეკლესიის მართვის უფლებამოსილება. უმცირესობაში დარჩენილი ეკლესიის წევრები კომისიამ „ვინევილის პრესბიტერიანული ეკლესიის ჭეშმარიტი კონგრეგაციის“ წევრებად მიიჩნია. უმრავლესობას არ მიუღია მონაწილეობა კომისიის მიერ ჩატარებულ გამოძიებაში და არც მისი გადაწყვეტილება გაუსაჩივრებია ძირითადი ეკლესიის უმაღლეს ორგანოებში.

უმცირესობის დაჯგუფება შეეცადა სასამართლოში ეპოვა სამართალი, თუმცა ფედერალურმა სასამართლომ უარი განაცხადა სარჩელის მიღებაზე იურისდიქციის არარსებობის გამო. შემდგომში უმცირესობის დაჯგუფების წევრებმა შტატის სასამართლოში შეიტანეს კოლექტიური სარჩელი ვინევილის ეკლესიის ქონების ფლობასა და სარგებლობაზე მათი, როგორც აშშ-ს პრესბიტერიანული ეკლესიის წევრი კონგრეგაციის, ექსკლუზიური უფლების დანესების მოთხოვნით. სასამართლომ საეკლესიო ქონებრივი დავებისადმი „სამართლის ნეიტრალური პრინციპების“ მიდგომა გამოიყენა და საქმე უმრავლესობის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ჯორჯიის შტატის უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას და უარყო კონსტიტუციის პირველ და მე-14 შესწორებებზე დაფუძნებული უმცირესობის მოთხოვნები.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს თანახმად, ნეიტრალური პრინციპების მიდგომის ძირითადი უპირატესობებს მიეკუთვნება მისი მოქმედების სრულიად საერო ხასიათი და ნებისმიერი ტიპის რელიგიური ორგანიზაციისა და იერარქიის მოქნილი ადაპტაციის უნარი. მეთოდი საკუთრებითი სამართლის ობიექტურ და მყარად დამკვიდრებულ კონცეფციებს ემყარება. ამდენად, იგი უზრუნველყოფს საერო სასამართლოთა თავისუფლებას რელიგიის დოქტრინებისა და იერარქიების საკითხების განხილვაში ჩათრევისაგან. შესაბამისი რევერსიული და მინდობილი საკუთრების მარეგულირებელი დებულებებით რელიგიურ საზოგადოებებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რა ბედი ეწევა ეკლესიის საკუთრებას ამა თუ იმ შემთხვევაში, ან რომელ რელიგიურ ორგანოს ექნება უფლებამოსილება, გადაწყვიტოს საკუთრების უფლების საკითხი განხეთქილებისა თუ დოქტრინალური დავის არსებობის დროს. ამგვარი მიდგომით რელიგიურ ორგანიზაციას შეუძლია უზრუნველყოს საეკლესიო ქონებრივი დავების გადაწყვეტა მისი წევრების სურვილების შესაბამისად.

აღნიშნული სრულებით არ გულისხმობს, რომ ნეიტრალური პრინციპების მიდგომის გამოყენება თავისუფალია ყოველგვარი სირთულისაგან. ნეიტრალური პრინციპების მეთოდი საერო სასამართლოებისგან განსაზღვრული რელიგიური დოკუმენტების შემომწმებას მოითხოვს. ამ შემომწმების განხორციელებისას საერო სასამართლომ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა დოკუმენტის მხოლოდ საერო ელემენტებს დაეყრდნოს და არა რელიგიურ წარმოდგენებს იმის განსაზღვრად, გამიზნული ჰქონდათ თუ არა მხარეებს მინდობილი საკუთრების შექმნა. სავსებით შესაძლებელია ისეთი ვითარების წარმოქმნა, როდესაც ძირითადი ეკლესიის კონსტიტუცია ან წესდება შეიცავს რელიგიურ კონცეფციებს

ქონების საკუთრებასთან დაკავშირებულ დებულებებში. თუკი ასეთ შემთხვევაში საკუთრებითი დებულების ინტერპრეტაცია აუცილებელია საერო სასამართლოს მიერ რელიგიური დავის გადაწყვეტისათვის, მაშინ სასამართლო უნდა დაემორჩილოს ავტორიტეტული საეკლესიო ორგანოს გადაწყვეტილებას. თუმცა ნეიტრალური პრინციპების მიდგომის გამოყენებისას გარკვეული პრობლემების წარმოქმნის საფრთხეს გადაწონის ნეიტრალობისა და დოქტრინალურ საკითხებში ჩაურევლობის პრინციპი. აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს მიხედვით, სახელმწიფო კონსტიტუციურად უფლებამოსილია, საეკლესიო ქონებრივი დავების გადაწყვეტის საშუალებად სამართლის ნეიტრალური პრინციპები აღიაროს.

განსხვავებული პოზიციის მქონე მოსამართლის მიერ გამოთქმული მოსაზრების საპასუხოდ, რომლის მიხედვითაც საეკლესიო ქონების საკუთრებაზე წამოჭრილი დავის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა უარყოს ნეიტრალური პრინციპების მიდგომა და დაემორჩილოს ეკლესიის ფარგლებში ავტორიტეტული ორგანოს გადაწყვეტილებას, უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ ასეთი მიდგომა აუცილებელს გახდიდა ეკლესიის იერარქიისა და მართვის შესწავლას იმის გადასაწყვეტად, თუ ხელმძღვანელობის რომელი სემინტი ფლობს უმაღლეს კონტროლს საეკლესიო ქონებაზე. განსაზღვრულ საქმეებში ამ ამოცანის შესრულება რთული არ იქნებოდა, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში „მაკონტროლებლის ვინაობა შესაძლოა არაერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული“ ყოფილიყო და, შესაბამისად, როგორც ძირითადი, ისე ადგილობრივი ეკლესიის კონსტიტუციისა და სხვა დოკუმენტების დეტალური გამოკვლევა გახდებოდა საჭირო; სასამართლოს განცხადებით, მსგავსი ტიპის საქმეებში განსხვავებული მოსაზრების მქონე მოსამართლის მიერ შემოთავაზებული წესის გამოყენება საეკლესიო იერარქიის აკრძალული გამოკვლევა იქნებოდა.

ჯორჯიის კანონმდებლობის მიხედვით, „საეკლესიო ქონების ფლობა ეკლესიის ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად უნდა განხორციელდეს“, ხოლო იერარქიულ რელიგიურ საზოგადოებაში გაერთიანებული ადგილობრივი ეკლესია „ძირითადი ეკლესიის მთლიანი ორგანიზმის ნაწილია და ორგანიზაციის უმაღლეს ხელისუფლებას, მის კანონებსა და რეგულაციებს ექვემდებარება“. ყოველივე ეს გვთავაზობს ვინევილის პრესბიტერიანული ეკლესიის ქონებასთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტას საეკლესიო წესრიგის წიგნის შესაბამისად, რომელიც აშშ-ს პრესბიტერიანულ ეკლესიასთან გაერთიანებული ადგილობრივი ეკლესიების კანონებსა და რეგულაციებს ადგენს. მსგავსი გადაწყვეტა საერო სასამართლოსგან მოითხოვდა რელიგიური დოქტრინის საკითხების განხილვასა და პრესბიტერიის მიერ დანიშნული კომისიის ფუნქციების უზურპირებას, რომელმაც უკვე განსაზღვრა, რომ მომჩივნები ვინევილის ეკლესიის „ჭეშმარიტ კონგრეგაციას“ წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, თუ ჯორჯიის კანონმდებლობის მიხედვით ვინევილის ეკლესიის ბუნება აშშ-ს პრესბიტერიანული ეკლესიის „კანონებისა და რეგულაციების“ შესაბამისად უნდა განისაზღვროს, მაშინ პირველი შესწორება ჯორჯიის სასამართლოებისაგან პრესბიტერიანული კომისიის გადაწყვეტილების აღიარებას მოითხოვს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ჯორჯიის შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და დაუბრუნა მას საქმე ხელახლა განსახილველად.

*მოსამართლე პაუელის განსხვავებული აზრი, რომელსაც შეუერთდნენ*

*მოსამართლეები სტიუარტი და უაითი*

მოსამართლე პაუელის აზრით, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა ახალი, ორეტაპიანი ანალიზის მეთოდი. ამ მეთოდის მიხედვით, სასამართლომ თავდაპირველად უნდა გამოიყენოს ახლად განსაზღვრული „სამართლის ნეიტრალური პრინციპები“ იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ფლობს თუ არა ადგილობრივი

ეკლესია ქონებაზე უფლებას ძირითადი საეკლესიო ორგანიზაციის სასარგებლოდ. დადებითი პასუხის შემთხვევაში კონტროლი ადგილობრივ საეკლესიო ქონებაზე ძირითადი ეკლესიის სასულიერო კრებას უნდა მიენიჭოს. უარყოფითი პასუხი კი ადგილობრივი კონგრეგაციის უფლების აღიარებას გულისხმობს. პირველ ეტაპზე „სამართლის ნეიტრალური პრინციპების“ მიდგომა მოქმედებს, როგორც მტკიცებულების შემზღვეველი წესი. სასამართლოს ევალება, შეამოწმოს ადგილობრივი ეკლესიის წესდება (თუკი ასეთი არსებობს), ძირითადი ეკლესიური ორგანიზაციის წესრიგისა თუ დისციპლინის წიგნი და საეკლესიო ქონებაზე უფლების მარეგულირებელი სახელმწიფო კანონები. სასამართლო გამოძიებას უნდა ატარებდეს და ეყრდნობოდეს სრულებით საერო ხასიათის საკუთრებითი სამართლის ობიექტურ და მყარად დამკვიდრებულ კონცეფციებს. პაუელის მოსაზრებით, რელიგიური დოკუმენტები ძირითადად რელიგიურ წარმოდგენებზეა აგებული და მხოლოდ საერო წესით მათი წაკითხვა, სავარაუდოდ, დაბნეულობას წარმოშობს და დავის საგანს ნათელს ვერ მოჰყვანს. გარდა ამისა, როდესაც საეკლესიო ქონებასთან დაკავშირებული რელიგიური იერარქია არ არის ცალსახად განსაზღვრული, შეუძლებელია ამ იერარქიის მტკიცებულებები ნეიტრალური პრინციპების წესის გამოყენებით იქნეს განხილული. მტკიცებულებათა ამგვარი უკმარისობის პირობებში, სავარაუდოდ, სასამართლო საერო კანონიდან წარმოებული ეკლესიის მართვის წესს აღიარებს. მაგალითად, აღნიშნულ საქმეშიც პრესბიტერიის ზოგადი ხელისუფლება ვინევილის ეკლესიაზე არ იყო განსაზღვრული ამ უკანასკნელის ქონებაზე კონტროლის საერო ტერმინებით. შედეგად, ჯორჯიის სასამართლოებმა ვერ მოიძიეს სათანადო მტკიცებულება და საერო კანონიდან გამომდინარე ეკლესიის მართვის კონგრეგაციული ფორმა გამოიყენეს. რელიგიურ მართვასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეზღუდვა არ შეიძლება გამართლებული იქნეს იმის საფუძველზე, რომ იგი საერო სასამართლოებს რელიგიური დოქტრინისა და იერარქიის საკითხებში ჩარევისაგან ათავისუფლებს. ვინევილის ეკლესიაში მომხდარი განხეთქილება რელიგიური დოქტრინისა და გამოხატვის საკითხებზე ეკლესიის წევრებს შორის არსებული უთანხმოების შედეგი იყო. საეკლესიო წესრიგის წიგნის თანახმად, ამ საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება ძირითადი ეკლესიის უმაღლეს ორგანოებს ეკუთვნოდათ, რომლებიც თავიანთი გადაწყვეტილებით ერთ-ერთ დაჯგუფებას ანიჭებდნენ კონტროლს საეკლესიო ქონებაზე. ჯორჯიის სასამართლოებმა, საერო კანონიდან გამომდინარე, კონტროლის უფლება უმრავლესობას მიანიჭეს და უარყვეს საეკლესიო სასამართლოს დოქტრინალური გადაწყვეტილება. ასეთი არაპირდაპირი ჩარევა ეკლესიის ფარგლებში არსებული რელიგიური დავის გადაწყვეტაში არანაკლებ აკრძალულია პირველი შესწორებით, ვიდრე პირდაპირი ინტერვენცია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსამართლე პაუელის მიხედვით, პრობლემის ყველაზე სამართლიანი გადაწყვეტა იქნებოდა ეკლესიის ხელმძღვანელობის (იმ ხელმძღვანელობის, რომელსაც მოდავე მხარეებმა დავის წარმოქმნამდე დაუქვემდებარეს თავი) გადაწყვეტილებათა უსიტყვო აღიარება საერო სასამართლოების მიერ.

ანალიზის ორეტაპიანი მეთოდი საკმარისია მხოლოდ ძირითადი ეკლესიის სასულიერო კრებასა და ერთსულოვან ადგილობრივ ეკლესიას შორის დავის გადასაწყვეტად. როდესაც ნეიტრალური პრინციპების გამოყენებით ჩატარებული გამოკვლევა არ გამოავლენს მინდობილი საკუთრების არსებობას ძირითადი ეკლესიის სასარგებლოდ, ხოლო ადგილობრივი კონგრეგაცია მოდავე ჯგუფებადაა დაყოფილი, ადგილობრივ ეკლესიაზე კონტროლის უფლების საკითხი კვლავ ღიად რჩება. მოსამართლე პაუელის დასკვნით, უზენაესი სასამართლო აღიარებს აშშ-ს პრესბიტერიული ეკლესიის მიერ, რომლის ნაწილიცაა ვინევილის ადგილობრივი ეკლესია, პრობლემატური საკითხის ავტორიტეტულ გადაწყვეტას პრესბიტერიის ფარგლებში. თუმცა, ამავე დროს, უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ ჯორჯიის სასამართ-

ლოებს, პირველი შესწორების შესაბამისად, შეუძლიათ დაეყრდნონ საქმეში უოთსონი ჯონსის წინააღმდეგ<sup>200</sup> დავის გადაწყვეტის აღიარებულ წესს ეკლესიის კანონიკური სამართლის მიხედვით. შტატის სასამართლოსთვის ამ მიდგომის გამოყენების მოთხოვნის ნაცვლად აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ მოინონა შტატის სამართლიდან გამომდინარე შემდეგი ალტერნატიული წესი: „ჯორჯიის სასამართლოებს აქვთ უფლება, აღიარონ პრეზუმფციული წესი უმრავლესობის წარმომადგენლობისა, რომელიც უარყოფადია თუ დამტკიცდება, რომ ადგილობრივი ეკლესიის იდენტურობა სხვა საშუალების გამოყენებით უნდა განისაზღვროს“. ამის დამტკიცება შესაძლებელია ძირითადი ეკლესიის წესდებისა თუ კონსტიტუციის მოთხოვნის ჩვენებით, რომ ადგილობრივი ეკლესიის ბუნების განსაზღვრა სხვა გზით უნდა მოხდეს.

ადგილობრივი ეკლესიის ფარგლებში დავის გადაწყვეტის უფლებამოსილებას აშშ-ს პრესბიტერიანული ეკლესია პრესბიტერიას ანიჭებს. ეკლესიის მართვის ასეთი სტრუქტურის ჩვენებით მომჩივნებმა უარყვეს ადგილობრივი კონგრეგაციის უმრავლესობის მიერ ეკლესიის იდენტურობის საკითხის გადაწყვეტის პრეზუმფცია. ამის მიუხედავად, აშშ-ს უზენაესი სასამართლო, მოსამართლე პაუელის შეხედულებით, იმის ნაცვლად, რომ თავადვე გადაწყვიტა საქმე პირველი შესწორების პრინციპების შესაბამისად, შტატის სასამართლოებს უტოვებს შესაძლებლობას, აღიარონ ისეთი შემზღუდველი მტკიცებულებითი წესი, რომელიც მომჩივნების ხსენებულ მტკიცებულებას არაადეკვატურად მიიჩნევდა უმრავლესობის კონტროლის პრეზუმფციის უარსაყოფად. უზენაესი სასამართლო არც მტკიცებულებითი წესის კონსტიტუციური საზღვრების შესახებ აკეთებს მითითებას. მისი განცხადებით: „შტატის სასამართლოებს აქვთ თავისუფლება, გამოიყენონ ნებისმიერი წესი, რომელიც კონსტიტუციურია“. აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლო ჯორჯიის შტატის სასამართლოებს გადასაწყვეტად უტოვებს ფედერალური კონსტიტუციური სამართლის მნიშვნელოვან საკითხებს და თუ ისინი გადაუხვევენ საქმეში უოთსონი ჯონსის წინააღმდეგ<sup>201</sup> აღიარებულ წესს, მაშინ მათ შეუძლიათ გაატარონ უზენაესი სასამართლოს მიერ დაუფეგმავი კურსი.

**ჯონსის საქმის შემდგომ.** 1803 წელს დაფუძნებული სკენექტედის პრესბიტერიანული ეკლესია გამოეყო ნაციონალურ ეკლესიას, რადიკალურ პოლიტიკურ ჯგუფებთან ამ უკანასკნელის კავშირის გამო. სააპელაციო სასამართლომ ნეიტრალური პრინციპების მიდგომის გამოყენებით ადგილობრივ ეკლესიას მიანიჭა უფლება სადავო ქონებაზე. ნაციონალური ეკლესია თავის მოთხოვნას ასაბუთებდა „ბრძანებათა წიგნის“ მოთხოვნით, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი ეკლესიის ქონება იერარქიულ ორგანიზაციას გადაეცემოდა, როდესაც ადგილობრივი ეკლესია წყვეტდა არსებობას. სასამართლოს განცხადებით, ნაციონალური ეკლესიის სასარგებლოდ ნაგულისხმევი მინდობილი საკუთრების აღმოჩენა აუცილებელს გახდიდა რელიგიური დოქტრინის აკრძალულ გამოკვლევას.<sup>202</sup>

სხვა საქმეში ლოს-ანჯელესის ოთხმა ეპისკოპალურმა ეკლესიამ დატოვა პროტესტანტული ეპისკოპალური ეკლესიის რიგები, ამ უკანასკნელის გენერალური კონვენტის მიერ ქალთა ორდინაციის აღიარების მოტივით. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ერთ-ერთი მოპასუხე ეკლესიის (წმინდა მოციქულები) წესდების მიხედვით, მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში ეკლესიის ქონება ეპარქიის სასარგებლოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ამიტომ, რადგანაც ადგილი ჰქონდა „ფაქტობრივ ლიკვიდაციასთან“, ეკლესიის ქონება ეპარქიის კონტროლქვეშ გადავიდა „დაფიქსირებული ტრასტის“ საფუძველზე.

დანარჩენი სამი ეკლესიის წესდებებში ასეთი დებულება არ იყო, თუმცა მითითებული იყო, რომ ეპარქიის კონსტიტუცია, კანონები და დისციპლინა ყოველთვის მათი წესდებების ნაწილი იქნებოდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, „ამგვარი განცხადება არ არის იმაზე მეტად შემზღუდველი, ვიდრე საავტომობილო დილერის მტკიცება, რომ იგი ყოველთვის „ჯენერალ

მოტორსის“ პროდუქციას გაავრცელებს და ამ უკანასკნელის წესებსა და პოლიტიკას დაიცავს“. ამგვარად, სასამართლომ ვერ აღმოაჩინა „დაფიქსირებული ტრასტი“ და სამივე ეკლესიას ნება დართო, ქონებასთან ერთად დაეტოვებინათ ძირითადი ეკლესია.<sup>203</sup>

ჯონსის საქმის შემდგომ საეკლესიო ქონებრივი დავების გადანყვეტისას სასამართლოებს არ მოუწიათ არჩევანის გაკეთება ნეიტრალურ პრინციპებსა და იერარქიულ მიდგომებს შორის პრეცედენტული წესების გარეშე. ისინი უბრალოდ უთითებდნენ, რომ არსებული პრეცედენტული სამართალი და შესაბამისი შტატის კანონი ერთი ან მეორე მიდგომის გამოყენებას მოითხოვდა. ამ დოქტრინის გამოყენებით კოლორადოს სააპელაციო სასამართლომ საქმეში კოლორადოს ეპისკოპოსი მოუტის წინააღმდეგ<sup>204</sup> უმრავლესობის წესი ნეიტრალურ პრინციპად აღიარა და იმ ადგილობრივი ეკლესიის უმრავლესობის სასარგებლოდ გამოიტანა გადანყვეტის გადაწყვეტილება, რომელიც აშშ-ს პროტესტანტულ ეპისკოპალურ ეკლესიას გამოეყო. კოლორადოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ეს გადანყვეტილება, რადგან სხვა ნეიტრალური პრინციპი აღმოაჩინა. მისი შეხედულებით, ადგილობრივი ეკლესიის წესდება, ისევე როგორც „ძირითადი ეკლესიის კანონიკური სამართლის რელიგიური დებულებანი“, ძირითადი ეკლესიის სასარგებლოდ მინდობილი საკუთრების არსებობის დემონსტრირებას ახდენდა.<sup>205</sup>

საქმეში რუსეთის ფარგლებს გარეთ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსები და ხელმძღვანელები წმინდა ადვოკატის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ<sup>206</sup> შტატის სასამართლოებმა გადანყვეტეს, რომ ადგილობრივ კონგრეგაციას შეეძლო დემოკრატიული არჩევნების გზით, რომელიც არღვევდა ეკლესიის კანონიკურ სამართალს, განესაზღვრა თავისი დამოკიდებულება მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს იერარქიულ ეკლესიასთან, და ამასთან ერთად შეენარჩუნებინა საკუთრების უფლება საეკლესიო ქონებაზე ეკლესიის დატოვების შემდეგ. ეკლესიის სულიერ და სამართლებრივ ხელმძღვანელობაში შემავალი ეპისკოპოსები უზენაეს სასამართლოში შეტანილ თავიანთ პეტიციაში მოუწოდებდნენ სასამართლოს, ხელახლა განეხილა ჯონსის საქმე და მიუთითებდნენ ამ საქმის შემდგომ სასამართლოებს შორის არსებულ უამრავ კონფლიქტზე ეკლესიის მართვის საკითხების განსაზღვრასთან დაკავშირებით. ეს სიმართლეს შეეფერება თვით ისეთი გამოკვეთილად იერარქიული სტრუქტურის მქონე ეკლესიების შემთხვევაშიც კი, როგორცაა პრესბიტერიანული და ეპისკოპალური ეკლესიები. მაგალითად, პრესბიტერიანული ეკლესიის მიერ უამრავი ფულის დახარჯვის მიუხედავად, რათა მის ყველა კონგრეგაციას საქმეში ჯონსი ვოლფის წინააღმდეგ<sup>207</sup> წარმოდგენილი ნეიტრალური პრინციპების შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტაცია ჰქონოდა, მის მიმართ სხვადასხვა შტატში განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენდნენ. მერილენდში იგი იერარქიულად განისაზღვრა, პენსილვანიაში კი კონგრეგაციულად.<sup>208</sup> ნეიტრალური პრინციპების ერთ-ერთი საფრთხე სწორედ მის თანდაყოლილ სუბიექტურობაშია. მოსამართლეს შეუძლია, საქმის გადანყვეტისათვის ერთი „ნეიტრალური“ საფუძველი შეარჩიოს, მაშინ როცა ხელმისაწვდომია სხვა პრინციპიც, რომლის შედეგიც ეკლესიის იერარქიის იგნორირება არ იქნება.

**ეკლესიათა უფლებები „ახალ საკუთრებაზე“.** აღსანიშნავია, რომ ეკლესიის სახელწოდება დაცულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საწინააღმდეგო კანონით. საქმეში პურსელი სამერის წინააღმდეგ,<sup>209</sup> სადაც მეთოდისტური ეპისკოპალური სამხრეთის ეკლესია ორ სხვა ეკლესიასთან გაერთიანდა ერთიანი მეთოდისტური ეკლესიის შექმნის მიზნით, ეკლესიის დისიდენტი წევრების ქმედება, რომლებმაც ძველი სახელწოდებით ახალი ეკლესია დააფუძნეს, სასამართლომ ახლად დაარსებული ეკლესიის უფლებების დარღვევად მიიჩნია.

საქმეში რელიგიური ტექნოლოგიების ცენტრი ვოლერშიმის წინააღმდეგ<sup>210</sup> მიღებული გადანყვეტილების თანახმად, დაუშვებელია რელიგიური საგნების კომერციული

საიდუმლოებით დაცულ ფასეულობებად აღიარება. ამ საქმეში უარყოფილ იქნა საინტოლოგიის ეკლესიის მოთხოვნა, სასამართლოს ბრძანებით აკრძალულიყო მისი ყოფილი წევრების მიერ, რომლებმაც ახალი ცივილიზაციის ეკლესია დააარსეს, საინტოლოგიის ეკლესიიდან მიღებული საგნების გამოყენება. სასამართლოს განცხადებით, საინტოლოგიის ეკლესიის საკრალური საგნების ფასეულობა „სულიერი“ ხასიათისა იყო და არა კომერციულის.

რაც შეეხება საავტორო უფლებას „წმინდა“ ტექსტებზე, ამ სფეროში აღსანიშნავია საქმე „კასტელო პაბლიშინგი“ როტელის წინააღმდეგ,<sup>211</sup> რომელიც შეიცავდა დავას კათოლიკური ლოცვანის ინგლისური თარგმანის გავრცელების კონტროლზე. აშშ-ს კათოლიკური ასოციაციის თანამდებობის პირი ნიგნის ამ ვერსიის არამართლზომიერებას ამტკიცებდა და რამდენიმე მსხვილ შემსყიდველს მისწერა, რომ თავი შეეკავებინათ მისი ყიდვისაგან. გამომცემელმა ანტიმონოპოლიური სარჩელით მიმართა სასამართლოს ასოციაციის წინააღმდეგ. უამრავი უცხოური ეპისკოპალური ასოციაცია ჩაერთო საქმეში და შეგებებული სარჩელი იქნა შეტანილი იმ მოტივით, რომ გამომცემელი არღვევდა მათ უფლებას ლოცვანის ავტორობაზე და ჩართული იყო არაკეთილსინდისიერ სავაჭრო ოპერაციებში. საოლქო სასამართლომ უარყო შეგებებული სარჩელი, თუმცა საქმე კათოლიკური ასოციაციის სასარგებლოდ გადაწყვიტა. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება, სრული მოცულობით დააკმაყოფილა ასოციაციის შეგებებული სარჩელი და განაცხადა, რომ არ არსებობს საერთო რელიგიური გამონაკლისი ანტიმონოპოლიური კანონებიდან; ანტიმონოპოლიურ საქმეში რელიგიური ორგანიზაციის წინააღმდეგ, სასამართლოებმა ფრთხილად უნდა შეაფასონ ანტიმონოპოლიური დარღვევების ბუნება, მათ შორის ბაზარზე ზეგავლენა, იმ რელიგიური მიზნების მიმართ, რომელთა იმპლემენტაციაც იყო განზრახული, სანამ შესაბამისი საქმიანობა, გამონაკლისის სახით, გათავისუფლებული იქნება კანონის მოქმედების არეალიდან.



**დანყებითი და საშუალო რელიგიური სკოლები**

*ვეერსონი ეუინგის ოლქის განათლების საბჭოს  
წინააღმდეგ<sup>212</sup>*

ნიუ-ჯერსის კანონი უფლებას აძლევდა ადგილობრივ სასკოლო ოლქს, ბავშვების სკოლაში და სკოლიდან ტრანსპორტირების წესები შეემუშავებინა. მოპასუხე განათლების საბჭომ კანონის შესაბამისად დაანესა მშობლებისთვის შვილების სკოლაში და სკოლიდან ტრანსპორტირებისთვის განუული ხარჯების ანაზღაურება. ამ თანხაში შედიოდა იმ ბავშვების ტრანსპორტირების ანაზღაურებაც, რომლებიც კათოლიკურ სამრევლო სკოლებში სწავლობდნენ. სამრევლო სკოლები თავიანთ მოსწავლეებს აძლევდნენ როგორც სეკულარულ განათლებას, ასევე რეგულარულ რელიგიურ ინსტრუქციას კათოლიკური რწმენის დოგმების შესაბამისად. ამ სკოლების ზედამხედველმა იყო კათოლიკე მღვდელი.

აპელანტიმა, როგორც გადასახადების გადამხდელმა, სარჩელით მიმართა სასამართლოს, სადაც ირწმუნებოდა, რომ ეს კანონი და მის შესაბამისად მიღებული რეზოლუცია, რომელიც უნაზღაურებდა ხარჯებს სამრევლო სკოლების მოსწავლეებს, არღვევდა ფედერალურ და შტატის კონსტიტუციებს. პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, თუმცა სააპელაციომ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ კანონი და მის შესაბამისად მიღებული რეზოლუცია არ არღვევდა კონსტიტუციას.

*უშენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

აპელანტი ამტკიცებდა, რომ შტატის კანონი და მის შესაბამისად მიღებული რეზოლუცია სამრევლო სკოლის მოსწავლეების მშობლებისთვის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ორი მიზეზით ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას. პირველი, რომ კანონი ანიჭებდა სახელმწიფოს უფლებას გადასახადებით აკრეფილი ფული გადაეცა კერძო პირებისთვის

მათი კერძო ინტერესის დასაკმაყოფილებლად. მოსარჩელის აზრით, ასეთი უფლების მინიჭება არღვევდა მე-14 შესწორების ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის კლაუზულას. მეორე, რომ კანონი და რეზოლუცია ავალდებულებდა მოსახლეობას, გადაეხადათ გადასახადები კათოლიკური სკოლების დასახმარებლად. აპელანტი ირწმუნებოდა, რომ მოსახლეობისთვის ასეთი ვალდებულების დაკისრება წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ თავისი ძალაუფლების გამოყენებას რელიგიური სკოლების დასახმარებლად, რაც ეწინააღმდეგება პირველ შესწორებას.

სასამართლოს განცხადებით, უდავოა, რომ კანონი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ბავშვებს, მიიღონ სეკულარული განათლება, საჯარო ინტერესს ემსახურება. სასამართლოს თანახმად, ასევე არასწორია იმ დასკვნის გაკეთება, რომ რადგანაც სახელმწიფო უნაზღაურებს ინდივიდებს ტრანსპორტირების ხარჯებს, ამიტომ ეს კანონი ემსახურება არა საჯარო, არამედ კერძო ინტერესს. სუბსიდიები და სესხები ფერმერებისთვის, სატრანსპორტო სისტემებისთვის და სხვა კერძო საქმიანობებისთვის, სასამართლოს განცხადებით, ხშირი პრაქტიკაა შეერთებულ შტატებში.

რაც შეეხება აპელანტის მეორე არგუმენტს, რომ კანონი ხელს უწყობდა რელიგიის დანესებას და, შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა პირველ შესწორებას, სასამართლომ განმარტა, რომ რელიგიის დანესების პირველი შესწორების კლაუზულა იმას ნიშნავს, რომ არც შტატს და არც ფედერალურ მთავრობას არ შეუძლია დაანესოს რელიგია; არც ერთს არ შეუძლია მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც ეხმარება ერთ რელიგიას, ყველა რელიგიას ან უპირატესობას ანიჭებს ერთ რელიგიას მეორესთან შედარებით; არც ერთს არ შეუძლია აიძულოს პირი, თავისი ნების საწინააღმდეგოდ მიიღოს რწმენა ან თავი შეიკავოს კონკრეტული რწმენის აღმსარებლობისგან; რომ არავინ შეიძლება დაისაჯოს კონკრეტული რელიგიური მრწამსის ქონის ან არქონის გამო, ეკლესიაში ღვთისმსახურებაზე დასწრების ან არდასწრების გამო; არ შეიძლება, რომ გადასახადები, მცირე თუ დიდი ოდენობით, აიკრიფოს რელიგიური საქმიანობისა თუ რელიგიური ინსტიტუტის მხარდასაჭერად; არც ერთს, არც შტატს და არც ფედერალურ ხელისუფლებას, არ შეუძლია საჯაროდ თუ ფარულად მონაწილეობა მიიღოს რელიგიური ორგანიზაციისა თუ ჯგუფის საქმიანობაში, ისევე როგორც ამ უკანასკნელთ არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში. ჯეფერსონის მიხედვით, რელიგიის არდანესების კლაუზულა გამიზნული იყო იმისთვის, რომ „ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სეპარაციის კედელი“ აღმართულიყო.

სასამართლოს განცხადებით, პირველი შესწორების თანახმად, ნიუ-ჯერსის შტატს არ შეეძლო გამოეყო გადასახადებით აკრფილი თანხები იმ ინსტიტუტის სასარგებლოდ, რომელიც რელიგიურ მოძღვრებას ასწავლიდა. მეორე მხრივ, სასამართლომ აღნიშნა, რომ იმავე პირველი შესწორების მიხედვით, არ შეიძლება ინდივიდის რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის შეზღუდვა. შესაბამისად, სასამართლოს განცხადებით, არ შეიძლება კათოლიკეს, ბაპტისტის, ებრაელისა თუ სხვა რწმენის წარმომადგენლისთვის, მისი რწმენის გამო, საზოგადოებრივი კეთილდღეობის კანონმდებლობით სარგებლობაზე უარის თქმა. ამდენად, ნიუ-ჯერსის შტატის მოსახლეობაც, განურჩევლად მათი რელიგიური მრწამსისა, არ შეიძლებოდა შეზღუდული ყოფილიყო შტატის ზოგადი კანონმდებლობის სარგებლის მიღებაში.

აღნიშნული კანონით განსაზღვრული ფინანსური დახმარება უზრუნველყოფდა ბავშვების სამრევლო სკოლაში დასწრებას. არსებობდა იმის ალბათობაც, რომ ასეთი დახმარების გარეშე მშობლებს შეიძლება უარი ეთქვათ სამრევლო სკოლაზე და თავიანთი შვილები საჯარო სკოლაში გაეშვათ, სადაც მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებდა.

უფრო მეტიც, სასამართლოს განცხადებით, პოლიციელი, რომელიც მოსწავლეებს სატრანსპორტო ინციდენტებისგან იცავდა, იმავე მიზანს ასრულებდა, რასაც ეს კანონი, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა უფასო ტრანსპორტირებას ბავშვებისთვის. მშობლებს ასევე შეიძლება უარი ეთქვათ სამრევლო სკოლებში თავისი ბავშვების გაშვებაზე, თუ პოლიციელი არ დაიცავდა სამრევლო სკოლის მოსწავლეებს სატრანსპორტო ინციდენტებისგან.

რელიგიური სკოლების განკვეთა ისეთი სახელმწიფო მომსახურების მიღებისგან, როგორცაა პოლიციის, სახანძროს დახმარება და სხვა, რა თქმა უნდა, გააუარესებდა სამრევლო სკოლების ფუნქციონირებას, რაც, სასამართლოს აზრით, არ იყო პირველი შესწორების მიზანი. პირველი შესწორება მოითხოვდა სახელმწიფოს ნეიტრალობას რელიგიურ და არარელიგიურ ჯგუფებთან ურთიერთობაში.

ამ მიზეზების გამო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პირველი შესწორება არ უკმადავდა ნიუ-ჯერსის შტატს, გამოეყო გადასახადებით აკრედიტი თანხები სამრევლო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯების ასანაზღაურებლად. სასამართლოს განცხადებით, პირველმა შესწორებამ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სეპარაციის კედელი აღმართა, რომელიც შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო.

**სეკულარული მიზანი როგორც საჯარო მიზანი.** ევერსონის სასამართლო საქმე პირველი იყო, რომელშიც სახელმწიფო პროგრამის მიმართ ეკლესიის დაწესების პრინციპი იქნა გამოყენებული. მართალია, სასამართლოს არ გამოუყენებია ტერმინი „სეკულარული მიზანი“, მაგრამ მან ცალსახად განაცხადა, რომ კანონი, რომელიც ხელს უწყობდა ბავშვების მიერ სეკულარული განათლების მიღებას, საჯარო მიზანს ემსახურებოდა.

კანონის სეკულარობის მოთხოვნა თავისთავად საკმაოდ საინტერესოა. სასამართლო აქამდე არასდროს დაყრდნობია სეკულარობის პრინციპს იმისთვის, რომ უკანონოდ გამოეცხადებინა სახელმწიფო ან ფედერალური პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფდა რელიგიური განათლების დაფინანსებას. ამ ქვეთავში მოყვანილ ყველა საქმეში, სასამართლო სწრაფად პოულობს სეკულარულ მიზანს გასაჩივრებულ სახელმწიფო დახმარებებში. სეკულარობის პრინციპი გამოხატავს მნიშვნელოვან შეხედულებას ეკლესიის დაწესების დაუშვებლობასთან დაკავშირებით. გადასახადის გადამხდელი არ უნდა იყოს იძულებული, გადაიხადოს იმ რელიგიური ინსტრუქციისთვის, რომლისაც მას არ სწამს.

### *ლემონი კურცმანის წინააღმდეგ;*

*ერლი დი ჩენზოს წინააღმდეგ; რობინსონი დი ჩენზოს წინააღმდეგ*<sup>213</sup>

### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

წარმოდგენილი ორი საჩივარი ეხება პენსილვანიისა და როდ აილენდის კანონებს, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას აწესებდნენ დაწყებითი და საშუალო რელიგიური სკოლებისთვის. ორივე კანონი გასაჩივრებული იყო იმ მოტივით, რომ ისინი არღვევდნენ ეკლესიის დაწესებისა და აღმარებლობის თავისუფლების პირველი შესწორების კლავზულას, ასევე მე-14 შესწორების ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის კლავზულას.

პენსილვანიის მიღებული ჰქონდა საკანონმდებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფდა არასაჯარო დაწყებითი და საშუალო სკოლებისთვის სეკულარულ საგნებში მასწავლებლების სახელფასო ხარჯის, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების ხარჯების ანაზღაურებას.

როდ აილენდს კი შემუშავებული ჰქონდა კანონი, რომლის მიხედვითაც შტატს არასაჯარო დაწყებითი სკოლის პედაგოგებისთვის 15%-იანი სახელფასო დანამატი უნდა გადაეხადა. ორივე კანონის მიხედვით, შტატების დახმარება განკუთვნილი იყო რელიგიური საგანმანათლებლო ინსტიტუტებისთვის.

**როდ აილენდის კანონი.** სახელფასო დანამატის შესახებ როდ აილენდის აქტი 1969 წელს მიიღეს. აქტის მიღება იმ მოსაზრებამ განაპირობა, რომ არასაჯარო დაწყებით სკოლებში განათლების ხარისხს გაუარესება ემუქრებოდა, რადგან არასაჯარო სკოლები ვერ პასუხობდნენ მზარდი ხელფასების მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილებაც საჭირო იყო კომპეტენტური მასწავლებლების მოსაზიდად. აქტი ავალდებულებდა საჯარო მოხელეებს, რომ უზრუნველყოთ 15%-იანი სახელფასო დანამატი იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც სეკულარულ საგნებს ასწავლიდნენ არასაჯარო დაწყებით სკოლებში. სახელფასო დანამატი ხელფასთან ერთად იმ მაქსიმალურ ხელფასზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, რომელსაც იღებდა მასწავლებელი საჯარო სკოლაში. დანამატის მიმღები შტატის განათლების საბჭოს მიერ სერტიფიცირებული პედაგოგი უნდა ყოფილიყო.

იმისთვის, რომ მასწავლებელს უფლება ჰქონოდა, მიეღო სახელფასო დანამატი, ის იმ არასაჯარო სკოლის მასწავლებელი უნდა ყოფილიყო, რომლის თითოეული მოსწავლის სეკულარული განათლების საშუალო დანახარჯი არ აღემატებოდა საჯარო სკოლის იმავე მაჩვენებელს.

აქტი ასევე მოითხოვდა, რომ მასწავლებლები, რომლებიც ამ დანამატს მიიღებდნენ, მხოლოდ იმ საგნის მასწავლებლები უნდა ყოფილიყვნენ, რომელიც საჯარო სკოლებში ისწავლებოდა. ასევე მათ მხოლოდ ის სახელმძღვანელოები უნდა გამოეყენებინათ, რომლებიც საჯარო სკოლებში გამოიყენებოდა. დაბოლოს, ყოველ მასწავლებელს წინასწარ უნდა განეცხადებინა წერილობითი თანხმობა, რომ იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ის სახელფასო დანამატს მიიღებდა, არ ასწავლიდა რელიგიის კურსს.

როდ აილენდის მოქალაქეებმა სარჩელი შეიტანეს პირველი ინსტანციის ფედერალურ სასამართლოში. მათ მოითხოვეს, რომ როდ აილენდის სახელფასო დანამატის შესახებ აქტი, რომელიც რელიგიის დაწესებისა და აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულებს ეწინააღმდეგებოდა, არაკონსტიტუციურად ყოფილიყო ცნობილი. მოპასუხეებად გამოდიოდნენ საჯარო მოხელეები, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ აქტის აღსრულება, მასწავლებლები, რომლებიც იღებდნენ სახელფასო დანამატს და იმ მოსწავლეების მშობლები, რომლებიც სწავლობდნენ რელიგიურ სკოლებში.

პირველი ინსტანციის სასამართლო განხილვამდე სულ 250 მასწავლებელს ჰქონდა განაცხადი შეტანილი სახელფასო დანამატზე და ისინი ყველანი კათოლიკურ სკოლებში ასწავლიდნენ.

სასამართლო განხილვაზე წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები სეკულარული განათლების ბუნების თაობაზე იმ კათოლიკურ სკოლებში, რომლის მასწავლებლებსაც, აქტის მიხედვით, სახელფასო დანამატი ეკუთვნოდათ. მიუხედავად სასამართლოს აღიარებისა, რომ რელიგიური ღირებულებები ამ სკოლებში დიდ გავლენას არ ახდენდა სეკულარული საგნების შინაარსზე, მან გადაწყვიტა, რომ სამრევლო სკოლების სისტემა კათოლიკური ეკლესიის მისიის განუყოფელი ნაწილი იყო. სასამართლომ აქტი არაკონსტიტუციურად ცნო იმ მოტივით, რომ ის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირს აყალიბებდა.

**პენსილვანიის კანონი.** პენსილვანიის შტატმა მიიღო პროგრამა, რომელიც როდ აილენდის პროგრამის მსგავსი იყო. შტატი უნაზღაურებდა არასაჯარო სკოლებს მასწავლებლების ხელფასების, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების ხარჯებს. იმისთვის, რომ სკოლას უფლება ჰქონოდა მიეღო ანაზღაურება, მას ცალკე უნდა ეწარმოებინა სეკულარული განათლების მომსახურების საბუღალტრო პროცედურები, რომლებიც აუდიტს ექვემდებარებოდა. თანხები ამ პროგრამისთვის თავდაპირველად დოღზე დაწესებული გადასახადიდან მოიზიდეს, თუმცა შემდეგ ნაწილი უკვე სიგარეტზე დაწესებული სახელმწიფო გადასახადებიდან ამოღებული სახსრებით ფინანსდებოდა.

როდ აილენდის პროგრამის მსგავსად, ამ პროგრამითაც რამდენიმე შეზღუდვა იყო გათვალისწინებული შტატის დახმარებაზე. ანაზღაურება მხოლოდ იმ საგნებისთვის იყო განკუთვნილი, რომლებიც საჯარო სკოლის სასწავლო გეგმაში შედიოდა. გარდა ამისა, დაფინანსება მხოლოდ შემდეგ სეკულარულ საგნებზე უნდა გავრცელებულიყო: მათემატიკა, თანამედროვე უცხოური ენები, ფიზიკური აღზრდა. კანონი ასევე კრძალავდა ნებისმიერი ისეთი კურსის დაფინანსებას, რომელიც შეიცავდა რელიგიურ მოძღვრებას ან რომელიმე სექტის აღმსარებლობას.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩევეები იყვნენ პენსილვანიის მოქალაქეთა ასოციაციები, რომლებიც მხარს უჭერდნენ სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის იდეას. გარდა ამისა, ინდივიდუალურ მოსარჩევეებად გამოდიოდნენ ცალკეული მოქალაქეები, მაგალითად, მოქალაქე ლემონი პენსილვანიის საჯარო სკოლის მოსწავლის მშობელი იყო. იგი ამტკიცებდა, რომ დოლის ბილეთის ყიდვისას მან გადაიხადა სპეციალური გადასახადი, რომლითაც იფარებოდა აქტივით გათვალისწინებული რელიგიური დაწესებულების ხარჯები. მოპასუხეებად გამოდიოდნენ საჯარო მოხელეები, რომელთაც ეკისრებოდათ აქტის სისრულეში მოყვანა, და რამდენიმე რელიგიური სკოლა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ აქტი არ არღვევდა არც ეკლესიის დაწესებისა და არც აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულებს.

უზუნაესი სასამართლოს მიხედვით, პირველი შესწორების ავტორებმა არა მარტო ეკლესიის ან სახელმწიფო რელიგიის დაწესება აკრძალეს, არამედ ნებისმიერი ისეთი კანონის მიღებაც, რომელიც რელიგიის დაწესებას აღიარებდა. სასამართლოს განცხადებით, კანონი შეიძლება აღიარებდეს უკანონო მიზანს, თუმცა არ ახორციელებდეს მას. კონკრეტული კანონი შეიძლება არ აწესებდეს რელიგიას, მაგრამ აღიარებდეს ან ხელს უწყობდეს მის დაწესებას, იმ აზრით, რომ ის შეიძლება პირველ ნაბიჯს წარმოადგენდეს რელიგიის დაწესების მიმართულებით.

სასამართლოს მოსაზრებით, ყველანაირი ანალიზი ამ მხრივ იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა დაინდოს, რაც სასამართლომ მრავალი წლის განმავლობაში შეიმუშავა. ეს კრიტერიუმებია: **პირველი, კანონს სეკულარული საკანონმდებლო მიზანი უნდა ჰქონდეს; მეორე, მისი პირდაპირი ან ძირითადი შედეგი არ უნდა იყოს რელიგიის მხარდაჭერა ან, პირიქით, მისი შეზღუდვა; და მესამე, კანონმა არ უნდა ჩამოაყალიბოს ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირი სახელმწიფოსა და რელიგიას შორის.**

სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს სრული იზოლირება რელიგიისგან შეუძლებელია. გარკვეული ფორმით ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიას შორის გარდაუვალია. შესაბამისად, იმისთვის, რომ განისაზღვროს, წარმოადგენს თუ არა ზედმეტად მჭიდროს კონკრეტული ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიას შორის, სასამართლოს აზრით, დეტალურად უნდა განისაზღვროს იმ ინსტიტუტების ფუნქცია, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას იღებენ. ასევე უნდა განისაზღვროს თვითონ სახელმწიფო დახმარების ბუნება და დახმარების შედეგად ჩამოყალიბებული ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიურ ხელმძღვანელობას შორის.

ა) როდ აილენდის პროგრამა

როდ აილენდის სამრევლო სკოლის შენობაზე აღბეჭდილი იყო სხვადასხვა რელიგიური სიმბოლოები, რელიგიური ნახატები. საკლასო ოთახებში და დერეფნებში იდგა რელიგიური ქანდაკებები. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 30 წუთი ეთმობოდა რელიგიურ ინსტრუქციას, სკოლებში ადგილი ჰქონდა ფართო ექსტრაკურსულ რელიგიურ პრაქტიკას. მასწავლებლების დახლოებით ორი მესამედი სხვადასხვა რელიგიური საზოგადოებრივი ჯგუფის წევრი

იყო. ყველაფერი ეს გახდა როგორც პირველი ინსტანციის, ასევე უზენაეს სასამართლოს დასკვნის საფუძველი, რომ სამრევლო სკოლების საქმიანობის უდიდეს ნაწილს რელიგიური საქმიანობა მოიცავდა.

უზენაესი სასამართლოს მიხედვით, სახელმწიფოსთან რელიგიური სკოლების მჭიდრო კავშირის საშიშროების შექმნას ასევე ხელს უწყობდა როდ აილენდის აქტში ჩადებული პირობები. სამრევლო სკოლების ფართო რელიგიური საქმიანობის გამო აქტში ჩადებული იყო სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახელმწიფო დახმარება მხოლოდ სეკულარულ განათლებას მოხმარებოდა.

გარდა ამისა, სასამართლოს აზრით, არსებობდა აგრეთვე იმის საშიშროება, რომ მასწავლებელი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ სეკულარულ საგანს ასწავლიდა, ვერ იქნებოდა რელიგიურად სრულიად ნეიტრალური, რადგან მას ღრმად რელიგიურ გარემოში უწევდა მუშაობა. ასეთი დასკვნის საფუძველად უზენაეს სასამართლოს მოჰყავს სამრევლო სკოლების სტრუქტურა, რომელშიც სკოლების დირექტორებს, ორი გამონაკლისის გარდა, კათოლიკე სასულიერო პირები წარმოადგენენ. სკოლების მიზნებისთვის მრევლის ფინანსური სახსრების განკარგვას ასევე ახდენს კათოლიკე სასულიერო პირი. გარდა ამისა, სასამართლოს მტკიცებულებად მოჰყავს სასკოლო რეგულაციების სახელმძღვანელოდან სამრევლო სკოლის მართვის სტანდარტები, რომელთა თანახმად, მოსწავლის რელიგიური ფორმირება არ არის შეზღუდული მხოლოდ კურსის ფორმალური გავლით და არც კონკრეტული საგნის შესწავლით. რეგულაციები რჩევას აძლევს მასწავლებლებს, განუვითარონ ბავშვებს რელიგიური ღვთისმსახურებისადმი ინტერესი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობს პოტენციური საშიშროება იმისა, რომ ასეთი პროგრამა რელიგიის გავრცელებას უწყობს ხელს.

გარდა ამისა, სასამართლოს მოსაზრებით, სახელმწიფოს ზედამხედველობის დაწესება სკოლებზე იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახელმწიფო დახმარება მხოლოდ სეკულარულ განათლება ხმარდებოდეს, ქმნის სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის ჩამოყალიბების საშიშროებას.

### ბ) პენსილვანიის პროგრამა

პენსილვანიის კანონიც, როდ აილენდის მსგავსად, უზრუნველყოფდა სახელმწიფო ფინანსურ დახმარებას რელიგიური სკოლების მასწავლებელთათვის.

უზენაესმა სასამართლომ პენსილვანიის პროგრამასთან დაკავშირებით, ისევე როგორც როდ აილენდის მიმართ, აღნიშნა, რომ სახელმწიფო შეზღუდვები და ზედამხედველობა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილიყო მასწავლებელთა არაიდეოლოგიური როლი, ხელს უწყობდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის ჩამოყალიბებას.

უფრო მეტიც, სასამართლოს განცხადებით, პენსილვანიის კანონს დამატებით ის დევექტიც ჰქონდა, რომ უზრუნველყოფდა თანხის გადაცემას პირდაპირ რელიგიური სკოლებისთვის და არა მოსწავლეების ან მათი მშობლებისთვის. გარდა ამისა, სახელმწიფოს უფლება, ჩაეტარებინა საეკლესიო სკოლებისთვის აუდიტი იმ მიზნით, რომ შეეფასებინა სკოლის ფინანსური დოკუმენტები და განესაზღვრა, თანხების რა ნაწილი ეკუთვნოდა რელიგიურ და სეკულარულ განათლებას, სასამართლოს აზრით, ქმნიდა მჭიდრო და განგრძობად ურთიერთობას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის.

უზენაესმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, როგორც პენსილვანიის, ასევე როდ აილენდის კანონი სხვა სახის საშიშროებასაც შეიცავდა ამ პროგრამების პოლიტიკური უთანხმოების პოტენციურ წყაროებად გადაქცევის გამო. სასამართლოს განცხადებით, საზოგადოებაში, სადაც



მოსწავლეების საკმაოდ დიდი ნაწილი განათლებას რელიგიურ სკოლებში იღებდა, დიდი შესაძლებლობა იყო იმისა, რომ რელიგიური სკოლებისთვის სახელმწიფო დახმარება გამოიწვევდა ფართომასშტაბიანი პოლიტიკური კამპანიის წამოწყებას. რელიგიური სკოლების დახმარების შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, სამრევლო სკოლების მხარდამჭერნი პოლიტიკურ არენას საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოიყენებდნენ. ხოლო ისინი, ვინც ეწინააღმდეგება ამ სახელმწიფო დახმარებას კონსტიტუციური, ფისკალური, თუ რელიგიური საფუძვლის გამო, ასევე პოლიტიკური კამპანიით უპასუხებენ.

ზოგადად, პოლიტიკური დებატები სახელმწიფოს დემოკრატიული სისტემის ჯანსაღი გამოხატულებაა, მაგრამ, სასამართლოს აზრით, ისინი რელიგიური კუთხით იმ არსებითი ზიანის მომტანია, რომლის წინააღმდეგაც პირველი შესწორებაა მიმართული. სასამართლოს თანახმად, საზოგადოებრივი აზრის გაყოფა რელიგიური სკოლების სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებით, სხვა ისეთი საკითხების იგნორირებას გამოიწვევს, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებენ.

ისევე, როგორც პენსილვანიის კანონი, როდ აილენდის კანონიც სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

**რელიგიური სკოლები ლემონის საქმის შემდგომ.** ლემონის საქმეში მიღებულმა გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასამართლოს მიერ განათლების სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საქმეების გადაწყვეტაში. თუმცა ლემონის სამანაწილიანი ტესტი საკმაოდ დიდი კრიტიკის ქვეშ მოექცა. მაგალითად, ერთ-ერთი კრიტიკოსი წერდა, რომ სამანაწილიანი ტესტის შედეგად ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებები იქნა მიღებული და რომ შეუძლებელი იყო ამ გადაწყვეტილებების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა. სწორედ ამ შეუსაბამობის ილუსტრირება იყო ის, რომ, მაგალითად, სასამართლომ უკანანოდ გამოაცხადა რელიგიური სკოლების მოსწავლეთათვის თერაპიული და დიაგნოსამედიცინო მომსახურების გაწევა საჯარო მოსამსახურეთა მიერ რელიგიური სკოლის ტერიტორიაზე, თუმცა კანონიერად აღიარა იგივე მომსახურება ნეიტრალურ ადგილზე; უკანანოდ გამოაცხადა რელიგიური სკოლებისთვის მასწავლებლების მიერ მომზადებული ტესტების ადმინისტრირების ხარჯების ანაზღაურება იმავე რელიგიური სკოლებისათვის, მაშინ როდესაც კანონიერად ითვლებოდა სახელმწიფოს მიერ მომზადებული ტესტების ადმინისტრირებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება; კანონიერი იყო სახელმწიფოს მიერ რელიგიური სკოლის მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების გადაცემა, რადგან წინასწარ შეიძლებოდა იმის შემოწმება, სახელმძღვანელოები რელიგიური შინაარსისა იყო თუ არა; მაგრამ უკანონო იყო სახელმწიფოს მიერ რელიგიური სკოლის მოსწავლეებისთვის ისეთი საგანმანათლებლო საშუალებების გადაცემა, როგორებიც იყო რუკები და აუდიოჩამწერები; სახელმწიფოს შეეძლო გადაეხადა რელიგიური სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯები, მაგრამ არ შეეძლო დაეფინანსებინა მათი ექსკურსიები სახელმწიფო, კულტურულ და სამეცნიერო ცენტრებში, რომლებიც გაამდიდრებდნენ მათ სეკულარულ განათლებას. ყველაფერი ეს, კრიტიკოსების აზრით, მიუთითებდა ქაოსურ, არალოგიკურ და შეუსაბამო სასამართლო პრაქტიკაზე.

### *მიუღერი აღენის წინააღმდეგ<sup>214</sup>*

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

მინესოტის საგადასახდო კანონი აწესებდა თითოეული მოსწავლის სასწავლო, ტრანსპორტირებისა და სახელმძღვანელოების საფასურის 500-დან 700 დოლარამდე ოდენობის ანაზღაურებას. ეს კანონი ორი ათწლეულის განმავლობაში უპრობლემოდ მოქმედებდა, სანამ ის გასაჩივრებულ არ იქნა ეკლესიის დაწესების კლაუზულის დარღვევის საფუძველზე.

უზენაესმა სასამართლომ წინამდებარე საქმე ლემონის საქმეში შემუშავებული სტანდარტების მიხედვით განიხილა.

სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, განიხილა საკითხი იმის თაობაზე, ემსახურებოდა თუ არა მინესოტის კანონი სეკულარულ მიზანს. სასამართლოს განცხადებით, შტატის გადაწყვეტილება, რომ შეღავათი გაენია ყველა მშობლისთვის, განურჩევლად იმისა, თუ სად სწავლობდნენ მათი შვილები, წარმოადგენდა საკმარის მტკიცებულებას იმისა, რომ კანონს სეკულარული მიზანი ჰქონდა. სასამართლოს განცხადებით, მოქალაქეების განათლების დონე ეკონომიკური და პოლიტიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს და, სასამართლოს აზრით, შტატის მცდელობა, დახმარება გაენია მშობლებისთვის განათლების მზარდი ხარჯების დაფარვაში, მხოლოდ შტატის მიერ თავისი მოსახლეობისთვის განათლების უზრუნველყოფის სეკულარულ მიზანს ემსახურებოდა. სასამართლოს მოსაზრებით, მინესოტის შტატს შეეძლო დაესკვნა, რომ კერძო სკოლების, როგორც რელიგიურის, ისე არარელიგიურის, ფინანსური კეთილდღეობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს ემსახურებოდა. ასეთი სკოლები უზრუნველყოფენ მრავალრიცხოვანი მოსწავლეების განათლებას და საჯარო სკოლებს მნიშვნელოვანი ტვირთისგან ათავისუფლებენ. ყველაფერი ეს გახდა საფუძველი უზენაესი სასამართლოს დასკვნისთვის, რომ ეს კანონი სრულად აკმაყოფილებდა ლემონის პირველ სტანდარტს კანონის მიზნის სეკულარობის მოთხოვნის შესახებ.

სასამართლომ ასევე განიხილა საკითხი იმის თაობაზე, უწყობდა თუ არა ხელს მინესოტის კანონი არასაჯარო სკოლების რელიგიური მიზნების განხორციელებას. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ეს კანონი ლემონის ტესტის მეორე ნაწილსაც აკმაყოფილებდა და გამოყო კანონის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. პირველი, რომ ამ კანონის გარდა, მინესოტის შტატის საგადასახადო კანონმდებლობა სხვა შეღავათებსაც სთავაზობდა მოსახლეობას, მათ შორის სამედიცინო ხარჯებსა და საქველმოქმედო შემოწირულობებზე.

გარდა ამისა, სასამართლომ კანონის ძლიერ მხარედ აღიარა ის, რომ იგი თანაბარ შეღავათს აწესებდა ყველა მშობლისათვის, მიუხედავად იმისა, კერძო თუ საჯარო, რელიგიურ თუ არარელიგიურ სკოლაში სწავლობდა მისი შვილი. სასამართლოს განცხადებით, შეღავათის უზრუნველყოფა ჯგუფების ფართო სპექტრისთვის სეკულარული შედეგის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენდა.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შეღავათის მიცემა მშობლების და არა პირდაპირ სკოლებისათვის რელიგიის დანესების კლასიკური ანალიზის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა. ის, რომ მინესოტის კანონი მშობლებს ეხმარებოდა და არა პირდაპირ სკოლებს, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ეკონომიკური შედეგი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე იყო, სასამართლოს აზრით, კანონის კონსტიტუციურობაზე მეტყველებდა.

მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ კანონი, საბოლოო ჯამში, რელიგიურ დანესებულებებს უჭერდა მხარს. მათ მტკიცებულებად მოჰყავდათ სტატისტიკური მონაცემები, რომელთა თანახმად, საჯარო სკოლების მშობლების უმრავლესობა შეღავათით არ სარგებლობდა და კანონი, ძირითადად, მხოლოდ რელიგიურ სკოლებში მოსწავლე ბავშვების მშობლებისთვის იყო სასარგებლო. სასამართლომ არ განიხილა ასეთი ტიპის დავა დეტალებში. მან აღნიშნა, რომ დაუშვებელი იყო ისეთი წესის აღიარება, რომლის მიხედვითაც ნეიტრალური კანონის კონსტიტუციურობა დაეფუძნებოდა წლიურ ანგარიშებს, რომლებიც შეიცავდა სხვადასხვა მოქალაქეთა კლასობრივი ჯგუფების მიერ შეღავათზე გაკეთებული განაცხადების რაოდენობის მაჩვენებლებს. სასამართლოს აზრით, ის, რომ სხვადასხვა კერძო პირები კონკრეტულ წელს სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებდნენ განაცხადის შეტანას შეღავათზე ნეიტრა-

ლური კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ნაკლებ მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრაში, კონსტიტუციურია თუ არა ეს კანონი.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები იმ მშობლებთან ერთად, რომლებიც იხდიან ასეთ სკოლებში ბავშვების განათლების საფასურს, საკმაოდ პოზიტიურ გავლენას ახდენს განათლების სფეროში. სასამართლოს განცხადებით, რელიგიურმა სკოლებმა, გარდა თავიანთი რელიგიური მიზნების განხორციელებისა, უზრუნველყვეს განათლების მიღების ალტერნატიული შესაძლებლობა მილიონობით ამერიკელისთვის. ისინი კონკურენციას უწევენ საჯარო სკოლებს და ზოგიერთ შტატში მნიშვნელოვნად ამსუბუქებენ საჯარო სკოლების ფუნქციონირებისთვის დამახასიათებელ საგადასახადო ტვირთს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ გამართლებულად ჩათვალა, დეტალურად არ განეხილა ემპირიულ მონაცემებზე დამყარებული არგუმენტი, რომელიც მომჩივანმა წამოაყენა. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ საგანმანათლებლო შეღავათის შესახებ მინესოტის კანონი სრულიად აკმაყოფილებდა პირველი შესწორების დანესების კლაუზულას.

### *გრენდ რაპიდის სასკოლო ოლქი ბოლის წინააღმდეგ<sup>215</sup>*

გრენდ რაპიდის სასკოლო ოლქში ხორციელდება ორ პროგრამა კერძო სკოლების მოსწავლეებისთვის. „ერთობლივი დროის პროგრამა“ მოიცავდა მათემატიკურ, მუსიკალურ, ფიზიკურ და სხვა სახის განათლების კურსს. მასწავლებლები ამ პროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლების სრულ განაკვეთზე მომუშავე პირები იყვნენ. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსი მოსწავლის სკოლაში დასწრების დროის ათ პროცენტს მოითხოვდა.

„სათემო განათლების პროგრამა“ ისწავლებოდა კერძო სკოლებში რეგულარული სასკოლო დღის დამთავრების შემდეგ და მოიცავდა ხელოსნობისა და ესპანური ენის სასწავლო კურსს. მასწავლებლები სასკოლო ოლქის მიერ ნახევარ განაკვეთზე დაქირავებული ძირითადად, რელიგიურ სკოლებში მთლიან განაკვეთზე მომუშავე პირები იყვნენ.

ორივე პროგრამის ხელმძღვანელი იყო საჯარო მოხელე, რომელმაც შეარჩია პროგრამაში მონაწილე რელიგიური სკოლები. პროგრამების მონაწილე სკოლების უმეტესობა კათოლიკური და პროტესტანტული იყო.

### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

უზენაესი სასამართლოს განცხადებით, სახელმწიფომ შეიძლება ხელი შეუწყოს რელიგიის გავრცელებას, როგორც კონკრეტული რელიგიური დოგმების ინდოქტრინაციით, ისე თავისი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების რელიგიური სექტების უფლებამოსილებებთან და ვალდებულებებთან იდენტიფიცირებით. თუ ასეთი იდენტიფიცირება სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის მხარდაჭერას, ან მის რაიმენაირ შეზღუდვას გულისხმობს, მაშინ, სასამართლოს თანახმად, ირღვევა რელიგიის დანესების კლაუზულის ცენტრალური პრინციპი. შესაბამისად, სასამართლოს განცხადებით, ლემონის ტესტის მთავარი ამოცანაა იმის გარკვევა, წარმოადგენს თუ არა სიმბოლური კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სექტის მიმდევრებისთვის რელიგიის გავრცელების მხარდაჭერას, ხოლო არამიმდევრებისთვის მათი ინდივიდუალური რელიგიური არჩევანის უარყოფას. ასეთი შედეგის განხილვა, სასამართლოს აზრით, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოხდეს, როდესაც საქმე ეხება ბავშვებს.

ამ პროგრამების მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ პროგრამებით უზრუნველყოფილი დახმარება პირდაპირ მოსწავლეებს ხმარდებოდა და არა სკოლებს. სასამართლოს განცხადებით, ყველა დახმარება რელიგიური სკოლებისთვის, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში მოსწავლეს ხმარდებოდა და ასეთი არგუმენტის მიღება გამოიწვევდა რელიგიური სკოლებისთვის ყველა

ფორმის არაიდეოლოგიური დახმარების დაკანონებას, მათ შორის იმ დახმარებისა, რომელიც სასამართლომ სხვადასხვა საქმეების განხილვისას უარყო. სასამართლოს აზრით, მთავარი იყო არა დახმარების ადრესატის ვინაობა, არამედ ის, რომ დახმარება არსებითი ხელშეწყობა იყო რელიგიური დაწესებულების ფუნქციონირებისთვის.

პროგრამების მომხრეები ასევე ამტკიცებდნენ, რომ მათი შედეგი არაარსებითი იყო, რადგან პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსი მხოლოდ კურიკულუმის დამატება იყო, მოიცავდა იმ საგნების სწავლებას, რომლებიც მანამდე არ ისწავლებოდა რელიგიურ სკოლებში და არ იყო სავალდებულო სკოლის შინაგანანგისით ან სახელმწიფო რეგულაციებით.

უზენაესი სასამართლოს განცხადებით, შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, უზრუნველყოფდნენ თუ არა ამ საგნების სწავლებას რელიგიური სკოლები იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ იქნებოდა შეტანილი საჯარო სკოლების კურიკულუმში. შესაბამისად, სასამართლომ არასაკმარისად დამაჯერებლად ჩათვალა მომჩინებლის მიერ ამ პროგრამებით უზრუნველყოფილი სასწავლო საგნების განსხვავება იმ ნიშნით, რომ ისინი კურიკულუმის დამატება იყო და არა ძირითადი საგანი. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროგრამებით უზრუნველყოფილი რამდენიმე საგანი მართლაც არ ისწავლებოდა ადრე, ისინი (პროგრამები) შეიცავდა მათემატიკას, კითხვას და სხვა ისეთ საგნებს, რომლებიც მანამდე შედიოდა სასკოლო კურიკულუმში და შესაბამისად, მიუხედავად პროგრამის „დამატებით“ ხასიათისა, ის ეწინააღმდეგებოდა რელიგიის დაწესების კლაუზულას. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მომჩინებლის არგუმენტის დაკმაყოფილება შესაძლებლობას მისცემდა სხვა საჯარო სკოლებს, თანდათანობით თავიანთი სრული კონტროლის ქვეშ მოექციათ რელიგიური სკოლების კურიკულუმში. რელიგიური სკოლები აღარ გააგრძელებდნენ არსებული კურსების სწავლებას, რადგან ისინი რამდენიმე წელიწადში ჩანაცვლებულ იქნებოდა მსგავსი სახელმწიფო პროგრამებით, რომლებიც იმავე საგნებს მოიცავდა.

უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნულ პროგრამებში მონაწილე 41 სკოლიდან 40 „ღრმად რელიგიური“ იყო და გადაწყვიტა, რომ სახელმწიფო პროგრამები სამი გზით უწყობდნენ ხელს რელიგიის გავრცელებას. უპირველეს ყოვლისა, დიდი ალბათობა იყო, რომ „ღრმად რელიგიური“ სკოლების გავლენის გამო, მასწავლებლები მოსწავლეების ინდოქტრინაციას განახორციელებდნენ სახელმწიფოს ხარჯზე. მეორე, სეკულარული სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი რელიგიური სკოლების პროგრამებისათვის დამახასიათებელი სიმბოლური კავშირი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შეიცავდა სახელმწიფოს მიერ მოსწავლეებში და ფართო საზოგადოებაში რელიგიის გავრცელების მხარდაჭერის „მესიჯს“. დაბოლოს, სასამართლოს განცხადებით, პროგრამებით ფინანსებოდა რელიგიური დაწესებულების ფუნქციები, კერძოდ, რელიგიური სკოლების სეკულარული საგნების სწავლება.

აღნიშნული მიზეზების გამო უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ „სათემო განათლებისა“ და „ერთობლივი დროის პროგრამების“ განხორციელებას მოსდევდა რელიგიის მხარდაჭერის პირდაპირი შედეგი, რაც ეწინააღმდეგება პირველი შესწორების რელიგიის დაწესების კლაუზულას.

### *აგილარი ფელტონის წინააღმდეგ<sup>216</sup>*

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

დაწყებითი და საშუალო განათლების შესახებ 1965 წლის აქტის I თავი უფლებას აძლევდა განათლების სამინისტროს, გაენაწილებინა ფინანსური დახმარება ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, რათა დაეკმაყოფილებინა მცირე შემოსავლის მქონე ოჯახების ბავშვების განათლების საჭიროება.

1966 წლიდან ნიუ-იორკი უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო მომსახურებას, აღნიშნული აქტის I თავის შესაბამისად, რელიგიური სკოლების მოსწავლეებისთვის რელიგიური სკოლების ბაზაზე. ამ სკოლებში არსებული სასწავლო პროგრამები მოიცავდა კითხვისა და მათემატიკის დამატებით გაკვეთილებს (უნარშეზღუდული მოსწავლეებისთვის) და ინგლისურის, როგორც მეორე ენის, გაკვეთილს. ამ გაკვეთილებს ნებაყოფლობით ატარებდნენ საჯარო სკოლების მუშაკები (მასწავლებლები, ფსიქიატრები, ფსიქოლოგები და სხვა).

უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ საქმეში ირღვეოდა ლემონის ტესტის მესამე პრინციპი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის დაუშვებლობის შესახებ. სასამართლოს აზრით, ასეთი ურთიერთკავშირის წარმოშობის საშიშროება შემდეგ საფუძვლებს ემყარებოდა: პირველი, დახმარება „ღრმად რელიგიურ“ გარემოში იყო წარმოდგენილი; მეორე, რადგანაც დახმარება მოსწავლეებისთვის გაკვეთილების ჩატარებას გულისხმობდა, მუდმივი კონტროლი იყო საჭირო იმისთვის, რომ გაკვეთილების მსვლელობისას არ მომხდარიყო მოსწავლეებისთვის რელიგიური „მესიჯის“ გადაცემა; და მესამე, ადმინისტრაციული თანამშრომლობა საჯარო სკოლებისა და რელიგიური სკოლის მუშაკებს შორის ქმნიდა ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის საფუძველს. უზენაესმა სასამართლომ ეს დახმარება არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

#### *მოსამართლე პაუელის თანმხვედრი აზრი*

მოსამართლე პაუელის აზრით, ამ დახმარებას, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ზედმეტად მჭიდრო კავშირის შექმნის საშიშროების გარდა, პოლიტიკური უთანხმოების წარმოშობის საფრთხეც ახლდა. მოსამართლის თანახმად, ასეთი საშიშროება გულისხმობდა პოლიტიკურ დებატებს რელიგიური სკოლებისთვის სახელმწიფო დახმარების მიცემის მიზანშეწონილობისა და შეზღუდული სახელმწიფო რესურსების სათანადოდ განაწილების შესახებ. პაუელის განცხადებით, ნიუ-იორკის შტატის მრავალფეროვანი რელიგიური მოსახლეობის პირობებში გარდაუვალი იყო რელიგიური სკოლებისთვის დახმარების შესახებ სახელმწიფო გადანაწილების პოლიტიკური განხილვა. მოსამართლის აზრით, ეს პროგრამა ასევე წინააღმდეგობაში მოდიოდა ლემონის ტესტის „შედეგის“ ნაწილთან.

#### *მოსამართლე ბურგერის განსხვავებული აზრი*

მოსამართლე ბურგერმა აღნიშნა, რომ სასამართლოს გადანაწილება პროგრამის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ უამრავ მოსწავლეს წაართმევდა იმ დამატებით გაკვეთილებზე დასწრების უფლებას, რომელსაც ისინი ძალზე საჭიროებდნენ. მოსამართლის განცხადებით, ყველაზე აღმაშფოთებელი სასამართლოს გადანაწილებაში იყო ის, რომ უდიდესი ადამიანური ხარჯის ფონზე, რაც სასამართლო გადანაწილების თანამდევრი იქნებოდა, სასამართლო არც კი შეეცადა აქტის პირველი თავის მხრიდან რელიგიის თავისუფლებისათვის მტკიცებადი საფრთხის იდენტიფიცირებას.

#### *მოსამართლე ო'კონორის განსხვავებული აზრი*

მოსამართლე ო'კონორის განცხადებით, აზრი იმის შესახებ, რომ საჯარო სკოლის მასწავლებლების მიერ რელიგიური სკოლების ბაზაზე გაკვეთილების ჩატარება ხელს შეუწყობდა რელიგიის გავრცელებას, უსაფუძვლო იყო ნიუ-იორკის გამოცდილების ფონზე. მოსამართლის განცხადებით, ცხრამეტი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ ყოფილა საჯარო სკოლის მასწავლებლის მიერ მოსწავლეების კონკრეტული რელიგიური დოგმებით სახელმწიფოს ხარჯზე ინდოქტრინაციის ფარული თუ ღია მცდელობა.

**გადახვევა აგილარის სასამართლო პრეცედენტიდან.** დაწყებითი და საშუალო განათლების შესახებ აქტის I თავის პროგრამა, რომელიც უკანონოდ გამოცხადდა აგილარის სასამართლო საქმეში, 1965 წელს დაწყებული სილარიზის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მთა-



ვარი კომპონენტი იყო. ამ აქტის მიღებისას კონგრესი მიზნად ისახავდა ყველა იმ ბავშვის დახმარებას, რომელიც საგანმანათლებლო ან ეკონომიკური სირთულეების წინაშე იდგა. კონგრესმა საჯაროდ აღნიშნა კანონის მიღებისას, რომ განათლების პროგრამა ყველა მოსწავლეს უნდა შეხებოდა, იმის მიუხედავად, საჯარო სკოლაში სწავლობდა ის თუ კერძოში. | თავის საგანმანათლებლო პროგრამის აკრძალვით სასამართლომ შეაჩერა ნიუ-იორკის ათასობით მოსწავლის სწავლის პროცესი.

აგილარის სასამართლო პრეცედენტიდან პირველი გადახვევა მოხდა საქმეში ვიტერსი მხედველობას მოკლებულთა მომსახურების ვაშინგტონის დეპარტამენტის წინააღმდეგ<sup>217</sup>, რომელშიც სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფო დახმარება პირდაპირი გზითაც შეიძლება მიმართული იყოს რელიგიური სკოლების არასეკულარული ფუნქციის შესასრულებლად.

დაბადებიდან სმენას მოკლებული ჯიმს ზობრესტი მეექვსედაც მერვე კლასის ჩათვლით ესწრებოდა გაკვეთილებს ტუსკონის ადგილობრივ საჯარო სკოლაში, არიზონის შტატში, სადაც ის სასკოლო ოლქის მიერ უზრუნველყოფილი იყო სმენას მოკლებულთათვის განკუთვნილი თარჯიმანით. მეცხრე კლასიდან მშობლებმა რელიგიური მიზეზების გამო ის სალპოინტის კათოლიკურ სკოლაში გადაიყვანეს და უნარშეზღუდული ინდივიდების განათლების შესახებ აქტის შესაბამისად მოითხოვეს, რომ ოლქს უზრუნველყო თარჯიმანი სალპოინტის სკოლაში. ოლქმა მიმართა ოლქის პროკურორს, რომელმაც განაცხადა, რომ ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება დაარღვევდა შეერთებული შტატების კონსტიტუციას. არიზონის გენერალური პროკურორიც დაეთანხმა საოლქო პროკურორის შეხედულებას. ამ შეხედულებებზე დაყრდნობით ოლქმა უარი განუცხადა ზობრესტს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მშობლებმა მიმართეს სასამართლოს, სადაც ამტკიცებდნენ, რომ უნარშეზღუდულთა განათლების აქტი და აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა მოითხოვდნენ ოლქისგან თარჯიმანის უზრუნველყოფას და, რომ რელიგიის დანესების კლაუზულა არ ეწინააღმდეგებოდა ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ თარჯიმანით უზრუნველყოფა ხელს შეუწყობდა სახელმწიფო ხარჯზე ზობრესტის რელიგიურ განვითარებას, რაც რელიგიის დანესების კლაუზულის საწინააღმდეგო იქნებოდა. სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლიანობა.

უზენაესმა სასამართლომ ზობრესტის საქმეში განაცხადა, რომ რელიგიის დანესების კლაუზულა არ უკრძალავდა ოლქს, უზრუნველყოფა უნარშეზღუდული ბავშვისთვის თარჯიმანი, რათა ხელი შეეწყოს მისთვის განათლების მიღებაში. სასამართლოს განცხადებით, სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოქალაქეთა ფართო ჯგუფისთვის ნეიტრალურად უზრუნველყოფს სარგებელს, არ ექვემდებარება მტკიცებას რელიგიის დანესების კლაუზულის დარღვევის თაობაზე მხოლოდ იმის გამო, რომ რელიგიურ დანესებულებებს ასევე შეუძლიათ მიიღონ პროგრამის ფარგლებში ფინანსური სარგებელი. სასამართლოს აზრით, რადგანაც უნარშეზღუდული ინდივიდების განათლების შესახებ აქტი არ ქმნიდა იმის ფინანსურ ინტერესს, რომ მშობლებს აერჩიათ რელიგიური სკოლა, ამიტომ თარჯიმანის უზრუნველყოფა არ შეიძლება მიკუთვნებულ ყოფილიყო სახელმწიფო გადაწყვეტილებისთვის.

სასამართლოს დასკვნით, მხოლოდ ის, რომ თარჯიმანი – საჯარო მოსამსახურე – ესწრებოდა რელიგიურ გაკვეთილებს, არ აქცევდა უკანონოდ ამ დახმარებას. არაპირდაპირი დახმარებისგან განსხვავებით, სასამართლოს განცხადებით, ამ საქმეში მოსწავლე პირდაპირ იღებდა სარგებელს, სკოლა კი მხოლოდ ირიბად. გარდა ამისა, თარჯიმანი, მასწავლებლისგან განსხვავებით, რაიმეს არც აკლებდა და არც უმატებდა სკოლის რელიგიურ გარემოს. ის მხოლოდ თარგმნიდა იმ მასალას, რაც მთელი კლასისთვის იქნებოდა წარმოდგენილი. სასამართლოს განცხადებით, არ არსებობდა საჯარო მოსამსახურის რელიგიურ სკოლაში მუშაობის აბსოლუტური აკრძალვა.



მოსამართლე ბლეკმუნი, მოსამართლე სტივენსთან და მოსამართლე ო'კონორთან ერთად, არ დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას. ბლეკმუნის აზრით, სასამართლომ ამ საქმეში დააკანონა საჯარო მოსამსახურის პირდაპირი მონაწილეობა რელიგიურ ინდოქტრინაციას. მოსამართლის მიხედვით, სახელმწიფო კვეთდა დასაშვებ ზღვარს და უზრუნველყოფდა რელიგიური იდეის გავრცელების საშუალებას. ბლეკმუნის აზრით, თუ დაკმაყოფილებოდა მომჩივნის მოთხოვნა, ცალსახა იყო, რომ სახელმწიფოს მიერ დაქირავებული თარჯიმანი ხელს შეუწყობდა მის რელიგიურ განათლებას და ამით დაეხმარებოდა სალპონტის სკოლას რელიგიური ინდოქტრინაციის მისიის განხორციელებაში. მოსამართლის განცხადებით, დანესების კლაუზულა ირღვევა, თუ რელიგიური სკოლა სახელმწიფო რესურსებს თავისი რელიგიური მიზნებისთვის იყენებს.

*რეჩელ აგოსტინი და სხვები ბეტი-ლუიზ ფელტონისა და სხვების წინააღმდეგ;  
ქალაქ ნიუ-იორკის განათლების საბჭოს კანცლერი და სხვები ბეტი-ლუიზ  
ფელტონისა და სხვების წინააღმდეგ<sup>218</sup>*

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

აგილარი ფელტონის წინააღმდეგ<sup>219</sup> საქმეზე უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პირველი შესწორების დანესების კლაუზულა უკრძალავდა ნიუ-იორკს, გაეზღვა საჯარო სკოლის მასწავლებლები რელიგიურ სკოლებში უნარშეზღუდული ბავშვებისთვის გაკვეთილების ჩასატარებლად. წინამდებარე საქმეში მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ აგილარის საქმე აღარ შეესაბამებოდა უზენაესი სასამართლოს რელიგიის დანესების ოურისპრუდენციას და მოითხოვდნენ სასამართლოსგან, რომ ის აღარ ყოფილიყო მოქმედი პრეცედენტი.

მოსამართლე ო'კონორმა, რომელმაც გადმოსცა სასამართლოს გადაწყვეტილება, განაცხადა, რომ დანესებითი და საშუალო განათლების შესახებ აქტის | თავის ამოცანას წარმოადგენდა, ყველა ბავშვისთვის, განურჩევლად მისი ეკონომიკური მდგომარეობისა, სრული განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. მან აღნიშნა, რომ მომსახურებანი, უზრუნველყოფილი კერძო სკოლის ბავშვებისთვის, საჯარო სკოლების სხვა მომსახურებათა თანაზომიერი უნდა იყოს. მოსამართლის განცხადებით, | თავის პროგრამები აგრეთვე უნდა იყოს სეკულარული, არაიდეოლოგიური და ნეიტრალური. ამასთანავე, ეს პროგრამები უნდა იყოს დამატებითი და ჩამნაცვლებელი იმ პროგრამებისა, რომლებიც უკვე ისწავლება კერძო სკოლებში. გარდა ამისა, მხოლოდ საჯარო მოხელეები შეიძლება იყვნენ კერძო სკოლაში | თავის პროგრამის ინსტრუქტორები. კერძო სკოლაში გაკვეთილის ჩატარებამდე, ინსტრუქტორს მიეცემოდა დეტალური წერილობითი და ზეპირი ინსტრუქცია | თავის სეკულარული მიზნებისა და განსაზღვრული წესების თაობაზე, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფდა სეკულარობის მოთხოვნის დაცვას.

უზენაესმა სასამართლომ საქმეში გრენდ რაპიდის სასკოლო ოლქი ბოლის წინააღმდეგ<sup>220</sup> განზოგადებული სახით შემდეგნაირად წარმოაჩინა სასამართლოს გადაწყვეტილების ძირითადი პუნქტები: 1) ითვლება, რომ ნებისმიერი საჯარო მოხელე, რომელიც კერძო სკოლის ბაზაზე მუშაობს, კონკრეტულ რელიგიას უწევს პროპაგანდას; 2) კერძო სკოლის ტერიტორიაზე საჯარო მოხელის ყოფნა ქმნის ეკლესიისა და სახელმწიფოს სიმბოლურ კავშირს; 3) ნებისმიერი სახელმწიფო დახმარება, რომელიც რელიგიური სკოლის ძირითადი საგანმანათლებლო ფუნქციის სუბსიდირებას უზრუნველყოფს, აფინანსებს რელიგიურ ინდოქტრინაციას, მაშინაც კი, თუ დახმარება გამოეყოფა სკოლას კერძო პირის და არა სახელმწიფო გადაწყვეტილების შედეგად. დამატებით უზენაესმა სასამართლომ გამოყო აგილარის საქმით აღიარებული მეოთხე პრინციპი, რომლის თანახმად, კონტროლი რელიგიური სკოლის ბაზაზე მომუშავე

საჯარო მოხელეებზე – მათი მუშაობის სეკულარული ხასიათის უზრუნველსაყოფად, ქმნიდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირს.

უზენაესი სასამართლოს განცხადებით, *ბოლისა* და *აგილარის*<sup>221</sup> შემდგომმა საქმეებმა სრულიად შეცვალა ასეთი საქმეებისადმი მიდგომა და ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპებიც. თუმცა, სასამართლოს განცხადებით, არ შეცვლილა ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც სასამართლო იყენებდა იმის შესაფასებლად, არღვევდა თუ არა სახელმწიფო დახმარება დაწესების კლაუზულას. მაგალითად, სასამართლოს განცხადებით, ასეთი საქმეების განხილვისას ძალაში რჩებოდა იმის გარკვევის აუცილებლობა, სახელმწიფო, რელიგიის მხარდაჭერის მიზნით მოქმედებდა თუ, პირიქით, მისი შეზღუდვის მიზნით. სასამართლომ აღნიშნა, რომ *ბოლისა* და *აგილარის* სასამართლო საქმეების შემდგომი ცვლილებები, სასამართლოს მიერ იმ კრიტერიუმების ახლებური გაგებით იყო განპირობებული, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა გადაწყვეტილიყო, ჰქონდა თუ არა რელიგიისადმი დახმარებას დაუშვებელი შედეგი.

უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ *აგილარის* საქმის შემდეგ ასევე შეიცვალა რელიგიური ინდოქტრინაციისადმი მიდგომა. უპირველეს ყოვლისა, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა *მიკისა* და *ბოლის* სასამართლო საქმეებით აღიარებული პრეზუმფცია, რომ საჯარო მოხელის რელიგიურ სკოლაში მუშაობის გარდაუვალი შედეგია რელიგიური ინდოქტრინაცია ან სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სიმბოლური კავშირი. ამ პრეზუმფციის გაუქმების ილუსტრირება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება *ზობრესტის* საქმეში. ამ საქმეში სასამართლომ დაუკმაყოფილა *ზობრესტს* რელიგიურ სკოლაში სახელმწიფოს მიერ დაქირავებული თარჯიმანის მომსახურებით სარგებლობის მოთხოვნა და უარყო მოსაზრება, რომ რელიგიის დაწესების კლაუზულა აბსოლუტურ შეზღუდვას აწესებდა საჯარო მომსახურების რელიგიურ სკოლაში მუშაობაზე. სასამართლომ არ აღიარა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს მიერ დაქირავებული თარჯიმანი რელიგიური გარემოს გავლენის ქვეშ მოექცეოდა და მოსწავლეს რელიგიურ დოგმებს შთააგონებდა. ამის საპირისპიროდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ თარჯიმანი კეთილსინდისიერად დაიცავდა ეთიკურ და პროფესიულ ნორმებს და პატიოსნად გადათარგმნიდა იმ ტექსტს, რაც გაკვეთილზე წარმოითქმებოდა. შესაბამისად, *ზობრესტის* საქმემ უარყო მოსაზრება (რომელსაც დაეყრდნო სასამართლო *ბოლისა* და *აგილარის* საქმეებში), რომ საჯარო მოხელის უბრალო დასწრება კერძო სკოლის ბაზაზე შედეგად იძლეოდა მოსწავლეების რელიგიურ ინდოქტრინაციას. *ზობრესტის* საქმით ასევე უარყოფილ იქნა მოსაზრება, რომ საჯარო მოხელის კერძო სკოლაში ყოფნა ქმნის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სიმბოლურ კავშირს.

გარდა ამისა, უზენაესმა სასამართლომ უარყო წესი, რომელსაც ის დაეყრდნო *ბოლის* საქმის განხილვისას, რომ ყველანაირი დახმარება, რომელიც პირდაპირ ეხება რელიგიური სკოლის საგანმანათლებლო ფუნქციას, არაკონსტიტუციურია. ამის მაგალითია *ვიტერსი ვაშინგტონის ბრმათა მომსახურების დეპარტამენტის წინააღმდეგ*<sup>222</sup> საქმეში მიღებული გადაწყვეტილება, რომ დაწესების კლაუზულა არ უკრძალავდა სახელმწიფოს, მიეცა გრანტი უსინათლო ადამიანისთვის, რომელიც ქრისტიანულ სკოლაში ესწრებოდა გაკვეთილებს. ამ საქმეში სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გრანტის გამოყოფისთვის განმსაზღვრელი ფაქტორი არ იყო კონკრეტული ინსტიტუტის რელიგიური თუ არარელიგიური ბუნება. სასამართლოს მოსაზრებით, არანაირი განსხვავება არ არსებობდა გრანტის ასეთ გამოყოფასა და სახელმწიფოს მიერ მუშაკისთვის ჩეკის მიცემას შორის, იმის წინასწარ ცოდნით, რომ ეს უკანასკნელი მთლიან თანხას ან მის ნაწილს კონტრიბუციის სახით გადასცემდა რელიგიურ დაწესებულებას. ძირითადი ამ ორივე სიტუაციაში იყო ის, რომ, რელიგიური დაწესებულება ასეთ დახმარებას მხოლოდ **კერძო პირის დამოუკიდებელი არჩევანის შედეგად იღებდა.**

ზობრესტისა<sup>223</sup> და ვიტერსის საქმეებში მიღებული გადაწყვეტილება ცხადყოფდა, რომ „ერთობლივი დროის პროგრამა“ ბოლის საქმეში და ნიუ-იორკის თავის პროგრამა აგილარის საქმეში აღარ შეიძლება ჩათვლილიყო ინდოქტრინაციით რელიგიის მხარდაჭერის შედეგის მატარებლად. მართლაც, ის პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც მიიღო გადაწყვეტილება სასამართლომ ბოლის საქმეში, უზენაესი სასამართლოს შემდგომი გადაწყვეტილებების მიხედვით, უკვე აღარ ითვლებოდა მართებულად. პირველი, უზენაესმა სასამართლომ ზობრესტის საქმით უარყო, რომ საჯარო მოსამსახურე მხოლოდ იმის გამო, რომ ის რელიგიურ სკოლაში ასწავლიდა, გადაუხვევდა თავის პასუხისმგებლობას და რელიგიურ ინდოქტრინაციას მიჰყოფდა ხელს. ზობრესტის საქმით ასევე უარყოფილ იქნა ბოლის საქმეში გამოტანილი დასკვნა, რომ სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მასწავლებლის ყოფნა რელიგიურ სკოლაში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სიმბოლურ კავშირს ქმნიდა. ბოლის საქმეში მოსამართლემ განაცხადა, რომ რელიგიის დაუშვებელი ხელშეწყობა არ მოხდებოდა, თუ საჯარო სკოლის მასწავლებელი იმავე ტიპის გაკვეთილს რელიგიური სკოლის მასწავლებლებს არარელიგიური სკოლის ტერიტორიაზე ჩაუტარებდა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ პროგრამის კონსტიტუციურობის საკითხს განსაზღვრავდა ის, თუ სად იქნებოდა ჩატარებული გაკვეთილი, რაც, უზენაესი სასამართლოს აზრით, ყოველად უაზრო და არაგონივრული მსჯელობა იყო.

უზენაესმა სასამართლომ ასევე უარყო მოსაზრება, რომ | თავით გათვალისწინებული მომსახურება აგილარის საქმეში დამატებითი განათლების ჩანაცვლებას წარმოადგენდა. უზენაესი სასამართლოს განცხადებით, აგილარის საქმეში მიღებული გადაწყვეტილება ემყარებოდა სპეკულაციას იმის თაობაზე, რომ შეუძლებელი იყო ზღვარის გავლება დამატებითსა და ზოგად განათლებას შორის. სასამართლოს აზრით, მიღებული გადაწყვეტილება ასევე არ ემყარებოდა მტკიცებულებას, რომ | თავის რეგულაციები ისეთი მომსახურებით ირღვეოდა, რომელიც ანაცვლებდა რელიგიური სკოლის მიერ უზრუნველყოფილ განათლებას.

უზენაესი სასამართლოს განცხადებით, ბენეფიციარების იდენტიფიკაციის კრიტერიუმში, რომელიც რელიგიური ინდოქტრინაციის ფინანსურ სტიმულს ქმნის, თავისთავად მოიცავს რელიგიის მხარდაჭერის ეფექტს. არც ზობრესტის საქმეში და არც ვიტერსის საქმეში ასეთი ფინანსური სტიმულის არსებობა არ დაფიქსირებულა. **ფინანსური სტიმული არ არსებობს იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო დახმარება გამოყოფილია ნეიტრალური, სეკულარული კრიტერიუმის საფუძველზე, რომელიც არც ხელს უწყობს რელიგიას, არც ზღუდავს მას და ხელმისაწვდომია როგორც რელიგიური, ასევე სეკულარული ბენეფიციარებისთვის.**

ამ მსჯელობის გამოყენების შედეგად უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ | თავის პროგრამა არც ხელს უწყობდა რელიგიას და არც ზღუდავდა მას, რადგან არ ქმნიდა რელიგიური ინდოქტრინაციის ფინანსურ სტიმულს.

რაც შეეხება აგილარის საქმეში გაცხადებულ დასკვნას, რომ | თავის პროგრამის შედეგად ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირი იქმნებოდა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ ყველა ტიპის ურთიერთდამოკიდებულებას არა აქვს რელიგიის მხარდაჭერის შედეგი. აგილარის საქმეში სასამართლომ სამ საფუძველზე დაყრდნობით გამოიტანა ზედმეტად მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულების დასკვნა: 1) პროგრამა მოითხოვდა საჯარო მოხელეებზე ზედამხედველობას; 2) იგი ასევე ითხოვდა ადმინისტრაციულ თანამშრომლობას; 3) დიდი ალბათობა იყო, რომ პროგრამა გაამძაფრებდა პოლიტიკურ უთანხმოებას.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, პირველი ორი საფუძველი თავისთავად არასაკმარის-

სია ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის შექმნისთვის. ზობრესტის საქმის შემდეგ სასამართლომ დაასკვნა, რომ საჯარო მოსამსახურე არ მიჰყოფდა ხელს ინდოქტრინაციას მხოლოდ იმიტომ, რომ ის რელიგიურ გარემოში აღმოჩნდებოდა. ასეთი დასკვნა, უზენაესი სასამართლოს აზრით, ასევე უარყოფდა საჯარო მოსამსახურეების საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელების აუცილებლობას.

დასკვნის სახით უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ ნიუ-იორკის I თავის პროგრამა არ ეწინააღმდეგებოდა არც ერთს იმ სამი კრიტერიუმიდან, რომლებიც გამოიყენებოდა იმის განსაზღვრად, ხელს უწყობდა თუ არა სახელმწიფო რელიგიის გავრცელებას. პროგრამა არ იწვევდა რელიგიურ ინდოქტრინაციას; არ განსაზღვრავდა ბენეფიციარებს რელიგიური ნიშნით; არ ქმნიდა ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირს. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ აგილარის საქმე და ბოლის საქმის ნაწილი, რომელიც „ერთობლივი დროის პროგრამას“ ეხებოდა, აღარ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მოქმედ პრეცედენტად.

*მოსამართლე სოუტერის განსხვავებული აზრი, რომელსაც შეურთდნენ მოსამართლეები სტივენსი, გინსბურგი და ბრეირი (ნაწილობრივ)*

მოსამართლე სოუტერი არ დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას. მან განაცხადა, რომ სასამართლოს მიერ მიღებული შედეგი უარყოფდა საკმაოდ გონივრულ ზღვარს, გავლელულს ბოლისა და აგილარის საქმეებით, და აკანონებდა რელიგიური ინსტიტუტებისადმი სახელმწიფო დახმარებას რელიგიის დაწესების კლაუზულის ძირითადი შეზღუდვის დარღვევით.

მოსამართლის აზრით, აგილარის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება საკმაოდ გონივრული იყო და, უბრალოდ, ზედმეტად მჭიდრო ურთიერთობის შექმნაზე გადატანილმა აქცენტმა დაჩრდილა ის ფაქტები, რომლებიც დამოუკიდებლად ითხოვენ დაწესების კლაუზულის ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის გამოყენებას: 1) სახელმწიფოს ეკრძალება, მოახდინოს რელიგიის პირდაპირი გზით სუბსიდირება; 2) სახელმწიფოს ეკრძალება, განახორციელოს რაიმე ისეთი ქმედება, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს რელიგიის მხარდაჭერად. მოსამართლის განცხადებით, რელიგიის სუბსიდირების დაუშვებლობის წესი გამოხატავს ამერიკის ისტორიის მანძილზე მრავალჯერ შესწავლილ მწარე გაკვეთილს, რომ სახელმწიფოს რელიგიისადმი მხარდაჭერა ზღუდავს არა მარტო მათ რელიგიის თავისუფლებას, ვინც ამ რელიგიას არ მისდევს, არამედ თავად ამ კონკრეტულ რელიგიას, რომელიც ზედმეტი სეკულარიზმის საშიშროების წინაშე დგება.

მოსამართლის აზრით, სწორედ ეს პრინციპები დაირღვა აგილარისა და ბოლის პროგრამების შემდეგი მახასიათებელი ნიშნების გამო: ორივე უზრუნველყოფდა გაკვეთილებს რელიგიური სკოლის ბაზაზე, ორივე პროგრამა შეიცავდა იმ საგნებს, რომლებიც ძირითადი იყო დაწყებით და საშუალო განათლებაში, როგორცაა კითხვა და მათემატიკა; მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამებს დამატებითი განათლების სახელი მიენიჭა, ისინი უზრუნველყოფდნენ იმ საგნების სწავლებას, რომელთა სწავლებაც სხვაგვარად რელიგიური სკოლების პასუხისმგებლობა იყო. თუმცა პროგრამები სთავაზობდნენ დახმარებას არასაჯარო სკოლებს, რელიგიური სკოლების მონაწილეობა მათში საკმაოდ ფართო იყო. დაბოლოს, დახმარება პირდაპირ სკოლებს ხმარდებოდა, განსხვავებით არაპირდაპირი დახმარებისგან, რომელიც კერძო დამოუკიდებელი არჩევანის შედეგია.

რაც შეეხება სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მასწავლებლების მოთავსებას რელიგიური სკოლების ფიზიკურ და სოციალურ გარემოში, მოსამართლის აზრით, აქ მთავარი ის არ იყო, რომ მასწავლებელი რელიგიური გავლენის ქვეშ მოექცეოდა. არც ის იყო მთავარი, რომ მასწავლებელი თავის გაკვეთილებში სკოლის რელიგიურ მისიას ასახავდა, რაც წარმოშობდა

სახელმწიფო ზედამხედველობის საჭიროებას და შედეგად ზედმეტად მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას გამოიწვევდა. მოსამართლის თანახმად, მნიშვნელოვანი იყო ის, რომ პროგრამა უშვებდა სწავლების ისეთ პასუხისმგებლობას, რომელიც განურჩეველი იყო თავად სკოლის პასუხისმგებლობისგან. მოსამართლის განცხადებით, დაწყებითი და საშუალო სკოლების ვალდებულება, ასწავლონ კითხვა, იმ ბავშვებზეც ვრცელდება, რომელთაც სირთულეები ჰქონდათ კითხვაში. მიუხედავად იმისა, დაერქმევა თუ არა გარკვეულ გაკვეთილებს დამატებითი, ეს ფაქტი არ განასხვავებს მათ სკოლის ძირითადი საგნებისგან.

დასკვნის სახით, მოსამართლემ აღნიშნა, რომ თუ რაიმე ზღვარი უნდა გავლელდეს რელიგიური სკოლების სტანდარტული საგნების სწავლების სახელმწიფო დახმარების ასაკრძალად, მაშინ ბოლსა და აგილარში გავლელდული ზღვარი იყო ყველაზე გონივრული, რომლის პრინციპული დაცვაც შესაძლებელი იყო.

მოსამართლე სოუტერმა ასევე აღნიშნა, რომ I თავის პროგრამის ობიექტი თავისთავად იყო ღირებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, კონსტიტუციური ზღვარი გავლელდული უნდა ყოფილიყო, რაც კონსტიტუციური სახელმწიფოს არსებობის საზღაურს წარმოადგენდა.

#### *გაი მითჩელი მერი ლ. ჰელმსის წინააღმდეგ<sup>224</sup>*

განათლების კონსოლიდაციისა და გაუმჯობესების აქტის II თავის, სკოლების დახმარების პროგრამის ფარგლებში ფედერალური ხელისუფლება ანაწილებდა ფედერალურ სახსრებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რომლებიც, თავის მხრივ, ეხმარებოდნენ საჯარო და კერძო სკოლებს საგანმანათლებლო საშუალებებით. ბევრი კერძო სკოლა, რომელიც ამ დახმარებას იღებდა, რელიგიური იყო. წინამდებარე საქმეში სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი იმის თაობაზე, ხელს უწყობდა თუ არა II თავის პროგრამა რელიგიის დაწესებას, ანუ ირღვეოდა თუ არა პროგრამის აღსრულების შედეგად პირველი შესწორების რელიგიის დაწესების კლაუზულა.

პროგრამაში მონაწილე კერძო სკოლები დახმარებას იმის მიხედვით იღებდნენ, თუ რამდენი მოსწავლე სწავლობდა სკოლაში. II თავის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები კერძო სკოლებისთვის საჯარო სკოლის მოსწავლეებზე განეული დანახარჯის ტოლი უნდა ყოფილიყო. სასკოლო ოლქებს უნდა უზრუნველყოთ კერძო სკოლის მოსწავლეების სამართლიანი მონაწილეობა პროგრამაში. გარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება უნდა ყოფილიყო დამატებითი და არავითარ შემთხვევაში არაფედერალური წყაროებიდან მიღებული დახმარების ჩამნაცვლებელი. რამდენიმე შეზღუდვა იყო აგრეთვე კერძო სკოლების მიმართ. ყველანაირი დახმარება კერძო სკოლებისთვის უნდა ყოფილიყო სეკულარული, ნეიტრალური და არაიდეოლოგიური ხასიათის. გარდა ამისა, კერძო სკოლებს არ შეეძლოთ II თავის დახმარებით უზრუნველყოფილი საშუალებების მისაკუთრება, ისინი მათ დროებითი სარგებლობის პირობით გადაეცემოდათ.

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

სასამართლომ წარმოადგინა კრიტერიუმები, რის მიხედვითაც მან წინამდებარე საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება. თუ *ლემონის*<sup>225</sup> საქმეში სასამართლო იხილავდა კანონის: ა) სეკულარულ მიზანს, ბ) მის მიერ რელიგიის გავრცელების ხელშეწყობას ან, პირიქით, შეზღუდვას და გ) სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის შექმნის საშიშროებას, *აგოსტინის*<sup>226</sup> საქმეში სასამართლომ ლემონის ამ სამნაწილიანი ტესტის მოდიფიცირება მოახდინა. სასამართლოს დასკვნით, მის მიერ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირისა და კანონის პირდაპირი შედეგის თაობაზე განხილულ



საქმეებში გამოყენებული მსჯელობა ძირითადად მსგავსი იყო. შესაბამისად, სასამართლომ მოახდინა ლემონის ტესტის მესამე ნაწილის მოდიფიცირება, როგორც კრიტერიუმისა, რომელიც გამოყენებული იქნებოდა კანონის თანმდევი შედეგის შეფასებისათვის. კანონის შედეგის შეფასების მოდიფიცირებული კრიტერიუმები შემდეგი იყო: იყო თუ არა სახელმწიფო დახმარების შედეგი რელიგიური ინდოქტრინაცია; განსაზღვრავდა თუ არა დახმარება ბენეფიციარებს რელიგიური საფუძვლით და ქმნიდა თუ არა ის ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირს.

სასამართლომ წინამდებარე საქმე მხოლოდ შედეგის ტესტის შესაბამისად განიხილა, რადგანაც მოპასუხეები არ დაობდნენ პროგრამის სეკულარული მიზნის თაობაზე. გარდა ამისა, სასამართლომ საქმე შედეგის ტესტის მხოლოდ პირველი ორი კრიტერიუმის შესაბამისად განიხილა, რადგან მოპასუხეები ასევე არ დაობდნენ პროგრამის მიერ მჭიდრო ურთიერთკავშირის შექმნის საკითხზე. ამ კრიტერიუმების მიხედვით, სასამართლომ დაასკვნა, რომ პროგრამის შედეგი არ იყო რელიგიური ინდოქტრინაცია და არც რელიგიურ საფუძველზე ხდებოდა პროგრამის ბენეფიციარების შერჩევა.

სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ამ დახმარების შედეგი არ იყო რელიგიური ინდოქტრინაცია, შემდეგ საფუძველს ემყარებოდა: სასამართლოს განცხადებით, იმისთვის, რომ არსებობდეს ტესტის პირველი ნაწილის მიხედვით რელიგიური ინდოქტრინაცია, ასეთი ინდოქტრინაცია სახელმწიფო ქმედების შედეგი უნდა იყოს. სასამართლოს განცხადებით, თუ სახელმწიფო, რომელსაც სურს ხელი შეუწყოს გარკვეული სეკულარული მიზნის მიღწევას, სთავაზობს დახმარებას ყველას, როგორც სეკულარულ, ასევე არასეკულარულ დაწესებულებას, განურჩევლად რელიგიისა, მაშინ ამ დახმარებას მხოლოდ სეკულარული ეფექტი აქვს და უსაფუძვლოა დასკვნა, რომ სახელმწიფო ქმედების შედეგად ადგილი აქვს რაიმე ინდოქტრინაციას. თუმცა, სასამართლოს განცხადებით, ასეთი დახმარების სტრუქტურის შექმნისას სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ერთი მხრივ, დახმარების დონის საკმარისობა ამ სეკულარული მიზნის ხელშეწყობისთვის სეკულარულ დაწესებულებაში, ხოლო მეორე მხრივ არასაერთო დაწესებულებების არაუმეტესი დახმარება. იმის განსაზღვრაში, ნეიტრალურია თუ არა სახელმწიფო დახმარება, ანუ უზრუნველყოფილია თუ არა ის ყველასთვის, განურჩევლად რელიგიისა, საჭიროა გაეცეს პასუხი კითხვას იმის თაობაზე, იღებს თუ არა კონკრეტული რელიგიური დაწესებულება სახელმწიფო დახმარებას კერძო, ინდივიდუალური არჩევანის შედეგად. რელიგიური დაწესებულების მიერ სახელმწიფო დახმარების მიღება ინდივიდუალური არჩევანის შედეგად უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფო ვერ მიანიჭებს უპირატესობას კონკრეტულ დაწესებულებებს, რაც შედეგად რელიგიის დაწესებას გამოიღებდა.

გარდა ამისა, ტესტის მეორე ნაწილთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ, თუმცა პროგრამა სთავაზობდა კერძო, და მათ შორის რელიგიურ, სკოლებს ისეთ დახმარებას, რომელსაც ისინი ადრე არ იღებდნენ, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ პროგრამა ქმნიდა სტიმულს მშობლებისთვის, აერჩიათ ასეთი განათლება. სასამართლოს განცხადებით, ყველა სახის პროგრამას გარკვეული ხარისხით იგივე შედეგი ჰქონდა.

მოპასუხეები ამტკიცებდნენ, რომ სასამართლოს ზემოთ აღნიშნული ტესტის მაგივრად შემდეგი ორი წესით უნდა ეხელმძღვანელა: პირველი, რომ პირდაპირი დახმარება რელიგიური სკოლების საგანმანათლებლო მისიისადმი თავისთავად დაუშვებელი იყო; და მეორე, რომ ნებისმიერი ისეთი დახმარების უზრუნველყოფა რელიგიური სკოლებისთვის, რომელიც შეიძლება რელიგიური მიზნებისთვის ყოფილიყო გამოყენებული, ასევე დაუშვებლად უნდა მიჩნეულიყო. სასამართლომ მოპასუხეთა არგუმენტები აგოსტინისა და ზოზრესტის სასამარ-



თლო პრეცედენტებთან შეუსაბამოდ ჩათვალა შემდეგი საფუძვლების გამო: სასამართლოს განცხადებით, არ ჰქონდა მნიშვნელობა, დახმარება პირდაპირი იყო თუ ირიბი იმ შემთხვევაში, როდესაც რელიგიური სკოლა ასეთ დახმარებას იღებდა კერძო, ინდივიდუალური არჩევანის შედეგად. შესაბამისად, პირდაპირი სახელმწიფო დახმარება რელიგიური სკოლისთვის არ იყო თავისთავად საკმარისი საფუძველი, იმისთვის, რომ საქმე გვექონდა რელიგიისათვის სახელმწიფო მხარდაჭერასთან. რაც შეეხება მოპასუხეთა მეორე არგუმენტს, სასამართლოს მიხედვით, რადგანაც სახელმწიფო დახმარება გამოყენებულა საჯარო სკოლებისთვის და დახმარების მიღება ხდებოდა კონსტიტუციით დაშვებული გზით, ასეთი დახმარების ნებისმიერი გამოყენება ინდოქტრინაციისთვის არ შეიძლებოდა მიკუთვნებოდა სახელმწიფო ქმედებას და, შესაბამისად, არ იყო კონსტიტუციური განსჯის საკითხი.

მოსამართლე ტომასმა, რომელმაც სასამართლო გადაწყვეტილება გამოაცხადა, მოიყვანა ოთხი მიზეზი, რომელთა გამოც, სკოლისთვის სახელმწიფო დახმარების კონსტიტუციურობის შემომწმებისას, მნიშვნელობა არ უნდა მინიჭებოდა სკოლის „ღრმად რელიგიურ“ ბუნებას.

პირველი მიზეზი, მოსამართლის განცხადებით, იყო ის, რომ ასეთი ფაქტორის გათვალისწინების პრაქტიკა საკმაოდ შემცირდა ბოლო პრეცედენტებში. მიუხედავად იმისა, რომ „ღრმად რელიგიურობის“ ფაქტორი მოხსენიებულ იქნა რამდენიმე სასამართლო საქმეში, მოსამართლის განცხადებით, სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება ამ ფაქტორზე დაყრდნობით, გარდა ბოლისა და აგილარის საქმეებისა, რომლებიც აგოსტინის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება უკვე არამოქმედ პრეცედენტებად ითვლებოდნენ.

მეორე მიზეზი, მოსამართლის აზრით, იყო ის, რომ ბენეფიციარის რელიგიურ ბუნებას არ უნდა მინიჭებოდა დიდი მნიშვნელობა კონსტიტუციური შემომწმებისას, თუ დახმარების მიმღები ადეკვატურად ხელს უწყობდა მხოლოდ სეკულარული მიზნის მიღწევას. მოსამართლის განცხადებით, თუ პროგრამა სთავაზობს დახმარებას როგორც რელიგიურ, მათ შორის „ღრმად რელიგიურ“, ასევე არარელიგიურ დაწესებულებებს, მაშინ გაუგებარია, რომელი რელიგიური შეხედულება დაანესა სახელმწიფომ და, შესაბამისად, გაუგებარია, რაში მდგომარეობს შესაბამისი კონსტიტუციური დარღვევა.

გარდა ამისა, მოსამართლის აზრით, დახმარების მიმღების დაკითხვა იმის გასარკვევად, წარმოადგენდა თუ არა ის „ღრმად რელიგიურს“, არა მარტო უადგილო, არამედ შეურაცხმყოფელიც კი იყო. მოსამართლის განცხადებით, უკვე დიდი ხნის დამკვიდრებული პრინციპი იყო, რომ სასამართლოებს თავი უნდა შეეკავებინათ პირის ან დაწესებულების რელიგიურ მრწამსში ჩარევისგან.

დაბოლოს, მოსამართლემ აღნიშნა „ღრმად რელიგიური“ სკოლების დახმარებისადმი მტრული განწყობის სამარცხვინო ისტორიის შესახებ. მოსამართლე ტომასის თანახმად, რელიგიური სკოლების დახმარებისადმი დაპირისპირება აქტუალური გახდა 1870 წელს, როდესაც კონგრესი იხილავდა ბლეინის შესწორებას, რომლითაც გათვალისწინებული იყო რელიგიური დაწესებულებისათვის დახმარების აკრძალვა. კონსტიტუციის შესწორების საკითხი იმ დროს იხილებოდა, როდესაც საკმაოდ მტრული დამოკიდებულება იყო კათოლიკური ეკლესიისადმი და ზოგადად კათოლიკეებისადმი. მოსამართლის განცხადებით, ამ დროს სიტყვა „სექტანტური“ კათოლიკეების კოდური სიტყვა იყო და ის კათოლიკეს ნიშნავდა. დასკვნის სახით მოსამართლემ აღნიშნა, რომ ამ საქმეში დაწესების კლაუზულა არ მოითხოვდა რელიგიური სკოლების გამორიცხვას სახელმწიფო დახმარების პროგრამებიდან.

უზენაესმა სასამართლომ მიუსადაგა ზემოთ აღნიშნული აგოსტინის ორი კრიტერიუმი წინამდებარე საქმეს და გადაწყვიტა, რომ II თავის პროგრამას არ ჰქონდა რელიგიის ხელშეწყობის შედეგი. სასამართლომ დაასკვნა, რომ II თავის პროგრამა შედეგად არ იღებდა სახელმ-

ნიფოს მიერ რელიგიურ ინდოქტრინაციის მხარდაჭერას, რადგან ის განსაზღვრავდა დახმარების ბენეფიციარებს ნეიტრალურად, ანაწილებდა დახმარებას მშობლების კერძო არჩევანის შედეგად და არ უზრუნველყოფდა დაუშვებელი შინაარსის მქონე დახმარებას. სასამართლომ დაასკვნა ასევე, რომ II თავის პროგრამა არ განსაზღვრავდა დახმარების მიმღებებს რელიგიური საფუძვლით. შედეგად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა.

*მოსამართლე სოუტერის განსხვავებული აზრი, რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლე სტივენსი და გინსბურგი*

მოსამართლე სოუტერმა გააკრიტიკა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. მან განაცხადა, რომ მხოლოდ ნეიტრალობის პრინციპი არ შეიძლება ყოფილიყო კონკრეტული სახელმწიფო დახმარების კონსტიტუციურობის განმსაზღვრელი. მოსამართლის განცხადებით, გარდა ნეიტრალობისა და არადისკრიმინაციულობისა, კიდევ სხვა ფაქტორები უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული, როდესაც საქმე რელიგიური სკოლებისათვის სახელმწიფო დახმარებას ეხებოდა.

## **საჯარო სკოლები**

### **რელიგიური სწავლებისათვის გამოყოფილი დრო**

რელიგიასა და საჯარო სკოლებზე პირველი გახმაურებული საქმის მთავარმა გმირმა, ვაშტი კრომველ მაკკოლუმმა, გადმოსცა ამ საქმის ისტორია.

1940 წელს ჩეპმენის ოლქმა (ილინოისის შტატი) მიიღო გეგმა, რომელიც უშვებდა მის სკოლებში კათოლიკურ, იუდაურ და ძირითად პროტესტანტულ სწავლებებს. მაკკოლუმის შვილმა, მეოთხე კლასის მოსწავლემ, ჯეიმს ტერიმ პროტესტანტული განათლების მიღება მოისურვა. ვაშტი მაკკოლუმმა ნება დართო, მაგრამ ჩათვალა, რომ ეს „ინდოქტრინაცია“ იქნებოდა. როცა ჯიმი მეხუთე კლასში გადავიდა, მამამ აუკრძალა რელიგიის გაკვეთილებზე დასწრება, მაგრამ დამრიგებელმა მასწავლებელმა ჯიმს მოსთხოვა, რომ კლასში 100%-იანი დასწრება უნდა ყოფილიყო. როდესაც ჯიმი რელიგიის გაკვეთილს აცდენდა, მას მუსიკისათვის განკუთვნილ პატარა ოთახში აცდევინებდნენ, სადაც ყურადღებას იქცევდა თავისი განმარტოებით.<sup>227</sup>

ვაშტი მაკკოლუმმა საჩივრით მიმართა სკოლის დირექტორს, რომელმაც უარყო მისი მოთხოვნები. ვაშტიმ ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანების ერთ-ერთი განშტოების, ჩიკაგოს საბჭოს დახმარებით სასამართლოში შეიტანა სარჩელი; თავისი ეკონომიკური გაჭირვების მიუხედავად მან 5000 დოლარი გამოყო საქმისათვის. მაკკოლუმმა 6000 წერილზე მეტი მიიღო, ზოგისთვის იგი „უღმერთო ათეისტი“ იყო, სხვებისთვის კი – თავისუფლების ნიმუში.<sup>228</sup>

### **მაკკოლუმის განათლების საბჭოს წინააღმდეგ<sup>229</sup>**

#### **უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება**

ეს საქმე ეხება შტატის უფლებამოსილებას, გამოიყენოს თავისი გადასახადებით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლის სისტემა რელიგიური სწავლების დასახმარებლად იმ ჩარჩოებში, რასაც მას უწესებს ფედერალური კონსტიტუციის პირველი და მე-14 შესწორებები.

მომჩივანმა, ვაშტი მაკკოლუმმა, სამართალწარმოების საწყის ეტაპზე მოითხოვა ჩეპმენის საოლქო სასამართლოს ბრძანება ჩეპმენის განათლების საბჭოს წინააღმდეგ. იგი დაინტერესებული იყო საქმის შედეგით, როგორც ჩეპმენის რეზიდენტი, გადასახადების გადამხდელი და როგორც მშობელი, ვისი შვილიც ჩეპმენის საჯარო სკოლაში დადიოდა. ილინოისში მოქმედებს

სავალდებულო განათლების კანონი, რომელიც, გამონაკლისების დაშვებით, მშობლებისაგან მოითხოვს, 7-დან 16 წლამდე ასაკის შვილები გადასახადებით უზრუნველყოფილ საჯარო სკოლებში გააგზავნონ, სადაც ისინი სწავლებისათვის გამოყოფილ მთელ დროს გაატარებენ. მშობლები, რომლებიც არღვევენ ამ კანონს, სათანადო სასჯელს ექვემდებარებიან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვები დადიან კერძო ან სამრევლო სკოლებში, რომლებიც შეესაბამება სახელმწიფოს მიერ დადგენილ საგანმანათლებლო სტანდარტებს. განათლების რეგიონალურ საბჭოებს ეკისრებათ ზედამხედველობის განხორციელება საჯარო სკოლების შენობების გამოყენებაზე სასკოლო ოლქებში.<sup>230</sup>

მაკკოლუმის მიერ სასამართლო ბრძანების მოთხოვნა განათლების საბჭოს მიმართ იმას ეფუძნებოდა, რომ კერძო რელიგიური დაჯგუფებების მიერ დაქირავებულ რელიგიის მასწავლებლებს ნება ეძლეოდათ, ყოველ კვირას ევლოთ სკოლის შენობებში საერო სწავლებისათვის განკუთვნილ საათებში და 30 წუთის განმავლობაში რელიგიური სწავლებით ჩაენაცვლებინათ საერო სწავლება, რომელიც კანონით სავალდებულო იყო. მომჩივნის მტკიცებით, საჯარო სკოლებთან დაკავშირებული ეს რელიგიური პროგრამა არღვევდა კონსტიტუციის პირველ და მე-14 შესწორებებს. მაკკოლუმის მოთხოვნის მიზანი იყო, განათლების საბჭოს „მიეღო და აემოქმედებინა წესები, რომლებიც აკრძალავდა ჩემპენის №71 სასკოლო ოლქის ყველა საჯარო სკოლაში რელიგიურ სწავლებას ნებისმიერი სახით“.

1940 წელს იუდაური, კათოლიკური და პროტესტანტული აღმსარებლობების დაინტერესებულმა წევრებმა ჩამოაყალიბეს ნებაყოფლობითი ასოციაცია – ჩემპენის რელიგიური განათლების საბჭო. მათ მოიპოვეს ნებართვა საჯარო განათლების საბჭოსგან, რომ შეეთავაზებინათ რელიგიური სწავლება საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის მეოთხედან მეცხრე კლასის ჩათვლით. კლასები ჩამოყალიბდა იმ მოსწავლეებისათვის, რომელთა მშობლებმა დაბეჭდილ ბარათებზე აღნიშნეს, რომ მათ შვილებს ნება ეძლეოდათ, მიეღოთ რელიგიური განათლება; დაბალ კლასებში ისინი კვირაში 30 წუთს მეცადინეობდნენ, მაღალ კლასებში კი – ორმოცდახუთ წუთს. ასოციაციის მიერ დაქირავებული რელიგიის მასწავლებლები სკოლის დირექტორის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. კლასებში ასწავლიდნენ პროტესტანტი მასწავლებლები, კათოლიკე მღვდლები და რაბინები. გაკვეთილები ჩვეულებრივ საკლასო ოთახებში ტარდებოდა. მოსწავლეები, რომლებიც არ ირჩევდნენ რელიგიურ სწავლებას, არ თავისუფლდებოდნენ საჯარო სკოლის ვალდებულებებისაგან; მათ მოეთხოვებოდათ საკლასო ოთახების დატოვება და საერო განათლების მისაღებად სკოლის შენობის სხვა ადგილას გადასვლა. მეორე მხრივ, მოსწავლეებს, რომლებიც რელიგიური სწავლებისათვის გათავისუფლებული იყვნენ საერო სწავლებიდან, მოეთხოვებოდათ რელიგიურ სწავლებაზე დასწრება. ამ დასწრებას ამონებდნენ მათი საერო მასწავლებლები.

ფაქტები მიუთითებდა რელიგიური სწავლების მიზნებისათვის გადასახადებით უზრუნველყოფილი ქონების გამოყენებაზე და რელიგიური განათლების ხელშეწყობის საქმეში სკოლის ადმინისტრაციისა და რელიგიური საბჭოს მჭიდრო თანამშრომლობაზე. ამგვარად სახელმწიფოს სავალდებულო განათლების სისტემა ხელს უწყობდა და ჩართული იყო სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფებების მზრუნველობის ქვეშ მყოფი რელიგიური სწავლების პროგრამაში. სასამართლოს აზრით, ეჭვგარეშე იყო, რომ ხდებოდა გადასახადებით ამოღებული თანხებით დაარსებული და უზრუნველყოფილი საჯარო სკოლის გამოყენება რელიგიური ჯგუფების დასახმარებლად მათი რწმენის გავრცელების საქმეში. ეს კი, მისი აზრით, პირდაპირ ექცევა პირველი შესწორების აკრძალვის ქვეშ, როგორც განიმარტა *ევერსონის* საქმეში, რომლის მიხედვით, რელიგიის კლაუზულები აღმართავდა „სეპარაციის კედელს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის“. *ევერსონის* საქმეში უმრავლესობაც და უმცირესობაც დაეთანხმა ამ აზრს.

მაგრამ მათ შორის უთანხმოება მხოლოდ იმან გამოიწვია, თუ რამდენად ესადაგებოდა კონკრეტული საქმის ფაქტებს პირველი შესწორება.

განათლების საბჭოს წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ ისტორიულად პირველი შესწორება გამიზნული იყო იმისათვის, რომ ხელისუფლებისათვის აეკრძალა უპირატესობის მინიჭება ერთი რელიგიისათვის მეორესთან შედარებით, და არა ყველა რელიგიისათვის მიუკერძოებელი დახმარების განევა. დამატებით ისინი ითხოვდნენ, რომ სასამართლოს უარეყო *ევერსონის* პრეცედენტი, რომლის მიხედვით მე-14 შესწორებამ პირველი შესწორების დაწესების კლაუზულის აკრძალვა გამოყენებადი გახადა შტატების წინააღმდეგ. წარმომადგენელი არგუმენტების სრულად გააზრების შემდეგ მოსამართლე ბლეკი შეუძლებლად მიიჩნევდა ამ მტკიცებულებიდან რომელიმეს მიღებას.

იმ პოზიციის დაფიქსირება, რომ შტატს არ შეუძლია პირველი და მე-14 შესწორების შესაბამისად გამოიყენოს საჯარო სკოლის სისტემა რომელიმე რელიგიის მიერ თავისი მოძღვრების გავრცელებისთვის, სულაც არ ნიშნავს რელიგიისადმი და რელიგიური სწავლებებისადმი ხელისუფლების მტრულ დამოკიდებულებას. ამგვარი მტრული დამოკიდებულების გამოვლენა ეწინააღმდეგება პირველი შესწორების აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიას ჩამოყალიბებულ ამერიკის ეროვნულ ტრადიციას. პირველი შესწორება ეფუძნება პრინციპს, რომ როგორც სახელმწიფო, ისე რელიგია უკეთ შეძლებენ დასახული მიზნების მიღწევას, თუ თითოეული მათგანი თავისუფალი იქნება მეორის ზემოქმედებისგან. ანუ, როგორც ითქვა *ევერსონის* საქმეში, პირველი შესწორება აღმართავს კედელს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რამდენად მაღალი და გადაუღალავი არ უნდა იყოს იგი.

სასამართლოს აზრით, აქ არა მხოლოდ შტატის გადასახადებით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლის გამოყენება ხდება რელიგიური მოძღვრების გასავრცელებლად. შტატი ასევე დიდ დახმარებას უწევს ცალკეულ რელიგიურ ჯგუფებს იმისათვის, რომ მოსწავლეებით უზრუნველყოს მათი რელიგიური კლასები შტატის სავალდებულო საჯარო სკოლის მექანიზმის გამოყენებით. ეს არ არის ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაცია, – აცხადებს სასამართლო.

*უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ფრანკფურტერის თანმხვედრი აზრი, რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები ჯექსონი, რატლიჯი და ბარტონი*

ფრანკფურტერის აზრი შემდეგში მდგომარეობდა: „საჯარო სკოლა ჩვენი დემოკრატიის სიმბოლო და ჩვენი საერთო მიზნის განხორციელების გავრცელებული საშუალებაა. სახელმწიფოს საქმიანობაში უცხო ძალების ჩარევაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ძალა არ ჩაერიოს სკოლის საქმიანობაში და ის აღრევა, რომელსაც კონსტიტუცია ეწინააღმდეგება, თავიდან იქნას აცილებული...“ მან თავისი აზრი შეაჯამა ერთი გამონათქვამით რ. ფროსტის პოემიდან „კედლის შეკეთება“: „კარგი ღობე ქმნის კარგ მეზობლებს“.

**კედლებისა და ხაზების შესახებ.** *მაკკოლუმის* საქმის სასამართლო პროცესზე მოსამართლე ბლეკმა კვლავ მოახდინა ჯეფერსონის მიერ დანბერის ბაპტიტებისადმი გაგზავნილი წერილის ციტირება „ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციის კედლის“ მეტაფორით. *ევერსონის* საქმეში, ბლეკის აზრით, კედელი მაღალი და გადაუღალავი უნდა ყოფილიყო. უზენაესი სასამართლოს წევრმა ჯექსონმა დაიჩივლა, რომ ეს კედელი ისეთივე დაკლანძილი იყო, როგორც ვირჯინიის უნივერსიტეტში „ჯეფერსონის მიერ შექმნილი სახელგანთქმული გველისებური კედელი“. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბურგერის აზრით, „სეპარაციის ხაზი „კედელთან“ მსგავსებისაგან შორს არის და წარმოადგენს კონკრეტული ურთიერთობების გარემოებებზე დამოკიდებულ ცვალებად ბარიერს“.

*მაკკოლუმის* საქმესთან დაკავშირებით გამართულ სიმპოზიუმზე კონსტიტუციის გამოჩე-

ნილმა ებრაელმა კომენტატორმა, მილტონ რ. კონვიცმა მხარი დაუჭირა სასამართლოს გადაწყვეტილებას. პრინსტონის წამყვანმა პოლიტოლოგმა კორენმა მოსამართლე ბლექის მიერ ჯეფერსონის წერილზე დაყრდნობა შეცდომად მიიჩნია. ანალიტიკოსმა სალივანმა კი აღნიშნა, რომ გარკვეული პროგრამებისთვის დრო „46 შტატის 3000-ზე მეტ თემში“ გამოიყოფა. იგი ფიქრობდა, რომ *მაკკოლუმის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება სავესტ იყო ბუნდოვანებით და მასში ბევრი რამ იყო სადავო. მალე სასწავლო დროის გამოყოფასთან დაკავშირებული სხვა საქმეც შემოვიდა სასამართლოში, ამჯერად განსხვავებული საქმის ვითარებით: საუბარი იყო რელიგიის სწავლების ადგილზე, საჯარო სკოლის შენობის გარეთ. მოსამართლე ჯექსონმა გამოთქვა შიში, რომ კედელი ხდებოდა არა მხოლოდ „გველივით დაკლაკნილი“, არამედ „მრუდე და ჩახვეული“.

### *ზორახი კლაუსონის წინააღმდეგ<sup>231</sup>*

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ქალაქ ნიუ-იორკში მოქმედებს პროგრამა, რომელიც ნებას რთავს საჯარო სკოლებს, გაათავისუფლოს მოსწავლეები სასწავლო დღის განმავლობაში. მათ შეუძლიათ დატოვონ სკოლის შენობა, ეზო და წავიდნენ რელიგიურ ცენტრებში რელიგიური განათლების მისაღებად ან ღვთისმსახურებაზე დასასწრებად. მოსწავლე თავისუფლდება მშობლების წერილობითი თხოვნის საფუძველზე. მოსწავლეები, რომლებიც არ არიან გაათავისუფლებულნი, საკლასო ოთახებში რჩებიან. ეკლესიები ყოველ კვირას ანგარიშს აბარებენ სკოლებს და უგზავნიან იმ მოსწავლეების სიებს, რომლებიც საჯარო სკოლებიდან არიან გაათავისუფლებულნი, მაგრამ არ ესწრებიან რელიგიურ სწავლებას. რელიგიისათვის გამოყოფილი დროის ეს პროგრამა არ გულისხმობს არც რელიგიურ სწავლებას საჯარო სკოლებში, არც ხარჯების დაფარვას საჯარო სკოლის ფონდიდან. ყველა ხარჯი, საგანაცხადო ბლანკების ჩათვლით, იფარება რელიგიური ორგანიზაციების მიერ. ამიტომ ეს საქმე განსხვავდება *მაკკოლუმის* საქმისაგან. ამ უკანასკნელში რელიგიის მასწავლებლები სკოლის საკლასო ოთახებს იყენებდნენ. ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ პროგრამა არღვევდა პირველ შესწორებას.

აპელანტები, ნიუ-იორკის მკვიდრი გადასახადების გადამხდელები, რომელთა ბავშვები ნიუ-იორკის საჯარო სკოლებში სწავლობდნენ, დაუპირისპირდნენ არსებულ კანონს და ამტკიცებდნენ, რომ ეს შემთხვევა არსებითად არ განსხვავდებოდა *მაკკოლუმის* საქმისაგან. მათი არგუმენტი შემდეგში მდგომარეობდა: სკოლის მნიშვნელობა და გავლენა გამოიყენება რელიგიური სწავლების პროგრამის ხელშეწყობისთვის.

აქ გამოთქმულია აზრი, რომ სისტემა აიძულებს საჯარო სკოლის მოსწავლეებს, მიიღონ რელიგიური განათლება. სასამართლო თვლის, რომ პროგრამის განხორციელების პრაქტიკა ამგვარი დასკვნის გამოტანის საბაზს არ იძლევა; აქ არ არის მინიშნებული, რომ საჯარო სკოლები აიძულებს მოსწავლეებს რელიგიურ სკოლებში სიარულს და სჯის გამცდენებს. წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით ჩანს, რომ სკოლის ადმინისტრაცია ნეიტრალურია და მხოლოდ მშობლების წერილობითი თხოვნის საფუძველზე ათავისუფლებს ბავშვებს. აქედან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ პირველი შესწორების მოთხოვნები არ ირღვევა.

სასამართლო აზრით, პირველი შესწორება არ ითხოვს ნებისმიერი შემთხვევისათვის ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციას. შესწორება განსაზღვრავს იმ გზას, თუ როგორ არ უნდა იყოს სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთზე დამოკიდებული. სხვაგვარად რელიგია და სახელმწიფო ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი იქნებოდა. ეკლესიებს ვერ მოსთხოვდნენ გადასახადების გადახდას, ხოლო მუნიციპალიტეტები არ დართავდნენ ნებას



პოლიციას და სახანძრო რაზმს, დაეცვათ რელიგიური გაერთიანებები. კონსტიტუციის დარღვევად ჩაითვლებოდა ფიცის დადების დროს სიტყვების წარმოთქმა: „და შემენიოს ღმერთი“, და საერთოდ, ყოველი მიმართვა ღმერთისადმი, რაც ხშირად გვხვდება ამერიკის კანონებში, საზოგადოებრივ რიტუალებსა და ცერემონიებში, ასევე ის ლოცვა, რითაც იხსნება სასამართლოს სხდომები: „ღმერთმა იხსნას შეერთებული შტატები და მისი ღირსეული სასამართლო“.

სასამართლო აცხადებს, რომ ამერიკელები რელიგიური ხალხია და ამ ქვეყანაში თითოეული პიროვნების ღვთისმსახურების უფლება გარანტირებულია. როდესაც სახელმწიფო ხელს უწყობს რელიგიურ სწავლებას ან თანამშრომლობს რელიგიურ ლიდერებთან, იგი ამერიკის საუკეთესო ტრადიციებს მისდევს. კონსტიტუციაში შეუძლებელია იმ მოთხოვნის დანახვა, რომ ხელისუფლებამ რელიგიური გაერთიანებების მიმართ ინდიფერენტულობა უნდა გამოიჩინოს. სასამართლოს აზრით, ეს იქნებოდა არარელიგიური მოქალაქეებისთვის უპირატესობის მინიჭება რელიგიურ მოქალაქეებთან შედარებით... შესაბამისად, დამტკიცებულ იქნა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება.

#### *მოსამართლე ბლეკის განსხვავებული აზრი*

მისი აზრით, აქ ერთადერთი კითხვა იბადება: შეუძლია თუ არა ნიუ-იორკს სავალდებულო განათლების კანონმდებლობის გამოყენება რელიგიური გაერთიანებების დასახმარებლად ისე, რომ მოიზიდონ მოსწავლეები, რომლებიც უარს იტყობდნენ რელიგიური განათლების მიღებაზე, სახელმწიფოს რომ არ მოეხდინა მათზე ზეწოლა. ასეთი იძულების ნებისმიერი სახით გამოყენება რელიგიური გაერთიანებების დასახმარებლად ან ყველა რელიგიური გაერთიანებისთვის არარელიგიურ მოქალაქეებთან შედარებით უპირატესობის მინიჭება და პირიქით არის სწორედ ის, რასაც, ბლეკის აზრით, პირველი შესწორება კრძალავს. ბლეკი აცხადებდა, რომ ნიუ-იორკი რელიგიური გაერთიანებების მოსწავლეებით უზრუნველყოფის საქმეში დახმარების განწევის მიზნით სავალდებულო განათლების კანონით მანიპულირებდა. ეს არის ეკლესიისა და სახელმწიფოს არა სეპარაცია, არამედ კომბინაცია.

მოსამართლე ბლეკი აღნიშნავდა, რომ პირველი შესწორების მიზანი იყო გარანტიის შექმნა, რათა არც ერთ ძლიერ სექტას არ შეეძლებოდა პოლიტიკური და სახელისუფლებო ძალის გამოყენება მისგან განდგომილთა დასახველად. ეს კი მიიღწევა მხოლოდ რელიგიის სფეროდან სახელმწიფოს სრული იზოლაციითა და მისგან ნეიტრალიზაციის მოთხოვნით, რათა ყოველი დენომინაციისა და ყველა ურწმუნოს თავისუფლება დაცული იყოს. ბლეკი ბრალს სდებს სასამართლოს, რომ მან დაივიწყა ეს ნეიტრალიზაცია, როდესაც ნიუ-იორკის სავალდებულო სისტემას უწოდა პროგრამა, რომელიც უბრალოდ „ხელს უწყობს რელიგიის მასწავლებელს ან თანამშრომლობს რელიგიურ ლიდერებთან“.

იგი აცხადებს, რომ რელიგიის თავისუფლების ამერიკული სისტემის პირობებში ხალხი დადის რელიგიურ მსახურებაზე არა კანონის შიშის, არამედ ღმერთის სიყვარულის გამო. ასე რომ, ადამიანის სული თავისუფლად აკეთებს არჩევანს რწმენას ან ურწმუნობას შორის სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის ზეწოლის გარეშე. პირველი შესწორება დაკარგავდა თავის დანიშნულებას, თუ მორწმუნეს ან ურწმუნოს კანონის წინაშე თანაბარ მდგომარეობაში არ ჩააყენებდა. ხელისუფლებას არ უნდა მიეცეს ნება, რომ „თანამშრომლობის“ საბაზით შეიპაროს რელიგიური არჩევანის ხელშეუხებელ სფეროში...

#### *მოსამართლე ჯექსონის განსხვავებული აზრი*

იგი მიიჩნევს, რომ სასამართლო ვერ ასხვავებს ვალდებულებას და რელიგიას. მისი აზრით, ეს საქმე *მაკკოლუმის*<sup>232</sup> საქმისაგან მხოლოდ დეტალებით განსხვავდება. მაგრამ *მაკკოლუმის* საქმეზე და ამ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოთქმული აზრების შედარება მას



აფიქრებიანებს, რომ *მაკკოლუმი* იყო „ქარიშხალი ჩაის ქიქაში“, ხოლო სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის აღმართული კედელი მას შემდეგ უფრო მრუდე და ჩახვეული გახდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო.

### ლოცვა და ბიბლიის კითხვა სკოლებში

შემდეგ საქმეში განიხილება, შეუძლია თუ არა ხელისუფლებას, დაანესოს „არადენომინაციური ლოცვა“ საჯარო სკოლებისთვის. არის თუ არა ხელისუფლება მსაჯული, რომელიც ნყვეტს, რომელი ღვთისმსახურების ფორმაა მისაღები? არის თუ არა მისი ამგვარი ქმედება დანესების კლაუზულის დარღვევა? 1962 და 1963 წლებში სასამართლომ პასუხი გასცა ამ კითხვებს. პირველი გადაწყვეტილება ხელისუფლების მიერ შედგენილ ლოცვას ეხებოდა. მეორე კი – უფლის ლოცვის, „მამაო ჩვენო“, აღვლენასა და ბიბლიის კითხვას.

### ენჯელი ვიტალეს წინააღმდეგ<sup>233</sup>

#### უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

მოპასუხე მხარემ, ნიუ-იორკის ნიუ-ჰაიდ პარკის თავისუფალი სკოლის გაერთიანების №9 ოლქის განათლების საბჭომ, შტატის კანონმდებლობის შესაბამისად, უბრძანა სკოლის დირექტორს, ყოველი სასწავლო დღის დაწყების წინ შემდეგი ლოცვის ხმამაღლა წარმოთქმა დაენსებინა: „ყოველსაშემდეგ ღმერთო, ჩვენ ვაღიარებ ჩვენს დამოკიდებულებას შენზე და ვითხოვთ, გვაკურთხო ჩვენ, ჩვენი მშობლები, მასწავლებლები და ჩვენი ქვეყანა“. ეს ყოველდღიური პროცედურა რეგენტების შტატის საბჭოს რეკომენდაციით იქნა მიღებული. ეს სამთავრობო უწყება შტატის კონსტიტუციით შეიქმნა და ნიუ-იორკის კანონმდებლობამ მას შტატის საჯარო სკოლის სისტემაზე ფართო ზედამხედველობის აღმასრულებელი და საკანონმდებლო უფლებები მიანიჭა. ამ საჯარო დანესებულებამ შეადგინა ლოცვის ტექსტი, რომელიც გამოქვეყნდა, როგორც „სკოლებში ზნეობრივი და სულიერი სწავლების შესახებ განცხადების“ ნაწილი, სადაც აღნიშნული იყო: „გვნამს, რომ ეს განცხადება მისაღები იქნება ყველა ქალისა და მამაკაცისათვის და მოვუწოდებთ მათ, დაგვეხმარონ ამ პროგრამის განხორციელებაში“...

სასამართლოს მიაჩნია, რომ ნიუ-იორკის შტატის პროგრამა ოფიციალურად ანესებს რელიგიურ რწმენას რეგენტების ლოცვის მეშვეობით. მისი აზრით, მოპასუხე მხარის არგუმენტი, რომ ლოცვა „არადენომინაციურია“ და რომ შტატის სასამართლოს მიერ მონონებული პროგრამის მიხედვით, მოსწავლისათვის ლოცვის ნაკითხვა ნებაყოფლობითია, პროგრამის კონსტიტუციური დეფექტების იგნორირებას ახდენს. ეს არგუმენტები პროგრამას ვერ თავისუფლებს დანესების კლაუზულის შეზღუდვისაგან, როგორც ეს შესაძლებელი იქნებოდა აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ეს კლაუზულები ნაწილობრივ ერთმანეთს ფარავს, ისინი კრძალავს ხელისუფლების ორი განსხვავებული სახის შეჭრას რელიგიის თავისუფლებაში. აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულისაგან განსხვავებით, დანესების კლაუზულა არ არის დამოკიდებული ხელისუფლების მხრიდან პირდაპირი იძულების დემონსტრირებაზე და იგი ირღვევა იმ კანონებით, რომლებიც ოფიციალურ რელიგიას ანესებს, მაშინაც კი, თუ ამ კანონებს პირდაპირი იძულების ხასიათი არ აქვს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ კანონები, რომლებიც ოფიციალურად ანესებს ღვთისმსახურებას, არ გულისხმობს ცალკეული პირების იძულებას. როდესაც რომელიმე რელიგიის უკან ხელისუფლების ძალაუფლება, პრესტიჟი და ფინანსური მხარდაჭერა დგას, ცხადია, ხდება არაპირდაპირი ზეწოლა რელიგიურ უმცირესობებზე იმ მიზნით, რომ გაბატონებული, ოფიციალური მხარდაჭერის მქონე რელიგიის წინაშე დათმონ თავიანთი პოზიციები. ნიუ-იორკის შტატის კანონმდებლობის საფუძველზე რეგენტების ლოცვის ოფიციალური დანესება არ შეესაბამება დანესების კლაუზულის მიზნებს.

სასამართლოს აზრით, იმის მტკიცება, რომ საჯარო სკოლებში რელიგიური მსახურების აკრძალვისთვის კონსტიტუციის გამოყენება რელიგიისადმი მტრული დამოკიდებულების გამომხატვაა, უდიდესი შეცდომაა. არც მკრეხელობაა და არც ანტირელიგიურია, რომ ხელისუფლებას არა აქვს ოფიციალური ლოცვის შინაარსის შედგენის ან მისი სანქცირების უფლება. მან ეს წმინდა რელიგიური ფუნქცია ხალხს უნდა დაუტოვოს, რომელიც თავად გადაწყვეტს, როგორ წარმართოს თავისი რელიგიური ცხოვრება.

*მოსამართლე სტიუარტის განსხვავებული აზრი*

მისი აზრით, სასამართლომ არ უნდა ჩათვალოს, თითქოს ნიუ-იორკმა გავლენა მოახდინა ვინმეს რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობაზე, რადგან შტატის სასამართლოებმა ნათელი გახადეს, რომ ის, ვინც ლოცვას წარმოთქვამს, სრულიად თავისუფალი უნდა იყოს რაიმე სახის იძულებისაგან.<sup>234</sup> მაგრამ სასამართლო ამბობს, რომ ამ უბრალო ლოცვის წარმოთქმის დაშვებით ნიუ-იორკის ხელმძღვანელობამ „ოფიციალური რელიგია“ დააწესა. მოსამართლე სტიუარტი ფიქრობს, რომ, პირიქით, სკოლის ბავშვებისთვის ლოცვის წარმოთქმის აკრძალვა იგივეა, რაც ამერიკელი ერის სულიერ მემკვიდრეობასთან ზიარების აკრძალვა.

**ბიბლია საჯარო სკოლებში.** თავისუფალი საჯარო განათლების მომხრე ჰორას მანი იცავდა ბიბლიის გამოყენებას მასაჩუსეტის საჯარო სკოლებში. იგი, როგორც შტატის განათლების საბჭოს მდივანი, თავის დასკვნით ანგარიშში აცხადებს: „ჩვენი სისტემა გულმოდგინედ ნერგავს საერთო ქრისტიანულ მორალს; იგი თავის მორალს აფუძნებს რელიგიაზე; იგი მიესალმება ბიბლიას; და ბიბლიის მიღებით მას ეძლევა იმის მიცემის საშუალება, რისი მიცემაც სხვა სისტემას არ შეუძლია – „თავად ისაუბროს საკუთარ თავზე“. მანი ფიქრობს, რომ ჩვენს დროში არ არსებობს ერთი ქალაქიც კი, რომლის სკოლებშიც არ კითხულობენ ბიბლიის მეფე ჯეიმსისეულ ვერსიას.

საეკლესიო კანონები კათოლიკეებს უკრძალავს ბიბლიის ისეთი თარგმანის წაკითხვას, რომელიც არ არის აღიარებული ეკლესიის მიერ. მეფე ჯეიმსის ბიბლია, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებენ საჯარო სკოლებში, არ არის კათოლიკური ეკლესიის მიერ სანქცირებული თარგმანი. კათოლიკეებმა იგი არ მიიღეს, რადგან იგი პროტესტანტული იყო. 1859 წელს ბოსტონში 11 წლის ტომას უოლმა უარი განაცხადა ათი მცნების წაკითხვაზე მეფე ჯეიმსის ბიბლიიდან, რის გამოც მასწავლებელმა დასაჯა. ბოსტონის სასამართლომ მასწავლებელი გაამართლა.

კათოლიკე გოგონა გარიცხულ იქნა ელსუორთის სკოლიდან ბიბლიის მეფე ჯეიმსის ვერსიის კითხვაზე უარის თქმის გამო. სასამართლომ განაცხადა, რომ „ბიბლიის კითხვა არ არის სარწმუნოებასთან იმაზე მეტად დაკავშირებული, ვიდრე ბერძნულ-რომაული მითოლოგიის კითხვა“.<sup>235</sup> სასამართლო შენიშნავს, რომ აკრძალულ წიგნთა ინდექსი კათოლიკეებს სხვა წიგნების წაკითხვასაც უკრძალავს და აცხადებს: „ერთი აღმსარებლობისადმი აკრძალვის უფლების მინიჭება ყველა სკოლას მის მიმართ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ჩააყენებდა“.

ებრაელებმაც შეიტანეს საჩივარი ბიბლიის კითხვის გამო. ლუიზიანის შტატში ებრაელმა მშობლებმა პროტესტი გამოთქვეს საჯარო სკოლებში ახალი აღთქმის რაიმე ნაწილის წაკითხვაზე. ლუიზიანის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბიბლიის კითხვის პრაქტიკა არღვევდა შტატის კონსტიტუციას და ახალი აღთქმა გამოაცხადა „ქრისტიანობის საფუძვლად და საკითხავ წიგნად, რომელიც ეფუძნება იმ სწავლებას, რომ ქრისტე არის ღმერთი. ამიტომ მისი სწავლება უპირატესობას ანიჭებს ქრისტიანებს და ამავე დროს ახდენს ებრაელების დისკრიმინაციას“.<sup>236</sup>

თოთხმეტი შტატის სასამართლოებმა მხარი დაუჭირეს ბიბლიის კითხვას, რვა შტატის სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს პრაქტიკა არღვევდა შტატის კონსტიტუციას.<sup>237</sup> ოცდაჩვიდ-

მეტმა შტატმა დაუშვა ბიბლიის კითხვა, მათ შორის ჩვიდმეტმა – სტატუტის მეშვეობით. ამ პრაქტიკის წინააღმდეგ შტატის კონსტიტუციის საფუძველზე ყველაზე ადრინდელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა *მინორი ცინცინატის განათლების საბჭოს წინააღმდეგ* საქმეში.<sup>238</sup> უკანასკნელი მსგავსი საქმე იყო სამხრეთ დაკოტაში 1929 წელს.<sup>239</sup>

წინა საქმეებისაგან განსხვავებით, *შემპის* საქმე ფედერალურმა სასამართლომ განიხილა პირველი შესწორების საფუძველზე. მოსარჩელები, ედუარდ და სიდნი შემპები, უნიტარიანული ეკლესიის წევრები იყვნენ, რომლებიც პენსილვანიაში აბინგტონის დაწყებით სკოლაში ატარებდნენ სამ შვილს. შემპები ამტკიცებდნენ, რომ სამების, ქრისტეს ღვთიურობისა და ღვთის, როგორც შურისმგებელი მსაჯულის, თეოლოგიური დოქტრინის შემცველი წმ. წერილი ეწინააღმდეგებოდა მათ რწმენას. უფროსმა შვილმა, ელორიმ, პროტესტი განაცხადა ბიბლიიდან ათი სტროფის რეგულარულად ყოველ სასწავლო დღეს წაკითხვაზე. მან პირველად პროტესტის დემონსტრირება მოახდინა თავისთვის ყურანის კითხვით იმ დროს, როცა ბიბლიას ხმამაღლა კითხულობდნენ. მოსარჩელე მხარის ექსპერტის, რაბინ სოლომონ გრეიზელის აზრით, ახალი აღთქმა, იუდაური რწმენის თვალთახედვით, მკრეხელური შინაარსის შემცველი იყო. ფედერალური სასამართლოს სამმა მოსამართლემ ბიბლიის კითხვა არაკონსტიტუციურ ქმედებად მიიჩნია.

*აბინგტონის სასკოლო ოლქი შემპის წინააღმდეგ;  
მიურეი კიურლეტის წინააღმდეგ*<sup>240</sup>

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

დანების კლაუზულის გამოყენების საკითხის გარკვევისას სასამართლომ აღმოაჩინა, რომ შტატები სკოლებში ყოველი სასწავლო დღის დაწყების წინ ბიბლიის გარკვეული სტროფების კითხვას და ერთობლივ ლოცვას ითხოვდნენ (*შემპისა და მიურეის საქმეები*<sup>241</sup>). ეს ქმედებები საკურიკულუმო აქტივობების შემადგენელ ნაწილად განიხილება. სასამართლომ *შემპის* საქმეში სასწავლო დღის დაწყების წინ ბიბლიის კითხვა რელიგიურ ცერემონიად მიიჩნია და, მისი აზრით, სწორედ ამას მოითხოვდა შტატი, რაც არღვევს დანების კლაუზულას.

*მიურეის* საქმეში წარმოდგენილ ქმედებებს მსგავსი სპეციფიკური რელიგიური ხასიათი არა აქვს. შტატი აცხადებს, რომ ეს პროგრამა არის მცდელობა, წინ წამოსწიოს ზნეობრივი ღირებულებები ჩვენი დროის მატერიალისტური ტენდენციების საპირისპიროდ, დაიცვას ამერიკის ინსტიტუტები და ასწავლოს ლიტერატურა. მონინააღმდეგე მხარე აცხადებდა, რომ სკოლებში ბიბლიის მეფე ჯეიმსის ვერსიის კითხვა სექტანტური ქმედება იყო. სასამართლო ამას შტატის მიერ რელიგიური ხასიათის ქმედების სანქცირებად მიიჩნევს და არადამაჯერებლად თვლის იმ განცხადებას, რომ ამ შემთხვევაში ბიბლია გამოიყენება საერო მიზნით და როგორც არარელიგიური ზნეობრივი შთაგონების საშუალება.

სასამართლო ასკვნის, რომ ორივე საქმეში კანონები მოითხოვს რელიგიური ქმედებების შესრულებას, რასაც მომჩივნის უფლებების პირდაპირ დარღვევამდე მიყვავართ. შეფასებას არ არბილებს ის, რომ ცალკეულ მოსწავლეებს ნება ეძლევათ, არ მიიღონ მასში მონაწილეობა მშობლების თხოვნის საფუძველზე (იხ. *ენჯელი ვიტალეს წინააღმდეგ*<sup>242</sup>). უფრო მეტიც, გაუმართლებელია იმის მტკიცება, რომ ამ შემთხვევებში რელიგიური პრაქტიკა, შესაძლოა, შედარებით ნაკლებად იჭრება პირველი შესწორების მოქმედების სფეროში. სასამართლოს აზრით, ნეიტრალიტეტში მომხდარი გარღვევა, რაც დღეს შეიძლება ვინაა ნაკადი იყო, მალე დამანგრეველი ნიაღვარი გახდება და, მედისონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საჭიროა განგაშის ატება ჩვენს თავისუფლებებზე პირველი ექსპერიმენტის ჩატარებისთანავე“.

თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ განათლება ვერ იქნება სრული შედარებითი რელიგიათმცოდნეობის ან რელიგიის ისტორიისა და ცივილიზაციის მიღწევებთან მისი კავშირების შესწავლის გარეშე და ბიბლია შეიძლება ისწავლებოდეს მისი ლიტერატურული და ისტორიული ხასიათის გამო. ბიბლიისა და რელიგიის ამგვარი სწავლება, როდესაც იგი ობიექტურად არის წარმოდგენილი, როგორც საერო განათლების პროგრამის ნაწილი, არანაირად არ ეწინააღმდეგება პირველ შესწორებას. მაგრამ სასამართლო აცხადებს, რომ ზემოხსენებული ქმედებები არ ექცევა ამ კატეგორიებში. ისინი რელიგიური ხასიათისაა და მათ შესრულებას შტატი პირველი შესწორების იმ მოთხოვნების დარღვევით მოითხოვს, რომლის მიხედვით ხელისუფლებამ უნდა შეინარჩუნოს მტკიცე ნეიტრალიტეტი რელიგიის მიმართ.

სასამართლოს მიუღებლად მიაჩნია ის აზრი, რომ ნეიტრალიტეტის კონცეფცია, რომელიც შტატს ნებას არ აძლევს, მოითხოვოს რელიგიური ქმედების შესრულება, თუნდაც უმრავლესობის თანხმობით, ეწინააღმდეგება უმრავლესობის აღმსარებლობის თავისუფლებას. აღმსარებლობის თავისუფლების კლავზულა აშკარად კრძალავს შტატის მიერ ნებისმიერი მოქალაქის რელიგიის თავისუფლების შელახვას, თუმცა არ გულისხმობს, რომ უმრავლესობა უფლებამოსილია შტატის სახელისუფლებო ბერკეტები გამოიყენოს თავისი რწმენის გამოსახატად.

#### *მოსამართლე ბრენანის თანმხვედრი აზრი*

მოსამართლე აღნიშნავს, რომ საჯარო სკოლებში სწავლა არასოდეს ყოფილა სავალდებულო; მშობლები მორალურად და კონსტიტუციურად თავისუფლები არიან, აირჩიონ ის აკადემიური გარემო, რომელშიც სურთ, რომ მათმა შვილებმა მიიღონ განათლება. პირველი შესწორების დანესების კლავზულის დამოკიდებულება საჯარო სკოლის სისტემისადმი საუკეთესოა იმით, რომ იგი იცავს ცალკეული მშობლების ამგვარ არჩევანს და თითოეული შტატის ან სასკოლო ოლქის ამომრჩევლების უმრავლესობას არ ანიჭებს უპირატესობას. არჩევანი, რომელიც ამგვარად არის დაცული, კეთდება დემოკრატიული ღირებულებების მატარებელ საჯარო საერო განათლებასა და ზოგიერთ კერძო ან რელიგიურ სკოლას შორის, რომელიც საკუთარ ღირებულებებს სთავაზობს საზოგადოებას. მოსამართლე ბრენანის აზრით, პირველი შესწორება სახელმწიფოს უკრძალავს, შეზღუდოს არჩევანის ეს თავისუფლება რომელიმე ალტერნატივის მიმზიდველობის დაკნინებით – კერძო სკოლების თავისუფლების შეზღუდვის გზით, სურვილისამებრ დაწერგონ ესა თუ ის ღირებულებები, ან საჯარო სკოლების თავისუფლებისათვის საფრთხის შექმნით...

მოსამართლის აზრით, საერო მიზნები, რომლებსაც რელიგიურობის გამომხატველი ქმედებები ემსახურება, ორ კატეგორიად იყოფა: ქმედებები, რომლებიც სათავეს იღებს უშუალოდ რელიგიური გამოცდილებიდან და მათში მონაწილეობენ ბავშვები; და ქმედებები, რომლებიც იმდენად დაცლილია რელიგიური შინაარსისგან, რომ მათი განხილვა შესაძლებელია როგორც არარელიგიურისა. რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ რელიგიური სწავლება შეიძლება ემსახურებოდეს ზნეობრივი და სულიერი ღირებულებების შეტანას საჯარო სკოლებში, მოსამართლე ბრენანი ფიქრობს, რომ ეს მიზნები აშკარად რელიგიური ხასიათისაა და იკრძალება დანესების კლავზულით. ამიტომ იგი არ ამართლებს ამ ქმედებებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი წმინდა საერო ხასიათის სარგებელს მოიტანენ, რადგან მსგავს არარელიგიურ გავლენაზე ლაპარაკობდნენ *მაკკოლუმის* საქმეში რელიგიური სწავლებისათვის გამოყოფილი დროის პროგრამის შესახებ.

ამგვარი რელიგიური პრაქტიკის გამართლებისას აცხადებენ, რომ იგი საერო მიზნებს ემსახურება, მოსწავლეები უფრო შემწყნარებელი იქნებიან ერთმანეთის მიმართ და გაუმჯობესდება დისციპლინა. მოსამართლე მიიჩნევს, რომ ამ მიზნების მიღწევა ნაკლებად საკამათო მეთოდებითაც შესაძლებელია. მაგალითად, სახელგანთქმული ამერიკელი საზოგადო მოღვა-

ნების მიერ წარმოთქმულ სიტყვები, ან ამერიკელი ერის თავისუფლების მემკვიდრეობის შემცველი დოკუმენტები (მაგ. „ერთგულების აღთქმა“); იგი ამ მიზნების მისაღწევად ეფექტურ საშუალებად თვლის სასწავლო დღის დაწყების წინ წუთიერი დუმილის დაცვას. ეს საშუალებები ისე მოემსახურება დასახულ მიზნებს, რომ არც რელიგიური თემების წევრების რელიგიის თავისუფლებას შეზღუდავს და არც ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციას დაარღვევს. მოსამართლე აცხადებს, რომ სახელმწიფო ორივე შემთხვევაში არაკონსტიტუციურად მოქმედებს, როდესაც შედეგი არაპირდაპირ რელიგიურ შინაარსს ატარებს და მაშინაც, როცა იგი რელიგიას თავისი საერო მიზნებისთვის იყენებს.

მოსამართლე აკრიტიკებს იმ აზრს, რომ ამ პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია თეოლოგიის „საერთო ბირთვის“ შექმნით, რომელიც ყველა მრწამსს მოერგება, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მიაჩნია უპირატესობას. მოსამართლე თავის პოზიციას ანალიტიკოსების შეხედულებებით ამყარებს. ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა: „ისტორია არ მეტყველებს მათ სასარგებლოდ, ვინც იმედს ამყარებს ეკლესიისგან გამოყოფილი რელიგიის საერთო მნიშვნელის შექმნაზე“.<sup>243</sup> მღვდელმა გუსტავ ვეიგელმა კი გამოთქვა ფართოდ გავრცელებული შეხედულება: „ნებისმიერი რელიგიური საზოგადოების მორალური კოდექსის უნიფიცირებაა შესაძლებელი, მაგრამ ღრმად მორწმუნე პიროვნებებს არ სურთ ამგვარი შეკუმშვა“. ამერიკის განათლების საბჭო აცხადებდა: „საერთო ბირთვის“ შექმნით ხდება ზოგიერთი რწმენის შერბილება და მათი დაყვანა საერთო არსებით პრინციპებამდე. ამან შესაძლოა მიგვიყვანოს ახალი სექტის – საჯარო სკოლის სექტის – ჩამოყალიბებამდე, რომელიც თავის ადგილს დაიკავებს სხვა არსებულ რელიგიებს შორის და მათ მეტოქეობას გაუწევს“. მოსამართლე ფიქრობს, რომ თუ დაწესების კლაუზულა ეწინააღმდეგება არასექტანტურ რელიგიურ პრაქტიკას,<sup>244</sup> „საერთო ბირთვის“ მიდგომა, მრავალი რელიგიური ჯგუფის აზრით, აღმსარებლობის თავისუფლების კლუზულის დარღვევა იქნება. ამიტომ მოსამართლე ასკვნის, რომ დასაშვებია და დაუშვებელს შორის ზღვარი უნდა გაივლოს ისტორიისა და ფუძემდებელი მამების შეხედულებების თანახმად.

#### *მოსამართლე სტიუარტის განსხვავებული აზრი*

1940 წელს *ქენტველის* საქმეში<sup>245</sup> მიღებული გადაწყვეტილებიდან მოყოლებული, სასამართლომ მხოლოდ ორჯერ ცნო არაკონსტიტუციურად შტატის კანონები იმის საფუძველზე, რომ ისინი ხელს უწყობდა რელიგიის დაწესებას და არღვევდა მე-14 შესწორებას.<sup>246</sup> მეორე მხრივ, სასამართლომ იმ კანონების მხარდაჭერა გამოხატა, რომლებიც კვირა დღეს განსაზღვრავდა იძულებით დასვენების დღედ,<sup>247</sup> და ადგენდა საჯარო სკოლების ფონდებიდან კომპენსაციის გაცემას სამრევლო სკოლების მოსწავლეების მგზავრობისათვის.<sup>248</sup>

მოსამართლე აცხადებს, რომ პირველი შესწორების სხვა გარანტიებისგან განსხვავებით დაწესების კლაუზულისათვის დამახასიათებელია რელიგიის მხარდაჭერაში სახელმწიფოს შეზღუდვა. ამ შეზღუდვაზე გამოითქვა აზრი *ევერსონის* საქმეში: „სახელმწიფომ თავისი ძალაუფლება არ უნდა გამოიყენოს რელიგიის მხარდაჭერის ან რომელიმე რელიგიისათვის უპირატესობის მინიჭებისათვის“. შემდგომ საქმეში სასამართლომ აღიარა, რომ ამ შეზღუდვას აღმსარებლობის თავისუფლების უზრუნველყოფა მოითხოვდა.

მოსამართლე სტიუარტი თვლის, რომ ორივე საქმეში (*შემპის* და *მიურეის* საქმეები<sup>249</sup>) წარმოდგენილია დებულებები, რომლებიც აშკარად რთავს ნებას ნებისმიერ მოსწავლეს, სურვილის შემთხვევაში არ მიიღოს მონაწილეობა ამ ქმედებებში. არც ერთ საქმეში არ ჩანს რაიმე სახის იძულება. არანაირი სამხილი არ იქნა მოყვანილი მტკიცებულებად *მიურეის* საქმეში,

სადაც საქმის შეწყვეტა მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნების უსაფუძვლობის გამო გადამწყდა. *შემპის* საქმეში არსებული მასალები, მოსამართლის აზრით, მიუთითებდა მხოლოდ მშობლის სუბიექტურ წინასწარმეტყველებაზე იმასთან დაკავშირებით, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა სტატუტით დადგენილ ქმედებებში მონაწილეობაზე უარის თქმას. ამგვარ ქმედებას არ ჰქონია ადგილი. შესაბამისად, გაურკვეველია, რა შეიძლებოდა მას მოჰყოლოდა და რა ადმინისტრაციული გარიგების საფუძველზე შეძლებდა სკოლა, ზენოლისაგან გაეთავისუფლებინა ის პიროვნება, რომელსაც ამ ქმედებებში მონაწილეობის მიღების სურვილი არ ექნებოდა.

მოსამართლე სტიუარტი აცხადებს, რომ ის, რასაც ამერიკის კონსტიტუცია აუცილებლად იცავს, არის ყოველი ამერიკელის, ებრაელის თუ აგნოსტიკოსის, ქრისტიანის თუ ათეისტის, ბუდისტის თუ თავისუფლად მოაზროვნის თავისუფლება, სწამდეს ან არ სწამდეს, ღვთისმსახურებას აღასრულებდეს ან არ აღასრულებდეს, ლოცულობდეს ან დუმდეს იცავდეს, საკუთარი სინდისის თანახმად, ხელისუფლების მხრიდან იძულებისა და შეზღუდვის გარეშე. იგი ფიქრობს, რომ შესაძლოა, სკოლის საბჭოები შეუძლებლად მიიჩნევენ ამ კონსტიტუციური სტანდარტის პირობებში სასწავლო საათების დროს რელიგიური ქცევების ადმინისტრირებას ისე, რომ მათში მონაწილეობის სურვილის არმქონე პირი თავისუფალი იყოს ყოველგვარი ოფიციალური ზენოლისგან. მაგრამ მისი აზრით, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს სკოლის საბჭოები გამომგონებლობისა და კეთილი ნების ისეთ ნაკლებობას განიცდიან, რომ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყოს.

**თავდაპირველი განზრახვის გამოკვლევა.** უზენაესი სასამართლოს ზოგიერთი მოსამართლე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას პირველი შესწორების ავტორების „თავდაპირველი განზრახვის“ ამოცნობაზე და მისდამი ერთგულების შენარჩუნებაზე. *შემპის* საქმეზე თავისი თანმხედრი აზრის გამოთქმისას მოსამართლე ბრენანი შემდეგ პოზიციას იკავებს: „დასაშვებია და დაუშვებელს შორის ზღვარი უნდა გაივლოს ისტორიის და ფუძემდებელი მამების შეხედულების საფუძველზე“. მაგრამ მოგვიანებით ბრენანი წერს, რომ „ფუძემდებელი მამების მიზნების გაცნობიერება ყოველთვის ვერ გადაჭრის კონკრეტულ პრობლემებს“.

სკოლაში ლოცვისადმი განსხვავებული მიდგომა ქვეყნის მასშტაბით სკოლების საბჭოებში მისი რეალური გავლენის გაანალიზება. ამ გავლენის გამოკვლევების მიხედვით 1953-1968 წლებში მთელ ქვეყანაში არც ერთ საქმეს არ გამოუწვევია *შემპის* საქმის მსგავსი რეაქცია. *შემპის* საქმეზე კონგრესის რეაქცია დაუყოვნებლივი და მრისხანე იყო. კონგრესის წევრებმა არ მოიწონეს გადაწყვეტილება. სენატორმა ბრიკერმა წამოაყენა წინადადება, მიუღობოთ კონსტიტუციური შესწორება *შემპის* გადაწყვეტილების გასაუქმებლად. მიუხედავად ისეთი ლიდერების მხარდაჭერისა, როგორცაა სენატორი ევერეტ დირკსენი, წინადადებამ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. ამ მცდელობას წარმატება არ მოჰყოლია მაშინაც, როცა ორჯერ განაახლეს საქმის განხილვა 1970 და 1980 წლებში.<sup>250</sup> სასამართლოს თავს დაატყდა საზოგადოების კრიტიკის ქარცეცხლი. *შემპის* საქმის ავტორს, მოსამართლე ტომ კლარკს, მოუწია, განემარტა, რომ მისი შეხედულება არ გულისხმობდა იმას, რასაც ზოგიერთი პოლიტიკოსი და კომენტატორი აცხადებდა.



## ათი მცნების გამოკვრა სკოლის შენობებში

კენტუკის სტატუტი მოითხოვდა კერძო შემონირულობებით შექმნილი ათი მცნების ეგზემპლარის გამოკვრას შტატის ყოველი საჯარო სკოლის საკლასო ოთახებში. 1978 წლის 17 ივნისს ძალაში შესული ეს კანონი კედელზე გამოსაკრავი ტაბულის პარამეტრებსაც კი განსაზღვრავდა.

ძირითად წარწერას მცირე შრიფტით განმარტება უნდა მოჰყოლოდა იმის შესახებ, რომ ათი მცნების ტექსტის საერო დემონსტრირება მიზნად ისახავდა მისი, როგორც დასავლური ცივილიზაციისა და ამერიკული საერთო სამართლის ფუნდამენტური სამართლებრივი კოდექსის, წარმოდგენას. სასამართლომ კანონი გააუქმა საერო მიზნის არქონის გამო.

### *სტოუნი გრეჰემის წინააღმდეგ<sup>251</sup>*

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ სტატუტი ხელყოფდა კონსტიტუციის პირველი შესწორების კლავზულას დაწესებისა და აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ და მოითხოვდნენ სასამართლო ბრძანებას მისი მოქმედების შესაჩერებლად. კენტუკის სასამართლომ მხარი დაუჭირა სტატუტს, რადგან ჩათვალა, რომ მას სავსებით საერო, არარელიგიური მიზანი ჰქონდა; იგი არც ხელს უწყობდა და არც ხელყოფდა რომელიმე რელიგიას ან რელიგიურ ჯგუფს და არც სახელმწიფოს ემუქრებოდა მისთვის უცხო რელიგიურ სფეროში ჩათრევით. უზენაესი სასამართლო კი მიიჩნევს, რომ მიზნების აშკარად საერო ხასიათი ვერ აბათილებს სტატუტის კონფლიქტს კონსტიტუციის პირველ შესწორებასთან. ამავე სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ბიბლიისა და საუფლო ლოცვის კითხვა საჯარო სკოლებში მიუხედავად მტკიცებისა, რომ ეს წესი მატერიალიზმის ეპოქაში ზნეობრივ ღირებულებათა პროპაგანდას ემსახურებოდა.

სასამართლომ ჩათვალა, რომ ათი მცნების გამოკვრა სკოლის კედლებზე რელიგიურ მიზანს ემსახურება. ათი მცნება საკრალური ტექსტია იუდაიზმსა და ქრისტიანობაში და საერო მიზნების დეკლარირებით თვალში ნაცრის შეყრა აზრს მოკლებულია, რადგან ათი მცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ადამიანთა შორის ამქვეყნიური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებით, იგი უპირველეს ყოვლისა მორწმუნეებს განსაზღვრულ რელიგიურ ვალდებულებებს აკისრებს. ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც ბიბლია, შესაძლოა, კონსტიტუციის შესაბამისად ისტორიის, ცივილიზაციის, ეთიკის და მსგავსი საგნების შესასწავლად გამოიყენებოდეს. რელიგიური ტექსტების კედლებზე გამოკვრას არ შეიძლება მსგავსი სასწავლო დანიშნულება ჰქონდეს. მისი ზემოქმედება პირადი აღმსარებლობის სფეროზე ვრცელდება და არ შეესაბამება დაწესების კლავზულას.

#### *მოსამართლე რენკისტის განსხვავებული აზრი*

მოსამართლე აცხადებს, რომ სასამართლოს უარყოფით დასკვნას საკანონმდებლო ორგანოს მიერ გაცხადებული და შტატის სასამართლოს მიერ დადასტურებული სტატუტის საერო მიზნის თაობაზე პრეცედენტი არ გააჩნია დაწესების კლავზულის იურისპრუდენციაში.

### *ტრანსცენდენტური მედიტაცია როგორც რელიგია: მალნაკი იოგის წინააღმდეგ<sup>252</sup>*

„შემოქმედებითი გონების მეცნიერება – ტრანსცენდენტური მედიტაცია“ (SCI/TM), როგორც ფაკულტატიური საგანი, შემოღებულ იქნა ხუთ საშუალო სკოლაში. სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა მაჰარაში მაჰეშ იოგის მიერ შედგენილი წიგნი. სწავლების პროცესს წარმარ-

თავდენ აშშ-ს „მსოფლიო გეგმის აღმასრულებელი საბჭოს“ მიერ მომზადებული პედაგოგები. ტრანსცენდენტური მედიტაციის პრაქტიკის არსებითი ნაწილი მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველ მონაწილეს ეძლეოდა პერსონალური მანტრა. მანტრას გადაცემა ხდებოდა კურსზე („პუჯაზე“) სავალდებულო დასწრების დროს. ეს ქმედება გასაჩივრებული იქნა სკოლის მოსწავლეების მშობლებისა და „ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციისათვის გაერთიანებული ამერიკელების“ მიერ. სასამართლომ კურსი ცნო, როგორც რელიგიის დაწესების ანტიკონსტიტუციური ქმედება.

კურსის დამცველები ამტკიცებდნენ, რომ პუჯა არარელიგიური ცერემონიალი იყო და მისი დანიშნულება კონცენტრაციისა და სიმშვიდის მიღწევის ხერხების შესწავლაში მდგომარეობდა. მოსამართლე ადამსმა, თავის თანმხვედრ აზრში აღნიშნა, რომ რელიგიის თანამედროვე განსაზღვრებით, რომელიც გამოთქმული იყო ზიგერის<sup>253</sup>, უელშის<sup>254</sup> და ტორკასოს<sup>255</sup> საქმეებში, აქცენტი კეთდებოდა ამერიკის ტრადიციულ რელიგიებზე. რელიგიას პრეტენზია აქვს ჭეშმარიტების ცოდნაზე, თუმცა აუცილებელი არ არის, რომ მასში ჩართული იყოს სამღვდლოება, ცერემონიები, ორგანიზაცია და ხდებოდეს მისი პროპაგანდა. მოსამართლის თქმით, ტრანსცენდენტურ მედიტაციას ჰქონდა პასუხები ადამიანისა და სამყაროს ბუნების, სამყაროს მამოძრავებელი ძალისა და ბედნიერების მიღწევის გზების შესახებ. სასამართლოს მიერ ტრანსცენდენტური მედიტაცია არათეისტურ რელიგიად იქნა მიჩნეული.

#### ლოცვისთვის განკუთვნილი დრო

**რელიგიური წუთიერი დუმილი.** „მეცადინეობის დაწყების წინ რელიგიური წუთიერი დუმილის დაცვა იმავდროულად ემსახურება საერო მიზნებს ისე, რომ საფრთხეს არ უქმნის საზოგადოების არც ერთი წევრის რელიგიის თავისუფლებას და ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას.“ მოსამართლე ბრენანის ეს ყველასთვის მისაღები სიტყვები, რომელიც მან 1963 წელს *შემპის*<sup>256</sup> საქმეზე წარმოთქვა, 1980-იან წლებში სადავო გახდა.

რამდენიმე შტატში დაშვებულია ამგვარი წუთიერი დუმილი საჯარო სკოლების გამოსაშვებ საღამოზე. 1978 წელს მიღებულმა ალაბამის კანონმა საჯარო სკოლებისთვის შემოიღო ერთწუთიანი დუმილი „მედიტაციისთვის“, რაც 1981 წელს შესული შესწორებით შემდეგი ფორმულირებით შეიცვალა: „მედიტაციისა და ნებაყოფლობითი ლოცვისთვის“. უკვე 1982 წლის შესწორება მასწავლებლებს ნებას რთავდა, „მსურველი მოსწავლეებისთვის“ ჩატარებინათ ლოცვა „ყოვლისშემძლე ღმერთისადმი მიმართვით, რომელიც სამყაროს შემოქმედი და უზენაესი მსაჯულია“. ამ შესწორებებთან დაკავშირებით უზენაეს სასამართლოს შეეძლო გამოეცა მოკლე სასამართლო ბრძანება *ენჯელისა* და *შემპის* საქმეებზე დაყრდნობით, თუმცა მან არსებითად განიხილა საქმე და გამოსცა მოსაზრებათა კრებულისგან შემდგარი გადანყვეტილება. შესაძლოა, ამის საფუძველს წარმოადგენდა საოლქო სასამართლოს მიერ გამოხატული აშკარა უპატივცემულობა, როდესაც მან თავის გადანყვეტილებაში მიუთითა, რომ უზენაესი სასამართლოს მიდგომა რელიგიის დაწესების მიმართ „მცდარია“ და ალაბამა უფლებამოსილია, საკუთარი არჩევანის საფუძველზე დააწესოს სახელმწიფო რელიგია. საოლქო სასამართლოს გადანყვეტილება გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს მიერ. უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ამ გადანყვეტილებას. სადავო დარჩა საკითხი იმის თაობაზე, წესდება თუ არა რელიგია 1981 წლის სტატუტის საფუძველზე „მედიტაციისა და ნებაყოფლობითი ლოცვის“ დაშვებით. მოსარჩელედ მოგვევლინა ისმაელ ჯეფრი, რომელმაც სარჩელი საკუთარი შეილების სახელით აღძრა. მისი შეილებიდან ორი მეორეკლასელი იყო, ერთიც საბავშვო ბაღში დადიოდა. ჯეფრი აცხადებდა, რომ მისი შეილები დევნას განიცდიდნენ, ვინაიდან უარს აცხადებდნენ მასწავლებლების მიერ ჩატარებულ ლოცვებში მონაწილეობაზე.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

მიზნის ტესტის გამოყენებისას ძირითადი კითხვა, რომელზედაც პასუხი უნდა გაეცეს, შემდეგია: „არის თუ არა სახელმწიფოს მიზანი რელიგიის მხარდაჭერა ან მისდამი არაკეთილგანწყობა“. თავის გადაწყვეტილებაში სასამართლო არაორაზროვნად მიუთითებს, რომ 1981 წლის სტატუტის მიღება არ იყო რაიმე საერო მიზნით მოტივირებული.

ამ კანონის ინიციატორმა სენატორმა დონალდ ჰოლმსმა საკანონმდებლო მოსმენისას განმარტა, რომ ეს კანონი საჯარო სკოლებისთვის „ნებაყოფლობითი ლოცვის დაბრუნების მცდელობა“ იყო. მოგვიანებით სენატორმა თავისი სიტყვები საოლქო სასამართლოს წინაშეც გაიმეორა. შტატმა ვერ დაამტკიცა თავისი საერო განზრახვა.

კანონმდებლების განზრახვის უეჭველი მტკიცებულება, რომელსაც საკანონმდებლო ოქმი და სტატუტის ინიციატორის ჩვენება შეიცავდა, ასევე დასტურდება ამ სტატუტსა და საქმეში წარმოდგენილ ორ შესწორებას შორის ურთიერთკავშირის საფუძველზე. საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ 1981-82 წლების შესწორებები საერო მიზანს არ ემსახურებოდა. სადავოდ ქცეული სტატუტის მეორე შესწორების საეკლესიო შინაარსზე ნათლად მეტყველებს მისი ტექსტი. ამ ორი შესწორების შედარებით 1978 წლის აქტის საწყის ტექსტთან ნათელი ხდება 1981 წლის სტატუტის რელიგიური ხასიათიც.

სტატუტს საწყის და საბოლოო ვარიანტებს შორის მხოლოდ სამი ტექსტუალური განსხვავება არსებობს: 1) პირველის მოქმედება ვრცელდებოდა პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, ხოლო მეორე ყველა კლასს მოიცავს; 2) პირველი იყენებდა სიტყვას „უნდა“, ხოლო მეორე – სიტყვას „შეუძლია“; 3) დაბოლოს, პირველი მხოლოდ „მედიტაციას“ ეხებოდა, მეორე კი „მედიტაციასა და ნებაყოფლობით ლოცვას“. ამ საქმეში ზემოხსენებულ პირველ განსხვავებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჯეფერის შვილები 1981-1982 აკადემიური წლისთვის მეორეკლასელები იყვნენ. მეორე განსხვავებაც უმნიშვნელოა, რადგან სავალდებულო ხასიათი პირველი სტატუტის მიხედვით პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით ვრცელდება. ამდენად, რჩება ერთადერთი რელევანტური განსხვავება, რომელიც შეეხება სიტყვებს „ნებაყოფლობითი ლოცვა“.

საჯარო სკოლებისთვის ლოცვის დაბრუნების საკანონმდებლო განზრახვა, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რომ დაიცვა თითოეული მოსწავლის უფლება, სურვილისამებრ ილოცოს წუთიერი დუმილის დროს სასწავლო პროცესის განმავლობაში. 1978 წლის სტატუტი უზრუნველყოფდა ამ უფლებას, რამდენადაც ხელს არ უშლიდა არც ერთ მოსწავლეს, ელოცა მედიტაციის წუთის დროს. აპელანტებმა ვერ დაასახელეს ვერც ერთი საერო მიზანი, რომელსაც წინამორბედი სტატუტი არ აკმაყოფილებდა. ამგვარად, 1981 წლის სტატუტის ტექსტთან დაკავშირებით ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება: 1) სტატუტი მიღებული იქნა შტატის მხრიდან ლოცვის ხელშეწყობის მიზნით, და 2) მისი მიღება არ ემსახურებოდა საერო მიზანს.

აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ ალაბამის საკანონმდებლო ხელისუფლებას არსებული კანონის შეცვლა ჰქონდა განზრახული. ეს გადაწყვეტილება მოტივირებული იყო შტატის მხრიდან ლოცვის მხარდაჭერის სურვილით. „ნებაყოფლობითი ლოცვის“ დამატება იმაზე მიუთითებს, რომ შტატი ცდილობს, ლოცვა უპირატეს ქცევადა შეაფასოს. ასეთი მხარდაჭერა არ შეესაბამება დამკვიდრებულ პრინციპს, რომ სახელმწიფო სრულ ნეიტრალობას უნდა იჩინდეს რელიგიის მიმართ.

ამ პრინციპის მნიშვნელოვნების გამო სასამართლო მიიჩნევს, რომ უფლება არა აქვს, ეს საქმე უმნიშვნელო შემთხვევად ჩათვალოს, რომელშიც მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური

უმრავლესობის მიერ აღიარებული რამდენიმე სიმბოლური სიტყვაა გასაჩივრებული. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ 1981 წლის სტატუტი არღვევს პირველ შესწორებას (დანესების კლაუზულას) და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ძალაში ტოვებს.

*სასამართლოს თავმჯდომარე ბურგერის განსხვავებული აზრი, რომელსაც შეურთდა მოსამართლე რენკვისტი*

ბურგერის თქმით, სასამართლოს ბევრი მოსაზრება შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სასამართლო სხდომა ღმერთისადმი მიმართვით დაიწყო. ასევე იქცევა წარმომადგენელთა პალატა და სენატი ყოველი სხდომის გახსნისას. ასეთი საკანონმდებლო ლოცვა საკმაოდ გააზრებულია და ერთ წუთზე მეტხანს გრძელდება.

ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი იტყვის, რომ მოსამართლეები და კონგრესის წევრები არ არიან სკოლის მოსწავლეები. სხვები ამ უთანხმოებას შეაფასებენ, როგორც „აურზაურს არაფრის გამო“, რადგან არავის შეუძლია მასწავლებელს აუკრძალოს, სასწავლო დღე დაიწყოს წუთიერი დუმილით მოსწავლეების მედიტაციისთვის, ფიქრისთვის ან ლოცვისთვის, თუ მათ ასე სურთ.

მოსამართლე რენკვისტი ახსენებს საქმეს *ვეერსონი განათლების საბჭოს წინააღმდეგ*,<sup>258</sup> სადაც დანესების კლაუზულასთან დაკავშირებით მოყვანილია ტომას ჯეფერსონის წერილი დანბერის ბაპტისტური ასოციაციისადმი. წერილში აღნიშნულია: „რელიგიის დანესების წინააღმდეგ მიმართული კლაუზულა მიზნად ისახავდა სახელმწიფოსა და რელიგიას შორის სეპარაციის კედლის აღმართვას.“

ჯეფერსონის ეს დამაბნეველი მეტაფორა, თითქმის ორმოცი წელია, მძიმე ტვირთად აწევს დანესების კლაუზულას. აღნიშნული წერილი „უფლებათა ბილის“ მიღებიდან თოთხმეტი წლის მერეა დაწერილი საფრანგეთში. აქედან გამომდინარე, ეს სიტყვები ეკუთვნის არა პირველი შესწორების რელიგიურ კლაუზულათა ავტორს, არამედ მხოლოდ ამ პროცესებზე დამკვირვებელს. „უფლებათა ბილის“ მიღებაში უშუალოდ მონაწილეობდა ჯეიმს მედისონი და დანესების კლაუზულის მისეული ინტერპრეტაცია სულ სხვაგვარად უღერს.

დანესების კლაუზულის ქვემარტივი არსი მის ისტორიაში უნდა ვეძიოთ. მისმა ავტორებმა ისეთი პრინციპები ჩამოაყალიბეს, რომლებიც დღესაც აქტუალურია. მათი მიზნებიდან ნებისმიერი გადახვევა ქართის უგულბელებოფას ნიშნავს და მცდარი გადაწყვეტილებების მიღებას წინაპირობაა.

დანესების კლაუზულა იმისათვის შეიქმნა, რომ ხელი შეეშალათ ნებისმიერი ეკლესიის „სახელმწიფო“ ეკლესიად გამოცხადებისთვის; აგრეთვე ფედერალური ხელისუფლების მხრიდან რომელიმე რელიგიისა თუ სექტისთვის უპირატესობის მინიჭების აღსაკვეთად. ეს აკრძალავს შტატებზეც ვრცელდება, მაგრამ დანესების კლაუზულაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ ნეიტრალური პოზიცია უნდა დაიკავოს რელიგიასა და ურწმუნოებას შორის. არც კონგრესსა და შტატებს ეკრძალებათ ლეგიტიმური საერო მიზნების განხორციელება არადისკრიმინაციული რელიგიური საშუალებებით.

სასამართლო ალაბამის სტატუტს აკრიტიკებს იმის გამო, რომ შტატი გამოხატავს სურვილს, „მხარი დაუჭიროს ლოცვას, როგორც უპირატეს ქცევას“. მოსამართლე რენკვისტის აზრით, „უფლებათა ბილის“ ავტორებისთვის და ბევრი საზრიანი ამერიკელისთვის შოკისმომგვრელი იქნებოდა იმის გაგება, რომ თითქოს კონსტიტუცია ალაბამის საკანონმდებლო ორგანოს უკრძალავს ლოცვის ხელშეწყობას. თავად ჯორჯ ვაშინგტონმა გამოაცხადა „სახალხო მადლიერების დღე“ ოფიციალურ დღესასწაულად. ისტორიამ უნდა განსაჯოს, ვინ უფრო მართალი იყო – ერის მამა 1789 წელს, თუ დღევანდელი სასამართლო, რომელმაც დანესების კლაუზულის არსს გადაუხვია.

მოსამართლე ბურგერი ასკვნის, რომ შტატის საერო ინტერესია, შეიმუშავოს საჯარო სკოლათა მართვის მექანიზმი, ხოლო პირველი შესწორების დაწესების კლაუზულა არ კრძალავს ლოცვის ამგვარ განზოგადებულ „მხარდაჭერას“. აქედან გამომდინარე, ბურგერი საჭიროდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას.

**სასამართლოს მიერ ისტორიის დამონმება.** სხვადასხვა საქმეების განხილვისას უზენაესი სასამართლო ხშირად ეყრდნობოდა ისტორიულ მონაცემებს პირველი შესწორების მიღებასთან დაკავშირებით, დაწესების კლაუზულაზე გამოთქმულ მოსაზრებებს. სასამართლოს ამგვარ ქცევას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდენ, როგორც ისტორიკოსები, ისე სასამართლოს ცალკეული წევრები. ისტორიკოსები მთავარ სირთულედ მიიჩნევენ სასამართლოს ტენდენციურობას ისტორიული ფაქტების დამონმებისას.

ჯეფერის საქმეზე თავის განსხვავებულ აზრში მოსამართლე რენკვისტი მიუთითებს „ისტორიულ მტკიცებულებაზე“, რომ რელიგიის არდაწესების კლაუზულა არ მოითხოვს ხელისუფლებისგან ნეიტრალიზაციის შენარჩუნებას რელიგიურობასა და ურწმუნოებას შორის; არც კონგრესსა და შტატებს ეკრძალებათ ლეგიტიმური საერო მიზნების განხორციელება არადისკრიმინაციული რელიგიური საშუალებებით. რენკვისტი აქ იმონმებს რობერტ ლ. კორდს,<sup>259</sup> მაგრამ მხედველობიდან გამორჩება მისივე კრიტიკა: „უზენაესი სასამართლო ამერიკის „ისტორიას“ ხშირად იყენებდა დაწესების კლაუზულასთან დაკავშირებით თანამედროვე მოთხოვნების გასამართლებლად“.

#### მოსწავლეების მიერ ინიცირებული და მათ მიერ ჩატარებული ლოცვა

**კონგრესის კომპრომისი: თანაბარი ხელმისაწვდომობის აქტი, მაგრამ არა საკონსტიტუციო შესწორება „ნებაყოფლობითი ლოცვისთვის“.** პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა კონგრესს შესთავაზა, მიეღო საკონსტიტუციო შესწორება, რომელიც დაუშვებდა ნებაყოფლობით ჯგუფურ ლოცვას საჯარო სკოლებში. ამ წინადადებას მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

მომდევნო წელს წარმომადგენელთა პალატას წარედგინა რელიგიური გამოხატვის დაცვის კანონპროექტი, რომელიც საბოლოოდ თანაბარი ხელმისაწვდომობის აქტმა შეცვალა. ეს უკანასკნელი რელიგიურ გამოხატვასთან ერთად იცავდა მოსწავლეთა გამოხატვის ნებისმიერ ფორმას. კანონის საჭიროება იმან განაპირობა, რომ ფედერალური სასამართლოს ქვედა ინსტანციები არ ითვალისწინებდნენ საქმეში ვიდმარი ვინსენტის წინააღმდეგ<sup>260</sup> შემუშავებულ მიდგომას, რომელიც მოითხოვდა რელიგიური გამოხატვის თანაბარ უფლებას საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის. კანონპროექტს მხარს უჭერდნენ ევანგელისტები, სამოქალაქო უფლებების დამცველები და ორგანიზაციები, რომლებიც სკოლებში რელიგიის გავრცელებას უწყობდნენ ხელს, მათ შორის საზოგადოებრივ საქმეთა ერთობლივი ბაპტისტური კომიტეტი და ეკლესიათა ეროვნული საბჭო. კანონი ძალაში შევიდა პრეზიდენტ რეიგანის ხელმოწერით 1984 წლის 11 აგვისტოს.

#### ვესტსაიდის საზოგადოების სკოლების განათლების საბჭო მერგენსის წინააღმდეგ<sup>261</sup>

##### უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლო განიხილავს საქმეს იმის შესახებ, უკრძალავს თუ არა თანაბარი ხელმისაწვდომობის აქტი ვესტსაიდის საშუალო სკოლას მოსწავლეთა რელიგიური ჯგუფისთვის არასასწავლო დროს სკოლაში შეკრების ნებართვაზე უარის თქმას, და თუ უკრძალავს, მაშინ არღვევს თუ არა ეს აქტი პირველი შესწორების დაწესების კლაუზულას.

ვესტსაიდის საშუალო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, განეწიანდნენ სხვადასხვა



სასკოლო ჯგუფსა და კლუბში, რომელიც სკოლის შენობაში იკრიბება გაკვეთილების შემდეგ. მათ სურვილისამებრ შეუძლიათ აირჩიონ ოცდაათამდე რეგისტრირებული ჯგუფიდან ერთ-ერთი.

სკოლის საბჭო ამ ჯგუფებს მთლიანი სასწავლო პროგრამისთვის ძალზედ მნიშვნელოვნად თვლის, რადგან მათი საშუალებით სტუდენტებს უვითარდებათ სამოქალაქო ცნობიერება, ჯანსაღი მიდგომები, უყალიბდებათ კარგი ურთიერთობები, ცოდნა და უნარ-ჩვევები. საბჭო აგრეთვე საჭიროდ მიიჩნევს, რომ ყველა კლუბი ფუნქციონირებდეს სკოლის ორგანიზაციული ხელმძღვანელობით, რათა და პოლიტიკური, რელიგიური ან ისეთი ორგანიზაციების გავლენის ქვეშ არ მოექცინენ, რომლებიც განეწინააღმდეგებენ ზღუდავენ რასის, კანის ფერის, მსოფლმხედველობის, სქესის ან პოლიტიკური მრწამსის საფუძველზე. საბჭო აგრეთვე მკაცრად იცავს სპეციფიკური რელიგიური შეხედულებების მქონე მოსწავლეთა პატივისცემის წესს და უზრუნველყოფს მოსწავლეების გამოსხატვის თავისუფლებას.

1985 წლის იანვარში ბრიჯიტ მერგენის შეხვედა დირექტორს, დოქტორ ფინდლის და სკოლაში ქრისტიანული კლუბის ჩამოყალიბების ნებართვა სთხოვა. მისი თქმით, კლუბი დააკმაყოფილებდა იმავე პირობებს და ისარგებლებდა იმავე პრივილეგიებით, რითაც ვესტსაიდის მოსწავლეთა სხვა ჯგუფები სარგებლობდნენ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ამ კლუბის ორგანიზაციულ მართვაში სკოლა მონაწილეობას არ მიიღებდა. სასამართლოზე მიცემულ ჩვენებებში მოსწავლეები აცხადებდნენ, რომ სხვა მიზნებთან ერთად კლუბი მოსწავლეებს უფლებას მისცემდა, წაეკითხათ და განეხილათ ბიბლია და ერთობლივად ელოცათ. კლუბში განეწინააღმდეგებოდა ნებაცხოვრებითი და თავისუფალი იქნებოდა ნებისმიერი მრწამსის მოსწავლისთვის.

ფინდლიმ თხოვნა არ დააკმაყოფილა. სკოლის ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ სკოლის წესების მიხედვით, სკოლაში მოქმედი ყველა კლუბის ორგანიზაციული მართვა სკოლის მიერ უნდა მომხდარიყო. ეს რელიგიური კლუბი ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა; გარდა ამისა, სკოლაში რელიგიური კლუბის არსებობა ეწინააღმდეგებოდა დაწესების კლაუზულას. მოპასუხეებმა წარმომადგენლობითი სარჩელით მიმართეს ნებრასკის ოლქის შეერთებული შტატების საოლქო სასამართლოს და მოითხოვეს სკოლის გადაწყვეტილების გაუქმება. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამ კლუბის შექმნაზე უარის თქმა არღვევდა თანაბარი ხელმისაწვდომობის აქტს, რომელიც ფედერალურ დაფინანსებაზე მყოფ საჯარო საშუალო სკოლებს უკრძალავს „თანაბარი ხელმისაწვდომობის“ შეზღუდვას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სურთ შეიკრიბონ და ნებისმიერი შინაარსის სიტყვა წარმოთქვან. მოპასუხეები აგრეთვე აპროტესტებდნენ სკოლის ამ მოქმედებით მათთვის პირველი და მე-14 შესწორებებით მინიჭებული სიტყვის, მშვიდობიანი შეკრებისა და აღმსარებლობის თავისუფლების უფლების ხელყოფას.

მომჩივნების მტკიცებით, თანაბარი ხელმისაწვდომობის აქტი ვესტსაიდს არ ეხებოდა; ასეც რომ ყოფილიყო, კანონი არღვევდა პირველი შესწორების დაწესების კლაუზულას და ის არაკონსტიტუციურად უნდა ეცნოთ. შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ ეს საქმე გამოითხოვა ქვემდგომი სასამართლოდან, რათა დაეცვა კანონის კონსტიტუციურობა.

საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილება სკოლის სასარგებლოდ გამოიტანა. მან დაადგინა, რომ ზემოხსენებულ კანონს ამ საქმესთან შეხება არა აქვს, რადგან ვესტსაიდში არ არის „შეზღუდული ღია ფორუმი“, როგორც ეს კანონითაა განსაზღვრული და ფორმულირებულია საქმეში ვიდმარი ვინსენტის წინააღმდეგ<sup>262</sup>. ვესტსაიდის ყველა კლუბი მჭიდრო კავშირშია სკოლის სასწავლო პროგრამასთან. შესაბამისად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხეთა კონსტიტუციური მოთხოვნები.

ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტი-



ლება და არასწორად მიიჩნია დასკვნა, რომ ვესტსაიდის ყველა კლუბი დაკავშირებულია სასწავლო პროგრამასთან. ვესტსაიდის სკოლის ხელმძღვანელობის მიერ წამოყენებული „ფართო ინტერპრეტაცია“ აზრს უკარგავდა თანაბარი ხელმისაწვდომობის აქტს და ნებისმიერ სკოლას რთავდა ნებას, თვითნებურად აეკრძალა სკოლის შენობით სარგებლობა მოსწავლეთა ყველა არაპრივილეგირებული კლუბისთვის მათი გამოხატვის შინაარსის გამო. სწორედ ამის აკრძალვას ისახავდა მიზნად კონგრესი თანაბარი ხელმისაწვდომობის აქტის მიღებით. ვესტსაიდში შეზღუდული ღია ფორუმის არსებობის გამო სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ აქტი კრძალავდა კლუბის დისკრიმინაციას რელიგიურ ნიადაგზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე უარყო სკოლის საბჭოს მტკიცება, რომ კანონი არღვევდა დანესების კლაუზულას. მისი აზრით, კანონზე „ნებისმიერი კონსტიტუციური თავდასხმა, პირველ რიგში, უნდა ეფუძნებოდეს განსხვავებას საშუალო სკოლის მოსწავლეებსა და უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის“. უზენაესმა სასამართლომ გამოითხოვა საქმე ქვემდგომი სასამართლოდან და ძალაში დატოვა მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება.

ვიდმარის საქმეში უზენაესმა სასამართლომ სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზეზით არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგულაცია, რომელიც სტუდენტებს უკრძალავდა უმაღლესი სასწავლებლის მომსახურებით სარგებლობას „რელიგიური მიზნებისთვის“. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „თანაბარი ხელმისაწვდომობის“ წესი არ არღვევდა დანესების კლაუზულას *ლემონის*<sup>263</sup> საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად. ამის მიუხედავად, უზენაესი სასამართლო მიუთითებდა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები სკოლის მოსწავლეებთან შედარებით ნაკლებად ექცევიან არასასურველი ზეგავლენის ქვეშ და უნდა შეეძლოთ რელიგიისადმი სახელმწიფოს ნეიტრალობის გაცნობიერება.

1984 წელს კონგრესმა ვიდმარის საქმეში მოყვანილი ეს არგუმენტი საჯარო საშუალო სკოლებზეც გაავრცელა.

სასამართლოს აზრით, თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი მაშინ წამოიჭრებოდა, თუ ვესტსაიდი ერთ ან რამდენიმე მოსწავლეთა არასაკურიკულუმო ჯგუფს მისცემდა სკოლაში შეკრების უფლებას. იმის გათვალისწინებით, რომ თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზანია ერთი მხრივ რელიგიური და პოლიტიკური, ხოლო მეორე მხრივ სხვა არასაკურიკულუმო კლუბების დისკრიმინაციის აღკვეთა, კანონი ეფუძნება იმ წინაპირობას, რომ რელიგიური ან პოლიტიკური კლუბი თავისთავად არ უნდა იყოს სასწავლო პროგრამაში ჩართული. აქედან გამომდინარეობს, რომ საკურიკულუმო ჯგუფს<sup>264</sup> უფრო მეტი შეხება უნდა ჰქონდეს სასწავლო პროგრამასთან, ვიდრე რელიგიურ ან პოლიტიკურ ჯგუფს.

კანონი, რომელმაც უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვა, როგორც წარმომადგენელთა პალატაში, ისე სენატში, გარკვეულ საკანონმდებლო კონსენსუსს გამოხატავს. იგი მიმართული უნდა ყოფილიყო საჯარო სკოლებში რელიგიური გამოხატვის ფართოდ გავრცელებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ. მისი ინიციატორები ვარაუდობდნენ, რომ კანონი უფრო მეტს შეძლებდა, ვიდრე სტატუს-კვოს აღიარება.

უზენაესი სასამართლოს აზრით, ტერმინი „მოსწავლეთა არასაკურიკულუმო ჯგუფი“ აღნიშნავს ისეთ სასკოლო ორგანიზაციას, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს სკოლის ძირითად სასწავლო კურსთან. ჯგუფს სასწავლო კურსთან პირდაპირი შეხება აქვს, თუ მისი საგანი ძირითადი კურსით ისწავლება; თუ ჯგუფში მონაწილეობას გარკვეული კურსი მოითხოვს; ან თუ ჯგუფში მონაწილეობისათვის მოსწავლეებს აკადემიური კრედიტი ენიჭებათ. სკოლაში ასეთი ჯგუფების არსებობა არ აღძრავს კანონისმიერ ვალდებულებებს.

მეორე მხრივ, თუ სკოლა ვერ ამტკიცებს, რომ რომელიმე ჯგუფი პირდაპირ უკავშირდება

კურიკულუმს, მაშინ იგი წარმოადგენს „არასაკურიკულუმო ჯგუფს“ თანაბარი ხელმისაწვდომობის აქტის მიზნებისთვის. მისი არსებობა კი „შეზღუდულ ღია ფორუმს“ ქმნის, რაც სკოლას ავალდებულებს ყველა ჯგუფისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს. თუ როგორი იქნება ესა თუ ის ჯგუფი, დამოკიდებულია შესაბამისი სკოლის სასწავლო პროგრამაზე, მაგრამ ასეთი გადანყვეტილებები სასამართლოს მხრიდან არსებითი შესწავლის საგანი გახდება.

აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ ვესტსაიდი რამდენიმე არასაკურიკულუმო ჯგუფს საშუალებას აძლევს, შეიკრიბოს სკოლის შენობაში არასასწავლო დროს. იმის გამო, რომ ვესტსაიდს აქვს შეზღუდული ღია ფორუმი, აქტის თანახმად მას ეკრძალება შეკრების მსურველ მოსწავლეთა ჯგუფების დისკრიმინაცია მათი გამოხატვის შინაარსის საფუძველზე.

კანონთან დაკავშირებით გასარკვევი რჩება მხოლოდ ერთი საკითხი: წარმოადგენს თუ არა სკოლის უარი რელიგიური ჯგუფის ფუნქციონირებაზე სკოლის ფარგლებში „შეზღუდულ ღია ფორუმზე თანაბარი ხელმისაწვდომობის“ უფლების ჩამორთმევას. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის შექმნის მსურველებს შეკრების საშუალება აქვთ გაკვეთილების შემდეგ, ისინი მოითხოვენ თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლისგან ოფიციალური აღიარების სახით. ოფიციალური ცნობა კლუბებს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეთა აქტივობების პროგრამაში და სხვა ღონისძიებებში. რადგან კანონი კრძალავს შეკრების მსურველი მოსწავლეებისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობაზე უარის თქმას შეკრების რელიგიური შინაარსის საფუძველზე, უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადანყვეტილება, რომ ვესტსაიდის უარი ქრისტიანული კლუბის ჩამოყალიბებაზე ართმევს მისი შექმნის ინიციატორებს თანაბარი ხელმისაწვდომობის კანონიერ უფლებას.

სასკოლო საბჭოს მტკიცებით, კლუბის ოფიციალური აღიარება გამოიწვევს კლუბის რელიგიური საქმიანობის ოფიციალურ სასკოლო პროგრამაში ჩართვას და, ამგვარად, ხელს შეუწყობს რელიგიურ კლუბში მონაწილეობასა და სხვა მოსწავლეების ამ სარწმუნოებაზე მოქცევას. მათი აზრით, კანონი პირდაპირ უწყობს ხელს რელიგიის გავრცელებას.

სასამართლო არ ეთანხმება ამ მოსაზრებას: პირველი, ის დიდ განსხვავებას ხედავს ხელისუფლების მიერ რელიგიის საჯარო მხარდაჭერას, რაც დაწესების კლაუზულით იკრძალება, და კერძო საუბარს შორის, რომელიც დაცულია სიტყვის თავისუფლებით. სასამართლო საშუალო სკოლის მოსწავლეებს საკმაოდ მონიფულუბად თვლის ამ განსხვავების დასაწახად.

მეორე, სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ კანონი ზღუდავს სკოლის ხელმძღვანელობის დასწრებას მოსწავლეების რელიგიური ჯგუფების შეკრებებზე და ადგენს, რომ ყველა ასეთი შეკრება არასასწავლო დროს უნდა ჩატარდეს. ამით მოსწავლეების მხრიდან მასწავლებლების მიზაძვით სავალდებულო დასწრების მოთხოვნის პრობლემის თავიდან არიდება ხდება.

მესამე, ვესტსაიდში არსებული ოფიციალური სამოსწავლო კლუბები და მათი ჩამოყალიბების ყველასათვის ხელმისაწვდომობა გამორიცხავს რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის ან რელიგიის ზოგადად ოფიციალურ მხარდაჭერას. ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ აქტის ძირითადი შედეგი, სულ მცირე მოცემულ შემთხვევაში მისი გამოყენებისას არ არის რელიგიის ხელშეწყობა. შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ გადანყვიტა, რომ თანაბარი ხელმისაწვდომობის აქტი არ არღვევდა დაწესების კლაუზულას.

*მოსამართლე მარშალის თანხვედრი აზრი*

მოსამართლე მარშალი აღნიშნავს, რომ ქრისტიანული კლუბის ჩართვა სკოლაში უკვე არსებულ ფორუმში არ უზრუნველყოფს ხელისუფლების ნეიტრალობას რელიგიის მიმართ.

მან ხაზგასმით მიუთითა სიტყვის თავისუფლებისა და დანესების კლაუზულის კონფლიქტზე, რასაც ვიდმარის საქმეში არ ჰქონია ადგილი. მარშალის აზრით, როდესაც სკოლა ვერ ახერხებს რელიგიური გამოხატვისგან განზე დგომას, ეს შესაძლოა მის მხარდაჭერაზე უფრო მიუთითებდეს, ვიდრე ასეთი გამოხატვისადმი ტოლერანტულ დამოკიდებულებაზე. მარშალი მიუთითებს სტუდენტური ფორუმის განსხვავებაზე ვიდმარში და ამ საქმეში. ვიდმარში სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობდა ფართოდ ხელმისაწვდომი და დამოუკიდებელი ფორუმი; უნივერსიტეტი ცდილობდა, მისი სახელი არ გაიგივებულიყო რომელიმე სტუდენტური ჯგუფის პოლიტიკასთან ან პროგრამასთან და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სტუდენტთა ავტონომიურობას. მოსამართლის აზრით, ვესტსაიდმა სათანადო ზომები უნდა მიიღოს ქრისტიანული კლუბის რელიგიური გამოხატვისგან და კლუბის მიზნების ხელშეწყობისგან თავის დასაღწევად.

#### *მოსამართლე სტივენსის განსხვავებული აზრი*

მოსამართლე სტივენსის აზრით, აქტის ქვემდებარე არ არის ამ საქმეში წარმოდგენილი ფაქტები, ამიტომ საჭიროდ არ თვლის რელიგიის დანესების პრინციპის დეტალურ განხილვას. ამის მიუხედავად, ის მაინც ამახვილებს ყურადღებას ამ საკითხის სირთულეზე, ვინაიდან აქტი შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს კლაუზულასთან, რადგან მოსწავლეებმა შესაძლოა არასწორად ჩათვალონ, რომ რელიგიური კლუბები სკოლის მხარდაჭერით სარგებლობს. სტივენსის აზრით, კანონის სასამართლო განმარტება მას ავალდებულებდა, პასუხი გაეცა კითხვაზე, არღვევს თუ არა აქტი დანესების კლაუზულას რელიგიური ორგანიზაციებისთვის საშუალო სკოლაში შეკრების უფლების მიცემით, მაშინაც კი, როცა სკოლის ადმინისტრაცია არაკეთილგონივრულად მიიჩნევს საექვო ორგანიზაციების დაშვებას. სტივენსი ასკვნის, რომ აქტის სასამართლო განმარტება იწვევს ფედერალური ხელისუფლების ჩარევას საჯარო სკოლების საქმიანობაში, ეს კი სკოლებს საკუთარი საგანმანათლებლო გარემოს ფორმირების უფლებამოსილებას წაართმევს. კონგრესმა არაერთგზის მიუთითა საჯარო განათლების ადგილობრივი მართვის უპირატესობაზე, ამგვარად, აქტის საკანონმდებლო ისტორია შეუსაბამოა „არასაკუთრიკულუმო ჯგუფების“ სასამართლოს მკაცრ დეფინიციასთან. მართლაც, ის, რომ თავად სტატუტში არ არის მოცემული შესაბამისი დეფინიცია, გვარწმუნებს, რომ ადგილობრივი მოხელეებისთვის ფართოდ დისკრეციის მინიჭება იყო განზრახული. მაშასადამე, არ არსებობს ამ დისკრეციის შეზღუდვის საფუძველი იმაზე მეტად, ვიდრე ამას ვიდმარის გადანყვეტილება მოითხოვს.

#### **ლოცვა გამოსაშვებ საღამოებსა და სპორტულ შეჯიბრებებზე**

**დიპლომის გადაცემის ცერემონია.** ჯეიმს გროსბერგი და საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის სხვა მოსწავლეები მშობლებთან ერთად მოითხოვდნენ, სასამართლოს აეკრძალა უფროსკლასელთა მიერ ხანმოკლე, ხმამაღალი ლოცვის წარმოთქმა გამოსაშვებ საღამოზე. ამ ცერემონიებზე დასწრება ნებაყოფლობითი იყო – მოსწავლეებს შეეძლოთ, დიპლომები ფოსტით მიეღოთ. საქმეში გროსბერგი დეუსებოის წინააღმდეგ<sup>265</sup> სასამართლომ უარი თქვა აკრძალვის დანესებაზე, რადგან ეს ღონისძიება, უმთავრესად, ჯილდოებისა და დიპლომების გადასაცემად ტარდებოდა. ყველა სხვა ფუნქცია სასამართლომ მეორეხარისხოვნად მიიჩნია და განაცხადა, რომ რელიგიის ნებისმიერი შეხება საზოგადოებრივ ცხოვრებასთან არ არღვევს დანესების კლაუზულას.

მრავალი წლის მანძილზე პროვიდენსის<sup>266</sup> საჯარო სკოლების ადმინისტრაციები გამოსაშვებ საღამოებზე ლოცვის ჩასატარებლად სასულიერო პირებს იწვევდნენ. ქვემოთ აღწერილ

საქმეში რობერტ ლიმ, საშუალო სკოლის დირექტორმა, ამ მიზნით რაბინი დავიდ გუტერმანი მოიწვია. ლიმ მას გადასცა ქრისტიანთა და ებრაელთა ეროვნული კონფერენციის მიერ მომზადებული ბროშურა, რომელიც შეიცავდა რჩევას, რომ დიპლომების გადაცემის სადამოუკუნო ნარმოთქმული ლოცვები სექტანტური ხასიათის არ ყოფილიყო. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე კენედისთვის აღნიშნული ფაქტი სახელმწიფოს მხრიდან ლოცვის შინაარსის გაკონტროლების მცდელობის მტკიცებულებას წარმოადგენდა. რაბინ გუტერმანის მიერ ცერემონიაზე ნარმოთქმული ლოცვა შემდეგი შინაარსის იყო: ის მადლობას სწირავდა ღმერთს ისეთ ქვეყანაში ცხოვრებისთვის, სადაც მრავალფეროვნება და უმცირესობების დაცვა უზრუნველყოფილია; ის ღმერთს შესთხოვდა, მისი შვილებისთვის და ამ ახალი კურსდამთავრებულებისთვის მიეცა ამერიკის შეერთებული შტატების გაძლიერებისა და დაცვის საშუალება; რაბინი მადლიერებას გამოხატავდა ამერიკაში პოლიტიკური პროცესის გამო, რომელშიც მონაწილეობის საშუალება ყველას ჰქონდა, აგრეთვე სასამართლო სისტემისთვის, სადაც თითოეულ მოქალაქეს შეეძლო სამართლის პოვნა; გუტერმანი ღმერთს ემადლიერებოდა კურსდამთავრებულთა მშობლების სახელით და სურვილს გამოთქვამდა, ახალგაზრდებს შეეგნოთ, რომ მხოლოდ აკადემიური ცოდნის მიღება არ იყო საკმარისი, და უფლის მოწოდებანიც უნდა დაეცვათ: ყოფილიყვნენ სამართლიანები, შემწყნარებლები, თავმდაბლები. სწორედ გუტერმანის ამ სიტყვებმა და ლის მიერ გადაცემულმა ბროშურამ გამოიწვია სასამართლოში აზრთა სხვადასხვაობა.

*ლი ვაისმანის წინააღმდეგ<sup>267</sup>*

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

როდ აიღენდის ქალაქ პროვიდენსის საჯარო სკოლების დირექტორებს უფლება აქვთ სკოლის ოფიციალურ გამოსაშვებ სადამოუკუნო ლოცვების ჩასატარებლად სასულიერო პირები მიიწვიონ. სასამართლომ უნდა დაადგინოს ამ პირების მიერ ნარმოთქმული ლოცვები შეესაბამება თუ არა პირველი შესწორების რელიგიურ კლაუზულებს და მე-14 შესწორების იმ დებულებებს, რომლებიც გამოიყენება შტატების და მათი სასკოლო ოლქების მიმართ.

პროვიდენსის სასკოლო სისტემაში საშუალო სკოლის დიპლომების გადაცემის ცერემონია სკოლიდან მოშორებით ეწყობა. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ცერემონიაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. დებორა ვაისმანის საქმეში სკოლის საბჭო ამტკიცებდა, რომ მსგავსი ხანმოკლე ლოცვები ამ ქვეყნის მრავალი მოსწავლისა და მათი მშობლებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ისინი ფიქრობენ, რომ ვალდებულები არიან ღვთისადმი ჯეროვანი პატივისცემა გამოხატონ თავიანთი ცხოვრების ასეთ მნიშვნელოვან მომენტში.

სასამართლოს მოსაზრებით, შტატი უშვებს რელიგიის ფორმალურ გამოხატვას საშუალო სკოლებში გამოსაშვებ სადამოუკუნოზე. სინამდვილეში, იმ მოსწავლეებისთვისაც, რომლებსაც ამის სურვილი არა აქვთ, რელიგიურ ღონისძიებაში მონაწილეობა ფაქტობრივად სავალდებულოა, იმის მიუხედავად, რომ სკოლა დიპლომის მიღებისთვის ცერემონიაზე დასწრებას არ მოითხოვს.

ამ საქმეში სასამართლო საჭიროდ არ თვლის, დაუბრუნდეს იმ რთულ საკითხებს, რომლებიც ადრეც იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას, პრინციპებს, რომლებიც ეხებოდა სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური საქმიანობის ხელშეწყობის დასაშვებ დონეს. ამ პრინციპების სხვა კონტექსტებში განხილვის გარეშე, არსებული პრეცედენტები დანყებით და საშუალო სკოლებში რელიგიურ მსახურებასთან დაკავშირებით, განაპირობებს ქალაქ პროვიდენსის პოლიტიკის არაკონსტიტუციურად მიჩნევას. სასამართლო შესაძლებლად თვლის ამ საქმეში გადაწყვეტილების მიღებას ზოგადი კონსტიტუციური ჩარჩოს განხილვის გარეშე, რომლითაც იზომება

საჯარო სკოლების მხრიდან რელიგიის ხელშეწყობა. სახელმწიფოს კავშირი ამ შემთხვევაში აჭარბებს დასაშვებ ზღვარს და ქმნის საჯარო სკოლაში სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილი და მის მიერვე წარმართული რელიგიური მსახურების არსებობის საფუძველს. რელიგიის ოფიციალური გამოხატვა ენინააღმდეგება მოსწავლეების ლოცვასთან დაკავშირებით დამკვიდრებულ წესებს. სასამართლოს მოსაზრებით ეს არგუმენტი საკმარისია მის წინაშე მდგარი საკითხის გადასაწყვეტად.

პრინციპი, რომლის მიხედვითაც ხელისუფლებას შეუძლია რელიგიის გამოხატვის ადაპტაცია მოახდინოს, არ ცვლის დაწესების კლაუზულით დადგენილ შეზღუდვებს. როგორც მინიმუმ, კონსტიტუციის თანახმად, დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან ვინმეს იძულება, მონაწილეობა მიიღოს რელიგიის მხარდაჭერასა და მის გამოხატვაში. სახელმწიფოს ასევე არა აქვს რელიგიის დაწესების მცდელობის უფლება. ამ საქმეში გასაჩივრებული სახელმწიფოს მონაწილეობა სასკოლო ლოცვაში არღვევს ზემოხსენებულ პრინციპებს.

გადაწყვეტილება რელიგიური მსახურების ჩატარებაზე სკოლის დირექტორმა მიიღო. ეს ის არჩევანია, რომელიც სახელმწიფოს მიენერება და კონსტიტუციური თვალსაზრისით იგივეა, რომ სახელმწიფო კანონს დაენესებინა კურსდამთავრებულთა ლოცვებში სავალდებულო მონაწილეობა. აგრეთვე სახელმწიფოს გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს რაბინის მოწვევა. ასეთი არჩევანის მიზეზი სამართალწარმოების პროცესში არ არის დადგენილი, თუმცა, სასამართლოს აზრით, ამასთან დაკავშირებით უთანხმოების წარმოქმნის პოტენციალი აშკარაა.

უთანხმოება, რასაკვირველია, შესაძლოა ახლდეს რელიგიასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სახელმწიფო გადაწყვეტილებას, თუმცა არც მისი არსებობა და არც მისი წარმოქმნის მაღალი პოტენციალი თავისთავად არ გულისხმობს სახელმწიფოს ყველა მცდელობის არაკონსტიტუციურობას, მოახდინოს რელიგიის ადაპტაცია. უთანხმოების საკითხი მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც საქმე გვაქვს ღია რელიგიურ გამოხატვასთან საშუალო სკოლაში, სადაც რეალურად ადგილი აქვს ზენოლას და სადაც მოსწავლეებს ცერემონიაში მონაწილეობის გარდა სხვა არჩევანი არა აქვთ.

სახელმწიფოს როლი არ მთავრდება ლოცვის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით და სასულიერო პირის შერჩევით. დირექტორმა ღია რაბინ გუტერმანს გადასცა „ინსტრუქცია სამოქალაქო ღონისძიებებისთვის“ და ურჩია, რომ მისი ქადაგება არასექტანტური ყოფილიყო. ამ გზით დირექტორმა ლოცვის შინაარსის გაკონტროლება მოახდინა. დაწესების კლაუზულის მიხედვით, ამერიკელი ხალხისთვის ოფიციალური ლოცვების შედგენა არ არის სახელმწიფოს საქმე. სწორედ ამის გაკეთებას შეეცადა სკოლის დირექტორი.

სასამართლო სამართლიანად თვლის არგუმენტს იმის შესახებ, რომ სკოლა შეეცადა, ცერემონიაზე არ დაეშვა სექტანტურობა – ხშირად რელიგიური შუღლის წარმოქმნის საფუძველი. სკოლის პოზიცია გასაგებია, რადგან რომელიმე ცალკეული რელიგიის იდეების ქადაგებამ შეიძლება ახალ რელიგიურ მეთოქეობას შეუქმნას ნიადაგი. თუმცა ამგვარი ახსნა მანაც არ წყვეტს სკოლის მონაწილეობის დილემას: რამდენად კანონიერია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეები ვალდებულები არიან, დაესწრონ რელიგიური რიტუალის შემცველ ღონისძიებას.

პირველი შესწორების რელიგიური კლაუზულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ რელიგიის გამოხატვის მაღალი ღირებულების გამო ის არ შეიძლება ნაკარნახევი ან აკრძალული იყოს სახელმწიფოს მიერ. რელიგიური მსახურება პირადი ცხოვრების ნაწილია, რომელიც კონსტიტუციის თანახმად ხელშეუხებელია. ყალბი იდეების ან შეურაცხყოფელი შინაარსის შემცველი სიტყვის მოთმენას კანონიერი გზით მისთვის წინააღმდეგობის გაწევას ითვალისწინებს პლურალისტური საზოგადოების ცხოვრების წესი, თუმცა ტოლერანტობის იდეა ორმხრივ ვალდებულებას წარმოშობს. მომჩივანთა მტკიცებით, თავისუფალ საზოგადოებაზე



უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური ხედვა მოითხოვს ნდობას მის შესაძლებლობაში აღიაროს ან უარყოს ის იდეები, რომლებსაც არ ეთანხმება, ხოლო საშუალო სკოლის გამო-საშვებ სადამოზე ლოცვა სხვა არაფერია, თუ არა არჩევანის თავისუფლება. საშუალო სკოლის მოსწავლეებს აუცილებლად მოეთხოვებათ გაკვეთილებზე და შეკრებებზე დასწრება, ისეთი დავალებების შესრულება, რომლებიც მათ მიუღებელ იდეებს აღუძრავს. მოსწავლეებმა შესაძ-ლოა უსამართლობად ჩათვალონ, რომ მათ არარელიგიური იდეების სანაცვლოდ შემოთა-ვაზებულ ფორმალურ ლოცვასაც ართმევენ. თუმცა შეუძლებელია ამ არგუმენტის გაზიარება, რადგან ის უგულებელყოფს კონსტიტუციის პირველი შესწორების სულისკვეთებას.

პირველი შესწორება სიტყვისა და რელიგიის თავისუფლებას სხვადასხვა მექანიზმით იცავს. სიტყვის თავისუფლება დაცულია მისი გამოხატვის თითქმის აბსოლუტური გარანტი-ით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მონაწილეობას აქვს ადგილი. რწმენის თავისუფლების დამცავი მეთოდი მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოთქმულისგან. რელი-გიურ დისკუსიაში სახელმწიფო პირდაპირ არ მონაწილეობს, რადგან კონსტიტუციის ავტო-რები რელიგიის დანესებას განიხილავდნენ როგორც ყოველგვარი თავისუფლების სანინააღ-მდეგო მოვლენას. აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა გულისხმობს სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, რომელიც ახლოსაა პირველი შესწორების სიტყვის თავი-სუფლების კლაუზულებთან. დანესების კლაუზულა კი არის რელიგიურ საკითხებში სახელმ-წიფოს ჩარევის განსაკუთრებული აკრძალვა. სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციური დე-ბულებები არ შეიცავს მსგავს შეზღუდვებს. ის, რაც სახელმწიფოს ხელში შეიძლება დაინ-ყოს, როგორც რელიგიური შეხედულებების გამოხატვისადმი ტოლერანტული დამოკიდებუ-ლება, შესაძლოა იძულებისა და ინდოქტრინაციის პოლიტიკით დასრულდეს. ამდენად, სახელ-მწიფოს მიერ შექმნილი ორთოდოქსულობა სინდისისა და რწმენის თავისუფლებას დიდი რისკის წინაშე აყენებს.

უდავოა, რომ სასკოლო ოლქის ზედამხედველობა საშუალო სკოლის გამოსაშვებ სადამოზე წარმოქმნის საზოგადოებრივ ზენოლას იმ დამსწრე მოსწავლეებზეც, რომლებიც იძულებუ-ლები არიან ფეხზე წამოდგნენ ან სიჩუმე დაიცვან ლოცვის დროს. ამგვარი ზენოლა, არაპირ-დაპირი ფორმის მიუხედავად, შეიძლება ღია იძულების მსგავსად რეალური იყოს. ამერიკული კულტურისთვის სიჩუმის დაცვა შეიძლება მხოლოდ გამოთქმული მოსაზრების გაზიარებაზე ან სხვისი შეხედულებების პატივისცემაზე მიუთითებდეს. მათთვის ვისაც არ სურს ლოცვაში მონაწილეობის მიღება პროტესტის გრძობას იწვევს დგომა სხვათა სურვილის პატივისცემის ნიშნად. ასევე უფროსკლასელებიც, რომლებსაც სახელმწიფოს ძალდატანებით საკუთარი რწმენის სანინააღმდეგოდ ლოცვის სრულიად გონივრული განცდა აქვთ, არანაკლებ ზარალ-დებიან.

აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ კონსტიტუციური დარღ-ვევების არარსებობის დადგენის შემთხვევაში, ლოცვის მოწინააღმდეგეები აღმოჩნდებიან დილემის წინაშე, მონაწილეობა მიიღონ ცერემონიაში თუ პროტესტი განაცხადონ. სასამარ-თლო თვლის, რომ სახელმწიფოს, დანესების კლაუზულის თანახმად, არ შეუძლია დანყებით და საშუალო სკოლის მოსწავლეები ამ არჩევანის წინაშე დააყენოს. ფსიქოლოგიური გამოკ-ვლევები ცხადყოფს, რომ მოზარდები თანატოლებისგან კონფორმიზმისკენ მოწოდების მი-მართ მგრძობიარენი არიან და ეს ზეგავლენა საზოგადოებრივი შეკრებებისას განსაკუთრე-ბით მძაფრდება.

სასამართლოს მიაჩნია, რომ თანამედროვე ამერიკული საზოგადოება გულწრფელად დაინტერესებულია ახალგაზრდების ბედით. ის აცნობიერებს ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრის შეხედულებას, რომ მოსწავლეთა ცხოვრებაში გარკვეული ადგილი უნდა ეჭიროს მორალურ



პრინციპებს. საზოგადოებრივი ცხოვრებიდან რელიგიის გამოთიშვის ყოველგვარი მცდელობა კონსტიტუციასთან შეუსაბამოა. სასამართლო აღიარებს, რომ როგორც საგანმანათლებლო პროცესის მანძილზე ისე სკოლის დასრულებისას იქნება ისეთი შემთხვევები, როცა რელიგიური ღირებულებები და რელიგიური ადამიანები ურთიერთქმედებაში შევლენ საჯარო სკოლებთან და მათ მოსწავლეებთან. მაგრამ მსგავსი, ძირითადად რელიგიის ადაპტაციასთან დაკავშირებული საკითხები, არ დგას სასამართლოს წინაშე მოცემულ საქმეში. კითხვა, რომელზეც სასამართლომ უნდა გასცეს პასუხი მდგომარეობს შემდეგში – უნდა ტარდებოდეს თუ არა გამოსაშვებ საღამოზე რელიგიური რიტუალი, რომელზეც ზოგიერთ მოსწავლეს თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ უნევს დასწრება. სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს სკოლის მიერ მოსწავლეების დარწმუნებას ან იძულებას მონაწილეობა მიიღონ რელიგიურ მსახურებაში. ამ საქმეში სწორედ ასეთი შემთხვევაა წარმოდგენილი და ის პირველი შესწორების დანესების კლაუზულას არღვევს.

უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

*მოსამართლე ბლეკმუნის თანმხვედრი აზრი,*

*რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები სტივენსი და ო'კონორი:*

სასამართლო ასკვნის, რომ ლოცვა გამოსაშვებ საღამოზე არაკონსტიტუციურია, რადგან სახელმწიფო მოითხოვს ამ რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობას. სასამართლო პრეცედენტები გვიჩვენებს, რომ პირველი შესწორების დარღვევის დამტკიცებისთვის აუცილებელი არ არის სახელმწიფოს მხრიდან იძულების ფაქტის დადასტურება. რელიგიურ ცერემონიაში მონაწილეობისკენ მიმართული სახელმწიფოს ზეწოლა აშკარად მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის ხელშეწყობ ქცევაზე. არც რაიმე სახის ძალდატანებისგან თავის შეკავებაა საკმარისი კონსტიტუციური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სახელმწიფომ უარი უნდა განაცხადოს რელიგიურ საქმიანობაში ნებისმიერი სახის მონაწილეობაზე. დანესების კლაუზულა საჯარო სკოლებს უკრძალავს რომელიმე რელიგიის პრივილეგირებულად გამოცხადებას მაშინაც კი, როცა სკოლა მოსწავლეებს არ აიძულებს რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობას.

უდავოა, რომ სახელმწიფოს მიერ იძულების გზით რელიგიის მხარდაჭერის ყოველი მცდელობა საფრთხეს უქმნის სინდისის თავისუფლებას. უმნიშვნელო ზეწოლაც კი ხელყოფს თითოეული ადამიანის უფლებას, საკუთარი სურვილით იწამოს. სწორედ ამიტომ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით გასცდა იძულების აკრძალვას და აღიარა, რომ რელიგიის სრული თავისუფლება გაცილებით მეტია ვიდრე თავისუფლება იძულებისგან.

*მოსამართლე სოუტერის თანმხვედრი აზრი:*

მოსამართლე სოუტერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დანესების კლაუზულა შეეხება სახელმწიფოს იმ ქმედებებს, რომლებიც არ გამოარჩევს არც ერთ რელიგიას ან დენომინაციას და რომ სახელმწიფო იძულება რელიგიური კონფორმიზმისკენ არ არის დანესების კლაუზულის დარღვევის აუცილებელი შემადგენელი ელემენტი.

დანესების კლაუზულის საფუძველზე ზოგიერთი მოითხოვს რელიგიის „არაპრიორიტეტული“ ხელშეწყობის დაშვებას. მათი მტკიცებით, დანესების კლაუზულის ავტორები ხელისუფლებისგან არ მოითხოვდნენ ნეიტრალური პოზიციის დაკავებას რელიგიურობასა და ურწმუნოებას შორის; არც ფედერალურ მთავრობას უკრძალავდნენ რელიგიის არადისკრიმინაციულ ხელშეწყობას.

მოსამართლე სოუტერი იხსენებს დანესების კლაუზულის შექმნისას არსებულ პირობებს. „უფლებათა ბილზე“ სენატის მიერ განეული ძირითადი სამუშაოს მხედველობაში მიღების

მიუხედავად, წარმომადგენელთა პალატამ უარყო დაწესების კლაუზულის სენატისეული ვერსია. საბოლოო ჯამში შეთანხმება მიღწეული იქნა შემდეგ ფორმულირებაზე: „კონგრესი არ მიიღებს კანონს, რომელიც დაანებს რელიგიას ან შეზღუდავს აღმსარებლობის თავისუფლებას“. კლაუზულის ავტორები არ გულისხმობდნენ მხოლოდ ისეთი კანონების აკრძალვას, რომლებიც რელიგიას ან რომელიმე სექტას თუ რწმენას დაანებს. მათ შეგნებულად უარყვეს ასეთი ვიწრო მიდგომა და კონსტიტუციური აკრძალვა გაავრცელეს ზოგადად რელიგიის მხარდაჭერაზე.

დირექტორ ლის არგუმენტი ეფუძნება მოსაზრებას, რომ, იძლევა თუ არა დაწესების კლაუზულა რელიგიის მრავალმხრივი, არასექტანტური მხარდაჭერის უფლებას, ის სახელმწიფოს მანძი არ უკრძალავს, დააფინანსოს რწმენის გამოხატულება, რომელიც არავის აიძულებს რელიგიის ხელშეწყობასა თუ რელიგიურ რიტუალში მონაწილეობას. სასამართლო მხედველობაში იღებს ზოგიერთ ამ არგუმენტს, მაგრამ ფიქრობს, რომ მათი სრული აღიარება დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის უარყოფის ტოლფასია.

წლების განმავლობაში უზენაესმა სასამართლომ ძალადაკარგულად გამოაცხადა მრავალი კანონი, რომელიც რელიგიის მხარდაჭერის „მესიჯს“ შეიცავდა. შესაძლოა სასამართლო პრეცედენტები ყოველთვის მკაფიოდ არ გამოხატავდა ერთიან პოზიციას, თუმცა ისინი არავითარ შემთხვევაში არ გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ დაწესების კლაუზულის დარღვევის მოტივით წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილებისათვის იძულების მტკიცებულება აუცილებელია.

დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ცერემონიაში ლოცვის ჩართვა განპირობებული იყო ზოგიერთი ადამიანის სურვილით, ხელისუფლებას სიმბოლურად გამოეხატა მათი რელიგიისადმი კეთილგანწყობა. ამასთან, ეს ადამიანები სრულებით არ ითვალისწინებენ რელიგიური უმცირესობების ინტერესებს.

სკოლამ შეიძლება განაცხადოს, რომ გამოსაშვებ საღამოზე ლოცვა არაფრით განსხვავდება პრეზიდენტის რელიგიური მიმართებებისგან ან რელიგიის სხვა ოფიციალური „აღიარებისგან“. თუმცა ეს მიმართებები პერსონალურად არავისთვისაა გამოზნული. როდესაც საჯარო სკოლის ხელმძღვანელები, სახელმწიფო უფლებამოსილებით აღჭურვილნი, თავიანთი მონაწილეების წინაშე რელიგიის მხარდაჭერის დემონსტრირებას ახდენენ, ისინი ხელყოფენ დაწესების კლაუზულის არსს. მათი ქცევა არაკონსტიტუციურია.

#### *მოსამართლე სკალიას განსხვავებული აზრი*

მოსამართლე სკალია ადრეც გამოთქვამდა აზრს, რომ დაწესების კლაუზულის განხილვა უნდა მოხდეს რელიგიის ადაპტაციის, წახალისებისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის ჩრჩილში, რაც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობის აღიარებული ნაწილია. ეს კი გულისხმობს, რომ კლაუზულის განმარტება ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. სასამართლოს გადანყვეტილება, სკალიას აზრით, მოკლებულია ისტორიულ საფუძველს. სასამართლოს გადანყვეტილება, რომელიც სკოლის გამოსაშვებ საღამოზე ლოცვის აკრძალვას დაწესების კლაუზულას მიაწერს, არღვევს სახალხო დღესასწაულებზე ლოცვის უძველეს ამერიკულ ტრადიციას. სასამართლო გვთავაზობს უსაზღვროდ მანიპულირებად ფსიქოლოგიური ზეწოლის ტესტს, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამერიკელი ერის დაცვის გარანტია – მისი კონსტიტუცია – არ შეიძლება ეყრდნობოდეს ამ სასამართლოს მოსამართლეთა ცვალებად ფილოსოფიურ შეხედულებებს სამართლიანობის თაობაზე, არამედ სახალხო ტრადიციის მყარი საფუძველი უნდა ჰქონდეს.

ამერიკელი ხალხის ისტორია მდიდარია საზოგადოებრივი ცერემონიებით, რომლებიც შეიცავს მადლიერებისა და წყალობის თხოვნის გამომხატველ ლოცვებს. ლოცვები აგრეთვე

ოდითგანვე შეადგენდა სახელმწიფო ცერემონიების მნიშვნელოვან ნაწილს. საზოგადოებრივ ღონისძიებებზე ლოცვის წესი ფედერალური ხელისუფლების შტოებში დიდი ხანია არსებობს. გარდა ამისა, დამკვიდრებულია საჯარო სკოლების გამოსაშვებ საღამოებზე ლოცვის განსაკუთრებული ტრადიცია.

სასამართლოს მოსაზრების სიმცდარე არ მდგომარეობს მის არასწორ პასუხში კითხვაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ ზენოლას; სასამართლოს მთავარი შეცდომა მის მიერ დაწესების კლაუზულის არსის დამახინჯებაა. ისტორიულად რელიგიის დაწესებისათვის დამახასიათებელი იძულება მდგომარეობდა რელიგიური ორთოდოქსიის მხრიდან ძალდატანებაში, კანონის ძალით მისთვის ფინანსური დახმარების განეცხადება და სასჯელის დაკისრების მუქარაში. ასევე სავალდებულო იყო სახელმწიფო ეკლესიაში სიარული; რიტუალების ჩატარების უფლება მხოლოდ ოფიციალური ეკლესიის სასულიერო პირს ჰქონდა.

დაწესების კლაუზულა შემოღებული იყო სწორედ რელიგიის ამგვარი დაწესების ასაკრძალად ფედერალურ დონეზე. მცდარია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ოფიციალურად მხარდაჭერილი არასექტანტური ლოცვა, რომელიც რაბინმა გუტერმანმა წაიკითხა, არღვევდა შეერთებული შტატების კონსტიტუციას. კონსტიტუციის ავტორები ნამდვილად ეწინააღმდეგებოდნენ ფედერალური მთავრობის მხრიდან რელიგიურ ზენოლას; მაგრამ, როგორც ფედერალური ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივ ღონისძიებებზე არასექტანტური ლოცვის წახალისებაც გვიჩვენებს, მათ გააზრებული ჰქონდათ „სიტყვის არაიძულებითი ხასიათი“, მსმენელი სრული თავისუფლებით სარგებლობდა.

რაც შეეხება გამოსაშვებ საღამოზე ნებაყოფლობითი დასწრების საკითხს, მოსამართლე სკალიას აზრით, არაფერი მეტყველებს არდასწრების შემთხვევაში მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური სასჯელის გამოყენების შესაძლებლობაზე. ამ შემთხვევაში ბარნეტის<sup>268</sup> საქმის დამონშება, სადაც მოსწავლეებს მოეთხოვებოდათ ერთგულების ფიცის დადება, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი სკოლიდან გარიცხვა და დანაშაულისკენ მიდრეკილ არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება ემუქრებოდათ, არამართებულია და ფაქტებს სწორად არ ასახავს.

მოსამართლე სკალია ფიქრობს, რომ სასამართლომ გადაუხვია რელიგიურ კლაუზულათა იურისპრუდენციის კურსს ისეთ შაბლონურ პრინციპებზე დაყრდნობით, რომლებიც ეწინააღმდეგება წლების განმავლობაში დამკვიდრებულ კონსტიტუციურ ტრადიციებს. მათ შორისაა ე. წ. ლემონის ტესტი, რომელსაც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა უზენაესი სასამართლოს არაერთი წევრი. სასამართლო აჩვენებს ლემონის საქმის არარელევანტურობას და მისი უარყოფა შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოს სხვაგვარად უსუსური გადაწყვეტილების ერთადერთ ნათელ წერტილად. სამწუხაროდ, ის ლემონს საკუთარი ფსიქოლოგიური იძულების ტესტით ანაცვლებს. ეს ტესტი ორმაგად უსარგებლოა, რამდენადაც არ ეფუძნება ამერიკელი ხალხის ისტორიულ გამოცდილებას და უკიდურეს განზოგადებას ექვემდებარება, როგორც თავად ფსიქოთერაპიის მიზეზები...

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხი ასეთი რთული არ იქნებოდა, რელიგია მხოლოდ პირადი ცხოვრების ნაწილს რომ წარმოადგენდეს. მრავალი მორწმუნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ღმერთს კურთხევა შესთხოვოს, სხვებთან ერთად და არა როგორც ცალკეულმა ადამიანმა. მათთვის ღმერთი „უზენაესი ძალა და ერთა მმართველია“. შეიძლება გვჯეროდეს ან არა საჯარო ღვთისმსახურების მნიშვნელობის, მაგრამ ოფიციალურ ცერემონიებზე ლოცვის უძველესი ამერიკული ტრადიცია ცხადყოფს, რომ დაწესების კლაუზულა სახელმწიფოს ხელს არ უშლის მის ადაპტაციაში.

მოსამართლე სკალია ფიქრობს, რომ რესპუბლიკის დამაარსებლებმა კარგად უწყოდნენ

სექტანტური რელიგიური რწმენის საფუძველზე სამოქალაქო დაპირისპირების წარმოშობის საშიშროების შესახებ. მათ აგრეთვე იცოდნენ, რომ არაფერი ისე არ უწყობს ხელს სხვადასხვა რწმენის ადამიანების შემწყნარებლობას ერთმანეთისადმი, როგორც ნებაყოფლობით ერთობლივი ლოცვა. რა თქმა უნდა, არავინ შეიძლება აიძულო, ასე მოიქცეს, თუმცა ასევე დაუშვებელია ერთობლივი ლოცვის განხორციელების უფლების ჩამორთმევა ადამიანებისათვის. ბაპტისტი თუ კათოლიკე, რომელიც რაბინ გუტერმანის ლოცვას შეუერთდა ამ ოფიციალურ პატრიოტულ ღონისძიებაზე, თავისუფალი იყო რელიგიური ფანატიზმისგან. უსამართლობა საზოგადოების დატოვება ასეთი მნიშვნელოვანი გამაერთიანებელი მექანიზმის გარეშე მხოლოდ იმიტომ, რომ არამორწმუნე არ შენუხდეს სხვა მორწმუნეებისადმი პატივისცემის ნიშნად ფეხზე დგომით ან თუნდაც ჯდომით გამოწვეული უმნიშვნელო უხერხულობისგან. აქედან გამომდინარე, მოსამართლე სკალია არასწორად მიიჩნევს სასამართლოს გადანყვეტილებას.

**სტუდენტების მიერ სპორტულ შეჯიბრებებზე ჩატარებული ლოცვა.** საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის გამოსაშვებ საღამოზე ლოცვის ნებართვა ზოგიერთისთვის ნიშნავდა, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ შეერჩიათ თავიანთი წარმომადგენელი, რომელიც გამამხნეებელ სიტყვას წარმოთქვამდა „მათი ცხოვრების მთავარი მოვლენის“ – პარასკეე საღამოს გასამართი საფეხბურთო შეჯიბრის წინაშე. ერთ სასკოლო ოლქში არჩეული მოსწავლე ყოველი თამაშის წინ საჯარო მიმართვის გზით წარმოთქვამდა ლოცვას მთელი სეზონის განმავლობაში. ბავშვების მშობლებმა, რომელთაგან ერთი კათოლიკე იყო, მეორე კი მორმონი, აღნიშნული პრაქტიკა გაასაჩივრეს საოლქო სასამართლოში, როგორც არდანესების კლაუზულის დარღვევა. სასამართლო სამართალწარმოების პროცესში სასკოლო ოლქმა შეცვალა თავისი წესები და მოსწავლეების მიერ ლოცვის ჩატარება ყველა საშინაო თამაშის წინ დასაშვებად, მაგრამ არასავალდებულოდ გამოაცხადა. საოლქო სასამართლომ მხარი დაუჭირა ამ ახალ წესს, მაგრამ გამოსცა ბრძანება, რომელიც ნებადართულად აცხადებდა მხოლოდ „არასექტანტურ, არაპროზელიტურ ლოცვას“. სააპელაციო სასამართლომ ეს გადანყვეტილება გააუქმა და საფეხბურთო მატჩის წინ ლოცვის წესი არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

*სანტა-ფეს დამოუკიდებელი სასკოლო ოლქი ჯეინ დოუს წინააღმდეგ<sup>269</sup>*

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ამ საქმეში სასკოლო ოლქი ხელისუფლების მხრიდან რელიგიის მხარდამჭერი გამოხატვის (რომელიც დაწესების კლაუზულით იკრძალება) მკვეთრ გამიჯვნას მოითხოვს იმავე შინაარსის კერძო გამოხატვისგან, რომელიც დაცულია სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლებათა კლაუზულებით. სასკოლო ოლქის მტკიცებით, ამ საქმეში წარმოდგენილი გამოხატვა კერძო ხასიათისაა და არა საჯარო. ამგვარი ლოცვა ნებადართულია ხელისუფლების პოლიტიკით და იგი ხორციელდება სახელმწიფო საკუთრების ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სასკოლო ღონისძიებაზე. ასეთ პირობებში გავრცელებული ყველა სახის მიმართვა არ მომდინარეობს ხელისუფლებისგან, თამაშის წინა ცერემონია არ არის სახელმწიფოს მიერ შექმნილი ფორუმი და მასში ცალკეული პირების მონაწილეობა არ წარმოადგენს სახელმწიფოს პოზიციას. სკოლის ხელმძღვანელობას არც დადგენილი წესებით და არც თავისი საქმიანობით არ გამოუხატავს თამაშის გახსნის ცერემონიის უნესრიგო გამოყენების განზრახვა მოსწავლეთა საბჭოს მხრიდან. პირიქით, სკოლა მხოლოდ ერთ მოსწავლეს აძლევს ნებას, ჩაატაროს ლოცვები მთელი სეზონის მანძილზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოსწავლეთა საბჭოს კაპელანის არჩევნები არ ასწორებდა ამ წესის კონსტიტუციურ ნაკლოვანებებს. არჩევნები არ იცავს უმცირესობაში მყოფი მოსწავლეების შეხედულებებს და მათ უმრავლესობის ლობიერების ამარა ტოვებს. ფუნდამენტური

უფლებები არ შეიძლება დამოკიდებული იყოს არჩევნების შედეგებზე, ამდენად, ოლქის არჩევნები ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა მრავალფეროვანი გამოხატვის არსებობას. სანტა-ფეს არჩევნებმა შეიძლება უზრუნველყოს მოსწავლეთა უმრავლესობის ჩართულობა, მაგრამ ის ვერაფრით იცავს უმცირესობას და მათი ინტერესების იგნორირების ნახალისებას ახდენს.

სასკოლო ოლქმა აგრეთვე ვერ მოახერხა თავი აერიდებინა თამაშის გახსნის ცერემონიის რელიგიური შინაარსისთვის. ოლქი საკუთარ წესებს მიიჩნევდა უფრო ნეიტრალურად, ვიდრე წამახალისებლად. სინამდვილეში კი აშკარაა, რომ მისი წესები რელიგიის როგორც აღქმად, ისე ფაქტობრივ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. ამ საქმეში „სკოლის მონაწილეობის ხარისხი“ სასამართლოსთვის ნათელს ხდის თამაშის წინა ლოცვაზე სახელმწიფოს გავლენას და სკოლის იმ მოსწავლეების წამგებიან მდგომარეობას, რომლებიც ამასთან დაკავშირებით პროტესტს გამოთქვამენ.

მართალია, მომხსენებლის სიტყვის შინაარსი მის არჩევასთან ერთად არ განისაზღვრება, მაგრამ სკოლის წესების მიხედვით, ლოცვის შინაარსი შემდეგ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს: ღონისძიების საზეიმოდ ჩატარებას, პატიოსანი სპორტული ქცევის პროპაგანდას და შეჯიბრისთვის სათანადო გარემოს შექმნას.

სკოლა, გარდა მომხსენებლის არჩევისა თავისი წესებით რელიგიური მიმართვების მხარდაჭერასა და სტიმულირებას ახდენს და ამას „ღონისძიების საზეიმოდ აღნიშვნის“ მიზნით ამართლებს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის წესებით, გამოკვეთილად მხოლოდ „უფლის წყალობის თხოვნა“ დაშვებული, სანტა-ფეს საშუალო სკოლაში ჩატარებული ლოცვა ყოველთვის რელიგიური „მესიჯის“ გავრცელებაზე იყო ორიენტირებული. ამგვარად, სკოლის პოლიტიკის გამოკვეთილი მიზნები ხელს უწყობს რელიგიური „შეტყობინების“ გავრცელებას და სწორედ ასე ესმით სკოლის წესები მოსწავლეებს.

აქედან გამომდინარე, არჩევნების წინ მოსწავლეების წინაშე მდგარი მთავარი კითხვა ეხებოდა იმას, შეიძლება თუ არა ლოცვა შეადგენდეს თამაშის წინა ცერემონიის ნაწილს. სასამართლო აღიარებს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც საჯარო ღვთისმსახურება ასრულებს მრავალ საზოგადოებაში; აგრეთვე სურვილის გულწრფელობას, რომ საჯარო მსახურება მრავალი ღონისძიების შემადგენელი ნაწილი იყოს, რაც მათ მნიშვნელობას გაუსვამს ხაზს, მაგრამ მსგავსი რელიგიური ტიპის ქცევა საჯარო სკოლებში და სხვაგან აუცილებლად პირველ შესწორებას უნდა შეესაბამებოდეს.

#### *სასამართლოს თავმჯდომარე რენკვისტის განსხვავებული აზრი*

მოსამართლე რენკვისტი ფიქრობს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესების კლაუზულის საფუძველზე სასკოლო ოლქის მოსწავლეთა მიმართვის პროგრამის არაკონსტიტუციურად გამოცხადება, ამახინჯებს დამკვიდრებულ პრაქტიკას. განსაკუთრებით გამაღიზიანებელია სასამართლოს აგრესიული ტონი, რომელიც მტრულად ეკიდება ყოველივე რელიგიურს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არც სასამართლოს გადაწყვეტილება და არც მისი გამომხატველი ტონი არ ასახავს დაწესების კლაუზულის არსს.

სასამართლოს დასკვნის მხოლოდ ბოლოსაა ნათქვამი, რომ გასაჩივრებული სკოლის მოსწავლეთა მიმართვის პროგრამის განხორციელება შეცვლილი წესების საფუძველზე ჯერ არ დაწყებულა. მაშასადამე კითხვა იბადება არა სკოლის წესების დაწესების კლაუზულასთან შესაბამისობის, არამედ ამ წესებით კონსტიტუციის მომავალი გარდაუვალი დარღვევის შესახებ.

წინასწარმეტყველების სფეროში გადავარდნილი სასამართლო „გარდაუვალი“ შედეგის დადგომამდე წყვეტს მისი კონსტიტუციურობის საკითხს. ამისთვის სასამართლო მიმართავს კრიტიკის ქარცეცხლში გამოვლილი ლემონის ტესტის ყველაზე უხემ ვერსიას.

სასამართლო არასწორად განმარტავს არჩევნებს. სანტა-ფეს სკოლის არჩევნები ორ-საფეხურიანია: პირველ ეტაპზე მოსწავლეები გადაწყვეტილებას იღებენ იმის თაობაზე, უნდა ჰყავდეთ თუ არა მომხსენებელი საფეხბურთო მატჩის წინ, ხოლო მეორე ეტაპზე ირჩევენ მას.

ნებისმიერი შინაარსის გამოხატვა, რომელიც ამ არჩევნების შედეგია, კერძო ხასიათს ატარებს, რადგან მოსწავლეები თავად წყვეტენ, რა უნდა თქვან სახელმწიფოს კარნახის გარეშე. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არ ეფუძნება უზენაესი სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და არსებითად უკანონოდ ცნობს მოსწავლეთა ყველა ტიპის არჩევნებს. სასამართლოს მოსაზრება ემყარება არჩეულ მოსწავლეთა მხრიდან საჯარო ლოცვის განხორციელების პოტენციურ საშიშროებას.

სკოლის პოლიტიკის მიზნებთან დაკავშირებით სასამართლო აცხადებს, რომ მისი შემოღება მოსწავლეთა ლოცვის მხარდაჭერის განზრახვით სკოლის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევაა. მაგრამ ეს პოლიტიკა საერო მიზნებს ისახავს: ღონისძიების საზეიმოდ აღნიშვნა, პატიოსანი სპორტული ქცევისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების პროპაგანდა, შეჯიბრისთვის სათანადო გარემოს ჩამოყალიბება.

სასამართლო უარყოფს საზეიმოდ აღნიშვნის საერო მიზანს, ამტკიცებს რა, რომ იგი რელიგიური იდეების სტიმულირებასა და მხარდაჭერას ახდენს. სასამართლოს დასკვნით, თამაშის გახსნის ცერემონიისთვის საზეიმო ელფერის მიცემის ყველაზე აშკარა საშუალება რელიგიური „მესიჯის“ გავრცელებაა. თუმცა საკმაოდ იოლი მოსაფიქრებელია არარელიგიური ხასიათის საზეიმო მიმართვა – მაგალითად, თამაშის წინ დამსახურებულად მოგების თხოვნა. ღვთისადმი მიმართვა გაისმის ამერიკის ეროვნულ ჰიმშიც, რომელიც სპორტული ღონისძიებების დაწყების წინ სრულდება. სასამართლოს ლოგიკას რომ გავყვეთ, საჯარო სკოლაში თამაშის წინ ეროვნული ჰიმის შესრულებაც დაწესების კლაუზულის დარღვევად უნდა მივიჩნიოთ.

სასამართლო საკუთარი პოზიციის გასამყარებლად იმონებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეში ლი ვაისმანის წინააღმდეგ,<sup>270</sup> რომელიც ეხებოდა სახელმწიფოს მიერ ნაკარნახებ გამოხატვას. აქ კი სკოლის წესების ამოქმედების შემთხვევაში ლოცვის ტექსტს თავად მოსწავლეები შეადგენდნენ, რაც კერძო გამოხატვას გულისხმობს. სახელმწიფო გამოხატვა, რომელიც რელიგიისადმი მხარდაჭერას გამოხატავს, იკრძალება დაწესების კლაუზულით, ხოლო იმავე შინაარსის კერძო გამოხატვა დაცულია სიტყვის თავისუფლებისა და აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულებით.

მოსამართლე რენკვისტი ვარაუდობს, რომ სკოლის ამ წესების ამოქმედების შემთხვევაში მოსწავლეებს შესაძლოა მომხსენებელი აბსოლუტურად საერო კრიტერიუმებით აერჩიათ. წესების ამგვარი გამოყენება, სავარაუდოდ, კონსტიტუციურ შემონეშებას წარმატებით გაივლიდა. სხვა შემთხვევაში ამ წესების არაკონსტიტუციურად გამოცხადება მერეც შეიძლებოდა. აქედან გამომდინარე, მოსამართლე რენკვისტის აზრით, უფრო სწორი იქნებოდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება.



## მეცნიერება და რელიგია სასწავლო კურიკულუმში

ტესტის ძიება: საერო მიზანი, არადისკრიმინაცია, მხარდაჭერა და ნეიტრალობა. საქმეში სტოუნის გრეჰემის წინააღმდეგ შეიქმნა პირველი პრეცედენტი, როდესაც სასამართლომ გარკვეული პრაქტიკა არაკონსტიტუციურად ცნო მისი არასაკმარისად საერო დანიშნულების საფუძველზე. სასამართლო ცდილობდა, ფრთხილად გაემიჯნა „საერო მიზანი“ და კანონის მიღების მოტივაცია. რაიმე სახის რელიგიური სასკოლო პროგრამის გაუქმება ყოველთვის არ იყო დამოკიდებული საერო მიზნის ტესტზე, მაგრამ ამ კრიტერიუმმა გადაწყვეტი როლი შეასრულა შემდეგ ოთხ საქმეში: სტოუნის გრეჰემის წინააღმდეგ, უოლასი ჯეფერის წინააღმდეგ, ეპერსონი არკანზასის წინააღმდეგ და ედვარდსი ავილარის წინააღმდეგ.<sup>271</sup> ამ საქმეებში სასამართლომ გასაჩივრებული კანონები არაკონსტიტუციურად მიიჩნია, რადგან ისინი არ ემსახურებოდა განსაზღვრულ საერო მიზნებს და მათ დანიშნულებას გარკვეული რელიგიური რწმენის ხელშეწყობა წარმოადგენდა. ტერმინი „საერო“, როგორც წესი, იხმარებოდა „არარელიგიურის“ მნიშვნელობით, მაგრამ „საერო“ არ არის თვითგანსაზღვრებადი ტერმინი და მისი „არარელიგიურის“ მნიშვნელობით გაგება ხშირად გამხდარა დავის საგანი. რელიგიის თავისუფლების სახელგანთქმული ვილიამსბურგის ქარტიის (ამერიკის შეერთებული შტატების ძირითად რელიგიურ მიმდინარეობათა წარმომადგენლების მიერ შემუშავებული ქარტია, რომელიც ხელმოწერილი იქნა ამერიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სექტორის ორასამდე ლიდერის მიერ 1988 წლის 25 ივნისს. შეერთებული შტატების კონსტიტუციის მრავალი კომენტატორის მიერ ქარტია აღიარებულია ყველაზე დროულ და მძლავრ კვლავდადასტურებად რელიგიის თავისუფლების პრინციპებისა, რომლებიც საფუძველად უდევს პირველ შესწორებას) თანახმად, „საერო მიზანი“ უნდა ნიშნავდეს არა „არარელიგიურ დანიშნულებას“, არამედ „ზოგად სახელმწიფო მიზანს“. სხვაგვარად იქმნება შთაბეჭდილება, რომ „სახელმწიფო საეროს სინონიმია“, „რელიგია კი კერძოს“ აღნიშნავს. ამგვარი გაიგივება არასწორი და უსამართლოა.

„ზოგადი სახელმწიფო მიზნის“ ხელშეწყობის თვალსაზრისით კანონმდებლობის სეკულარობის დასადგენად, უნდა შევამოწმოთ, არის თუ არა ეს კანონი „დისკრიმინაციული“. რელიგიის ადაპტაცია ზოგჯერ სავალდებულოა აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულის მიხედვით. გარდა ამისა, კანონმდებლებს მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება, განახორციელონ რელიგიის ადაპტაცია, მაშინაც როცა ის არ არის სავალდებულო კონსტიტუციით. ზოგიერთი ინტერპრეტატორი ფიქრობს, რომ რელიგიის ადაპტაცია გარკვეულწილად ეწინააღმდეგება საეროობის მოთხოვნას. რელიგიის ადაპტაცია შეიძლება ასევე განვიხილოთ როგორც რელიგიური კლაუზულის „ზოგადი სახელმწიფო მიზნის“ ნაწილი. ამ შემთხვევაში არდანესების პრინციპი არ ეწინააღმდეგება აღმსარებლობის თავისუფლებას და რელიგიის არაგონივრული დისკრიმინაცია ჩაითვლება სეკულარობის მოთხოვნის დარღვევად.<sup>272</sup>

მოსამართლე ო'კონორი საერო მიზნის მოთხოვნას უკავშირებს თავის თეორიას, რომ სახელმწიფო ქმედება არაკონსტიტუციურია, თუ ის სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის მხარდაჭერის ან უარყოფის შეგრძნებას წარმოშობს. კანონის „სეკულარობა“ კითხვის ნიშნის ქვეშ მაშინ დგება, როცა ის მიგვიანიშნებს, რომ ადამიანები, რომლებიც არ არიან გარკვეული რელიგიის მიმდევრები „უცხოინ არიან და არ მიეკუთვნებიან პოლიტიკურ საზოგადოებას“. საქმეში უოლასი ჯეფერის წინააღმდეგ<sup>273</sup> ო'კონორი წერდა: „სულაც არ არის ბანალური, მოვითხოვოთ, რომ კანონმდებლობა გამოხატავდეს საერო მიზანს და უგულვებელყოფდეს ყოველგვარ რელიგიურ მხარდაჭერას. ეს მოთხოვნა მიაწერეს დანესების კლაუზულის მიზანს – არ დაუშვას სახელმწიფოს მიერ რელიგიის განზრახ მხარდაჭერა“. ერთი შეხედვით, ო'კონორის ეს შემოთავაზება რელიგიური უმცირესობების უფრო მეტად შემწყნარებლობის იმედს იძლევა, თუმცა მხარდაჭერის ტესტის გამოყენება არც ისე იოლია. ზოგიერთი ინტერპრეტატორი მას აკრიტიკებს როგორც სასამართლოს უმართავ ჩარევას პოლიტიკურ პროცესში.

პროფ. მაკკონელი აღნიშნავს, რომ, როდესაც ტერმინ „საეროს“ „არარელიგიური“ მნიშვნელობით ვიყენებთ, აზრობრივად არადამაჯერებელია იმის მტკიცება, რომ საერო ლიბერალიზმი უბრალოდ „ნეიტრალური პოზიციაა“. სხვების აზრით, კონსტიტუცია იცავს და ხელს უწყობს აღმსარებლობის თავისუფლებას, რადგან რელიგია ბუნებითი, თანდაყოლილი ფასეულობაა. ამდენად, რელიგიის თავისუფლება არ არის ინსტრუმენტული ღირებულება, რომელიც „ნეიტრალობიდან“ მომდინარეობს, ის თავისთავადი ღირებულებაა. ნეიტრალობა კი არ მოითხოვს რელიგიური ქმედების შეწყვეტას, არამედ აღმსარებლობის თავისუფლება მოითხოვს სახელმწიფოს ნეიტრალობას რელიგიის მიმართ.

რელიგიური ნეიტრალიტეტის ცნება გულისხმობს არა მხოლოდ განზრახ დაპირისპირების თავიდან აცილებას: რელიგიური კლავზულები სახელმწიფოსგან მოითხოვს იმ საზღვრების მინიმუმამდე შეზღუდვას, რომლის ფარგლებშიც იგი რელიგიური მრწამსის ან არამორწმუნეობის ნახალისებას ან მისთვის ხელის შეშლას მოახდენს.

ზოგიერთი ინტერპრეტაციული ეჭვის თვალთ შეყურებს ნეიტრალობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას. პროფ. ჰიჩკოკის აზრით, მცდელობას, რომ არამორწმუნეობა არ დაზარალებულიყო რწმენასთან შედარებით, ხშირად გამოუწვევია რელიგიის პრაქტიკული და თეორიული შეზღუდვა. მკაცრი სეპარაციის კლასიკური დოქტრინა ეყრდნობა ვარაუდს, რომ სახელმწიფოს შეუძლია და უნდა იყოს ნეიტრალური, მაგრამ პრაქტიკულად ეს შეუძლებელია. ღირებულებები აუცილებელია ნებისმიერი საზოგადოების ფუნქციონირებისთვის და, თუ არ მოხდება მათი შეგნებული მიღება და საჯარო აღიარება, მათი დამკვიდრება საზოგადოებაში შეიძლება შეფარულად და გაუაზრებლად მოხდეს. ღირებულებები ყოველთვის რეალურ ან პოტენციურ კონფლიქტშია ერთმანეთთან და სახელმწიფო ნებსით თუ უნებლიეთ გამოარჩევს ხოლმე ზოგიერთ მათგანს.<sup>274</sup>

სოციოლოგი რობერტ ბელახი ყურადღებას ამახვილებს „სამოქალაქო რელიგიაზე“ და მას განმარტავს, როგორც თითოეული ადამიანის ცხოვრების რელიგიურ ასპექტს, რომლის საშუალებითაც ის ცდილობს, ახსნას თავისი ისტორიული გამოცდილება ტრანსცენდენტური რეალობის თვალსაზრისით. სამოქალაქო რელიგია წარმოქმნის ერის მითოლოგიას, რაც თავისთავად არ არის მცდარი, თუმცა იგი ჭეშმარიტების ტრანსფორმაციას ახდენს ისე, რომ მას მორალურ და სულიერ შინაარსს სძენს.<sup>275</sup>

**მეცნიერება და რელიგია.** თითქმის ისევე, როგორც ლოცვა, სამეცნიერო კურიკულუმიც საჯარო სკოლაში დავის საგანს წარმოადგენს. შემდეგი ორი საქმე სწორედ მეცნიერებისა და რელიგიის შესახებ კამათს ასახავს. პირველ საქმეში მოსარჩელე სუზან ეპერსონი ამტკიცებს, რომ მისი როგორც სკოლის მასწავლებლის თავისუფლება შეიზღუდა არკანზასის 1928 წლის „ანტიევოლუციური“ კანონით, რომელიც კრძალავდა ადამიანის სხვა სახის სიცოცხლის სახეობიდან წარმოშობის თეორიის სწავლებას. მოსამართლე აბე ფორტასმა ეს საქმე დაუკავშირა ჯონ სკოუპსის<sup>276</sup> ცნობილ სასამართლო პროცესს ტენესის შტატში 1925 წელს. ამ საქმეში ტენესის შტატის წარმომადგენელი ილაშქრებდა სასწავლო კურიკულუმში დარვინიზმის ჩართვის წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ დარვინი ადამიანს ევოლუციური პროცესის პროდუქტად წარმოაჩენდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ბრალეულად ცნო სკოუპსი 1925 წლის 13 მარტს ტენესის შტატის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, რომელიც კრძალავდა სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისეთი თეორიის სწავლებას, რომელიც უარყოფდა ღმერთის მიერ ადამიანის გაჩენის ბიბლიურ თქმულებას (ე.წ. „მაიმუნის კანონი“). ტენესის უზენაესმა სასამართლომ ამ საქმის საბრალდებო ვერდიქტი გააუქმა, თუმცა სტატუტი ძალაში დატოვა.

აბე ფორტასი 1920-იან წლებში მემფისის სკოლის მოსწავლე იყო. სკოუპსის სასამართლო პროცესმა მას სამართლის შესწავლისკენ უბიძგა. ბევრი აღნიშნავდა ამ საქმის გავლენას

ეპერსონის გადაწყვეტილებაზე. ფორტასის ჩანაწერებში ვკითხვლობთ, რომ ეპერსონის საქმეში მოსამართლეების უმრავლესობა არკანზასის სტატუტის გაუქმებას მოითხოვდა მისი არაერთმნიშვნელოვნების გამო. ფორტასი ფაქტობრივად ერთადერთი იყო, ვინც ამტკიცებდა, რომ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი დაწესების კლაუზულა უნდა გამხდარიყო.

ამ საქმეში განხილული კანონი არაკონსტიტუციურად გამოცხადდა, რადგან არ ჰქონდა საერო მიზანი. აღსანიშნავია, რომ კანონის გაცხადებული მიზანი იყო „ადამიანის წარმოშობის შესახებ სადავო საგნის საჯარო სკოლების სასწავლო კურსიდან ამოღება“. მხოლოდ წარმოსახვითი თუ რეალური მიზნის საფუძველზე კანონების გაუქმებას ეწინააღმდეგებოდა მოსამართლე ბლეიკი, რომელიც ეპერსონის საქმეში გამოთქვამდა თანმხვედრ აზრს: „გაუგებარია, რატომ არ შეიძლება შტატს ჰქონდეს უფლება, სასწავლო კურიკულუმიდან ამოიღოს საჯარო სკოლებისთვის ძალზე მტკიცენი და სადავოდ მიჩნეული საგანი“.

### *ეპერსონი არკანზასის წინააღმდეგ<sup>277</sup>*

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ამ საქმეში დავა მიმდინარეობს „ანტიევლუციური“ აქტის შესახებ, რომელიც არკანზასის შტატმა 1928 წელს მიიღო, რათა აეკრძალა ადამიანის სიცოცხლის სხვა სახეობიდან წარმოშობის თეორიის სწავლება საჯარო სკოლებში. სტატუტი წარმოადგენდა 1920-იანი წლების „ფუნდამენტალისტური“ რელიგიური ვნებათაღელვის ნაყოფს და ტენესის 1925 წლის „მაიმუნის კანონის“ სახესხვაობას. ამ უკანასკნელის კონსტიტუციურობას კი ტენესის უზენაესმა სასამართლომ 1927 წელს სკოუპსის სახელგანთქმულ საქმეში დაუჭირა მხარი.

არკანზასის კანონი საჯარო სკოლის ან უნივერსიტეტის ნებისმიერ მასწავლებელს უკრძალავს, ასწავლოს თეორია, რომლის თანახმად კაცობრიობა ცხოველთა ქვესახეობისგან წარმოიშვა. კანონის თანახმად, ასევე დაუშვებელია აღნიშნულ დაწესებულებებში იმ სახელმძღვანელოების გამოყენება, რომლებიც დარვინის თეორიას შეიცავს. კანონის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სამართალდამრღვევს სამსახურიდან გათავისუფლება ემუქრება.

ეს საქმე ეხება ბიოლოგიის სწავლებას ლითლ როკის საშუალო სკოლაში. ამ პროცესზე განხილულ მოვლენებამდე საშუალო სკოლაში ბიოლოგიის კურსისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო არ მოიცავდა დარვინის თეორიას. შემდეგ, 1965-1966 აკადემიური წლისთვის, ბიოლოგიის მასწავლებლების რჩევით სკოლის ადმინისტრაციამ დაამტკიცა სახელმძღვანელო, რომლის ერთ-ერთ თავში წარმოდგენილი იყო თეორია ადამიანის ცხოველთა ქვესახეობისგან წარმოშობის შესახებ.

შტატის უდავო უფლებაა, მის იურისდიქციას დაქვემდებარებული საჯარო სკოლებისთვის შეადგინოს კურიკულუმი, მაგრამ მას არა აქვს უფლება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაანესოს სამეცნიერო თეორიის ან დოქტრინის სწავლებისათვის, იმ საფუძველზე დაყრდნობით, რაც სრულ წინააღმდეგობაშია კონსტიტუციის პირველ შესწორებასთან. სასამართლო დრომოჭმულად მიიჩნევს იმის მტკიცებას, რომ შტატს შეუძლია საკუთარი სკოლების მასწავლებლებს თავს მოახვიოს ნებისმიერი სახის პირობები, როგორც არ უნდა ზღუდავდეს ისინი კონსტიტუციურ გარანტიებს.

სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ არკანზასის შტატი ევოლუციის თეორიის აკრძალვას ცდილობს იმ ადამიანების მრწამსის გამო, რომლებიც კაცობრიობის წარმოშობის დოქტრინის ერთადერთ წყაროდ ბიბლიას მიიჩნევენ. კანონში მინიშნებაც არ გაკეთებულა, რომ მისი განმარტება უნდა მომხდარიყო სახელმწიფო პოლიტიკის ჩრილში და არა ზოგიერთი მოქალაქის რელიგიური შეხედულებების საფუძველზე. სასამართლოს აზრით, კანონის არსებობა განპირობებულია ფუნდამენტალისტური რელიგიური მრწამსით.

არკანზასის სტატუტის წინამორბედი, ტენესის „მაიმუნის კანონი“, ღიად აცხადებდა თავის მიზანს: არაკანონიერად ექცია ისეთი თეორიების სწავლება, რომლებიც უარყოფს ადამიანის ღვთიურ წარმომავლობას, როგორც ამას ბიბლია გვასწავლის და ამის ნაცვლად ამტკიცებს, რომ ადამიანი ცხოველისგან წარმოიშვა. არკანზასმა „ადამიანის ღვთიური წარმომავლობა“ ამოიღო ტექსტიდან, თუმცა კანონის მოტივაცია უცვლელი დარჩა. არკანზასის მიერ შედარებით რბილი გამოთქმების შერჩევა, ალბათ, გამოიწვია სკოუპის საქმესთან დაკავშირებით ატენილმა აჟიოტაჟმა.

უზენაესი სასამართლო არკანზასის კანონში ვერ ხედავს რელიგიურ ნეიტრალობას. არკანზასს განზრახული არ ჰქონია სასწავლო კურიკულუმიდან ადამიანის წარმოშობაზე ყოველგვარი მსჯელობის ამოღება. ის მხოლოდ ისეთი თეორიის ამოღებას ცდილობდა, რომელიც ბიბლიურ ცნობებს ეწინააღმდეგება. სასამართლო თვლის, რომ კანონი აშკარად არღვევს კონსტიტუციის პირველ და მე-14 შესწორებებს, აქედან გამომდინარე, აუქმებს არკანზასის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას.

### *ედვარდის ავილარის წინააღმდეგ<sup>278</sup>*

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

უზენაესი სასამართლო განიხილავს საკითხს, ლუიზიანის აქტი „საჯარო სკოლაში კრეაციონიზმის და ევოლუციის თეორიების თანაბრად სწავლების“<sup>279</sup> შესახებ ეწინააღმდეგება თუ არა კონსტიტუციას პირველი შესწორების დანესების კლაუზულის საფუძველზე.

„კრეაციონიზმის აქტი“ კრძალავს ევოლუციის თეორიის საჯარო სკოლებში სწავლებას კრეაციონიზმის სწავლების გარეშე. არც ერთ სკოლას არ მოეთხოვება ამ თეორიების სწავლება, მაგრამ, თუ გადაწყდება, მაშინ ორივე უნდა ისწავლებოდეს. ევოლუციის თეორია და კრეაციონიზმი კანონით განსაზღვრულია, როგორც „სამყაროს შექმნის ან ევოლუციის“ მეცნიერული მტკიცებულება და მათგან გამომდინარე დასკვნები.

ლუიზიანის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებმა, ლუიზიანელმა მასწავლებლებმა და რელიგიურმა ლიდერებმა – საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობა და მოითხოვეს სასამართლო აკრძალვის დანესება კანონის მოქმედებაზე. ლუიზიანელი საჯარო მოხელეები, რომლებიც აქტის იმპლიმენტაციაზე იყვნენ პასუხისმგებელი, მის დასაცავად აცხადებდნენ, რომ კანონის მიზანს ლეგიტიმური საერო ინტერესის, კერძოდ, აკადემიური თავისუფლების დაცვა წარმოადგენდა.

სასამართლოს მოჰყავს ლემონის ტესტი, რომელსაც უზენაესმა სასამართლომ ყველა საქმეში მიმართა მისი მიღების დღიდან (1971 წ.), გარდა საქმისა *მარში ჩემბერსის წინააღმდეგ*. სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მოქმედება არღვევს დანესების კლაუზულას, თუ ის ვერ აკმაყოფილებს ამ ტესტის რომელიმე კრიტერიუმს.

ლემონის პირველი პუნქტი ყურადღებას ამახვილებს კანონის მიღების მიზანზე, სახელმწიფო აპირებს რელიგიის მხარდაჭერას თუ მის შეზღუდვას. სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის მხარდაჭერა აშკარაა, როცა მის მიერ მიღებული კანონი რელიგიურ მიზნებს ემსახურება. ეს განზრახვა შეიძლება გამოიხატოს რელიგიის ზოგად მხარდაჭერაში ან რომელიმე კონკრეტული მრწამსისთვის უპირატესობის მინიჭებაში. თუ კანონი რელიგიის მხარდაჭერის მიზნითაა მიღებული, სასამართლო ლემონის მეორე და მესამე კრიტერიუმის განხილვას აღარ თვლის საჭიროდ. ამ საქმეში სასამართლო ფიქრობს, რომ ლუიზიანის აქტის დამცველები ვერ ასაბუთებენ მის საერო მიზანს.

აქტის დეკლარირებულ მიზანს ნამდვილად წარმოადგენს აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა. ეს ფრაზა ზოგადად შეიძლება გავიგოთ როგორც მასწავლებლების თავი-

სუფლება – თავად გადანყვიტონ, რა ასწავლონ, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ აქტი ამ მიზნის განსახორციელებლად არ შექმნილა. უზენაესი სასამართლოსთვის არადამაჯერებელია შტატის არგუმენტი, რომ შეიძლება საკანონმდებლო ორგანოს ტერმინი „აკადემიური თავისუფლება“ სამართლებრივ კონტექსტში არ ეხმარა და შესაძლოა ეგულისხმა სამართლიანობის ძირითადი კონცეფცია: „ყველა მტკიცებულების სწავლება“. ეს უკანასკნელი რომც ნიშნავდეს აკადემიურ თავისუფლებას ადამიანის წარმოშობასთან დაკავშირებით, აქტი მაინც არ ემსახურება ამ მიზანს. უფრო მრავალმხრივი კურიკულუმის შედგენის მიზანი არ მიიღწევა ევოლუციის თეორიის სწავლების უკანონოდ გამოცხადებით ან კრეაციონიზმის სწავლების მოთხოვნით. კანონი სინამდვილეში ზღუდავს აკადემიურ თავისუფლებას.

სასამართლო მოკრძალებით ეკიდება შტატის საერო მიზნის არტიკულაციას, მაგრამ მოითხოვს, რომ ეს იყოს გულწრფელი და არა ყალბი განცხადება.

სასამართლო მიიჩნევს, რომ მასწავლებლისათვის ევოლუციის თეორიის სწავლების აკრძალვა კრეაციონიზმის სწავლების გარეშე ხელს არ უწყობს აკადემიურ თავისუფლებას. კანონი მასწავლებლებს არ ანიჭებს ისეთ უფლებამოსილებას, რომელსაც ისინი უკვე არ ფლობენ, კერძოდ ევოლუციური თეორიის გარდა სასწავლო კურიკულუმში შეიტანონ სხვა თეორიები ადამიანის წარმოშობის შესახებ. მართლაც, სააპელაციო სასამართლომ აღმოაჩინა, რომ ლუიზიანის საჯარო სკოლის მასწავლებლებს არც ერთი კანონით არ ეკრძალებოდათ რომელიმე სამეცნიერო თეორიის სწავლება. ეს კანონი მასწავლებლებს არავითარ ახალ უფლებამოსილებას არ ანიჭებს და ამგვარად არ ემსახურება გაცხადებულ მიზანს.

მეტეც, „სამართლიანობის“ მიზანი თითქმის არ მიიღწევა კანონის საფუძველზე კრეაციონიზმისთვის უპირატესობის მინიჭებით და ევოლუციური თეორიის სწავლების დაკნინებით. აქტი საკურიკულუმო გზამკვლევის შედგენას მოითხოვს მხოლოდ კრეაციონიზმისთვის; ევოლუციური თეორიისთვის მიუწვდომელია აგრეთვე არსებული რესურსებით მომსახურებაც. მხოლოდ კრეაციონისტი მკვლევარები შეიძლება იყვნენ იმ სპეციალისტთა ჯგუფის წევრები, რომლებიც რესურსებით მომსახურებას უზრუნველყოფენ. აქტი სკოლის საბჭოებს უკრძალავს მათ დისკრიმინაციას, ვინც არჩევს კრეაციონიზმის სწავლებას, მაგრამ ვერაფრით იცავს მათ, ვინც რომელიმე სხვა სამეცნიერო თეორიას მიანიჭებს უპირატესობას.

თუ ლუიზიანის საკანონმდებლო ორგანოს განზრახული ჰქონდა სამეცნიერო სწავლების ეფექტურობის ამაღლება, ის ხელს შეუწყობდა კაცობრიობის წარმოშობის შესახებ ყველა თეორიის სწავლებას. კანონის მოთხოვნების თანახმად კი, მასწავლებლებს, რომლებსაც შეეძლოთ ამ საგნის ნებისმიერი ასპექტის სწავლება, ახლა ეს თავისუფლება ერთმევათ. აქტი არ უზრუნველყოფს არც კრეაციონიზმის სწავლებას. ის ამ საგანს სავალდებულოდ აცხადებს ევოლუციური თეორიის სწავლებასთან ერთად. უზენაესი სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ აღნიშნული კანონი არ ემსახურება აკადემიური თავისუფლების დაცვას და ამის ნაცვლად მიზნად ისახავს ევოლუციური თეორიის დისკრედიტაციას.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ლუიზიანის საკანონმდებლო ორგანო მიზნად ისახავდა კაცობრიობის ზებუნებრივი არსების მიერ შექმნის იდეის უპირატესობის წარმოჩენას. აქტის ავტორების მიერ შემოთავაზებული დეფინიცია ტერმინისა „კრეაციონიზმი“ მხოლოდ კერძო რელიგიურ დოქტრინას მოიცავდა. „კრეაციონიზმის აქტის“ ინიციატორი სენატორი ქეთი ადასტურებდა, რომ კრეაციონიზმი გულისხმობდა წარმოდგენას სამყაროს ზებუნებრივი შემოქმედის არსებობის შესახებ.

სასამართლო მიუთითებს აქტის საკანონმდებლო ისტორიაზე, რომელიც ადასტურებს კანონის მთავარ მიზანს – საჯარო სკოლების სამეცნიერო კურიკულუმის შეცვლა იმ რელიგი-



ური დოქტრინისთვის უპირატესობის მისანიჭებლად, რომელიც უარყოფს ევოლუციის ფაქტობრივ საფუძვლებს. საკანონმდებლო განხილვისას სენატორი ქეთი აცხადებდა, რომ ევოლუციის იდეა ენინააღმდეგებოდა მის რელიგიურ მრწამსს. აქედან გამომდინარე, კანონის მიზანი სამეცნიერო კურიკულუმში ერთ-ერთი რელიგიური მოსაზრების მხარდაჭერის ასახვა იყო, რაც ევოლუციის თეორიისადმი ანტაგონიზმის ცხადი გამოხატულებაა.

დანესების კლაუზულა კრძალავს როგორც რომელიმე რელიგიური დოქტრინისთვის უპირატესობის მინიჭებას, ისე რომელიმე დოგმისადმი ანტაგონისტურად მიჩნეული თეორიის აკრძალვას. რადგან „კრეაციონიზმის აქტის“ ძირითად მიზანს გარკვეული რელიგიური შეხედულების პრიორიტეტულობის წარმოჩენა წარმოადგენს, კანონი გამოხატავს რელიგიის მხარდაჭერას და ამით არღვევს პირველ შესწორებას. შესაბამისად, უზენაესი სასამართლო ძალაში ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას.

*მოსამართლე პაუელის თანმხვედრი აზრი,  
რომელსაც შეურთდა მოსამართლე ო'კონორი*

მოსამართლე პაუელი წლების განმავლობაში რიჩმონდის განათლების საბჭოს იურისტი იყო. პაუელი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სასამართლოს პოზიცია არანაირად არ ზღუდავს შტატისა და სკოლის ხელმძღვანელების ტრადიციულად ფართო დისკრეციას, შეადგინონ საჯარო სკოლის კურიკულუმი.

ის, რომ ლუიზიანის საკანონმდებლო ორგანოს განზრახული ჰქონდა სასკოლო კურიკულუმის ახალი ინფორმაციით შევსება და არა მისი შემცირება, როგორც ეს *ეპერსონის* საქმეში მოხდა, პაუელს აზრს არ აცვლევინებს. ორივე შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანო ცდილობდა, საჯარო სკოლის კურიკულუმის მორგებას გარკვეული რელიგიური მრწამსისთვის – „ადამიანის ღვთიური წარმოშობის შესახებ“.

კანონის საერო მიზანზე არც ის გარემოება მიანიშნებს, რომ ის თეორიის სამეცნიერო მტკიცებულებებითაა შეზღუდული. სააპელაციო სასამართლოს თავის დასკვნაში არ უარყოფს, რომ კრეაციონიზმის საფუძვლები შესაძლოა მეცნიერულად დასტურდებოდეს და მას არც სჭირდება ამის უარყოფა. ნებისმიერი თეორიისა თუ საგნის აკადემიური ღირებულების მიუხედავად, დანესების კლაუზულა ზღუდავს საჯარო მოხელეების დისკრეციას, გამოარჩიოს რომელიმე მათგანი გარკვეული რელიგიური მრწამსის მხარდაჭერის მიზნით. მოსამართლე პაუელის აზრით, სწორედ ასე მოიქცა ლუიზიანის შტატის საკანონმდებლო ორგანო.

მოსამართლე პაუელი აქტს არაკონსტიტუციურად მიიჩნევს, თუმცა მაინც ეთანხმება მოსაზრებას, რომ საჯარო სკოლების საგანმანათლებლო პოლიტიკას შტატი და ადგილობრივად არჩეული სკოლის საბჭოები უნდა განსაზღვრავდნენ. გარკვეული საგნის სწავლების შესახებ გადანყვეტილება არ არღვევს დანესების კლაუზულას მხოლოდ იმიტომ, რომ ის, რაც ისწავლება, გარკვეულ რელიგიურ დოგმებს ემთხვევა. დანესების კლაუზულის მიხედვით, მმართველობის ამ ორგანოების გადანყვეტილებებში ჩარევა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როცა მათი რელიგიური მიზანი თვალსაჩინოა.

მოსამართლე პაუელის დასკვნით, აქტის საკანონმდებლო ისტორია ნათლად ცხადყოფს, რომ მისი მიზანია ცალკეული რელიგიური მრწამსის წახალისება. შტატისა და ადგილობრივი თვითმმართველობების დისკრეცია საჯარო სკოლების კურიკულუმზე ფართოა, თუმცა პირველი შესწორება მათ არ ანიჭებს უფლებას, მოითხოვონ სწავლების შესაბამისობის უზრუნველყოფა რომელიმე რელიგიური სექტის პრინციპებსა და აკრძალვებთან.



მოსამართლე სკალიას განსხვავებული აზრი,

რომელსაც შეუერთდა სასამართლოს თავმჯდომარე რენკვისტი

მოსამართლე სკალია აცხადებს, რომ, დანესების კლაუზულის მიხედვით, მხოლოდ მოტივების საფუძველზე კანონის გაუქმების აუცილებლობას რომც იზიარებდეს, იგი მაინც ვერ დაეთანხმებოდა ამ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას. ლუიზიანის კანონმდებლები აცნობიერებდნენ დანესების კლაუზულასთან დაკავშირებით შესაძლო პრობლემებს და ამ ასპექტს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ. საქმეში წარმოდგენილია კანონის საერო მიზნის დამადასტურებელი აშკარა მტკიცებულებები. მიუხედავად ამისა, სასამართლო კანონმდებლების მოტივაციასთან დაკავშირებით საკუთარ ინტუიციურ ცოდნას ეყრდნობა და გადაწყვეტილებას იღებს, რომ მათ შეგნებულად დაარღვიეს საკუთარი უფლებამოსილების ცნობისას დადებული ფიცი და იცრუეს.

ლუიზიანის უზენაეს სასამართლოს არ ჰქონია სადავო აქტის ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, შტატის მოხელეებს არასოდეს უცდიათ მისი აღსრულება და ის არც არასდროს გამხდარა არსებითი განხილვის საგანი. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდით შემოვიფარგლოთ მისი მნიშვნელობის თაობაზე მსჯელობისას. ცნობილია, რომ აქტი კრძალავს „კრეაციონიზმის“ ან „ეეოლუციური თეორიის“ განცალკევებულად სწავლებას, მაგრამ მხარეები ვერ თანხმდებიან იმის თაობაზე, თუ რას მოიცავს კრეაციონიზმი. აპელანტები ამტკიცებენ, რომ ის მეცნიერულად ღირებულ ცნობებს მოიცავს. მონინალმდევე მხარე მას შენიღბულ რელიგიურ დოქტრინად თვლის. ამ ტერმინის სავარაუდო შინაარსის ორივე ინტერპრეტაციას საკანონმდებლო ისტორიაში გარკვეული დასაყრდენი აქვს.

მოსამართლე სკალია არ არის დარწმუნებული, რომ ლემონის „მიზნის“ ტესტი კონსტიტუციის სწორი ინტერპრეტაციაა. ასეც რომ იყოს, სკალია მაინც არ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებას. მას მოჰყავს უზენაესი სასამართლოს მრავალი საქმე, რომელშიც დანესების კლაუზულის საფუძველზე გასაჩივრებული კანონის საერო მიზანი ზედმეტი ძალისხმევით გარეშე იქნა აღმოჩენილი. ლემონის საქმის შემდგომ მხოლოდ ორჯერ მოხდა კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა საერო მიზნის არარსებობის გამო. და მაინც უზენაეს სასამართლოს არ შეუქმნია მყარი პრინციპები, რომლებსაც იგი ლემონის ტესტის გამოყენებისას დაეყრდნობოდა მომავალში. ერთი რამ ცხადია, რასაც არ უნდა ნიშნავდეს „საკანონმდებლო მიზანი“ სხვა კონტექსტში, ლემონის ტესტის ფარგლებში ის აღნიშნავს გასაჩივრებულ მოქმედებაზე პასუხისმგებელ პირთა ნამდვილ მოტივებს. ამრიგად, თუ ის, ვინც მხარი დაუჭირა აქტს, „ჭეშმარიტი“ საერო მიზნით ხელმძღვანელობდა, მაშინ აღნიშნული აქტი აკმაყოფილებს ლემონის ტესტის პირველ კომპონენტს, იმისდა მიუხედავად, ემსახურება თუ არა მიღებული ნორმები დასახულ მიზანს.

ლემონის ტესტის ავტორი (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბურგერი) აღნიშნავდა, რომ კანონის არაკონსტიტუციურად გამოცხადება ტესტის მიზნის ელემენტის საფუძველზე მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ეჭვს არ იწვევს კანონის მიღების აბსოლუტურად რელიგიური მოტივაცია. სამივე საქმეში (უოლასი, სტოუნი, ეპერსონი), სადაც უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო კანონები დანესების კლაუზულის მიხედვით საერო მიზნის არარსებობის გამო, სასამართლომ დაადგინა, რომ საკანონმდებლო ორგანოს ერთადერთ მოტივაციას რელიგიის ხელშეწყობა წარმოადგენდა. ამგვარად ამ საქმეში განხილული აქტის გაუქმება შეიძლება მაშინ, თუ ლუიზიანის შტატის საკანონმდებლო ხელისუფლება არ ხელმძღვანელობდა საერო მიზნით მისი მიღებისას.

აღსანიშნავია, რომ ლემონის მიხედვით აკრძალული მიზანი გულისხმობს „რელიგიის მხარდაჭერას“. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა არ გულისხმობს, რომ დანესების კლაუზულით

კანონმდებლებს ეკრძალებათ საკუთარი რელიგიური შეხედულებების თანახმად მოქმედება. სასამართლო შემადგენლობის უმრავლესობისგან განსხვავებით, მოსამართლეები სკალია და რენკვისტი არ ფიქრობენ, რომ კანონის ერთადერთი მიზანი რელიგიის ხელშეწყობაა მხოლოდ იმიტომ, რომ მას მხარს უჭერენ გარკვეული რწმენის მიმდევრები ან იმიტომ, რომ ის შეესაბამება ზოგიერთი ან ყველა რელიგიური მიმდინარეობის პრინციპებს. უზენაეს სასამართლოს მრავალ საქმეში არ ჩაუთვლია დიდ სირთულედ საერო მიზნის დანახვა სახელმწიფოს ისეთ ქმედებაში, რომელიც რელიგიის ხელშეწყობის გაცილებით მეტ პოტენციურ შესაძლებლობას ქმნიდა, ვიდრე ამ საქმეში სადავოდ ქცეული კანონი. ამრიგად, ის გარემოება, რომ კრეაციონიზმი ემთხვევა მრავალ რელიგიურ მრწამსს, არ ამართლებს აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადებას.

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ასევე მიუთითებს, რომ რელიგიის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული გარკვეული ტიპის სახელმწიფო ქმედებები, არ „უწყობს ხელს რელიგიას“, როგორც ეს ტერმინი *ლემონის ტესტშია* გამოყენებული. მეტიც, უზენაესი სასამართლო ასახელებს ორ შემთხვევას, როცა სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი რელიგიას და მესამე შემთხვევას, როცა მას შეუძლია ასე მოიქცეს.

პირველი – უზენაესი სასამართლოს განმარტებით, დაწესების კლაუზულა კრძალავს არა მხოლოდ რელიგიის ხელშეწყობით მოტივირებულ სახელმწიფო ქმედებას, არამედ რელიგიისადმი მტრულ დამოკიდებულებასა და მის შეზღუდვასაც. სასამართლო აგრეთვე აცხადებს, რომ სახელმწიფოს „ნეიტრალობა“ რელიგიის მიმართ პირველი შესწორების უმთავრესი მიზანია. შტატი, რომელიც აღმოაჩენს, რომ მისი მოხელეები ხელყოფენ რელიგიას, ვალდებულია ეს აღკვეთოს, თუნდაც რელიგიის ნახალისების გზით. აქედან გამომდინარე, თუ ლუიზიანის საკანონმდებლო ხელისუფლებას მიაჩნია, რომ შტატის მასწავლებლები არაკეთილგანწყობილნი არიან რელიგიისადმი, მას შეუძლია აღკვეთოს ეს დამოკიდებულება ლემონის მიზნის ტესტთან კონფლიქტის გარეშე.

მეორე, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხანდახან მიზანმიმართულ სახელმწიფო მხარდაჭერას აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა მოითხოვს. ზოგიერთ ვითარებაში შტატმა სათანადო პირობები უნდა შეუქმნას მოქალაქეთა რწმენას მათი ზოგადი დანიშნულების რეგულაციებისგან გათავისუფლებით. ამრიგად, ლუიზიანის კანონმდებლების მოტივაცია არ მოდის წინააღმდეგობაში ლემონის მიზნის ტესტთან.

უზენაეს სასამართლოს აგრეთვე მიუღია გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ზოგიერთ ვითარებაში სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს რელიგიის ადაპტაცია მაშინაც, თუ ამის საჭიროება პირველი შესწორების მოთხოვნებით არ არის განპირობებული. გარკვეულ დონეზე ასეთი ადაპტაცია შესაძლოა გადაიზარდოს რელიგიის უკანონო ნახალისებაში, თუმცა ზუსტი ზღვარის გავლება არასოდეს მომხდარა. აქედან გამომდინარე სადავო აქტის მიღება რელიგიის ხელშეწყობითაც რომ ყოფილიყო მოტივირებული და არა აღმსარებლობის თავისუფლების ან დაწესების კლაუზულების მოთხოვნების დაცვით, შესაძლოა ამ ქმედებას მაინც დაეკმაყოფილებინა *ლემონის მიზნის ტესტი*.

მოსამართლე სკალია ამის შემდეგ უშუალოდ განიხილავს აქტის მიღების მიზეზებს. იმ მწირი ინფორმაციის მიუხედავად, რომელიც ამ აქტის შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა, სკალია ასკენის, რომ გადაწყვეტილება აქტის მთლიანად რელიგიური დანიშნულების შესახებ არამართებულია. სასამართლო არასწორად განმარტავს რამდენიმე საკითხს. ის ვარაუდობს, რომ „აკადემიური თავისუფლება“ ნიშნავს „მასწავლებლების თავისუფლებას, ასწავლონ ის, რაც სურთ“, თუმცა ამ კონტექსტში „აკადემიურ თავისუფლებას“ მოქმედების ვინრო სფერო აქვს სტრუქტურირებულ დანყებით და საშუალო სასწავლო კურიკულუმებში,

რომლებსაც ეს აქტი შეეხება. სინამდვილეში „აკადემიური თავისუფლება“ გულისხმობს მოსწავლეების თავისუფლებას ინდოქტრინაციისგან. საკანონმდებლო ხელისუფლება მიზნად ისახავდა მოსწავლეების თავისუფლების უზრუნველყოფას, სამეცნიერო მტკიცებულებების პროპორციული გაცნობის საფუძველზე თავად გადაწყვიტათ, თუ როგორ გაჩნდა სიცოცხლე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონმდებლები ცდილობდნენ, დაეცვათ თითოეული მოსწავლის უფლება, ნებაყოფლობით გადაეწყვიტა, რისი სწამდეს, სახელმწიფოსგან ყოველგვარი ზენოლის გარეშე.

იმ შემთხვევაშიც თუ დადგინდება, რომ ლუიზიანის საკანონმდებლო ორგანოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა აქტს ქრისტიანულ ფუნდამენტალისტური იდეების ხელშეწყობის განზრახვით, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით ეს არ არის საკმარისი აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადებისთვის, იმდენად რამდენადაც კანონი საერო მიზნებსაც ისახავდა, რისი ეჭვქვეშ დაყენების საფუძველიც სასამართლოს არ აქვს. მოსამართლე სკალია სასამართლოს მზადყოფნას ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად მიანერს რეაქციას საქმეზე *სკოუპსი ტენესის შტატის წინააღმდეგ*,<sup>280</sup> რომ სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნები, რომლებიც ევოლუციის თეორიის სწავლებაზე ახდენს გავლენას აუცილებლად ქრისტიანულ ფუნდამენტალისტურ რეპრესიას უნდა წარმოადგენდეს. ამ საქმეში, სკალიას აზრით, სწორედ სასამართლოს პოზიციას რეპრესიული. ლუიზიანელებს აქვთ უფლება, მათ სკოლებში წარმოდგენილი იყოს ევოლუციური თეორიის საწინააღმდეგო ნებისმიერი მეცნიერული მტკიცებულება. შესაძლოა ლუიზიანის საკანონმდებლო ორგანოს მოქმედება არაკონსტიტუციური იყოს, რადგან მის მიერ დაწესებული პროგრამა ფაქტობრივად მხოლოდ ბიბლიის „დაბადების“ წიგნის პრეზენტაციას გულისხმობს. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც შეიცავს უტყუარ მტკიცებულებას, რომ კრეაციონიზმი მეცნიერული ცოდნის ნაწილია და არა გარკვეული რწმენის გამოვლინება. ასევე წარმოუდგენელია იმის მტკიცება, რომ შეუძლებელია არსებობდეს ევოლუციური თეორიის საწინააღმდეგო მტკიცებულებები და ამიტომ კანონში ფორმულირებული მიზანი სიცრუედ უნდა ჩავთვალოთ.

მოსამართლე სკალიას აზრით, პროპორციული სწავლების აქტს (გასაჩივრებული კანონი) ჰქონდა საერო მიზანი, რაც *ლემონის ტესტის* ძირითადი მოთხოვნაა; აქედან გამომდინარე, ის უფრო მართებულად ჩათვლიდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ქვემდგომ სასამართლოში დაბრუნებას ხელახალი განხილვისთვის.

აღსანიშნავია სასამართლოს თავმჯდომარის მიერ *უოლასის* საქმეში გამოთქმული *ლემონის ტესტის* კრიტიკა, განსაკუთრებით კი „მიზნის ელემენტისა“: „ეს კონსტიტუციური თეორიაა, რომელიც არ ეფუძვნება პირველი შესწორების ისტორიას – სახელდობრ რის ახსნასაც ის ცდილობს“.

უზენაესმა სასამართლომ შექმნა დაწესების კლაუზულის იმდენად დამაბნეველი ინტერპრეტაცია, რომ თვით ყველაზე კეთილსინდისიერ საჯარო მოხელეებსაც გაუჭირდებოდათ იმის განჭვრეტა, რა მოტივების საფუძველზე ჩაითვლება მათი ქმედება არაკონსტიტუციურად. სასამართლო ამბობს, რომ სახელმწიფომ არ შეიძლება იმოქმედოს რელიგიის მხარდაჭერის განზრახვით, თუ მას აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა არ აიძულებს, ასევე გამოაკლისა სახელმწიფოს მხრიდან რელიგიისადმი მტრული დამოკიდებულების აღმოფხვრა, ან რელიგიური ქცევის ადაპტაციის უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს რელიგიის ხელშეწყობით მთავრდება, რაც, რასაკვირველია, არაკონსტიტუციურია. მაგრამ თუკი შესაძლებელია კანონის ობიექტური მიზნის, ან თუნდაც კანონშემოქმედთა ფორმალური მოტივაციის დადგენა, ამ უკანასკნელთა სუბიექტური მოტივების განსაზღვრა პრაქტიკულად

შეუძლებელია. შესაძლო მოტივიციათა რაოდენობა უსაზღვროა. მოცემულ საქმეში სრულე-  
ბით არ არის აუცილებელი, კანონმდებელს აქტისთვის ხმა იმის გამო მიეცა, რომ მას რელიგიის  
მხარდაჭერა სურდა. შესაძლოა ის ფიქრობდა, რომ ეს აქტი მის ოლქში სამუშაო ადგილებს  
შექმნიდა, ან შეიძლება აქტის ინიციატორი იყო მისი მეგობარი, ან ის ამით უმრავლესობის  
ლიდერს „ვალს“ უბრუნებდა. კანონმდებლის ეს გადაწყვეტილება შესაძლოა გარკვეული  
ზენოლის შედეგიც იყო ან ის ამით სახელის მოხვეჭას ცდილობდა, ან კანონპროექტის მონი-  
ნააღმდეგე კანონმდებელს უსწორებდა ძველ ანგარიშს, ან შესაძლოა სულაც შემთხვევით  
დააჭირა ღილაკს „დიახ“ და ა. შ. ანუ ერთი კონკრეტული კანონმდებლის განზრახვის გამოც-  
ნობაც კი შეუძლებელია.

ამ კითხვებზე სათანადო პასუხების არარსებობის გამო, უზენაესმა სასამართლომ განსაზ-  
ღვრა, რომ კანონმდებლების სუბიექტური განზრახვის დადგენის მცდელობა სარისკო ინიცი-  
ატივაა და არა მხოლოდ მოსამართლეებისთვის, რომლებიც, საგარაუდოდ, შედეგს ვერ მიაღ-  
წევენ, არამედ კანონმდებლებისთვისაც, რომლებმაც უნდა შეაფასონ კანონის კონსტიტუ-  
ციური ვარგისიანობა არა საკუთარი გადაწყვეტილების ან კანონის შინაარსის საფუძველზე,  
არამედ იმის მიხედვით, თუ რა უტრიალებთ სხვებს თავში.

წარსულში უზენაესმა სასამართლომ დაწესების კლაუზულის სამარცხვინო იურისპრუ-  
დენციის გამართლება სცადა იმით, რომ ის „სიცხადესა და პროგნოზირებადობას წირავს  
მოქნილობის სასარგებლოდ“. მოსამართლე სკალა ფიქრობს, რომ დროა, „მოქნილობა“ დაე-  
თმოს „სიცხადისა და პროგნოზირებადობისთვის“. ამისათვის კარგი დასაწყისი იქნებოდა  
ლემონის მიზნის ტესტის უარყოფა, ტესტისა, რომელიც წინააღმდეგობას ქმნის აღმსარებლო-  
ბის თავისუფლების კლაუზულასა და დაწესების კლაუზულას შორის და რომელიც არ ეფუძ-  
ნება პირველი შესწორების ისტორიას.

**კრიტიკული აზროვნება არაკონსტიტუციურია?** ევოლუციის თეორიის შესახებ კამათი  
დღესაც მიმდინარეობს. ედვარდსის საქმიდან შვიდი წლის შემდეგ ლუიზიანის ადგილობრივმა  
სკოლის საბჭომ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „დაწყებით თუ საშუალო სკოლაში ევოლუციის  
მეცნიერული თეორია ნებისმიერი სახის მასალების გამოყენებით ან ზეპირი გადმოცემის  
საშუალებით უნდა ისწავლებოდეს. ევოლუციის სამეცნიერო თეორიის სწავლება მოსწავლე-  
ებისთვის მეცნიერული კონცეფციების გასაცნობადაა გამიზნული და არა სამყაროს შექმნის  
ბიბლიურ ვერსიაზე ან სხვა ნებისმიერ თეორიაზე ზეგავლენის მოსახდენად. თითოეული მოს-  
წავლის ფუნდამენტური უფლება და პრივილეგიაა, ჰქონდეს საკუთარი რწმენა ან იზიარებდეს  
მშობლების შეხედულებებს სიცოცხლისა და მატერიის წარმოშობის ამ მეტად მნიშვნელოვან  
საკითხზე. მოსწავლეებმა კრიტიკულად უნდა იაზროვნონ, მოიძიონ ყველანაირი ინფორმაცია  
და საკუთარი აზრის ჩამოსაყალიბებლად ყველა ალტერნატივა უნდა განიხილონ“.

საოლქო სასამართლომ კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობის მიზანი თვალთმაქცობად  
მიიჩნია. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ რეზოლუციას არასაკმარისი საერო მიზანი ჰქონდა  
და სკოლის საბჭოს აუკრძალა მისი აღსრულება (*Freiler v. Tangipachoa Parish Board of  
Education*, 975 F. Supp. 819 E.D. La. 1997)

### სასკოლო საკუთრების გამოყენება რელიგიაზე სასაუბროდ

ნიუ-იორკის ერთ-ერთმა სასკოლო ოლქმა კერძო ჯგუფებს უფლება მისცა, სკოლის შენო-  
ბები დაექირავებინათ გაკვეთილების შემდეგ. ერთ-ერთმა რელიგიურმა ჯგუფმა სურვილი  
გამოთქვა, სკოლის შენობა გამოეყენებინა ფილმების ჩვენებისა და დისკუსიებისათვის ოჯა-  
ხურ ღირებულებებზე რელიგიურ ჭრილში. ოლქმა აღნიშნულ ჯგუფს უარი განუცხადა საჯა-  
რო სკოლის შენობით სარგებლობაზე მათი ღონისძიების რელიგიური შინაარსის გამო. საქმეში

ლემბს ჩაპელი მორიკეს ცენტრალური კავშირის თავისუფალი სასკოლო ოლქის წინააღმდეგ<sup>281</sup> სასამართლომ აღიარა, რომ არდანესების კლაუზულის დაცვა შეიძლება იყოს საკმარისად სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესი, რათა გაამართლოს გამოხატვის შინაარსობრივი შეზღუდვები, თუმცა არ გამოდგება რელიგიურ გამოხატვაზე ისეთი სახელმწიფო შეზღუდვების დანესების გასამართლებლად, როდესაც რელიგიური გამოხატვა არ არის შტატის მიერ მხარდაჭერილი, ხორციელდება სახელმწიფო საკუთრების ტერიტორიაზე, რომელიც ღიაა საჯარო სიტყვისთვის, ხოლო ნებართვა აღებულია იმავე საგანაცხადო პროცედურის გავლის შედეგად, როგორც სხვა ჯგუფების შემთხვევაში. სასამართლოს აზრით, განსხვავება აკრძალულ სახელმწიფო გამოხატვას, რომელიც რელიგიას უჭერს მხარს და იმავე შინაარსის დაცულ კერძო გამოხატვას შორის იგივეა, რაც ლინჩის და ვიდმარის<sup>282</sup> საქმეებს შორის არსებული განსხვავება. ამგვარად, კერძო რელიგიური გამოხატვა ისევეა დაცული სიტყვის თავისუფლების კლაუზულით, როგორც საერო კერძო გამოხატვა და საჯარო სკოლის შენობის გამოყენება კერძო რელიგიური ჯგუფის მიერ ნეიტრალურ პირობებში არ არის დაუშვებელი ლემონის ტესტის რომელიმე ელემენტით.

**ლემონის ტესტის სიცოცხლისუნარიანობა.** მკვლევრები მუდმივად აკრიტიკებენ ლემონის ტესტს, ხოლო მხარეები სასამართლოსგან მასზე უარის თქმას მოითხოვენ. საქმეში ლემბს ჩაპელი მოსამართლე სკალია აღნიშნავდა, რომ „ვითარცა ვამპირი საშინელებათა ფილმში, ლემონის ტესტი მუდმივად უკან დაჰყვება დანესების კლაუზულის იურისპრუდენციას და აფრთხობს სასკოლო ოლქების მოსწავლეებსა და იურისტებს“. უზენაესმა სასამართლომ საქმეში ლი ვაისმანის წინააღმდეგ<sup>283</sup> ამკარად აარიდა თავი ამ ტესტის გამოყენებას, მაგრამ არც მის უარყოფას დათანხმდა. სკალიას აზრით, ლემონის ტესტის გადარჩენის საიდუმლო მისი ადვილად დასამარების შესაძლებლობაშია. როდესაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იმ საქმიანობის დაგმობა სურთ, რომელსაც ტესტი კრძალავს, მიმართავენ მას და როცა ასეთი საქმიანობის მხარდაჭერა სურთ – სრულიად უგულებელყოფენ ტესტს. ხანდახან უზენაესი სასამართლო შუალედური პოზიციის დაჭერასაც ახერხებს და ტესტს მხოლოდ დამხმარე მექანიზმად იხსენიებს. „ასეთი სასარგებლო „ურჩხული“ ნამდვილად უნდა გყავდეს გვერდში, სულ მცირე „მთვლემარე“ მდგომარეობაში, რა იცი, როდის დაგჭირდება“, აღნიშნავს მოსამართლე სკალია.

მოსამართლეები დღესაც ვერ თანხმდებიან ლემონის ტესტის სიცოცხლისუნარიანობაზე. ზოგიერთი მათგანი კვლავაც ამტკიცებს, რომ ის სასარგებლოა და არ „გარდაცვლილა“.

## უმაღლესი განათლება

### ინსტიტუციური ხელშეწყობა და სტუდენტების მხარდაჭერა

ასაკმა, წარმოადგენდა რა ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს ზოგადად აღმსარებლობის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებში, გადამწყვეტი როლი შეასრულა განათლების სფეროში. ტიტლტონის<sup>284</sup> საქმეში ძალზე ნათლად იქნა ჩამოყალიბებული საზღვარი, ერთი მხრივ, დანეებით და საშუალო და, მეორე მხრივ, პოსტ-საშუალო საგანმანათლებლო დანესებულებებს შორის. აღნიშნულ საქმეში წარმოდგენილი იყო კონგრესის მიერ მიღებული კანონი, რომელიც უზრუნველყოფდა ფედერალურ დახმარებას კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ნაგებობათა მშენებლობაში. კანონი შეიცავდა პირობას, რომლის მიხედვითაც დაუშვებელი იყო შენობათა გამოყენება რელიგიური ღვთისმსახურებისა და „რელიგიური სწავლებისათვის“ გრანტის მიღებიდან ოცი წლის განმავლობაში. სასამართლომ გააუქმა აღნიშნული პირობა იმ მოტივით, რომ ამ კანონით ირღვეოდა აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების არდანესების კლაუზულა.<sup>285</sup> კანონი დუმდა ფედერალური სუბსიდირების გზით აგებულ შენობებში



რელიგიურ შემოქმედებაზე. საქმეში მოპასუხის მხარეს წარმოადგენდა ოთხი კათოლიკური კოლეჯი, სადაც, აპელანტების მტკიცებით, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ შენობებში მიმდინარეოდა რელიგიური მსახურება.

### *ტილტონი რიჩარდსონის წინააღმდეგ*<sup>286</sup>

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბურგერმა სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებისას კანონის მიზნად დაასახელა „ამერიკელი ახალგაზრდების კოლეჯებით უზრუნველყოფა“, რაც გამოკვეთილი ლეგიტიმური საერო მიზანია.

სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ის არგუმენტი, რომ ეკლესიის მიერ მხარდაჭერილი საქმიანობისადმი ფინანსური დახმარების ნებისმიერი ფორმა არღვევს პირველი შესწორების რელიგიურ კლაუზულებს,<sup>287</sup> დიდი ხნის წინ იქნა უარყოფილი საქმეში ბრედფილდის რობერტსის წინააღმდეგ.<sup>288</sup> თავის მხრივ, კანონი საკმაოდ ფრთხილი იყო, რათა უზრუნველყო გრანტის მიმღები დაწესებულებებისათვის ფედერალურად სუბსიდირებული საშუალებების გამოყენება საერო და არა რელიგიური ფუნქციების შესასრულებლად.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბურგერის განცხადებით, საქმეში წარმოდგენილი შენობებიდან ორი ბიბლიოთეკას წარმოადგენდა, სადაც არ ტარდებოდა გაკვეთილები. დანარჩენი ნაგებობანი ლინგვისტური კაბინეტის, მეცნიერების, ასევე მუსიკის, დრამის და ხელოვნებისათვის იყო განკუთვნილი. არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ამ ნაგებობების რელიგიური მიზნით გამოყენებას. იმის მიუხედავად, რომ აპელანტებმა წარმოადგინეს რამდენიმე დოკუმენტი, რომელთა მიხედვითაც სწავლებაზე განსაზღვრული რელიგიური შეზღუდვები იყო დაწესებული, სხვა მტკიცებულებების თანახმად, ეს შეზღუდვები არ იყო ფაქტობრივად ცხოვრებაში გატარებული და კოლეჯები მაღალი დონის აკადემიური თავისუფლებით უფრო ხასიათდებოდა, ვიდრე რელიგიური ინდოქტრინაციით.

სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საყოველთაო დაკვირვების საფუძველზე კოლეჯის სტუდენტები ნაკლებად მგრძობიარე და დამყოლი არიან რელიგიური ინდოქტრინაციისადმი. გარდა ამისა, თავიანთი ჭეშმარიტი ბუნების წყალობით კოლეჯები და სხვა უმაღლესი სასწავლებლები გარკვეულწილად რელიგიური ზეგავლენის შესაძლებლობის ლიმიტირებას საკუთარი შიდა დისციპლინის წყალობით ახერხებენ. ეკლესიასთან ასოცირებული მრავალი კოლეჯი და უნივერსიტეტი აკადემიური თავისუფლების მაღალი ხარისხით გამოირჩევა და სტუდენტების თავისუფალ და კრიტიკულ აზროვნებას უწყობს ხელს.

ოთხივე კოლეჯს კათოლიკური რელიგიური ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ, ამასთანავე, ფაკულტეტები და სტუდენტური ორგანიზაციებიც, ძირითადად, კათოლიკურია. ამის მიუხედავად, არსებული მტკიცებულებების თანახმად, არაკათოლიკენიც დაიშვებიან ფაკულტეტებზე. არც ერთი დაწესებულება არ მოითხოვს თავისი სტუდენტებისგან რელიგიურ მსახურებაზე დასწრებას, თუმცა ოთხივე მათგანში სავალდებულოა თეოლოგიური კურსების გავლა, სადაც, კოლეჯების მტკიცებით, სწავლება საგნის აკადემიური მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდება.

ამ შემთხვევაში სახელმწიფოსა და ეკლესიის გადაჭარბებული ურთიერთკავშირი ასევე მცირდება მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი დახმარების არაიდეოლოგიური ხასიათით. სხვა მდგომარეობა იყო შექმნილი *ლემონისა* და *დი ჩენზოს*<sup>289</sup> საქმეებში, როდესაც სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მასწავლებლების დაფინანსება განხორციელდა როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზით. ვინაიდან მასწავლებლები არ არიან აუცილებლად რელიგიურად ნეიტრალური ინდივიდები, ძლიერი ზედამხედველობა იქნებოდა საჭირო სახელ-



მნიფოს მხრიდან იმისათვის, რომ ხსენებული სუბსიდირება რელიგიური სწავლების დაფინანსებაში არ გადაზრდილიყო. ჩვენს შემთხვევაში კი მთავრობა თავისთავად რელიგიურად ნეიტრალური საშუალებების უზრუნველყოფას ახდენს, რაც, შესაბამისად, ამცირებს სახელმწიფოს მიერ რელიგიის ფინანსირების რისკსა და სათანადო ზედამხედველობის განხორციელების აუცილებლობას.

დაბოლოს, რელიგიასთან სახელმწიფოს გადაჭარბებული ურთიერთკავშირის აღბათობას ამცირებს ის გარემოება, რომ ამ საქმეში არ არსებობს გრძელვადიანი ფინანსური ურთიერთობები, ყოველწლიური აუდიტები და მთავრობის ანალიზი შესაბამისი დაწესებულებების მიერ განეული ხარჯების საერო ხასიათის თაობაზე, არამედ მოცემულ შემთხვევაში მთავრობის დახმარება ერთჯერადია და მხოლოდ მშენებლობისათვის არის განკუთვნილი.

ბურგერის მითითებით, არც ერთი ამ სამი ფაქტორიდან არ მოითხოვს ინდივიდუალურ კონტროლს. ყოველი მათგანი მთავრობასთან ვინრო და შეზღუდულ ურთიერთობაზე მეტყველებს, რაც ნაკლებად ქმნის იმ რეალური საფრთხის რეალიზების შესაძლებლობას, რომლის თავიდან აცილებისთვისაც მოხდა რელიგიური კლაუზულების შემუშავება.

ტილტონის საქმესთან დაკავშირებით სხვა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს იმის გარკვევა, ხელს უშლის თუ არა კანონის იმპლემენტაცია რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობას პირველი შესწორების დარღვევით. აპელანტების მტკიცებით, დაირღვა აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა, რადგან მათ მიერ გადახდილი გადასახადებით ნაწილობრივ დაფინანსდებოდა გრანტები გასაჩივრებული კანონის საფუძველზე. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული კანონი არ არღვევს პირველი შესწორების რელიგიურ კლაუზულას, გარდა იმ პირობისა, რომელიც ოცნლიან შეზღუდვას აწესებს ნაგებობათა რელიგიური მიზნით გამოყენებაზე.

**სხვა საქმეები.** სამხრეთ კაროლინაში კანონის საფუძველზე სანქცირებულ იქნა ობლიგაციების გაცემა ნაგებობათა მშენებლობაზე (გარდა იმ შემთხვევისა, რომელთა გამოყენებაც ღვთისმსახურების ან რელიგიური სწავლებისათვის უნდა მომხდარიყო) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დახმარებისათვის. გადასახადების გადამხდელმა გაასაჩივრა ობლიგაციების გაცემა ჩარლსტონის ბაპტისტური კოლეჯის სასარგებლოდ. უზენაესმა სასამართლომ საქმეში *ჰანტი მაკნეირის წინააღმდეგ*<sup>290</sup> მხარი დაუჭირა კანონს და დაადგინა, რომ ის აკმაყოფილებდა *ლემონის* ტესტს, ვინაიდან მოსარჩელემ ძალზე სუსტი მტკიცებულება წარმოადგინა უშუალოდ ბაპტისტური კოლეჯის კურიკულუმზე. მოსამართლე ბრენანმა თავის განსხვავებულ აზრში, რომელსაც მოსამართლეები დუგლასი და მარშალი შეუერთდნენ, განაცხადა, რომ სახელმწიფოსგან ფულის სესხებით კოლეჯმა თავისი „საგანმანათლებლო, რელიგიური და ფისკალური საქმეები“ მთავრობის მხრიდან „ყოველისმომცველ და განგრძობად“ ზედამხედველობას დაუქვემდებარა.

მერილენდში შემოღებულ იქნა ყოველწლიური გრანტების პროგრამა შტატში მოქმედი ყველა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასარგებლოდ, გარდა იმ კოლეჯებისა და უნივერსიტეტებისა, რომლებიც თეოლოგიურ ხარისხებს ანიჭებდნენ თავიანთ სტუდენტებს. მიღებული თანხების გამოყენება დაუშვებელი იყო „რელიგიური მიზნებისათვის“. პროგრამის მართლობიერ განხორციელებაზე ზედამხედველობას მერილენდის უმაღლესი განათლების საბჭო ახორციელებდა. პროგრამის იმპლემენტაციის პირველ წელს ჩვიდმეტმა, მათ შორის ეკლესიასთან ასოცირებულმა ხუთმა დაწესებულებამ მიიღო გრანტი. გადასახადების ოთხმა გადამხდელმა მიმართა სასამართლოს ოთხი კათოლიკური კოლეჯის მიერ გრანტების მიღების აღკვეთის მოთხოვნით. საქმეში *როემერი მერილენდის საზოგადოებრივ საქმეთა საბჭოს წინააღმდეგ*<sup>291</sup> სასამართლომ მხარი დაუჭირა ხსენებულ პროგრამას.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბლექმუნმა, გამოიყენა რა *ლემონის* ტესტი, დაადგინა, რომ პროგრამას ჰქონდა საერო მიზანი კერძო უმაღლესი განათლების დახმარების სახით; მისი ძირითადი შედეგი არ იყო რელიგიის ხელშეწყობა, ვინაიდან სულიერი განვითარება ოთხივე კოლეჯში მეორეხარისხოვან მიზანს წარმოადგენდა და არც პოლიტიკური უთანხმოების გამონწვევის საფრთხე იყო მაღალი, რადგანაც სხვა კერძო დაწესებულებების სუბსიდირებაც ხორციელდებოდა. მოსამართლე სტივენსმა განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა და მიუთითა „სახელმწიფო სუბსიდიის დამლუპველ ტენდენციებზე, რომელიც რელიგიურ კოლეჯებს ცდუნების წინაშე აყენებდა, დათმობთ თავიანთი რელიგიური მისია მასზე სრულად უარის თქმის გარეშე“. ამის მიუხედავად, საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც მოსამართლის ხსენებულ შეხედულებას დაადასტურებდა. პირიქით, არსებული მასალების მიხედვით, პროგრამით მოსარგებლე კოლეჯებში სავალდებულო გახდა თეოლოგიური კურსები და ზოგიერთმა ლექტორმა ლექცია ლოცვითაც კი გახსნა.

**სტუდენტური დახმარების სახელმწიფო პროგრამები.** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს თითქმის ყველა შტატი უწევს განსაზღვრული ფორმის ფინანსურ დახმარებას როგორც გრანტების, ისე სუბსიდირებული სესხების სახით.

სპოკანის ქრისტიანული კოლეჯის სტუდენტმა ლარი ვიტერსმა ვაშინგტონის უსინათლოთა კომისიას მიმართა დახმარებისათვის. კომისია საჯარო დაწესებულება იყო, რომლის ფუნქციებში უსინათლოთათვის განათლების მიღებაში დახმარების განევა შედიოდა. ყველა სასწავლო კურსი, რომელთა გავლაც სტუდენტს სურდა, ემსახურებოდა სასულიერო პირად მის გახდომას. კომისიამ უარი განუცხადა ვიტერსს დახმარებაზე ვაშინგტონის კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც დაუშვებელი იყო შტატის თანხების გამოყენება „რელიგიური მსახურების, საქმიანობისა თუ სწავლებისათვის“. ვაშინგტონის უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა კომისიას, მაგრამ ფედერალური კონსტიტუციის საფუძველზე *ლემონის* ტესტის გამოყენებით. საქმეში ვიტერსი *უსინათლოთა მომსახურების ვაშინგტონის დეპარტამენტის წინააღმდეგ*<sup>292</sup> აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა შტატის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და დაუბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად. მოსამართლე მარშალმა მისწერა შტატის უზენაეს სასამართლოს, რომ პროგრამა შეესაბამებოდა *ლემონის* სამივე ტესტს. მისი განცხადებით, „ვაშინგტონის პროგრამით უზრუნველყოფილი ნებისმიერი დახმარება, რომელიც საბოლოოდ რელიგიური დაწესებულებებისკენ მიემართება, მხოლოდ დახმარების მიმღების გულწრფელად დამოუკიდებელი და კერძო არჩევანის შედეგია“.

რამდენიმე შტატი უარს აცხადებს იმ სტუდენტების დახმარებაზე, რომლებიც „რელიგიურ“ კოლეჯებში სწავლობენ (კოლორადო), თეოლოგიური ხარისხის მიღებას ისახავენ მიზნად (ვაშინგტონი), ან „რელიგიური ორდენების წევრები არიან და სწავლების იმ კურსს მისდევენ, რომელიც თეოლოგიური ღვთისმეტყველების ან რელიგიური განათლების ხარისხისკენაა მიმართული“ (ვისკონსინი). სასამართლომ *როემერის* საქმეში მხარი დაუჭირა მერილენდის სულადობრივი გრანტის პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფდა მრავალი კერძო კოლეჯის ფინანსურ დახმარებას. იმის მიუხედავად, რომ პროგრამაში მონაწილე კოლეჯების უმრავლესობა რელიგიურ დაწესებულებებთან არის ასოცირებული, მერილენდის უმაღლესი განათლების კომისიამ მეშვიდე დღის ადვენტისტების კოლეჯთან მჭიდრო კავშირის მქონე ლიბერალური ხელოვნების ერთ-ერთი კერძო კოლეჯი „ღრმად რელიგიურად“ მიიჩნია და უარი განუცხადა პროგრამაში მონაწილეობაზე. კოლეჯმა უჩივლა კომისიის წევრებს და ამტკიცებდა, რომ დაირღვა კოლეჯის უფლებები აღმსარებლობის თავისუფლებაზე, სიტყვის თავისუფლებაზე და თანაბარ დაცვაზე.

საოლქო, ისევე როგორც სააპელაციო, სასამართლომ დაადგინა, რომ კომისიის გადაწყვეტილებამ დაარღვია ერთი ან მეტი ხსენებული უფლება. ამის მიუხედავად, როემერის საქმეზე დაყრდნობით ორივემ დაასკვნა, რომ კოლეჯის გამორიცხვა პროგრამაში მონაწილეობისაგან შეიძლებოდა გამართლებული ყოფილიყო მერილენდის შტატის სასიცოცხლო ინტერესით, ცხოვრებაში გაეტარებინა ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციის კონსტიტუციური დებულება იმის უზრუნველსაყოფად, რომ „ღრმად რელიგიურმა“<sup>293</sup> დაწესებულებებმა არ ისარგებლონ სახელმწიფო ფონდებიდან. სააპელაციო სასამართლომ დანიშნა მოსმენა სპეციალურად იმის გასარკვევად, კოლეჯი „ღრმად რელიგიური“ იყო თუ არა. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე დიანა მოცმა განაცხადა, რომ სასამართლოს უნდა გაერკვია, „აქვს თუ არა მნიშვნელობა კოლეჯისთვის რელიგიურ პრინციპებს“ და „არის თუ არა რელიგიური ინდოქტრინაცია მეორეხარისხოვან მიზანზე მეტი“. თუმცა გაურკვეველია, რამდენად ლეგიტიმურია საერო სასამართლოს მიერ მსგავსი გამოკვლევის ჩატარება ან, თუ კოლეჯის სტუდენტების დიდი ნაწილი რელიგიურია, უნდა შეწყვიტოს თუ არა შტატმა კოლეჯის დაფინანსება. სასამართლოს განცხადებით, ვინაიდან კოლეჯის 1172 სტუდენტიდან მხოლოდ 400 იღებდა მონაწილეობას სავალდებულო რელიგიურ მსახურებებში, ეს კოლეჯი შესაძლოა განხილულიყო როგორც არა ღრმად რელიგიური. თუმცა ასევე გაურკვეველია, დაემუქრება თუ არა კოლეჯის დაფინანსებას საფრთხე, რელიგიურ მსახურებაზე დამსრუთა რაოდენობა ხუთასამდე რომ გაიზარდოს.

სასამართლოს თავმჯდომარე უილიკინსონმა უმრავლესობისაგან განსხვავებული აზრი გამოთქვა. მისი მტკიცებით, სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად რელიგიურ დაწესებულებებს არ ექნებათ ნათელი წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ როდის შეიძლება ჩაითვალოს ღრმად რელიგიურად. ახლა უკვე სამივე კათოლიკურ კოლეჯს, რომლებიც დღეს იღებენ დაფინანსებას სახელმწიფოსგან, მოუწევთ იმაზე ნერვიულობა, რომ არ გადაღახონ რელიგიურობის ზღვარი, რათა არ შეღახონ სახელმწიფო ინტერესები. „ღრმად რელიგიურობის ტესტი უკვე უხერხულ პოზიციაში აყენებს სასამართლო ხელისუფლებას, მოითხოვს რა მისგან, განსაზღვროს, თუ რაოდენ რელიგიურია ესა თუ ის დაწესებულება და გარკვეულწილად თვითნებური საზღვრები გაავლოს ... უმრავლესობამ, საოლქო სასამართლოს იძულებისას, მსგავსი პროცესი გაემართა, ფაქტობრივად ჩაითრია სახელმწიფო რელიგიური მრწამსის დეტალურ გამოკვლევაში“.

### თანაბარი ხელმისაწვდომობა

ტილტონის საქმეზე გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მისურის უნივერსიტეტის კურატორიუმმა მიიღო რეგულაცია, რომელიც კრძალავდა საუნივერსიტეტო ნაკვეთებისა და შენობების გამოყენებას „რელიგიური ღვთისმსახურების ან სწავლებისათვის“. რეგულაციის მიღებიდან 5 წლის განმავლობაში ერთ-ერთი რეგისტრირებული რელიგიური ჯგუფი რეგულარულად იღებდა ნებართვას შეკრებების გამართვაზე უნივერსიტეტის შენობებში. 1977 წელს დეკანმა გარი ვიდმარმა უარი განუცხადა ჯგუფს შეკრებაზე 1972 წელს მიღებული რეგულაციის საფუძველზე. უნივერსიტეტის თერთმეტმა სტუდენტმა უჩივლა დეკანს ფედერალურ სასამართლოში. მოსარჩელეთა მტკიცებით, რეგულაცია რელიგიური საქმიანობისა და გამოხატვის დისკრიმინაციას ახდენდა და არღვევდა მათ უფლებებს რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობაზე, თანაბარ ხელმისაწვდომობასა და სიტყვის თავისუფლებაზე. საოლქო სასამართლომ მხარი დაუჭირა რეგულაციას და არდანესების კლაუზულის საფუძველზე იგი არა მარტო გამართლებულად ცნო, არამედ სავალდებულოდაც. ამის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება და

რეგულაცია რელიგიური გამოხატვისადმი დისკრიმინაციულად გამოაცხადა. მისი განცხადებით, არდანების კლაუზულა არ გამოიციხავს თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს, რადგან უმაღლესი განათლების კონტექსტი გულისხმობს, რომ საუნივერსიტეტო საშუალებები ღიაა ნებისმიერი სახის სტუდენტური ჯგუფებისათვის. სააპელაციო სასამართლოს მიხედვით, ამ პრინციპის „ძირითად შედეგს“ წარმოადგენს არა რელიგიის ხელშეწყობა, არამედ სტუდენტების „სოციალური და კულტურული ცნობიერებისა და ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობის“ განვითარების ნეიტრალური მიზნის მხარდაჭერა.

*ვიდმარი ვინსენტის წინააღმდეგ*<sup>294</sup>

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, სტუდენტური ორგანიზაციების საქმიანობის წახალისება მისურის უნივერსიტეტის გაცხადებულ პოლიტიკას წარმოადგენს. უნივერსიტეტი ოფიციალურად აღიარებს სტუდენტებისგან შემდგარ ასამდე ჯგუფს. იგი რეგულარულად უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო შენობებს რეგისტრირებული ორგანიზაციების შეკრებებისათვის. მსგავსი პოლიტიკით უნივერსიტეტმა შექმნა ფორუმი, რომელიც ღიაა სტუდენტური ჯგუფებისათვის. კონსტიტუცია კი კრძალავს სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებისათვის ნებისმიერი გამონაკლისების დაწესებას ღია ფორუმიდან.<sup>295</sup> უდავოა, რომ პირველი შესწორებით განმტკიცებული უფლებები გამოხატვასა და შეკრებაზე უნივერსიტეტის ტერიტორიაზეც ვრცელდება. მისურის უნივერსიტეტმა დისკრიმინაციული დამოკიდებულება გამოიჩინა სტუდენტური ჯგუფების სურვილისადმი, გამოეყენებინათ საზოგადოდ ღია ფორუმი რელიგიური მსახურებისა და მსჯელობის განხორციელებისათვის, რაც პირველი შესწორებით დაცულ გამოხატვასა და გაერთიანების ფორმებს წარმოადგენს. ამის გამო საკუთარი დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამართლებისათვის უნივერსიტეტმა უნდა აჩვენოს, რომ მისი რეგულაცია აუცილებელია სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესის უზრუნველსაყოფად და ვინაოდ არის მიზანმიმართული გაცხადებული მიზნების მისაღწევად. უნივერსიტეტის მტკიცებით, სასიცოცხლო ინტერესი სახელმწიფოსა და ეკლესიის მტკიცე გამიჯვნაში მდგომარეობს. უნივერსიტეტის განცხადებით, მას არ შეუძლია შესთავაზოს რელიგიურ ჯგუფებს საუნივერსიტეტო შენობებით სარგებლობა სხვა ჯგუფებთან თანაბარ საფუძვლებზე აშშ-ს კონსტიტუციის დანების კალუზულის დარღვევის გარეშე. სასამართლოს თანახმად, უდავოა, რომ უნივერსიტეტის სურვილი, შეასრულოს კონსტიტუციური ვალდებულებები, შეიძლება შეფასდეს, როგორც სასიცოცხლო. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ „თანაბარი ხელმისაწვდომობის“ პრინციპი შეუსაბამოა რელიგიაზე სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან, რომლის მიხედვითაც პრინციპი არ დაარღვევს კონსტიტუციას, თუკი დააკმაყოფილებს *ლემონის* სამი ელემენტისგან შემდგარ ტესტს: „სახელმწიფოს მიერ მიღებულ ნორმას საერო საკანონმდებლო მიზანი უნდა გააჩნდეს; მის ძირითად შედეგს არ უნდა წარმოადგენდეს არც რელიგიის ხელშეწყობა და არც მისთვის ხელის შეშლა; დაბოლოს, იგი არ უნდა ახდენდეს რელიგიასთან სახელმწიფოს ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის სტიმულირებას“.

ამ საქმეში მოცემული ტესტის ორი პირობა უდავოდ დაკმაყოფილებულია. როგორც საოლქო, ისე სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ ღია ფორუმის პოლიტიკას, რელიგიური გამოხატვისადმი არადისკრიმინაციული დამოკიდებულების ჩათვლით, საერო მიზანი აქვს და თავიდან გვაცილებს ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირს რელიგიასთან. ამის მიუხედავად, როგორც საოლქო სასამართლოს დასკვნით, ისე უნივერსიტეტის მტკიცებით, რელიგიური ჯგუფებისათვის შეზღუდული საჯარო ფორუმის ხელმისაწვდომობის ნების დართვის „ძირითადი შედეგი“ სწორედ რელიგიის ხელშეწყობა იქნებოდა.

უნივერსიტეტის ხსენებული არგუმენტი საქმის არსის არასწორ გააზრებას ემყარება. მთავარი კითხვა, რომელსაც სასამართლომ უნდა გასცეს პასუხი, არ მდგომარეობს იმაში, დაარღვევს თუ არა დანესების კლაუზულას რელიგიური ფორუმის შექმნა. ვინაიდან უნივერსიტეტმა სტუდენტური ჯგუფების სარგებლობისათვის ღიად გამოაცხადა თავისი საკუთრება, ძირითადი საკითხი ის არის, აქვს თუ არა უნივერსიტეტს აღნიშნული სისტემიდან ცალკეული ჯგუფების (მათი გამოხატვის შინაარსის გამო) გამორიცხვის უფლებამოსილება. სავარაუდოდ, რელიგიური ჯგუფები გაკვეთულ სარგებელს საუნივერსიტეტო ფართის ხელმისაწვდომობით მართლაც მიიღებენ, მაგრამ, სასამართლოს განმარტებით, რელიგიური ორგანიზაციის მიერ მხოლოდ „შემთხვევითი“ სარგებლის მიღება არ არღვევს აკრძალვას რელიგიის „პირდაპირ ხელშეწყობაზე“. უზენაესმა სასამართლომ ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე გაამახვილა ყურადღება. პირველი – სახელმწიფო უნივერსიტეტში ღია ფორუმის არსებობა არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ რელიგიური სექტების სანქცირებად; მეორე – ფორუმი ხელმისაწვდომია როგორც არარელიგიური, ისე რელიგიური სტუდენტების ფართო წრისათვის: ასამდე აღიარებული სტუდენტური ჯგუფი არსებობს მისურის უნივერსიტეტში. სარგებლის მიღება ჯგუფების ასეთი ფართო სპექტრისათვის მნიშვნელოვან საერო შედეგზე მიუთითებს. სასამართლოს განცხადებით, თუ დანესების კლაუზულით აკრძალვებოდა საზოგადო სარგებლის გავრცელება რელიგიურ ჯგუფებზე, მაშინ ვერც „ეკლესია იქნებოდა დაცული პოლიციის ან სახანძრო განყოფილების მიერ“.

უნივერსიტეტის მტკიცებით, მას აქვს მისურის კონსტიტუციის დებულებათა დაცვის სასიცოცხლო ინტერესი, თუმცა ასევე ნათელია, რომ მისურის შტატი ბევრად უფრო შორს წავიდა რელიგიისთვის სახელმწიფოს არაპირდაპირი დახმარების აკრძალვის სფეროში, ვიდრე თვით ფედერალური კონსტიტუცია. შტატის ინტერესი (გამოხატული სახელმწიფოსა და ეკლესიის სეპარაციაში, რაც უკვე უზრუნველყოფილია ამის ამკრძალავი ფედერალური კონსტიტუციის კლაუზულით) იზღუდება აღმსარებლობის თავისუფლების, ხოლო ამ კონკრეტულ საქმეში სიტყვის თავისუფლების კლაუზულითაც. ამის გათვალისწინებით უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შტატის ინტერესი არ არის საკმარისად „სასიცოცხლო“, რათა რელიგიური გამოხატვის საფუძველზე გაამართლოს დისკრიმინაცია და დაამტკიცა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

\* \* \*

სხვა საქმეში *მიულერი აღენის წინააღმდეგ* უზენაესი სასამართლოს მოსამართლე რენკვისტმა აღნიშნა, რომ საგადასახადო გამოქვითვა საგანმანათლებლო ხარჯებისთვის ნეიტრალურ ნიადაგზე ხელმისაწვდომი იყო სარგებლის მიმღებთა ფართო სპექტრისთვის. მან აღნიშნული ფინანსური სარგებელი შეადარა სწორედ *ვიდმარის* საქმეში წარმოდგენილ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს საჯარო ფორუმის როგორც რელიგიური, ისე არარელიგიური სტუდენტების თანაბარი ხელმისაწვდომობა. თუმცა ცალკეულ მოსამართლეთა საქმეში არსებული განსხვავებული აზრები მიუთითებს კრიტიკულ განსხვავებაზე ნეიტრალურ ნიადაგზე სასაუბრო ფორუმების ხელმისაწვდომობასა და რელიგიური იდეების ხელშეწყობის მიზნით ეკონომიკურად ღირებული მომსახურების უზრუნველყოფას შორის.

1990 წელს რონალდ როზენბერგერმა და ვირჯინიის უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებმა დააარსეს დამოუკიდებელი სტუდენტური ორგანიზაცია. ეს ნიშნავდა, რომ ორგანიზაციას, მართალია, უნივერსიტეტის კონტროლს გარეთ, შეეძლო მოეთხოვა ორგანიზაციის მიზნები-



სათვის განეული ხარჯების ანაზღაურება. მის მიზნებს კი წარმოადგენდა „ჟურნალის გამოქვეყნება, რელიგიურ და ფილოსოფიურ გამოხატვაზე მსჯელობის ხელშეწყობა ქრისტიანული შეხედულებებისადმი მგრძობიარე და ტოლერანტული დამოკიდებულების ატმოსფეროს სტიმულირების მიზნით, ასევე სხვადასხვა კულტურების წარმომადგენელ ქრისტიანთა ერთიანი კერის უზრუნველყოფა“. ორგანიზაცია მართლაც ბეჭდავდა ჟურნალს სახელწოდებით *ქრისტიანული პერსპექტივა ვირჯინიის უნივერსიტეტში*. გამომცემლებმა ჟურნალს ორმაგი მისია დააკისრეს: ქრისტიანების მიერ თავიანთი მრწამსის შესაბამისად ცხოვრების უზრუნველყოფა და სტუდენტების აზროვნების ნახალისება იმ საკითხისადმი, თუ რას ნიშნავს პერსონალური ურთიერთობა იესო ქრისტესთან. ჟურნალის ყველა გვერდი და სტატია ფვრიით იყო აღნიშნული. ჟურნალის სარეკლამო ნაწილები ასევე ქრისტიანული ხასიათისა იყო. უმრავლეს შემთხვევაში რეკლამების შემკვეთები ეკლესიები, ქრისტიანული სწავლების ცენტრები ან ქრისტიანული წიგნების მაღაზიები იყვნენ.

ორგანიზაციამ სტუდენტური აქტივობების ფონდისგან ბეჭდვითი ხარჯების ანაზღაურება მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო იმის საფუძველზე, რომ ჟურნალი „განსაზღვრული მრწამსისათვის ხელშეწყობას ან მის გამოხატვას“ ემსახურებოდა. შემდგომში მიმართვა წარედგინა მთლიანად სტუდენტურ საბჭოს, თუმცა ამ უკანასკნელმაც უარი განაცხადა მის დაკმაყოფილებაზე ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

შიდასაუნივერსიტეტო საშუალებების ამონურვის შემდეგ ორგანიზაციამ, ჟურნალის სამმა რედაქტორმა და წევრებმა სარჩელით მიმართეს ფედერალურ სასამართლოს იმ მოტივით, რომ ჟურნალის პუბლიკაციათა ბეჭდვითი ხარჯების ანაზღაურებაზე უარი მხოლოდ მისი რელიგიური ხასიათის გამო წარმოადგენდა მათი უფლებების დარღვევას სიტყვის, პრესისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე, ასევე კანონის საფუძველზე თანაბარ დაცვაზე. საოლქო სასამართლომ უნივერსიტეტის სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ ადგილი არ ჰქონდა დაუშვებელ შინაარსობრივ დისკრიმინაციას. სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა საოლქო სასამართლოს და მიუთითა, რომ საუნივერსიტეტო წესები, რომლებიც კრძალავდა რელიგიური საქმიანობის დაფინანსებას, მართლაც ახდენდნენ დისკრიმინაციას შინაარსობრივ ნიადაგზე. მაგრამ, ამავე დროს, სასამართლომ დაამტკიცა საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მიხედვით, დისკრიმინაცია გამართლებული იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის „სასიცოცხლო ინტერესით“. საქმემ აშშ-ს უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლა. ძირითადი საკითხი, რომელიც უზენაეს სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, მდგომარეობდა იმის გარკვევაში, ავალდებულებს თუ არა „დანესების კლაუზულა“ სახელმწიფო უნივერსიტეტს, მხოლოდ რელიგიური შეხედულებების ნიადაგზე გამორიცხოს სტუდენტური პუბლიკაცია სტუდენტური აქტივობების ფონდის პროგრამაში მონაწილეობისაგან სხვა ხელშემშლელი გარემოებების არარსებობის პირობებში.

*როზენბერგერი ვირჯინიის უნივერსიტეტის წინააღმდეგ<sup>296</sup>*

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც მოსამართლე კენედიმ გამოაცხადა, სახელმწიფოს თავისთავად არ აქვს აზრის გამოხატვის რეგულირების უფლება მისი შინაარსის ან იმ „მესიჯის“ საფუძველზე, რომელსაც ეს გამოხატვა შეიცავს. გარდა ამისა, კერძო გამოხატვის სფეროში სახელმწიფოს რეგულირებამ ერთი პირი მეორის მიმართ უპირატეს მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს. საქმეში *ტერნერის მაუწყებლობის სისტემა კავშირგაბმულობის ფედერალური კომისიის წინააღმდეგ<sup>297</sup>* კი დისკრიმინაცია გამოხატვის



წინააღმდეგ მასში არსებული „მესიჯის“ გამო ანტიკონსტიტუციურად იქნა პრეზუმირებული. აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს თვალსაზრისით, სახელმწიფო არღვევს პირველ შესწორებას, როდესაც ფინანსურ ტვირთს აკისრებს ინდივიდებს მათი გამოხატვის შინაარსის ნიადაგზე. როდესაც სახელმწიფოს სამიზნეს წარმოადგენს არა განსაზღვრული საგანი, არამედ პირთა შეხედულებები მასზე, პირველი შესწორების დარღვევა უფრო თვალსაჩინოა. დისკრიმინაცია შეხედულების საფუძველზე შინაარსობრივი დისკრიმინაციის ყველაზე უსამართლო ფორმას წარმოადგენს.

საქმეზე, რომელიც სასკოლო შენობის საშუალებების კერძო გამოყენების თაობაზე სასკოლო ოლქის დებულებას შეეხებოდა, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ოლქი, ქონების მესაკუთრის მსგავსად, უფლებამოსილი იყო, კანონიერად დაექვემდებარებინა მისი გამოყენება თავისი კონტროლისათვის, იმ პირთა მიერ ამ ქონების გამოყენების მიზნით, რომელთა სარგებლობისთვისაც იყო ის განკუთვნილი;<sup>298</sup> ვინაიდან სახელმწიფომ შეზღუდული ფორუმი ღიად გამოაცხადა, ის ვალდებულია, პატივი სცეს იმ სამართლებრივ საზღვრებს, რომლებშიც საკუთარი თავი მოაქცია; დაუშვებელია, სახელმწიფომ გამორიცხოს გამოხატვა, რომლის განსხვავებაც უმნიშვნელოა იმ მიზანთან მიმართებაში, რომელსაც ფორუმი ემსახურება, ან დისკრიმინაცია მოახდინოს შეხედულებების ნიადაგზე.

აქედან გამომდინარე, ისევე როგორც ლემბს ჩაპელის საქმეში, ყურნალის ბექდევითი ხარჯების ანაზღაურებაზე უნივერსიტეტის უარი უზენაესი სასამართლოს მიერ ინტერპრეტირებული იქნა, როგორც დისკრიმინაცია შეხედულების საფუძველზე. სასამართლოს განცხადებით, უნივერსიტეტს არ გამოურიცხავს რელიგია, როგორც ასეთი, პროგრამაში მონაწილეობიდან, არამედ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება გამოიჩინა რელიგიური შეხედულებების მქონე სტუდენტების ყურნალისტური ძალისხმევისადმი. რელიგია, შესაძლოა, გამოკვლევის ძალზე ფართო სფეროს წარმოადგენდეს, თუმცა იგი ასევე (როგორც ამ შემთხვევაში) განსაზღვრულ რაკურსსაც უზრუნველყოფს, რომლითაც მრავალფეროვანი საგნების მიმოხილვაა შესაძლებელი.

უნივერსიტეტის მტკიცებით, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი დისკრეცია იმის განსაზღვრად, თუ როგორ გაანაწილოს თავისი დეფიციტური რესურსები საკუთარი საგანმანათლებლო მისიის შესასრულებლად. უნივერსიტეტი დაეყრდნო უზენაესი სასამართლოს განცხადებას ვიდმარის საქმეში. სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილების კრიტიკისას უზენაესმა სასამართლომ განაცხადა: „ჩვენ კითხვის ნიშნის ქვეშ არ ვაყენებთ უნივერსიტეტის უფლებას, მიიღოს აკადემიური გადაწყვეტილებები, თუ როგორ გაანაწილოს შეზღუდული რესურსები“. თუმცა ეს ციტატა, სასამართლოს განმარტებით, მის მიერ მხოლოდ იმის აღიარებას გულისხმობდა, რომ შინაარსზე დაფუძნებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვს სახელმწიფოს და არა უნივერსიტეტს. უზენაესი სასამართლო აღიარებს მთავრობის უფლებას, იმოქმედოს საკუთარი სურვილის შესაბამისად, როდესაც სახელმწიფო ფონდების ასიგნაციას ახორციელებს განსაზღვრული კურსის ხელშეწყობის მიზნით. სახელმწიფოს ასევე შეუძლია კერძო ორგანიზაციების დაფინანსებისას ლეგიტიმური და შესაბამისი ნაბიჯები გადადგას, რათა უზრუნველყოს, რომ გრანტის მიმღებმა სუბსიდია განსაზღვრული მიზნებისთვის გამოიყენოს. ეს, რასაკვირველია, არ გულისხმობს შეხედულებებზე დაფუძნებული შეზღუდვების კანონიერებას, როდესაც უნივერსიტეტი არ არის მათი დამნებელი.

მოცემულ საქმეში ორი ძირითადი საფრთხე იკვეთება აშშ-ს კონსტიტუციით გარანტირებული სიტყვის თავისუფლების პრინციპებისთვის. პირველი მდგომარეობს სახელმწიფოსათვის უფლების მინიჭებაში, შეამოწმოს პუბლიკაციები იმის დასადგენად, ეფუძნება თუ არა ისინი განსაზღვრულ იდეას და დადებითი დასკვნის გამოტანის შემთხვევაში მოახდინოს მათი

კლასიფიკაცია. მეორე, პირველიდან ლოგიკურად გამომდინარე, საფრთხე კი ინდივიდუალური აზრიდან და მისი გამოხატვიდან გამომდინარე სიტყვის შეზღუდვას უკავშირდება. ყოველივეს გათვალისწინებით, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის უარი ფინანსურ მხარდაჭერაზე განხილულ იქნა მომჩივანთა სიტყვის თავისუფლების დარღვევად. გასარკვევი დარჩა მხოლოდ ის გარემოება, იყო თუ არა უნივერსიტეტის ქმედება გამართლებული სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაწესებასთან დაკავშირებული კონსტიტუციური აკრძალვის შესრულების აუცილებლობით.

ამ საქმეში წარმოდგენილი ფინანსური დახმარების პროგრამა ნეიტრალურია რელიგიის მიმართ. არ არსებობს ეჭვის არანაირი საფუძველი, რომ უნივერსიტეტმა იგი რელიგიის ხელშეწყობის მიზნით მიიღო. სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვანი და შემოქმედებითი ხასიათის გათვალისწინებით, პროგრამის მიზანს ფორუმის შექმნა და სტუდენტური ინიციატივების, მათ შორის ჟურნალ-გაზეთების გამოცემის მხარდაჭერა წარმოადგენს. ხსენებული პროგრამის საუნივერსიტეტო ნესების მიხედვით, განსხვავებული რეგულაცია გამოიყენება რელიგიური ორგანიზაციების მიმართ და მათი სახელით არ ანაზღაურდება განეული ხარჯები. ასეთად კი მიჩნეულია ის ორგანიზაციები, რომელთა მიზანიც მდგომარეობს აღიარებული უზენაესი ქვემარტივების ან ღვთისადმი ერთგულების გამოხატვაში. პროგრამის მხარდაჭერის კატეგორიაში ექცევა სტუდენტური ახალი ამბების, ინფორმაციის, გართობის ან აკადემიური კომუნიკაციის მედიაჯგუფები, რომელთაც მიეკუთვნებოდა მომჩივანი ორგანიზაცია. ეს უკანასკნელი სუბსიდიას მოითხოვდა არა მისი ქრისტიანული რედაქციული შეხედულების გამო, არამედ როგორც სტუდენტური ჟურნალი.

სასამართლოს თანახმად, პროგრამის ნეიტრალობა მასში მონაწილეობის მისაღებად გათვალისწინებულ სტუდენტურ შენატანებს განასხვავებს ეკლესიის პირდაპირი ხელშეწყობისათვის აკრფილი გადასახადებისგან. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, დაწესების კლაუზულით გათვალისწინებული სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო იქნებოდა. ჩვენს შემთხვევაში საქმე სტუდენტურ შენატანთან გვაქვს, რომელიც გამიზნულია ასახოს ის არსებული რეალობა, რომლის მიხედვითაც სტუდენტური ცხოვრება თავისი მრავალი ასპექტით სიტყვის თავისუფლების აუცილებლობას მოიცავს. აქედან გამომდინარე, იგი უნდა განიხილებოდეს, როგორც სტუდენტების აქტივობების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული ფულადი სახსრების ამოღება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუმცა უნივერსიტეტის ქმედებით დაირღვა პირველი შესწორებით გათვალისწინებული სიტყვის თავისუფლების კლაუზულა, იგი გამართლებული იყო დაწესების კლაუზულის დარღვევის თავიდან აცილების აუცილებლობით, რაც სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა. უზენაესმა სასამართლომ გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება.

უზენაესი სასამართლოს მიხედვით, სააპელაციო სასამართლო მართებულად მოიქცა, როდესაც აღიარა კონსტიტუციის დაწესების კლაუზულისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის საშიშროება სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური დაწესებულებების პირდაპირი დაფინანსების შემთხვევაში. მისი შეხედულებით, შეცდომა არა პრინციპში, არამედ მოცემულ საქმესთან მიმართებით მის გამოყენებაში მდგომარეობს. მოსამართლე კენედის განცხადებით, საქმე არ უკავშირდება, თუნდაც ნეიტრალური პროგრამის ფარგლებში, მთავრობის მხრიდან რელიგიური საქმიანობის პირდაპირი დაფინანსების შემთხვევას: „ჩვენ (უზენაეს სასამართლოს) გვჯერა, რომ სააპელაციო სასამართლოს არა აქვს სრულფასოვანი წარმოდგენა იმ უდავო ფაქტზე, რომ არავითარი სახელმწიფო ფინანსები არ მიემართება პირდაპირ ჟურნალის საფუძველში.“

სააპელაციო სასამართლოს შეცდომა იყო ყურადღების გამახვილება მთავრობის მიერ

გადახდილ ფულზე და არა ადრესატის მიერ მიღებული სარგებლის ბუნებაზე. თუ სახელმწიფო თანხების ხარჯვა აიკრძალება ყოველთვის, როცა დაფინანსებული მომსახურება, რელიგიურად ნეიტრალური პროგრამის ფარგლებში, გარკვეული ჯგუფის მიერ გამოყენებული იქნება რელიგიური მიზნებისათვის, მაშინ უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართალი (ვიდმარის და ლემზს ჩაპელის საქმეები) უნდა გაუქმდეს.

დანესების კლაუზულის დარღვევა არ ხდება, როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტი თავის რესურსებს ხელმისაწვდომს ხდის მრავალფეროვანი რელიგიური ჯგუფებისთვის (იმ სტუდენტური ჯგუფების ჩათვლით, რომლებიც შეკრების ადგილებს სექტანტური საქმიანობისათვის იყენებენ) რელიგიურად ნეიტრალურ საფუძველზე. რეალურად არ არსებობს არც ლოგიკური და არც კონსტიტუციური მნიშვნელობის განსხვავება კოლეჯის მიერ საკუთარი სახსრებით სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და მესამე პირებისათვის აღნიშნული მომსახურების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების ანაზღაურებას შორის. სწორედ ეს უკანასკნელია განხილულ შემთხვევაში. უნივერსიტეტი დამოუკიდებელი ორგანიზაციის სტატუსის მქონე მრავალფეროვანი სტუდენტური ჯგუფებისთვის უზრუნველყოფს ბექდვითი ხარჯების ანაზღაურებას. რელიგიური სარგებელი შეიძლება მხოლოდ შემთხვევითი იყოს, რადგან ბექდვა სტუდენტური ცხოვრების ყოველდღიურ და საერო ატრიბუტს წარმოადგენს.

მოქმედება გარე დაფინანსების წესით უნივერსიტეტს ფაქტობრივად შესაძლებლობას აძლევს, სტუდენტურ პუბლიკაციას გაემიჯნოს. კერძოდ, აღნიშნული წესით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავიდან იცილებს საზედაუმხედველო ვალდებულებებს და შესაბამისი მოწყობილობების შენახვის, შეკეთებისა თუ გამოცვლის ხარჯებს, ასევე აქვს საკუთარი ხარჯების ზუსტი მონაცემები. ზედმეტი ფორმალბა იქნება იმის მტკიცება, რომ უნივერსიტეტმა უნდა დათმოს ეს სარგებელი და თვითონ უზრუნველყოს მომსახურება, რათა დაიცვას აშშ-ს კონსტიტუცია.

დანესების კლაუზულის დაცვისათვის აუცილებელი არ იყო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტური პუბლიკაციების ვარგისიანობის უარყოფა მასში გატარებული შეხედულების საფუძველზე. უნივერსიტეტის რეგულაციასთან დაკავშირებული შეხედულებრივი დისკრიმინაცია თანამდებობის პირებისაგან მოითხოვდა სტუდენტური პუბლიკაციების შესწავლასა და ინტერპრეტირებას მათ საფუძველად არსებული რელიგიურ თეორიასა და მრწამსთან დაკავშირებული ფილოსოფიური წარმოდგენების იდენტიფიცირების მიზნით. მსგავსი ქმედება სიტყვის თავისუფლებაზე ადამიანის უფლების უარყოფას წარმოადგენდა და რელიგიისადმი გადაჭარბებულად სუბიექტური დამოკიდებულებისა და შუღლის სტიმულირების რისკს შეიცავდა, რასაც შესაძლოა კონსტიტუციით სავალდებულო ნეიტრალობის პრინციპის ხელყოფა მოჰყოლოდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა.

*მოსამართლე ო'კონორის თანმხვედრი აზრი*

მოსამართლე ო'კონორის განცხადებით, დაუშვებელია, სახელმწიფომ განსხვავებული დამოკიდებულება გამოიჩინოს ადამიანების მიმართ ღმერთის ან ღმერთებისადმი თაყვანისცემის მიხედვით; მთავრობის რელიგიური ნეიტრალობის მოთხოვნა ცხადად განმარტავს, თუ რატომ მივიჩნით, რომ უმაღლეს სასწავლებლებს არა აქვთ უფლება, რელიგიური ჯგუფების დისკრიმინაცია მოახდინონ დაწესებულების რესურსებისადმი მათი თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლების უარყოფის გზით. ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ისეთ მიუღებელ წარმოდგენას შექმნიდა, თითქოს რელიგიური ცხოვრების წესი კეთილგანწყობით არ სარგებლობს; თუკი სახელმწიფო უარს ეტყოდა რელიგიურ ჯგუფებს სხვებისათვის ღია რესურსებით სარგებლობაზე, მაშინ იგი მოახდენდა არა ნეიტრალობის, არამედ მტრობის დემონ-

სტრირებას. აშშ-ს კონსტიტუციის რელიგიური კლაუზულები კრძალავს მთავრობის მხრიდან რელიგიის ხელშეწყობას, მაგრამ ასევე არ ახდენს რელიგიისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულების სანქცირებას. მოცემულ საქმეში დახმარება რელიგიისადმი მომჩივნის პირადი არჩევანის შედეგს წარმოადგენს. სავარაუდოდ, არც ერთი სალად მოაზროვნე ადამიანი საქმეში არსებული ფაქტების გათვალისწინებით არ გამოიტანს დასკვნას, რომ სახელმწიფო თავად უწყობს ხელს რელიგიის გამოხატვას.

მოსამართლე ო'კონორმა თავის თანმხვედრ გადაწყვეტილებაში სამ გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება და გამოიტანა დასკვნა, რომ უნივერსიტეტი არ შეუწყობდა ხელს მომჩივანი ჟურნალის რელიგიურ მიმართულებას მისთვის სხვა პუბლიკაციების მსგავსი დახმარების აღმოჩენით: 1) სტუდენტური ორგანიზაციების დამოუკიდებლობა უნივერსიტეტისგან; 2) ფინანსური დახმარების ისეთი განაწილება, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ დაშვებული მიზნებისათვის მის გამოყენებას; 3) დახმარების აღმოჩენა „მნიშვნელოვნად განსხვავებული შეხედულებების“ მქონე მრავალი სტუდენტური ჯგუფისათვის. მისი განცხადებით, უნივერსიტეტის ახალი ამბების გამოქვეყნების გარდა უმაღლესი სასწავლებელი პროგრამით გათვალისწინებული დახმარებით ასევე უზრუნველყოფდა ყვითელ ჟურნალს, იუმორისტულ გაზეთს, რომელშიც ქრისტიანობა სატირის ობიექტს წარმოადგენდა, და *Al Salam*-ის პუბლიკაციას, რომლის მიზანსაც საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ისლამის უკეთ გააზრება წარმოადგენდა; აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილ ფორუმში არარელიგიური, ანტირელიგიური და სანინაღმდეგო რელიგიური შეხედულებების სიმრავლის გათვალისწინებით, ნებისმიერი ვარაუდი, რომ უნივერსიტეტი ერთ განსაზღვრულ შეხედულებას უწყობდა ხელს, ალოგიკური იქნება.

*მოსამართლე ტომასის თანმხვედრი აზრი*

მოსამართლე ტომასმა, რომელმაც ასევე განსაკუთრებული, თუმცა უმრავლესობასთან თანმხვედრი პოზიცია დააფიქსირა, მიუთითა, რომ დანესების კლაუზულის პრეცედენტული სამართლის უწესრიგო ხასიათის მიუხედავად, აღნიშნული საქმე გვაძლევს შესაძლებლობას, ხელახლა დავამტკიცოთ ერთი საბაზისო პრინციპი, რომელზე კონსენსუსის მიღწევა ყოველთვის რთული იყო: კლაუზულის მიხედვით, სავალდებულო არ არის რელიგიური ჯგუფების გამორიცხვა იმ სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობიდან, რომლებიც მონაწილეთა ფართო სპექტრისთვის არის ხელმისაწვდომი.

*მოსამართლე სოუტერის განსხვავებული აზრი,*

*რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები სტევენსი, გინსბურგი და ბრეიერი*

მოსამართლე სოუტერმა, რომლის აზრსაც სამი სხვა მოსამართლეც შეუერთდა (სტევენსი, ბრეიერი და გინსბურგი), უმრავლესობისგან განსხვავებული დასკვნა გამოიტანა აღნიშნულ საქმეში. მისი განსაკუთრებული პოზიციის მიხედვით, სასამართლომ პირველად გაამართლა სახელმწიფოს მხრიდან არსებითად რელიგიური საქმიანობის პირდაპირი გზით დაფინანსება. სოუტერის განცხადებით, ვინაიდან არ არსებობს განსხვავების საფუძველი სახელმწიფო ფინანსირების სხვადასხვა წყაროს შორის რელიგიის დანესებაზე პირველი შესწორების აკრძალვის გამოყენებისას, უნივერსიტეტის უარი მომჩივანთა რელიგიური საქმიანობის დაფინანსებაზე სავალდებულო იყო პირველი შესწორების მიხედვით.

სასამართლო, სოუტერის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანისას ძირითადად დაეყრდნო არგუმენტს, რომ ეკონომიკურად ღირებული მომსახურებით რელიგიის უზრუნველყოფა დასაშვებია იმ თეორიის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც არ არსებობს ეკონომიკური განსხვავება ხსენებულ მომსახურებასა და სახელმწიფოს გამოხატვის ფორუმების რელიგიურ ხელმისაწვდომობას შორის, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვებია; მსგავსი არგუმენტაცია კი დაავალდებულებს სასამართლოს, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე დაუშვას პირდაპირი დახმარება რელიგიისათვის ღია ფორუმების ხელმისაწვდომობის საბა-

ბით; სასამართლოს პოზიცია ქმნის წარმოდგენას, რომ მხოლოდ საგადასახადო შემოსავლებიდან დაფინანსებული პირდაპირი დახმარებაა აკრძალული და საკმაოდ მცდარი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, რომ არანებაყოფლობითი სტუდენტური შენატანი არ წარმოადგენს გადასახადს.

მოსამართლე სოუტერმა გამოქვეყნებული სტატიების რამდენიმე მაგალითი მოიყვანა თავისი დასკვნის გასამყარებლად, რომლის თანახმად ჟურნალი არ წარმოადგენს მხოლოდ რელიგიური დოქტრინის ან თუნდაც ცხოვრებისეული სოციალური და პერსონალური პრობლემების გადაწყვეტის იდეალური ქრისტიანული პრაქტიკის აღწერილობით კვლევას; იგი არც მხოლოდ რედაქციის მოსაზრების გამოხატვაა, რომელიც ქრისტიანულ ეთიკას შეესაბამება და ასახავს ქრისტიანულ წარმოდგენას ადამიანის ვალდებულებებზე; ჟურნალი პირდაპირი მონოღებია ლმერთან ურთიერთობის დამყარებისა და იესო ქრისტეს მოძღვრების მორალური ვალდებულებების შესრულებისაკენ; მის ძირითად საგანს წარმოადგენს არა მეცნიერთა სწავლებების, არამედ სახარებისეული მისიის დეკლარირება. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ქადაგება.

სახელმწიფო ფონდების გამოყენება ქადაგების დაფინანსებისათვის კატეგორიულად არის აკრძალული დაწესების კლაუზულით. მოსამართლემ თავისი არგუმენტის გასამყარებლად მედისონისა და ჯეფერსონის სიტყვები მოიყვანა, რომლებმაც წამყვანი როლი ითამაშეს პირველი შესწორების შემუშავებასა და მიღებაში. კონგრესის მიერ პირველი შესწორების მიღებამდე ოთხი წლით ადრე მედისონმა წარმოადგინა საკუთარი მოსაზრება რელიგიური მიზნებისათვის სახელმწიფო თანხების გამოყენების თაობაზე. მისი განცხადების თანახმად: „ხელისუფლებას, რომელსაც შეუძლია აიძულოს მოქალაქე, თავისი ქონებიდან შეეღოს სამ პენის ნებისმიერი რელიგიის მხარდაჭერის მიზნით, შეუძლია ასევე აიძულოს მას, მისდიოს ნებისმიერ სხვა რელიგიას“. ჯეფერსონის მიერ შემუშავებული რელიგიის თავისუფლების დამკვიდრების ბილის პრეამბულაში კი ვკითხულობთ, რომ ადამიანის იძულება, თავისი ფული მიმართოს იმ მოსაზრებათა გავრცელებებისთვის, რომელთაც არ იზიარებს, დესპოტურია.

სახელმწიფო სახსრებით რელიგიის პირდაპირი დაფინანსების საწინააღმდეგო პრინციპი დარღვეულია სტუდენტური შენატანების გამოყენებით. უნივერსიტეტი სახელმწიფო ძალაუფლებას იყენებს, აიძულებს რა სტუდენტებს, გადაიხადონ განსაზღვრული თანხა და მისი ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე მცირე, ნაწილის გამოყენება რელიგიური საქმიანობის პირდაპირი დახმარებისათვის ხელყოფს კონსტიტუციურ აკრძალვას რელიგიის დაწესებაზე.

### გადასახადებისაგან გათავისუფლება

აშშ-ს საგადასახადო კოდექსით საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებული არიან „მხოლოდ რელიგიური, საქველმოქმედო ... ან საგანმანათლებლო მიზნებისათვის შექმნილი და მოქმედი ასოციაციები“. ქვემოთ წარმოდგენილ საქმეში სასამართლომ „ან“ განმარტა როგორც „და“ და, შესაბამისად, ყველა ორგანიზაციისგან, რომელსაც გადასახადებისგან გათავისუფლება სურდა, მოითხოვა, რომ ყოფილიყო „საქველმოქმედო“, რითაც, ფაქტობრივად, საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ კანონი გადაიტანა საგადასახადო კანონმდებლობაში. ამ განმარტებამ საშუალება მისცა სასამართლოს, გათავისუფლებული ორგანიზაციების, მათ შორის, რელიგიური კოლეჯებისგან, „სახელმწიფო პოლიტიკისადმი“ შესაბამისობა მოეთხოვა. ვინაიდან სასამართლომ ვერ შეძლო სიფრთხილის გამოჩენა „სახელმწიფო პოლიტიკის“ დეფინიციის განსაზღვრისას, მოცემულ საქმეს შეეძლო გამხდარიყო გადასახადებისგან გათავისუფლებული რელიგიური კოლეჯების საქმიანობის რეგულირების უფლებამოსილების ფართო ინტერპრეტირების საფუძველი. მაგალითად, ერთი ანალიტიკოსი გამოვიდა ინიციატივით, აკრძალულიყო იმ რელიგიური ორგანიზაციების „გადასახადებისგან გათავისუფლება... ან მათთან სამთავრობო კონტრაქტების დადება, რომლებიც ქალებს არ უშვებდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე“.



ბობ ჯონსმა, ბობ ჯონსის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, რომელიც ფუნდამენტალისტი წინამძღვარია, ნოეს შვილების სეპარაცია ენისა და მიწის მიხედვით განმარტა, როგორც რასობრივი სეპარაციის მოთხოვნა თანამედროვე მსოფლიოში. შესაბამისად, მის უნივერსიტეტში უკანასკნელ დრომდე შენარჩუნებული იყო სხვადასხვა რასის წარმომადგენელ სტუდენტებს შორის ქორწინების აკრძალვა.

*ბობ ჯონსის უნივერსიტეტი შეერთებული შტატების წინააღმდეგ;  
გოლდსბოროს ქრისტიანული სკოლები შეერთებული შტატების წინააღმდეგ<sup>299</sup>*

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

1970 წლამდე აშშ-ს შინაგანი საგადასახადო სამსახური, საგადასახადო კოდექსის 501-ე მუხლის შესაბამისად, გადასახადების გადახდისგან ათავისუფლებდა კერძო სკოლებს, სტუდენტების მიღებისას მათი რასობრივი პოლიტიკის მიუხედავად; ამავე კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად კი, მსგავსი კოლეჯებისათვის განკუთვნილი კონტრიბუციების საქველმოქმედო გამოქვითვებს ახორციელებდა. 1970 წლის 12 იანვარს სამი მოსამართლისგან შემდგარმა კოლუმბიის ოლქის საოლქო სასამართლომ საქმეში გრინი კენედის წინააღმდეგ<sup>300</sup> გამოიტანა წინასწარი სასამართლო აკრძალვა, რომლითაც საგადასახადო სამსახურს აკრძალა საშემოსავლო გადასახადისაგან მისისიპის იმ კერძო კოლეჯების გათავისუფლება, რომლებიც რასობრივად დისკრიმინაციულ პოლიტიკას მიმართავდნენ სტუდენტების მიღებისას. შესაბამისად, საგადასახადო სამსახურმა განაცხადა, რომ მას აღარ გააჩნდა იურიდიული საფუძველი, რათა გადასახადებისაგან გათავისუფლებინა ის კერძო კოლეჯები, რომლებიც რასობრივ დისკრიმინაციას ეწეოდნენ. გარდა ამისა, საგადასახადო სამსახურმა ასევე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ „აღარ შეეძლო მსგავსი ტიპის კერძო სკოლებისათვის განკუთვნილი საჩუქრები საქველმოქმედო გამოქვითვებად განეხილა საშემოსავლო გადასახადის მიზნებისათვის“.

დისკრიმინაციის მიმართ შეცვლილი პოლიტიკა ჩამოყალიბდა საგადასახადო განმარტებაში:<sup>301</sup> „როგორც სასამართლო, ისე საგადასახადო სამსახური დიდი ხნის განმავლობაში აღიარებდნენ, რომ კანონის მოთხოვნა „მხოლოდ რელიგიური, საქველმოქმედო ... ან საგანმანათლებლო მიზნებისათვის“ ასოციაციის შექმნისა და მოქმედებისა გამიზნული იყო საერთო სამართლის საბაზისო (ქველმოქმედების) კონცეფციის გამოსახატად ... ყველა საქველმოქმედო ტრასტი, როგორც საგანმანათლებლო, ისე სხვაგვარი, ექვემდებარება მოთხოვნას, რომ ტრასტის მიზანი არ შეიძლება იყოს უკანონო ან სახელმწიფო პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდეს“. „განათლებაში რასობრივი დისკრიმინაციის გამოვლენის ეროვნული პოლიტიკის“ საფუძველზე, საგადასახადო სამსახურის გადაწყვეტილებით „კერძო კოლეჯი, რომელსაც არ გააჩნია რასობრივად არადისკრიმინაციული პოლიტიკა სტუდენტების მიმართ, არ ჩაითვლება „საქველმოქმედოდ“ კოდექსის 501-ე და 170-ე მუხლებში ასახული საერთო სამართლის კონცეფციების ფარგლებში“.

ბობ ჯონსის უნივერსიტეტი გრინვილში განთავსებული არაკომერციული ასოციაციაა. მისი მიზანია „სასწავლო დაწესებულების მართვა... ქრისტიანულ რელიგიასა და ბიბლიურ ეთიკაზე ყურადღების გამახვილებით“. ასოციაცია მართავს 5000 სტუდენტისგან შემდგარ კოლეჯს. ბობ ჯონსის უნივერსიტეტი არ არის ასოცირებული არც ერთ რელიგიურ დენომინაციასთან, თუმცა იგი მიზნად ისახავს ფუნდამენტალისტური ქრისტიანული რელიგიური მრწამსის სწავლებასა და გავრცელებას. იგი არის როგორც რელიგიური, ისე საგანმანათლებლო დაწესებულება. კოლეჯის მასწავლებლები უნდა მისდევდნენ ქრისტიანულ მრწამსს, უნივერსიტეტის ყველა კურსზე სწავლება ბიბლიის შესაბამისად მიმდინარეობს. სტუდენტების მიღებისას ხდება მათი რელიგიური მრწამსის შემოწმება. გარდა ამისა, მათი საზოგადოებრივი და პირადი ქცევა მკაცრად რეგულირებულია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ დეკ-



ლარირებული სტანდარტების შესაბამისად. ხელმძღვანელობა კი მიიჩნევს, რომ ბიბლია კრძალავს პაემანსა და ქორწინებას სხვადასხვა რასის წარმომადგენლებს შორის. ამ შეხედულების ცხოვრებაში უკეთ განხორციელების მიზნით 1971 წლამდე შავკანიან სტუდენტებს საერთოდ არ იღებდნენ უნივერსიტეტში. 1971-დან 1975 წლის მაისამდე არ განიხილავდნენ დაუქორწინებელ შავკანიანთა განაცხადებს, თუმცა იღებდნენ იმ შავკანიან სტუდენტებს, რომლებიც საკუთარი რასის წარმომადგენლებზე იყვნენ დაქორწინებული.

საქმეში *მაკრეი რანიონის წინააღმდეგ*<sup>302</sup> აშშ-ს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, რომლის მიხედვითაც აიკრძალა კერძო სკოლებში რასობრივ ნიადაგზე არდაშვება, უნივერსიტეტმა შეცვალა თავისი პოლიტიკა. 1975 წლის 29 მაისიდან უნივერსიტეტში დაუშვეს დაუქორწინებელი შავკანიანები; თუმცა დისციპლინური წესი კვლავ კრძალავდა სხვადასხვა რასის წარმომადგენლებს შორის პაემანსა და ქორწინებას. კოლეჯიდან გარიცხვას ექვემდებარებოდნენ ის სტუდენტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ მსგავს ქორწინებასა და პაემანს, ხოლო ინტერრასობრივ ქორწინებაში მყოფი განმცხადებლები კვლავ არ დაიშვებოდნენ.

1970 წლამდე საგადასახადო სამსახურის მიერ გადასახადისგან გათავისუფლებული იყო ბობ ჯონსის უნივერსიტეტი, თუმცა ამავე წლის 30 ნოემბერს, საქმეში *გრინი კენედის წინააღმდეგ* მიღებული სასამართლო აკრძალვის შემდეგ, კოლეჯს ფორმალურად ეცნობა საგადასახადო პოლიტიკის შეცვლისა და სამსახურის განზრახვის თაობაზე, გაუქმებინა იმ კერძო უნივერსიტეტებისათვის მინიჭებული გადასახადისაგან გათავისუფლებულის სტატუსი, რომლებიც დისკრიმინაციულ რასობრივ პოლიტიკას ახორციელებდნენ სტუდენტების მიღებისას.

1976 წლის 16 აპრილს საგადასახადო სამსახურმა ოფიციალურად გააუქმა უნივერსიტეტის სტატუსი. გადაწყვეტილება ძალაში შესულად ჩაითვალა 1970 წლის 1 დეკემბრიდან, ანუ საგადასახადო პოლიტიკის ცვლილების თაობაზე კოლეჯის ინფორმირებიდან მეორე დღეს. უნივერსიტეტმა სასამართლოს მიმართა.

სამხრეთ კაროლინის ფედერალურმა საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ უნივერსიტეტის გადასახადისგან გათავისუფლების სტატუსის გაუქმებით საგადასახადო სამსახურმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას; მისი ქმედება ასევე ეწინააღმდეგებოდა დადგენილ წესებსა და პროცედურებს და არღვევდა უნივერსიტეტის უფლებებს პირველი შესწორების რელიგიური კლაუზულების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ხსენებული გადაწყვეტილება. მისი დადგენილების მიხედვით, იმისათვის, რომ დაწესებულებამ ისარგებლოს საგადასახადო კოდექსის 501-ე მუხლით (და გათავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადისგან), იგი უნდა იყოს „საქველმოქმედო“ საერთო სამართლის საფუძველზე და, შესაბამისად, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფო პოლიტიკას. სასამართლოს თანახმად, ბობ ჯონსის უნივერსიტეტი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნას, ვინაიდან მისი „რასობრივი პოლიტიკა არღვევდა კონსტიტუციაზე დამყარებულ ცხადად განსაზღვრულ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც გმობს რასობრივ დისკრიმინაციას და განსაკუთრებით სახელმწიფოს მხრიდან განათლების სისტემაში, კერძოში თუ სახელმწიფოში, რასობრივი დისკრიმინაციის სუბსიდირებას“. სასამართლოს გადაწყვეტილებით საგადასახადო სამსახური მოქმედებდა თავისი კანონისმიერი უფლებამოსილების ფარგლებში.

უზენაესი სასამართლოს თანახმად კი, როდესაც სახელმწიფო გადასახადების გადახდისგან ათავისუფლებს განსაზღვრულ სუბიექტებს, ეს გადასახადის ყველა გადამხდელზე ახდენს გავლენას, კერძოდ, ყოველი მათგანი გარკვეულწილად „დონორად“ იქცევა. გადასახადების გადახდისგან გათავისუფლება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათავისუფლებულ ორგანიზაციას საზოგადოებრივი სარგებელი მოაქვს – სარგებელი, რომლის უზრუნველყოფაც, თავის მხრივ, საზოგადოებას არ შეუძლია. იმისათვის, რომ ორგანიზაციამ ისარგებლოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისით, იგი გამოკვეთილად უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ ინტერესს და ჰარმონიაში იყოს მასთან. დაწესებუ-

ლების მიზანი არ უნდა ხელყოფდეს იმ საზოგადოებრივ სარგებელს, რომლის მიღწევაც სხვა შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა. უდავოა, რომ რასობრივი დისკრიმინაცია განათლების სფეროში არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებებს ელემენტარულ სამართლიანობაზე. სახელმწიფო ინტერესი მოცემულ შემთხვევაში სასიცოცხლო ხასიათისაა. სახელმწიფოს აქვს ფუნდამენტური ინტერესი განათლებაში რასობრივი დისკრიმინაციის ძირფესვიანი აღმოფხვრისა. მთავრობის აღნიშნული ინტერესი მნიშვნელოვნად გადაწონის ნებისმიერ ტვირთს, რომელიც შეიძლება მომჩივანთა რელიგიური მრწამსის გამოხატვას დაეკისროს მათი საგადასახადო შეღავათის გაუქმების შემთხვევაში.

*მოსამართლე პაუელის ნაწილობრივ თანხმდები აზრი*

მოსამართლე პაუელის განცხადებით, იგი არ არის დარწმუნებული, რომ გადამწყვეტი კითხვა, რომელიც ორგანიზაციის გადასახადების გადახდისგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას უნდა დაისვას, ის არის, თუ რამდენად ემსახურება შესაბამისი დაწესებულება „საზოგადოებრივ ინტერესებს“. პაუელის მიხედვით, სასამართლოს მიერ გამოყენებული არგუმენტაციით იქმნება შთაბეჭდილება, რომ გადასახადებისგან გათავისუფლებული ორგანიზაციის ძირითად ფუნქციას მთავრობის ნაცვლად სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება წარმოადგენს. მისი შეხედულებით, მსგავსი პოზიცია იმ როლის იგნორირებას წარმოადგენს, რომელსაც გადასახადების გადახდისგან გათავისუფლება ასრულებს მრავალფეროვანი საქმიანობისა და მოსაზრებების ნახალისების მიზნით. საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლების მინიჭება არაკომერციული ორგანიზაციებისთვის საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროებზე სამთავრობო ორთოდოქსიის შესუსტების აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს.

მოსამართლე რენკვისტმა თავის განსხვავებულ დასკვნაში მიუთითა, რომ მხოლოდ კონგრესს შეეძლო იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გადასახადისგან გათავისუფლებულის სტატუსის გაუქმება, რომლებიც რასობრივ დისკრიმინაციას ეწეოდნენ, თუმცა, სასამართლოსგან განსხვავებით, ვერ შეძლო ამის გაკეთება; აღნიშნულის გათვალისწინებით კი სასამართლო არ არის კონსტიტუციურად უფლებამოსილი, კონგრესის ნაცვლად ეს განახორციელოს.

**რელიგიასთან ასოცირებული სკოლების აკრედიტაცია.** სხვა მრავალი შტატის მსგავსად, ოკლაჰომაც ადვოკატურაში მიღების ერთ-ერთ პირობად მიიჩნევდა განმცხადებლის ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) მიერ აკრედიტებულ სკოლაში სწავლებას. 1981 წელს ABA-მ უარი განუცხადა აკრედიტაციაზე ორალ რობერტსის უნივერსიტეტის სამართლის სკოლას, რომელიც სკოლაში სწავლის მსურველებს ქრისტიანული რელიგიური მრწამსის შესახებ განცხადებაზე ხელმოწერას სთხოვდა. უნივერსიტეტმა სარჩელით მიმართა სასამართლოს იმის საფუძველზე, რომ დაირღვა მისი აღმსარებლობის თავისუფლება. საქმეში ორალ რობერტსის უნივერსიტეტი ამერიკის იურისტთა ასოციაციის წინააღმდეგ<sup>303</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ ამერიკის იურისტთა ასოციაცია სახელმწიფო უფლებამოსილებას ახორციელებდა და მისი ქმედებით დაირღვა პირველი შესწორება. ერთი თვის განმავლობაში ABA-მ შეცვალა თავისი პოლიტიკა.

ორმაგი ეფექტის პრინციპს, კერძოდ კი მის მორალთან შესაბამისობის თაობაზე დისკუსიას ხანგრძლივი ისტორია აქვს. თუ განსაზღვრულმა ქმედებამ გამოიწვია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგი, ის გამართლებულად ჩაითვლება, თუ პირს განზრახული ჰქონდა დადებითი შედეგის მიღება და თუ ქმედებით დაცული სიკეთე პროპორციულად აღემატება უარყოფით შედეგის სახით დამდგარ ზიანს. კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ადამიანი, რომელიც ცდილობს, დაიცვას თავისი სიცოცხლე მასზე განხორციელებული თავდასხმისგან: დაზარალებულის დარტყმა აგრესორის სიკვდილს იწვევს. დარტყმის შედეგს წარმოადგენს აგრესორის სიკვდილი და დაზარალებულის უსაფრთხოება. დადებითი ეფექტი, დაზარალებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახით, გადანონის უარყოფით ანუ თავდამსხმელის სიცოცხლის ხელყოფის შედეგს.

ეს მარტივი პრინციპი გამოიყენება სიტუაციათა უმრავლესობაში, როდესაც დღის წესრიგში დგება მორალური გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. ქვემოთ წარმოდგენილი საქმედებები გთავაზობთ ანალოგიური ანალიზის აღიარებას იმ ტიპის შემთხვევათა უმრავლესობაში, როდესაც სახელმწიფოს ქმედებას გააჩნია როგორც კონსტიტუციურად დაცული ეფექტი აღმსარებლობის თავისუფლების უზრუნველყოფისა, ისე კონსტიტუციურად აკრძალული ეფექტი რელიგიის დანესების სახით.

### **რელიგიური შეკრებები საზოგადოებრივ პარკებში**

*ფოულერი როდ აილენდის შტატის წინააღმდეგ*<sup>304</sup>

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

როდ აილენდის შტატის ქალაქ პოტაკეტში მოქმედი კანონმდებლობით, აკრძალულია პოლიტიკური და რელიგიური შეკრებების გამართვა საზოგადოებრივ პარკებში. თუმცა, ამავე კანონის თანახმად, ეს არ ნიშნავს, რომ ნებისმიერ

რელიგიურ, პოლიტიკურ კლუბს ან საზოგადოებას არ ჰქონდეს სრული შემადგენლობით პარკში მისვლის უფლება იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი კლუბის ან საზოგადოების მფარველობის ქვეშ პარკში არ განხორციელდება საჯარო მიმართვა.

პოტაკეტის ერთ-ერთ პარკში გაიმართა იელოვას მონმეთა შეკრება, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში რელიგიურად აღიარეს. შეკრებას ოთხასამდე ადამიანი დაესწრო, მათგან 150 იელოვას მონმე. აპელანტს წარმოადგენს სექტის ღვთისმსახური, რომელიც ცხოვრობს მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ არლინგტონში. იგი პოტაკეტში მიიწვიეს იელოვას მონმეთა ადგილობრივი კონგრეგაციის წინაშე სიტყვით გამოსასვლელად. შეკრებაზე აპელანტმა ორჯერ მიმართა დამსწრე საზოგადოებას. შეხვედრამ მშვიდ გარემოში ჩაიარა წესრიგის დარღვევის გარეშე.

აპელანტის გამოსვლის სათაურს წარმოადგენდა „გზა მშვიდობისკენ“. მან განიხილა იმ ზომების ზედაპირულობა, რომლებიც მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრების მიზნით ხორციელდებოდა. მას მხოლოდ რამდენიმე წუთი დასცალდა საუბარი, შემდეგ ის პოლიციამ დააკავა. აპელანტს ზემოთხსენებული რეგულაციის დარღვევაში დასდეს ბრალი და ბრალეულად ცნეს იმის მტკიცების მიუხედავად, რომ რეგულაცია ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის პირველ და მე-14 შესწორებებს. მას მიესაჯა ჯარიმის გადახდა 5 დოლარის ოდენობით. მოპასუხის მსჯავრდებას მხარი დაუჭირა როდ აილენდის უზენაესმა სასამართლომ.

აპელანტის სექტისათვის დამახასიათებელი შეკრებები სხვა რელიგიური ჯგუფების პრაქტიკისგან განსხვავებულ ხასიათს ატარებს. მისი რელიგიური მსახურება სხვებთან შედარებით არაორთოდოქსული, ნაკლებად რიტუალური და ფორმალურია. თუმცა, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს თანახმად, გარდა მცირე გამონაკლისებისა, სასამართლო არაა უფლებამოსილი განაცხადოს, რომ ის, რაც რელიგიური გამოხატვა და საქმიანობაა ერთი ჯგუფისათვის, არ წარმოადგენს პირველი შესწორებით დაცულ აღმსარებლობას; აშშ-ს კონსტიტუციის საფუძველზე სასამართლოს კომპეტენციას არ განეკუთვნება არც რელიგიურ შეკრებებზე განხორციელებული ცერემონიების შეფასება, უარყოფა, მათი კლასიფიცირება ან რეგულირება, არც სხვა ნებისმიერი გზით გაკონტროლება. ცერემონიები რელიგიური მსახურების ისეთივე ნაწილს წარმოადგენს, როგორსაც ლოცვა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საკუთარი კონგრეგაციის წინაშე ერთი ღვთისმსახურის გამოსვლის რეგულაციისგან თავისუფალ ცერემონიად აღიარება, ხოლო მეორის გამოსვლის რეგულირებისადმი დაქვემდებარება იქნებოდა ერთი რელიგიისათვის უპირატესობის აშკარა მინიჭება; ზუსტად აღნიშნული შედეგი დადგებოდა, უზენაეს სასამართლოს რომ დაემტკიცებინა შტატის სასამართლოთა გადაწყვეტილება; ბაპტისტ, მეთოდისტ, პრესბიტერიანელ ან ეპისკოპალურ ღვთისმსახურებს, კათოლიკე მღვდლებს, მუსლიმ მოლებს და ბუდისტ ბერებს, ყოველ მათგანს ექნებოდა პოტაკეტის პარკებში თავიანთი კონგრეგაციების წინაშე დაუსჯელად ქადაგების შესაძლებლობა; კანონის ძალა კი მხოლოდ მსგავსი ფუნქციის შემსრულებელი არაპოპულარული ჯგუფის ლიდერზე გავრცელდებოდა. შესაბამისად, გაუქმდა როდ აილენდის შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

**საზოგადოებრივი პარკების გამოყენება რომის პაპის წირვისათვის.** საყოველთაოდ აღიარებული ათეისტი მადალინ მიურეი ო'ჰეარი 1979 წლის 7 ოქტომბერს მოითხოვდა იოანე პავლე II-ის წირვის აკრძალვას ვაშინგტონის ნაციონალურ პარკში.<sup>305</sup> საპარკო სამსახური ყოველწლიურად 100-მდე ნებართვას გასცემდა კოლუმბიის ფედერალური ოლქის ნაციონალურ პარკში რელიგიური მსახურების ჩატარებისათვის. მოსამართლე ჰაროლდ ლევენრალმა უარყო ო'ჰეარის მოთხოვნა აკრძალვაზე იმ მოტივით, რომ ნაციონალური პარკი წარმოადგენდა საზოგადოებრივ პარკს, რომელიც რეგულარულად ხელმისაწვდომი იყო პირველი შესწორებით გარანტირებული უფლებების განხორციელებისათვის.

## კვირა დღეს ვაჭრობის აკრძალვა

*მაკოვენი მერილენდის შტატის წინააღმდეგ<sup>306</sup>*

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ეს საქმე შეეხება მერილენდის სისხლისსამართლებრივი კანონების (ცნობილია, როგორც კვირა დღეს სამუშაო და სავაჭრო ადგილების დახურვის კანონმდებლობა) კონსტიტუციურობის საკითხს. აღნიშნული სტატუტებით ზოგადად აკრძალული იყო შრომითი, პროფესიული თუ სხვა სახის კომერციული საქმიანობა კვირა დღეს.

საქმეში აპელანტის მხარეს სუპერმარკეტის შვიდი თანამშრომელი წარმოადგენდა. მათ ბრალად წაყენათ სწრაფმარკეტის, იატაკის საპოხი სითხის, სტეპლერისა და სათამაშო წყალქვეშა ნავის კვირა დღეს გაყიდვა ხსენებული კანონის დარღვევით. კანონის თანახმად, შტატის ფარგლებში აკრძალული იყო კვირა დღეს ნებისმიერი საქონლის გაყიდვა თამბაქოსა და საკონდიტრო ნაწარმის, რძის, პურის, ხილის, ზეთის, ბენზინის, მედიკამენტების, გაზეთებისა და ჟურნალების საცალო ვაჭრობის გარდა.

უზენაესი სასამართლოს მიხედვით, „დანესების“ კლაუზულა არ კრძალავს განსაზღვრული ქმედების ფედერალურ ან შტატის მიერ რეგულირებას, რომლის მიზეზი ან შედეგი შესაძლოა დაემთხვას განსაზღვრული ან ყველა რელიგიის დოქტრინებს. აღნიშნულ შემთხვევათა უმრავლესობაში კონგრესი ან შტატის საკანონმდებლო ორგანო მიდიან იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოების ზოგადი კეთილდღეობა მოითხოვს მსგავს რეგულაციას, ყოველგვარი რელიგიური შეხედულების მხედველობაში მიუღებლად. მკვლელობა უკანონოა საერო მიზნებისათვის. თუმცა ის ფაქტი, რომ იუდაურ-ქრისტიანულ ეკლესიებს იგივე მოთხოვნა აქვთ, არ უკარგავს კანონიერ ძალას მკვლელობის დასჯადობას.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, კვირა დღეს მუშაობისა და ვაჭრობის ამკრძალავი კანონები ფართო სახელმწიფოებრივი ინტერესის საგანია, მათი საწყისი მიზნებისა თუ ქვეტექსტების მიუხედავად. მათი მიზანი და შედეგია უნიფიცირებული დასვენების დღის უზრუნველყოფა ყველა მოქალაქისათვის; ის, რომ აღნიშნული დღე, კვირა, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა დომინანტი ქრისტიანული ეკლესიებისათვის, სახელმწიფოს სრულებით არ უშლის ხელს საკუთარი საერო მიზნების განხორციელებაში. იმის თქმა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია კვირა დღის დასვენების დღედ გამოცხადება, მხოლოდ იმიტომ, რომ საუკუნეების წინ მსგავსი კანონების არსებობას რელიგია განაპირობებდა, საზოგადოებრივი კეთილდღეობისადმი შუღლის კონსტიტუციური ინტერპრეტაცია უფრო იქნებოდა, ვიდრე სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სეპარაციის.

**კვირა დღის მარეგულირებელი კანონები და აღმსარებლობის თავისუფლება.** კვირა დღის კანონები ასევე გასაჩივრებულ იქნა აღმსარებლობის თავისუფლების ხელყოფის მოტივით. მოსარჩელენი, ორთოდოქსი ებრაელები, მოითხოვდნენ პენსილვანიის კვირა დღის კანონის ცხოვრებაში გატარების სასამართლო აკრძალვას იმის საფუძველზე, რომ აღნიშნული კანონით ისჯებოდა მათ მიერ შაბათის წესის დაცვა.<sup>307</sup> მოსარჩელეთა მტკიცებით, ორთოდოქსი ებრაელები არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ: ან შაბათის წესი დაერღვიათ შაბათ დღეს მუშაობის გაგრძელებით, ან უარი ეთქვათ როგორც შაბათის, ისე კვირის სამუშაო დღეებზე და დიდი ეკონომიკური ზარალი განეცადათ. უზენაესმა სასამართლომ, მოსამართლე უორენის თავმჯდომარეობით, დაამტკიცა კანონი და თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „სტატუტი მხოლოდ არაპირდაპირ ტვირთს აკისრებდა რელიგიის გამოხატვას შტატის კანონიერი მიზნის განხორციელების პროცესში, რომლის მიღწევაც სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა.

**რელიგიური განქორწინების სახელმწიფო სტიმულირება.** იუდაისტური სამართლის მიხედვით, ქალი კანონიერად განქორწინებულად არ ჩაითვლება, სანამ საკუთარი მეუღლისგან

არ მიიღებს განქორწინების დამადასტურებელ ხელწერილს. მსგავსი მონაპოვის გარეშე ხელმეორე დაქორწინების შემთხვევა, საეკლესიო სამართლის თანახმად, მიჩნეულ იქნება ცოლქმრულ ღალატად, ხოლო გაჩენილი შვილი – უკანონოდ შობილად. აღნიშნული წესი არ ვრცელდება ქმრებზე. შესაბამისად, მათ აქვთ შესაძლებლობა, ბოროტი განზრახვის საფუძველზე არ გასცენ ხელწერილი და თავიანთ ყოფილ მეუღლეებს კეთილსინდისიერად დაქორწინების საშუალება არ მისცენ. მოცემული სიტუაციის გამოსწორების მიზნით 1983 წელს ნიუ-იორკის შტატმა ორთოდოქსული და კონსერვატიული ებრაული ჯგუფების მოთხოვნით მიიღო კანონი,<sup>308</sup> რომლის მიხედვითაც მეუღლემ, რომელიც დაქორწინდა ღვთისმსახურის ან რაბინის მიერ და ქორწინების ბათილად ცნობას ან განქორწინებას ითხოვს, უნდა დაამტკიცოს, რომ „მიმართა ან საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე მიმართავს მისი შესაძლებლობის ფარგლებში არსებულ ყველა ზომას ქორწინების ბათილად ცნობის ან განქორწინების შემდგომ მეუღლის ხელმეორედ დაქორწინების ხელის შემშლელი ყველა გარემოების აღმოფხვრის მიზნით“. კანონი ხელის შემშლელ გარემოებებად განსაზღვრავს „ქორწინების ერთ-ერთ მხარეზე დაკისრებულ „ნებისმიერ რელიგიურ ან შეგნებულ შეზღუდვას ან შეფერხებას... ნებაყოფლობით ქმედებაზე მეორე მხარის უარის მიზეზით“. ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა ამ კანონს საქმეში *ავიტზური ავიტზურის წინააღმდეგ*.<sup>309</sup>

### **რელიგიური საკუთრების გათავისუფლება გადასახადებისაგან**

*ვოლცი ნიუ-იორკ სიტის საგადასახადო კომისიის წინააღმდეგ*<sup>310</sup>

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ამ საქმეში აპელანტი, ნიუ-იორკის შტატის რიჩმონდის ოლქში უძრავი ქონების მესაკუთრე, მოითხოვდა სასამართლო აკრძალვის დაწესებას ნიუ-იორკის საგადასახადო კომისიის მიერ რელიგიური ორგანიზაციებისათვის ქონების გადასახადის გადახდისგან გათავისუფლებაზე მხოლოდ ღვთისმსახურების მიზნებისათვის გამოყენებადი რელიგიური საკუთრების მიმართ. სტატუტი ნიუ-იორკის კონსტიტუციის მე-16 მუხლიდან გამომდინარეობდა, რომლის მიხედვითაც გადასახადებისგან გათავისუფლება შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ზოგადი დანიშნულების კანონების საფუძველზე. გამოჩაკლისი დაიშვებოდა იმ უძრავ და მოძრავ ქონებაზე, რომელიც ექსკლუზიურად გამოიყენებოდა რელიგიური, საგანმანათლებლო საქველმოქმედო მიზნებისათვის.

აპელანტის მტკიცებით, ნიუ-იორკის საგადასახადო კომისიის მიერ გადასახადისგან გათავისუფლებულის სტატუსის მინიჭება საეკლესიო ქონებისათვის აპელანტისგან არაპირდაპირ მოითხოვდა რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ მხარდაჭერას, რაც, შესაბამისად, არღვევდა დაწესების კლაუზულას.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, ის ყოველთვის ცდილობდა ნეიტრალობის დაცვას ორ რელიგიურ კლაუზულას (აღმსარებლობის თავისუფლების და რელიგიის დაწესების) შორის, რომელთაგან ერთ-ერთის გაფართოება აუცილებლად მეორესთან კონფლიქტს გამოიწვევს. კონსტიტუციური ნეიტრალობის მიმართულება მოცემულ სფეროში შეუძლებელია აბსოლუტურად სწორხაზოვანი იყოს; მოუქნელობამ შესაძლოა აღნიშნულ დებულებათა უმთავრესი მიზნის ხელყოფამდე მიგვიყვანოს, რომლის თანახმადაც არ უნდა მოხდეს არც ერთი რელიგიის ხელშეწყობა ან შელახვა. ზოგადი პრინციპი, რომელიც პირველი შესწორებიდან და სასამართლოს მიერ დღემდე მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს, შემდეგია: სასამართლო არ გამოიჩინოს შემწყნარებლობას არც ხელისუფლების მიერ რელიგიის დაწესების და არც რელიგიაში სახელმწიფოს ჩარევის მიმართ. ცხადად ჩამოყალიბებული ამ ორი სახელმწიფო ქმედების გამორიცხვის შემთხვევაში რჩება საკმაო სივრცე ორმხრივად პროდუქტიული კეთილ-



მოსურნე ნეიტრალობის პრინციპის გამოყენებისათვის, რაც რელიგიურ გამოხატვას უზრუნველყოფს ყოველგვარი მხარდაჭერისა და ხელყოფის გარეშე.

საქმეში ევერსონი განათლების საბჭოს წინააღმდეგ,<sup>311</sup> რომელშიც გასაჩივრდა ნიუ-ჯერსის შტატის მიერ გადასახადების გზით აკრეფილი ფულადი სახსრების გამოყენება ზოგადი პროგრამის ფარგლებში სამრევლო სკოლის მოსწავლეთა საავტობუსო ხარჯების ანაზღაურებისათვის, სასამართლომ დაადგინა, რომ ის არ განიხილავდა მსგავს „დახმარებას“ იმ სკოლებისათვის, რომლებიც განსაზღვრულ რელიგიურ მრწამსს ასწავლიდნენ, დაწესების კლაუზულის უფრო სერიოზულ დარღვევად, ვიდრე სახელმწიფოს მიერ პოლიციელთათვის ხელფასის გადახდა მსგავსი სკოლების მოსწავლეთა დაცვის მიზნით.

უდავოა, რომ რელიგიური სკოლების მოსწავლეთა ავტობუსით მგზავრობა და პოლიციის მიერ მათი დაცვა „ეხმარება“ შესაბამის რელიგიას, შეინარჩუნოს სკოლები, რომლებიც გამოკვეთილად განსაზღვრული მრწამსის მომავალ მიმდევართა აღზრდას ცდილობენ. არცერთი რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც ფლობს სკოლას, არ უარყოფს თავის ერთ-ერთ ძირითად თუ არა, დომინანტურ პოლიტიკად ამ მიზანს. და თუ შესაძლებელია მოსწავლეთა ავტობუსებითა და პოლიციის დაცვით უზრუნველყოფა, მაშინ, უზენაესი სასამართლოს თანახმად, შეუძლებელია იმის დანახვა, რელიგიური კლაუზულების მიზნების მიმართ ეს შემთხვევა რითი განსხვავდება ყველა ეკლესიისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი ფართო პოლიციური და სახანძრო დაცვისაგან, ასევე, არაკომერციული ჰოსპიტალების, ხელოვნების გალერეების და ბიბლიოთეკების გადასახადებისგან გათავისუფლებისგან.

ამის მსგავსად, ერთდროულად, როგორც სახელმწიფო, ისე სამრევლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა ეკლესიებისადმი აშკარა „დახმარებას“ წარმოადგენდა, ვინაიდან ის უზარმაზარი თანხის დაზოგვის შესაძლებლობას აძლევდა ეკლესიებს. ფასიანი სასწავლო მასალებით რელიგიური სკოლების მომარაგება სასამართლომ არ მიიჩნია პირველი შესწორების საწინააღმდეგო „დახმარების“ საკანონმდებლო მიზნის დემონსტრირებად ან ასეთი კანონის ძირითად შედეგად.<sup>312</sup> ამ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო დაეყრდნო თავისივე გადაწყვეტილებებსა და აშშ-ს რელიგიურ ტრადიციას.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, გადასახადის გადახდისგან გათავისუფლების საკანონმდებლო მიზანი არ არის რელიგიის ხელშეწყობა ან ხელყოფა; ეს არც მხარდაჭერა და არც მტრობა. ნიუ-იორკმა, სხვა შტატების მსგავსად, მიიღო გადაწყვეტილება, რომ განსაზღვრულ ორგანიზაციებს, რომლებსაც ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ საზოგადოებასთან და რომლებიც მის „მორალურ და მენტალურ განვითარებას“ უწყობენ ხელს, ხელი არ უნდა შეეშალოს თავიანთ საქმიანობაში ქონების გადასახადით ან მოცემული გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში უძრავი ქონების დაკარგვის საფრთხით. არ მომხდარა რომელიმე კონკრეტული ეკლესიის ან რელიგიური ჯგუფის, თუნდაც ყველა ეკლესიის გამოყოფა; შტატმა ქონების გადასახადისგან გაათავისუფლა რელიგიური ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ყველა შენობა, არაკომერციული კორპორაციების საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ტიპის უძრავი ქონება, მათ შორის საავადმყოფოები, ბიბლიოთეკები, სპორტული მოედნები, მეცნიერული, ისტორიული, პროფესიული და პატრიოტული ჯგუფები. შტატს აქვს პოზიტიური პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოცემული ჯგუფების საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის უზრუნველყოფას საზოგადოებრივ ინტერესთან შესაბამისად მიიჩნევს. ამდენად, უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ დაუშვებელია ნიუ-იორკის სტატუტის განმარტება, როგორც რელიგიის დაწესების მცდელობისა; ის მხოლოდ ათავისუფლებს რელიგიის გამოხატვას უძრავი ქონების გადასახადის ტვირთისგან.

თუმცა მხოლოდ იმის განსაზღვრა, რომ ქონების გადასახადისგან გათავისუფლება არ

იყო გამიზნული რელიგიის დაწესების, მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, არ ნიშნავს გამოძიების დასრულებას. უზენაესი სასამართლოს თანახმად, ასევე აუცილებელია იმის დადგენა, რომ სახელმწიფო ქმედების შედეგად არ მყარდება ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირი რელიგიასთან.

ეკლესიებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭებას აუცილებლად განსაზღვრული არაპირდაპირი ეკონომიკური სარგებელი მოაქვს მათთვის და, ამასთან ერთად გარკვეულწილად სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის დამყარებასაც იწვევს. მთავარი საკითხი ისაა, არის თუ არა აღნიშნული კავშირი ზედმეტად მჭიდრო და ხომ არ იწვევს ის ხანგრძლივ ზედამხედველობას ეკლესიაზე ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან. პირდაპირ ფულად დახმარებას, სახელმწიფო გრანტის პროგრამების უმრავლესობის მსგავსად, შეუძლია ხანგრძლივი და მჭიდრო ადმინისტრაციული ურთიერთობა გამოიწვიოს კანონის ან ადმინისტრაციული სტანდარტების ცხოვრებაში გატარების მიზნით. მაგრამ უზენაესი სასამართლოს მიხედვით, საქმე არ გვაქვს აღნიშნულ შემთხვევასთან; ძნელი წარმოსადგენია, რომ ეკლესიის მიერ სახელმწიფოს მხარდაჭერასთან დაკავშირებული რისკი ნაკლები საფრთხის შემცველი იყოს, ვიდრე სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დახმარების შემთხვევა. არ შეიძლება საგადასახადო შეღავათის მინიჭების განხილვა ფინანსურ მხარდაჭერად, ვინაიდან ხელისუფლება არ გადასცემს თავისი შემოსავლების ნაწილს ეკლესიებს. ის, უბრალოდ, უარს აცხადებს ეკლესიის მიერ სახელმწიფოს მხარდაჭერაზე. არავის არასოდეს უთქვამს, რომ ბიბლიოთეკების, სახელოვნებო გალერეების ან ჰოსპიტალების გადასახადებისგან გათავისუფლებამ გამოიწვია შტატის ხელში მათი ჩაგდება ან აღნიშნულ დაწესებულებათა თანამშრომლები „სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებულების“ პოზიციაში ჩააყენა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით არ არსებობს რეალური კავშირი გადასახადებისგან გათავისუფლებასა და რელიგიის დაწესებას შორის. გადასახადის გადახდისგან გათავისუფლება მხოლოდ ზღუდავს ფისკალურ ურთიერთობას ეკლესიასა და შტატს შორის და, შესაბამისად, აძლიერებს სასურველ სეპარაციას ერთის მეორისგან იზოლირების გზით.

სეპარაცია ამ კონტექსტში სულაც არ გულისხმობს კონტაქტების სრულ არარსებობას. თანამედროვე ცხოვრების კომპლექსურობა ნებისმიერ შემთხვევაში იწვევს განსაზღვრულ კავშირს და რელიგიური ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობებისათვის პოლიციისა და სახანძრო სამსახურების მიერ განეული დახმარება მხოლოდ თანმდევ სარგებელს წარმოადგენს, რომლითაც შეიძლება ისარგებლოს ნებისმიერმა პიროვნებამ თუ დაწესებულებამ შტატის საზღვრებში.

აშშ-ს ორმოცდაათივე შტატი უზრუნველყოფს ღვთისმსახურების ადგილების გადასახადისგან გათავისუფლებას (უმრავლესობა კონსტიტუციური გარანტიის გზით). ეკლესიები გათავისუფლებულნი იყვნენ ფედერალური საშემოსავლო გადასახადისგან მთელი იმ დროის მანძილზე (75 წელიწადი), როცა ამ გადასახადს შეეძლო მათზე ზეგავლენის მოხდენა. ამგვარი დამოკიდებულება არანაკლები „დახმარებაა“ ეკლესიებისადმი, ვიდრე შტატების მიერ მინიჭებული უძრავი ქონების გადასახადისგან გათავისუფლება.

თუ გავითვალისწინებთ რელიგიური შემწყნარებლობისადმი ეროვნულ დამოკიდებულებასა და გადასახადებისგან გათავისუფლების ორსაუკუნოვან ისტორიას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ხნის მანძილზე ეკლესიის ან რელიგიის დაწესება არ მომხდარა. პირიქით, ის ხელს უწყობდა რელიგიური მრწამსის თავისუფლად აღმსარებლობას.

*მოსამართლე ბრენანის თანმხვედრი აზრი*

ამ მოსამართლის თანახმად, ამერიკელი ერის არსებობის დასაწყისიდანვე რელიგიური ორგანიზაციების გადასახადებისგან გათავისუფლების ისტორია არ არის გადამწყვეტი ამ

პრაქტიკის კონსტიტუციურად ცნობისათვის. თუმცა მსგავს პრაქტიკას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება აბსტრაქტული კონსტიტუციური ენის ინტერპრეტირებისას. დაწესების კლაუზულა,<sup>313</sup> სავარაუდოდ, საგადასახადო შეღავათების მიმართ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს მოითხოვს. ამ კლაუზულის სასამართლოსეული განმარტება სწორედ ამერიკელი ერის გამოცდილების გააზრებამ გამოიწვია. რაც უფრო ხანგრძლივი და საყოველთაოდ აღიარებულია ესა თუ ის პრაქტიკა, მით უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ის კონსტიტუციის ინტერპრეტაციაზე. ისტორიის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ საქმეში, ჩვენი სახელმწიფოს არსებობის საწყისი ეტაპიდან რელიგიური საგადასახადო შეღავათების ფართო და უცვლელი აღიარების გათვალისწინებით.

მოსამართლე ბრენანის შეხედულებით, უძრავ ქონებაზე გადასახადების გადახდისგან რელიგიური ორგანიზაციების გათავისუფლებისათვის სახელმწიფოს ორი ძირითადი საერო მიზანი აქვს: პირველი – მათ საგადასახადო შეღავათები მიენიჭათ, რადგან სხვა კერძო, არაკომერციული ორგანიზაციების მსგავსად, ხელს უწყობენ საზოგადოების კეთილდღეობას მრავალფეროვანი არარელიგიური გზებით; მეორე – სახელმწიფო რელიგიურ ორგანიზაციებს ანიჭებს შეღავათებს, ვინაიდან თავიანთი რელიგიური საქმიანობით ისინი ერთმნიშვნელოვნად ხელს უწყობენ პლურალიზმს ამერიკულ საზოგადოებაში. სწორედ ამ მიზნით ნიუ-იორკის შტატმა გამოწვევები დაუშვა არა მარტო რელიგიური და სოციალური მომსახურების ორგანიზაციების, არამედ სამეცნიერო, ლიტერატურული, საადვოკატო, პატრიოტული და ისტორიული ჯგუფებისა და ზოგადად „ექსკლუზიურად ქალთა და მამაკაცთა მორალური და მენტალური განვითარებისათვის ორგანიზებული“ დაწესებულებებისათვის. ამ სისტემის სულისკვეთების გათვალისწინებით მიუღებელია ვარაუდი, თითქოს შტატის მიზანი შეადგენდა რელიგიური ორგანიზაციებისადმი რაიმე გამორჩეული მოპყრობა იყო.

#### *მოსამართლე ჰარლენის თანმხვედრი აზრი*

მოსამართლე ჰარლენის მოსაზრებით, აღნიშნული კანონმდებლობა რელიგიურ ცხოვრებაში მონაწილეობას არც უწყობს და არც უშლის ხელს. შესაბამისად, ის აკმაყოფილებს პირველ შესწორებაში ჩადებულ ვოლუნტარიზმის მოთხოვნას – შტატი „არ იყენებს სახელმწიფო დაწესებულების პრესტიჟს, ძალაუფლებასა და გავლენას“ მოქალაქეთა ცხოვრებაში რელიგიის წახალისებისათვის. ჰარლენის დასკვნის მიხედვით, საქმეში წარმოდგენილი სტატუტი აკმაყოფილებს ნეიტრალობის მოთხოვნასაც.

კანონი, რომელიც რელიგიური ორგანიზაციების გადასახადების გადახდისგან გათავისუფლების ნიუ-იორკის კონსტიტუციური დებულების ცხოვრებაში გატარებას უზრუნველყოფს, განსაზღვრავს არადაბეგვრადი ორგანიზაციების ჯგუფს, რომელთა საერთო მახასიათებელია ინდივიდის კულტურული და მორალური განვითარებისაკენ მიმართული საქმიანობის არაკომერციული მიზანი და განსაზღვრული საზოგადოებრივად სასიკეთო საქმიანობის განხორციელება.

მოსამართლე ჰარლენის შეხედულებით, რელიგიური ორგანიზაციის მიერ საერო საქმიანობის დაფინანსებისას, რისი ხელშეწყობისთვისაც ეს კანონმდებლობაა შემუშავებული, ნეიტრალობის პრინციპს სრულად შეესაბამება, სხვა ორგანიზაციების მსგავსად, მათთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭება. უფრო მეტიც, მოსამართლე იმდენად ფართოდ განიხილავს საქმეში წარმოდგენილ სტატუტს, რომ, მისი მოსაზრებით, ეკლესიებს სრულიად მართლზომიერად შეეძლოთ გადასახადების გადახდისგან გათავისუფლებისათვის მიეღწიათ იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონში ნახსენებ საერო საქმიანობის დაფინანსებას არ ეწეოდნენ და მხოლოდ თავიანთი წევრების კეთილდღეობისათვის არსებობდნენ.

მოსამართლე დუგლასის განსხვავებული აზრი

მოსამართლე დუგლასის მტკიცებით, „ორსაუკუნოვანი თავისუფლება გადასახადებისგან“ არარელევანტურია ამ საქმეში. მისი შეხედულებით, ისტორია გზამკვლევის ფუნქციას რომ ასრულებდეს, ეკლესიების გადასახადებისგან გათავისუფლება მით უმეტეს ეჭვქვეშ დადგებოდა, ვინაიდან მსგავსი სისტემა მაშინ წარმოიქმნა, როდესაც ეკლესია სახელმწიფო დაწესებულებას წარმოადგენდა.

მოსამართლეს არამართებულად მიაჩნია ხელმძღვანელ პრინციპად *ევერსონის*<sup>314</sup> საქმის გამოყენება. მისი მოსაზრებით, *ევერსონის* საქმეში წარმოდგენილი იყო სახელმწიფო ფინანსების გამოყენება როგორც სამრევლო, ასევე საჯარო სკოლებში ბავშვების ავტობუსით მგზავრობისათვის. სამრევლო სკოლებში რელიგიას ასწავლიან, თუმცა ისინი ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებს წარმოადგენენ, რომლებიც საჯარო სკოლებთან კონკურენტუნარიან სასწავლო კურსებს სთავაზობენ მოსწავლეებს. აქედან გამომდინარე, *ევერსონში* წარმოდგენილ სკოლებში განათლება, ამ ცნების საერო გაგებით, კომბინირებული იყო რელიგიურ ინდოქტრინაციასთან. ეს საქმე კი აშკარად განსხვავებულია. აქ სახელმწიფო ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ეკლესიებს და ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილ ადგილებს. გადასახადისგან გათავისუფლება, მოსამართლე დუგლასის თანახმად, სწორედ რომ სუბსიდიას წარმოადგენს.

დუგლასის თანახმად, თუკი მორწმუნენი უფლებამოსილი არიან, მიიღონ სახელმწიფოს ფინანსური დახმარება, ასეთივე უფლება არამორწმუნეებსაც აქვთ. კანონმდებლობა კი განსხვავებულ დამოკიდებულებას ითვალისწინებს მორწმუნეთა და არამორწმუნეთა მიმართ. პირველი შესწორების ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს სიცოცხლისუნარიანი, პლურალისტური საზოგადოების ხელშეწყობა და აგრეთვე მთავრობის ნეიტრალიტეტი არა მარტო სექტების, არამედ მორწმუნეთა და არამორწმუნეთა მიმართ. აქედან გამომდინარე, მოსამართლე დუგლასი მიიჩნევს, რომ საგადასახადო შეღავათები არაკონსტიტუციურია.

**არის თუ არა გადასახადებისგან გათავისუფლება სუბსიდია?** საგადასახადო კოდექსი აწესებს შეზღუდვებს გადასახადების გადახდისგან გათავისუფლებული ორგანიზაციების ლობისტურ საქმიანობაზე. *რეგანის* საქმეში<sup>315</sup> სასამართლომ მხარი დაუჭირა აღნიშნულ შეზღუდვებს. მომჩივანი მოითხოვდა გამოქვითული კონტრიბუციის გამოყენებას საკუთარი ლობისტური საქმიანობის მხარდაჭერისათვის. მოსამართლე რენკვისტის მიხედვით კი, რომელმაც გადმოსცა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: „მომჩივნის მოთხოვნათა შეფასებისათვის აუცილებელია კონგრესის მიერ მიღებული გადასახადებისგან გათავისუფლების სისტემის ეფექტის გააზრება. გადასახადებისგან გათავისუფლება სუბსიდიის ფორმას წარმოადგენს, რომლის ადმინისტრირებაც საგადასახადო სისტემის მეშვეობით ხორციელდება. გადასახადებისგან გათავისუფლებას ისეთივე ეფექტი აქვს, როგორც ორგანიზაციისათვის იმ ოდენობის ფულადი თანხის ჩუქებას, რომელიც გადასახადის სახით უნდა გადაეხადა. კონგრესის მიერ მიღებული კანონი უზრუნველყოფდა არაკომერციული სამოქალაქო კეთილდღეობის ორგანიზაციების ასეთ სუბსიდირებას, ხოლო იმ საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან ჩართულნი ლობისტურ საქმიანობაში, დამატებით სუბსიდირებას“. მოკლედ რომ ვთქვათ, სასამართლოს თანახმად, კონგრესის მიზანს არ წარმოადგენდა ლობისტური საქმიანობის სუბსიდირება. ამის სანაცვლოდ მან არჩია იმ საქმიანობის დაფინანსება, რომელსაც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით ახორციელებენ არაკომერციული ორგანიზაციები.

შემდგომ განხილულ საქმეებში აშკარად შეინიშნება საგადასახადო სარგებლის „სუბსიდიად“ განხილვის ტენდენცია. საქმეში *ტეხასის ყოველთვიური გამოცემა ბალოკის წინააღმდეგ*<sup>316</sup> მოსამართლე ბრენანის განცხადებით: „ჩვენ მხარს ვუჭერთ საშემოსავლო გადასა-

ხადის გამოქვეყნებას სწავლების, ტრანსპორტირებისა და არარელიგიური სახელმძღვანელოების ხარჯებისათვის. რა თქმა უნდა, საგადასახადო შეღავათი ეხმარებოდა როგორც სამრევლო, ისე არარელიგიურ კერძო სკოლებსა და მათ მოსწავლეთა მშობლებს. ამის მიუხედავად, ჩვენ არ ვთვლით, რომ ამ სუბსიდიამ გააბათილა კანონის ძირითადი საერო მიზანი თუ შედეგი.“ მოსამართლემ ასევე გააანალიზა რელიგიური ლიტერატურის გავრცელებაზე სარეალიზაციო გადასახადისგან გათავისუფლება: გადასახადების გადახდისგან „ნებისმიერი გათავისუფლება შეადგენს სუბსიდიას, რომელიც გადასახადების გადამხდელებზე ზემოქმედებს, რადგან აიძულებს მათ, გახდნენ არაპირდაპირი დონორები. სანამ ეს სუბსიდია არარელიგიურ ჯგუფებს და რელიგიურ ორგანიზაციებს ენიჭება განსაზღვრული ლეგიტიმური საერო მიზნის მისაღწევად, რელიგიური ჯგუფების მიერ სხვებთან ერთად სარგებლობა არ უკარგავს სუბსიდიას დაწესების კლაუზულით სავალდებულო საერო მიზანსა და ძირითად შედეგს. თუმცა როდესაც სახელმწიფო ახდენს რელიგიური ორგანიზაციების ექსკლუზიურ სუბსიდირებას, რაც სავალდებულო არ არის აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულით, მაშინ სახელმწიფოს ეს ქმედება აშკარა ტვირთს აკისრებს არამოსარგებლებს და გაუშვართლებლად ეხმარება რელიგიურ ორგანიზაციებს“.

საქმეში *როზენბერგერი ვირჯინიის უნივერსიტეტის წინააღმდეგ*<sup>317</sup> მოსამართლე ტომასმა თავის თანმხვედრ აზრში მიუთითა: „გადასახადებისგან გათავისუფლება უმრავლეს შემთხვევაში არც ეკონომიკური და არც ფუნქციური თვალსაზრისით არ განსხვავდება პირდაპირი ფულადი სუბსიდიისგან. ერთ შემთხვევაში სახელმწიფო რელიგიურ ორგანიზაციებს (სხვებთან ერთად) ათავისუფლებს ზოგადი დანიშნულების გადასახადისგან; მეორე შემთხვევაში ის ათავისუფლებს რელიგიურ ორგანიზაციებს (სხვებთან ერთად) ამ გადასახადის განსაზღვრული ან ყველა ტვირთისგან, როდესაც უბრუნებს ამ თანხას სუბსიდიის სახით. იმის მიუხედავად, სარგებლით უზრუნველყოფა დაბეგვრის პროცესამდე ხორციელდება თუ მისი დასრულების შემდგომ, ფინანსური დახმარება რელიგიური ჯგუფებისადმი უდავოა“. სქოლიოში ტომასი დაეყრდნო პროფესორ შურეის „საგადასახადო დანახარჯის“ კონცეფციას,<sup>318</sup> რომელიც ემყარებოდა მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს განსაზღვრული პიროვნებისა თუ ჯგუფისათვის ფულადი ასიგნაციის განხორციელება შეუძლია სპეციალური, მიზნობრივი საგადასახადო გამოქვეყნებისა თუ გადასახადისგან გათავისუფლების გზით, პირდაპირი გადახდის მექანიზმების გამოყენების ნაცვლად.

### **რელიგიური ლიტერატურის გავრცელების დაბეგვრა**

საქმეში *ჯიმი სვოგარტი კალიფორნიის შტატის მართვის საბჭოს წინააღმდეგ* სასამართლომ დაადგინა, რომ სარეალიზაციო და სამომხმარებლო გადასახადის დაკისრება ევანგელისტის მიერ რელიგიური ლიტერატურის გავრცელებაზე არ არღვევს აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულას. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ გადასახადის გადამხდელის საქმიანობის გადაჭარბებული რეგულირება ზოგადი დანიშნულების ყველა გადასახადის ურთულესი ფორმით არ წარმოადგენს არდანესების კლაუზულის დარღვევას.

### *ჯიმი სვოგარტი კალიფორნიის შტატის მართვის საბჭოს წინააღმდეგ*<sup>319</sup>

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

აპელანტის მტკიცებით, სარეალიზაციო და სამომხმარებლო გადასახადის დაკისრება რელიგიური მასალების გაყიდვაზე არდანესების კლაუზულის დარღვევაა, ვინაიდან ის „რელიგიასთან სახელმწიფოს ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის საფუძველს ქმნის“.



უზენაესი სასამართლოს თანახმად, არდანესების კლაუზულით აკრძალულია „რელიგიური საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა და მასში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა“. „ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირი“, როგორც *ლემონის* სამელემენტინი ტესტის ერთ-ერთი ნაწილი, მოითხოვს „სარგებლის მიმღები დაწესებულებების ხასიათისა და მიზნების, სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი დახმარების ბუნებისა და შედეგად მიღებული სახელმწიფოსა და ეკლესიის ხელმძღვანელობას შორის დამყარებული ურთიერთობის“ შემოწმებას. საქმეში *ვოლცი ნიუ-იორკ სიტის* საგადასახადო კომისიის წინააღმდეგ<sup>320</sup> უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ რელიგიური ორგანიზაციების გათავისუფლება გადასახადებისგან მხოლოდ რელიგიური ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი უძრავი ქონებისათვის, არაკომერციული დაწესებულებების გათავისუფლების ზოგადი პროგრამის ფარგლებში არ არღვევდა დაწესების კლაუზულას. გადასახადისგან გათავისუფლების მხარდაჭერისას სასამართლომ სპეციალურად აღნიშნა, რომ რელიგიური ქონების დაბეგვრა, სულ მცირე, ისეთივე ადმინისტრაციული ურთიერთკავშირის დამყარებას გამოიწვევდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ხელმძღვანელობას შორის, როგორც გადასახადის გადახდისგან გათავისუფლებას მოჰყვება. საგადასახადო შეღავათების გაუქმებას რელიგიასთან სახელმწიფოს ურთიერთობის გაფართოება მოჰყვებოდა საეკლესიო ქონების საგადასახადო შეფასების, საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფისათვის ქონების დაგირავების, დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევისა თუ იმ პირდაპირი კონფლიქტების გამო, რომლებიც ამ სამართლებრივ პროცესებს მოჰყვებოდა. ნებისმიერი ალტერნატივის ანალიზისას ძირითადი საკითხი, რომელიც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ისაა თუ, რამდენად ძლიერია ურთიერთკავშირი და ინვესს თუ არა ის ხანგრძლივი ზედამხედველობის აუცილებლობას ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან, რასაც კავშირის დაუშვებელ დონემდე მიყვავართ“. აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს თანახმად, უნდა გადაწყდეს საკითხი: სარეალიზაციო და სამომხმარებლო გადასახადის გადაუხდელობისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება აპელანტზე ინვესს თუ არა „ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის“ სახელმწიფოსა და აპელანტს შორის და „სისტემატურ ზედამხედველობას, რასაც ურთიერთკავშირის დაუშვებელ დონემდე მიყვავართ“.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, უდავოა, რომ ზოგადი დანიშნულების გადასახადს საერო მიზანი აქვს. ის არც ხელყოფს და არც ხელს უწყობს რელიგიას. მსგავსი გადასახადის არსი იმაში მდგომარეობს, რომ რელიგიის საკითხებზე მისთვის დამახასიათებელია ნეიტრალობა და არადისკრიმინაციულობა. შესაბამისად, აშკარაა, რომ ამ საქმეში პირველი შესწორებით გარანტირებული ღირებულებები ზოგადი დანიშნულების გადასახადით კითხვის ნიშნის ქვეშაც კი არ დგება.

უზენაესმა სასამართლომ, თვით *ლემონის* ტესტის „ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის“ ელემენტის გამოყენების მიუხედავად, დაადგინა, რომ კალიფორნიის შტატის მიერ სამომხმარებლო და სარეალიზაციო გადასახადებისათვის საგადასახადო პასუხისმგებლობის აპელანტზე დაკისრება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის დამყარების არანაირ საფრთხეს არ შეიცავს.

აპელანტის მტკიცებით, სარეალიზაციო და სამომხმარებლო გადასახადების გადახდა უმკაცრეს საბუღალტრო ტვირთს აკისრებდა მას. თუმცა უზენაესმა სასამართლომ მას მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი მტკიცებულებები არ ცნო დამაჯერებლად. სასამართლოს განცხადებით, იმ შემთხვევაშიც, თუ ვივარაუდებთ, რომ გადასახადები მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ტვირთს აკისრებს აპელანტს, მსგავსი ადმინისტრაციული და სააღრიცხვო ვალდებულებანი არ აღწევს კონსტიტუციურად არსებით დონეს; რა თქმა უნდა, გადასახა-



დების ამოღება და გადახდა აპელანტსა და შტატს შორის გარკვეულ კონტაქტს გულისხმობს, თუმცა, როგორც აღინიშნა, ზოგადი დანიშნულების ადმინისტრაციული და სააღრიცხვო რეგულაციების დაკისრება რელიგიურ ორგანიზაციებზე სავსებით შესაძლებელია დაწესების კლაუზულასთან კონფლიქტის გარეშე; „არც მარეგულირებელი ურთიერთქმედება (როგორცაა ნეიტრალური საგადასახდო კანონების გამოყენება), რომელიც არ მოიცავს რელიგიური დოქტრინის გამოკვლევას ... არც შტატის უფლებამოსილების რელიგიურ ორგანიზაციაზე დელეგირება ... ისევე როგორც დეტალური მონიტორინგი და მჭიდრო ადმინისტრაციული კონტაქტი ... თავისთავად არ წარმოადგენს გადაჭარბებული ურთიერთკავშირის დამყარების აკრძალვაზე კონსტიტუციური მოთხოვნის დარღვევას“. „დანესების კლაუზულა არ ათავისუფლებს რელიგიურ ორგანიზაციებს ისეთი საერო ტიპის სახელმწიფო საქმიანობისგან, როგორცაა სახანძრო შემოწმებანი, დასახლებული პუნქტების რაიონებად დაყოფა და სამშენებლო ნესები ან სამართლიანი შრომითი სტანდარტების აქტის მოთხოვნები“.<sup>321</sup>

ის, რომ აპელანტმა ზოგადი დანიშნულების სარეალიზაციო და სამომხმარებლო გადასახადების ამოღებისა და გადაგზავნის ხარჯები უნდა განიოს, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სრულებით არ იწვევს სახელმწიფოს გადაჭარბებულ ჩართვას რელიგიურ საქმეებში. აპელანტის მტკიცებათა საწინააღმდეგოდ, კანონისმიერი სისტემა არ მოითხოვს საჯარო მოსამსახურეების ჩარევას აპელანტის ყოველდღიურ საქმიანობაში, ისევე როგორც ხანგრძლივ ზედამხედველობს მასზე.

აპელანტისთვის ამ გადასახადების დაკისრება შტატისგან არც გაყიდული ლიტერატურის რელიგიური შინაარსისა და არც მისი გაყიდვისა და შექმნის მოტივაციის გამოძიებას მოითხოვს, ვინაიდან მასალები გადასახადებით დაბეგრას ექვემდებარება მიუხედავად შინაარსისა თუ მოტივაციისა. აპელანტების მტკიცების მიუხედავად, რომ ხშირად რელიგიური ლიტერატურისათვის გადახდილ თანხას თან სდევდა შემონირულობაც და ზოგჯერ მასალების გაცემა საფასურის გადახდის გარეშე ხდებოდა, აშკარაა, რომ პირველ შემთხვევაში „შეკვეთის ბლანკები“ და „პრეისკურანტები“ მხოლოდ ილუზორულს ხდის ამ ორი ნაწილის ერთმანეთისგან გამიჯვნას, ხოლო მეორე შემთხვევაში ძირითადი საკითხია, განსაზღვრული ტრანსფერი შეადგენს თუ არა „გაყიდვას“. აპელანტის მოსაზრება კი, რომ სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი, დაბეგროს „ძირითადი რელიგიური“ საქმიანობა და მხოლოდ არარელიგიურ საქმიანობაზე შეუძლია გადასახადების დაკისრება, უზენაესი სასამართლოს თანახმად, სახელმწიფოსგან სწორედ იმას მოითხოვს, რასაც კრძალავს რელიგიური კლაუზულა, კერძოდ, „განსაზღვროს, ხარჯების რა ნაწილია რელიგიური და რა საერო“.

აქედან გამომდინარე, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პასუხისმგებლობის დაკისრება აპელანტზე სარეალიზაციო და სამომხმარებლო გადასახადების გადაუხდელობისათვის არ არღვევდა დაწესების კლაუზულას.

**სახელმწიფოს ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირი რელიგიასთან.** საქმეში *ლემონი კურცმანის წინააღმდეგ*,<sup>322</sup> რომელიც სკოლის დაფინანსებას შეეხებოდა, სასამართლომ ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირი ცალკე კრიტერიუმად აღიარა არდაწესების კლაუზულის დარღვევის შეფასებისას. ამ სტანდარტზე დაყრდნობით სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა რელიგიური განათლებისადმი. მომდევნო რამდენიმე საქმეში, რომლებშიც მოცემული ტესტი გამოიყენეს, სასამართლომ არ მოითხოვა სახელმწიფოს ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის მტკიცებულება რელიგიურ განათლებაში. მაგალითად, საქმეში *აგილარი ფელტონის წინააღმდეგ*<sup>323</sup> სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა ფედერალური პროგრამა, რომლის ფარგლებშიც საჯარო სკოლების მასწავლებლები სამრევლო სკოლების დაბალშემოსავლიანი მშობლების შვილებს სთავა-

ზობდენ კითხვისა და მათემატიკის კორექციული სწავლების კურსებს. პროგრამის მოქმედების ოცი წლის განმავლობაში არ არსებობდა მტკიცებულება, რომ რომელიმე საჯარო მოსამსახურე სკოლის რელიგიური ზეგავლენის ქვეშ მოქცეულიყო და ბავშვების სწავლებისას რაიმე სახის ცვლილება შეეტანა კითხვასა და მათემატიკაში. აქედან გამომდინარე, დაუგეგმავი შედეგის მიღების უბრალო შიში საკმარისი აღმოჩნდა პროგრამების გაუქმებისათვის დაწესების კლა-უზულის საფუძველზე. შედარებისთვის, როდესაც ერთ-ერთ საქმეში ზედმეტად მჭიდრო ურთიერ-თ-კავშირის დამყარების საკითხიც დადგა აღმსარებლობის თავისუფლების დარღვევის კონტექ-სტში, სასამართლომ უარყო არგუმენტი, რომლის თანახმადაც ეკლესიის ფართო მონიტორინგი შეადგენდა „ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირს“.

ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის ტესტი კვლავაც რჩება სასამართლო დავების გა-დანწყვეტის ერთ-ერთ სტანდარტად, თუმცა ორ ბოლოდროინდელ საქმეში, აგოსტინი ფელ-ტონის წინააღმდეგ<sup>324</sup> და მიტჩელი ჰელმისის წინააღმდეგ<sup>325</sup> სასამართლომ ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის დამყარებასთან დაკავშირებული გამოძიება მხოლოდ კანონის შედეგის განსაზღვრისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად ჩამოაყალიბა.

### **კაპელანის სამსახური**

#### *მარში ჩემბერსის წინააღმდეგ<sup>326</sup>*

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ნებრასკის შტატის საკანონმდებლო ორგანოს ყოველი სხდომა იხსნება კაპელანის ლოც-ვით, რომელიც შეირჩევა საკანონმდებლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ორი წლის ვადით და მისი სამსახური ანაზღაურდება სახელმწიფო ფონდებიდან. პრესბიტერი-ანელი ღვთისმსახური რობერტ პალმერი 1965 წლიდან მსახურობდა კაპელანად თვეში 319 დოლარისა და 75 ცენტის ანაზღაურებით.

ერნესტ ჩემბერსი კი ნებრასკის საკანონმდებლო ორგანოს წევრი და ამავე შტატის გადა-სახადების გადამხდელია. მან გაასაჩივრა კაპელანის ლოცვის პრაქტიკა საკანონმდებლო და-წესებულებაში, როგორც პირველი შესწორების დაწესების კალუზულის დარღვევა. საოლქო სასამართლომ უარყო ამ პრაქტიკის აღკვეთის მოთხოვნა საკანონმდებლო იმუნიტეტის სა-ფუძველზე და განაცხადა, რომ დაწესების კლაუზულა არ ირღვევა ლოცვებით, მისი ხელყო-ფა მოხდა სახელმწიფო ფონდებიდან კაპელანის დაფინანსების გამო. აქედან გამომდინარე, სასამართლომ აუკრძალა ნებრასკის საკანონმდებლო ორგანოს სახელმწიფო სახსრების გა-მოყენება კაპელანის სამსახურის ანაზღაურებისათვის; თუმცა უარი განაცხადა ლოცვებით სხდომების გახსნის პოლიტიკის აკრძალვაზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მე-10 შესწორების საფუძველზე სარჩელის უარ-ყოფის არგუმენტი და, საოლქო სასამართლოსგან განსხვავებით, არც ჩემბერსის მოთხოვნა დაყო ორ, განცალკევებულად განსახილველ საკითხად. ლემონის სამელემენტიანი ტესტის გამოყენებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ კაპელანის ლოცვის პრაქტიკა არ-ღვევდა ტესტის სამივე ელემენტს: 16 წლის განმავლობაში ერთი და იმავე ღვთისმსახურის შერჩევისა და მისი ლოცვების მიზანი და ძირითადი შედეგი რელიგიური გამოხატვის ხელ-შენწყობა იყო; კაპელანის სამსახურის ანაზღაურებისა და ლოცვების გამოქვეყნებისათვის შტატის თანხების გამოყენება კი ინვევდა ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირს. შედეგად სააპელაციო სასამართლომ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების კორექტირება მოახ-დინა და აუკრძალა შტატს რაიმე სახის მონაწილეობა კაპელანის დამკვიდრებულ პრაქტიკაში.

უზენაესი სასამართლოს თანახმად კი, საკანონმდებლო და სხვა სახელმწიფო სათათბირო ორგანოების სხდომების ლოცვით გახსნა აშშ-ს ისტორიასა და ტრადიციაში დანერგილი პრაქ-

ტიკაა. კოლონიური პერიოდიდან მოყოლებული რესპუბლიკის შექმნამდე და მის შემდეგაც საკანონმდებლო ლოცვების პრაქტიკა თანაარსებობდა არდაწესებისა და აღმსარებლობის თავისუფლების პრინციპებთან. სასამართლო სხდომის იმ დარბაზებში, სადაც თავდაპირველად აშშ-ს საოლქო მოსამართლემ, ხოლო შემდგომ სააპელაციო სასამართლოს სამმა მოსამართლემ განიხილა და გადაწყვიტა ეს საქმე, სასამართლო პროცესი იხსნებოდა შემდეგი სიტყვებით: „უფალო, დაიცავი ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ღირსეული სასამართლო“. იგივე თხოვნა გაისმის უზენაესი სასამართლოს ყველა სხდომაზეც.

პირველმა კონგრესმა ერთ-ერთ პირველ საკითხად თითოეული სხდომის ლოცვით გახსნისათვის კაპელანების შერჩევის წესი მიიღო. კონგრესის გადაწყვეტილებიდან სამი დღის შემდეგ საბოლოო შეთანხმება იქნა მიღებული „უფლებათა ბილის“ ტექსტზე. უზენაესი სასამართლოს შეხედულებით, უდავოა, რომ პირველი შესწორების რელიგიური კლაუზულის ავტორები ანაზღაურებადი საკანონმდებლო კაპელანების არსებობასა და სხდომების ლოცვით გახსნას არ განიხილავდნენ „უფლებათა ბილის“ დარღვევად, ვინაიდან ეს პრაქტიკა შეუფერხებლად გაგრძელდა კონგრესის პირველი სხდომიდან მოყოლებული.

რა თქმა უნდა, ცალკე აღებული ისტორიული მაგალითებით შეუძლებელია კონსტიტუციური გარანტიების თანამედროვე დარღვევების გამართლება, თუმცა უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, ამ საქმეში მოყვანილი ფაქტები ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალო ისტორიული მაგალითები. ისტორიული მტკიცებულებანი ნათელს ჰფენს კონსტიტუციის შემქმნელთა განზრახვას არა მარტო დაწესების კლაუზულის მნიშვნელობის, არამედ კონგრესის მიერ სანქცირებული პრაქტიკისადმი მისი გამოყენების თვალსაზრისით. მათი ქმედებები მეტყველებს მათსავე განზრახვაზე. აქტი, რომელიც „მიღებულია კონსტიტუციის საფუძველზე შეკრებილი პირველი კონგრესის მიერ, რომლის წევრთა უმრავლესობამაც მონაწილეობა მიიღო კონსტიტუციის შემუშავებაში ... მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობის წონადი და თანამედროვე მტკიცებულებაა.“<sup>327</sup>

უზენაესი სასამართლოს განცხადებით, უდავოა, რომ ორასწლიანი ერთმნიშვნელოვანი და უწყვეტი ისტორიის გათვალისწინებით, საკანონმდებლო სხდომების ლოცვით გახსნა აშშ-ს საზოგადოების ნაწილად იქცა; ღვთის წყალობის თხოვნა კანონების მიღებაზე უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოზე, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, არ წარმოადგენს რელიგიის „დაწესებას“ ან ნაბიჯს აღნიშნულის განხორციელებისკენ; ეს მხოლოდ ამ ქვეყნის მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული მრწამსების მისაღები აღიარებაა.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, არც კაპელანის სამსახურის სახელმწიფო ფონდებიდან ანაზღაურება წარმოადგენს საკმარის მიზეზს ნებრასკის საკანონმდებლო ორგანოს კაპელანის თანამდებობის გაუქმებისათვის. ფულადი ანაზღაურება ეფუძნება ისტორიულ პრაქტიკას, რომელიც ინიცირებულია იმავე კონგრესის მიერ, რომელმაც შეიმუშავა პირველი შესწორების დაწესების კლაუზულა.

ყოველივეს შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

*მოსამართლე ბრენანის განსხვავებული აზრი, რომელსაც შეუერთდა მოსამართლე მარშალი*

მოსამართლე ბრენანის დასკვნის თანახმად, საკანონმდებლო ლოცვის უპირატესად რელიგიური ხასიათი თავისთავად ნათელია. „უფლის წყალობის თხოვნა სახელმწიფო ორგანოსთვის, რომელიც კანონის მიღების უფლებამოსილებით არის აღჭურვილი“, სხვა არაფერია, თუ არა რელიგიური აქტი. რა საერო ტიპის ფუნქციებსაც არ უნდა ასრულებდეს ფორმალურად საკანონმდებლო ლოცვა, საკანონმდებლო სხდომის გახსნის, ორგანოს წევრების

დამოშმინებისა თუ მათში მაღალი იდეალებისა და პასუხისმგებლობის შეგრძნების ხელშეწყობისათვის, მათი შესრულება სავსებით შესაძლებელი იყო სრულიად არარელიგიური წესით. ლოცვის საერო მიზნის მტკიცება კი, ბრენანის მოსაზრებით, იმ ღირსეული ინდივიდების შეურაცხყოფას ნარმოადგენს, რომლებმაც დაანესეს აღნიშნული პრაქტიკა და ხელი შეუწყვეს მის შენარჩუნებას.

მოსამართლე ბრენანის შეხედულებით, ლოცვა მნიშვნელოვან თეოლოგიურ საკითხს წარმოადგენს და არ არის მხოლოდ „აშშ-ს მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული მრწამსების აღიარება“. განსაზღვრული რელიგიური ინდივიდების ან ჯგუფებისათვის თეოლოგიურად საკმაოდ პრობლემატურია მათთვის უცხო მრწამსის ჯგუფურ რელიგიურ გამოხატვაში მონაწილეობა; ზოგიერთის პროტესტი შეიძლება „არასექტანტურმა“ ლოცვამაც გამოიწვიოს; ზოგიერთმა შეიძლება ლოცვა, რომელშიც არ არის მიმართვა ქრისტესადმი, ადამიანებსა და ღმერთს შორის ურთიერთობის არაკორექტულ ფორმად ჩათვალოს; ზოგმა შეიძლება ნებისმიერი თხოვნის შემცველი ლოცვა განიხილოს შეუფერებლად; ზოგიერთმა კი შესაძლოა ლოცვა, რომელიც თხოვნის ელემენტის ნაკლებობით ხასიათდება, არაადეკვატურად მიიჩნიოს; ზოგის პროტესტი შესაძლებელია საჯარო ლოცვის ზედაპირულობამ განაპირობოს; რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია ზოგში თეოლოგიური პროტესტი გამოიწვიოს ხელისუფლების ორგანოს მიერ მხარდაჭერილმა და დაფინანსებულმა ლოცვამ. როდესაც მსგავსი პრობლემები წარმოიქმნება საეროდ მიჩნეული საქმიანობისადმი რელიგიური პროტესტის კონტექსტში, დაცვის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა. თუმცა ამ საქმეში, ბრენანის შეხედულებით, რელიგიური პროტესტის პოტენციალს იმ საქმიანობისადმი ვხვდებით, რომელიც რელიგიური ცხოვრების ფუძემდებლურ საკითხებს შეეხება, რაც, უბრალოდ, სახელმწიფოს კომპეტენციას სცილდება. სახელმწიფოს მიერ საკუთარ თავზე ეკლესიური არბიტრის მისიის აღება სრულიად შეუსაბამოა თავისუფლების კონცეფციასთან.

ბრენანს სრულიად მიუღებლად მიაჩნია არგუმენტი, რომ სახელმწიფოსა და რელიგიის მკაცრი სეპარაცია სულიერ იდენტურობას აკარგვინებს ერს. მისი მოსაზრებით, თუმცა ინდივიდები შეიძლება მართლაც ვერ იყვნენ „ნეიტრალურნი“ რელიგიურ საკითხებში, მაგრამ, დაწესების კლაუზულის შეფასების თანახმად, ნეიტრალობა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან როგორც შესაძლებელი, ისე იმპერატიულია.

**სამხედრო სამსახურის კაპელანები.** ვესტ პოინტის, ანაპოლისისა და კოლორადოს შტატებში მოქმედებდა რეგულაცია, რომელიც სამხედრო-სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო აკადემიების კურსანტებისგან მოითხოვდა ყოველკვირეულ პროტესტანტულ, კათოლიკურ და ებრაულ კაპელანურ მსახურებაზე დასწრებას. სტუდენტების მიერ კოლექტიური სარჩელით რეგულაციების გასაჩივრების შედეგად მოხდა მათი არაკონსტიტუციურად ცნობა, დაწესების კლაუზულის საფუძველზე. მოპასუხის მტკიცებით, „კაპელანის სამსახურზე დასწრების მოთხოვნის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა კადეტებში რელიგიური ემოციისადმი იმ მგრძნობიარობის განვითარება, რომელიც სამხედრო ლიდერს მოეთხოვებოდა უშუალოდ ღვთისმსახურებისას სხვების ცხოვრებაზე რელიგიის ზეგავლენის ხილვის გზით“. სააპელაციო სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა ხსენებული მიზნის საერო ხასიათი და დაადგინა, რომ „რეგულაციები რელიგიური ღვთისმსახურების უდავო ნახალისება იყო“.<sup>328</sup>

ანდერსენის საქმეს მოჰყვა ჰარვარდის სამართლის სკოლის ორი სტუდენტის სარჩელი საოლქო სასამართლოში არმიაში კაპელანის პროგრამის გაგრძელების აკრძალვის მოთხოვნით, რომელიც, მათი შეხედულებით, არღვევდა არდაწესების კლაუზულას. საოლქო სასამართლომ სახელმწიფოს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება გამარტივებული წესით და,

შესაბამისად, უარყო სარჩელი. სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება გარდა იმ ნაწილისა, რომელიც პროგრამის სპეციფიკურ საკითხებს შეეხებოდა და დააბრუნა ის ქვედა ინსტანციაში ხელახლა განსახილველად. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო ისტორიული და პრაგმატული არგუმენტების ერთობლიობას.

### *კეტკოფი მარშის წინააღმდეგ*<sup>329</sup>

*სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება*

კონგრესმა აშშ-ს კონსტიტუციის პირველი მუხლის საფუძველზე დააფუძნა სამხედრო ძალები „მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აშშ-ს თავდაცვის უზრუნველყოფის“ მიზნით. მისივე გადაწყვეტილებით „სამხედრო ძალებში ორგანიზებულ მშვიდობიან დროს“ ჩართულია „საგანგებო მდგომარეობისას ეროვნული თავდაცვის უზრუნველსაყოფად სრული და დაუყოვნებელი მობილიზაციისათვის აუცილებელი“ ყველა ორგანიზაცია თუ პიროვნება. სწორედ ამ სტრუქტურის ფარგლებში კონგრესის მიერ 1791 წლის 3 მარტის აქტის საფუძველზე სანქცირებულ იქნა „სამხედრო სამსახურის კაპელანების“ არსებობა.

აქტის თანახმად, კაპელანის მოვალეობაში შედიოდა შესაბამისი ნაწილისათვის რელიგიური მსახურებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა დაკრძალვის ცერემონიების ჩატარება. ნაწილის ხელმძღვანელ ოფიცერს კი ევალებოდა შესაბამისი საშუალებების უზრუნველყოფა, ტრანსპორტირების ჩათვლით, კაპელანისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით.

კაპელანების რაოდენობა სამხედრო ძალების შემადგენლობის ზრდასთან ერთად თანდათანობით მატულობდა 1981 წლისათვის სამხედრო ძალების შემადგენლობაში დაახლოებით 1427 მოქმედი და 10 სათადარიგო კაპელანი, მათი 1383 ასისტენტი და რელიგიური განათლების 48 კოორდინატორი შედიოდა.

დღესდღეობით კაპელანები ინიშნებიან ოფიცრებად შესაბამისი წოდებითა და იღებენ უნიფორმას, თუმცა მათი დანიშვნა ხორციელდება არა ბრძანებით, არამედ სამხედრო ძალების კაპელანთა საბჭოს მიერ აღიარებული საეკლესიო დაწესებულების საფუძველზე. მსგავსი დაწესებულებების რაოდენობა 47-ს აღწევს და ისინი 120 დენომინაციას წარმოადგენენ. ნებართვის გამცემი დაწესებულების თეოლოგიურ სტანდარტებთან ერთად განმცხადებელმა თავდაცვის დეპარტამენტის მიერ დაწესებული მკაცრი მინიმალური საგანმანათლებლო მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს.

კაპელანის თანამდებობაზე დასანიშნი ინდივიდების შესარჩევად უფროსი კაპელანის სამსახური აწესებს შესაბამის კვოტებს, რომლებსაც საფუძველად უდევს აშშ-ს მთლიანი მოსახლეობის დენომინაციური სურათი. კრიტერიუმად დადგენილია არა სამხედროთა არსებული რელიგიური შემადგენლობა, არამედ მთლიანი სამოქალაქო მოსახლეობის რელიგიური სურათი, იმის გათვალისწინებით, რომ ომიანობისა და საყოველთაო მობილიზაციის დროს არმიის გაზრდილ შემადგენლობაში დენომინაციური სხვაობა ადეკვატურად აისახოს.

თანამდებობაზე დანიშვნის შემდგომ კაპელანები, სხვა ოფიცრების და ჯარისკაცების მსგავს დიციპლინას ექვემდებარებიან და სამხედრო წვრთნას გადაიან. მათი მომზადება ხდება ისეთ საგნებში, როგორებიცაა არმიის ორგანიზაცია, სარდლობასთან ურთიერთობა, დაგეგმვა, სამხედრო მარაგები, რუკების კითხვა, ომის სახეობები, უსაფრთხოება, გადარჩენა ბრძოლის ველზე და სამხედრო ადმინისტრაცია. ისინი მზად უნდა იყვნენ სამხედრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი პრობლემებისათვის, როგორებიცაა ჯარისკაცთა ტრავმისა თუ სერიოზული ჭრილობის, სამხედრო პერსონალის ოჯახური სტრესებისათვის თავის გართმევა, ბრძოლის ველზე მომაკვდავსა თუ დაჭრილზე მზრუნველობა, ისევე როგორც დაძაბულობის შემსუბუქება სარდლობასა და სამხედრო მოსამსახურეთა შორის. მეორე მხრივ, კაპელანს არ ევალება იარაღის ტარება და სროლაში მომზადება.



სააპელაციო სასამართლოს თანახმად, სამხედრო კაპელანთა ძირითად ფუნქციას წარმოადგენს პლურალისტური სამხედრო საზოგადოების რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის გამიზნული საქმიანობის წარმართვა; არმიის რაოდენობრივი შემადგენლობისა და დისლოკაციის (291000 სამხედრო მსახურობს საზღვარგარეთ) გათვალისწინებით ამოცანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და რთულია. არმია სხვადასხვა ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური წარმომავლობის ინდივიდებისგან შედგება, რომლებიც სამხედრო სამსახურში განსხვავებული სოციალური, ეკონომიკური და საგანმანათლებლო გარემოდან მიდიან და რომელთა უმრავლესობა რელიგიურია. მათი რელიგიური მოთხოვნილებები განსაკუთრებით იზრდება მშობლიური გარემოდან მონყვეტის, ხშირად მათთვის აბსოლუტურად უცნობ ტერიტორიაზე ათასობით მილზე ტრანსპორტირების და სხვა ისეთი სირთულეებისას, რომლებსაც არ გადააწყდებოდნენ სახლში ყოფნის შემთხვევაში. არმიის შემადგენლობის თითქმის 37% დისლოცირებულია თურქეთში, საბერძნეთში, კორეასა და სინაის ნახევარკუნძულზე. ამ ტერიტორიებზე ამერიკელ მოსამსახურეთა იუდაურ-ქრისტიანულ მრწამსებს ნაკლებად იზიარებენ ადგილობრივი სასულიერო პირები. გარდა ამისა, სამხედროებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არსებობს გადაულახავი ენობრივი და კულტურული ბარიერი. რაც შეეხება თვით აშშ-ს, აქაც მსგავსი პრობლემები იქმნება, თუმცა გარკვეულწილად განსხვავებული სახის. კერძოდ, ენობრივი და კულტურული ბარიერის არარსებობის მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, სწორედ იქ, სადაც ძირითადად განთავსებულია სამხედრო ბანაკები, სამხედრო მოსამსახურეთა რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ადგილობრივი სამღვდელთა დახმარებით ადვილდება როგორც რაოდენობრივი სიმცირის, ისე დენომინაციური განსხვავებების გამო. რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ამოცანა კიდევ უფრო რთულდება სამხედრო ძალების მობილური ხასიათის გათვალისწინებით. სამხედრონი მზად უნდა იყვნენ, თავიანთი ბაზებიდან ძალზე მცირე დროში გაემგზავრონ მსოფლიოს შორეულ მხარეებში აშშ-ს საერთაშორისო თავდაცვითი ვალდებულების შესასრულებლად. არმიის წამყვან გენერალთა მტკიცებით, რომ არა კაპელანთა სამსახური ასეთი გარემოებებისას, სამხედროთა მოტივაციას, მორალსა და სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობისათვის მზადყოფნას დიდი ზიანი მიადგებოდა და აშშ-ს ეროვნული თავდაცვაც შესაბამისად შესუსტდებოდა.

სააპელაციო სასამართლოს შეხედულებით, აშშ-ს არმიის რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის სამხედრო კაპელანები და მათი დამხმარე რელიგიური მსახურების ფართო არჩევანს სთავაზობენ როგორც სამხედროებს, ისე მათ ოჯახებს. კაპელანები არ არიან უფლებამოსილინი, განახორციელონ პროზელიტიზმი. მათ ძირითად ვალდებულებებში შედის რელიგიური მსახურების შესრულება (პერიოდული ღვთისმსახურების, ნათლობის, ქორწინების და დაკრძალვის ჩათვლით), სამხედროებისა და მათი ოჯახების რელიგიური განათლება და უამრავი პერსონალური პრობლემის მოსაგვარებლად სამხედროთათვის რჩევადარიგებების მიცემა. გარდა ამისა, სამხედრო მოსამსახურებთან მჭიდრო კონტაქტის გამო კაპელანი ხშირად დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს ჯარისკაცებსა და სარდლობას შორის; ის კონსულტაციას უწევს ჯარისკაცებს მორალის, რასობრივი, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე და ეხმარება მათი გადაწყვეტის გზების მოძიებაში.

ასობით ათასი სამხედრო მოსამსახურისა და მათი ოჯახების მომცველი უზარმაზარი რელიგიური პროგრამისათვის არმიას აქვს ფართო და სათანადო წესით შემუშავებული ადმინისტრაციული სტრუქტურა, რომელიც კაპელანებთან ერთად შედგება დამხმარე პერსონალის, მომსახურების საშუალებების, პუბლიკაციებისა და სხვა რესურსებისგან. უფროსი



კაპელანი, არმიის გენერალ-მაიორი, კაპელანთა სამსახურის მართვასა და მათ საქმიანობაზე ზოგად ზედამხედველობას ახორციელებს. მისი სამსახური შედგება სამი ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფისგან: 1) მენეჯმენტისა და ადმინისტრირების; 2) გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკის და 3) პერსონალისა და ეკლესიური ურთიერთობების. ამ ქვედანაყოფებს აქტიური ურთიერთობა აქვთ თავდაცვის დეპარტამენტის სამხედრო ძალების კაპელანთა საბჭოსთან. წლების განმავლობაში ხუთასამდე სამლოცველო და ასამდე საგანმანათლებლო შენობა აიგო სამხედროთა და მათი ოჯახების რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და რელიგიური განათლების უზრუნველსაყოფად; ჯარისკაცებისთვის ხელმისაწვდომია უამრავი პუბლიკაცია (საღმრთო წერილი და სალოცავი წიგნები ებრაელი მოსამსახურეებისათვის, ახალი აღთქმა და ღვთისმსახურების წიგნი); შემუშავდა რელიგიური განათლების გაერთიანებული კურიკულუმი სამხედრო ძალებისათვის; ხორციელდება კაპელანთა მომზადება.

კაპელანთა სამსახურების, მომსახურების საშუალებების და სხვა რესურსების დაფინანსება კონგრესის მიერ განაწილებული სახელმწიფო სახსრების საფუძველზე ხორციელდება. კაპელანის სამსახურის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების გარდა ასევე გამოიყენება, თუმცა მცირე რაოდენობით, სამხედროებისა და მათი ოჯახების შემონიშნულობები.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნის თანახმად, აშშ-ს ეროვნული თავდაცვისათვის რელევანტურობისა და გონივრული აუცილებლობის შესაბამისი სტანდარტი სამხედრო ძალებში კაპელანების საქმიანობით დიდწილად დაკმაყოფილებულია. პროგრამის მიზანსა და შედეგს წარმოადგენს რელიგიის, რელიგიური განათლების, კონსულტაციებისა და ნაგებობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისთვის იქ, სადაც სხვაგვარად მათი აბსოლუტური უმრავლესობის ან მნიშვნელოვანი რაოდენობისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა რელიგიის გამოხატვა. შედეგად, სააპელაციო სასამართლოს შეხედულებით, აშშ-ს შეიარაღებულ ძალებში შემავალი ჯარისკაცების მორალი, მათი მზადყოფნა სამსახურისათვის და არმიის, როგორც აშშ-ს ეროვნული თავდაცვის ინსტრუმენტის, ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სამხედრო კაპელანის სამსახურზე.

ყოველივე ამის მიუხედავად, ცალკეულ სფეროში კაპელანების განსაზღვრული საქმიანობის გონივრული აუცილებლობა არ არის სრულად ნათელი. მაგალითად, ისეთ ურბანულ ცენტრებში, როგორებიცაა ვაშინგტონი (პენტაგონი), ნიუ-იორკი და სან-ფრანცისკო, სახელმწიფო სახსრების გამოყენება შესაძლებელია სამხედრო კაპელანებისა და შენობების უზრუნველსაყოფად იმ სამხედრო პერსონალისათვის, რომელიც საჯარო სამოქალაქო მოსამსახურეების მსგავსად ყოველდღიურად შინ ბრუნდება და თავისუფალ საათებს იქ ატარებს, სადაც სამოქალაქო სამღვედლოება და რელიგიური ნაგებობანი ისევე ხელმისაწვდომია მათთვის, როგორც არასამხედრო მოქალაქეებისათვის. მოსარჩეელების მტკიცებით, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამხედრო კაპელანის სამსახური და მომსახურების სხვა საშუალებანი ხელმისაწვდომია გადამდგარი სამხედრო პერსონალისა და მათი ოჯახებისთვისაც. სააპელაციო სასამართლოს განცხადებით, თუ ამგვარი პერსონალის ღვთისმსახურების შესაძლებლობა მათსავე საზოგადოებებში არ არის ხელყოფილი მათი სამხედრო სამსახურით და თუ არც კაპელანებისა და რელიგიური მომსახურების საშუალებებისათვის გათვალისწინებული თანხები დაიხარჯებოდა სხვა შემთხვევაში, მათ მიმართ რელიგიური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის გამართლება ეჭვს იწვევს და, მიუხედავად სამხედრო საკითხებში კონგრესისადმი სასამართლოს დიდი პატივისცემისა, მოითხოვს აშშ-ს შეიარაღებული ძალების მიერ ეროვნული თავდაცვის ამოცანის შესასრულებლად მათი მნიშვნელობისა და გონივრული აუცილებლობის დამტკიცებას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ქვემდგომ

სასამართლოს გადასაწყვეტად დაუტოვა საკითხი, კონსტიტუციურად რამდენად დასაშვებია, ჩამოყალიბებული სტანდარტების შესაბამისად, ასეთ შეზღუდულ სფეროებში სახელმწიფოს მიერ კაპელანის სამსახურის დაფინანსება.

## რელიგიური სიმბოლოების განთავსება სახელმწიფო საკუთრებაზე

*ლინჩი დონელის წინააღმდეგ*<sup>330</sup>

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ყოველწლიურად ქალაქი პოტაკეტი საცალო მოვაჭრეთა ასოციაციასთან ერთად საშობაო გამოსახულებებიან სტენდს აღმართავს, როგორც საშობაო არდადეგების სეზონის ტრადიციულ ნაწილს. გამოსახულების განთავსება ხდება არაკომერციული ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული სავაჭრო რაიონის ცენტრში მდებარე პარკში. ის სხვა იმ მრავალ გამოსახულებათა მსგავსია, რომელთა ნახვაც ქვეყნის მასშტაბით ასობით ქალაქში, მათ შორის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ პარკებშია შესაძლებელი საშობაო სეზონის დროს. პოტაკეტის სტენდზე გამოსახულია შობასთან ასოცირებული მრავალი ტრადიციული ფიგურა თუ დეკორაცია, სანტა კლაუსის სახლის, სანტას მარხილში შებმული ჩრდილოეთის ირმის, ბაგის, საშობაო ნაძვის ხისა და ფართოდ გამოსახული დევიზის ჩათვლით – „სეზონის მილოცვები“.

იესოს შობის სცენა, რომელიც სტენდზე გამოსახულია უკვე 40 წლის განმავლობაში, შედგება ტრადიციული ფიგურებისგან: ყრმა იესო, მარიამი და იოსები, ანგელოზები, მწყემსები, მოგვები და ცხოველებიც კი. მისი აღმართვა და დემონტაჟი ყოველწლიურად 20 დოლარი უჯდება ქალაქს. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში კი საერთოდ არ გამოყოფილა თანხები მისი შენახვისათვის.

პოტაკეტის მაცხოვრებლებმა და ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანების ფილიალის ინდივიდუალურმა წევრებმა და თვით ფილიალმა, ფედერალურ საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს ასეთი სცენების გამოსახვა ყოველწლიურ სტენდზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ქრისტეს შობის სცენის გამოსახვით ქალაქი შეეცადა, განეხორციელებინა „რელიგიური მრწამსის მხარდაჭერა და პროპაგანდა“, რომლის „ფაქტობრივ შედეგს ქრისტიანულ მრწამსთან ქალაქის გაიგივება წარმოადგენდა. „ოფიციალური მხარდაჭერის ნარმოჩენა“, სასამართლოს შეხედულებით, „უმნიშვნელო და შემთხვევით სარგებელზე ბევრად მეტს ანიჭებდა ქრისტიანობას“. სასამართლომ, ზედმეტად მჭიდრო ადმინისტრაციული ურთიერთკავშირის არარსებობის აღიარების მიუხედავად, დაადგინა, რომ ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირი ნახალისებულ იქნა ქრისტეშობის სცენასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პოლიტიკური უთანხმოების შედეგად. ამის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა დანესების კალუზულა და აკრძალა იესოს დაბადების სცენის გამოსახვა სტენდზე.

სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა აღნიშნულ გადანწყვეტილებას, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ კი საქმე გამოითხოვა ქვემდგომი სასამართლოდან და გააუქმა გამოტანილი დადგენილება.

უზენაესი სასამართლოს მიხედვით, სეპარაციის „კედლის“ კონცეფციის თანახმად, დანესების კალუზულა კრძალავს ეკლესიის დანესებას. თუმცა ეს მეტაფორა სრულად ვერ აღწერს იმ ურთიერთობის პრაქტიკულ ასპექტებს, რომლებიც ფაქტობრივად ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებობს.

„შეუძლებელია ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი ან რაიმე ინსტიტუტი არსებობდეს სრული ვაკუუმის ან ტოტალური და აბსოლუტური იზოლაციის პირობებში ... მაღლიერების დღე, როგორც რელიგიური დღესასწაული, კოლონიური პერიოდიდან მოყო-

ლებული აღინიშნებოდა მადლობის გადასახდელად ღვთის მიერ ბოძებული ბუნების სიუხვი-სათვის. პრეზიდენტმა ვაშინგტონმა და მისმა სამართალმემკვიდრეებმა მადლიერების დღე, მისი ყველა რელიგიური ქვეტექსტით, ეროვნულ დღესასწაულად აღიარეს და კონგრესის გადანიყვებით ერთი საუკუნის წინ ის ეროვნულ უქმე დღედ გამოაცხადეს... კონგრესის აქტებით ფედერალური საჯარო მოსამსახურენი თავისუფლდებიან თავიანთი სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებისგან ისეთი ნაციონალური დღესასწაულების დროს, როგორებიცაა შობა და მადლიერების დღე. ისინი ანაზღაურებას იღებენ იმავე სახელმწიფო შემოსავლებიდან, საიდანაც ხდება სენატის, წარმომადგენელთა პალატისა და სამხედრო კაპელანების კომპენსაციის უზრუნველყოფა ... სახელმწიფო ფინანსებით მატერიალურად უზრუნველყოფილ ხელოვნების გალერეებში მე-15 და მე-16 საუკუნეების, ძირითადად ერთი რელიგიური მრწამსით შთაგონებულ ნამუშევართა გამოფენებია წარმოდგენილი. მაგალითად, ვაშინგტონის ნაციონალურ გალერეაში, რომელიც სახელმწიფოს ხარჯზე არსებობს, დიდი ხნის განმავლობაში ეწყობოდა რელიგიური შინაარსის მქონე შედეგების, კერძოდ ქრისტეს შობის, ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის ამსახველი ნახატების გამოფენა ... გარდა ამისა, არსებობს სხვა უამრავი მაგალითი სახელმწიფოს მიერ ჩვენი რელიგიური მემკვიდრეობის აღიარებისა და აღნიშნული მემკვიდრეობის სახელმწიფო მხარდაჭერისა,“ – აღნიშნა უზენაესმა სასამართლომ და დაასკვნა, რომ საქმეში გასაჩივრებული სახელმწიფო ქმედება აშშ-ს საუკეთესო ტრადიციებს შეესაბამებოდა და ამერიკელი ერის რელიგიური ბუნების პატივისცემას წარმოადგენდა.

უზენაესი სასამართლო თანახმად, „დანესების კლაუზულის ჭეშმარიტ მიზანს წარმოადგენდა ... ნებისმიერი ეკლესიური წარმონაქმნის დანესების აღკვეთა, რომელსაც ექსკლუზიური პატრონაჟი უნდა განეხორციელებინა ეროვნულ ხელისუფლებამ“. სწორედ ამიტომ სასამართლომ უარი თქვა დანესების კლაუზულის აბსოლუტისტურ გაგებაზე და სახელმწიფოს ყველა იმ ქმედების მექანიკურად ძალადაკარგულად გამოცხადების ნაცვლად, რაც სარგებელს ანიჭებდა ერთ ან ყველა რელიგიას, დეტალურად იხილავდა გასაჩივრებულ კანონმდებლობასა და ოფიციალურ ქმედებას იმის გადასაწყვეტად, ახდენდა თუ არა იგი სინამდვილეში რელიგიური მრწამსის დანესებას, ან მიმართული იყო თუ არა ასეთი შედეგისკენ. ამგვარი გამოკვლევა თითოეულ საქმეში მოითხოვს ზღვარის გავლენას, რომელიც შეუძლებელია მკაფიო, *per se* წესის სახით ჩამოყალიბდეს. დანესების კლაუზულა, ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის კლაუზულის მსგავსად, არ წარმოადგენს ზუსტ და დეტალურ დებულებას, რაც მისი მექანიკურად გამოყენების შესაძლებლობას შექმნიდა. ზღვარი კლაუზულით დაშვებულ და აკრძალულ ურთიერთობას შორის შეუძლებელია ისევე სწორხაზოვანი და უცვლელი იყოს, როგორც წარმოდგენილია ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის მნიშვნელობის განსაზღვრა ერთადერთი წინადადებით ან ტესტით. კლაუზულა ადგენს „კონკრეტული ურთიერთობის გარემოებებზე დამოკიდებულ ბუდოვან და ცვალებად ზღვარს“.

ზღვარის გავლების პროცესში სასამართლო ხშირად სასარგებლოდ მიიჩნევდა, გაერკვია: ჰქონდა თუ არა საერო მიზანი გასაჩივრებულ კანონს ან ქმედებას, წარმოადგენდა თუ არა რელიგიის ხელშეწყობა ან ხელყოფა მის ძირითად და პირდაპირ შედეგს და იწვევდა თუ არა ის სახელმწიფოს ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის სტიმულირებას რელიგიასთან (ლემონის ტესტი). ამის მიუხედავად, უზენაეს სასამართლოს არაერთხელ გამოუხატავს ნება, არ შეეზღუდა თავი ერთადერთი ტესტით ან კრიტერიუმით ამ ფაქტს სფეროში.

ქრისტეშობის სცენის რელიგიური ბუნებიდან გამომდინარე, საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქალაქის ქმედება არ იყო მიმართული საერო მიზნის განხორციელებისკენ. თუმცა უზენაესი სასამართლოს თანახმად, ქალაქის მიერ გამოსახულების დაფინანსება განხორ-

ციელდა არდადეგებისა და მისი წარმოშობის აღნიშვნის მიზნით, რაც ლეგიტიმურ საერო მიზანს წარმოადგენს.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გამოსახულების პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა ზოგადად ეკლესიისათვის და კონკრეტულად ქრისტიანული მრწამსისათვის არსებითი და დაუშვებელი სარგებლის მინიჭება. უზენაესი სასამართლოს მიხედვით კი, იმის მიუხედავად, რომ ქრისტეს შობის სცენა ასოცირებულია ერთ რელიგიურ მრწამსთან, იმ დასკვნის გამოსატანად, რომ მისი გამოსახვის ძირითად შედეგს დაწესების კლაუზულის დარღვევით რელიგიის ხელშეწყობა წარმოადგენს, აუცილებელი იქნებოდა მისი განხილვა რელიგიის იმაზე მეტ მხარდამჭერად, ვიდრე, მაგალითად, სახელმწიფო სახსრების დიდი რაოდენობის დახარჯვა მთელი ქვეყნის მასშტაბით რელიგიური სკოლების სტუდენტების სახელმძღვანელოებით მომარაგებისათვის,<sup>331</sup> სახელმწიფო დაფინანსება სამრევლო სკოლების სტუდენტების ავტობუსებით ტრანსპორტირებისათვის,<sup>332</sup> ფედერალური გრანტები შენობების აგების მიზნით ეკლესიასთან ასოცირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, სადაც კომბინირებული იყო რელიგიური და საერო განათლება<sup>333</sup> და ა.შ.

უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, ერთი პასიური სიმბოლოს აკრძალვა, მაშინ როცა სეზონის დაწყებას საჯარო სკოლებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში საშობაო ჰიმნებით აღნიშნავენ, ხოლო კონგრესი და შტატების საკანონმდებლო ორგანოები სხდომებს კაპელანის ლოცვით ხსნიან, აშშ-ს ისტორიისა და მემკვიდრეობისადმი საინააღმდეგო არაბუნებრივი და ხისტი ქმედება იქნებოდა.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ იესოს დაბადების გამოსახულების მნიშვნელობის მიუხედავად, ქალაქ პოტაკეტს არ დაურღვევია პირველი შესწორების დაწესების კლაუზულა.

#### *მოსამართლე ო'კონორის თანმხვედრი აზრი*

მოსამართლე ო'კონორის თანახმად, გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ სახელმწიფოს ქმედების შედეგს არ შეადგენდეს სახელმწიფოს მიერ რელიგიის მხარდაჭერის თუ უარყოფის „მესიჯის“ გავრცელება. მხოლოდ მსგავსი ეფექტის მქონე ქმედებას შეუძლია რელიგია გახადოს, რეალურად ან საზოგადოებრივ წარმოდგენაში, პოლიტიკურ საზოგადოებაში პიროვნების სტატუსისათვის რელევანტური. ო'კონორმა დაასკვნა, რომ, ისევე როგორც საკანონმდებლო ლოცვა, საზოგადოებრივი დღესასწაული მადლიერების დღის სახით, ეროვნულ ვალუტაზე გამოსახული დევიზი „ჩვენ გენამს ღვთისა“ და სასამართლო სხდომის გახსნის ლოცვა არ წარმოადგენს „განსაზღვრული რელიგიური მრწამსის სახელმწიფოებრივი აღიარების“ გამოხატვას. ეს არც პოტაკეტს განუზრახავს და არც მის ქმედებას მოჰყოლია შედეგად ქრისტიანობის ოფიციალური მხარდაჭერა.

#### *მოსამართლე ბრენანის განსხვავებული აზრი,*

*რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები მარშალი, ბლეკმუნი და სტივენსი*

მოსამართლე ბრენანის მოსაზრებით, ისეთი საერო ფიგურებისგან განსხვავებით, როგორებიცაა სანტა-კლუსი და ჩრდილოეთის ირემი, ქრისტეს შობის სცენა შობის „ტრადიციულ“ სიმბოლოზე ბევრად მეტს ნიშნავს. ქრისტეს შობის სიმბოლიკის მიზანსა და შედეგს წარმოადგენს მნახველში მოწინებისა და გაოცების გრძნობის გაღვივება ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტისადმი – რომ უფალმა თავისი ძე მოავლინა ამ ქვეყნად მესიის სახით. ბრენანმა უარყო უმრავლესობის შეხედულება, თითქოს ქრისტეს შობის სცენა მხოლოდ „განსაზღვრულ ისტორიულ-რელიგიურ მოვლენას წარმოადგენდეს. მისი განცხადებით, ქრისტეს შობის სცენა იმ მოვლენის მისტიკური აღდგენაა, რომელიც ქრისტიანული

მრწამსის საფუძველში ძევს. იმის თქმა, რომ ხსენებული სიმბოლო მხოლოდ „ტრადიციულია“ და, შესაბამისად, არაფრით განსხვავდება სანტა-კლაუსის სახლისგან ან ჩრდილოეთის ირმისგან, შეურაცხყოფელია არა მარტო მათთვის, ვისთვისაც ქრისტეს შობის სცენა განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, არამედ მათთვისაც, ვინც რელიგიური თუ პიროვნული მიზეზების გამო ამტკიცებს, რომ თქმულება ქრისტეს შესახებ არავითარ შემთხვევაში არ არის „ისტორია“ და აშშ-ს ეროვნული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილი.

ბრენანის თანახმად, სხვაგვარი სიტუაცია შეიქმნებოდა, ქრისტეს შობის სცენა გამოსახული რომ ყოფილიყო მუზეუმში, სხვა რელიგიურად შთაგონებული არტეფაქტების გარემოცვაში, როგორც რელიგიური მითების სიმბოლური ასახვის მაგალითი. ამგვარი ვითარებისას შეიქმნებოდა ობიექტური გარანტია იმისა, რომ ქრისტეს შობის სცენას არ ექნებოდა საზოგადოებრივი აღიარებისა და კეთილგანწყობისათვის ერთი განსაზღვრული მრწამსის მხარდაჭერის დატვირთვა. სხვა რელიგიური სიმბოლოების ან ნებისმიერი ნეიტრალური უარყოფის არარსებობის პირობებში კი გარდაუვალი შედეგია რიგითი მნახველისათვის დღესასწაულის რელიგიური ფესვების და ქრისტეს შობის სცენით სიმბოლიზებული ბიბლიური იდეის შესხენება. პოტაკეტის მცდელობა, აღნიშნოს საზოგადოებრივი დღესასწაული საერო გამოსახულებაში ქრისტეს შობის სცენის შეტანით, გარდაუვალად ემსახურება იმ შეგრძნების განმტკიცებას, რომ ეს ქალაქი გამოხატავს სოლიდარობას ხსენებული სცენის ქრისტიანული დედააზრისადმი და უარყოფს სხვა მრწამსებს, არ მიიჩნევს მათ ამგვარი ყურადღებისა და მხარდაჭერის ღირსად...

ბრენანის მოსაზრებით, სასამართლო, იმის მტკიცებით, რომ ამჟამად რელიგიური „მე-სიჯი“ აშშ-ს „რელიგიური მემკვიდრეობის“ უდავო ნაწილს წარმოადგენს, უბრუნდება ძველ დროს, როდესაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ განაცხადა: „ეს არის ქრისტიანული ერი“.<sup>334</sup>

**დღესასწაულის გაგრძელება.** სკარსდეილის „ქრისტეს შობის“ კომიტეტი, პროტესტანტული და კათოლიკური ეკლესიების ასოციაცია, ყოველწლიურ საშობაო სეზონზე ხეში გამოკვეთილი ფიგურების (მათ შორის ქრისტეს შობის სცენის გამოსახულების) გამოფენას აწყობდა. სკულპტურის განთავსება ბიზნეს-რაიონის ცენტრში მდებარე საზოგადოებრივ პარკში ხდებოდა. გარდა ამისა, ამ პარკში საშობაო ჰიმნების მაგალობლები მღეროდნენ. სკარსდეილის სხვა მრავალი საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობა რელიგიური მიზნებისათვის გამოიყენებოდა. მაგალითად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონებაში, ერთ-ერთი გზისპირა კოტეჯში, კათოლიკური, ებრაული და უნიტარიანული მსახურება ტარდებოდა ხოლმე.

ქრისტეს შობის სცენის საზოგადოებრივ პარკში განთავსების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით სასამართლო სამართალწარმოების დაწყების შემდგომ ქალაქის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, აეკრძალა ის. ამ უკანასკნელის განცხადებით: „ვინაიდან სიმბოლო რელიგიურ ხასიათს ატარებდა, დაუშვებელი იყო მისი განთავსება ნებისმიერ სახელმწიფო მიწაზე“. ქალაქის გადაწყვეტილების ანულირების მოთხოვნით „ქრისტეს შობის“ კომიტეტმა და თორმეტმა პიროვნებამ, ძირითადად სკარსდეილის მცხოვრებლებმა, მიმართეს სასამართლოს.

საოლქო სასამართლომ დაამტკიცა ქალაქის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე პირსმა კი გამოიტანა დადგენილება, რომლითაც უარყოფილ იქნა<sup>335</sup> სკარსდეილის არგუმენტაცია, რომელიც ემყარებოდა დაწესების კლაუზულას „ტრადიციულად საზოგადოებრივ პარკში ქრისტეს შობის სკულპტურის განთავსების აკრძალვის მოტივად“. სასამართლოს განცხადებით, სანტა-კლაუსისა და სხვა საერო ფიგურების არარსებობა არაფრით განასხვავებდა მოცემულ საქმეს ლინჩის საქმისგან; ორივე შემთხვევაში კონტექსტი შობის



დღესასწაულის აღნიშვნა იყო, რელიგიის ხელშეწყობა კი შემთხვევით ეფექტს წარმოადგენდა. ხილული ნიშნის განთავსება, რომელიც უარყოფდა ქალაქის მხრიდან მხარდაჭერას, საკმარისი იყო სახელმწიფოსგან გამიჯვნისათვის.

ქალაქმა პიტსბურგმა და ალეგენის ოლქმა ნება დართო ორი გამოსახულების განთავსებაზე დეკემბრის თვეში. პირველზე აღბეჭდილი იყო ქრისტიანობის სცენა. ის განათავსეს ოლქის სასამართლო შენობის კიბეზე. საჭირო თანხები გაიღო წმინდა სახელის საზოგადოებამ, რომაულმა კათოლიკურმა ჯგუფმა. მეორეს კი წარმოადგენდა ჰანუკას ფიგურული შანდალი ქალაქის მუნიციპალური შენობის გარეთ, 45-ფუტიანი საშობაო ნაძვის ხის მახლობლად. შანდალი „ჩაბადი“, ორთოდოქსი ებრაელების ორგანიზაციის, საკუთრება იყო.

ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანებამ მიმართა სასამართლოს სახელმწიფო საკუთრებაზე ორივე ნაკეთობის განთავსების აკრძალვის მოთხოვნით. *ლინჩის* საქმეზე დაყრდნობით საოლქო სასამართლომ უარყო მოსარჩელეთა მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ *ლემონის* ტესტის საფუძველზე შანდალი და ნაკეთობა ქრისტეს შობის გამოსახულებით ქრისტიანობისა და იუდაიზმის დაუშვებელ სახელმწიფო მხარდაჭერას წარმოადგენდა.

უზენაესმა სასამართლომ ფორმალურად აღიარა *ლინჩის* საქმეში მოსამართლე ო'კონორის დასკვნაში წარმოდგენილი მხარდაჭერის ტესტი. მოსამართლე ბლეკმუნი, რომელმაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაცხადა, დაეყრდნო *ლინჩის* შემდგომ მიღებულ გადაწყვეტილებებს და განაცხადა: მხარდაჭერის ტესტის ძირითადი მნიშვნელობა არის ის, რომ „სახელმწიფოს არა აქვს უფლება, გამოხატოს განსაზღვრული რელიგიური მრწამსისადმი კეთილგანწყობა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება“. მოცემული სამუშაო დეფინიციის გამოყენების საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ქრისტეს შობის ნაკეთობას, მაგრამ არა ფიგურულ შანდალს, ჰქონდა დაუშვებელი შედეგი რელიგიის მხარდაჭერის სახით.

*ალეგენის ოლქი ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანების პიტსბურგის ფილიალის წინააღმდეგ; „ჩაბადი“ ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანების პიტსბურგის ფილიალის წინააღმდეგ; ქალაქი პიტსბურგი ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანების პიტსბურგის ფილიალის წინააღმდეგ*<sup>336</sup>

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

სამართალწარმოების დაწყების თარიღია 1986 წლის 10 დეკემბერი, როდესაც ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანების პიტსბურგის ფილიალმა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უჩივეს ქალაქსა და ოლქს ქრისტეს შობის გამომსახველი ნაკეთობის საოლქო სასამართლოში, ხოლო ფიგურული შანდალის მუნიციპალიტეტის წინ განთავსების აკრძალვის მოთხოვნით. მათი მტკიცებით, ორივე არღვევდა პირველი შესწორების რელიგიურ კლაუზულას.

ქალაქ პიტსბურგში საშობაო დღესასწაულს ტრადიციულად დიდი საშობაო ნაძვის ხით აღნიშნავდნენ. 1982 წლიდან მოყოლებული მუნიციპალური შენობის წინ, ამ ნაძვისხის მახლობლად მოათავსეს ებრაული 8-დღიანი დღესასწაულის აღმნიშვნელი შანდალი, რომელიც ებრაული მთვარის კალენდრის კისლევის თვის 25-ე დღეს იწყება. ეს თარიღი, ძირითადად, დეკემბერს ემთხვევა და, შესაბამისად, ჰანუკა ყოველწლიური ის ებრაული დღესასწაულია, რომელიც ძალზე ახლოსაა შობის დღესთან. მაგალითად, 1986 წელს ჰანუკა დაიწყო 26 დეკემბერს.



ებრაული გადმოცემის თანახმად, კისლევის 25-ე დღეს მაკაბელებმა პოლიტიკური აჯანყების პერიოდში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 165 წელს) დაიბრუნეს ბერძნების მიერ დაპყრობილი იერუსალიმის ტაძარი. ჰანუკა სწორედ ამ მოვლენისადმი მიძღვნილი დღესასწაულია.

თალმუდის თანახმად, ლამპების ანთების რიტუალი იმ მოვლენის აღნიშვნაა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ტაძრის დაბრუნების შემდგომ. ტაძარში ინახებოდა შვიდტოტიანი შანდალი, რომელიც მუდმივად ანთებული იყო. მაკაბელთა მიერ ტაძრის დაბრუნების შემდგომ მათ მხოლოდ ერთი დღის სამყოფი ზეთი ჰქონდათ დარჩენილი. მაგრამ, თალმუდის თანახმად, ზეთი სასწაულებრივად 8 დღის განმავლობაში იწვოდა. ამ სასწაულის საჯაროდ აღნიშვნისათვის თალმუდი ებრაელებისგან მოითხოვს ჰანუკას 8 დღის განმავლობაში რვასანთლიანი შანდლის დანთებას სახლის წინ.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, სახელმწიფოს მიერ რელიგიური სიმბოლიკის გამოყენება არაკონსტიტუციურია, თუ მისი შედეგი რელიგიური მრწამსის მხარდაჭერაში გამოიხატება და თუ სახელმწიფოს მიერ რელიგიური სიმბოლიკის გამოყენების შედეგი დამოკიდებულია მისივე ქვეტექსტზე. აღნიშნული ზოგადი პრინციპები სასამართლომ მრავალ საქმეში აღიარა. სწორედ ამიტომ, სასამართლომ შეხედულებით, მისი მთავარი ამოცანა იმის გარკვევაა, წარმოადგენს თუ არა რელიგიური მრწამსის მხარდაჭერა ან უარყოფა ქრისტეს შობის ამსახველი ნაკეთობისა და ებრაული შანდლის სახელმწიფო საკუთრებაზე განთავსების შედეგს. სასამართლოს მოსაზრებით, ის, რომ ქრისტეს შობის გამოსახულებას გააჩნია ნიშანი, რომელიც მიუთითებს მის მესაკუთრეზე, რომაულ კათოლიკურ ორგანიზაციაზე, არ უარყოფს გაკეთებულ დასკვნას. პირიქით, ეს ნიშანი ამ ორგანიზაციის რელიგიური იდეებისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერაზე მეტყველებს, რაც ასევე აკრძალულია დაწესების კლაუზულით. დაწესების კლაუზულა არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოს „მესიჯების“ რელიგიური შინაარსით, ის ასევე კრძალავს რელიგიური ორგანიზაციების რელიგიური მესიჯების სახელმწიფო მხარდაჭერასა და პროპაგანდას. შესაბამისად, დაწესების კლაუზულა კრძალავს სწორედ იმას, რაც ამ საქმეშია აღწერილი...

სახელმწიფოს შეუძლია შობა აღიაროს კულტურულ ფენომენად, მაგრამ, პირველი შესწორების საფუძველზე, მას არა აქვს უფლება, განიხილოს ის ქრისტიანთა წმინდა დღედ იესოს დაბადებისთვის უფლის დიდების მოწოდებით. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ ქრისტეს შობის ნაკეთობა ქრისტიანული მრწამსის მხარდაჭერას წარმოადგენდა და აკრძალული უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ებრაულ შანდალს, სასამართლომ შეხედულებით, ის, რომ პიტსბურგში განთავსებულია როგორც საშობაო, ისე ჰანუკას სიმბოლოები, არ ქმნის კონსტიტუციური შემონემების დასრულების საფუძველს. იუდაიზმისა და ქრისტიანობის ერთდროული მხარდაჭერით არანაკლებ ირვევეა კონსტიტუცია, ვიდრე მხოლოდ ქრისტიანობის პროპაგანდით. თუმცა, თუკი ქალაქი შობასა და ჰანუკას აღნიშნავს როგორც საერო დღესასწაულებს, მისი ქმედება დაწესების კლაუზულის მოქმედების მიღმა რჩება. ვინაიდან სახელმწიფოს შობის საერო დღესასწაულის სახით აღნიშვნა შეუძლია, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო უფლებამოსილია ჰანუკაც აღიაროს საერო დღესასწაულად. ნაძვის ხის ჩრდილქვეშ შანდლის მოთავსება იმ ცხადი გარემოების უბრალო აღიარებაა, რომ შობა არ არის ერთადერთი ტრადიციული გზა ზამთრის დასვენების სეზონის აღნიშვნისა. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ თანახმად, ნაძვის ხისა და შანდლის კომბინაცია არ წარმოადგენს ქრისტიანული და ებრაული მრწამსების ერთდროულ მხარდაჭერას, არამედ შობის საერო აღნიშვნა ჰანუკას, როგორც ალტერნატიული თანამედროვე ტრადიციის, აღიარებაა.

უზენაესი სასამართლომ გადაწყვეტილების მიხედვით, საქმე *ლინჩი დონელის წინააღმდეგ*<sup>337</sup> ადასტურებს, და არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს, იმ კონსტიტუციურ პრინციპს,

რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, განახორციელოს ქმედება, რომლის შედეგიც რელიგიური მრწამსის ხელშეწყობა ან მხარდაჭერა იქნება. ქრისტეს შობის ნაკეთობის განთავსებას საოლქო სასამართლოს შენობაში სწორედ ასეთი კონსტიტუციური ეფექტი მოჰყვება. ებრაული შანდლის მუნიციპალური შენობის წინ მოთავსება კი, მისი „განსაკუთრებული ფიზიკური ადგილმდებარეობის“ გათვალისწინებით, არ იწვევს ამგვარ შედეგს.

ყოველივე ზემოთქმულის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ იქნა მხარდაჭერილი.

*მოსამართლე ო'კონორის თანმხვედრი აზრი*

მისი მოსაზრებით, თეორიულად, მხარდაჭერის ტესტით გამოხატულია დაწესების კლაუზულის ის ძირითადი მითითება, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია სახელმწიფომ პიროვნების რელიგიური მრწამსი პოლიტიკურ საზოგადოებაში მისი მდგომარეობისათვის რელევანტური გახადოს, ისეთი აზრების მიწოდებით, რომ „ესა თუ ის რელიგია ან კონკრეტული რელიგიური მრწამსი კეთილგანწყობით სარგებლობს, ან მას სხვებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება“.

*მოსამართლე ბრენანის ნაწილობრივ განსხვავებული და ნაწილობრივ თანმხვედრი აზრი*

ბრენანის მოსაზრებით, რელიგიური პლურალისტური იდეების აღიარება ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ასევე უგულვებელყოფს იმ ზღვარს, რომლის მიღმაც ისინი შეიძლება გახდეს შეურაცხმყოფელი. რელიგიურ მრწამსებს ერთმანეთისადმი მტრული დამოკიდებულება აქვთ და მორწმუნეები პლურალიზმის დემონსტრირებისათვის გამიზნულ ეკუმენურ მსახურებაში მონაწილეობაზეც უარს აცხადებენ. სხვადასხვა რელიგიის რიტუალებისა და დღესასწაულების შერწყმა მსგავსი ინკლუზიურობისადმი მათი დამოკიდებულების გაუთვალისწინებლად ან იმის გადაწყვეტა, რომელი რელიგიები უნდა გამოირიცხოს შეურაცხყოფის შესაძლებლობის გამო, არ არის პლურალიზმის სასურველი და სასარგებლო გამოხატულება; პირიქით, ეს დაწესების კლაუზულით აკრძალულ ჩარევას წარმოადგენს რელიგიურ საკითხებში.

*მოსამართლე სტივენსის ნაწილობრივ თანმხვედრი და ნაწილობრივ განსხვავებული აზრი*

მოსამართლე სტივენსის შეხედულებით, ძლიერი პრეზუმფციის გამოყენება რელიგიური სიმბოლოების სახელმწიფო გამოყენების საწინააღმდეგოდ „რელიგიასა და სახელმწიფოს შორის ყველა კონტაქტის შეუზღუდავად განწყვეტას გამოიწვევს“, რადგანაც ის აკრძალავს ნებისმიერ გამოსახულებას მხოლოდ მისი „იდეების“ არასაერთო ხასიათის გამო. მაგალითად, წინასწარმეტყველ მოსეს ხისგან გამოკვეთილი ფიგურა, რომელსაც ხელში სჯულის ფიცარი უჭირავს, თუკი ის სასამართლო დარბაზის კედლის ერთადერთ მშვენიერ ნარმოადგენს, ორ აზროვანი „მესიჯის“ შემცველია, როგორც იუდაიზმის, ისე ზოგადად რელიგიისა და სამართლის თვალსაზრისით. სტივენსის შეხედულებით, სრული აბსურდი იქნებოდა მსგავსი იდეის არდაშვება სასამართლო დარბაზში, ისევე როგორც იტალიური რენესანსის ეპოქის მხატვართა რელიგიური ნამუშევრების არდაშვება სახელმწიფო მუზეუმებში.

მოსამართლე სტივენსი არ დაეთანხმა სასამართლოს დასკვნას, რომ ქალაქის მუნიციპალური შენობის წინ განთავსებული გამოფენა კონსტიტუციური იყო. მისი მოსაზრებით, ადმინისტრაციული შენობის წინ მარტოდმარტო მდგომი 45 ფუტის სიმაღლის ნაძვის ხე შესაძლოა მართლაც წარმოადგენდეს კონსტიტუციასთან შესაბამის, ქრისტიანობასთან ერთგვარად დაკავშირებულ სადღესასწაულო მილოცვას. თუმცა ნაძვის ხის უშუალო მეზობლობა 18 ფუტის სიმაღლის ებრაულ შანდალთან არ აქცევს მას საეროდ. უფრო მეტიც, უდავოდ რელიგიური სიმბოლოს, ჰანუკას შანდლის ნაძვის ხესთან სიახლოვე რელიგიურ დატვირთვას ანიჭებს მას. მათი ერთობლივი დემონსტრირება კი, შესაბამისად, გამოხატავს იუდაისტური და ქრისტიანული რელიგიების მიმართ სახელმწიფო კეთილგანწყობას აღიარებს.

*მოსამართლე კენედის ნაწილობრივ განსხვავებული და ნაწილობრივ თანმხვედრი აზრი, რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები უაითი და სკალია*

მოსამართლე კენედის განცხადებით, მხარდაჭერის ტესტის მისეული გააზრების თანახმად, დანესების კლაუზულის დარღვევის ქვაკუთხედაა ის, სახელმწიფოს მიერ რელიგიის აღიარებით ან ადაპტაციით იგრძნობენ თუ არა [ამ რელიგიის] არამიმედვერები თავს „უცხოებად“. მისი მოსაზრებით, აშშ-ს ტრადიციული და რელიგიის საზოგადოებრივი როლის აღიარებაზე დამყარებული გავრცელებული პრაქტიკებიდან ძალზე ცოტას შეუძლია გაუძლოს შემომნებას ხსენებული ფორმულის საფუძველზე.

მოსამართლემ რამდენიმე მაგალითი მოიყვანა საკუთარ დასკვნაში თავისი შეხედულების დასაბუთებისათვის: რესპუბლიკის დაფუძნებიდან მოყოლებული, ამერიკის პრეზიდენტები მადლიერების დღეს ეროვნული დღესასწაულისა და ლოცვის დღედ აწესებდნენ შესაბამისი დეკლარაციების გამოცემით. პირველი სწორედ პრეზიდენტი ვაშინგტონი იყო, ვინც კონგრესის მოთხოვნით გადადგა მსგავსი ნაბიჯი და დაანება „დღე, რომელიც შეერთებული შტატების მოსახლეობამ უნდა მიუძღვნას დიადი არსების სამსახურს, რომელიც კეთილისმყოფელი შემოქმედია ყოველივე იმ სიკეთისა, რომელიც იყო, არის და იქნება...“ ვაშინგტონის სამართალმემკვიდრენი ერთსულოვნად აგრძელებდნენ მის ტრადიციას და წლების განმავლობაში არც დეკლარაციათა რელიგიურ ბუნებას განუცდია მათ ხელში ცვლილება. კენედის შეხედულებით, სუსტი წარმოსახვაც კი საკმარისია იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ეს დეკლარაციები არამიმედვერებში გაუცხოების განცდას იწვევდა, თუმცა დღემდე ისინი აშშ-ს ეროვნული მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენს.

მხარდაჭერის ტესტმა ან კანონგარეშედ უნდა გამოაცხადოს იმ ტრადიციული პრაქტიკების უმრავლესობა, რომლებიც აშშ-ს საზოგადოებაში რელიგიის როლს აღიარებენ ან იმდენად უნდა გაფაროვდეს, რომ თავიდან აირიდოს წარსულში ნებადართულ პრაქტიკებთან შეუსაბამობა, თუმცა, იმავე დროს, დაგმოს სხვა ისეთი პრაქტიკები, რომლებიც არ სარგებლობენ დიდი მხარდაჭერით იმ უზრალო მიზეზის გამო, რომ მათ არ აქვთ ისტორიული საფუძველი. ამიტომ ტესტის მოქნილობა უნდა გაიზარდოს, რადგან, კენედის შეხედულებით, არც ერთი შედეგი არ არის მისაღები.

მოსამართლის აზრით, ის შედეგი, რომელსაც მოცემულ საქმეში სასამართლო აღწევს, მხარდაჭერის ტესტის არაკეთილგონიერების ილუსტრაციაა. კერძოდ, ის რელიგიის უმრავლესობის ან უმცირესობის სტატუსს რელევანტურად განიხილავს იმის გადაწყვეტისას, წარმოადგენს თუ არა აკრძალულ მხარდაჭერას სახელმწიფოებრივი აღიარება.

**ჯვრის საზოგადოებრივ ადგილას გამოფენა.** შობის წინა დღეს ლოს-ანჯელესის მუნიციპალიტეტის შენობაზე კომპიუტერის თითოეული კუთხის განათების გზით გამოსახული იქნა ჯვარი. ქალაქის ხელმძღვანელობის განცხადებით, ასეთი პრაქტიკა „არ წარმოადგენდა რელიგიისადმი ხარკის გადახდას, არამედ სრულიად სამყაროსადმი მშვიდობისა და ძმობის სულისკვეთების გამოხატულება იყო“. ამის მსგავსად, კომპიურაზე დამონტაჟებული შუქურების გამოყენებით ქალაქი გულსა და სხვა სიმბოლოებსაც გამოსახავდა, როდესაც დაფინანსება საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა. სასამართლო პროცესზე არ ყოფილა წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც მსგავს შეკვეთაზე ქალაქის უარს დაადასტურებდა. საშობაო განათების ეს პრაქტიკა 30 წლის განმავლობაში არსებობდა; არც მის მიერ რელიგიური ზეგავლენის მოხდენის მტკიცებულება ყოფილა პროცესზე წარმოდგენილი. თუმცა საქმეში *ფაქსი ლოს-ანჯელესის წინააღმდეგ*<sup>338</sup> კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა გადასახადის გადამხდელის საჩივარი და დაადგინა, რომ ჯვრის გამოსახულება არღვევდა კალიფორნიის კონსტიტუციას, რომელის თანახმადაც: „დაუშვებელია საკანონმდებლო ორგანომ მიიღოს კანონი, რომელიც დააწესებს რელიგიას“.

ახალგაზრდული ქრისტიანული ორგანიზაციის დირექტორი სან-ფრანცისკოში, ქალაქის საკუთრებაში არსებულ პარკში ლათინური ჯვრის დამონტაჟების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხრე იყო. ქალაქი დათანხმდა აღნიშნულ წინადადებას. 1934 წელს ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე პრეზიდენტმა რუზველტმა, სატელეგრაფო ოქროს გასაღებზე ხელის მიჭერით, ვაშინგტონიდან პირდაპირი სიგნალი მისცა ჯვრის განათებისათვის. ცერემონიას ორმოცდაათი ათასამდე ადამიანი დაესწრო. საქმეში *კარპენტერი სან-ფრანცისკოს ქალაქისა და ოლქის წინააღმდეგ*<sup>339</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ ქალაქის მიერ ჯვრის შენახვა არღვევდა კალიფორნიის კონსტიტუციის იმ მუხლს, რომელიც უზრუნველყოფდა აღმსარებლობის თავისუფლებას დისკრიმინაციისა და უპირატესობის მინიჭების გარეშე.

ოპიოს შტატის კანონების თანახმად, შტატის საკანონმდებლო ორგანოს სკვერი საზოგადოებრივი საკითხების განხილვის და საზოგადოებრივი საქმიანობისთვისაა გამიზნული. სკვერში დაშვების რეგულირების პასუხისმგებლობა ეკისრება საზედამხედველო საბჭოს. სკვერში მოხვედრისათვის ჯგუფმა უნდა შეავსოს ოფიციალური განაცხადის ფორმა და დააკმაყოფილოს მხოლოდ სიტყვით გამოსვლის ნეიტრალობის რამდენიმე კრიტერიუმი. საბჭომ არ დააკმაყოფილა კუ-კლუქს-კლანის თხოვნა, საშობაო სეზონის დროს სკვერში ჯვრის განთავსებაზე იმ მოტივით, რომ ეს ჯგუფი ჯვარს იყენებდა არა უნივერსალური სიყვარულის, არამედ რასობრივი უპირატესობისა და შუღლის სიმბოლოდ. ქვემდგომი სასამართლოების მიერ საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმების შედეგად კლანს ჯვრის აღმართვის ნება მიეცა. საქმეში *სკვერის საზედამხედველო საბჭო პინეტის წინააღმდეგ*,<sup>340</sup> უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, კლანის დემონსტრაცია კერძო რელიგიურ გამოხატვას წარმოადგენდა, რომელიც სიტყვის თავისუფლების კალუზულით<sup>341</sup> იყო დაცული, როგორც კერძო საერო გამოხატვა. სასამართლოს თანახმად, ვინაიდან სკვერი საჯარო ფორუმს წარმოადგენდა, საბჭოს კლანის გამოხატვის შინაარსის რეგულირება შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს აუცილებელი იქნებოდა სასიცოცხლო ინტერესის უზრუნველსაყოფად. რა თქმა უნდა, დანესების კალუზულის მოთხოვნათა შესრულება საკმარისად სასიცოცხლოა გამოხატვის შეზღუდვისათვის, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ შტატის მხრიდან არ მომხდარა გამოხატვის სუბსიდირება, გამოხატვა განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში შემავალ მიწაზე, რომელიც ღია იყო საზოგადოებრივი სიტყვისათვის და ნებართვის მიღება მოხდა იმავე საგანაცხადო პროცესის გავლის შედეგად, რომელიც აუცილებელი იყო სხვა კერძო ჯგუფებისათვის. შესაბამისად, ეს ფაქტორები არ იძლეოდა საბჭოს მიერ გამოყენებული შეზღუდვის გამართლების საშუალებას დანესების კალუზულის საფუძველზე.

**რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობა  
სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში**

*ბოუენი კენდრიკის წინააღმდეგ*<sup>342</sup>

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ამ სასამართლო საქმეს საფუძვლად დაედო ფედერალური საგრანტო პროგრამის გასაჩივრება, რომელიც ითვალისწინებდა მოზარდთა სექსუალობასა და ფეხმძიმობასთან დაკავშირებული მომსახურების დაფინანსებას. კანონი, რომლის საფუძველზეც ხორციელდებოდა ეს პროგრამა, საოლქო სასამართლომ პირველი შესწორების დანესების კალუზულის დარღვევად მიიჩნია როგორც „თავისთავად“, ისე „გამოყენების წესით“. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ ეს კანონი რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობას ითვალისწინებდა ფედერალურად დაფინანსებულ პროგრამებში. უზენაესმა სასამართლომ კი დაადგინა, რომ კანონი „თავისთავად“ არ იყო ანტიკონსტიტუციური.

მოზარდთა ოჯახური ცხოვრების აქტი კონგრესმა 1981 წელს მიიღო იმ „ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური უკიდურესად უარყოფითი შედეგების“ საპასუხოდ, რაც ხშირად დაუქორწინებელი მოზარდების დაფხმძიმებასა და მშობიარობას მოჰყვება. აქტის სისტემა ითვალისწინებს „მოზარდთა ქორწინებამდელი სქესობრივი ურთიერთობებისა და დაფხმძიმების სფეროში მომსახურების განევისა და კვლევისათვის საჯარო თუ არაკომერციული კერძო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ფინანსურ უზრუნველყოფას.“

გრანტის მიმღებთა მომსახურების აუცილებელ სახეებს წარმოადგენს ფეხმძიმობის ტესტირება, მშობიარობასთან დაკავშირებული კონსულტაცია, მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ ჯანმრთელობის დაცვა, კვებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ბავშვის მოვლა, მენტალური ჯანმრთელობის გაუმჯობესება და „საგანმანათლებლო მომსახურება ოჯახურ ცხოვრებასა და მოზარდთა ქორწინებამდელ სქესობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემებისას“.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, კონგრესისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ „მოზარდების ქორწინებამდელ სქესობრივ ურთიერთობებთან, ფეხმძიმობასა და მშობლის სტატუსთან დაკავშირებული პრობლემები მრავალმხრივი და კომპლექსური ხასიათისაა“. კონგრესმა აღიარა, რომ მხოლოდ საკანონმდებლო და სამთავრობო ქმედებანი არ იყო საკმარისი: „ამგვარი პრობლემების მოგვარების საუკეთესო საშუალებაა მოზარდებისა და მათი ოჯახებისათვის მრავალფეროვანი ინტეგრირებული და ძირითადი მომსახურების განევა ოჯახის სხვა წევრების, რელიგიური და საქველმოქმედო ორგანიზაციების, ნებაყოფლობითი გაერთიანებებისა და კერძო სექტორში მოღვაწე სხვა ჯგუფების მხრიდან, ისევე როგორც სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყოფილი მომსახურებანი“. შესაბამისად, ზემოხსენებულ კანონში გამოკვეთილად ხაზგასმულია, რომ ამ სფეროში ფედერალურად უზრუნველყოფილმა მომსახურებამ მხარი უნდა დაუჭიროს მშობლების მონაწილეობას, ასევე „განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დახმარებას ოჯახის სხვა წევრების, რელიგიური და საქველმოქმედო ორგანიზაციების, ნებაყოფლობითი გაერთიანებებისა და სხვა ჯგუფების მხრიდან“.

1981 წლიდან დაწყებული 1088 საგრანტო განაცხადიდან 141 დაკმაყოფილდა. დაფინანსება სხვადასხვა ორგანიზაციამ თუ დაწესებულებამ მიიღო შტატის თუ ადგილობრივი ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, კერძო საავადმყოფოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაერთიანებების, კერძო სექტორში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების, საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ორგანიზაციების ჩათვლით. უდავოა, რომ გრანტის მიმღებ რამდენიმე ორგანიზაციას ინსტიტუციური კავშირები ჰქონდა რელიგიურ დენომინაციებთან. ამის მიუხედავად, უზენაესი სასამართლოს თანახმად, მოზარდთა ოჯახური ცხოვრების აქტი ძირითადად, სრულად თუ არა, განპირობებული იყო ლეგიტიმური საერო მიზნით – ახალგაზრდების სექსუალობასთან, ფეხმძიმობასა და მშობლობასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების აღმოფხვრა ან შემცირება. არ არსებობს მტკიცებულება, რომ კონგრესის „ფაქტობრივ მიზანს“ წარმოადგენდა „რელიგიის მხარდაჭერა“. სასამართლოს თანახმად, ბევრად რთული საკითხია იმის გარკვევა, გასაჩივრებული სტატუტის შედეგი კონსტიტუციურად დაუშვებელია თუ არა.

უზენაესი სასამართლოს შეხედულებით, იმ პრობლემების კომპლექსურობის გათვალისწინებით, რომელთა გამოსწორებასაც მიზნად ისახავდა კონგრესი, გრანტის პოტენციურ მიმღებებს მოეთხოვებოდა, აღწერონ, თუ როგორ აპირებენ სხვა ორგანიზაციების, მათ შორის რელიგიური ორგანიზაციების, ჩართვას ფედერალური გრანტებით დაფინანსებულ პროგრამებში. კანონის



მოთხოვნას არ წარმოადგენს, რომ გრანტის მიმღებს რელიგიურ დენომინაციასთან მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს, თუმცა ის თავისთავად არ გამორიცხავს რელიგიურ ორგანიზაციებს საგრანტო პროგრამიდან. აქტის საფუძველზე უზრუნველყოფილი მომსახურება თავისი ხასიათით არ არის რელიგიური, არც კანონშია რაიმე ნათქვამი, რომ რელიგიური გაერთიანებები ერთმნიშვნელოვნად კვალიფიციურნი არიან ასეთი მომსახურებების გასაწევად. აქტის საფუძველზე „აუცილებელ მომსახურებათა“ ჩამონათვალში წარმოდგენილ მომსახურებათა მნიშვნელოვანი ნაწილი განათლებასა და კონსულტაციას უკავია, მაგრამ თავისი არსით აღნიშნულ საქმიანობაში არაფერია რელიგიური. დაბოლოს, ნათელია, რომ მოზარდთა ოჯახური ცხოვრების აქტივით შემუშავებულია მიდგომა მოზარდთა სექსუალობასა და ფეხმძიმობასთან დაკავშირებულ პრობლემებთან გამკლავებისათვის. მაგალითად, მის ორ გაცხადებულ მიზანს წარმოადგენს, „თვითღისციპლინისა და მოზარდთა ქორწინებამდელი სქესობრივი კავშირის პრობლემისადმი სხვა კეთილგონიერი მიდგომების მხარდაჭერა“ და „შვილად აყვანის, როგორც ალტერნატივის ხელშეწყობა“, – თუმცა ეს მიდგომაც არ არის რელიგიური ხასიათის, იმის მიუხედავად, რომ ის შეიძლება დაემთხვას განსაზღვრულ რელიგიურ წარმოდგენებს.

აქტის გასაჩივრების საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ იგი რელიგიურ დანესებულებას სახელმწიფო გრანტის მიღების ნებას რთავდა. აქტის თანახმად, „გრანტის შესაფერის მიმღებს“ წარმოადგენდა „საჯარო ან არაკომერციული კერძო ორგანიზაცია, ან დანესებულება, რომელიც შეძლებდა სათანადო მომსახურებების უზრუნველყოფის შესაძლებლობის დემონსტრირებას“. აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს თანახმად, სხვადასხვა ორგანიზაციას ჰქონდა გრანტის მიღების შესაძლებლობა და აქტივ თავისთავად ნეიტრალური ხასიათისა იყო გრანტის მიმღების სტატუსის (რელიგიური თუ საერო) მიმართ.

უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა საოლქო სასამართლოს არც იმის მტკიცებაში, რომ გასაჩივრებული აქტის შედეგი აუცილებლად რელიგიის ხელშეწყობა უნდა ყოფილიყო, ვინაიდან გრანტის მიმღებ რელიგიურ ორგანიზაციებს ჰქონდათ მოზარდებისთვის საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის უფლებამოსილება. უზენაესი სასამართლოს განცხადებით, „დანესების კლაუზულა კრძალავს სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრული რელიგიური მრწამსის სასარგებლოდ ინდოქტრინაციის დაფინანსებას“ და, შესაბამისად, სასამართლომაც ბევრი პროგრამა ცნო არაკონსტიტუციურად, როდესაც არსებობდა დახმარების მიმღები რელიგიური ორგანიზაციის მიერ თავისი „რელიგიური მისიის ხელშეწყობისათვის“ სახელმწიფო სახსრების გამოყენების დაუშვებელი რისკი. თუმცა, ამავე სასამართლოს მოსაზრებით, ნინათ განხილულ საქმეებში არაფერი ქმნის საფუძველს საოლქო სასამართლოს მიერ აღიარებული პრეზუმფციისათვის, რომ გრანტის მიმღებ რელიგიურ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ კანონიერი და საერო წესით გაართვან თავი საკუთარ ფუნქციებს მოზარდთა ოჯახური ცხოვრების აქტის საფუძველზე.

უზენაესმა სასამართლომ უარყო კიდევ ორი არგუმენტი აქტის *prima facie* არაკონსტიტუციურობის თაობაზე. კერძოდ, რომ აქტივით გათვალისწინებულ პროგრამაში რელიგიური ორგანიზაციის მონაწილეობას დაუშვებელი შედეგი ჰქონდა რელიგიასა და სახელმწიფოს შორის „კრიტიკული სიმბოლური კავშირის“ შექმნისა და რელიგიასთან სახელმწიფოს ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის სახით და კანონი არ შეიცავდა ნათელ დებულებას, რომელიც აღკვეთდა ფედერალური თანხების გამოყენებას რელიგიური მიზნებისათვის.

რაც შეეხება აქტის გამოყენების არაკონსტიტუციურობის საკითხს, უზენაესი სასამართლოს თანახმად, საოლქო სასამართლოს მტკიცების მიუხედავად, რომ გრანტები გაიცა „ღრმად რელიგიურ“ ორგანიზაციებზე, მას არ დაუკონკრეტებია გრანტის მიმღებები, რომელთაც გულისხმობდა და არც ის მიზეზები განუხილავს დეტალურად, რომლებიც მათ „ღრმად რელიგი-



ურად“ მოხსენიებას დაედო საფუძვლად. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებით საჩივრის აღნიშნული ნაწილი ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს. საოლქო სასამართლოს გადანყვეტილება გაუქმდა.

*მოსამართლე ბლექმუნის განსხვავებული აზრი,*

*რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები ბრენანი, მარშალი და სტივენსი*

მოსამართლე ბლექმუნი თავისი განსხვავებული აზრის ჩამოყალიბებისას დაეყრდნო საქმეში არსებულ ფაქტებს, რომლებიც ფედერალურად დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში რელიგიური იდეის ილუსტრაციას წარმოადგენდა. მისი მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, თუ რა განზრახვა ამოძრავებდა კონგრესს (ახალგაზრდების ოჯახური ცხოვრების აქტის მიღებისას), მან მიიღო კანონი, რომელიც ქმნიდა გამოკვეთილად რელიგიური სწავლებისათვის სახელმწიფო სახსრების გამოყენების შესაძლებლობას და, შეიძლება ითქვას, მზარსაც კი უჭერდა მას ყოველგვარი შეზღუდვების დანესების გარეშე რელიგიური ჯგუფებისათვის ცენტრალური პედაგოგიური და საკონსულტაციო როლის მინიჭებით.

## პოლიტიკური მონაწილეობა

### ეკლესიათა უფლებები

საქმეში *კედროფი წმინდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძრის წინააღმდეგ*<sup>343</sup> ძალადაკარგულად გამოცხადდა კანონი, რადგან იგი ზღუდავდა „ეკლესიის უფლებას, თავად განესაზღვრა საკუთარი იერარქია“. სამართლისა და რელიგიის წამყვანმა თეორიტიკოსმა მარკ დე ვოლფ ჰაუმ ამ წინადადებას უწოდა „ჯგუფის თავისუფლების მისი წევრების თავისუფლებებისგან განსხვავებულ ღირებულებად“ აღიარება.

საქმეთა უმრავლესობაში აღიარებულ იქნა ინდივიდების რელიგიური უფლებები, რადგანაც მათი განხორციელება ხდებოდა განსაზღვრული ჯგუფის სახელით და როგორც ჯგუფის საქმიანობა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საქმე *ვისკონსინი იოდერის*<sup>344</sup> წინააღმდეგ, რომელშიც ამიშების წარმატება განაპირობა იმან, რომ მათი ცხოვრების წესი მათივე ეკლესიის ცხოვრების წესის ნაწილი იყო. საქმეში *ქენტველი კონექტიკუტის წინააღმდეგ*<sup>345</sup> კი ქენტველის პროზელიტიზმი განისაზღვრა როგორც რელიგიური, ვინაიდან იგი იელოვას მოწმე იყო. თუმცა აქაც ინდივიდის უფლებას დაუჭირა სასამართლომ მხარი და არა იელოვას მოწმეებს როგორც ორგანიზაციას.

მინესოტის კანონი ყველა საქველმოქმედო ორგანიზაციისგან რეგისტრაციას, მენეჯმენტის, მიღებული შემოსავლებისა და განუული ხარჯების თაობაზე ანგარიშის წარდგენას მოითხოვდა. კანონი გამონაკლისს უშვებდა იმ „რელიგიური საზოგადოებისათვის“, რომელიც შემოწირულობათა ნახევარზე მეტს იღებდა თავისი წევრებისგან. მსოფლიო ქრისტიანობის უნიფიკაციის სულიწმიდის ასოციაციამ (უნიფიკაციის ეკლესია) და ეკლესიის ოთხმა წევრმა მიმართეს სასამართლოს სარჩელით იმის საფუძველზე, რომ კანონი ზღუდავდა მათი რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობას. შტატი თავის კანონს იცავდა იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ რელიგიური ორგანიზაციის წევრები საკმარის კონტროლს განა-

ხორციელებდნენ ორგანიზაციის საქმიანობაზე, იმ შემთხვევაში თუ ამ უკანასკნელის შემოსავალთა ნახევარზე მეტს შეადგენდა მათი შემოწირულობა. შესაბამისად, შტატის მკაცრი ზედამხედველობა აღარ იყო აუცილებელი.

საქმეში ლარსონი ვალენტეს წინააღმდეგ<sup>346</sup> სასამართლომ არადამაჯერებლად მიიჩნია შტატის არგუმენტი. სასამართლოს ყურადღების ცენტრში მოექცა გასაჩივრებული კანონის საკანონმდებლო განხილვა, როდესაც აშკარად გამოჩნდა, რომ კანონის ინიციატორები მიზნად ისახავდნენ მისი მოქმედების არეალიდან კათოლიკური საარქიეპისკოპოსოს გამოთიშვას და მის გავრცელებას უნიფიკაციის ეკლესიაზე. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ 50%-იანი წესი „წარმოადგენდა ვალდებულებათა სელექციურ საკანონმდებლო დაკისრებას და უპირატესობას ანიჭებდა განსაზღვრულ დენომინაციებს“. მოსამართლე ბრენანის თანახმად, „დანესების კლაუზულის<sup>347</sup> აშკარა მითითებას წამოადგენს ის, რომ დაუშვებელია ერთი რელიგიური დენომინაციის პრივილეგირება სხვასთან შედარებით. ... აღმსარებლობის თავისუფლების გარანტია შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონმდებლებს მოეთხოვებათ ისეთივე დამოკიდებულების გამოჩენა მცირე, ახალი ან არაპოპულარული დენომინაციებისადმი, როგორსაც ისინი საკუთარი რელიგიების მიმართ იჩენენ“. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მინესოტის შტატის სტატუტი არაკონსტიტუციურად მიიჩნის.

კედროფისა და ლარსონის საქმეები ქმნიან საკმარის საფუძველს იმის მტკიცებისათვის, რომ ეკლესიები, ისევე როგორც ინდივიდები, დაცულნი არიან რელიგიური კლაუზულით.

### **ეკლესიებისა და სასულიერო პირების მიერ სახელმწიფო უფლებამოსილების განხორციელება**

საქმეში ლარკინი გრენდელს დენის წინააღმდეგ<sup>348</sup> გასაჩივრებულ იქნა მასაჩუსეტისის კანონი, რომელიც ეკლესიებს ანიჭებდა დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვეტო დაედოთ ალკოჰოლური სასმელების ლიცენზირებაზე ეკლესიიდან 500 ფუტის მანძილზე. „გრენდელს დენმა“, რესტორანმა ჰარვარდის სკვერში, შეიტანა განცხადება ხსენებული ლიცენზიის მიღების მიზნით. წმინდა ჯვრის სომხურმა კათოლიკურმა ეკლესიამ გააპროტესტა ალკოჰოლური სასმელების ლიცენზიის გაცემა აღნიშნულ რესტორანზე, რომელიც მისგან ათი ფუტის მანძილზე მდებარეობდა. რესტორანს უარი ეთქვა ლიცენზიაზე. „გრენდელს დენმა“ უჩივლა სალიცენზიო განყოფილებას. იგი ამტკიცებდა, რომ კანონი რელიგიის დანესებას ახდენდა. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ორი მიზეზის გამო კანონის ძირითადი ეფექტი რელიგიის ხელშეწყობა იყო: 1) ეკლესიებს ჰქონდათ უფლება, ვეტო გამოეყენებინათ არა „რელიგიურად ნეიტრალური“ წესით; 2) თუნდაც გარეგნული ნიშანი ეკლესიისა და შტატის მიერ სახელმწიფო უფლებამოსილების ერთობლივი განხორციელებისა უზრუნველყოფს რელიგიის მნიშვნელოვან სიმბოლურ უპირატესობას“. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ კანონი ახდენდა ეკლესიების ჩართვას ხელისუფლების საქმიანობაში: „აშშ-ს კონსტიტუციის „მამებს“ არ დაუდგენიათ მმართველობის ისეთი სისტემა, რომლის დროსაც მნიშვნელოვანი დისკრეციული უფლებამოსილების დელეგირება ან გაზიარება მოხდებოდა რელიგიურ დანესებულებებთან“.

ინდოელი გურუ ბჰაგვანის მიმდევრები ცხოვრობდნენ ორეგონის სულიერ საზოგადოებაში. როდესაც ისინი შეეცადნენ ქალაქის ოფიციალურ დაფუძნებას, ორეგონის შტატმა მათი განზრახვის ბლოკირების მიზნით სასამართლოში სარჩელი შეიტანა.<sup>349</sup> შტატის მტკიცებით: „რაჯნიშპურამის ქალაქის დაფუძნების ძირითადი მიზანი რაჯნიშიზმის რელიგიის მხარდაჭერა იყო. ქალაქი გამიზნული იყო და ფუნქციონირებდა როგორც მსოფლიო მასშტაბით ბჰაგვანის მიმ-

დევართა სულიერი მექა. იგი წარმოადგენდა ბჰაგვანის მონუმენტსა და რეზიდენციას, ასევე რელიგიური მომზადების დაწესებულებებსა და სამ ყოველწლიურ ფესტივალზე მიმდევართა შეკრების ადგილს“. შტატი ასევე აცხადებდა, რომ რაჯნიშპურამის ქალაქისათვის სახელმწიფო თანხების გადახდითა და მისთვის სახელმწიფო მომსახურების უზრუნველყოფით ირღვეოდა როგორც ორეგონის, ისე აშშ-ს კონსტიტუცია. მოპასუხეები კი ამტკიცებდნენ, რომ მათი რელიგიის მიერ სარგებლის ნახვა შემთხვევითი ხასიათის იყო პოლიციისა და სახანძრო მომსახურების მსგავსად და მათი უფლების უარყოფა რაჯნიშპურამის ქალაქის მართვაზე იქნებოდა უარის თქმა მათივე რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობაზე.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, რაჯნიშპურამის ქალაქის არსებობით პირველი შესწორების არდაწესების პრინციპისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა მოპასუხეთა რელიგიური უფლებების თავისუფალი განხორციელებისათვის პოტენციურ ზიანს აშკარად გადაწონის; მოპასუხეთა უფლების უარყოფა ქალაქის მართვაზე შტატისა და ფედერალური სასიცოცხლო ინტერესის უზრუნველყოფის, რელიგიის დაწესების თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება იყო.

**სასულიერო პირებისთვის სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახურის უფლების ჩამორთმევა.** 1796 წელს მიღებული ტენესის კონსტიტუცია შეიცავდა დებულებას, რომლის მიხედვითაც სასულიერო პირებს არ ჰქონდათ შტატის კანონმდებლება მუშაობის უფლება. შტატის საკანონმდებლო ორგანომ აღნიშნული დებულება გააუქმა კონსტიტუციური კონვენტის წევრობის კანდიდატების მიმართაც: შტატის ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც შეუძლია გახდეს გენერალური ასამბლეის წევრი, ასევე შეუძლია გახდეს კონვენტის წევრობის კანდიდატი...”

ტენესის შტატის ქალაქ ჩატანუგას ბაპტისტური ეკლესიის მღვდელი მაკდანიელი რეგისტრაციაში გატარდა კონსტიტუციური კონვენტის წევრობის კანდიდატად. მისმა ერთ-ერთმა კონკურენტმა მაკდანიელის კანდიდატთა სიიდან ამოღების მოთხოვნით კანცლერის სასამართლოს მიმართა. კანცლერმა ფრენქსმა დაადგინა, რომ ზემოხსენებული დებულება არღვევდა ფედერალური კონსტიტუციის პირველ და მე-14 შესწორებებს და, შესაბამისად, მაკდანიელს ჰქონდა კონვენტის წევრობის უფლება. არჩევნების შედეგად იგი აირჩიეს სხვა ოპონენტ კანდიდატებთან ხმების თითქმის თანაბარი რაოდენობით.

არჩევნების შემდგომ შტატის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა კანცლერის სასამართლოს გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ სასულიერო პირების დისკვალიფიკაცია არ აკისრებდა ტვირთს „რელიგიურ მრწამსს“ და ზღუდავდა „რელიგიურ საქმიანობას მხოლოდ ხელისუფლების საკანონმდებლო პროცესში, სადაც რელიგიური საქმიანობა აბსოლუტურად აკრძალულია დაწესების კლაუზულით“. შტატის ინტერესი რელიგიის დაწესების აღკვეთისა და პოლიტიკური საქმიანობის სფეროში რელიგიური ტენდენციურობის თავიდან აცილებისა, რაც პოლიტიკურ პროცესებში სასულიერო პირების მონაწილეობას მოჰყვება, საკმარისად მიიჩნია სასამართლომ დისკვალიფიკაციის გამართლებისათვის, აღმსარებლობის თავისუფლების გამოხატვის გარანტიის მიუხედავად.

*მაკდანიელი პეტის წინააღმდეგ*<sup>350</sup>

*უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

სასულიერო პირთა ამ დისკვალიფიკაციის შემოღებით შტატები თავდაპირველად ცდილობდნენ, ახალი პოლიტიკური ექსპერიმენტის – ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციის – წარმატებულ უზრუნველყოფას. თვით პირველი შესწორების რატიფიცირების შემდეგ, რომელიც ფედერალურ მთავრობას უკრძალავდა ამ კურსის განხორციელებას, ზოგიერთი შტა-

ტი განაგრძობდა მსგავსი პოლიტიკის გატარებას. საბოლოოდ მეოცე საუკუნეშიც მხოლოდ ტენესისა და მერილენდის შტატებმა შეინარჩუნეს სასულიერო პირთა საკანონმდებლო საქმიანობის შემზღვეველი დებულებანი. აშშ-ს ისტორია ნათელყოფს, რომ შტატების უმრავლესობაში ეს შეზღუდვა სულ მალე უკვე ხალხის კეთილგონიერებისა და სურვილებისათვის უსაფრთხოდ მინდობილ არჩევანის საკითხად ითვლებოდა.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიხედვით, აღმსარებლობის თავისუფლება უდავოდ მოიცავს უფლებას ქადაგებაზე, პროზელიტიზმსა და სხვა მსგავსი რელიგიური ფუნქციების შესრულებაზე, ანუ მაკდანიელის მსგავს სასულიერო პირად ყოფნაზე. ტენესი ასევე ადასტურებს ზრდასრული მოქალაქეების უფლებას, დაიკავონ როგორც კანონმდებელთა, ისე კონსტიტუციური კონვენტის წევრთა თანამდებობები. თუმცა სასულიერო პირთა შემზღვეველი დებულების საფუძველზე მაკდანიელს არ შეუძლია ერთდროულად ორივე უფლებით სარგებლობა: შტატმა დაადგინა უფლებათა ერთი ტიპის განხორციელება, მეორეზე უარის თქმის სანაცვლოდ. ჯეიმს მედისონის სიტყვებით, შტატი „სჯის რელიგიურ საქმიანობას სამოქალაქო უფლების ჩამორთმევის გზით“. მსგავსი ქმედებით ტენესის შტატმა ხელყო მაკდანიელის აღმსარებლობის თავისუფლება.

აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა<sup>351</sup> კატეგორიულად უკრძალავს სახელმწიფოს რელიგიური მრწამსების რეგულირებას და შეფერხებას. თუმცა ტენესის დისკვალიფიკაციური დებულება მაკდანიელის წინააღმდეგ მოქმედებს მხოლოდ ამ უკანასკნელის სასულიერო სტატუსის და არა რელიგიური მრწამსის გამო. აქედან გამომდინარე, აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულით გათვალისწინებული აკრძალვა „რწმენის თავისუფლების“ ხელყოფისა ამ შემთხვევაში შეუსაბამოა. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ გულისხმობს, რომ დისკვალიფიკაცია თავისუფლდება სასამართლო შემონმებისაგან ან მაკდანიელი არ სარგებლობს პირველი შესწორებით უზრუნველყოფილი მნიშვნელოვანი დაცვით. როგორც აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განაცხადა იოდერის საქმეში, „მხოლოდ უმაღლესი თანრიგის და კიდევ იმ ინტერესებს, რომელთა უზრუნველყოფაც სხვაგვარად წარმოუდგენელია, შეუძლიათ დაძლიონ ლეგიტიმური მოთხოვნები რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობაზე“.

ტენესის შტატის მტკიცებით, რელიგიის დანესების თავიდან აცილების მისი ინტერესი შეესაბამება დანესების კლაუზულას და, შესაბამისად, მიეკუთვნება უმაღლეს თანრიგს. რამდენიმე შტატის კონსტიტუციური ისტორია კარგად გვიჩვენებს, რომ დანესების აღკვეთის ინტერესს ხშირად სამღვდლოების შემზღვეველი დებულებების მიღება მოსდევდა. სასამართლოს შეხედულებით, ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც უნდა განიხილებოდეს, არის თუ არა ამგვარი ინტერესის ხელშეწყობა საკანონმდებლო მიზანი. ტენესიმ ვერ შეძლო იმის ჩვენება, რომ მის შეხედულებებს პოლიტიკურ პროცესებში სასულიერო პირთა მონაწილეობასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე არ დაუკარგავს ის აქტუალობა, რომელიც ოდესღაც ჰქონდა. ტენესის არგუმენტი სასულიერო პირებზე დანესებული შეზღუდვის გამართლება ეფუძნება შეხედულებას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო დანესებულებაში მათი არჩევის შემთხვევაში ისინი აუცილებლად გამოიყენებენ თავიანთ უფლებამოსილებასა და გავლენას ერთი სექტის ინტერესების ხელშეწყობის ან სხვათა ინტერესების შეფერხებისათვის, არდანესების პრინციპისა და ნეიტრალობის თაობაზე მისი მოთხოვნის საწინააღმდეგოდ. სასამართლოს განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაზრება შეიძლება ფართოდ ყოფილიყო გავრცელებული მე-18 საუკუნეში, ამერიკული გამოცდილება მხარს არ უჭერს იმის შიშს, რომ სახელმწიფო დანესებულებებში სასულიერო პირები ნაკლებ სიფრთხილეს გამოიჩინენ არდანესების ინტერესებისადმი ან ნაკლებად ერთგულნი იქნებიან სამოქალაქო წესის შესაბამისად დადებული ფიცისა, ვიდრე სასულიერო წოდების არმქონე მათი კოლეგები.

აქედან გამომდინარე, პირველი შესწორების შესაბამისად, დაირღვა მაკედანიელის მიერ საკუთარი რელიგიის თავისუფლად აღმსარებლობის უფლება და ტენესის შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა. საქმე განსახილველად დაუბრუნდა შტატის უზენაეს სასამართლოს და ებრძანა გადაწყვეტილების გამოტანა ფედერალური სასამართლოს მიერ გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად.

*მოსამართლე ბრენანის თანმხვედრი აზრი, რომელსაც შეუერთდა მოსამართლე მარშალი მოსამართლე ბრენანმა თავის თანმხვედრ აზრში აღნიშნა, რომ დაწესების კლაუზულის რელიგიური შუღლისა და განხეთქილების შემცირების ან აღმოფხვრის მიზანი, რელიგიურ დისკუსიას, გაერთიანების ან პოლიტიკურ მონაწილეობას არ აყენებს ნაკლებად პრივილეგიურებულ მდგომარეობაში, ვიდრე უფლებებს ზოგად დისკუსიაზე, გაერთიანებაზე ან პოლიტიკურ მონაწილეობაზე; შტატის მიზნის მიღწევა, თავიდან აიცილოს სექტანტური დავა და უთანხმოება, რელიგიური გამოხატვისა და პოლიტიკური გაერთიანების რეგულირებით დაუშვებელია; დაწესების კლაუზულა სახელმწიფოს არ რთავს ნებას რელიგიას ან იმ პირებს, რომლებიც ამ რელიგიას ასწავლიან ან გამოხატავენ, მხოლოდ მათი სტატუსის ნიადაგზე მოეპყრას როგორც ამერიკული იდეალების დამანგრეველებს და, შესაბამისად, ერთმნიშვნელოვნად არაუფლებამოსილ ობიექტებად შერაცხოს ისინი.*

**რელიგია და პოლიტიკა.** საქმეში *ედვარდსი აგილარის წინააღმდეგ*<sup>352</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლე სკალიამ თავის განსხვავებულ აზრში მიუთითა: „დაწესების კლაუზულა არ უკრძალავს კანონმდებლებს, იმოქმედონ თავიანთი რელიგიური შეხედულებების მიხედვით. უმრავლესობის განსხვავებული პოზიციის მიუხედავად, ჩვენ (უმცირესობა) არ მივიჩნევთ, რომ კანონის ერთადერთ მიზანს რელიგიის ხელშეწყობა წარმოადგენს, მხოლოდ იმიტომ, რომ მას მხარი დაუჭირეს ორგანიზებული რელიგიების ან განსაზღვრული მრწამსის მიმდევრებმა. ასეთი დასკვნა რელიგიური ინდივიდებისათვის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა იქნებოდა.“

თავის კომენტარში სკალია ორ განსხვავებულ ინტერესზე ამახვილებს ყურადღებას: 1) რელიგიურად მოაზროვნე მოქალაქეთა და ჯგუფების პოლიტიკურ პროცესებში სრულად მონაწილეობის უფლებასა და 2) იმ საზღვარზე, რომლის ფარგლებშიც რელიგიური ინტერესი საკანონმდებლო საქმიანობაში ლეგიტიმურ ხასიათს ატარებს. პირველი მყარი კონსენსუსით სარგებლობს, ხოლო მეორე საკითხთან დაკავშირებით არსებობს ერთი პრაქტიკული და ერთი თეორიული სირთულე. პრაქტიკული პრობლემა შემდეგია: აშშ-ს საგადასახადო კოდექსის 501-ე მუხლის თანახმად, რელიგიური ორგანიზაცია თავისუფლდება ფედერალური საშემოსავლო გადასახადისგან, თუკი შეასრულებს მოცემულ დებულებაში წარმოდგენილ ორ პირობას: პირველი – საგადასახადო კოდექსით აკრძალულია „კანონმდებლობაზე არსებით ზეგავლენის მოხდენისკენ მიმართული საქმიანობა“, ისევე როგორც „მნიშვნელოვანი შემოსავლის“ (აღნიშნული ტერმინი არ არის ზუსტად განსაზღვრული, თუმცა, პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მნიშვნელოვნად ჩაითვლება 20%, მაგრამ არა 5%) გამოყენება ამ მიზნისათვის; მეორე – საგადასახადო კოდექსი აწესებს აბსოლუტურ აკრძალვას სახელმწიფო დაწესებულებების წევრობის კანდიდატების სახელით პოლიტიკურ კამპანიებში ნებისმიერი ფორმით მონაწილეობაზე.

ქვეცნობიერად, შესაძლოა სწორადაც ჩაითვალოს, რომ რელიგიურმა ორგანიზაციებმა თავი უნდა შეიკავონ პოლიტიკაში „ზედმეტად ჩარევისაგან“. ასევე შეიძლება არსებობდეს საზოგადოებაში რელიგიური იდეების პოლიტიზირების საფრთხე. თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს სხვა საფრთხეც, რომელიც რელიგიურ სწავლებასა და რეალურ სამყაროზე მისი ზეგავლენის სრულ აღმოფხვრაში მდგომარეობს. როგორც საზოგადოებრივ საქმეთა ერთობ-



ლივი ბაპტისტური კომიტეტის წარმომადგენელმა ჯონ ბაკერმა განაცხადა: „ომი, მშვიდობა, ადამიანური კეთილდღეობა, სამოქალაქო უფლებები, აბორტი და განათლება, ყოველი მათგანი საზოგადოებრივ სფეროს მიეკუთვნება, თუმცა აქვთ ატრიბუტები, რომლებიც მათ ასევე რელიგიურ საკითხებად აქცევენ. სახელმწიფო მონაწილეობის ეს სფეროები, რომლებშიც, განსაზღვრულ ეკლესიათა მტკიცებით, აუცილებელია ასევე რელიგიური მონაწილეობაც, უსაზღვრო ხასიათს ატარებს“.

ნორმატიულ თეორიულ პრობლემას, სულ მცირე, ორი მხარე აქვს. ეკლესიის მიერ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის მაგალითად გამოდგება 1989 წელს პრესბიტერიანული ეკლესიის გენერალურ ასამბლეაზე გაკეთებული პოლიტიკური განცხადება: „კალვინის დროიდან მოყოლებული, რეფორმირებული პროტესტანტები მოწოდებული იყვნენ, უფლის მიერ შექმნილი წესრიგის თავიანთი ხედვა საზოგადოებისთვის გაენდოთ. პრესბიტერიანელებიც აღიარებდნენ და მოქმედებდნენ სოციალური სამართლიანობისა და მშვიდობის ძიებისა და თავისუფლების ბიბლიური ღირებულებების, ისევე როგორც პოლიტიკური წესრიგის ფარგლებში კორპორატიული პასუხისმგებლობის ხელშეწყობის ვალდებულებიდან გამომდინარე... კანონმდებლობაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ეკლესიები პოლიტიკური საკითხების მორალურ ასპექტებზე გამოთქვამენ მოსაზრებებს. მსგავსი განცხადებები ფუნდამენტური მრწამსიდან გამომდინარეობს და მისი თავისუფლად აღმსარებლობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. იმას, რომ იგი საუბრობს როგორც „ეკლესია“ თავისი რელიგიური სტრუქტურებისა და ლიდერების მეშვეობით, დიდი მნიშვნელობა აქვს მისი იდენტურობისათვის, ისევე როგორც გამოთქმულ შეხედულებათა მორალური ავტორიტეტისათვის.“

აშშ-ს ქრისტეს ეკლესიათა ნაციონალური საბჭოს სამოქალაქო და რელიგიურ თავისუფლებათა სფეროს ხელმძღვანელად წლების განმავლობაში ნამუშევარი დეკანი კელის განცხადებით: „ეკლესიებს, თავიანთი მისიის შეგნებითა და უფლისადმი წმინდა მორჩილებით, ევალებათ მოსაზრებების გამოთქმა ადამიანების კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მათ უნდა გააცხადონ ის, რაც, მათი რწმენით, სწორია და რაც საზოგადოების მორალურ გეზს უნდა წარმოადგენდეს ... მსგავსი საქმიანობას ეკლესიები ეწეოდნენ, საკანონმდებლო და ლობისტური საქმიანობის არსებობამდე და ამას გააგრძელებენ, დაბრკოლებების მიუხედავად, სანამ ეკლესიებად დარჩებიან“.<sup>353</sup>

პროფესორმა გრინავოლტმა თეორიულ პრობლემაზე განსხვავებული შეხედულება დააფიქსირა: „ლიბერალური საზოგადოების საქმე არ არის მოქალაქეებისათვის მითითებების მიცემა რელიგიური რწმენისა და ღვთისმსახურების საკითხებზე. მას არ შეუძლია აკრძალოს ან დაუშვას კონკრეტული მრწამსები; მას არ შეუძლია აღკვეთოს ღვთისმსახურების ის აქტები, რომლებსაც საერო ზიანი არ მოაქვს; მას არ შეუძლია რელიგიური ჭეშმარიტების გამოხატვის შეზღუდვა. საკმარისია ამ უდავო პრინციპთა მოკრძალებული გაფართოებაც კი იმ დასკვნისათვის, რომ ლიბერალური საზოგადოება არ უნდა დაეყრდნოს რელიგიურ საფუძვლებს ისეთი საქმიანობის აკრძალვისათვის, რომელსაც არ მოაქვს საერო ზიანი ან მოაქვს არასაკმარისი ზიანი მისი აკრძალვის სანქცირებისათვის.“<sup>354</sup> გარდა ამისა, გრინავოლტი კანონმდებლებს ურჩევს, არ წარმოადგინონ რელიგიური არგუმენტები სახელმწიფო პოლიტიკური დებატებისას, რათა ასეთმა გამოსვლამ ცალკეულ ამომრჩეველს თავი არ აგრძნობინოს „მეორეხარისხოვან მოქალაქედ ... პოლიტიკური არენიდან საკუთარი თავის გარიყვის შეგრძნების გამო“. თუმცა გაურკვეველია, ასეთად რატომ უნდა იგრძნოს ვინმემ თავი, თუკი სახელმწიფო პოლიტიკის გარშემო აღძრული უთანხმოება ნაწილობრივ მაინც ეფუძნება განსხვავებას როგორც რელიგიურ, ისე საერო მოთხოვნათა შემცველ მსოფლმხედველობაში. პროფესორ ტაშნეტის მიხედვით: „არამორწმუნენი, რომლებიც პოლიტიკური საზოგადოებიდან გარიყუ-

ლად გრძნობენ თავს, გამოხატავენ ისეთივე უკმაყოფილებას, რომელსაც ყველა განიცდის სამართლიან პოლიტიკურ ორთაბრძოლაში დამარცხების დროს“.<sup>355</sup>

პროფესორი პერი პოლიტიკურ დებატებში რელიგიური მსჯელობის მარგინალიზაციის წინააღმდეგ გამოდის: „იმ როლის გამო, რომელსაც ადამიანის ქცევის მორალთან შესაბამისობის საკითხებში რელიგიური არგუმენტები პოლიტიკურ პროცესებში თამაშობს, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს არგუმენტები, არანაკლებ სამოქალაქო მორალური არგუმენტებისა, წარმოდგენილი იყოს სახელმწიფო პოლიტიკური დებატების დროს. უფრო მეტიც, შეუძლებელია მკაფიო მიჯნის გავლება, ერთი მხრივ, ზოგადად საზოგადოებრივ კულტურას, სადაც რელიგიაზე დაფუძნებული მორალური მსჯელობა შესაბამის ხასიათს ატარებს, და, მეორე მხრივ, სპეციფიკურ პოლიტიკურ საკითხებზე სახელმწიფო დებატებს შორის“.<sup>356</sup> რაც შეეხება საკანონმდებლო გადაწყვეტილებებს, პერის შეხედულებით, „ადამიანის ამა თუ იმ ქცევის მორალთან შესაბამისობის თაობაზე ნებისმიერი, განსაკუთრებით კი სავალდებულო არჩევანის გაკეთებისას, კანონმდებლები და სხვა პირები არ უნდა დაეყრდნონ მხოლოდ რელიგიურ არგუმენტს ადამიანური კეთილდღეობის მოთხოვნილებათა თაობაზე, სანამ დამაჯერებელი საერო არგუმენტი იმავე დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ შექმნის“.

### **მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისთვის**

პირველი შეკრება, რომელიც საფუძვლად დაედო სამხრეთის ქრისტიანული ლიდერების გაერთიანების ჩამოყალიბებას, თავდაპირველად ოთხი შავკანიანი სასულიერო და ერთი საერო პირის მოთხოვნით გაიმართა. ატლანტას ებენეზერის ბაპტისტურ ეკლესიაში შეკრებაზე მიიწვიეს შავკანიანი ღვთისმსახურები და სხვა ლიდერები. შეხვედრაზე, რომელიც 1957 წელს გაიმართა, შემუშავდა სამუშაო მოხსენება ეკონომიკურ გადარჩენაზე, შავკანიანთა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებისადმი საზოგადოებრივი პროტესტისა და სკოლაში ავტობუსით თეთრკანიან და შავკანიან მოსწავლეთა ერთობლივი გადაყვანის თაობაზე. დოკუმენტი შეიცავდა შეკრების მონაწილეთა შეხედულებას აქტიურ და პირდაპირ მოქმედებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ. გარდა ამისა ეკლესია, როგორც შავკანიანთა ყველაზე სტაბილური საზოგადოებრივი დაწესებულება, წამოწყებული კამპანიის საფუძვლად აღიარეს.

ასოციაცია წარმოადგენდა ძალას, რომელმაც სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობის სათანადო ინფრასტრუქტურა განავითარა. იგი მორალურ, მატერიალურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას უწევდა პროტესტის გამომხატველ ადგილობრივ ჯგუფებს. მისი ხელმძღვანელობით პროტესტისადმი კეთილგანწყობის ადგილობრივ საზოგადოებებში ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. ასოციაციის ყველაზე დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს სამხრეთელი შავკანიანების დისციპლინირებული მასობრივი მოძრაობის შექმნა.

ასოციაცია მარტო არ ყოფილა თავისი კამპანიის წარმოებისას, მას ფერადკანიანთა წინსვლის ნაციონალური ასოციაცია და რასობრივი თანასწორობის კონგრესი შეუერთდა (ორივე ბაპტისტური ეკლესიის მხარდაჭერით სარგებლობდა). გარდა ამისა, ასოციაციის პატრონაჟით შეიქმნა არაძალადობრივი სტუდენტური მაკოორდინირებელი კომიტეტი. ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს შერიგების საზოგადოებამ და ალაბამის ქრისტიანულმა მოძრაობამ ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლაში.

სამხრეთის ქრისტიანული ლიდერების კონფერენციის ოცდახუთივე ოფიციალური პირი ბაპტისტი ღვთისმსახური იყო. პრეზიდენტი მარტინ ლუთერ კინგი ასევე ნაკურთხი ბაპტისტი სასულიერო პირი იყო. ასოციაციის საქმიანობას ძირითადად ბაპტისტური ეკლესიები აფინანსებდნენ. რელიგიური ორგანიზაცია პოლიტიკური მეთოდებით იბრძოდა. მისი სტრატეგია ეყრდნობოდა საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეებს სამხრეთში შავკანიანი ელექტორატის

გაორმაგების მიზნით, რის მისაღწევადაც 1958 წელს ასოციაციამ საფუძველი დაუდო „სამოქალაქო კამპანიას“. კამპანია შავკანიანი ამომრჩევლების რეგისტრაციას აწარმოებდა.

სამოქალაქო უფლებების მოძრაობაში ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ მომენტს წარმოადგენდა 1963 წელს ასოციაციის მიერ ბირმინგემში დაგეგმილი „კონფრონტაცია“. ადგილობრივმა ღვთისმსახურმა ბირმინგემის „კონფრონტაციას“ უწოდა „მთელი ერისათვის სეგრეგაციის წინააღმდეგ სისტემური და გულწრფელი ბრძოლის კატალიზატორი“. „წინააღმდეგობამ“ წარმატებით ჩაიარა იმ ერთსულოვნების გამო, რომელიც მუსიკამ, რელიგიურმა მჭერმეტყველებამ, ლოცვამ და საერთო სიმბოლოებმა განაპირობა. ამ დროისათვის ასოციაციას უკვე ჰქონდა მილიონდოლარიანი ბიუჯეტი და ჰყავდა კარგად ორგანიზებული წევრები.

სამოქალაქო უფლებების მოძრაობის ლიდერ მარტინ ლუთერ კინგს სასამართლო აკრძალვის საფუძველზე მონაწილეობა არ უნდა მიეღო ქუჩის დემონსტრაციებში, თუ ციხეში არ სურდა მოხვედრა. ასეც ხდებოდა ვნების პარასკევამდე. ამის შემდგომ მან დაარღვია სასამართლოს ბრძანება, რის გამოც დააპატიმრეს.

1963 წლის 16 აპრილს ბირმინგემის ციხიდან კინგმა თავის „მეგობარ სასულიერო პირს“ მისწერა წერილი.

*მარტინ ლუთერ კინგი, წერილი ბირმინგემის ციხიდან, 1963 წლის 16 აპრილი*

„როგორც მოციქულმა პავლემ დატოვა თავისი სამყოფი სოფელი და ბერძნულ-რომაული სამყაროს შორეულ კუთხეებს მიანვდინა იესო ქრისტეს ქადაგება, ასევე მეც იძულებული ვარ, ვიქადაგო თავისუფლება ჩემი მშობლიური ქალაქიდან ძალიან შორს...

ვილაც იკითხავს, როგორ შეუძლია მას მხარი დაუჭიროს კანონების დარღვევას? მე კი დავეთანხმები წმინდა ავგუსტინეს, რომ „უსამართლო კანონი სულაც არ არის კანონი“... სხვაგვარად რომ ვთქვათ, უსამართლო კანონი ადამიანური კანონია, რომელიც არ ეფუძნება მარადიულ და ბუნებით სამართალს ...

განა იესო ქრისტე არ იყო ექსტრემისტი სიყვარულისთვის? ... პავლე არ იყო ექსტრემისტი ქრისტიანული ქადაგებისთვის? ... მარტინ ლუთერი არ იყო ექსტრემისტი? ... ან აბრაამ ლინკოლნი? ... ან ტომას ჯეფერსონი?

ერთ დროს ეკლესია ძლევამოსილი იყო. მაშინ იგი არ იყო მხოლოდ თერმომეტრი, რომელიც პოპულარულ იდეებსა და პრინციპებზე მიუთითებდა; იგი იყო თერმოსტატი, რომელმაც საზოგადოების ზნე-ჩვეულებათა ტრანსფორმირება შეძლო ... ქრისტიანებმა თავისას მიაღწიეს იმ რწმენის წყალობით, რომ ისინი უფლისადმი და არა ადამიანისადმი მორჩილებისათვის მონოდებულ „თანამოაზრეთა ზეციურ ჯგუფს“ წარმოადგენდნენ ... თავიანთი ძალისხმევითა და მაგალითით მათ ბოლო მოუღეს ისეთ უძველეს ბოროტებას, როგორიცაა გლადიატორთა ორთაბრძოლები და შვილის კვლა ... მე იმედი მაქვს, ეკლესია, როგორც ერთი მთლიანი, უპასუხებს გამონვევას ამ გადამწყვეტ მომენტში“.

აღნიშნული წერილის მილიონამდე ასლი გავრცელდა, სანამ ციხიდან კინგს თავდებით გაათავისუფლებდნენ. ბირმინგემის შემდგომ 758 დემონსტრაცია გაიმართა 186 ქალაქში. 14 733 ადამიანი დააკავეს. 1 წლის შემდგომ კი, 1964 წელს, ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო სამოქალაქო უფლებათა აქტი. სამხრეთელი ქრისტიანული ლიდერების ასოციაციის წევრმა შავკანიანმა ღვთისმსახურებმა ისეთივე წარმატებით შეაღწიეს ამერიკის ხელისუფლებაში, როგორც ჩრდილოელმა ღვთისმსახურებმა 1850 წელს.

შემდეგი განცხადება იუდაიზმსა და სოციალურ სამართლიანობას შორის კავშირის თაობაზე გააკეთა რაბინმა, რომელიც ამერიკელი ებრაელების კონგრეგაციათა გაერთიანების რელიგიური საქმიანობის ცენტრის დირექტორი და განათლებით იურისტი იყო.

დევიდ სეპერსტინი, „ებრაული პერსპექტივები პოლიტიკურ პროცესებში რელიგიის როლის თაობაზე“<sup>4357</sup>

რელიგიურმა ლობმა წარმატებას შეიძლება მიაღწიოს მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა არსზეც რელიგიურ საზოგადოებაში ფართო კონსენსუსი არსებობს. ამის განხორციელების შემთხვევაში რელიგიურ საზოგადოება მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეიძლება კონკრეტულ საკითხზე საზოგადოების მორალური დამოკიდებულების განსაზღვრაში. ვინაიდან მილიონობით ამერიკელი შეჰყურებს რელიგიურ ლიდერებს მსგავსი მითითებების მისაღებად, აღნიშნულ ლიდერებს ხშირად უმნიშვნელოვანესი, ზოგჯერ კი გადამწყვეტი გავლენის მოხდენა შეუძლიათ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. ამის ძირითად მაგალითებს წარმოადგენს დუელის კანონგარეშე გამოცხადება, მონობის და ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო, ასევე მოძრაობები სამოქალაქო უფლებებისთვის, საზოგადოებისა და კონგრესის მხარდაჭერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი.

იმ ფუნდამენტური პოსტულატებისა და აქსიომების ანალიზისას, რომლებიც ძირითადი რელიგიური ჯგუფების პოლიტიკური შეხედულების საფუძველს წარმოადგენს, ცხადია, რომ ისინი ფაქტობრივად არ განსხვავდება იმ პოსტულატებისა და აქსიომებისგან, რომლებსაც ეფუძნება თანამედროვე პოლიტიკური ლიბერალიზმი.

2000 წლის აგვისტოში სენატორი ჯოზეფ ლიბერმანი გახდა პირველი ებრაელი, რომელიც ამერიკაში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე წარადგინეს. ლიბერმანი რელიგიურად მორჩილი ორთოდოქსი ებრაელია. იგი რელიგიურ მსჯელობას იყენებდა როგორც სენატის წინაშე, ისე კამპანიის მსვლელობის დროს იმპროვიზებულ ტრიბუნებზე გამოსვლისას. მაგალითად, დეტროიტის ეკლესიაში მან საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიისათვის განსაზღვრული როლის შექმნა მოითხოვა. „ჩვენ გვჭირდება ჩვენი რწმენის, ჩვენი და ჩვენი ერის ერთგულების კვლავ დადასტურება უფლისა და მისი მიზნისადმი“.

ლინ ბაზარდი, „სამართლისა და პოლიტიკის განმეორებითი ევანგელისტური აღმოჩენა“<sup>4358</sup>

პრაქტიკული შედეგი იმის მტკიცებისა, რომ ქრისტიე ყველას ღმერთია, არის ის, რომ ევანგელისტური ქრისტიანული საზოგადოება თავისი საქმიანობის შეზღუდვის ნებისმიერ მცდელობას წინააღმდეგობას გაუწევს იმ ცნებით, რომელსაც საერო პირები „რელიგიას“ უწოდებენ. პოლიტიკა, ხელოვნება, მეცნიერება და ფილოსოფია – ყოველივე ეს მორწმუნე საზოგადოების საქმიანობის ასპარეზის ნაწილს წარმოადგენს.

### **აბორტის მხარდამჭერი და მონინააღმდეგე მოძრაობები**

პირველი საუკუნიდან მოყოლებული ქრისტიანული ეკლესია აბორტს სერიოზულ ცოდვად განიხილავდა. არც რეფორმაციის პერიოდს გამოუწვევია აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხზე. მე-20 საუკუნის სამოციან წლებში პროტესტანტული და კათოლიკური ეკლესიები სიცოცხლის ხელშეუხებლობის დეკლარირებას ახდენდნენ და უარყოფდნენ აბორტს, როგორც უმთავრესი ღირებულების საწინააღმდეგო მოვლენას. როდესაც პროფესიული და სამოქალაქო ორგანიზაციები (ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა გაერთიანება და ამერიკული სამედიცინო ასოციაცია) გამოვიდნენ აბორტის შესახებ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით, რელიგიურ საზოგადოებაში პოზიციები გაიყო. ზოგმა კაზუისტმა თეოლოგმა გამოავლინა აბორტის ისეთი შემთხვევები, როდესაც შესაძლებელი იყო მისი გამართლება სხვა ღირებულებების დაცვის მოტივით. ცალკეულმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა აბორტის საერო სამართლის საგნად გადაქცევა გააპროტესტეს.

1963 წელს უნიტარიანელ-უნივერსალისტთა გენერალურმა ასამბლეამ არსებული კანონები დაახასიათა, როგორც დამამცირებელი „ადამიანური სიცოცხლისა და ღირსებისათვის“ და მოითხოვა აბორტის ლეგალიზაცია ნებისმიერი „არსებითი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მენტალური, სულიერი და ეკონომიკური მიზეზის“ ნიადაგზე. 1971 წელს ქრისტეს გაერთიანებული ეკლესიის მერვე გენერალურმა სინოდმა ასევე მხარი დაუჭირა აბორტის ლეგალიზებას. 1972 წელს კი გაერთიანებულმა მეთოდისტურმა ეკლესიამ „აბორტის ამკრძალავი მუხლის სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღება“ მოითხოვა.

ამ დროიდან მოყოლებული „შობადობის კონტროლის“ მოძრაობა მარგარიტ ჰიგინს სანგერის ხელმძღვანელობით განსაკუთრებით გააქტიურდა. მის ყველაზე მწვავე და შეურიგებელ ოპონენტად კათოლიკური ეკლესია გამოდიოდა. მოძრაობამ ეკლესიის წინააღმდეგობის მიუხედავად წარმატებას მიაღწია. კონტრაცეფცია ფართოდ აღიარეს აშშ-ში. ამერიკის სახელმწიფო პოლიტიკამ მხარი დაუჭირა კონტრაცეფციას. ფედერალურმა ხელისუფლებამ კი დაიწყო „ოჯახური დაგეგმვის პროგრამების“ დაფინანსება.

მას შემდეგ, რაც გამარჯვება იქნა მოპოვებული კონტრაცეფციისათვის ბრძოლაში, ბუნებრივი იყო გამარჯვებულთა მხრიდან იმავე სცენარის განმეორების მცდელობა უკვე აბორტთან დაკავშირებული დაპირისპირებისას.

საქმეში რო ვეიდის წინააღმდეგ<sup>359</sup> აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით აბორტის ამკრძალავი კანონმდებლობა თავისუფლების არაკონსტიტუციურ უარყოფას წარმოადგენდა. სასამართლოს პირველი შესწორება თავისი დადგენილების დასაბუთებისას არ უხსენებია. თუმცა ერთ-ერთმა ანალიტიკოსმა ეს გადაწყვეტილება დაიცვა იმ მოტივით, რომ აბორტის შესახებ კანონების შენარჩუნება ხდებოდა რელიგიური ჯგუფების ზენოლის გამო: „ყოველთვის, როდესაც ამა თუ იმ საკითხის საკანონმდებლო განხილვისას ორგანიზებული რელიგიური ჯგუფის შეხედულებები ჭარბობს მისთვის ბუნებრივად დამახასიათებელი მიზეზების გამო“, საკანონმდებლო ხელისუფლებას არ შეუძლია, განსაზღვრული რელიგიური დოქტრინისადმი უპირატესობის მინიჭებისა და, შესაბამისად, რელიგიის დაწესების გარეშე იმოქმედოს.<sup>360</sup>

პოლიტიკურ სფეროში კანონების გზით აბორტის შეზღუდვის მომხრეთა მოძრაობის ლიდერები ხშირად პროტესტანტები იყვნენ. აბორტის მოწინააღმდეგე ყველაზე დიდი ჯგუფის, სიცოცხლის უფლების ნაციონალური კომიტეტის პრეზიდენტი მილდრედ ჯეფერსონი მეთოდისტის იყო. 70-იან წლებში ლეგალიზებული აბორტის ყველაზე მძლავრი და პოლიტიკურად ეფექტური ოპოზიცია ევანგელისტი და ფუნდამენტალისტი პროტესტანტებისგან წამოვიდა. ამის მიუხედავად, აბორტის თავისუფლების მომხრეები ყველაზე დიდ საფრთხედ მაინც კათოლიკურ ეკლესიას მიიჩნევდნენ.

1976 წელს კონგრესმენმა ჰენრი ჰაიდიმ განსახილველად წარადგინა შესწორება ასიგნაციათა აქტი, რითაც მნიშვნელოვნად იზღუდებოდა აბორტის ფედერალური დაფინანსება. შესწორების მიღების შემდეგ აბორტის მომხრეებმა ჯანმრთელობის, განათლებისა და კეთილდღეობის დეპარტამენტის მდივნის მიერ ჰაიდის შესწორებით გათვალისწინებული შეზღუდვების ცხოვრებაში გატარებაზე სასამართლო აკრძალვის დაწესების მოთხოვნით სასამართლოს მიმართეს. ფედერალურმა საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა და გამოსცა სასამართლო ბრძანება მიღებული შესწორების საფუძველზე მდივნის ქმედების შეჩერებაზე.<sup>361</sup> შემდგომში გაიმართა საქმის არსებითი განხილვა.

მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნებოდა ორ გარემოებას: 1) ჰაიდის შესწორება კათოლიკური დოქტრინის დაწესებას წარმოადგენდა, ვინაიდან მასში ასახული იყო კათოლიკური რელიგიური სწავლება; 2) იგი იმ ინდივიდების მიერ საკუთარი რელიგიის აღმსარებლობის თავისუფ-



ლების უარყოფას წარმოადგენდა, რომელთა რელიგიურ ვალდებულებასაც წარმოადგენდა აბორტის უზრუნველყოფა. წინასწარი აკრძალვიდან სამი წლის შემდეგ მოსამართლე დულინგმა გამოიტანა გადაწყვეტილება და აკრძალვას პერმანენტული ხასიათი მიანიჭა.<sup>362</sup>

დულინგის მიხედვით, რელიგიური მოტივაცია და ერთგულება რელიგიური პრინციპისადმი, საკანონმდებლო ოქმებიდან გამომდინარე, მრავალი კანონმდებლის მხრიდან საკმაოდ იოლ და აუცილებელ დასკვნას წარმოადგენს. აღნიშნული სრულებით არ გულისხმობს, რომ მხოლოდ რელიგიური მოტივაციის გავლენით შეიძლება აიხსნას სიცოცხლის მომხრეთა პოზიცია. იგი არც იმაზე მიანიშნებს, რომ შეუძლებელია სამოქალაქო არგუმენტაციის მოყვანა აღნიშნული გადაწყვეტილების მხარდაჭერისათვის. ვერავინ იტყვის სრული დამაჯერებლობით, თუ რამ განაპირობა კანონმდებელთა უმრავლესობის მიერ ამ შესწორების მხარდაჭერა. თუმცა ერთი რამ შეიძლება ითქვას: მოხდა ინსტიტუციონალური რელიგიის ორგანიზებული მცდელობა კანონშემოქმედებაზე ზეგავლენის მოხდენისა რელიგიურ ნიადაგზე დაყრდნობით. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ძალისხმევამ ხმების რაოდენობაზე არ იმოქმედა, კონგრესმენტა ნაწილის რელიგიური მრწამსისა და პრინციპების პოლიტიკური „რეპრესალიის“ მოლოდინის მიმართ შიშთან კომბინაციით.

1978 წელს კათოლიკური ეკლესიის ინსტიტუციონალური ზეგავლენის მოვლენასთან დაკავშირებით კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა ჰაიდიმ განაცხადა: „მინდა აღვნიშნო, რომ მაშინ, როცა კონგრესში უდანაშაულო პრენატალური სიცოცხლის სახელით რამდენიმე კათოლიკემ აიმაღლა ხმა, სენატში სიცოცხლის მომხრეთა წარმომადგენლები იყვნენ არაკათოლიკენი ... სენატის ყველაზე გამოჩენილმა კათოლიკეებმა კი – ნიუ-იორკისა და მასაჩუსეტსის სენატორებმა – მხარი არ დაუჭირეს ჩვენს მცდელობას, შეგვეჩერებინა აბორტების ტალღა ... წარმომადგენელთა პალატის წევრია იეზუიტი ღვთისმსახური, რომელიც კათოლიკურ საყელოს ატარებს და ხმას აძლევს გადასახადის გადამხდელთა ფულის გამოყენებას აბორტის დაფინანსებისათვის.“

მოსამართლის თქმით, საკანონმდებლო ორგანოში გამართული დებატებისას ტერმინ „აღამიანის სიცოცხლის“ გამოყენება ხშირად ნაყოფის უკვდავ სულზე მითითებით, ჰეროდეს მიერ „ყრმათა რბევის“ შეხსენებითა და ნაყოფის „უდანაშაულობისა“ და „დაუცველობის“ აღნიშვნით მთავრდებოდა. მოსამართლე დულინგის მტკიცებით, ეს ტექსტი ასახულია რომაულ-კათოლიკურ ლიტერატურაში; დებატებისას გამოთქმული შეხედულებები სპეციფიკურად რელიგიური იყო. თუმცა დულინგი აქვე შენიშნავს, რომ წარმოდგენილი იქნა რელიგიასთან კავშირის არმქონე არგუმენტებიც. კონგრესმენტა ნაწილი საკითხის მორალურ ასპექტებზე ამახვილებდა ყურადღებას და წარმომადგენლობითი პალატის წევრებს მოუწოდებდა, თავიანთი სინდისიდან გამომდინარე გაეკეთებინათ არჩევანი. თავისუფალი არჩევანის მომხრენიც სიცოცხლის მომხრეთა მოსაზრებების რელიგიურ ხასიათზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

სიცოცხლის მომხრე კონგრესმენტების ნაწილისადმი ბრალდება მათ მიერ თავიანთი „მორალის“ ან რელიგიური შეხედულებების სრულიად კონგრესზე თავს მოხვევის შესახებ და საპირისპირო მხარის კონტრბრალდება, რომ თავისუფალი არჩევანის მომხრეებმა აბორტის დაფინანსების ვალდებულება დააკისრეს გადასახადების იმ გადამხდელებს, რომელთათვისაც სრულებით მიუღებელია ეს მოვლენა, ხშირად წარმომადგენლობითი პალატის ცალკეული წევრების მხრიდან საკუთარ რელიგიურ კუთვნილებაზე მითითებას იწვევდა. ისინი არ ერიდებოდნენ საკუთარი არგუმენტების მხარდასაჭერად თავიანთი რელიგიური აღზრდისა და ოჯახური ქცევის მაგალითების მოყვანას. ხშირად აბორტის შესახებ მრავალი ეკლესიის პოზიციაზეც მიუთითებდნენ.



მოსამართლე დულინგის განცხადებით, კონგრესმენებს კარგად მოეხსენებოდათ ამ საკითხზე ამომრჩევლების პოზიციის გამო მათზე არსებული ზენოლისა და მათ მიერ საკუთარი შეხედულებების რელიგიურ ქრილში გამოხატვის თაობაზე. ორივე მხარე ინტენსიურ ლობისტურ კამპანიას ეწეოდა, რაც აისახა კიდევ კონგრესში გამართულ დებატებზე. ცალკეული მინიშნებანი პიკეტირებაზე, სიცოცხლის მომხრეთა მარშსა და ამომრჩეველთა წერილებზე ნათლად მეტყველებს კონგრესმენტა მიერ იმის კარგად გააზრებაზე, რომ თითოეული გაკეთებული არჩევანი ცნობილი გახდებოდა ამომრჩევლებისათვის.

მოსამართლე დულინგის გადაწყვეტილებით, ჰაიდის შესწორება არ არღვევდა არდაწესების კლაუზულას, თუმცა იგი ხელყოფდა „უფლებათა ბილის“ სხვა ნაწილებს: „ფეხმძიმობის შეწყვეტის თაობაზე ქალის კეთილსინდისიერი გადაწყვეტილება საკუთარ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ ქალის ჯანმრთელობისათვის აუცილებლობის მოტივით ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობაა, იგი ახლოს დგას მის სიცოცხლის უფლებასთან, რაც პირველი შესწორებით დაცული თავისუფლებაა. იგი ორმაგად დაცულ თავისუფლებად იქცევა, თუკი ასევე პირველი შესწორებით გარანტირებული რელიგიური მრწამსის გამოხატვას წარმოადგენს. აუცილებელ სამედიცინო დახმარებაზე აბორტის კანონიერი და აუცილებელი სამედიცინო პროცედურებისათვის უარის თქმა ფეხმძიმე ქალის პირველი და მეხუთე შესწორებებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა იქნებოდა.“ უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ეს დადგენილება და ანუ-ლირებულად გამოაცხადა ქვეყნის მასშტაბით მოქმედი აკრძალვა.

### *ჰარისი მაკრეის წინააღმდეგ<sup>363</sup>*

#### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

მომჩივანთა მტკიცებით, ჰაიდის შესწორება პირველი შესწორების რელიგიური კლაუზულებით დაცულ უფლებებს ეწინააღმდეგება, ვინაიდან იგი აბორტის როგორც ცოდვისა და სიცოცხლის დაწყების შესახებ კათოლიკური ეკლესიის დოქტრინების კანონმდებლობაში ინკორპორირებას ახდენს.

„საკანონმდებლო აქტი არდაწესების კლაუზულას არ ეწინააღმდეგება, თუ მას გააჩნია საერო საკანონმდებლო მიზანი და მის ძირითად ან პირდაპირ შედეგს არ წარმოადგენს რელიგიის ხელშეწყობა ან ხელყოფა და თუ იგი რელიგიასთან სახელმწიფოს ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის წახალისებას არ ახდენს.“<sup>364</sup> აღნიშნული სტანდარტის გამოყენებით საოლქო სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ ჰაიდის შესწორება არ ეწინააღმდეგება დაწესების კლაუზულას. ის, რომ არც შტატს და არც ფედერალურ ხელისუფლებას არ შეუძლია კონსტიტუციასთან შესაბამისობაში „მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც დახმარებას უწევს ერთ ან ყველა რელიგიას, ან განსაზღვრულ რელიგიას უპირატესობას ანიჭებს სხვასთან შედარებით“, <sup>365</sup> სულაც არ გულისხმობს, თითქოს კანონი არღვევდეს დაწესების კლაუზულას, ვინაიდან იგი „შეესაბამება ან ჰარმონიაშია ამა თუ იმ რელიგიის დოქტრინებთან“.<sup>366</sup> ის, რომ იუდეურ-ქრისტიანულ რელიგიებში ქურდობას ცოდვად მიიჩნევენ, სულაც არ ნიშნავს, თითქოს შტატსა და ცენტრალურ ხელისუფლებას არ გააჩნდეთ უფლება, აკრძალონ აღნიშნული ქმედება.

\* \* \*

ჯანმრთელობის, განათლებისა და კეთილდღეობის დეპარტამენტმა არმიის 577 500 დოლარად შეფასებული სარეზერვო ჰოსპიტალი გადასცა ჩრდილო-დასავლეთის ბიბლიურ კოლეჯს.<sup>367</sup> სასწავლებელს, რომელიც დაბა ფორჯის სახელწოდებით იყო ცნობილი, უფლის ასამბლეათა დირექცია მართავდა. მის მიზანს წარმოადგენდა ინდივიდების მომზადება „ქრის-

ტიანული მსახურებისათვის როგორც ღვთისმსახურებად, ისე საერო პირებად“. კოლეჯის ყველა სტუდენტი უნდა ყოფილიყო „მონათლული და ეცხოვრა ქრისტიანული ცხოვრებით“; ადმინისტრაციის წევრები კი უფლის ასამბლეებში უნდა ყოფილიყვნენ გაერთიანებული. ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნისათვის გაერთიანებულმა ამერიკელებმა სასამართლოს მიმართეს მოთხოვნით, ძალადაკარგულად გამოეცხადებინათ საკუთრების გადაცემა, იმ საფუძვლით, რომ დაირღვა არდანესების კლაუზულა. მოსარჩელენი საკუთარ თავს აღწერდნენ, როგორც გადასახადის 90 000 გადამხდელისგან შემდგარ არაკომერციულ ორგანიზაციას. ფედერალურმა საოლქო სასამართლომ მოსარჩელებს იმ პირობით მიანიჭა საპროცესო უფლებამოსილება, თუ ისინი თავიანთ სასარჩელო მოთხოვნებს წარადგენდნენ არა როგორც გადასახადების გადამხდელნი, არამედ როგორც მოქალაქენი, „ისეთ ხელისუფლებაზე მათი ერთობლივი უფლებისათვის ფაქტობრივი ზიანის“ მიყენების მტკიცებით, რომელიც „არ მიიღებს კანონს, რომელიც დაანესებს რელიგიას“. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე რენკისტის განცხადებით, „ფედერალური სასამართლოები“ არ შექმნილან ომბუდსმენებად საყოველთაო კეთილდღეობისათვის.

*დაბა ფორჯის ქრისტიანული კოლეჯი ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციისათვის გაერთიანებული ამერიკელების წინააღმდეგ<sup>368</sup>*

*მოსამართლე ბრენანის განსხვავებული აზრი*

მოსამართლე ბრენანის აზრით, შეუძლებელია მოცემულ კონტექსტში ნათელი ზღვარის გავლება ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების ქმედებებს შორის. რა თქმა უნდა, პირველი შესწორება ჩამოყალიბებულია, როგორც შეზღუდვა კონგრესის საკანონმდებლო უფლებამოსილებაზე. ეს ბუნებრივია, ვინაიდან კონსტიტუცია მხოლოდ მას ანიჭებს საკანონმდებლო საქმიანობისა და ასიგნაციის უფლებას. თუმცა ძნელია ისეთი ხარჯვითი ოპერაციის წარმოდგენა, რომლის უკანასკნელ სახელისუფლებო შემსრულებელს, საკანონმდებლო ხელისუფლების პირდაპირი ნების იმპლემენტაციის ან ამ უკანასკნელის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების სახით, არ წარმოადგენდეს ხელისუფლების აღმასრულებელი შტო. აქედან გამომდინარე, მოსამართლე ბრენანის შეხედულებით, პირველი შესწორება ზღუდავს ხელისუფლებას მთლიანად, იმის მიუხედავად, თუ კონკრეტულად რომელი შტო მოქმედებს ამა თუ იმ ეტაპზე.

ოცი ორგანიზაციისაგან შემდგარმა ჯგუფმა ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნისათვის გაერთიანებული ამერიკელების ხელმძღვანელობით სასამართლოში გაასაჩივრეს 1984 წლის 10 იანვარს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება აშშ-სა და ვატიკანს შორის. სასარჩელო მოთხოვნა უარყვეს საპროცესო უფლებამოსილების არარსებობის მოტივით.<sup>369</sup>

*აბორტის უფლების მხარდამჭერთა მოძრაობა რეგანის წინააღმდეგ<sup>370</sup>*

*ფედერალური საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება*

მოსარჩელენი საოლქო სასამართლოსგან ითხოვდნენ იმის დეკლარირებას, რომ რომაული კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკური საქმიანობა და სახელმწიფო მდივნისა და კომისიონერის უმოქმედობა არღვევდა კონსტიტუციასა და საგადასახადო კოდექსს. მოსარჩელენი ასევე ითხოვდნენ სასამართლო ბრძანებას, რომელიც ხელისუფლებას, კონსტიტუციისა და კოდექსის ცხოვრებაში გატარების მიზნით, მოთხოვნას წაუყენებდა ეკლესიის გადასახადისგან გათავისუფლებულის სტატუსის გაუქმების, ყველა გადასახადის სრულად აკრფის და ეკ-

ლესიის სპონსორების ინფორმირების ჩათვლით, რომ მათ არ აქვთ უფლება შემოწირულობათა გამოქვეთვაზე.

მოპასუხენი კი აპროტესტებდნენ მოსარჩელეთა საპროცესო უფლებამოსილებას, მესამე პირების საგადასახადო სტატუსის მიმართ საქმის აღძვრაზე. მოსარჩელეებმა თავიანთი საპროცესო უფლების დამადასტურებელი სამი საფუძველი წარმოადგინეს: დაწესების კლაუზულიდან გამომდინარე, ამომრჩევლის და თანაბარი დაცვის უფლება.

საპროცესო უფლებამოსილებისათვის აუცილებელი, კონსტიტუციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, ფაქტობრივი ზიანის არსებობის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია სხვადასხვა სახის, მათ შორის ეკონომიკური, ესთეტიკური, გარემოსადმი მიყენებული და სულიერი ზიანის არსებობისას. ყველა შემთხვევაში მოსარჩელეებმა უნდა აჩვენონ, რომ გასაჩივრებულმა კანონმა ან ქმედებამ პირდაპირი ზემოქმედება მოახდინა მათზე.

მოსარჩელენი სახელმწიფო ქმედებისა და აბორტის თემაზე გამართულ დავაში თავიანთი მონაწილეობის ერთმანეთთან დაკავშირებით ცდილობდნენ მიყენებული ზიანის ჩვენებას. მოსარჩელენი მათ მიერ გასაჩივრებულ სახელმწიფო ქმედებას აღწერდნენ, როგორც აბორტის მონაწილედგეტა სუბსიდირებას, რაც ზეგავლენას ახდენდა რეპროდუქციული არჩევანის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ მათ განსაკუთრებულ ინტერესზე. მოსარჩელეთა მტკიცებით, მათ აშკარა ზიანი განიცადეს, ვინაიდან დაწესების კლაუზულა საზოგადოებრივი უთანხმოების იმ სფეროში დაირღვა, რომელშიც ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

ღვთისმსახურმა მოსარჩელეებმა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ქალთა ცენტრმა თავიანთი ჩვენებებში მიუთითეს იმ მნიშვნელოვან და პერსონალურ ზიანზე, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან აბორტთან დაკავშირებით კათოლიკური ეკლესიის პოზიციის მხარდაჭერას მოჰყვა, რაც საკმარისია დაწესების კლაუზულის დარღვევის გასაჩივრებისათვის აუცილებელი საპროცესო უფლებამოსილების მოსაპოვებლად. ღვთისმსახურმა მოსარჩელეებმა თავიანთი ცხოვრება მიუძღვნეს იმ რელიგიურ საზოგადოებას და რწმენებს, რომლებსაც ჩრდილი ადგებათ სახელმწიფოს მიერ განსხვავებული თეოლოგიის გამორჩევით. ისინი თავიანთი კონგრეგაციების სულიერ ლიდერობას ახორციელებენ და ზრუნავენ მათივე სულიერ მოთხოვნილებებზე. ამ ვალდებულებების ფარგლებში ისინი მოვალენი არიან, მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფებთან, რელიგიური კანონების შესაბამისად, აბორტი მორალურად გაამართლონ. ქალთა რეპროდუქციული ცენტრი კი უზრუნველყოფს ქალთა კონსულტაციას ოჯახური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ, მათ შორის ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებულ, საკითხებზე. იგი პრესბიტერიანელმა ღვთისმსახურმა ლუთსმა დააფუძნა პრესბიტერიანული ეკლესიის პრინციპების ცხოვრებაში გატარების მიზნით. ღვთისმსახურ მოსარჩელეებთან ერთად ქალთა ცენტრის რელიგიური მისია განსხვავებული თეოლოგიის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერით შეილახა.

აბორტთან დაკავშირებით კათოლიკური ეკლესიის შეხედულების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ღვთისმსახური მოსარჩელეებისათვის ხელის შემშლელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. აუცილებელი არ არის, სახელმწიფომ ისინი სულიერი ზიანის მიყენების მიზნით დათრგუნოს. მოსარჩელეთა სულიერ მისიასთან დაპირისპირებული ორთოდოქსიის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა საზოგადოებაში მათ როლს ამცირებს, ნაკლებად მნიშვნელოვანს ხდის მათ ცხოვრებისეულ მოწოდებებს და ხელს უშლის რელიგიური „მესიჯის“ საზოგადოებამდე ეფექტურ მიტანას. დაწესების კლაუზულით დაცულ სულიერ ფასეულობებს შესაძლოა ზიანი მიადგეს ინდივიდების მიმართ პირდაპირი იძულების გარეშე, მაშინაც კი, როდესაც მოსარჩელეები არ ამტკიცებენ, რომ განსაზღვრული რელიგიური თავისუფლებები დაირღვა. სასამართლოს მიხედვით, საკმარისია ფაქტობრივი ზიანის არსებობის ჩვენება, რომ გასაჩივრებული ქმედება მავნე ზემოქმედებას მოახდენს მოსარჩელეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ამ საქმეში მოსარჩელენი ასევე აკმაყოფილებენ მე-3 მუხლიდან გამომდინარე საპროცე-

სო უფლებამოსილების ტესტის მეორე და მესამე ასპექტებს: მიზეზობრივ განპირობებულობასა და ანაზღაურებადობას. მოსარჩელეთათვის მიყენებული ზიანი განპირობებულია მოპასუხეთა მიერ კათოლიკური ეკლესიისათვის გადასახადისგან გათავისუფლებულის სტატუსის მინიჭებითა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიერ ამ პრივილეგიით სარგებლობის უფლების უარყოფით. ერთმნიშვნელოვნად პრივილეგირებული საგადასახადო სტატუსის მინიჭება ერთი რელიგიური წარმონაქმნისათვის კეთილგანწყობის ერთმნიშვნელოვანი განაცხადია, რომელიც მისი რეპუტაციის გაზრდასა და სხვათა რეპუტაციის შელახვას იწვევს. აღნიშნული უკანონო პრაქტიკის აღმოფხვრისა და ყველა სექტის თანაბარ მდგომარეობაში დაბრუნების მავალდებულებელი ბრძანებით კი ანაზღაურდება მიყენებული ზიანი. შესაბამისად, ღვთისმსახური მოსარჩელენი და ქალთა ცენტრი აკმაყოფილებენ დანესების კლაუზულის საფუძველზე სარჩელის აღძვრის საპროცესო უფლებამოსილების კონსტიტუციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნებს.

საოლქო სასამართლომ უარყო სარჩელი იმ მოტივით, რომ აშშ-ს კათოლიკური ასოციაციისა და კათოლიკე ეპისკოპოსების ნაციონალური ასოციაციის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება არ წარმოადგენდა პირველი შესწორების დარღვევას. მოსარჩელებმა მოითხოვეს სასამართლოს წინაშე აღნიშნულ ასოციაციათა ყველა იმ დოკუმენტის წარდგენა, რომლებიც სიცოცხლის მხარდამჭერი აქტივობების განხორციელების გეგმებს უკავშირდებოდა და რომლებშიც აშშ-ს საჯარო თანამდებობის ნებისმიერ კანდიდატთან არსებული კავშირები იყო ასახული; ასევე, იმ დოკუმენტების წარდგენაც, რომლებიც ადასტურებდა ამ რელიგიური გაერთიანებების მიერ აბორტის მოწინააღმდეგე 12 ორგანიზაციის ფინანსურ დახმარებასა და მათ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას. მოსამართლე კარტერმა რელიგიურ გაერთიანებებს ყოველდღიური ჯარიმა დაუნესა 50000 დოლარის ოდენობით მათი უარის გამო, წარედგინათ მოსარჩელების მოთხოვნაში მითითებული დოკუმენტები. მართალია, ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ შეაჩერა კარტერის ბრძანების მოქმედება, მაგრამ მიუთითა, რომ კათოლიკურ ასოციაციას არ გააჩნდა ბრძანების გასაჩივრების საპროცესო უფლებამოსილება, ვინაიდან იგი აღარ წარმოადგენდა მხარეს, არამედ მხოლოდ სასამართლო პროცესზე გამოძახებული მონაწილე იყო. საბოლოოდ, საქმემ აშშ-ს უზენაეს სასამართლომდე მიიღწია, რომელსაც ორ ძირითად კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი: ჰქონდა თუ არა მონმის სტატუსის მქონე ეკლესიას მოსამართლე კარტერის ბრძანების გასაჩივრების უფლება და ჰქონდათ თუ არა მოსარჩელებს საპროცესო უფლებამოსილება. პასუხი გაეცა მხოლოდ პირველ შეკითხვას. უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ეკლესიას ჰქონდა ეს უფლება. მეორე კითხვაზე პასუხის გასაცემად კი საქმე ფედერალურ სააპელაციო სასამართლოში დაბრუნდა.<sup>371</sup> სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს არ გააჩნდათ კათოლიკური ეკლესიის გადასახადის გადახდისგან გათავისუფლებულის სტატუსის გასაჩივრების საპროცესო უფლებამოსილება. შესაბამისად, არც საოლქო სასამართლოს ჰქონდა ასოციაციის მიერ დოკუმენტების წარდგენასა ან საფინანსო დეპარტამენტისათვის რელიგიური გაერთიანების შეღავათიანი საგადასახადოს სტატუსის გაუქმებაზე ბრძანების გაცემის უფლებამოსილება.

**პოლიგამია**

*კლივლენდი შეერთებული შტატების წინააღმდეგ<sup>372</sup>  
უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ამ საქმეში მსჯავრდებულები თავიანთი ფუნდამენტალისტური განწყობებით ცნობილი მორმონთა სექტის წევრები იყვნენ. სხვა მორმონებისგან განსხვავებით, ისინი არა მარტო აღიარებდნენ, არამედ ცხოვრებაშიც ახორციელებდნენ პოლიგამიას. თითოეულ მათგანს, ერთის გარდა, კანონიერ ცოლთან ერთად ერთი ან მეტი უკანონო მეუღლე ჰყავდა. ყოველი მათგანი თავისი რამდენიმე ცოლიდან, სულ მცირე, ერთს დაატარებდა ქვეყნის მასშტაბით მასთან თანაცხოვრების, ანდა ამგვარ პრაქტიკაში კულტის სხვა წევრისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. მათ მსჯავრი დადეს ფედერალური კანონმდებლობის დარღვევისათვის. სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა მსჯავრდება, ხოლო უზენაესმა კი საქმე ქვემდგომი სასამართლოდან გამოითხოვა.

კანონმდებლობის თანახმად, აკრძალულია ქალის შტატიდან შტატში გადაყვანა „პროსტიტუციისა თუ გარყვნილობის ან სხვა ნებისმიერი ამორალური მიზნისათვის“. სასამართლოს გადაწყვეტილება დაეყრდნო უკანასკნელი ფრაზის მნიშვნელობას: „სხვა ნებისმიერი ამორალური მიზნისათვის“.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, პროსტიტუცია გულისხმობს სექსუალურ ურთიერთობებს დაქირავებით. რაც შეეხება გარყვნილობას, იგი არ არის ამგვარად განსაზღვრული. თუმცა ის, რასაც ეს ტერმინი გულისხმობს, შეიძლება მოტივირებულ იყოს მხოლოდ ავხორცობით და, შესაბამისად, უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე კომერციულ სექსს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს დასკვნით, პოლიგამიური პრაქტიკა არ ექცევა აქტის მოქმედების ფარგლებს მიღმა. „პოლიგამიის გავრცელებისა და განხორციელებისათვის საზოგადოების ორგანიზაცია ბარბაროსობისკენ შემობრუნებაა; იგი ეწინააღმდეგება ქრისტიანულ ბუნებასა და დასავ-

ლურ სამყაროში ქრისტიანობის მიერ შექმნილ ცივილიზაციას“. პოლიგამიური ოჯახის დამკვიდრება და შენარჩუნება სექსუალური აღვირახსნილობის საყოველთაოდ ცნობილი მაგალითია. აქედან გამომდინარე, იგი შესაბამისი აქტით გათვალისწინებულ სხვა ამორალურ ქმედებათა ფარგლებში თავსდება.

მომჩივანთა მტკიცებით, არ არსებობდა დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი დანაშაულებრივი განზრახვის სახით, ვინაიდან მათი ქმედება მოტივირებული იყო რელიგიური მრწამსით. უზენაესი სასამართლოს შეხედულებით კი, ამ არგუმენტის მხარდაჭერის შემთხვევაში სამართლის ფარგლებს გარეთ მოექცეოდა ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი რელიგიური მოტივაციის არსებობის მტკიცების საფუძველზე. დანაშაული ჩადენილია, თუკი ბრალდებულს განზრახული ჰქონდა კანონით გაკიცხული ქმედების განხორციელება და ფაქტობრივად განახორციელა კიდევ იგი. ამ გარემოების გათვალისწინებით სასამართლომ უარყო მომჩივანთა არგუმენტები და დაამტკიცა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება.

#### *მოსამართლე მერფის განსხვავებული აზრი*

მერფის თანახმად, არსებობს ქორწინების ოთხი ფუნდამენტური ფორმა: 1) მონოგამია; 2) პოლიგინია, ანუ ერთი მამაკაცი რამდენიმე ცოლით; 3) პოლიანდრია, ანუ ერთი ქალი რამდენიმე ქმრით; 4) ჯგუფური ქორწინება. ტერმინი „პოლიგამია“ მოიცავს როგორც პოლიგინიას, ისე პოლიანდრიას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს საქმე აქვს პოლიგინიასთან. ისტორიულად მისი სიხშირე ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქორწინების სხვა ნებისმიერი ფორმისა. იგი კარგად ნაცნობი იყო უძველესი ცივილიზაციებისათვის და თვით ძველი აღთქმის ავტორებიც მრავალჯერ მიუთითებენ მასზე; დღესაც კი პოლიგინია ხშირად გვხვდება ათეისტებსა და არაქრისტიანული სარწმუნოების ხალხებში. მერფის მოსაზრებით, აუცილებელია იმის აღიარება, რომ პოლიგინია, ქორწინების სხვა ფორმების მსგავსად, იმ საზოგადოებების რელიგიურ რწმენებსა და სოციალურ ნორმებში ღრმად გამჯდარი კულტურული წარმონაქმნია, სადაც იგი თავს იჩენს. სიმართლეა ისიც, რომ თანამედროვე მსოფლიოს დომინანტური კულტურის რწმენები და ნორმები კიცხავენ პოლიგინიის პრაქტიკას, რადგან მას ამორალურად მიიჩნევენ. თუმცა, მერფის განცხადებით, ეს სულაც არ ეწინააღმდეგება იმას, რომ პოლიგინია სოციალური და მორალური პრინციპების ერთობლიობაზე აგებული ქორწინების ფორმაა.

მერფის შეხედულებით, ის განსხვავებები, რომლებიც მონოგამიასა და პოლიგამიას შორის შეიძლება არსებობდეს, არ მიაკუთვნებს ამ უკანასკნელს პროსტიტუციის ან გარყვნილობის კატეგორიას. ამ ტერმინებს არაფერი აქვს საერთო ქორწინების ფორმებთან. მოსამართლის განცხადებით, იმ შემთხვევაშიც, როცა ქორწინება საზოგადოების უმრავლესობისათვის მიუღებელ ფორმით აღმოცენდება, დაუშვებელია მისი შედარება პროსტიტუციასთან, გარყვნილობასა და სხვა ამორალობასთან. შესაბამისად, არ არსებობს საფუძველი კანონში გამოყენებულ ფრაზასთან, „ნებისმიერი სხვა ამორალური მიზნისათვის“, პოლიგინიის მისადაგებისა.

#### **ქორწინება**

##### *ლოვინგი ვირჯინიის შტატის წინააღმდეგ<sup>373</sup>*

##### *უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება*

ეს საქმე შეეხება ვირჯინიის შტატის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქორწინების წესის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც აღკვეთდა ინდივიდებს შორის ქორწინებას მხოლოდ რასობრივ საფუძველზე. აღნიშნული კანონი კონსტიტუციის მე-14 შესწორებასთან შეუსაბამოდ მიიჩნია უზენაესმა სასამართლომ.



1958 წლის ივნისში ვირჯინიის ორმა მცხოვრებმა მილდრედ ჯეტერმა, შავკანიანმა ქალმა და რიჩარდ ლოვინგმა, თეთრკანიანმა მამაკაცმა, იქორწინეს კოლუმბიის ოლქში მოქმედი კანონების შესაბამისად. ქორწინებიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ ახლად დაქორწინებულნი დაუბრუნდნენ ვირჯინიას და დასახლდნენ ქალაქ კაროლინში. 1958 წლის ოქტომბერში მათ ბრალი წაყენათ რასობრივ ქორწინებაზე ვირჯინიის აკრძალვის დარღვევისათვის. 1959 წლის 6 იანვარს სასამართლომ ბრალეულად ცნო ლოვინგები და მიუსაჯა მათ ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა საქმის განმხილველმა მოსამართლემ შეაჩერა განაჩენის აღსრულება 25 წლის ვადით, იმ პირობით, რომ მსჯავრდებულები დატოვებდნენ ვირჯინიას და 25 წლის განმავლობაში არ დაბრუნდებოდნენ აღნიშნულ შტატში. მოსამართლემ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა: „ყოვლისშემძლე ღმერთმა შექმნა თეთრი, შავი, ყვითელი, მალაიური და წითელი რასები და განათავსა ისინი სხვადასხვა კონტინენტზე. ის, რომ მან რასების სეპარაცია მოახდინა, ნათლად მეტყველებს მის განზრახვაზე, არ მომხდარიყო მათი შერწყმა“.

უზენაესი სასამართლოს თანახმად, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გაამართლებდა მსგავს დაყოფას, გარდა კონსტიტუციით აკრძალული რასობრივი დისკრიმინაციისა. უდავოა, რომ ქორწინების თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ რასობრივი დაყოფის ნიადაგზე ხელყოფს თანაბარი დაცვის კლაუზულის<sup>374</sup> არსს. გარდა ამისა, აღნიშნული სტატუტი უფლებას ართმევს ლოვინგებს ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე და შესაბამისი კონსტიტუციური მუხლის დარღვევით.<sup>375</sup>

უზენაესი სასამართლოს მიხედვით, ქორწინება „ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური სამოქალაქო უფლებათაგანია“, რომელიც გადამწყვეტია ერის არსებობისა და გადარჩენისათვის. ფუნდამენტური თავისუფლების უარყოფა მე-14 შესწორების თანახმობის პრინციპის ხელმყოფი მხარდაჭერის არმქონე ისეთი საფუძვლით, როგორცაა რასობრივი დაყოფა, უდავოდ შტატის ყველა მოქალაქისათვის ამ თავისუფლების ჩამორთმევას გულისხმობს, ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე. მე-14 შესწორების მოთხოვნაა, ქორწინების არჩევანის თავისუფლება არ შეიზღუდოს რასობრივი დისკრიმინაციის ნიადაგზე. კონსტიტუციის თანახმად, სხვა რასის წარმომადგენელზე დაქორწინების ან არდაქორწინების თავისუფლება ეკუთვნის ინდივიდს და შტატს არა აქვს მისი ხელყოფის უფლება.

ყოველივე აქედან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ ლოვინგების მსჯავრდება გააუქმა.

**ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინება.** ჰავაიში ერთი სქესის რამდენიმე წარმომადგენელმა მოითხოვა ქორწინების ნებართვა, რაზედაც მათ უარი ეთქვათ. განმცხადებლებმა გაასაჩივრეს უარი ქორწინების ნებართვაზე, რადგან, მათი მტკიცებით, დაირღვა ჰავაის კონსტიტუციით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და თანაბარი დაცვის უფლებები. საქმეში ბაერი ლევისის წინააღმდეგ<sup>376</sup> ჰავაის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჰავაის კონსტიტუციით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ერთი სქესის წარმომადგენელი წყვილებისათვის ქორწინების უფლებას არ იცავდა. სასამართლოს განმარტებით, „ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინება არ იყო ჰავაის მოსახლეობის ტრადიციებსა და კოლექტიურ ცნობიერებაში იმდენად დამკვიდრებული, რომ მის აღიარებაზე უარს თავისუფლებისა და სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპის დარღვევა გამოეწვია. ჰავაის შტატის კონსტიტუციით აკრძალულია სქესის ნიადაგზე შტატის მიერ სანქცირებული დისკრიმინაცია ნებისმიერი პიროვნების წინააღმდეგ მის მიერ სამოქალაქო უფლებების განხორციელებისას. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ შტატის კანონი, რომლითაც ერთი სქესის საქორწინო ურთიერთობები იზღუდებოდა, სქესობრივ დაყოფას აწესებდა, რაც „მკაცრი შემონგების“ ტესტის ობიექტი იყო, თანაბარ დაცვასთან დაკავშირე-

ბული მოთხოვნის საფუძველზე. შტატის უზენაესმა სასამართლომ ქვემდგომ სასამართლოს დაუბრუნა საქმე იმის გადასაწყვეტად, აკმაყოფილებდა თუ არა კანონი აღნიშნულ მკაცრ სტანდარტს.

ბერის საქმის განხილვისას კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც ქორწინებას განსაზღვრავდა ქალსა და კაცს შორის კავშირად. აღნიშნული კანონმდებლობის მიზანი იყო ჰავაიში მიმდინარე სასამართლო სამართალწარმოების შედეგის ლიმიტირება ამ შტატით, რათა არც ერთი სხვა შტატი არ გამხდარიყო ვალდებული, ეღიარებინა ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინება აღიარებისა და ნდობის კლაუზულის<sup>377</sup> საფუძველზე.

1999 წლის 20 დეკემბერს ვერმონტის უზენაესმა სასამართლომ საქმეში ბეიკერი ვერმონტის შტატის წინააღმდეგ<sup>378</sup> მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ერთი სქესის წარმომადგენელთათვის ქორწინების დამახასიათებელი უპირატესობებისა და დაცვის უარყოფა შტატის კანონმდებლობის საფუძველზე არღვევდა ვერმონტის კონსტიტუციის საზოგადო სარგებლის კლაუზულას. სასამართლომ შტატის საკანონმდებლო ორგანოს იმგვარი კანონის მიღება დაავალა, რომელიც ჰომოსექსუალ და ლესბოსელ წყვილებს ისეთივე პრივილეგიებსა და უფლებებს მიანიჭებდა, როგორც დაქორწინებულ ჰეტეროსექსუალ წყვილებს ჰქონდათ. შედეგად, სასამართლო დავალების საფუძველზე შემუშავდა კანონპროექტი, რომელსაც „ქორწინების“ ცნება პერსპექტიული ოჯახური ურთიერთობის სისტემამდე დაჰყავდა, რაც ჰომოსექსუალ და ლესბოსელ წყვილებს ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობას აძლევდა.

## სოდომია

1964 წელს ორალური გზით ჰომოსექსუალური აქტისათვის ოციდან ოცდაათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით პირთა მსჯავრდება გასაჩივრდა, როგორც კონსტიტუციის მეორე შესწორებასთან წინააღმდეგობაში მყოფი განსაკუთრებით სასტიკი სასჯელი. ფედერალურმა სასამართლომ უარყო საჩივარი, თუმცა გაათავისუფლა მსჯავრდებული ეფექტური დაცვის არარსებობის გამო.<sup>379</sup> საქმეში ეისენსტადი ბეარდის წინააღმდეგ<sup>380</sup> კი სასამართლომ განაცხადა: „თუკი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება მოიცავს დაუქორწინებელ ჰეტეროსექსუალთა სექსუალურ ქმედებას, რატომ არ უნდა გავრცელდეს იგი ჰომოსექსუალთა კერძო სექსუალურ ქმედებაზე“.

## ბოუერსი პარდეიკის წინააღმდეგ<sup>381</sup>

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

1982 წლის აგვისტოში მომჩივანი პასუხისმგებლობაში მისცეს საკუთარ საძინებელ ოთახში სხვა ზრდასრულ მამაკაცთან სოდომიის აქტის ჩადენისათვის, აღნიშნული ქმედების ამკრძალავი სისხლისსამართლებრივი კანონის საფუძველზე. წინასწარი სასამართლო მოსმენის შემდეგ საოლქო პროკურორმა გადაწყვიტა, არ წარედგინა საქმე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის წინაშე სხვა მტკიცებულებების მოპოვებამდე.

მომჩივანმა ფედერალურ საოლქო სასამართლოს მიმართა კანონის არაკონსტიტუციურობის მტკიცებით, იმ მოტივით, რომ სტატუტი ნებაყოფლობითი სოდომის კრიმინალიზაციას ახდენდა.

უზენაესი სასამართლოს განცხადებით, მოცემულ საქმეში სასამართლომ არ უნდა გადანყვიტოს ზრდასრულ ადამიანებს შორის სოდომიის საწინააღმდეგო კანონების გონივრულობა ან სასურველობა; იგი არც კონსტიტუციურ ნიადაგზე ჰომოსექსუალური სოდომიის ამკრძალ-

ლავი კანონების გაუქმებაზე შტატის საკანონმდებლო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას და შტატის სასამართლოების მიერ მსგავსი კანონების ანულისების მართლზომიერების საკითხს აყენებს. სასამართლომ უნდა გადანყვიტოს, ანიჭებს თუ არა კონსტიტუცია ჰომოსექსუალებს სოდომის განხორციელების ფუნდამენტურ უფლებას და, შესაბამისად, აღიარებს თუ არა ძალადაკარგულად მრავალ შტატში არსებულ კანონებს, რომლებიც კვლავ განიხილავან ასეთ ქმედებას უკანონოდ. გარდა ამისა, საქმე ასევე მოითხოვს კონსტიტუციური მანდატის განხორციელების პროცესში სასამართლოს როლის განსაზღვრას.

უზენაესმა სასამართლომ უარყო მომჩივნის მტკიცება, რომელიც სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა, თითქოს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ძირითადი საქმეების განმარტება შეიძლება, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების გავრცელება ჰომოსექსუალურ სოდომიაზე. მომჩივნის ჩამონათვალში წარმოდგენილი საქმეები,<sup>382</sup> ძირითადად, ოჯახურ ურთიერთობებს, ქორწინებას და შვილების გაჩენას შეეხებოდა. უკანასკნელ სამ საქმეში კი დადგინდა, რომ ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის კლაუზულა<sup>383</sup> მოიცავდა ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებას, გადაეწყვიტა, გაეჩინა თუ არა შვილი. უზენაესი სასამართლოს თანახმად, ვერც მომჩივანმა და ვერც სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო კავშირის ჩვენება, ერთი მხრივ, ქორწინებას, ოჯახსა და შვილების გაჩენასა და, მეორე მხრივ, ჰომოსექსუალურ ქცევას შორის; მეტიც, არ იმსახურებს მხარდაჭერას ნებისმიერი მტკიცება, თითქოს აღნიშნული საქმეები მხარს უჭერდეს თეორიას, რომლის თანახმადაც კონსტიტუცია შტატის აკრძალვის სფეროდან გამორიცხავს ნებისმიერ ნებაყოფლობით კერძო სექსუალურ ქმედებას ზრდასრულ ადამიანებს შორის.

მომჩივანი უზენაესი სასამართლოსგან ითხოვდა ჰომოსექსუალური სოდომის განხორციელების ფუნდამენტური უფლების აღიარებას, როგორც საკუთარი თავის, ისე საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ იმ უფლებების აღიარება, რომლებიც კონსტიტუციაში სათანადოდ იდენტიფიცირებადი არ არის, უფრო მეტია, ვიდრე მოსამართლეთა მიერ ფასეულობათა საკუთარი არჩევანის დაკისრება შტატებსა და ფედერალურ მთავრობაზე. უზენაესი სასამართლო სხვადასხვა დროს შეეცადა იმ უფლებათა განსაზღვრას, რომლებიც მძლავრ სასამართლო დაცვას იმსახურებენ. საქმეში პალკო კონექტიკუტის წინააღმდეგ<sup>384</sup> სასამართლომ განაცხადა, რომ ეს კატეგორია მოიცავდა იმ ფუნდამენტურ თავისუფლებებს, რომლებიც „იგულისხმება მონესრიგებული თავისუფლების კონცეფციაში“ და რომელთა „განირვის“ შემთხვევაში აღარ იარსებებს „არც თავისუფლება და არც სამართლიანობა“. სხვა ტიპის განმარტებაა მოცემული საქმეში მური აღმოსავლეთ კლივლენდის წინააღმდეგ,<sup>385</sup> რომელშიც ისინი დახასიათებულია როგორც „ერის ისტორიასა და ტრადიციაში ღრმად გამჯდარი“ თავისუფლებანი. უზენაესი სასამართლოს თანახმად, არც ერთი ეს ფორმულირება ჰომოსექსუალების მიერ ნებაყოფლობითი სოდომური აქტების განხორციელების ფუნდამენტურ უფლებას არ გულისხმობს.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, იგი არც ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის კლაუზულაში ჩადებული ახალი ფუნდამენტური უფლებების აღმოჩენისაკენ არის მიდრეკილი საკუთარი უფლებამოსილების შესახებ უფრო ვრცელი შეხედულების განვითარებით. სასამართლო ძალზე ახლოსაა უკანონობასთან, როდესაც მას საქმე აქვს სასამართლო გადაწყვეტილებებზე დაფუძნებულ კონსტიტუციურ სამართალთან, რომელსაც ძალზე რთულად ამოსაცნობი ფესვები აქვს კონსტიტუციის ტექსტში. ამის ნათელ მაგალითს მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ხელისუფლების აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის მომხდარი დაპირისპირება წარმოადგენს, რასაც მეხუთე და მე-14 შესწორებების ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის კლაუზულაზე სასამართლოს განმარტებათა მნიშვნელოვანი

ნანილის უარყოფა მოჰყვა. შესაბამისად, აუცილებელია, ძლიერი წინააღმდეგობა გაეწიოს აღნიშნული კლაუზულების არსებითი მოცულობით გაფართოებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი უფლებათა იმ კატეგორიის თავიდან განსაზღვრას მოითხოვს, რომლებიც ფუნდამენტურად ითვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო აუცილებლად მიითვისებს სახელმწიფოს მართვის უფლებას კონსტიტუციური უფლებამოსილების გარეშე. უზენაესი სასამართლოს დასკვნით, მომჩივნის მიერ მტკიცებად უფლებას ამ წინააღმდეგობის დაძლევის უნარი არ აქვს.

მომჩივნის მტკიცებით, სასამართლომ სხვაგვარად უნდა განსაჯოს, როდესაც ჰომოსექსუალური ქმედება სახლში ხდება. ამ არგუმენტის წარმოდგენისას იგი დაეყრდნო საქმეს სტენლი ჯორჯის წინააღმდეგ,<sup>386</sup> რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ, პირველი შესწორებით, პორნოგრაფიული მასალების სახლში შენახვისა და კითხვისათვის პირის მსჯავრდება აკრძალული იყო: „თუკი რამეს ნიშნავს პირველი შესწორება, პირველ რიგში, სწორედ იმას, რომ სახელმწიფოს საქმე არ არის საკუთარ სახლში მარტოდ მყოფ ადამიანს მიუთითოს, რა სახის წიგნის კითხვისა თუ ფილმების ყურების უფლება აქვს“.

სტენლის საქმე იცავს იმ ქმედებას, რომელსაც არ დაიცავდა, ის რომ სახლის გარეთ მომხდარიყო. მან ასევე ნაწილობრივ შეზღუდა შტატის პორნოგრაფიის ამკრძალავი კანონების მოქმედება; თუმცა ამ საქმეში მიღებული გადაწყვეტილება მტკიცედ ეფუძნებოდა პირველ შესწორებას. სასამართლოს წარმობაში ამჟამად არსებულ საქმეში კი, უზენაესი სასამართლოს თანახმად, მომჩივნის მიერ მტკიცებად უფლებას, კონსტიტუციის ტექსტის მიხედვით, ასეთი მხარდაჭერა არ აქვს. გარდა ამისა, ყველა უკანონო ქმედების სახლში განხორციელება ყოველთვის არ სარგებლობს იმუნიტეტით. აკრძალული ნარკოტიკული საშუალებების ფლობა და მოხმარება არ ექცევა კანონის მოქმედების ფარგლებს მიღმა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სახლში განხორციელდა.

მომჩივნის მტკიცებით, იმ შემთხვევაშიც, თუ არ არსებობს ჰომოსექსუალური სოდომის ფუნდამენტური უფლება, კანონს უნდა გააჩნდეს განსაზღვრული გონივრული საფუძველი. „გონივრული“ საფუძველი კი, მომჩივნის მოსაზრებით, გასაჩივრებული კანონის მიმართ შემოიფარგლება ჯორჯის შტატის ელექტორატის უმრავლესობის რწმენით, რომ ჰომოსექსუალური სოდომია ამორალური და მიუღებელია, რაც არაადეკვატური არგუმენტაციაა კანონის მხარდასაჭერად. უზენაესი სასამართლოს თანახმად, სამართალი ზოგადად ეფუძნება წარმოდგენებს მორალის თაობაზე და, თუკი მორალური არჩევანის გამომხატველი ყველა კანონის ანულირება მოხდება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის კლაუზულის საფუძველზე, სასამართლოს დიდი ჯაფა დაადგებოდა.

აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ უარყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

#### *სასამართლოს თავმჯდომარე ბურგერის თანმხვედრი აზრი*

ბურგერის დასკვნით, სოდომის აკრძალვას „უძველესი ფესვები“ აქვს. ინდივიდების ჰომოსექსუალური ქმედება სახელმწიფო ინტერვენციის საგანს წარმოადგენდა დასავლური ცივილიზაციის მთელი ისტორიის განმავლობაში. ასეთი პრაქტიკის გაკიცხვა მყარად არის დამკვიდრებული იუდეურ-ქრისტიანულ მორალურ და ეთიკურ სტანდარტებში. ჰომოსექსუალური სოდომია ძირითად დანაშაულად ითვლებოდა რომაული სამართლის მიხედვით. ინგლისის საერთო სამართალი, სოდომის აკრძალვის ჩათვლით, ჯორჯიასა და სხვა კოლონიებში აღიარებული სამართალი იყო. მოსამართლის მოსაზრებით, იმის დადგენა, რომ ჰომოსექსუალური სოდომის აქტი დაცულია როგორც ფუნდამენტური უფლება, ათასწლიან მორალურ პრინციპებთან კავშირის განყვეტა იქნებოდა.

მოსამართლე ბლეკმუნის განსხვავებული აზრი,

რომელსაც შეუერთდნენ მოსამართლეები ბრენანი, მარშალი და სტივენსი

მოსამართლე ბლეკმუნმა თავის განსხვავებულ დასკვნაში განაცხადა: „ჩვენ ვიცავთ... უფლებებს (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას) არა იმიტომ, რომ ისინი პირდაპირი და მატერიალური გზით ხელს უწყობენ საყოველთაო საზოგადოებრივ კეთილდღეობას, არამედ იმიტომ, რომ ისინი ქმნიან ინდივიდის ცხოვრების ძირითად ნაწილს. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა იმ მორალური ფაქტის რეალიზაციაა, რომლის მიხედვითაც პიროვნება ეკუთვნის საკუთარ თავს და არა სხვებს ან საზოგადოებას. ამიტომაც ჩვენ ვიცავთ ინდივიდის არჩევანს, იქორწინოს ან არა სწორედ იმიტომ, რომ ქორწინება არის გაერთიანება, რომელიც ხელს უწყობს ცხოვრების წესს და არა საერთო საქმეს; ჰარმონიას ცხოვრებაში და არა პოლიტიკურ რწმენებს; ორმხრივ ერთგულებას და არა კომერციულ ან სოციალურ პროექტებს. ჩვენ ვიცავთ ინდივიდის არჩევანს, იყოლიოს ან არა შვილი იმიტომ, რომ მშობლის სტატუსი ასე დრამატულად ინდივიდის თვითგამორკვევის პროცესზე და არა დემოგრაფიული მოსაზრებების ან ბიბლიური შეგონების გამო. დაბოლოს, ჩვენ ვიცავთ ოჯახს იმიტომ, რომ იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინდივიდის ბედნიერებას და არა სტერეოტიპული ოჯახის უპირატესობის გამო.“

როგორც სასამართლომ განაცხადა, საქმეში დასავლეთ ვირჯინიის შტატის განათლების საბჭო ბარნეტის წინააღმდეგ,<sup>387</sup> „ჩვენ ვიყენებთ კონსტიტუციურ შეზღუდვებს იმის შიშის გარეშე, რომ ინტელექტუალური და სულიერი მრავალფეროვნების თავისუფლება სოციალური ორგანიზაციის დეზინტეგრაციას გამოიწვევს... თავისუფლება, იყო განსხვავებული არ არის შეზღუდული უმნიშვნელო საკითხებით. ეს მხოლოდ თავისუფლების აჩრდილი იქნებოდა. თავისუფლების არსი მდგომარეობს უფლებაში, იყო განსხვავებული წარმოდგენების მქონე არსებული წესრიგის ფუძემდებლურ საკითხებზე“. ბლეკმუნის მოსაზრებით, სწორედ იმიტომ, რომ აღნიშნულ საქმეში წამოჭრილი საკითხი შეეხება იმას, რაც ინდივიდებს ისეთებად აქცევს, როგორებიც არიან, სასამართლომ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს იმ ადამიანების უფლებათა მიმართ, რომელთა არჩევანიც უმრავლესობას აღიზიანებს.

მოსამართლის შეხედულებით, სასამართლოს არგუმენტი მოპასუხის ქმედების „იუდაურ-ქრისტიანულ ფასეულობებთან“ შეუსაბამობის შესახებ ამ ქმედების კანონის ძალით აკრძალვის ადეკვატური გამართლება არ არის. ის, რომ განსაზღვრული რელიგიური ჯგუფები კიცხავენ მსგავს საქციელს, არ აძლევს შტატს მთელ საზოგადოებაზე მათი შეხედულებების გავრცელების ნებას. საერო კანონმდებლობის ლეგიტიმურობა დამოკიდებულია სახელმწიფოს უნარზე, გაამართლოს თავისი კანონმდებლობა რელიგიურ დოქტრინასთან შესაბამისობის არგუმენტის მიღმა. ბლეკმუნის აზრით, განსაზღვრულმა ჯგუფმა რაც უნდა არაკომფორტულად აგრძნობინოს თავი ამ სასამართლოს, როგორც საქმეში ო'კონორი დონალდსონის წინააღმდეგ<sup>388</sup> აღინიშნა, „მხოლოდ საზოგადოებრივმა შეუწყნარებლობამ ან შუღლმა შეუძლებელია კონსტიტუციურად გაამართლოს ინდივიდისათვის ფიზიკური თავისუფლების ჩამორთმევა“.

*რომერი ევანსის წინააღმდეგ*<sup>389</sup>

კოლორადოს შტატის ამომრჩევლებმა შტატის მასშტაბით გამართული რეფერენდუმის საფუძველზე მიიღეს მეორე შესწორება შტატის კონსტიტუციაში, რომელიც აღკვეთდა როგორც შტატის, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო აქტს, რომელიც პიროვნების სტატუსის დაცვას ისახავდა მიზნად „ჰომოსექსუალური, ლესბოსური ან ბისექსუალური ორიენტაციის, ქცევის, საქმიანობის ან ურთიერთობის“ საფუძველზე.

საქმეში რომერი ევანსის წინააღმდეგ აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან შესწორების „განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშანი განსაზღვრულ ჯგუფზე ფართო და არა დიფერენცირებული ქმედუნარობის დაკისრება“ იყო, მას არ ჰქონდა რაციონალური კავშირი შტატის ლეგიტიმურ ინტერესთან. სასამართლოს განცხადებით, შესწორების დაუყოვნებლივ შედგეს წარმოადგენდა შტატისა და ადგილობრივი ერთეულების მიერ სექსუალურ ორიენტაციაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ამკრძალავი კანონების, რეგულაციების და დადგენილებების გაუქმება. საბოლოო შედეგი კი მომავალში სახელმწიფოს ნებისმიერი ერთეულისათვის მსგავსი ან მეტი დამცავი ზომების მიღების აკრძალვაში მდგომარეობდა. მოსამართლე კენედიმ, რომელმაც გადმოსცა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, აღნიშნა: „კანონი, რომელიც აცხადებს, რომ ერთი ჯგუფისთვის უფრო რთული იქნება სახელმწიფოს დახმარების მოთხოვნა, ვიდრე სხვებისთვის, თავისთავად, კანონის საფუძველზე თანაბარი დაცვის უარყოფაა ... თუკი კანონის საფუძველზე თანაბარი დაცვის კონსტიტუციური კონცეფცია რაიმეს ნიშნავს, სულ მცირე, იმას, რომ პოლიტიკურად არა-პოპულარული ჯგუფისათვის ზიანის მიყენების აშკარა სურვილი არ შეიძლება სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესს შეადგენდეს.“

მოსამართლე სკალიამ თავის განსხვავებულ აზრში, რომელსაც სასამართლოს თავმჯდომარე რენკვისტი და მოსამართლე ტომასი შეუერთდნენ, მიუთითა: „სასამართლოს გადაწყვეტილება ამერიკის კონსტიტუციურ სამართალს არ ემყარება და მხოლოდ მის სიმულირებას ახდენს. კოლორადოს მოსახლეობამ მიიღო სრულიად გონივრული დებულება, რომელიც მხოლოდ ჰომოსექსუალთა პრივილეგიურებულ დამოკიდებულებას აღკვეთდა და მათ მიმართ არაკეთილგანწყობის გამოხატულება არ იყო. მეორე შესწორება შემუშავდა კოლორადოელების მიერ მოწონებული სექსუალური მორალის თანდათანობითი გაუარესების თავიდან ასაცილებლად. იგი არა მხოლოდ ამ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესატყვისი საშუალებაა, არამედ ამერიკელების მიერ დიდი ხნის განმავლობაში გამოყენებული მეთოდიც. ამ შესწორების ძალადაკარგულად გამოცხადება არა სასამართლო გადაწყვეტილებას, არამედ პოლიტიკური ნების აქტს წარმოადგენს“.



- 1 *Torcaso v. Watkins*, 367 U.S. S.Ct. 488 (1961).
- 2 *Barron v. Mayor and City Council of Baltimore*, U.S. S.Ct. 1833.
- 3 *Gitlow v. New York*, U.S. S.Ct. 1925.
- 4 *Cantwell v. Connecticut*, U.S. S.Ct. 1940.
- 5 *Everson v. Board of Education*, U.S. S.Ct. 1947.
- 6 *Slaughter-House*, U.S. S.Ct. 1873.
- 7 *Abington School District v. Schempp*, U.S. S.Ct. 1963.
- 8 *Abington School District v. Schempp*, U.S. S.Ct. 1963.
- 9 *Walz v. Tax Commission*, U.S. S.Ct. 1970.
- 10 *Everson v. Board of Education*, U.S. S.Ct. 1947.
- 11 *Larson v. Valente*, U.S. S.Ct. 1982.
- 12 *Walz v. Tax Commission*, U.S. S.Ct. 1970.
- 13 *Lee v. Weisman*, U.S. S.Ct. 1992.
- 14 *Everson v. Board of Education*, U.S. S.Ct. 1947.
- 15 *Everson v. Board of Education*, U.S. S.Ct. 1947.
- 16 *Sherbert v. Verner*, U.S. S.Ct. 1963.
- 17 *Employment Division v. Smith*, U.S. S.Ct. 1990.
- 18 *Lemon v. Kurtzman*, U.S. S.Ct. 1971.
- 19 *Lee v. Weisman*, U.S. S.Ct. 1992.
- 20 *Wallace v. Jaffree*, U.S. S.Ct. 1985.
- 21 *Lee v. Weisman*, U.S. S.Ct. 1992.
- 22 *Lynch v. Donnelly*, U.S. S.Ct. 1984.
- 23 *County of Allegheny v. American Civil Liberties Union*, U.S. S.Ct. 1989.
- 24 *County of Allegheny v. American Civil Liberties Union*, U.S. S.Ct. 1989.
- 25 *Employment Division v. Smith*, U.S. S.Ct. 1990.
- 26 *Everson v. Board of Education*, 330 U.S. S.Ct. 1947.
- 27 *Torcaso v. Watkins*, 367 U.S. S.Ct. 488 (1961).
- 28 *Wallace v. Jaffree*, 472 U.S. S.Ct. 38 (1984).
- 29 *Lee v. Weisman*, 505 U.S. S.Ct. 577 (1992).
- 30 *People v. Ruggles*, U.S. N.Y. 1811.
- 31 *Vidal v. Girard's Executioners*, U.S. S.Ct. 1844.
- 32 *Holy Trinity Church v. United States*, U.S. S.Ct. 1892.
- 33 *Permoli v. First Municipality of New Orleans*, U.S. S.Ct. 1845.

- 34 *Reynolds v. United States*, U.S. S.Ct. 1879.
- 35 *Late Corporation of Latter-Day Saints v. United States*, U.S. S.Ct. 1890.
- 36 *Davis v. Beason*, U.S. S.Ct. 1890.
- 37 *Slaughter-House*, U.S. S.Ct. 1873.
- 38 *Meyer v. Nebraska*, U.S. S.Ct. 1923.
- 39 *Pierce v. Society of Sisters*, U.S. S.Ct. 1925.
- 40 *Cantwell v. Connecticut*, U.S. S.Ct. 1940.
- 41 *Everson v. Board of Education*, U.S. S.Ct. 1947.
- 42 *Zorach v. Clauson*, U.S. S.Ct. 1952.
- 43 *Enjel v. Vitale*, U.S. S.Ct. 1962.
- 44 *Abington School District v. Schempp*, U.S. S.Ct. 1963.
- 45 *Lemon v. Kurtzman*, U.S. S.Ct. 1971.
- 46 *Roe v. Wade*, U.S. S.Ct. 1973.
- 47 *Lee v. Weisman*, U.S. S.Ct. 1992.
- 48 M. James Penton, *Apocalypse Delayed* 62-68 (1985).
- 49 Zion's Watch Tower and Herald of Christ's Presence.
- 50 James A. Beckford, *The Trumpet of Prophecy: A Sociological Study of Jehovah's Witnesses* 1-18 (1975).
- 51 *Rutherford v. United States*, 258 F. 855, 865 (2d Cir. 1919).
- 52 *Stephens v. United States*, 261 F. 590 (9<sup>th</sup> Cir. 1919).
- 53 David R. Manwaring, *Render unto Caesar: The Flag-Salute Controversy* 26-27 (1962).
- 54 *Coleman v. City of Griffin*, 302 U.S. 636 (1937).
- 55 *Schneider v. Irvington*, 308 U.S. 147 (1939).
- 56 *Cantwell v. Connecticut*, U.S. S.Ct. 1940.
- 57 *Cantwell v. Connecticut*, 310 U.S. 296 (1940).
- 58 *Murdock v. Pennsylvania*, 319 U.S. 105 (1943).
- 59 *Jones v. Opelika*, 319 U.S. 103 (1943).
- 60 *Jamison v. State of Texas*, 318 U.S. 413 (1943).
- 61 *State v. Mead*, 318 N.W.2d 440, 446 (1982).
- 62 *Murdock v. Pennsylvania*, 319 U.S. 105 (1943).
- 63 *Martin v. Struthers*, 319 U.S. 141 (1943).
- 64 *Jimmy Swaggart Ministeries v. California State Board of Equalization*, 493 U.S. 378 (1990).
- 65 David Tracy, *The Analogical Imagination* 13 (1981).
- 66 Neuhaus, *The Naked Public Square: Religion and Democracy in America* xi (1984).
- 67 *Niemotko v. Maryland*, 340 U.S. 268 (1951).
- 68 *Poulos v. New Hampshire*, 345 U.S. 395 (1953).
- 69 *Marsh v. Alabama*, 326 U.S. 501 (1946).
- 70 *Heffron v. International Society for Krishna Consciousness, Inc.*, 452 U.S. 640 (1981).
- 71 *Commissioners of the City of Los Angeles v. Jews for Jesus, Inc.*, 482 U.S. 569 (1987).
- 72 *International Society for Krishna Consciousness v. Lee*, 505 U.S. 672 (1992).
- 73 *United States v. Kokinda*, 497 U.S. 720 (1990).
- 74 *United States v. Grace*, 461 U.S. 171 (1983).
- 75 David R. Manwaring, *Render unto Caesar* 11-14 (1962).
- 76 *Nicholls v. Lynn*, 297 Mass. 65, 71, 7 N.E. 2d 577, 580 (1937).
- 77 *Leoles v. Landers*, 302 U.S. 656 (1937).
- 78 *Hering v. State Board of Education*, 303 U.S. 624 (1938).
- 79 *Cantwell v. Connecticut*, U.S. S.Ct. 1940.
- 80 *Minersville School District v. Gobitis*, 310 U.S. 586 (1940).

- 81 *Minersville School District v. Gobitis*, 310 U.S. 586 (1940).
- 82 *West Virginia State Bd. of Education v. Barnette*, 319 U.S. 624 (1943).
- 83 *Minersville School District v. Gobitis*, 310 U.S. 586 (1940).
- 84 *Minersville School District v. Gobitis*, 310 U.S. 586 (1940).
- 85 *West Virginia State Bd. of Education v. Barnette*, 319 U.S. 624 (1943).
- 86 *Wooley v. Maynard*, 430 U.S. 705 (1977).
- 87 *Quaring v. Peterson*, 728 F. 2d 1121 (8<sup>th</sup> Cir. 1984).
- 88 *Jensen v. Quaring*, 472 U.S. 478 (1985).
- 89 რელიგიურ-ეთიკური თუ პოლიტიკური მრწამსის გამო სამხედრო ძალებში მსახურზე ან ომში მონაწილეობაზე უარი.
- 90 მეორე სჯული 5:7.
- 91 ჩრდილოეთ აფრიკის ქალაქ ჰიპონის ეპისკოპოსი ავგუსტინე აერელიუსი (354 – 430) კათოლიკურ ტრადიციაში შერაცხულია წმინდანად, მართლმადიდებლურში კი – ნეტარად. მიჩნეულია ქრისტიანობის ერთ-ერთ უდიდეს თეოლოგად.
- 92 Greenawalt, "Conscientious Objection".
- 93 Selective Service Act of 1917, 40 Stat. 76, 78.
- 94 Selective Draft Act of 1940, 54 Stat. 885.
- 95 *United States v. Seeger* 380 U.S 163 (1965).
- 96 The Universal Military Training and Service Act.
- 97 *Welsh v. United States*, US 333, (1970).
- 98 *Gillette v. United States*, *Negre v. Larsen*, 401 U.S. 437 (1971).
- 99 *Thomas v. Review Board*, 450 U.S. 707 (1981).
- 100 *Stromberg v. People of State of California*, 283 U.S. 359 (1931).
- 101 *Sherbert v. Verner*, 374 U.S. 398 (1963).
- 102 *Braunfeld v. Brown*, 366 U.S. 599 (1961).
- 103 *Trans World Airlines v. Hardison*, 432 U.S. 63 (1967).
- 104 *Hobbie v. Unemployment Appeals Commission of Florida*, 480 U.S. 136 (1987).
- 105 EEOC v. Townley Engineering & Manufacturing Co.
- 106 *prima facie* ნიშნავს, რომ მხარე წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას იმისთვის, რომ ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიღებულ იქნეს მისთვის სასარგებლო სასამართლო გადაწყვეტილება.
- 107 *Catholic High School Ass'n of the Archdiocese of New York v. Culvert*, 753 F.2d 1161 (2d Cir. 1985).
- 108 *Corporation of Presiding Bishop of the Church of Jesus Christ of Latter-day Saints et la. v. Amos et la.*, (NO. 86-179), and *United States v. amos et la.*, (No. 86-401), 483 U.S. 327 (1987).
- 109 საეკლესიო რეკომენდაციის დოკუმენტი მხოლოდ იმ პირებზე გაიცემა, ვინც აკმაყოფილებს ეკლესიის სტანდარტებს, რაც მოიცავს რეგულარულ დასწრებას ეკლესიაში, შენატანების გადახდას, ყავის, ჩაისა და ალკოჰოლის სმისგან და სიგარეტის მოწვევისგან თავის შეკავებას.
- 110 საოლქო სასამართლოს მიერ შემუშავებული ტესტის მიხედვით, იმისთვის რომ სასამართლოს განესაზღვრა კონკრეტული საქმიანობის რელიგიური თუ არარელიგიური ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, მას უნდა გაერკვია, იყო თუ არა არსებითი კავშირი რელიგიურ ორგანიზაციასა და ამ საქმიანობას შორის ფინანსური, ყოველდღიური ოპერაციებისა და მართვის კუთხით. მეორე, რაც უნდა გაერკვია სასამართლოს, იყო ის, არსებობდა თუ არა კავშირი საქმიანობის ძირითად ფუნქციასა და რელიგიური ორგანიზაციის რელიგიურ დოგმებსა თუ რიტუალებს, ან ეკლესიის ადმინისტრაციულ წესებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობასა და რელიგიურ დოგმებსა ან ეკლესიის ადმინისტრაციულ წესებს შორის არსებითი კავშირი იყო, სასამართლოს შეეძლო შეეწყვიტა მსჯელობა და ეს საქმიანობა რელიგიურად ეღიარებინა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით აღნიშნული კავშირები არ იყო არსებითი, მაშინ სასამართლოს უნდა განეხილა ტესტის მესამე ნაწილი – კავშირი მუშაკზე დაკისრებული საქმიანობის ბუნებასა და რელიგიური ორგანიზაციის რიტუალებსა და დოგმებს ან ეკლესიის ადმინისტრაციულ წესებს შორის. თუ ეს კავშირი არსებითი ხასიათისა იყო, მაშინ სასამართლოს აღნიშნული საქმიანობა რელიგიურად უნდა ეცნო. თუ კავშირი არსებითი არ იყო, მაშინ საქმიანობა რელიგიურად არ ჩაითვლებოდა.

- <sup>111</sup> მენონიტები წარმოადგენენ პროტესტანტიზმის ერთ-ერთ განშტოებას.
- <sup>112</sup> *Wisconsin v. Yoder*, 406 U.S. 205 (1972).
- <sup>113</sup> *Reynolds v. United States*, U.S. S.Ct. 1879.
- <sup>114</sup> *Johnson v. Charles City Community Schools Board of education*, 368 N.W.2d 74, უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა ქვემდგომი სასამართლოდან საქმის გამოთხოვაზე.
- <sup>115</sup> *State v. Whisner*, 47 Ohio St. 2d 181 (1976).
- <sup>116</sup> *Steffan v. Aspin*, 8 F. 2d 1531 (D.C. Cir. 1984).
- <sup>117</sup> *Goldman v. Weinberger*, 475 U.S. 503 (1986).
- <sup>118</sup> *Goldman v. Weinberger*, 475 U.S. 503 (1986).
- <sup>119</sup> *Close-It-Enyerprises, Inc v. Weinberger*, 64 A.D. 2d 686, 407 N.Y.S. 2d 587 (1978).
- <sup>120</sup> *La Rocca v. Lane*, 37 N.Y. 2d 575, 376 N.Y.S. 2d 93, 338 N.E. 2d 606 (1975).
- <sup>121</sup> *O'lone v. Estate of Shabazz*, 482 U.S. 342 (1987).
- <sup>122</sup> მექსიკური წარმოშობის კაქტუსისგან დამზადებული ნარკოტიკული საშუალება.
- <sup>123</sup> აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების პუნქტი, რომლითაც გარანტირებულია აღმსარებლობის თავისუფლება.
- <sup>124</sup> *Employment Division v. Smith*, 494 U.S. 872 (1990).
- <sup>125</sup> *Minersvill School District v. Gobiti*, 310 U.S. 586 (1940).
- <sup>126</sup> *Reynolds v. United States*, 98 U.S. 145 (1879).
- <sup>127</sup> *Braunfeld v. Brown*, 366 U.S. 599 (1961).
- <sup>128</sup> *United States v. Lee*, 455 U.S. 252 (1982).
- <sup>129</sup> *Cantwell v Connecticut*, 310 U.S. 296 (1940); *Murdock v. Pennsylvania*, 319 U.S. 105 (1943).
- <sup>130</sup> *Wisconsin v. Yoder*, 406 U.S. 205 (1972).
- <sup>131</sup> *Shebert v. Verner*, 374 U.S. 398 (1963).
- <sup>132</sup> *Hobbie v. Unemployment Appeals Commission of Florida*, 480 U.S. 136 (1987); *Thomas v. Collins*, 323 U.S. 516, 530 (1945); *Shebert v. Verner*, 374 U.S. 398 (1963).
- <sup>133</sup> *Bowen v. Roy*, 476 U.S. 693.
- <sup>134</sup> *Prince v. Massachusetts*, 321 U.S. 158 (1944).
- <sup>135</sup> *Gillette v. United States*, 401 U.S. 437 (1971).
- <sup>136</sup> The Religious Freedom Restoration Act, 42 U.S.C. (1993).
- <sup>137</sup> The American Indian Religious Freedom Act, 42 U.S.C. (1994).
- <sup>138</sup> აგრეთვე იხ. დაბადება 12:7; 15:7; 23; 28:4;
- <sup>139</sup> *Lyng v. Northwest Indian Cemetery Protective Association*, 485 U.S. 439 (1988).
- <sup>140</sup> California Wilderness Act of 1984.
- <sup>141</sup> *Bowen v. Roy*, 476 U.S. 693.
- <sup>142</sup> *Wisconsin v. Yoder*, 406 U.S. 205 (1972); *Sherbert v. Verner*, 374 U.S. 398 (1963); *Thomas v. Review Board*, 450 U.S. 707 (1981); *Hobbie v. Unemployment Appeals Comm'n of FLA*, 480 U.S. 136 (1987).
- <sup>143</sup> American Indian religious freedom Act 1996.
- <sup>144</sup> *Bowen v. Roy*, 476 U.S. 693.
- <sup>145</sup> *Wisconsin v. Yoder*, 406 U.S. 205 (1972).
- <sup>146</sup> *Hobbie v. Unemployment Appeals Commission of Florida*, 480 U.S. 136 (1987); *Sherbert v. Verner*, 374 U.S. 398 (1963); *Thomas v. Review Board*, 450 U.S. 707 (1981).
- <sup>147</sup> *Bowen v. Roy*, 476 U.S. 693.
- <sup>148</sup> *Plessy v. Ferguson*, 163 U.S. 537 (1896).
- <sup>149</sup> *Lyng v. Northwest Indian Cemetery Protective Association*, 485 U.S. 439 (1988).
- <sup>150</sup> *Employment Division v. Smith*, 494 U.S. 872 (1990).
- <sup>151</sup> *Society of Jesus of New England v. Boston Landmark Commission*, 409 Mass. 38, 564 N.E. 2d 571 (1990).

- 152 *South Carolina v. Katzenbach*, 383 U.S. 301 (1966); *Katzenbach v. Morgan*, 384 U.S. 641 (1966).
- 153 *City of Boerne v. Flores*, 521 U.S. 507 (1997).
- 154 Religious Freedom Restoration Act.
- 155 *Employment Division v. Smith*, 494 U.S. 872 (1990).
- 156 მექსიკური წარმოშობის კატეჯუსისგან დამზადებული ნარკოტიკული ნივთიერება.  
157 *Sherbert v. Verner*, 374 U.S. 398 (1963).
- 158 *Cantwell v. Connecticut*, 310 U.S. 296 (1940).
- 159 *South Carolina v. Katzenbach*, 383 U.S. 301, 308 (1966).
- 160 *Employment Division v. Smith*, 494 U.S. 872 (1990).
- 161 *Church of Lukumi Babalu Aye, Inc v. City of Hialeah*, 508 U.S. 520 (1993).
- 162 *McDaniel v. Paty; Fowler v. Rhode Island*.
- 163 *McDaniel v. Paty*, 435 U.S. 618 (1978).
- 164 *Fowler v. Rhode Island*, 345 U.S. 67 (1953).
- 165 *Carter v. Papineau*, 222 Mass. 464, 111 N.E. 358 (1916).
- 166 *Bear v. Reformed Mennonite Church*, 462 Pa. 330, 341 A.2d 105 (1975).
- 167 *Moyle v. Franz*, 293 N.Y. 842, 59 N.E. 2d 437, affirming per curiam, 267 App. Div. 423, 46 N.Y.S. 2d 667 (1944).
- 168 *Moses v. Episcopal Diocese of Colorado*, 863 P. 2d 310 (Colo. 1993).
- 169 *Doe v. Redeemer Lutheran Church*, 531 N.W. 2d 897 (Minn. App. 1995).
- 170 *Farley v. Wisconsin Evangelical Lutheran Synod*, 821 F. Supp. 1286 (D. Minn. 1993); *Yaggie v. Indiana-Kentucky Synod*, 860 F. Supp. 1194 (W.D. Ky. 1994); *da Tran v. Fiorenza*, 934 S.W.2d 740 (Tex. Ct. App. 1996).
- 171 *Drevlow v. Lutheran Church Missouri Synod*, 991 F.2d 468 (8<sup>th</sup> Cir. 1993); *da Marshall v. Munro*, 845 P.2d 424 (Alaska 1994).
- 172 *Guinn v. Church of Christ of Collinsville*, 775 P. 2d 766 (Okla. 1989).
- 173 *United States v. Elder*, 601 F. Supp. 1574 (S.D.Tex. 1985).
- 174 *United States v. Aguilar*, 871 F.2d 1436 (9<sup>th</sup> Cir. 1986).
- 175 *People v. Cole*, 219 N.Y. 98, 113 N.E. 790 (1916).
- 176 *People v. Pierson*, 176 N.Y. 201, 68 N.E. 243 (1903).
- 177 *Commonwealth v. Twitchell*, 416 Mass. 114, 617 N.E. 2d 609 (1993).
- 178 მექსიკური წარმოშობის კატეჯუსისგან დამზადებული ნარკოტიკული საშუალება.  
179 *United States v. Ballard*, 322 U.S. 78 (1994).
- 180 *Watson v. Jones* 669 (1872)
- 181 *Cantwell v. Connecticut*, 310 U.S. 296 (1940).
- 182 *Board of Education v. Burnette*, 319 U.S. 624 (1943).
- 183 *Founding Church of Scientology v. United States*, 409 F. 2D 1146 (D.C. Cir. 1969), უზენაესმა სასამართლომ უარყო ქვემდგომი სასამართლოდან საქმის გამოთხოვის მოთხოვნა, 396 U.S. 963 (1969).
- 184 ჰუბარდის ბესოსელერში ეს პროცესი დახასიათებულ იქნა, როგორც „თერაპია“, Dianetics: Modern Science of Mental Health (1950).
- 185 *Van Schaick v. Church of Scientology*, 535 F. Supp. 1125 (D. Mass. 1982).
- 186 *Torcaso v. Watkins*, 367 U.S. 488 (1961).
- 187 აშშ-ში იმ რელიგიათა რიგებს, რომელთა სწავლებაც არ შეიძლება განხილულ იქნეს ღმერთის არსებობის რწმენად, განეკუთვნება ბუდიზმი, დაოსიზმი, ეთიკური კულტურა, სამოქალაქო ჰუმანიზმი და ა.შ.
- 188 *United States ex rel. Levy v. Cain*, 149 F. 2d 338 (2d Cir. 1945).
- 189 *United States v. Samuels*, 151 F. 2d 801 (3d Cir. 1945).
- 190 *Eagles v. United States ex rel. Samuels*, 329 U.S. 304 (1946).

- <sup>191</sup> *Cox v. United States*, 332 U.S. 442 (1947).
- <sup>192</sup> *United States v. Moon*, 718 F. 2d 1210 (2d Cir. 1983).
- <sup>193</sup> უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა ქვემდგომი სასამართლოდან საქმის გამოთხოვაზე, 466 U.S. 971, (1984).
- <sup>194</sup> *Presbyterian Church in the United States v. Mary Elizabeth Blue Hull Memorial Presbyterian Church*, 393 U.S. 440 (1969).
- <sup>195</sup> *Maryland and Virginia Eldership of the Churches of God v. Church og God at Sharpsburg, Inc.* 396 U.S. 367 (1970).
- <sup>196</sup> *Presbyterian Church in the United States v. Mary Elizabeth Blue Hull Memorial Presbyterian Church*, 393 U.S. 440 (1969).
- <sup>197</sup> *Watson v. Jones*, 80 U.S. (13 Wall.) 679 (1871).
- <sup>198</sup> *Serbian Eastern Orthodox Diocese for the United States of America and Canada v. Milivojevich*, 426 U.S. 696 (1976).
- <sup>199</sup> *Jones v. Wolf*, 443 U.S. 595 (1979).
- <sup>200</sup> *Watson v. Jones*, 80 U.S. (13 Wall.) 679 (1871).
- <sup>201</sup> *Watson v. Jones*, 80 U.S. (13 Wall.) 679 (1871).
- <sup>202</sup> *First Presbyterian Church of Schenectady v. United Presbyterian Church in the United States of Amerika*, 62 N.Y. 2d 110, 476 N.Y.S. 2d 86, 464 N.E. 2d 454 (1984) უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა საქმის გამოთხოვაზე ქვემდგომი სასამართლოდან 105 S.Ct. 514 (1984).
- <sup>203</sup> *Protestant Episcopal Church v. Barker*, 115 Cal. App. 3d 599, 171 Cal. Rptr. 541 (1981) უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა საქმის გამოთხოვაზე ქვემდგომი სასამართლოდან 454 U.S. 864 (1981).
- <sup>204</sup> *Bishop of Colorado v. Mote*, 716 P. 2d 85, 96 n. 10 (Colo. 1986).
- <sup>205</sup> შენიშვნა: კოლორადოს სასამართლომ ნეიტრალური საკუთრებითი სამართლის გამოყენებისას ვერ დაინახა სირთულე კანონიკური სამართლის ინტერპრეტირებაში.
- <sup>206</sup> *Primate znd Bishops' Synod of the Russian Orthodox Church Outside of Russia v. Russian Orthodox of the Holly Resurrection, Inc.*, 418 Mass. 1001, 636 N.E. 2d 211 (1994).
- <sup>207</sup> *Jones v. Wolf*, 443 U.S. 595 (1979).
- <sup>208</sup> *Merilendi-Babcock Memorial Presbyterian Church v. Presbytery of Baltimore*, 296 Md. 573, 464 A.2d 1008, 1016 (1983) უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა საქმის გამოთხოვაზე ქვემდგომი სასამართლოდან, 465 U.S. 1027 (1984); *Pensilvania-Presbytery of Beaver-Butler v. Middlesex Prebyterian Church*, 507 Pa. 23155, 489 A.2d 1317, უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა საქმის გამოთხოვაზე ქვემდგომი სასამართლოდან, 474 U.S. 887 (1985).
- <sup>209</sup> *Purcell v. Summer*, 145 F.2d 979, 985 (4<sup>th</sup> Cir. 1944).
- <sup>210</sup> *Religious Technology Center v. Wollersheim, et. al.*, 776 F.2d. 1076 (9<sup>th</sup> Cir. 1986).
- <sup>211</sup> *Castello Publishing Co.,Inc. v. Rotelle*, 670 F.2d 1035 (D.C. Cir. 1981).
- <sup>212</sup> *Everson v. Board of Education of the Township of Ewing*, 330 U.S. 1 (1947).
- <sup>213</sup> *Lemon v. Kurtzman No.89; Early v. Di Censo No 569; Robinson v. DiCenso No 570*, 403 U.S. 602 (1971).
- <sup>214</sup> *Mueller v. Allen*, 463 U.S 388 (1983).
- <sup>215</sup> *Grend rapids School District v. Ball*, 473 U.S. 373 (1985).
- <sup>216</sup> *Aguilard v. Felton*, 473 U.S. 402 (1985).
- <sup>217</sup> *Witters v. Washington Department of Services for the Blind*, 474 U.S. 481 (1986).
- <sup>218</sup> *Rachel Agostini, et al. v. Betty-Louise Felton, et al., Chancellor, Board of Education of the City of New York, et al. v. Betty-Louise Felton, et al.* 521 U.S. 203 (1997).
- <sup>219</sup> *Aguilard v. Felton*, 473 U.S. 402 (1985).
- <sup>220</sup> *Grend rapids School District v. Ball*, 473 U.S. 373 (1985).
- <sup>221</sup> *Aguilard v. Felton*, 473 U.S. 402 (1985).



- 222 *Witters v. Washington Department of Services for the Blind*, 474 U.S. 481 (1986).
- 223 *Zobrest v. Catalina Foothills Sch. Dist.*, 509 U.S. 1 (1993).
- 224 *Guy Mitchel v. Mary L. Helms*, 120 S. Ct. 2530 (2000).
- 225 *Lemon v. Kurtzman*, 403 U.S. 602 (1971).
- 226 *Rachel Agostini, et al. v. Betty-Louise Felton*, 521 U.S. 203 (1997).
- 227 ობ. Vashti Cromwell McCollum, *One Woman's Fight* 17-20 (1951).
- 228 იქვე 16, 45, 190.
- 229 *McCollum v. Board of Education*, 333 U.S. 203 (1948).
- 230 Ill Rev. Stat. 122 თავი, პარ. 123, 301(1943).
- 231 *Zorach v. Clauson*, 343 U.S. 306 (1952).
- 232 *McCollum v. Board of Education*, 333 U.S. 203 (1948).
- 233 *Enjel v. Vitale*, 370 U.S. 421 (1962).
- 234 *Board of Education v. Burnette*, 319 U.S. 624 (1943).
- 235 *Donahue v. Richards*, 38 Me. 379, 399 (1854).
- 236 *Herold v. Parish Board*, 136 La. 1034, 1049, 68 So. 116, 121 (1915).
- 237 Donald E. Boles, *The Bible, Religion and the Public Schools* 332 (1965).
- 238 *Minor v. Board of Educ. of Cincinnati*, Superior Ct. Cincinnati, Feb. 1870.
- 239 Boles, id. 355.
- 240 *School District of Abington Township v. Schempp*, *Murray v. Curlett* 374 U.S. 203 (1963).
- 241 *Abington School District v. Schempp*, U.S. S.Ct. 1963.
- 242 *Enjel v. Vitale*, U.S. S.Ct. 1962.
- 243 Sutherland, *Establishment According to Enjel*, 76 Harv. L. Rev. 25, 51 (1962).
- 244 *Enjel v. Vitale*, 370 U.S. 421 (1962).
- 245 *Cantwell v. Connecticut*, 310 U.S. 296 (1940).
- 246 *McCollum v. Board of Education*, 333 U.S. 203 (1948). n; *Enjel v. Vitale*, 370 U.S. 421 (1962).
- 247 *McGowan v. Maryland*, 366 U.S. 420 (1961).
- 248 *Everson v. Board of Education of the Township of Ewing*, 330 U.S. 1 (1947).
- 249 *Abington School District v. Schempp*, *Murray v. Curlett* U.S. S.Ct. 1963.
- 250 ობ. Congressional Compromise: The Equal access Act, but no Constitutional Amendment for "Voluntary Prayer".
- 251 *Stone v. Graham*, 449 U.S. 39 (1980).
- 252 Transcendental Meditation as a Religion: *Malnak v. Yogi*, 592 F.2d 197 (3d Cir. 1979).
- 253 *United States v. Seeger*, 380 U.S. 163 (1965).
- 254 *Welsh v. United States*, US 333, (1970).
- 255 *Torcaso v. Watkins*, 367 U.S. S.Ct. 488 (1961).
- 256 *Abington School District v. Schempp*, U.S. S.Ct. 1963.
- 257 *Wallace v. Jaffree*, 472 U.S. 38 (1985).
- 258 *Everson v. Board of Education of the Township of Ewing*, 330 U.S. 1 (1947).
- 259 Robert L. Cord, *Separation of Church and State: Fact and Fiction* (1982).
- 260 *Widmar v. Vincent*, 454 U.S. 263 (1981).
- 261 *Board of Education of the Westside Community Schools v. Mergens*, 496 U.S. 226 (1990).
- 262 *Widmar v. Vincent*, 454 U.S. 263 (1981).
- 263 *Lemon v. Kurtzman*, 403 U.S. 602 (1971).
- 264 სამოსწავლო ჯგუფი, რომლის საქმიანობის საგანიც ძირითად სასწავლო კურსში შედის.
- 265 *Grossberg v. Deusebio*, 380 F. Supp. 285 (E.D. Va. 1974).
- 266 ქალაქი როდ აილენდის შტატში (აშშ).
- 267 *Lee v. Weisman*, 505 U.S. 577 (1992).
- 268 *West Virginia Bd of Education v. Barnett*, 319 U.S. 624 (1943).

- 269 *Santa Fe Independent School District v. Jane, Doe* 120 S. Ct. 2266 (2000).
- 270 *Lee v. Weisman*, 505 U.S. 577 (1992).
- 271 *Stone v. Graham*, 449 U.S. 39 (1980); *Wallace v. Jaffree*, 472 U.S. 38 (1985); *Epperson v. Arkansas*, 393 U.S. 97 (1968); *Edwards v. Aguillard*, 482 U.S. 578 (1987).
- 272 *Michael W. McConnell*, "Accommodation of Religion".
- 273 *Wallace v. Jaffree*, 472 U.S. 38 (1985).
- 274 James Hitchcock, "Church, State and Moral Values: The Limits of American Pluralism".
- 275 Robert Bellah, *The Broken Covenant: American Civil Religion in Time of Trial* (1967).
- 276 *Scopes v. State*, 154 Tenn. 105, 289 S.W. 363 (1927).
- 277 *Epperson v. Arkansas*, 393 U.S. 97 (1968).
- 278 *Edwards v. Aguillard*, 482 U.S. 578 (1987).
- 279 "Balanced Treatment for Creation-Science and Evolution-Science in Public School Instruction" Act (Creationism Act).
- 280 *Scopes v. State*, 154 Tenn. 105, 289 S.W. 363 (1927).
- 281 *Lamb's Chapel v. Center Moriches Union Free School District*, 508 U.S. 384 (1993).
- 282 *Lynch v. Donnelly*, 465 U.S. 668 (1984); *Widmar v. Vincent* 454 U.S. 263 (1981).
- 283 *Lee v. Weisman*, 505 U.S. 577 (1992).
- 284 *Tilton v. Richardson*, 403 U.S. 672 (1971).
- 285 აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების პუნქტი, რომელიც უკრძალავს კონგრესს ისეთი კანონის მიღებას, რომელიც დაანებს რელიგიას.
- 286 *Tilton v. Richardson*, 403 U.S. 672 (1971).
- 287 აღმსარებლობის თავისუფლების კლავზულა და არდანესების კლავზულა.
- 288 *Bradfields v. Roberts*, 175 U.S. 291 (1899).
- 289 *Lemon v. Kurtzman*, *Earley v. Dicenso*, *Robinson v. Dicenso*, 403 U.S. 602 (1971).
- 290 *Hunt v. McNair*, 413 U.S. 734 (1973).
- 291 *Roemer v. Board of Public Works of Maryland*, 426 U.S. 736 (1976).
- 292 *Witters v. Washington Department of Services for the Blind*, 474 U.S. 481 (1986).
- 293 ტერმინი „ლრმად რელიგიური“ შემუშავებულია მკაფიო საზღვრის გავლების მიზნით, ერთი მხრივ, სკოლებს, რომლებიც რელიგიური და საერო საქმიანობის დიფერენცირებას ახდენენ და, მეორე მხრივ, იმ სკოლებს შორის, რომლებიც საკუთარ რელიგიურ და საგანმანათლებლო მისიებს განუყოფლად მიიჩნევენ და, შესაბამისად, ნებისმიერ საქმიანობაზე ავრცელებენ რელიგიას.
- 294 *Widmar v. Vincent*, 454 U.S. 263 (1981).
- 295 იხ. *Southeastern Promotions, LTD v. Conrad*, 420U.S., 546 (1975), ვინაიდან ამ საქმეში თეატრი საჯარო ფორუმს წარმოადგენდა, ქალაქს არ შეეძლო დაუმეგებლად მიეჩნია განსაზღვრული პროდუქცია სათანადო კონსტიტუციური გარანტიების დაკმაყოფილების გარეშე.
- 296 *Rosenberger v. Rector and Visitors of the University of Virginia*, 515 U.S. 819 (1995).
- 297 *Turner Broadcasting System, Inc. v. FCC*, 512 U.S. 622 (1994).
- 298 *Lamb's Chapel v. Center Moriches Union Free School District*, 508 U.S. 384 (1993).
- 299 *Bob Jones University v. United States (81-3) Goldsboro Christian Schools, Inc. v. United States (81-1)*, 461 U.S. 574 (1983).
- 300 *Green v. Kennedy*, 309 F. Supp. 1127.
- 301 რომელსაც გამოსცემს საგადასახადო სამსახური, როდესაც საგადასახადო კოდექსის ესა თუ ის მუხლი საჭიროებს დამატებით დაზუსტებას.
- 302 *McCrary v. Runyon*, 515 F. 2d 1082 (1975), *aff'd*, 427 U.S. 160 (1976).
- 303 *Oral Roberts University v. American Bar Association*, 205 (N.D. 1981).
- 304 *Fowler v. Rhode Island*, 345 U.S. 67 (1953).
- 305 *O'Hair v. Andrus*, 613 F. 2d 931 (D.C. Cir. 1979).
- 306 *McGowan v. Maryland*, 366 U.S. 420 (1961).

- 307 *Braunfeld v. Brown*, 366 U.S. 599 (1961).
- 308 New York Domestic Relations Law.
- 309 *Avitur v. Avitur*, 58 N.Y. 2d 108, 446 N.E. 2d 136, 459 N.Y.S. 2d 572 (1983), უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა ქვემდგომი სასამართლოდან საქმის გამოთხოვაზე 464 U.S. 817 (1983).
- 310 *Walz v. Tax Commission of the city of New York*, 397 U.S. 664 (1970).
- 311 *Everson v. Board of Education of the Township of Ewing*, 330 U.S. 1 (1947).
- 312 *Board of education v. Allen*, 392 U.S. 236 (1968).
- 313 აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების კლაუზულა, რომელიც უკრძალავს კონგრესს ისეთი კანონის მიღებას, რომელიც დააწესებს რელიგიას.
- 314 *Everson v. Board of Education*, 330 U.S. 1 (1947).
- 315 *Regan v. Yaxation with Represntation*, 461 U.S. 540 (1983).
- 316 *Texas Monthly, Inc. v. Bullock*, 489 U.S. 1 (1989).
- 317 *Rosenberger v. Rector and Visitors of the University of Virginia*, 515 U.S. 819 (1995).
- 318 Stanly Surrey, "tax expenditure". (1993).
- 319 *Jimmy Swaggart Ministries v. California State Board of Equalization*, 493 U.S. 378 (1990).
- 320 *Walz v. Tax Commission of the city of New York*, 397 U.S. 664 (1970).
- 321 *Tony & Ssan Alamo Foundation v. Secretary of Labor*, 471 U.S. 290 (1985).
- 322 *Lemon v. Kurtzman*, 403 U.S. 602 (1971).
- 323 *Aguilar v. Felton*, 473 U.S. 402 (1985).
- 324 *Rachel Agostini, et al. v. Betty-Louise Felton*, 521 U.S. 203 (1997).
- 325 *Guy Mitchell v. Mary L. Helms*, 120 S.Ct. 2530 (2000).
- 326 *Marsh v. Chambers*, 463 U.S. 783 (1983).
- 327 *Wisconsin v. Pelican Ins. Co.*, 127 U.S. 265, 297 (1988).
- 328 *Anderson v. Laird*, 466 F. 2d 283 (D.C. C.r. 1972), აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა ქვემდგომი სასამართლოდან საქმის გამოთხოვაზე, 409 U.S. 1076 (1972).
- 329 *Katcoff v. Marsh*, 755 F. 2d. 223 (2<sup>nd</sup> Cir. 1985).
- 330 *Lynch v. Donnelly*, 465 U.S. 668 (1984).
- 331 *Board of education v. Allen*, 392 U.S. 236 (1968).
- 332 *Everson v. Board of Education of the Township of Ewing*, 330 U.S. 1 (1947).
- 333 *Tilton v. Richardson*, 403 U.S. 672 (1971).
- 334 *Church of holy Trinity v. United States*, 143 U.S. 457 (1982).
- 335 *Bd. of Trustees of Village of Scarsdale v. McCreary*, 471 U.S. 83 (1985).
- 336 *County of Allegheny v. Aclu*, Greater Pittsburg Chapter; *Chabad v. ACLU*, Greater Pittsburg Chapter; *City of Pittsburg v. ACLU*, Greater Pittsburg Chapter, 492 U.S. 573 (1989).
- 337 *Lynch v. Donnely*, 465 U.S. 668 (1984).
- 338 *Fax v. City of Los Angeles*, 22 Cal. 3d 792. 150 Cal. Rptr. 867, 587 P 2d 663 (1978).
- 339 *Crapenter v. City & County of San Francisco*, 93 F.3d 627 (9<sup>th</sup> Cir. 1996).
- 340 *Capitol Square Review and Advisory Board v. Plnette*, 515 U.S. 753 (1995).
- 341 აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების კლაუზულა, რომლითაც გარანტირებულია სიტყვის თავისუფლება.
- 342 *Bowen v. Kendrick*, 487 U.S. 589 (1988).
- 343 *Kedroff v. Saint Nicholas Cathedral of the Russian Orthodox Church in North America*, 344 U.S. 94 (1952).
- 344 *Winsconsin v. Yoder*, 406 U.S. 205 (1972).
- 345 *Cantwell v. Connecticut*, 310 U.S. 296 (1940).
- 346 *Larson v. Valente*, 456 U.S. 228 (1982).

- 347 აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების კლაუზულა, რომელიც უკრძალავს კონგრესს ისეთი კანონის მიღებას, რომელიც დაანებს რელიგიას.
- 348 *Larkin v. Grende's Den. Inc.*, 459 U.S. 116 (1982).
- 349 *Oregon v. City of Rajneeshpuram*, 598 F. Supp. 1206 (D. Ore. 1984).
- 350 *McDaniel v. Paty*, 435 U.S. 618 (1978).
- 351 აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების კლაუზულა, რომლითაც გარანტირებულია აღმსარებლობის თავისუფლება.
- 352 *Edwards v. Aguillard*, 482 U.S. 578 (1987).
- 353 M. Kelley, *Why Churches Should Not Pay Taxes*, 86 (1977).
- 354 Kent Greenawalt, *Religious Convictions and Political Choice* 90-91 (1988).
- 355 Mark V. Tushnet, "The Constitution of Religion", 701, 712 (1986).
- 356 Michael J. Perry, *Religion in Politics: Constitutional and Moral Perspectives* 61 (1997) .
- 357 David Saperstein, "Jewish Perspectives on the Role of religion in the Political Process" (1983).
- 358 Lynn Buzzard, "The Evangelical Rediscovery of Law and Politics" (1983).
- 359 *Roe v. Wade*, 410 U.S. 113 (1973).
- 360 Laurence Tribe, "Foreword, *The Supreme Court-1972 Term: Towards a Model of Roles in the Due Process of Life and Law*", 87 *Harvard Law Review* 20, 23 (1973).
- 361 *McRae v. Mathews*, 421 F. Supp. 533 (E.D.N.Y. 1976).
- 362 *McRae v. Califano*, 491 F. Supp. 630 (E.D.N.Y. 1980).
- 363 *Harris v. McRae*, 448 U.S. 297 (1980).
- 364 *Committee for Public Education v. Regan*, 444 U.S. 646 (1990).
- 365 *Everson v. Board of Education of the Township of Ewing*, 330 U.S. 1 (1947).
- 366 *McGowan v. Maryland*, 366 U.S. 420 (1961).
- 367 *Valley Forge Cristian College v. Americans United for Separation of Church and State*, 454 U.S. 464 (1982).
- 368 *Valley Forge Cristian College v. Americans United for Separation of Church and State*, 454 U.S. 464 (1982).
- 369 *Americans United for Separation of Church and State v. Reagan*, 607 F. Supp. &4& (E.D. Pa. 1985), *aff'd*, 786 F.2d 194 (3<sup>rd</sup> Cir. 1986).
- 370 *Abortion Rights Mobilization, Inc. v. Regan*, 544 F. Supp. 471 (S.D.N.Y. 1982).
- 371 *United Catholic Conference v. Abortion Rights Mobilization Inc.*, 487 U.S. 72 (1988).
- 372 *Cleveland v. United States*, 329 U.S. 14 (1946).
- 373 *Loving v. Virginia*, 388 U.S. 1 (1967).
- 374 აშშ-ს კონსტიტუციის მე-14 შესწორების კლაუზულა, რომელიც კანონის საფუძველზე თანაბარ დაცვას ითვალისწინებს.
- 375 აშშ-ს კონსტიტუციის მეხუთე და მე-14 შესწორებების კლაუზულები ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის შესახებ.
- 376 *Baehr v. Lewin*, 74 Haw. 530, 852 P.2d 44 (1993).
- 377 აშშ-ს კონსტიტუციის კლაუზულა, რომელიც ითვალისწინებს ერთი შტატის კანონებისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღიარებას ყველა სხვა შტატში.
- 378 *Baker v. State of Vermont*, 744 A. 2d 864 (Vt. 1999).
- 379 *Perkins v. State of North Carolina*, 234 F. Sup. 333 (W.D.N.C. 1964).
- 380 *Eisenstadt v. baird*, 405 U.S. 438 (1972).
- 381 *Bowers v. Hardwick*, 478 U.S. 186 (1986).
- 382 *Carey v. Populatio Services International*, 431 U.S. 678, 685 (1977); *Pierce v. Society of Sisters and Mayer v. Nebraska*, 262 U.S. 390 (1923); *Skinner v. Oklahoma ex rel, Williamson*, 316 U.S. 535 (1942); *Loving v. Virginia*, 388 U.S. 1 (1967); *Roe v. Wade*, 410 U.S. 113 (1973).

- <sup>383</sup> აშშ-ს კონსტიტუციის მეხუთე და მე-14 შესწორებების კლავზულები ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის შესახებ.
- <sup>384</sup> *Palko v. Connecticut*, 302 U.S. 319, 325, 326 (1937).
- <sup>385</sup> *Moore v. East Cleveland*, 431 U.S. 494, 503 (1977).
- <sup>386</sup> *Stanley v. Georgia*, 394 U.S. 557 (1969).
- <sup>387</sup> *West Virginia State Bd. of Education v. Barnette*, 319 U.S. 624 (1943).
- <sup>388</sup> *O'Connor v. Donaldson*, 422 U.S. 563, 575 (1975).
- <sup>389</sup> *Romer v. Evans*, 517 U.S. 620 (1996).

ტერმინთა  
განმარტება

---

დანართი





- 
1. **ადაპტაცია – Accommodation** – ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის რელიგიური მოთხოვნებიდან და ქმედებების სამართლებრივი რეგულირება იმგვარად, რომ არ მოხდეს მათი უსამართლოდ შეზღუდვა.
  2. **არაჯეროვანი ტვირთის ტესტი – Undue burden test** – ტესტი, რომელიც გამოყენებულ იქნა აბორტის თაობაზე შტატების რეგულაციების ფედერალურ კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის გადასაწყვეტად. ამ ტესტის მიხედვით აბორტის უფლებაზე დანესებული შეზღუდვები არაკონსტიტუციურია, როდესაც ისინი „არსებით ნინალობას“ უქმნის ქალის სურვილს აბორტის უფლების რეალიზაციაზე. საქმეში *Planned Parenthood of South-eastern Pennsylvania v. Casey (1992)* უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კანონები, რომლებიც ქალის უფლებას ზღუდავდა აბორტზე ემბრიონის სიცოცხლის-უნარიანობამდე არ ექვემდებარებოდა მკაცრ სასამართლო შემოწმებას, არამედ გამოყენებული უნდა ყოფილიყო ნაკლებად მკაცრი და უფრო სუბიექტური არა-ჯეროვანი ტვირთის სტანდარტი.
  3. **არდანესების კლაუზულა – Nonestablishment clause** – იხ. დანესების კლაუზულა.
  4. **აღმსარებლობის თავისუფლების კლაუზულა – Free exercise clause** – აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების დებულება, რომელიც სახელმწიფოს უკრძალავს ადამიანების უფლების შეზღუდვას რელიგიური მრწამსის გამოხატვაზე.
  5. **გონივრული საფუძვლის შემოწმება – Rational basis scrutiny** – სასამართლო შემოწმების ყველაზე დაბალი დონე. შემოწმების ამ დონის გავლისას ნყდება საკითხი

იმის თაობაზე, სახელმწიფოს ქმედებას ან კანონს გააჩნია თუ არა გონივრული კავშირი ლეგიტიმურ ინტერესთან. ყველა კანონი, რომელიც ექვემდებარება *სასამართლო შემოწმებას*, მაგრამ არ არღვევს ფუნდამენტურ კონსტიტუციურ უფლებას და არ ახდენს კლასიფიცირებას სქესის ნიადაგზე დაექვემდებარება *გონივრული საფუძვლის შემოწმებას*. მაგალითად კანონი, რომელიც ძალღების ლიცენზირების ვალდებულებას აწესებს. ამგვარი კანონი კონსტიტუციურად იქნება ცნობილი ვინაიდან იგი ხელს უწყობს ლეგიტიმურ ინტერესს, კერძოდ ძალღის შესაკუთრის ვინაობის დადგენას, ძალღის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში.

6. **დანების კლაუზულა – Establishment clause** – აშშ-ს კონსტიტუციის *პირველი შესწორების* დებულება, რომელიც კრძალავს სახელმწიფო ფავორიტიზმს კონკრეტული რელიგიური ჯგუფის ან ზოგადად რელიგიის მიმართ.
7. **ეროუსმიტის ტესტი** – ქმედების „აუცილებლობის“ ტესტი, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს იმის განსაზღვრად, ექცევა თუ არა ადამიანის ქმედება ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვის ფარგლებში. ეს ტესტი პირველად ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ გამოიყენა საქმეში *ეროუსმიტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*. ტესტის მიხედვით ადამიანის ქმედება მხოლოდ მაშინ ექცევა კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული რელიგიისა და რწმენის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმის, წეს-ჩვეულების დაცვის, ფარგლებში, თუ იგი სავალდებულოა შესაბამისი რელიგიით ან რწმენით.
8. **თანაბარი დაცვის კლაუზულა – Equal protection clause** – აშშ-ს კონსტიტუციის მე-14 შესწორების დებულება, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას და ადგენს კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას.
9. **კონსტიტუციის მე-14 შესწორება** – აშშ-ს კონსტიტუციის შესწორება, რომელიც აშშ-ს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და პრივილეგიების დაცვის ვალდებულებას ავრცელებს შტატებზე.
10. **ლემონის ტესტი** – საქმეში *ლემონი კურცმანის წინააღმდეგ* აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული სამელემენტური ტესტი. ტესტის მიხედვით აშშ-ს კონსტიტუციის *პირველი შესწორების დაწესების კლაუზულის* მოთხოვნების დაკმაყოფილებითავე კანონს უნდა ჰქონდეს 1) საერო მიზანი, 2) რელიგიის არც მხარდაჭერის და არც დაბრკოლების ძირითადი ან პირდაპირი შედეგი, 3) არ უნდა ინვესტდეს ზედმეტად მჭიდრო ურთიერთკავშირის დამყარებას ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის.
11. **მკაცრი შემოწმების ტესტი – Strict scrutiny test** – *სასამართლო შემოწმების* ყველაზე მაღალი დონე. ამ სტანდარტის მიხედვით კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლებების (როგორცაა რელიგიის, სიტყვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თავისუფლებები) შემზღვეველი კანონები რაც შეიძლება ვიწროდ უნდა იყოს მიზანმიმართული და სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესს უნდა ემსახურებოდეს. საქმეში *Roe v. Wade (1973)* აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ *მკაცრი შემოწმების ტესტი* გამოიყენა

აბორტის შესახებ ტეხასის შტატის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მიმართ და დაადგინა, რომ კონსტიტუციური უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე მოიცავდა ქალის უფლებას მიეღო გადაწყვეტილებები საკუთარი ფეხმძიმობის შესახებ.

12. **ორმაგი ეფექტის პრინციპი** – პრინციპი, რომელიც მორალურად გამართლებულად მიიჩნევს ქმედებას, რომელსაც ორგვარი შედეგი მოსდევს, დადებითი და უარყოფითი. ქმედება მორალურად გამართლებულად ჩაითვლება, თუ დადებითი შედეგის სახით დაცული სიკეთე აღემატება უარყოფითი შედეგის სახით დამდგარ ზიანს.
13. **პირველი შესწორება** – აშშ-ს კონსტიტუციის შესწორება, რომლის თანახმადაც: „კონგრესი არ მიიღებს კანონს, რომელიც დააწესებს რელიგიას ან შეზღუდავს აღმსარებლობის თავისუფლებას, ან ხელყოფს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას, მშვიდობიანი შეკრებისა და სახელმწიფო ხელისუფლებისათვის პეტციით მიმართვის უფლებას“.
14. **რელიგიური ტესტის კლაუზულა – Religious test clause** – რელიგიური კლაუზულა, რომელსაც შეიცავს აშშ-ს კონსტიტუციის ძირითადი ტექსტი. კლაუზულა კრძალავს რელიგიური ტესტის გამოყენებას საჯარო თანამდებობის დაკავების ან საზოგადოებრივი ნდობის პირობად.
15. **„სასამართლოს მეგობარი“ – Amicus Curiae** – პირი, რომელიც არ წარმოადგენს მხარეს სასამართლოში სამართალწარმოებისას, თუმცა საკუთარი ინიციატივით ან სასამართლოს მოთხოვნით წარადგენს წერილობით მოსაზრებას, ვინაიდან ძლიერ დაინტერესებულია საქმის საბოლოო შედეგით.
16. **სასამართლო შემოწმება – Judicial review** – აშშ-ს ფედერალური სასამართლოს სახელმწიფოს ქმედების ან კანონის ფედერალურ კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტის პროცესი. ამ პროცესში სასამართლო გამოიყენებს შესაბამისი დონის შემოწმებას – *მკაცრი, შუალედური ან გონივრული საფუძვლის შემოწმება*.
17. **სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესის ტესტი – Compelling state interest test** – ადამიანის ფუნდამენტური თავისუფლებების შემზღუდავი სახელმწიფოს ქმედების ან კანონის ფედერალურ კონსტიტუციასთან შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდი. გამოიყენება აშშ-ს ფედერალური სასამართლოების მიერ *სასამართლო შემოწმებისას*, როდესაც სასამართლო იყენებს *მკაცრი შემოწმების* სტანდარტს. სახელმწიფოს ქმედება ან კანონი კონსტიტუციურად იქნება ცნობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აუცილებელია სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესის უზრუნველსაყოფად (მაგალითად როგორცაა სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნა, ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ.).
18. **სმიტის ტესტი** – საქმეში *ორეგონის შტატის დასაქმების სამსახური სმიტის წინააღმდეგ* აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, რომელიც სახელმწიფოსგან მოითხოვს რელიგიური გაერთიანების ან ფიზიკური პირის რელიგიური მოთხოვნილებების ადაპტაციას იმ ზოგადი დანიშნულებისა და რელიგიურად ნეიტრალური კანონებისგან გათავისუფლების გზით, რომლებიც ზღუდავს მის რელიგიურ გამოხატვას.

19. **სტატუტი** – საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონი, როგორც შტატის ისე ფედერალურ დონეზე.
20. **უფლებათა ბილი** – აშშ-ს კონგრესის მიერ 1791 წლის 15 დეკემბერს მიღებული პირველი ათი შესწორება აშშ-ს ფედერალურ კონსტიტუციამო.
21. **ღრმად რელიგიური – Pervasively sectarian** – ორგანიზაცია, რომლის მიზანიც მკაფიოდ რელიგიური ხასიათისაა. აშშ-ში სახელმწიფო უფლებამოსილია, გააათავისუფლოს ამგვარი ორგანიზაცია გადასახადებისგან, თუმცა ეკრძალება მისი პროგრამების დაფინანსება, ვინაიდან ეს რელიგიური „მესიჯის“ მხარდაჭერის ტოლფასი იქნება.
22. **შერბერტის ტესტი** – საქმეში *შერბერტი ვერნერის წინააღმდეგ* აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, რომელიც *მკაცრი შემოწმების ტესტის* ერთ-ერთი ფორმაა. სასიცოცხლო სახელმწიფო ინტერესის არარსებობისას *შერბერტის ტესტი* სახელმწიფოსგან მოითხოვს პირის გათავისუფლებას რელიგიურად ნეიტრალური კანონის მოქმედებისგან, რომელიც არსებითად ზღუდავს მის რელიგიურ გამოხატვას.
23. **შუალედური შემოწმება – Intermediate scrutiny** – სასამართლო შემოწმების შუალედური დონე. იმისათვის, რომ კანონმა წარმატებით დაძლიოს *შუალედური შემოწმება* იგი დაკავშირებული უნდა იყოს მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესთან. *შუალედურ შემოწმებას* დაექვემდებარება კანონი, რომელიც დიფერენცირებას ახდენს სქესის ნიადაგზე, მაგალითად კანონი, რომლის მიხედვითაც ქალებს ეკრძალებათ გარკვეული სამოსის ტარება. ამგვარი კანონი არაკონსტიტუციურად იქნება ცნობილი, ვინაიდან იგი არ არის დაკავშირებული ლეგიტიმურ სახელმწიფო ინტერესთან.
24. **ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის კლაუზულა – Due process clause** – აშშ-ს კონსტიტუციის დებულება, რომელიც უკრძალავს მთავრობას თვითნებურად, ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე შეზღუდოს ადამიანის უფლება სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და საკუთრებაზე. აშშ-ს კონსტიტუცია შეიცავს ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის ორ კლაუზულას. პირველი, რომელსაც კონსტიტუციის მე-5 შესწორება შეიცავს, შეეხება ფედერალურ ხელისუფლებას, ხოლო მეორე მე-14 შესწორებაშია წარმოდგენილი და ვრცელდება შტატებზე (თუმცა ინკორპორაციის დოქტრინის წყალობით მე-5 შესწორებით გათვალისწინებული ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის კლაუზულა ასევე ვრცელდება შტატებზე). არსებობს ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის დაცვის ორი კომპონენტი: 1) მატერიალურ-სამართლებრივი პროცედურა და 2) პროცესუალურ-სამართლებრივი პროცედურა. მატერიალურ-სამართლებრივი პროცედურით უზრუნველყოფილი დაცვა ისეთ ფუნდამენტურ უფლებებზე ვრცელდება როგორცაა რელიგიის, სიტყვისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოების თავისუფლებები. მატერიალურ-სამართლებრივი პროცედურა არის აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ერთ-ერთი ძირითადი სამართლებრივი საფუძველი. მატერიალურ-სამართლებრივი პროცედურით დაცული უფლებების ხელყოფის შემთხვევაში პროცესუალურ-სამართლებრივი პროცედურა არის გარანტია, რომ იარსებებს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დაცვას უფლებების თვითნებური შეზღუდვისაგან. მაგალითად, პროცესუალურ-სამართლებრივი პროცედურის თანახმად, დაუშვებელია პოლიტიკური პროტესტის ქუჩაში გამოხატვის უფლების შეზღუდვა სამართლიანი სასამართლოს მოსმენის გარეშე.

# Freedom of Religion

Georgian non governmental organization Liberty Institute with financial support of United States Agency for International Development (USAID) through IRIS - Georgia and British Council has compiled a manual aimed at teaching of freedom of religion and belief judicial practice and promoting awareness of freedom of religion under case law of European Court of Human Rights and U.S. Supreme Court.

This manual covers fundamental principles and international standards of freedom of religion also providing data base of freedom of religion cases as a valuable resource for acting lawyers, judges, law students and general public. Manual is compiled of three chapters: the first one is an overview of general issues such as definitions of religion and belief, history of freedom of religion, an apologia for religious rights and perspectives of freedom of religion.

Second chapter offers comprehensive analysis of freedom of religion and belief under case law of European Court of Human Rights while the third chapter covers U.S. Supreme Court Cases on freedom of religion issues.

Prosecutor General of Georgia Zurab Adeishvilili:

**“This manual is a first attempt to fill the informational vacuum in the field of religious freedoms in Georgia . . . “**

**“It offers students and practicing lawyers in the field of human rights a comprehensive analysis of case law of European Court of Human Rights and U.S. courts allowing them to apply this knowledge to Georgian realities.”**



Authors: Malkhaz Narindoshvili  
Vano Gogelia  
Tatia Julakidze  
Zurab Jashi  
Erekle Glurjidze

Compiled  
and edited by: Giorgi Meladze

Editor: Nodar Ladaria

Designer: Besik Danelia